დიმიტრი
უუკოვი

ბოლიათური
გული

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1989

84 Р—44
Ф 906

ცნობილი საბჭოთა მწერლის დიმიტრი ჟუკოვის წიგნში შესულ მოთხრობებს ერთი იდეა აერთიანებს: როგორც არ უნდა იმძლავროს ბოროტებამ, მაინც აღმოჩნდება მისი დამთრგუნავი ძალები.

თარგმნა ვახტანგ ძლენტმა

4702010201—069
Ж——————310—89
М 601 (08) 89

ISBN 5-529-00703-1

© ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო", 1989.



ა ბ ა კ უ მ ი

საკუთარი ნება-სურვილით ყველასათვის თავის გაწირვა, ყველასათვის ჯვარს ცმა, კოცონზე ასვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ პიროვნება უაღრესად განვითარებულია.

თ. დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ი

1

ქალაქ გორკიდან სოფელი გრიგოროვო, თუ დღევანდელი საზომით მიეუდგებით, ორ ნაბიჯზეა, პირდაპირი გზით სამოცდაათი კილომეტრი თუ იქნება. „ნიჟეგოროდის შემოგარენში" სოფელი სამ ბორცვზეა გაშლილი. გრიგოროვოში ხის ქოხები ნელ-ნელა ქვის ფართო ფანჯრებიანმა სახლებმა შეცვალა, მაგრამ ტბორი, ჯერ კიდევ XVII საუკუნის აღწერის დავთრებში მოხსენიებული წყაროები რომ ასაზრდოებდნენ, მაინც დარჩა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ცა კი იგივეა და ამ ცაში ისევ დაფარფატებენ მტრედები. სიჭაბუკეში აბაკუმსაც უყვარდა მტრედების დევნა. ღამით ცაზე ისევ ის ვარსკვლავები აენთებიან ხოლმე, ოდესღაც მისი და ნასტიას პაემნის მოწმენი რომ იყვნენ.

ირგვლივ გახურებული მტვრის სუნი დგას, მიწას ისევ შერჩენია დღის სითბო. გონებაში ყველაფერი ერთმანეთს ერწყმის — წარსული, აწმყო, მომავალი. რჩება მხოლოდ ის, რაც მარტივია და საიმედო. სხვა ყველაფერი ქრება. დაადე მიწას ყური და გაიგონებ მიჯნურთა აბნეულ ჩურჩულს, გუთნისდედების მწყობრ ნაბიჯებს, მეომართა აჩქარებულ სვლას...

„იღუპება მოსკოვი, მოსკოვი კი რუსეთის დედაბურჯია; გახსოვდეთ, სანამ ფესვები ძლიერია, ხეც ძლიერია; თუ ფესვები არ იქნა, რამ უნდა გაამაგროს ხე?“

როდის ითქვა ეს სიტყვები? სამას თუ ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ?

დაადე ყური ნიჟეგოროდის მიწას და გაიგონებ ცოლებისა და დედების მოთქმას, გაიგონებ სალაშქროდ ამხედრებულ მამაკაცთა ხმებს. მაგრამ ვერ დაინახავ, რა აცვიათ მათ — კუზმა მინინის დროინდელი უხეში მაუდის ზუბუნები, თუ ფაბრიკაში შეკერილი ტანსაცმელი. ხოლო მოწოდებას, ასეული წლების წინ რომ იშვა, ყოველი ავბედობის ჟამს მოიგონებენ, სანამ ცოცხლობს ენა რუსული.

2

გრიგოროვოში ძველი ეკლესია დგას, 1700 წელს აგებული, ერთგუმბათიანი, დაბალი კარვისებური სამრეკლოთი. დღეს მას სახელმწიფო იცავს. XVII საუკუნის დამდეგს ამ ადგილზე ბორისის და გლების ხის ეკლესია იდგა და პეტრე მღვდელი წირავდა. მღვდლის ცოლს მარია ერქვა. პეტრეს ქეიფი უყვარდა. „უდარდელად ცხოვრობდა, მათრობელა სასმელს ეტანებოდა“. მისი ცოლი კი სხვა ყაიდის ქალი გახლდათ — „მემარხულე და მლოცველი“.

1621 წელს პირმშო შეეძინათ.

სალ-სალამათი ყრმა, წესისამებრ, დაბადებიდან რვა დღის შემდეგ, 2 დეკემბერს მონათლეს და მშობლებმა, არა თავისი სურვილით, არამედ საეკლესიო კალენდრით, წმინდა აბაკუმის პატივსაცემად მისი სახელი უწოდეს.

ამ ძველი აღთქმის სახელს ათასნაირად თარგმნიან — აჯანყების მამაო, ღვთის რჩეულიო, ძლიერი მებრძოლიო და სხვა, მაგრამ, ასეა თუ ისე, გრიგოროვოელი მღვდლის შვილს იგი არაჩვეულებრივ მომავალს უქადდა...

ვინაიდან აბაკუმის ბავშვობასა და ყრმობაზე ძალიან ცოტა რამ ვიცით, ისღა დაგვრჩენია, დავჯერდეთ ვარაუდებს, რომლებიც XVII საუკუნის რუსი ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ შემორჩენილ ცნობებს ეყრდნობა.

ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც ნათლობაა, ად-

ვილი შესაძლებელია იქვე, ბორისისა და გლების ეკლესიაში აღენიშნათ მდიდრული ნადიმით. იმ დროში ეკლესია, ჩვეულებრივ, სამი შენობისაგან შედგებოდა: საკურთხეველი, თვითონ ეკლესია და თბილი სატრაპეზო, სადაც მაგიდები და მერხები იდგა. აქ იკრიბებოდა მრევლი და ამქვეყნიურ საქმეებს წყვეტდა, აქ იმართებოდა მხიარული ნადიმები, აქ ინახებოდა საზოგადოებრივი ფული და საბუთები. თუ ეკლესია ქვისა იყო, უფრო ფასეული მონაგრისათვის ზანდუკებსაც ქვისას აკეთებდნენ, ვინიცობაა ხანძარი გაჩნდესო. ეკლესიები, იცოცხლე, მრავლად იყო, განსაკუთრებით ქალაქებში. ათ ეზოზე ერთი ეკლესია მაინც მოდიოდა. ბავშვებს იქვე ასწავლიდნენ წერა-კითხვას — ჯერ ანბანით, მერე ჟამნით, დაბოლოს — ფსალმუნით. მღვდლები, დიაკვნები და მნათეები დიდი ვერაფერიშვილი პედაგოგები იყვნენ, მაგრამ, ასეა თუ ისე, მათი წყალობა გახლდათ, რომ მოსკოვის სამეფოს ყოველმა მეხუთე გლეხმა წერა-კითხვა იცოდა (უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ხშირად როზგებსაც იშველიებდნენ). იმაზე აღარას ვამბობ, რომ მსახურეულნი და ვაჭართა წრის ხალხი თითქმის სულ წერა-კითხვის მცოდნენი იყვნენ.

პატარა აბაკუმს არ დასჭირვებია „ძღვენი მიეცა ან ქირა გადაეხადა“ იმ განათლებაში, რასაც იგი მამისა და წერა-კითხვის მცოდნე დედისაგან იღებდა. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ათი წლის აბაკუმს იშვიათი მეხსიერების წყალობით, პატარა პეტრე პირველისა არ იყოს, „წიგნით ნასწავლი ისე ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ მთელი სახარება და სამოციქულო ზეპირად შეეძლო წაეკითხა“.

და განა მარტო კითხვა? დედამისი მარია დიდად ღვთისმოსავი ქალი გახლდათ. მარხვასა და რელიგიურ წესებს შესაშური გულმოდგინებით იცავდა. იგი შვილს მონდომებით უხსნიდა სახარების სტრიქონებს და უწყინარი ბავშვური შეცოდებისათვის საშინელი სასჯელით აშინებდა. ღვთის შიში ბიჭუნას აიძულებდა მწუხრის ლოცვაზე დედის გვერდით მდგარიყო, ბირქვე დამხობილიყო მშვიდი იდუმალებით მოსილი ხატების წინაშე, თითქოს დიდ საიდუმლოებას რომ იცავდნენ.

აბაკუმმა ადრე დაიწყო სახარების მოძღვრებაზე ფიქრი და მისი იმასთან დაკავშირება, რასაც ირგვლივ ხედავდა. ყმაწვილის სულში ბავშვობიდანვე ცოცხლობდა სამართლიანობის

მძაფრი გრძნობა. მთელი არსებით სძულდა სიცრუე და მრისხანებაში ხშირად დავიწყებია ქრისტიანობის ძირითადი მცნება — სათნოება და მორჩილება.

ერთ დღეს ბიჭუნას სათუთმა სულმა მწარე გამოცდა გაიარა — მეზობლის ეზოში აბაკუმმა მკვდარი პირუტყვი ნახა. ბავშვობაში ხომ სიკვდილთან შეხვედრა ყოველთვის შემზარავია. მოუსვენარმა ბიჭმა მთელი დღე თანატოლებთან ერთად ქუჩაში ირბინა, მტრედებსაც სდია, გრიგოროვოს ანკარა წყაროებით ნასაზრდოებ ტბორშიც იბანავა, მაგრამ შიშისაგან თავი მაინც ვერ დაიხსნა.

ღამით ცივ ოფლში გაწურულს გამოეღვიძა და „ხატის წინაშე ცრემლებიც ღვარა თავისი სულის საოხად და თვალწინ სიკვდილი ედგა"... იმ აზრმა, შეიძლება მეც აი, ასე მოვკვდეო, თავზარი დასცა და ამან მოჰგვარა ძრწოლა იმქვეყნიურ ძალთა წინაშე, რომლებთანაც უძლური იყო მისი ცოცხალი სხეული და ცნობიერება...

ყველა, ვინც დღეს ვოლგის ნავმისადგომ რაბოტკიდან ლოშატიშჩისა და სხვა სოფლების გავლით სოფლის შარაგზით გრიგოროვომდე ჩასვლას მოისურვებს, უთუოდ შეამჩნევს, რომ ეს ბორცვებიანი ადგილი თითქმის სულ გაძარცულია ტყისაგან. XVII საუკუნეში კი აქ უღრანი ტყეები ყოფილა, რომელთა ტევრებში მორდოველთა წარმართული სალოცავები შეყუჟულიყვნენ. რუსულ მართლმადიდებლობას კერპთაყვანისმცემლობასთან მარტო კარგი მეზობლური დამოკიდებულება როდი ჰქონდა, გარკვეულ დრომდე იგი იმასაც ცდილობდა, არ შეემჩნია, რა მშვენივრად ეთვისებოდა კერპთაყვანისმცემელთა თქმულებები ქრისტეს სარწმუნოებას.

სოფლელ ბიჭს აბაკუმს ქაჯებიც სწამდა, წყლის კაცებიც, ფუძის ანგელოზებიც და ალებიც. სხვა ბავშვებისა არ იყოს, მასაც ეგონა, რომ მთელ ბუნებას სული ჰქონდა ჩადგმული და როგორც ჭეშმარიტ კერპთაყვანისმცემელს, სიკვდილიც კი სულიერის სახით ჰქონდა წარმოდგენილი.

აბაკუმის მამა, სოფლის მღვდელი პეტრე, თითქმის ისევე ცხოვრობდა, როგორც მისი არცთუ დიდად მუყაითი მრევლი. როგორც ყველა გლეხი მის ირგვლივ, ისიც თავის ნადელ მიწას ხნავდა, თესავდა, მოსავალს იღებდა, დღესასწაულებზე ილეშებოდა, იქაურობას იკლებდა და ხშირად ხელჩართულ

ჩხუბში კარგადაც მიბეგვავდნენ ხოლმე... თუმცა კანონი ამისთვის სასტიკ სასჯელს ითვალისწინებდა — მეტადრე, თუ ჩხუბის დროს მღვდელს არახჩინი მოსძვრებოდა და მიწაზე დაუვარდებოდა. ეს იცოდა ხალხმა. ქუდს ფრთხილად მოხდიდნენ, ღობეზე ჩამოკიდებდნენ და მღვდელს მაინც სცემდნენ. რუსი გლეხები თვინიერები არ გახლდნენ და თავს არავის აჩაგვრინებდნენ — არც უფროსობას, არც მღვდელს.

პეტრე მღვდელი ადრე გარდაიცვალა და მარიას ბავშვების მთელი ჯგრო დაუტოვა. ყველაზე უფროსს — აბაკუმს მაშინ შეუსრულდა თორმეტი წელი. იგი დედას ეხმარებოდა, უვლიდა და-ძმებს — გრიგოლს, კუზმას, გერასიმეს, ეფემიას... ადრე იწვნია გლეხური შრომის სიმძიმე.

3

გარდასულ წელთა სიღრმეში აბაკუმის ზნეობრივი ჩამოყალიბების გზა მეტისმეტად ბუნდოვნად მოჩანს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სწორედ სიჭაბუკის წლებში გაიცნო მან თითქმის ყველა მთავარი მოქმედი პირი ისტორიული დრამისა, რომლის სახელიც საყოველთაოდ ცნობილია.

ეს გახლავთ საეკლესიო განხეთქილება.

და თანახმად დრამატული მოქმედების განვითარების წესისა პირველ მოქმედებაშივე იკვრება იმ ინტრიგის კვანძი, რის გამოც მოქმედი პირები ერთ ადგილზე იყრიან თავს. ეს ადგილი გახლავთ ერთი მტკაველი მიწა ნიჟნი ნოვგოროდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთიდან სოფელი ველდემანოვი რომ ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან კი მაკარი ჟელტოვოდსკის მონასტერი, რომლის გალავანთანაც მეფის ბრძანებით ჯერ კიდევ მაშინ მიეცა დასაბამი მთელ რუსეთში სახელგანთქმულ მაკარის ბაზრობას.

გრიგოროვო სულ თხუთმეტი ვერსით იყო დაშორებული დიდ მორდოვულ სოფელ ველდემანოვიდან, რომელიც სტუმართმოყვარეს გრიგოლ ზიუზინს ეკუთვნოდა, სწორედ აქაური გლეხის მინას ოჯახში დაიბადა ყრმა ნიკიტა — აბაკუმის მომავალი მოწინააღმდეგე.

ეს საოცარი დამთხვევაა.

„მდაბიოთაგანი ვარ", — მიუგებდა ჭაბუკი ნიკიტა მინინი,

როცა წარმოშობას ეკითხებოდნენ, მაგრამ მას ბრწყინვალე მომავალი ელოდა. ბერად ნიკონის სახელით შედგა და ამ სახელითვე ავიდა პატრიარქის ტახტზე.

თქმულების თანახმად, ვინმე მორდოველ მისანს ტყის საკერპოსთან კვერთხი დაუქნევია და მისთვის უწინასწარმეტყველებია:

— შენ დიდი მეუფე იქნები!

ასეთი წინასწარმეტყველება ღრმად სწვდებოდა გულში, მაგრამ პატივმოყვარე ყმაწვილს ჯერჯერობით ავი დედინაცვლის ხელში სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული და ისიც წარამარა გარბოდა მაკარის მონასტერში, სადაც წიგნის სიბრძნეს ეუფლებოდა და მონასტრული მოღვაწეობის დროს ისეთი სულის სიმტკიცესა და შეუპოვრობას იჩენდა, ბერებსაც კი აოცებდა.

აქაური ბერები წიგნებსა და დარიგებებს არ იშურებდნენ ნიჭიერი ყმაწვილებისთვის, რომლებიც მონასტრისკენ ყველა კუთხიდან მიილტვოდნენ. აბაკუმიც მონასტრის ხშირი სტუმარი იყო და ალბათ აქ ნიკიტა მინინსაც ხვდებოდა, თუმცა იგი მასზე ბევრად უფროსი გახლდათ. ასეა თუ ისე, მოგვიანებით, როცა ნიკონის სახელის ხსენებაც კი აცოფებდა, იგი იგონებდა: „მე ნიკონს ვიცნობ — ჩემი მშობლიური მხარის მეზობლად დაიბადა, სოფელში, მურაშკინისა და ლისკოვოს შორის. მამა ჩერემისი[1] ჰყავდა, დედა ალი — მინკა და მანკა; ის კი, ნიკიტა, ჯადოქარი გამოვიდა, ქალებთან მრუშობა დაიწყო და ჟელტოვოდსკის მონასტერში წიგნს დაუმეგობრდა...“

ნიკიტა მინინი მონასტერში დარჩა, ხარბად დაეწაფა წიგნებს და თანდათან დიდი როლისთვის ემზადებოდა, წერა-კითხვა სულ პატარამ, სოფელ კულიჩევის მღვდელთან, მამა ივანესთან ისწავლა, რომლის ძე კოლომენსკის ეპისკოპოსი გახდა, პავლედ წოდებული, და, რომელიც უკვე მოწიფულ ნიკიტას, იგივე უდრეკი პატრიარქის ნიკონის ბრძანებით დაწვეს. დამთხვევები თანდათან მატულობს...

პავლე კოლომენსკელის და ცოლად ჰყავდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც შემდეგში სუზდალის მიტროპოლიტი გახდა და ილარიონი ეწოდა. იგი სოფელ კირიკოვის მღვდლის ანანი-

[1] მარიელის ძველი სახელწოდება.

ას ვაჟი იყო. სხვადასხვა დროს ანანიას მოწაფეები და სულიერი შვილები იყვნენ იგივე ნიკიტკა მინინი და მომავალი დეკანოზი ივანე ნერონოვი, რომლებიც ერთმანეთის დაუძინებელი მტრები გახდნენ. ჭაბუკი აბაკუმი ხშირად ხვდებოდა კიდევ ერთ ილარიონს, რომელიც ჯერ მაკარის მოპირდაპირე გორაკზე გაშლილი დიდი სოფლის ლისკოვოს მღვდელი გახდა, მერე ამ სოფლის მონასტრის წინამძღვარი, და ბოლოს რიაზანის მიტროპოლიტი. შემდგომ სწორედ მას, თავის მტერს, მიმართავდა აბაკუმი ამ სიტყვებით: „შენ ვინღა ხარ, ხუცესუნა იაკოვლევიჩო? მთელი შენი ცხოვრება მაკარის მონასტრის ერთ ღამედაც არა ღირს".

მაკარის მონასტერში შედგა ბერად აბაკუმის მომავალი მფარველი, ციმბირისა და ტობოლსკის არქიეპისკოპოსი სვიმონიც.

ნიჟეგოროდის რომელიღაც კუთხიდან იყო აბაკუმის კიდევ ერთი მფარველი — მეფე ალექსი მიხეილის ძის სულიერი მოძღვარი, ხარების დეკანოზი სტეფანე ბონიფატიევი...

მთელი ამ მეგობრული და ნათესაური კავშირის ხლართებში ჩვენს გაოცებას ერთი რამ იწვევს — რუსული ეკლესიის რამდენი უმაღლესი წარჩინებული პირი გამოვიდა თვალუწვდენელი სამეფოს ამ პაწაწინა კუთხიდან. მართალია, გარდა ნიკონისა, ყველანი მღვდლის შვილები იყვნენ, მაგრამ ეს არ ყოფილა მათი განდიდების მიზეზი.

ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ მაკარის მონასტერში, სადაც, როგორც ჩანს, მრავლად უნდა ყოფილიყო ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნები. ის მხარე, სადაც მათი სოფელი მდებარეობდა, ერთ დღეში შეიძლებოდა ფეხით შემოგევლო. ისინი უსათუოდ ერთმანეთთან საუბრობდნენ, კამათობდნენ, წიგნებს ცვლიდნენ. ამრიგად, მაკარის მონასტრის ჭერქვეშ თანდათან ჩამოყალიბდა წრე, რომელშიაც ყმაწვილკაცები იზრდებოდნენ — განვითარებულნი, ნაკითხნი, პატივმოყვარენი, წარმოშობით ისინი დიდებულები არ იყვნენ და ამიტომ მხოლოდ სასულიერო კარიერაზე შეეძლოთ ეოცნებათ. ყოველი მათგანი ოცი წლის ასაკში ან ცოტა უფრო გვიან უკვე მღვდელი იყო. რელიგიურ გატაცებას ისინი მონასტერში მიჰყავდა, სადაც აშკარად გამოირჩეოდნენ ნახევრადუვიც თანამოძმეთაგან და, ცხადია, ჯერ მონასტრის წინამძღვრის, ხოლო შემდეგ ეპისკოპოსის ადგილისაკენ გზა ხსნილი ჰქონდათ.

ჭაბუკობაში აბაკუმის მომავალ ამბოხს ჯერ კიდევ არაფერი მოასწავებდა.

მოწიფული ნიკიტა მინინი ნათესავებმა მონასტრიდან გაძოიყვანეს და ცოლი ძალით შერთეს; მერე ოცი წლის ყმაწვილი ერთ-ერთი მეზობელი სოფლის მცხოვრებლებმა მღვდლად აირჩიეს. ნიჭმა და ზეშთაგონებამ მაშინვე გამოარჩია იგი დანარჩენ მღვდლებს შორის. მალე გავლით ჩამოსულმა ვაჭრებმა, რომლებმაც ნიკიტა მაკარის ბაზრობაზე გაიცნეს, იგი მოსკოვში გადაიბირეს...

4

აბაკუმიც დაქორწინდა. ჭაბუკი ჩვიდმეტისა რომ შესრულდა, დედამისმა მაჭანკალი მიუგზავნა თოთხმეტი წლის ობოლ ანასტასიას მეურვეებს. სანამ ნასტასიას მამა მარკო ცოცხალი იყო, ოჯახიც შეძლებული ჰქონდა. სხვის ოჯახში ხმელი პური კი არა, ხალიფაფაც ყელში გეჩხირება. მაგრამ ნასტასია წყნარი, ღვთისმოსავი, შრომისმოყვარე გოგონა იყო. თავს არ იზოგავდა. საყვედურებს უსიტყვოდ იტანდა. აბაკუმის დედამ მას ბავშვობიდანვე დაადგა თვალი და როცა გოგო გაიფურჩქნა, გასათხოვარი შეიქნა, იფიქრა, ჩემი ვაჟი უკეთეს ცოლს ვერც ინატრებსო.

ადათის მიხედვით მას შვილისათვის არაფერი უკითხავს, ისევე როგორც ნასტასიასათვის არავის უთხოვია თანხმობა. მაგრამ შვილის გულისწადილს დედაზე უკეთ ვინ მიხვდებოდა, თურმე ნასტასიასაც ეჭირა თვალი ჭაბუკზე. ჩანს, აბაკუმი მოხდენილი და წარმოსადეგი ახალგაზრდა იყო.

ასე შევიდა აბაკუმის ცხოვრებაში ნასტასია მარკოვნა — შესანიშნავი რუსი ქალი, რომელიც ყოველგვარ გასაჭირში მხარში ედგა ქმარს და ცხრა შვილიც აჩუქა.

მალე გარდაიცვალა აბაკუმის დედა. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, იგი უახლოეს მონასტერში მართას სახელით მონაზვნად აღიკვეცა.

და თითქმის მაშინვე ახალდაქორწინებულებს, რომლებსაც ცისერზე აბაკუმის უმცროსი დები და ძმები აწვნენ, თავს უბედურება დაატყდათ. მღვდლის სახლი თემს ეკუთვნოდა. სანამ დედა ცოცხალი იყო, ოჯახს გამოსახლებას ვერ უბედავდნენ. ჭირვეული აბაკუმი მაინცდამაინც ვერ ეწყობოდა „თვისტომთ“.

რომლებმაც იგი აიძულეს კიდეც საცხოვრებლად სხვა ადგილ-ზე გადასულიყო.

ოცდაერთი წლის აბაკუმი უკვე დიაკვანი იყო, ხოლო ოცდასამისა სოფელ ლოპატიშჩის მღვდელი გახდა. იგი ისევ გლეხურ შრომას ეწეოდა, ძმებიც ეხმარებოდნენ. სწორედ მაშინ დაიბადა მისი პირმშო ივანეც.

აბაკუმი ძალიან უბრალოდ „დაადგინეს მღვდლად". შეიკრიბა მრევლი, აირჩიეს აბაკუმი მღვდლობის კანდიდატად, ისევე როგორც შეეძლოთ ნებისმიერი ვინმე აერჩიათ თავიანთი წრიდან, და განსაკუთრებული სიგელით თავდებად დაუდგნენ — კეთილი კაცია, საღვთო წერილი იცის და ლოთი არ არისო. აბაკუმი მღვდლობის სხვა კანდიდატებთან ერთად არქიელთან გამოცხადდა. თითოეულს ხელში თხოვნა ეჭირა. გამოვიდა არქიელი წიგნით ხელში და კანდიდატებს რიგრიგობით წასაკითხად მისცა, ვინც ცუდად კითხულობდა, მას უკან ისტუმრებდა, ვინც კარგად — მას ქალალდზე ნიშანს უსვამდა. აბაკუმს ნაცნობმა მღვდლებმა უთუოდ შეაწიეს სიტყვა, მაგრამ ალბათ მასაც დასჭირდა ხაზინადართან ფული შეეტანა და გადამწერებიცა და არქიელის სხვა მსახურნიც დაესაჩუქრებინა. მხოლოდ შემდეგ, წირვის დროს მოახდინა ეპისკოპოსმა ხელთდასხმა...

ასე დარჩებოდა აბაკუმი მთელი ცხოვრება სოფლის მღვდლად და გაჭირვებით გაიტანდა კიდეც თავს, თუ არ მის არსებაში ჩაბუდებული მშფოთვარე ძალა და ყოვლისმძლეველი მოქმედების წყურვილი. აბაკუმს არ აკმაყოფილებდა საეკლესიო წირვა, რომელზეც მისი მრევლი არცთუ დიდი მონდომებით დადიოდა და ცდილობდა ექადაგა „სახლებშიცა და გზაჯვარედინებზეც", ექადაგა სხვა სოფლებშიც, თუმცა მის ქადაგებას ხშირად გულგრილად ხვდებოდნენ. თავისი მშფოთვარე ბუნებით აბაკუმი საშუალო ფენას აშინებდა, თავკაცებს კი აცოფებდა და მტრად იკიდებდა.

მაგრამ ზოგიერთი ყურსაც უგდებდა. მკაცრ და მომთხოვნ აბაკუმს ალერსიანიც შეეძლო ყოფილიყო. იმათთვის, ვისაც მეურვეობდა, თავს არ ზოგავდა, და ისინიც სიკეთით უხდიდნენ სამაგიეროს. სიცოცხლის მიწურულს აბაკუმს ექვსასამდე სულიერი ძე ჰყავდა და უკლებლივ ყველანი მასთან ურღვევი სიყვარულით იყვნენ დაკავშირებულნი.

ერთხელ ლოპატიშჩის ეკლესიის ახალგაზრდა მღვდელთან აღსარების სათქმელად ქალიშვილი მივიდა. მას „ბევრი ცოდვა ჰქონდა, ბრალი ედებოდა... მრუშობაშიც". ქალიშვილი სახარების წინ დადგა და მონანიება დაიწყო. როგორც ჩანს, იგი ლამაზი იყო და სამიჯნურო თავგადასავლებს ისე შთამბეჭდავად ჰყვებოდა, რომ მღვდელი, რომელმაც სხვის სულს უნდა უმკურნალოს, თვითონ „დასნეულდა". „ავხორცობის ცეცხლით" დადაგული გამწარდა, სირცხვილმა აიტანა. მაშინ მან სამი სანთელი აიღო, აანთო, საწიგნეზე მიაკრა, „ალზე მარჯვენა ხელი დადო და მანამ არ აიღო, სანამ ბოროტი ენება არ გაუქრა".

ამან უთუოდ ქალიშვილზე შთაბეჭდილება მოახდინა.

იმ ღამით აბაკუმი თავის ქოხში დიდხანს ტიროდა, სანამ „თვალები სულ არ დაუსივდა". ხატების ქვეშ მწოლარეს იატაკზე ჩაეძინა და ნახა სიზმარი, რომელსაც მთელი სიცოცხლე წინასწარმეტყველებად თვლიდა.

ხედავს აბაკუმი ვოლგას, რომელზეც მწყობრად მოცურავს ორი ოქროს ხომალდი. ხომალდებს ყველაფერი ოქროსი აქვს— ნიჩბებიც, ანძაც. ოღონდ ხალხი არ არის ზედ — მხოლოდ თითო მესაქე ჰყავთ. აბაკუმი მათ ეკითხება: „ვისი ხომალდებია?" უპასუხებენ: „ლუკასი და ლავრენტისა". ლუკა და ლავრენტი ვაჭრები იყვნენ, მისი სულიერი ძენი. ხედავს იგი მესამე გემსაც. ის ოქროსი არ არის, ჭრელია — წითლად, თეთრად, ლურჯად, შავად, ნაცრისფრად შეღებილი, ისეთი ლამაზია, თვალს ვერ მოაშორებ. კიჩოზე მჯდარ მზეჭაბუკს გემი პირდაპირ აბაკუმისკენ მიჰყავს, ლამის დააჯახოს. აბაკუმმა დაიყვირა: „ვისი ხომალდია!" „შენი, — უპასუხა ჭაბუკმა. — წაიყვანე და ცოლშვილთან ერთად, რამდენიც გენებოს, იცურავე!"

გაეღვიძა აბაკუმს, იატაკზე წამოჯდა და ფიქრს მიეცა: ნეტარა ზღვაოსნობა მელისო.

5

მალე თავს უბედურება დაატყდა.

სამართალს ეძებდა აბაკუმი და სისასტიკეს წააწყდა. ადგილობრივმა თავკაცმა ქვრივს ქალიშვილი წაართვა, ალბათ ხარჭად უნდოდა. აბაკუმი ქვრივს გამოესარჩლა და თავკაცს სთხოვა, ქალიშვილი დააბრუნეო. ბოროტმოქმედს მხილებასაც არ

დაერიდა. ამან თავკაცი ისე გააცოფა, თავის ხალხთან ერთად აბაკუმს ეკლესიაში შეუვარდა და „შავი დღე აყარა". მღვდელი ისე სცემეს, გონება დაკარგა. თავკაცმა რომ ნახა, აბაკუმი აღარ ინძრევაო, შეეშინდა და ქალიშვილი შინ გაუშვა. ნახევარი საათის შემდეგ აბაკუმი გონს მოეგო. მაშინ თავკაცი საკუთარი „უნიათობის" მოსანანიებლად ეკლესიაში დაბრუნდა, აბაკუმი გალახა, მერე წააქცია და მღვდლის სამოსიანად იატაკზე ფეხებით ათრია.

მეორე, იმავე აბაკუმისეული ვერსიით, მღვდელმა-გოლიათმა ქალიშვილი ძალით წამოიყვანა, რის შემდეგაც თავკაცი ეკლესიაში მთელი რაზმით გამოცხადდა.

იმ დროს კამათში საუკეთესო საბუთად მუშტი-კრივით ანგარიშის გასწორება ითვლებოდა, თავდაჭერილობა პატივში არ იყო. თუკი ვინმე სხვას დაჯაბნიდა, მისთვის სიტყვის შებრუნებას ვერავინ ბედავდა. თვით მეფე ალექსი მიხეილის ძე, მეტსახელად „უწყინარი" რომ შეარქვეს, ხელაღებით სილას აწნიდა ჭაღარა ბოიარებს, ხოლო ეკლესიაში, წირვის დროს, თუ რაიმე არ მოეწონებოდა, არც უწმაწურ სიტყვებს ერიდებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეორე თავკაცი, ვინმე ივან როდიონოვიჩი აბაკუმს სახლში მიუვარდა, სცემა და „ხელზე თითი წააკვნიტა, ვითარცა ქოფაკმა", ხოლო მწუხრის ლოცვის შემდეგ დამბაჩით მოკვლა დაუპირა. ჩახმახი ფალიას დაეცა, მაგრამ დამბაჩა არ გავარდა. მეორე დამბაჩამაც უმტყუნა. აბაკუმი დამცინავად ლოცავდა თავკაცს:

— მადლი ბაგეთა თქვენთა, ივან როდიონოვიჩ, მაგრამ იკმარე!

ივან როდიონოვიჩი ვალში არ დარჩენილა. აბაკუმს ქონება წაართვა და ნასტასიასთან, პატარა ივანესა და ახალშობილ ჩვილთან ერთად სოფლიდან გააძევა ისე, რომ „საგზლად ხმელი პურიც არ გაატანა".

მათ, ვისი გულის მონადირებაც აბაკუმმა შეძლო, იგი სოფლის ბოლომდე გააცილეს. მოკვეთილები მოსკოვისაკენ წაეხეტნენ, გზაში აბაკუმმა ახალშობილი მონათლა და პროკოფი დაარქვა.

თავკაცის მრისხანებას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. ჩვენ ამას აბაკუმის ნათქვამიდან ვიგებთ. ივან როდიონოვიჩი „ჩემზე წირვის გამო იყო გულმოსული: უნდოდა მალე მომემთავრები-

ნა, მე კი ტიბიკონით ვმღეროდი, არ ვჩქარობდი, ძალიან სწყინდა ხოლმე".

ნუთუ საეკლესიო წირვის ხანგრძლივობას შეეძლო ესოდენ მძაფრი რეაქცია გამოეწვია? დიახ, შეეძლო. ჯერ კიდევ არ იყო გასული ის დრო, როცა მსგავსი რამ ძმათა შორის ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომების ფორმალური საბაბიც კი ხდებოდა. სანამ აბაკუმი თავისი ჯალაბობით მოსკოვში ჩააღწევს, შევეცადოთ გავერკვეთ მოვლენებში, რომლებიც საეკლესიო განხეთქილებას წინ უძღოდა.

6

არეულმა დრომ არამარტო სისხლისაგან დაცალა რუსეთი და კატასტროფულად შეამცირა მისი მოსახლეობა, არამარტო ქალაქები გადაწვა და სახნავ-სათესი მიწები შეამცირა, არამედ ზნეობრივი საფუძვლებიც შეარყია. იმავე არეულ დროში „ლათინურისადმი სამუდამო მონობის შიშმა", როგორც დიონისე წერდა თავის მოწოდების სიგელში, ფეხზე დააყენა და შეამჭიდროვა რუსული მიწის საუკეთესო შვილები, იძულებული გახადა ისინი მთელი ძალები მოეკრიბათ მტრის განსადევნად.

მაგრამ გავიდა ათიოდე წელი და გმირები პოლიტიკურ არენაზე დიდებულთა ახალმა წრემ — „სასახლისა და პრიკაზების დიდებულთა წრემ" — შეავიწროვა. აღარაფერი ისმის მინინზე, განაწყენებულია პოჟარსკი; ციხეში აღმოჩნდა სერგის სამების ლავრის არქიმანდრიტი დიონისე. მას ბრალი დასდეს ღვთისმსახურების წიგნების დამახინჯებაში, რომელთა შემოწმებაც მეფისა და საეკლესიო ხელისუფალთაგან ჰქონდა დავალებული. 1619 წელს დიონისე ციხიდან გაანთავისუფლა პოლონეთის ტყვეობიდან დაბრუნებულმა მიტროპოლიტმა, შემდეგ კი პატრიარქმა ფილარეტმა, ჭაბუკი მეფის მიხეილ თეოდორის ძის მამამ, მოსკოვის სამეფოს გონიერმა და შორსმჭვრეტელმა მმართველმა.

ფილარეტი აფასებდა დიონისეს და ცდილობდა ამ სანდომიანი და ჭკვიანი ბერისათვის უსიამოვნებაც აერიდებინა. სერგის სამების ლავრა ფილარეტის მფარველობისას ყვაოდა. იმ დროს ეს ლავრა უმსხვილესი კულტურული ცენტრი იყო და მასთან არა ერთი რუსი მწერლის შემოქმედებაა დაკავშირებუ-

ლი. ამაში მცირე როლს როდი ასრულებდა ხასიათი დიონისეს, რომელიც თავისი მბრძანებლობითა და შეუპოვრობით არც არავის იბრიყვებდა და ვნებასაც არავის აყენებდა.

დიონისეს ირგვლივ ყველა გატაცებული იყო იოანე ოქროპირის ქადაგებით და მაქსიმე ბერძენის თხზულებებით, რომლებიც საზოგადოების მანკიერებას ამათრახებდნენ. ეს ინტერესი შემთხვევითი არ ყოფილა მაშინდელი არეული დროის აღვირახსნილობისა და ზნე-ჩვეულებათა დაკნინების მოწმეთათვის, რაც შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. და თუ დიონისეს მოწოდების სიგელები აღანთებდა რუსეთს, რომელიც უკვე მზად იყო პოლონეთის ინტერვენცია ერთი დარტყმით აღეგავა, ამ ახალ უბედურებასთან ბრძოლისთვის ლმობიერ არქიმანდრიტს ძალა არ შესწევდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ სწორედ სერგის სამების ტაძარში შობილმა იდეებმა დაუდო სათავე იმ უდიდეს საზოგადო მოძრაობას (ეს უკვე მერამდენედ!), რომელმაც მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარი ღირსშესანიშნავი მოვლენებით გაამდიდრა.

ამ საუკუნის 90-იან წლებში მონასტერში მოვიდა ჭაბუკი მეფსალმუნე ივანე ნერონოვი. ვოლოგდელი გლეხის შვილმა გაბედა ლოთობისა და სხვა უმსგავსობისათვის მღვდლები ხმამაღლა გაეკიცხა; ვოლოგდაში კი ეპისკოპოსის მსახურებმა მამხილებლობისთვის უმოწყალოდ სცემეს. შემდეგ რომელიღაც ბერმა იგი დიონისეს წარუდგინა და არქიმანდრიტს ისე მოეწონა ნერონოვი, რომ თავის სენაკში დააყენა. ისინი ერთად კითხულობდნენ მაქსიმე ბერძენის თხზულებებს, რომელმაც თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები სერგის სამების ლავრაში გაატარა მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ და 1556 წელს აქვე მიიცვალა.

ათონელი ბერი მაქსიმე რუსეთში დიდმა მთავარმა ვასილი ივანოვიჩმა მიიწვია. ჭაბუკმა მაქსიმემ განათლება იტალიაში მიიღო. ერთხანს დომინიკელთა მონასტერში ცხოვრობდა, რომლის წინამძღვარიც ცნობილი იერონიმ სავონაროლა იყო. დაუმორჩილებელი დომინიკელის სულისკვეთებამ, რომელიც თავის ქადაგებაში ფარდას ხდიდა პაპებისა და სამღვდელოების გარყვნილებას და რომელიც კოცონზე დაწვეს, ღრმა კვალი დატოვა რუსეთში მაქსიმე ბერძენად წოდებული ათონელი ბერის ნაწერებში.

დიონისე და ნერონოვი მის თხზულებებში მხოლოდ იმას ხედავდნენ და კითხულობდნენ, რაც ორივეს აღელვებდა. ისინი ვერ ურიგდებოდნენ ზნეობის დაცემას, რუსული ყოფის ზოგიერთ მხარეს, მართლმადიდებლობის საწყისებს რომ ეწინააღმდეგებოდა, წარმართობის ნაშთებს... მაგრამ იმავე ნერონოვს არ სურდა დაენახა მაქსიმეს შეხედულებათა ფართო მასშტაბები, რომელმაც დაგმო ზნე-ჩვეულებების დოგმების ხარისხამდე აყვანა.

ნერონოვს ძალზე მოუსვენარი, მეტად ენერგიული ხასიათი ჰქონდა საიმისოდ, რომ „ცხონება" ბერად შედგომაში ეპოვა. იგი სხვათა „ცხონებასაც" ესწრაფოდა. ბერმა დიონისემ თავის ჭაბუკ მეგობარს განზრახვა მოუწონა და პატრიარქ ფილარეტთან სარეკომენდაციო წერილი გაატანა. ნერონოვი პირადად ეახლა პატრიარქს, რომელმაც მაშინვე დიაკვნობა უბოძა, ერთ წელიწადში კი მღვდლადაც დაადგინა.

ფილარეტი ნერონოვს ხშირად იწვევდა სუფრაზე; მან იგი წარუდგინა მეფესა და სხვა წარჩინებულ ბოიარებს, რომელთაც ახალგაზრდა მღვდელი გულმოდგინედ კიცხავდა წვერის მოპარსვისა და უცხოურ ზნე-ჩვეულებათა გადმოღებისათვის. მისი სიტყვები სავსებით შეესაბამებოდა ფილარეტის განწყობილებას, ფილარეტისა, რომელმაც საპატრიარქო სამსახურში მყოფი ყველა უცხოელი აიძულა მართლმადიდებელი გამხდარიყო, ხოლო იმათ, ვინც უარს იტყოდა, სამსახურიდან ითხოვდნენ.

მას შემდეგ, რაც ნიჟნი ნოვგოროდში ქრისტეს ამაღლების ტაძრის მღვდლად გადაიყვანეს, ივანე ნერონოვმა ყველას დაანახვა, რისი უნარიც შესწევდა. ამ უზარმაზარ სავაჭრო ქალაქში, რომელიც მაშინდელ რუსეთში მოსკოვის, იაროსლავლისა და ყაზანის შემდეგ სიდიდით მეოთხე იყო, მან ძველი, ჯერ კიდევ მონგოლების დრომდე არსებული ტრადიცია აღადგინა — მრევლის წინაშე ისევ ქადაგებდა და წიგნებს კითხულობდა. ქადაგებისას იგი არც ადგილობრივ ვოევოდებსა და მღვდლებს ერიდებოდა, მათი ცოდვები სააშკარაოზე გამოჰქონდა, ფარდას ხდიდა მათ გარყვნილობას, ლოთობას და მექრთამეობას. ისინიც, თავის მხრივ, ვალში არ რჩებოდნენ და, როგორც კი დროს იხელთებდნენ, მღვდელს უმოწყალოდ სცემდნენ, ან მასზე მოსკოვში საჩივრებს აგზავნიდნენ.

მაგრამ ნერონოვი თვითონაც ხშირად დადიოდა მოსკოვში, მეფესა და პატრიარქს ხვდებოდა და სამართალს მათთან პოულობდა. მალე ისე გაშალა ფრთები, რომ სახელმწიფო საქმეებში ჩარევაც კი გაბედა. მეფესა და პატრიარქს არწმუნებდა, პოლონეთთან ომი არ დაიწყოთო, მერე კი წამოუარა და „ჭკუაზე გადასულმა" საერთოდ აკრძალა ეს ომი და რუსეთს დამარცხება უწინასწარმეტყველა.

კადნიერებისათვის ან, როგორც თანდართულ სიგელში იყო ნათქვამი, „სიამაყის და მაღალი აზროვნებისათვის" პატრიარქმა ფილარეტმა მღვდელი ივანე მოსანანიებლად შორეულ ნიკოლო-კარელიის მონასტერში გადახვეწა.

თავის დროზე ნერონოვი ლისკოვოში ცხოვრობდა. მამხილებლის სახელმა და დიდებამ ამ მხარემდეც მიაღწია და მაკარევში თავშეყრილ ახალგაზრდებს ცნობისწადილი გაუღვიძა. ნერონოვის დევიზი — „გვემით დაიმორჩილე" მათთვის ძალზე ღრმააზროვნად ეღერდა.

მრავალრიცხოვან წმიდანთა „ცხოვრებაში", რომელთა ცოდნა იმ დროს ყველა განათლებული ადამიანისათვის სავალდებულო გახლდათ, აღწერილი იყო ათასგვარი საშინელებანი — წამება, დილეგში ჩაგდება, ცემა და სიკვდილით დასჯა... წარმართთა თუ ამა ქვეყნის ძლიერთა მხრიდან დევნა და, ამასთან, გასაჭირში გამოვლენილი სულის სიმტკიცე ადრეული ქრისტიანებისათვის საკმაო საბუთი იყო, რომ ესა თუ ის კაცი წმიდანთა თანა შეერაცხათ. განდეგილებისა და ბერების „ცხოვრებანი" სავსეა თვითგვემის, ხორცის მოკვდინების, ასკეტური განდგომის მაგალითებით.

მდიდარი წარმოსახვით დაჯილდოებული გლეხები და ხელოსნები წმიდანთა „ცხოვრებაში" დახატულ მწვალებლებს ეოეოდებთან და ბოიარებთან აიგივებდნენ, რომელთა თვითნებობას ბოლო არ უჩანდა. ქვეყანა ცოდვის, ძალადობისა და უკანონობის საუფლოდ ქცეულიყო.

კოსტრომის, იაროსლავლისა და ნიჟნის ირგვლივ მდებარე ულრან ტყეებში „ტყის ბერები" გაჩნდნენ. ისინი ოჯახურ ცხოვრებას და გამრავლებას უარყოფდნენ. თვითონ ბორკილებს ატარებდნენ, ზამთარშიც კი თხელი ტანსაცმელი ეცვათ და ყოველივე ამქვეყნიური სიკეთის აღკვეთით ცდილობდნენ

თავიანთ თავში ჩაეკლათ ადამიანური, ბუნებრივი ბედნიერებისაკენ სწრაფვა.

ამ მოძრაობას სათავეში ედგა ვინმე ბერი კაპიტონი, რომელსაც თავისი სასტიკი ასკეტიზმით თვით ბერებიც კი გაოცებაში მოჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი წერდა: „მარხვას ინახავს, ქვის ხუნდებს ატარებს. ერთი ფილა წინ ჰკიდია, მეორე — უკან, თითო ფილა ფუთნახევარს იწონის, ორივე ერთად — სამს. ქამრად რკინის ბალთა აქვს შემორტყმული, რკინისვე კაუჭი კი ჰერზეა მიმაგრებული: ეს მისი ლოგინია — მარყუჟს კაუჭზე გამოაბამს და ასე ჰაერში გამოკიდებულს სძინავს"... კაპიტონს გამოსასწორებლად მონასტერში ამწყვდევდნენ, მაგრამ იგი ისევ ტყეში გარბოდა, მან თავის გარშემო მრავალი მომხრე და მოწაფე შემოიკრიბა, რომლებსაც დღესასწაულებზეც კი არ აძლევდა „ყველის, ერბოს თუ თევზის ჭამის" უფლებას.

კაპიტონი უარყოფდა ხატებს, რომლებზეც ქრისტე და ღვთისმშობელი მდიდრულ ტანსაცმელში იყვნენ გამოსახული, მსმელ მღვდლებს ლოცვა-კურთხევას არ სთხოვდა, თავად ეკლესიასაც კი არ თვლიდა უზენაესად და „ღმერთთან უშუალო ურთიერთობას" ამჯობინებდა.

„კაპიტონოვშჩინაში", რომელიც ნიკონის ხელისუფლების სათავეში მოსვლამდე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა, უკვე ღვივდებოდა საეკლესიო განხეთქილების თესლი.

კაპიტონის მოწაფეთა შორის, მასწავლებელივით ასკეტებსა და „რკინისმთრეველებში" იყო ვინმე „დიდი და ფრიად ბრძენი ვავილა", რომელზეც, მოგვიანებით, ერთ-ერთ სტაროვერულ თხზულებაში ნათქვამია: „წარმოშობით უცხოელი იყო, სარწმუნოებით ლუთერანი, განსწავლული და ნაკითხი; საკმაოდ დიდხანს სწავლობდა განთქმულ პარიზის აკადემიაში, დახელოვნებული იყო რიტორიკაში, ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში; იცოდა ლათინური, ბერძნული, ებრაული და სლავური".

არავინ უწყის, საიდან მოხვდა მიხეილ თევდორეს ძის მეფობის დროს ვიაზნიკის მახლობელ ტყეში ეს ფრანგი, პარიზის სორბონის აღზრდილი, კარდინალ რიშელიეს თანამედროვე. მაგრამ სწორედ აქ დაიდო ვავილამ „მძიმე ბორკილები", უკიდურესობამდე მიიყვანა თავისი მასწავლებლის კაპიტონის შე-

ხედულებაში და შემდგომში ქადაგებდა მასობრივ თვითდაწვას, რაიც ყველაზე ფანატიკური რელიგიების დოგმებისთვისაც კი შეუთავსებელია...

წარსულში პროტესტანტი ფრანგი ვავილა ჭეშმარიტი შვილია საუკუნისა, როცა მთელი ღვთისმეტყველება გამსჭვალული იყო ქვეყნის აღსასრულის მოახლოების შეგრძნებით. ესქატოლოგიზმმა არანაკლები გავლენა მოახდინა რეფორმაციაზე — ლუთერი მეორედ მოსვლას ელოდა და განკითხვის დღეს ადამიანებს მონანიებისაკენ მოუწოდებდა. ქვეყნის აღსასრულის მოახლოება რუსეთშიც ბევრს სჯეროდა. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ეს მოხდებოდა 1492 წელს, ესე იგი, ბიბლიური წელთაღრიცხვით 7000 წელს ქვეყნის დასაბამიდან. როცა ამ თარიღმა მშვიდობიანად ჩაიარა, ერონი ჯანსაღი სკეპტიციზმით განიმსჭვალნენ, მეორენი ამბობდნენ, აღსასრული დადგება 8000, ესე იგი, 2492 წელსო, მესამენი კი — ასეთები ბევრნი იყვნენ — ქვეყნის აღსასრულს 1666 წლისთვის წინასწარმეტყველებდნენ, ვინაიდან „იოანეს გამოცხადებაში" ანტიქრისტე დაშიფრული იყო რიცხვით 666[1].

7

ნერონოვსა და მის ახალგაზრდა მიმდევრებს ამ ქვეყნის არასრულყოფილება მაინცდამაინც პესიმისტურად არ მიუღიათ — ისინი ხსნას ხალხის ზნეობის გამოსწორებაში ხედავდნენ და ბრძოლის სხვა გზა აირჩიეს, რომელმაც დასაბამი მისცა რუსული მოღვაწეობის სრულიად ახალ სახეობას. ქვეყანას კი არ უნდა განუდგე, არამედ მასთან ახლო უნდა იყო, უნდა იქადაგო, ამხილო და თუ საჭიროა, ამისათვის ეწამო კიდეც, რას იზამ, წმიდათაგან ვინ არის ისეთი, ვისაც წამება არ გადაუტანია? შემდეგ ისინი ამ ცემასა და დევნას დამსახურებად მიითვლიან. წამების წარმოუდგენელი სტოიციზმით ატანის შემ-

[1] 666 აპოკალიფსური რიცხვია და აღნიშნავს ფანტასტიკურ მხეცს. იოანეს გამოცხადების მიხედვით ეს მხეცი სასწაულმოქმედი ძალით არის დაჯილდოებული. მისი ნიშანი, იდუმალი რიცხვი — 666 მარჯვენა ხელზე ან შუბლზე აღებეჭდება ყველას, დიდსა და პატარას, მდიდარსა და ღარიბს, თავისუფალსა და მონას.

დგომ თავიანთ „ცხოვრებასა“ და სიგელებში მათ ცემა წარჩინების ნიშნებად აქვთ მითვლილი.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა დაუდგრომელმა ნერონოვმა თავის გარშემო შემოიკრიბა ცხრა ნიჟეგოროდელი დიაკვანი და მღვდელი, რომლებმაც ახალ პატრიარქს იოასაფს საეკლესიო ზნე-ჩვეულებათა უბადრუკობის, „მღვდლების დაუდევრობის, ლოთობისა და თავაწყვეტილობის შესახებ“ „მოსახსენებელი“, ანუ მოხსენება გაუგზავნეს.

აი თუნდაც ეკლესია. წირვაა. საეკლესიო კრებული ლოცულობს და გალობს... მაგრამ როგორ?! ჩქარობენ, რომ მალე მოათავონ, ყველა ერთბაშად ლოცულობს და გალობს და თითოეული თავისას გაიძახის — „ხუთი-ექვსი კაცი ერთდროულად გაჰყვირის ჰაიჰარად, ნაჩქარევად“. ისეთი ყაყანია, ერთ სიტყვას ვერ გაარჩევ, მაგრამ მრევლი კმაყოფილია: ლოცვა მოათავა და ახლა შეუძლია თავის საქმეს ეწიოს...

წირვას არც არავინ უგდებს ყურს. მრევლი ეკლესიაში მიდი-მოდის, ლაყბობს, კამათობს და „მოურიდებლადაც“ ჩხუბობს; მღვდელი რომ შენიშვნას მისცემს, მაშინვე ლანძღვა-გინებას დაუწყებენ და შეიძლება მიბეგვონ კიდეც. თუმცა არც მღვდლები უქნია ღმერთს, თვითონვე ლაყბობენ ეკლესიებში, გაუმაძღრები და ლოთები არიან.

მღვდლების მრავალრიცხოვანი შთამომავლობა წირვის დროს ეკლესიაში ერთობა. თამაშობენ, საკურთხეველზე დარბიან, ეკლესიაში ვიღაც-ვიღაცები ყელზე ხატჩამოკიდებულნი, ლანგრით ხელში დადიან და ვითომდა „ტაძრების ასაგებად“ ფულს აგროვებენ, მერე კი ამ ფულით სამიკიტნოებში ლოთობენ; ფული რომ გამოსძალონ, იატაკს თავს ურტყამენ „ბორგვნეულები“, სინამდვილეში „სრულ ჭკუაზე“ რომ არიან; გაჭკიანებულ უსინათლო გლახაკები; ხან ვის აედევნებიან, ხან ვის ბერმონაზვნის შავ ტანსაცმელში გახვეული თაღლითები, ტანზე ჯაჭვები რომ შემოუკრავთ; დახმარებას ითხოვენ ცრუ ხეიბრები, ვითომდა ჩირქოვანი წყლულებით რომ არიან დაფარული, სინამდვილეში კი საქონლის სისხლიანი ტვინი წაუქლესავთ.

ნერონოვი არ აზვიადებს. ამისი დასტურია პატრიარქ იოასაფის „გასახსენებელი“ მოსკოვის ეკლესიებში უწესრიგობის ალაგმვის შესახებ, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ნიჟეგოროდელთა მოხსენებას.

პატრიარქი მღვდლებისაგან მოითხოვდა, რომ ეკლესიაში ბოლო მოეღოთ ეელური ყაყანისათვის, რომელსაც „მრავალ-ხმოვანებას“ უწოდებდნენ და წირვა არა უმეტეს ორ-სამ ხმაში ჩაეტარებინათ. აბაკუმი თავის ეკლესიაში „ერთ ხმაში“ წირავ-და. მაგრამ, თუ მოსკოვში წირვის გაჭიანურება ხმამაღალ ბუ-ზღუნს იწვევდა, პროვინციაში, საიდანაც მეფემდე ცხრა მთა იყო გადასალახავი, მამა ღმერთამდე კი — შვიდი ცა, უფროსე-ბი მღვდლებს რაში მოებოდიშებოდნენ. ასე უნდა აიხსნას ივან როდიონოვიჩთან აბაკუმის კონფლიქტი, რაც „თითის წაკვნე-ტამდე“, დამბაჩის სროლამდე მივიდა და სოფლიდან გაძევებით დამთავრდა.

მაგრამ ნერონოვისა და მის მომხრეთა გულისწყრომას მარ-ტო ეს როდი იწვევდა. ისინი თავს ესხმოდნენ თავიანთი მრევ-ლის ნახევრად წარმართულ ყოფას, მხიარულ და დარდიმანდ რუსეთს.

აღდგომიდან ნათლისღებამდე ვოლგისპირეთში მხიარული ზეიმი არ წყდებოდა. ლუდი ზღვასავით იღვრებოდა, სახლებში უკან კუდგამობმული „გაბურძგნილი, ნადირისსახიანი“ ნიღბე-ბით სკომოროხები დადიოდნენ. ვინ აბრეშუმის ამოქარგული პირსახოცებითა და ზანზალაკებით მორთულ ლაფნის ცხენს დაატარებდა, ვინ ხარ ტურის ნიღბით (ეს წეს-ჩვეულება ღმერთ იარილის კულტიდანაა შემორჩენილი) უხამს სიმღერას გაჰკიოდა:

ჰოი, მამაცი ხარლაღი!
შემოიარა ქალაქი,
ლამაზი გოგო იპოვა
გზის მანათობელ სხივადო,
ჰოი, დიდ ლადო, დიდ ლადო...[1]

ამაღლების ზეიმზე სოფლებში ხალხი მონასტრის წინ მდე-ლოზე იკრიბებოდა. ჩამოდიოდნენ მიკიტნები, „ათასნაირი მათრობელა სასმელი“ ჩამოჰქონდათ. შეიკრიბებოდნენ გამყო-ლები გაწვრთნილი დათვებითა და ძაღლებით; ნიღბებიანი სკო-მოროხები „დაირის ცემითა და სიმების ჟღარუნით“ ხალხს „უხამს“ სანახაობაზე უხმობდნენ, ქარაგმებით ლაპარაკობდნენ და მღვდლებსაც გადაჰკრავენ ხოლმე მათრახს.

[1] ლექსები თარგმნა გივი ციცქიშვილმა.

ხალხს უყვარდა სკომოროხები, სოფლის თავკაცები მათ იცავდნენ კიდეც.

ნერონოვი ამბობდა, ადამიანის მოდგმას „ძალიან აუძლურებს სატანისეული სიამენი" და ეკლესიაზე ხელს აღებინებსო. მას არ მოსწონდა, რომ ხალხი საქანელაზე ქანაობდა, ზეიმებზე მუშტი-კრივს გამართავდა, წარმართთა ზნე-ჩვეულებას — არყის ხისადმი თაყვანისცემას არ იშლიდა, დედაკაცებს და ქალიშვილებს ათასგვარი ხორაგეული ხეებთან რომ გამოჰქონდათ და ტაშის კვრითა და სიმღერით ცეკვავდნენ, ხანდახან არყის ხის ტოტებისაგან რგოლებს დაწნავდნენ და ამ რგოლებიდან კოცნაობდნენ, ჭიაკოკონას დაანთებდნენ, ალიონამდე თამაშობდნენ და ცეცხლს ახტებოდნენ.

„ღვთისმოსაობის ქომაგთათვის" — ასე მონათლეს მოგვიანებით ნეროვი და მისი თანამოაზრენი — ერთი და იგივე იყო წარმართობა და ლოთობა, წირვის უფერულობა და ბილწსიტყვაობა („ურცხვი, უხამსობით შერყვნილი ენა სულსაც კი ბილწავს"), მღვდლების დაუდევრობა და თავისუფალი ზნე-ჩვეულებები და ის, რომ ახალგაზრდა გლეხებს არ უნდოდათ ეკლესიაში ჯვარი დაეწერათ.

XVII საუკუნის მორალისტთა ნაწერებში, რომლებსაც ხალხმა ფარისეველნი და პირმოთნენი შეარქვა, თითქმის არაფერია ნათქვამი რუსი ხალხის შრომისმოყვარეობასა და უნარზე, საკუთარი ღირსებისადმი მათ მაღალ შეგრძნებასა და დიდ მხატვრულ ნიჭიერებაზე. იმ არეულ დროში მშვიდობიან შრომას მოწყურებული რუსეთი მიწას ხნავდა, აგებდა ქვისა თუ ხის ტაძრებს; საცხოვრებელ სახლებს ნატიფი ჩუქურთმებით რთავდა, ციმბირის სივრცეებს ითვისებდა, ხატებს წერდა... რუსეთში ყოველი მესამე კაცი ოსტატი იყო — ან ფერმწერი, ან მეჩუქურთმე, ან მჭარგავი... მაგრამ მათი სახელები ქაღალდზე იშვიათად ხვდებოდა. ყველაფერი ეს ყოველდღიური და ჩვეულებრივი იყო, ქაღალდზე კი მხოლოდ განსაკუთრებული მოვლენები აღიბეჭდებოდა ხოლმე — ომები, მკვლელობები, ძარცვა-გლეჯა, მმართველთა ცვლა და მათი საქმენი, პოლიტიკური ბრძოლები... და ურიცხვი ბრალდებები. ბრალდებები კი, როგორიც უნდა იყოს — გინდ მართალი, გინდ ცილისმწამებლური, მხოლოდ და მხოლოდ უარყოფას შეიცავენ.

ნიჟეგოროდელებს ბევრი მიმდევარი ჰყავდათ — მოსკოვში

სხვა ქალაქებიდანაც ნიაღვარივით მოედინებოდა საჩივრები, რომლებითაც ხალხი თვით ეპისკოპოსებსაც კი სდებდა ბრალს არასაკმაო გულმოდგინებაში, უღირს პირად ცხოვრებაში... მოსკოვიც ამ არზებს მკაცრი ბრძანებების სიგელებით ეხმიანებოდა.

ლოპატიშჩიდან აბაკუმის მოკვეთის დროს ღვთისმოსაობის ქომაგნი უკვე მკვიდრად ისხდნენ დედაქალაქში.

აბაკუმს მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და არც შემცდარა...

იმ ხანებში მოსკოვში დიდი ცვლილებები მოხდა. გარდაიცვალა რომანოვების დინასტიის პირველი მეფე მიხეილ თეოდორეს ძე და ტახტზე ავიდა მისი თხუთმეტი წლის ვაჟი ალექსი მიხეილის ძე.

1645 წლის 28 სექტემბერს ოქროს პალატიდან მიძინების ტაძრისკენ დიდებული პროცესია დაიძრა. მას წინ მიუძღოდა ხარების ტაძრის დეკანოზი სტეფანე ბონიფატიევი, რომელსაც აქეთ-იქიდან ორი დიაკვანი ამოსდგომოდა და ხელკავით მოწიწებით მოჰყავდათ. მას თავზე ედგა ოქროს განზანაკი, რომელზეც „ჯვარი ცხოველი“ და მოსკოვის მეფეთა სადღესასწაულო ტანსაცმლის „წმინდა სამხრეულები“ ეწყო. უკან მოჰქონდათ მონომახის ქუდი, სამეფო კვერთხი და „ნიშანი ხელმწიფებისა“ — ოქროს სფერო ჯვრით... მეფის რეგალიებს მოჰყვებოდა ოქროში ჩასმული უამრავი დიდებული, რომელთაც წინ ბოიარი ვასილ შერემეტევი მიუძღოდა.

სტეფანე ბონიფატიევი ჭაბუკ მეფესთან დაბრუნდა, რომელიც დიდძალი ამალით თავადაც მიძინების ტაძრისკენ დაძრულიყო. აქ იგი პატრიარქ იოსებს მეფედ უნდა ეკურთხებინა „წინანდელ მეფეთა კურთხევის წესისამებრ“. დეკანოზი სტეფან ბონიფატიევი ისევ წინ წავიდა და გზას, სადაც მეფეს უნდა გაევლო, აიაზმას ასხურებდა.

კურთხევის შემდეგ, რომელსაც თან ახლდა ქვეშევრდომთა მისასალმებელი ყიჟინა და ოქროს ფულების ცვენა, მძიმე სამოსელში გამოწყობილი ალექსი მიხეილის ძე სამეფო კვერთხითა და სფეროთი ხელში კრემლის ტაძრების დათვალიერებას შეუდგა. მთავარანგელოზის ტაძარში მეფემ თაყვანი სცა შამის კუბოს, ყველა დიდი რუსი მთავრისა და მეფის საფლავებს, ხარების ტაძარში დეკანოზ სტეფან ბონიფატიევის ქადაგება მოისმინა.

აქამდე უცნობი და უსახელო ბონიფატიევი უკვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან იგი მეფის მოძღვარი გახდა.

ისტორიკოსი კლუჩევსკი წერდა, ალექსი მიხეილის ძე ერთი ფეხით მაგრად იდგა მშობლიურ მართლმადიდებლურ წარსულში, მეორეთი კი ზღვარს გადააბიჯაო. მის უფროს აღმზრდელს ბორის მოროზოვს მეფის ყოველდღიურ ცხოვრებაში თამამად შეჰქონდა დასავლური სიახლენი. სულიერი მოძღვარნი მეფეს მკაცრ ღვთისმოსაობაში ზრდიდნენ და მას თამამად შეეძლო ვისთვისაც გნებავთ საეკლესიო წირვის წვრილმანებზე ეკამათა.

სტეფან ბონიფატიევმა მეფეს სამოძღვრებო წიგნების კითხვა შეაყვარა, ყველა საეკლესიო საქმეზე მოახსენებდა ხოლმე, აცნობდა ადამიანებს, რომლებიც საეკლესიო წესრიგის განმტკიცებას და ხალხში ღვთისმოსაობის გავრცელებას ცდილობდნენ. ასე თანდათან ჩამოყალიბდა ღვთისმოსაობის ქომაგთა წრე, რომელშიც შედიოდნენ თვითონ მეფე და მისი სულიერი მამა სტეფანე, ნიჟეგოროდელი მღვდელი ივანე ნერონოვი და, მეფის ახალგაზრდა, მაგრამ გავლენიანი მესაწოლე თევდორე რტიშჩევი, და ბოლოს — ნიკონი.

ნიკონი ულამაზო კაცი იყო, მაგრამ წარმოსადეგობითა და შეჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა. იგი მეფესა და მის მოძღვარს ხიბლავდა მგზნებარე სიტყვებითა და თავის უჩვეულო ბედ-იღბალზე საუბრით. მას შემდეგ, რაც ვაჭრების მიწვევით მოსკოვში გადავიდა, ნიკიტა მინინს უეცრად შვილები დაეხოცა, მან თანამეცხედრე დაიყოლია მონასტერში მონაზვნად აღკვეცილიყო, თვითონ კი თეთრ ზღვაზე, ანზერის სავანეში განმარტოვდა და ნიკონის სახელით ბერად შედგა. მბრძანებლური ბუნების განდეგილი ბერ-მონაზვნებს ვერ შეეთვისა და სავანე მიატოვა. ბოლოს უბადრუკ კოჟეოზერის მონასტერში ამოყო თავი და იქ ძალიან მალე მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს. ნიკონმა დიდი მშენებლობა წამოიწყო და ამასთან დაკავშირებით ხშირად ჩადიოდა მოსკოვში. ჭაბუკმა მეფემ ნიკონის გაცნობის შემდეგ მასთან განშორება აღარ მოისურვა და იგი მოსკოვის მაცხოვრის ახალი მონასტრის არქიმანდრიტად დაადგინა. გარდა ამისა მეფემ მას დაავალა სასამართლოში ქვრივებისა და ობლების საჩივრები გაერჩია. ახლა ნიკონი მეფეს ყოველ კვირას ხვდებოდა, ნიკონს ყოველ კვირას უწევდა ობლე-

ბისა და ღარიბ-ღატაკთა დამცველის როლში გამოსვლა და სწორედ აქედან დაიწყო მისი თავბრუდამხვევი ასვლა ძალაუფლების მწვერვალისაკენ.

1647 წელს სახელმწიფოს ყველაზე ლამაზი ქალიშვილების დათვალიერება მოეწყო. მეფემ ცოლის შერთვა გადაწყვიტა. ორასი ქალიშვილიდან ექვსი მზეთუნახავი შეარჩიეს. ამ ექვსიდან მეფეს ერთი — ევფიმია მოეწონა, რაფ ესევოლოდსკის ასული. როცა მეფის რჩეულს ეს ამბავი აუწყეს, ქალს გული შეუღონდა. „მეფის საცოლე" მყისვე დაასმინეს და მშობლებთან ერთად ციმბირში გადაკარგეს. ხმები დაირხა და არცთუ უსაფუძვლოდ — ამ საქმეში ბოიარ მოროზოვის ხელი ურევიაო. მოროზოვმა მალე მეფეს მარია მილოსლავსკაია გაურიგა, ხოლო ქორწილიდან ათი დღის შემდეგ მილოსლავსკაიას და თვითონ შეირთო ცოლად.

ღვთისმოსაობის მქადაგებელთ დიდი გავლენა ჰქონდათ მეფეზე. იგი საეკლესიო საქმეებში იშვიათად იღებს რაიმე გადაწყვეტილებას, თუ მათ არ მოეთათბირა. ალექსი მიხეილის ძის ქორწილიც კი, მისი სულიერი მამის სტეფანე ბონიფატიევის დაჟინებული მოთხოვნით, ზარ-ზეიმის, ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებისა და სიმღერების გარეშე ჩატარდა. ჯვრისწერის შემდეგ ახალდაქორწინებულნი მონასტერში გაემგზავრნენ სალოცავად.

8

სწორედ იმ წელს გამოჩნდა მოსკოვში სოფლის მღვდელი აბაკუმი თავისი ჯალაბით. იგი პირველად იყო დედაქალაქში. სოფლის ბინადარი ალბათ აღტაცებული შესცქეროდა დიდებულ ეკლესიებსა და დიდ სახლებს. თვალს აყოლებდა ბოიართა მდიდრულ ეტლებს, აოცებდა მოსკოვის ბაზრების ხალხმრავლობა და ხმაური... მაგრამ მას სავაჭროდ არავინ ეპატიჟებოდა, კალთას არავინ აგლეჯდა, რას გამორჩებოდნენ გაღლეტილ მღვდელს, რომელსაც სულს იქით არაფერი ებადა დაბებკილი გრძელკალთა ხიფთანისა და გაქონილი არახჩინის ქვეშ კალოსავით მოპრიალებული კეფის გარდა?

აბაკუმმა გაიკითხა, ხომ ვერ მიმასწავლით, სად ვიპოვი ნიჟეგოროდელ მღვდელს ივან ნერონოვსო. როგორ არაო, სუცე-

სი ყაზანის ეკლესიასთან ხალხს „მარგარიტას“ წიგნს უკითხავ-
სო. მეფე დიდ პატივს სცემს, ცხოვრებით კი მესაწოლე თეო-
დორე რტიშჩევის სახლში ცხოვრობს, აქვე ბოროვიცკებს იქით,
ზნამენკისა და მოხოვოის შესაყართანო.

რტიშჩევების ეზოს მაღალი, რკინით შეკედილი და მოჩუ-
ქურთმებული ალაყაფის კარი ჰქონდა, რომლის ზედა ფიცარზე
პატიოსანი ჯვარი მიემაგრებინათ. მაღალი გალავნიდან სახლი
არ ჩანდა. ეზოში გაავებული ძაღლები ბოხი ხმით ყეფდნენ;
ყარაულმა ფანჯარაში თავი გამოყო და იკითხა, ვინა ხარ და
საიდან მოსულხარო.

მესაწოლეს დიდი ეზო ჰქონდა. ქოხები, საერთო სათავსები,
საბძლები და აბანოები — ყველაფერი ეს ეზოს გასწვრივ იყო
განლაგებული, სიღრმეში კი მუცლიან ბოძებზე მდგარი, ქვის
ორსართულიანი, მაღალწინგარდიანი სახლი ჩანდა. აბაკუმი ზე-
მოთ ჯვრის პალატში აიყვანეს, მან ძვირფასი, ფერადი ქვებით
მოჭედილი ხატების წინ, რომლებსაც ოქროთი მოვარაყებული
პერანგები ამშვენებდა, პირჯვარი გადაიწერა. აქამდე არასოდეს
ენახა ასეთი შემკულ-მოკაზმული სახლი. ირგვლივ მიმოიხედა.
მთელი დარბაზი, კედლები, თაღები მოხატულია — ხასხასა მო-
ლი, ჩიტები, საკვირველი უცხო ცხოველები. ფანჯრებზე ქარ-
სიც კი შეეღებათ და ოქროფერილ სკამებს ისეთი წვრილი,
გრეხილი ფეხები ჰქონდა, გეგონებოდა, რომ დაჯდე, გადატყ-
დებაო.

მღვდელმა სარკესაც მოჰკრა თვალი. მიუახლოვდა და თა-
ვის გამოსახულებას კმაყოფილებით დაუწყო თვალიერება. ქე-
რა თმა არახჩინიდან ჩამოშლოდა. მაგრამ სახე სუფთა ჰქონდა.
გადაბმულ წარბებს ქვეშიდან ღრმად ჩამსხდარი ნაცრისფერი
თვალები კადნიერად იცქირებიან. ცხვირი ზომიერი აქვს —
არც დიდი, არც პატარა, ენერგიულ ნიკაპს წვერი წინ წამოე-
წია; აბაკუმი მხრებში გასწორდა, ხიფთანი მკერდზე დაეჭიმა —
ღმერთს მისთვის არც ღონე დაუშურებია, არც სიმაღლე.

უცებ სარკეში რაღაც მოძრაობა შენიშნა, მოტრიალდა. მის
წინ ორნი იდგნენ და ღიმილით შესცქეროდნენ. ერთი, მკერდ-
ზე სპილენძის ჯვარი რომ ეკიდა, აბაკუმმა მაშინვე იცნო. ივანე
ნერონოვი იყო. დაბერებულიყო. წვერი სულ გასთეთრებოდა;
არც იყო გასაკვირი — დიდი ხანია სამოცს გადააბიჯა. მეორე,
თეთრი ხიფთანი და ტარსიკონის წითელი წაღები რომ ეცვა,

სულ ჭაბუკი იყო, ასე, ოცის იქნებოდა, ჯერ წვერ-ულვაშიც ვერ დაეყენებინა რიგიანად.

ჭაბუკმა სახიდან ღიმილი მოისხიპა და აბაკუმს მორჩილად მიუახლოვდა.

— დამლოცე, მამაო.

თავისი ერთგული მსახური თევდორე რტიშჩევი მარტო მეფეს როდი უყვარდა. თავმდაბალი და ბრძენი ჭაბუკი წინ არავის გადაასწრებდა, თვალში არავის ეჩხირებოდა, მტრად წაკიდებულთა შერიგებას ცდილობდა, მწარე სიმართლეს გულღვარძლიანად არ იტყოდა, თავმდაბალი და ბრძენი წყენას ყველას მიუტევებდა, მათთან სტუმრადაც კი დადიოდა.

— ეს ჩვენი აბაკუმია, პეტრეს ვაჟი ნიჟეგოროდის სანახებიდან, — მრავლისმეტყველად წარმოთქვა ნერონოვმა და რტიშჩევმაც ალერსით შეათვალიერა სტუმარი.

— აჰა, ჩამოვაღწიე, — დაიწყო თხრობა აბაკუმმა, — ბოიარის შვილმა ივანე როდიონოვმა ერთხმიანი გალობისათვის კარ-მიდამო ჩამომართვა, ყველაფერი წამართვა, მერე გამომაპანღურა. სხვებიც ჩიოდნენ — ერთხმიანი გალობა დიდხანს გრძელდება, ჩვენ კი შინ მიგვეჩქარებაო.

რტიშჩევმა და ნერონოვმა ერთმანეთს გადახედეს. რტიშჩევმა მეფე ალექსი მიხეილის ძესა და პატრიარქ იოსებს ამაზე ლაპარაკით უკვე თავი მოაბეზრა. მაგრამ პატრიარქმა, იმის შიშით, ხანგრძლივი წირვის გამო ეკლესიები არ დაცარიელდესო, ნება დართო „ორ და თუ გაჭირდებოდა, სამ ხმაშიც" ეგალობათ.

— იყუჩე, მოვა დრო და იმ შენს ივან როდიონოვსაც მოვთოკავთ...

0

ნერონოვმა ახალგაზრდა ნიჟეგოროდელი მეფის მოძღვართან სტეფან ბონიფატიევთან წაიყვანა. თავაზიანად შეხვდა თანამემამულეს სტეფანე, წმინდა ფილიპე მიტროპოლიტის ხატით დალოცა და ეფრემ ასურის სწავლათა და შეგონებათა წიგნი აჩუქა, რომელიც ის-ის იყო მიეღო მოსკოვის სტამბიდან. აბაკუმმა წიგნი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა და რამდენიმე დღეს გონებაარეული დადიოდა. ასურის სწავლათ გუნება გა-

უფუმეს — ქვეყნის აღსასრულითა და ანტიქრისტეს მოსვლით თავზარი დასცეს.

გავიდა ცოტა ხანი. აბაკუმი კარგად გამოაწყვეს და „ზევით", ხელმწიფესთან წაიყვანეს. ალექსი მიხეილის ძეს, რომელსაც მაშინ მხოლოდ თვრამეტი წელი შეუსრულდა, ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეთვისებული მამაკაცური სიმტკიცე და უფრო მეტად ყურს უგდებდა თავისი სულიერი მამის მოდუდუნე კეთილხმოვან ლაპარაკს, თვალტანადი ნიკონის დრამატიზმით სავსე ნაამბობს, ნერონოვის შძაფრ მხილებებს, მოროზოვის საქმიან შენიშვნებს. სიტყვა აბაკუმმაც თქვა. შეიძლება იგი ეფრემ ასურის წიგნზე ლაპარაკობდა, ასე რომ განაცვიფრა; ზეპირად კითხულობდა და აღმოაჩინა, რომ მომადლებული ჰქონდა იშვიათი ნიჭი — ღვთისმეტყველურ მსჯელობებში მოხდენილად ჩაექსოვა მაგალითები ნანახიდან. ეს ისე ხატოვნად გამოსდიოდა, რომ ათასი წლის წინანდელი საეკლესიო პრობლემები მაშინვე რუსულ ელფერს იღებდა, ხოლო რეალური მოვლენები აპოკალიფსურ ელერადობას იძენდა. ასეა თუ ისე, მისი ძარღვიანი და მგზნებარე სიტყვა შეუმჩნეველი არ დარჩენილა და „ხელმწიფემაც შენიშნა იგი".

აბაკუმი „მოსკოვს ჩამოეხეტა" იმ იმედით, რომ დაწინაურებულიყო და თავის მტრებთან ანგარიშის გასასწორებლად მხარდაჭერა ეპოვნა. მხოლოდ ეს უკანასკნელი სურვილი აუსრულდა. „მამებმა" სტეფანემ და ივანემ იგი „ჯერჯერობით" ძველ ადგილზე, ლოპატიშჩში გაგზავნეს, მაგრამ ისეთი სიგელი გაატანეს, რომ ადგილობრივ ხელისუფალთ შიშის ზარი უნდა დასცემოდათ.

ღვთისმოსაობის მქადაგებელნი ჯერ კიდევ ვერ იყენენ ყოვლისშემძლენი. მაგრამ დიდი ცვლილებების მოახლოება უკვე იგრძნობოდა. წელიწადიც არ გავა, რომ ნერონოვი ბონიფატიევისა და რტიშჩევის ხელშეწყობით საბოლოოდ მოსკოვში დამკვიდრდება და წითელ მოედანზე მდებარე ყაზანის ეკლესიის დეკანოზი გახდება. ნიკონი კი ნოვგოროდის მიტროპოლიტად დაჯდება, მთელ რუსეთში ყველაზე დიდ ეპარქიას მიიღებს და თვით მოროზოვებზე, იუსუპოვებზე და სტროგანოვებზე მდიდარი კაცი გახდება. სამი წლის შემდეგ პატრიარქი იოსები მეფესთან იჩივლებს, საეკლესიო საქმეებს მე კი არა, ბონიფატიევი და მისი თანამოაზრენი განაგებენო.

მანამდე კი აბაკუმმა თავის მშობლიურ კერას „ჩამოაღწია". ახალი მეურნეობის მოწყობას თითქმის წელიწადი მოანდომა. სოფლის მღვდელს წირვიდან და საეკლესიო კარ-მიდამოდან 30 მანეთი შემოსავალი ჰქონდა. ეს იმ დროისათვის კარგი ფული იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეურნეობის მოწყობას, მრავალრიცხოვან ოჯახს და ამ შემოსავლის მეათედს, რომელიც ეპისკოპოსს ეკუთვნოდა. გადასახადებს კრეფდნენ სამღვდელოების მაღალი წრიდან გამოსული ჩინოვნიკები და ბოიარის შვილები, უტიფარნი, თავხედები, გამომძალველნი. ისინი მღვდლებს არ ებოდიშებოდნენ. ასეთი კი ყოველთვის გამოგიჩხრეკს რაღაცას და ერთისამად გაზღვევინებს.

აბაკუმი იძულებული გახდა გამოსთხოვებოდა „ეფრემ ასურის სწავლათა" წიგნს, მამა სტეფანემ რომ აჩუქა. მან წიგნი ცხენში გაცვლა, რომლის მოვლა თხუთმეტი წლის ძმას ეფთვიმს მიანდო. ამ გარიგებას აბაკუმი შემდეგ დიდხანს ნანობდა, განა იმიტომ, რომ იაფად მისცა, — ცხენი მანეთ-ნახევარი ღირდა, — არამედ იმიტომ, რომ „სწავლანის" ფასი მოსკოვში ბოსტნეულის ბაზარზე სამ მანეთამდე ავიდა. ეს ღვთისსათნო საქმე არ გახლდათ, წიგნი თვითონვე სჭირდებოდა — კარგი წიგნი იყო. რამდენჯერ დააპირა ფული უკან დაებრუნებინა თავისი ბიძაშვილისათვის — სოფლის მღვდლისთვის, რომელსაც ჰქონდა ახლა ის წიგნი, მაგრამ ხელმოკლედ იყო და ვერ შეძლო...

აბაკუმმა მოსკოვში „მამებს" ფიცი მისცა, ქრისტეს ქომაგი ვიქნები და მცდელობას არ დავიშურებო. მაგრამ მისმა მცდელობამ კვლავ „ქარიშხალი გამოიწვია".

ზაფხულში სოფელ ლოპატიშჩში ხალხის გასართობად სკომოროხები ჩამოვიდნენ მოცეკვავე დათვებით, დაირებით, დომრებით. ღობესთან გაჩერდნენ, ნიღბები ჩამოიცვეს, თამაშობდნენ, ენას იფხანდნენ. დათვები წინა თათებს ზევით სწვევდნენ და ადგილზე ბუქნაობდნენ. ხალხი იცინოდა, სკომოროხებს ჩაჩებში ნახევარგროშიანებს უყრიდა. უცებ, სად იყო და სად არა, ლოპატიშჩელი მღვდელი, ახმახი ივანე სკომოროხებს ჯოხით დაერია, დაირები და დომრები წაართვა და დაუმტვრია. დათვებმა ღრიალი მორთეს. ახლა მღვდელი მათ ეცა — ერთს

ისე ჩასცხო თავში ჯოხი, რომ მიწაზე დააგდო და საწყალი ნადირი ძლივს მოსულიერდა; მეორე კი პატრონს წაართვა და მინდორში გაუშვა.

სკომოროხები რაბოტკისკენ გაცვივდნენ, სადაც იმხანად დიდი ბოიარის ვასილ შერემეტევის გემები იდგა. იგი თავის ყაჟიშვილთან, თავის ხალხთან და სტრელეცებთან ერთად ვოლგით ყაზანში მიდიოდა, სადაც მეფის ვოევოდად იყო დანიშნული. სკომოროხებმა მოწიწებით მოახსენეს, ასე და ასე გვაწყენინა მღვდელმა აბაკუმმაო.

ვოევოდა მოიღუშა და ბრძანა, მღვდელი აქ მომგვარეთო. დახე შენ, ჯერ ასეთი ჯეილია და უკვე მლიქვნელობს, მოსკოველ ღვთისმოსავებს დამსგავსებია. თვალსა და ხელშუა ატყუებენ მეფეს. ხარების დეკანოზი ყველგან ამბობს, ღმერთი საბაოთი ვნახეო. ეშმაკი ნახა და არა ღმერთი. ფედკა რტიშჩევთან ერთად მოსკოვის ეკლესიებში ერთხმიანი გალობა შემოიღეს, ერთ ადგილზე დგომით ფეხები გიბუქდება კაცს... დეკანოზი ივაშკა ნერონოვი, ახლა ყაზანის ტაძარში დორბლებს რომ ყრის და ხალხს მოსვენებას უკარგავს, თევდორე შერემეტევს, როცა ნიჟნის ვოევოდა იყო, ტყუილად როდი ჰყავდა ციხეში გამოკეტილი და ნაბრძანებიც ჰქონდა, კეტით უწყალოდ ეცემათ. ჰო, ცემამაც ვერ დააკავა...

ბოიარის მრისხანებას საზღვარი არ უჩანდა.

ამას ისიც დაემატა, რომ რაბოტკაში ივან როდიონოვიჩი უთუოდ შეხვდა დიდ ბოიარს და აბაკუმზე წაუსისინა — ცეცხლზე ნავთი დასხა.

დიდხანს ლანძღა შერემეტევმა მღვდელი, რომელიც სტრელეცებმა გემზე მოჰგვარეს. მერე მზერა თავის ვაჟ მატვეიზე, მეფის თანატოლსა და საყვარელ სტუმართმოუარავზე გადაიტანა. მატვეი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ბუმბერაზ მღვდელს, რომელზეც უფროსი ძმის პეტრესაგან ბევრი სმენოდა. პეტრემ სამიოდე წლის წინ ცოლად შეირთო სოფელ გრიგოროვოს მფლობელის სტუმართმოუარავის თევდორე ვოლინსკის ასული.

ბოიარმა თავისი მოხდენილი შვილის გაპარსულ ლოყებს რომ შეხედა, ეშმაკურად მოჰუტა თვალი. გაახსენდა, თვითონ როგორ იფხეკდა ლოყებს, როცა მასზე ახალგაზრდა იყო, ჯერ ყიდევ პატრიარქ ფილარეტის დროს ღვთისმოსავი ივაშკა ნე-

რონოვი მეფესთან სადილობისას როგორ უყვიროდა და ლანძღავდა მას და სხვა ბოიარებს — პარსვა გადამთიელთა წესია, ბარბაროსული ჩვეულებაა. უწვეროდ კახპა გოგოებს ჰგავხართ, ჭილოფის საფენების ბერტყვით პატიოსან ქრისტიანებს თავისთან რომ ეპატიჟებიან... მამათმავლობაზე ქარაგმულად ნათქვამი იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ ივაშკას ჯერ კიდევ დერეფანში ეცნენ, წააქციეს, წვერებში ხელი ჩააცლეს და გარეთ ისროლეს — საკადრისი მიუზღეს. ახალი ხელმწიფე, ისევ ნერონოვის წაქეზებით, წვერის მოპარსვას მწვალებლობად მიიჩნევს.

— აბა, ერთი, ხუცესო, უმცროსი ძე დამილოცე, — უბრძანებია ჭკვიან და მხიარულ ბოიარს. ეს სცენა თავის ცნობილ ჩანაწერებში გოლშტინის საელჩოს მდივანს ადამ ოლეარსაც კი აქვს აღწერილი.

— არ დაგლოცავ, — ყრუდ, მაგრამ მტკიცედ უთქვამს აბაკუმს. — ღმერთმა ყველანი შეგვქმნა ხატად თვისად. ეს კი მრუშის სახეა. — მას თითი მატვეისაკენ გაუშვერია. — რომელი მტრისა და ერეტიკოსის რჩევით მოიპარსა წვერი?!

ბოიარი კმაყოფილი დარჩენილა.

— წყალში გადაუძახეთ, ბიჭებო! წყალში! — უყვირია მას. — ძაღლის ლეკვივით დაახრჩვეთ!

აბაკუმი წამსვე წყალში აღმოჩნდა. იგი, როგორც ყველა ვოლგელი, კარგად ცურავდა, მაგრამ ბოიარის ბიჭებმა გაცურვის საშუალება არ მისცეს — ქეჩოში ხელი ჩაავლეს და იქამდე აყურყუმელავეს, სანამ სულ არ გალურჯდა და ბუშტები არ ამოუშვა. მხოლოდ ამის შემდეგ მოეშვნენ.

11

ღვთისმოსაობის მქადაგებელნი ზეიმობდნენ. მათი მცდელობით, როგორც იქნა, მეფემ ბრძანებაზე ხელი მოაწერა, სკომოროხების თამაშებს რომ კრძალავდა, ნაბრძანები იყო, მუსიკალური ინსტრუმენტებიც ჩამოერთმიათ ხალხისთვის და დაეწვათ. წვავდნენ და წვავდნენ გაუთავებლად, მაგრამ რუსეთში მხიარულება მაინც ვერ მოსპეს.

მოსკოვიდან მხარდაჭერა რომ იგრძნო, ლოპატიშჩელი მღვდელი უფრო გამკაცრდა. შეეძლო ეცემა კაცი, შეეძლო

ჯაჭვით დაება. ოჰ, როგორ ეზიზღებოდათ იგი ერისკაცებს, ასეთი ცხოვრებისაგან რომ გაბეზრებულიყვნენ.

მართალია, ქომაგებმა ერთხმიანი გალობის შემოღებას ვერ მიაღწიეს, თუმცაღა მეფის მოძღვარმა ბონიფატიევმა კრებაზე მეფისა და პატრიარქის თანდასწრებით უწმაწური სიტყვებით გათათხა ეპისკოპოსები.

— მგლებო და დამაქცევარნო! — გაჰყვიროდა იგი.

მაგრამ ეპისკოპოსები სულ არ აპირებდნენ მრევლი ერთხმიანობით ეკლესიებიდან დაეფრთხოთ და შემოსავალი დაეკარგათ. მათ მოითხოვეს ბონიფატიევი შეურაცხყოფისთვის სამართალში მიეცათ, ოღონდ მეფემ ნება არ დართო...

რომ იტყვიან, ძალა ალმართს ხნავსო, სწორედ ასე აღწევდნენ ქომაგები თავისას. ეკლესიების სათავეში თანდათან დგებიან აბაკუმის ნიკეგოროდელი ნაცნობები. ნიკონი — ნოვგოროდის მიტროპოლიტი. მაკარის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი კორნელი — ყაზანის მიტროპოლიტი. ზოგი არქიეპისკოპოსი გახდა, ზოგი ეპისკოპოსი... 1651 წელს კრებაზე კი ერთხმიანობაც დაადგინეს... ექვს საათს გრძელდებოდა საეკლესიო წირვა მოსკოვში. ფეხები სტკიოდათ, ზურგი სტეხდათ, მაგრამ რას იზამდნენ — მეფე და დედოფალიც ხომ იდგნენ...

ოდესღაც ბიზანტიის ტაძართა სილამაზემ და ხმაშეწყობილმა საეკლესიო წირვამ მოხიბლა მთავარ ვლადიმირის ელჩები. ღვთისმოსაობის ქომაგებმა მეფის მეთაურობით უფრო მეტ ხმაშეწყობილობას და სინატიფეს მიაღწიეს, გალობის დროს სიტყვებს დამარცვლით, მკაფიოდ გამოთქვამდნენ. რაც შეეხება ეკლესიების გამშვენიერება-გალამაზებას, ქვეყანაში, სადაც გლეხური ქოხებიც კი ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენდა, ამაზე, ალბათ, ლაპარაკიც არ არის საჭირო.

როგორც ჩანს, ქომაგნი ყველგან აღწევდნენ წარმატებას — ისეთ საქმეშიც კი, როგორიც იყო რუსეთში ლოთობის შემცირება. 1647 წლის ბრძანებულებამ შეზღუდა ღვინის გაყიდვა და დღესასწაულებზე სამიკიტნოების დახურვაც დააწესა. ნიკონი სახელმწიფოს მონოპოლიისათვის იღვწოდა და თავისთან, ნოვგოროდის ეპარქიაში მარხვასა და ყველიერზე არყის გაყიდვა აკრძალა. კოსტრომაში ნერონოვის მეგობარმა, დეკანოზმა დანიელმა შეძლო და საერთოდ დაკეტა სამიკიტნოები. დეკანოზი ლოგინი მურომში, იარმილი — იაროსლავლში, მღვდე-

ლი ლაზარე—რომანოვ-ბორისოგლებსკში—ყველა ესენი გულ-მოდგინედ ახორციელებდენ მოსკოველთა მითითებებს, მრევლს წიგნს უკითხავდნენ, მომხრეებს აგროვებდნენ, მაგრამ უკმაყოფილონი უფრო ბევრნი იყვნენ. ქალაქელები თავიანთ ხიზლს არ ფარავდნენ, ხოლო ვოევოდები ისე იქცეოდნენ, თითქოს ვერ გრძნობდნენ ამბოხების მოახლოებას.

12

აბაკუმის ჭირვეული ხასიათი თავკაცებს აღიზიანებდა. ვინმე ეფთვიმე სტეპანოვიჩი თავისი ხალხით ერთხელ მის ეზოს მიადგა და „მშვილდ-ისრის სროლა და თოფების ბათქაბუთქი აუტეხა“.

მეორე დღეს ეფთვიმე შეუძლოდ შეიქნა. მისგან გამოგზავნილი კაცი აბაკუმთან მიიჭრა:

— მამაო ხელმწიფევ! ეფთვიმე სტეპანოვიჩი სიკვდილის პირზეა. ხელებს თავპირში იცემს, ოხრავს და იძახის: „მამა აბაკუმი მომიყვანეთ, მისი გულისათვის ღმერთმა დამსაჯაო“.

აბაკუმს შიშისაგან სული კოჭებში გაეპარა: მატყუებენო, იფიქრა, გარეთ უნდა გამიტყუონ და მოსკოვის მიტროპოლიტ ფილიპესავით მომაშთონ ან ყელი გამომჭრან, როგორც მეფე ივანემ იოანე ნათლისმცემლის მამას — წინასწარმეტყველ ზაქარიას გამოსჭრაო.

მაგრამ მაინც გაჰყვა მოსულს. ეზოში თავკაცის ცოლი, ნეონილა შეეგება.

— მობრძანდით, მამავ და მეუფეო, ჩვენო სინათლევ და მარჩენალო.

„საოცარია, — ფიქრობდა აბაკუმი, — გუშინ ბოზის ნაშობი ვიყავი. ახლა მამაო გავხდი!“..

ნეონილამ იგი ოთახში შეიყვანა. ეფთვიმე სტეპანოვიჩი ლეიბიდან ჩამოფოფხდა და აბაკუმის ფეხებთან ზღართანი მოადინა. აქ აბაკუმმა თავი შეიკავა და ავადმყოფს ზვიადად ჰკითხა:

— გინდა ცოცხალი დარჩე?

— მინდა, წმინდა მამაო!

ეფთვიმე სტეპანოვიჩმა იატაკიდან ადგომაც კი ვერ შეძლო. აბაკუმმა იგი ბავშვივით ხელში აიტაცა, ლოგინში ჩააწვინა,

ალსარება ათქმევინა და ზეთი წაცხო. მანამდე მან რამდენიმე ადამიანს უმკურნალა ასე და ზოგიერთი გამოაჯანმრთელა კიდეც. თავკაცი მალე გამოკეთდა და აბაკუმი უფრო დარწმუნდა კანდელის ზეთით მირონცხების მკურნავ ძალაში, როგორც შუა საუკუნეებში ფრანგ მეფეებს ხელის დადებით განკურნებისა სჯეროდათ.

მაგრამ უკმაყოფილოთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა და მათ სამუდამოდ გააძევეს კიდეც აბაკუმი ლოპატიშჩიდან... როცა „მეორედ წაეხეტა მოსკოვისკენ", აბაკუმი უკვე ოცდაათს იყო გადაცილებული.

13

ამჯერად აბაკუმმა დედაქალაქში მარტო მორალური მხარდაჭერა როდი ჰპოვა. ღვთისმოსაობის ქომაგებმა თავიანთი ბეჯითი თანამოაზრე სასახლის წრეს დაუახლოვეს. მეფისაგან ნაოვერებმა სასახლის ქალთა წრეში შეაღწია, სადაც თავისი გულიათური აღნაგობით აღტაცებაში მოჰყავდა დედოფალი მარიამი და ბოიართა ცოლები. აკრთობდა მათ ცეცხლოვანი გამოწედვითა და თავის მარტვილობაზე თხრობით. აბაკუმის ავტორიტეტი თანდათან იზრდებოდა. იგი ამით სარგებლობდა და უმცროსი ძმები ზოგი მღვდლად მოაწყო სასახლის კარის ეკლესიაში, ზოგიც — მეფსალმუნედ. ახლა თვით ბოიარებიც შიშით უყურებდნენ — მეფესთან დადის და შეიძლება რაიმე ცუდი ჩააწვეთოს ჩვენზეო. შერემეტევები, ყოველდღე სამეფო პალატების „წინკარში" მდგარნი ხელმწიფის გამოსვლას რომ ელოდნენ, აბაკუმთან შერიგებას და მის „პატიებას" ეშურებოდნენ. ვასილ პეტროვიჩის ცოლი შემდგომში აბაკუმის ძმის, ხარების ტაძრის მღვდლის გერასიმეს სულიერი შვილიც კი გახდა.

მალე ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით აბაკუმი იურევეცპოვოლსკში დეკანოზად დანიშნეს. დეკანოზობა უმაღლესი წოდება გახლდათ, რომლისთვისაც „თეთრ ხუცესს" შეეძლო მიეღწია. აბაკუმი ძალიან ამაყობდა — მეფის სულიერი მამა სტეფანეც ხომ დეკანოზი იყო. იურევეცში იგი მთელი სახლეულით — ოცდაშვიდი კაცით გაეშგზავრა და შინაკაცები ახლა აბაკუმის წირვის შემოსავლით ირჩენდნენ თავს.

ერმაკის სამშობლო იურეეეცი ჯერ კიდეე XIII საუკუნეში ააგო მთავარმა იური ვსევოლოდოვიჩმა უნჟისა და ვოლგის შესართავთან. დღეს ქალაქის უმეტესი ნაწილი გორკის ზღვის დონის დაბლა მოექცა, რომლის ტალღებიც სახლებზე მაღლა აღმართულ ვეება ჯებირს ეხეთქებიან. გეორგიევსკის მთაზე მდგარი ძველი ციხესიმაგრის ჯებირები და სანგრები გვაოცებენ თავისი მოცულობით, მაგრამ აბაკუმის დროსაც ისინი მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული ღირსშესანიშნაობა გახლდათ. ახალი, ხის ციხესიმაგრე ნათლისმცემლის მთაზე იდგა. ციხესიმაგრეებს შუა, პიატნიცკის მაღლობზე, ორმოცდახუთ კარმიდამოში სტრელეცების დაბა იყო განლაგებული, ქვეეით კი, წინაქალაქში — ვოეეოდები, საერო მამასახლისები, დიაკვნები, მოსამართლეები, ციხის უფროსი და ჯალათი ნიკიტა სიდოროვი ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი იურეეეცელი დეკანოზი ჩიოდა, „ციხის ადგილი... ახლოა ეკლესიასთან, ციხიდან მყრალი სუნი და ყველანაირი სიბინძურე მოდისო", და მოითხოვდა საპყრობილე სხვაგან გადაეტანათ.

იურეეეცში დეკანოზს ექვემდებარებოდა კიდეც ცამეტი ეკლესია. აგრეთვე ორი დედათა და ოთხი მამათა მონასტერი, რომლებშიც ასობით მონაზონი და ბერი იყო, 57 დუქანი, 16 სამჭედლო, 13 ბაზრის ყაფაზი... იურეეეცელები მეფესა და პატრიარქს „წესისამებრ", ყოველწლიურად უგზავნიდნენ 21 ზუთხს, 50 თევზთეთრას, 70 დიდ ცქერინას, რომლებიც ოქითა და მოსკოვით ცოცხლად, საგანგებო ნავებით იგზავნებოდა. ქალაქები ვაჭრობდნენ პურით, ხორცით, ლაინით, რკინით, საწვრილმანო საქონელით... და ამ დიდ ქალაქში ყველა — მღვდლებიც და მათი მრევლიც — სხვადასხვა გამოსაღებით იყვნენ დაბეგრილები, გამოსაღების პატრიარქის ხაზინაში წესიერ შეტანაზე დეკანოზიც აგებდა პასუხს, ვინაიდან ქალაქი საპატრიარქოში შედიოდა.

აბაკუმი ხუთგუმბათიან ტაძარში დამკვიდრდა, რომელსაც ექვსზარიანი „ბოძებზე" მდგარი სამრეკლო და „ზარებიანი საათი" ჰქონდა. ახალი დეკანოზი მაშინვე მიხვდა, რომ მდიდარ იურეეეცს აკლდა მთავარი — ღვთისმოსაობა.

სკომოროხები და დათვები აქ უდარდელად ცხოვრობენ. ნათლისღების ტაძრის ახლოს, სიმონ ნეტარის საფლავთან. რომელმაც გადმოცემით, ვოლგაზე ფეხით გაიარა, ცრუ წინასწარ-

მეტყველნი გაჰკივიან; სამიკიტნოებში ბოიარის შვილები პერანგსაც აგებენ და მერე ერთმანეთს აგურით თავებს უხეთქავენ; ბევრი ჯვარდაუწერლად ცხოვრობს, ეკლესიაში არ დადიან. ანდა რა წესრიგი შეიძლება იყოს, როცა თვითონ მღვდლებიც კი ჩუმ-ჩუმად კუთხე-კუთხე დაძვრებიან და „ჟინს იკლავენ“, კაცები ცოლებთან ერთად ერთ აბანოში იბანენ, და იქვე შიდიან ბერებიც და მონაზვნებიც...

სასტიკი გამოდგა დეკანოზი იურევეცთა თავისუფალი ზნეჩვეულებების მიმართ. ქალაქის მცხოვრებთ მოსვენება დაუკარგა. აბაკუმს ცოტა სძინავს. რიჟრაჟზე დგება, ცეცხლს გაალვივებს და წიგნის კითხვას იწყებს. ცისკრის ლოცვა რომ მოაწევს, მნათეს არ ეძახის, თვითონ მიდის დასარეკად. მნათე თავქუდმოგლეჯილი გამორბის. ზარს მნათეს რომ გადააბარებს, აბაკუმი შუალამის ლოცვის შესასრულებლად მიდის. ცისკრის ლოცვამდე სამხილებელი სიტყვის თქმას ასწრებს. თუ მრევლში ვინმე ცოდვილი შეამჩნია, აიძულებს შენდობა ითხოვოს. დასჯითაც სჯის. ხოლო „ვინაც მეტისმეტად აურევს, მისთვის ჯაჭვი მზადა აქვს“.

— ნუ იფხორები, თორემ მე ვიცი შენი, — ეუბნება და ეებერთელა მუშტს უჩვენებს.

ცისკრის ლოცვა დიდხანს გრძელდება; ყველას საქმე აქვს, მაგრამ ადგილიდან ფეხს ვერავინ იცვლის. მერე აბაკუმი ვოევოდას მეზარბაზნეებს სთხოვს, რომელთაც მშვიდობიანობის ჟამს წესრიგის დაცვა ევალებათ და ცოდვილთა საძებნელად ქალაქში გადის. ავხორც მღვდლებს წვერებით დაითრევს, უკანონო ცოლ-ქმარს „საქორწილო გადასახადს“ ახდევინებს. წირვას რომ მოათავებს, ქადაგების კითხვას შეუდგება. სადილის შემდეგ ორ საათს ისვენებს — ამ დროს ქუჩებში სულიერის ჭაჭანება არ არის, მთელ რუსეთს სძინავს. მწუხრის შემდეგ ივახშმებს და მუხლმოდრეკილი დიდხანს ლოცულობს. მერე სინათლეს ჩააქრობს და სიბნელეში თავს მრავალგზის მდაბლად დახრის. ამ დროს, „თუ ბავშვები არ ჭყივიან“, ნასტასია მარკოვნაც მის გვერდითაა.

იურევეცში აბაკუმის ჩამოსვლიდან მერვე კვირას ქალაქელებს მოთმინების ფიალა აევსოთ. დეკანოზს ჯერ ტკბილად ურჩიეს, მერე ვოევოდა დენის კრიუკოვთან უჩიელეს, მაგრამ იგი მოსკოვის მიერ თავადაც ახალი დანიშნული იყო და აბაკუმს უჯერებდა.

ხალხი აჯანყდა.

— საპატრიარქო პრიკაზს, სადაც დეკანოზი თავის საქმეებს განაგებდა, ათას ხუთასამდე კაცი შეესია... მამაკაცებს ხელში კეტები დაეჭირათ, ქალებს — სატაცები. აქ იყვნენ თოთხმეტივე ეკლესიის მღვდლებიც, მათ აბაკუმი ეზოში გამოათრიეს, სცემეს, ფეხებით შესდგნენ და მერე ცოცხალ-მკვდარი ქოხთან, კუთხეში მიაგდეს.

ვოევოდამ სასწრაფოდ შეკრიბა ახლოს მცხოვრები მეზარბაზნეები და აბაკუმის საშველად გამოემართა. მათ დეკანოზი მონახეს და ცხენით შინისაკენ გააქანეს. ეს რომ ქალაქის მცხოვრებლებმა გაიგეს, ისევ იხუვლეს და აბაკუმის ადგილსამყოფელს მიადგნენ, რომელსაც უკვე ვოევოდის ბრძანებით მეზარბაზნენი იცავდნენ.

ყველაზე მეტად გამძვინვარებულნი მღვდლები და ქალები იყვნენ, რომელთაც დეკანოზი „მრუშობას უკრძალავდა".

— ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ ავაზაკი! გვამი კი ძაღლებს მივუგდოთ საჯიჯგნად! — გაჰყვიროდნენ ისინი.

აბაკუმი მხოლოდ მესამე დღეს მომჯობინდა, დატოვა ცოლი, ბავშვები, შინაურები და მოსკოვს მიაშურა.

გზად კოსტრომაში გაიარა, სადაც უთხრეს, იქაურ დეკანოზს, ღვთისმოსაობის ქომაგ დანიელს, ვოევოდა იური აქსაკოვის თვალწინ, რომელმაც ამ საქმეში ხელები დაიბანა, აჯანყებულმა ხალხმა მღვდლებისა და სკომოროხების მეთაურობით სასიკვდილოდ სცემესო. ეს თითქმის იმავე დღეს მოხდა, რა დღესაც იურევეცის ამბები.

სამოსჩამოფლეთილი და გაწამებული აბაკუმი სტეფან ბონიფატიევს ეახლა, მაგრამ იქაც ვერ ჰპოვა თანაგრძნობა.

— რატომ მიატოვე ტაძარი? — უსაყვედურა დეკანოზმა სტეფანემ, მაგრამ ღამის გასათევად თავისთან მაინც დატოვა.

ღამით ლოცვა-კურთხევისათვის თავის სულიერ მამასთან

მეფე ალექსი მიხეილის ძე შეევიდა. აბაკუმი რომ დაინახა, გაუ-
რისხდა, ქალაქი რატომ დატოვეო!

ყველაფერში აბაკუმი გამოვიდა დამნაშავე. ამას ოჯახზე
დარდიც დაემატა — ნეტავი როგორ არიან ახლა იურევეცში
ცოლი, ბავშვები და შინაურებიო; „კაცმა არ იცის, ცოცხლები
არიან, თუ მკვდრები... ვაი შენ, ჩემო თავო“.

რას მიაღწია ცხოვრებაში აბაკუმმა? მრევლს არ უყვარს,
ამა ქვეყნის ძლიერთა წყალობაც მგონი დაკარგა.

15

XVI საუკუნის შუა წლებში ყაზანი დაეცა. ხოლო XVII საუ-
კუნის შუა ხანებში რუსეთმა შემოიერთა ციმბირი და შორეული
აღმოსავლეთის ნაწილი.

ახალ მიწებზე ქალაქები გაშენდა, ციმბირის მიწაზე უკვე
პურს იმკიდნენ. სულ ას წელიწადში შეიქმნა მსოფლიოში ყველაზე
დიდი სახელმწიფო, ათვისებული იყო სივრცე, რომელიც
რუს ერს საშუალებას აძლევდა დიდი მომავალისათვის მომზადებულიყო.

რით შეიძლება აიხსნას ეს აღზევება? რა აიძულებდათ მოგზაურთ
თავი განსაცდელში ჩაეგდოთ, ათასგვარი ტანჯვა და გასაჭირი
გადაეტანათ? მხოლოდ სიმდიდრისაკენ სწრაფვა და ვოევოდების
რკინისებური ნებისყოფა? რატომ იყო იმ დროის რუსი ხალხი საკუთარი ღირსების შეგნებით აღვსილი და ქედმაღლობასაც
კი იჩენდა ევროპელებთან ურთიერთობაში? გავიხსენოთ თუნდაც
ის, რა ძნელად აღწევდნენ ელჩები მეფისგან მიღებაზე დასტურს,
ანდა ხელზე კოცნის შემდეგ ელჩების თვალწინ ხელების დაბანის
ჩვეულება, უცხოელებს გულზე რომ ხეთქავდა.

ამ კითხვებზე პასუხი თუ არ გავეცით, გაუგებარი დარჩება
საეკლესიო განხეთქილებაც და ის გზაც, რომელმაც აბაკუმი და
ბევრი სხვა საეკლესიო ამბოხებამდე და კოცონზე დაწვამდე
მიიყვანა.

როცა XVII საუკუნის მოსკოვის სამეფოს ძლიერებაზე ლაპარაკობენ,
უამრავი მაგალითი მოჰყავთ იმისა, რომ ყველა და
ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებს

ემორჩილებოდა, აღნიშნავენ მოსკოვის ხელმწიფეთა აბსოლუტურ ძალაუფლებას.

მაგრამ მოსკოველთა წარმატებებს მარტო ამით ვერ ავხსნით. მოდით, პასუხის მოსაძებნად ისტორიას კიდევ ორი ასწლეულით ჩავუღრმავდეთ.

ივანე კალიტას მიერ შექმნილი მოსკოვის რუსეთი, რომელიც დამოუკიდებლობის იდეებით იყო შთაგონებული და თავისი მდგომარეობა კულიკოვოს ველზე გამარჯვებით განიმტკიცა, ხელახლა შენდებოდა და ყვაოდა. პაწაწინა სამთავრო, რომელიც ლიტვის, ოქროს ურდოსა და ნოვგოროდის რესპუბლიკის გვერდით თითქმის არ ჩანდა, სულ მალე დიდი სახელმწიფო გახდა. ვასილი ტიომნი ტყვედ ჰყავდათ თათრებს და ნათესავებს, ხოლო მის შვილთან ივანესთან კავშირს დაეძებდა წმინდა რომის იმპერია.

ძველმა იდეებმა თავისი როლი შეასრულა, ახლა საჭირო იყო ახალი იდეოლოგია, რომელიც ძალისა და უპირატესობის შეგნებას, ახლახან მოპოვებული გამარჯვებებით გამოწვეულ განცდებს უპასუხებდა.

ასეთი იდეოლოგია შეიქმნა. თავისი არსებით რელიგიური გახლდათ (იმ ეპოქაში სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო) და მიმართული იყო პატრიოტული გრძნობის აღზრდისაკენ.

როგორც კი თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს (1453 წ.) დიდ მთავარს ვასილი ტიომნის „კეთილმორწმუნე და ღვთით გვირგვინოსანი მეფე“ უწოდეს და რომის კეისრების და ბიზანტიის ბასილევსთა მემკვიდრედ მიიჩნიეს. ლეგენდის მიხედვით, რომის სამეფოს, სადაც ქრისტე დაიბადა, უნდა ეარსება უკუნითი უკუნისამდე, მაგრამ რომი განადგურდა და მეორე რომი ცარგრადს უწოდეს. ახლა დადგა დრო, მესამე რომი მოსკოვი გამხდარიყო.

მეორე რომის დამხობამდე თხუთმეტი წლით ადრე ბიზანტიის იმპერატორმა და პატრიარქმა სცნეს პაპის უმაღლესი ავტორიტეტი. მოსკოვმა მაშინ რომთან უნია უარყო. რუსი ხალხის განსაკუთრებული მისიის რწმენა ქრისტიანობის მიღებიდან პირველ საუკუნეშივე შეიქმნა. მიტროპოლიტი ილარიონი სიტყვაში „კანონისა და მადლის“ შესახებ (XI საუკ.) რუსეთის და ბიზანტიის თანასწორუფლებიანობას ამტკიცებდა.

დაახლოებით 1461 წელს „მერვე კრების სიტყვაში“ ცარგრადის დაღუპვის აღწერის შემდეგ სიამაყითაა ნათქვამი: „ჩვენი რუსული მიწა კი... იზრდება და მაღლდება“.

ივანე III ცოლად შეირთო ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის ძმისწული სოფია პალეოლოგი და მიიღო ახალი გერბი — შავი ორთავიანი არწივი, რომელიც მოსკოვის უწინდელ გერბს — წმინდა გიორგის გამოსახულებას შეუერთა. მზადდება დასაბუთებული კანონი სამეფო გვირგვინზე დიდი მთავრების უფლების შესახებ. ლეგენდარულ-პუბლიცისტურ თხზულებებში ვლადიმირელი დიდი მთავრების შესახებ მოთხრობილია, თუ როგორ „მოიძრო თავიდან მეფის გვირგვინი“ საბერძნეთის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა და ვლადიმერ ვსევოლოდოვიჩს უძღვნა, თან „გაატანა ფარღული, რომელ არს წმინდა სამხრეულები“. ივანე მრისხანე თავს რომაელი კეისრის, ავგუსტუსის ძმის, პრუსის შთამომავლად თვლიდა. პრუსი პრუსიას მართავდაო და, თითქოს იქიდან მოდის მისი შთამომავალი რუირიკი.

ოფიციალურად სწორედ ივანე მრისხანეს დაადგეს პირველად მეფის გვირგვინი. რუსული ეკლესია თავის თავს მართლმადიდებელ სამყაროში უპირველესად მიიჩნევს. შეიქმნა თხზულება „თქმულება თეთრ ბარტყულაზე[1]“, რომელიც თითქოს იმპერატორ კონსტანტინეს პაპ სილვესტრისათვის უჩუქებია; უფრო გვიან ბარტყულა რომიდან კონსტანტინეპოლში მოხვედრილა, მრავალი საუკუნის მანძილზე მართლმადიდებლობის ცენტრი რომ იყო, იქიდან კი ნოვგოროდში, „ნათელ რუსეთში“. 1551 წელს საეკლესიო კრებამ საჯაროდ გამოაცხადა ოცდაათი ახალი რუსი წმინდანი.

„მესამე რომს, რომელიც არს რუსულ მიწაზე — მადლი სულისა წმინდისა ამობრწყინდა“.

ორმოცდაათი წლის შემდეგ, როცა თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ფსკოვის ელიაზარის მონასტრის ბერი ფილოფეი დიდ მთავარს ვასილ ივანეს ძეს სწერდა: „მისმინე, ღვთისმოსაო მეფეო, რამეთუ შენს ხელქვეით გაერთიანდა ქრისტიანული სამეფო, რამეთუ დაეცა ორი რომი, ხოლო მესამე დგას, მეოთხეს კი ყოფნა აღარ უწერია, შენი ქრისტიანული სამეფო

[1] ბარტყულა — ბერის მაღალი საბურველიანი ქუდი.

სამუდამოდ დარჩება დიდი ღვთისმეტყველების წყალობით“...

ფილოფეის, ისევე, როგორც ბევრს იმ დროში, ქვეყნის აღსასრული სწამდა, ისტორიაში რუსეთის სამეფოს უკანასკნელ სამეფოდ თელიდა და დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის დაღუპვით მთელი ქვეყნის აღსასრული დადგებოდა.

ვინაიდან მეოთხე რომს არსებობა აღარ ეწერა, მესამე რომი მოსკოვი მსოფლიოში ულამაზესი ქალაქი უნდა ყოფილიყო. მოსკოვი, ისევე როგორც რომი და ცარგრადი, შვიდ ბორცვზე იყო გაშლილი. ამაში ჩვენი წინაპრები თავისებურ სიმბოლოს ხედავდნენ. ახლა უკვე ცნობილია, რომ მოსკოვი XVI და XVII საუკუნეებში სტიქიურად კი არ შენდებოდა, არამედ ერთიანი გეგმით. ისევე როგორც აპოკალიფსურ „მთიან იერუსალიმს“, მოსკოვსაც ჰქონდა „სამი კარი აღმოსავლეთით, სამი — ჩრდილოეთით, სამი — სამხრეთით და სამიც — დასავლეთით“. სამრეკლოებისა და კოშკების სიმაღლე, შენობის პროპორციები — ყველაფერი ზედმიწევნით თანაზომიერი და სიმბოლური იყო.

არავის არ ჰქონდა უფლება აეგო სამ სართულზე მაღალი პალატები, რათა მათ ტაძრები არ დაეფარათ და სურათის მთლიანობა არ დარღვეულიყო. მგზავრის თვალწინ ათეული კილომეტრიდან იშლებოდა თვალწარმტაცი სანახაობა — ათასობით ფერადი ეკლესია თითქოს კრემლს გარს შემორტყმოდა.

უბადლო იყო მოსკოვი...

16

რუსეთში საპატრიარქოს დაწესება გაწაფული პოლიტიკოსის ბორის გოდუნოვის დიდი გამარჯვება იყო. დოკუმენტში, რომელსაც მართლმადიდებელი აღმოსავლეთის სახელით ხელს აწერს კონსტანტინეპოლის პატრიარქი იერემია, ნახსენებია მესამე რომი.

აღმოსავლეთის ოთხი საპატრიარქო — კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, ანტიოქიისა და იერუსალიმისა — თურქი ჩინოვნიკების ძალაუფლების ქვეშ სულს ღაფავდა. ეს საპატრიარქოები თურქეთის ხელისუფლებას ფეხქვეშ ეგებოდნენ, ინტრიგებსაც არ თაკილობენ. იყო წლები, როცა პატრიარქი ტახტზე ერთ თვესაც ვერ ძლებდა; მეტოქეები არაფერს არ ერი-

დებოდნენ, არც ცილისწამებას, არც ჭორებს, ზოგჯერ საწამლავსაც კი იყენებდნენ...

რუსეთში ზოგიერთი ბერძენი იერარქის ავტორიტეტი მეტად დაბალი იყო. ისინი მოსკოვში ფულის, ხატების, სამოსლის მოსახვეჭად ჩამოდიოდნენ. თვითონაც ჩამოჰქონდათ ვითომდა ძველი ხატები, წიგნები, წმიდანთა ნაწილები, რომლებიც სინამდვილეში ყალბი იყო, თავად „წმინდა მამების" მიერ დამზადებული. პატრიარქმა მაკარი ანტიოქიელმა იმდენი ქნა, რომ ექვსი ათასი მანეთის სიასამურის ბეწვი ნახევარ ფასად იყიდა. მაგრამ შემოსევა ხშირი იყო და რუსეთის მთავრობამ „წყალობის" ნორმებიც კი დაადგინა — პატრიარქებს ორი ათას მანეთზე მეტს არ აძლევდნენ, ეპისკოპოსებს — უფრო ნაკლებს და ასე შემდეგ... ვინ არ ჩამოდიოდა პატრიარქის ამალასთან ერთად — ვაჭრები და ყველა ჯურის ავანტიურისტები, რომელთაც სასულიერო წოდებებს ანიჭებდნენ, რათა მდიდარ მოსკოვში რაც შეიძლება მეტი საჩუქარი მიეღოთ. ბერძნები ყველანაირად თაღლითობდნენ, უბრალო მინის ნატეხებს ძვირფას ქვებად ასაღებდნენ და ყიდდნენ. იერარქები განქორწინების ნებართვით, სასულიერო წოდებებით ვაჭრობდნენ... და კრიჟანიჩის თქმით, მზად იყვნენ „ჩვენთვის ათასჯერ მოეყიდათ ქრისტე, რომელიც იუდამ მხოლოდ ერთხელ გაყიდა".

მაგრამ თუ ბერძნებს ზოგჯერ თითქმის ზიზღით ეკიდებოდნენ, ამას ვერ ვიტყვით ბერძნულ წიგნებზე და წეს-ჩვეულებებზე. თავის დროზე საღმრთო წიგნები ბერძნული პირველწყაროებიდან ითარგმნა, რუსულ ეკლესიებში ბერძნული წეს-ჩვეულებები დამკვიდრდა. და თუმცა კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ბევრი ჩვენი მწიგნობარი ამტკიცებდა, ახლა რუსებმა კი არ უნდა ისწავლონ ბერძნებისაგან, არამედ ბერძნებმა — რუსებისგანო, ამის შესახებ ერთი აზრი არც მანამდე არსებობდა, არც ალექსი მიხეილის ძის დროინდელ ღვთისმოსაობის ქომაგთა შორის.

მეფეს, რტიშჩევს და ნიკონს, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნებთან, მიაჩნდათ, რომ რუსული საეკლესიო წიგნები შეილახა და ამიტომ ბერძნული დედნების მიხედვით უნდა გასწორდესო. ეს ტრადიცია მაქსიმე ბერძენიდან, შემდეგ კი ფილარეტიდან და დიონისედან მოდიოდა. რუსეთში ბერძნული ენის მცოდნე ცოტა იყო, ბერძნულ დედნებზე მუშაობის

მოსაწესრიგებლად თევდორე რტიშჩევმა კონსტანტინეპოლიდან მოსკოვში მოიწვია არქიმანდრიტი ბენედიქტე, ღვთისმეტყველების დოქტორად რომ ითვლებოდა, მაგრამ იგი თაღლითი გამოდგა, ყალბი აღმოჩნდა მისი პიროვნების დამადასტურებელი საბუთებიც.

17

დასავლეთ რუსეთი რეჩი პოსპოლიტის შემადგენლობაში შედიოდა და შეუპოვრად ებრძოდა მჩაგვრელებს, რომლებიც მართლმადიდებელი მოსახლეობის გაკათოლიკებას ცდილობდნენ. „რელიგიური სამოსლის“ საფარქვეშ გააფთრებული კამათი იყო გაჩაღებული იეზუიტებთან ყველა მთავარ პრობლემაზე — ეროვნულზე, საზოგადო-პოლიტიკურსა თუ კულტურულზე. დასავლეთ რუსეთის მართლმადიდებელ მწერლებს უდიდესი გამოცდილება დაუგროვდა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა მოსკოვმა. აქ საეკლესიო სლავურ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა ისეთი დასავლეთრუსული პუბლიცისტური კრებულები, როგორიცაა „კირილეს წიგნი“ (1644 წ.) და „წიგნი სარწმუნოებაზე“ (1648 წ.). ამ წიგნებს გატაცებით კითხულობდნენ ნიკონიცა და აბაკუმიც.

კიევის მიტროპოლიტმა პეტრე მოგილამ თავისთან უკვე ჩაატარა საეკლესიო რეფორმა. კათოლიციზმთან ბრძოლის გასაადვილებლად მან დასავლეთრუსული წეს-ჩვეულება ბერძნულს დაუახლოვა და შექმნა პირობები განათლების სწრაფი აყვავებისათვის.

აღიზარდა ახალი თაობა დასავლეთრუსული პროფესიული მწერლებისა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ მაშინდელი მეცნიერების — სქოლასტიკური ფილოსოფიისა და დიალექტიკის მიღწევებით.

ალექსი მიხეილის ძემ თხოვნა გაგზავნა სწავლულებით განთქმულ კიევში — თქვენი წმინდა მორჩილნი არსენ სატანოვსკი და დამასკელი პტიცკი გამომიგზავნეთ, „საღვთო წერილს რომ გამგებლობენ, ელინური ენა იციან, ელინურიდან სლავურ ენაზე თარგმნიან და ლათინურ ენასაც საკმაოდ ფლობენო“. მაშინ კიევიდან ეპიფანე სლავინეცკიც ჩამოვიდა. მათ რუსული წიგნების ბერძნულ ტექსტთან შედარება მიანდეს.

რტიშჩევშა თევდორე სტრატილატის ეკლესიასთან, მოსკოვ-კიევის გზის ახლოს, მთელი სასწავლებელი დააარსა. იქ მონასტერი ააგო, სადაც კიევ-პეჩორის ლავრიდან და უკრაინის სხვა მონასტრებიდან მოწვეული ოცდაათი ბერი დაასახლა. მეფის რჩეული ეპიფანე სლავინეცკის და სხვა სწავლულ უკრაინელებს დაუახლოვდა, მათთან სჯა-ბაასსა და კამათში ხანდახან ღამეებს ათენებდა ხოლმე.

18

ამ სიახლეზე მცირე გავლენა როდი მოახდინა იერუსალიმელი პატრიარქის პაისის ჩამოსვლამაც. იგი მოქნილი პოლიტიკოსი იყო, მეფე და მისი წრე მოხიბლა გონერი და პერსპექტიული აზროვნების უნარით. პაისიმ იცოდა, რა იმედის თვალით უცქერდნენ რუსების წარმატებას ბულგარელები, სერბები, ბერძნები და სხვა მართლმადიდებლები, რომლებიც თურქმა დამპყრობლებმა მონობამდე მიიყვანეს. მოსკოვში მომავალმა პატრიარქმა გზად ბოგდან ხმელნიცკისთან შეიარა და ისაუბრა. მჭევრმეტყველმა სირიელმა პაისიმ მოხიბლა თავისი მოსკოველი მსმენელები სრულიადმართლმადიდებლური გაერთიანებული სახელმწიფოს სურათის დახატვით, რომლის სათავეშიც რუსეთის მეფე უნდა მდგარიყო.

ნიკონში, რომელიც მაშინ მხოლოდ და მხოლოდ მაცხოვრის ეკლესიის არქიმანდრიტი იყო, პაისიმ ამომავალი მნათობი განჭვრიტა და დროს არ იშურებდა პატივმოყვარე ბერთან შეხვედრისა და მასთან ხანგრძლივი საუბრებისათვის. ტყუილად კი არ სწერდა მეფეს ნიკონის შესახებ: „შომეწონა საუბარი მისი, იგი არს კაცი მოწიწებული, თქვენი სამეფოს ერთგული და მისთვის მოცლილი". ნიკონს, რომელიც მაშინ პატრიარქის ტახტს ელოდა, თავი უკვე მსოფლიო საეკლესიო პატრიარქად წარმოედგინა, ოცნებით უკვე განაგებდა ჩრდილოეთის ზღვებიდან დამის ეგვიპტემდე გადაჭიმული გიგანტური იმპერიის ბედს.

პაისისა და ნიკონის ამ საუბრების დროს უეჭველად იქნებოდა ლაბარაკი რუსულ და ბერძნულ წეს-ჩვეულებებს შორის არსებულ ზოგიერთ განსხვავებებზე. ცნობილია, რომ პაისი „კიცხავდა" ნიკონს, კერძოდ, პირჯვრის არასწორი გადასახვის

გამო. ბერძნები და სხვა მართლმადიდებლები პირჯვარს სამი თითით იწერდნენ, რუსები კი — ორით. ეს და სხვა „გადახრები" შეიძლებოდა სერიოზული დაბრკოლება გამხდარიყო მოსკოვისათვის მსოფლიო ეკლესიაზე ბატონობის გზაზე და ნიკონი ხალისით ეთანხმებოდა პაისის სიტყვებს — რუსულმა ეკლესიამ ძველ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს თანდათან გადაუხვიაო.

მაგრამ ერთმაც და მეორემაც ცუდად იცოდა ისტორია. ადრინდელი ქრისტიანები პირჯვარს ერთი ან ხუთივე თითით იწერდნენ. მერე ბერძნებმა პირჯვრის გადაწერა ორი თითით იწყეს, რაც მათგან გადმოიღეს რუსეთში ნათლისღების დროს. ბერძნებს ორი ტიპიკონი ჰქონდათ — იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლისა. რუსეთში მათ კონსტანტინეპოლის ტიპიკონი ჩამოიტანეს. ბიზანტიაში კი XII—XIII საუკუნეებში იერუსალიმური ტიპიკონი იყო გაბატონებული. ბევრი რამ შეიცვალა თურქეთის ბატონობის დროსაც. რუსეთში კი ძველ წეს-ჩვეულებებს კვლავ მტკიცედ ინახავდნენ.

მოსკოვში ბევრს არ სჯეროდა პაისის სიტყვისა. ბევრს მიაჩნდა, რომ ბერძნებმა უკვე დიდი ხანია დაკარგეს ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა, მით უფრო, რომ საბერძნეთიდან ჩამოსულნი თავიანთი ქცევით ნდობას ვერ იხვეჭდნენ. რუსული წეს-ჩვეულების სისწორის შესამოწმებლად საბერძნეთში მიავლინეს სერგის სამების ლავრის სწავლული ღვთისმეტყველი არსენ სუხანოვი.

პაისიმ მოსკოვში თან ჩამოიყვანა სწავლული-ღვთისმეტყველი და თარჯიმანი, რომელსაც არსენი ერქვა და რომელიც სამსახურში ხალისით დააყენეს. მაგრამ მოსკოველებს ისევ მწარედ გაუცრუვდათ იმედი. პაისიმ ვაჭრობა-ვაჭრობაში თვით მეფეს ოთხი ათასი მანეთის სიასამური დასცინცლა, გამოეთხოვა და წავიდა, მაგრამ მალე მოსკოვში გამოგზავნა წერილი, რომელშიც ნიღაბს ხდიდა მის მიერ რუსეთში დატოვებულ არსენს. ამ აეანტიურისტმა, იუდეველობიდან დაწყებული ყველა რჯული რომ გამოეცვალა, დაკითხვაზე განაცხადა—იტალიაში კათოლიკე ვიყავი, თურქეთში მაჰმადიანი, პოლონეთში კი — უნიატი. იგივე დაადასტურა სუხანოვმაც, რომელიც დასავლეთში მარტო ძველ ბერძნულ წიგნებს როდი აგროვებდა...

სწორედ მაშინ გადაასახლეს სოლოვკაში არსენ რენეგატი, რომელსაც რუსეთში ბერძენი შეარქვეს. მაგრამ მას კიდევ

ელოდა ზედაპირზე ამოტივტივება, რათა თავისი ბედი ნიკონ: ბედისათვის დაეკავშირებინა...

ამასობაში ნოვგოროდის მიტროპოლიტ ნიკონს პატრიარქის ტახტზე ფიქრი არ ასვენებს, მეფის პატივისცემისა და ნდობის მოპოვებას ძალიან უბრალო, მაგრამ ძლიერი საშუალებებით ახერხებს. ღვთისმოსავი მეფისადმი გაგზავნილ წერილებში ნიკონი ლაპარაკობს სასწაულებზე, რომლებიც ვითომდა მას გადახდა და, რომლებმაც ნიკონს წინდაწინ განუსაზღვრა მისი მაღალი მოწოდება ცხოვრებაში. სოფიის ტაძარში მან თავის „ცოდვილ თავზე" თითქოს მეფის ოქროს გვირგვინი იგრძნო და ხელიც შეახო. 1650 წელს, ნოვგოროდის აჯანყების დროს, იგი თავგამოდებით იცავდა მეფის ინტერესებს. აჯანყებულებმა, როცა ნიკონი მათ დაყოლიებას ცდილობდა, ხელი სტაცეს და „მოურიდებლად მკერდსაც ჰკრეს ძელი და მკერდი შეუნგრიეს, ფერდებში მუშტებს სცემდნენ და ქვებს ესროდნენ". ნიკონი წერს, ნაცემ-ნაგვემი მაინც როგორ ასრულებდა ლიტურგიას. „უკან ძლივს შევებობღდი მარხილით და ახლა ვწევარ სიკვდილის პირას მისული, ნახველს სისხლს ვაყოლებ და მუცელი სულ დამისივდა"...

ვილაცის დაუფიქრებელი თქმით, რომელიც სხვებმაც გაიზიარეს, რუს ხალხს მარადიულ თვისებად მიაწერეს წარმოუდგენელი მოთმინებისა და მორჩილების უნარი. ამ აზრს აბათილებს XII საუკუნეში ვოევოდებსა და ეკლესიის მსახურებზე შურისძიებისა და ჯავრის ამოყრის უამრავი შემთხვევა. თავისი ღირსების გრძნობით აღვსილი მშრომელი რუსი კაცი ჯანყდებოდა უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ და სისასტიკეს სისასტიკითვე უპასუხებდა.

19

დადგა 1652 წელი, აჯანყებული ხალხის მიერ იურევეციდან აბაკუმის მოკვეთის წელი, ნიკონის ტრიუმფის წელი.

პატრიარქ იოსების სიცოცხლის ბოლო სამ წელიწადს ეკლესიას ფაქტობრივად ღვთისმოსაობის ქომაგნი მართავდნენ. ნიკონი ყველაფერში მხარს უჭერდა მათ, თავისთან, ნოვგოროდში მათ იდეებს ახორციელებდა, განუწყვეტლივ ეთათბირებოდა ბონიფატიევსა და ნერონოვს. ნიკონი მეფის მოძღვარს

კიდევაც ეპირფერებოდა — ეპისკოპოსის დიდებული ქუდი აჩუქა, თუმცა ჩინით ბონიფატიევს არ ეკუთვნოდა ეს ქუდი. ერთად არჩევდნენ უმაღლეს საეკლესიო თანამდებობაზე დასანიშნ ხალხს, ფიქრობდნენ დღესასწაულების მოწყობაზე, რომლებიც რუსული მართლმადიდებლობის აპოთეოზად იქცა.

გადაწყდა მიძინების ტაძარში გადაეტანათ იმ ეპისკოპოსთა და პატრიარქთა ნეშტები, რომლებიც მისი გალავნის გარეთ იყვნენ დაკრძალული. მარტში პოლონელთა მიერ ნაწამები პატრიარქის, გერმოგენის ნეშტი გადაასვენეს, მერე სტარიცელი პატრიარქის — იობისა, და ბოლოს, სოლოვკაში მიტროპოლიტ ფილიპეს ნეშტის გადმოსასვენებლად დიდი ამალით გაემგზავრნენ ნიკონი და თავადი ნიკიტა ხოვანსკი.

ბოიარი თეოდორე კოლიჩევი ივანე მრისხანეს დროს სოლოვეცის მონასტერში გაიქცა და ფილიპეს სახელით ბერად შედგა. ათი წლის მანძილზე მან ისე გაამაგრა და გაამშვენიერა ჩრდილოეთის კუნძული, ჩვენს დროშიც მნახველთა აღფრთოვანებას იწვევს იმ ადამიანთა გენია და შრომისმოყვარეობა, რომლებმაც სახლისოდენა რიყის ქვებით მიუვალი ციხესიმაგრე ააგეს, ორმოცდაათამდე ტბა არხებით შეაერთეს, ზედ პოლარულ წრესთან ბაღები გააშენეს, ეეებერთელა სახლებში კალორიფერული გათბობა შეიყვანეს... ივანე მრისხანემ ფილიპე აიძულა სრულიად რუსეთის მიტროპოლიტის ტახტი დაეკავებინა. მაგრამ ფილიპემ ოპრიჩნინა ამხილა, რისთვისაც საპყრობილეში ჩასვეს. მეფის ბრძანებით მალიუტა სკურატოვმა ფილიპე ბალიშით მოგუდა. ალექსი მიხეილის ძის დროს მიტროპოლიტი წმინდანად შერაცხეს. ნიკონმა მეფეს უამბო, როგორ გაითქვა სახელი ბიზანტიის იმპერატორმა ფეოდოსიოს-უმცროსმა იოანე ოქროპირის ნეშტის კონსტანტინეპოლში გადმოსვენებით. იმპერატორის დედას, რომელსაც ბრალი მიუძღოდა წმიდანის სიკვდილში, ეკლესიამ შეუნდო ეს დანაშაული. ალექსი მიხეილის ძემ, თავს ივანე IV მემკვიდრედ და მისი საქმის გამგრძელებლად რომ თვლიდა, ნიკონის იდეაში დიდი სიმბოლო განჭვრიტა.

მაშ ვინ უნდა გამგზავრებულიყო ფილიპეს ნეშტის გადმოსასვენებლად, თუ არა ნიკონი? იმპერატორ ფეოდოსიოსის მსგავსად მეფემ ნიკონს წერილი გაატანა, რომელშიც თავისი მრისხანე წინამორბედის მსხვერპლს ფილიპეს თხოვნით მიმარ-

თავდა — „ჩვენი მეფის პაპის მამას და დიდ მთავარს იოანეს, რომელმაც განუსჯელი შურითა და თავშეუკავებელი მრისხანებით შენ წინაშე ცოდვა ჩაიდინა, შეუნდეო“.

ნიკონის არყოფნის დროს გარდაიცვალა პატრიარქი იოსები. ალექსი მიხეილის ძე თავის „გამორჩეულ, სულიერ და ხორციელ მეგობარს“ წერილს წერილზე უგზავნის, მოსკოვის ამბებს საიდუმლოდ ამცნობს და რჩევასა და ლოცვა-კურთხევას სთხოვს.

ალექსი მიხეილის ძის წერილები სავსეა იმ ადამიანისადმი მორჩილებითა და ნდობით, რომელსაც ახალ პატრიარქად უპირებს დასმას.

მხოლოდ ორ კაცს შეეძლო პატრიარქის ტახტზე ეფიქრა: მეფის „სულიერ მამას“ სტეფანე ბონიფატიევს და ნიკონს. ღვთისმოსაობის ქომაგთ ბონიფატიევი უნდოდათ.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მოსკოვში ბედნავსი იურეველელი დეკანოზი აბაკუმი, რომელიც მაშინვე ჩაება წინასაარჩევნო ბრძოლაში და გააფთრებით იცავდა მეფის მოძღვარს.

იგი იურეველში არც დაბრუნებულა, მიუხედავად მეფისა და ბონიფატიევის უკმაყოფილებისა. როგორც ჩანს, სხვა დიდი მოვლენების გამო მისი დანაშაული არავის გახსენებია. ეგეც არ იყოს, მოსკოველ ღვთისმოსავთ ომახიანი დეკანოზი სჭირდებოდათ კიდეც. აბაკუმმა ნასტასია მარკოვნა მთელი ჯალაბობით იურეველიდან გამოიწვია და თავისი მწყალობლის ივან ნერონოვის კარზე დაასახლა. იგი ხანდახან ყაზანის ტაძარში წირავდა და კარიბჭესთან ხალხს წიგნებს უკითხავდა.

ჩამოსვლისთანავე აბაკუმმა მონაწილეობა მიიღო ღვთისმოსაობის ქომაგთა მეტად მნიშვნელოვან თათბირში, შეკრებილებმა „ყაზანის მიტროპოლიტ კორნელთან ერთად არზა დაწერეს და მეფე-დედოფალს მიართვეს — პატრიარქად მოძღვარი სტეფანე უნდა იყოსო“.

მაგრამ სტეფანე ბონიფატიევმა თავისი კანდიდატურა თვითონ მოხსნა. მეფის მოძღვარი უჭკუო კაცი არ იყო და მშვენივრად იცოდა, რომ ალექსი მიხეილის ძეს გუნებაში არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა. ესეც არ იყოს, ბონიფატიევი სნეული გახლდათ და გრძნობდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა.

მეფის მოძღვარმა განსვენებული პატრიარქის ღირსეულ

მემკვიდრედ უყოყმანოდ დაასახელა ნიკონი. ერთ-ერთ წერილში მეფე იჩქარის ამის შესახებ ნიკონს სიტყვა გადაუკრას: „შენ, მღვდელმთავარო, გელით არჩევნებზე. ამის თაობაზე მხოლოდ სამმა კაცმა ვიცით: მე, ყაზანის მიტროპოლიტმა და ჩემმა სულიერმა მამამ".

ღვთისმოსაობის ქომაგთათვის ნიკონი „თვისი და ახლობელი" იყო და მას მხარი დაუჭირეს.

1652 წლის 9 ივლისს მთელი მოსკოვი ეგებებოდა მიტროპოლიტ ფილიპეს ნეშტს. გზის გასწვრივ მომღერალთა გუნდი იყო ჩამწკრივებული, ყველა ეკლესიაში ზარები რეკდა, ტიროდნენ და კვნესოდნენ განუკურნებელი სნეულები, სასწაულის იმედით ფოფხვით რომ მოვიდნენ აქამდე... „ათ დღეს რეკდნენ ზარები... — წერდა მეფე, — რეკდენ შეუსვენებლივ.. დილიდან საღამომდე არ წყდებოდა რეკვა"... „ბრწყინვალე არქიელი" ნიკონი იმავე თვეში აირჩიეს პატრიარქად და... მყისვე გადადგა. მას ახსოვდა, რა ძალაუფლება ჰქონდა პატრიარქ ფილარეტს, რომელიც ოფიციალურ ტიტულად „დიდ ხელმწიფეს" ატარებდა და არა „დიდ ბატონს", როგორც მისი წინამორბედნი, მაგრამ ფილარეტი მეფის მამა იყო.

ნიკონსაც ასეთივე ძალაუფლება ეწადა.

გლეხის შვილმა ნიკიტა მინინმა თავისას მიაღწია — მიძინების ტაძარში თვით მეფემ მოიყარა მის წინაშე მუხლი და ცრემლმორეული ემუდარებოდა, უარს ნუ იტყვიო.

— პირობას მაძლევთ, რომ ყველაფერს დამიჯერებთ, როგორც მწყემსს და უსაჩინოეს მამას?

— ამაგებინებთ ეკლესიებს?

მეფის მეთაურობით ყველა ეფიცებოდა, რასაც გპირდებით, შეგისრულებთო...

ღვთისმოსაობის ქომაგნიც ეკლესიაში იყვნენ და სხვებთან ერთად იფიცებოდნენ, მაგრამ, როგორც შემდეგ აბაკუმი დაწერს, რა იცოდნენ, რომ „პატრიარქად მოსისხლე დასვეს და თავს უბედურება დაიტეხეს".

სოლოვკიდან დაბრუნებულმა ნიკონმა უკვე იცოდა, რომ ბონიფატიევმა პატრიარქის ტახტზე უარი თქვა. ჩამოვიდა თუ არა, მან „თაყვანის საცემად და საამებლად“ მიაშურა მეფის მოძღვარსა და სხვა „ძმებს“ — ასე ეძახდნენ თავიანთ თავს დაუზოგავი, თავნება ღვთისმოსაობის ქომაგნი.

„მელასავით მოვიდა, - - იგონებდა აბაკუმი, — მოწიწებით და ვედრებით. იცის, რომ პატრიარქად უნდა დასვან, მაგრამ მაინც შიშობს, რაიმე დაბრკოლება არ შემხვდესო“.

„დაბრკოლება“ არ შეხვედრია. ნიკონი პატრიარქად დასვეს. მან მაშინვე შეცვალა ურთიერთობა ძველ მეგობრებთან. თავის სენაკში კი არა, „ჯვრის პალატაშიაც კი არ უშვებდა“. ღვთისმოსაობის ქომაგებს, რომელთაც უკვე შეთვისებული ჰქონდათ სასახლის ამპარტავნობა, თავმოყვარეობა შეელახათ. ნიკონმა მაშინვე „შეიყვარა ქედმაღლობა და კარგი ცხოვრება“. მეფე ბორისის კარზე, ალექსი მიხეილის ძემ რომ აჩუქა და პატრიარქის სასახლედ იქცა, ნიკონმა მკაცრი წესები შემოიღო. აქვე, მიძინების ტაძრის ჩრდილო კარიბჭის პირდაპირ, გამოყვეს პატრიარქის ახალი დარბაზი და ფართო ფანჯრებიანი ვეებერთელა „ჯვრის პალატი“ — ეკლესიის მესვეურის მისაღები დარბაზი, მშვენიერი ფერადი შორენკეცებით რომ იყო შემკული. ჯერჯერობით კი ნიკონი მოსულთ მეფე ბორისის სასახლის „ჯვრის ოთახში“ იღებდა და, როგორც უწინ, მეკარეები მასთან დაუკითხავად არავის უშვებდნენ. ის კი არა, ბოიარებსაც დიდხანს ალოდინებდა, ისინი პატრიარქთან შიშით შედიოდნენ და მის წინაშე დაჯდომასაც კი ვერ ბედავდნენ.

და ღვთისმოსაობის ქომაგნი აპირებდნენ ამ კაცისათვის ესწავლებინათ, როგორ მოქცეულიყო. ურჩევდნენ, ნერონოვის „სიტყვისათვის გულდასმით ყური დაეგდო“ და თავის წინამორბედ პატრიარქ იოსებივით შიშით ეცქირა მათი პარპაშისათვის. ვერ მოგართვესს გამოდის, ტყუილად გარჯილა, ამდენი რომ იბრძოლა, რათა დამოუკიდებელი ყოფილიყო თვით მეფისა და მისი ახლობელი ბოიარებისგან. მეფის მოძღვარ სტეფანესთან საქმის დაჭერა კიდევ არაფერი, მაგრამ ჭკუის დარიგების მოსმენა ვილაც კაცუნასაგან, თავი ყველაზე წმინდანი რომ ჰგონია? ნურას უკაცრავად, „კარგად ვიცნობ ამ ცრუწმინდანებს“, — ზიზღით იტყვის ნიკონი.

ჯერჯერობით კი ნიკონი თითქოს „ძმობის“ საქმეს განაგრძობდა. ყველგან თავის ერთგულ ხალხს აყენებდა. ქველმოქმედებას ეწეოდა — ხეიბრებისა და მოხუცებისათვის სახლებსა და ხანაგებს აშენებდა. უცხოელების გასაოცრად თავის საპატრიარქო სუფრასთან ორასამდე ღარიბ-ღატაკს და ხეიბარს დასვამდა ხოლმე, ეკლესიებსა და მონასტრებს აგებდა. პატრიარქად დადგომის მეჩვიდმეტე დღეს თავისი გაიტანა და მიალებინა ბრძანება, რომლითაც დღესასწაულებზე და მარხვის ზოგიერთ დღეს არყის გაყიდვა იკრძალებოდა. ყოველ ქალაქში მხოლოდ თითო სამიკიტნო დატოვეს და იქაც არყით ვაჭრობა შეზღუდული იყო — კაცზე მარტო ერთი ბოთლი გაიცემოდა.

ოთხი კვირის შემდეგ გამოვიდა ბრძანება სამეშკვიდრეო და საგვარეულო ადგილ-მამულებში სამიკიტნოების დაკეტვის თაობაზე. ნიკონს უნდოდა სოფელი მევახშეებისგან გაეწმინდა. ფულს დიდი სარგებლით უმეტესად სამიკიტნოების შეძლებული პატრონები იძლეოდნენ.

1652 წლის ოთხ ოქტომბერს ყველა უცხოელი იაუზის ნაპირზე გადაიყვანეს, რუსული ტანსაცმლის ჩაცმა და რუსი მსახურების ყოლა აუკრძალეს. უცხოელები მრავლად მოიქცნენ რუსულ სარწმუნოებაზე...

ეკლესიებში ნიკონმა რკინისებური წესრიგი შემოიღო. ამ ნამდვილი ადმინისტრატორის წინაშე თვით მეფის მინისტრებიც პირფერობდნენ, ხოლო თუ რა შიში ჰქონდათ მის ხელქვეითებს ახალი პატრიარქისა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია...

მეფე ალექსი მიხეილის ძე თავის „რჩეულ“ მეგობარს ახალ მამულებს უწყალობებდა, საიდანაც პატრიარქის მოხელეები დიდძალ შემოსავალს იღებდნენ. მაგრამ ნიკონს არც თავისი ძველი სამფლობელოები ავიწყდებოდა. მაგალითად, ქალაქი იურევეცი. ალმოაჩინეს გადასახადის ნაშთი და იურევეცელი დეკანოზის აბაკუმის რეპუტაცია, რომელიც ქალაქიდან მისი გამოქცევით შეიბღალა, კვლავ საფრთხის წინაშე ალმოჩნდა. იურევეცს რომ ტოვებდა, აბაკუმმა მოასწრო ფულის წამოღება და მოსკოვის პატრიარქის ხაზინაში შეიტანა. ეს ჯვრისწერის გადასახადი იყო. მაგრამ აბაკუმმა იურევეცში იმდენი გულმოდგინება გამოიჩინა, რომ „ჯვრისწერის გადასახადი“ იმათაც გადაახდევინა, ვინც „მრუშობდა“, საეკლესიო ჯვრისწერის გარეშე ცხოვრობდა. მან პატრიარქის ხაზინადარს ზედმეტად 9

მანეთი, 22 ალთინი[1] და 3 თეთრი ჩააბარა. სამაგიეროდ, ქალაქი რომ მიატოვა, სხვა გადასახადი დარჩა შეუგროვებელი და ახლა პასუხი მოსთხოვეს.

შეაგროვე თუ ვერ შეაგროვე — ამას არავინ კითხულობს; გმართებს — გადაიხადე. ფული არა გაქვს? — ჯოხი ინებე. გაკოტრებულ მოვალეს ბოძზე მიაკრავდნენ და ყოველ დილით წვიმებში მანამდე ურტყამდნენ, სანამ კუთვნილ ფულს არ წაართმევდნენ, ან მის ქონებას მევალეს არ გადასცემდნენ.

რა ქონება ჰქონდა მაშინ აბაკუმს? ცარიელ-ტარიელი იყო, მაგრამ პატრიარქის კაცებმა ბოძზე მაინც მიაკრეს, „სამ კვირას ყოველდღე პირველი საათიდან ცხრა საათამდე უმოწყალოდ აწვალებდნენ; კანჭებში ჯოხს ურტყამდნენ". სტეფან ბონიფატიევს უნდა უმადლოდეს, იმან გამოიხსნა, არადა „ყოველდღე ურტყამდნენ... წაღის ყელი სისხლით ჰქონდა სავსე".

ჯოხით დასჯა რუსეთში სამარცხვინოდ არ ითვლებოდა. გაჯოხვის შემდეგ აბაკუმი, ვითომ აქ არაფერიო, შესაწოლე რტიშჩევის სახლში მივიდა და მის დასთან, ანასთან სულის საცხონებელი საუბარი გამართა. ანა დიდი მემარხულე იყო, ნერონოვისა და... ნიკონის თაყვანისმცემელი. არა, აბაკუმს ძმებთან ჯოხზე არ ჰქონია საუბარი. უჩვეულო და ამ უჩვეულობით საშინელი რაღაც ახლოვდებოდა.

21

ერთი დღეც არ დავიწყებია ნიკონს პატრიარქ პაისისთან თავისი დიდი ხნის საუბარი. ამას ისიც დაემატა, რომ დეკემბერში მოსკოვში ბოგდან ხმელნიცკის ელჩი, სამხედრო მოსამართლე სამუელ ბოგდანოვიჩი ჩამოვიდა და ალექსი მიხეილის ძესთან თხოვნა ჩამოიტანა, რომ ზაპოროჟიეს ლაშქარი მეფეს თავის ხელქვეით მიეღო. ნიკონის ოცნებამ მსოფლიო ეკლესიის პატრიარქობაზე, დიდ მართლმადიდებლურ იმპერიაზე ერთი ნაბიჯით წინ წაიწია. კონსტანტინეპოლის პატრიარქი ათანასე პანტელარიუსი მეფესა და ნიკონს მოუწოდებდა ცარგრადზე გაელაშქრათ და წმიდა სოფიის ტაძარი მართლმადიდებლობისათვის დაებრუნებინათ...

დიახ, ბევრი რამ იყო ისეთი, რისგანაც თვით ნიკონსაც კი

[1] ალთინი — სამკაპიკიანი.

შეიძლებოდა თავბრუ დახვეოდა. მას სწამდა რუსეთის სახელმწიფოს ურყეობისა და ოცნებებით ჭაბუკი მეფეც გაიტაცა. იქნებ ამ გავლენის შედეგადაც იყო, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მუდამ ფრთხილმა ალექსი მიხეილის ძემ ისეთი რამ განაცხადა, რაც ფართოდ გახმაურდა მართლმადიდებლურ სამყაროში. სააღდგომოდ მოსკოვში ჩამოსულ ბერძენ ვაჭრებთან ამბორის ყოფისას მეფემ მათ ჰკითხა, ხომ არ გსურთ გამოგიხსნათო.

— განა შეიძლება ჩვენ ეგ არა გვსურდეს? — უპასუხეს ბერძნებმა.

მაშინ მეფე ბოიარებს მიუბრუნდა და უთხრა.

— გული მიკვდება ამ დამონებული ხალხის ცქერით, ჩვენი წარწმუნ ების მტრების ხელში რომ გმინავენ. მამაჩემისა და მის წინაპართა დროიდან მოყოლებული, ჩვენთან განუწყვეტლივ მოდიან დამპყრობთაგან შევიწროებული პატრიარქები, ეპისკოპოსები, ბერები და უბრალო ღარიბ-ღატაკნი. ყოველი მათგანი თავისი სასტიკი ბედის მიერ იყო დევნილი, ყველა თავის ბატონს გაურბოდა. მე გულში გადაეწყვიტე, თუ ღვთის ნება იქნება, ზვარაკად შევწირო მათი განთავისუფლებისათვის ბრძოლას ჩემი ლაშქარი და ხაზინა... სისხლს უკანასკნელ წვეთამდე დავღვრი, მაგრამ ვეცდები დავიხსნა ისინი.

უკვე მწიფდებოდა ბალტიის ზღვისკენ მოსკოვის სამეფოს გასვლის გეგმებიც.

როცა ჩანაფიქრი სინამდვილედ წარმოიდგინა, ნიკონი ღვთისმსახურებაში გამეფებულმა არეულ-დარეულობამ დააფიქრა: ყველა მართლმადიდებელ ქვეყანაში წესები ერთი და იგივეა, მხოლოდ მოსკოვშია სხვანაირადო, ფიქრობდა იგი. მაშასადამე, შეცდომა აქ მოგვდის და აქვე უნდა გამოსწორდესო. აი, ეპიფანე სლავინეცკიც ამბობს, კიევში ყველაფერი ბერძნული წესით სრულდებაო. სლავინეცკიმ ნიკონისათვის გადათარგმნა კონსტანტინეპოლის 1593 წლის კრების დადგენილებანი, რომლითაც აღმოსავლეთის პატრიარქები დათანხმდნენ რუსეთში შექმნილიყო საპატრიარქო იმ პირობით, თუ რუსული ეკლესია მართლმადიდებლობის ყველა დოგმატს დაიცავდა. როგორ უნდა განაგოს მოსკოვმა სხვები, თუ შეცდომები არ გამოასწორა? და ნიკონმა მიიღო თითქმის ერთპიროვნული გადაწყვეტილება რეფორმის გატარების თაობაზე.

ამით მან მეისვე მტრად გადაიკიდა დეკანოზები — ღვთისმოსაობის ქომაგნი. მათ სჯეროდათ, რომ რუსული წიგნები და რუსული წეს-ჩვეულებები ჭეშმარიტი იყო, არაფერი სწამდათ ცბიერი ბერძენი იერარქებისა, რომლებმაც თურქეთის ძალაუფლების ქვეშ ყველა ღირსება დაკარგეს. ტყუილად როდი გაახსენებს შემდეგ ნერონოვი ნიკონს: „უცხოელთ კანონებს უწონებ და მათი ზნე-ჩვეულებანი გადმოგაქვს, მათ ღვთისნიერ, კეთილმორწმუნე და ღვთისმოსავ მშობლებს უწოდებ, უწინ კი თავად არაერთგზის გითქვამს — ბერძნებმა და მალორუსებმა რწმენა და სიმტკიცე დაკარგეს და კეთილი ზნე-ჩვეულებანი აღარ გააჩნიათო“...

ნიკონმა ეკლესია-მონასტრებიდან გამოითხოვა ღვთისმსახურების ძველი ტექსტები — 2700 კონდაკი, ტიბიკონი, ფსალმუნი, სახარება და სხვა წიგნები, რათა შეედარებინა წიგნებისათვის, რომელთაც იმხანად ხმარობდნენ. ძველი სლავური და ბერძნული წიგნების შესწავლამ ნიკონი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თანამედროვე ბერძნულ წიგნებთან რუსული ტექსტის დაშორება უმეტეს შემთხვევაში რუსი გადამწერებისა და მბეჭდავების ბრალი არ იყო. მაგრამ ასეთი ტიტანური შრომა მხოლოდ და მხოლოდ კეთილ განზრახვად დარჩა. ძველი და ახალი წიგნები ერთმანეთისათვის არავის შეუდარებია, არავინ დარწმუნებულა, რომ შიგ კითხვათსხვაობანი არ იყო. შესადარებლად აიღეს XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში ვენეციაში გამოცემული თანამედროვე ბერძნული წიგნები. დაიწყო ფსალმუნის ახალი გამოცემის ბეჭდვა მნიშვნელოვანი ცვლილებებით.

ეს იმ დროისათვის მეტისმეტად გაბედული ნაბიჯი იყო. ათიათასობით ეკლესიაში მილიონობით მორწმუნე საუკუნეთა მანძილზე ისმენდა ლოცვის ნაცნობ, ბავშვობიდანვე ზეპირად ნასწავლ სიტყვებს. უცებ კი ეს სიტყვები, სიტყვათა მიმდევრობა და ტრადიციული რიტუალი უნდა შეცვლილიყო. მსგავს ცვლილებებს კაცის გონება ძნელად ეწყობა ხოლმე. ლოცვაში თუნდაც რამდენიმე სიტყვის დამატება ან ამოგდება მრევლს სინანულს ჰგვრიდა და აღშფოთებდა, როგორც ყალბი ნოტი ნაცნობ სიმღერაში.

სლავინეცკის დასახმარებლად, რომელსაც რუსული ღვთისმსახურების წიგნების შესწორება ჰქონდა დავალებული, ნი-

ცრნმა სოლოვკიდან არსენ ბერძენი გამოიხმო. რენეგატობის გამო ჩრდილოეთის სავანეში გადასახლებული არსენი იქაც თავის თავის ერთგული დარჩა. ლოცვისას ისე გულმოდგინედ იწერდა ორი თითით პირჯვარს, ისე აქებდა ადგილობრივ წესებს, ისე ხშირად ეუბნებოდა ბერებს — „ეშმარიტად, ძმებო, ჩვენ, ბერძნებს, ნახევარი რწმენაც არ შეგვრჩაო“, რომ სოლოვკაში ჩამოსულ ნიკონს მასზე მხოლოდ კეთილი სიტყვები მოახსენეს. არსენ ბერძენი თავისი მერყევი სინდისის წყალობით ხელად გადაერთო იმავე წეს-ჩვეულების ლანძღვაზე და პატრიარქის დროს თვალსაჩინო მდგომარეობას მიაღწია. მოსკოვში მისმა გამოჩენამ, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთი დაასხა.

როცა ნიკონი (ჯერ კიდევ მიტროპოლიტობისას) არსენთან დილეგში შევიდა, გაქნილმა ბერმა უმდაბლესი თაყვანი სცა და დათაფლული ხმით შეევედრა:

— წმინდაო პატრიარქო რუსეთისაო, დამლოცე!

ლეგენდას ამ „ჯადოქრულ და ერეტიკულ“ წინასწარმეტყველებაზე, რაც თითქოს ამ ცბიერი გამონათლულის[1] აღზევების მიზეზი გახდა, კიდევ დიდხანს ავრცელებდნენ ნიკონის მტრები.

ფსალმუნში ცვლილებების შეტანამ სტამბის გამსწორებლების ივანე ნასედკას, ბერ საბატის და სილა გრიგორიევის უკმაყოფილება გამოიწვია. თავიანთი შეხედულებებით ისინი ახლო იდგნენ ბონიფატიევისა და ნერონოვის წრესთან. ნოემბერში ისინი დაითხოვეს და რუსეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი საქმის — წიგნების ბეჭდვის ზედამხედველობა ნიკონის მიერ დაყენებული ხალხის ხელში გადავიდა.

ნიკონი სათანადოდ ვერ აფასებდა თავის ყოფილ მეგობრებს. მიუხედავად არაერთგზის ცემა-გვემისა, ისინი მაინც ვერ მოდრიკეს, თავიანთი სიკერპით, მკვერმეტყველებით, განსაკუთრებული ნიჭითა და ნებისყოფით ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ. მათ რომ მხოლოდ სასახლის ინტრიგები გაებათ, მხოლოდ პირადი ძალაუფლებისა და გავლენისათვის ებრძოლათ, მაშინ ნიკონი, მეფის უცილო მხარდაჭერით რომ სარგებლობდა, ყველას იოლად ალაგმავდა და სასახლის ცხოვრების ეს უმნიშვნელო ეპიზოდი ისტორიას არც შემორჩებოდა. მაგ-

[1] სხვა სარწმუნოების მქონე (უფრო ებრაელი), რომელიც ქრისტეს რჯულზე მოიქცეოდა.

რამ მათ, სასახლიდან დაწყებული, ბრძოლაში ყველა ჩაითრიეს: არისტოკრატია, მღვდლები, ბერები, წიგნიერი გლეხები; მათგან გაჩაღებული ცეცხლი კიდევ დიდხანს ენთო მას შემდეგაც, რაც განხეთქილების მოთავეთაგან ცოცხალი აღარავინ დარჩა.

ნიკონიცა და მისი მოწინააღმდეგეებიც რეფორმატორები იყვნენ. იმ არეული დროის შედეგები ნიკონს საკმაო საბუთად მიაჩნდა მკვეთრი შემობრუნებისათვის. იგი მზად იყო ყველაფერი მიეტანა პოლიტიკური სტრატეგიის სამსხვერპლოზე... მის მოწინააღმდეგეთ კი მიაჩნდათ, რომ რუსული ცხოვრების საფუძვლები მხოლოდ შეირყა და რომ მათი გამაგრება საჭირო იყო ძირეული გარდატეხისა და უცხოურის გავლენის გარეშე. „დაიწყებთ შეცვლას და ცვლილებებს ბოლო აღარ ექნება", — ამბობდა აბაკუმი.

პეტრეს ეპოქის პოპულარული ძველებურ წესთა კრებული უკვე აშკარად და რეფორმის შედეგების გათვალისწინებით გადმოგვცემს ნიკონის მოწინააღმდეგეთა შიშს. „...დაავიწყდათ, რაც წერილ არს, ხომ არ შეიძლება უცბად შემოიღო უცხოური წეს-ჩვეულებანი. ჩინები, მთავრობანი, წარჩინება, პატივი, წოდება, ისეთი, სამშობლოში რომ არ გაგონილა. აგრეთვე შეცვლილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საჭმელი და სასმელი. უცხომიწელნი არც სახელმწიფო საქმეთა საბჭოში უნდა დავუშვათ, ვინაიდან ცვლილებებისა და უჩვეულო საქმეთა გამო სახელმწიფოში დიდი და საშიში არეულობა ხდება ხოლმე... უცხომიწელი განა იმიტომ არ უნდა მივიღოთ, რომ ღირსება დავუკარგოთ და გვეზიზღებოდნენ, არამედ იმიტომ, რომ უცხოელთა შეგონებით სახელმწიფოში არ მოხდეს მათი ქვეყნების წეს-ჩვეულებებისა და საქმეთა მიბაძულობით ისეთი ცვლილებები, ჩვენს სახელმწიფო მოთხოვნილებებს რომ არ ეთანხმება"...

როგორ უნდა გადაისახო პირჯვარი, რამდენჯერ უნდა მოიყარო მუხლი, როგორ უნდა წარიმართოს ლიტანიობა — ამაზე და ღვთისმსახურების ტექსტებზე კამათი მანამდეც იყო, მაგრამ მას საეკლესიო განხეთქილება არ გამოუწვევია.

ახლა კი ძველი წეს-ჩვეულებების დამცველთა პროტესტს აძლიერებდა უკმაყოფილება ხალხისა, რომელიც მოხელეთა და ბოიართა მხრიდან ჩაგვრას მმართველი კლასის მიერ უცხოურ

ზნე-ჩვეულებათა შეთვისებას უკავშირებდა. ძველ წესთა მიმ-დევარნი დაიცავენ არა მარტო წვერსა და რუსულ ხიფთანებს, არამედ თავისუფალი გადასახლების ძველ გლეხურ უფლება-საც, მიწათმოქმედის უფლებას მის მიერ დამუშავებულ მიწა-ზე, დაიცავენ ძველ თვითმმართველობას.

მაგრამ ყველაფერი ეს წინ იყო. მანამდე კი ნიკონს ჯერ კი-დევ ჰქონდა შესაძლებლობა მეტოქეებს დაზავებოდა, შეეძლო კრების მოწვევით აესრულებინა საწადელი. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მას შეეძლო ბევრი რამისათვის მიეღწია კოლეგი-ალობის გამოჩენით, მაგრამ თვითნებური გადაწყვეტილება აირჩია. დროის სულისკვეთებით მოქმედებდა — ასე იქცეოდა მეფე ალექსი მიხეილის ძეც, XVII საუკუნის მეორე ნახევარ-ში მას არც ერთი კრება არ მოუწვევია და ყველა გადაწყვეტი-ლებას ერთპიროვნულად იღებდა.

დადგა 1653 წელი. პატრიარქის ტახტზე ნიკონის ასვლიდან შვიდი თვეც არ გასულა, რომ ძველმა მეგობრებმა აშკარად გა-ილაშქრეს მის წინააღმდეგ...

22

თორმეტ თებერვალს გამოვიდა ახალი ფსალმუნი, ხოლო დიდი მარხვის პირველ კვირას ყაზანის ეკლესიაში „მოსახსენე-ბელი" მიიტანეს, რომელშიც დანარჩენთან ერთად, ნიკონის განკარგულება იყო — პირჯვარი ბერძნულად, სამი თითით გა-დაეწერათ.

ნიკონმა თავისი განკარგულება შემთხვევით როდი გაგზავნა ყაზანის ეკლესიაში, ნერონოვთან. ეს გამოწვევა იყო. და ძმობა სწორედ ნერონოვთან შეიკრიბა და არა ბონიფატიევთან. კა-რის დეკანოზი მათი ბელადი აღარ იყო. მეფის კარისკაცმა სხვაზე უკეთ იცოდა ჭაბუკი მეფის გუნება-განწყობილება და ახლა ნიკონს უჭერდა მხარს. ღვთისმოსავნი კამათში კიდევ დიდხანს დაიმოწმებენ ბონიფატიევს, მაგრამ ის უკვე მათი აღარ არის, იგი „სულ დაძაბუნდა".

აბაკუმი დროდადრო უწინდებურად წირავდა ყაზანის კა-თოლიკე ეკლესიაში და მის კარიბჭესთან ხალხს წიგნებს უკი-თხავდა. მან ეს ხელოვნება ნერონოვისაგან ისწავლა, რომელიც „ენამჭევრი" კაცი იყო და მუდამ ხალხმრავალი მსმენელი

ჰყავდა, ვინაიდან წითელ მოედანზე, ეკლესიაში, შუა ბაზარში „ყოველდღე აუარება ხალხი იყრიდა თავს“.

ნერონოვი და აბაკუმი კითხულობდნენ „პროლოგსაც“ და „კირილეს წიგნსაც“, „რჯულის წიგნსაც“ და ეფრემ ასურის მოძღვრებასაც. ნერონოვი ცრემლმორეული „ღაღადით“ კითხულობდა და გაუგებარ ადგილებს მარტივი სიტყვებით ხსნიდა.

მათ მოსასმენად დიდგვაროვანნიც ხშირად დაიარებოდნენ, ცოლებიც თან მოჰყავდათ. სწორედ აქ იბმებოდა ხოლმე საჭირო ნაცნობობა, რომელიც უადგილოდ დარჩენილ დეკანოზს მოსკოვში ცნობილი სახლების კარებს უღებდა.

მჭევრმეტყველებასა და ნაკითხობას თავისი გაჰქონდა — აბაკუმის ნაცნობთა წრე თანდათან ფართოვდებოდა, დიდგვაროვანთა ოჯახებში მის სულიერ შვილთა რიცხვი თანდათან მატულობდა. „უყვარდა დეკანოზს ცნობილ ხალხთან დაახლოება“, — აღიარებს იგი შემდეგში. მდიდარ თაყვანისმცემელთა ნაწყალობევი ფული საშუალებას აძლევს ოჯახი შეძლებულად აცხოვროს, თავისთვის და ნასტასია მარკოვნასათვის ატლასისა და თავთის საპირეგადაკრული ძვირფასი ქურქები შეაკერინოს.

მოვლენებს წინ გავუსწრებთ და გეტყვით, რომ აბაკუმმა მოსკოვში ავად თუ კარგად ერთ წელზე მეტხანს იცხოვრა. მართალია მას ჰქონდა საშუალება სასახლის ეკლესიაში მოწყობილიყო „განსვენებულ სილინის ადგილზე“, მაგრამ თავი დიდად არ შეუწუხებია და ეს ადგილი დაკარგა.

აბაკუმი და ნერონოვის სხვა მომხრეები წიგნთა ახსნისას ხელიდან არ უშვებდნენ შემთხვევას, რომ ნიკონის მიერ ახალშემოღებული წესი დაეგმოთ ან საგანგაშო ხმა დაერხიათ, რითაც სიშმაგემდე მიჰყავდათ ძალაუფლების მოყვარული პატრიარქი.

ნიკონის გამოწვევა მათთვის მეხივით გავარდა. „შევიკრიბენით და დავიწყეთ ფიქრი; თითქოს სუსხიანი ზამთარი დადგაო — გული გაგვეყინა, მუხლი მოგვეკვეთა“, — ასე ხატოვნად და ძლიერად გადმოსცა აბაკუმმა ძმათა დაბეჩავებული მდგომარეობა, მოსალოდნელი დევნისა და ათასი სხვა უბედურების არცთუ უსაფუძვლო წინათგრძნობა.

შეიკრიბნენ, მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტეს. ნერონოვმა ეკლესია აბაკუმს დაუტოვა და თვითონ სასწაულმოქმედის მო-

ნასტერში განმარტოვდა, მაშინ კრემლში რომ იდგა, იქ ლოცულობდა და დარდობდა. როცა დაბრუნდა, თავისთან მოიხმო კოლომენსკელი ეპისკოპოსი პაველე, დეკანოზები აბაკუმი და დანიელი და ბერმონაზონთა მთელი ძმობა. ნერონოვმა მათ უთხრა, მაცხოვრის ხატმა ენა ამოიდგა და მითხრა, რუსეთს სარწმუნოებისაგან განდგომა ელის და წამებისა და ბრძოლის ჟამი დადგაო. შვიდი დღის მარხვამ, უძილობამ და მუმუნვარე ფიქრებმა მოხუცი ისეთ ექსტაზამდე მიიყვანა, როცა ავადმყოფი გონებიდან გადმონახეთქი აზრები თითქოს პალატის თაღებს აწყდებიან და ექოდ იღვრებიან იქიდან.

ბრძოლა დაიწყეს დეკანოზებმა აბაკუმმა და დანიელმა, რომელთაც ძმობის შეხედულებანი გრძელ არზაში ჩამოაყალიბეს და მეფე ალექსი მიხეილის ძეს მიართვეს. ჩვენამდე არმოღწეული ამ თხზულებით გაიცნეს აბაკუმი პირველად როგორც მწერალი და პუბლიცისტი. ახლა მის ყოველ არზას, ყოველ ეპისტოლეს მკითხველთა ფართო წრე ეცნობა და დეკანოზის მახვილ გონებასა და კალამს ღირსეულადაც აფასებს. მაშინ კი ის და დანიელი გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდნენ წიგნებს და რაც სჭირდებოდათ, იწერდნენ. ამ ამონაწერებში არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ასთა კრების გადაწყვეტილება, რომელიც შეაჩვენებდა ყველას, ვინც პირჯვარს ორი თითით არ იწერდა.

მეფემ არზა... ნიკონს გადასცა. თან სთხოვა, დიდ გულმოდგინებას ნუ გამოიჩენ და ეკლესიის მესვეურებზე დაყრდნობით ახალშემოღებული წესები ნელ-ნელა, თანდათან დანერგეო. ალექსი მიხეილის ძე პოლიტიკაში ვერავითარ უკიდურესობას ვერ იტანდა და საქმეშიც თავის უფროს თანამედროვეებზე ხერხიანი და შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა.

ნიკონმა ძმობაზე შურისძიება მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო, როცა საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები. მეფისადმი მირთმეულ არზაში დანაშაულის შემადგენლობა არ იყო, მაგრამ თავნება დეკანოზები ხშირად არღვევდნენ საეკლესიო დისციპლინას. ძმობის თვითნებობაზე მრავალი საჩივარი შემოდიოდა. ამით ისარგებლა ნიკონმა და ღვთისმოსავნი პასუხისგებაში მისცა.

დაიწყო მურომელი დეკანოზით ლოგინით, რომელიც, ისევე, როგორც ყველა სხვა ღვთისმოსავი, ადგილობრივ ვოევოდას ვერ ეწყობოდა. ერთხელ ვოევოდას ცოლი ლოგინთან

ლოცვა-კურთხევის სათხოვნელად მივიდა. ღვთისმოსაობის ბჟაცრმა ქოძაგმა დაინახა მორთულ-მოკაზმული, ფერ-უმარილ-წასმული აზნაური ქალი და უთხრა:

— უმარილი ხომ არ გისვია?

აქ ვოევოდა და სხვა მურომელი დიდებულები, რომელთაც ლოგინი დიდი ხანია ყელში ამოუვიდათ, ქალს გამოესარჩლნენ, ვიღაცამ დეკანოზს დამცინავად უთხრა:

— რას აძაგებენ უმარილს, დეკანოზო! განა მაცხოვრის, ღვთისმშობლის ან სხვა წმიდანთა ხატებს უმარილის გარეშე წერენ?

ლოგინი გაცხარდა და განურჩევლად ყველას ლანძღვა-გინება დაუწყო.

— რა ბედენაა, ხატები რით იწერება... ის საღებავი სახეზე რომ წაგცხონ, თავადაც ხომ არ ისურვებდით, — მიახალა ბოლოს.

ვოევოდამ მყის დაწერა მასზე საჩივარი — ასე და ასე აგინებდა დეკანოზი ლოგინი მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და სხვა წმიდანთა ხატებსო.

საქმე ნიკონამდე მივიდა და მან ბრძანა, ლოგინი მკაცრად დაესაჯათ. 1653 წლის ივლისში პატრიარქმა თავის ჯვრის პალატში ლოგინის გასასამართლებლად კრება მოიწვია.

ძმობა აფორიაქდა. კრებაზე მიწვეულმა ნერონოვმა ლოგინი დაიცვა. მან ნიკონს უყვირა:

— რატომ ჩაუგდე ლოგინი ხელში სასტიკ ბოქაულს? გაიგებს შენს გულისწყრომას და მოკლავს! როგორ ექცევი წმიდა წოდებით აღჭურვილ პირს?

ნერონოვმა მოითხოვა, ყველაფერი მეფეს მოხსენდეს და მასვე მოვთხოვოთ, რომ კრებას საქმის გარკვევაში დაეხმაროსო.

აი, აქ გამოამჟღავნა ნიკონმა თავისი ქედმაღლობა, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

— მე მეფის დახმარება არცა მსურს და არც მჭირდება, — თქვა მან, — მიმიფურთხებია მისთვის.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ცდები, მეუფეო, წმინდა მამები და კრებები ღვთისმოსავ მეფეთ მუდამ საშველად უხმობდნენ... — ჩაიბურტყუნა ნერონოვმა, თან გახარებული უკვე აქეთ-იქით აცეცებდა თვა-

ლებს, აბა ნიკონის თავხედობას ვინ დამიმოწმებსო. დადგა, დადგა საძულველი მტრის აღსასრული! როსტოვის მიტროპოლიტმა იონამ ხომ გაიგონა, სხვებმაც გაიგონეს...

ნაადრევი გამოდგა ნერონოვის სიხარული. მეფემ მისი საჩივრის საფუძველზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ ახალ კრებაზე, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ მოიწვიეს, ნიკონის ნათქვამი არავინ დაადასტურა. არც მიტროპოლიტ იონას და არც სხვებს არ სურდათ მტრად მოეკიდებინათ ყოვლისშემძლე მედროვე და ნერონოვს ბრალი დასდეს წმინდა მამის ცილისწამებასა და შეურაცხყოფაში.

გაშმაგებული ნერონოვი ყვიროდა, ნიკონი თვითონ არის ცილისმწამებელი; უყვარს ცილისმწამებლები და მაბეზღარები და უდანაშაულო ადამიანებს სასტიკად სჯისო...

ამჯერად ნიკონმა თავშეკავება გამოიჩინა:

— მე წმინდა მოციქულთა და წმინდა მამათა კანონებით ვსჯი. — მხოლოდ ეს უპასუხა ნერონოვს.

კამათში ნიკონის თანაშემწეები ჩაერივნენ და განაცხადეს, ნერონოვის ცოლი აფთარია, ვაჟმა კი ყაზანის ღვთისმშობლის ხატს დედოფლის შეწირული საყურეები მოპარაო. ღვთისმოსავთა ქომაგს ოჯახში მართლაც ვერ ჰქონდა ყველაფერი რიგზე. აბაკუმი თავისი ოჯახის გამო შიშობდა კიდეც, რადგან ნერონოვის სახლში გამუდმებით ლოთობდნენ და იქაურობას იკლებდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, საქმე ქილიკით დაიწყო, მერე ერთმანეთის უხეშ, მოურიდებელ ლანძღვაში გადავიდა და ბოლოს წერილმანი ჭორიკანობით დამთავრდა. ამ კრებებზე, რომელთაც ესოდენ ტრაგიკული შედეგი მოჰყვა, არავითარ მაღალ მატერიებზე ლაპარაკი არ ყოფილა.

ნერონოვი ნიკონს საყვედურობდა — ბონიფატიევი ყბად აიღე, შენი ყოფილი მეგობრები დაივიწყეო.

— აქამდე ჩვენი მეგობარი იყავი, ახლა კი ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდი. ერთნი გააძევე და მათ ადგილზე სხვანი დააყენე, რომელთაგან სიკეთეს არავინ უნდა ელოდეს.

ნიკონმა ნერონოვს მიახალა, შენზე შენი ყაზანის ტაძრის მღვდელმა და მედავითნეებმა არზა გამოგზავნეს, უწესობასა და უხეშობაში გდებენ ბრალსო. ნერონოვმა არზის წაკითხვა

მოითხოვა. მაგრამ უარი უთხრეს. მაშინ იგი აყვირდა, „ნიკონი მკრეხელია, ყბედი, მწვალებელი და მატყუარაო".

ახლა დანაშაულის შემადგენლობა ხელთ ჰქონდათ — ცილისწამება, „მღვდელმთავრის" შეურაცხყოფა. ნერონოვი სვიმონის მონასტერში ჩასვეს, მერე პატრიარქის კარზე მიიყვანეს, სასტიკად სცემეს, კათოლიკე ეკლესიაში არახჩინი მოხადეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან წირვის ჩატარების უფლება აღარ ჰქონდა, მერე კი კუბენის ტბაზე, ვოლოგდის მონასტერში გადაასახლეს.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

მეფის თანდასწრებით ლოგინი ტაძარში გაკრიჭეს. წოდების აყრის წესი ასეთი იყო: მსჯავრდადებულს მღვდლის ტანსაცმელს გახდიდნენ, წვერს შეკრეჭდნენ და თავზეც ერთ ბღუჯა თმას შეაჭრიდნენ. როცა ლოგინს გრძელკალთება ხიფთანი გახადეს, იგი, როგორც აბაკუმი წერდა, ზღურბლს იქით, საკურთხეველში ნიკონს სახეში აფურთხებდა; ქამარი შეიხსნა, ხალათი ტანზე შემოიგლიჯა და ნიკონს სახეში ესროლა... „იმ დროს დედოფალიც ეკლესიაში იყო. ლოგინს ჯაჭვი შეაბეს და ნათლისღების მონასტრამდე ცოცხებისა და მუჯლუგუნების ცემით მიათრიეს, კარავში შიშველი დააგდეს, სტრელეცები დარაჯებად დაუყენეს და უბრძანეს, თვალი არ მოაშოროთო".

აბაკუმმა და დანიელ კოსტრომსკიმ ერთხელ კიდევ სცადეს მეფეზე გავლენა მოეხდინათ და არზა გაუგზავნეს. მაგრამ მეფე მტკიცედ იცავდა ნიკონისათვის მიცემულ პირობას და არზა ისევ მას გადასცა.

დანიელიც გაკრიჭეს, სცემეს და ასტრახანში გადაასახლეს, სადაც მიწურის სატუსაღოში ამოხადეს სული. დედაქალაქში ტერორი მძვინვარებდა. ღვთისმოსაობის ქომაგთ ერთიმეორის მიყოლებით აპატიმრებდნენ და სხვადასხვა ქალაქების ციხეებში აგზავნიდნენ. პატრიარქის პრიკაზის მდივნები ეკლესიებში დადიოდნენ, ხალხის ლაპარაკს აყურადებდნენ. იჭერდნენ ყველას, ვინც ტუსაღებთან ახლო იყო. შეშინებულმა მრევლმა სიარული აღიკვეთა ეკლესიებში, სადაც ძმობა წირავდა.

მეფის მოძღვარი ბონიფატიევი იმალებოდა და დუმდა.

ასეთი სასტიკი შურისძიება იმ დროისათვის ჩვეულებრივი იყო. საფიქრებელია, რომ დეკანოზები არანაკლებ მკაცრად გა-

უსწორდებოდნენ ნიკონს, ხელისუფლების სათავეში რომ მდგარიყვნენ.

როცა ბორკილდადებული და კისერზე ჯაჭვგამობმული ნერონოვი მოსკოვის ქუჩებში მიჰყავდათ, მის გასაცილებლად ხალხი გამოვიდა და უმრავლესობა ტიროდა. არც ისე დიდი ხნის წინ უწყალო „თვალთმაქცი მორწმუნენი და ორპირები“ ჭირივით ეჯავრებოდათ და სცემდნენ კიდეც. მაგრამ ახლა, როცა ხელისუფლება მათ გაუსწორდა, რუსმა ხალხმა სიბრალული იგრძნო, ხოლო თანაგრძნობიდან ერთი ნაბიჯიღა იყო მათი „მეამბოხური“ სიტყვებით დაინტერესებამდე.

23

ხალხის წინაშე პირველი აბაკუმი გამოვიდა. ნერონოვი რომ დააპატიმრეს, იგი ყაზანის ეკლესიის კარიბჭესთან გავიდა და ქადაგება დაიწყო. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, როგორ და რას ლაპარაკობდა აბაკუმი; ცნობილია, რომ „მან იმაზე მეტი თქვა, ვიდრე უნდა ეთქვა“.

ეკლესიაში მაშინვე გაჩნდა პატრიარქის მთავარდიაკონი გრიგოლი და ყაზანის მღვდლები წააქეზა.

— განა თქვენ არ შეგიძლიათ ხალხს ქადაგება წაუკითხოთ, აბაკუმს რომ აკითხებთ? თავად დამოძღვრეთ.

პატრიარქის ხალხი აბაკუმს ძერასავით დასტრიალებდა თავს და მის მცდარ ნაბიჯს ელოდა. აბაკუმმა გადადგა ეს ნაბიჯი.

ნერონოვის არყოფნის დროს ეკლესიის წინამძღვრად აბაკუმი რჩებოდა ხოლმე. კვირას, 13 აგვისტოს, პატრიარქის მთავარდიაკონის მიერ წაქეზებულმა ყაზანის მღვდლებმა აბაკუმს „პირველობა“ ჩამოართვეს.

— პირველობა მე მამის ბრძანებითა და ჩინით მეკუთვნის, მე დეკანოზი ვარ, — უთხრა მათ აბაკუმმა.

— შენ იურევეცის დეკანოზი ხარ და არა ჩვენი, — უპასუხა მას ივან დანიელოვმა.

არასწორი ნაბიჯისაკენ აბაკუმს შელახულმა თავმოყვარეობამ უბიძგა. მას კიდევ შეეძლო ყაზანის მღვდლებს შერიგებოდა, რომლებიც უნერონოვოდ სულს ღაფავდნენ, სასახლიდან საზრდოს აღარ იღებდნენ, მდიდარი მრევლი მათთან აღარ

დადიოდა და ამიტომ აბაკუმის ნაცნობების იმედი ჰქონდათ.

აბაკუმმა სხვა ეკლესიებს მიაშურა, მაგრამ ყველგან კეთროვანივით თავიდან იშორებდნენ. მაშინ მან ერთგული „ცხვარნი" შეკრიბა და ნერონოვის ეზოში მდგარ დიდ ფარდულში („საშრობში") დაიწყო წირვა.

— დგება ჟამი, როცა ზოგიერთ ეკლესიას საჯინიბო სჯობია. — ანუგეშებდა ერთგულ მრევლს აბაკუმი.

ეს უკვე დანაშაული იყო — ყველა საეკლესიო წესის დარღვევა. მღვდელი ივან დანილოვი თავქუდმოგლეჯილი გავარდა პატრიარქის კარზე აბაკუმის დასაბეზღებლად. მღვდელი დაასაჩუქრეს, მისი შვილი ყაზანის ტაძრის დიაკვნად დანიშნეს. როგორც გამოირკვა, იმავე ივანეს წაუქეზებია სხვა მღვდლები, რომ პატრიარქისთვის ნერონოვის შესახებ არზა გაეგზავნათ.

1653 წლის 21 აგვისტოს, კვირა ღამით, პატრიარქის ტრაპეზის გამრიგემ ბორის ნელედინსკიმ ნიკონს თავისი ერთგულება დაუმტკიცა. პატრიარქმა იგი მალე ბოიარი გახადა. მისი სტრელეცები ყიჟინით შეცვივდნენ „საშრობში", სადაც აბაკუმი ცისკრის ლოცვის წინ თავის მრევლს იოანე ოქროპირის „ქადაგებას" უკითხავდა, წიგნები ძირს გადმოყარეს, ზედ ფეხებით შესდგნენ და აბაკუმის „სამწყსო" კუთხეში მიამწყვდიეს. თვითონ ნელედინსკი აბაკუმს მიუახლოვდა, ერთი-ორი უთავაზა, მერე წვერში ხელი ჩაავლო და ფარდულიდან გამოათრია.

სტრელეცებმა პატრიარქის კარზე ორმოციოდე კაცი მორეკეს. ნიკონი მაღალ წინგარდზე გამოვიდა და ყველა დაწყევლა, მერე ბრძანა, აბაკუმი ჯვრის პალატში მომგვარეთო.

როცა დეკანოზს პატრიარქის კარისკენ მიათრევდნენ, იგი ვედრებით ბუტბუტებდა: „იმედო, არ მიმატოვო! სასოებავ, არ მიღალატო!" მაგრამ როგორც კი ჯვრის პალატში შეიყვანეს, გულს ცეცხლი მოედო. პატრიარქმა და მისმა დიაკვანმა ივანე კოკოშილოვმა სცადეს აბაკუმის დარიგება, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. გაშმაგებული დეკანოზი ვერ გრძნობდა, სად იმყოფებოდა. პატრიარქი იქნებოდა თუ არაპატრიარქი, ახლა მისთვის სულერთი იყო. იცოდა — „და რომელნი ეკალთა შორის დათესნეს, ესენი არიან, რომელთა სიტყუაჲ იგი იხმინიან".

ნიკონმა აბაკუმს უსმინა და მერე კოკოშილოვს უთხრა:

— ივანე, ჰა ივანე, ავი და ბოროტია ეს ქვეწარმავალი დეკანოზი, სიქას გამაცლის.

— შენც, მეუფეო, ადექ და მზე დაუბნელე. — ურჩია დიაკვანმა.

— არ შეიძლება ძმაო, მეშინია, ძლიერი დამცველები ჰყავს, — უპასუხა ნიკონმა, გაახსენდა, თუ რა გულმოწყალედ ექცეოდნენ აბაკუმს მეფე, დედოფალი, რტიშჩევი... ეს რომ არა, დეკანოზს დილამდე არ აცოცხლებდა.

ნიკონმა ბრძანა აბაკუმი ჯაჭვით დაებათ.

ალიონზე აბაკუმი ოთხთვალაზე დააგდეს, ხელები შეუკრეს და ანდრონის მონასტერში წაიყვანეს. სამ დღეს ეგდო ბნელ დილეგში უწყლოდ და უპუროდ. „ჩემთან არავინ მოდიოდა... მხოლოდ თაგვები და ტარაკანები. ჭრიჭინამ ყურები წაიღო, რწყილებმა შემჭამა". მეოთხე დღეს მასთან არქიმანდრიტი მივიდა ძმებთან ერთად და დატუქსა, პატრიარქს რატომ ეურჩებიო, აბაკუმი კი „საღმრთო წერილით ნიკონს ლანძღავდა". ბერებმა იგი ჯაჭვით ეკლესიაში შეათრიეს, თმები დააგლიჯეს, სახეში აფურთხებდნენ...

ათი დღის შემდეგ ისევ პატრიარქის კარზე წაიყვანეს. ეს არც ისე იოლი საქმე გამოდგა. გოლიათი აბაკუმი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. ბოლოს მაშინდელი მოდის მიხედვით მუხლებამდე დაშვებულ სახელოებში ხელი ჩაავლეს, გადაუგრიხეს და დეკანოზი ქალაქის ქუჩებში „ავაზაკივით" წაათრიეს.

მთავარდიაკონმა გრიგოლმა აბაკუმი ბოლო არზის გამო დაკითხა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ერთმანეთი იქამდე ლანძღეს, სანამ მთავარდიაკონი „დედის გინებაზე" არ გადავიდა და არ ბრძანა, აბაკუმი მონასტერში წაათრიეთო.

მაშინ კი გამოვიდა „ბრძანება დიდმთავარ ნიკონისა", რომ „იურევეცის დეკანოზი, მისი არაერთგზის თავაწყვეტილი ქცევისათვის ცოლ-შვილიანად გადასახლებულ იქნეს ციმბირის ქალაქში, ლენაზე".

თოთხმეტ ოქტომბერს აბაკუმმა წერილით აცნობა ნერონოვს თავისი დაპატიმრებისა და იმ უბედურების ამბავი, ძმობას რომ დაატყდა თავზე. მეორე დღეს კი დეკანოზი მიძინების ტაძარში წაიყვანეს გასაკრეჭად. ოთხთვალა მოსკოვის ხეფენილ ქუჩებზე მიბრახუნობდა. გზაზე გრძელი პროცესია შემოხვდათ

ჯვრით ხელში. ნიკიტას დღე იყო და მთელი მოსკოვის დიდებულები ეკლესიის მესვეურებთან ერთად დაბა ბასმანის დიდი მოწამის ნიკიტას ეკლესიისაკენ მიემართებოდნენ. ჯაჭვგამობმული აბაკუმი „ჯვრების საწინააღმდეგო" მიმართულებით მიჰყავდათ. მას თვალები ძირს დაეხარა, თავის აწევასაც ვერ ბედავდა — ყველა მისი ნაცნობი აქ იყო, ყველა ხედავდა მის დამცირებას... მაგრამ აბაკუმმა ჯერ არ იცოდა, რომ ბევრი მათგანი ზიზღით კი არა, თანაგრძნობით შეჰყურებდა: წმიდანისა და წამებულის სახელი უკვე აწვა ფართო მხრებზე.

ტაძარში წირვას მეფე ესწრებოდა და აბაკუმი შესასვლელთან დიდხანს გააჩერეს. წირვის შემდეგ ალექსი მიხეილის ძე ტახტიდან გადმობრძანდა და დიდი თხოვნის შემდეგ ნიკონი დაითანხმა, დეკანოზი არ გაეკრიჭათ. ჩანს, აბაკუმი შეებრალა მეფეს, რომელსაც უყვარდა ნიჭიერი ხალხი, თანაც ყურად იღო გულჩვილი დედოფლის ვედრებაც.

ტაძრიდან ორი ნაბიჯია ციმბირის პრიკაზამდე, სადაც აბაკუმი მის მომავალ თანამზრახველს დიაკვან ტრეტიაკ ბაშმაკს ჩააბარეს. აქ აბაკუმს გამოჰკითხეს და დაწერეს, რომ დეკანოზის ცოლი ნასტასია ნერონოვის კარზე ცხოვრობს და სამი ვაჟიშვილი ჰყავთ: ცხრა წლის ივაშკა, ხუთი წლის პრონკა და რვა დღის კორნილკა, რომელიც აბაკუმის პატიმრობაში დაიბადა; ამათ გარდა კიდევ რვა წლის ქალიშვილი აგრაფინა და ძმისწული მარინკა.

ნასტასია მშობიარობის შემდეგ ჯერ კიდევ სუსტად იყო, მაგრამ ავადმყოფი ოთხთვალაზე დასვეს და მაინც წაიყვანეს: წინ კი დიდი გზა ედოთ — ციმბირამდე ოთხთვალით, ნავით, მარხილით სავალი.

24

იაროსლავლის გზაზე მიმავალ მცირე აღალს ხუთი ცხენოსანი მიაცილებდა — სამი სტრელეცი და ორი კაზაკი. სტრელეცები მოსკოველები იყვნენ და მხოლოდ იაროსლავლამდე მიჰყოლოდნენ, მერე კი აღალს ეოლოგდამდე იაროსლავლელები გაჰყვებოდნენ. ასე ეწერა სამგზავრო სიგელში, რომელიც ენისეელ კაზაკს ირიდიონ ივანოვს თავის თოფრაში ჰქონდა შენახული. მას და ტიუმენელ კაზაკ ივან სტეფანოვს ევალებოდათ დეკა-

ნოზი აბაკუმი თავისი ჯალაბობით დანიშნულ ადგილამდე ჩაეყვანათ.

მეფის წყალობით აბაკუმი ბორკილდადებული პატიმარი აღარ იყო და ლენაზე კი არ მიდიოდა, არამედ ციმბირის დედაქალაქ ტობოლსკში, თავის ძველ ნაცნობ არქიეპისკოპოს სვიმონთან. სვიმონს მოსკოვში შემოეთვალა, ციმბირში თეთრი და შავი სამღვდელოება არ მყოფნის და გთხოვეთ „ღვინის მოძულენი“ და „თაღლითობის მოძულენი“ გამომიგზავნოთო.

შორეულ ციმბირის მხარეში აბაკუმისთვისაც გამოინახება კარგი ადგილი. სიგელში, კაზაკს რომ მიაქვს, ტყუილად როდი წერია, მღვდლობა აბაკუმს ჩამორთმეული არა აქვსო. მაგრამ „დაცვის მიზნით“ კაზაკები და სტრელეცები მაინც გააყოლეს.

ოღონდ ესაა, რომ შორი გზა უდევთ — სამი ათასი კილომეტრი, ცამეტი კვირის სავალი. მარკოვნა იტანჯება, საბრალო. მდინარით ყაზანზე გავლით რომ წასულიყვნენ, რა თქმა უნდა, ჯობდა, მაგრამ ზამთარი კარზეა მომდგარი და მდინარეებს გაყინავს. უკიდეგანოა რუსეთის მიწა. ჯერ მარტო სამგზავრო სიგელში რამდენი ქალაქია ჩამოთვლილი! პერესლავ-ზალესკი, იაროსლავლი, ვოლოგდა, შემდეგ სუხინ-მდინარით ტოტმა და ველიკი უსტიაგი უნდა გაიარონ. მერე ისევ ხმელეთით უწევთ მგზავრობა — სოლ ვიჩეგოდსკაიას, კაიგოროდს, სოლ კამსკაიას გაივლიან, მერე იქნება ციმბირის ქალაქები — ვერხოტურიე, ტურინის ციხე-ქალაქი, ტიუმენი... იქაურ ვოევოდებს ნაბრძანები აქვთ, კაზაკები და გადასახლებულები არ დააყოვნონ.

25

გზა ვოლოგდამდე ისევე ძველი იყო, როგორც თვით რუსეთი. მაგრამ ასეთი მოძრაობა აბაკუმს მანამდე არსად ენახა. ბოლო არ უჩანდა მოსკოვიდან და მოსკოვისკენ მიმავალ საბარგულებს. ქარივით მიქროდნენ ტროიკები. მეეტლეები ყაჩაღებივით უსტვენდნენ, ყურადღებაგაფანტულ მებარგულს მათრახის გადაკვრით აფხიზლებდნენ, გამვლელები ზურგს იფხანდნენ და შურით აყოლებდნენ თვალს. კარგი ხიფთანები და ქუდები აქვთ მეეტლეებს, მდიდრულად ცხოვრობენ. წელიწადში ოცდაათ მანეთამდე ჯამაგირს იღებენ, ახლა მიწა რამდენი აქვთ!

რუსეთში გზები სახელმწიფოსია. მათ იამსკის პრიკაზი განაგებს. ამიტომ არის გზებზე წესრიგი, უცხოელებსაც ამიტომ უყვართ ასეთი სწრაფი სიარული...

მხოლოდ მგზავრობაში იგრძნობ ჭეშმარიტად, რაოდენ თვალუწვდენელი და მდიდარია რუსეთი. განსაკუთრებით ბოლო წლებში გამოცოცხლდა ყველაფერი. იზრდება ქალაქები, იფურჩქნება ხელოსნობა, ვითარდება ვაჭრობა. ყველა ქალაქს უკვე თავისი სახე აქვს, თავისი წესი და ადათები. ერთი სამჭედლო საქმით ამაყობს, მეორე თავისი დაბაღებითა და მეკუპრეებით, მესამე — იზოგრაფებითა და მეჩუქურთმეებით, მეოთხე... გაჩაღდა ქალაქებს შორის ვაჭრობა, გაცვლა-გამოცვლა, ჩამოყალიბდა ერთიანი ვეებერთელა „სრულიად რუსეთის ბაზარი".

ამიტომაც დაგროვდა დიდძალი ფული, მთელ რუსეთში გაჩაღდა დიდი მშენებლობა... ხის ეკლესიებისა და მონასტრების ნაცვლად, ერთ წელსაც რომ ძლივს ძლებდა, ქვებისა წამოჭიმეს, ქალაქში კი სავაჭრო პალატები ააშენეს, სადაც საქონლის შენახვაც საიმედო იყო. მართლაც, ჩვენამდე შემონახული შესანიშნავი ძველი არქიტექტურული ძეგლების უმრავლესობა აშენებულია ან დაწყებულია XVII საუკუნის მეორე ნახევარში. როსტოვის კრემლი, პერესლავის, იაროსლავლის, ტოტემის, ველიკოუსტუქის ეკლესიები, მაკარის მონასტერი... აი, მცირე ნაწილი იმისა, რაც აბაკუმმა სამშენებლო ხარაჩოებში ნახა.

ვოლოგდიდან გზა ბრტყელძირა ნავებით განაგრძეს. ოცი მენიჩბე მსუბუქად მიასრიალებდა ხომალდს სუხონის დინების მიმართულებით. ბრტყელძირა ნავები კი, ორმოცდაათამდე რომ აღწევდნენ და მობეგრეებად იწოდებოდნენ, დინების აღმა მიცურავდნენ, სადაც მდინარის აღმა აჭრა გაუჭირდებოდათ, ჭაპანში უნდა ჩაბმულიყვნენ და ფონით მდინარეთა შესართავების სილიან ნაპირებზე თხმელნარში ეევლოთ.

პატარა მდინარეა სუხონა, მაგრამ ის აკავშირებს მოსკოვს არხანგელსკთანაც, პეჩორის მიწებთანაც, ციმბირთანაც. დაუსრულებლად მიცურავენ ზედ ინგლისური მაუდით, აბრეშუმითა და ხავერდით, ჭურჭლეულობით, ღვინითა და იარაღით, სიასამურის, თახვის, ყარყუმის, მელიის, თეთრი მელიის ძვირფასი ბეწვით, ხორბლით, ტყავით, ქონით, თაფლის სანთლით, თაფლით, თევზით, სელით დატვირთული ხომალდები.

მარტო 1653 წელს, როცა აბაკუმი გადასახლებაში მიდიო-და, არსანგელსკიდან საზღვარგარეთ გაიტანეს მილიონ საოცდაოთხი ათასი მანეთის საქონელი.

ველიკი უსტიუგში ნავმისადგომებთან მთელი სანაპირო საქონლით იყო სავსე. ქალაქის ხუთას დუქანსა და ორმოცდაათ ეკლესიაში აუარება ხალხი ირეოდა. სავაჭროდ დადიოდნენ ირანელებიც, ინგლისელებიც და სხვა ქვეყნის ხალხიც. ყველას თავისებურად ეცვა. ასისთავები „შესაგროვებლად" ჩამოდიოდნენ — კაზაკებად მიჰყავდათ ციმბირში ბედის საძებნელად გადმოხვეწილი თავისუფალი ხალხი. ცნობილი მოგზაურები დეჟნევი და ხაბაროვი უსტიუგელები იყვნენ. ციმბირელი ვოევოდები უსტიუგიდან იწერდნენ ხომალდის ოსტატებს, მჭედლებს, მესაჭურვლეებს, ამიტომ იყო, რომ ქალაქში ანდაზაც კი დადიოდა: „ციმბირში უსტიუგელთა გარეშე არავითარი საქმე არ გაკეთდებაო".

26

ციმბირის ამბები აინტერესებს აბაკუმს. დეკანოზის გამცილებელი ენისეელი კაზაკი როდკა ივანოვი ენაწყლიანი კაცი გამოდგა. ბევრ ქალაქში ყოფილა, მდინარეთა ნაპირებზე სოკოებივით რომ მრავლდებოდნენ. სალაშქროდაც უვლია. ციმბირს დიდძალი ხალხი აწყდება! ახლა იქ რუსები ორჯერ მეტნი არიან, ვიდრე ადგილობრივები. ქუდზე დაძახებითაც მოდიან და ბრძანებითაც. სახელმწიფო ვოევოდებისგან მხოლოდ ბეწვეულს მოითხოვს. გლეხი თავისუფალია — დასახლდი, მოაწყვე მეურნეობა. მძიმე გადასახადი თითქმის არ არსებობს.

დამნაშავეებს ბრძანებით მიერეკებიან. ციმბირში მათთვის ციხეები არ არის, გადაგზავნიან ბორკილდადებულებს გადაკარგულში, სადაც თავიც უნდა ირჩინონ და მეფისათვის მიწებიც მოიპოვონ. რუსეთის სახელმწიფოს მოძრავ საზღვარზე ყველაზე დაუდეგარი ხალხი იყრის თავს. გაქცეული ყმები, ქურდები, ავაზაკები, უცხოელი ტყვეები. ვის არ შეხვდები ციმბირში: პოლონელებს, ლიტველებს, კეისრის მიწების თუ ლივონელ ან შვედ გერმანელებს, ლატვიელებს, მალოროსიელ ჩერქეზ კაზაკებს, ერთი ფრანგიც კი აღმოჩნდა.

გლეხი შრომობს, თავისუფალ ხალხს კი მიწას ვერ მიაბავ.

ისინი ვაჭრობითა და ხელოსნობით ირჩენენ თავს, კარისკაცებად ეწერებიან, ვოევოდებისა და მოურავებისაგან წყენასა და შევიწროებას ვერ იტანენ; შეგროვდებიან, დროებით ბინებს, ბრტყელძირა ნავებს ააგებენ და ჰაიდა, მდინარით დასავლეთისკენ მოუსვამენ.

თვითონ როდკა ივანოვი ვოლოგდელია, ციმბირელი კაზაკი ქუდზე დაძახებით გამხდარა, მასთან ასისთავი ჩასულა და ათისთავები შეუგროვებია, იმათ, თავის მხრივ, ნათესავებისა და თავისუფალი ხალხისაგან რიგითი კაზაკები შეუკრებიათ. ამ ასისთავმა პეტრე ბეკეტოვმა ყველას თავდებობის ხელწერილი დაადებინა, რომ, როგორც ცხენოსანი კაზაკები ქალაქ ენისეისკში იცხოვრებდნენ და ხელმწიფეს ემსახურებოდნენ, „არ იქურდებდნენ, სამიკიტნოებს არ გახსნიდნენ, მეძავებს არ გაიჩენდნენ, ფულზე არ ითამაშებდნენ, არც მოიპარავდნენ და არც გაიქცეოდნენ". თუ იმ ათიდან თუნდაც ერთი კაცი გაიქცეოდა, სახელმწიფო უკლებლივ ყველას ჯამაგირს შეუწყვეტდა. იმ ერთის გამო ყველა საკუთარი თავით აგებდა პასუხს. მაგარი ხელწერილია!

ქუდზე დაძახებულნი სახელმწიფოსაგან დახმარებას იღებდნენ — ცოლიანები ორ მანეთს, უცოლოები — მანეთ-ნახევარს. ფული რომ გაანიავეს, ახალგამოჩეკილი კაზაკები ციმბირისაკენ დაიძრნენ. ისინი გზაზე ქალაქებსა და სოფლებს არ-ბევდნენ, თანამემამულეთ თათრებზე მეტად ძარცვავდნენ, საქონელს ხოცავდნენ, ქალებს იტაცებდნენ. მეფემ ბრძანა, ყველა ამ საქმის ჩამდენი ჩამოალრჩეთო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — თვითონ ვოევოდებიც ყაჩაღობდნენ.

ციმბირში მღვდლები ძალიან ცოტანი არიან, თუმცა ოცდაათ მანეთ საგზაო ფულს კი იღებენ და შეღავათითაც სარგებლობენ. ხალხი ხომ ყურს არ უგდებს და ახლა ვოევოდები არახჩინს თვითნებურად ხდიან, კეტითაც სცემენ.

როდიონმა, ალბათ, თავის ვოევოდაზეც — ათანასე პაშკოვზეც უამბო. მესამე წელია ენისეისკში ზის, კოშკებიანი ციხესიმაგრე ააგო. კაცი კი არა, მხეცია. ხალხს მეფის ბრძანების გარეშე სიკვდილით სჯის. მოხელეებს აწამებს, ტაძრის მღვდელს ერთხელ ისე სცემა, სიკვდილის პირას მიიყვანა, ხალხს ფულებს სცინცლავს, სადაც რამეს წაასწრებს იპარავს და მევახშეობს კიდეც.

მდიდრდებიან ვოევოდები ციმბირში. მათი ზოთოკვა მხოლოდ მეფეს ძალუძს. არმად ნაშოვნი დოვლათით წურბელასავით გაბერილი ვოევოდა სამსახურიდან რუსეთში ბრუნდება, ვერხოტურიეს საბაჟოში კი მას უკვე მოუთმენლად ელიან. ბეწვეულის, სიასამურების წამოღება აკრძალულია, ხუთას მანეთზე მეტი საფასურის ქონებას ვერ წამოიღებ. ყველაფერს, რაც ზედმეტი აღმოჩნდება, ჩამოგართმევენ და მეფის ქონებას მიაწერენ.

აბაკუმს და ღვთისმოსაველს ციმბირულ წეს-ჩვეულებებზე ცოტა რამ გაეგებოდათ, ციმბირისა და ტობოლსკის არქიეპისკოპოსთა სიგელ-გუჯრებში კითხულობდნენ ხოლმე. იცოდნენ, რომ რუსები და უცხოელები, რომლებმაც მართლმადიდებლობა მიიღეს, ჯვარს არ ატარებენ, მარხვას არ ინახავენ, თათრებთან, ოსტიაკ-ხანთებთან და ვოგულ-მანსიელებთან ერთად მარხვაზე ხორცსა და ყველანაირ სისაძაგლეს ჭამენ. რუსები ციმბირში საბატონოდ არ ჩამოსულან, უცხოტომელებში ცხოვრობენ, მათთან მეგობრობენ, ყოველდღიურად, გარდა დღესასწაულებისა, მათებური ტანსაცმელი აცვიათ. მოუნათლავ ადგილობრივ ქალებთან ცხოვრობენ, მღვდლებიც ხელს არ [illegible]ბენ, არაქრისტიანული წესით ადგამენ გვირგვინს.

აბაკუმს გული მოსდის ციმბირელთა ურწმუნობაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცის, რომ ეს რუსული უბრალოება თოფზე და ხმალზე უფრო ძლიერად უწყობს ხელს ახალ მიწებზე დამკვიდრებას. კონკისტადორი ან „ნეგოციანტი" უცხო ქვეყანაში რომ მივა, ცეცხლითა და მახვილით ხვდებიან: ადგილობრივი მცხოვრებლები ან საუკუნოდ დაემონებიან, ან აბუჩად აგდებულ მდაბალ არსებად იქცევიან, მაგრამ მტრად აუცილებლად მოეკიდებიან. რუსი კაცი ყოჩაღი და გულღიაა, ყველაფერი ეხერხება, ყველაფერი გამოსდის ხელიდან, ნაჯახით სასწაულებს ახდენს — ქოხსაც აშენებს და მრავალგუმბათიან ეკლესიასაც, სამდინარო ხომალდსაც ადვილად ააგებს და ისე შეღებავს, რომ მზერით ვერ გაძღები, მაგრამ თავის უნარს სხვებს არ უმალავს, ამით მათთან თავი არ მოაქვს, სტუმრადაც დადის, მასპინძლობაც იცის, დანათესავებაც უყვარს... მონები კი არა ჰყოლია. შერეულ ოჯახებში, შერეულ დასახლებებში უფრო დიდი კულტურა იმარჯვებდა.

როგორც ყველას ენისეისკში, როდკა ივანოვსაც ცოლად

იქაური ქალი ჰყავს. ღმერთმა ღაწვმალალი ბავშვები მისცა, ნიჭიერები არიან, წერა-კითხვაც იციან. ციხესიმაგრესავით სახლი უდგას. ქონებაც ბლომადა აქვს და იარაღიც. ხანდახან კერპთაყვანისმცემლები — ცოლის თვისტომნი—დაჩაგვრას დაუპირებდნენ ან თავისიანები სალაშქროდ წასელისას გადაამლაშებდნენ. როდაა ღვთის შემწეობით ფანჯრიდან სროლით ყველას ადვილად იგერიებდა; გულს არ აკლია, რას იზამ, ასეთია თავისუფლება ციმბირში, ცხოვრება აქ ჯერ არ დადუღებული. ტობოლსკი დიდი ქალაქია, მარტო მამაკაცი ოცდაათი ათასი იქნება, და იქაც ყველა იარაღს ატარებს. როდაა ასისთავ პეტრე ბეკეტოვს სახელმწიფო ხარკის ასაკრებად ახლდა, იაკუტიის ციხე-ქალაქს აშენებდა, დაურიაში, მდინარე სელენგაზე და ხილაზეც ციხე-ქალაქებს ერთად აგებდნენ. ახლა ბეკეტოვი სტრელეცების და კაზაკების უფროსი გახდა, პოლკოვნიკის ჩინი მიიღო, ხოლო ის, როდაა, ვოევოდა პაშკოვმა მოსკოვიდან ციმბირის უწყებაში გაგზავნა და სიგელი გაატანა. იგი აბაკუმს ტობოლსკში ჩააბარებს და შინ დაბრუნდება. მაგრამ, ალბათ ოჯახში დიდხანს დარჩენა არ მოუწევს — პაშკოვი ორას კატარღას აგებს დაურიის მიწაზე დიდი ლაშქრობის მოსაწყობად, რომელსაც ცნობილი ვოევოდა თავადი ლობანოვ-როსტოვსკი უხელმძღვანელებს...

ისმენდა აბაკუმი პაშკოვისა და ბეკეტოვის ამბებს, მაგრამ არ იცოდა, რომ მათ მალე გაიცნობდა და საოცარ მხარეებს ნახავდა.

27

ბევრი ქალაქი, დაბა თუ სოფელი გაიარა აბაკუმმა, ბევრი ხალხი და ზნე-ჩვეულება ნახა. მის პირველ მოგზაურობაზე მთელი წიგნის დაწერა შეიძლებოდა. „რამდენი გაჭირვებაც გზაში ნახა, იმის აღწერა ძნელია". შობას ტობოლსკში ჩააღწიეს. ვოევოდამ აბაკუმი მიიღო და არქიეპისკოპოს სვიმონთან გაგზავნა, რომლის საპატრიარქო ურალიდან თვით წყნარ ოკეანემდე იყო გადაჭიმული.

არქიეპისკოპოსი აბაკუმს ჯერ კიდევ მაკარის მონასტრიდან იცნობდა და კარგადაც შეხვდა. თავის პოსტზე ღვთისმოშიშთა მცდელობით იყო დანიშნული. მათი განადგურების შემდეგ

მოსკოვში არ ყოფილა, ჯერ კიდევ არ გამხდარა თავგამოდებული ნიკონელი. „მაშინ კეთილი იყო, ახლა კი განდგომილი გამხდარა", — იტყვის შეშდეგ აბაკუმი.

სვიმონმა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ შეძლო თავისი უფლებების გაფართოება. ტობოლსკის ზნამენსკის მონასტერში წინამძღვრის მაგივრად „თეთრქუდიანი" არქიმანდრიტი დანიშნეს. სოფიის სადეკანოზოსთან კიდევ ერთი — ამაღლების სადეკანოზო შექმნეს. ასე გაჩნდა ტობოლსკში ორი ტაძარი და აბაკუმი „ამაღლების დეკანოზად" დანიშნეს, რაც დაწინაურება იყო. მას ხელქვეითად ჰყავდა მღვდელი, დიაკვანი, მედავითნე და მნათე.

ლამაზია თეთრი ქვით ნაგები ტობოლსკი. ქალაქი მდინარის ასაქცევთან დგას, ტობოლისა და ირტიშის შესართავთან. მდინარიდან რომ უყურებ მაღალ ფერდობზე მდგარ მის წერწეტა, ცადაწვდენილ კოშკებსა და ეკლესიებს, გეგონება, წონა არა აქვთო. აბაკუმის დროს ქვის ქალაქი ჯერ კიდევ არ იყო. გორაზე ხის ცხრა მკვიდრად ნაგები კოშკი იდგა, უფრო ზევით კი სოფიის ტაძრის ცამეტი გუმბათი მოჩანდა. ციხე-სიმაგრეში ინახებოდა განძი — სიასამურის, ფოცხვერის, ციყვის ტყავები, — რომელსაც მეფისათვის მთელ ციმბირში აგროვებდნენ... მარტო სიასამურის ტყავი წელიწადში ორასი ათას მანეთზე მეტისა გროვდებოდა.

ოდესღაც ამ ადგილებში იდგა კუჩუმ-ხანის სატახტო ქალაქი ისკერი, რომელიც ერმაკმა გაანადგურა და შემდეგ ივანე მრისხანეს „მოწიწებით სთხოვდნენ ჩამობრძანებას ციმბირის ახალ სამეფოში". მას შემდეგ, რაც ნასწავლმა თავკაცმა დანიელ ჩულკოვმა ირტიშის ასაქცევთან მაღალ გორაკზე ციხე-ქალაქი ააგო, სამოც წელზე მეტი არ იყო გასული, მაგრამ ტობოლსკი უკვე მთელი ციმბირის დედაქალაქად ითვლებოდა და თავისი გერბიც ჰქონდა: ზედ უკანა თათებზე შემდგარი ორი სიასამური და მათ შორის ორი ვერტიკალური ისარი იყო გამოსახული. ამ გერბით ქალაქს უფლება ენიჭებოდა უცხოელებთან დიპლომატიური მოლაპარაკება ეწარმოებინა.

ამაღლების ხის ტაძარი ზედ ფერდობის კიდეზე იდგა, პრიამსკის ღრმა ხეობის შემაღლებაზე, რომელზეც ზემო ქალაქისაკენ მიმავალი გზა გადიოდა. ზევიდან აბაკუმს შეეძლო დაენახა მთავრის ველზე გადაშლილი ქვედა ქალაქი და წინაქალაქი,

რუსების, გერმანელების, პოლონელების სახლები, თათრული ალაჩოყები, დიდი ბაზარი, სადაც ქარავნები თვით ბუხარიდანაც კი ჩამოდიოდნენ.

28

არქიეპისკოპოსი სვიმონი მოსკოვში კრებაზე ჯერ კიდევ 1653 წლის 19 ნოემბერს გამოიძახეს. ნიკონმა გადაწყვიტა მიეღწია იმისათვის, რომ ახალშემოღებული წესები ერთხმად მოეწონებინათ და ყველა იერარქი იძულებული გაეხადა ეს წესები მიეღო. იანვარში სვიმონმა მთელი წლით დატოვა ტობოლსკი, საეკლესიო და სამემკვიდრეო მამულის საქმეები კი „თავის შინაკაცებს მიანდო" — დიაკვან ივან სტრუნას და უწყების მოხელეს გრიგოლ ჩერტკოვს, და არა აბაკუმს, რომელსაც დეკანოზის წოდება ჰქონდა. ეტყობა, იფიქრა, ერთ თვეში აბაკუმი ახალ ადგილს ჯერ კიდევ ვერ შეეგუებოდაო. ანდა შეიძლება გადასახლებულს არ ენდო.

მაგრამ აბაკუმს საქმე არც ამაღლების ტაძარში აკლდა. იგი ისევ ქადაგებდა და თავის მრევლთან ისეთი საუბარი ჰქონდა პირჯვრის გადაწერაზე, ნიკონზე და სხვა რამეებზე, რომ „წელიწად-ნახევარში ბარე ხუთჯერ დააბეზღეს ხელმწიფესთან".

აბაკუმმა გადაწყვიტა ტობოლსკის ვოლნიცა დაემორჩილებინა და ამისათვის თავს არ იზოგავდა. ტაძრის კარიბჭესთან თავის მრევლს გაბედულად ამხილებდა და აქაც ბევრი მტერი გაიჩინა.

ზნე-ჩვეულებები კი მართლაც თავისუფალი იყო. ერთ საღამოს აბაკუმი სანთლით ხელში ეკლესიასთან მდგარ სახლში შევიდა... თუმცა, ჯობს თავად აბაკუმს მოვუსმინოთ:

„ვხედავ სახლში მრუში კაცი ქალს ზედ აწევს. რომ დამინახეს, წამოხტნენ. მე მათ ვეუბნები, რას სჩადიხართ, ცოდვას რად იკიდებთ-მეთქი? ქალი აქეთ შემომედავა — ნეტაი ვინ გეკითხება განკითხვასო. მე მივუგე: არ განგიკითხავ, მაგრამ არც უფლებას მოგცემ-მეთქი. კაცმა დამიჩოქა და შემომეევედრა — გამიშვიო. ქალი კი, ვითომდა აქ არაფერიო, ამბობს — ცილს მწამებ, დეკანოზო, რაღაც მოგელანდა, ეს ჩემი ძმაა და რაღაცაზე ვჩურჩულებდით. ამას მეუბნება და თან შარვალს იწევს. მეძავები ხომ იქ შარვალს ატარებენ. ვეუბნები, ღვთის

მგმობელო, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს-მეთქი. ამაზე ქალს გაეცინა. მე კი გული მეტკინა: ცოდვის ჩადის და არც ინანიებს-მეთქი. ორივე ვოევოდას მიეგვარე უწყებაში. იქ ამ ამბავზე ბევრი იცინეს, კაცს ერთი-ორი მათრახი დაჰკრეს და გაუშვეს, ქალი კი მე გამომატანეს. მეძავი იატაკქვეშ ჩავსვი. სამ დღესა და სამ ღამეს ვამყოფე სიბნელესა და სიცივეში. მერე აყვირდა: „მოწყალე მამაო პეტროვიჩ, ღმერთისა და შენ წინაშე შევცოდე, დამნაშავე ვარ, აწი აღარ ვიზამ. შემინდე ცოდვილს!" ყოველ ღამე, როცა ლოცვას ვკითხულობ, მიყვირის, ხელს მიშლის. ბოლოს ლოცვას ველარ ვკითხულობ და ამოსვლის ნებასა ვრთავ. ღვინო ან ლუდი ხომ არ გინდა-მეთქი, ვკითხე. მან კანკალით მომიგო, „ღვინო რად მინდა, მამაო, ცოტა პურს თუ მომცემ, კარგია". მაშინ ვუთხარი: „უნდა იცოდე, შვილო, რომ ადამიანში ავხორცულ მრუშობას საშველ-სასმელი ბადებს, ჭკუასაც აკლებს, ღვთისადმი შიშსა და რიდს უქრობს, მაძღარსა და მთვრალს ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, კუროს ეძებს, როგორც კატა ხვადს. სიკვდილისაც არ ეშინია". შემდეგ ხელში კრიალოსანი მივეცი და ვუბრძანე, ღმერთს თაყვანი ეცი-მეთქი. დაიწყო მუხლის მოყრა და ამ ჩოქვა-ჩოქვაში წაიქცა. მნათეს ვუბრძანე მათრახით ეცემა. არ ვიცოდი, რა მექნა ამ გომბიოსათვის. კისერზე ჩამოგმეკიდა ეშმაკის ფეხი. ღვთის წინაშე, ეტირი და მაინც ეტანჯავ. ცოტა კიდევ ვაწვალე და გავუშვი. მან კი, ეშმაკის კერძმა, ძველი ხელობა მაინც არ მოიშალა"...

ამ სიტყვებში ნათლად ჩანს აბაკუმი, მისი ასკეტიზმი და სიმკაცრე: ამასთანავე თავისი მსხვერპლისადმი სიბრალული, რომელიც მისი სიმკაცრის გამო იტანჯებოდა. „ეტირი და ეტანჯავ კიო:." მაგრამ, როგორც მორალისტი, იგი მარცხდება, და ამას აღიარებს კიდეც. ის ყოველთვის ზუსტი და ალალმართალია...

მისი მეორე ცდა, რომ ცოდვილზე მკაცრი ზომებით ემოქმედა — უფრო შედეგიანი გამოდგა.

იმხანად „წარმწყმედელ ბაბილონშ", ტობოლსკში ერთი ლოთი, ავყია და მრუში ბერი ცხოვრობდა. როგორც კი დათვრებოდა, არქიმანდრიტისკენ საცემრად მიიწევდა, ვოევოდას არაფრად აგდებდა და ყოველ შეხვედრაზე ხალხში არცხვენდა.

ერთხელ ღამით იგი აბაკუმს მიეჭრა. ლაფში ამოსვრილი,

გაწეწილი, ლოთობისაგან სახეშეშუპებული ბერი დეკანოზის სახლის ფანჯარას მიადგა, დარაბებს მუშტები დაუშინა და ღრიალი მორთო:

— მოძღვარო, ჰეი, მოძღვარო! აბა ერთი მოიტა ზეციური სასუფეველი.

კარი გაიღო და ზღურბლზე ბრგე აბაკუმი აღიმართა.

— რა გინდა?

— ზეციური სასუფეველი მინდა, აბა, ჩქარა!

„ეს რა ჭირს გადავეკიდე, როგორ მოვიქცე?" — იფიქრა აბაკუმმა და უცებ ერთმა მზაკვრულმა აზრმა გაუელვა.

— შეგიძლია შესვა ჩემ მიერ მოწვდილი ფიალა?

— დიახაც, შემიძლია! — უტიფრად უპასუხა ბერმა, — ახლავე მომეცი, რაღას უცდი?

აბაკუმმა ბერი სახლში შეუშვა. მერე მნათეს უბრძანა შუა ოთახში სკამი დაედგა, მაგარი თოკი და ხორცის საკეპი ცული მოეტანა. თვითონ კი წიგნი აიღო და სულთათანას კითხვა დაიწყო. გაშტერებული ბერი უხმოდ უსმენდა. როცა უბრძანეს, ყველას გამოემშვიდობეო და გათოკილი მერხზე გაშხლართეს, ზარხოშმა მაშინვე გაუარა.

ბერი მერხზე იკრუნჩხებოდა და თვალს მნათესკენ აპარებდა, რომელმაც ცულის ტარს წაავლო ხელი.

— დამნაშავე ვარ, მეუფეო, შემიცოდე და მაპატიე. — საცოდავად აწკმუტუნდა ბერი.

— მოუშვი თოკი, — უბრძანა აბაკუმმა მნათეს.

ბერმა იატაკზე, დეკანოზის ფერხთით ზღარბანი მოადინა.

სასტიკი საუკუნე, სასტიკი ზნე-ჩვეულებები, სასტიკი ხუმრობა. ველური იუმორი მაშინ დიდად მიღებული იყო.

მარტო ეს არ აკმარეს. ბერს მანტია შემოაგლიჯეს, ბარტყუულა მოხადეს, ხელში კრიალოსანი მისცეს და უბრძანეს ას ორმოცდაათჯერ დაეჩოქა. ყოველ დაჩოქებაზე მნათე ზურგზე ბაწარს გადაუჭერდა ხოლმე, ბერი „ძლივსღა სუნთქავდა: ისე გააძრო სიქა მნათემ!.."

როგორც კი შეასვენეს, ბერმა დრო იხელთა, ღია კარში გავარდა, ღობეს გადაევლო და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

მნათემ მიაძახა:

— მანტია და ბარტყუულა დაგავიწყდა, მამაო!

მაგრამ ბერმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

— ცეცხლსაც დაუწვიხართ ყველანი, რა დროს მანტიაა!

ბერმა მანტიას მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მიაკითხა, მაგრამ ისე იყო შეშინებული, რომ ქოხში არც შესულა. აბაკუმს რომ შეხვდებოდა, შორიდანვე მდაბალ სალამს აძლევდა. დეკანოზს ვოევოდებიც კი ემადლიერებოდნენ იმ შფოთისთვის მოთოკვისათვის.

29

ამასობაში არქიეპისკოპოსის მაგივრად დარჩენილ სტრუნასა და ჩერტკოვს შორის შუღლი და „დიდი უთანხმოება" ჩამოვარდა. სტრუნა საქმოსანი და წამგლეჯი კაცი იყო. „მემარჯვენეებს ამტყუნებდა, დამნაშავეებს კი გამორჩენის იმედით ამართლებდა". აბაკუმი მასთან კარგ დამოკიდებულებაში იყო, მაგრამ არქიეპისკოპოსის ჩამოსვლამდე ერთი თვით ადრე დიდი უბედურება მოხდა.

სტრუნა რატომღაც აბაკუმის ეკლესიის მედავითნეს ანტონს გადაეკიდა და სასამართლოს უწყებაშივე მისი წამება გადაწყვიტა. მაგრამ ანტონი გაიპარა და აბაკუმს მიაშურა ეკლესიაში. სტრუნამ თავისი ხალხი შეაგროვა და მედავითნეს დაედევნა. მას პირქუში დეკანოზისა ეშინოდა, ამიტომ ხალხის ეკლესიაში შეყვანას მოერიდა და მარტოკა შევიდა. სწორედ ეს გახლდათ მისი საბედისწერო შეცდომა.

აბაკუმი მწუხრის ლოცვას გალობდა, როცა სტრუნა ეკლესიაში შევიდა და იქვე „კლიროსში"[1] ანტონს წვერებში ჩააფრინდა. აბაკუმმა წირვა შეწყვიტა, კართან მივარდა და შიგნიდან ჩაკეტა. თავისიანებისაგან მოწყვეტილი სტრუნა ხაფანგში აღმოჩნდა და ეკლესიაში „ავი სულივით" დაიწყო წრიალი. აბაკუმმა და ანტონმა დიაკვანი დაიჭირეს, იატაკზე დააგდეს და მანამდე ურტყეს, სანამ შენდობა არ მოითხოვა.

მაგრამ ზღურბლს გადმოაბიჯა თუ არა, სტრუნამ და მისმა ნათესავებმა მთელი ქალაქი ფეხზე დააყენეს. შუალამისას ბრბო მღვდლებისა და ბერების წინამძღოლობით აბაკუმს ქოხში მიეჭრა, რომ დეკანოზი „წყალში ჩაეგდოთ" და დაეხრჩოთ. არავინ იცის, კარი გამოდგა მაგარი, თუ ეოევოდამ, თავადმა

[1] ადგილი, სადაც გალობენ.

ვასილ ხილკოვმა უშველა. ერთი კია, რომ აბაკუმი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ მას შემდეგ სიცოცხლე გაუმწარდა. გარეთ აღარ გამოესვლებოდა. თუ გამოვიდოდა, ქურდულად. მცველად ბოიარის ვაჟი მატვეი ლომკოვი დაჰყვებოდა, ალბათ, ვოეევოდას ბრძანებით. სულ მარტო დარჩა აბაკუმი. მასთან ეკლესიაში არც უწინ დადიოდა ხალხი, ახლა კი ლამის ჩაექოლათ. ერთხელ ბრბოს ძლივს გაექცა და თავი ვოეევოდას სახლს შეაფარა. ვოეევოდას სთხოვა, ციხეში გამიშვი, იქ დარაჯები მაინც დამიცავენო. გულკეთილ თავადს, ვასილ ხილკოვს მეამბოხეების ეშინოდა და აბაკუმის შემხედვარე მხოლოდ იცრემლებოდა. თავადის მეუღლემ, სათნო ქალბატონმა სკივრს თავი ახადა და აბაკუმს უთხრა:

— ჩაძვერი მამაო, როცა შენს საძებნელად მოვლენ, მე სკივრზე დავჯდები.

დეკანოზი მოსკოვიდან დაბრუნებულმა არქიეპისკოპოსმა სვიმონმა იხსნა. არქიელს ფეხებში ერთი გოგო ჩაუვარდა — მამაჩემისა და სტრუნასაგან დამიცავიო. გოგოს და დედამისს სტრუნასთვის არზა გაუგზავნიათ — ცოლი ქმარს უჩიოდა, გოგო — მამას. თავის ქალიშვილზე ძალმომრეობს, მატყუარაა და ავაზაკიო. მოძალადემ სტრუნას ათშაურიანი მისცა და დიაკვანმა იგი გაამართლა, ცოლსა და გოგოზე კი ბრძანა, სასტიკად ეცემათ. არქიელმა მოძალადის მოყვანა ინება, რომელმაც დაპირისპირებისას ყველაფერი აღიარა.

ძუნწი დიაკვნის ჯერიც დადგა. სტრუნას ბორკილები დაადეს და ბეღელში შეაგდეს. არქიეპისკოპოსმა ბრძანა, მოურავმა გრიგორი ჩერტკოვმა და დეკანოზმა სიმართლე კრებაზე დაადგინონო! მაგრამ სტრუნამ კრებას არ დაუცადა. ერთი დღის შემდეგ ბორკილებიანად ქალაქში, ვოეევოდებთან გაიქცა და ყვირილი მორთო, აბაკუმზე „ხელმწიფის სიტყვა და საქმე[1]" მითქვამსო.

---

[1] „ხელმწიფის სიტყვა და საქმე" — XVII—XVIII საუკუნეში რუსეთში პოლიტიკური დევნის სისტემა. რუსეთის ყველა ქვეშევრდომი სიკვდილის მუქარის შიშით მოვალე იყო ეცნობებინა, სადაც ჯერ არს, თუ რამე იცოდა მეფის ან მისი ოჯახის წინააღმდეგ შეთქმულებისა, მეფის სახელისა და ტიტულების შეურაცხყოფის, სახელმწიფოს ღალატის შესახებ. ამისთვის არსებობდა პირობითი გამოთქმა „ხელმწიფის სიტყვა და საქმე", ან უბრალოდ — „სიტყვა და საქმე".

უნდოდა თუ არა, ეოევოდა ხილკოვი იძულებული გახდა საქმისათვის მსვლელობა მიეცა, ვინაიდან, როცა ყმა დაბეჭდვებას იწყებდა, მასზე ბატონიც კი უფლებას კარგავდა. სტრუნას ბორკილები მოხსნეს და მცველად ბოიარ პეტრე ბეკეტოვის ვაჟი მიუჩინეს.

ეს სწორედ ის ბეკეტოვი გახლდათ, რომლის შესახებაც ტობოლსკში მიმავალ აბაკუმს გზაში უამბობდნენ — მოგზაური და კაზაკების თავკაციაო. ძველი მეომარი ლაშქრობიდან ახალი დაბრუნებული იყო და სამსახურიდან გადადგომას აპირებდა, მით უმეტეს, რომ ტობოლსკში საკუთარი სახლი და დიდი მეურნეობა ჰქონდა. ის ენისესკელი ეოევოდა პაშკოვის ბრძანებით დაურიაზე დასაზვერად იყო წასული, ნერჩასთან, მდინარე შილკაზე ციხე ააგო, პურიც დათესა, მაგრამ ტუნგუსები აჯანყდნენ, ყველაფერი გაანადგურეს, გადაწვეს, ცხენები გარეკეს; ბეკეტოვი იძულებული გახდა ამურისკენ აეღო გეზი, იქიდან კი დასავლეთში გამობრუნებულიყო.

იმიერბაიკალის არაერთი ქალაქი დღეს პატივისცემით იგონებს თავისი დამაარსებლის პეტრე ბეკეტოვის სახელს. მისმა კაზაკებმა მდინარე ინგოდისა და ჩიტას შესართავთან „ინგოდაზე გამოსაზამთრებელი“ რამდენიმე ფიცრული ააგეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს ქალაქ ჩიტას.

დასვენება არ ეწერა სიბერეში ბეკეტოვს...

არქიეპისკოპოსი სვიმონი სტრუნაზე გულმოსული იყო იმის გამოც, რომ სოფიაში, არქიელის სახლში „ქურდობა და ძარცვა გახშირდა“. აბაკუმთან მოთათბირების შემდეგ 1655 წლის 4 მარტს არქიელმა „სისხლის აღრევაში შეცოდებისათვის“ კრებაზე საქვეყნოდ შეაჩვენა სტრუნა.

ასეთმა „მკაცრმა“ სასჯელმა აღშფოთება გამოიწვია. ეკლესიის მესვეურნი „სიტყვისა და საქმისათვის“ შურს იძიებენო. პეტრე ბეკეტოვმა შიგ ეკლესიაში გალანძღა არქიელი და დეკანოზი. იყვირა, იშფოთა და შინისკენ გაეშურა, რათა შეჩვენების ამბავი სტრუნასთვის ეცნობებინა.

გზად მიმავალი უცებ დავარდა და სული განუტევა.

გამძვინვარებულ სვიმონსა და აბაკუმს გაჩერება უკვე აღარ შეეძლოთ. მათი ბრძანებით ეკლესიაში მოუნანიებლად გარდაცვლილი პეტრე ბეკეტოვის გვამი ძაღლებს მიუგდეს საჯიჯ-

გნად. სამ დღეს ლოცულობდნენ არქიელი და დეკანოზი, რათა „განკითხვის დღეს მიტევებოდეს მას". მერე კი ნება დართეს გვამი დაემარხათ.

დიდხანს ქენჯნიდა სინდისი აბაკუმს ამ ტრაგიკული შემთხვევის გამო: „მეც მადევს ცოდვა ამ საქმეში, მაგრამ კმარა ამ ნაღვლიანი ამბის გახსენება".

სტრუნა სხვა ბოქაულს გადასცეს და ძიება „სიტყვისა და საქმის" ირგვლივ კვლავ გაგრძელდა. რაში სდებდა ბრალს დიაკვანი აბაკუმს და მის მფარველ არქიელს?

ოთხჯერ იხსნეს დაბეზღების შემდეგ აბაკუმი არქიელმა და ვოევოდამ, მეხუთედ კი ვეღარ უშველეს. ძალიან ხშირად გამოდიოდა სახალხოდ დეკანოზ ნიკონის წინააღმდეგ. ძალიან ხშირად უწოდებდა იგი პატრიარქს ერეტიკოსს და საეკლესიო განხეთქილებაში ბრალს სდებდა, ნერონოვივით გაჰკიოდა, რუსეთს სამი რამ დაღუპავს: ჭორი, მახვილი და დაყოფაო.

სვიმონის შემწეობითა და მოსკოველთა მიერ გამოგზავნილი სიგელების მეშვეობით მან ყველა ახალი ამბავი იცოდა.

აბაკუმი ჯერ კიდევ მოსკოვში იყო, მეფე ალექსი მიხეილის ძემ ოდითგანვე რუსეთის კუთვნილი მიწა-წყლის დასაბრუნებლად პოლონელებთან ომისათვის მზადების წინ არმიის დათვალიერება რომ მოაწყო. შემოდგომაზე კი მან მიძინების ტაძარში გამოაცხადა: „ჩვენ, დიდი ხელმწიფე... მოვეთათბირეთ მამას ჩვენსას, დიდ ხელმწიფეს და პატრიარქს წმიდა ნიკონს, განვსაჯეთ და ვინებეთ გავილაშქროთ ჩვენი მტრის, პოლონეთის მეფის წინააღმდეგ"...

მეორე წელიწადს პატრიარქის მიერ დალოცვილი მეფე დიდ ლაშქრობაში გაემგზავრა და მოსკოვის გამგებლად ნიკონი დატოვა. ლაშქრობამ წარმატებით ჩაიარა — რუსებმა აიღეს სმოლენსკი და ათობით სხვა ქალაქი, მაგრამ მოსკოვიდან ცუდი ამბები მოდიოდა. დედაქალაქში შავი ჭირი მძვინვარებდა — ათასობით ადამიანს მუსრი გაავლო, მოსკოვში ჟამიანობამ იმსხვერპლა აბაკუმის ორი ძმა, მათთან ერთად დაიხოცნენ მათი ცოლები და შვილები. ბევრი ნათესავი და მეგობარი დაკარგა აბაკუმმა.

ესეც სასჯელი ნიკონის თვითნებობისათვის. პირველი წინასწარმეტყველება ასრულდა. ნიკონმა მეფის ოჯახთან ერთად დედაქალაქი დატოვა. მოსკოვში ქრისტიანთა რიცხვმა იკლო.

ერთ დღეს ხალხი მიძინების ტაძართან შეიკრიბა. გამოიტანეს „მიძინების ხელთუქმნელი ხატი, რომელსაც პირისახე გადაფხეკილი ჰქონდა". ეს ხატი პატრიარქის ბრძანებით გადაფხიკეს.

ხალხი ღრტვინავდა:

— ასეთი მკრეხელობისათვის ღმერთი ყველას დაგვსჯის!

— ყველაფერი პატრიარქის ბრალია, აშკარა ერეტიკოსს არსენს მფარველობს, თავისუფლებას აძლევს, ნაბეჭდი წიგნების გასწორება დაავალა და ბერმაც უამრავი წიგნი დაამახინჯა...

— პატრიარქს მოსკოვში დარჩენა და მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის ლოცვა მართებდა, მან კი დედაქალაქი მიატოვა. მისმა შემყურე მღვდლებმაც სამრევლო ეკლესიები მიატოვეს...

არქიეპისკოპოსი სვიმონი კრების ამბებს ჰყვებოდა. კრება ნიკონმა გახსნა, მან დაიმოწმა კონსტანტინეპოლის კრების გადაწყვეტილებები რუსეთში საპატრიარქოს დაარსების შესახებ, სადაც მოძღვართ ეკლესიის ყველა სიახლის განადგურებისაკენ მოუწოდებდნენ. ნიკონმა არქაელთაგან მოითხოვა, მისი რეფორმა გასული რიცხვით დაემტკიცებინა და იგი ძველი წესების მობრუნებად ჩაეთვალათ. წაიკითხეს არსენ ბერძენის მიერ გასწორებული წიგნები; სვიმონ ტობოლსკელი, მაკარ ნოვგოროდელი და სხვები გასწორების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მათ ახსოვდათ, რა ბედიც ეწიათ ღვთისმოსაობის ქომაგთ და... დუმილი არჩიეს.

მარტო კოლომენსკელმა ეპისკოპოსმა პავლემ გაბედა წინააღმდეგობის გაწევა. იგი ჯერ ონეგის ტბაზე გადაასახლეს, ხოლო შემდეგ ნოვგოროდის ახლოს ხუტინსკის ხუტორში, სადაც ნიკონის მსახურნი მივიდნენ, პავლე ჯერ „ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს, მერე კი ნიკონის ბრძანებით ციცხლში დაწვეს".

სწორედ იმ ხანებში, როცა დიაკვან სტრუნას გარშემო ერთი ამბავი ატყდა, მოსკოვში ახალი ტაძარი გაიხსნა. მოწყალების სათხოვნელად ჩამოვიდნენ ანტიოქიელი პატრიარქი მაკარი და სერბელი პატრიარქი გავრილა. ნიკონმა მათ სთხოვა საზეიმო წირვის დროს კვერი დაეკრათ, რომ დასავლეთში პირჯვარს სამი თითით იწერდნენ. მათაც ერთი სული ჰქონდათ, ნიკონი-

სათვის ეამებინათ. ტაძარში იყვნენ თვით მეფე, ბოიარები, ზღვა ხალხი. ნიკონმა ახალი, „დასავლურად ნახატი“ ხატების, ესე იგი, დასავლეთის სურათების მსგავსად დახატული ხატების წინააღმდეგ დაიწყო ქადაგება. აქ იგი სავსებით ეთანხმებოდა მის მიერ დევნილ ღვთისმოსაობის ქომაგებს. ჯერ კიდევ ჟამიანობის დროს ხალხი აღშფოთებული იყო იმით, რომ ხატები მიჰქონდათ და ფხეკდნენ. მაგრამ ნიკონი ჯიუტად ადგა თავის სიტყვას. მან აღმოსავლეთის პატრიარქები აიძულა შეეჩვენებინათ და ეკლესიიდან მოეკვეთათ ყველა, ვინც ასეთ ხატებს დახატავდა ან შინ იქონიებდა.

ნიკონი ერთიმეორის მიყოლებით იღებდა ხელში ხატებს, ზაღლა სწევდა და ამბობდა: „ეს ხატი ამა და ამ დიდებულის, ამა და ამ კაცის შვილის სახლიდანააო“ და მთელი ძალით ძირს ანარცხებდა რკინის ფილებით მოპირკეთებულ იატაკზე. შემდეგ ბრძანა დამტვრეული ხატები დაეწვათ. აქ მეფემ ვეღარ მოითმინა, პატრიარქთან მივიდა და ჩუმად სთხოვა: „არა, მამაო, ნუ დაწვავენ, უბრძანეთ, მიწაში ჩაფლან“.

ნიკონის საქციელის ახსნა ძნელია, როგორც ჩანს, მას მხოლოდ ერთი ქედმაღლური მიზანი ამოძრავებდა — სურდა თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა. მისი პატივმოყვარეობა ხშირად დიდების მაძიებლობაში გადადიოდა.

მან კრებაზე განაცხადა: „მე რუსი გახლავართ, რუსი კაცის შვილი, მაგრამ რწმენითა და შეხედულებით ბერძენი ვარ“. ყოველივე ბერძნულისადმი ნიკონის ერთგულება თანდათან სასაცილო ხდებოდა. მის სამზარეულოში ბერძნულ კერძებს ამზადებდნენ. ცნობილი „თეთრი ბარტყულა“ პატრიარქმა ბერძნული ქუდით შეცვალა და ბავშვივით გაიხარა, როცა ნახა, რომ მოუხდა...

მაგრამ ნიკონი ჯერ ისევ გაფურჩქვნის ხანაში და ძალაუფლების მწვერვალზეა. თავის ძალაუფლებას საფუძვლად უდებს შუა საუკუნეების თეორიას ორი მახვილის შესახებ: „მღვდელმთავართა მახვილი სასულიერო, მეფისა კი — საერო“... და, რაღა თქმა უნდა, სასულიერო ძალაუფლებას საეროზე მაღლა აყენებდა, პატრიარქის ძალაუფლებას იგი მზეს ადარებდა, მეფისას — მთვარეს... როგორც ჩანს, იცოდა კათოლიკური თვალსაზრისი პაპის ძალაუფლებაზე, როცა წერდა: — რადგან მეფე-

ნი კურთხევას არქიელთაგან იღებენ, მაშასადამე ისიხი თაკი-ანთი ღირსებით ეპისკოპოსზე დაბლა დგანანო.

ჭაბუკი მეფე მას „ხელმწიფეს“ უწოდებდა და სახელმწიფოს მმართველად დატოვებდა ხოლმე, როცა თვითონ სალაშქროდ მიდიოდა. სიგელებშიც ნიკონი თავის სახელს პირველ ადგილზე წერდა ხოლმე: „...მთელი დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის დიდი ხელმწიფის, უგანათლებულესი პატრიარქის ნიკონისაგან“... ეს ბოიარებს ალბათ ძალიან აღიზიანებდათ. მაგრამ ჯერჯერობით დუმილს არჩევდნენ. მღვდლებს მცირე დანაშაულისთვისაც კი ასახლებდნენ, სცემდნენ, ბორკილებს ადებდნენ... ნიკონს „დიდი ტირანი“ შეარქვეს.

1655 წელს ლაშქრობიდან მოსკოვში დაბრუნებული მეფე ალექსი მიხეილის ძე მარხილიდან გადმოვიდა და პატრიარქის შესაგებებლად ფეხით კარგა მანძილი გაიარა. ნიკონის ძალაუფლება იმდენად დიდი იყო, რომ მას შეეძლო დიდებულთათვის ადგილ-მამული ჩამოერთმია და თავისი რჩეულებისათვის ეწყალობებინა.

აი ასეთ კაცს დაუწყო კიცხვა აბაკუმმა, მაგრამ უდრეკ დეკანოზზე შურისძიების საბაბი ისევ ფორმალური იყო. სტრუნას ბეზღების ქაღალდში ეწერა: „აბაკუმი კვერთხით დადის, კვერთხზე ოქროთი მოვარაყებული ვაშლებია გამოსახული, რქები კი ვერცხლშია ჩასმული“.

სწორედ ეს ოქროთი მოვარაყებული ვაშლები გახდა აბაკუმის შემდგომი უბედურების მიზეზი. ყველა რანგის სამღვდელოებას თავისი განმასხვავებლობის ნიშანი ჰქონდა. დეკანოზის წოდების ნიშანი იყო „ორრქიანი კვერთხი“, რომელიც რუსულ ასო „T“-ს ჰგავდა, ხოლო ვაშლებიანი კვერთხი (სფერო — სახელმწიფოს, ძალაუფლების სიმბოლო) „მბრძანებელს“, არქაელს შეეფერებოდა. თანაც დანაშაული ჩადენილი იყო არაერთხელ, არამედ მრავალგზის — „კვერთხით დადისო“. მოსკოვში ეს ხელზე დაიხვიეს და გაიცა ბრძანება აბაკუმი გაეჩხრიკათ. ვოევოდებმა აბაკუმთან გაგზავნეს პოდიაჩი ლოსევი, რომელშაც ერთი კი არა, ორი კვერთხი აღმოაჩინა. „ერთი თლილი, ვაშლებით, ფურცლოვანი ოქროთი ფერილი, მეორე— ისიც ვაშლებით, ოღონდ საღებავით შეღებილი და ალაგ-ალაგ ასევე ფურცლოვანი ოქროთი ფერილი“. კვერთხები ეპისკოპოსისა იყო.

ვოევოდებმა წერილობითი პატაკი, საგამომძიებლო მასალა და ორივე კვერთხი (ხივთიერი მტკიცება) ციმბირის უწყებაში გაგზავნეს, საიდანაც ეს ყველაფერი ნიკონთან მოხვდა.

საიდან ჰქონდა აბაკუმს კვერთხები? ისევე როგორც ნიკონს, ღვთისმოსაეთაც უყვარდათ თავისებური კოპწიაობა. სტეფან ბონიფატიევმა ისეთი ჩაცმა-დახურვა იცოდა, რომ ეს ეამთააღწერის კრებულშიაც კია მოხსენიებული. მას მეფისა და პატრიარქის ნაბოძები არა ერთი არქიელის ქუდი და კვერთხი ჰქონდა. უფროსებს არც აბაკუმი ჩამორჩებოდა. „დედოფალმა ირინა მიხეილის ასულმა, — წერს აბაკუმი, — მოსკოვიდან შესამოსელი და წირვისთვის საჭირო ნივთები ტობოლსკში გამომიგზავნა". დედოფლის ნაბოძებ „ნივთებში" შეიძლება კვერთხებიც ყოფილიყო.

პატრიარქის ბრძანებით აბაკუმი ცოლ-შვილით ლენაზე, იაკუტიის ციხესიმაგრეში უნდა გადაესახლებინათ, სტუმართმოურავ და ვოევოდა მიხაილ ლოდიჟენსკისთან. ამიერიდან მას წირვა ეკრძალებოდა, ესე იგი, მღვდლობა ჩამოართვეს.

აბაკუმმა კარგად იცოდა, რომ მას კვერთხებისათვის კი არ სჯიდნენ, არამედ „იმისათვის, რომ ნაწერებში ნიკონს ლანძღავდა და მის მკრეხელობას ჰგმობდა". იგი კვერთხებს არსად არ ახსენებს, არ სურს თავისი პატივმოყვარეობა გაამხილოს...

1655 წლის 29 ივნისს აბაკუმმა ბრტყელძირა კატარღაში ბარგი ჩააწყო, ცოლ-შვილი ჩასვა და გასაცილებლად მოსულებს გამოემშვიდობა, რომელთა შორის ვინმე თევდორეც იყო, მთელი ერთი თვე აბაკუმი თავის სახლში რომ „ათვინიერებდა" და ეშმაკეულს მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით მკურნალობდა. ერთხელ მან თევდორე მაგრად გალახა და მნათეს უბრძანა, კედელზე ჯაჭვით მიება. მაგრამ თევდორემ ხვრელი გამოთხარა, გაძვრა, ვოევოდას სახლში მივიდა, მთელი ჯალაბობა მირეკ-მორეკა, სკივრი გატეხა და ქალბატონის კაბა ჩაიცვა. ციხეში რომ ჩასვეს, იქ პატიმრებს დაერია და ღუმელი დაამტვრია. ახლა თევდორე ჭკუაზე იყო და აბაკუმის გასაცილებლად ნავმისადგომში გამოვიდა. უყვარდა დეკანოზს „ცოფიანების" მოვლა — მათ განკურნებაში იგი „უწმინდურ ძალაზე" გამარჯვებას ხედავდა. გასაცილებლად მოვიდა ყალმუხი ქალი ანაც — აბაკუმის სულიერი შვილი, რომლისგანაც დეკანოზს უნდოდა მოსაგრე გამოეყვანა, მაგრამ ანა მაინც მიჯნურის სიყ-

ვარულმა გადაძლია, აბაკუმის გამგზავრების შემდეგ თავის ელიზარს ცოლად გაჰყვა და „ბავშვები გააჩინა".

აბაკუმს თან გაჰყვა კრასნოიარსკელი თავადი მილოსლავ ყოლეოვი და ხუთი კაზაკი მცველი. ჯერ ირტიშის დინებით სამაროვამდე, დღევანდელ ხანტი-მანსისკამდე ჩავიდნენ, სადაც ერთმანეთის გვერდით მშვიდად იდგა განმანათლებელ ნიკოლოზის ხის ეკლესია და ოსტიაკების მთავარი კერპი — „შიშველი დიაცი". შემდეგ ობს ზევით აუყვნენ — ზოგან ნიჩბებს ხმარობდნენ, ზოგან კი კატარღას ბაგირით მიათრევდნენ. გაიარეს მნიშვნელოვანი საგუშაგო სურგუტი — დღეს ნავთობით ყველაზე მდიდარი ადგილი, ნარიმასთან კეტისკენ გადაუხვიეს და მაკოვსკის ციხესიმაგრემდე ავიდნენ. იქ თოვლის მოსვლას დაელოდნენ, რათა ენისეისკში მარხილებით გადასულიყვნენ. ენისეისკიდან ბაიკალის გაღლით წყალსავალი გზა თვით წყნარ ოკეანემდე აღწევდა.

აგერ გამოჩნდა ენისეისკის ორი ეკლესია, შემდეგ — ციხესიმაგრე, ქოხები, განიერი ენისეის ნაპირზე კატარღები იდგა, ირგვლივ ცხენოსანი და ქვეითი კაზაკები ირეოდნენ...

იმ დღეს ბედისწერამ აბაკუმი ვოევოდა ათანასე პაშკოვს შეახვედრა. ავბედითი იყო ეს შეხვედრა.

30

პაშკოვი რომ განსაკუთრებული ადამიანი იყო, ეს საეჭვო არ გახლავთ. როგორც სამხედროს ჰფერობს, იგი მორჩილებასაც იყო ჩვეული, მაგრამ ხელქვეითებისაგან ერთი სიტყვის შებრუნებასაც ვერ იტანდა. გულადი და ნებისყოფიანი ღონიერ, ბრგე ვაჟკაცად გვესახება, თავისი ომახიანი ძახილით შეეძლო მთელი რაზმისათვის ხმა ჩაეწყვეტინებინა, ხოლო ურჩობისა ან ჯანყის დროს შფოთის ამტეხნი ხმლით აეკუწა.

XVII საუკუნეს მტკიცე ნებისყოფის ბალხი არ აკლდა. მაგრამ იმავე ნიკონის, ნერონოვისა და აბაკუმის მოღვაწეობაში სულიერი საწყისი ჭარბობდა.

პაშკოვი წმინდა წყლის საქმის კაცი იყო. სწორედ ასეთებს შეეძლოთ კაზაკთა ვოლნიცის მოდრეკა და მისი შემწეობით რუსეთის მეფისათვის დიდებისა და მიწების მოპოვება. მკვლელობა მისი ხელობა, მიზნის მიღწევის ჩვეულებრივი ხერხი

ბახლდათ; პაშკოვის სიმკაცრე სადიზმი არ იყო. ეს იყო მხოლოდ სხვისი ცხოვრებისადმი გულგრილობა და რწმენა იმისი, რომ მგლის კანონების გარდა, სხვა რამ კანონი არ არსებობდა.

ჯერ კიდევ 1650 წელს იაკუტიის ვოევოდა დიმიტრი ფრანცბეკოვი იტყობინებოდა: „ლენის დაურიის მიწა შემოსავლიანია და მთელ ციმბირს ტოლს არ დაუდებს... ყველაფრით შემკული და ბარაქიანი ადგილია“.

1652 წელს პაშკოვს ნაბრძანები ჰქონდა თავად ლობანოვროსტოვისათვის დაურიის მიწაზე სალაშქროდ ორასი კაცარღა გაემხადებინა. ამ სამდინარო ფლოტილიას სულ ცოტა სამი ათასი კაცის გადაყვანა და აუარება ბარგის გადაზიდვა შეეძლო.

ენერგიულმა ვოევოდამ მთელი ენისეისკი მუშაობაში ჩააბა, თანხებიც გამონახა, ხე-ტყეც, მუშახელიც და იმაზე მეტი გააკეთა, რაც ნაბრძანები ჰქონდა. ჩინეთს მიმავალი გზებიც დაზვერა — იქ გაემგზავრა რუსეთის საელჩო, რომელმაც მარცხი განიცადა. მანჯურიელებს პეკინი სულ ახალი დაპყრობილი ჰქონდათ. მათ საფუძველი ჩაუყარეს ცინის დინასტიას, რომელიც ჩინეთს 1912 წლამდე მართავდა. მთელი ჩინეთი ჯერ კიდევ არ დაეპყროთ, მაგრამ ამურისპირეთს თავს მაინც ესხმოდნენ, იქაურ მცხოვრებლებს ტყვედ მიასხამდნენ.

პაშკოვმა დაურიის დასაზვერად პეტრე ბეკეტოვის რაზმი გაგზავნა. მართალია, ბეკეტოვს გაუჭირდა, მაგრამ მან პირველი სიმაგრეები აღმართა და, რაც მთავარია, მდინარეების: ხილკის, ინგოდისა და შილკის „ნახაზები“ ჩამოიტანა, დაურიამდე უმოკლესი გზა იპოვა. პაშკოვი მოსკოვში წერდა, რუსების ბატონობის განსამტკიცებლად ამურზე, სადაც ეროფეი ხაბაროვი საგმირო საქმეებს სჩადის, შილკის ნაპირებზე დამკვიდრება აუცილებელია.

1653 წელს ხაბაროვი მოსკოვში მიემგზავრება და „დიდი მდინარე ამურის ახალი დაურიის მიწის გამგებლად“ ტოვებს ონოფრე სტეპანოვს, რომელიც წარმატებით იბრძვის ბოგდიხანის მრავალათასიანი არმიის წინააღმდეგ.

მაგრამ დასავლეთ რუსეთში საომარ მოქმედებათა გამო დაურიის ლაშქრობა არ შედგა. ენისეისკში აბაკუმს ფეხად ჩაასწრო ენისეისკის ახალმა ვოევოდამ ივან აკინფოვმა, რომელმაც პაშკოვს მეფის ბრძანება ჩამოუტანა — დაურიის მიწის ვოევოდად თვითონვე წასულიყო და ადგილობრივი თავადები

ხელმწიფის ხელქვეითებად ექცია; ბეწვეულის, საქონლის ხარკი აეკრიფა, ვერცხლის, სპილენძისა და კალის საბადოებისათვის მიეკვლია. აგრეთვე გაეგო, იყო თუ არა შილკაზე (მაშინ ამურსაც ასე ეძახდნენ) და სხვა მდინარეებზე სახნავ-სათესი მიწები. პაშკოვსა და მის ვაჟს იერემიას დაზვერვის მიზნით თავდასხმის მოწყობას კი არ უბრძანებდნენ, არამედ ამურისპირეთში ახალი ოლქის შექმნას, რომელსაც სათავეში მეფის ჩინოვნიკები ჩაუდგებოდნენ და რომელიც უშუალოდ მოსკოვის ციმბირის უწყებას დაემორჩილებოდა.

გუშინ პაშკოვი ქალაქის ვოევოდა იყო, დღეს კი თითქმის ევროპის ნახევრის ტოლი უზარმაზარი ტერიტორიის თვითმპყრობელი მმართველი გახდა. პატივი დიდი იყო, მაგრამ პაშკოვს წინ სიძნელეც ბევრი ელოდა, მოსკოვიდან მოსული ბრძანებით წაქეზებულს თავისი პატივმოყვარული ზრახვები რომ აესრულებინა.

ბრძანებით სამასი კაზაკი უნდა შეეკრიბა და შეკრიბა კიდეც. ტობოლსკში სამოცი კაცი მოაგროვეს, ტიუმენში — ორმოცდაათი, დანარჩენები—ტარში, ვერხოტურიეში, ბერეზოვოში, სურგუტში, პელიმში, ტურინსკში. კრასნოიარსკში... პაშკოვმა სამას კაცს ენისეისკში კიდევ ას ოცი დაუმატა — მის საგუშაგოებზე აკავებდნენ იაკუტიისა და სხვა ჯანყების მონაწილეებს, რომლებიც სასჯელს გაექცნენ და თავისუფალ ამურისპირეთს შეაფარეს თავი. აბაკუმმა რაზმში ექვსასი კაცი დაითვალა, ალბათ პაშკოვს გზადაგზა კიდევ აჰყავდა ხალხი.

მას შემდეგ, რაც ვოლნიცა ენისეისკში ჩავიდა, ხალხს სატანჯველი მოემატა მისი თარეშისაგან. პაშკოვსა და აკინფოვს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ორივე მხრიდან სეტყვასავით წამოვიდა ბრალდებები, დაბეზღებას ერთმანეთს ასწრებდნენ. „დიდი შფოთისთავი“ — (როგორც პაშკოვს არქიეპისკოპოსი სეიმონი უწოდებდა) ენისეისკის შობის დედათა მონასტრის მსახურთ აიძულებდა ახალი ვოევოდას დაბეზღების ქაღალდზე ხელი წაუკითხავად მოეწერათ. როცა მონაზონმა პრასკოვიამ მოითხოვა, ქაღალდი წამაკითხეთო, პაშკოვმა ბრძანა იგი მონასტრიდან გამოეყვანათ და „თავისი ხელით ლოყებში სილები ურტყა და საკუთარ ეზოში აწამა“... მაშინ იყო, „მღვდელი იაკობი ხომალდზე რომ იხმო და თავისი ხელით სასიკვდილოდ სცემა. სიკვდილის პირას მისული მღვდელი ექვს კვირას იწვა და ძლივს გადარჩა“.

აბაკუმი შეშფოთებული ადევნებდა თვალს ენისეისკში პაშკოვის პარპაშს, და არა მარტო თვალს ადევნებდა. აბაკუმს არ შეეძლო განზე მდგარიყო — იგი ცდილობდა ვოევოდაზე სიტყვით მოეხდინა გავლენა („ბევრს არწმუნებდა"). ასე დაიწყო უთანასწორო ორთაბრძოლა გადასახლებულ დეკანოზსა და მძლავრ ვოევოდას შორის; ბრძოლა წლების მანძილზე გრძელდებოდა, რაკი არც ერთ მხარეს არ უნდოდა დაეთმო... თავდაპირველად თავისი საქმეებით გართულმა პაშკოვმა ეს არაფრად ჩააგდო და ზიზღით მოიგერია აბაკუმი, რომლის მსჯელობანიც სრულ უაზრობად ეჩვენებოდა.

ბედი არ გინდა? აბაკუმი „თვითონ მოხვდა" ადამიანთა მწვალებლის ხელში. პაშკოვს ნაბრძანები ჰქონდა მომავალ მთავარ რეზიდენციაში სამი ეკლესია აეგო, აქედან ერთი ორეკვდერიანი „ალექსი მიტროპოლიტისა და ალექსი ღვთის კაცის სახელზე" (მეფესაც და უფლისწულსაც ალექსი ერქვათ). მოვიდა ბრძანება, რომ აბაკუმი ლენაზე კი არ წასულიყო, არამედ პაშკოვთან ერთად გამგზავრებულიყო. აქამდე ვოევოდას პოლკში ერთადერთი შავი ხუცესი ჰყავდა. სიგელში ნიკონი ბრძანებდა, აბაკუმი „მორჩილებაში ჰყოლოდათ", რაც პაშკოვმაც და აბაკუმმაც „წვალებად" გაიგეს. აბაკუმი ორჭოფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ იგი, ასე თუ ისე, პოლკის მღვდელი ხდებოდა, მეორე მხრივ — წირვის უფლება ისევ წართმეული ჰქონდა და ეს პაშკოვის თვალში მის ავტორიტეტს სახელს უტეხდა.

1655 წლის 18 ივლისისათვის ორმოცი კატარღა დატვირთეს ორმოცდაათი ფუთი თოფის წამლით, ასი ფუთი ტყვიით, ასი ვედრო ღვინით, ენისეისკში მოწეული ოთხმოცი ტომარა ჭვავის ფქვილით, ათი ტომარა ბურღულით და ამდენივე ქუმელითა და სხვა მარაგეულობით. პარაკლისის შემდეგ პაშკოვის თავზეხელაღებული არმია ხომალდებში ჩაჯდა და გზას გაუდგა. ჯერ ენისეით თავქვე მიცურავდნენ, მერე კი ანგარის სწრაფ დინებას აუყვნენ აღმა.

გზაში ქარიშხალი ამოვარდა და ხომალდს, რომელზეც აბაკუმი იმყოფებოდა, იალქანი მოჰგლიჯა. წყალმა ტრიუმი დაფარა, გემბანი ძლივსღა მოჩანდა. ნასტასია მარკოვნამ, როგორც იქნა, ბალღები გემბანზე გამოათრია, რომელსაც წამდაუწუმ გაშმაგებული მდინარის ტალღები ეხეთქებოდა. მალე

ხომალდმა ნაპირს მიაღწია. აბაკუმის ოჯახი კიდევ კარგად გადარჩა. მეორე ხომალდის გემბანიდან ტალღამ ორი კაცი მოიტაცა, რომლებიც მდინარის მორევში ჩაიხრჩვნენ.

ამ უბედურებისაგან სული რომ მოითქვეს, კატარღების ჯარავანმა გზა განაგრძო. შამანის ჭორომთან კაზაკების რაზმი შემოხვდათ. მათ თან ორი მოხუცი ქვრივი ახლდა, რომლებიც მონაზვნად აღკვეცას აპირებდნენ. პაშკოვმა კაზაკებიც დააკავა და ქვრივებიც — გადაწყვიტა, ქალებს აქვე ჩემს კაზაკებს ცოლად შევრთავო. მეფის განაწესით ვოევოდებს ევალებოდათ ადგილობრივი მცხოვრებლების „ცოლები და გოგოები“ მოენათლათ და გაეთხოვებინათ, რათა წმინდა წყლის რუსები ახალ ადგილზე უფრო მაგრად მიეჯაჭვათ. პაშკოვი დარწმუნებული იყო, რომ უფლება ჰქონდა ორმოცდაათი წლის რუსი ქალების ბედი განეგო, აბაკუმმა კი თავის მოვალეობად ჩათვალა ქალებს გამოსარჩლებოდა.

— წესითა და კანონით ასეთების გათხოვება არ შეიძლება. — უთხრა დეკანოზმა. პაშკოვის თავნებობა მის ხალხში უკვე უკმაყოფილებას იწვევდა, თანაც, ამჯერად აბაკუმი მართალი იყო. ვოევოდამ, ჩანს, არაფრად ჩააგდო მისი ნათქვამი და გადაწყვიტა აბაკუმს არ აჰყოლოდა, მაგრამ ამ დროიდან მათი დამოკიდებულება საბოლოოდ გაფუჭებული იყო. მალე ვოევოდას საშუალება მიეცა უჯიათისთვის ჭკუა ესწავლებინა. გრძელ ჭორომთან, იქ, სადაც ანგარა კლდეებს შორის ღრიალით მიიკვლევს გზას, პაშკოვმა ბრძანა აბაკუმი კატარღიდან „გადაეგდოთ“.

— შენ ერეტიკოსი ხარ! — ზიზღით უთხრა მან ლტოლვილ დეკანოზს, — შენს გამო კატარღას ცურვა უჭირს. მთებით იარე, კაზაკები უშენოდ გაართმევენ საქმეს თავს...

ახლა ფორმალურად ვოევოდა იყო მართალი. ბრატსკის ციხესიმაგრეში დაზამთრებამდე უნდა ჩასულიყო და კატარღის შეკაუბუქებას ცდილობდა. მაგრამ განა ისეთი მძიმე იყო აბაკუმი ან ისეთი დავრდომილი, რომ კატარღაზე მისთვის საქმე და ადგილი არ გამოიძებნებოდა? აბაკუმმა იცოდა ვოევოდას ჩვეულება, ხომალდებს ჯალათებთან ერთად რომ ჩამოიცლიდა და არავის არაფერს შეარჩენდა, ამიტომ არ შეედავა და კლდეზე აბობღდა. გრძელი ჭორომი პირდაპირი გზით შვიდ კილო-

მეტრზე იყო გადაჭიმული. მთების მოვლით კი ხშირი შამბნარის გავლა უწევდა და მართლაც კაი ხანს უნდა ეევლო.

„ოი, უბედურებავ! — იგონებდა იგი, — მაღალი მთები, გაუვალი ტყეები, წინ კედელივით აღმართული ქვის ფრიალო კლდეები“...

გაწამებული, სამოსჩამოფლეთილი აბაკუმი, როგორც იქნება თავს დააღწევს ეკლიან შამბნარს, თავის ხომალდზე ავა, რომელმაც უკვე დიდი ხანია უკან მოიტოვა ჭორომი და წერილის საწერად დაჯდება...

რა წერილს წერს აბაკუმი? ჩვენ წინაა ორი ვერსია — აბაკუმისეული და პაშკოვისეული. ორივე ხატოვანია. არც ერთში და არც მეორეში სათქმელი ბოლომდე არ არის ნათქვამი, მაგრამ ერთმანეთის შევსებით ისინი ნათელს ჰფენენ ამბების მიმდინარეობას, რომლებიც ბოლოს და ბოლოს თვით მეფე ალექსი მიხეილის ძისათვისაც კი გახდა ცნობილი.

აბაკუმის ვერსიით, წერილი გაუგზავნიათ პაშკოვისათვის, რომელსაც მდინარის აღმა სამი ვერსი ჰქონდა გავლილი.

აბაკუმისთვის პაშკოვი ნამდვილი მხეცი იყო და წერილშიც — ჩვენ მხოლოდ მის დასაწყისს ვიცნობთ, — თუმცა ქაოტაგმულად, მაგრამ საკმაოდ აშკარადაა ნათქვამი ეოევოდასა და ეშმაკის მსგავსებაზე, რომელსაც ღმერთისაც კი არ ეშინია, პირიქით, სძულს იგი და, ალბათ, არც დაუყოვნებია აბაკუმს აუგი სიტყვებით მოეხსენებინა კაცი, რომელიც „ადამის ძეთ განუწყვეტლივ აწამებს, სცემს და ცეცხლში დაგავს“.

ეს ბრალდებები იმდენად „აურაცხელი“ გახლდათ, რომ პაშკოვს მოთმინების ფიალა აევსო. ეოევოდა ენით აუწერელმა მრისხანებამ შეიპყრო. კაზაკებსაც კი, რომლებიც მან აბაკუმის ხომალდზე გაგზავნა, ტანში აერეოლებდათ, როცა დამნაშავეს გადასცეს, ეოევოდა ასე და ასე გიპირებსო. ისინი კატარღას ბაგირით პაშკოვის სადგომამდე თითქმის სირბილით მოათრევდნენ. შესვენებისას აბაკუმმა კაზაკებს ფაფა მოუხარშა. კაზაკები ფაფას შეექცეოდნენ და სიბრალულით შესცქეროდნენ კაცს, რომელიც, მათის ფიქრით, მოსაკლავად მიჰყავდათ.

მათ შორის ალბათ ისეთებიც მოიძებნებოდნენ, ამურზე უკეთესი ხვედრის საძებნელად რომ გაიჭრებოდნენ და, თუ საჭირო იქნებოდა, დაუფიქრებლად ანდერძსაც აუგებდნენ ეო-

ევოდას. მეექვსმეტეული აბაკუმის მხილებანი სულში სწვდებოდათ. აბაკუმი თავს მეამბოხედ არ თვლიდა, მაგრამ უკმაყოფილებას კი აღვივებდა და პაშკოეს წარმატებაში ხელს უშლიდა.

ტყუილად როდი იტყვის შემდეგ აბაკუმი: „ათი წელი ის მაწვალებდა, თუ მე ვაწვალებდი, არ ვიცი, ღმერთმა განგესაჯოს განკითხვის დღესო“.

პაშკოვი გაშიშვლებული ხმლით უკვე ნაპირზე ელოდებოდა. გვერდით ვაჟი იერემია ედგა — ეოვევოდას „აბხანაგი“ და თანამემწე, ლტოლვილი დეკანოზის „საიდუმლო მეგობარი“. ჯალათებმა აბაკუმი კატარღიდან გადმოათრიეს და პაშკოვს მიჰგვარეს. კადნიერ ლტოლვილზე გაგულისებულმა პაშკოვმა აბაკუმს მთელი ხმით ულრიალა.

— ვინა ხარ შენ, ხუცესი თუ ნახუცარი?

— მე დეკანოზი აბაკუმი ვარ. — ამაყად მიუგო აბაკუმმა, აშკარად ნაწყენმა, რომ ეოვევოდა მასში მხოლოდ ნახუცარს ხედავდა. — თქვი, რა საქმე გაქვს ჩემთან?

პაშკოვი დასაბმელი გახდა. მან აბაკუმს ჯერ ერთ ლოყაში გააწნა სილა, მერე მეორეში, შემდეგ წააქცია, აიღო ეოვევოდას რკინის ცულ-ჩუგლუგი და ძირს გართხმულს ზურგში სამჯერ ჩაარტყა. მაგრამ ყველაზე საშინელი ჯერ წინ იყო.

ჯალათებმა უკვე გაამზადეს ფიცარნაგი, აბაკუმს ხალათი შემოაგლიჯეს და ფიცარზე გააკრეს. ხელში მოქნილი ტყავის „კუდებიანი“ ორი მათრახი ეჭირათ. ამ მათრახებს დანასავით მჭრელი წვერები ჰქონდა და ზურგზე კანს ხორციანად აცლიდა.

ეოვევოდა აბაკუმს მიუახლოვდა:

— როცა გეყოს, დაიძახე, შემიბრალეთო.

აბაკუმი დუმდა. „კუდები“ სისინით აპობდნენ ჰაერს და აბაკუმს ზურგზე მტკაველა ტყავს აცლიდნენ. ის კი დუმდა. სამჯერ გამოუცვალეს მათრახებს მოქნილი, სისხლისგან დარბილებული ტყავის „კუდები“. აბაკუმის ჯიუტობით გაცოფებული პაშკოვი — როგორ თუ შეწყალებას არ ითხოვსო — ღრიალებდა:

— დაჰკარით, კიდევ დაჰკარით!

იერემია პაშკოვმა ვეღარ გაუძლო — მამას მუდარა დაუ-

წყო, აბაკუმი შეიბრალეო. ღვთისმოშიში, მუდამ მამის დამჯერე, ამჯერად ისე შეაძრწუნა სასჯელის სიმკაცრემ, რომ გაბედა და ათანასე პაშკოვს შეეკამათა. განრისხებულმა ვოევოდამ ხმალი იძრო და შვილს მივარდა. იერემია გვერდზე რომ არ გამხტარიყო და არ გაქცეულიყო, უთუოდ უბედურება დატრიალდებოდა...

ადამიანის მოსაკვდინებლად სამოცი დარტყმა კმაროდა. აბაკუმმა სამოცდათორმეტს გაუძლო და ბოლოს იყვირა:

— მაკმარეთ ცემა!

როცა დეკანოზი ფიცარნაგიდან ჩამოხსნეს, იგი არ წაქცეულა, იმდენი ძალა კი ეყო, რომ ვოევოდასათვის საყვედურით ეთქვა:

— რისთვის მცემ, იცი მაინც?

ამისათვის ერთი-ორი კიდევ უთავაზეს ფერდებში.

ხელი რომ გაუშვეს, აბაკუმი ჯერ ისევ ფეხზე იდგა. მერე დაიკრუნჩხა და მიწაზე ზღართანი მოადინა. პაშკოვმა ბრძანა, ხელ-ფეხი შეუკარით და „სახაზინო" კატარღაზე წაათრიეთო. ამ კატარღაზე ინახებოდა სახელმწიფო ტყვია-წამალი.

ღამით გემბანზე მწოლარე აბაკუმს აუტანელი ტკივილი სტანჯავდა. ზედ შემოდგომის წვიმა დასდიოდა, სტკიოდა მაგრად გაკოჭილი ხელ-ფეხი; ტყავგადაყვლეფილი ზურგი და ხერხემალიც, ვოევოდამ ცულ-ჩუგლუგით რომ დაულურჯა, უზომოდ ეწვოდა. წამების დროს გაკერპებული ტკივილს ასე არ გრძნობდა. როცა ურტყამდნენ, ლოცულობდა, ახლა კი სხვა აზრი მოუვიდა: „რატომ მაწამებ ასე, ღმერთო? მე ხომ ქვრივებს გამოვესარჩლე! ვინ განსაჯოს — შენა ხარ მართალი, თუ მე? როცა ვქურდობდი, ცოდვას ჩავდიოდი, ასე არ დაგიმცირებივარ! ახლა არაფერში მიმიძღვის ბრალი!"

რისთვის?! ღვთის სამართლიანობაში ეჭვი შეჰპარვოდა და გულს მწარედ უღრღნიდა, რწმენა შეერყა. ამ აზრებმა შიში მოჰგვარა, მათი განდევნა სცადა, მაგრამ ისინი ისევ და ისევ თავში უტრიალებდნენ. იგი ღმერთმა მიატოვა. ეს იყო ყველაზე საშინელი ღამე აბაკუმის ცხოვრებაში. ფიზიკურ ტკივილს სულიერი ტანჯვა ემატებოდა...

„ასე მეგონა, ძვლები დამტვრეული მქონდა, ლამის სული ამომხდა, გული გამიჩერდა. ვიფიქრე, ვკვდები-მეთქი".

ვიღაც კეთილმა ადამიანმა აბაკუმს წყალი მოასმევინა და ისიც ცოტა გონს მოეგო. რა ჯანმრთელი, სულიერად რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყავი, რომ იმ წამებისათვის გაგეძლო, რაც მას ბედმა არგუნა! დღე და ღამე გემბანზე ეგდო თოვლსა და წვიმაში.

როცა პადუნას — ყველაზე სახიფათო ჭორომს — (ახლა იმ ადგილზე ბრატსკის ჰესი დგას) მიუახლოვდნენ, აბაკუმი კატარღიდან გადასვეს და ჯაჭვგამობმული რიყეზე გაათრიეს. ეშინოდა საზარელი ღამის გამეორებისა და აიკვიატა უბრალო აზრი, რომელიც ყველაზე მანუგეშებელი ეჩვენა — „ღმერთს ვინც უყვარს, მას სჯის... ვინც უფალს სასჯელის გარეშე ეზიარა, ნაბიჭვარია და არა ღვთის შვილი". ამ უხეშ კაზუისტიკას ლოგიკა აკლდა. მაგრამ ლოგიკას რწმენის მაგივრობის გაწევა არ შეეძლო და არც ძალას მატებდა.

პადუნაზე ჭორომები ყველა კატარღამ მშვიდობით გაიარა, მხოლოდ პაშკოვის ყველაზე კარგად აღჭურვილი კატარღა შეფერხდა — „წყალმა იმძლავრა". დინებამ იგი აატივტივა. წყალმა ხალხი მოიტაცა, ბაგირს რომ ეკაჩებოდნენ, და კატარღა რიყეზე გაათრია. წყალი ეხეთქებოდა ქვებზე შერჩენილ კატარღას, რომელშიც ვოევოდას ცოლი ფეკლა სიმეონოვნა დარჩენილიყო. მამა-შვილი პაშკოვები ნაპირზე აქეთ-იქით აწყდებოდნენ და კაზაკებს წყალში ერეკებოდნენ.

მერე პაშკოვის მესაჭემ აბაკუმს უამბო, რომ იერემიამ მამას უსაყვედურა თურმე:

— მამა, ღმერთი გსჯის ცოდვისათვის, ტყუილუბრალოდ რატომ სცემე მათრახით დეკანოზი. დროა მოინანიო, მეუფეო!

შვილის საყვედურმა ამჯერადაც გააშმაგა ვოევოდა. აბაკუმი წარმოდგენით აგვიწერს სცენას, რომელიც არ უნახავს. ტყუილად როდი მიუჩინეს მას ადგილი სერვანტესის გვერდით, მის „ცხოვრებას" კი უწოდეს „მოვლენა, რომელიც რომანს უახლოვდება". როგორც რომანისტს შეეფერება, მასში მხატვარი აშკარად სჯობნის მექრონიკეს.

„პაშკოვმა შვილს ნადირივით შეუღრინა, ერემია განზე გახტა, ფიქვის ხისაკენ გადაიხარა, ხელები მიაბჯინა და ჩაიბუტბუტა — „უფალო, შემიწყალე!" პაშკოვმა იქვე მდგარ ჭაბუკს (მცველ კაზაკს — დ. ე.) საკეტიანი სიათა გამოსტაცა — არასო-

დეს რომ არ გიმტყუნებდა[1] — შვილს დაუმიზნა და სასხლეტს თითი გამოჰკრა, მაგრამ, ღვთის წყალობით, სიათა არ გავარდა. მაშინ მან ხელახლა გატენა, ისევ გამოჰკრა სასხლეტს თითი, მაგრამ არც ახლა გავარდა. მესამედ სცადა პაშკოვმა, მაგრამ შესამედაც უმტყუნა სიათამ. გააფთრებულმა ვოევოდამ თოფი ძირს დაანარცხა. მცველმა სიათა აიღო და გვერდზე გაისროლა. კატარღა ისევ წყალქვეშა ქვებზე იყო გაჩხერილი. პაშკოვი სკამზე ჩამოჯდა, ხმალს დაეყრდნო და ატირდა, თან ამბობდა: „ცოდვა ჩავიდინე მე წყეულმა, უდანაშაულო სისხლი დაღვარე, ტყუილად ვცემე დეკანოზს, იმიტომაც მსჯის ღმერთი“.

შემდეგში, როცა „ცხოვრება“ იწერებოდა და აბაკუმი „ჰეშმარიტი ეკლესიის“ ბელადის როლს შეეგუა, იგი ცდილობდა ყველა მოვლენის შედეგი — ბედნიერი თუ უბედური — უზენაესი ძალების ჩარევით აეხსნა და ზოგჯერ თავის თავს სასწაულმოქმედებასაც კი მიაწერდა. აი, ახლაც საკმარისი იყო ვოევოდას მოსანანიებელი სიტყვა ეთქვა, რომ „კატარღა ქვებიდან... თავისით გადმოვიდა და დინების საწინააღმდეგოდ ცხვირით დადგა. გასწიეს და ისიც მაშინვე წყნარ ადგილზე შევარდა“.

მაშინ თითქოს პაშკოვმა ვაჟიშვილს მოუხმო და უთხრა:

— მომიტევე, იერემია, თურმე მართალს ამბობდი!

იერემიამ კი მამას მდაბლად თაყვანი სცა და უპასუხა:

— ღმერთმა მოგიტევოს, მეუფეო! ღვთისა და შენ წინაშე დამნაშავე ვარ.

„მან მამას ხელი მოჰკიდა და წაიყვანა. ბევრად უფრო ჭკვიანი და კეთილი იყო იერემია: უკვე ჭაღარა მორეოდა, მაგრამ მამის დიდი რიდი და შიში ჰქონდა“.

თავისი მტრების მხატვრულად აღწერისას აბაკუმი მარტო შავ საღებავს როდი ხმარობს. იგი მათში ადამიანობასაც ეძებს; მზადაა ნიკონსაც — ამ „ცხვრის ტყავში გახვეულ მგელსაც“ კი შეუნდოს, თუკი მოინანიებს.

პირველ ოქტომბერს ორმოცივე კატარღამ ბრატსკის ციხე-ქალაქს[2] მიაღწია. „ციხეში ჩამაგდეს, ჩალა მომცეს, — იგონებს

---

[1] მრგვალსაკეტიანი კაჟიანი თოფი უფრო იშვიათად გიმტყუნებს, ვიდრე პატრუქიანი.

[2] ბრატსკის (ბურიატსკის) ციხე-ქალაქი დაარსდა 1631 წელს იმავე პეტრე ბეკეტოვის მიერ აღმოჩენილ ადგილზე. 1655 წელს პაშკოვის ბრძანე-

აბაკუმი. — ფილიპეს მარხვამდე გაყინულ კოშკში ვიჯექი. ზამთარი იყო, მაგრამ ღმერთი უბალათოდაც მათბობდა. ჩალაზე ძაღლივით ვეგდე, ხან მაკმევდნენ, ხან არა. თაგვები ბევრი იყო და არახჩინით ვიგერიებდი. ჯოხიც კი არ მომცეს, ტუტუცებმა! სულ მუცელზე ვიწექი, ზურგი დაჩირქებული მქონდა. ნაცემს მწიოდა, მაგრამ ტყვე ვიყავ: როცა მოესურვებოდათ, მაშინ მაკმევდნენ. მლანძღავდნენ უკეთურები, ხან ხმელ პურს მომიგდებდნენ, ხან მარტო მოუხარშავ შაშხს, ხან ძროხის კარაქს უპუროდ... დარაჯად ხუთი კაცი მომიყენეს. კედელში ხვრელი იყო, ყოველდღე ერთი ძაღლი მოდიოდა ჩემს სანახავად. როგორც ლაზარეს ძაღლი ჩირქს ულოკავდა, ჭრილობას უშუშებდა, ისე მე ჩემს ძაღლს ველაპარაკებოდი ხოლმე; ხალხი კი თავს მარიდებდა, ციხისკენ გამოხედვასაც ვერ ბედავდა".

„ცხოვრების" ერთ-ერთ ხელნაწერში ნათქვამია, რომ აბაკუმს მხოლოდ გასისხლიანებული ხიფთანი ეცვა. ქურქი მოგვიანებით მიუციათ. „სულ ერთიანად დაჩირქებული ვიყავი; ტილები მკამდნენ, თაგვებიც და სიცივისაგან გამწარებული მქონდა ყოფა. მშია, ჭუჭრუტანაში ვიჭყიტები; პაშკოვთან სინებით შემწვარ-მოხრაკულები მიაქვთ, მღერიან, მხიარულობენ, ჩემთან არავინ შემოდის, არაფერი მოაქვთ, ტუტუცები! იმ ლანგრების ალოკვაზე და მთელი ნარეცხის დალეგვაზეც არ ვიტყოდი უარს. მიწაზე აქცევენ, მე კი არ მაძლევენ. თავში ათასნაირი აზრები მიტრიალებს"...

იგი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, ღვთისა და ადამიანების უსამართლობაზე ფიქრმა მოიცვა. რამდენჯერ გადაწყვიტა პაშკოვისთვის პატიება ეთხოვა, მაგრამ თავი შეიკავა...

ერთი თვის შემდეგ პაშკოვმა აბაკუმი თბილ ქოხში გადაიყვანა, სადაც მთელი ზამთარი ბორკილებში გაატარა ამანათებთან — ადგილობრივი ტომების მძევლებთან ერთად.

მისი ოჯახი პაშკოვმა ბრატსკიდან ოცდოდე კილომეტრის დაშორებით ტყეში დაასახლა. საწყლები კინაღამ დაიხოცნენ შიმშილისაგან, სურავანდის, სიცივის, ნაღველისა და დარდისა-

---

ბით ოკის შესართავის ახლოს ახალი კვადრატული სამაგრე აღმართეს, რომელსაც კუთხეებში ოთხი შეიდმეტრიანი ვებერთელა მორებით ნაგები კოშკი ჰქონდა დატანებული. ამ კოშკებიდან ერთ-ერთში ჩააგდეს აბაკუმი. შესაძლოა, 1959 წელს სწორედ ის კოშკი გადმოიტანეს მოსკოვში და კოლომენსკში შეკრეს, როცა ბრატსკის ზღვა უნდა აევსოთ.

გან, უსაშველო გასაჭირისაგან. მთელი სურსათ-სანოვაგე, რაც აბაკუმმა ესისეისკიდან წამოიღო, პაშკოვის ბრძანებით ტახსაცმლის ხაწილთან ერთად წაართვეს. ვიღაც „დედაკაცმა ქსენიაი“ ნასტასია მარკოვნას მთელი ზამთარი სიცოცხლე გაუმწარა — „უყეფდა და კიცხავდა“.

შობის შემდეგ, ფიცხელ ყინვაში აბაკუმთან უფროსი ვაჟი ივანე მოვიდა სანახავად, მაგრამ პაშკოვმა მამა-შვილი ერთმანეთს არ შეასვენრა; ბრძანა ბიჭი ღამით იმ ცივ კოშკში დაემწყვდიათ, სადაც უწინ აბაკუმი იჯდა. დილით გათოშილი ივანე დედასთან გააგდეს.

31

მოკლედ, პაშკოვი აბაკუმს ისე მოექცა, როგორც მაშინდელი თავადაზნაურები იტყოდნენ: მღვდელს ძაღლივით ურტყი, ოღონდაც არ მოკლაო. „ნახუცარ აბაკუმის“ მათრახით ცემის პაშკოვისეული ვერსია გადმოცემული იყო წერილობით პასუხში, რომელიც ვოევოდამ მეფე ალექსი მიხეილის ძის სახელზე გაგზავნა.

პაშკოვს ეშინოდა, ამ სასტიკი დასჯის შემდეგ აბაკუმი არ მოკვდესო. ასეთი ცნობილი კაცის სიკვდილისათვის ადრე თუ გვიან პასუხს აგებინებდნენ. ამიტომ სასწრაფოდ მოძებნა მოწმეები, რომლებიც დეკანოზის მეამბოხურ საქციელს, „მას შმაგ სიტყვებს“ დაუდასტურებდნენ. შედგა არზა, რომელზეც ოთხას ოც კაზაკს ხელი ძალით მოაწერინეს.

ვოევოდას პირადი წერილობითი პასუხი არზაში მოყვანილ ბრალდებებს ზუსტად იმეორებდა, მაგრამ უფრო ვრცელი იყო. ეტყობოდა, რომ ორივე საბუთი ერთმა კაცმა — დაურიის ვოევოდა პაშკოვმა შეადგინა.

პაშკოვის წერილობით პასუხში უკვე ცნობილი ამბავი სულ სხვანაირადაა გადმოცემული. პაშკოვს ხელმწიფის ბრძანების შესასრულებლად ხალხი დაურიის მიწაზე მოჰყავდა. და აი, ტუნგუს-მდინარეზე, გრძელ ჭორომთან, 1655 წლის 15 სექტემბერს მას წერილი მიართვეს. წერილი უმისამართო, ხელმოუწერელი იყო და პაშკოვს სულაც არ ეკუთვნოდა; იმ წერილში ეწერა უღირსი, უსირცხვილო სიტყვები: მთელ უფროსობაში, რა წოდებისაც გინდა იყვნენ, ვერავითარ სამართალს ვერ იპოვიო.

ვოევოდა, როგორც ხელმწიფის ერთგული და ყურმოჭრილი ყმა, მაშინვე ძებნას შეუდგა და მალე იპოვა თაღლითი, რომელიც თურმე ამ უგვანო წერილს საკუთარი ხელით წერდა. იგი სხვა ვინმე კი არა, ყოფილი დეკანოზი აბაკუმი აღმოჩნდა. მას სურდა პაშკოვის პოლკში შფოთი აეტეხა, ხალხს აქეზებდა, ხელმწიფეს განუდექითო, მის ბრძანებებს ნუ შეასრულებთო. პაშკოვი პირდაპირ არ წერს, რომ ატამანობა თვითონ აბაკუმს უნდოდა, მაგრამ ამას გაკვრით მაინც ამბობს. ილიმის ციხე-ქალაქში ნახუცარ აბაკუმივით თაღლითმა მიშკა სოროკინმა სამას ოცდაათი გაიძვერა აიყოლია და მათთან ერთად ვერხოლენსკის ციხე-ქალაქი დაარბია, ბევრი ვაჭარი გაძარცვა. ენისეისკელმა მსახურებმა ფილკა პოლეტაევმა და მისმა ამხანაგებმა სახელმწიფო ხაზინა დაიტაცეს, თავიანთი უფროსი გაძარცვეს და დაურიის მიწაზე მიმოიფანტნენ.

პაშკოვმაც ბრძანა, რომ თაღლითი ნახუცარი ფიცარნაგზე გაეკრათ და მათრახით ეცემათ, რათა ამიერიდან მსგავს თაღლითებსა და ავაზაკებს ხელმწიფის ჯარში გაიძვერული წერილებით არ შეეღწიათ და შფოთი არ აეტეხათ.

ეს კიდევ არაფერი, მაგრამ როგორც კი აბაკუმს მათრახი მოხვდა, თურმე იღრიალა — ძმებო კაზაკებო, არ გამცეთო!

ამ ნახუცარს, როგორც ჩანს, ადრე ჰქონია საქმე კაზაკებთან, აქეზებდა, ულირს სიტყვებს ჩასჩიჩინებდა, ახლა კი მოისურვა აემხედრებინა ისინი და ვოევოდასთან წაეჩხუბებინა. თაღლითი სიკვდილით დასჯის ღირსი იყო, მაგრამ ხელმწიფის ბრძანების გარეშე ვოევოდა ამას ვერ გადაწყვეტდა.

რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს ყოველივე? მოსალოდნელია, რომ აბაკუმი „ულირს სიტყვებს" მართლაც ამბობდა, წერილში ვოევოდას ამხელდა, მაგრამ ეს წერილი უსახელო არ ყოფილა, დეკანოზი ჯანყისკენ არავის მოუწოდებდა, თუნდაც იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა მის რწმენას.

ვოევოდას წერილი დაურელმა კაზაკმა მიკიტკა მაქსიმოვმა წაიღო, მაგრამ ჩანს, მარტო ეს პასუხი არ მოხვედრილა ტობოლსკში, ვინაიდან არქიეპისკოპოსი სვიმონი უკვე 1658 წელს „დიდ შფოთისთავის", პაშკოვის შესახებ მეფეს სწერდა, აბაკუმი ცულ-ჩუგლუგით ცემა და ბევრი სხვა უწესობაც ჩაიდინაო. სხვებზე კარგად იცნობდა სვიმონი ვოევოდებს და მათთან დანასისხლად იყო. მანამდე, სულ ცოტა ხნის წინ, ენა მიუტა-

ნეს, ტობოლსკის ეოეეოდას, თავად ბუინოსოვ-როსტოვსკის სამხედრო კაცისთვის ჩვეული პირდაპირობით ეთქვა: იმ ჩვენს არქიეპისკოპოსსაც ისეთ დღეს დავაყრი, თავიდან ტვინს დავანთხევინებო.

მეფე ალექსი მიხეილის ძესაც, დედოფალ მარიამსაც და მეფის ასულებსაც ებრალებოდათ აბაკუმი, რომელიც სამუდამოდ დარჩათ მეხსიერებაში. ისინი ნიკონის სისასტიკეზე ფიქრობდნენ, როცა ოხვრით კითხულობდნენ სვიმონის მინაწერს: „ამეამად, დიდო ხელმწიფეე, ცოცხალია თუ მკვდარი ის დეკანოზი აბაკუმი, არ ვიცი“...

ბევრი რამ შეიცვალა მოსკოვში მას შემდეგ, რაც აბაკუმმა ყატარღით ციმბირის მდინარეებზე მოგზაურობა დაიწყო.

32

ნიკონი ძალაუფლების მწვერვალზე დავტოვეთ.

იგი გრეკოფილობამ გაიტაცა. მოსკოვში გადმოჰქონდა ბერძნული ამბიონები, მანტიები, ბარტყულები, კვერთხები, შემოჰქონდა მათი მელოდიები; იწვევდა ბერძენ ფერმწერებს, მონასტრებს ბერძნულის მსგავსად აშენებდა, საეკვო ბერძენ მწიგნობართ იახლოებდა, თავისი ქედმაღლობით სულ უფრო და უფრო მეტ ხალხს შეურაცხჰყოფდა, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მათ განწყობილებაზე.

გადასახლებული ქომაგნი, განსაკუთრებით ნერონოვი, ნიკონის წინააღმდეგ ქადაგებას არ წყვეტდნენ, მათი სახელიც და ნაწერებიც ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა. დევნილთ მიაღწიეს იმას, რომ მათ უსმენდნენ და იცოდებდნენ. თავიდან საეკლესიო კრებების იმედი ჰქონდათ, მაგრამ იქ ნიკონის მომხრეებმა გაიმარჯვეს. მეფე კრებების გადაწყვეტილებას პატივს სცემდა და ნიკონს უჭერდა მხარს. მაგრამ ქომაგთ ვერც ამან დააყრევინა ფარ-ხმალი. მათ ახსოვდათ ვოლოკოლამსკის წინამძღვარ იოსებ ვოლოცკის სიტყვები, რომელმაც თავის დროზე ეჭვი შეიტანა ივანე მესამისა და მიტროპოლიტ ზოსიმეს „მოებრაელთა ერესში“ და წერდა — ასეთი მეფე „მეფე კი არ არს, არამედ მწვალებელიო“, „ასეთ მეფეს არ დაეჯერებაო“. ხოლო ეპისკოპოსი „მწყემსი კი არ არს, არამედ მგელიო“. ქომაგნი მზად იყვნენ უზენაეს ძალასაც კი წინ აღეგო-

მოდნენ, თუკი ეს ძალა რუსულ ტრადიციებს ღალატობდა.

ვოლოგდაში გადასახლებული ნერონოვი მეფეს, დედოფალსა და ბონიფატიევს სწერდა, მოსკოვში მორდოველი დამჯდარა და მთელ სამეფოს ამღვრევსო. იგი ანტიქრისტეს გამოცხადებას წინასწარმეტყველებდა, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ ნიკონის სისასტიკე ყველა მცნებას ეწინააღმდეგებაო. ნერონოვს მეფისათვის წერილების გზავნა აუკრძალეს. მოსკოვში ნერონოვის პირადი წერილები ხელიდან ხელში გადადიოდა, კითხულობდნენ, იწერდნენ, მისი უსტარი აბაკუმამდეც აღწევდა, რომელიც, როგორც კი დროს იხელთებდა, მაშინვე უპასუხებდა ხოლმე. ციმბირიდან გამოგზავნილ წერილში აბაკუმი ნერონოვს მოციქულ პავლეს ადარებს.

ნერონოვი ჩრდილოეთში, კანდალაკშის მონასტერში გადაიყვანეს. გზა გაიმრუდა, ვოლოგდაში შეიარა და ტაძარში იქადაგა.

— გაჩნდნენ ახალი მწვალებლები, — თქვა მან, — რომლებიც მამა-პაპათა ნაანდერძევის ერთგულ მართლმადიდებელ ქრისტიანებს აწამებენ.

ნერონოვი სოლოვკაში გაიქცა და მთელი მონასტერი გადაიბირა, რითაც ნიადაგში მომავალი აჯანყების თესლი ჩააგდო. მოსკოვში მალულად ჩასული ბონიფატიევთან იმალებოდა. ომიდან დაბრუნებულმა მეფემ ეს იცოდა, მაგრამ დევნილი არ გასცა პატრიარქთან. სწორედ მაშინ აღიკვეცა ბერად ნერონოვი დანიელის მონასტერში გრიგორის სახელით.

როცა 1656 წელს ნიკონმა კრებაზე ყველა თავისი რეფორმის დამტკიცებას მიაღწია, ბერი გრიგორი ეკლესიიდან მოკვეთა. ამან ნერონოვისადმი თანაგრძნობა გააძლიერა ხალხში. იგი სცემდა პატრიარქის მსახურებს, რომლებიც ბერს ეძებდნენ. მაგრამ თვითონ ნერონოვი შეჩვენებამ შეაძრწუნა.

1657 წლის 4 იანვარს სრულიად მოულოდნელი ამბავი მოხდა. იმ დღეს ბორკილდადებული აბაკუმი ბრატსკის ციხე-ქალაქის ამანათების ქოხში იჯდა. და იმავე დღეს ივანე ნერონოვი, იგივე ბერი გრიგორი თავის მოსისხლე მტერთან, პატრიარქ ნიკონთან მივიდა. პირდაპირ ტაძარში გამოცხადდა, სადაც ნიკონი წირვაზე მიდიოდა და უთხრა — შენ წინაშეა ადამიანი, რომელსაც დიდი ხანია დაეძებო.

არანაკლებ მოულოდნელი იყო პატრიარქის ქცევაც. მბრძანებლური ხასიათის, ენამკვახ და გულფიცხ ნიკონს ამჯერად ნერონოვის საყვედურებზე არ უპასუხია, უფრო მეტიც — წირვის შემდეგ იგი თავის ჯვრის პალატში შეიყვანა და დიდხანს ესაუბრა.

გარდა ამისა, პატრიარქმა მალე ბერს საეკლესიო განკვეთა მოუხსნა და ნება დართო მოსკოვის ეკლესიებში ძველი წესებითა და ძველი კონდაკებით ეწირა. და როცა ნერონოვი ნიკონს ჩამოაცივდა, მაინც რომელი ჯობს — ძველი თუ ახალბერძნულით შესწორებული წიგნებიო, პატრიარქმა უპასუხა:

— ორივე კარგია. სულ ერთია, რომლითაც გენებოს, იმით სწირე.

თითქოს არც ყოფილიყოს ბრძოლები, ვნებათა ღელვა... მაშ რისთვის წამოიწყეს ყველაფერი? რისთვის ეწამა ასე სასტიკად აბაკუმი? ეს ყველაფერი ზავის მოახლოებას ხომ არ მოასწავებდა?

ნერონოვი უწინდებურად ხშირად ხვდებოდა მეფეს. ერთხელ ეკლესიაში შეჰკადრა კიდეც:

— როდემდე უნდა უთმინო ნიკონს, ხელმწიფეო? აამხედრა მთელი რუსეთი, შენი მეფური სახელი შელახა; დაიჩრდილა ძალა შენი. ამ დუშმანისა ყველას ეშინია...

ალექსი მიხეილის ძე თავის „სულიერ" მეგობარ პატრიარქს არ გამოსარჩლებია. იგი უხმოდ განშორდა მოხუცს.

მაინც რა მოხდა?

მოხდა ის, რომ ალექსი მიხეილის ძე უკვე ოცდაათს მიუახლოვდა, რომ იგი უკვე დავაჟკაცდა, ლაშქრობებში ბევრი ნახა და გადაიტანა. ახლა უნდოდა სამეფო ძალაუფლების მოყვარული პატრიარქის ჭკუაზე კი არა, დამოუკიდებლად ემართა. მეფე სულ უფრო გულდასმით უგდებდა ყურს ნიკონის მრავალრიცხოვან მტრებს. პატრიარქმა ეს იცოდა.

პატრიარქს კიდევ ერთი ზნე სჭირდა, რომელსაც არ შეიძლებოდა მეფე არ გაეღიზიანებინა. ცნობილია, რომ ნიკონს უყვარდა „ხორციელი სიამენი". დიდი თაღლითი ვინმეა და მექალთანეო, ამბობდა მასზე აბაკუმი. როცა ნიკონმა მეფის ოჯახი შავ ჭირს განარიდა და მოსკოვიდან გახიზნა, ეტყობა, მაშინ რაღაც შეემთხვა მეფის ახლობელ ქალებთან. ასე იყო თუ ისე, 1667 წლის საეკლესიო კრებაზე, ნიკონის გასამართლების

დროს, მეფეს წამოსცდა: ნიკონმა დიდად შეურაცხმყოო, მაგრამ თავისი სიტყვების განმარტებისაგან თავი შეიკავა.

ალექსი მიხეილის ძეს უკიდურესობანი არ უყვარდა. მაგრამ მის გარეგნულ სირბილეში ბევრი უკვე ჭვრეტდა მოქნილ პოლიტიკოსს, რომელსაც შეეძლო მიზნისათვის ზედმეტი ტრაბახისა და უხეში ძალადობის გარეშეც მიეღწია, ყველაფერში თავდაჭერილობას იჩენდა, მაგრამ ყველა საქმეში, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, საღი აზრი შეჰქონდა.

მეფის წერილები სავსეა მარჯვე დაკვირვებებით; მისთვის უცხო არ არის პოეზია; მისი საქმიანი წერილები ზოგჯერ ლირიკულ თხზულებებად იქცევა ხოლმე. „რა ლამაზი და საამო საცქერია, შევარდენი რომ კამარას შეკრავს... შეარჩიეთ დღეები, ხშირად იარეთ, ნუ დაიზარებთ, მიუშვით, ანადირეთ, არც ფრთოსნები დაივიწყებენ თავიანთ ლამაზ ნანადირევს“. — წერდა ის ბაზიერთუხუცესს.

სილამაზისადმი სწრაფვა შერწყმული იყო მუყაითობასთან, წესრიგიანობასა და თადარიგიანობასთან. იგი ზუსტად აღნუსხავს თავის ხარჯებს. მოურავს წერილებში გლეხების სახელებს ეკითხება, სურს ყველაფერში დაწვრილებით გაერკვეს. სახელმწიფო საქმეებში სიდინჯეს იჩენს, ყველა მხარის აზრს მოუსმენს და გადაწყვეტილებას ისე იღებს.

მეფის ევოლუცია, როგორც პოლიტიკოსისა, მეტისმეტად შესამჩნევი გახლდათ. 1652 წელს მან ივანე მრისხანეს მოქმედება ცოდვად ცნო და ფილიპეს ნეშტის წინაშე მისი შენდობა ითხოვა, 1657 წელს კი ალექსი მიხეილის ძემ უკვე გულდასმით შეისწავლა თავისი წინაპრის პოლიტიკა და პატრიარქს უბრძანა, მეფე ივანესათვის პანაშვიდი გადაეხადა. მეფის ტიტულში საბოლოოდ დამკვიდრდა სიტყვა „თვითმპყრობელი“. მიხეილ თეოდორეს ძის მეფობისას საერო კრება ბარე ათჯერ მოიწვიეს. ალექსი მიხეილის ძის დროს კი გაცილებით იშვიათად იწვევდნენ. ბოიართა სათათბირო დასუსტდა. ჩინოვნიკების არმიას საიდუმლო და მკაცრი ზედამხედველობა დაუწესეს. ბოლოს და ბოლოს შეიქმნა საიდუმლო საქმეთა უწყება — ყოველისშემძლე დაწესებულება, რომელიც მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა. უწყებას ფაქტობრივად ვინმე დიდგვაროვანი კი არ ჩაუდგა სათავეში, არამედ დიაკვანი დემენტი ბაშმაკოვი, რომელსაც აბაკუმმა გესლიანად უწოდა „საიდუმლო საქმეში ანტიქრისტეს ბრაწი.“

ივანე მრისხანეს მიბაძვით მეფე სულ უფრო მკაცრი და უხეში ხდებოდა, სულ უფრო შეუწყნარებელი მათ მიმართ, ვინც თავისუფალ მსჯელობას გაბედავდა ან რაიმე საქმეში დამოუკიდებლობას გამოიჩენდა.

მეორე „დიდ ხელმწიფეს" ალექსი მიხეილის ძის გვერდით ადგილი აღარ რჩებოდა. პატრიარქის ტახტზე ასვლისას ნიკონს რომ პირობა მისცა, ყველაფერს დაგიჯერებთო, ის სიტყვები დავიწყებას მიეცა, მეფე უკვე იშვიათად იწვევდა მას თათბირებზე და, ასე განსაჯეთ, ოფიციალურ მიღებებზეც კი არ პატიჟებდა. მეფესთან დაახლოებული პირები, რომელთაც ნიკონი უკვე დიდი ხანია ათვალისწუნებული ჰყავდათ, ხელიდან არ უშვებდნენ ხელსაყრელ შემთხვევას, რომ პატრიარქისათვის კბილი გაეკრათ — „მდაბიოთაგანი" არისო.

მათ თვითონ ალექსი მიხეილის ძემ მისცა მაგალითი. როცა ნიკონმა ანტიოქიის პატრიარქ მაკართან თავისი უთანხმოების ამბავი დამალა და წყალკურთხევის წეს-ჩვეულების შეცვლაზე მეფე დაითანხმა, ამას დიდი სკანდალი მოჰყვა. მეფემ ეს სიცრუე რომ გაიგო, განრისხდა და ეკლესიაში პატრიარქს ყვირილი დაუწყო:

— გლეხუჭა ხარ, შე ძაღლისშვილო!

— მე შენი სულიერი მამა ვარ, როგორ შეგიძლია ასე დამამცირო? — ღირსეულად მიუგო ნიკონმა. მაგრამ მეფემ უპასუხა, ჩემს „მამად" აღარ გთვლიო.

1658 წლის ექვს ივლისს მეფემ სასახლეში სადილი გამართა მოსკოვში ჩამოსული ქართველი მეფისწულის თეიმურაზის პატივსაცემად. ნიკონი სადილზე არ მიიწვიეს. მან ამბის გასაგებად თავისი წარჩინებული დიმიტრი მეშჩერსკი გაგზავნა. მეფის კარისკაცმა ბოგდან ხიტროვომ, რომელიც მეფისწულს ცნობისმოყვარეთა შორის გზას უკაფავდა, მეშჩერსკის თავში ჯოხი წაჰკრა.

— ტყუილად მირტყამ, ბოგდან მატვეევიჩ, — უთხრა თავადმა, — აქ საქმეზე გეახელით, ისე არ გეგონოთ მოსული.

— ვინა ხარ? — ჰკითხა კარისკაცმა.

— პატრიარქის კაცი, დავალებით გამოგზავნილი, — ამაყად უპასუხა მეშჩერსკიმ.

მაგრამ ის დრო უკვე წასული იყო, როცა „პატრიარქის კაცის" ხსენებაც კი შიშსა და თრთოლვას ჰგვრიდა ადამიანს.

— ნუ ყოყოჩობ მაგ შენი პატრიარქით! — უყვირა ხიტროვომ თავადს და ერთხელ კიდევ წაჰკრა ჯოხი შუბლში.

თავადი საჩივლელად გაიქცა. ნიკონმა თავისი წარგზავნილის აბუჩად აგდება პირად შეურაცხყოფად მიიღო. მეფეს მაშინვე წერილი მისწერა, მოითხოვდა, ახლავე სამართალი გამიჩინეთო. მეფემ წვეულებიდან თავისი ხელით მისწერა — საქმეს განვიხილავ და პირადად გნახავო. პატრიარქმა ისევ მისწერა წერილი, მეფემ წვეულებიდან ისევ ორპოფულად უპასუხა. მაშინ ნიკონმა თქვა:

— რაკი მეფეს არ სურს შეურაცხყოფისაგან დამიცვას, მაშინ ისე მოვექცევი, როგორც ეკლესიის წინამძღვარს შეეფერების.

მაგრამ ეს ლიტონი მუქარა იყო. მეფემ პატრიარქთან წირვაზე სიარული შეწყვიტა. მალე თავადი რომოდანოვსკი ნიკონს ეახლა და უთხრა:

— მეფის უდიდებულესობა შენზე განრისხებულია. შენ დიდ ხელმწიფედ იწერები, ჩვენ კი ერთი დიდი ხელმწიფე გვყავს — მეფე!

— ჩემი თავისთვის დიდი ხელმწიფე მე არ მიწოდებია, — უპასუხა ნიკონმა, — ეს თავად მეფის უდიდებულესობის ნებართვილი იყო. აგერ უტყუარი საბუთი — მისი ხელით დაწერილი სიგელები.

— მეფის უდიდებულესობა შენ პატივს გცემდა როგორც მამასა და მოძღვარს, მაგრამ ეს ვერ დააფასე. ახლა კი მეფის უდიდებულესობამ მიბრძანა გადმოგცე: ამიერიდან დიდ ხელმწიფედ არ დაეწერო და არც იწოდო. დღეიდან მისგან პატივისცემას ნულარ ელი.

ნიკონს კიდევ შეეძლო ალექსი მიხეილის ძესთან საერთო ენა გამოენახა, თუკი გატყდებოდა და უმაღლეს ხელისუფლებაზე უარს იტყოდა. მაგრამ პატრიარქი მეტისმეტად ამაყი, თავმოყვარე კაცი გახლდათ და გადაწყვიტა მეფე ისეთივე დრამატული სცენით შეეშინებინა, პატრიარქის ტახტზე ასვლისას რომ გაითამაშა.

ათ ივლისს მაცხოვრის კვართობის დღესასწაულზე ნიკონმა ბრძანა მიძინების ტაძარში უბრალო ბერის ანაფორა, ბარტყუულა და მღვდლის არგანი მოეტანათ. წირვის შემდეგ განაცხადა — პატრიარქობაზე უარს ვამბობო, პატრიარქის სამოსელი

ჯაიხადა და ანაფორის ჩაცმა დაიწყო. მაგრამ ამის ნება არ მის-
ცეს და მეფესთან კრუტიცელი მიტროპოლიტი პიტირიმი გაგ-
ზავნეს.

მეფე ნიკონთან არ მივიდა, არ უცდია განზრახვა გადაეთ-
ქმევინებინა, პატრიარქს თავადი ტრუბეცკი გაუგზავნა. რუსე-
თის ეკლესიის მესვეური მე ალარ ვიქნებიო, თქვა ნიკონმა, ტა-
ძარი მიატოვა და მის მიერვე აგებულ აღდგომის მონასტერში
(ახალ იერუსალიმში) წავიდა. მას შემდეგ რამდენიმე წელი-
წადს პატრიარქის ტახტი ცარიელი იყო. ფაქტობრივად ეკლე-
სიის წინაძღვარი თვითონ ალექსი მიხეილის ძე გახდა.

აი, რატომ გაახსენდა მეფეს კიდევ ერთხელ უზომო თანა-
გრძნობით ნიკონის სასტიკი მოწინააღმდეგე დეკანოზი აბაკუ-
მი, აი, რატომ ბრძანა, აბაკუმის ცემისათვის „ცულ-ჩუგლუგი-
თა და მათრახით... პაშკოვი დაურიის სამსახურიდან გადააყენე-
თო"... უთუოდ მაშინვე ბრძანა მეფემ ისიც, რომ აბაკუმი გა-
დასახლებიდან დაებრუნებინათ.

მაგრამ პაშკოვი და აბაკუმი უკვე ისე შორს იყვნენ, რომ
მეფის ბრძანებები მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაეწია.

83

1657 წლის გაზაფხულზე, ყინული გადნა თუ არა, პაშკოვის
ჯარი კატარღებით დაიძრა ბაიკალისკენ, ზღვისკენ, როგორც
მას პატივისცემით უწოდებდა ყოველი რუსი.

მკაცრი იყო ციმბირის ზღვა. სევდის აღმძვრელად უბერავ-
და ქარი, მდინარის დაბალ სამდინარო ხომალდებს — კატარ-
ღებს — ტალღები ეხეთქებოდა. აბაკუმი აქ კინაღამ დაიხრჩო.

ბაიკალის გადაცურვისთვის იალქნიან კატარღებს სამი დღე
დასჭირდათ და ბოლოს სელენგის შესართავს მიაღწიეს. მთებს
შუა მოქცეული მდინარე ისეთი სისწრაფით მიედინებოდა, ჭაპ-
ნის მოსუსტება წუთითაც არ შეიძლებოდა, წყალი მუცლიან კა-
ტარღას ადვილად გაიტაცებდა და ნაფოტებად აქცევდა. მაშინ
მსუბუქი ორჩხომელები გამართეს და მდინარეს აღმა აუყვნენ.

პაშკოვმა აბაკუმიც აიძულა ჭაპანში ჩაბმულიყო — ხალხი
არ ჰყოფნიდათ. ძილისთვის კი არა, ჭამისთვისაც ვერ იცლიდ-
ნენ; ჭაპანში ჩაბმულები ლუკმას ძალისძალად თუ გადაყლაპავ-
დნენ; ხალხს ძალა გამოელია, ქანცგაწყვეტილები პირდაპირ

ტალახში ეცემოდნენ და იქვე იძინებდნენ. პაშკოვის ქოფაკი ზედამხედველები მაშინვე იქ გაჩნდებოდნენ და ჯოხის ცემით მათ ვოევოდას გემზე მიერეკებოდნენ. აქ ვოევოდა ზოგს კეტით სცემდა, ზოგს მათრახით. ბევრი სიკვდილის პირას მიიყვანა ცემით. აბაკუმს ფეხები და მუცელი დაულურჯდა, დაუსივდა, კანი დაუსკდა და სისხლიანი წყლულებით დაეფარა.

ხილკაზე წყალმა აბაკუმის ორჩხომელა ნაპირიდან მოიტაცა. ამ დროს ნასტასია მარკოვნა ბავშვებთან ერთად ნაპირზე იყო. მესაჭე და აბაკუმი მალე გადაყირავებული ორჩხომელის ქვეშ აღმოჩნდნენ. აბაკუმი ძლივს აბობღდა ნავის ძირზე. მდინარემ გადაყირავებული ორჩხომელი ერთ ვერსზე ასე ათრია, სანამ არ გადმოაბრუნეს. წყალმა მთელი სურსათი და ტანსაცმელი დაასველა. ხალხმა დიდი ოხვრით და ვიშვიშით ბუჩქნარზე კი გაფინა კაბები, მოსკოვური ატლასისა თუ თაეთის ქურქები და სხვა ავლა-დიდება, რომელიც აბაკუმს ჩემოდნებით და ჩანთებით მოჰქონდა, მაგრამ მათი გაშრობის დრო არ იყო. ყველაფერი დალპა და დეკანოზის ჯალაბობა მათხოვრებს დაემსგავსა. პაშკოვმა ისევ კინაღამ სცემა აბაკუმს — განზრახ გამოეწყო ისე, რომ ხალხი გააცინოსო. აბაკუმი იძულებული გახდა მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი ლოცვით მიემართა „ნათელ ღვთისმშობლისთვის“.

— დედაო ღვთისა, გონს მოიყვანე ბრიყვი!

ლოცვამ თითქოს უშველა.

ამასობაში ტბა ირგენს მიაღწიეს. ზეგანზე იქ უამრავი ტბაა, საიდანაც მდინარეები იღებენ სათავეს. ზოგი ბაიკალში ჩადის, ზოგიც ამურში. ათანასე პაშკოვი ირგენის ციხე-ქალაქის აღდგენას შეუდგა, იერემია კი კაზაკებით დასაზვერად წავიდა და შემდგომ ორი საგუშაგო ააგო. ჩვენს დროში ტბის დაბალ სანაპიროზე, იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ციხე-სიმაგრე იდგა, დაბალი მიწაყრილის ნარჩენებსღა ნახავთ, რატომღაც რევანდის ლამაზ, ხშირ ღეროებს რომ დაუფარავს.

ზამთარში, როცა ჭაობი თოვლით დაიფარა და გაიყინა, რაზმმა მდინარე ინგოდისაკენ იბრუნა პირი. ვოევოდამ აბაკუმს მუშები წაართვა და „საცოდავმა ბედუკუღმართმა დეკანოზმა“ ასი ვერსი მარტოკამ იჩანჩალა. ბავშვები სულ პატარები ჰყავდა და მთელი ჯაფა მას დააწვა მხრებზე. აბაკუმმა გააკეთა მარხილი — დიდი ციგა და ბარგი-ბარხანა ზედ დააწყო. პატარა

ივანე და პროკოფი მამასთან ერთად მარხილში შეებნენ. დეკანოზის უენო ცოლმა ნასტასია მარკოვნამ ფქვილი და ჩვილი ბავშვი ხურგზე აიკიდა. ბავშვები მარხილს „ცხენებივით“ ექაჩებოდნენ, სიქა რომ გასძვრებოდათ, თოვლში ეცემოდნენ. როგორც იქნა, ადგილზე ჩააღწიეს, მაგრამ პაშკოვმა დეკანოზის ოჯახი შემოხერგილში არ შეუშვა. სანამ ვოევოდა ფარდულის დასადგმელად ადგილს გამოუყოფდა, ნაძვის ქვეშ ცხოვრობდნენ. ბავშვები სიცივისაგან იყინებოდნენ, თუმცა ცეცხლი სულ „ხრჩოლავდა“. ასე გაიტანეს თავი გაზაფხულამდე, გაზაფხულზე კი უფრო მეტი ტანჯვა-წამება დაატყდათ თავს.

ზამთარში კაზაკებმა ციხე-ქალაქისა და ქოხებისათვის ხეტყე დაამზადეს, მორებისაგან ას სამოცდაათი ტივი შეკრეს. გაზაფხულზე ტივებით მდინარე ინგოდას დაუყვნენ, თითო ტივზე ორი-სამი კაზაკი მოთავსდა ცხენებიანა.

მძიმე იყო კაზაკის ხვედრი. დადგა ყველაზე დიდი გასაჭირის ჟამი. აბაკუმი გულისტკივილით წერდა: „საკმელი აღარაფერი ჰქონდათ, ხალხი შიმშილისა და წყალში მუშაობისაგან წყდებოდა. მდინარე მეჩხერი იყო, ტივები — მძიმე; ულმობელ ჩაფრებს ხელთ დიდი ჯოხები, ნუჟრიანი კეტები და მწვავე მათრახები ეპყრათ, წამებაც სასტიკი იცოდნენ — ცეცხლი და მუშტი. ხალხი მშიერი იყო — კაცს წამებას დაუწყებდნენ თუ არა, მაშინვე კვდებოდა!.. ცემა რაღად უნდოდათ, ისედაც ძლივს ედგათ სული — გაზაფხულიდან დაწყებული მთელი ზაფხული ათ კაცზე ერთ ტომარა ალაოს იძლეოდნენ. სულ ერთია, მაინც უნდა ემუშავათ. ძეწნა რომ ძეწნაა, ფაფაში ჩასაგდებად იმის მოკრასაც კი არ ანებებდნენ, ჯოხით სცემდნენ: ფეხი არსად გაადგა, ადგილზე მოკვდიო. წარმოიდგინეთ, რა დრო იყო!“

ამ სტრიქონებისათვის აბაკუმს ძეგლი უნდა აუგო, იმისათვის, რომ ამაზრზენი და მშვენიერი, მრისხანე და თანაგრძნობით აღსავსე სიტყვებით უკვდავყო დაურიის პირველ მკვიდრთა გმირობა და ჯვარცმა. დღეს იმიერბაიკალში აბაკუმს იგონებენ როგორც „პირველგადასახლებულს“ „სრულიად რუსეთის კატორღის“ ბევრ სხვა ცნობილ წამებულთან ერთად.

ზედ დაურიის გულში, მდინარე ნერჩისა და შილკის შესართავთან პაშკოვმა „საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები აირჩია, სიასამურის სარეწაო სავარგულებთან ახლოს“ და იქ ტუნგუ-

სების მიერ დანგრეული ბეკეტოვის ციხე-ქალაქის ადგილზე ახალი ააგო.

პაშკოვმა ამურზე სტეპანოვს ნერჩინსკიდან ბრძანება გაუგზავნა იქაური მიწების ვოეეოდად მისი დანიშვნის შესახებ. თან შეუთვალა, რომ ასი კაზაკი ნერჩინსკში გამოეგზავნა, დანარჩენები კი ალბაზინაში დაეხვედრებინა. მაგრამ რა იცოდა პაშკოვმა, რომ სტეპანოვს დიდი დღე არ ეწერა: 1658 წლის 30 ივნისს სუნგარის შესართავთან სტეპანოვსა და მის ხუთას კაზაკს ალყა შემოარტყა მანჯურია-ჩინეთის ათი ათასიანმა ჯარმა. ახალჩამოსული კაზაკები გაიქცნენ. სტეპანოვი 270 მამაც კაზაკთან ერთად ბრძოლაში დაიღუპა — „მტრებს შორის გაქრა, როგორც ტალღებში დანთქმული ციცაბო კლდე". გაქცეულთა ნაწილი ტყეედ ჩავარდა, ნაწილმა ყაჩაღობა დაიწყო და შემდეგ იაკუტიაში გადავიდა. რამდენიმე უიღბლო მეომარს კიდევ შევხვდებით ჩვენს მოთხრობაში.

სტეპანოვთან გაგზავნილმა ოცდაათმა კაზაკმა მას ცოცხალს ველარ ჩაუსწრო, თანაც საწყლები დევნილებმა გაძარცვეს გზაში. პაშკოვმა მეფეს სტეპანოვის დაღუპვისა და ნერჩინსკის ციხე-ქალაქის დაარსების ამბავი მოახსენა, თან დასძინა — პურის დათესვას ვაპირებო...

პაშკოვმა იჩქარა — კაზაკებმა რამდენიმე ათეული ქცევა მიწა მოხნეს და დათესეს, მაგრამ ამ ადგილზე პური არ მოვიდა.

დაიწყო შიმშილობა.

თვითონ პაშკოვმა თავისი მარაგი ადგილზე მშვიდობიანად ჩაიტანა, მაგრამ მის განაწილებას ხელქვეითებს შორის როდი ჩქარობდა. ვოეეოდამ სხვების ხარჯზე აქაც გამდიდრება დააპირა. აბაკუმს, როგორც გახსოვთ, მთელი ტანსაცმელი წყალმა დაულპო, მხოლოდ ნასტასია მარკოვნას გრძელკალთება ხიფთანი გადარჩა. მოსკოვში ის ოცდახუთი მანეთი ღირდა, ციმბირში — ბევრად მეტი (დეკანოზი თავის ცოლს მდიდრულად აცმევდა), მაგრამ ვოეეოდამ იმ ხიფთანში სულ ოთხი ტომარა ჭვავი მისცა, რაც მთელმა ოჯახმა ორ წელიწადს გამოიზოგა: ფაფას ხან ბალახს, ხან ფიჭვის დანაყილ ქერქს და ფესვებს, ხან მგლებისაგან ნაჯიჯგნ პირუტყვთა დარჩენილ ძვლებსაც კი უმატებდნენ „გემოს მისაცემად".

ათობით იხოცებოდნენ კაზაკები. საშინელ სურათებს გვი-

ხატავს აბაკუმი. „ადამიანთა ჯვარცმას, შიმშილსა და გაჭირვებაში სიკვდილს“.

„ქოხიდან გამოვალ — მკვდარს ვხედავ, წყალში შევალ — მკვდარი მხვდება, მდელოზე გავალ — მკვდრები ყრია ერთიმეორეზე; დამშეული ხალხი ზოგი ცხენს ჭამს, ზოგი მგელს, ხანდახან ადამიანსაც ჭამენ... ცხენი კვიცს იგებდა, დამშეულებმა ჩუმად კვიციც შეჭამეს და ჭაკს უკანალიც მოაჭამეს. პაშკოვს რომ გაეგო, მათრახის ცემით ყველას სიკვდილის პირზე მიიყვანდა. ცხენი მოკვდა, ვინაიდან დამშეულებმა კვიცი ძალით გამოგლიჯეს საშოდან. თავი დაინახეს თუ არა, ეცნენ და ქაჩვა დაუწყეს, თან საძაგელ სისხლს ხვრეპდნენ... მეც ცოდვილი ვარ — ნებსით თუ უნებლიეთ მეც მიჭამია ცხენის, მკვდარი ნადირისა თუ ფრინველის ხორცი“...

რამდენჯერ უთქვამს დეკანოზს თავისი თავისათვის:

— აღსასრული მოახლოვდა, აბაკუმ! შენმა საათმაც დაჭკრა!

ორი მცირეწლოვანი ვაჟი დაეღუპა, რომლებიც ციმბირში შეეძინათ. ერთ-ერთის გვამი ნასტასია მარკოვნამ ქვიშაზე დადო. „მერე ქვიშიდან წყალმა წაიღო, მაგრამ მისთვის ვიღას ეცალა — ჩვენს თავსაც ძლივს მივათრევდით“. მამისა და დედის უბედურებას სასოწარკვეთა და ცოცხლად დარჩენილ შვილებზე ზრუნვის აუცილებლობა ანელებდა. მთელი ოჯახი ფეხშიშველა, წვეტიანი ქვებით მოფენილ გორაკის ფერდობებზე დაეხეტებოდა — იქნებ ღანძილი ან სხვა რაიმე ფესვები ვიპოვოთ, საჭმელად რომ გამოდგებაო.

ყველა უბედურებაში აბაკუმი პაშკოვს სდებდა ბრალს, ენისეისკიდან სურსათის გადმოტანის საქმე ვერ მოაგვარაო. შემდეგში მეფისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში იგი დაწვრილებით აღწერდა ვოევოდას ულირს საქციელს, რომელიც ადამიანებს „აწამებდა, მათრახით სცემდა, ნეკნებს უმტვრევდა, ცეცხლზე წვავდა“, ხოლო „ორი შიშველი კაცი მდინარის გალმა ჭია-ღუების შესაჭმელად გაგზავნა“. პაშკოვი ხალხს გვერდიდან არ იცილებდა — შეთქმულება არ მომიწყონ და სულ არ გამექცნენო. ამიტომ „ხალხს სარეწად არ უშვებდა და ასე შიმშილით ხუთასამდე კაცი ამოწყვიტა“.

მხოლოდ ერთხელ გაბედა პაშკოვმა და სამოცდაათი კაცი გაუშვა, თან ზედამხედველებად თავისი თანაშემწეები მიუჩინა.

მათ აბაკუმიც გაჰყვა. მდინარეს აღმა აუყვნენ, იქნებ რაიმე საშველი ვიშოვოთო. ამ ექსპედიციის დროს თითქმის სამოცდაათივე კაცი შიმშილით დაიღუპა. ხუთი დღის მშიერმა აბაკუმმა, როგორც იქნა, ტივით უკან მოაღწია. ნასტასია მარკოვნამ ქმარი ვოევოდას ცოლთან ფეკლა სემიონოვნასთან წაიყვანა და იმანაც კარგად დააპურა.

„რა სახლიდანაც ბოროტება მოდის, იმ სახლიდან სიკეთესაც ელოდეო", — წერდა აბაკუმი.

დეკანოზის ოჯახს ფეკლა სემიონოვნა და იერემიას ცოლი ევდოკია კირილოვნა აწვდიდნენ ლუკმას. „ხან ხორცის ნაჭერს გამოგზავნიან, ხან კვერს, ხან ფქვილსა და შვრიას, რამდენიც მოეძებნებათ. ხანდახან ძროხების ვარცლიდან ნარჩენ საკვებს ამოეფხეკთ. ჩემი საცოდავი, ბედდამწვარი ასული აგრაფინა მალულად ვოევოდას ცოლის ფანჯრებთან დაძრწის. სიმწარეც მინახავს და სიამოვნებაც! ხანდახან ბავშვს ბოიარის ცოლის უკითხავად გამოაგდებდნენ, ხან კი უამრავ რამეს მოიტანდა". მწარე იყო აბაკუმისათვის ეს დამცირება...

პაშკოვის დიდ ოჯახში ვოევოდას გარდა დეკანოზს ყველა პატივს სცემდა. ვოევოდას მოახლეები, ქვრივები მარია და სოფია აბაკუმის სულიერი შვილებიც კი გახდნენ. ეს რომ პაშკოვმა გაიგო, სულ ცოფები ჰყარა.

— გინდა ჩემი საიდუმლოება დასტყუო ქალებს? — უყვირა მან დეკანოზს და ბრძანა აბაკუმი გვიმში დაეწვათ, მაგრამ მერე შეიწყალა. ნაცემი და თმებდაგლეჯილი აბაკუმი ცოლს მიჰგვარეს. პაშკოვის უაზრო გულქვაობას ყოველგვარ სიმკაცრეს მიჩვეული მისი თანამედროვენიც კი გაოცებაში მოჰყავდა.

ასე გავიდა ორი წელი, სანამ სამოცდაერთი წლის ზამთარში ვოევოდამ არ გადაწყვიტა თავისი პოლკის ნარჩენებით ირგენის ციხე-ქალაქში დაბრუნებულიყო. სწორედ ამ გადასვლასთანაა დაკავშირებული აბაკუმისა და ნასტასია მარკოვნას საუბარი, შემდგომ საქრესტომათიოდ რომ იქცა.

„ხუთ კვირას შიშველ ყინულზე მარხილებით მივდიოდით. ავადმყოფი ბავშვებისა და ხარახურისათვის მან (პაშკოვმა — დ. ე.) ორი ჯაგლაგი მომცა. მე და ჩემი ცოლი ფეხით მივდიოდით და წამდაუწუმ ყინულზე ვეხეთქებოდით. ბარბაროსთა ქვეყანაში ვართ, ბნელი და დამშეული გადამთიელები მტრულად გვიყურებენ, ცხენებს თუ ჩამოვრჩით, საშიშია, ცხენებს

მიყოლას კი ვერ ვასწრებთ, ხალხი დაიმშა და მოითენთა. ჩემი ბეჩავი ცოლი ქანცგამოლეული ძლივს მილასლასებდა და ყინულზე დაასკდა. ძალიან ლიპია ყინული. ერთხელ ყინულზე წაიქცა. ამ დროს ვიღაც გასავათებული კაცი გადააწყდა და ისიც ზედ დაემხო. ყვირიან ორივენი. ვერაფრით ვერ დგებიან ზეზე. კაცი ყვირის:

— მაპატიე, დედა-ქალბატონო.

ჩემი ცოლი ყვირის.

— რას გამჭყლიტე, კაცო!

მე რომ მივედი, ნასტასია მარკოვნამ მისაყვედურა:

— დიდხანს უნდა ვეწამოთ ასე, დეკანოზო?

— კუბოს კარამდე, მარკოვნა, — ვუპასუხე მე.

— კეთილი, პეტროვიჩ, ვიყოთ და ვიხეტიალოთ, — მიპასუხა მან და ამოიოხრა".

ირგენზე აბაკუმი ბიჭებთან ერთად თევზს იჭერდა. დღეში ათჯერ მაინც უხდებოდა კაცის სიმაღლის სისქე ყინულის გაჭრა. ამ შრომამ ისე მოღუნა წელში, სიკვდილამდე ვეღარ „გაიშალა". გაზაფხულზე პური მოვიდა და ეოეოდასთან ურთიერთობაც თითქოს გამოკეთდა.

1661 წლის აგვისტოში ირგენის ციხე-ქალაქში ათობით კაზაკი მოვიდა, რომლებიც სტეპანოვს გამოეცხენენ და ამურზე დაძრწოდნენ. ახლა ისევ სახელმწიფო სამსახურში მიღება ითხოვეს. პაშკოვმა ან არ იცოდა მათი დანაშაული, ან აპატია. მას ხალხი სჭირდებოდა მეფის ბრძანების შესასრულებლად, რომელიც მოითხოვდა, რომ ადგილობრივი თავადებისათვის ფიცი ჩამოერთმიათ და რაზმები „ტკბილი სიტყვით" შეეგროვებინათ. მაგრამ ევენკი ბელადების ნაწილი უკვე უხდიდა ხარკს ამიერბაიკალელ მონგოლთა ხანს ჩიხუნ-დორჯის და დადებული ხელშეკრულება აიძულებდათ რუსებს მტრულად მოქცეოდნენ. ახლა დადგა ჟამი მეფის ბრძანების მეორე ნაწილის შესრულებისა — „ურჩების ცეცხლითა და მახვილით დასასჯელად გაეგზავნათ ხელმწიფის ჯარი".

სამოცდათორმეტი კაზაკითა და ოციოდე მოკავშირე-ევენკით ულუსებზე წალაშქროდ უნდა წასულიყო მეორე ეოეოდა, იერემია პაშკოვი. რაზმს საზეიმო გაცილება მოუწყვეს. ევენკებმა სამარჩიელოდ შამანი მოიწვიეს — კარგი ლაშქრობა თუ გვექნებაო. ეოეოდები მკითხაობაზე დათანხმდნენ — ციმ-

ბირში სჯეროდათ გრძნეულების წინასწარმეტყველური ძალისა, მომავლის გამოცნობის მათეული უნარისა.

გრძელ ტყავის ხალათში გამოწყობილმა შამანმა, რომელსაც სახე შემზარავად ჰქონდა მოხატული, ცოცხალი ცხვარი მოიყვანა. საღამო ხანი იყო. მობუზული კაზაკები და ევენკები ყურს უგდებდნენ ჯადოქრის ავისმაუწყებელ შეძახილებს, თვალს ადევნებდნენ მის ცქვიტ მოძრაობებს. კოცონების ალისაგან გაწითლებულ მიწაზე ჩრდილები ირეოდნენ.

შამანი ცხვარს რქებში ეცა და მოუგრიხა კისერი, მანამდე ატრიალა, სანამ სულ არ წააცალა თავი. მერე თავი გადააგდო, დაირა აიღო და ცეკვა დაიწყო, ხტოდა და გულის გამგმირავი ძახილით სულებს მოუხმობდა. შემდეგ ადგილზე ქარბუქივით დატრიალდა, ბოლოს მიწაზე დაეცა, კრუნჩხვები დაეწყო, პირზე ქაფი მოადგა...

როცა გონს მოვიდა, შამანმა გამოაცხადა, სულები გამოშეცხადნენ და მითხრეს, გამარჯვებითა და დიდი ნადავლით დაბრუნდებითო.

ხარობდნენ ვოევოდები, ხარობდა ყველა: მდიდრები დაბრუნდებითო.

აბაკუმი ამ „ცრუმორწმუნეობამ" აღაშფოთა. ერთი გადააფურთხა და იქაურობა დემონსტრაციულად დატოვა. თავის გომურში შესული ყველას გასაგონად ყვიროდა:

— გამიგონე, უფალო, ცის მეუფევ, სინათლე ცისა, ყური მომაბყარ, დაე ნურც ერთი ნუ დაბრუნდება უკან... დალახვრე და დააქციე ყველა, რომ არ აღსრულდეს წინასწარმეტყველება სატანისა...

ეს ამბავი პაშკოვს მოახსენეს. ვოევოდამ აბაკუმს შეუკურთხა, მაგრამ მის დასასჯელად სად ეცალა — რაზმი საცაა უნდა დაძრულიყო. დეკანოზს თვითონ მოერია სიბრალული იმ ხალხისადმი, ვინც კარგად არც უწყოდა, სად მიდიოდა. მაგრამ გამომშვიდობებისას მაინც ჯიუტად იმეორებდა:

— დაიღუპებით იქ!

იერემია პაშკოვი, რომელსაც თავგზა აურია ურთიერთსაწინააღმდეგო წინასწარმეტყველებამ, აბაკუმს შეეევედრა, ჩემზე ილოცეო. დეკანოზს შეეცოდა თავისი „იდუმალი მეგობარი", მამის სურვილის წინააღმდეგ ბევრჯერ რომ გამოსარჩლებია

და, ვილოცებო, აღუთქვა. ახლა, რაც უნდა მომხდარიყო, ან ერთ ლოცვას უნდა გაეჭრა ან მეორეს...

ერთი თვე გავიდა. იერემიას დაბრუნების დრო იყო, მაგრამ მისგან არაფერი ისმოდა. დაღვრემილ ვოევოდას დანახვაც არ უნდოდა აბაკუმისა, რომელსაც შვილის დაღუპვის მიზეზად თვლიდა. მაგრამ აი ერთ დღეს ბრძანება გასცა, საწამებელი ძელი მოამზადეთ და ცეცხლი დაანთეთო. აბაკუმს ცეცხლზე წამება ელოდა. იცოდა, რომ ასეთი წამების შემდეგ ადამიანი დიდხანს ვეღარავინ ცოცხლობდა. დარდისაგან მთვრალივით მობარბაცე პაშკოვი საწამებელ ადგილზე მივიდა და დეკანოზის მოსაყვანად ორი ჯალათი გაგზავნა...

უცებ ციხე-ქალაქის კარიბჭეში იერემია პაშკოვი გამოჩნდა. დაჭრილი იყო, მაგრამ ცხენზე იჯდა. როცა აბაკუმის ქოხს ჩაუარა, ჯალათები შენიშნა და თავისთან მიიხმო. ვოევოდა შვილის შესაგებებლად გამოეშურა. იერემია ცხენიდან ჩამოხტა, თაყვანი სცა მამას და თავისი ამბის მოყოლა დაიწყო...

რაღა არ გადახდენიათ თავს, კაზაკები დიდი ხნის წინ გაექცეოდნენ პაშკოეს, მას რომ ასი თვალი და ასი ყური არ გამოება, თავისი ჯაშუშები არ ჰყოლოდა და ყველასათვის, ვისაც ხალხის ამბოხება შეეძლო, კისერი არ მოეგრიხა. ახლა კი, რაკი ვოევოდას ფხიზელი მეთვალყურეობისაგან თავი დაიხსნეს, ამურიდან ახლადმოსულთა ნაამბობით შეგულიანებულმა ჩვიდმეტმა გაბედულმა კაზაკმა პირი შეკრა.

ოთხი სექტემბრის ღამეს ისინი ტივებით გაიქცნენ, ინგოდას თავქვე დაუყვნენ, თან აუარება იარაღი და ბარგი-ბარხანა გაიტაცეს. ნერჩინსკში პაშკოვის დატოვებულ მმართველს რამდენიმე ხომალდი დასტყუეს და ვოლნიცამ დაიწყო მდინარეებზე თარეში, ყველა შემხვედრის ძარცვა... ასე მოახსენებდა ათანასე პაშკოვი ხელმძღვანელობას.

იერემიას კი, აბაკუმის თქმით, მონგოლებთან ბრძოლაში თავისი რაზმი დაუკარგავს, იგი ევენკ მეგზურს გამოუყვანია, უდაბნოებსა და კლდოვან მთებში უტარებია.

სანამ იერემია მამას თავის თავგადასავალს უამბობდა, მასთან მოსაკითხავად და ახალი ამბების გასაგებად აბაკუმიც მივიდა. პაშკოვი ისევ დარწმუნებული იყო დეკანოზის ოინებში და თვალები დაუბრიალა „როგორც ზღვის თეთრმა დათვმა, ცოცხლად გადაყლაპვას რომ გიპირებს".

— რას სჩადიხარ! — უთხრა ვოეეოდამ და ამოიოხრა. — ამდენი ხალხი დაღუპე.

აბაკუმმა ისევ შეკამათება დააპირა, მაგრამ იერემიამ დროზე შეაჩერა.

— წადი შინ, მეუფეო, გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს.

იერემიას მარცხი პაშკოვის მთელი საქმის მარცხს ნიშნავდა. ამაო გამოდგა მისი შეუპოვრობა, სიმკაცრე, ამდენი ხალხიც ტყუილად დაღუპა. ეს მისი ვოეეოდობის ბოლო წელი იყო. ახლა ვოეეოდა ილარიონ ტოლბუზინი[1] იმავე ზამთარს ბაიკალს თხილამურებით ჩრდილოეთიდან უელიდა და მის შესაცვლელად მოემართებოდა. 1662 წლის 12 მაისს მან პაშკოვისაგან ცოცხლად გადარჩენილი სამოცდათხუთმეტი ჯარისკაცი ჩაიბარა. მხოლოდ მაშინ გაიგო აბაკუმმა, რუსეთში დაბრუნების ნება რომ დართეს.

პაშკოვი რამდენიმე კატარღითა და შეიარაღებული მცველებით იმავე თვეს გაეგზავრა. აბაკუმი თან არ წაიყვანა, იმ იმედით, რომ მისი უმსგავსობის საშიში მოწმე გზაში დაიღუპებოდა — ან შმაგ მდინარეებში ჩაიხრჩობოდა, ანდა რომელიმე მტრული ტომების მეომრები მოკლავდნენ. თუმცა მასთან ერთად წასვლას აბაკუმი არც აპირებდა, ვოეეოდასაგან მოსალოდნელი იყო „შუა ზღვაში გემიდან გადახტომა ებრძანებინა", მერე კი იტყოდა — „თვითონ გადაეარდაო".

---

[1] ტოლბუზინი უფრო იღბლიანი გამოდგა. მის დროს ევენკი თავადი განთემური, რომელიც ჯერ კიდევ პეტრე ბეკეტოვს ებრძოდა და ჩინეთში გადაეიდა, უკან დაბრუნდა და რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ამან ვოეეოდასა და ჩინეთის ხელისუფალთა შორის გაცხოველებული მიმოწერა გამოიწვია. თუმცა მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდათ, დაურიის ვოეეოდები თავს იმედიანად გრძნობდნენ. ხოლო ტოლბუზინის შემცვლელმა ვოეეოდამ, არშინსკიმ, 1670 წელს პეკინში თავისი საელჩოც კი გაგზავნა და თავის მხრივ პეკინის იმპერატორს შესთავაზა რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღო. საელჩოს რუსეთის მეფისათვის საჩუქრები გამოატანეს და განთემურის დაბრუნება მოითხოვეს. ამ დროისათვის დაიწყო ბურიატთა მასობრივი გადასვლა რუსების მხარეზე — მანამდე ისინი მონგოლთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

ერთი თვის შემდეგ ოჯახთან ერთად აბაკუმიც გაემგზავრა. მგზავრობისათვის თადარიგიც გვარიანი დაიჭირა. მოურავს დაუმეგობრდა, წიგნი აჩუქა, ნათლიმამად გაიხადა — აბაკუმსა და ნასტასია მარკოვნას ასული შეეძინათ, რომელსაც მშობლებმა და ნათლია-მოურავმა ქსენია დაარქვეს. ახალმა მეგობარმა დეკანოზს ფქვილი, ძროხა და პაშკოვის დარჩენილი ქონებიდან რამდენიმე ცხვარი უწილადა. განვლილი სიდუხჭირის შემდეგ ეს დიდი დღესასწაული იყო. რძის სმით სული მოითქვეს; სამგზავროდ ყველი მოიმარაგეს, ხორცი გაახმეს...

მეორე ვერსიით, პაშკოვმა წასვლის წინ „მთელი გულით" დაუტოვა მეწველი ძროხა, ცხვრები და თხები.

გამგზავრების წინ დრამატულ სცენებს მაინც ვერ გადაურჩნენ. მსუბუქ კატარღაში აბაკუმის ცოლისა და ხუთი ბავშვის გარდა მოხუცები, ავადმყოფები და დაჭრილები მოთავსდნენ, მათ შორის იყო ორი არამზადაც, რომლებიც ყოველისმიტევების სურვილით შეპყრობილმა დეკანოზმა სამართლიანი სასჯელისაგან იხსნა. ესენი პაშკოვის ჯაშუშები იყვნენ, მოენეები, რომლებიც ვოევოდას სისხლიან განკარგულებებს ასრულებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ვასილიმ, თავის დროზე აბაკუმი კინაღამ ანწუხზე ჩამოაცვა. პაშკოვის წასვლის შემდეგ კაზაკები ჯაშუშებს დაერივნენ და ერთიანად ამოჟლიტეს. ვასილი დეკანოზმა გამოისყიდა, მეორე არამზადა კი ტყეში გაიქცა, აბაკუმის გამგზავრებას იქ დაელოდა და დეკანოზს კატარღაზე მიუხტა, თან წამიყვანეო. მას უკვე დაეძებდნენ. მაშინ აბაკუმმ სალახანას უბრძანა ნავის ძირზე გაწოლილიყო, ზევიდან ქვეშაგები გადააფარა და ზედ ცოლი და ქალიშვილი დააწვინა. კაზაკებმა მთელი ხომალდი გაჩხრიკეს, მაგრამ ნასტასია მარკოვნა ადგილიდან არ აუყენებიათ.

— დაისვენეთ, დედილო, — უთხრეს მათ, — ისედაც ბევრი ევნე და ეწამე.

აბაკუმი კი, ჯაშუში რომ ეხსნა, ტყუილის თქმასაც არ დაერიდა:

— იგი ჩემთან არ არის!

შემდეგ ნანობდა იმის გამო, რომ იცრუა. ეს ძალზე ნიშანდობლივია აბაკუმისათვის. მართალია, ტყუილი თქვა, მაგრამ

იხსნა კაცი, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო ცოდვები მოენანიებინა და გამოსწორებულიყო. ამ საქმეს მარტო ქრისტე თუ გაარკვევს განკითხვის დღეს.

ცურვისას აბაკუმს ბედმა გაუღიმა. სურსათი რომ შემოელიათ, იზუბრი[1] მოინადირეს. სელენგის შესართავთან სიასამურის ბეწვისა და თევზის სარეწაოდ ჩამოსული რუსები შეხვდათ. ეტყობა მოგზაურები ისე საცოდავი შესახედავები იყვნენ, მათ დანახვაზე სტანიცელებს ტირილი მოერიათ. პაშკოვის პოლკელები კი სიხარულისაგან ტიროდნენ. რაც თევზი დაეჭირათ — ორმოცი ახალი ზუთხი, საგზლად შესთავაზეს.

როცა ბაიკალზე პირველად მოხვდა, აბაკუმს ნაღველი აწვა გულზე. ახლა კი, თავისუფალმა ირგვლივ მიმოიხედა და... თითქოს სულ სხვა ნათელი მოჰფენოდა იქაურობას. ღმერთო, რა სილამაზეა!

ზღვას ირგვლივ ციცაბო კლდოვანი მთები შემორტყმოდა, ქარს ამ კლდოვანზე დარბაზებიც გამოეკვეთა, ოთახებიც, კარიბჭენიცა და ბოძებიც! დალოცვილია ბაიკალის მიწა. აქ იზრდება ველური დიდი და ტკბილი ხახვი, ნიორი, კანაფი; ხარობს სურნელოვანი ყვავილები... მეჩიჩები წმინდა ოქროსფერი ქვიშითაა მოფენილი; ნაპირთან წყალი ზურმუხტისფერია, მოშორებით კი — ლურჯი ზღვა ღრმა და ციცია; აუარება იხვი და თოვლივით ქათქათა გედი დაცურავს. ზღვაში ყველანაირი თევზია — თართი, ტაიმენი[2], ომული, ცქვრინა, სიგი. თართი და ტაიმენი ისეთი ქონიანია, ტაფაზე ვერ შეწვავ.

„ადამიანი უნდა ცოცხლობდეს და ტკბებოდეს ამ სილამაზით, — ფიქრობდა აბაკუმი, — ის კი სულ ფაციფუცშია, ამაოდ ირჯება, თხასავით დახტის, ბუშტივით იბერება, ფოცხვერივით ბრაზობს. ეშმაკივით ცბიერია, სილამაზის დანახვაზე, რომელიც მისი შექმნილი არ არის, ულაყივით ჭიხვინებს და ჭამით სკდება".

მოგზაურებმა კარჭაპი შეაკეთეს, ქალების სარაფანებისაგან იალქნები შეკერეს და ზღვაში შესცურეს. ცოტა რომ გაიარეს, ქარიშხალი ამოვარდა — რის ვაი-ვაგლახით დაალწიეს

---

[1] აღმოსავლეთ ციმბირული დიდი ირემი.

[2] ორაგულის ნაირსახეობა, ბინადრობს ციმბირისა და სახალინის მდინარეებში.

თავი ტალღებს. სანამ აბაკუმი დაურიაში იყო, ბაიკალის მახლობლად ახალი პატარა ციხესიმაგრე — ირკუტსკი გაშენდა. ზამთრის პირს ანგარით ენისეისკამდე ჩააღწიეს, სადაც აბაკუმი კარგად მიიღო ვოევოდამ ივან რეევსკიმ.

გაზაფხულზე აბაკუმი ობით დაიძრა. გზაში ადგილობრივ ტომებს ჩაუვარდა ხელში; სულ ცოტა ხნის წინ ოცი კაცი მოკლეს, ის კი გაუშვეს. საფიქრებელია, რომ აბაკუმს მისმა სასულიერო წოდებამ უშველა. როგორც პაშკოვსა და კაზაკებს ეშინოდათ და რიდი ჰქონდათ ადგილობრივი ტომების შამანებისა, ისე ადგილობრივი ტომებიც ერიდებოდნენ იდუმალი იმქვეყნიური ძალების რისხვას, რომელთანაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული „რუსი შამანი". ირტიშზე აბაკუმი ისევ ჩასაფრებულ რაზმს წააწყდა. წამოიშალნენ „გადამთიელები". მშვილდ-ისრებით მიზანში ამოიღეს პაშკოვის ხალხი. აბაკუმი ხომალდიდან გადმოვიდა და „გადამთიელებს" გადაეხვია. კაცებს გული მოულბათ და თავიანთი დედაკაცები მოიყვანეს. ისინი მალე მოხიბლა სათნო და სანდომიანმა ნასტასია მარკოვნამ. აბაკუმმა უკვე იცოდა, რა ბევრს ნიშნავდა ქალების განწყობილება, როგორ შეეძლოთ თავის ნებაზე შეებრუნებინათ საქმე, და შემდგომ, თავისი მომხრეების ძებნისას, იმედს სწორედ ქალებზე ამყარებდა.

აი ახლაც კაცებმა მშვილდ-ისრები შეინახეს და აბაკუმთან ვაჭრობა გააჩაღეს. ტობოლსკში მათი ჩასვლა ძალზე გაუკვირდათ — როგორ გამოაღწიეთო. თითქმის მთელ ციმბირში — ურალიდან ობამდე — ბაშკირების, თათრების, ჩერემისების, ხანთებისა და სხვა ხალხთა აჯანყება მძვინვარებდა, რომელსაც კუჩუმ-ხანის შვილიშვილი დევლეთ-ქირეემი მეთაურობდა. იგი თავისი პაპის „ციმბირის სამეფოს" აღდგენაზე ოცნებობდა...

ტობოლსკში შესრულდა ათი წელი, რაც აბაკუმი უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა, არქიეპისკოპოსი სვიმონი ქალაქში არ იყო. ვოევოდად ივან ხილკოვი იჯდა — აბაკუმის ძველი მეგობრისა და ქომაგის, თავად ანდრეის ვაჟი. აჯანყების ჩასაქრობად ვოევოდა ჯარს უცხოური — „პოლონური" მწყობრით ამზადებდა: ათასი რეიტარი და ათასი ქვეითი. დეკანოზისათვის ბევრი რამ უცხო იყო...

მგზავრობის დროს აბაკუმმა პირველსავე რუსულ ქალაქებ-

ში ნახა, რომ ეკლესიებში ნიკონის ახალი წესები საკმაოდ გავრცელებული და ფესვგადგმული იყო. ჯერ გაუკვირდა — იცოდა, რა ბედიც ეწია ნიკონს. მაშ რატომღა ცოცხლობდა ის, რაც იმ საძულველმა პატრიარქმა შემოიღო? როგორ მოიქცეს? აშკარა ბრძოლაზე გადავიდეს, თუ შეინიღბოს და ფარული ბრძოლა დაიწყოს, რაც ნაკლებ წარმატებას მოიტანდა? მას არ ეშინოდა თავისი შეხედულებანი აშკარად ექადაგა, მაგრამ შიშობდა, ჩემი მიზეზით ცოლი და ბავშვებიც ეწამებიანო.

ნასტასია მარკოვნამ ქმარს უგუნებობა შეამჩნია და მეტისმეტი სიფრთხილით მიზეზი გამოჰკითხა.

— რა ვქნა, ცოლო? — უთხრა აბაკუმმა, — გარეთ სუსხი დგას მწვალებლური. დავდუმდე თუ ვილაპარაკო? თქვენ გამოხელ-ფეხი შეკრული მაქვს.

ცოლი სათქმელს მაშინვე მიუხვდა.

— რას ამბობ, პეტროვიჩ! გამიგია და შენც წაგიკითხავს ჩემთვის პავლე მოციქულის სიტყვები — „შე-თუ-ყოფილ ხარ ცოლსა, ნუ განუტევებ". მე და ბავშვები გლოცავთ, ნუ შედრკები და კვლავინდებურად იქადაგე. ჩვენი ფიქრი ნუ გექნება, ჩვენ შენთანა ვართ, თუ დაგვაშორებენ, არ დაგვივიწყო. წადი, წადი, მიაშურე ეკლესიას, პეტროვიჩ, ამხილე მრუშობა ერეტიკული.

აბაკუმმა ცოლის წინაშე მუხლი მოიყარა, მისმა ნათქვამმა ფრთები შეასხა, „თვალებში დღის სინათლე" დაუბრუნა და „დაიწყო ქადაგება ქალაქ-ქალაქ, თან ნიკონის მკრეხელობას უფრო თამამად ამხელდა".

ყველა ქალაქში, რომლის გავლაც მგზავრობისას მოუხდა, ეკლესიებსა და ბაზრებში აბაკუმი სიტყვას წარმოთქვამდა და კიდევ უფრო სრულყო თავისი ორატორული ხელოვნება. ის არც ქუჩურ ენას ერიდებოდა და არც მაგარ ხალხურ გამოთქმებს. თავისი მრავალტანჯული ცხოვრებიდან უამრავი მაგალითი მოჰყავდა და მისი იწამებს, მას გაჰყვნენ, მისი სიტყვები შორს წაიღებს. კიდევ ათ წელს იხსენიებდნენ თავკაცები თავიანთ მოხსენებით ბარათებში იმ „თავაწყვეტილობას", აბაკუმმა მთელ ციმბირის მხარეში რომ გაამეფა.

მაგრამ აბაკუმის წარმატება, როგორც ორატორისა, მარტო მისი ნიჭით არ აიხსნება. რომ არაფერი ეთქვათ უკვე შემზადებულ ნიადაგზე, რომელშიც იგი მამხილებელ თესლს აგდებდა,

დიდი ძერები მოხდა თვით აბაკუმში, მის სულიერ სამყაროში. სჯერ იდგა იგი სიკვდილის პირისპირ და ასჯერვე გადარჩენილ უფრო უმტკიცდებოდა რწმენა იმისა, რომ უზენაესი ძალები იცავდნენ, რომ რაღაც მაღალი მისიის შესრულება ელოდა. უკვე თავადაც სჯეროდა, რომ მოუწყვლადია, რომ მასში მოთავსებული „ცა და ქვეყანა და ყოველი სულდგმული“. და აბაკუმმა გადაწყვიტა ბოლომდე ებრძოლა — მისი სიტყვებით რომ ვთქვათ — რუსეთის „სიწმინდისა და უბიწოებისათვის“. ასეთ რწმენას განა შეეძლო არ გაეთკეცებინა მისი ძალები, ხალხი მისკენ არ მიეზიდა.

ტობოლსკში აბაკუმი ჯერ ეკლესიებში გამოდიოდა, სოფლის ტაძარში ახლებურად წირავდა, თუმცა ილანძღებოდა კი. ერთხელ, დედოფლის დაბადების დღეს, ციხეკრის ლოცვის შემდეგ ჩასთვლიმა და, როგორც ეს ხდება ხოლმე, „ბურანში ეზმანა“ სწორედ ის, რაზედაც დღე და ღამე ფიქრობდა. ქრისტე „დაემუქრა“ — თუ სარწმუნოებას არ დაიცავ, შუაზე გაგაპობო. იმ დღეს აბაკუმი, როგორც თავად ამბობდა, „წირვაზე წასვლის მაგივრად, თავადს ეწვია სადილად“. სადილზე აბაკუმი ნამეტნავად ენამზიანობდა და ყველას გულს უჩუყებდა, თავადმა ივან ხილკოვმა იტირა კიდეც. ვოევოდა მგრძნობიარობით მამამისს ჰგავდა.

იმ დღიდან აბაკუმი ეკლესიაში მხოლოდ საქადაგოდ დადიოდა. ტობოლსკში მან უამრავი გადასახლებული ღვთისმოსაობის ქომაგი ნახა, რომელთა შორის ყველაზე მეტად რომანოველი ბღვდელი ლაზარე გამოირჩეოდა. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო „თავისუფალი ენით ქადაგება“. აბაკუმი ვერც იფიქრებდა, რომ სწორედ ლაზარესთან ერთად დაწვავდნენ კოცონზე. საერთოდ ლაზარე მხიარული კაცი იყო, გადაკვრა უყვარდა და არც უხამსი ამბების მოყოლას ერიდებოდა, რითაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა თავისი მეგობრის, შემდგომში ცნობილი მწერლის, გადასახლებულ იური კრიჟანიჩის სტუმრებს.

მეტად საინტერესოა კრიჟანიჩის ბედი — ეს დიდი ადამიანი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული. ეროვნებით ხორვატი იყო და წარჩინებულ, მაგრამ გაღარიბებულ გვარს ეკუთვნოდა. ვენის, ბოლონიისა და რომის კათოლიკურ კოლეგიებში სწავლობდა. მას აგენტად ამზადებდნენ შორეულ

მართლმადიდებელ მოსკოვში პროპაგანდისტული მუშაობისათვის. სწავლობდა ეკლესიის ისტორიას, ბერძნულ ენასა და ბერძნულ ლიტურგიას; გადაკითხული ჰქონდა მთელი ლიტერატურა რუსეთის შესახებ. იცოდა, რომ მეფე მტრულად იყო განწყობილი კათოლიციზმის მიმართ და გადაწყვიტა რუსებს შორის ფრთხილად ემოქმედა, თავიდან „სქიზმა[1] არ ეხსენებინა", მხოლოდ „სათნოება შეეგონებინა მათთვის". კათოლიკური ეკლესიის ძუნწი მამები კრიჟანიჩს საკმაო თანხით არ ამარაგებდნენ, ჩანს, ეჭვი ეპარებოდა მისი მისიის წარმატებაში. მოსკოვს იგი პირველად 1647 წელს ეწვია ერთ-ერთ პოლონელ საელჩოსთან ერთად, ესაუბრა პატრიარქს და დარწმუნდა, რომ კათოლიკური დოგმებით აქ ვერავის გულს ვერ მოიგებდა. მაგრამ ამან განზრახვაზე ხელი როდი ააღებინა, საფრთხეს არ შეშინებია და რუსეთში კიდევ ერთხელ გამოემგზავრა.

კრიჟანიჩი უკრაინაში პოლიტიკური არეულობის შუაგულში მოხვდა და დაწერა მგზავრის ნარკვევი — „ლვოვიდან მოსკოვამდე", რომელიც უნდოდა რუსეთის მეფისათვის მიერთმია. 1659 წელს იგი კვლავ მოხვდა მოსკოვში. კრიჟანიჩი ოცნებობდა სლავური ენის გრამატიკის დაწერაზე, ლექსიკონის შედგენაზე, სურდა სამხილი მასალები შეეგროვებინა „გადამთიელებზე", სლავებს ცილს რომ სწამებდნენ. აზრი დაებადა, რომ მეფის ძალაუფლების ქვეშ ყველა სლავი გაეერთიანებინათ. მაგრამ მეფეს... პაპის წინამძღვრობა უნდა ეღიარებინა. კრიჟანიჩმა ალექსი მიხეილის ძეს თავისი სამსახური შესთავაზა — კარის ბიბლიოთეკარი ვიქნებიო. მაგრამ მეფე კათოლიკეს არ ენდო და, ყოველი შემთხვევისათვის, ციმბირში გადაასახლა, ოღონდ ცხოვრების სახსარი კი გაუჩინა. ტობოლსკში კრიჟანიჩმა დაწერა დიდტანიანი შრომა სახელწოდებით — „ფიქრები პოლიტიკაზე".

ამ ტრაქტატში არის ისტორიულ-ფილოსოფიური, ეკონომიკური და პოლიტიკური განყოფილებები; დაწერილია იგი რუსული, სერბოხორვატიული და პოლონური ენების უცნაური ნარევით. ასეთად წარმოედგინა საერთო სლავური ენა პანსლავურად განწყობილ კრიჟანიჩს. იგი ძალზე კეთილმოსურნედ მოეკიდა მოსკოვის სინამდვილეს, რუსეთის სახელმწიფოს

[1] საეკლესიო განხეთქილება.

დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა, მას სჯეროდა რუსული აბსოლუტიზმის ყოვლისშემძლეობისა და მისგან სამართლიანად გამოელოდა რეფორმებს სახალხო განათლებასა და მეურნეობაში. კრიჟანიჩს ენციკლოპედიური განათლება ჰქონდა. მოჰყავდა ციტატები ასობით ახალი და ძველი მწერლის თხზულებებიდან. მხურვალედ იცავდა განათლებული მონარქის ძალაუფლებას, მაგრამ არანაკლები მგზნებარებით გამოდიოდა ტირანიის წინააღმდეგაც. სლავი ხალხის განსაძლიერებლად კრიჟანიჩს უმთავრესად მიაჩნდა მორალური კანონების განუხრელი შესრულება, „უცხორჯულის" — უცხოური სულისკვეთების შემოჭრის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ამას ერი ზნეობრივ სიძაბუნემდე, განხეთქილებამდე და მონობამდე მიჰყავდა.

და აბაკუმმაც მოისურვა ენახა ეს კაცი, კაცი, რომელიც მასთან სულიერად ახლო იქნებოდა. ერთი მნიშვნელოვანი გარემოება რომ არა... მოეუსმინოთ რას ჰყვება მათ შეხვედრაზე კრიჟანიჩი.

„აბაკუმმა კაცი გამომიგზავნა (როცა იგი დაურიიდან მოსკოვში მოჰყავდათ) და შესახვედრად პარმაღზე გამომეგება. ის იყო ფეხი კიბეზე შევდგი, რომ დამიძახა:

— მანდ იდექი, არ მომიახლოვდე! აღიარე, რომელ სარწმუნოებას ეკუთვნი!

— დამლოცე, მამაო — ვუთხარი მე.

— არ დაგლოცავ. ჯერ მითხარ, რომელ სარწმუნოებას ეკუთვნი!

— მამავ ბატონო, — ვუპასუხე მე, — ყველაფრისა მწამს, რაც შეიძლება იწამოს წმინდა სამოციქულო ეკლესიამ და მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევას პატივად მივიღებდი. გთხოვთ, დამდოთ ეს პატივი. მზად ვარ ჩემს სარწმუნოებაზე ველაპარაკო არქიელს, მაგრამ არა პირველ შემხვედრს, თანაც საეჭვო სარწმუნოების მქონეს"...

თითქოს ასე მოუჭრა სიტყვა კრიჟანიჩმა დეკანოზს. ეს შეხვედრა მან აღწერა „მამხილებელ არზაში", რომლითაც აბაკუმის მომხრეებს მიმართავდა. „აი ხედავთ, მამანო, როგორია თქვენი მოციქული, — დასძენს იგი, — ასეთი კაცი ქრისტესაც გაკიცხავდა, მარიამ მაგდალინელს რატომ მიეცი უფლება შენთვის ფეხები დაეკოცნაო".

კრიჟანიჩი „უცხორჯულობის" წინააღმდეგ გამოდიოდა,

აბაკუმისათვის კი კრიჟანიჩის ლათინელობა და კათოლიკობა „უცხორჯულობა“ იყო. ამაში ძნელი არ გახლავთ ფარდობითობის ერთგვარი ირონიის შემჩნევა.

35

აბაკუმმა მშვიდობიანად განვლო აჯანყებული მხარე და 1664 წლის დასაწყისში ოჯახით სუხონამდე ჩააღწია, მასთან ერთად ტობოლსკიდან გაემგზავრა ყალმუხი ქალი ანა, რომელიც მაინც აღიკვეცა მონაზვნად. ველიკი უსტიუგში მათ შეუერთდა იქაური სალოსი თევდორე, მთელი ზამთარი ფეხშიშველა, პერანგის ამარა რომ დადიოდა. როცა თევდორე ეკლესიაში შეირბენდა, ეკითხებოდნენ:

— ყინვის შემდეგ სითბოში როგორ დგახარ?

— გათოშილი ფეხები რომ მითბება, ძალიან მტკივა. — უპასუხებდა თევდორე და ფეხებს აგურის იატაკზე ყავარჯენივით აბაკუნებდა.

აბაკუმმა მის სენაკში ახალი, ნიკონისეული ნაბეჭდი ფსალმუნი იპოვა და სალოსს ახალი წიგნების „ერეტიკულობა“ აუხსნა. თევდორემ წიგნი ცეცხლში შეაგდო. ასე შეიძინა აბაკუმმა ერთგული და ძალზე საჭირო მომხრე.

მოსკოვში აბაკუმს ისე შეხვდნენ, როგორც „ღვთის ანგელოზს“. მეფესაც და ბოიარებსაც დიდად ეამათ მისი ნახვა, მეფის მესაწოლე თევდორე რტიშჩევი შესახვედრად წინგარდზე გამოეგება. სამი დღე და სამი ღამე საუბრობდნენ ის და რტიშჩევი — მეფის მესაწოლე ვერ თმობდა მომხიბლავ თანამოსაუბრეს. შემდეგ მან დეკანოზი მეფეს მიჰგვარა. ალექსი მიხეილის ძემ აბაკუმს ჯანმრთელობის ამბავი გამოჰკითხა, ხელიც ჩამოართვა, ხელზე ამბორის ნებაც დართო და განკარგულება გასცა, იგი კრემლის მონასტრის პანდუქსიონში დაებინავებინათ. მეფე დეკანოზის ეზოს რომ ჩაუვლიდა, აბაკუმს ყოველთვის მდაბლად უკრავდა თავს და ლოცვა-კურთხევას სთხოვდა. ერთხელ კი ამხედრებულმა ალექსი მიხეილის ძემ დეკანოზის წინაშე ქუდის მოხდა რომ დააპირა, ქუდი მიწაზე დაუვარდა. ეტლით მიმავალი, აბაკუმის დანახვისთანავე თავს გარეთ გამოჰყოფდა. მეფის მიბაძვით ბოიარებიც „მოწიწებით ესალმებოდნენ“ დეკანოზს.

მეფეს უყვარდა ნიჭიერი ადამიანები. ესეც არ იყოს, ახლა დეკანოზი სჭირდებოდა, როცა ნიკონის გადადგომის შემდეგ თავისუფალი და თან თითქოს ჯერ კიდევ დაკავებული პატრიარქის ტახტის საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ აბაკუმმა მეფის იმედები არ გაამართლა, მან შეიტანა ქაღალდი, რომელიც ცნობილია „პირველი არზის“ სახელით.

აბაკუმი წერდა, აღმოსავლეთში, „სიკვდილის მხარეში“, იმედი მქონდა, რომ მოსკოვში მშვიდობიანობა იქნებოდა. მაგრამ აქ საეკლესიო განხეთქილება დამხვდაო. ვითომ არ კმარობდა „ნიკონის წამოწყებათაგან გამოწვეული მოარული ჭირი!“ ამ უბედურებას სხვაც ბევრი მოჰყვება. რა სიწყნარე და მშვიდობიანობა სუფევდა დეკანოზ სტეფან ბონიფატიევის დროს, რომელიც 1656 წელს გარდაიცვალა — იგი ნიკონივით როდი ლუპავდა ადამიანებსო. აბაკუმი მეფეს თავს აბეზრებს გარდახდილ ჭირთა ამბების მოყოლით, მაგრამ რაც იყო, იყო. ნეკნებიც ჩაუმტვრიეს, მათრახითაც სცემეს, ყინვაში შიმშილით კინაღამ სული ამოხადეს, მაგრამ სულს მაინც არ ეწადა უკანონოთა კანონების მიღება. განა დრო არ არის ახალი კონდაკები, „ნიკონის ბოროტი წამოწყებანი დაგმონ?“ ამოიძირკვება ფესვი ღვარძლიანი, მოძღვრება დამღუპველი, მშვიდი და წყნარი გახდება ალექსი მიხეილის ძის სამეფოო...

ამ არზაში აბაკუმი ყვებოდა თავის მოგზაურობაზეც, ათანასე პაშკოვის თავნებობაზეც. მაგრამ ითხოვდა ვოევოდაზე შური არ ეძიათ, მისთვის ბერად შედგომა ებრძანებინათ, რათა ვოევოდად აღარსად დამჯდარიყო და ხალხი არ დაეღუპა.

მოსკოვში აბაკუმის ჩამოსვლის პირველსავე დღეებში პაშკოვი მიხვდა, რომ საქმე ცუდად ჰქონდა. მას გაკოტრების, წამების, სასტიკი სიკვდილისა ეშინოდა და თავის გამოსყიდვის მიზნით დეკანოზს დიდძალი ფული შეაძლია. მაგრამ აბაკუმმა ფული არ აიღო. მას სხვა განზრახვა ჰქონდა — მორალური გამარჯვება ეწადა და მიაღწია კიდეც.

პაშკოვმა მოლოდინის სატანჯველს ვეღარ გაუძლო და აბაკუმთან კაცი გაგზავნა. მოვიდა აბაკუმი და სასტიკი ვოევოდა დეკანოზს ფეხებში ჩაუვარდა.

— რაც გსურდეს, ის მიყავი!

ჯერ კიდევ დიაურიაში თქვა აბაკუმმა, პაშკოვს ბერად შედგომა არ აწყენდაო. ახლა ხარობდა დეკანოზი. სასწაულის მო-

ნასტრის ბერებთან ერთად აბაკუმმა პაშკოვი ბერად აღკვეცა და სქიმით შემოსა. მოხუც, მაგრამ ჯერ კიდევ ენერგიულ ვოევოდას ამან თავმოყვარეობა ისე შეულახა, რომ დამბლა დაეცა და მალე გარდაიცვალა.

„ნიკონის წამოწყებათა“ გაუქმება კი ვერა და ვერ მოახერხეს.

36

პოლონეთთან ომმა ბოლო მოუღო საუკუნოვან ბრძოლას, ვინაიდან აშკარა შეიქნა რუსეთის უპირატესობა. გაერთიანდა რუსული მიწები, იმატა სახელმწიფოს ძლიერებამ, კათოლიციზმის პოლიტიკურ პრეტენზიებს ნიადაგი გამოეცალა. უფრო მეტიც, გაჩნდა შესაძლებლობა, რომ მოსკოვისა და კიევის საეკლესიო ძალები გაერთიანებულიყვნენ და კათოლიციზმზე იერიში ერთად მიეტანათ. მაგრამ ამისთვის აუცილებელი იყო არა მარტო დასავლეთრუსული იდეოლოგიური ბრძოლების გამოცდილება გადმოეღოთ, არამედ უკრაინელ და ბელორუს სწავლულთა დახმარებით პროპაგანდის ხერხებსაც დაუფლებოდნენ, რომელთაც რუსეთის მოწინააღმდეგენი იყენებდნენ. ამას უნებურად უნდა მოჰყოლოდა ორი დიდი კულტურის (რუსულისა და დასავლეთის) დაახლოება და ურთიერთშერწყმა.

მოსკოვის რიგითი მეომრები, რომლებიც ნამყოფი იყვნენ რუსეთის დასავლეთ რაიონებში, ახალ წეს-ჩვეულებებს ეჩვეოდნენ, მართლმადიდებელ უკრაინელებსა და ბელორუსებთან ერთად წირვას ბოლომდე ისმენდნენ, პირჯვარს სამი თითით იწერდნენ. მეფე ალექსი მიხეილის ძე დიდი კმაყოფილებით ისმენდა კიევის საეკლესიო გალობას და შემდეგ იგი მოსკოვში შემოჰქონდა. ლაშქრობის დროს მას და მის წრეს ურთიერთობა ჰქონდათ კათოლიკებთან, რომელთა შორისაც ჭკვიანი და საინტერესო ხალხიც იყო და რჯულშემწყნარებლობას თანდათან შეეჩვივნენ. მოსკოვში ჩამოვიდა მრავალი ბელორუსი და უკრაინელი. ისინი უცხოელები არ იყვნენ და ამიტომ თავს არ იზღუდავდნენ — მოსკოველთა შორის ლაღად ცხოვრობდნენ. განათლებულნი და თავაზიანები ადვილად აბამდნენ ნაცნობობას, რასაც არ შეეძლო არ წარმოეშვა აზრთა ლიბერალური მიმართულება, ეს კი ძირს უთხრიდა კლდედ ქცეულ მოსკოვურ განსაკუთრებულობას.

მოსკოვში უცხოელებიც ხალისით მოდიოდნენ. მათ ხელსაყრელი პირობები იზიდავდნენ და მანამდე არ უშვებდნენ, სანამ თავიანთ ოსტატობას წამხედურა და ნიჭიერ რუს შეგირდებს არ გადასცემდნენ. ყველაზე მეტი უცხოელი არმიაში იყო. ევროპაში არეულ-დარეულობა სუფევდა: საფრანგეთში — ფრონდა და მაზარინის რეგენტობა... ინგლისში — კრომველის მმართველობა, სამოქალაქო ომი, კარლოს I-ის სიკვდილით დასჯა.... ინგლისელი და შოტლანდიელი ემიგრანტი თავად-აზნაურები კარგად ეგუებოდნენ მოსკოვს. ზოგი მათგანი მართლმადიდებლობის მიღების შემდეგ თითქმის მთლად რუსი მემამულე ხდებოდა, ისინი მთელი დღეები თავიანთ სოფლებში ისხდნენ და ზოგი რუსის ჩვეულებისამებრ ამბობდნენ, შინ არა ვართო, როცა სამსახურში უნდა გამოცხადებულიყვნენ...

მოსკოველთა ოჯახურ ბიბლიოთეკებში უამრავი უცხოური და ნათარგმნი წიგნი გაჩნდა. ჯერ კიდევ ნიკონს ჰქონდა დემოსთენე და პლუტარქე. XVII საუკუნის მეორე ნახევარში რუსულ ენაზე ითარგმნა ას ჩვიდმეტი წიგნი, და მათგან სამი მეოთხედი საერო ხასიათისა იყო. ალექსი მიხეილის ძე თვითონაც არ თაკილობდა პოლონური და დასავლური ტანსაცმლით სიარულს, სასახლეშიც უცხოური ავეჯი იდგა. მალე „უცხოელი ორგანს აახმიანებს" და დედოფალი თეატრალურ სანახაობებზე წავა... ბოიარების სახლებში დასავლეთ ოსტატთა სურათები ეკიდა, ოთახებში პოლონელი და გერმანელი მოახლეები დაფუსფუსებდნენ.

პეტრე პირველს ნიადაგი შემზადებული დახვდა. რაოდენ შთამბეჭდავიც უნდა იყოს მისი მოღვაწეობა, მაინც პირველად მან როდი მოიფიქრა და დაიწყო რუსული მიწების შემოერთება, დასავლეთისა და სამხრეთის საზღვრების გამაგრება და სახელგანთქმულ რეფორმათა გამოცემა. ალექსი მიხეილის ძე არ აპირებდა ცხოვრების რუსული ყაიდის მკვეთრ შეცვლას, მაგრამ სასარგებლო სიახლეებზე უარს არ ამბობდა. რაც შეეხება წვერის შეკრეჭას, პეტრე პირველს წვერგაპარსული მტრებიც ჰყავდა და წვეროსანი მეგობრებიც...

მოსკოვში აბაკუმის დაბრუნებამდე ორი თვით ადრე დედაქალაქში გამოჩნდა განათლებული ბერი სვიმონი, რომელიც ალექსი მიხეილის ძემ ჯერ კიდევ პოლოცკში ლაშქრობის დროს

გამოარჩია. ნიჭიერი მოქალაქე და მელექსე მეფის შვილების აღმზრდელი გახდა; ალექსი მიხეილის ძეს აბსოლუტიზმის დასავლურ იდეებს ჩააგონებდა.

37

უთანხმოება, მერყეობა, ანათემა — ეს ყველაფერი ძირს უთხრიდა ეკლესიისადმი პატივისცემას. უპატრიარქობისას, რამაც ცხრა წელს გასტანა, მეფე სულ უფრო ხშირად ერევა საეკლესიო საქმეებში. იგი ეკლესიის მეთვალყურეობას თავის ბოიარს სვიმონ სტრეშნევსაც კი ავალებს, რომელიც ერთგვარად სინოდის ობერ-პროკურორის წინამორბედი იყო.

ნიკონი არავის არ უყვარდა — იგი თავისი მბრძანებლობით ბოიარებს ამცირებდა, სისასტიკით კი ეკლესიის მსახურთ ტანჯავდა, ხალხს იგი ძველი რწმენისა და ზნე-ჩვეულებების დამღუპველად მიაჩნდა. მაგრამ რეფორმა ნიკონის წამოწყებული არ იყო. ეს მეფის სურვილი გახლდათ, რეფორმა აღმოსავლელმა პატრიარქებმა აკურთხეს და, რაც მთავარია, იგი რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ შესაძლებლობებს აფართოებდა.

ნიკონის დაცემამ მის მოწინააღმდეგეებს კიდევ უფრო გაუძლიერა ეჭვები რეფორმის ჭეშმარიტების გამო. ალექსი მიხეილის ძეს არზა არზაზე მოსდიოდა, მთელ რუსეთში ყველა ქუჩასა თუ გზაჯვარედინზე წიგნების შესწორების მართებულობას ადგენდნენ. ხალხი წიგნებს კითხულობდა, შესწორებებს პოულობდნენ, კამათს ბოლო არ უჩანდა. ეს ყველასათვის ხელმისაწვდომი იყო, ვინც წერა-კითხვა იცოდა. ჯერჯერობით ყველას შეეძლო თავისი აზრი თავისუფლად გამოეთქვა, და ყველას ძვირად უღირდა იგი.

ახალი ნათარგმნი წიგნები სრულყოფილი არ იყო. თვითონ ნიკონმა ბერძნული ენა არ იცოდა. მის დროს წიგნების მთავარი მთარგმნელი და შემსწორებელი არსენ ბერძენი გახლდათ, რომელმაც რუსულად ლაპარაკი მხოლოდ სოლოვკაში გადასახლებისას ისწავლა. არსენ ბერძენი რუსული ენის ნიუანსებში ვერ ერკვეოდა, ყოველთვის ვერ ახერხებდა შესატყვისი სიტყვებისა და კონსტრუქციების პოვნას, ამიტომ მისი თარგმანები სიზუსტითა და გარკვეულობით ძველს ჩამორჩებოდა — ბევრი გამოთქმა რუსი კაცისათვის გაუგებარი და

ორაზროვანი იყო. კრიტიკოსებმა იცოდნენ არსენ ბერძენის მკრეხელური წარსული, და ბრალი დასდეს — ტექსტები განზრახ დაამახინჯაო.

ეპიფანე სლავინეცკი მაღალი კულტურის ადამიანი იყო — მეცნიერი, მოქადაგე, მთარგმნელი. ოღონდ სახელი დაიგდო, როგორც სიტყვასიტყვითი თარგმნის ერთგულმა. ეპიფანე რუსული ენის ბუნებას ძალას ატანდა, ბერძნულ წინადადებათა წყობას მისდევდა, ბერძნული სიტყვების მაგივრად რუსული სიტყვები გადმოჰქონდა, ფრაზებს ხელოვნური და გაუგებარი წყობით აგებდა, საკუთარ სიტყვებს იგონებდა. ბუნებრივია, ყოველივე ეს უხვ საბაბს იძლეოდა კამათისა და ბრალდებებისათვის.

38

ნიკონის წასვლიდან ერთი წლის შემდეგ ივან ნერონოვმა მეფეს არზა გაუგზავნა ახალი პატრიარქის არჩევის თაობაზე. მას ხელი მოაწერეს „ყველა წოდების ადამიანებმა", რომლებიც თვლიდნენ, რომ დრო იყო არეულობას ბოლო მოღებოდა. სუზდალელმა მღვდელმა ნიკიტა დობრინინმა, რომელიც ისტორიაში პუსტოსვიატის სახელითაა ცნობილი, არქიეპისკოპოსი სტეფანე დაბეზღა, ნიკონის წეს-ჩვეულებებს მისდევსო და ეკრებამ 1660 წელს სტეფანეს კინაღამ სასჯელი დაადო. სოლოვეცის მონასტერში ახალ წიგნებს არ ცნობდნენ, მაგრამ მეფე სოლოვეცის არქიმანდრიტს თავისთან სუფრაზე იწვევდა ხოლმე. საეკლესიო იერარქები ორჭოფობდნენ, ზოგს ძველი წიგნები უფრო მოსწონდა, ზოგს — ახალი. მეფეს ჯიუტ ეპისკოპოსებზე გული მოსდიოდა, მაგრამ გადამწყვეტი ზომებისა მიღებას ჯერჯერობით ერიდებოდა.

ჯერ კიდევ აბაკუმის ციმბირიდან დაბრუნებამდე დაიწყო ლიტერატურის შექმნა ძველი წეს-ჩვეულებების დასაცავად. რტიშჩევის ნათესავი პოკროვის მონასტერის არქიმანდრიტი სპირდონ პოტიომკინი წიგნების გამსწორებლებს ლათინურ ერესობაში სდებდა ბრალს.

ისა და სხვა მისთანანი ქადაგებდნენ:

ეკლესია რომ შექმნა, ქრისტემ მას საუკუნო არსებობა აღუთქვა: „ამასა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და

ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას". ამიტომ ეკლესია ურყევია თავისი წყობითა და დოგმებით. ეკლესიის დროშას რუსეთის სახელმწიფოში ინახავენ. საღვთო წერილში ნათქვამია, რომ ძველთაძველი ურწმუნო უხსენებლები — ეშმაკი და სატანა — ანგელოზმა ათასი წლით დაბორკა. „და შემდგომად ათასისა მის წლისა განიხსნას ეშმაკი საპყრობილისაგან თვისისა და გამოვიდეს ცდუნებად წარმართთა, რომელნი არიან ოთხთა კიდეთა ქუეყნისათა". მეთერთმეტე საუკუნეში დასავლეთის ეკლესია აღმოსავლეთისას გამოეყო. გავა 600 წელი და დასავლეთ რუსეთი ბრესტში უნიას მიიღებს. 60 წლის შემდეგ კი ნიკონი მოსკოვის ღვთისმოსაობაში ცვლილებებს შეიტანს; ხოლო 1666 წლის (სატანის რიცხვია 666) შემდეგ ბნელეთის თავადი — ანტიქრისტე — კაცის სახით გამოცხადდება.

ეს ძალიან მოქმედებდა ადამიანთა გონებაზე.

ვიაზნიკის ახლომდებარე ტყეში „ტყის ბერების" მთელი კოლონია გაჩნდა. კაპიტონის მოწაფეები — ფრანგი ვავილა, ლეონიდე, ვასილ-ბანჯგვლიანი უკვე სხეულის მოკვდინებას კი არ ქადაგებდნენ, არამედ შიმშილით თვითმკვლელობას. ურჯუკი-მჟლეტელები ასობით ადამიანს ქოხებში გამოკეტავდნენ, თვითონ კი შიმშილობაში არ მონაწილეობდნენ და სხვაგან მიდიოდნენ თავიანთი საზარელი ქადაგების გასაგრძელებლად. 1665 წელს ურჯუკებმა გლეხებს მოუწოდეს, კარაპანებში ჩაიკეტეთ და თავი გამოიწვითო. მომდევნო ათ წელს მთელ ჩრდილოეთში მოდებული იყო მასობრივი „ბუგვა", როგორც მაშინ თვითდაწვას უწოდებდნენ.

სპირდონ პოტიომკინთან და „ტყის ბერებთან" სულიერად ახლო იდგა ოდოევსკის მამულების მებატონის შვილიშვილი, მოსკოვის წმინდა ხარების ტაძრის დიაკვანი თევდორე ივანოვი. ჯერ სულ მთლად ყმაწვილი თევდორე რელიგიური წესჩვეულებებით დაინტერესდა, ბერძნული და ლათინური ენები შეისწავლა; ძველი წიგნები იშოვა და წერდა ავბედითი წინასწარმეტყველებებით სავსე თხზულებებს. შემდეგში მან და აბაკუმმა განმარტეს ანტიქრისტეს, „ძე წარწყმედელის" მოსვლა. იგი იქნება ადამიანი, გარკვეული პიროვნება, ერთ-ერთი ებრაული ტომის დიაცის „მრუშობით ჩასახული", და გამეფდება იგი რომში და ტანჯვა-წამებით იერუსალიმამდე მიაღწევს. იქ, თავის სატახტო ქალაქში, დედამიწის თერთმეტ მეფეს შორის

იგი იქნება პირველი, ვინც მოსაზღვრე ქვეყნებისა და ეგვიპტის დაპყრობას დაიწყებს.

აუტანელი, დამთრგუნველი შფოთვა და მოუსვენრობა აიძულებდათ მოეყვანათ ბურუსით მოცული სიტყვები ძველი წიგნებიდან, მაგალითად, კირილე ალექსანდრიელის თხზულებებიდან და თავისებურად განემარტათ გამოცხადება იოანესი, ვინაც იწინასწარმეტყველა მოვლენა მეფისა, „რომელ[illegible] ჰმწყსიდეს მათ კუერთხითა რკინისაებთა“.

ყოველივე ამან ააფორიაქა რუსი ხალხი. ამ ხმებმა თითქოს დონამდე და ციმბირის შორეულ მხარეებამდე მიაღწია, რამაც ნიადაგი შეამზადა ასობით სტაროობრიადული ჯგუფისა და სექტის წარმოშობისათვის. ამას ზედ მეფისა და ბოიარებისაგან შევიწროებულ გლეხთა ფენის უკმაყოფილებაც ერთვოდა.

ღვთისმოსაობის ქომაგთა ძველი გვარდია გადაგვარების პირას მივიდა. ნერონოვი სულ დაუძლურდა და თითქოს შეეგუა კიდეც ახალშემოღებულ წესებს. მაგრამ აბაკუმის წამებაზე გავრცელებული ხმები, ციმბირში მისი ეგზილებარე ქადაგებანი ხალხს ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, იმედსა და შიშს უნერგავდა.

შიში მეფესაც დაეუფლა, მაგრამ, როგორც ფხიზელ პოლიტიკოსს, დროის ყოვლისშემძლეობის, ფულისა და ძალაუფლების იმედი ჰქონდა. რამდენადაც მეფეს ახსოვდა, აბაკუმს მიამიტად უყვარდა ყველანაირი პატივისცემა და ეს პატივისცემა არც ახლა მოაკლეს.

დეკანოზს პირდაპირ უთხრეს: გონს მოდი და ნებისმიერ ადგილს მიიღებო. უმაღლეს ადგილს, თვით მეფის მოძღვრის ადგილსაც კი შეჰპირდნენ, დანიშვნის ქაღალდიც გაამზადეს და აჩვენეს, მაგრამ აბაკუმმა „არ ისურვა. არ ისურვა და ეგ იყო“..

აბაკუმთან მოლაპარაკება დავალებული ჰქონდა როდიონ სტრეშნევს, ბოიარსა და მეფისწულ პეტრეს „მამამძუძეს“. თუ მეფეს იმედი ჰქონდა, დეკანოზს „მოვარჯულებო“, აბაკუმიც იმედოვნებდა, მეფის „მორჯულებას“ შეეძლებო. მან ასეც უთხრა სტრეშნევს: თუ მეფე „ცოტათი მორჯულდებაო“.. სტრეშნევი სიცილით მოკვდა — ასეთი რამ მეფეზე მხოლოდ ხუმრობით თუ შეიძლებოდა ეთქვა კაცს.

მეფემ დეკანოზის დაჯილდოება ბრძანა. „მოწყალება გაიღო, ათი მანეთი გამომიგზავნა, დედოფლისგანაც ასევე ათი მა-

ნეთი გადმომცეს, სულიერმა მამამ ლუკიანემაც ათი მანეთი მიბოძა, როდიონმაც. ჩემმა ძველმა მეგობარმა თეოდორე რტიშჩევმა თავის ხაზინადარს უბრძანა, იმანაც აიღო და ქუდში სამოცი მანეთი ჩამიდო; სხეებზე აღარაფერს ვამბობ: ყველანი მოდიოდნენ, ვის რა მოჰქონდა!..“ რაკი აბაკუმმა მეფის მოძღვრის ადგილზე უარი თქვა, დაჰპირდნენ — 1664 წლის სექტემბრიდან სტამბაში დაგსვამთ და წიგნები ასწორეო. უფრო დიდ სიხარულს აბაკუმს ვერაფრით მიანიჭებდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ აგვისტოში ბოიარმა სალტიკოვმა მას მეფის საყვედური გადასცა:

— ხელისუფლება შენზე ჩივის, ეკლესიები დააცარიელაო, ისევ გადაგასახლებენ, იცოდე.

რა იყო მეფის მრისხანების მიზეზი? რის გაკეთება მოასწრო აბაკუმმა მოსკოვში თავისი შედარებით მოკლე ხნით ყოფნის მანძილზე?

ძალიან ბევრისა.

აბაკუმის ჩამოსვლამდე ნიკონის რეფორმის მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეთაგან თითოეული თავისი თავის იმედით მოქმედებდა. მათ არ ჰყავდათ აღიარებული მეთაური, ხელმძღვანელი, რომელიც დაქსაქსული ძალების გაერთიანებას შეძლებდა, მძლავრ მოძრაობას წამოიწყებდა. ახლა ასეთი ხელმძღვანელი გამოჩნდა. ათი წლით ციმბირში გადასახლებამ, „მშობლიური წმინდა სიძველისადმი“ თავდადებამ, შეუპოვრობამ და ნაკითხაობამ, ნებისმიერ პირობებში თავისი შეხედულებების დაცვის იშვიათმა უნარმა დიდი ავტორიტეტი შეუქმნა აბაკუმს. თავის დამსახურების აღიარება აბაკუმს ბუნებრივად მიაჩნდა და ჯიქურ გადავიდა შეტევაზე. იგი უყოყმანოდ, გაბედულად მოქმედებდა, არაფერს არ თმობდა.

საგულისხმოა, რომ საეკლესიო განხეთქილების ბრალდება წირველად აბაკუმმა და მისმა მეგობრებმა წამოაყენეს. არც ნიკონისა და არც ალექსი მიხეილის ძისთვის ასეთი ცნება არ არსებობდა — მათთვის არსებობდნენ ჭირვეულები, სიმშვიდის დამრღვევნი და მეტი არაფერი.

მოსკოვის დიდებულთა ოჯახებში აბაკუმი სასურველი სტუმარი იყო. ბევრი მისი სულიერი შვილიც ხდებოდა. ჭკვიანი და დაკვირვებული ფსიქოლოგი, ტკბილმოუბარი დეკანოზი ანდამატივით იზიდავდა ადამიანებს. ასე დაუახლოვდა იგი მოკლე

ხანში ბოიარ ქალს ფედოსია პროკოფიევნა მოროზოვას და მის დას თავადის ცოლს ევდოკია პროკოფიევნა ურუსოვახ. ორთავენი კარისკაცის პ. ფ. სოკოვნინის — დედოფლის ახლო ნათესავისა და მსახურთუფროსის — ასულები იყვნენ. ფედოსია ადრე გაათხოვეს, ცოლად მისცეს გლებ ივანოვიჩ მოროზოვს — მეფის „მამამძუძეს" და გამზრდელს, შემდეგში ყოვლისშემძლე მედროვის ბორის ივანოვიჩ მოროზოვის ძმას. ადრე დაქვრივებულ ფედოსიას დედოფალ მარია ილინიჩნას დროს საზოგადოებაში უწინდებურად მაღალი ადგილი ეკავა — იგი მისი უახლოესი ბოიარი ქალი და მეგობარი იყო. სოკოვნინები და მოროზოვები ზღაპრული ქონების პატრონები იყვნენ. აბაკუმის თქმით — მარტო მოროზოვას რვა ათასამდე ყმა ჰყავდა და ას ორმოცდაათი-ორასი ათასი მანეთის ქონება ჰქონდა. იგი მოოქრული ეტლით დადიოდა, რომელშიც ექვსი ფიცხი ბედაური ება და ყოველ გამოსვლაზე ასამდე შინაყმა ახლდა, გზას რომ უკაფავდნენ და ბოიარი ქალის „პატიოსნებასა და ჯანმრთელობას ედგნენ დარაჯად".

მოროზოვა ეგზალტირებული ქალი იყო, ციმბირის სახელოვანი მარტვილი იზიდავდა და მის საქმეს ერთგულად ემსახურებოდა. ბოიარმა ქალმა თავისი სახლი მონასტერს დაამსგავსა — მონაზვნებით, მათხოვრებით, ღვთის გლახებით აავსო, რომლებიც ნებისმიერ მოსკოველის ოჯახში ადვილად აღწევდნენ და საზოგადოებრივი აზრის შექმნაში აბაკუმს თავდადებით ეხმარებოდნენ.

მოროზოვა მამაკაცის ალერსის გარეშე ცხოვრობდა. ერთადერთი ძისადმი ავადმყოფური სიყვარული, თავდადებული მოღვაწეობა სიძველეთა დასაცავად მისი არსებობის დედააზრად იქცა. XVII საუკუნით დაინტერესებული თანამედროვე რომანისტებს მუდამ ცდუნება სძლევთ: შეფარვით, რომანტიკულ ფერებში გადმოსცენ ფედოსიას და აბაკუმის დამოკიდებულებას, ხანდახან კი გადაკვრით მოგვანიშნებენ ხოლმე მათ შორის ახლო ურთიერთობის შესაძლებლობას. ამისთვის საბაბს შეიძლება იძლეოდეს XVII საუკუნის საქმეებში არსებული დაუმტკიცებელი ბრალდება, თითქოს დეკანოზ აბაკუმთან მეგობრობის ჟამს ბოიარი ქალი მოროზოვა „ბავშვებს აჩენდა".

— მე ახალგაზრდა ქვრივი ვარ. — ეუბნებოდა იგი აბა-

კუმს. — მსურს ჩემი ხორცი მარხვითა და წყურვილით ვგვემო.

მარხულობისას იგი უკიდურესობამდე მიდიოდა: ფლასი ეცვა. დასაძინებლად მოახლეთა თვალწინ „ფაფუკი ბუმბულის ძვირფას ლოგინში“ წვებოდა, მერე მალულად იატაკზე გადაინაცვლებდა, რომელზეც ჭილოფი ჰქონდა დაგებული.

სასახლეში თავის სულიერ ასულთან აბაკუმი ისე ცხოვრობდა, რომ გარეთ არ გამოდიოდა. ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე დედოფლის ნათესავ ბოიარ ქალს ანა მილოსლავსკაიას — ცნობილი თავადის დიმიტრი პოჟარსკის შვილიშვილს. ბოროვიცკის სასახლეში თევდორე რტიშჩევთან „განდგომილთა გასაკიცხად“ დადიოდა. სხვათა შორის ფედოსია მოროზოვა დიდი სასახლის მოურავის რტიშჩევის დეიდაშვილი იყო, ხოლო სწავლული სტაროვერი სპირიდონ პოტიომკინი მისი ბიძა გახლდათ დედის მხრიდან.

რტიშჩევი, როგორც უკვე მოგახსენეთ, უკრაინელ ბერებს მფარველობდა და სიახლეთა მომხრე იყო, მაგრამ სიძველეთა ქომაგთაც არ ივიწყებდა. უყვარდა მათი ცხარე და გაუთავებელი კამათის ყურისგდება. ამ კამათის დოგამტიკურ არსში ჩაუხედავადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ რა ტემპერამენტიანი იქნებოდა აბაკუმის ჭიდილი მჭევრმეტყველებაში თავის თანამემამულე არქიეპისკოპოს ილარიონთან, მეფის მოძღვარ ლუკიანესთან, ეპიფანე სლავინეცკთან, სვიმონ პოლოცკისთან...

„სვიმონი, „სიმეონ-ბერი“ აბაკუმმა ციმბირიდან ჩამოსვლისთანავე გაიცნო მეფესთან დარბაზობაზე.

„როცა ნახა, რომ მეფე ჩემთან ტკბილად მოუბრობდა, — წერდა აბაკუმი, — ისიც მომვარდა და დამლოკა. მე მას ვკითხე:

— საიდანა ხარ, მამაო.

მან მიპასუხა: !

— მე, მამაო, კიევიდან ვარ.

ვხედავ რომაელს ჰგავს (კათოლიკეს. დ. ჟ.). თევდორე რტიშჩევის სახლში მას ანგარიშს უწევდნენ“.

აბაკუმი და სვიმონი „ანგარიშებს“ იქამდე ასწორებდნენ, სანამ ქანცი არ გაუწყდებოდათ და ერთმანეთს „მთვრალებიგით“ სცილდებოდნენ.

ერთხელ აბაკუმი რტიშჩევიდან შინ „ძალიან უგუნებოდ დაბრუნდა, რამეთუ მასპინძლისას ბევრი იკამათა რწმენასა და კანონზე". შინ არეულ-დარეულობა დახვდა: ნასტასია მარკოვნას ქვრივი ფეტინე დაუტუქსავს, აბაკუმისას რომ ცხოვრობდა. დეკანოზს კამათის ცეცხლი ჯერ კიდევ არ განელებოდა და ცხელ გულზე ორივენი გალახა. „მუდამ ასეთი ვარ, წყეული, შეჩვენებული, ბრაზიანი და მოჩხუბარი".

იმ დროს აბაკუმთან ქოხში, კედელზე მიჯაჭვული ბორგვნეული გიჟი ფილიპე ცხოვრობდა. ძველ რუსეთში გიჟებს შიშით და რიდით ეპყრობოდნენ, ვინაიდან ეგონათ, რომ ბორგვნეულებში ეშმაკები ბუდობდნენ, ამიტომ მათ ექიმები კი არ მკურნალობდნენ, არამედ მღვდლები და ბერები. ასეთი „შლეგი" აბაკუმისეულ „ცხოვრებაში" ათობით შეიძლება დავითვალოთ. მას ისინი ჯაჭვით ჰყავდა დაბმული და ლოცვითა და შეგონებით წამლობდა. ფილიპეს სალოსი თევდორე უვლიდა, რომელიც აბაკუმმა ველიკი უსტიუგიდან ჩამოიყვანა.

სალოსები — „ნეტარნი" ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე უარს ამბობდნენ, მაგრამ მშვიდობიან ცხოვრებას არ გაურბოდნენ. რწმენის უზომო ერთგულებით გამოირჩეოდნენ და სახარების მცნებათაც ზედმიწევნით მისდევდნენ, სიცივისა და შიმშილისადმი მათი უგრძნობლობა, გამჭრიახობა და სხვა თვისებები, ჩვეულებრივ ადამიანებს რომ არ ახასიათებს, სასწაულის შთაბეჭდილებას ახდენდა. სალოსებს ხალხშიც პატივს სცემდნენ და სასახლეშიც. ხალხის მფარველობით გათამამებულნი, მეფესთან და ბოიარებთანაც გაბედულად ლაპარაკობდნენ. აბაკუმი ისე აყვარებდა თავს „ნეტართ", რომ ისინი მისი საქმის უერთგულესი დამცველნი ხდებოდნენ, მისი გულისათვის კოცონზე და სახრჩობელაზე ადიოდნენ. ასეთი ბედი ელოდა ათანასესაც, მოროზოვას სახლში რომ ცხოვრობდა; კიპრიანესაც, თევდორესაც, რომლებიც წიგნებიდან იწერდნენ იმ ადგილებს, აბაკუმი ნიკონელებთან დავა-კამათისათვის რომ არჩევდა.

ისევ პირველსავე სიტყვას მივუბრუნდეთ — როგორც აბაკუმი იტყოდა ხოლმე. შინაურებთან დეკანოზის ჩხუბით გაშმაგებული „შმაგი" ფილიპე ჯაჭვს გლეჯდა და ღრიალებდა. ქა-

ლები და ბავშვები შეშინდნენ. აბაკუმმა, რომელსაც იმაზე უფრო ეწურებოდა გული, ნასტასია მარკოვნას ასეთი „დიდი შეურაცხყოფა“ რატომ მივაყენეო, შეშლილის დაწყნარება თვითონ ითავა. ჩვეულებრივ, დეკანოზი ადვილად ერეოდა ხოლმე ფილიპეს, მაგრამ ამჯერად სინდისის ქენჯნით შეწუხებული ბორგენეულს არც შებრძოლებია, როცა მან ცემა-ტყეპა დაუწყო და თან დასძახოდა:

— ხომ ჩამივარდი ხელში! მე შენი არ მეშინია!

ბოლოს ფილიპემ აბაკუმი გვერდზე მიაგდო. დეკანოზი ცოტა ხანს გაუნძრევლად იწვა, „შემდეგ სინდისმა შეაწუხა“, ცოლთან მივიდა და ფეხებში ჩაუვარდა:

— ნასტასია მარკოვნა, შემინდე მე ცოდვილს! — თვალცრემლიანი შეევედრა აბაკუმი. ნასტასია მარკოვნამაც ქმრის წინაშე მუხლი მოიყარა და აპატია. აბაკუმმა პატიება სთხოვა ფეტინესაც.

მაგრამ აბაკუმს სინდისი მაინც ჰქენჯნიდა. რუსი კაცი, როცა მას საკუთარი სინდისი არ სტანჯავს, უძლეველია. მან შეიძლება სისასტიკე გამოიჩინოს საქმისათვის, რომლისთვისაც გული ეწვის, მაგრამ საკმარისია იგრძნოს დანაშაული, სულიერი უთანხმოება, რომ სინდისის ქეჯნა მოსვენებას არ მისცემს, აიძულებს სასჯელი თვითონ იპოვოს, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდეს.

თუმცა დანაშაული შეუნდეს, აბაკუმმა მაინც ვერ მოისვენა. სინდისი მხოლოდ მაშინ დაუმშვიდდა, როცა შუა ოთახში გაწვა და სუყველა — ცოლი, ბავშვები, ოცამდე კაცი — აიძულა მისთვის „წყეული ზურგი“ მათრახით აეკრელებინათ. როცა თითოეული მათრახს ხუთ-ხუთჯერ გადაუკერდა, აბაკუმი დაყოლებდა:

— ვინც არ დამარტყამს, ის ჩემთან ერთად ზეცაში სასუფევლელს ვერ დაიმკვიდრებს!

თავის თავში სრულიად დარწმუნებული თხზულებას ამ რწმენით წერდა, ამ რწმენითვე ლაპარაკობდა, მომხრეებს რაზმავდა, ახლებს აგროვებდა. ჩამოთვლაც კი ძნელია ყოველივე იმისა, რაც აბაკუმმა დაწერა და გააკეთა მოსკოვში მცირე ხნით ყოფნის დროს — 1664 წელს.

უნდა ითქვას, რომ მას ხელს არავინ უშლიდა. ეკლესიაში

ჯერ კიდევ მერყეობა იყო, მეფეც ჯერჯერობით რჩევა-დარიგებით მოქმედებას და დაყოლიებას ამჯობინებდა. ამ თავისუფლებაზე ჯერ თუნდაც ის მეტყველებს, რომ ძველი წეს-ჩვეულებების მრავალრიცხოვანი მიმდევრები თავიანთ კრებებსაც კი იწვევდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი კრების მონაწილეთა შორის გვხვდება ნაცნობი სახელები — აბაკუმი, სპირიდონ პოტიომკინი, მღვდელი ლაზარე, რომელიც ტობოლსკიდან ჩამოვიდა, სალოსი ათანასე, აბრამის სახელით ბერად რომ აღიკვეცა... ეს უკვე ნამდვილი საეკლესიო განხეთქილება იყო. ესინი იმაზეც ბჭობდნენ, ნიკონელობიდან ძველ რწმენაზე მოქცეულნი ხელახლა ხომ არ მოგვენათლაო.

მალე ეკლესიის ხელისუფალთ აშკარად იგრძნეს, რომ აბაკუმმა „თავისი მოძღვრებით მრევლი დააფრთხო". ეკლესიები დაცარიელდა. მღვდლებს ბევრი უდიერად ექცეოდა. მაგალითად, ხარების ტაძრის დარაჯი ანდრეი სამოილოვი „მიტროპოლიტს და არქიეპისკოპოსებს იუდას კერძებს ეძახდა და დედას აგინებდა".

ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

ეკლესიის ხელისუფლებმა აბაკუმს „ვაცებივით რქენა დაუწყეს". მერე მეფესაც აევსო მოთმინების ფიალა. ალექსი მიხეილის ძეს უკვე მოლაპარაკება ჰქონდა გამართული აღმოსავლეთის პატრიარქებთან ნიკონის გადაყენების თაობაზე. ვინ იქნებოდა ახალი პატრიარქი? აბაკუმს არ შეეძლო ასეთ მნიშვნელოვან დროს განზე მდგარიყო. მან შეადგინა არზა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. როგორც ოდესღაც სტეფანე ბონიფატიევი ღვთისმოსაობის ქომაგებთან ერთად პატრიარქ იოსებს მეფის შემწეობით ურჩევდა, „ვინ რომელ არქიელად გამოდგებოდა", ისე აბაკუმსაც აღნუსხული ჰყავდა ადამიანები, რომლებიც, მისი აზრით, პატრიარქის ტახტის ღირსნი იყვნენ. თუ რა ხალხი იყო ეს, ამაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ გინდაც მარტო დეკანოზ ნიკანორით, რომელიც შემდგომ სოლოვეცის აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

მაგრამ ის დრო, როცა მეფე სხვებს უჯერებდა, მის სიშაბუყესთან ერთად წარსულს ჩაჰბარდა. აუდიენციაც ძნელი მისაღწევი გახდა. თავის პირველ არზაში აბაკუმი მეფეს სთხოვდა — „პირისპირ მინდა შენი ნათელმოსილი სახე ვიხილოო", მაგრამ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ალექსი მიხეილის ძემ იგი სხვებ-

თან ერთად ბიბლიო და პირისპირ საუბარზე სიტყვაც კი არსადაა ნათქვამი.

აბაკუმი ყველგან და ყოველთვის ცდილობდა ხაზი გაესვა, მეფესთან გაჩვეული კაცი ვარო; წერილებში მეფეს უბრალოდ „მიხაილოვიჩს" უწოდებდა. ახლა კი ავადმყოფობა მოიმიზეზა და არზა მეფესთან თავის ერთგულ კაცს სალოს თევდორეს გაატანა.

თევდორეს დიდი ხნის ფიქრი არ დასჭირვებია: მცველების რიგი გაარღვია და ეტლით მიმავალ მეფეს ჯიქურ მიეჭრა. მეფემ წერილის ჩამოსართმევად ეტლიდან ხელი გადმოსწია, მაგრამ წერილს ვერ მისწვდა. სტრელეცებმა თევდორე შეიპყრეს და მეფის სასახლის წითელი პარმაღის ქვეშ მოთავსებულ საყარაულოში შეაგდეს. წერილი კი მეფესთან მაინც მოხვდა.

თევდორე გაუშვეს, მაგრამ მალე იგი მეფეს ეკლესიაში შეხვდა და აქაოდა სალოსი ვარო, ყვირილი მორთო, მეფეს პირში მიახალა ყველა ბრალდება, რაც აბაკუმისგან გაეგონა. ალექსი მიხეილის ძემ თევდორე სახლში გაისტუმრა, მან კი აბაკუმს ამბავი მიუტანა, მეფე გიბარებსო. აბაკუმი მეფეს ეახლა და თავი დაუკრა. მეფემაც თავის დაკვრით უპასუხა. ერთხანს უხერხული დუმილი ჩამოვარდა. „ასევე დავშორდით ერთმანეთს; ამით დამთავრდა ჩვენი მეგობრობა, წერილის გულისათვის გამიბრაზდა"... სალოსი თევდორე მეფის ბრძანებით სასწაულის მონასტერში წაიყვანეს და ჯაჭვით დააბეს...

არზა 22 აგვისტოს იყო გაგზავნილი და, ჩანს აბაკუმი იმდენს „ტუქსავდა" მეფეს, რომ მას მოთმინების ფიალა აევსო... ზუსტად იმ დღეს სასწაულის მონასტრის არქიმანდრიტი პავლე სარსისა და დონისპირეთის მიტროპოლიტად დაადგინეს და, ვინაიდან მისი რეზიდენცია კრუტიცის პანდუქსიონში იყო, ტრადიციულად ის კრუტიცის მიტროპოლიტად იწოდებოდა. პავლე პოლონური და ლათინური ენების მცოდნედ ითვლებოდა, რეფორმის თავგამოდებული მომხრე გახლდათ. მკაცრი და გაბედული პავლე არაერთხელ დაუნიშნავთ პატრიარქის ტახტის მოსაყდრედ. სწორედ მას დაავალეს კრების მოწვევა და ნიკონისათვის მსჯავრის გამოტანა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ მეფემ გადაწყვიტა მერყეობისათვის ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღო და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე აბაკუმის „შეგონების წერილი" იერარქთა შეცვლის შესახებ.

ერთი კვირის შემდეგ, 29 აგვისტოს, აბაკუმი ოჯახთან ერთად შორეულ ჩრდილოეთში, იმიერპოლარეთის ქალაქ პუსტოზერსკში გადაასახლეს. ოჯახი სულ თორმეტი კაცისაგან შედგებოდა; მათი გამცილებელი იყო ხარების ტაძრის დარაჯი, თავხედობით ცნობილი ანდრეი სამოილოვი. გზაში აბაკუმს უმცროსი შვილები ავად გაუხდა და დვინის ვოევოდას თავად შჩერბატოვის ნებართვით ოჯახმა თვეზე მეტი ხოლმოგორში დაჰყო. მათთან ოთხიოდე კვირით სამოილოვიც დარჩა. აბაკუმმა ალბათ მას გაატანა წერილი მეფესთან. ყინვები ახლოვდებოდა და აბაკუმს ეშინოდა, ავადმყოფი ბავშვები გზაში არ დამელუპონო. ძნელი გზა ელოდათ, ირმებით უნდა ევლოთ, თანაც ნასტასია მარკოვნა დღე-დღეზე მოსალოგინებელი იყო.

აბაკუმი მეფეს შეახსენებდა თავის წარსულ ტანჯვა-წამებას, სწერდა, როგორ დაეღუპა ორი პატარა ბავშვი დაურიაში ყოფნის დროს და სთხოვდა, ხოლმოგორში დამტოვეო.

ეს წერილი მეფეს 21 ნოემბერს გადასცა სალოსმა კიპრიანემ — აბაკუმის ერთ-ერთმა სულიერმა შვილმა.

აბაკუმისთვის ნერონოვიც ზრუნავდა. დიაკვანმა თევდორემაც გადასცა არზა აბაკუმის განთავისუფლების შესახებ მეფის მოძღვარს ლუკიანეს „და მან სახეში ესროლა დიდად განრისხებულმა“...

დიაკვანი თევდორე დააპატიმრეს. მას მიაყოლეს სუზდალის მღვდელი ნიკიტა პუსტოსვიატი და სხვები. ყველანი შორეულ ჩრდილოეთში გადაასახლეს. მოსკოვის გაწმენდის შემდეგ სამეფოს ჩრდილო და დასავლეთ პროვინციებში დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნის ჯერი დადგა. პოლკოვნიკმა ლოპუხინმა „ტყის ბერები“ შეიპყრო, სორბონის აღზრდილი ვავილა დაწვეს. ლოპუხინმა კერჟენეცი და შუა ვოლგისპირეთი გაწმინდა. ჩრდილოეთში პოლკოვნიკი არტამონ მატვეევი ბობოქრობდა..

41

აბაკუმმა ოჯახით მხოლოდ მეზენამდე ჩააღწია და დარჩა კიდეც იქ, ეს იყო 1664 წლის დეკემბერში. მეზენის ვოევოდას ალექსი ცეხანოვიცკის არ შეეძლო ისინი დანიშნულ ადგილამდე — პუსტოზერსკის ციხე-ქალაქამდე გაემგზავრებინა, ვინაიდან ადგილობრივმა გლეხებმა ჯანყი მოაწყვეს და გადასახლე-

ბულთა და მცველთა წაყვანაზე უარი თქვეს. 1665 წლის იანვარში აბაკუმი მეფეს სწერდა:

„შენგან ბოძებული მოწყალება ხაზინიდან არ მომდის, ყველანაირ გაჭირვებას ვითმენ... ნუ ინებებ, რომ თორმეტი სული შიშველ-ტიტველი, შიმშილით ამოვწყდეთ; უბრძანე, მეფეო, შენი სახელმწიფო ხაზინიდან გამოგვიგზავნონ საზრდო, რასაც შენი ხელმწიფება ინებებს, თუნდაც კაცზე დღეში თითო ალთინი, რათა ამ უპურო ქვეყანაში თავი დავირჩინოთ“.

აბაკუმის ოჯახის სარჩენად სახელმწიფო თანხის ხარჯვის ნებართვას ცეხანოვსკიც ითხოვდა.

აბაკუმი შესაბრალის წერილებს წერდა, მაგრამ თავის სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა. მგზავრობის დროს ყველა ქალაქში ქადაგებით გამოდიოდა — „სხვადასხვა ჯურის მხეცებს ამხელდა“.

აბაკუმი დასახლდა დიდ დაბაში, რომელიც მდინარე მეზენის შესართავთან XVI საუკუნის შუა წლებში დააარსა ნოვგოროდელმა ბოიარმა ოკლადნიკოვმა და, რომელიც განთქმული იყო ნათლისღების ბაზრობებით. აბაკუმის გადასახლების დროს მეზენში ვაჭრობა თანდათან დაეცა, ვინაიდან მეფეს არხანგელსკის გაძლიერება ეწადა და უცხოურ გემებს „სანაპიროზე შესვლა და რუსებს უცხოელებთან ვაჭრობა აუკრძალა; ხომალდებს არხანგელსკის ნავმისადგომში მისვლა ჰქონდა ნაბრძანები“.

მეზენში აბაკუმმა ქოხი დადგა, თევზაობდა და ეკლესიაში წირავდა. ამ მხარეში შემორჩენილი გადმოცემით, აბაკუმს ისეთი ძლიერი ხმა ჰქონია, წირვისას მისი ხმა დაბის ბოლომდე აღწევდა.

ნასტასია მარკოვნამ აქ თანამეცხედრეს კიდევ ერთი ვაჟი — ათანასე შესძინა.

თეთრ ზღვაზე გამომწყვდეულ აბაკუმს მოსკოვთან კავშირი ერთი თვითაც არ შეუწყვეტია. შიკრიკის ხელით ან ისე, შემთხვევის წყალობით მოსულ წერილებში მოსკოველები აბაკუმს საყვედურობდნენ — მოსკოვში მეტისმეტად გაუფრთხილებლად მოიქეცი, ამან კი გამოიწვია საეკლესიო რეფორმის მოწინააღმდეგეთა განადგურება, რომლებიც უკვე მტკიცედ შეკავშირებას იწყებდნენო. აბაკუმი თვითონვე აღიარებდა, რომ მოუქნელი პოლიტიკოსი გამოდგა. ბალღამი გადმოვანთხიე და ნა-

ძირალები ავაფორიაქეო. მაგრამ დუმილის მომხრე მაინც არ იყო — ჩვენ რომ გავჩუმდეთ, ქვები იღაღადებენო.

ოკლადნიკოვის დაბაში აბაკუმი მოწმე და მონაწილე გახდა დრამისა, რომელიც დღეს შემზარავად წარმოგვიდგება, მაგრამ XVII საუკუნის ცრუმორწმუნეთათვის ჩვეულებრივი გახლდათ და ამიტომაც დაწვრილებითაა აღწერილი „ცხოვრებაში".

აბაკუმი ადგილობრივი ვოევოდას ცეხანოვიცკის ხშირი სტუმარი იყო. ბრწყინვალე თავადი და კეთილი კათოლიკე ომის უკეღმართობამ მოსკოვში ჩამოიყვანა და აიძულა მართლმადიდებლობა მიეღო. მაგრამ დიდებული ბატონი გუნებაში წყევლიდა „სქიზმატიკოსებს[1]" და რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოებას იცავდა. მისი ცოლი იადვიგა, რუსეთში რომ ევდოკიად იქცა, მართლმადიდებლური სულით განიმსჭვალა. „წერა-კითხვა იცოდა, გონიერი ქალბატონი იყო, რომაულ სარწმუნოებას თავგამოდებით წყეველიდა", — იგონებდა აბაკუმი, რომელსაც გაჭირვების ჟამს თავისი სულიერი ასული არ მიუტოვებია.

აბაკუმს სამუდამოდ დაამახსოვრდა ამ უბედური პოლონელი ქალის უკანასკნელი დღეები. პანი ცეხანოვიცკაიას მშობიარობის შემდეგ ციებ-ცხელება დაეწყო და აბოდებდა. როგორც კი ოდნავ გონს მოვიდა, გადაწყვიტა აბაკუმისთვის აღსარება ეთქვა:

— სულ ქმრის გულისთვის მსჯის ღმერთი, მამაო, — უთხრა მან. — ჩემი ქმარი მალულად რომაულ სარწმუნოებას იცავს... მადლი უფალს, რომ ამ სარწმუნოებისაგან მიხსნა... რუსული სარწმუნოება ყველა სარწმუნოებას ჩრდილავს თავისი ბრწყინვალებით... მაგრამ თქვენც სცოდავთ, რომ იყოფით. ახალი თაოსნობა ნამეტნავად ცუდი და ავბედითია: შეწირე შენი სიცოცხლე, რასაც ემსახურები და მეც მასწავლე, როგორ მოვკვდე... მაზიარე... მითხრეს, დღეს თუ ხვალ მოკვდებიო..., შემიწყალე, მამაო, საჩინოვ ჩემო!

ქალბატონი ლოგინზე წამოჯდა, აბაკუმს ჩაეჭიდა და აკანკალებულმა ტირილი მორთო. დეკანოზმა ქალი ლოგინში ჩააწ-

---

[1] საეკლესიო განხეთქილების მომხრენი.

ვინა. სიცხიანს ისევ დაებინდა გონება, ხელს კუთხისკენ იშვერდა და ყვიროდა:

— მამაო, აი, ეშმაკები მოვიდნენ, ჩემი წაყვანა უნდათ!..

დეკანოზი ირგვლივ გამალებით აკმევდა და წყალს ასხურებდა.

ავადმყოფს ხელში მოღუნული ქინძისთავის კაუჭი აღმოაჩნდა. გაჰყვიროდა, ამ კაუჭით სული ამოვირთვი და ეშმაკებს მივეცით! მისი ბოდვა აბაკუმმა სერიოზულად მიიღო, მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის, მოახლეებს ჰკითხა, ამ უბედურს ქინძისთავი თქვენ ხომ არ მიეცითო.

ვოევოდა ცეხანოვიცკიმ სცადა ცოლის სხეული ეხსნა და არა სული. როგორც კი აბაკუმი წავიდა, მან ავადმყოფს ადგილობრივი ექიმბაშის მიერ ლუდისა და სამკურნალო ფესვებისაგან დამზადებული ნაყენი ასვა. მაგრამ ქალს ისევ დაეწყო შეტევები. ეს ამბავი აბაკუმს აცნობეს. დეკანოზმა მაშინვე მოირბინა და ვოევოდას უსაყვედურა. წალაპარაკდნენ. დეკანოზმა ავადმყოფის სასთუმალთან მჯდარ ნასტასია მარკოვნას ხელი დაავლო და ცეხანოვიცკების სახლი მიატოვა.

მეორე დღეს ცეხანოვიცკიმ აბაკუმთან კაცი აფრინა, ევდოკია გაგიჟდა, იატაკსა და კედლებს თავს ურტყამს და ცხვირპირი დაისისხლიანაო...

— ქმრის გულისთვის, მისი სარწმუნოების გამო მაწამებენ ეშმაკები. ეგ ჩემი ქმარი არ არის!— გაჰკიოდა ქალი.

გამწარებულმა პან ცეხანოვიცკიმ ცოლს სილა გააწნა. მაგრამ მაშინვე შერცხვა თავისი საქციელისა. აბაკუმმა მას ოთახიდან გასვლა უბრძანა, მერე ავადმყოფი აზიარა. გატანჯული ქალი ერთხანს დადუმდა, მერე ამოიოხრა და სული განუტევა.

აბაკუმმა პანი ცეხანოვიცკაია ეკლესიასთან კი არ დამარხა, სადაც ცეხანოვიცკები და პეტროვები ცხოვრობდნენ, არამედ მეზენის ნაპირზე. ჩრდილოეთის მოკლე ზაფხულის დღეებში აქ უყვარდა ჯდომა პანი ცეხანოვიცკაიას, პოლარული მზის ქვეშ, რომელიც დღედაღამ ანათებდა. ფართო ბობოქარ მდინარის მიღმა დაბინდულ შორეთში მას სხვა ცხოვრება და თბილი მხარეები ელანდებოდა...

წელიწად-ნახევარს იცხოვრა აბაკუმმა მეზენზე. თუ გადა-

სახლებამდე დეკანოზი მოქმედებდა, ხოლო ხელისუფლება ყოყმანით თვალს ადევნებდა, ახლა მოსკოვში დროს როდი კარგავდნენ...

42

იმ წელიწადს, როცა აბაკუმი ისევ გადაასახლეს, 17 დეკემბრის ღამეს მოსკოვის კარიბჭეს მარხილების მწკრივი მიადგა.

— ვინ მოდის? — დაიძახეს გუშაგებმა.

— საბას მონასტრის ხელისუფალნი!

მარხილები კრემლისკენ დაიძრნენ, იქიდან კი მიძინების ტაძრისკენ აიღეს გეზი.

ცისკრის ლოცვას ასრულებდნენ. უცებ ალაყაფის კარი ხმაურით გააღეს. ეზოში ბერების ჯგრო შემოვიდა, მათ უკან ჯვარი მოჰქონდათ, ჯვარს უკან კი პატრიარქი ნიკონი გამოჩნდა, იგი პატრიარქისთვის განკუთვნილ ადგილას დადგა. გაისმა ნაცნობი, მბრძანებლური ხმა, რომელიც დიდი ხანია არ გაუგონიათ მიძინების ტაძრის გუმბათქვეშ.

— შეწყვიტეთ ლოცვა!

ნიკონის თანმხლებმა აღდგომის მონასტრის ბერებმა ღვთის საადიდებელი გალობა ბერძნულად აღავლინეს — „ისპოლაეტი დესპოტა". პატრიარქმა როსტოვის მიტროპოლიტი იონა მოიხმო, დალოცა და უთხრა:

— წადი, დიდ ხელმწიფეს ჩემი მოსვლა მოახსენე.

„სასახლეში უცებ სინათლეები აინთო, — ზუსტად აღწერს ამ ამბავს ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი, — მოციქულები არქიელებისა და სასახლის ბოიარებისკენ გაეშურნენ. ისეთი ხმაური და არეულ-დარეულობა შეიქნა, გეგონებოდა ამბავი მოიტანეს, თათრები ან პოლონელები მოსკოვს მოადგნენო. არქიელები და ბოიარები ერთმანეთში აირივნენ და ყველანი ზევით, კიბეზე არბოდნენ... მეფემ მღელვარებით აუწყა მათ ახალი ამბავი. ბოიარები აყვირდნენ, არქიელები თავს იქნევდნენ და ერთსა და იმავეს იმეორებდნენ: „ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო!"

მალე ნიკონთან ბოიართა წარგზავნილები მივიდნენ და გაუცხადეს:

— შენ პატრიარქის ტახტი თვითნებურად მიატოვე, პირობა დადე, რომ პატრიარქობაზე სამუდამოდ უარს ამბობდი და საცხოვრებლად მონასტერში გადახვედი. ამის შესახებ უკვე

ეცნობა მსოფლიო პატრიარქებს. ახლა მოსკოვში რისთვისღა ჩამოხვედი და დიდი ხელმწიფის ნების გარეშე, წმინდა ეკლესიის საბჭოს დაუკითხავად ტაძარში რატომ შეხვედი? წადი ისევ მონასტერში!

არც ისე ადვილი იყო ნიკონთან კამათი, რომელიც მეფესთან შეხვედრას ან მისთვის წერილის გადაცემას მოითხოვდა...

მან მხოლოდ მაშინ დაყარა ფარ-ხმალი, როცა კრუტიცის მიტროპოლიტი პავლე ბოიარებთან ერთად მესამედ მოვიდა და აცნობა, მეფის ნება უცვლელიაო.

ნიკონი ხატს ემთხვია, აიღო მიტროპოლიტ პეტრეს კვერთხი, პატრიარქის წოდების ტრადიციული ნიშანი და კარისკენ გაემართა.

— კვერთხი სად მიგაქვს, დატოვე! — უთხრეს მას.

— ძალით თუ წამართმევთ!.. — უპასუხა ნიკონმა და ტაძრიდან გავიდა.

ეს შფოთიანი ღამე ჯერ კიდევ არ იყო გასული, რომ ცისკრის ცაზე კუდიანი ვარსკვლავი აინთო. მარხილში რომ ჯდებოდა, ნიკონმა ფეხები დაიბერტყა და სახარების სიტყვებით თქვა:

— უკეთუ არავინ შეგიწყნარეს თქუენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რაჲ-ხვიდოდეთ მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერჯთა თქუენთაჲ.

სტრელეცების პოლკოვნიკმა, რომელსაც მისი გაცილება ჰქონდა ნაბრძანები, მყისვე მიუგო:

— ჩვენ ამ მტვერს გავხვეტთ!

— ღმერთმა ყველანი აი, იმ ღვთაებრივი ცოცხით გაგხვეტოთ, — უპასუხა ნიკონმა და კუდიან ვარსკვლავზე მიუთითა.

ნიკონი ალდგომის მონასტრამდე არც იყო მისული, რომ კვერთხი მაინც დააბრუნებინეს, ხოლო თხოვნაზე, მოსკოვში მეფე მაჩვენეთო, უპასუხეს:

— დიდმა ხელმწიფემ გვიბრძანა გადმოგცეთ: ეს ამბავი ქვეყანამ გაიგო და ახლა შენი მოსკოვში წასვლა არ ივარგებს, ხალხში დიდი მითქმა-მოთქმაა საეკლესიო წირვასა და ნაბეჭდ წიგნებს შორის სხვაობაზე. ყველა მღელვარებას მოუცავს. ამიტომ კეთილ ინებე და უკან დაბრუნდი... მალე მოსკოვში კრება გაიმართება, მსოფლიოს საეკლესიო პატრიარქები და ხელისუფალნი ჩამოვლენ; შენც გაცნობებენ, რომ კრებას წარუდგე,

კრებაზე დიდი ხელმწიფე გამოვა და ყველაფერზე ილაპარაკებს...

ნიკონს ცხენდაცხენ წამოეწივნენ და მასთან მოლაპარაკება გამართეს: კრუტიცელმა მიტროპოლიტმა პავლემ, ჩუდელმა არქიმანდრიტმა იოაკიმმა, კარისკაცმა როდიონ სტრეშნევმა და დიაკვანმა ალმაზ ივანოვმა. ეს ენი მეფის უერთგულესი, ახალდაახლოებული, ძლიერი და გულქვა ადამიანები იყვნენ. სასტიკმა იოკაიმმა, ყოფილმა მეომარმა და მომავალმა პატრიარქმა, ერთხელ მეფეს ასე უპასუხა:

— მე, დიდო ხელმწიფევ, არც ახალი სარწმუნოება ვიცი და არც ძველი, მე მზად ვარ შევასრულო, რასაც უფროსები მიბრძანებენ და ყველაფერში მათი დამჯერე ვიქნები.

მეფე ალექსი მიხეილის ძე ეკლესიას სამხედრო ყაიდაზე აგებდა, არქიელებს ისე ირჩევდა, როგორც მხედართმთავრებს. ასეთი იყო კრუტიცელი პავლეც. მაშინ ნიკონმა მას უთხრა:

მე შენ გიცნობდი, როგორც მღვდელსა და არა როგორც მიტროპოლიტს, მიტროპოლიტად კი ვინ დაგნიშნა, არ ვიცი.

ნიკონმა იცოდა, პავლე ვინც დანიშნა. მეფეს ერთი ბერძენი თანაშემწე ჰყავდა — პაისი ლიგარიდი, რომელიც თავს ლაზის მიტროპოლიტად ასაღებდა. ძნელი და დახლართული გზით მოვიდა ლიგარიდი მდიდარ მოსკოვში. ჯერ იეზუიტთა კოლეგიაში სწავლობდა. პართლმადიდებლობაზე რომ გადავიდა, მოხერხებულმა თაღლითმა ლაზაში კათედრა ჩაიგდო ხელში, მაგრამ კათოლიკური პროპაგანდის კონგრეგაციისათვის ჯამაგირის გამოსაძალვას ბაინც განაგრძობდა. პატრიარქმა ლიგარიდი შეაჩვენა და კათედრა ჩამოართვა. მაშინ ლიგარიდმა ყალბი საბუთებით მოსკოვში ამოყო თავი. აქ მეფეს დიდძალი ფული დასტყუა, ვითომდა თავისი ეპარქიის საჭიროებისათვის. სიასამურითა და ძვირფასი ქვებით ვაჭრობდა, განქორწინებაში ფულს იღებდა, ნაკლერობდა, ჯაშუშობდა, მაბეზღარ წერილებს წერდა. ამ იეზუიტების ნაშეგირდალს ყველა სისაძაგლის ჩადენა შეეძლო. მეფემ ყველაფერი იცოდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა... მეფეს ძალიან სჭირდებოდა პაისი ლიგარიდი, სჭირდებოდა არქიელების დასანიშნადაც და საეკლესიო კრების მოსამზადებლადაც, სიძველეთა მომხრეებთან და თვით ნიკონის წინააღმდეგ საბრძოლველადაც...

პირველად კი ლიგარიდი სწორედ ნიკონმა შეიკვდლა, მაგ-

რამ შემდეგ მსოფლიო საეკლესიო პატრიარქებისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც მეფის ერთგულ ხალხს ჩაუვარდა ხელში, იგი წერდა: „მეფესთან ჩემი ყველაზე დაუძინარი მტერი — პაისი ლიგარიდია, მეფეს მისი სჯერა და ისეთ თაყვანს ცემს, თითქოს ღვთის წინასწარმეტყველი იყოს“...

რუსეთში არ იცოდნენ, რომ ავანტიურისტს ახალი ეპისკოპოსების დანიშვნის უფლება არ ჰქონდა, ხოლო, როცა გაიგეს, მეფემ ალექსანდრიის პატრიარქს პაისის პირადად სთხოვა, ეს უფლება ლიგარიდისთვის მიენიჭებინათ. ნაკლები არც მოსკოვში მოკალათებული სხვა მღვდელმსახურნი იყვნენ: დიაკვანი მელეტი მევახშეობით ირჩენდა თავს; დიაკვანი აგაფანგელი ღვინით ვაჭრობდა, ლუდს ხარშავდა და ბანქოს სათამაშო სახლები ჰქონდა. ერთხელ, როცა მთელი ფული და ტანსაცმელი წააგო, მან მეზობელი მღვდელი გაქურდა; აბაკუმი სამართლიანად სდებდა ბრალს არქიმანდრიტ დიონისესაც, სოდომის ცოდვის ჩადენას ეკლესიაშიც რომ არ ერიდებოდა.

ეს ცბიერი, თავხედი, ფულის ხარბი, სამშობლოდან გამოძევებული ადამიანები მეფე ალექსი მიხეილის ძის ძვირფასი აგენტები გახდნენ მსოფლიო ეკლესიის პატრიარქებთან მოლაპარაკებასა და დიდი კრების მოწყობაში. ნიკონის ცდამ ტახტზე თვითნებურად დაბრუნებულიყო, აბაკუმის და მისი თანამზრახველების პროპაგანდამ, მთელ რუსეთს რომ მოედო, ააჩქარა მეფე, რომელსაც სურდა კრების გადაწყვეტილებას და მსოფლიო ეკლესიის პატრიარქთა ავტორიტეტს დაყრდნობოდა.

პატრიარქმა დიონისე კონსტანტინეპოლელმა და ნექტარი იერუსალიმელმა მოსკოვში ჩამოსვლას თავი აარიდეს. თანხმობა განაცხადეს მხოლოდ მაკარი ანტიოქიელმა და პაისი ალექსანდრიელმა. ისინი შედარებით ღარიბები იყვნენ და ამიტომ გახლდნენ უფრო დამყოლები.

ევროპაში ომი იყო და პატრიარქები აზიის გზით — ასტრახანით მიემგზავრებოდნენ, სამგზავრო ფული არ ენანებოდათ — მარტო პატრიარქებსა და მათ ამალას ხუთასამდე ცხენი ჰყავდა. მელეტი ბერძენი, რომელიც მეფის ბრძანებით არქიელებს მოაცილებდა, მეტისმეტ თავაზიანობას იჩენდა, ყოფილ პატრიარქ ნიკონზე ლაპარაკობდა, მაგრამ ყოველთვის როდი ამხელდა.

მოსკოვში ამ დროს დიდი ფაციფუცი იყო. მეფე გულმოდგინედ ემზადებოდა, თვითონ შეადგინა კრების პროგრამა, მონაწილენიც თვითონ შეარჩია. ბევრი ეხვეწა ბერი გრიგორი, რომ ერისკაცთაგან და თეთრი სამღვდელოებიდანაც შეეყვანა ვინმე, ძველი ტრადიციების დამცველთაგან კრებაზე ვერც ერთი ვერ მოხვდა.

მაგრამ გაიცა განკარგულება, რომ ისინი ჩამოეყვანათ გადასახლების ადგილებიდან. ეს მოხდა 1666 წლის თებერვალს. ამავე დროს მეფემ სათითაოდ გამოიძახა კრების ყველა მონაწილე და მოსთხოვა სამ კითხვაზე წერილობითი პასუხი გაეცათ. აი, ეს კითხვებიც:

1. აქვთ თუ არა უფლება დასავლეთ პატრიარქებს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეები გადაწყვიტონ?

2. ღირსსარწმუნოა თუ არა ბერძნული ნაბეჭდი წიგნები?

3. სწორია თუ არა 1654 წლის კრების გადაწყვეტილებები (როცა ნიკონმა წიგნების გადასინჯვა დაიწყო)?

მეფის სასტიკი შეუპოვრობა რომ დაინახეს, კრების მონაწილეთაგან უარყოფითი პასუხი არც ერთს არ გაუცია. წიგნების სწორება, სამი თითით პირჯვრის გადაწერა და სხვა წესები ზეშმარიტებად ცნეს.

ალექსი მიხეილის ძეს ვეღარ იცნობდი. გულისდამლეველი ლოდინი დამთავრდა. ანგარიშიანი პოლიტიკოსი მოქმედებს და თავის მარჯვე თანაშემწეებთან ერთად ამბების მსვლელობას წინდაწინ განსაზღვრავს. ნიკონმა ისღა მოასწრო, რომ თავის მართლებაში ქალალდების გორა დააყენა. მისი საქმის მსვლელობა ნათელი იყო, ბრალდება ზუსტად და დამაჯერებლად ჰქონდათ შედგენილი. მეფეს სხვა რამე ადარდებდა — ნიკონის მოწინააღმდეგენი. მათთან დავა-კამათი ძნელი იყო. უნდა დაითანხმოს, დაემუქროს... მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყვანოს ისინი კრებაზე.

უცნაური ჩანს მდგომარეობა მეფისა, რომელიც თითქოს იძულებულია თავისი მტრის საქმე დაიცვას. მაგრამ მეფეს ეს უცნაურად არ ეჩვენებოდა. ეგ მისი მეფური საქმე გახლდათ და იგი დამოკიდებული არ უნდა ყოფილიყო იმაზე, თუ ვინ

იჯდა ან იჯდებოდა პატრიარქის ტახტზე. ახალ წეს-ჩვეულებათა მოწინააღმდეგეებმა ეს უკვე იცოდნენ.

მეამბოხეთაგან ბევრმა კრების დაწყებამდე მოინანია შეცდომები და ისინი სხვადასხვა მონასტრებში დააგზავნეს. მხოლოდ ოთხი კაცი ჯიუტობდა.

მათგან პირველი, ხარების მონასტრის დიაკვანი თევდორე კრუტიცის მიტროპოლიტის, „წითელლოყება პავლეს“ სახლში იჯდა. თევდორემ კრებისათვის მოამზადა წერილობით მოსახსენებელი, რომელშიც ერთმანეთს ადარებდა ნიკონის წიგნების სხვადასხვა გამოცემათა ტექსტებს. ბევრი რამე არ ემთხვეოდა ერთმანეთს. როგორ შეიძლებოდა ასეთი წიგნების ნდობა? მიტროპოლიტი პავლე ცდილობდა თევდორე დაერწმუნებინა— მეფეს უნდა გაუგოო, ალექსი მიხეილის ძეს არც ეკლესიაში სურს განხეთქილება და არც ქვეყანაშიო. აგერ მე, პავლე, ძველ ღვთისმოსაობას როდი უარვყოფ, მაგრამ მეფის ნება ჩემთვის კანონია და მას შევასრულებ, რადაც უნდა დამიჯდესო.

მიტროპოლიტის პოლიტიკურმა შეხედულებებმა თევდორეს გული ვერ მოულბო და მან პავლე გაბედულად და მოურიდებლად გაიცხა:

— უნდა ეცადო ქრისტეს აამო და არა წარმავალ მეფეს. თავის გამოჩენა გინდა და იმიტომაც ცდილობ.

„ალერსიანი“ შეგონებანი ამით დამთავრდა. თევდორე ჯაჭვით დააბეს.

ძველ კონდაკებზე თევდორე წერდა, რომ ისინი „არც მორდოულიდან, არც ჩერემისულიდან და არც ლათინურიდან არ არის გადმოღებული, არამედ დაბეჭდილია ძველი ბერძნული ხელნაწერიდან, ნათარგმნია ძველ ნეტარ დრომდე, ცარგრადის აღებამდე და მრავალი წლით ადრე, სანამ რომაელები ბერძენთა წიგნებს გაანადგურებდნენ“... იგი მეფეს სთავაზობს ხელახლა გადაათვალიეროს თეთრი ბარტყულას თქმულება და მესამე რომის დიდება გაიხსენოს.

მას კვერს უკრავდა ნიკიტა დობრინინი პუსტოსვიატი, მანაც ჩამოიტანა ნიკონის გამოცემათა ზუსტი გარჩევა. მისი წიგნებით დაინტერესდნენ სვიმონ პოლოცკი და პაისი ლიგარიდი. ნიკიტა იმეორებდა ბერ ფილოფეის სიტყვებს მესამე რომის, „დიდი რუსეთის“ შესახებ, ხოლო ბერძენ პატრიარქებს „აუგად“ იხსენიებდა; ნიკონს წყეული-კრულვას უთვლიდა და კი-

ცხავდა იმისათვის, რომ მან „ებრაული ბოროტმორწმუნეობა“ მიიღო „პირწავარდნილი ავაზაკის... არსენი ბერისაგან“.

არზა შეიტანა მღვდელმა ლაზარემაც, რომელმაც მოამზადა ეტრატი ასეთი სათაურით — „ახლადშემოღებულ საეკლესიო განხეთქილებათა მოკლე ნუსხა“.

მეოთხედ აბაკუმი მოსკოვში 1666 წლის 1 მარტს ჩამოიყვანეს. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი ვაჟები ივანე და პროკოფი. ნასტასია მარკოვნა უმცროსი ბავშვებით მეზენში დარჩა.

აბაკუმიც კრუტიცში მოხვდა ახოვან, წითელლოყება მიტროპოლიტ პავლესთან. პავლიკი, როგორც მას დეკანოზი ეძახდა, აბაკუმს თავისუფლებას აძლევდა. დეკანოზი მოსკოვში თავის ნებაზე დასეირნობდა. ორი ღამე გული იჯერა ფედოსია მოროზოვასთან ლაპარაკით. მათ ერთმანეთს შეჰფიცეს, „ჰეშმარიტებისთვის ვეწამოთო“.

— დავიხოცებით, მაგრამ ერთმანეთს არ გავცემთ...

დღეები მიტროპოლიტთან დავა-კამათში გადიოდა. ეს ენამყრალი კაცი ანგარიშის გასწორებაში მარჯვე და სასტიკი იყო, იგი მეფის ბრძანებას ასრულებდა, ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა დეკანოზი მოედრიკა. იგი კერპ დეკანოზს მოთმინებით უხსნიდა, მეფის ნებას უნდა დაემორჩილოო, მაღალ სახელმწიფოებრივ აუცილებლობაზეც ელაპარაკა. მაგრამ მისი მოსაზრებები აბაკუმს გულზე არ ეკარებოდა, მას სულ სხვაგვარად ესმოდა მაღალი სახელმწიფოებრივი აუცილებლობა. პავლეს ერუდიციას მან თავისი ნაკითხობა დაუპირისპირა.

აბაკუმის დაყოლიება სცადა რიაზანის არქიეპისკოპოსმა ილარიონმაც, რომელიც ოდესღაც ლისკოვოს მღვდელი, მაკარის მონასტრის წინამძღვარი და აბაკუმის მეგობარი იყო. ახლა ის მეფის ახლო მრჩეველი გახლდათ. თავაზიანი, ხერხიანი და კეთილსახიერი ილარიონი დიდი ხანია ხედებოდა ალექსი მიხეილის ძის გულის ზრახვებს. იგი ეკლესიის მთავრის ახალი ტიპია. ილარიონი არქიმანდრიტ დიონისესთან ბერძნულ ენასა და ბერძნულ ლმობიერ ზნე-ჩვეულებებს სწავლობდა. მისმა დიდკაცურმა ჩვევებმა შემდგომ აბაკუმს უხვი საზრდო მისცა ოსტატური სატირისათვის. „ძმაო ჩემო, ილარიონ, არქიეპისკოპოსო რიაზანისაო... ხომ ხედავ როგორ ცხოვრობდა მელქისედეკი, შავ რაშებშებმულ ეტლს არ დააგელვებდა, მეფის გვარისა კი იყო. შენ ვინღა ხარ? გაიხსენე, ნახუცარო! ეტლში

ჩაწვები, გაიფუყები, ბალიშებზე გადაწვები უნამუსო გოგოსავით თმადაავარცხნილი და მიაქროლებ. საცა ხალხია მოედანზე, თავს გამოყოფ, რომ დაგინახონ მონაზვნებმა და შეგიყვარონ...“ ეტყობა ილარიონს გესლიანი აბაკუმისაგან მაგრად მოხედა, იმიტომ, რომ იმ დღიდან დეკანოზი სასტიკად შესძულდა.

გულისგამაწყალებელი დავა-კამათი პირველად აბაკუმს მოსწყინდა. იგი დემონსტრაციულად გამოცხადდა მიძინების ტაძარში და „მიტროპოლიტ პაველიკს წინ დაუდგა“.

გარკვევით არაფერი ვიცით, რა ილაპარაკა დეკანოზმა, თავი საწამებლად რომ გასწირა. თავისუფლებაში მან მხოლოდ ხუთი დღე გაატარა, მერე ისევ გაამგზავრეს. 9 მარტს მოსკოვიდან ოთხმოცდაათი კილომეტრის დაშორებით, ქალაქ ბოროვსკის მახლობლად პაფნუტის მონასტერში იგი უკვე ჯაჭვით დაბეს.

44

ლამაზად მოედინება ფიჭვნარში პროტვა იქ, სადაც XV საუკუნეში ხანის ბასკაკის[1] შვილიშვილი, ბერი პაფნუტი დასახლდა. თათართა შთამომავალი სერგი რადონეჟსკის ანდერძის დამცველი გახდა, რომელმაც მთელი თავისი ძალა რუსეთის გაერთიანებას, თათართა უღლისაგან მის განთავისუფლებას შეალია. მისი ერთ-ერთი მოწაფე იყო ცნობილი მწერალი და პოლიტიკოსი იოსებ ვოლოცკი. მონასტერი მალე მომძლავრდა. ჩვენს დროშიც გაოცებას იწვევს ღვთისმშობლის შობის ხუთგუმბათიანი ტაძარი, მონასტრის კედლები და კოშკები, რომელიც, ზოგიერთი მოსაზრების თანახმად გენიალურ თეოდორე საველევ კონს აუგია. მონასტერი მდიდარი გახლდათ. ერთმა ბოიარმა ანდრეი კლეშნინმა მას შესწირა თავისი აურაცხელი ქონება. ლევკი სქიზოსანი — ასე ეძახდნენ მას მონასტერში — ხალხს არ ენახვებოდა, მძიმე ცოდვას მალავდა... 1610 წელს ორმა მოღალატე ვოევოდამ ალაყაფის კარი გაუღო ტუშინელ ავაზაკს. ვოევოდა ვოლკონსკი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა, სანამ ტაძრის კედელთან არ აკუწეს. ამ ბრძოლაში 12 ათასი კაცი დაიღუპა... და აი, ისტორიამ ისევ დაჰკრა ფრთა პაფნუტის მონასტერს.

[1] რუსეთში თათარ-მონგოლთა უღლის დროს ხარკის ამკრეფი.

მონასტრის წინამძღვარმა პართენმა მიტროპოლიტ პავლეს საგან დავალება მიიღო, აბაკუმს ქედი უნდა მოახრევინოო. აბაკუმს ხან ჯაჭვით აბამდნენ „ბნელ ფარდულში“, ხან „თავისუფლად“ უშვებდნენ და ლამობდნენ დაეყოლიებინათ, ამისათვის მოსკოვიდანაც კი ჩამოდიოდნენ ხოლმე.

— კიდევ დიდხანს უნდა გვაწვალო? გადმოდი ჩვენკენ, აბაკუმუშკა.

ეტყობა, მასთან დაზავება ძალიან სჭირდებოდა მეფეს. თაფლაკვერის და მათრახის პოლიტიკა არა სჭრიდა. აბაკუმმა იაროსლავლელ დიაკვანს, ბოროვსკში საგანგებოდ ჩამოსულ კოზმას მოსკოვში „დიდი სალანძღავი“ წერილი გაატანა. ეს კოზმა მეტად უცნაურ თამაშს ეწეოდა, მისი ქცევა პროვოკაციას უფრო ჰგავდა. არ ვიცი, რა სულის ადამიანიაო, ამბობდა მასზე აბაკუმი. სხვების თანდასწრებით დეკანოზს ურჩევდა, დათანხმდიო, მარტო რომ დარჩებოდნენ, აგულიანებდა:

— არ დათმო ძველი ღვთისმოსაობა!.. ჩვენ ნუ გვიყურებ, რომ ვიღუპებით!

— შენ თვითონ როგორ იქცევი? — ალბათ ჰკითხავდა აბაკუმი.

— მე სხვაგვარად არ შემიძლია, ნიკონმა ხელ-ფეხი შეიკრა.

მოსკოვში ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა. მსოფლიოს პატრიარქების დახვედრის სამზადისში რომ იყვნენ, 29 აპრილს რუსი ეპისკოპოსები კრებაზე შეიკრიბნენ. კრება სიტყვით გახსნეს მეფემ და მიტროპოლიტმა პიტირიმმა. განხეთქილების ზრდა, ხალხის მღელვარება, რაც შეიძლებოდა რელიგიურ ომში გადაზრდილიყო, მოითხოვდა, რომ კრებას უპირველესად უკმაყოფილოთა იდეოლოგებსა და ბელადებზე ეთათბირა.

მეფე ანგარიშმიუცემლად გრძნობდა, რომ აბაკუმი გაჯიუტდებოდა და ისე იქცეოდა, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს შეშვენის, თუმცაღა გამხელით არსად ამხელდა, გულის სიღრმეში ბოლომდე მაინც ვერ დასძლია აღტაცების გრძნობა, რომელსაც მასში აბაკუმის პიროვნება იწვევდა.

მიტროპოლიტმა პავლემ ბრძანა აბაკუმი სასწრაფოდ მოეყვანათ კრებაზე. 12 მაისს დეკანოზს ჯაგლაგი ცხენი მისცეს და ბოქაულთან ერთად მოსკოვისაკენ გამოამგზავრეს. მთელი გზა — ოთხმოცდაათი კილომეტრი — ერთ დღეში გამოიარეს.

ბოქაული ჩქარობდა და აბაკუმის ცხენს გავაზე მათრახს უტყლაშუნებდა. საცოდავი ჯაგლაგი ბორძიკობდა, ტალახში ვარდებოდა და დეკანოზს თავს ზემოთ გადაისვრიდა ხოლმე. აბაკუმმა გვიან ღამით ძლივს ჩამოაღწია მოსკოვში, დილით კი უკვე რუსეთის ეკლესიის იერარქის ჯვრის პალატში ელოდნენ.

პავლე კრუტიცელი და ილარიონ რიაზანელი ისევ ცდილობენ აბაკუმი დაითანხმონ, დაარწმუნონ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! დეკანოზმა „მათ იმდენი დაუმღერა, რამდენიც საჭირო იყო". პავლემ ვეღარ გაუძლო, აბაკუმი ერთი რიგიანად გამოლანძღა და ეშმაკებთან გაგზავნა. მიტროპოლიტი პიტირიმი კი „მორცხვ გოგოსავით მხოლოდ ოხრავდა"...

კრებამ დეკანოზი მონანიებაზე ვერ დაითანხმა და დაადგინა, აბაკუმს წოდება ჩამოერთვას და ეკლესიიდან განიკვეთოსო. ჯვრის პალატიდან აბაკუმი მიძინების ტაძარში წაიყვანეს, სადაც წირვის დამთავრებას ელოდა ამავე კრების მიერ დასჯილი დიაკვანი თეოდორე. ლაზარე კრებაზე არ მიუყვანიათ, რამდენიმე დღის შემდეგ იგი დაუსწრებლად გაასამართლეს. ნიკიტა დობრინინი პუსტოსვიატი კი ორი დღით ადრე გაკრიჭეს.

აბაკუმს წვერი შეკრიჭეს, „ძაღლებივით ეცნენ და წეწვა დაუწყეს, პოლონელივით შუბლზე მარტო ქოჩორიღა დაუტოვეს". შემდეგ შეაჩვენეს. დაწყეველილებმა იქვე ხატზე გადასცეს შემჩვენებლები.

„ძალიან დიდი შფოთი იყო იმ წირვაზე" 1666 წლის 13 მაისს.

გაკრეჭილი მღვდლები ტაძრიდან პატრიარქის სასახლეში გადაიყვანეს. მოსკოვში მღელვარება დაიწყო. ეკლესიის მიერ აბაკუმის დასჯამ ბევრი აღაშფოთა. მეფეც და დედოფალიც შეკამათდნენ. დედოფალი, მოროზოვამ და სხვა ბოიარის ცოლებმა აბაკუმზე ლაპარაკით ყურები რომ გამოუჭედეს, მეფეს გაებუტა...

ჩანს, მოსკოველები მეტად აღშფოთებულნი იყვნენ — კრემლიდან მოკვეთილთა სამეულის გამოყვანა დღისით ვერ გაბედეს. შუალამისას აბაკუმი საძინებლის პარმაღზე გამოიყვანეს. სტრელეცების მეთაურმა, მეფის დაცვის მორიგე უფროსმა შეამოწმა, ვინ მოჰყავდათ და ბრძანა დეკანოზი საიდუმლო ჭიშკრით მდინარე მოსკოვთან გაეყვანათ. იქ მას უცდიდა დომენტი ბაშმაკოვი — საიდუმლო საქმეთა სასტიკი უწყების

მდივანი, კაცი, რომელმაც რუსეთის სახელმწიფოში ყველა ცნობილი ადამიანის ასავალ-დასავალი იცოდა.

ბაშმაკოვი აბაკუმს მიუახლოვდა და უთხრა:

— დეკანოზო, ხელმწიფემ შენთან დამბარა: ნურავისი შეგეშინდება, ჩემი იმედი გქონდესო.

დეკანოზოო! თითქოს წოდება არ ჩამოერთვათ. რა იყო ეს — ალექსი მიხეილის ძის წინააღმდეგობრივი სულის გამოძღავნება თუ მარჯვე ფსიქოლოგიური ფანდი? აბაკუმმა მეორე ივარაუდა.

— წყალობისათვის მადლი მომიხსენებია, — უთხრა დამხვდურს ცოტა არ იყოს ირონიულად. — რა იმედია ის ჩემთვის? ჩემი იმედი ქრისტეა.

აბაკუმი ხიდის გავლით მდინარის მეორე ნაპირზე გადაიყვანეს და ოთხთვალაში ჩასვეს, რომელსაც მაშინვე გარს შემოერტყნენ ცხენოსანი სტრელეცები ასისთავ სალოვის მეთაურობით.

ოთხთვალა ნელა დაიძრა კოლომენსკისკენ. მიდიოდნენ მოსკოვ-მდინარის ნაპირით, ჭაობების გავლით; გზით რომ წასულიყვნენ, შეიძლებოდა ვინმეს დაენახა. აბაკუმმა წინ მიმავალი ასეთივე ოთხთვალა და სტრელეცები დალანდა. მათ თევდორე მიჰყავდათ. მალე გასაგები გახდა, საითაც ეჭირათ გეზი — ნიკოლო-უგრეშის ძველისძველ მონასტერში მიდიოდნენ, რომელიც გადმოცემით თათრებზე გამარჯვების აღსანიშნავად ააგო დიმიტრი დონელმა.

„უგრეშზე რვა საათისათვის მიგვიყვანეს, — სწერდა თავისიანებს თევდორე, — როგორც კი მონასტერთან მივედით, ორმა სტრელეცმა მაშა აბაკუმს ხელები გაუკავა, თავზე მოსასხამი გადააფარა და მონასტერში გვერდითი ჭიშკრით შეიყვანეს, ტყის მხარეს რომ იყო. ეს რომ დავინახე, შევძრწუნდი და მახსოვს, გავიფიქრე: ღრმა ხაროში უნდა ჩაგვყარონ, სანამ სული არ ამოგვხდება-მეთქი. მაშინვე გამოგემშვიდობეთ ცოლს, ბავშვებს და ყველას თქვენ, ჩემს ერთგულთ (გუნებაში — დ. ე.). აბაკუმი წაიყვანეს, მაგრამ სად, არ ვიცოდი, მოვიდა ასისთავი და სტრელეცებს უბრძანა, ესეც გააკავეთ და თავზე ჩიჩობი გადააფარეთო. ცარიელ კოშკში მიკრეს თავი, კარი გარედან ჩაკეტეს და სათოფურები გაგოზეს“.

ნიკიტა დობრინინი-პუსტოსვიატიც აქ მოიყვანეს.

მოსკოვში ბოლოს და ბოლოს გაიგეს, სად იყვნენ ტუსალები. აბაკუმმა კვარის ნამწვით წერილი დაწერა და მოახერხა კიდეც მეზენში თავისიანებისთვის გადაეგზავნა, თუმცა მასთან არავის უშვებდნენ — არც ვაჟიშვილებს, არც თავად ივანე ვოროტინსკის, რომელიც ორ მცველ-სტრელეცს „უთვალავ ფულს“ დაჰპირდა.

„ნიკოლთან უგრეშზე ბნელ სარდაფში ვზივარ ტანსაცმელშემოფლეთილი, ქამარშეხსნილი... ხან პურს მაძლევენ საჭმელად, ხანაც შჩის. საბრალო ბავშვები მონასტერთან მოდიან, მაგრამ ჩემს ნახვას ვერ ახერხებენ“...

დეკანოზის შვილები ივანე და პროკოფი, მათთან ერთად მათი ნათესავი მაკარი კოზმინი მონასტერში შეიპყრეს. სამივემ თქვა, აბაკუმის ნათესავები ვართო. მათ დაკითხვას რამდენიმე დღე მოანდომეს, სანამ ივანე და პროკოფი არ გამოტყდნენ, ჩვენ აბაკუმის ვაჟები ვართ და დილეგის ფანჯარასთან („ეკლესიის სარდაფში“) იმიტომ მოვდიოდით, გვინდოდა მამის ჯანმრთელობის ამბავი გაგვეგო. და დეკანოზს თითქოს მათ დასამშვიდებლად უთქვამს:

— იცოცხლეთ! ღმერთმა გაჭირვება გაშოროთ!

საეჭვოა, რომ ყველაფერში გამოტეხილიყვნენ პატიმრის შვილები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს თავდებქვეშ გაუშვეს.

შიმშილობამ და მცველთა სიმკაცრემ თავისი გაიტანა. თევდორემ და ნიკიტამ ვეღარ გაუძლეს და თვალის ასახვევად მონანიების წერილი დაწერეს, რეფორმას ვცნობთო. ორივე მონასტრებში გადაიყვანეს, სადაც ციხეში მკაცრი რეჟიმი არ იყო. ისინი იქიდან გაიქცნენ, მაგრამ ისევ შეიპყრეს.

აბაკუმი უგრეშში მარტო დარჩა, მაგრამ ქედის მოხრას არ აპირებდა.

ერთხელ მონასტერში თავად მეფე ეწვია. მისთვის აბაკუმის დილეგამდე გზაც კი გაამზადეს — ქვიშა მოაყარეს. მეფე დილეგის კართან მივიდა, ცოტა ხანს იხვნეშა, „იკვნესა“, მაგრამ ტუსაღთან შესვლა მაინც არ ინება. სტრელეცების ასისთავს მოუხმო, აბაკუმის ამბავი გამოჰკითხა და მონასტრიდან წავიდა. მგონი შეეცოდეო, წერდა აბაკუმი. დეკანოზმა ისიც იცოდა, რომ დედოფალი მის მხარეზე იყო. „მადლიანმა ბოლოს სიკვდილის სასჯელისგანაც მიხსნა“, როცა მეფე „ცბიერმა ხელისუფლებმა გააბოროტეს“.

სამ სექტემბერს აბაკუმი ისევ პაფნუტის მონასტერში გაგზავნეს მკაცრი განაწესით: „თვალი სჭეროდათ, რომ ციხიდან არ გაქცეულიყო, თავისთვის რაიმე ვნება არ მიეყენებინა, ქაღალდი და მელანი არ მიეცათ, მასთან არავინ შეეშვათ, საჭმელიც ისეთივე ეჭმიათ, როგორსაც სხვა პატიმრებს აძლევდნენ“,

აბაკუმი ჯაჭვით ება დილეგში, რომელსაც ერთხანს კარფანჯრებიც ამოუქოლეს. საპყრობილეში კვამლი იდგა, ბუნებრივი საჭიროებაც იქვე უნდა დაეკმაყოფილებინა. ბოროვსკში რვა თვის მანძილზე ყოფნას აბაკუმი დაწვრილებით აღწერს „ცხოვრებაში“...

45

სანამ აბაკუმი ამ ტანჯვაში იყო, სანამ მის მოდრეკას ლამობდნენ, სანამ იგი მონასტრის ხელისუფალთ ებრძოდა და თავის მხარეზე ბევრიც გადმოიბირა, სანამ მოროზოვასთან მიმოწერა ჰქონდა, მოსკოვში ორი პატრიარქი ჩამოვიდა და დიდი კრებაც დაიწყო.

მოსკოვის სტუმრებს დიდად განთქმული ტიტულები ჰქონდათ: კირ პაისი—პაპი და პატრიარქი დიდისა ქალაქისა ალექსანდრიისა და მთელი ქვეყნის მსაჯული, კირ მაკარი — პატრიარქი ღვთის ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა და მთელი აღმოსავლეთისა. ასე უწოდებდნენ მათ მოსკოვში. თავიანთ სამშობლოში მათ პატრიარქებად აღარ ცნობდნენ. ხელისუფლების დაუკითხავად მრევლის მიტოვებისათვის თურქეთის სულთანმა მათ ტახტი ჩამოართვა. აღმოსავლეთში გრეკოფილ ნიკონს თანაუგრძნობდნენ, მაგრამ სიხარბემ „იდეური მოსაზრებები“ დაძლია. ჩამოსულებმა თან ჩამოიტანეს დიდძალი ღვინო და თამბაქო, რომლით ვაჭრობისთვისაც რუსეთში სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული. მათ კი უფლება მისცეს ევაჭრათ როგორც ღვინით, ისე თამბაქოთი. ტახტის დაკარგვით და სინიდისის ქენჯნით დამწუხრებულებმა ნუგეში მეფის ძვირფას საჩუქრებში — ბეწვეულსა და ოქროში ჰპოვეს. თუმცა ალექსი მიხეილის ძის დიპლომატებმა იმაზედაც იზრუნეს, რომ პატრიარქებისთვის თავიანთი წოდება დაებრუნებინათ.

1666 წლის 2 ნოემბერს მოსკოვი პატრიარქებს ზარ-ზეიმითა და მაღალფარდოვანი სიტყვებით შეხვდა. ამ პატრიარქებს

რუსულ კრებაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ თუ არა) საეჭვო გახლდათ, მაგრამ მეფემ ეს საქმე უკვე მოაგვარა, როცა რუს იერარქებს წერილობითი დასტური ჩამოართვა. ახლა სტუმრებთანაც მარტო დაჰყო სამ საათს და დახმარებაზე დაითანხმა.

ნიკონი თავაწეული შეეიდა სასადილო პალატში, სადაც კრება ტარდებოდა. როცა მან ლოცვა დაიწყო, ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ნიკონი მეფეს სამჯერ მიწამდე თავის დაკვრით მიესალმა, პატრიარქებს კი ორჯერ დაუკრა თავი და, რაკი თავისთვის საგანგებოდ შერჩეული ადგილი ვერ დაინახა, დაჯდომაზე უარი განაცხადა...

მაშინ მეფე ტახტიდან ჩამობრძანდა და თქვა:

— მსოფლიო და სამოციქულო ეკლესიის მოსკოვის სახელმწიფოს დასაბამიდან არავის ახსოვს ასეთი საძრახისი რამ, რაიც ყოფილი პატრიარქის ნიკონის დროს მოხდა. თავისი ახირებით, თვითნებურად, კრების საბჭოს და ჩვენს დაუკითხავად მან ეკლესია მიატოვა, თუმცა არავის გაუგდია, პატრიარქობაზე უარი თქვა და თავისი წასვლით არეულობა და შფოთი გამოიწვია, უკვე მეცხრე წელია ეკლესია უმწყემსოდაა დარჩენილი.

ნიკონის გასამართლებას კიდევ რამდენიმე დღე დასჭირდა, მაგრამ მისი ბედი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო.

კრებაზე წარმოთქმულ ერთ-ერთ სიტყვაში ალექსი მიხეილის ძემ გაიხსენა, როგორ შეადგინა ნიკონმა წერილი ფილიპეს წმინდა ნაწილებისადმი, როგორ ურჩევდა მეფეს „შენი პაპის მამის ცოდვები“ შენ უნდა მოინანიო.

— რატომ აავსო საყვედურებით ნიკონმა ნეტარსახსენებელი დიდი ხელმწიფე და დიდი მთავარი სრულიად რუსეთისა ივანე ვასილის ძე?

თითქოს არ ეოცნებოთ და გულითადად არ ესაუბრათ ახალგაზრდობის წლებში... ყველაფერში მარტო ნიკონი აღმოჩნდა დამნაშავე. ახლა მეფის ხელისუფლებაზე გადაკრულ სიტყვასაც არავის აპატიებდა ალექსი მიხეილის ძე.

ნიკონმა დუმილი არჩია.

თორმეტ დეკემბერს ილარიონ რიაზანელმა კრების საქმიდან ამოწერილი გრძელი განაჩენი წაიკითხა. ნიკონს ბრალი ედებოდა ტახტის თვითნებურად მიტოვებაში, მეფის შეურაცხ-

ყოფაში, არეულობაში, ადამიანთა მიმართ გამოჩენილ სისასტიკეში... საგულისხმოა, რომ მას რეფორმის მოწინააღმდეგის კოლომენელი ეპისკოპოსის პავლეს წამებაც გაუხსენეს, იგი ნიკონმა „უწყალოდ აცემინა; ეს არქიელი ჭკუაზე შეიშალა და უკვალოდ გაქრა, არავინ იცის, ნადირმა შეჭამა თუ წყალში დაიხრჩო“...

ანტიოქიის პატრიარქმა მაკარმა ნიკონს ბარტყუულა მოხადა და დაუწყო ჭკუის სწავლება, ამიერიდან ბერობაში თავმოდრეკით უნდა იცხოვროო.

— თქვენი დარიგების გარეშეც კარგად ვიცი, როგორ ვიცხოვრო, — უთხრა პატრიარქებს ნიკონმა, — რაკი ბარტყუულა და პანაგია მომხადეთ, მაშასადამე მის მარგალიტებსაც ერთმანეთში გაიყოფთ, თითოს ხუთი-ექვსი მისხალი მარგალიტი და ათ-ათი ოქრო მაინც შეგხვდებათ. სულთნის ყურმოჭრილო მონებო, მაწანწალებო, სამათხოვროდ კარდაკარ დაეხეტებით, რათა სულთანს როგორმე ხარკი გადაუხადოთ...

სანამ ნიკონს ფერაპონტეს ბელოზერსკის მონასტერში გაამგზავრებდნენ, მეფემ ფული და ქურქი გაუგზავნა — გზაში გამოგადგებათო. ნიკონმა ნაბოძები არ აიღო და არც მეფე და მისი ოჯახი არ დაულოცავს. მოსკოველებს ნიკონი შეეცოდათ; ხალხის ბრბო სრეტენკას მიაწყდა, მაგრამ ტუსაღი სხვა გზით წაიყვანეს. შემდეგ ქალაქში ხმები დადიოდა, ნიკონს მონასტერში სტენკა რაზინი შეხვედრია და მისთვის ლოცვა-კურთხევა უთხოვია, მერე კი პატრიარქი მეამბოხის ალაში უნახავთო.

ახალ პატრიარქად მეფის ყურმოჭრილი ყმა იოსები აირჩიეს. ეკლესიის მბრძანებლები ისევ რომ არ გადიდგულებულიყვნენ, პაისი ლიგარიდმა ახალი „წესდება“ შეადგინა, რომლითაც მეფის ხელისუფლებისადმი ნებისმიერი ურჩობა კანონის დარღვევად ითვლებოდა, ხოლო „პატრიარქი მეფის მორჩილი“ უნდა ყოფილიყო. ასე, თანდათან, ნელ-ნელა გააკეთა უწყნარესმა მეფემ ის, რაც მრისხანე მეფემაც კი ვერ შეძლო.

ახალმა პატრიარქმა საეკლესიო განხეთქილების საქმეთა შესწავლა დაიწყო და 1667 წლის 13 მაისს კრებამ ნიკონამდელი წეს-ჩვეულებები შეაჩვენა.

ამ დროისათვის აბაკუმი უკვე მოსკოვში ჩამოიყვანეს. პაფნუტის მონასტრის პანდუქსიონი იმწამსვე აბაკუმის მოსკოველი მეგობრებით აივსო. ბოიარინია მოროზოვა დეკანოზის სენაკიდან თითქმის არ გამოდიოდა, ხანდახან მას ევდოკია ურუსოვაც მოჰყვებოდა ხოლმე, ქალები ქანცგაცლილ ნატუსაღარს გემრიელ სადილებს უმზადებდნენ, ის კი მათ გულითადი საუბრებით უმასპინძლდებოდა. დროდადრო აბაკუმი სასწაულის მონასტერში მიჰყავდათ, სადაც ყოჩაღი იოაკიმი და სხვა ხელისუფალნი დეკანოზს „ძაღლებივით ჭამდნენ“.

როცა დარწმუნდნენ, რომ აბაკუმის მოდრეკა შეუძლებელი იყო, 17 ივნისს იგი ჯვრის პალატში მიიყვანეს, სადაც თათბირობდა კრება — ორი აღმოსავლელი პატრიარქი და ორმოცზე მეტი რუსი ეპისკოპოსი. ეს დღე ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ აბაკუმის ცხოვრებაში. არასოდეს არ ყოფილა იგი ასე დარწმუნებული თავის ძალაში, ასე მომზადებული და შემართული. არადა უკვე გატყდნენ და ამ მრისხანე კრების წინაშე მოინანიეს მისმა მასწავლებელმა გრიგორ ნერონოვმა, სოლოვეცელმა არქიმანდრიტმა ნიკანორმა, ნიკიტა დობრინინმა-პუსტოსვიატმა.

აბაკუმი ზიზღით უცქეროდა რუს იერარქებს, მელასავით რომ ელაქუცებოდნენ აღმოსავლელ პატრიარქებს. საეკლესიო ჩვეულებებზე კამათი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ერთ-ერთმა პატრიარქმა თავისი ჭკუით უცილობელი საბუთი მოიყვანა.

— რატომ კერპობ? მთელი ჩვენი პალესტინა, სერბებიც, რუმინელებიც, ალბანელებიც, რომაელებიც, პოლონელებიც — ყველა სამი თითით იწერს პირჯვარს, შენ რაღა ღმერთი გაგიწყრა, რომ ჯიუტობ... ასეთი რამ არ გეკადრება!

— მსოფლიო ეკლესიის მასწავლებელნო! — უპასუხა აბაკუმმა, — რომი დაეცა და ადგომა აღარ უწერია... თქვენთანაც, თურქი მაჰმადის ძალმომრეობით მართლმადიდებლობა აირია. არც არის გასაკვირი, ვინაიდან უკვე დაუძლურდით. ამიერიდან ჩვენთან ჩამობრძანდით სასწავლებლად: ჩვენში, ღვთის წყალობით, თვითმპყრობელობაა...

აბაკუმი უსმენდა, როგორ უთარგმნიდა მის ნათქვამს პატრიარქებს თარჯიმანი არქიმანდრიტი დიონისე და გუნებაში

ფიქრობდა: აი ჩემ წინ ზის „მთელი მსოფლიოს მსაჯული“ და „სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი“, გაიძვერა დიონისე კი მათ თავზე წამოსჯდომია. მისწერა, ძველი რუსული წეს-ჩვეულებანი უმეცრობისაგან წარმოიშვაო, და ისინიც მის ნათქვამს იმეორებენ. ერთი სცადონ და არ აჰყვნენ — დიონისე მაშინვე დაემუქრება: მეფე ძღვენს აღარ მოგცემთ და მაქსიმე ბერძენიც ვით გადაგასახლებთო... პატრიარქებიც მისი ყურმოჭრილი ყმები არიან. საცოდავები, მიეჩვივნენ თურქეთის წინაშე თავის დამცირებას. რუსეთი კი, მადლობა ღმერთს, დამოუკიდებელია — თვითმპყრობელი, და მართლმადიდებლობაც ნიკონამდე ჭეშმარიტად ხალასი და უმწიკვლო იყო. მოსკოვი მესამე რომია; ათიათასობით ვერსზეა გადაჭიმული მისი სახელმწიფო; აკი თვითონ გახლავთ ნამყოფი კიდით-კიდემდე — სამი წლის სავალია; მეფე ივანეს დროს საეკლესიო კრებამ დაადგინა, როგორ გადაეწერა პირჯვარი. ამ კრებას კი უაზანის სასწაულმოქმედნიც ესწრებოდნენ და სოლოვეცელი წინამძღვარი ფილიპეც, რუსი წმინდანებიც...

ასეც თქვა აბაკუმმა.

პატრიარქები ჩაფიქრდნენ. უცებ წამოხტნენ პავლე და ილარიონი, სულ ცოტა ხნის წინ ნიკონის საქმეში გამოჩენილი გულმოდგინებისთვის ასე უხვად რომ მიიღეს გასამრჯელო.

— ბრიყვნი იყვნენ ჩვენი რუსი წმინდანები, არაფერი გაეგებოდათ. უსწავლელი ხალხი იყო! წერა-კითხვა არ იცოდნენ. მათ რა დაეჯერებათ?..

რაო?! რუსებს ბრიყვებს უწოდებენო? აბაკუმს ამისი მოთმენა არ შეეძლო. სახარებიდან უღვთოთა შესახებ მოტანილი სიტყვები ლანძღვით დაამთავრა: „ძაღლებო, ნიკონელებო, ავაზაკებო, გადამთიელო რუსებო!“ და კიდევ ვინ მოსთვლის რა სალანძღავი სიტყვა არ იხმარა მაშინ დეკანოზმა.

— თქვენ ყურის გდების ღირსიც არა ხართ, თქვენ მხოლოდ ის იცით, როგორ ივაჭროთ, როგორ გარყვნათ ქალები, როგორ წაავლოთ ხელი ბიჭებს აფედრონში.

ბევრი რამ მომხდარა ჯვრის პალატის თაღებქვეშ, მაგრამ ასეთი რამ არავის ახსოვს. დარბაისელი ეპისკოპოსები გაჰყვიროდნენ:

— არ გაუშვათ, ეცით, გაკოჭეთ. არ დაგვთათხა ყველანი?!

პალატში მყოფი ორმოცზე მეტი კაცი აბაკუმს ეცა და ცემა

დაუწყო. პატრიარქის კარის მოძღვარმა კალიტინმა დეკანოზი გასასვლელისკენ წაათრია...

— დაიცათ, ნუ მიირტყამთ! — იყვირა აბაკუმმა.

გააფთრებულმა ეპისკოპოსებმა ხელი უშვეს.

— დენის, — უთხრა მან თარჯიმანს, — გადაუთარგმნე პატრიარქებს: მოციქულ პავლეს მიხედვით არქიელებს მართებთ იყვნენ ღირსნი, უბოროტონი და მისთანანი. თუ კაცი შემოგაკვდათ, როგორღა უნდა წიროთ ეკლესიაში?

ამ სიტყვებმა კრება გამოაფხიზლა და ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ. აბაკუმი კარისაკენ წავიდა, მაგრამ, ეტყობა, ეკლესიის მამებისაგან მაგრად იყო ნაბეგვი, ამიტომ იქამდე ვერ მიაღწია და წაიქცა.

— თქვენ იჯექით, მე კი ვიწვები, — სალოსივით თქვა მან.

ამან იერარქები გაამხიარულა.

— სულელი დეკანოზი! — თქვა ვიღაცამ, — სულ დაკარგა პატრიარქების პატივისცემა.

— ჩვენ გონჯები და სულელები ვართ; თქვენ სახელოვანნი ბრძანდებით, ჩვენ კი პატივაყრილები; თქვენ — ძლიერები, ჩვენ კი — უძლურნი, — გადააკეთა აბაკუმმა პავლე მოციქულის სიტყვები.

კამათი გაგრძელდა, სანამ ბოლოს აბაკუმს არ უთხრეს:

— ჩვენ შენთან სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს.

იგი კვლავ ჯაჭვით დასაბმელად წაიყვანეს.

47

აბაკუმს გაძლიერებული დაცვა დაუყენეს და ვორობიევის გორაზე წაიყვანეს. იქ შეხვდა კიდევ ორ პატიმარს, რომლებმაც მონანიებაზე უარი თქვეს. პირველი გახლდათ სოლოვეცელი ბერი ეპიფანე, მონასტერი ნიკონის რეფორმების გამო რომ მიატოვა. იგი დიდხანს ცხოვრობდა განდეგილად მდინარე სუნაზე, იქ მამხილებელი წიგნი დაწერა და მოსკოვს მიაშურა, რათა მეფე ნიკონელთაგან „ეხსნა". ამიერიდან ის და აბაკუმი, რომელიც მისი სულიერი ძე გახდება, სიკვდილამდე ერთად იქნებიან, მათთან ერთად იქნება ჩვენთვის უკვე ნაცნობი ტობოლსკელი მღვდელი ლაზარე. ტობოლსკიდან იგი პუსტოზერსკში გაგზავნეს, საიდანაც მოსკოვში საეკლესიო კრებაზე გამოიძახეს.

შემდეგ სამივენი „ქალაქის სასამართლოს წინაშე წარსდგებიან...“

ლაზარეს განზრახული ჰქონდა კრებაზე კამათით გული მოეფხანა, „ეკლესიის მოძღვარნი“ მეკრთამეობასა და ავაზაკურ გამოძალვაში ემხილებინა, მაგრამ ბევრი ლაპარაკის უფლება არ მისცეს. მაშინ მან, მსგავსად სტეფანე პერმელისა, კრებას მოსთხოვა:

— გევედრებით! — მიმართა პატრიარქებს და მთელ საკრებულოს. — მიბრძანეთ ცეცხლში შეეიდე და თუ ღვთის განგები დავიწვები, მაშინ ახალი წიგნები უზაკველია, თუ უვნებელი დავრჩი, მაშინ ჩვენი ძველი მამისეული წიგნები ჭეშმარიტი ყოფილა...

პატრიარქებმა მაშინვე განაცხადეს, ამის უფლება არა გვაქვსო. რუსი იერარქებიც დაიბნენ და მეფის ნებას მიენდნენ. ალექსი მიხეილის ძემ ვერ გაბედა „ღვთის სამართლისთვის“ მიემართა...

აბაკუმი იგონებს: „ჩვენ ცალ-ცალკე დაგვაყენეს, 20 სტრელეცი, ათისთავი და ასისთავი ფეხმოუცვლელად თავზე გვადგა, გვიფრთხილდებოდნენ, ვეცოდებოდით. ღამით კოცონს ერთად ვუსხედით ხოლმე, საჭიროებაზე გასვლა რომ დაგვჭირდებოდა, კარში გავყავდით“... იმათზე, ვინც, მისი აზრით, ბოროტების შეგნებული მატარებელი არ იყო, ჩვეული გულკეთილობით დასძენდა: — „ნამდვილად კეთილი ხალხია სტრელეცები, ჩვენთან ერთად იტანჯებიან, გული შესტკივათ ჩვენზე“...

თუმცა რატომ არ უნდა სტკენოდათ გული, თუკი პატიმრები ისეთი ცნობილი ადამიანები იყვნენ, რომ მთელი მოსკოვი მხოლოდ მათზე ლაპარაკობდა, თუკი ხალხის რისხვის შიშით ისინი წამდაუწუმ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ — ხან ანდრიას მონასტერში, ხან საბას დასახლებაში, ხან უგრეშის სავანეში; თუკი დღე არ გავიდოდა, რომ შერიგების იმედით მეფის ყველაზე ცნობილი და ახლობელი ადამიანები არ მოსულიყვნენ და მათი დაყოლიება არ ეცადათ.

მეფე აბაკუმთან მონანიებაზე დასათანხმებლად ხან უკვე მოტეხილ მოხუც ნერონოვს გზავნიდა, ხანაც მრისხანე მდივან დემენტი ბაშმაკოვს, იქნება მისმა „წიხლმა“ მაინც გაჭრასო. ცდილობდნენ მის გადაბირებას მიტროპოლიტები პავლე და ილარიონი, არქიმანდრიტი იოაკიმი და ბევრი სხვა... თითქოს

განკვეთეს კიდეც, შეაჩვენეს კიდეც, მაგრამ ჯერ ისევ დეკა-ნოზს ეძახიან. და მისი ლოცვა-კურთხევის ნატრულნი არიან. ალექსი მიხეილის ძემ თვე-ნახევარი კიდევ ითმინა იმ იმედით, ჯიუტი ჭკუაზე მოვაო, ხალხიც კი მიაგზავნა თხოვნით, დედოფალთან და ბავშვებთან ერთად დამლოცეო.

მიცემული შეკითხვების პასუხად აბაკუმი წერდა, მეფე მართლმადიდებელია, მაგრამ წიგნები ნიკონისაგან გულუბრყვილობით მიიღოო. მასაც იმედი ჰქონდა, მეფეს დავარწმუნებო, გაიხსენა, ერთხელ, როცა იგი ჯერ კიდევ ყაზანის ტაძარში წიგნებს კითხულობდა, ზეიმზე შეღებილი კვერცხების დასარიგებლად ალექსი მიხეილის ძე მივიდა. აბაკუმის ვაჟი ივანე სულ პატარა იყო და ეკლესიიდან სადღაც ქუჩაში გასულიყო. მეფე ვანიუშკას კარგად იცნობდა და ბავშვის მოსაყვანად აბაკუმის ძმა გაგზავნა. დიდხანს იდგა და იცდიდა, სანამ ბავშვი არ მიჰგვარეს. მეფემ ბავშვს საკოცნელად ხელი გაუწოდა, მაგრამ ბიჭმა რომ დაინახა, მღვდელი არ არისო, არ აკოცა, აი უგუნურის! მაშინ მეფემ პატარას თავზე ხელი გადაუსვა და ორი კვერცხი მისცა. მტარვალია მეფე, მაგრამ კეთილიც ხომ იყო ხოლმე.

აბაკუმმა ამოიოხრა და მეფისათვის გასაგზავნ მორიგ უსტარს მეფის, დედოფლისა და ბავშვების ლოცვა-კურთხევაც მიაწერა.

როცა პატიმრები მოსკოვში ნიკოლსკის პანდუქსიონში გადაიყვანეს, მეფის შინაკაცები წარამარა იქ დარბოდნენ. მეფის რჩეული არტამონ მატვეევი დღეში ორჯერ მიდიოდა. ერთხელ მან სვიმონ პოლოცკიც მოიყოლა.

უფლისწულის აღმზრდელმა დიდი ძალაუფლება მოიხვეჭა. სკრების წევრი არ იყო, მაგრამ დაკითხვებში ერეოდა და ეპისკოპოსებს მითითებებს აძლევდა. სტამბამ უკვე მისი წიგნიც კი გამოსცა — „კვერთხი მმართველობისა". ზოგი ამ წიგნს „ხალას ცერცხლს" უწოდებდა, ზოგი მასში მარტო „ლათინურობას" ხედავდა. წიგნი ლაზარეს და ნიკიტას თხზულების წინააღმდეგ იყო მიმართული.

აბაკუმი და სვიმონი კამათის დროს ისე ყვიროდნენ, რომ შემდეგ პატიმარს მღელვარებისაგან ყელში ლუკმა აღარ გადაუვიდა.

ბოლოს სვიმონმა თქვა:

— რა პრაქტიკული ჭკუა აქვს. მაგრამ კერპია მეტისმეტად. — მერე მატვეევს მიუბრუნდა და დასძინა, — ეს იმიტომ, რომ მეცნიერება არ უსწავლია.

აბაკუმმა მხოლოდ გადააფურთხა და ისევ თავისას მოჰყვა. არტამონ მატვეევი სიკვდილით დაემუქრა.

— კაცისთვის სიკვდილი მოსვენებაა, — უთხრა აბაკუმმა,— შაგითი ნუ მემუქრები, სხეულის სიკვდილისა არ მეშინია.

რამდენიმე დღის შემდეგ მეფემ ისევ გამოგზავნა მატვეევი ვედრებით. აბაკუმი იცინოდა.

— პაექრობაში დიდ მეცნიერებას ნუ ეძებ.

წასვლისას მატვეევმა ვეღარ მოითმინა და კბილებში გამოსცრა:

— ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს!

მართლაც, აბაკუმს არაფერი ჰქონდა საერთო არც სვიმონთან და არც ერთ-ერთ პირველ რუს „დასავლელ" მატვეევთან, რომელიც საერო განათლების მომხრე იყო. მატვეევის ნება რომ ყოფილიყო და არა მეფისა, იგი აბაკუმს თვალის დაუხამხამებლად გასრესდა...

48

აბაკუმის, ეპიფანეს, ლაზარეს და ნიკიფორეს პუსტოზერსკში გადასახლების ბრძანებას მეფემ მხოლოდ 25 აგვისტოს მოაწერა ხელი. ნიკიფორე დეკანოზი იყო. აღმოსავლელმა პატრიარქებმა „ურჩობისა და პირჯვრის წერაში დაუმორჩილებლობისათვის" სიმბირსკში მისი დატუსაღება ჯერ კიდევ მაშინ ბრძანეს, როცა მოსკოვში მოემგზავრებოდნენ. პუსტოზერსკში ნიკიფორე მალე გარდაიცვალა.

მეორე დღეს აბაკუმი და ნიკიფორე ბრატოვშჩინაში სერგის სამების ლავრისკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფელში წაიყვანეს. ეპიფანე და ლაზარე კი — ჭაობის მოედანზე. იქ, კრემლის წინ, მოსკოვ-მდინარის გალმა, ჯალათებმა ისინი სკამებზე დააბეს და ორთავეს ენა ამოგლიჯეს. აბაკუმი დედოფალმა იხსნა ამ სასჯელისაგან.

ყველაფერი ეს მალულად და სწრაფად მოხდა. ეპიფანე წერდა: „ხელი გვტაცეს! მოსისხარ ნადირივით და წინ გაგვირეკეს. ავადმყოფობისა და ჭრილობებისაგან დაოსებულნი ვიყა-

ვით და ჩქარი სიარული გვიჭირდა, მაშინ ოთხთვალა მოიყვანეს, ზედ დაგვყარეს და ფიცხლად გაგვაქროლეს". სანამ ბრატოვშჩინაში ჩაიყვანდნენ, ლამის სული ამოჰხადეს ხალხს, ისედაც სისხლისაგან რომ იცლებოდნენ. აქედან კი დაიწყო მათი მწუხრის გზა იმიერპოლარეთში, პუსტოზერსკამდე, რომელიც არის „ადგილი ტუნდროვანი, მკაცრი. უტყეო"...

ისინი ცხრა სტრელეცის თანხლებით მიჰყავდა ასისთავ თევდორე აკიშევს. მას ნაბრძანები ჰქონდა პატიმრებთან ახლოს არავინ მიეშვა და მათთვის ხალხთან დალაპარაკების უფლება არ მიეცა. მაგრამ გადმოცემით პეჩორაზე, უსტ-ცილმაში სტრელეცებით გარშემორტყმულ აბაკუმს თურმე ჭეშმარიტი ჯვარი ზევით აღუპყრია და უყვირია:

— ამას მისდიეთ, უკან არ დაიხიოთ!

უსტ-ცილმიდან პუსტოზერსკამდე ორას ორმოცდაათი ვერსიღა იყო დარჩენილი. მარხილების მატარებელმა გაყინულ მდინარეზე გამავალი ეს გზა პოლარულ ღამედ ქცეულ ექვს დღეში განვლო. პუსტოზერსკის ვოევოდამ ივან ნელოვმა 12 დეკემბერს მოსკოველი პატიმრები და სტრელეცები მიიღო და ქოხებში მიუჩინა ბინა.

40

მეფის სიგელში, რომელიც ვოევოდას გადასცეს, ნაბრძანები იყო, რომ „ამ გადასახლებულთათვის მაგარი საპყრობილე აეგოთ, მისთვის სიგრძე-სიგანით ათსაჟენიანი წვეტიანი ღობე შემოეკლოთ, ეზოში ბორკილდადებულთათვის ოთხი ქოხი დაედგათ და ასევე ღობეებით გადაეტიხრათ... გუშაგების, ასისთავისა და სტრელეცებისთვისაც ერთი ქოხი ცალკე უნდა აეშენებინათ"... მაგრამ ტუნდრაში ხე-ტყე სად უნდა ეშოვათ? ვოევოდამ გადაწყვიტა რამდენიმე ქოხი „გაეთავისუფლებინა", ბორკილდადებულნი იქ დროებით იცხოვრებდნენ, სანამ გლეხები პეჩორაზე ხე-ტყეს არ დააცურებდნენ და ციხეს არ ააშენებდნენ...

ასეც ცხოვრობდნენ. 1668 წლის აპრილში დიაკვანი თევდორე ჩამოიყვანეს. მასაც ენა ჰქონდა ამოჭრილი. დასჯილებმა ნელ-ნელა მოჭრილი ენებით ლაპარაკი ისწავლეს. აბაკუმიცა და შემდეგ სხვებიც ამას სასწაულად მიიჩნევდნენ — ენები გაეზარდათო.

მაშინ უგრეშზე თეოდორემ ითვალთმაქცა — ვითომ მოინანია. და აკი პოკროვის მონასტერში გადაიყვანეს. თეოდორე მცველებს დაუძვრა, შინ გავარდა, ცოლ-შვილს ხელი მოჰკიდა და მიიმალა, მაგრამ მაინც იპოვეს, ენა ამოაჭრეს და პუსტოზერსკში გადაასახლეს.

დღეს პუსტოზერსკი აღარ არსებობს. ნარიან-მარიდან პეჩორით მოტორიანი ნავით რამდენიმე საათში ჩახვალ იმ ადგილამდე, სადაც იგი მდებარეობდა. მიწიდან თავი ამოუყვიათ მორებს, აქა-იქ მთელი ძელებიც ჩანს, პეჩორის ტალღები ნაპირს ეხეთქებიან, სულ უფრო რეცხავენ და წარსული ცხოვრების კვალიც თან მიაქვთ. შორიახლო შავი დაბრეცილი ჯვრები და ობელისკი მოჩანს, რომელიც აქ აბაკუმის ცხოვრების ცნობილი მკვლევრის, ძველი რუსული ხელნაწერების შემგროვებლის ვლადიმერ მალიშევის წყალობით დაიდგა.

ნიკოლოზ ვიტსენის წიგნში — „ჩრდილო და დასავლეთ თათრეთში" ჩართული გეგმით პუსტოზერსკი საკმაოდ დიდი ქალაქი ყოფილა. ეს წიგნი ამსტერდამში 1705 წელს გამოვიდა. ციხე-ქალაქის გალავნის გარშემო მდგარა ფუნდუკი, საბაჟო, ქოხი ჩამოსულთათვის, ვოევოდას სახლი, კრანსოგორსკის მონასტრის პანდუქსიონი, რამდენიმე ეკლესია, სავაჭრო დუქნები, ხელოსნებისა და სტრელეცების სახლები. აბაკუმის დროს პუსტოზერსკში ექვსასამდე რუსი ცხოვრობდა, ქალაქის გარშემო კი ნენების უამრავი კარავი იდგა.

ციხე-ქალაქის „აგება" 1499 წელს დაიწყეს მოსკოველმა ვოევოდებმა, თავადებმა უშატიმ და კურბსკიმ, აგრეთვე ზაბოლოტსკი ბრაჟნიკმა. აქ იყრიდა თავს მთელი ბეწვეული, აქედან მიდიოდნენ მრეწველები ახალი მიწისა და შპიცბერგენის ასათვისებლად, ციმბირის დასაპყრობად რაზმები აქედან გადადიოდნენ... მანგაზეიზე ნახევარი საუკუნით ადრე აშენებული პუსტოზერსკი მასთან ერთად დასუსტდა. მის არსებობას აზრიც არ ჰქონდა, რადგან მეფემ ჩრდილოეთის ზღვებზე ნაოსნობა აკრძალა, როცა ინგლისელებმა რუსეთის ჩრდილოეთის ხელყოფა სცადეს.

თავიდან აბაკუმი, ლაზარე, ეპიფანე და თეოდორე პუსტოზერსკში თითქმის თავისუფლად ცხოვრობდნენ, ერთმანეთთან დადიოდნენ, არჩევდნენ წიგნს „პასუხი მართლმადიდებელთა", რომელსაც თეოდორე წერდა. ლაზარეს ცოლი პუსტოზერსკში

ჩამოვიდა და ქოხი იყიდა. ნასტასია მარკოვნა ბავშვებით მეზენში დარჩა, უფროსი შვილები მოსკოვში დაეხეტებოდნენ.

ეს კია, პუსტოზერსკელი ტუსაღები მაძღრები ვერ იყვნენ. მარილს მათ არ აძლევდნენ. ტანისამოსიც შემოაცვდათ. „შიშველ-ტიტვლები“ დადიოდნენ. ეოევოდას გამოგზავნილ სიგელებში მითითებული იყო, რომ მას საბაოსა და სამიკიტნოს გადასახადიდან მიეცა ფული მოსკოვის სტრელეცების ასისთავისათვის საკვების საყიდლად. ნორმად თითო კაცზე თვეში ორი ბათმანი ჭვავის ფქვილი ჰქონდათ დაწესებული პურისათვის და ნახევარი ბათმანი — ბურახისათვის. ეს იყო დაახლოებით ორმოცი კილოგრამი ფქვილი. სხვა სურსათს არ იძლეოდნენ, მაგრამ ფქვილს ყველაფერზე გაცვლიდი. ოღონდ ეგ იყო, ბორკილდადებულნი ამ ფქვილსაც არ იღებდნენ. თავის პირველ არზაში პუსტოზერსკიდან აბაკუმი მეფეს სწერდა: „შენს დაწესებულ საზრდოს, ხელმწიფეო, გვაძლევენ — თვეში თითო ფუთ ფქვილს. კარგი იქნებოდა, ხელმწიფეო, ცოტა მეტი მოეცათ თქვენი სულის საცხონებლად“. ეს უკვე მშიერი ლუკმა იყო. ფუთ-ნახევარი ეოევოდის, სტრელეცების, ასისთავისა და დარაჯთა ხელებს „მიჰყვებოდა“.

იმავე არზაში აბაკუმი მეფეს შეახსენებდა, როგორ დაავალა დემენტი ბაშმაკოვს, დეკანოზს ხელმწიფის იმედი ჰქონდესო. ჰოდა, ახლა მეფეს თავისთვის და თავისი შვილების — ივანესა და პროკოფისთვის მეზენში წასვლის ნებართვას სთხოვდა.

მაგრამ მისი დამოკიდებულება მეფისადმი უკვე შეცვლილიყო. მოსკოვიდან უსიამოვნო ამბები მოდიოდა.

ᲛᲔ

კრებამ ნიკონის რეფორმები კანონიერად სცნო. ბერძნები ამტკიცებდნენ, რუსებმა, რაც კონსტანტინეპოლისაგან დამოუკიდებლობა მიიღეს, მკრეხელობა დაიწყესო. დიონისე განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა. დიდ შაბათს რუსი სამღვდელოება გარდამოხსნით „მზის მიმართულებით“ წავიდა, ხოლო დიონისემ აღმოსავლელი პატრიარქები რუსების შესახვედრად საწინააღმდეგო მიმართულებით წაიყვანა. ღვთისმსახურების დროს ყველაფერი აირ-დაირია, ატყდა კამათი, ყვირილი. სქემეში მეფე ჩაერია და მოკამათეთ უბრძანა, სტუმრებს

გაჰყევით უკანო. ასე მოსპეს კიდევ ერთი რუსული წესი, რომელიც, სიტყვამ მოიტანა და, ბიზანტიისაგან ჰქონდათ გადმოდებული.

ბერძენი იერარქები დაჟინებით მოითხოვდნენ, „თქმულება თეთრ ბარტყულაზე" უნდა აიკრძალოსო. ამ თქმულებაში მოთხრობილი იყო ფლორენციის კრებაზე ბერძნების ღალატსა და რუსეთის — მესამე რომის დიდ დანიშნულებაზე. ისიც კი აკრძალეს, რომ ხატებზე რუსი მიტროპოლიტები პეტრე და ალექსი თეთრ ბარტყულებში გამოესახათ.

იმავე წელს სოლოვკის მონასტერმა ახალი წეს-ჩვეულებები უარყო.

მისმა ყოფილმა არქიმანდრიტმა ნიკანორმა, რომელმაც კრებაზე მოინანია, სოლოვკაში საქმე სხვაგვარად წარმართა. ბერ-მონაზვნები აჯანყდნენ, ახალი არქიმანდრიტი გააგდეს და ბჭობა დაიწყეს, ღირს თუ არა მეფისთვის ვილოცოთო. მეფის სტრელეცებს ციხესიმაგრიდან სროლითვე უპასუხეს და დაიწყო მრავალწლიანი ალყა. სოლოვკას ვეებერთელა ქვებისაგან ნაშენი სქელი კედლები ჰქონდა. ხოლო ამ კედლებზე ოთხმოცდაათი ქვემეხი იდგა, სარდაფებში ეწყოთ ოთხმოცდაათი ფუთი დენთი, ათი წლის სამყოფი პური, მარტო თაფლი ორასი ფუთი ჰქონდათ...

პუსტოზერსკიდან თევდორე წერდა: „ამ დროს არც მეფე სწამდათ და არც მღვდელმთავარი".

მეფისა და პატრიარქისთვის გაგზავნილ უსტარში ლაზარე ამბობდა, დიდ რუსეთში ასი ათასობით ადამიანი მეგულვის, რომლებიც მზად არიან ძველი კანონებისთვის თავი გაწირონო.

აბაკუმი მეფეს ხან დაყვავებით მიმართავდა, ხან მუქარით.

ცნობილი არ არის, კითხულობდა თუ არა მეფე მათ წერილებს, მაგრამ ის კი ეჭვმიუტანელია, რომ ამ ბარათებს სხვები კითხულობდნენ, და არა ერთი და ორი. აბაკუმის ვაჟები მეზენში 1669 წელს დაბრუნდნენ. სწორედ მაშინ მისწერა ივანეს თევდორემ, როცა მამამისს გაუგზავნა არზები, თავისი წიგნი „პასუხი მართლმადიდებლებს", და ლაზარეს „ზღაპრები".

„შენც, ძმაო ივანე, ისე მოიქეცი, როგორც მამამ გიბრძანა — სოლოვკაში გაგზავნე და მოსკოვში ერთგულ ხალხთან... აქაც მიეცი გადასაწერად ერთგულთ... კარგად გადაწერონ".

მოსკოვში „ერთგულებს" ცდა არ დაუკლიათ, საიდუმლო

ფოსტა მოაწყვეს. მოსკოველი მღვდელი დიმიტრი პუსტოზერსკის ახლოს დასახლდა, მისი ცოლი მარემიანა ფიოდოროვნა კი მოსკოვში მოქმედებდა. საქმე ისე კარგად დააყენეს, რომ დეკანოზი ნაკურთხ წყალს კასრებით აგზავნიდა, ხოლო თავის სარჩენად და სტრელეცების მოსაქრთამავად მოსკოვიდან ფულს, ტანსაცმელს და ჟოლოსაც კი იღებდა, რომლის დიდი მოყვარულიც გახლდათ.

დეკანოზი მონაზონ მელანიას სწერდა: „ჟოლო კიდევ გამოგზავნეთ. ღმერთი გიშველით ეპარქიისა და ჩემთვის გაწეული სიკეთისათვის“.

მონაზონი მელანია თითქოს წინამძღვარი იყო მონასტრისა, რომელსაც დღითი დღე სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა ბოიარინია მოროზოვას სასახლე. ბოიარინიას ერთხელ უკვე დაუპირეს მამულების ჩამორთმევა, მაგრამ მადლი დედოფალს, რომ დობილი შერისხვისაგან იხსნა.

ახლა დღე არ გავიდოდა, ვინმე არ ჩამოსულიყო პუსტოზერსკიდან, ზღვისპირეთიდან, იმიერვოლგიდან, ციმბირიდან, დონიდან. აბაკუმისა და სხვა პუსტოზერსკელ წამებულთა წერილებს იწერდნენ და ყველა მხარეში გზავნიდნენ. ვისაც რაიმე კითხვაზე პასუხის გაგება აინტერესებდა, მაშინვე აბაკუმს მისწერდა და ისიც პასუხს არ დაუყოვნებდა, ყველაფერს აუხსნიდა ხოლმე. აბაკუმი თანდათან სტაროობრიადელი პატრიარქი გახდა.

ვინ აუბა მხარი აბაკუმს ყველაზე დიდი ხალისით? ვინ ავრცელებს მის წერილებს?

მაშინდელმა პატრიარქმა იოასაფმა შეგონებით მიმართა „ყველა მართლმადიდებელს“ და მოუწოდა, „მუქთახორებისაგან“, „ახლადმოვლენილ ეკლესიის მეამბოხეთაგან და მათი მლიქვნელური მოძღვრებისაგან“ თავი დაიცავითო. იოასაფი წერდა, რომ იმათგან, ვინც „დიდი ხელმწიფის სამსახურს გაურბის, ზოგი ყმობაზე უარს ამბობს, ზოგს მუშაობა ეზარება, ზოგიც მონასტრის ცხოვრებას ვერ ეგუება, ტყეებსა და გამოქვაბულებში დაეხეტება და იქიდან ჩუმად, ვითარცა ქურდი და ბნელეთის მოციქული, ღობე-ღობე დაძვრება და უბირ ხალხს აცდუნებს“.

ლტოლვილი ყმები და ბერები, ჯარისკაცები და რაბათის ხალხი ყველაზე ცნობისმოყვარენი და დაუდგრომელნი იყვნენ

იმათ შორის, ვინც უბრალო, ჩვეულებრივი რუსეთის წიაღში იშვა. ეს ის ფენაა, საიდანაც რელიგიისადმი გულგრილმა სტეფანე რაზინმა შეკრიბა თავისი ემისრები.

ქვეყანაში მღელვარება სუფევდა. სტენკა რაზინი ნიჟეგოროდის შემოგარენს უახლოვდებოდა. ჩრდილოეთშიც და აღმოსავლეთშიც გლეხები, როგორც კი მეფის სტრელეცებს — სანტიქრისტეს მსახურთ დაინახავდნენ, მაშინვე ასობით ცეცხლში ცვიოდნენ. ალბათ, აბაკუმს შეეძლო ყველაფერი ეს დაეგმო და აღეკვეთა, რათა ჰაერში ნამწვის სუნი აღარ მდგარიყო, მაგრამ არა ქნა, ჩათვალა, რომ რუსი ხალხი ამით უმტკიცებდა თავის ერთგულებას ძველ რჯულს. „ბედშავი რუსები ბრიყვები არიან, და უხარიათ, რომ მწვალებელს მოესწრნენ, ცეცხლში ჯგროდ შედიან". საოცარია, თავად დეკანოზს სიცოცხლე უყვარდა და არც ანტიქრისტესი ეშინოდა. აი ასე გადაიხლართა ერთმანეთში განხეთქილების ორი რტო — ურჯუკი „კაპიტონელები" და ძველი დროის ქომაგები.

აბაკუმის თანამგრძნობი არისტოკრატები — ვოროტინსკები, ხილკოვები, პლეშჩევები, ხოვანსკები და სხვები შიშითა და სიფრთხილით ადევნებდნენ თვალყურს თუ როგორ მიიღებდა ხალხი აბაკუმის ეპისტოლეებს... მაგრამ მას აქაც ჰყავს ენერგიული მომხრეები, ისეთი საოცარიც კი, როგორიც თეოდორა ნარიშკინა იყო, რომელიც არტამონ მატვეევის ცოლისა არ იყოს, ინგლისელი გახლდათ, ჰამილტონის ასული.

ხალხში კი უკვე ვრცელდება ლეგენდები.

თითქოს აბაკუმი მეფეს სასახლეში ჰხლებია და უთქვამს:

— რუსი ხალხის თავს უბედურება დატრიალდა. შენმა სტრელეცებმა გლეხები სულ გაძარცვეს. როგორღა ირჩინონ თავი?

მეფე ჭარხალივით გაწითლებულა და უყვირა თურმე:

— დაიჩოქე!

დეკანოზს მუხლი არ მოუყრია და მეფისთვის ასეთი პასუხი გაუცია:

— იატაკიდან ყურამდე დიდი მანძილია, ასე კი უფრო კარგად ისმის. ნუთუ, მეფეო, ყველა მოვალეა შენ წინაშე ქედი მოიხაროს?..

1669 წლის მიწურულს, როგორც იქნა, ტუსაღებისთვის ციხე ააშენეს — ოთხი პატარა „თითოსაჟენიანი მიწური. იატაკიდან ჭერს კაცი თავით მისწვდებოდა“. მაშასადამე, კაცზე ოთხკვადრატულ მეტრზე ცოტა მეტი მოდიოდა. ასეთ ციხეშიც შეიძლებოდა რიგიანად გეცხოვრა და გარედან მიგეღო ფული, თბილი ტანსაცმელი, წერილები, ჟოლოც კი. მაგრამ სასტიკი ჟამი ახლოვდებოდა, ტუსაღებს მძიმე ტანჯვა ელოდათ.

ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბოლო მოეღო მოსკოვის სტაროობრიადული იატაკქვეშეთისათვის, რომელიც, თუმცა ფრთხილად, მაგრამ ძალზე ენერგიულად მოქმედებდა. რა თქმა უნდა, თავიდანვეც უთვალთვალებდნენ, წერილებსაც იჭერდნენ; საიდუმლო საქმეთა უწყების ჯაშუშები მოროზოვას სახლის შინამოსამსახურეთა შორისაც ჰყავდა.

ახლა მოროზოვა აბაკუმთან მოთათბირების გარეშე ნაბიჯს სრ დგამდა. სწერდა მას შვილის ქორწინებაზე და დეკანოზის მიერ მასთან დატოვებული სალოსი თევდორეს გაიძეერობაზე... არ გამომადგა თევდორე, მთელი სახლი ამიფორიაქაო, — სწერდა იგი დეკანოზს. მისი წერილებიდან გაურკვეველია, სვამდა და შფოთს ტეხდა თევდორე, თუ ბოიარინიას ახლობელი ქალი შეაცდინა... მოროზოვამ სალოსი სახლიდან გააგდო. თევდორე ჯერ რიაზანის მიტროპოლიტ ილარიონის ციხეში მოხვდა, მერე აბაკუმის ვაჟებს გაჰყვა მეზენში.

მოროზოვა აბაკუმს სთხოვდა, შენს ვაჟებს თევდორესთან ერთად ხეტიალი აუკრძალეო. ამასვე სწერდა ნასტასია მარკოვნასაც.

მაგრამ აბაკუმი თევდორეს თავგამოდებით იცავდა, თუმცა ლანძღავდა კიდეც: „ვიცი, რა ცხოვრებასაც ეწეოდი, მოროზოვას სახლში ქეიფს არ იკლებდი“. მოროზოვას კი მკვახე პასუხი გაუგზავნა, რომელიც მისსავე წერილს მიაწერა უკანა მხარეს.

ამ წერილის გაგზავნა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა საიდუმლო მიმოწერა. ეოეოდა ნველოვი მოსკოვში ანგარიშის წარსადგენად სტრელეც მაშიგინს გზავნიდა. აბაკუმმა მას თავისი ქურქი და ორმოცდაათი მანეთი მისცა. ამის საზღაურად სტრელეცმა ბერ ეპიფანეს, რო-

მელსაც ოქროს ხელი ჰქონდა, ნება დართო შუბნაჯახის ტარში „პატარა ყუთი“ ამოეჭრა. ამ სამალავით წაიღო სტრელეცმა წერილი მოსკოვში.

ოჰ, როგორ ლანძღავდა აბაკუმი მოროზოვას თევდორეს გამო და კიდევ იმისათვის, რომ მან გაბედა და მიუთითა, ვინ უნდა შეეჩვენებინა დეკანოზს. „ბრიყვო, სულელო, უხამსო, თავადვე დაითხარე თვალები“... ლანძღვას რომ მორჩება, იქვე დასძენს: „კვლავ მეგობრად მიგულე, ნუ გაბრაზდები! მე ყველასათვის მტკივა გული — შენთვისაც, თევდორესთვისაც“...

აბაკუმს ბევრჯერ მოუწერია მოროზოვასათვის: „შეურიგდი თევდორეს“... „ჩემს შვილებს მასთან მეგობრობა ეურჩიე, კეთილი კაცია... ასეთი რჯულისა ხარ: ცხენს ვერ მოერევი და უნაგირს დაამტვრევ. ჯობდა, მაგ შტერ თავში გეცა ქვა“...

თევდორე საპირო კაცი იყო. პუსტოზერსკიდან აბაკუმი რომ მისწერდა, აჯანყებულ და ალყაშემორტყმულ სოლოვეცის მონასტერში მალულად შეეღწია და დეკანოზის წერილი შეეტანა, თევდორე მზად იყო უყოყმანოდ შეესრულებინა მისი ბრძანება. თანაშემწეც ჰყავს — ჭაბუკი მოსკოველი გლეხი ლუკა ლავრენტიევი. ისინი ერთად ცხოვრობენ ნასტასია მარკოვნას სახლში. ყოველ წერილში აბაკუმი, როგორც ოჯახის სხვა წევრებს, მათაც ლოცვა-კურთხევას უთვლიდა. გაზაფხულზე მეზენიდან დეკანოზი სტუმრებს ელოდა, მაგრამ მათ ნახვას ვერ მოესწრო.

52

პირველად აბაკუმის მოწაფე და სულიერი შვილი აბრამი შეიპყრეს.

მოსკოვში სალოსს მტირალა ათანასედ იცნობდნენ, ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველი, პერანგისამარა რომ დაეხეტებოდა. აბრამს წერა-კითხვა ემარჯვებოდა. ბერობაში აბრამმა სახელი იმითი მოიხვეჭა, რომ სასულიერო ლექსებს თხზავდა და თანდათან იქცა გამოცდილ მწერალ-პოლემისტად, რომელმაც მოასწრო და შეადგინა როგორც საკუთარი, ისე სხვადასხვა დროის ცნობილი მოღვაწეების თხზულებათა კრებულები — მაქსიმე ბერძენით დაწყებული, აბაკუმით დამთავრებული. აბრამს ხშირი მიმოწერა ჰქონდა პუსტოზერსკში. მან იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა, რომ ხშირად პუსტოზერსკიდან მიღე-

ბული წერილების „სისწორეს მას ადასტურებინებდნენ," მარ-
თლა ტუსაღების დაწერილია თუ არაო.

დაპატიმრების დროს აბრამს პუსტოზერსკელთა წერილები
აღმოაჩნდა. დასაკითხავად იგი ისევ კრუტიცის მიტროპოლიტ
პავლეს და რიაზანელ მიტროპოლიტ ილარიონს მიჰგვარეს.

— რა ვქნა, ერთი გულმავიწყი და ჭკუანაკლები კაცი
ვარ, — იცრემლებოდა სალოსი, — არ მახსოვს, წერილები სად
ავიღე.

— ჭკუანაკლები ვარო! — ბუზღუნებდა პავლე, — ჭკუადამ-
ჯდარსაც გაუჭირდება შენი ნაროშავის გაგება.

ილარიონი აღშფოთდა.

— ფილოსოფია შენ არ გისწავლია, რიტორიკა და გრამა-
ტიკა. არადა, გინდა ისე ილაპარაკო, შენს გონებას გადააჭარბო!

აბრამს დაკითხვაზე არავინ გაუცია, მაგრამ თავის მასწავ-
ლებელთან რომ კავშირი ჰქონდა, ამაზე უარი ვერ თქვა.

— მე კი მამა აბაკუმს ვაღიარებ. ხალისით ვეკითხები ყვე-
ლაფერს, მინდა მისგან ყოველი კეთილი საქმე ვისწავლო.

გაცეცხლებულმა მიტროპოლიტმა პავლემ ცალი ხელი აბ-
რამს წვერში ჩაავლო, რათა — როგორც აბრამი ირონიულად
წერდა — „არ წაქცეულიყო და პალატის ქვის იატაკზე არ დამ-
ტვრეულიყო", მეორეთი კი „მოწყალედ ლოცვა-კურთხევას"
სძღვნიდა — ლოყებში ულაწუნებდა.

აბრამი ამბოხებასა და უბედურებას წინასწარმეტყველებდა,
მეფეს მკრეხელსა და მჩაგვრელს უწოდებდა. ბოლოს და ბო-
ლოს იგი ჭაობის მოედანზე დაწვეს კოცონზე.

აბრამი 1670 წლის 5 თებერვალს დაატუსაღეს, თებერვალი
ჯერ კიდევ არ იყო გასული, რომ მოსკოვიდან ჩრდილოეთისკენ
სტრელეცების ათისთავი ივან ელაგინი გაემართა. ცნობილი
გახდა, რომ სალოსი პუსტოზერსკელ ტუსაღებს მეზენით უკავ-
შირდებოდა, ელაგინი კი იმ მხარეს კარგად იცნობდა — მეზენ-
ში ერთ წელიწადს ვოევოდად ემსახურა. ელაგინი სასტიკი ადა-
მიანი იყო, სამსახურისათვის თავგამოდებული, რისთვისაც
არაერთხელ დაიმსახურა პირადად მეფის მადლობა. აღუთქვეს:
პუსტოზერსკის კოცონს თუ გაანელებ, პოლკოვნიკობას მოგ-
ცემთ და ხელმწიფის პირადი დაცვის პოლკის სტრელეცების
მეთაურად დაგნიშნავთო.

ელაგინი მეზენში მალე ჩავიდა და მაშინვე გამოძიება და-

იწყო. გასარკვევი ბევრი არაფერი იყო. მთელი დაბა ხელისგულივით წინ ედო. დაუდევრობისათვის ადგილობრივი ეოვოდა გალანძღა და უბრძანა აბაკუმის მთელი ოჯახი ციხეში ჩაესვა, მათთან ერთად დაეტუსაღებინა სალოსი თევდორეც და ლუკა ლავრენტიევიც.

ასისთავ ელაგინს ბევრი არ ულაპარაკია.

— გლეხუჭა, როგორ იწერ პირჯვარს? — ჰკითხა მან ლუკას.

— როგორც ჩემი სულიერი მამა აბაკუმი, — უპასუხა ლუკამ.

— ჩამოახრჩვეთ! — ბრძანა ელაგინმა.

სალოსი თევდორეც ორ ბოძზე გადებულ ძელზე ჩამოახრჩვეს.

აბაკუმის ვაჟები უფრო მხდალები აღმოჩნდნენ. სიკვდილისა შეეშინდათ და ყველაფერი აღიარეს. ელაგინმა ბრძანა ისინი მიწურში ჩაეგდოთ ნასტასია მარკოვნასთან ერთად. თვითონ კი ირმებიანი მარხილით პუსტოზერსკში გაემგზავრა. მეზივით დაატყდა თავს ელაგინი ასისთავ ილარიონ იარცევსა და მის სტრელეცებს. ისინი ტუსაღებს არც ისე გულმოდგინედ სდარაჯობდნენ, თავიანთ ნებაზე უშვებდნენ. მაგრამ საქმე რამდენიმე სილაქით დამთავრდა.

ტუსაღებთან ელაგინი უფრო ლმობიერი იყო და დასჯას ისე არ ჩქარობდა, როგორც მეზენზე. ჯერ შესთავაზა — ახალი წეს-ჩვეულებები მიიღეთო.

— მეფე დიდ თანამდებობებს მოგცემთ.

ეს ტუსაღებმა ისედაც იცოდნენ. ბევრჯერ დაჰპირებიან ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს. მაგრამ ამჯერადაც უარი თქვეს.

მაშინ ელაგინმა კილო შეიცვალა და დაპირებებიდან მუქარაზე გადავიდა.

— თქვენ დონზე კაზაკებს ეპისტოლეებს უგზავნიდით და მთელი ქვეყანა ააქოთეთ...

სტეფანე რაზინის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდება ოთხივემ უარყო, თუმცა იცოდნენ, რომ მათ წერილებს დონზეც კითხულობდნენ. გაიძახოდნენ, სისხლისმსმელებმა, ეკლესიის ბნელმა მესვეურებმა მეფის წინაშე ცილი დაგვწამესო. პატიმრებს სულის სიღრმეში კიდევ იმედი ჰქონდათ, მეფე შშობელი ჩვენზე გულს მოიბრუნებსო, სჯეროდათ, რომ მას

შეეშინდებოდა მომავალი განკითხვის დღისა, სადაც „ქრისტიანები გაიხარებდნენ, ნიკონელები კი ატირდებოდნენ“... ეკლესიის ხელისუფლებისადმი ურჩობაზე კი ვწერდით, მაგრამ მეფისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებისაკენ არც არასდროს მოვუწოდებდით ხალხსო. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული, რომ არამარტო რელიგიური მოძრაობის იდეოლოგები იყვნენ, არამედ სოციალურისაც, იყვნენ ამონაყარი და ნაწილი სახალხო ანტიფეოდალური მოძრაობისა, რომელმაც სტეფან რაზინი წარმოშვა.

ალექსი მიხეილის ძე და მისი მრჩევლები უკეთ ერკვეოდნენ რელიგიური მღელვარების ბუნებაში, რომელიც სახელმწიფოსაც ძირს უთხრიდა. სარწმუნოებისა და ეკლესიის წინაშე დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯას ჯერ კიდევ 1649 წლის დებულება ითვალისწინებდა. შემდეგ დამატებითი ბრძანებულებები გამოსცეს რასკოლნიკების დევნის შესახებ, რომლებსაც ძელურებში წვავდნენ, თუ დასჯის ადგილზე „სამგზის შეკითხვის“ შემდეგ განდგომაზე უარს არ იტყოდნენ.

კიდევ სამ დღეს ცდილობდა ელაგინი პუსტოზერსკელი პატიმრების დაყოლიებას. მეოთხე დღეს კი მეფის ბრძანება წაუკითხა. აბაკუმი ისევ შეიწყალეს, თუმცაღა მისი მფარველი დედოფალი მარია ილიას ასული ცოცხალი აღარ იყო.

— ხელმწიფის ნებით ბოიარებმა მსჯავრი გამოიტანეს: შენ, აბაკუმო, სიკვდილის ნაცვლად ძელმიწურის ციხეში ჯდომა მოგესაჯა, ფანჯარას გამოგიჭრიან და მარტო წყალსა და პურს მოგცემენ, სხვებს კი, გარდა ამისა, ენა უნდა ამოეჭრათ და მოეკვეთოთ ხელები.

— მიმიფურთხებია მისი საჭმლისათვის, შიმშილით მოვკვდები და არ შევჭამ, — უთხრა აბაკუმმა.

მართლაც, დასჯის ადგილიდან რომ დაბრუნდა, ფანჯრიდან გადმოყარა ყველაფერი, რაც გააჩნდა, პერანგიც კი არ შეირჩინა და მარხულობა დაიწყო, რომ შიმშილით თავი მოეკლა. ათ დღეს იშიმშილა აბაკუმმა. ბოლოს ამხანაგებმა ააღებინეს განზრახვაზე ხელი.

დანარჩენები სასტიკად აწამეს. ჯალათი გამოუცდელი იყო და ჯერ კარგად არ დაუფლებოდა თავის ხელობას. სამ მარტვილს აკანკალებული ხელით „ამოჩიჩქნა“ ყელიდან ენის ნარჩენები, ლაზარეს ხელი მაჯაში გადაჭრა, თევდორეს ნაჯახი თი-

თებზე განივ დაჰკრა, ეპიფანეს კი ოთხი თითი წააჭრა; სტრელეცებმა დასჯილები მაშინვე ციხეში წაიყვანეს. ძველი ძელმიწურები უფრო დაბალზე გააკეთეს, ზევიდან მიწა გადააყარეს და პატარა ჭუჭრუტანებიღა დაუტოვეს.

„ასე მგონია, ჯოჯოხეთში ვარ მაგრად გამოკეტილი, თვალიც ვერ ამიმართავს. სულ ერთი ჭუჭრუტანაა — სარკმელი. საჭმელს იქიდან მაწვდიან, როგორც ძაღლს, ნაგავსაც იქვე ყრიან. თავიდან კვამლმა კინაღამ დამახრჩო, ძირს ვეგდე ხოლმე გაგუდული, გონს ძლივს მოვდიოდი, იატაკზე კი წყალი იდგა მუხლებამდე; დიდმა მწუხარებამ ჭირი გამიორკეცა, ზოგჯერ სხეულში სული მეყინებოდა, თითქოს საცაა უნდა ამომხდესო. თითქმის სულ ფეხზე ვიდექი, ტანთ პერანგი არ მეცვა, ჯვარიღა მეკეთა თასმიანად, არ შეიძლებოდა იმ სიბინძურეში ტანსაცმელი მცმოდა“.

ასე იცხოვრეს ტუსაღებმა კიდევ ათ წელზე მეტ ხანს.

მოგვიანებით ოდნავ უფრო ფართო ფანჯრები გაუკეთეს, სტრელეცები უფრო ლმობიერად ექცეოდნენ და ისევ მიეცათ შესაძლებლობა წერილები თავისუფლად ეგზავნათ და პასუხიც მიეღოთ. პირველად აბაკუმმა თავის მარკოვნას მისწერა, სულით არ დაეცე და ჩვენს ვაეს ათანასეს გადაეცი, მართალია, შენი ძმები მერყევნი აღმოჩნდნენ, მაგრამ მაინც ძმები არიან და ნუ განუდგებიო. მალე დეკანოზს თავისი „უპირველესი მეგობრის“ ბოიარინია მოროზოვას ნუგეშის ცემა მოუხდება.

ხელისუფლებამ მოროზოვას შესახებ ყველაფერი იცოდა, მაგრამ განსვენებული დედოფლის უფროს ბოიარქალს ხელს არ ჰკიდებდნენ, სანამ მეფეს მოთმინების ფიალა არ აევსო. ეს მოხდა მაშინ, როცა მეფე ჯვარს იწერდა ახალგაზრდა მზეთუნახავ ნატალია ნარიშკინაზე. სასახლის წესით მოროზოვას ქორწილზე მეფის ტიტულები უნდა ჩამოეთვალა, მაგრამ იგი დღესასწაულზე არ მივიდა.

— ჩემთან კერპობა არ გავა. ჩვენში ერთ-ერთს დათმობა მოუწევს.

რაღაც ამგვარი უთქვამს მეფეს, როცა მოროზოვას უარი გაუგია. რაც ხანი მოემატა, ალექსი მიხეილის ძე სუქდებოდა, ავადმყოფობდა და გულღვარძლიანი ხდებოდა. კარისკაცები და სამღვდელოება მოროზოვას გარს შემოეხვივნენ — უკიჟინებდნენ, მეფის ურჩობას როგორ ბედავო. „წყეული აბაკუმის

მოძღვრებას გინდა შეეწიროს!“ — ეუბნებოდა ბიძამისი მიხეილ რტიშჩევი.

უბედურების მოახლოება რომ იგრძნეს, მელანია და სხვა მონაზვნები, აქამდე მოროზოვას სახლიდან რომ არ გამოდიოდნენ, სადღაც გაუჩინარდნენ. მხოლოდ ევდოკია ურუსოვა და სტრელეცთა პოლკოვნიკის ცოლი მარია დანილოვა ნახულობდა შერისხულ ბოიარინიას. 1671 წლის 14 ნოემბერს მოროზოვასთან სასწაულის მონასტრის არქიმანდრიტი იოაკიმი მივიდა.

მან თავის ხელქვეითებს უბრძანა მოროზოვასა და ურუსოვასთვის ბორკილები დაედოთ და შინაპატიმრობაში ჰყოლოდათ. მალე დანილოვაც დაატუსაღეს.

სამი ქალის დაკითხვას ბოლო არ უჩანდა. ხან ცდილობდნენ დაერწმუნებინათ და დაეყოლიებინათ, ხან მონასტერში ამწყვდევდნენ, ხან ისევ მოსკოვში ჩამოჰყავდათ.

ქალებს იამსკის სასახლეში აწამებდნენ. ძელზე აკრავდნენ, ტანშემოძარცულთ თოვლში აგდებდნენ, მათრახით სცემდნენ. და მაინც, როცა მოროზოვას მოსკოვის ქუჩებში მარხილით გაატარებდნენ, იგი ყღარუნა ჯაჭვით შებოჭილ ხელს ზევით ასწევდა და ზეციისკენ ორ თითს გაიწვდიდა. მოსკოველებს გული სტკიოდათ, ებრალებოდათ საცოდავი ქალი.

ყველაფერთან ერთად მოროზოვას დიდი უბედურება დაატყდა — დედის კალთას მოწყვეტილი მისი ერთადერთი ძე ივანე დარდისაგან დასნეულდა. მეფემ თავის ჭაბუკ სტუმართმოურავთან ექიმი აფრინა. მაგრამ, როგორც მოროზოვას ცხოვრების ავტორი წერს, „ისე უწამლეს, რომ რამდენიმე დღეში სამარის კარამდე მიიყვანეს“.

1674 წელს პატრიარქად დაჯდა მკაცრი და თავგანწირული მეომარი იოაკიმი, რომელმაც ოდესღაც მეფეს უთხრა, ჩემთვის წმიდათაწმიდაა უფროსების სიტყვაო.

იგი „დათვივით ღრიალებდა“ და მეფეს ემუდარებოდა, ნება მომეცი ამბოხის მოთავენი ცეცხლში დავწვაო. ჭაობზე უკვე ამზადებდნენ კოცონს, მაგრამ ბოიარები წინააღმდეგნი იყვნენ.

რუსეთში სულ თექვსმეტი გვარი იყო, რომელთა წარმომადგენლებმაც ბოიარების თანამდებობები დაბალი ჩინის გაუვლელად დაიკავეს — ვოროტინსკები, ჩერკასკები, ტრუბეცკები, გოლიცინები, ოდოევსკები, პრონსკები, შეინები, სალტი-

კოვები, რეპნინები, პროზოროვსკები, ბუინოსოვები, ხილკოვები, ხოვანსკები, შერემეტევები, მოროზოვები და ურუსოვები. და მათ უარი თქვეს ორი დიდგვაროვანი ქალის დაწვაზე.

სამი დღის წამების შემდეგ მოროზოვა ქალწულთა მონასტერში წაიყვანეს, მას მეფის და, ირინა გამოესარჩლა, რომელმაც თავის დროზე აბაკუმს სამოსელი გაუგზავნა ტობოლსკში.

— რატომ იქცევი, ძმაო, ასე ულამაზოდ და საბრალო ქვრივს აქეთ-იქით აწანწალებ? არ ვარგა, ძმაო! უმჯობესია ბორიპისა და გლების ღვაწლი გაიხსენო.

მაგრამ მეფეს არ უნდოდა მოროზოვების ამაგი გაეხსენებინა. რაკი განსვენებული თანამეცხედრის დობილს დეენა დაუწყო, გაჩერება აღარ შეეძლო და ბრძანა სამივე ქალი ბოროვსკში გაეგზავნათ, სადაც ერთ დროს აბაკუმი იჯდა.

ბოროვსკში მოროზოვა, ურუსოვა და დანილოვა პირველ წანებში არც ისე ურიგოდ ცხოვრობდნენ. მოროზოვა აბაკუმისაგან წერილებს იღებდა. ევდოკია ურუსოვა ბარათებს უგზავნიდა თავის ქალიშვილებს და ვაჟს ვასენკას.

„გემუდარები, ჩემო ძვირფასო ვასენკა, დებს ალერსიანად მოეპყარი, ნუგეში ეცი, რაც არ გითხრან, ყველაფერი დაუჯერე, ყველაფერი შეუსრულე, ჩემო ძვირფასო, ნუ დაამწუხრებ“...

ჭაბუკი ურუსოვი უკვე მეფის სტუმართმოუარავი გახლდათ და უდარდელ ცხოვრებას ეწეოდა. ხელისუფლებამ გადაწყვიტა მამამისი, მეფის მეღვინეთუხუცესი თავადი პეტრე ურუსოვი ევდოკიასთვის გაეშორებინა და ახალგაზრდა ქალზე დაქორწინებინა. თავადის ქალი ამას განიცდიდა და წერილებში თავის დაობლებულ ქალიშვილებს დასტიროდა.

„ჩემო თვალის სინათლენო, მუცლით გატარეთ, ვხარობდი და გშობეთ, საჩინონი; დედის ტკივილი აღარ მახსოვდა, გავხარე თქვენი დაბადებით, ჩემი ცოდვილი თვალები ვერ დატკბა თქვენი ცქერით, ვერც გული გაძღა თქვენი ყურებით“...

პატრიარქი იოაკიმი შეუბრალებელი იყო. მან ბოროვსკში გაგზავნა დიაკვანი კუზმიშჩევი, რომელმაც ბრძანა, მიწაში ტრმა ორმო ამოეთხარათ და ტუსაღი ქალები შიგ ჩაეყარათ. ორმოში ციოდა, ნესტი და სიბნელე იდგა. ქალებს არც პირის დასაბან წყალს აძლევდნენ, არც გამოსაცვლელ პერანგებს. სიბინძურეში მწოლარეთ ჭიაღუები ჭამდნენ. ხანდახან ორმოში

რამდენიმე ნატეხ ხმელა პურს ჩაუგდებდნენ, წყალს კი იშვიათად აძლევდნენ.

პირველად ევდოკია ურუსოვამ დალია სული დობილის ხელებზე. რამდენიმე კვირის შემდეგ შიმშილისაგან სიკვდილის პირას მისულმა ფეოდოსია მოროზოვამ მცველს სთხოვა:

— შემიწყალე და ცოტა ქადა მომეცი.

— ვერ მოგცემ, ქალბატონო, მეშინია. — უთხრა სტრელეცმა.

—ხმელა პური მაინც მომეცი.

— ვერა, ქალბატონო...

მოროზოვას უკანასკნელი თხოვნა იყო მისთვის პერანგი გაერეცხათ, რათა სიკვდილს ღირსეულად შეხვედროდა. მცველი ტიროდა და ისე რეცხავდა მდინარეში ქალის პერანგს.

რამდენიმე კვირის შემდეგ მარია დანილოვაც გარდაიცვალა.

53

„არაადამიანურია ადამიანი".

ასეთი სიტყვაშეხამებაც აქვს აბაკუმს. ამაზრზენია ეს სიტყვები ცალკე ნათქვამი. მასში ჩანს მასობრივად სიკვდილით დასჯის ულმობლობა და სისასტიკე, არც აბაკუმი იყო უწყინარი. „ოღონდ დრო მომეცით, ძალლებო, — ემუქრებოდა იგი თავის მტრებს. ველარსად წამიხვალთ... ჩემს ხელში იქნებით: იცოცხლე გამოგადენთ წვენს!"

მრისხანე და თავშეუკავებელი იყო დეკანოზი. მაგრამ მასავით არავის შეეძლო მძიმე წუთებში ენუგეშებინა, ფეხზე დაეყენებინა კაცი! ალბათ ხმაც სხვანაირი უხდებოდა — წყნარი, ალერსიანი: „ჩემი პატარა ენა ვერ აღწერს თქვენს სიკეთესა და მშვენიერებას. გონება ჩემი ვერ გასწვდება თქვენს გმირობასა და ტანჯვას; დავიწყებ ფიქრს და ხელს ჩავიქნევ ხოლმე!" სწერდა ის მოროზოვასა და მის დას.

„ჩემო თვალის სინათლევ, სული ხომ გიდგას კიდევ? ჩემო გულითადო მეგობარო! ხომ სუნთქავ, თუ უკვე დაგწვეს ან გაგგუდეს!"

საშინელ პირობებში ცხოვრობდნენ პუსტოზერსკელი ტუსაღებიც. მათ ცივ სენაკებში წყალი ასხამდა, ულპებოდათ ტან-

საცმელი, ტანი ჩირქიანი მუწუკებით დაეფარათ. მაგრამ აბაკუმი ირონიისათვის ძალას მაინც პოულობდა: „ბშვიდი ცხოვრება გვაქვს ზე და მოხუცს (ეპიფანეს — დ. ჟ.), სადაც ვეპამთ და ვსვამთ, უკაცრავად პასუხია, სტომაქსაც იქ ვიცლით. მერე განავალს ნიჩბით ფანჯარაში ვისვრით. მე რომ მკითხო, მეფე ალექსი მიხეილის ძესაც არ ექნება ასეთი ნეტარი ცხოვრება“.

დასნეულებულნი ქედს მაინც არ იხრიდნენ, თანაც სამს ენა ჰქონდა წაჭრილი და ხელები დამახინჯებული. თავიანთი სოროებიდან გამოძვრებოდნენ, საუბრობდნენ, კამათობდნენ, უკან დაბრუნებულები კი ფიქრს ეძლეოდნენ და კვარის მბეჟუტავ შუქზე მუხლებზე დადებულ ფიცარზე გაუთავებლად წერდნენ...

სხვადასხვანაირი ხალხი გახლდათ ეს ცნობილი პუსტოზერსკელი ტუსაღები.

აგერ დარდიმანდი ლაზარე, რომელსაც, ქეიფიდან დაბრუნებულს ტობოლსკის ქუჩა ევიწროვებოდა, უწინდებურად მხიარული, ახლაც ყველას ამასხარავებდა და წაჭრილი ენით საოცრად კარგად ისწავლა არტიკულირება. აბაკუმი გაოცებული იყო.

— მოსინჯე, დეკანოზო, — უთხრა მას ლაზარემ. — ჩამჩარე ხელი პირში, ნუ გეშინია, არ წაგაპამ.

— რა უნდა მოვსინჯო? ენა ქუჩაში დაგაგდებინეს.

— ძაღლები, მოძულეთა შვილები! ჭამონ ახლა ჩემი ენა,— შეიგინა ლაზარემ და წაჭრილი ენა გამოყო.

მის ცოლს დომინიკას, რომელიც პუსტოზერსკში თავის ქოხში ცხოვრობდა, არ ავიწყდებოდა ქმრის ტრფიალი სპირტიანი სასმელისადმი და მოქრთამული მცველების შემწეობით თეთრი ღვინით უხვად ამარაგებდა.

თევდორე სხვა ხასიათის კაცი იყო. პედანტი და მეტისმეტად შრომისმოყვარე. პუსტოზერსკში მან რამდენიმე წიგნი დაწერა, რომელთაგან საუკეთესო იყო „წერილი ჩემი შვილის მაქსიმესადმი“. ის და აბაკუმი ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ. თითქმის პირველი დღიდანვე მოუვიდათ დოგმატიკური კამათი სამების რაობაზე. ამ კამათში თევდორე უფრო ლოგიკური იყო, აბაკუმი კი — ფიცხი და გაბედული. მოროზოვას, ურუსოვას და დანილოვას დეკანოზი სწერდა: „რძეშეუშრობელმა ძაღლის ლეკვმა, დიაკვანმა თევდორემ, ჩემმა სულიერმა შვილ-

შა, ძველი წიგნების შერყვნა იწყო... წყეულიმც იყოს ღვთის გარეგანი“.

თეოდორე ქრისტიანული დოგმატიკის კარგი მცოდნე იყო. იგი „წმინდა სამების“ განუყოფლობის პრინციპს იცავდა, რაც ემთხვეოდა როგორც ნიკონამდელი, ისე ნიკონის შემდგომ შეხედულებებს. აბაკუმი, რომელსაც მხარს უჭერდა ლაზარე, გაოფთრებული ესხმოდა თავს ამ მრწამსს და თეოდორეს მკრეხელობაში დებდა ბრალს. მაგრამ, მართლმადიდებლური თვალსაზრისით მკრეხელი სწორედ აბაკუმი ჩანდა.

„განუყოფელი გაჰყავ! თანასწორობის მხრივ: სამი არსი და ერთი ბუნება... სამივე მეუფე ზეციური...“

დაობდნენ ცხარედ, გაუთავებლად.

— ფედკა, — ეკითხებოდა აბაკუმი, — შენი აზრით გროვად არიან? ერთ სახედ?

— მე ვაღიარებ, — იმეორებდა თეოდორე, — წმინდა სამებას, ერთტრაპეზიანს, ერთარსებასა და განუყოფელს. სამ სახეს ერთ ღმერთში და ერთ ღვთაებას სამ იპოსტასად.

— სამება ცად გვერდიგვერდ ზის! — ცხარობდა ლაზარე,— ძე მარჯვნივ, სული წმინდა — მარცხნივ, მამა — შუაში. როგორც მეფე შვილებში, ისე ზის მამა-უფალი, ქრისტე კი ზეციური მეუფის წინ, საგანგებო მეოთხე ტახტზე დაბრძანებულა.

თეოდორე ამ სიტყვებს გაშმაგებამდე მიჰყავდა და მაშინ აბაკუმი ლანძღვა-გინებაზე გადადიოდა.

— სულელი ხარ, თეოდორე! ამპარტავანი ქოფაკი, ნაძირალა, მკრეხელი, ღმერთი და ძე კაცისა თავიანთ სამეფო ტახტზე სხედან და შენ, ცოფიანო ღლაპო, ნუ ხელყოფ მას, შენი ბინძური ენით ნუ აგდებ ტახტიდან, ძაღლო...

ისე კამათობდნენ, თითქოს მათზე ყოფილიყოს დამოკიდებული ქრისტეს ტახტზე ჯდომა.

მათი დავა-კამათი პუსტოზერსკის მიწურის ფარგლებს გასცდა. ისინი წერილს წერილზე უგზავნიდნენ თავიანთ ერთგულთ და თითოეული თავის თვალსაზრისს ამტკიცებდა. აბაკუმმა თეოდორე ხატზე გადასცა, ხოლო თავისუფლებაში მყოფ თავის მომხრეებს საქმის ვითარება ისე გააცნო, რომ დიაკვანი „პირველ მამათა“ სიიდან ამოშალეს. ცუდ დღეში ჩავარდა თეოდორე — მოსკოვში ხელისუფლება ძველი რჯულისათვის

კიცხავდა, აქაც მეგობრებმა სარწმუნოებაში უთანხმოებისათვის ხატზე გადასცეს. მან კალამს მოჰკიდა ხელი და დიდი ხნის შრომის შემდეგ აბაკუმთან თავის უთანხმოებაზე „არცთუ პატარა, ას ორმოცდაათგვერდიანი წიგნი" დაწერა. ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ აბაკუმმა, თუ თევდორეს დავუჯერებთ, სიფიცხეში ზომიერების გრძნობა დაკარგა და მათ საერთო მტრებზე უარესად ექცეოდა.

„ზოგჯერ შუალამისას, — წერდა თევდორე, — ისევე როგორც აბაკუმი, ძელმიწურის ფანჯრიდან გადავძვრებოდი, ღობეს გადავევლებოდი და გალავნის გადაღმა ძმებს ვხვდებოდი. ასისთავი ანდრეი (სტრელეცების ასისთავი ანდრეი ჩუპრეიანოვი პუსტოზერსკში 1657-77 წწ. გუშაგთა მეთაური იყო. — დ. ე.) ჩემზე გადამტერებული იყო — რაღაც-რაღაცეებში ვამხილე. სწორედ მისი ბრძანებით დამიჭირეს სტრელეცებმა გალავანს იქით და უმოწყალოდ მცემეს... მერე გამაშიშვლეს, ღობეზე მიმაკრეს და თოვლში ორ საათს გამთოშეს. მეგობრები მიყურებდნენ და იცინოდნენ. დეკანოზის წაქეზებით სტრელეცები ჩემს დილეგშიც შეძვრნენ, წიგნები და ამონაწერები დაიტაცეს და მასვე მიჰყიდეს. მან იმ წიგნებიდან ვერაგულად სამი ფურცელი ამოხია და რუსეთში ჩვენს ძმებს დაუგზავნა, თან ჩემი ნაწერი გადააკეთა, რომ ჩემი მოძღვრება გაემტყუნებინათ, მისი კი გაემართლებინათ"...

სამებაზე და სხვა დოგმატებზე თავისი მსჯელობა აბაკუმმა წერილობით გააცნო სვიმონსაც, ბერად რომ აღიკვეცა სერგის სახელით და შემდგომ ცნობილი გახდა 1682 წლის სტაროობრიადულ ამბოხებაში მონაწილეობით. ის იყო აბაკუმის ძველი მეგობარი და თანამემამულე, „რაბათის კაცი სენკა, ძე ივანესი, კრაშენინიკოვი". შემდეგ თევდორემ ხელახლა დაწერა თავისი „პატარა წიგნი". ზედ აბაკუმთან დავა-კამათის აღწერა დაურთო და მოსკოვში გაუგზავნა თავის ძეს მაქსიმეს და მეგობრებს, რითაც დეკანოზის ავტორიტეტი ერთობ შეარყია.

ეკლესიის დოგმატიკის წინააღმდეგ გააფთრებულ ჯანყს აბაკუმის სიკვდილიდან ოცდაშვიდი წლის შემდეგ ცნობილმა ორატორმა და პუბლიცისტმა მიტროპოლიტმა დიმიტრი როსტოვსკიმ „ტეტიური ტვინის ჭყლეტა" უწოდა — სახარების უარყოფა, არა ძველი სარწმუნოება, არამედ „ახალი სიბრძნე". შემდგომში მკვლევარები აბაკუმის ერეტიკოსობას პოლემიკუ-

რი გატაცებითა და ღვთისმეტყველების განყენებულ დებულებათა ზუსტი გადმოცემის უუნარობით ხსნიდნენ.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, აბაკუმის შეხედულებებმა სტაროვერებიც შეაშფოთა, შემდგომ კრებაზე მამა სერგისთან აბაკუმის მიერ გაგზავნილი წერილი განიხილეს. კრება ზედახოცვით დამთავრდა. „მიდი, ესროლეო“, დაიყვირა ვიღაცამ და ყველა აქეთ-იქით გაიფანტა. აბაკუმის „სიახლის“ მომხრენი ცოტანი აღმოჩნდნენ და სტაროობრიადელები ცდილობდნენ აღარ ეხსენებინათ იგი.

აბაკუმის ყველაზე ახლო მეგობარი და სულიერი მამა სათნო და გულკეთილი მოხუცი ეპიფანე იყო, მაგრამ მასაც არაფრად ეპაშნიკა დოგმატების შესახებ დეკანოზის „თავშეუკავებელი, შმაგი კივილი“. თევდორემ, რა თქმა უნდა, სცადა მოხუცის მხარდაჭერა მოეპოვებინა. „ეპიფანე უბრალო კაცია. — წვრდა აბაკუმი. — მისი ჩურჩული სიმართლეს ღაღადებდა, მაგრამ თავისი მოძღვრებით მთელი ძალით თავზე დამაცხრა“. თუმცა დეკანოზი „ემბაზიდანვე შეჩვეული იყო პატივი ეცა საშებისათვის, სამსახოვანი ღმერთისათვის და არა ებრაული ერთსახოვანისათვის“, მაგრამ ეპიფანესთან შეგობრობამ აიძულა ღამით თევდორესთან ძელმიწურში მისულიყო და დაზავება ეთხოვა. დიაკონმა ჭკუის სწავლება დაუწყო, ის კი მხოლოდ „თავს უქნევდა“, თუმცა მრისხანებას ძლივს ფარავდა.

მაგრამ მრისხანებამ მაინც ამოხეთქა. „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო“... აბაკუმი არც მოხუცის „შემუსვრას“ მოერიდა. ეს სასოწარკვეთილებით გამოწვეული მრისხანება იყო. ხმები, აბაკუმი ერეტიკულად წერსო, თანდათან უფრო გავრცელდა და პუსტოზერსკამდეც მიაღწია. იგივე შხამი, რომელმაც ოდესღაც თევდორე დაგესლა, ახლა აბაკუმს უჭამდა გულს, „ნიკონელები ერეტიკოსს მეძახიან, სულიერი შვილებიც ერეტიკოსს მიწოდებენ“. ეს ურჩი სულის კივილი გახლდათ...

ეს უკვე 1678 წელს მოხდა. გადმოცემით, ხიკვდილის წინ აბაკუმი და თევდორე შერიგებულან და ამაში ალბათ დიდი როლი შეასრულა მოხუცმა ეპიფანემ.

აბაკუმისა და ეპიფანეს მეგობრობა ამაღელვებელი და საოცარია. თავიდანვე, მოსკოვში პირველი შეხვედრისთანავე, აბაკუმი ღრმა პატივისცემით განიმსჭვალა მოხუცისადმი, მასზე ზრუნავდა, თითქმის ყველა წერილში მადლიერებით იხსენიებდა მას.

პირველად, როცა პუსტოზერსკში შედარებით უკეთ იყვნენ, აბაკუმი და ეპიფანე დიდხანს საუბრობდნენ ხოლმე და ერთმანეთს თავიანთ თავგადასავალს უამბობდნენ. ტუსაღები დასჯის შემდეგაც ახერხებდნენ შეხვედრას. ღამის სიბნელით ან გუშაგების თანაგრძნობით სარგებლობდნენ და მიწურიდან მიწურში გადახოხდებოდნენ ხოლმე. ამ ურთიერთობამ წარმოშვა „საუბრების წიგნი", შემდეგ „ცხოვრება" და აბაკუმის სხვა ნაწარმოებები.

ეპიფანე საკმაოდ გამოცდილი მწერალი იყო, მან ერთხელ უკვე აღწერა ქაღალდზე თავისი ცხოვრება. სწორედ მან „წაიქეზა" აბაკუმი წიგნის დასაწერად.

აბაკუმი თავის თავგადასავალსა და ფათერაკებზე რომ მოგვითხრობს, თითქმის მთელ რუსეთის მიწას აცოცხლებს — ვოლგისპირეთს, ჩრდილოეთს, ციმბირს. ყველა წოდებისა და მდგომარეობის ასობით ადამიანი იტანჯება და ხარობს, იბრძვის და მორჩილად ატარებს თავის ჯვარს... ნოტიო, მიწაში ჩამარხულ ძელურ ქოხებში თავისუფალ ცხოვრებაზე მოგონებები კაშკაშა სხივივით ციალებდა, სიტყვები ანკარა წყაროსავით მოედინებოდა.

რამდენი „ცხოვრება" წაუკითხავს აბაკუმს თავის სიცოცხლეში, მაგრამ უმეტესობა რაღაც მკვდარი, გაუმართავი ენით იყო დაწერილი, არა ისეთი მდიდრულითა და ძარღვიანით, როგორითაც რუსი ადამიანები ლაპარაკობდნენ...

„ნუ დაგვძრახავთ მდაბიო ენისთვის, სათუთად მიყვარს ჩემი მშობლიური რუსული ენა, ფილოსოფიური სილაბურებით არა მჩვევია სიტყვების შელამაზება"... — დაწერს აბაკუმი შემდეგ თავისი „ცხოვრების" შესავალში.

„მე არ მივმართავ მჭევრმეტყველებას" და არ ვამცირებ ჩემს რუსულ ენას"...

მართლაც არ ზრუნავდა დახვეწილობაზე, სძულდა სასახ-

ლის გრაფომანების მაღალფარდოვანი ლაყბობა. „როცა თავს მაბეზრებენ, მაშინ ვჯიჯღინებ ხოლმე. ისე კი, რაც უნდა მკითხონ, დუმილს ვამჯობინებ".

ლიტერატურა მისთვის არც პროფესიული საქმიანობა გახლდათ, არც პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება. ლიტერატურაში იგი მხოლოდ ბრძოლის იარაღს ხედავდა. მიწურის საპყრობილეში რომ არ მოხვედრილიყო, იგი ალბათ მარტოოდენ ცეცხლოვანი ქადაგებებითა და წერილებით შემოიფარგლებოდა. ახლა კი იძულებული გახდა უფრო ვრცლად ეწერა და ამას ისევე ნიჭიერად და გატაცებით აკეთებდა, როგორც, საერთოდ, ყველაფერს. ამ გლეხს, რომელიც თავის ლაპარაკს როშვას უწოდებდა, ხოლო ლიტერატურულ საქმიანობას კი — „ჩიჩქნას", როგორღაც „თავისით" გამოსდიოდა ყველაფერი.

ეპიფანეს მან ყველაფერი — ნალაპარაკევიცა და გაგონილიც — რამდენიმე ღამეში უამბო. მაგრამ, როცა წერად დაჯდა, დაფიქრდა, რაზე დაწეროო. ცხოვრება მრავალფეროვანია, ხალხს კი მთავარი უნდა უთხრა, რომ აზრი არ გაუფანტო, რომ წიგნი ჰგავდეს განწირულ ყივილს და არა საცოდავ კვნესას.

„...ჰოდა, მეც, ჩემი უბედურების თავი და თავი რაც არის, იმაზე მოვყვებიო", გადაწყვიტა აბაკუმმა.

ფიქრობენ, რომ „ცხოვრების" წერა აბაკუმმა ჯერ კიდევ 1660 წელს დაიწყო, სანამ პუსტოზერსკში ელაგინი ჩავიდოდა და ციხეში მკაცრ რეჟიმს შემოიღებდნენ. მაგრამ ცნობილია „ცხოვრების" კიდევ სამი რედაქცია, რომლებიც აბაკუმმა 1672-დან 1675 წლამდე დაწერა. მათგან შემონახულია ორი ავტოგრაფი. დანარჩენი ორი რედაქციის დედანი და ნუსხები წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა აბაკუმი თავისი ცნობილი ნაწარმოების სრულყოფაზე, როგორ ხვეწდა გამოთქმებს და არჩევდა ეპიზოდებს, როგორ გადავიდა მემუარულიდან სიუჟეტურ თხრობაზე...

ის პოლემიკა და შეგონება, რისთვისაც ავტობიოგრაფია იწერებოდა, როგორღაც არ თავსდებოდა ბობოქარი ცხოვრების კალაპოტში, რომელიც მძლავრი დინებით ნაპირისკენ მიერეკებოდა მათ — წიგნის თავსა და ბოლოში აქცევდა. „მომიტევეთ და... ცოტა გავერთე. კიდევ ერთ ამბავსაც გეტყვით".

ტყუილი არ უნდა გამოსულოდა, მთელი სიმართლე უნდა

ეთქვა. თვითონაც ასეთი იყო — ავიც მოსდგამდა და კარგიც, მარტივი როდი ეთქმოდა. რა იცოდა აბაკუმმა, თუ მის ნაწარმოებს „ძველ რუსულ ლიტერატურაში დასრულებული ფსიქოლოგიური ავტოპორტრეტის პირველ ცდას" უწოდებდნენ, „მრავალფიგურიან საყოფაცხოვრებო ავტობიოგრაფიულ მოთხრობას, რომელიც ძალიან ახლო დგას დიდი ფორმის რომანთან".

„ცხოვრებაში" ძალიან იშვიათად ნახავთ ეპიზოდებს, რომლებიც დღეს საბუთებით არ იყოს დადასტურებული. აბაკუმს არც გაუზვიადებია არაფერი, არც შეულამაზებია. მახსოვრობა არც ისე ხშირად ღალატობდა. არც ის არის მთავარი, ზუსტი იყო თუ არა აბაკუმი. იგი ქრონიკას არ წერდა. მთავარი ის გახლავთ, როგორ დაგვიხატა მან თავისი თავი და სხვები.

აბაკუმისათვის სინამდვილე ფუჭი და წარმავალი გახლდათ, მაგრამ იგი ადამიანისათვის გამოცდა იყო. ვინც გაუძლებდა, ის ჭეშმარიტებას და მარადიულობას ეზიარებოდა. მაგრამ რაოდენ იყო მიჯაჭვული ამ ფუჭ წუთისოფელს, რა ამაყად მიაბიჯებდა მის გზებზე, რა მტკიცედ იტანდა სატკივარსს! იგი არ ტკბებოდა ამ ტანჯვა-წამებით, როგორც სხვა „ცხოვრებათა" ავტორები, რომლებიც ტკივილებისადმი რაღაც ვნებიან სწრაფვას განიცდიდნენ. წინააღმდეგობებით აღსავსე კაცი გახლავთ აბაკუმი — იგი ერცლად აღწერს როგორ მარხულობდნენ ტუსაღები პუსტოზერსკში, კვირაობით საჭმელს ახლო არ ეკარებოდნენ, მხოლოდ ბურახს ივლებდნენ პირში, თვითონ კი უწყროდა, რომ „ცოტა პური" შეხვდა და „წვნიანიც შეხვრიპა".

ყველაფერს თავისი დრო აქვს. დრო ურჩობისა და დრო დათმობისა; დრო სისასტიკისა და დრო სინაზისა; დრო ენამწარობისა და დრო ხუმრობისა. აბაკუმმა ყოველივე ადამიანურს ხარკი გადაუხადა და ამის გამო თავი დამცირებულად არ უგრძნია. მკითხველებს უთხრა — თქვენ თვითონ განსაჯეთო. ის მათ ენდობოდა და სწორედ ეს ნდობა გახლავთ ადამიანის პიროვნებისადმი უდიდესი პატივისცემის გამოხატულება, რწმენა იმისა, რომ ყოველი ადამიანი ჩამოყალიბებული და გონიერია.

მის მეხსიერებაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნერონოვი, ნიკონი, რტიშჩევი, პაშკოვი, სალოსი თევდორე... და ბევრი სხვა, ერთნი უყვარდა, მეორენი სძულდა. მაგრამ ადამიანურობით მისთვის ყველა ერთი იყო. ზომ ასეთი ავკაცი იყო პაშკო-

ვი, მაგრამ ისიც იტანჯებოდა და მერყეობდა. ბოროტი, მაგრამ სულელი მტრის დამარცხება — დიდი ვერაფერი სახელია. და განა აბაკუმი თუნდაც თავის ახლობლებთან მუდამ კეთილი იყო?

განა უახლოესი ადამიანის, თანამეცხედრე მარკოვნას მიმართ, ახლა შვილებთან ივანესა და პროკოფისთან ერთად მეზვნში მიწაში ჩამარხული რომ ზის, ცხელ გულზე უხეში არა ყოფილა? ვაი შენ, ჩემო თავო!.. მორჩილო მარტვილო, ერთგულო მეგობარო, მზრუნველო დედავ... იგი მუხლს იყრის ცოლის წინაშე და ყველას ავალებს — სამუდამოდ გახსოვდეთ, როგორი ქალია მარკოვნა!

ახლა შვილები? რა ბედი ერგოთ საცოდავებს? რამდენი მისი სულიერი შვილი აწამეს? სალოსი თევდორე ჯალათებმა მეზვნში მოგუდეს... კიდევ ერთხელ გაიხსენა აბაკუმმა თევდორე და დაწერა: „განა იგავებით სჩადიოდა გმირობას, როგორც მე, შეჩვენებული...“ საკუთარი ღვაწლი უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა. დაძრწოდა სიკვდილი ირგვლივ, სიკვდილი!

„ღმერთს ეშმაკმა ნათელი რუსეთი გამოსთხოვა, რომ მარტვილთა სისხლით დაალპოს იგი“.

ისე საძაგელი და ცოდვილია ცხოვრება, ყვირილი გინდება. მაშ როგორ უნდა თქვა მთავარი? სათქმელი აქეთ-იქით გექაჩება, უნდა იჩქარო, თორემ საცაა ყველაფერი გაგებნევა. მაგრამ აბაკუმი ტოტებს უწყალოდ სხეპს, რათა ტანი სწორი გაიზარდოს — მაშ რა ქნას — მთლიანად ხომ ვერ აკაფავს.

ლოცვა-კურთხევა უნდა სთხოვოს სულიერ მამას ეპიფანეს. აბაკუმი ბარათს წერს და ყველაზე კეთილ სტრელეცს სთხოვს, მიწურში მოხუც ბერს წაუღე, დაე, მან განსაჯოსო. ჰოდა, ბარათში დაწერა, ბაიკალიდან რომ ბრუნდებოდა, როგორ იხსნა პაშკოვის ჯაშუშები, როგორ დააფარა ზემოდან ქვეშაგები და ზედ მარკოვნა და ჩვილი ბავშვი დასვა. როგორ იცრუა კაზაკებთან. ამით ნუთუ დიდი ცოდვა ჩაიდინა! „განმიმზადე, რაც მეკუთვნის, მოხუცო“. ჰოდა, ეპიფანემაც განუმზადა: „ღმერთი შეგინდობს და აწ და მარადის მთელ ოჯახს ლოცვას არ მოგაკლებს — შენ თანამეცხედრეს ანასტასიას და მთელ ჯალაბობას. სიკეთე ჰქენი, და სწორადაც მოქცეულხარ, ამინ“.

სტრელეცი ხელნაწერს აბაკუმს უკან რომ მიუტანს, დეკანოზი დაწერს: „კეთილი, მოხუცო, მადლობა უფალს წყალო-

ბისათვის, ესეც კმარა!" და შემდეგ განაგრძობს თხრობას, თუ როგორ დაბრუნდა გადასახლებიდან. საოცარია ეს ხელნაწერი, თითქოს ახლაც რომ შემოუნახავს ხელების სითბო და სუნთქვა ორი ადამიანისა, რომლებმაც თავიანთ აშმორებულ სოროებში სიმშვიდე შეინარჩუნეს და ამაღლებული აზროვნების უნარი არ დაკარგეს.

ზოგჯერ ეპიფანე აბაკუმის ნაწერს ჩალხავდა: ტექსტს ზევიდან სუფთა ქაღალდს დააწებებდა და თავის შენიშვნას მიაწერდა. ვერაფერი შვილი კარგი რედაქტორი იყო ეპიფანე. მას აბაკუმის ლიტერატურული გამბედაობა ეჩოთირებოდა, უფრო კეთილსახიერად უნდოდა ეწერა, მაგრამ უფერულად და მდარედ გამოსდიოდა.

აბაკუმის ყველა ხელნაწერი ეპიფანეს ხელში გადიოდა, მას ოქროს ხელი ჰქონდა, შუბნაჯახის ტარში ჩატანებული „ყუთის" გარდა, რომლითაც სტრელეცი მოსკოვში გაემგზავრა, სხვაც ბევრი გაუკეთებია. წერილებისათვის ასეთ სამალავებს ხის ჯვრებშიც კვეთდა, რომლებსაც პუსტოზერსკელი პატიმრების მოსკოველ თაყვანისმცემელთათვის ამზადებდა. ამ ჯვრების გადაცემაში სტრელეცები მოსკოველებისაგან საკმაოდ დიდ საზღაურს იღებდნენ.

თავის და აბაკუმის „ცხოვრების" ხელნაწერები ეპიფანემ საგულდაგულოდ აკინძა, ირმის ნატგადაკრული ფიცრის ყდაში ჩასვა, სპილენძის პატარა საკინძეები გაუკეთა და წიგნების შემონაპრები სინგურით შეღება.

ეს წიგნებიც ფარულად გაჰქონდათ მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში, სადაც მათ გულმოდგინე მწიგნობრები უმალვე გადაწერდნენ ხოლმე. დედანსაც და ხელნაწერ პირებსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებოდნენ, რამდენჯერმე კითხულობდნენ და ჩვენამდე შემოინახეს.

ოთხმოცზე მეტი ნაწარმოები დაწერა თავის სიცოცხლეში აბაკუმმა. ყველგან — „საუბრების წიგნში", „განმარტების წიგნში", „მხილებათა წიგნში", წერილებში, არზებში, ეპისტოლეებში — თავის თავსა და სხვებზე ყოველთვის რაღაც ახალს გვიამბობს. განმეორებისათვის დრო არ რჩება.

თავის ნაწარმოებებში აბაკუმი მახსოვრობით ხშირად იმოწმებს წიგნებს, რომელიც თავისუფლების ხანმოკლე წლებში წაუკითხავს. პუსტოზერსკის ციხეში ტუსაღები წიგნებს თით-

ქმის არ კითხულობდნენ. ლაზარე მეფეს სწერდა: „ათ წელზე მეტია, ხელმწიფეო, ჩვენთვის წიგნი არ მიუციათ, ურვასა და დარდში კი მეხსიერება დაგვეკარგა“.

საოცარი მეხსიერება ჰქონდა აბაკუმს. მისი „ცხოვრებიდან“ და ეპისტოლეებიდან ჩანს, რომ წაუკითხავს ეზოპეს იგავები, ჰომეროსის „ილიადა“, ფლავიუსის „იუდეველთა ომების ისტორია“, „თქმულება თეთრ ბარტყულაზე“, „თქმულება ფლორენციის კრებაზე“, „ფიზიოლოგი“, „თქმულება ბიზანტიის დაცემაზე“ და ათობით ისტორიული მოთხრობა, ასობით ღვთისმეტყველური და პოლემიკური თხზულება. მას ამ წიგნებიდან ზეპირად მოჰყავს ციტატები და, რა თქმა უნდა, შეცდომები მოსდის, მაგრამ მთავარ არსს არ სცილდება...

აბაკუმმა განსაკუთრებით კარგად იცოდა აპოკრიფული ლიტერატურა და ლეგენდები, რომლებიც შემდგომ კანონიკური ტექსტების გამო დავიწყებას მიეცა. ამ ლიტერატურასთან დაკავშირებული იყო ხალხური „თვითაზროვნება“, რომელიც გამსჭვალულია ღვთისა და ბუნების წინაშე ყველას თანასწორობის იდეებით, სამართლიანობითა და სულიერი თავისუფლებით, საიდანაც შემოქმედება იღებდა საზრდოს. ლეგენდები, სასულიერო ლექსები, აპოკრიფები მარტო იდეებით კი არ ასაზრდოებდა აბაკუმს, არამედ ხალხური სიტყვიერების კულტურასაც აზიარებდა...

55

პუსტოზერსკელ ტუსაღთა ნაწერები აჯანყებულ სოლოვეცის მონასტერშიც აღწევდა. ეოევოდა მეშჩერინოვი თავისი ათასიანი ლაშქრით მონასტრის გალავანთან ახლოსაც ვერ მიდიოდა. მამაცი ბერი ნიკანორი, რომელთანაც დეკანოზს მიმოწერა ჰქონდა, ციხე-მონასტრის გალავანზე დადიოდა, ჰოლანდიურ ზარბაზნებს ნაკურთხ წყალს აპკურებდა და თან იმედით აყოლებდა:

— თვალის ჩინებო, ჩემო ჰოლანდიელებო, თქვენი იმედი მაქვს... — მეზარბაზნეებს კი უბრძანებდა, ეოევოდას ესროლეთო.

— მწყემსს თუ მოარტყამთ, მეომრები ცხვრებივით გაიფანტებიან!

გლეხებმა, რაბათის ხალხმა, კაზაკებმა ბერებს არ აცალეს

და სტრელეცებს თავგანწირვით, ბოღმით ეკვეთდნენ. აბაკუმის მიერ გამოგზავნილი მოწაფეები სტეფან რაზინის (თავის დროზე სალოცავად დადიოდა სოლოვეცის მონასტერში) ყოფილ თანამოღვაწეთა მხარდამხარ იბრძოდნენ. ახლომახლო მცხოვრები ელეხები ალყაშემორტყმულთ, როგორც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ...

მონასტერში გამაგრებულებს ვერაფერს დააკლებდნენ, ბანაკიდან ბერი ფეოქტისტე რომ არ გაპარულიყო და მტრისთვის თეთრი კოშკის საშრობის ქვეშ ქვებით ამოქოლილი ფანჯარა არ მიესწავლებინა. ღამით მეშჩერინოელი ციხეში შეიპარა, ნაზევრად მძინარე მცველები ამოხოცა და ბერი ნიკანორი ჩამოახრჩო.

56

1676 წლის იანვარში, სულ მალე სოლოვეცის მუამბოხეთა სიკვდილით დასჯის შემდეგ, მეფე ალექსი მიხეილის ძე გარდაიცვალა. ახალმა მეფემ თეოდორე ალექსის ძემ ბრძანა პუსტოზერსკელი ტუსაღები მაცხოვრის კამენსკისა და კოჟეოზერსკის მონასტრების ბნელ ციხეებში გადაეყვანათ, სადაც მათ მოროზოვას ბედი ელოდათ. რაღაც მიზეზით ისინი არ გადაუყვანიათ, მაგრამ ძალაში რჩებოდა ვოევოდა ლეოვისთვის მიცემული ბრძანება — თვალი ფხიზლად სჭეროდა აბაკუმსა და მის ამხანაგებზე, ძეხორციელი არ მიეშვათ ახლოს სალაპარაკოდ, პატიმრებისთვის მელანი და ქაღალდი არ მიეცათ, რომ „მათთან ვინმეს რაიმე მიმოწერა არ ჰქონოდა“.

მაგრამ აბაკუმსა და თავისუფლებაში მყოფ მის თანამზრახველთა შორის ცხოველი მიმოწერა მაინც გაიმართა. რაზე აღარ წერდა აბაკუმი, რა საკმეს არ ეხებოდა და, რაღა თქმა უნდა, თავისი და განსვენებული მეფის ურთიერთობაზეც ყვებოდა.

ალექსი მიხეილის ძე სოლოვკის დაცემიდან ზუსტად რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. აბაკუმმა ეს განგების ნებას მიაწერა და სულ მალე ერთ-ერთ წერილში იმ გარემოებას აღწერდა, რომელშიც, თითქოს, ალექსი მიხეილის ძე მიიცვალა. ამ ლეგენდით „მეფე სიკვდილის წინ მიხრწნილი და დაუძლურებული იყო“. უსასრულო ტანჯვა-წამებაში, სასოწარკვეთილი დაღუპულთ ეგედრებოდა:

— უფალნო ჩემნო, სოლოვეცელო მამანო, ბერებო, შენდობა მითხარით! ნება მომეცით მოვინანიო ჩემი ავაზაკური საქციელი — უსამართლობა რომ ჩავიდინე, ქრისტეს რჯული რომ უარვყავი. სოლოვეცის სავანე ხმლითა და მახვილით რომ დავიპყარი!... ზოგი ნეკნებით ჩამოვკიდე, ზოგი თოვლში გავყინე, ბოიარი ქალები ხუთსაჟენიან ორმოში ცოცხლად ჩავმარხე, ზოგი დავწვი, ზოგი ჩამოვახრჩვე... შენდობა მითხარით!

ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა, „როგორც დაკლულ ძროხას". ბამბის მოტანასაც ვერ აუთავდნენ, მეფისთვის ნესტოებსა და პირში რომ ჩაეჩარათ სისხლის შესაჩერებლად.

— შემინდეთ, შემინდეთ, — თითქოს ყვიროდა მომაკვდავი მეფე.

— ვის ევედრები, მეფეო? — ჰკითხეს მას.

— სოლოვეცელი ბერები ხერხითა და ათასნაირი იარაღით მჯიჯგნიან, — თქვა მეფემ, — ჯარს უბრძანეთ, ალყა მოხსნან მათ მონასტერს.

„მაგრამ უკვე ყველანი ამოხოცილნი იყვნენ", — დაასკვნეს აბაკუმი.

57

ჯერ კიდევ სიკვდილამდე შესძულდა აბაკუმს ალექსი მიხეილის ძე, როგორც ხალხის მწვალებელი და დამღუპველი. მას მეფის „გამოსწორების" იმედი სულ გადაეწურა, უწინ კი ხელმწიფის ღირსებას აღიარებდა და წერდა: „ვაფასებ შენს ჭკუას, ბევრ ენაზე გეხერხება ლაპარაკი, მაგრამ რა ყრია მაგაში?" აბაკუმი მეფის პატრიოტულ სიმებს ეხება. „შენ ხომ, მიხეილის ძევ, რუსი ხარ და არა ბერძენი, ილაპარაკე შენს მშობლიურ ენაზე; მას ნურც ეკლესიაში დაამცირებ, ნურც სახლში და ნურც ანდაზებში". ხანდახან ცდილობს შეარცხვინოს კიდეც: „აბა ერთი შეხედე, ძვირფასო ქრისტიანთა მეფევ, ვინ გიზის უბეში; განა ყველა ქრისტიანი გიყვარს? გეყოფა ჩვენი წამება! ადექი და ის მკრეხელები დაწვი, სული რომ წაირწყმიდეს: ლათინები და ებრაელები, ქეციანი ძაღლები. ჩვენ კი — შენს ღვიძლებს — თავი დაგვანებე. ღმერთმანი, ასე აჯობებს; თუმცა მე სიკვდილამდე ვერ მოშინადირებ. სხვებს დაეხსენ".

თავის ეპისტოლეებში აბაკუმი ხშირად უბრუნდებოდა მე-

ფეზე ფიქრს და მისი ხელისუფლების ფარგლებზე მსჯელობდა.

მეფე მტრებმა დააბრმავეს. როგორ ეპირფერებიან, როგორ აქებენ და ადიდებენ — ღვთის მოშიშოო, უწყინაროო, თვითმპყრობელო ხელმწიფეე ჩვენოო, ასეთო და ისეთოო, დიდოო, ყველაზე სხივოსანო წმინდანოო. მანაც ასეთად წარმოიდგინა თავი, თითქოს მასზე წმინდა მართლაც არავინ იყო.

ბევრი ტანჯვა მიაყენა ხალხს ალექსი მიხეილის ძემ, უდანაშაულოთა სისხლის ტბები დააყენა. არადა, მეფობას ხომ არავინ ართმევდა, უნდოდათ თავისი კანონებით ნამუსიანად ეცხოვრათ, აი, ამისთვის კუწავდნენ და სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ ადამიანებს. მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები ხალხს მოსკოვში წავიდნენ, ქალაქებში წავიდნენ. მოკვდა მეფე, მაგრამ მის საქმეს დღესაც აგრძელებენ.

უგუნური ნიკონელები სულმდაბლად გაიძახოდნენ: „ჩვენ არ მოგვეკითხება, პატრიარქები და მიტროპოლიტები არქიეპისკოპოსს აჰყენენ, ჩვენც იმას ვაკეთებთ, რაც გვაქვს ნაბრძანები“.

დიდებულებმა წაგვაქეზესო.

პატრიარქები კი კრებაზე აბაკუმს ეუბნებოდნენ. „ჩვენთან რა გინდა, მეფე აგებს პასუხს, მან ინება ძველი წიგნების შეცვლა“. არც მეფეს სურდა პასუხისგება.

„მე არა. ასე ინება ხელისუფლებამ“.

ვინ იყო ეს ხელისუფლება? ნიკონი? როგორ ოხრავდა მოძღვარ სტეფანეს დროს, როგორ ტიროდა ცხვრის ტყავში გახვეული მგელი. გლახაკებს ფანჯრიდან ფულს უყრიდა, გზად მიმავალი გლახაკებს ოქროს თუმნიანებს გადაუგდებდა ხოლმე. ქვეყანა ბრმაა და აქებდნენ — ასეთი და ისეთიაო, თვალის ჩინიაო, ასეთი ადამიანი ცხოვრებაში არა გეყოლიაო! რა დღეში იყვნენ ახალგაზრდა ქალები...: ფიანდაზად ეფინებოდნენ დიდს, ტუსირცხვილო და ნამუსგაყიდულ ხელმწიფეს. ძვირფასი მეფე, ივან ვასილის ძე ალბათ მალე ასწავლიდა ჭკუას ასეთ ქოფაკს.

ამბობდნენ, ანტიქრისტეაო ნიკონი. არა, ნიკონი — ანტიქრისტეს ბრაწია. ანტიქრისტე პატრიარქად კი არა, მეფედ მოგვეელინება და გაჩნდება იგი მამისაგან იაკობ-ისრაელისაგან და დედისა ბაალ რაქილისაგან. თავიდან ადამიანებს უწყინარი და მორჩილი, მოწყალე და კაცთმოყვარე მოეჩვენება, ზუსტად ისეთი, როგორც ნიკონია — მათი ახლო წინამორბედი,

ტირილით რომ თვალები დაისია. ხალხს გააბრიყვებს იგი და ისინიც თავიანთი ნებით გაჰყვებიან...

ასე ფიქრობდა და წერდა აბაკუმი.

იგი ქაღალდზე ხატავდა ნიკონის კარიკატურას, თუ ქაღალდი არ ჰქონდა, მაშინ — არყის ხის ქერქზე. მინაწერსაც გესლიანს და უხამსს უკეთებდა ნიკონის მრუშობის სამხილებლად. თვითონ აბაკუმი მლიქვნელი არასოდეს ყოფილა, ზოგიერთი თავისი მომხრის გადამეტებულ ასკეტიზმს რომ უარყოფდა, ციტატა მოჰყავდა: „წმინდა არს ქორწინება და საწოლი შეუგინებელი“.

აბაკუმის სატირულმა ნაწარმოებებმა და კარიკატურებმა მთელი რუსეთი მოიარა.

აბაკუმი იყო არა მარტო დიდი ორატორი, არა მარტო დიდი მწერალი, მაშინდელი ძნელად შესაგუებელი მწიგნობრული ენის კანონი რომ დაარღვია, არა მარტო პუბლიცისტი, რომელმაც კრიტიკა არნახულ მხატვრულ დონეზე აიყვანა, არამედ პირველი გამოჩენილი რუსი კარიკატურისტიც.

იგი ქმნიდა მიტროპოლიტ პავლესა და ილარიონის, მეფის, აღმოსავლეთის პატრიარქების კარიკატურებს. მისი სიძულვილი ალექსი მიხაელის ძის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ სიკვდილის წინ თავის მომხრეთა შვილებს დაუბარა, მეფის აკლდამა „კუპრით გათითხნეთო“.

ეს მკრეხელური განკარგულება იმით აიხსნება, რომ აბაკუმი განსვენებული ხელმწიფისათვის ადგილს მხოლოდ ჯოჯოხეთში ხედავს. „მტარვალი ცეცხლის სამარეში ბღავის. აჰა, ინებე მეფური სადილი, გრძელი და უსასრულო, ღვეზელები და ტკბილი თაფლი, გაწურული არაყი მწვანე ღვინით. ხომ გიდევს ბუმბულის ლეიბი და ბალიში? საჭურისებიც შენს ჯანმრთელობას უფრთხილდებიან, მარაოთი გაგრილებენ, რომ ბუზებმა არ დაჭამოს დიდი ხელმწიფე. სტომაქის დასაცლელად როგორღა დადიხარ? კურტუმოს, ალბათ, მესაწოლე ყმაწვილები გიწმენდენ გვენაში. საცოდავო, საბრალო, სულელო მეფუკა. რა უყავ შენს თავს. მიწამ გიყოს პირი, ბოზის ნაშიერო.“

რა უშიშარი უნდა ყოფილიყავი, რა თამამად მოაზროვნე, რომ იმ დროში ასე გეწერა. აბაკუმის ამ გამბედაობას ასაზრდოებდა წარმოდგენა, რომ ღმერთის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია. „სასწავლო სახარებაში“, რომელიც 1652 წელს

გამოვიდა, მას შეეძლო წაეკითხა, რომ „მზე თანაბრად დაჰნათის კეთილთა და ბოროტთა“.

„ამჟამად აქ, დედამიწაზე ხომ ყველა თანასწორია, — წერდა აბაკუმი, — ბიწიერნიც ეძლევიან განცხრომას“. მისი მსჯელობა მართლმადიდებლობის, „სულიერი“ ძმების თანასწორობაზე ცოტათი თუ განსხვავდება ადრეულ ქრისტიანთა აღთქმისაგან. მაგრამ აბაკუმს არ უყვარდა განყენებული მსჯელობა. რუსული სინამდვილიდან აღებული მაგალითები სახარების იდეებს მძაფრ სოციალურ ელერადობას ანიჭებდა.

აბაკუმი ადამიანის პირადი ღირსების დამცველად გამოდიოდა, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ადამიანები თავიანთი ბუნებით თანასწორნი არიან. მდიდარ და დიდგვაროვან მოროზოვას იგი ირონიულად ეკითხებოდა: „განა შენ ჩვენზე უკეთესი ხარ, რაკი ბოიარინია ბრძანდები?“

ისეთი დასკვნა როდი უნდა გამოვიტანოთ, თითქოს აბაკუმი დემოკრატიისათვის თანმიმდევრული მებრძოლი ყოფილიყო, მაგრამ მკაცრი იერარქიული საზოგადოების პირობებში მსგავსი მსჯელობა უზარმაზარ ამფეთქებელ ძალას მოიცავდა, და ძნელი წარმოსადგენი არ გახლავთ, როგორც მიიღებდა ხალხი აბაკუმის ნაწერებს.

58

ამაოებას, ყოველივე „გარეგნულს“ აბაკუმი დაძაბულ სულიერ ცხოვრებას უპირისპირებდა. რისთვის ცხოვრობს ადამიანი? ფულის გულისთვის? მოროზოვების ურიცხვ სიმდიდრეს ფასი არ ჰქონდა, გლახაკთა ქონებაზე რომც არაფერი ვთქვათ: „თოფრასა, ქოთანსა და წყვილ ქალამანზე“. იმათთვის, ვინც სიმხდალეს იჩენდა, ვინც იმიზეზებდა, წვრილშვილის პატრონი ვარ, ახალგაზრდა ცოლი მყავს, გაღატაკება არ მინდაო, აბაკუმს მაგალითად მოროზოვასა და მისი დობილების შეუპოვრობა მოჰყავდა.

„კაცი ხარ და ქალებზე ნაკლები ჭკუა კი გაქვს. კარგი, შვილებს დააქორწინებ, ცოლსაც დააშოშმინებ, მერე რაღა იქნება? განა ბოლოს სამარე არ გველის?“

ჭამო და იძინო იმისთვის, რომ იცოცხლო. იცოცხლო იმისთვის, რომ ჭამო და იძინო. ასეთ „ფილოსოფიას“ აბაკუმი ვ-

დაჭრით უარყოფს. იგი ცხოვრების აზრს ბრძოლაში ხედავს, „სიმართლის“ დაძაბულ მაძიებლობაში აბაკუმი ამხელდა „ლოთებს და ავხორცებს“, „ვნებათა მონები“ რომ იყვნენ და ხოტბას ასხამდა იმათ, ვისაც სიამაყით შეეძლო ეთქვა:

— არავისი არ მეშინია — არც ბატონისა, არც მდიდრისა, არც ღონიერისა, თვით ეშმაკისაც არ მეშინია!

სავსე „სტომაქი“ აბაკუმისათვის ყველა ბოროტების თავი და სიმბოლოა და სტაროვერებისაგან თავად ი. ი. ხოვანსკის ჩამოშორებას იგი იმით ხსნის, რომ თავადს ეშინოდა, დაჩურთული ქათმები და მაგარი თაფლი „მომაკლდებაო“. ეკლესიის თავადს, აბაკუმის აღწერით, მუდამ დაბიქვინებული პირისახე ჰქონდა და მაძღარ მუცელს აქეთ-იქით არწევდა. მთავრების ახალი ფასონის მაღალყელიანი სამოსელი აბაკუმს საბაბს აძლევდა წამოეძახა:

– „შენ, გაბერილო დიაცო, მუცელში ბალღი არ დაიმახინჯო, ღვედები რომ შემოგიჭერია! განა სტომაქში ბავშვზე ნაკლები ჭირი გიყრია — ნუშის ნაყოფი, რეინული თუ ფრანგული ნუნუა, სხვადასხვანაირი არაყი, ნაირ-ნაირი და გაწურული ღვინო. ქამარი როგორღა შემოიჭირე? წარმოუდგენელი ამბავია— შიგ შხამიანი გველიც კი მოიწამლება!“

იმავე „სასწავლო სახარებაში“ ნათქვამია, ადამიანი „თავისი ნებით“ ირჩევს როგორ იცხოვროსო. „ღმერთი არავის აიძულებს ან კეთილად იცხოვროს, ან ბოროტადო“. აბაკუმი, ალბათ, არაერთხელ დაბრუნებია ამ აზრს, მაგრამ ვერა და ვერ აღიქვა იგი განყენებულად. მას „სიკეთისა და ბოროტების“ ცნება მორალური სიბრტყიდან წმინდა პოლიტიკურში გადაჰქონდა. ბოროტებას იგი „ნიკონელობაში“ ხედავდა, ადამიანის შეფასების სხვა კრიტერიუმები როგორღაც იჩქმალებოდა — მათ მკაცრი პარტიული პრინციპი ახშობდა. აქ სიკეთე იყო, იქ — ბოროტება. აქ მაღალი სული იყო, იქ — გამდიდრების ქვენა გულისწადილი, ნებისმიერი გზით კარიერის გაკეთების სურვილი.

— დაწვი და დაბუგე ხელმწიფეო, გლეხები, ჩვენ კი როგორც გვიბრძანებ, ისე ვიგალობებთ ეკლესიებში, შენს ნებას, მეუფეო, მორჩილად შეეასრულებთ; საკურთხეველში გინდა დათვი შემოგვიგდე, ჩვენ სიხარულით გაგართობთ, ხელმწიფეო, ოღონდ მარნები გაგვიხსენი, სასაწლიდან წარჩო-წანოვაგე არ მოგვაკლო.

აბაკუმს თუ დავუჯერებთ, თითქოს ასე ეუბნებოდნენ მეფეს ეკლესიის ხელისუფალნი, რომლებიც სასახლიდან „გადმოგდებული ლუკმის გულისთვის“ მზად იყვნენ ხალხის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დანაშაულისთვის ხელი შეეწყოთ.

თავისი მტრის, კრუტიცელ მიტროპოლიტ პაველეს შესახებ აბაკუმი წერდა: „იგი სულიერი ცხოვრებით არ ცხოვრობდა — ბლინებით ვაჭრობდა და მაჭკატებით. მღვდლად აკურთხეს თუ არა, მაშინვე ბოიარების სასახლეებში ჯამების ლოკვა ისწავლა, მან არ იცის და არც უნახავს სულიერი ცხოვრება“.

თავის ცხოვრებისეულ მაგალითებში აბაკუმი ხანდახან ჭორებსაც არ ერიდებოდა. იგი ყველაფერს იყენებდა მტრის სამხილებლად და საჯაროზე გამოსაყენებლად. არაფერს არ ერიდებოდა არც ნიკონელთა მოსატყუებლად. სტაროობრიადელებისათვის რჩევის მიცემისას აბაკუმი ოსტატურად ხატავდა ცხოვრებისეულ სურათებს, უხსნიდა მათ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ უფროსებთან და მღვდლებთან. თუმცა თავის მომხრეებს მეფის სამსახურს არ უშლიდა, არიგებდა, თქვენი მეხედულებები დაფარეთო, დაწინაურებაზე იფიქრეთ და „სიკეთე თესეთო“.

აბაკუმი ამაყობდა მასწავლებლის სახელით. „სატირლად სადა მცალია, სულ ადამიანებთან ვმოუბრობ... რასაც ღამით მოვაგროვებ, დილით მის დარიგებას ვუნდები“... მისი სჯეროდათ, მაგრამ ზოგიერთი მისი რჩევა სასტიკი იყო...

სიმართლის ძებნაში, იმედდაკარგული სიმართლისა, მისი ცხოვრების მიზნად რომ იქცა, აბაკუმი მეგობარს სწერდა: „დაიკარგა, შვილო ჩემო, სიმართლე, ძნელია მისი პოვნა, ისევ ცეცხლში თუ იპოვი, ნამუსიანობაში ან ციხეში — ჩვენსავით“.

50

არა მარტო „კაპიტონელები“, არამედ ათობით „მართლმორწმუნე“ სტაროობრიადელი ქადაგებდა:

— ო, ძმებო და დებო! ილოცეთ და სიმხნევე შეგემატებათ! დიდი მარტვილი აბაკუმი გლოცავთ და საუკუნო ხსენებას გითვლით. ყველანი ცეცხლში დაიწვებით. მოგვიახლოვდი, ჭარაბომიანო მოხუცო! დაეწაფე მზეთუნახავო პატარძალო! და-

აცქერდით ამ წიგნს — წმინდა რეუულს — არ გაქეზებთ, არ გატყუებთ! დააკვირდით სიტყვაკაზმულობის სტილს, ვისი ხელია! ამა წიგნს თავად დიდი მარტვილი, აბაკუმი წერდა...

ერთხელ აბაკუმმა დაწერა: „ვიცნობდი განსვენებულ დომენტიანს, უბრალო ადამიანი იყო, მაგრამ ბოლოს სიკეთე ჰყო — განდგომილთა სანუგეშებლად თავი დაიწვა“.

ტიუმენის მღვდელი დომენტიანი ბერად დანიელის სახელით შედგა. მის სენაკში, ტობოლსკის გარეუბანში, მრავალ ქალაქიდან და მაზრიდან ხალხი მოდიოდა და ფანატიკოსთა მიერ წაქეზებული „ცეცხლით ნათლობას“ მოითხოვდა. მოხუცმა დანიელმა რჩევისთვის თავის მოძღვარს, ბერ ივანიშჩს მიმართა.

— შენი არეული საქმე შენ თვითონ გამოასწორე! — მიიღო პასუხი.

1700 კაცი დაიწვა დანიელთან ერთად.

ცეცხლი და მახვილი ანადგურებდა რუსეთის მიწას. რაზინის დამარცხების შემდეგ რუსეთში ათასობით სახრჩობელა აღიმართა, ქალაქის მოედნების მიწა სისხლით იყო გაჟღენთილი. არც რასკოლნიკებს ინდობდნენ.

როცა რასკოლნიკებმა შეიტყვეს, დიაკვნები და უფროსობა ჯარისკაცებითა და მოწმეებით მოდიანო, მათს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. უკვე ფანატიკოსებად ქცეულნი ერთმანეთს ფიცს აძლევდნენ, ჯარისკაცებს ცოცხლად არ დავნებდებითო.

გლეხები მქადაგებლებთან გარბოდნენ და ყვიროდნენ:

— მტერმა უბედურება და ქარცეცხლი მოიტანა! აღარაფის ინდობენ, აღსასრულის ჟამი დადგა! ყოველ ვერსზე საგუშაგოებია და გუშაგები დგანან; ქვეითს თუ ცხენოსანს ყველას ეკითხებიან, პირჯვარს რანაირად იწერო! რას აყოვნებ, ბერო, აუტანელი გახდა ცხოვრება...

ყველანი ერთად იკეტებოდნენ სამლოცველოებში, ეკლესიებში, ქოხებსა და კალოს კარაპნებში, ფანჯრებსა და კარებს ფიცრებსა და დარღვეული ღობეების სარებს მიაყრიდნენ, გარშემო ფისს მოასხამდნენ, ჩალას დაყრიდნენ, „მდევნელთ“ ელოდნენ. ცეცხლი მხოლოდ მაშინ აგიზგიზდებოდა, თუ ჯარისკაცები გამოჩნდებოდნენ.

თვითდაწვა რასკოლნიკების განსაკუთრებული დოგმატი არ

არის. თვითმკვლელობა რელიგიით აკრძალული იყო. თავს უფრო სასოწარკვეთილებისაგან იწვავდნენ.

მარტო აბაკუმის სამშობლოში, ნიჟეგოროდის ზაკუდემის უბანში კარაპნებში „ორი ათასმა“ გლეხმა გამოიწვა თავი ცოლ-შვილიანად.

ცუდი საქმე ჩაიდინა აბაკუმმა, როცა თვითდაწვა მოიწონა. მაგრამ აბაკუმს ყველა როდი ეთანხმებოდა...

ზღვისპირელ სტაროობრიადელთა ერთ-ერთი მესვეური გახლდათ ტიხვინის მახლობლად მდებარე ბესედნის ნიკოლსკის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი დოსითეოსი. მას უდიდესი გავლენა ჰქონდა მოპოვებული. „მამა დოსითეოსს ლოცვა-კურთხევას ვთხოვ, აგრეთვე მოხუცი ეპიფანეც დიდ პატივს სცემსო“, — წერდა აბაკუმი.

დოსითეოსი და მის ირგვლივ მყოფნი ებრძოდნენ თვითდაწვას. იგი მოითხოვდა, რომ „თვითნება მარტვილები“ თვითმკვლელებად ეცნოთ. აბაკუმის მოწაფე და მეგობარი ცნობილი ბერი სერგი დოსითეოსს თავს დაესხა:

— შენ დიდი მარტვილის ჩანაგონები მოგვისპე!

— შენს გვამში სატანას დაუსადგურებია. — უპასუხა დოსითეოსმა.

ამ დროისათვის საეკლესიო განხეთქილება ერთობ ჭრელი გახდა. უთანხმოებამ იგი პატარ-პატარა სექტებად დაყო. აბაკუმი ნაღვლიანად წერდა:

„უკვე ერთმანეთი გეზიზღებათ, ერთად პურს აღარ ტეხთ. ბრიყვებო! ეგ ამპარტავნობა კომბოსტოს ჭიასავით დაგღუპავთ. ჩვენში ყველა ბუზღუნებს, ანგარიშსწორებაშია, თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვთ, ერთმანეთს საყვედურებით ავსებენ, ალალმართლებს ებღინძებიან, ყველა მასწავლებლობას ჩემულობს, გამგონი კი არავინაა“.

ხოლო როცა ერთობა არ არის, არც ძალაა, რაც უნდა თავგანწირული იყოს თითოეული ცალ-ცალკე.

„კეთილი საქმე ჩაიდინა ნეტარმა შვილმა სვიმონმა, ეს საჭირო იყო — სერგის აბაკუმის წერილიდან მოჰყავდა ციტატა და მას გადასაწერად აძლევდა ერთგულებს, მერე კი ნათქვამს ადასტურებდა: „აბაკუმი თავის ხელით წერდა“.

მაგრამ თვითდაწვის მოწინააღმდეგეებს არ ეძინათ.

დოსითეოსის მოწაფე ბერი ეფროსინი იმ ქალაქებში და-

დიოდა, სადაც ფანატიკოსები იყრიდნენ თავს და დისპუტებს მართავდა. ქალაქ რომანოვოში მან თითქოს ყველა დაარწმუნა, მაგრამ მერე ვინმე „სულელი გომბიოს“ ნათქვამს მოჰკრა ყური:

— ჩვენებმა პოდიაჩი მოიყვანეს, დღე და ღამე წერენ, როგორ ამხილონ ეფროსინი და ქალაქიდან გააგდონ...

საშინლად სძულდათ ერთმანეთი „სარწმუნოებით ძმებს“. იმავე რომანოვოში იმალებოდა რასკოლნიკი თავადის ქალი ანა ხილკოვა, რომელიც თვითდაწვის წინაალმდეგ გამოდიოდა. მას თავშესაფარს არავინ აძლევდა, უხეშად ექცეოდნენ, კიცხავდნენ, „შიმშილით კინაღამ სული ამოხადეს“.

ეფროსინი ასე აღწერს თავის შეხვედრას თვითდაწვის მქადაგებლებთან. „პოლიკარპე დიდი ხანია დაიღალა, თავი ჩაქინდრა და ხველება აუტყდა, მერხზე მჯდარი ანდრეი მოიბუზა, პოდიაჩი მგელივით იყურება აქეთ-იქით, ყველა ერთმანეთს შესცქერის“.

— რას იცავ და ქადაგებ, — ამბობდნენ ისინი, — რატომ არ უბრძანებ ადამიანებს, თავი დაიწვან?

— მკვლელო, დამაქცევარო და სულთამხუთავო, განა შენ არა ნთქავ მთელ ქალაქს? შენი ბელეები გადაყლაპე, ახლა რომანოვი გინდა შეახრამუნო! ყველას ვერ გადაყლაპავ: მარტვილი მამა აბაკუმის ლოცვა წყეულად მოგივა! — ყვიროდა პოლიკარპე პეტროვი.

მას კვერს უკრავს მქადაგებელი ანდრეი: „წყლიდან ამოსულ ჩიქვს ჰგავხარ — კისერზე მარგილი მოგდებია, თავზე — დივლი, ეშვებისაგან სკდები და ცახცახებ, წვერი გიკანკალებს, კბილები გიკაწკაწებს“.

არადა, ხატოვნად წერდნენ XVII საუკუნეში, ზუსტად და ლამაზად.

დიდხანს იბრძოლეს დოსითეოსისა და ეფროსინის მომხრეებმა, სანამ თვითდაწვის შემთხვევები საგრძნობლად არ შემცირდა.

60

აბაკუმს კრიტიკოსები ხშირად სდებდნენ ბრალს უხეში ენისა და „გაგრიული აბდაუბდა ლაყბობისათვის“. თვითონ აბაკუმიც წერდა: „მე ხომ ღვთისმეტყველი არ გახლავართ,

რაც აზრად მომივა, იმასვე ვამბობ". ლიტერატურულ შემოქმედებაში აბაკუმი შეუდრეკელ მებრძოლად უფრო მოჩანს, ვიდრე ღრმად მოაზროვნედ.

მაგრამ აბაკუმი შესანიშნავი მწერალი იყო. სწორედ მისმა ნიჭმა აიძულა თანამედროვენი მისთვის ასე გაფაციცებით დაეგდოთ ყური და სწორედ მისი ნიჭი იწვევდა დიდი რუსი ლიტერატორების მომდევნო თაობის აღფრთოვანებულ შეფასებას.

აბაკუმმა უარი თქვა შუა საუკუნეების პირობით ლიტერატურულ ტრადიციებზე და წიგნურ ენაში გაბედულად შემოიტანა ხალხური მეტყველება. მისთვის უცხო იყო იმ დროისათვის ჩვეულებრივი რიტორიკული სამკაულები, მისი ფრაზები, როგორც ახლა იტყვიან, „ინფორმაციებით" იყო სავსე, ეს განსაკუთრებით იგრძნობა მის „ცხოვრებაში", სადაც მიუხედავად დიდი სიმჭიდროვისა, სიტყვები ნათელი და გასაგებია, ყოველი ფრაზა თითქმის დამთავრებული ეპიზოდია.

აბაკუმის მიერ დაწერილ ყოველ სტრიქონში რუსი ადამიანი მოჩანს. რუსულის გარდა სხვა სინამდვილეს არ იცნობდა და თავის შეგონებებში საღვთო წიგნების პერსონაჟებსაც კი ისე ხატავს, როგორც თავის თანამედროვეთ. „მდიდარ კაცს, ბიბლიურ ქრისტეს პურის ნაჭერი გამოვთხოვე, პავლე მოციქულს — მდიდარ სტუმარს მისი არჩევი პურიდან ნამცეცები გამოვთხოვე, ოქროპირს — შეძლებულ სოვდაგარს, სიტყვები დავესესხე, რაბათის ხალხს, მეფე დავითს, წინასწარმეტყველ ესაიას მეოთხედი პური გამოვთხოვე, აჰა, თოფრა გავტენე და თქვენ გაძლევთ"...

აი საწყალმა «დამმა და ევამ „შეცოდების შემდეგ ნაბახუსევზე გაიღვიძეს. ერთმანეთისა რცხვენიათ. ადამს წვერ-ულვაში ნერწყვით აქვს მოსვრილი, ნასმურევს თავი უსკდება და მხრებზე არ უჩერდება. ზოგი პატიოსანი მამის შვილი სამიკიტნოში გალეშილა და ღუმელზე ჭილოფის ქვეშ გდია".

აბაკუმთან კი — „ჯვარზე გაკრულ მკვდარ ქრისტეს ტეტია სტრელეცმა შუბი გაურჭო, თავი გამოიჩინა... სახელმწიფო მას ხუთ მანეთ ჯამაგირს აძლევს, მაუდის ტანსაცმელსაც აცმევს, მარაწშიც უშვებს! გულს უხარებს ჩვენს ხელმწიფეს". ეს უკვე მარტო ყოფითი სცენა როდია. ამას XVII საუკუნის რუსი კაცისათვის ღრმა პოლიტიკური და ფსიქოლოგიური აზრი ჰქონ-

და. დღევანდელ მკითხველს კი ნათელ წარმოდგენას უქმნის ამ ეპოქაზე.

ლანძღვა და ლოცვა... ინტიმური განცდები და ოჯახური ყოფა, მაღალი პატრიოტული აზრები და რუსეთისათვის სხვა გზების მტანჯველი ძიება. ყველაფერი ეს მოცემულია მის თხზულებებში. იყო მათში მაღალი პოეზიაც.

ტანჯულ მოროზოვაზე, ურუსოვასა და დანილოვაზე აბაკუმმა დაწერა „რჯულისთვის დევნილი სამი ქალის დატირება“, რომელიც შეიძლება ლექსად ჩაითვალოს:

„ავაი, ავაი, ჩემო უსაყვარლესნო შვილნო!
ავაი, ჩემო გულითადნო მეგობარნო!
ვინ შეგედრებათ თქვენ დუნიაზე!..
ვაი მე, თქვენგან დაობლებულს!
ჩემი შვილები მხეცების საჭიჭანად დარჩით,
ავაი, ავაი, შვილნო ჩემნო.
ვინ გაბედავს უღვთო ნიკონელთ
თქვენი ნეტარი სხეული გამოსთხოვოს:
უსულო, უსიცოცხლო, შელახული,
ისრებით დაჩხვლეტილი,
ჩიჩობით შესუდრული!
ავაი, ავაი, ჩემო ჩიტებო, დადუმებულან ბაგენი თქვენი.
ჰოი, საყვირველნო! უდიადესნო!
შეძრწუნდი ზეცავ,
შენც შეზანზარდი დედამიწავ!..
შეიკრიბენით რუსეთის შვილნო,
შეიკრიბენით ქალიშვილებო და დედებო,
მწარე მოთქმით ჩემთან ერთად იტირეთ,
ჩემი მეგობრები საქვეყნოდ დაიტირეთ.

61

ერთხელ მოსკოვში ასეთი ამბავი მოხდა:

ერთ მშვენიერ დღეს სერბი არქიდიაკონი ივან პლეშკოვიჩი ცნობილ ხატმწერს, „მეფის დარბაზების უმაღლეს იზოგრაფს“ სიმონ უშაკოვს[1] სახელოსნოში ეწვია და ახალი დამ-

[1] საგულისხმოა, რომ სიმონ უშაკოვი სუზდალის მიტროპოლიტ ილარიონის ნათესავი იყო (დ. როვინსკი, „ხატმწერის მიმოხილვა XVII საუკუნის ბოლომდე რუსეთში.“ გამომცემელი სუეორინი, 1903 წ. გვ. 167). არ ვეაწყენს თუ გაეიხსენებთ, რომ ილარიონი „ნიჟეგოროდის სანახებიდან“

თავრეტული მარიამ მაგდალინელის ხატი ნახა. მას ხატიდან სინ-
ოთ ხდილი ქრისტიანი წმიდანი კი არ უცქერდა, არამედ
„მრუში", როგორც ჯერ კიდევ მაშინ, სიცოცხლეში ბერმა აბ-
რამმა უწოდა... ნათელ ფერებში, ახალმოდური მანერით და-
ხატული მაგდალინელი შეიძლებოდა აბაკუმის სიტყვების ილუს-
ტრაციად ვამომდგარიყო, რომლითაც მან მდიდარი კოხტა პრუ-
წის გარეგნობა აღწერა: „მეძავი ფერ-უმარილით გათხუპნილა,
თვალ-წარბი შეუსურმავს, ტუჩები წითლად შეუღებია, (ალამი
თავმდაბალი აქვს, ლაპარაკობს გამართულად, შეკითხვები შემ-
პარავს იაკი, პასუხები — თავაზიანი, ტკბილად მოგვგებებია...
პერანგი თეთრი აცვია, შესამოსელი წითელი. ჩექმები ტარხი,
კონსა. ვერაფერს იტყვი. ლამაზია!"

აღშფოთებულმა ივან პლეშკოვიჩმა თავი ვერ შეიკავა და
გადააფურთხა.

ვერ მივიღებ! — დაიღრიალა არქიდიაკონმა და სიმონ
უშაკოვის „ნათელსაჩინო ხატების" ძაგებას მიჰყვა. ... შეშ-
თხვევის დამსწრე სიმონის მოწაფემ, უკვე ჩინებულმა ოსტატ-
მა ოსიპ ვლადიმიროვმა პლეშკოვიჩს კამათი დაუწყო. რამდე-
ნადაც ივან პლეშკოვიჩი ერთადერთი არ ვახლდათ, ვისაც ახა-
ლი მანერა არ მოსწონდა, ვლადიმიროვმა დაწერა ტრაქტატი
ხელოვნებაზე: „უსტარი ვინმე იზოგრაფ იოსებისა მეფის
იზოგრაფისა და ბრძენი ფერმწერის სიმონ თეოდორის ძისადმი".

ამ თხზულებიდან ცნობილი გახდა არქიდიაკონთან კამათის
შინაარსი, ის არქიდიაკონთან, რომელსაც ვლადიმიროვმა „მყუ-
ფარი", „მოკიკინე ვაცი" და „ბოროტმოშურნე" უწოდა. ალამ-
დარი, სხვანაირად სტამბის მხატვარი ვლადიმიროვი აღფრთო-
ვანებული იყო დასავლეთევროპული ფერწერით. იგი ხოტბას
ასხამდა „ტურფადაღნაგი ხატების" წერის მიმდევარ ოსტა-
ტებს, ვინაიდან მათი ყოველი ქმნილება „ნათელ და კაშკაშა
ფერებით, ჩრდილებითა და ცხოვლად წარმოგიდგებიან".

ვლადიმიროვის აზრით, უცხოელი მხატვრები კარგად გამო-
სახავდნენ „მეფის პიროვნებებს", მათ შორის, „რუსეთის მე-
ფესაც". და იგი ამკარად პროვოკაციულ კითხვას სვამს:

— ამ მეფურ ხატებზე რაღას იტყვი, პლეშკოვიჩ? ...ესეთ

იყო, ბავშვობა და სიჭაბუკე მაკარის მონასტრის მიდამოებში გაატარა, ცო-
ლად შეირთო ანელე კოლომენსკის და. ნიკონი, ნერონოვი და აბაკუმი თა-
ვის სამშობლოში გაიცნო.

მეფურ პიროვნებას ხომ უნდა შეასხა ხოტბა, ზოწიწებით თაყვანი სცე?

აბა სცადე და, არაო თქვი. მაშინვე „მეფის უდიდებულესობის“ შეურაცხყოფას დაგწამებენ. კარის მხატვრებს მუდამ ადვილად შეეძლოთ თავის დაცვა.

მეფის ხატმწერები აგდებულად ლაპარაკობდნენ სახალხო მხატვრებზე — „თხუპნიებზე“, რომელთა გაუწაფავ ნამუშევრებს რატომღაც საერთოდ რუსულ ხელოვნებასთან ათანაბრებენ. ვლადიმიროვი დასცინოდა ხატებს, რომლებსაც „შუელები, ხოლუელები და პალეხელები ბაზარში ყიდდნენ“[1]. თვითონ ვლადიმიროვი რაბათის კაცი იყო, მაგრამ არისტოკრატიული ტონი უკვე შეთვისებული ჰქონდა და ამტკიცებდა, გლეხების საქმე მეთუნეობაა და არა ხატების წერაო.

ვლადიმიროვი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს კრემლის ტაძრებში ძველი ოსტატების ხატების ცქერით არასდროს დამტკბარიყოს. მართალია, გაშვარტლულებსა და ფერმკრთალ ხატებს შეიძლება დიდი შთაბეჭდილება ვერ მოეხდინათ, მაგრამ საქმე აქ სხვა რამ გახლდათ. ნიკონის რეფორმის თავგამოდებული მომხრე ფიქრობდა, რომ რუსულ წიგნებში შეცდომები უმეცრობით იყო დაშვებული და ახლა „უბრძენესი ბერძნულით სწორდებოდა“. „ასევეა, ბატონებო, ხატებშიცო“, ასკვნიდა იგი.

რუსული ხატწერა XIV—XV საუკუნეებში ყვაოდა. ამას ხელს უწყობდა გამარჯვება თათრებზე, მესამე რომის იდეა... ხატი მაშინ იზოგრაფის პირადი ქონება არ გახლდათ. ხატმწერი თითქოს ხალხის მასაში ითქვიფებოდა და მისი გულისთქმის, გამარჯვებით გამოწვეული საზეიმო გუნება-განწყობის, ერთობის განცდის გამომხატველი იყო. რეალისტური დეტალები ამ განწყობილებას არ პასუხობდა. თავისი საქმისადმი მოწიწება, ხატისწერამდე ხანგრძლივი მარხვა უფერულობას გამორიცხავდა... ზოგი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ყველაზე ცნობილი ხატები ანგარიშმიუცემლად იწერებოდა — მხატვრის ხელს რაღაც „ზეძალა“ ამოძრავებდა.

XVII საუკუნეში განვითარდა ის, რასაც „რუსულ ბარო-

---

[1] შუი, ხოლუი, პალეხი — დიდი სოფლის სახელები, სადაც ვითარდებოდა რუსული მხატვრობის სკოლა.

კოს“ უწოდებენ და გამოირჩევა თავისი მოხდენილობით, ჩუქურთმებით, მხატვრულობით; მაგრამ ალექსი მიხეილის ძის მეფობის დროს დასავლეთის კულტურის შემოჭრასთან ერთად თანდათან იცვლებოდა ფერწერაც. მთავარი ხდება მხატვრის ოსტატობა და არა საზოგადო განწყობა. შესუსტდა ხელოვნების სიმბოლურობა, სულიერი ძალა. ცდილობდნენ მნახველი რომელიმე ცალკე დეტალით მოეყვანათ განცვიფრებაში. თავი იჩინა რეალიზმისადმი თუ არა, რეალისტურობისადმი მისწრაფების სურვილმაც.

აბაკუმი ამტკიცებდა, რომ, თუ უწინ მხატვრები, „კეთილი იზოგრაფები“ ხატის წერისას ხელებსა და ფეხებს წვრილად გამოსახავდნენ, ხოლო სახეებს „მარხვით, შრომითა და გამოვლილი მწუხარებით“ ღონემიხდილს ხატავდნენ, ახლა ხატები იმათი მსგავსებით იწერება, ვინც მუცელზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე სულზე. „ხატავთ ისეთებს, როგორიც თვითონა ხართ: ღიპიანებს, თავპირდასიებულებს, ჯირკივით ხელ-ფეხიანებს“.

სულის უარყოფას, როგორც აბაკუმს მიაჩნია, ხელოვნების გაღარიბებამდე მივყავართ. როცა მაძღარი სხეულისა და მზვაობრობის წინააღმდეგ გამოდიოდა, როცა წინასწარ ვამოიცნო მკვდარი და მომაკვდინებელი ცივი გონების სული, რომელიც უკვე ახლოვდებოდა დასავლეთიდან, თავის საუბარში „ხატწერის შესახებ“ აბაკუმი სასტიკად დასცინოდა ახალ მიმართულებას. ახლა ხატებს „დაბიეინებული პირისახე აქვთ, ბაგენი — მარწყვისფერი, თმა — ხუჭუჭი, ხელები და კუნთები მსხვილი, ასეთივე მსხვილი აქვთ ბარძაყებიც, ოღონდ ზედ ხმალი არ ახატიათ“. ყოველივე არარუსულისადმი სიძულვილით შებყრობილი აბაკუმი გულისნადებს ასე გამოხატავდა: „ჰოი, უბედურო რუსეთო, რაღაც გერმანული ქცევები და ჩვეულებები დაგჩემდა! ნიკოლა სასწაულმოქმედს გერმანული სახელი დაარქვეს — ნიკოლოზი“... მას გული შესტკიოდა რუსი ხალხის წმიდანზე, რომელმაც თავის დროზე აბაკუმივით „იმ ძაღლთაპირ ეპისკოპოს არიას კბილები ჩაულეწა“. აბაკუმს მიაჩნდა, რომ ხატების სახეთა ეროვნული ტიპი არარუსულით შეიცვალა: ამას სხვებიც ამბობდნენ. ივანე პლეშკოვიჩი მაშინ უშაკოვის სახელოსნოში ყვიროდა:

— გადამთიელებმა გროვად გამოიტანეს ესე დაწერილი ხატები.

ოსიპ ვლადიმიროვიჩი პეშკოვიჩს რომ ბრალს დებდა, „ჩრდილოეთი ხატები და წმიდანების პირქუში სახეები გიყვარსო“, კითხულობდა:

— განა მთელი ადამიანთა მოდგმა ერთი სახითაა შექმნილი? განა ყველა წმიდანი შავგვრემანი და გამხდარი იყო?

ეს სარკასტული კითხვები აბაკუმს არ მიეკუთვნება, ვინაიდან დეკანოზი ახალ ხატთმწერთ ამტყუნებდა, რომ ისინი წმიდანთა სახეებში უპირატესობას ანიჭებდნენ სიფერმკრთალეს და არა ცოცხალ, ღაღაჯა ფერს. XVII საუკუნის რუსულ ხატთწერაზე კამათი დღესაც გრძელდება...

62

იმის იმედით, კიდევ რაღაც შეიძლება შეიცვალოსო, აბაკუმმა მეფე თეოდორე ალექსის ძეს არზა გაუგზავნა. „შენ რომ უფლება მომცე, მეფეო, ხელმწიფეო, წინასწარმეტყველ ილიასავით ყველას ერთ დღეში ავუგებდი ანდერძს, ხელებს კი დავისვრიდი, მაგრამ სულს გავინათლებდი. თავად იური დოლგორუკივით ძლიერი, ჭკვიანი ვოევოდა რომ მომცა, პირველად ქოფაკ ნიკონს გავაპობდი ოთხად, მერე კი ყველა ნიკონელს“.

შურისძიების ეს წყურვილი უკვე სასტიკი ოცნება გახლდათ. მოსკოვს აბაკუმისთვის არ ეცალა.

პირველი ქორწინებიდან მეფე ალექსი მიხეილის ძეს რვა ქალიშვილი და ხუთი ვაჟი ჰყავდა. ქალიშვილები ჯანმრთელები იყვნენ, ვაჟები კი რატომღაც სუსტები გამოდგნენ და სამი ჯერ კიდევ ბავშვობაში გარდაიცვალა. ალექსი მიხეილის ძის უეცარმა სიკვდილმა ტახტზე თოთხმეტი წლის ყრმა აიყვანა, რომელსაც ავადმყოფობისაგან ფეხები დასიებული ჰქონდა და მთლად დამოკიდებული იყო თავის მეურვეზე, თავად იური დოლგორუკზე.

არტამონ მატვეევმა, ორდინ-ნაშჩოკინის შემდეგ საგარეო პოლიტიკას რომ განაგებდა, ბოლო ხანებში დიდი ძალაუფლება მოიპოვა. მან ქვრივ ალექსი მიხეილის ძეს ცოლად შერთო თავისი აღზრდილი და ნათესავი ნატალია ნარიშკინა და თეოდორეს გამეფებაში თავისი მზის ჩასვენებას სჭვრიდა. მატვეევმა სტრელეცები მოისყიდა, ნატალიას უმცროს შვილს პეტ-

რეს დაუჭირეთ მხარიო, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მატვეევის დამხობა გადაწყვეტილი იყო.

აბაკუმი წერდა, არტამონი მეფეს ურჩევდა — „შენს ხელთ არის და შენც ადექი და გაანადგურე ღარიბ-ღატაკნიო. ამიტომ იყო, სოლოვკაც რომ არ დაინდეს". მერე ისე მოხდა, რომ აბაკუმი და მატვეევი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

ყოველივე სხვასთან ერთად მატვეევს მეფის სიცოცხლის ხელყოფასაც აბრალებდნენ, რადგან წამლები და სააფთიაქო პალატა მის გამგებლობაში იყო. თავიდან ხომ გაუშვეს ვერხოტურიეს ეოევოდად, რაც საპატიო გადასახლებად ითვლებოდა, მერე გზაში დაეწიენ, სამკურნალო წიგნები წაართვეს და უბრძანეს, შენი ხალხი „ურია ივანე და ჯუჯა ზაქარია" ჩვენ უნდა გადმოგვცეო. დიდხანს მიდიოდა გამოძიება იმისა, თუ როგორ და რა წამლებს აძლევდნენ ავადმყოფ მეფეს... მატვეევს ჯადოქრობაში დასდეს ბრალი და ვაჟთან ერთად პუსტოზერსკში — „დაწყეველილ ადგილზე" გადაასახლეს.

მან იქ „გარყვნა" ადგილობრივი მღვდელი, რომელიც აბაკუმმა ცოტა ხნის წინ ისევ ძველ რჯულზე მოაქცია.

— არტამონი გაქნილი თაღლითია, მატყუარა, მეფის სული ხელში ეჭირა. ახლა კი მისთვის არარაობა გახდა, არადა, რის გულისათვის, — ამბობდა დეკანოზი.

გაჭირვებაში არტამონი ისეთი მტკიცე ვერ გამოდგა — წამდაუწუმ მოსკოვში საჩივრებს წერდა. არადა, ის უფრო კარგ პირობებში ჰყავდათ, ვიდრე აბაკუმი.

1680 წელს მატვეევი მეზენში გადაიყვანეს. ის იქიდანაც სწერდა მეფეს: „კი... ჯამაგირს გვაძლევენ... ერთი დღის სამყოფს... სამ-სამ ფულს. მეზენში გადმოსახლებულ ეკლესიის მტრებსაც კი, აბაკუმის ცოლსა და ბავშვებს, შენი ხელმწიფური ჯამაგირი დღეში კაცზე ერთი გროში ეძლევა, პატარებს კი სამ-სამი ფული, ჩვენ კი შენი ყურმოჭრილი მონები ვართ, ეკლესიასაც უხმოდ ვემორჩილებოდით და შენს ხელმწიფურ ნებასაც".

სასტიკი პატრიარქი იოაკიმი ნიკონსაც მისწედა, რომელიც ფერაპონტის მონასტერში ცხოვრობდა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ძალაუფლების მოყვარული ნიკონი იქ არამარტო თავისუფლად ცხოვრობდა, არამედ თავის თავს უწინდებურად პატრიარქს უწოდებდა. როცა დათვრებოდა, უდანაშაულო ადამია-

ნებს აწამებდა. ოცდახუთი სენაკი ეპირა, ბერ-მონაზვნებს ყოველ წვრილმანზე ეჩხუბებოდა, ქალებთან მრუშობდა... კრებამ პატრიარქების დაჟინებული მოთხოვნით დაადგინა, რომ ნიკონი კირილეს მონასტერში გადაეყვანათ, სამეთვალყურეოდ ორი ბერი მიეჩინათ, ერისკაცები და სხვა ბერები მასთან არ შეეშვათ.

მაგრამ ნიკონი სასახლეში ახსოვდათ, ძლიერი მფარველები ჰყავდა, რომლებიც მეფე თეოდორეს მასზე მხოლოდ კარგს ჩასჩიჩინებდნენ. ამასთან მეფემ აღდგომის მონასტერი მოინახულა (ახალი იერუსალიმი), რომლის აგება ნიკონმა ვერ დაამთავრა და ეს დიდებული ნაგებობა ძალიან მოეწონა. მან გადაწყვიტა მონასტერი დაესრულებინა და პატრიარქ იოაკიმს სთხოვა, ნიკონი ამ სავანეში გადმოეყვანათ. იოაკიმს შეეშინდა მოქიშპის მოსკოვთან ასე ახლოს გადმოყვანისა და მეფეს გადაჭრით უარი უთხრა.

— ნიკონი დიდმა კრებამ და მსოფლიოს პატრიარქებმა ჩამოაგდეს, ჩვენ არ შეგვიძლია იგი დავაბრუნოთ მათი ნებართვის გარეშე, თუმცა, ხელმწიფეო, იყოს ნება შენი. — უთხრა მან მეფეს.

სოლოვიოვი ისტორიკოს ტატიშჩევის კვალდაკვალ წერდა: „ჭოიპოვება ცნობები, რომ სვიმონ პოლოცკიმ, რომელიც იოაკიმს ვერ ეგუებოდა, გადაწყვიტა მის გასაძევებლად ნიკონი გამოეყენებინა და თავის გაზრდილ მეფეს ურჩევდა, რუსეთში ოთხი მიტროპოლიტის ნაცვლად ოთხი პატრიარქი დაენიშნა — ნოვგოროდში, ყაზანში, როსტოვსა და კრუტიცში; იოაკიმი ნოვგოროდის პატრიარქად გაეგზავნა, ხოლო ნიკონი მოსკოვში დაებრუნებინა და პაპის სახელი ებოძებინა“.

კრებაც კი მოიწვიეს, მაგრამ ნიკონის საქმე მაინც ვერ გადაწყდა. ნიკონი კი ამ დროს უკვე სიკვდილის პირას იყო. იოაკიმმა მოისურვა მისთვის უბრალო ბერის შესაფერისად აეგოთ წესი. მაგრამ საქმე მეფემდე მივიდა, რომელმაც ინება, რომ ყოფილი პატრიარქი აღდგომის მონასტერში დაემარხათ.

მომაკვდავი ნიკონი კარაპზე დააწვინეს და ვოლგით წაიყვანეს. ტოლგის მონასტერში მან ზიარება ითხოვა. როცა კარაპა ვოლგიდან მდინარე კოტოროსლზე გავიდა, ნიკონი გარდაიცვალა.

ეს მოხდა 1681 წლის 17 აგვისტოს.

იმ დროისათვის პუსტოზერსკის ციხე გაიზარდა. აქ რაზინელებიც ისხდნენ და სოლოვეცელი მეამბოხეებიც.

პუსტოზერსკელი ვოევოდა ტუხაჩევსკი მოხსენებით ბარათში წერდა: „აწ და შემდგომაც გუშაგ-სტრელეცებს სიკვდილის დასჯის მუქარით ნაბრძანები აქვთ უდიდესი სიმკაცრით უდარაჯონ ციხეში ბორკილდადებულთ. ციხე, სადაც აბაკუმი და მისი ამხანაგები სხედან, დალპა, მათ გვერდით მდგარი ციხის შენობებიც დაფუტუროვდა და დაინგრა“...

ტუხაჩევსკის კვერს უკრავდა ვოევოდა ანდრიან ხონენევი. 1680 წელს იგი წერდა:

„პუსტოზერსკში, ხელმწიფეო, არის ციხე, სადაც გადმოსახლებული აბაკუმი და მისი ამხანაგები სხედან. ყველა შენობა დანგრევაზეა და მათი შეკეთება შეუძლებელია, სულ დამპალია. ხელახლა აშენებას შენი ბრძანების გარეშე ვერ ვბედავ, ხელმწიფეო“.

ხონენევს უბრძანეს აეშენებინა „ციხე და ასი თვალი და ასი ყური გამოება, რათა ბორკილდადებულთაგან არავინ გაქცეულიყო, ციხის ეზოსთვის გარშემო მესერიც შემოევლო“.

ლპებოდა და ინგრეოდა მიწაში ჩაფლული ქოხები, ვერ უძლებდა ციხეები დროის დამანგრეველ გამოცდას. ტუსაღებმა ცი ყველაფერს გაუძლეს და არ დანებდნენ. ვერავითარმა „მეთვალყურეობამ“ ვერ შეუშალა მათ ხელი, რომ კავშირი ჰქონოდათ თავისუფლებაში მყოფ თანამოაზრეებთან. პუსტოზერსკის გარნიზონის ასობით სტრელეცს შორის ყოველთვის მოიძებნებოდა ან ისეთი კაცი, რომელიც მათ თანაუგრძნობდა, ანდა ისეთი, რომლის მოსყიდვაც შეიძლებოდა.

მოსკოვში აბაკუმის მომხრეთა აშკარა გამოსვლები მზადდებოდა. და იგი ამ გამოსვლების მომზადებაში თავადვე იღებდა აქტიურ მონაწილეობას. აბაკუმს შეეძლო რუსეთის ისტორიაში არანაკლებად დიდი ფიგურა გამხდარიყო, ვიდრე ლუთერი იყო გერმანიაში. მაგრამ არ გამხდარა. ისტორიული აზრი მათი სოციალ-რელიგიური საქმიანობისა სხვადასხვა იყო. და მაინც, ამ ორი პიროვნების შედარება საინტერესოა. აბაკუმი ზიბით ლუთერზე ნაკლები როდი იყო, კალამიც მასავით უჭრიდა. გერმანელისა არ იყოს, მასაც არ სწამდა ბოროტი ძალების

გამარჯვებისა. აბაკუმის მსოფლმხედველობა, ისევე როგორც ლუთერისა, რომელიც რომს ბაბილონელ მეძავთან აიგივებდა, ღრმად ეროვნული იყო, ხოლო ენა — ძარღვიანი, ხალხური. მას იგივე ბრაზი ახრჩობდა; იგივე სიყვარული ჰქონდა სიცოცხლის, მიწისა და ოჯახისადმი...

მარტინ ლუთერმა თავის მდაბიო წინაპართაგან მემკვიდრეობად გამძლეობა და ფიზიკური ძალა მიიღო. ავგუსტის მონასტრის ნამოწაფარი ეკლესიის სქოლასტიკისაგან თავის სულიერ ძიებაზე ამაოდ მოითხოვდა პასუხს. ლუთერი იმ ეპოქაში ცხოვრობდა, როცა გერმანია ის-ის იყო დგებოდა ეროვნული და სახელმწიფო ერთიანობის გზაზე. 1517 წლის 31 ოქტომბერს ინდულგენციით ვაჭრობით აღშფოთებულმა ლუთერმა ვიტენბერგის ციხე-დარბაზის ეკლესიის კარზე გამოაკრა თავისი ცნობილი 95 თეზისი, რითაც საპაექროდ იწვევდა ეკლესიის მსახურთ. თეოლოგიური თეზისები გადაკრულად ეხებოდა პაპის ძალაუფლებასაც, უარყოფდა კათოლიკური სამღვდელოების პრეტენზიებს გერმანულ საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობაზე. დაემთხვა რა ოპოზიციურ განწყობილებას რომის მიმართ, ეს თეზისები გაისმა როგორც ნიშანი ხალხის სხვადასხვა ფენის გამოსვლისა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ და რეფორმული მოძრაობა წარმოშვა. ეკლესიის ხელისუფლება ლუთერისაგან მხოლოდ ერთი სიტყვის თქმას მოითხოვდა: „უარვყოფ!" მაგრამ იგი არც უარყოფას აპირებდა და არც რომში საეკლესიო სასამართლოზე წასვლას. ლაიფციგში გამართულ დისპუტზე მან ჩეხი რეფორმატორის იან ჰუსის შეხედულებები სცნო, ხოლო 1520 წელს ვიტენბერგის უნივერსიტეტის ეზოში დაწვა ბულა იმ პაპისა, რომელმაც ლუთერი ეკლესიიდან განკვეთა. ლუთერმა პაპის ხელისუფლების ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მთელი გერმანელი ერის საქმედ გამოაცხადა. მას ორატორის ნიჭი აღმოაჩნდა. იგი ხალხს ხატოვანი, სხარტი, მოუხეშავი ენით მიმართავდა.

„ყველა ქრისტიანი მღვდელია", — აცხადებდა იგი. პაპს გარკვეულწილად უნდა ჩამოერთვას საღვთო წერილის ახსნის უფლება, უნდა შეიკვეცოს მისი მისწრაფება საერო ხელისუფლებისაკენ, ხოლო თავად ლოცვანი მიეცეთ ხელში. კარდინალების უმაქნისი ჯარი უნდა შევამციროთ და კურიის უთვალავი ხროვა ერთი ასად შევკვეცოთ. იგი უარყოფდა მღვდლების

უქორწინობას, ინდულგენციას, სალოცავად სიარულს, მოითხოვდა სიღარიბის მოსპობას, სკოლების ობსკურანტულ გარდაქმნას (უნივერსიტეტის პროგრამიდან „ბრმა წარმართის" არისტოტელეს ამოგდებას), საეკლესიო ვალდებულებათაგან ცალკეულ ქრისტიანთა თავისუფლებას, დემოკრატიულ სიახლეებს.

ლუთერი გერმანელი ხალხის გმირად იქცა. ვორმსში იმპერატორის სეიმზე იგი თავის აზრს ჯიუტად იცავდა. სეიმისაგან მწვალებლად შერაცხული, განკიცხული, რაინდებმა შეიფარეს ვარტბურგის ციხესიმაგრეში. თავიდან ეგონათ, დაიღუპაო, ის კი ნებაყოფლობით პატიმრობაში მყოფი, ბიბლიის ახალ თარგმანზე მუშაობდა, ვინაიდან ხალხთან ურთიერთობას ვეღარ ახერხებდა. ეს თარგმანი შემდეგ სახალხო წიგნად იქცა და საერთოგერმანული ენის ნორმები განამტკიცა. ლუთერი თავის მგზნებარე მოწოდებებში გლეხთა აჯანყებას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ, როცა აჯანყებამ მარცხი იფეთქა, მან მაღალი საზოგადოების მხარე დაიჭირა. „დაე, ვისაც შეუძლია, მოაშთოს და დახვრიტოს, გინდა მალულად, გინდა აშკარად, მაგრამ სხსოვდეს, რომ არ არსებობს არაფერი იმაზე უფრო შხამიანი, მავნე, ორგული, ვიდრე მეამბოხეა", — წერდა იგი. „როგორც სახედარს უნდა ცემა, ისე მდაბიო ხალხს მხოლოდ ძალადობით თუ იყოლიებ მორჩილებაში". ლუთერი ჰუმანისტებს გაეთიშა და გონება „ეშმაკის მეძავად" გამოაცხადა. საბოლოოდ რეფორმაცია საეკლესიო გარდაქმნებამდე დავიდა და საერო ხელისუფალთა ძალაუფლება განამტკიცა. გერმანიის ისტორიაში დიდი წინსვლა მოხდა.

XVII საუკუნის რუსეთში ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობა დიდი ხნის მიღწეული იყო. მეფე და პატრიარქები ცდილობდნენ კიდევ უფრო განემტკიცებინათ სახელმწიფოს და ეკლესიის გავლენა, გულში სლავთა სახელმწიფოებისა და ეკლესიების გაერთიანების გეგმებს აწყობდნენ. მიუხედავად დემოკრატიული და პატრიოტული ელფერისა, აბაკუმის მომხრეთა იდეოლოგია ობიექტურად წინააღმდეგობრივი და ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა წინააღმდეგ მიმართული გახლდათ. რაკი ვერ გაიმარჯვა, ეს იდეოლოგია ზანწირული იყო ფარული არსებობისათვის, ხოლო იმათ, ვინც იგი შექმნა, დიდი ხნით მივიწყება ელოდათ.

მაგრამ მოძრაობა მაინც მასობრივი გახლდათ, ივი ფართოდ გავრცელდა და მთელი ყმა გლეხობა მოიცვა. რაბათის ხალხი და გლეხობა ისევ ტყეში გარბოდა, საეკლესიო წეს-ჩვეულებათა შესრულებასა და სახელმწიფო გადასახადზე უარს ამბობდა. აბაკუმმაც კი, რომელიც თავის დროზე ამბოხების წინააღმდეგი იყო, გამოაცხადა, სახალხო აჯანყება ზეცის შურისძიებაა ეკლესიასა და მეფის ხელისუფლებისეო. აი, ეს გახლდათ ჭეშმარიტი განხეთქილება. „ძველი რჯულის“ ბევრი მომხრე გლეხთა ომის დროს სტეფანე რაზინის დროშის ქვეშ იბრძოდა. ასი წლის შემდეგ ემილიან პუგაჩოვმა „ძველი რჯულისთვის“ ბრძოლის ლოზუნგი გადმოისროლა...

ახლოვდებოდა მოსკოვის აჯანყება და სტრელეცების ამბოხი, ხელისუფალთ კარგად მოეხსენებოდათ, რა ავტორიტეტით სარგებლობდა აბაკუმი, იცოდნენ პუსტოზერსკელი ტუსაღის წერილები ხალხში ცეცხლს რომ აგზნებდა, და ამიტომაც ეშინოდათ მისი.

1681—1682 წელს კრებამ აღნიშნა რაბათის ხალხის ხშირი გამოსვლები ეკლესიის და სახელმწიფოს წინააღმდეგ და მიიღო გადაწყვეტილება, რასკოლნიკები სასტიკად დაესაჯათ. კრება ჯერ არ დამთავრებულიყო, რომ პუსტოზერსკში „საგანგებო დავალებით მოსკოვიდან სტრელეცების პოლკის თანხლებით გაემგზავრა ლეშუკოვის ვაჟი, კაპიტანი ივანე სერგის ძე“.

1682 წლის თორმეტ აპრილს ლეშუკოვმა აბაკუმი და მისი მომხრეები დაწვა „მეფის ოჯახის უსაზომო კიცხვისათვის.“

1971 წ.

ვლადიმერ ივანოვიჩი

არქეოლოგიური მოთხრობა

პროლოგი

იყავით თამამნი, ოღონდ
სხვების სასიკეთოდ.
ა ბ ა კ უ მ ი

იმ აპრილის დილას ქალაქი ჩამოსული ხალხით აივსო. პეჩორისა და პუსტის ტბის ყინულზე მოზამთრეთა მიერ გატკეპნილი გზით, მარხილებით ადრიანად იწყეს ჩამოსვლა სახემოღუშულმა გლეხებმა, უშველებელი ტყაპუჭებიდან თრთვილით დაფარული წვერი რომ მოუჩანდათ. ტუნდრიდან ფეხმარდი ირმებით ჩამოიჭრნენ „სამოიადები"—ვიწროთვალება ნენცები. ისინი მარტო არ იყვნენ: თან ჩამოიყვანეს ცოლებიცა და ქურქებში გახვეული ბავშვების მთელი ჯგრო, მარხილებიდან ფუშფუშა ბურთებივით რომ მოგორავდნენ.

უკიდეგანოა ტუნდრა, მაგრამ ხმა, თუკი ერთი დაირხა, ჭრთამალი ჩიტის უსწრაფესად შემოიფრენს ხოლმე. მოსკოვიდან გამოგზავნილმა მეჯინიბემ სტრელეცთა პოლკის კაპიტანმა ივანე ლეშუკოვმა ის იყო მეზენში შერისხულ ბოიარს არტამონ მატვეევს ბრძანება გაბოუცხადა, შეგიძლია სასახლეში დაბრუნდეო, რომ უმოკლესი გზით, ომის გაელით დაიძრა ნენეცური ირმებშებმული მარხილიც, თოვლის კორიანტელიც გაიყოლა და გზად ყველა შემხვედრს აუწყა — პუსტოზერსკის ციხის საქვეყნოდ ცნობილ პატიმრებს სასტიკი სიკვდილი ელითო.

ივან სერგეევიჩ ლეშუკოვს ძნელი და დიდი გზა ჰქონდა გასავლელი მეზენ-მდინარითა და პიუმა-მდინარით უსტ-ცილმამდე, იქიდან კი პეჩორის დაყოლებით — პუსტოზერსკამდე, იმიერპოლარეთის პატარა ციხე-ქალაქამდე... ლეშუკოვს თან ათი სტრელეცი ახლდა. სამ მარხილში გაბანჯგვლული ცხენები ება და, რაც უფრო უახლოვდებოდა პეჩორას, გული მით უფრო ავს უგრძნობდა. უსტ-ცილმაში მთლად წაუხდა გუნება — გლეხები, მეამბოხეთა ჯილაგი, პირწავარდნილი რაზინელები

მგლებივით იცქირებოდნენ, გეგონებოდათ, საცაა ფუნდუკს ცეცხლში გაახვევენ და დანების ტრიალს მოჰყვებიანო...

მაგრამ ივაშკა ლეშუკოვი ტყუილად როდი დააჯილდოეს ჯერ სტრელეცთა და მერე საიდუმლო პრიკაზებში; ტყუილად როდი აგზავნიდნენ, თანაც აგერ უკვე მერამდენედ, მეფის „სიტყვისა და საქმის“ შესასრულებლად, თავზეხელაღებული ქურდების გასაბაწრავად და საწამებელ ძელმიწურებში ჩასაყრელად. ლეშუკოვმა თავის სტრელეცებს ძილი არ აცალა, ნახევარი გუშაგებად დააყენა ქოხის ირგვლივ და თვითონაც თვალი არ მოუხუჭავს – სულ იმაზე ფიქრობდა, სახელმწიფოსა და ეკლესიის ბრძანება რაც შეიძლება მარჯვედ და ჭკვიანურად როგორ შევასრულოო.

„ყოფილი დეკანოზი აბაკუმი, ნახუცარი ლაზარე, ნადიაკვნარი თევდორე, ყოფილი ბერი ეპიფანე“ აგერ თხუთმეტი წელი ილეოდა, რაც პუსტოზერსკის ციხესიმაგრეში ისხდნენ. იქაურ ვოევოდას მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდა, აწ და შემდგომაც გუშაგ სტრელეცებისათვის ებრძანებინა, ბორკილდადებულთა სიახლოვეს კაცი არ გააჭაჭანოთ, თორემ საკუთარი თავით აგებთ პასუხსო, მაგრამ ტუსაღების ბარათები, რომლებშიც ისინი დაურიდებლად კიცხავდნენ თვით მეფესაც და ეკლესიის უმაღლეს ხელისუფალთაც, მთელ სამეფოს მოეფინა.

ვინ ავრცელებდა ამ ბარათებს? თვითონ სტრელეცები, რომელთაც ხელმწიფის სამსახურში ფხიზლად ყოფნა მართებდათ. მოსკოვში ერთი სტრელეცი დაასმინეს და მარგილზე წამების შემდეგ აღიარა, მოსკოვში ეშმაკის ჭურის აბაკუმის წერილი მართლაც ჩამოვიტანეო, პატიმარმა ეპიფანემ ჩემი შუბ-ნაჯახის ტარში ღრუ გააკეთა და ბარათი შიგ ჩადოო... მოგვიანებით იმ წერილის ასლსაც მიაგნეს, ბევრი საძრახისი რამ იყო იქ ნათქვამი განსვენებულ მეფე ალექსი მიხეილის ძეზე. „ეჰ, შე საბრალო, საცოდავო, უგუნურო მეფუნა!.. ეს რა უყავ შენს თავს?.. მიწამაც ჩაგიტანოს“...

ცხოვრებით განაწამებ აბაკუმს არც თევდორე ალექსეევიჩისადმი მიმართულ არზაში დაუკლია ლანძღვა-გინება მეფის განსვენებული მამისათვის.

ასისთავმა აკიშევმა, სწორედ იმან, თხუთმეტი წლის წინ სტრელეცების თანხლებით პუსტოზერსკში რომ ჩაიყვანა აბა-

კუმი, ლეშუკოვს უთხრა — აქ, უსტ-ცილმაში შმაგმა დეკანოზ-მა ხალხს სიტყვით მიმართაო.

ახლა კი მორჩა — აბაკუმმა თქვა თავისი სათქმელი.

ნათლისღების დღეს აბაკუმის კაცი გერასიმე შაპოშნიკი კრემლში ივანე დიდის ტაძრიდან ხალხში მეამბოხურ წერილებს ავრცელებდა, ხოლო იანვარში, წყალკურთხევის დღეს, მეამბოხეებმა ისევ მიმოაბნიეს ფურცლები მეფესა და პატრიარქის თვალწინ — ესეც არ იკმარეს, კრემლის ეკლესიებსა და ტაძრებშიც შეიპარებოდნენ ხოლმე და ეკლესიის ხატებსა და მეფეების კუბოებს კუპრით თხუპნიდნენ. ფუი, ფუი, ღვთის გარეგნები!

საეკლესიო კრებამ პატრიარქ იოაკიმის მითითებით დაადგინა, ოთხიევ პუსტოზერსკელი პატიმარი სიკვდილით დაესაჯათ... „სისხლის დაუღვრელად“, ესე იგი, დაეწვათ, რომ შემდგომში აღარასოდეს გაჭაჭანებულიყო რუსეთში ცეცხლის გამჩაღებელი წერილები, რომლებიც ხალხში მხოლოდ ცდუნებასა და შფოთს თესდნენ.

ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ბრბო წარბებს ქვეშოდან ავი თვალით კი იცქირებოდა, ხელის გამოღებას ვერ ბედავდა. სურვილი დაუკარგეს. რა არ უნახავს ხალხს; ისიც, თუ როგორ მიჰყავდათ იმავე პუსტოზერსკში სოლოვკიდან ბორკილდადებული რაზინელები, როგორ მიათრევდნენ ხალხს და მათსავე თანასოფლელებსაც ფეხებზე ბორკილებს როგორ ადებდნენ...

ინათა თუ არა (მზე არ ამოსულა, ეს იყო, იმიერპოლარეთის ბარგალიტისფერმა სინათლემ თოვლი გააქათქათა), ლეშუკოვისა და სტრელეცების ცხენები ჩაქჩაქით გაუყვნენ ქარით გადაწმენდილი პეჩორის ყინულს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ჩრდილოეთის დაბალი ტყე მალე ჩაათავეს და ბოლოს პუსტოზერსკში — ტუნდროვან, სუსხიან, უტყეო ადგილზეც ჩაღწიეს...

* * *

ქალაქში განიასი იდგა. დიდი თუ პატარა ციხე-გალავნის მოედანს მიაწყდა, გაყინულ ნიკოლკაზე შეგროვდა და თვალს არ აშორებდა ალაყაფის კარს, რომლის წინ შინდისფერ ხიფთანებში გამოწყობილი სტრელეცები ბოლთას სცემდნენ. არც მაცხოვრის, არც გამოცხადებისა და არც ნიკოლსკის ეკლესი-

ებში წირვა არ ტარდებოდა. რაბათის საეკლესიო რიგი მთლად დაცარიელდა, თუმცა ასეთი ხალხმრავლობა პუსტოზერსკს არ ახსოვდა. აქ ათას ხუთასამდე მართლმადიდებელი და ნენეცი ცხოვრობდა, ამდენივე ჩამოვიდა პეჩორისპირა ოციოდე სოფლიდან, დიდი და პატარა ტუნდრიდან. ზოგს სანახაობის ზეიმურობა იზიდავდა, ზოგი — მსჯავრდადებულთა თანამოაზრენი — იმისთვის მოვიდა, რომ ლეგენდად ქცეული აბაკუმის უკანასკნელი სიტყვა მოესმინა.

მარტო მოსმენა ეწადათ? ლეშუკოვი და პუსტოზერსკის ვოევოდა ანდრიან ტიხონოვიჩ ხონენევი შიშით აღარ იყვნენ. მანამდე ბევრი ითათბირეს, სტრელეცები როგორ ჩაერიგებინათ, რომ ხალხს მსჯავრდადებულთა განთავისუფლება არ დაეპირებინა. სტრელეცები ცოტა ჰყავდათ: ქალაქის ერთი ასეული გარნიზონი და ათიც ლეშუკოვთან ერთად ჩამოსული კაცი. ხალხის სიმრავლეს კაპიტანი თავისი თავის მეტს ვერავის დააბრალებდა — მეზენში მთვრალს უნებლიეთ წამოსცდა, რისთვის მიიჩქაროდა პუსტოზერსკში, მერე კი, რაკი ერთი გავარდა ხმა, საქმეს რაღა ეშველებოდა.

ნირწამხდარი ვოევოდა შეშინებული გახედავდა ხოლმე მეფის მცველსა და სტრელეცთა კაპიტანს. კეთილისმსურველებმა ალბათ უკვე ჩაუკაკლეს, როგორ ძარცვავდნენ მსახურეულნი ვაჭრებსა და მრეწველებს. რომ ეგონათ, „ღმერთამდე შვიდი ცაა, მეფემდე ცხრა მთაო“, შეცდნენ. აგერ, მობრძანდნენ... აგერ ახლახან სტრელეცმა ომელკა მიკიტინმა მოინდომა გონს მოეყვანა ამხანაგები, მტყუანსა და მართალს ერთნაირად რომ ყვლეფდნენ, მაგრამ იმდენი სცემეს, ლამის სიკვდილის პირას მიიყვანეს. სტრელეცები ამაზე კრინტს არ დაძრავენ. ომელკა ცოტა ხნით გადამალეს, იქაურობას გაარიდეს. ვაჭრებთან კაპიტანს არაფერი ესაქმებოდა... ოღონდ კი ბრბომ რამე არზა არ შეაჩეჩოს ხელში. ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოიბას.

მოღუშული ლეშუკოვი სკამიდან წამოდგა.

— ასისთავს უხმეთ!

ვოევოდა კარებთან დინჯად მივიდა და სტრელეცს უბრძანა, ასისთავი მომგვარეო, იგი მაშინვე ეახლა, თითქოს კარს უკან მდგარიყოს.

— ძელური მზადაა? — ჰკითხა მას ლეშუკოვმა.

— ჯერ კიდევ გუშინ გავამზადეთ, ოთხი ალშინი ოთხზე... — ენის ჩლექით უპასუხა ასისთავმა.

— ხალხი რას ამბობს?

— ლაღას ალ ამბობენ... წმინდანი უნდათ დასაჯონო. აბაკუმზე ამბობენ. სასწაულს ელიან...

— სასწაულს? წმიდანიო? — გააწყვეტინა ასისთავს სიტყვა ლეშუკოვმა. აი სიგელი. მეფის კარის უსაზომო შეურაცხყოფისათვის სჯიან. მაგნაირ ავაზაკზე წამება ახია. რაბათში უთხარი, ენა დაიმოკლონ. ასეთი ლაყბობისათვის „სიტყვა და საქმეა" ნაბრძანები.

ასისთავი მოიკაკვა და კარისკენ გაიძურწა.

ლეშუკოვი და ხონენოვი ეოეოდას ფუნდუკიდან რომ გამოვიდნენ, მსჯავრდადებულნი უკვე ციხის ვალავანთან გამოეყვანათ და გარს სტრელეცები შემორტყმოდნენ. ბნელ ძელმიწურებში ჯდომისაგან აცრემლებულ, დაწითლებულ თვალებს სინათლეზე ძლივსღა ახელდნენ.

— გამოემშვიდობეთ ერთმანეთს! — ბრძანა ლეშუკოვმა.

ტუსაღები სიკვდილისათვის ემზადებოდნენ, ყველაფერი გასცეს, რაც გააჩნდათ, მათ შორის წიგნებიც. სუფთა პერანგები ეცვათ, მაგრამ მათი ცქერა მაინც შემზარავი იყო — გამხმარი, წაკვეთილი ხელები უსიცოცხლოდ ეკიდათ, უენო პირით რაღაცას ჩიფჩიფებდნენ. მხოლოდ აბაკუმს ჰქონდა ენა შერჩენილი.

აბაკუმი თევდორეს მიუახლოვდა, პირჯვარი გადასახა და თავი მხარზე დაადო:

— მომიტევე, თევდორე, შემინდვია შენთვის ცოდვები აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. მხოლოდ ღმერთია უცოდველი, ადამიანი კი უძლურია.

შემდეგ ლაზარეს გადაეხვია. მერე ეპიფანესთან მივიდა.

— დამლოცე, მამაო.

ლაზარეს, რომელსაც მათ შორის ყველაზე მეტად უყვარდა ხორციელი სიამენი და სხეულს პატივს არ აკლებდა, თვალებში შიში ჩასდგომოდა.

— ცეცხლისა გეშინია? — უთხრა აბაკუმმა, — მედგრად იყავ, ფეხებზე დაიკიდე, იუ შეკრთები, საშიში მანამდეა, სანამ ცეცხლში შეხვიდოდე, მერე კი ყველაფერი დაგავიწყდება, ცეცხლი სხეულს შეეჯამს, სულს კი არ მიეკარება. მთავარია

ცეცხლში შესულმა ცოტა ხანს გაუძლო, თვალის დახამხამებას ვერც მოასწრებ, რომ სული განთავისუფლდება. შენ თვითონ არ სთხოვდი ხელმწიფეს, ღვთის სამსჯავროზე ცეცხლში შემიშვიო? ეუბნებოდი — თუ დავიწვები, ახალი წიგნები ყოფილა ჭეშმარიტი, თუ არა და, ჩვენი მამა-პაპური ძველი წიგნებიო...

ციხე-ქალაქის გასასვლელისაკენ პირველი აბაკუმი გაემართა. სტრელეცების ჩექმებქვეშ თოვლი აპრაჭუნდა, გალავნის კარის გასაღებად რომ დაფაცურდნენ. გალავნის იქით, ქვემოთ, თავების ზღვა გამოჩნდა, კიდევ უფრო შორს — ეკლესიის გუმბათები და ქოხების დამრეცი სახურავები...

რაზე ფიქრობდა აბაკუმი იმ წუთებში, ცეცხლში ტანჯვაწამებასა და სამარადისო განსვენებამდე რომ დარჩენოდა? თავის თანამეცხედრესა და შვილებზე, შორეულ გადასახლებაში რომ ითოშებოდნენ... მეგობრებსა და მტრებზე, თავის ამქვეყნიურ განსაცდელზე...

შეიძლება წამით მშობლიური სოფელი გრიგოროვოც გაახსენდა, სადაც ალბათ უკვე გაზაფხული იდგა, მზე აცხუნებდა. მალე იქ ყველაფერი მწვანეში გაეხვევა, როგორც იმ გაზაფხულზე, როცა აბაკუმსა და ობოლ ნასტასიას ერთმანეთი გულში ჩაუვარდათ და დედის ლოცვა-კურთხევის შემდეგ ქორწილიც გადაიხადეს. მაშინ აბაკუმი ჩვიდმეტი წლისა იყო, ნასტასია — თოთხმეტისა. ეკლესიიდან გამოსულებს მაჭანკალი სელის თესლს აყრიდა თავზე, სხვები ნასტასიას კაბის სახელოზე ეჭაჩებოდნენ, თითქოს უნდოდათ ნეფესთვის მოეცილებინათ. ის კი მაგრად ეკვროდა თავის რჩეულს. როცა ყველანი სუფრას მიუსხდნენ, ჩვეულებისამებრ, ნეფე-დედოფალი პირველი ღამის გასატარებლად საბძელში გაისტუმრეს, რომ ჭერი შიწისა არ ჰქონოდათ და საძინებელი სამარეს არ ჰგვანებოდა. ნასტასიამ ქმარს სწორედ ის ჩექმა გახადა, რომელშიც მონეტა იყო დამალული — ამ მონეტას მისთვის ცოლქმრულ ცხოვრებაში ბედნიერება უნდა მოეტანა. პირველად ღლაბუცი დაიწყეს და საბძელში მტვრის კორიანტელი დააყენეს, ერთმანეთს ლეკვებივით დასდევდნენ, ხოლო როცა მათი ბაგენი კოცნამ შეკრა, უცებ დადუმდნენ, რაღაც შიშნეულად გაირინდნენ...

„ვაი, ჩემო ნასტასია! ჩემო გვრიტო, ჩემო მზეო, ცისქვეშეთში მთელ სამყაროს რომ ანათებ. ვინ მოთვლის რამდენი სიკეთე მოგიტანია ჩემთვის. ნეტავ, ცოცხალი თუ ხარ!“

მაღე ვოლგაზე ყინული დაიძვრება, წყალი ზედ მაკარის მონასტრის კედლებს მიადგება, სადაც აბაკუმი საღვთო წერილის ცხოველ წყაროს, წიგნიერებას დაეწაფა ნიკიტა მინინთან ერთად — შემდეგში პატრიარქ ნიკონად რომ იწოდებოდა. წყეულიმც იყოს — დიდცხვირა და ღიპიანი, წუწკი ხვადი.

ეს არის მათთვის ყველა აჰქვეყნიური ბოროტების სათავე. მაგრამ რა გაეწყობა. აბაკუმი უკვე გამოეთხოვა ამ წუთისოფელს და ის თავანკარა რუსული ენით თავის „ცხოვრებაში" აღწერა. მის სიტყვებს ახლა ველარ შეაჩერებ, ისინი ტანჯულ რუსეთში დადიან და ადამიანთა სულებში პოულობენ ბინას...

მდუმარე, აღელვებული ბრბო მძიმედ სუნთქავდა. ოთხივე მსჯავრდადებული გაატარეს წრედ დამდგარ ხალხში, რომელსაც შუბნაჯახებითა და ჩახმახიანი სიათებით შეიარაღებული სტრელეცები აკავებდნენ.

აბაკუმი, ეპიფანე, ლაზარე და თეოდორე დაბალ, უსახურავო ძელურში შეიყვანეს, კუთხეებში მიაბეს, შუაში ფიჩხი, შეშა, არყის ხის ქერქი დაყარეს და ცეცხლი წაუკიდეს. ქარმა ალი აიტაცა და მაღლა ატყორცნა. ხალხმა თითქოს დაინახა ცეცხლში ზეალმართული ხელი და აბაკუმის ბოლო სიტყვებიც გაიგონა:

— მედგრად იდექით, უკან არ დაიხიოთ, დაიხოცენით მამაპაპათა ნაანდერძევისათვის! თუ უკან დაიხევთ, ქალაქი თქვენი დაიღუპება და ქვიშა დაფარავს, ხოლო თუ ქალაქი დაიღუპა, მაშინ სამყაროს აღსასრულიც დადგება!..

ხალხმა ქუდი მოიხადა.

ამ ამბის მომსწრეთა ნაამბობი სადღაც ისტორიაში ჩაიკარგა. ადამიანები გულმავიწყნი არიან, შეიძლება დროც არ ჰქონდათ წარსულის აღსადგენად, საიდანაც ჩვენამდე აღწევს მოწამეთა კვნესა და გოდება. ადამიანები მომავლის რწმენით ცოცხლობენ, თუმცა არ იცნობენ მას, მაგრამ უკეთესი მერმისის იმედი აქვთ და სამართლიანობის გაბატონებისათვის იბრძვიან. ოცნება — ეს სიტყვაა. პირველად იყო სიტყვა... იყო სულ სხვა ოცნებები, სხვა წარმოდგენა სამართლიანობაზე, სხვა სიტყვები. მაგრამ საკუთარი რწმენისათვის ბრძოლაში შეუდრეკელობა ნიმუშად დარჩა და იგი ჩვენამდე სწორედ დიდმა სიტყვამ მოიტანა.

1

ამ წიგნის წერას ჯერ კიდევ ათი წლის წინ შევუდექი, მაგრამ დავიწყებდი ცალკეულ თავს, ეგ კი არა, ვამთავრებდი კიდეც და ძაინც უკმაყოფილო ვიყავი დაწერილით. ასეთ დროს მუდამ სხვა წიგნებს ვკიდებდი ხელს, ეწერდი, ვამთავრებდი და ვბეჭდავდი კიდეც. მუალედებში კი მაინც მიზიდავდა ის, რასაც ახლა ვწერ. თითქოს რაღაც სენი შემეყარაო... სტრიქონები ჩრდილივით დამდევდნენ და რაღაც მანქანებით თითქოს თავისთავად იხატებოდნენ ქუთუთოებზე, ღამითაც, როცა დაძინებას ვლამობდი და დილითაც, ჯერ კიდევ ძილში ყოფნისას, დაწყებული წიგნის მთელი ეპიზოდები მელანდებოდა, ამ ეპიზოდებში მე თავად ვმონაწილეობდი; ხან ჯაჭვის პერანგი მეცვა, ხან ბერის კაბა, ხან გრძელკალთება ხიფთანი, ხან კი — თანამედროვე კოსტიუმები. ამ ბურანში ვწერდი და ყოველი დაწერილი ასო დიდხანს ანათებდა, როგორც ანათებს ხოლმე ელექტრონათურის სპირალი, თუ ჯერ ანთებულს შეხედავ და მერე უცებ თვალებს დახუჭავ. მაგრამ ყველაფერი ეს რაღაც ფრაგმენტული იყო, დაწყვეტილი, რასაც სასოწარკვეთილებამდე მივყავდი, ავად მხდიდა, სულით ვეცემოდი, უძილობა მკლავდა. ვწყევლიდი იმ დღეს, როცა ეს განზრახვა ამეკვიატა. ახლა ვხვდები, რომ განზრახვა კი არ იყო, არამედ იდეა, მტანჯველი, უნაყოფო იდეა, რომელზეც უარის თქმა აღარ შემეძლო, თავმოყვარეობის, თუ გნებავთ, სიკერპის, სიჯიუტის გამო, რაც გინდათ, ის უწოდეთ.

ჯერ კიდევ არ ვიცი, დავამთავრებ თუ არა ამ წიგნის წერას. იქნებ მეც ისე დამემართოს, როგორც ვლადიმერ ივანოვიჩს; თავისი ცხოვრების უმთავრეს ნაშრომს ერთ წიგნში ვერა და ვერ მოუყარა თავი. სულ აპირებდა ასეთი წიგნის დაწერას და ამაზე ყველას სათითაოდ დაწვრილებით უამბობდა. არა. ასე არ ვარგა — აუცილებლად რაღაც ზედმეტი დაგცდება, მასალას შენთვის ფასი დაეკარგება და ნახავ, რომ დასაწერი აღარაფერი გქონია... აღარ გაინტერესებს. შენს ცოდნასაც დასამარება ელის, ლიტერატურულ არყოფნად იქცევა. მიზეზი კი ისევ და ისევ მერყეობაა, რომელსაც ზოლად ამართლებენ ხოლმე, ვაითუ სრულყოფილი რამ ვერ შევქმნაო. ნათქვამია — კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდებისო. მართლაც

ასეა? ერთს ნიჭი ჰქონდა მომადლებული, მაგრამ მიწაში ჩამარხა, ძლივს გაბედა იმ ნიჭიდან მცირედის გამოყენება; მეორეს შაურის ტვინი აქვს, მაგრამ ათშაურისას დაწერს, თავის ნიჭს ათასი პროცენტით გამოიყენებს და წმინდა ადგილის სიცარიელეს თვითონ ამოავსებს. ამას საწყენად როდი ვამბობ — შრომისმოყვარეობას და ფხიანობას წახალისება სჭირდება, რამეთუ ისინი წარმოადგენენ პროგრესის ჭეშმარიტ მამოძრავებელ ძალას.

2

ნევა ღელავდა. მღვრიე, თითქმის შავი ფერის მდინარე გრანიტით მოპირკეთებულ ნაპირს ეხეთქებოდა და თეთრი ქაფით იფარებოდა. ქარი შხეფებს იტაცებდა, მდინარის თავზე გადაატარებდა და მერე მტვერივით ფანტავდა, ეს მტვერი პალტოს ნაცრისფერ ფიფქებად ედებოდა, პირისახეს სუსხავდა.

ვასილის კუნძულზე თითქოს სიცივისაგან გათოშილი იდგა ბირჟის შენობა. მის არქიტექტურას მცხუნვარე მზე უფრო მოუხდებოდა, დაუდევრად ჩაცმული ძველი ბერძნები, შენობის აუარება სვეტებს შორის რომ აირეოდნენ და ათასნაირ სურსათ-სანოვაგით ვაჭრობას გააჩაღებდნენ... ბირჟის იქით ყვითლად მოჩანდა საბაჟო. მერკურის, ნეპტუნისა და ცერერას სპილენძის ქანდაკებები, ვაჭრობის სიმბოლოები, სრულიად შეუფერებელი სამკაული გახლდათ იმ შენობისა, რომელსაც დღეს პუშკინის სახლი, ანუ სხვაგვარად — მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტი ეწოდება.

იქ, სქელი კედლების მიღმა ხელნაწერი წიგნები ცხოვრობენ, მათგან ზოგიერთი თვით ამ კედლებზე ხნიერია, იმ ქვებზე, ინგერმანლანდის ჭაობზე პეტრე დიდის ბრძანებით რომ შემოზიდეს. ქვა რომ ქვაა, ისიც ვერ უძლებს ჟამთასვლას, კლიმატის, ადამიანთა გულგრილობის დამანგრეველ ძალას. სათუთი წიგნების გადარჩენა კიდევ უფრო ძნელია იმიტომაც, რომ მათ ქვასავით დუმილი არ სჩვევიათ. წიგნებმა მოიტანეს ჩვენამდე მამა-პაპათა ხმები, მათი რწმენა უზენაესი სამართლიანობისადმი, მათი ვნებანი. წიგნებს ჩვენი წინაპრების ხელების სითბო შემორჩენიათ.

ალბათ ამიტომ არის, რომ ყოველთვის, როცა წიგნებს

ტყავის ყდას ხელს შევავლებ, უცნაური ჟრუანტელი მიელის ხოლმე. ეს გრძნობა წინასწარ მეუფლება, როცა ნესტიანი სანაპიროდან შევუხვევ, მძიმე კარს შევაღებ და ძველი წიგნების შეუდარებელი სუნით გაჟღენთილ თბილ ჰაერს შევისუნთქავ. მე ისიც ვიცი, რომ დღეს მოხდება რაღაც დაუჯერებელი. ამისათვის შემამზადა მოსაწვევმა ბარათმა, რომლის ტექსტი ისე იყო შედგენილი, რომ უზომო ცნობისმოყვარეობა აღმიძრა.

აი, ისიც, ღია ბარათის გამომგზავნი — ბოლო ოთახში წიგნების გროვასთან ზის და სათვალიდან მიცქერის.

ვლადიმერ ივანოვიჩი პირდაპირ, ზედმეტი სიტყვის უთქმელად საქმეზე გადავიდა. რკინის ყუთი გამოაღო და იქიდან პატარა წიგნი გამოიღო, რომელსაც ირმის ნატგადაკრული ყდა უპრიალებდა.

— აი, „ცხოვრება"... აბაკუმისა; ავტოგრაფი!..' — წარმოთქვა მღელვარებისგან ჩახლეჩილი ხმით.

3

სიჭაბუკეში ვლადიმერ ივანოვიჩს ლიტერატორი უნდოდა გამხდარიყო. მყუდრო, წყნარი ნაროვჩატიდან ხალხმრავალ ლენინგრადში რომ ჩამოვიდა, თავისი კუთხე არ ჰქონდა, მაგრამ ცხოვრების უკმაყოფილო როდი იყო, სამაგიეროდ, სწამდა, რომ განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. ახლა რომ ვფიქრობ, სწორედ ამ ორი თვისების წყალობით შეძლო მან ცხოვრებას შეჰგუებოდა და ღირსეულადაც გაეტარებინა იგი. თუმცა ამას მისთვის ბედნიერება კი არა, კმაყოფილებაც არ მოუტანია. მასში საოცრად იყო შერწყმული მეცნებეობა და ფხიზელი აზროვნების უნარი. საქმით უსაზღვრო გატაცება ხელს არ უშლიდა, ყოველივეს რეალურად მიდგომოდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ხანდახან დაუძლეველი სევდა შეიპყრობდა. ასეთ დღეებში ტელეფონს გამორთავდა და გარე სამყაროსთან ურთიერთობას წყვეტდა ხოლმე. არავის ძალუძდა ამ ნაღვლიან წუთებში მისი აზრები ამოეცნო და მაშინ ხდებოდა კონფლიქტები, გამოწვეული მისი რაღაცნაირი გამოუცნობი წყენითა და გულისტკივილით. იგი უცებ ისეთ შარიანობას იწყებდა, ისეთ აბეზარ ხასიათს ამჟღავნებდა, ისეთ სულთამხუთაობას იჩენდა, რასაც ჩვენს დროში დიდი ძალაუფლებით აღჭურვილ ადამიან-

საც კი ვერ ვაპატიებთ. მას არც ჰქონდა ძალაუფლება. სამაგიეროდ უაღრესად კეთილი იყო და რამდენადაც თითქმის ყველას, ვისაც მასთან საქმე სჭერია, ეს სიკეთე ხშირად პირადად უგრძნია, მის გაბრაზებას ისე იღებდნენ, როგორც სრულიად მისატევებელ ახირებულობას.

საკუთარ ბინაში ტელეფონის გამოთიშვის შესაძლებლობა ვლადიმერ ივანოვიჩს ძალიან გვიან მიეცა, ორმოცდაათი რომ შეუსრულდა. მანამდე კი, როგორც ამბობდნენ, მრავალი წლის მანძილზე ერთ ვიწრო ოთახში ცხოვრობდა. ამ ოთახის ერთადერთი ფანჯარა სახლებს შორის ჭასავით მოქცეულ ეზოში გადიოდა, რომელიც ნათელ, მზიან დღეებშიც კი უფერული და ჰირქუში რჩებოდა.

ახალ ბინაზე ზრუნვა თავისი კეთილდღეობისათვის არ დაუწყია. იგი დედამისზე ფიქრობდა. ვლადიმერ ივანოვიჩი დედას ეძახდა დედინაცვალს — ალექსანდრა ალექსანდროვნას. ღვიძლი დედა რომ მოუკვდა, სამი წლისა იყო. მამამ მალე ჯვარი დაიწერა ალექსანდრა ალექსანდროვნაზე — კრეისერ „ვარიაგის“ ექიმის ქვრივზე, მაგრამ მშიერ ოცდაერთში პირველ ცოლს უკან მიჰყვა და ორი ქორწინების შემდეგ დარჩენილ შვილებზე ზრუნვა მეორე მეუღლეს უანდერძა.

მორდოვულ სოფლებს შორის ჩაკარგული პატარა, რუსული ქალაქი ნაროვჩატი გარეგნულად თვითონაც დიდად არ განსხვავდებოდა სოფლისაგან, მით უფრო, რომ ნაროვჩატელთა უმრავლესობა ხვნა-თესვას მისდევდა და ცხაურებსა და კასრებს ამზადებდა. იმ უმოსავლო წლებში ცხაურებსა და კასრებზე დიდი მოთხოვნილება არ იყო, მტვრიან გზებზე მოწანწალე გაძვალტყავებული ადამიანები დროდადრო ნაროვჩატშიც შემოეხეტებოდნენ და მოწყალების მოლოდინში ჭიშკრებთან საათობით იდგნენ ხოლმე. საჭმელი თვითონ ქალაქელებს არ ჰქონდათ და ალექსანდრა ალექსანდროვნა გულის კანკალით მიაკითხავდა თავის მარაგს — რამდენიმე საწყაულ ჭვავსა და კარტოფილს. თუ ჭიშკარს ბავშვები მოადგებოდნენ, იგი აცახცახებული თითებით სათიოთოდ არჩევდა კარტოფილს და ბავშვებს გამხმარ, ჭუჭყიან, ჩონჩხად ქცეულ ხელებში უდებდა, თან ქურდულად, ცალი თვალით საკუთარ ჯალაბობისკენ იცქირებოდა. შინ რომ დაბრუნდებოდა, ხატის წინ დაემხობოდა, ღვთისმშობლის თვალებს ჩააცქერდებოდა — მოსარჩლეობას

ეეედრებოდა თავის ყოელისშემძლე ძესთან, ემუდარებოდა, სახარების სასწაული გაიმეორე, ათასობით მშიერი რამდენიმე კარტოფილით გააძღეო...

ხანი რომ გამოხდა, მდგომარეობა ცოტა შეუმსუბუქდათ. ცამეტი წლის ვალოდია მალიშევმა ზეთის სახდელში დაიწყო მუშაობა: ცხენებს ერეკებოდა, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავდათ მარტივი ტექნიკა. საღამოს გასამრჯელოს აძლევდნენ — ბოთლში კანაფის თბილ ზეთს უსხამდნენ. ზეთს ისეთი სასიამოვნო სუნი ჰქონდა, რომ მთელი სიცოცხლე დაამახსოვრდა და, როცა ლენინგრადის ბლოკადის დროს ხანდახან გაახსენდებოდა, მშიერ კუჭზე კრუნჩხვები მოსდიოდა.

ვლადიმერ ივანოვიჩს უყვარდა ლაპარაკი მშობლიურ ნაროვჩატზე, რომელიც ისტორიულად არაფრით არ იყო ცნობილი. მამაის დროს იმ ადგილებში ოქროს ურდოელი მთავარი ტოგაი დასახლდა. „და თავი ნაროვჩატის მხარის მთავრად დაიდგინა". ქალაქი რამდენიმე საუკუნით გვიან აღმოცენდა და რუსული ლიტერატურის ისტორიაში იმით შევიდა, რომ იქ დაიბადა კუპრინი.

კუპრინისა არ იყოს, ვლადიმერ ივანოვიჩსაც უყვარდა ნაროვჩატი და ხშირად ჩადიოდა ხოლმე იქ; მოსწონდა ღრანტეებით დასერილი ველი, ქალაქს გარს რომ შემორტყმოდა; ძველი ქოხმახები, რომელთა ფანჯრებს მოჩუქურთმებული თამასები ამშვენებდა, ვეებერთელა თელები პატარა მდინარე შელდაისის ნაპირზე. ჯერ კიდევ სტუდენტმა ამ სიყვარულის გამო სცადა ემიგრაციიდან დაბრუნებულ კუპრინს სწვეოდა და მიაღწია კიდეც საწადელს, მაგრამ მოხუცი მწერალი ისე დაუძლურებულიყო, წერილმანები ვეღარ გაიხსენა.

— ნაროვჩატი... — თქვა მან და თავი დაუქნია, — სამშობლოში ყვავილებსაც კი სხვანაირი სუნი აქვთ...

კუპრინი თავის დიდ სამშობლოზე — რუსეთზე ფიქრობდა.

იგი სულ სამოცდარვა წლისა იყო, როცა გარდაიცვალა, მაგრამ უცხოობაში გატარებული ყოველი წელი ხომ ორს უდრიდა. ნამდვილ რუსს უსამშობლოდ ცხოვრება არ შეუძლია. იგი მხოლოდ სულდგმულობს და დარჩენილ წლებს ითვლის...

ვლადიმერ ივანოვიჩი თავის პატარა სამშობლოს — ნაროვჩატს ჩვიდმეტი წლისა გამოეთხოვა და ლენინგრადს მიაშურა. ალექსანდრა ალექსანდროვნამ გერი დალოცა და საგზლად ღვე-

ზელი გაატანა. სადგურ სამაევკამდე თხუთმეტი ვერსი ვლადიმერ ივანოვიჩმა ფეხით გაიარა.

ოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგ მან ოროთახიანი იზოლირებული ბინა მიიღო ვიბორგის მხარეს, ტორჟსკოვსკის ქუჩაზე, ბლოკით ნაგები ხუთსართულიანი სახლის მესამე სართულზე. ბინას ჰქონდა აივანი და ცალკე სანიტარული კვანძი. ჩვენი ყოფის ეს სიტყვები თავისთავად ჩამოყალიბდა პატარა, მაგრამ საკმაოდ პოპულარულ შედევრად და იგი არაფრით ჩამოუვარდება სხვა პროზას, თუნდაც გარითმულს.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ლენინგრადში ჩამოიყვანა ალექსანდრა ალექსანდროვნა — ზანტი, მსუქანი, კეთილი და ტკბილმოუბარი ქალი. მათ ოჯახში სტუმრად იყვნენ ხოლმე ცნობილი უცხოელი მეცნიერები, საბჭოთა აკადემიკოსები. მოხუცი ქალი მათ ჩუმ აღფრთოვანებას იწვევდა თავისი ენაწყლიანობითა და გონიერებით. ალექსანდრა ალექსანდროვნამ კიდევ ხუთ წელიწადს იცოცხლა მშვიდად და წყნარად ვლადიმერ ივანოვიჩის თაყვანისცემითა და მისი მეგობარ-მოწაფეების პატივისცემით მოცულმა.

„დედაჩემი ძალიან დაუძლურდა (ოთხმოცდაექვსი წელი შეუსრულდა) და მისი მარტო დატოვება მეშინია. იგი ჩემი უკანასკნელი კენჭია ამ ქვეყანაზე და ამიტომ ძალიან ძვირფასია ჩემთვის", — მიაწერა ვლადიმერ ივანოვიჩმა ერთხელ საქმიან წერილს.

ალექსანდრა ალექსანდროვნა რომ გარდაიცვალა, ყველას შეეშინდა, ვლადიმერ ივანოვიჩი ჭკუიდან არ შეიშალოსო. იგი გულამომჯდარი ქვითინებდა და ყველას გაოგნებული თვალებით შესცქეროდა, ვერავის სცნობდა. შემდეგ გულჩათხრობილი გახდა, სიტყვაძუნწი, ტელეფონი თითქმის სულ გამოთიშული ჰქონდა — აღარ შეეძლო დარდის ამშლელი სამძიმრების მოსმენა.

ბინაში ყველაფერი ისე დარჩა, როგორც ალექსანდრა ალექსანდროვნას დროს იყო. მოზრდილ ოთახში, თეჯირს იქით უწინდებურად იდგა მისი ფართო მონიკელებული საწოლი. კუთხეში ეკიდა ხატი და მბჟუტავი კანდელი, ფანჯრის რაფებზე ყვავილებიანი ქოთნები იყო ჩამწკრივებული და სულ იდგა სარწყავი ჩაიდანი. მომცრო ოთახში ვლადიმერ ივანოვიჩმა სამუშაო კაბინეტი მოიწყო, სადაც, როგორც ყველა კაბინეტში,

წიგნის თაროები ეკიდა და საწერი მაგიდა იდგა. აქ საინტერესო მხოლოდ წერილების აღრიცხვის ჟურნალი იყო. ვლადიმერ ივანოვიჩი დღეში ბარე ათ წერილს წერდა; სწერდა გლეხებს ქვეყნის ყველა კუთხეში, აკადემიკოსებს, მწერლებს. თუ პასუხს დროზე არ მიიღებდა, ჟურნალში შეამოწმებდა წერილის გაგზავნის თარიღსა და საქმეს, რის შესახებაც წერდა, მერე კი შესახსენებლად ღია ბარათებს სეტყვასავით მიაყრიდა ადრესატებს. მე შენახული მაქვს ექვსი ასეთი ღია ბარათი, რომლებიც მან ერთ თვეში გამომიგზავნა.

ოჯახურ წესრიგზე ამ გამოუსწორებელ მარტოხელას თავისი განსაკუთრებული შეხედულება გააჩნდა. არავის არ ჰქონდა უფლება, რომ საფუძვლიანი დალაგების დროსაც კი ნიეთი აეღო და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეტანა. ნებისმიერი გადაადგილება ნერვებს უშლიდა და შემდეგ კარგა ხანს ვერ მშვიდდებოდა. აბაზანა ექსპედიციისათვის საჭირო ნიეთებით ჰქონდა გატენილი, თვითონ მხოლოდ აბანოს ცნობდა, ვინაიდან არყის ხის ცოცხისა და ორთქლის სამკურნალო თვისებები სწამდა. არაყს ღვიის განსაკუთრებულ გირჩებზე აყენებდა. მისი საყვარელი საჭმელი „სოლოვეცური ფაფა“ იყო — მოხრაკული ხახვით შეკაზმული ჩვეულებრივი ფეტვის ფაფა. მახსოვს, ერთხელ მე და ჩემი ცოლი ოსპის შეჭამანდზე დაგვპატიჟა. ეს საჭმელი ფართოდაა ცნობილი... ლიტერატურულ წყაროებში.

იმ საღამოს თითქმის გამოუსწორებელი რამ მოხდა.

ჩვენ სამზარეულოში ვეახშმობდით. ჩემს ცოლს მარილი დასჭირდა, მან სამზარეულოს ბუფეტის კარი გამოაღო და გაოცებულმა, ვაიმეო, წამოიძახა. ბუფეტის თაროები სავსე იყო ბურღულის პაკეტებითა და ათასგვარი სხვა საბაყლო ნაწარმით. მაგრამ უნდა გენახათ, რა სანახავი იყო ყველაფერი ეს! პაკეტები დამპალიყო, დახეულიყო, რაც შიგ ეყარა, დროსა და მავნებლებს გაეფუჭებინა და მტვრად ექცია...

იშვიათად, რომ ქალი გულგრილი დარჩეს ასეთი უწესრიგობისადმი, მით უფრო, თუ დახმარება მარტოხელას სჭირდება. როცა მე და ვლადიმერ ივანოვიჩი კაბინეტში გავედით, ჩემმა ცოლმა მკლავები დაიკაპიწა და ბუფეტის დალაგება დაიწყო — პაკეტები გადაყარა, თაროები მოასუფთავა და სველი ჩვრით გაწმინდა.

ორი დღე ტელეფონის ყურმილში გრძელი ზუმერი ისმოდა. ვლადიმერ ივანოვიჩი ან შინ არ იყო, ან ტელეფონი ჰქონდა გამორთული. არც სამსახურში იცოდნენ, სად გადაიკარგა. მესამე დღეს ჩვენმა საერთო მეგობარმა მითხრა:

— რაღაც ნაწყენია შენზე: მოვიდნენ და დედაჩემის ბურღული გადამიყარესო...

მხოლოდ მაშინ მივხვდი, რაც ჩაგვიდენია. ნუ მეტყვით, რომ ობროდობაა შენთვის სათაყვანებელი ადამიანის სიკვდილის შემდეგ მთელი ხუთი წელი ინახო ბურღული. ამას სჯობს ალექსანდრა ალექსანდროვნას ხსოვნისადმი მის უსაზღვრო ერთგულებაზე იფიქროთ, შვილის უზომო სიყვარულზე, უბედურებაზე, მწუხარებაზე, დარდზე, წლების მანძილზე რომ გასტანა... ნუ იტყვით, რომ ცხოვრება თავისას მოითხოვს, რომ ქვეყნად არსებობს საღი აზრი... რა შუაშია აქ საღი აზრი? საღ აზრსა და გრძნობას შორის დიდი ზღვარია.

აკი ვლადიმერ ივანოვიჩსაც ეყო კეთილგონიერება უკუეგდო ლიტერატორად გახდომის სურვილი, ახალგაზრდობის წლებში რომ აღეძრა. სანამ ჩვენს ურთიერთობას ის თარსი ბურღული გააფუჭებდა, მან ოცდაათი წლის წინანდელი ლიტერატურული ჭაშნიკი მაჩვენა — გაზეთებიდან ამოჭრილი ლექსები და მოთხრობები. მათში ჩანდა გაწაფული წიგნიერობა, მაგრამ არ იყო ცოცხალი ადამიანური სუნთქვა. მათში იყო ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნისთვის დამახასიათებელი პრეტენზიულობა, რომელიც უკვალოდ ქრებოდა, როცა იგივე ტალანტები მოდურობის ბანგს თავიდან მოიშორებდნენ და საქმეს სერიოზულად ჰკიდებდნენ ხელს. მაშინ ვლადიმერ ივანოვიჩს ვუთხარი, ეს საქმე რომ გაგეგრძელებინათ, შეგეძლოთ ბევრისთვის მიგეღწიათ-მეთქი.

— არა, — მტკიცედ მიპასუხა მან, — ეს შეცდომა იქნებოდა. მე ამას მივხვდი და წერაზე ხელი ავიღე.

მე ვლადიმერ ივანოვიჩს დავაკვირდი. მას ჩვეულებრივი სახე ჰქონდა. უნებლიეთ გავიფიქრე, ახლა რომ ის ხალხმრავალ ქუჩაში გავიდეს, ბრბო ისე შთანთქავს, მისგან აღარაფერი დარჩება-მეთქი. საშუალო სიმაღლის კაცია, ოდნავ მოშვებული, რუსული, არცთუ ისე მკაფიოდ გამოკვეთილი სახის ნაკვთები აქვს. უბრალო თხელჩარჩოიანი სათვალე ხანში შესული ქარხნის ოსტატის იერს აძლევს, როგორებიც მრავლად იყვნენ

და ახლაც არიან პიტერში... მაგრამ ხასიათი? ხასიათი როგორ-ღაც ხო უნდა გაიომეღავნდეს გარეგნობაში? ეს ხასიათი ენერგიულად მოკუმულ ტუჩებში ძეღავნდებოდა. მუდამ და-ძაბულ ჯიუტ გამოხედვაში, რომელსაც კეთილი ღიმილის მიღ-მა უცებ ვერც კი შეამჩნევდი...

ახლა, უკან რომ ვიხედები, თითქოს ვხედები, რატომ ვერ შოვახერხე ჩემი გმირის სრულყოფილი პორტრეტი დამეხატა. მე შევეცადე იგი ოჩოფეხებზე შეშეყენებინა და ასე ამეყვანა იმ გმირობის დონემდე, რაც მან ჩაიდინა. მაგრამ მისი ცხოვრე-ბის თითქმის ბლეხური უბრალოება, საუბრის მანერა, მასხე მოგონებების სიმწირე და ანეკდოტურობა მაღალ ჟანრს არ იხ-დენდა. მაშასადამე, ან გათელილი გზით უნდა მეევლო და მიღე-ბული შაბლონით სერიოზული მეცნიერის პორტრეტი დამეხა-ტა, ან... რა „ან?" სხვა გზა არ არსებობდა! ციებ-ცხელება მიპ-ყრობს, როცა წარმოვიდგენ ჩემი გმირის კოლეგების შეშფო-თებას იმის გამო, რომ სწავლულისათვის შეუფერებელი თვი-სებების დახატვით ვნება მივაყენე მის მეცნიერულ ავტორი-ტეტს. ავტორიტეტთა დაცვის ეპოქაში ეს მკრეხელურად ეღერს...

მაგრამ მე მაინც მინდა ჩემი თავიც და სხვებიც დავარწმუ-ნო იმაში, რომ ჩვეულებრივი ადამიანური თვისებები და საქ-ციელი არამარტო არაფერს ვნებს დიდ ადამიანთა ცხოვრებას, არამედ პირიქით, საოცრად უწყობს ხელს. რაც შეეხება ელა-დიმერ ივანოვიჩს, მან სწორედ თავისი მიწიერებითა და, მსუ-ბუქად რომ ვთქვათ, ოქსფორდული გაწვრთნილობის უქონლო-ბით მიაღწია ჩვენი დროისათვის დაუჯერებელ შედეგებს და მის რეპუტაციას ვეღარაფერი შებღალავს.

საქმე გაკეთებულია.

4

აზრი გამიწყდა...

მე სხვის ცხოვრებაში მოგზაურობა განვიზრახე და თხრობა დიდი ამბით — „ცხოვრების" ავტოგრაფის პოვნით დაეიწყე, რათა შემდეგ თანდათანობით ისევ მას დავბრუნებოდი. ეს სქე-მა გახლდათ, მაგრამ ცხოვრება ნამდვილი, ხალასი იყო და ამი-ტომაც ვერ მოთავსდა ჩვენ მიერ შეკრულ ჩარჩოებში.

საქმეში სიკვდილი ჩაერია.

„1976 წლის 2 მაისს გარდაიცვალა რსფსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ ივანეს ძე მალიშევი. საბჭოთა მედიევისტიკაში მას საპატიო ადგილი ეკავა, ათი წლის მანძილზე სათავეში ედგა ძველი რუსული ხელნაწერების შეგროვების საქმეს... ადრეული ყრმობის გახსენება არ უყვარდა. დაბადების თარიღს— 1910 წლის 23 მაისს — თვითნებურად იცვლიდა...

ვ. ი. მალიშევი XX საუკუნის უდიდესი რუსი შემგროვებელი იყო. მან არქეოგრაფიული მუშაობა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო. პეჩორის ქვემოწელზე მოწყობილმა ექსპედიციამ ახალგაზრდა მეცნიერს თავისი საქმის საუკეთესო მცოდნის დამსახურებული რეპუტაცია შეუქმნა.

ამ საქმეში ომმა შეუშალა ხელი...

მის მიერ ნაპოვნი ნივთების ნუსხა დიდი და დიდებულია. მან გამოაქვეყნა მეორე ნუსხა ხელნაწერისა „სიტყვა რუსეთის ქვეყნის დაღუპვაზე". მან აღმოაჩინა თქმულება XVII საუკუნის გოლიათ სუხანზე და ერთ-ერთ თავის მონოგრაფიაში მისი სანიმუშო გამოკვლევაც მოგვცა.

მას ყველაზე მეტად აინტერესებდა რუსეთის ჩრდილოეთის ძველი გლეხური კულტურა. ამიტომ ვ. ი. მალიშევმა წამოაყენა ჩრდილო რაიონების სრული და მრავალგზისი კვლევის პრინციპი...

მან შეძლო აღმოეჩინა აბაკუმის უცნობი თხზულებები, დაადგინა მისი ბიოგრაფიის ახალი ფაქტები... ამ შრომის დამაგვირგვინებელი იყო „პუსტოზერსკული კრებულის" გამოცემა (1975 წ.). მაგრამ „აბაკუმის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე", რომელსაც ვ. ი. მალიშევი წლების მანძილზე ამზადებდა, დაუმთავრებელი დარჩა.

ძველ რუსულ ხელნაწერებს ვ. ი. მალიშევი ეპყრობოდა არა ისე, როგორც სამუზეუმო ექსპონატებს, არამედ როგორც „ცოცხალ სიძველეს", თანამედროვე რუსული კულტურის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს. იგი ამ „რუსულ სიძველეთა" დაუღალავი პროპაგანდისტი გახლდათ...

ვ. ი. მალიშევი საოცრად უანგარო ადამიანი იყო. იგი თავის მოწაფეებს შთააგონებდა, რომ ხელნაწერები „თავისთვის" არ

ეძებნათ, რომ ისინი სახელმწიფო საცავებში უფრო დაცული და სპეციალისტებისათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა. ამ უანგარო მოღვაწეობისა და ერთგულების წყალობით ვ. ი. მალიშევმა შეძლო სიცოცხლეშივე შეექმნა თავისებური ძეგლი: პუშკინის სახლის სიძველეთსაცავი, რომელსაც მან 25 წლის წინ ჩაუყარა საფუძველი და რომელშიც შვიდი ათასზე მეტი ხელნაწერია თავმოყრილი".

ვ. ი. მალიშევის მოწაფეების მიერ
დაწერილი ნეკროლოგებიდან.

0

შეტევა საავადმყოფოში დაეწყო, მაისის დღესასწაულის დღეს და იქვე გარდაიცვალა. არ ვიცი საჭიროა თუ არა ამასე ლაპარაკი, მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩი სიკვდილისათვის მზად იყო. იგი ამ ცხოვრებიდან წავიდა, როგორც მიდიოდნენ პეტრემდელი ხანის ადამიანები, თავიანთ თავს ცოდვილი წუთისოფლის სტუმრებად რომ თვლიდნენ. და თუ სულის უკვდავება კეთილი ხსოვნაა, მაშინ იგი ამისთვისაც იყო მომზადებული. იგი კომუნისტი გახლდათ, მაგრამ ეს ხელს როდი უშლიდა, სულის უკვდავების რწმენა ჰქონოდა. ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ შენ მხოლოდ ხორცის ნაწილი ხარ, ყველანაირი ქიმიური რეაქციებისადმი, მათ შორის, ლპობისადმი მიდრეკილების მქონეც. დანებდი, ადამიანო! და პოეტთან ერთად შეჰლაღაღე მომავალს:

„აღმადგინე მკვდრეთით!"

თავისი ცხოვრებით ვლადიმერ ივანოვიჩი „საერთო საქმის ფილოსოფიის" ავტორს ჰგავდა და წინაპართა მკვდრეთით ჭეშმარიტ აღდგომაზე ოცნებობდა, მან სხვებზე მეტი გააკეთა იმისათვის, რომ შთამომავლობას ცოდნოდა, ვინ უნდა აღედგინა მკვდრეთით.

დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. სამოქალაქო პანაშვიდზე სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსები და თქვეს, რომ ვლადიმერ ივანოვიჩი დიდი მეცნიერი იყო, დიდი პიროვნება; ლაპარაკობდნენ გულწრფელად, მასთან უთანხმოება არც გახსენებიათ, თქვეს ისიც, რომ განსვენებულს ჰქონდა მძიმე ხასი-

ათი და სამართლიანობის გამახვილებული გრძნობა, რის გამოც ბოლომდე შეეძლო ებრძოლა...

იგი ყვავილებში ჩაფლული, ფერმკრთალი იწვა პუშკინის სახლის მეორე სართულზე, უსათვალოდ ძლივს იცნობდით. როცა დუმილის წუთი დადგა, ყველანი მიუუჩდნენ, ვინც დარბაზში იყვნენ ისინიცა და ისინიც, ვინც იქ ვერ დაეტია და სადარბაზოს კიბეების სამი მარში გაევსო. მიყუჩდა მთელი სახლი თავისი წითელი ხის ძველი ავეჯით, ბრინჯაოს მოოქრული კანდელებით, დიდი მხატვრების სურათებით, რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა პირადი ნივთებით, მათი ხელნაწერებითა და წერილებით, ძველი წიგნებით, პეტერბურგის დაარსებამდე საუკუნეებით ადრე რომ დაიბადნენ.

უკანასკნელად ერთი თვის წინ დატოვა ეს სახლი; წასვლისას ნაღვლიანად შეავლო თვალი ძველი ხელნაწერი წიგნებით სავსე მაღალ თაროებს, სეიფი გააღო, რათა თავის ყველაზე ძვირფას აღმოჩენას გამოსთხოვებოდა, რომლისკენ მიმავალი გზაც ათასობით ქალაქსა და სოფელზე, ომზე, მშობლიური ისტორიის საუკუნეებზე გადიოდა. იგი ყურს უგდებდა მხურვალე, მგზნებარე ხმებს, ჰაერს რომ აფეთქებდა და სულს აფორიაქებდა, როგორც კი მათ ტყავგადაკრული ყდებიდან გამოუშვებდნენ. ეს მან დააბრუნა ისინი არყოფნიდან, მან აიძულა ხელახლა ახმაურებულიყვნენ, აკი მას ესმოდა დღეს ყველაზე უკეთ მათი. უნდოდა, რომ ყველას მოესმინა და გაეგო ის, რაც მან მოისმინა და გაიგო, მაგრამ ძალა აღარ ეყო...

მძიმე წინათგრძნობით შეპყრობილმა ვლადიმერ ივანოვიჩმა კალენდარი თავისკენ მიიწია და კუთხეში, მთელ სიგრძეზე გაკრული ხელით მიაწერა:

„მივდივარ დაწყეველილ საავადმყოფოში!"

7

აზრი იფლითება, სისხლისაგან იცლება...

ფუ, რა კოკობზიკობაა! მაგრამ მე სიმართლე ვთქვი. აზრის უწყვეტობა ლიტერატურულ შრომას გიმსუბუქებს. ის, ვინც კითხულობს, უფრო იოლად აყოლებს თვალს რელსებივით გაბმულ სტრიქონებს, რომლებიც უწყვეტ აზრს მიჰყვებიან. განა ადვილია შეეგუო, როგორ წამდაუწუმ გაგდებენ ვაგონი-

დან და შენც არათანაბარი ნაბიჯებით შპალებს მიპყეები? შპალებს შორის მანძილი ხომ არასდროს არ არის ადამიანის ნაბიჯის ტოლი.

„ლიანდაგებზე სიარული სასტიკად აკრძალულია!"

ამ მკაცრ წარწერას თვალს ავარიდებ და გზას გაეგრძელებ. გვერდიდან კარგად გამოჩნდება როგორ მივაბოტებ. რას იფიქრებს ჩემი შემხედვარე კაცი? ან ჯერ არ უსწავლია მსუბუქი და ჩქარი სიარული, ან სიარული იცოდა, მაგრამ დაკოჭლდა, ანდა მართლა ვერ აუწყო ნაბიჯი ამ მანძილებსო...

ჩემი მოგზაურობა სხვის ცხოვრებაში გმირის გაცნობით დაიწყო. რა იყო მანამდე? ამ კითხვაზე პასუხს ვერც მის მიერ აღმოჩენილი ძველი ხელნაწერების ნუსხა გაგცემთ, ვერც მისი პირადი საქმე რამდენიმე ავტობიოგრაფიით, ვერც ნაცნობ-მეგობრები გეტყვიან რამეს. კი, ისხდნენ ხოლმე, სვამდნენ, ლაპარაკობდნენ. აღარ ახსოვთ რაზე...

მე რაღა მახსოვს?

სად გაქრა ჩემი და ვლადიმერ ივანოვიჩის საუბრები? ალბათ სადღაც ეთერში დაფარფატებენ, სადაც, ფანტასტთა თქმით, ყველა დროის ყველა სიტყვა და აზრი ინახება. შეიძლება მართლაც არსებობს ასეთი წარმოუდგენელი მეხსიერება, მაგრამ ჯერჯერობით მათ ვერ ვიყენებთ და გარდასულს უკან ვერ ვაბრუნებთ. უცნაურია. ყოველდღე რაღაცაზე ვლაპარაკობდით და სიტყვებს არ ვაფასებდით. ახლა კი ტანჯვით ვიხსენებთ. ჩვენს თაობას ყოველდღიურობა არ ახსოვს და გაოცებულია, როცა მოხუცები ოდინდელ საუბრებს სიტყვა-სიტყვით იხსენებენ ხოლმე: „მე ვუთხარი... მან კი მიპასუხა... ამაზე მე მივუგე"... ზოგი რომანი სწორედ ასე იწერება, თუ მათ ავტორებს კარგი მეხსიერება აქვთ. კითხვითაც კარგად იკითხება, სასიამოვნოდ, როგორც ბაბუას ნაამბობი, ზაფხულის საღამოს სახლის წინ სკამზე ჩამომჯდარი რომ ისმენდი. ბაღჩაში მზესუმზირა მწვანეარშიებიან გვირგვინში განაბულა და ირგვლივ ტრიალებს საამო სუნი ყვავილებისა, გრამოფონის პაწაწინა ნიჟარებს რომ ჰგვანან. მე მათი სახელიც არ ვიცი, ვინაიდან ბაღჩას ბენზინით ამყრალებული სასწაულით ჩავუქროლე. განა ბევრი დარჩა ქალაქელი, ვისთვისაც ბალახი უბრალოდ ბალახი კი არ არის, არამედ ათობით ნაცნობი და დავიწყებული მცენარეა? ევზოტიკური სახელწოდებები, იგორ სეევერიანინის

„ვიქტორია რეგიას“ მსგავსად, უფრო ადვილად გამახსოვრდება, ვიდრე შენი მშობლიური, ხასხასა მდელო, ბეტონის ზოლიდან გადმოსული მაშინვე ფეხქვეშ ხალიჩასავით რომ იგრძნობ. იგი მშობლიურ მიწას გაშორებს და მთელ ბუნებას კინოეკრანად გიქცევს. კრთის სამყარო და შიშისა და წუხილის გარდა სულში აღარაფერს გიტოვებს. ქვეყანაზე ყველაფერი შენი მონაწილეობის გარეშე ხდება, შენ მხოლოდ მაყურებელი ხარ, პასუხს არაფერზე აგებ, შეიძლება პასუხი მოგთხოვონ მხოლოდ ქანჩის გამო, შენ გვერდით კონვეიერზე რომ ჩაიქროლებს და კიდევ ერთ ბენზინით აქოთებულ სასწაულში ჭანჭიკი მოუჭერელი დარჩება.

მე მშურს დინჯი, აუჩქარებელი მწერლებისა და ასეთივე დინჯი მკითხველებისა. მათ თავიანთი პატარა სამშობლოები ჰქონდათ, სადაც იზრდებოდა ბალახი, ბალახობდნენ ძროხები, ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები და ეს მეორდებოდა ყოველდღე, წლიდან წლამდე. მე კი ბალღობიდანვე ქალაქიდან ქალაქში ფაცაფუცით დამატარებდნენ და იმისი დროც კი არ მრჩებოდა, რომ სახლებისა და კვარტალებისათვის თვალი შემეჩვია, ასფალტის ბზარს დავკვირვებოდი, ყველგან ერთნაირი რომ არის. ბავშვური ცრურწმენით ნაბზარზე ხელის შეხება ცუდის მაუწყებელია. არადა, ეს მიწისკენ ყველაზე მოკლე გზა გახლავთ. საკმარისი იყო ასფალტი ამოგვეჩიჩქნა, რომ მაშინვე ხელისგულით მიწას, ნიადაგს ვეხებოდით.

„ასფალტის ჩიჩქნა სასტიკად აკრძალულია!“

არ ამოვჩიჩქნე და დროც, მასთან ერთად კი ასაკიც ხელიდან გამისხლტა, ვერაფერი ვიგრძენი, დავიშრიტე, წლების ორომტრიალში გავუჩინარდი, დავიკარგე, ისიც დამავიწყდა, რაც ვიცოდი.

შეჩერდი-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს... რაღაც კიდევ არის, რაღაც კიდევ დარჩა, თუნდაც მემკვიდრეობითი ხსოვნა. რაღაცამ ხომ დაგავიწყა რისკის ცხარე გემო, გაიძულა კარიერა მიგეტოვებინა, უარი გეთქვა საზღვარგარეთ ხანგრძლივ მივლინებებზე, კერტნერ-შტრასესა და ოქსფორდ-სტრიტის გაჩირაღდნებული ვიტრინების წინ სეირნობაზე, კიბერნეტიკულ გასართობებზე, დიდტანიანი რომანების თარგმანზეც, რომლებშიც აღწერილი იყო ცხოვრება, თავიანთთვის რომ გამოიგონეს ანგლო-საქსებმა თუ არაანგლო-საქსებმა... ყველაფრისათვის თა-

ვი უნდა მიგენებებინა და გეკითხა წიგნები რუსეთის ისტორიაზე, ბუკინისტებთან შემთხვევით ნაყიდი ფოლიანტების ამობურცულ ტყავის ყდებზე ალერსით ხელი გესვა, გეელო რუსეთის ძველ ქალაქებში და მერე უცებ მოსკოვის მნახველს და მასზე გამიჯნურებულს, თვალზე ცრემლმომდგარს გეცქირა, როგორ ინგრეოდა შენ თვალწინ მისი სილამაზე, მთელი სიმძაფრით შეგეგრძნო შენი ეროვნულობა სწორედ იმ წლებში, როცა ამაზე თავისუფლად ვერ ლაპარაკობდნენ.

ეტყობა, მე მაინც მომზადებული ვიყავ ვლადიმერ ივანოვიჩთან შეხვედრისათვის, ჩემი ასფალტიდან სათავეებიაკენ გავაღწიე, უკვდავების წყალი შევსვი და ისე მოვმწიფდი, რომ ცხოვრების ბურუსში მარტო მტერსა და მოყვარეს კი არა, გულგრილებსაც ვარჩევდი, წუთიერი სიმშვიდისა და კეთილდღეობის მოსახეჭად მარადისობას სხვებს საძარცვავად რომ ანებებენ.

მაშასადამე, ჩვენ საერთო ენა გამოვნახეთ, რაკი ერთმანეთისათვის დროს ვპოულობდით. მაგრამ ის ცხოვრობდა იმით, რაც ჩემთვის მაშინ ნამდვილ ზეშთაგონებად იქცა. მის შრომას მოსაგრეობას ეძახდნენ. მოსაგრეობაა, მაშ რა, როცა ყოველი წუთი რწმენითაა გამსჭვალული და წარმოუდგენელ დაძაბულობას მოითხოვს. ბედნიერებაა ეს თუ აკვიატებული იდეა, ბორკილებს რომ გადებს, საშუალებას არ გაძლევს ცხოვრებით დატკბე, გაიხარო?

ყველა როდია შეპყრობილი რაიმე იდეით, ბედნიერი რომ იყო, ბედნიერი ხასიათი უნდა გქონდეს.

ვლადიმერ ივანოვიჩი მთელი ომი ლენინგრადის ფრონტზე იბრძოდა, რომელსაც მარშალი გოვოროვი მეთაურობდა. მარშალი ზვიადი კაცი იყო და იშვიათად გაიღიმებდა. ნაცნობმა გენერალმა მიამბო, როგორ მოხვდა ერთხელ, უკვე მშვიდობიანობის დროს, მარშალთან ერთად საინსპექციო მოგზაურობაში. ისინი ერთ მანქანაში ისხდნენ. ზაფხულის პირი იდგა, გზის ყოველ მოსახვევში თვალწინ ერთმანეთზე უკეთესი პეიზაჟები შლებოდა. გენერალმა, რომელიც ლურჯი ტბებით, არყის ჩრდ ტყეებით, ოქროსფერ ქვიშაზე ამოსული მშვენიერი ნაძვების ცქერით ტკბებოდა, გაბედა და მარშალს თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა. მარშალს არც მარცხნივ გაუხედავს, არც მარჯვნივ და გენერალს შენიშვნა მისცა — „სამსახურში მხოლოდ სამსახურზე უნდა იფიქრო!“

ეს მაგალითი ენაწყლიან და აღტაცებულ ადამიანებს ალბათ არ ეშაშნიკებათ და მათგან ვინმე უთუოდ იტყვის: „რა უგულობაა“, მე კი ამ სიტყვაზე უფრო „საქმისადმი გულისყურიანობა“ მომწონს, იმიტომ, რომ სწორედ ასეთი ადამიანები იგებდნენ ბრძოლებს და ნებისმიერ საქმეს გამარჯვებით აგვირგვინებდნენ. ადამიანს ყურადღებას ახვა საქმეზე ადვილად რომ ვერ გადაატანინებ — ეს უფრო ხასიათია, რომელიც შემდეგ თვითდისციპლინის ჩვევად იქცევა.

მე რომ ფსიქოლოგი ვყოფილიყავი, ვლადიმერ ივანოვიჩის ხასიათს მელანქოლიურს ვუწოდებდი, ვინაიდან იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველაფერს, რასთანაც შეჯახება უხდებოდა, ყველაფერში სიძნელესა და საზრუნავს ხედავდა, გულჩათხრობილი ვახლდათ. მალე ათვისებას მიჩვეული არ იყო, მაგრამ, თუ აითვისებდა, საშინლად უჩვეულოდ აქტიური ხდებოდა.

მე რომ პატროლოგი ვყოფილიყავი, ნაშინ ნან, როგორც კურორტ ზოდიაქის ნიშანზე დაბადებულს, ხასიათის სიმტკიცეს მივაწერდი და სატურნს ვაიძულებდი მასზე ემოქმედა. სატურნი ხომ, როგორც ცნობილია, „ადამიანს ფიქრიანობით, თავდაჭერილობითა და წინდახედულებით აჯილდოებს, ანიჭებს შეუპოვრობას, გამძლეობასა და ამტანობას, წესრიგისა და მეთოდურობისაკენ მიდრეკილებას“. თუმცა ასტროლოგიას მლიქვნელობა მოსდგამს და სერიოზულად ვერ მიიღებ, მაგრამ ითასწლეულების მანძილზე მის მიერ შექმნილი ფორმულირებანი ძალზე შთამბეჭდავია.

ჩემი გმირი ქოლერიკული ტემპერამენტის პატრონია და მე შშურს მისი ხასიათის ზოგიერთი თვისება — თუნდაც მოთმინება და მეთოდურობა.

მე დღიურს არა ვწერ. შემთხვევითი, სახელდახელო ჩანაწერები, ჩვეულებრივ, ისეთ დღეებში იქმნება, როცა მუშაობაში ხელი მომეცარება, როცა საქმე არ აეწყობა. ეს ჩანაწერები უპირატესად საკუთარ უგერგილობაზე, ინერტულობაზე და ამასთან დაკავშირებულ უგუნებობაზე ჩიტინითია სავსე. გარდა ამისა, მე საკუთარ თავს წესებს ვუდგენ — როგორ უნდა ვიცხოვრო და ვიმუშაო. მაგრამ ან წესებს უმალვე ვივიწყებ, როგორც კი ნამდვილი ცხოვრება და სამუშაო შემიპყრობს. ამიტომ ამაოდ ვქექე ჩემი ჩანაწერები, იქნებ ვლადიმერ

ივანოვიჩთან ხანგრძლივი ურთიერთობისა და ჭკუის სასწავლებელი საუბრების კვალი ვიპოვო-მეთქი. თუმცა ერთ ჩანაწერს კი მივაგენი, მაგრამ თავადვე განსაჯეთ, თუ შეიძლება მისგან რაიმე სასიკეთო ნახოს კაცმა:

„1967 წლის 5 ოქტომბერი. გუშინ კიდევ ერთხელ გავიცანი მალიშევი. მიმზიდველი მოხუცია. თავისი საქმის უზომო შოყვარული — ძველ რუსულ ხელნაწერებს აგროვებს, გატაცებულია დეკანოზ აბაკუმით. ომში ბატალიონის მეთაური იყო, მარტოხელაა, რამდენიმე წლის წინ დედა გარდაეცვალა, შინამოსამსახურეებმა აღარაფერი შეარჩინეს. ის კი არა და, დილით თვითონ მიართმევდა ხოლმე მათ საუზმეს ლოგინში. საწყენია, რომ უარი თქვა ჩრდილოეთ რუსეთში, პეჩორაზე ექსპედიციების მოწყობაზე. კარგი იქნებოდა მასთან ერთად გამგზავრება!"

ახლა უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, პირველად როდის გავიცანი ვლადიმერ ივანოვიჩი. მწარე სინანულით შევნიშნავ, რომ ორმოცდაჩვიდმეტი წლის კაცს „მოხუცს" ვეძახდი. თუმცა თავად მე უკვე ორმოცისა ვიყავი. ერთი რამ მანუგეშებს— აკი ტურგენევის „მამებსა და შვილებშიაც" მოხუცს ეძახიან ორმოცი წლის ნიკოლაი პეტროვიჩ კირსანოვს — „უკვე მთლად ჭაღარას, ბუთხუზას, წელში ოდნავ მოხრილს". ჩანს, მაშინ ასეთად მეჩვენა ვლადიმერ ივანოვიჩი, რომელიც ჯანმრთელობას უჩიოდა, იმიტომ, რომ არ იცოდა რა იყო დასვენება, სამი წლის შემდეგ პენსიაზე გასვლას აპირებდა და უხაროდა, დროს როგორც მინდა, ისე გამოვიყენებო.

მართლაც აისრულა სურვილი — პენსიაზე ზუსტად იმ დღეს გავიდა, რა დღესაც სამოცი წელი შეუსრულდა. სამსახურში დარჩენას სთხოვდნენ, მაგრამ პასუხად გულმოსული მხოლოდ ხელს ჩაიქნევდა ხოლმე. რამდენიმე დღის მერე კი თავის სამუშაო ადგილზე დაბრუნდა და საქმეს მოჰკიდა ხელი. ასე დადიოდა სიცოცხლის ბოლომდე სამსახურში თითქმის ყოველ სამუშაო დღეს.

— განა ეს ობროდობა არ არის? — ამბობდა ზოგიერთი.

ვერ წარმოედგინათ, როგორ შეიძლებოდა აღიარებულ მეცნიერებათა დოქტორს ჯამაგირზე უარი ეთქვა, პენსიით დაკმაყოფილებულიყო, და უწინდელი სამუშაო „საზოგადოებრივ საწყისებზე" შეესრულებინა. ის კი დარწმუნებული იყო, რომ საკმაო ენერგია აღარ ჰქონდა იმ აუარება საქმის გასაძღოლად

რაც, სხვათა შორის, წარსულ წლებში თვითონვე დაგეგმა.

თავისუფლება მას თავისებურად ესმოდა. თავი შესწირო საყვარელ საქმეს და აკეთო იგი არა მხოლოდ ვალის მოსახდელად — ალბათ ასე წარმოედგინა თავისუფალი შრომის იდეალი. როცა ვლადიმერ ივანოვიჩმა უარი თქვა სოლიდურ თანხაზე, ეს ახირებულად მიიჩნიეს. დედაარსი ხომ ერთია — ადამიანი შრომობს. მაგრამ თავი და თავი აქ დედაარსი როდი იყო, არამედ შეგრძნება. თავისუფლება ვლადიმერ ივანოვიჩისათვის მისი სულიერი მდგომარეობით განისაზღვრებოდა. სუფთა, უხინჯო სინდისი გახლდათ მისი თავისუფლება...

მაგრამ პენსიაზე გასვლამდე ვლადიმერ ივანოვიჩმა მოასწრო ხელში ჩაეგდო დეკანოზ აბაკუმის სანუკვარი ხელნაწერი, კიდევ ერთხელ ემოგზაურა ჩრდილოეთში. ეს მოხდა მეორე წელიწადს მას შემდეგ, რაც მეორედ შეეხვედი ვლადიმერ ივანოვიჩს და ჩანაწერები გავაკეთე. ჩრდილოეთში მალიშევთან ერთად მეც გავემგზავრე, რაზედაც ქვემოთ გიამბობთ. ამ მოგზაურობის დროს ჩემთვის თანდათან ნათელი გახდა ბევრი რამ, რაც უწინ გაუგებრად მეჩვენებოდა.

მაგრამ დღემდე ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ, რატომ მოჰკიდა ხელი ვლადიმერ ივანოვიჩმა ძველი ხელნაწერი წიგნების შეგროვებას. განა იმიტომ, რომ ეს გატაცება ჩემთვის გაუგებარია. არა, მალიშევს ბევრი წინამორბედი ჰყავდა. მარტო გრაფი ალექსეი ივანოვიჩ მუსინ-პუშკინი რად ღირს, რომელმაც ეს საქმე ორმოცდარვა წლისამ დაიწყო. ზოგიერთი ამტკიცებს, მდიდარ და მაღალი ჩინის გრაფს სურდა რუსეთის ისტორიის განათლებული თაყვანისმცემლის სახელი მოეპოვებინა და საზოგადოების თვალში ამაღლებულიყო. ამბობენ, თითქოს გრაფ მუსინ-პუშკინის ხალხი ამიტომ დაძვრებოდა მონასტრის საცავებში და სადაც ხელი მიუწვდებოდა, ყველგან ყიდულობდა გაყვითლებულ მანუსკრიპტებს, რომელთა შორის აღმოჩნდა მატიანეები, დიდი ნახაზის წიგნი და თვით „თქმულება იგორის ლაშქრობაზე“.

თანამედროვეთ გრაფის კეთილშობილურ განზრახვაში ეჭვი არ ეპარებოდათ და მას წიგნებს საჩუქრად უძღვნიდნენ, ანდერძით უტოვებდნენ. გრაფს თითქმის ასამდე ძველი მატიანე აჩუქა ეკატერინე მეორემაც, რომელიც თავის სწავლულ კორესპონდენტს ბარონ გრიმს სწერდა: „საქმეებისა და ძველი

მატიანეების გამო მოცლა არა მაქვს. 1321 წლამდე რომ მივედი, გავჩერდი და ჩემი ნაჯღაბნი რვაასამდე გვერდი გადასაწერად მივეცი. ვერ წარმოიდგენთ, რა სასიამოვნოა წერა წარსულზე, რომელიც არავის არ აინტერესებს და დარწმუნებული ვარ, არც არავინ წაიკითხავს...“

საბრალო ისტორია! საბრალო წარსული! ვინ გიცნობდა ან ვინ გიცნობს გარდა მწიგნობრებისა, თავიანთ კაბინეტებში განმყუდროებულნი გაქექილ, გაყვითლებულ გვერდებს რომ ფურცლავენ? მაგრამ სწორედ ისინი აფასებენ ჯეროვნად შემგროვებელთა შეუპოვრობას. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა კიდეც, რომ ისტორიულ შრომებზე მუშაობისას გამოიყენა თავისი ნაცნობის, „ცერემონმეისტერ ალექსი ივანოვიჩ მუსინ-პუშკინის ბევრი ხელნაწერი, ჩვენი სიძველის დიდი ტრფიალისა, რომელმაც ამ საქმეს დიდი შრომა და ხარჯები შეალია, თუმცაღა ბედიც უხვად სწყალობდა, აკი ძველთაგან თქმულა — ეძიებდე და ჰპოვებდეო! ასე მოუყარა თავი ბევრ უიშვიათეს წიგნს, დიდად დაფასებულთ იმათგან, ვინც ამგვარი რამეების უადრი იცოდა“.

სწორედ ასეთ ქუდბედიანობაზე ვფიქრობდი პუშკინის სახლის სიძველეთსაცავში იმ დღეს, როცა აღელვებისაგან ხმაჩახლეჩილმა ვლადიმერ ივანოვიჩმა წარმოთქვა:

— აჰა, „ცხოვრება“... აბაკუმისა; ავტოგრაფი!..

8

ოცდაათ წელზე მეტხანს ეძებდა ვლადიმერ ივანოვიჩი აბაკუმისეული „ცხოვრების“ ხელნაწერს. თითქმის ყოველ წელს თავისი გაცვეთილი ჩემოდნით მიემგზავრებოდა ხოლმე ჩრდილოეთში — პეჩორაზე, მეზენში, პინეგაში, ურალში... ცხენით თუ თვითმფრინავით, ჭაობებსა და ტყეების გაელით, დადიოდა კარდაკარ სოფლიდან სოფელში... და ყველგან აგნებდა ტყავის გაშავებულ ყდებში ჩასმულ ძველ ხელნაწერებს. უახლოეს ფოსტიდან ლენინგრადში აგზავნიდა და ისევ ძებნას განაგრძობდა.

შეგროვებული წიგნების რიცხვმა ოთხი ათას ტომს მიაღწია, მაგრამ ის სანუკვარი ხელნაწერი მათ შორის არ იყო. წიგნებმა, ხელნაწერმა წიგნებმა თაროები აავსო, თაროებმა კი ხუთმეტრიან ჭერს მიაღწია. წიგნებში იყო ჩვენი წინაპრების

შეცდომები და სიბრძნე, სახელები და საქმენი; მათში იყო ჩაქსოვილი ოცნებები, გადმოცემული მოთხრობებისა და ზღაპრების სახით...

„სიბრძნეს წიგნისას უდიდესი სიკეთე მოაქვს; წიგნი გვასწავლის მონანიების გზებს; წიგნის სიტყვებიდან ვიძენთ სიბრძნესა და თავშეკავებას; ისინი მდინარეებია, სამყაროს წყურვილს რომ უკლავენ; მათში უძირო სიღრმეა, ისინი მწუხარების ჟამს გვანუგეშებენ"...

ჩვენი წინაპრები წიგნების ხოტბას აღავლენდნენ ჯერ კიდევ ჩვენი ათასწლოვანი კულტურის განთიადისას და თითოეული წიგნის გადაწერაზე თვეებისა და ზოგჯერ წლების დაძაბულ შრომას არ იშურებდნენ. საქმეს რომ მორჩებოდნენ, ისეთი სიხარული შეიპყრობდათ ხოლმე, რა სიხარულსაც განიცდის ნეფე დედოფლის დანახვისას, ნაპირს მოახლოებული გემის მესაჭე, ან სამშობლოში დაბრუნებული ყარიბი.

წიგნს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მას, როგორც ოქროს, „ხაზინაში" ინახავდნენ. წიგნებს მერქნის ყდაში სვამდნენ, ძვირფას ტყავსა და ფარჩას აკრავდნენ, ვერცხლითა და პატიოსანი თვლებით ამკობდნენ. ძველი თხზულებები მარტო მკაზმავების ხელში როდი იქცეოდა ხოლმე ხელოვნების ჭეშმარიტ ქმნილებად. ამაში ღვაწლი მიუძღოდათ გადამწერებსაც, პერგამენტზე მკაფიო, სწორი ასოები რომ გამოჰყავდათ, და მხატვრებსაც, თავკიდურ ასოებს სინგურით რომ ხატავდნენ, წიგნებს თავსამკაულით, ნახატებით, ნაყშებით ამშვენებდნენ.

თავსამკაულებში უცნაურად დახვეულან გველები. ხვეულებში ხან აქ, ხან იქ დრაკონის თავები, ადამიანის ხელები ან თავები მოჩანს. ინიციალები ხომ მთელი ამოუცნობი სამყაროა. აქ ბატონობენ ზღაპრული დათვები, დრაკონები... ფრინველები გველებს შებმიან.

ორნამენტებად ნადირის გამოსახულებათა გამოყენებას ძველ ინდოევროპულ სიმბოლიკაში აქვს ფესვი გადგმული.

არწივები, ლომები, კენტავრები, კაცის თავიანი ფრინველები, ფრთიანი ცხოველები — ეს სიმბოლიკები ბიბლიაზე უძველესია.

გველი ერთდროულად სიბრძნეცაა და ბოროტების განსახიერებაც. ფრინველი, ფრთოსანი ქმნილება ძველ სლავებში ცის, მზისა და სინათლის სიმბოლოა. ხელნაწერ წიგნებში

გვერდები იმავე იდუმალი სინათლითაა გასხივოსნებული, რითაც ვლადიმირის დიმიტრის ტაძრის კედლების რელიეფები. ამ სინათლის წყარო, რომლითაც ძველი მსოფლიო, ძველი საბერძნეთი და ტიბეტი იყო აღვსილი, ჯერ კიდევ მიუკვლეველია.

ფრინველები გველებს შებმიან. სიკეთე სძლევს ბოროტებას.

მაგრამ წიგნი სულიერი ფასეულობაა. არისტოკრატიული ელფერი მას ჯერ კიდევ არ აძლევს უფლებას დადგეს იმ წიგნებზე მაღლა, საპყრობილეში, მონასტრის სენაკში თუ გლეხურ ქოხში რომ ითხზვებოდა და იწერებოდა.

ხელის ხშირი შეხებით გაზინთული, გვერდებშეპოცვეთილი წიგნები ზოგჯერ ისეთი შავია, გეგონება ცეცხლზე გარუჯესო... ტყავის ყდები დამსკდარია, გამხმარი, ანტრაციტივით მყიფეა და ადვილად იმტვრევა...

ყველაზე ძვირფასი წიგნები ვლადიმერ ივანოვიჩს რკინის ზანდუკში ჰქონდა ჩაკეტილი, რომლის გასაღებს მუდამ თან ატარებდა.

არაერთხელ ყოფილა ხელნაწერები დაღუპვის პირას. რთული და დახლართული იყო თითოეული წიგნის ბედი.

— ხელნაწერები შთამომავლობას უფრო გამოადგება, ვიდრე ჩვენ, — იტყოდა ხოლმე ვლადიმერ ივანოვიჩი და თაროებს თვალს შეავლებდა. — უნდა დავიცვათ, რომ მომავალმა თაობამ ვულგრილობაში არ დაგვდოს ბრალი. აქ არის ქრონოგრაფები, შეგონებანი, სჯანი, ფიქრები, კარაბადინები, საალქიმო წიგნები, სიგელ-გუჯრები, არზები, აღწერის, მსტოვრების, მიჯნების დადგენის დავთრები, ამბები და თქმულებები, გოდებანი...

ფიცივით გაისმოდა ეს გაუთავებელი ნუსხა. მაგრამ სანუკვარი სახელი არ უხსენებია, თუმცაღა, სჯეროდა, რომ ეს სანუკვარი წიგნი სადღაც არსებობდა და მას ელოდა.

9

ჩემთვის დღემდე გამოცანად რჩება, რატომ აირჩია ვლადიმერ ივანოვიჩმა ლიტერატურის ისტორიის შესწავლა და მერე ძველი ხელნაწერი წიგნების შეგროვებას მიჰყო ხელი. განა

იმიტომ, რომ ეს გატაცება ჩემთვის გაუგებარი იყო... არა. მე სულ სხვა რამ მაოცებდა — როგორ მოახერხა ჯერ კიდევ ჭაბუკობაში თავისი მოწოდება განეჭვრიტა.

ცხოვრებისეული გამოცდილება მას, რა თქმა უნდა, ჰქონდა. მაგრამ გამოცდილებაც არის და გამოცდილებაც! თავის წყნარ, მყუდრო ნაროვჩატში ვლადიმერ ივანოვიჩი ჯერ თემის პიონერთა ბიუროს თავმჯდომარე იყო, შემდეგ კი ადგილობრივი ფოსტის ტელეგრაფისტი.

ლენინგრადმა ტრამვაის ზარებით გააყრუა, ბრწყინვალე არქიტექტურით გააოცა; მუშა ხალხში გაითქვიფა, ყოველ ნესტიან გარიჟრაჟზე ტრამვაიზე იერიში რომ მიჰქონდა ხოლმე. ჩემოდნით ხელში, რომელსაც მეტი სიმაგრისათვის ბაწარი ჰქონდა შემოკრული, მოულოდნელად გამოეცხადა თავის ნათესავს, ოპტიკური მინის ქარხანაში რომ მუშაობდა. ძველი ბატონკაცური ბინის კარზე გამოკრულ თერთმეტ გვარში გაჭირვებით მიაგნო ნათესავის გვარს, მინაწერით — „ერთი გრძ. ორი მოკ."; ძველი ტელეგრაფისტი მაშინვე მიხვდა, რომ ეს ასო „გ"-ს ნიშნავდა. სტუმარმა, თითქოს ტელეგრაფიული გასაღებით მუშაობსო, სამჯერ დააჭირა თითი ზარის ღილაკს, მაგრამ განსაზოგადოებული მოწყობილობა არ მოქმედებდა. კარი მხოლოდ დაკაკუნების შემდეგ გაუღეს და იგი გრძელ, თუნუქით შეკედილი დიდი ვაჭრული ზანდუკებით სავსე ბნელ დერეფანში მოხვდა. ამყრალებული და ბნელი დერეფნის ნახევრად ღია კარში თავები გამოჩნდა, მაგრამ ჩვენი გმირის გარეგნობას ცნობისმოყვარეობა არ გამოუწვევია. გზას კი ასწავლიდნენ და ზანდუკებისაგან გვერდებდალურჯებულმა კითხვაკითხვით მიაგნო ნათესავს, რომელსაც ძიას ეძახდა. ოთხი სულისაგან შემდგარი ძიას ოჯახი, რაკი თორმეტი კვადრატული მეტრი საკუთარი საცხოვრებელი ფართი ჰქონდა, ჩინებულად ცხოვრობდა. ოთახში ედგათ შიფონერი, მუხის ბუფეტი, სასადილო მაგიდა, ბიძისა და ბიცოლას საწოლნახევრიანი რკინის ლოგინი და დივანი, რომელზეც თავშეკცევით ეძინათ მათ ბავშვებს.

ვლადიმერ ივანოვიჩს (ამ დროს ის ჩვიდმეტი წლისა იყო და ალბათ უფრო შესაფერი იქნებოდა ვალოდიად მოგვეხსენებინა, მაგრამ მე სავსებით გასაგები ფსიქოლოგიური მიზეზის გამო, მიჭირს ეს) ძია და მისი ოჯახის წევრები გულთბილად

შეხვდნენ. სტუმართმოყვარეობასა და საცხოვრებელ ფართს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება არ არსებობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომფორტი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, ცალკე ბინების მფლობელებს გული შესამჩნევად გაუქვავდათ, ხოლო საცხოვრებელი სივრცის შევიწროვების შიშმა შობადობის შემცირებაც კი გამოიწვია. ეს სოციალური დაკვირვება ოდნავადაც არ ეხება ვლადიმერ ივანოვიჩს, რომელიც თავის დროზე ხალისით უღებდა კარს და გულღიად მასპინძლობდა ლენინგრადის სასტუმროებში ნომრის შოვნაში ამაოდ დამაშვრალ ნაცნობ-მეგობრებს.

მას ჩაით და ბლითურებით გაუმასპინძლდნენ და ლოგინი იატაკზე გაუშალეს. ახალგაზრდასა და მცირედითაც კმაყოფილს მაგარ ლოგინზე მაშინვე ჩაეძინა, რა წამსაც თავი დადო იმ ბალიშთაგანზე, დღისით ლოგინზე პირამიდად რომ აწყობენ ხოლმე. მალე მანაც ოპტიკური მინის მთრაშავად დაიწყო მუშაობა. ბნელ დერეფანში მარდად, უხმაუროდ სიარულში სწრაფად გაიწაფა. ზანდუკების წვეტიან კიდეებსაც მარჯვედ არიდებდა შარვალსა და ფეხებს. ლინზის თრაშვის ხელოვნებას დაეუფლა და გამჭვირვალე ლინზა ზუმფარისა და რკინის წითელი ჟანგის დახმარებით იდეალურ ფორმამდე მიჰყავდა. სამუშაო მოთმინებასა და მეთოდურობას მოითხოვდა, იგი სავსებით შეეფერებოდა ვლადიმერ ივანოვიჩისათვის ღვთივებოძებულ ხასიათს.

ყოველგვარ სტუმართმოყვარეობას საზღვარი აქვს. მე არ ვიცი, დიდხანს ცხოვრობდა თუ არა ვლადიმერ ივანოვიჩი ბიძასთან, მაგრამ ცოტა რომ მომაგრდა, კუთხესა და საწოლს ქირაობდა მოხუც ქალებთან. კომუნალურ მაცხოვრებელთა საყვედური რომ არ გამოეწვია, ტუალეტიდან გამოსვლისას სინათლის ჩაქრობას დაეჩვია, დიდხანს უწევდა ლოდინი რიგში ერთადერთ წყლის ბაკანთან საპბარეულოში, სადაც ერთდროულად უამრავი პრიმუსი შიშინებდა. სამი წლის შემდეგ მუშაკში შევიდა — გზათა ინჟინერი უნდოდა გამოსულიყო. ამ ინჟინრებს ძალიან კოხტა ქუდები ეხურათ, ზედ პატარა ჩაქუჩები ჰქონდათ დაბნეული. ეგეც არ იყოს, რეკონსტრუქციის პერიოდში ტექნიკა ყველაფერს წყვეტდა.

ოცდაორი წლისა მოსამზადებელ კურსებზე შევიდა... ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. მა-

შინ ფაკულტეტს ისტორიის, ფილოსოფიისა და ლინგვისტიკის ინსტიტუტი ერქვა, მაგრამ ეს საქმის არსს როდი ცვლის. გამოცანა გამოცანად რჩება: ასე უცებ რატომ აიღო ხელი ოცდაათიანი წლების დასაწყისში ესოდენ დაფასებულ ტექნიკური ცოდნის მწვერვალებისკენ სავალ გზაზე და თავმდაბალ ჰუმანიტართა რიგებში ჩადგა? მე ვერ მოვასწარი ვლადიმერ ივანოვიჩისთვის მეკითხა ეს, მაგრამ მისმა მეგობრებმა მითხრეს, პირველი კურსიდანვე სტუდენტებმა მეტსახელად „აბაკუმი" შეარქვესო. ისე ყოფილა გატაცებული ცეცხლის გამჩაღებელი დეკანოზით, რომ მასზე ლაპარაკით ყველას ყურები გამოუჭედა თურმე. მაშინ კი წარმოვიდგინე, რომ ჩვენთვის გაუგებარი რაღაც გზით ჯერ კიდევ მუშფაკში ჩავარდნია ხელში აბაკუმის „ცხოვრება"...

ამ წიგნის განსაცვიფრებელ მგზნებარებას, აბაკუმის შეუდარებელ უნარს, რომ ორი-სამი ფრაზით აესახა სამყაროს მშვენიერება და მატერიალურობა, მის „გლეხურ" სიტყვებს თავისუფლად შეეძლო ვლადიმერ ივანოვიჩი მოეჯადოებინა. მაგრამ წიგნმა მას, ალბათ, ძალიან ბევრიც უთხრა და ძალიან ცოტაც. საკმაოდ ბევრი, რათა ცნობისწადილი აღძვროდა და ძალიან ცოტა, რომ ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა. ჩემი აზრით, ყველაფერი სწორედ „ცხოვრებით" დაიწყო...

დაე მკითხველმა წარმოსახვა მოიშველიოს და წარმოიდგინოს კითხვით ანთებული ვლადიმერ ივანოვიჩი, რომელიც ცდილობს ცეცხლოვანი სტრიქონების ხან მკაფიოდ გამოკვეთილ, ხან თითქოს სიტყვების მიღმა მიმალულ აზრს ჩასწვდეს... მკითხველის დახმარების იმედად რომ ვარ, ამით ჩემს უსუსურობას ვაღიარებ, მაგრამ ეს ლიტერატურული კეკლუცობით როდი მომდის. უბრალოდ, მოგიწოდებთ ირწმუნოთ ის, რის გარეშეც თხრობა ამომწურავი არ იქნებოდა. ამგვარი პირობითობის გასამართლებლად გიამბობთ ამბავს, საიდანაც ნათელი გახდება, რომ ერთი წიგნის წაკითხვამაც კი შეიძლება განსაზღვროს ადამიანის ბედი, თუნდაც არც ისეთი ახალგაზრდა კაცისა, როგორიც ვლადიმერ ივანოვიჩი იყო, როცა დეკანოზ აბაკუმის „ცხოვრებას" კითხულობდა.

იმ წელიწადს, როცა ვლადიმერ ივანოვიჩი ლენინგრადში ჩამოვიდა, მოსკოვში ცხოვრობდა ვინმე ფრანგი პიერ პასკალი. იგი მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტში მუშაობდა და გრაკხ ბაბეფის ხელნაწერს ირკვეოდა. ბაბეფი სასამართლოს ჩინოვნიკი იყო და საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის ფურცლებზე იმის წყალობით მოხვდა, რომ კერძო საკუთრების სრულ გაუქმებას მოითხოვდა.

რუსეთში პასკალი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ჩამოსულა. განათლებით ფილოლოგი იყო, იცოდა რუსული. არმიაში რომ გაიწვიეს, ოფიცრის ჩინი მიიღო და მოკავშირე ქვეყანაში გაამწესეს.

რუსეთის რევოლუციას ფრანგი ოფიცერი აღფრთოვანებით შეხვდა, სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა და კომუნისტურ პარტიაში შევიდა.

1927 წელს პიერ პასკალი ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო. ამ ასაკში იშვიათად იცვლიან პროფესიულ გატაცებას. ამას ხელს უშლის ცხოვრების ინერცია და ასაკობრივი სიფრთხილე. ინერციულობის დასაძლევად რაღაც ძალიან დიდი შთაბეჭდილებაა საჭირო. პასკალმა ეს შთაბეჭდილება მიიღო რუსეთში, სადაც თავისი ბედი ჰპოვა.

სახლის სარდაფში, სადაც პასკალი მსახურობდა, იატაკზე გორებად ეყარა თავის დროზე კონფისკებული წიგნები. ერთხელ, როდესაც პიერ პასკალი დროებით განდევნილი აზრების საგანძურში იქექებოდა, დეკანოზ აბაკუმის ხელით დაწერილ „ცხოვრებას“ წააწყდა და კითხვამ გაიტაცა...

წიგნის ფურცლებზე რუსული მიწის სივრცეთა ლაღი სუნთქვა იგრძნობოდა, თითქოს თვალუწვდენელ ველებზე მოთარეშე მშრალ, სუსხიან ქარს უღრანი ტყეებისა და გლეხური ქოხების სურნელი, ზარების შორეული გუგუნი და წამებულთა გულშემზარავი გოდება მოჰქონდა. პასკალი გულდასმით კითხულობდა წიგნს, რომელსაც ხან აღფრთოვანებაში მოჰყავდა იგი, ხან აძრწუნებდა. ბევრი რამ ეცნო, რასაც დასავლეთელი ფილოსოფოსები რუსულ ეროვნულ ხასიათზე წერდნენ, მხოლოდ თვინიერება არ იყო მასში, თუმცა რუსი ხალხის კაბინე-

ტური მცოდნენი სწორედ ამ სიტყვას გაიძახოდნენ წარამარა და ათასნაირად ატრიალებდნენ.

იგი ერთმანეთს ადარებდა წაკითხულსა და ახლახან ნანახს და ეჩვენებოდა, რომ უკეთ გაუგო რუსეთის რევოლუციას, რუს ხალხს.

მაგრამ ყველაფერი ეს ბუნდოვანი და მერყეი იყო. უცხო ცხოვრება — თუმც კი ბრწყინავდა აბაკუმის ნიჭის ჯადოსნური კრისტალიდან — მაინც უცხოდ რჩებოდა.

ნაწარმოებს ყველაზე კარგად მაშინ გაიგებ, თუ მას მშობლიურ ენაზე თარგმნი, და, რაღა თქმა უნდა, თუ სიტყვა-სიტყვით თარგმნას არ ისახავ მიზნად. „დიახ! აუცილებლად უნდა ვთარგმნო „ცხოვრება" ფრანგულად", — გადაწყვიტა პასკალმა. მაგრამ რამდენი უნდა სცოდნოდა, როგორ უნდა სცოდნოდა რუსეთის ისტორია, ფილოლოგია, რომ ფრანგ მკითხველამდე მიეტანა დიდი ნაწარმოების ძალა და სურნელება!

პასკალი აბაკუმის საქციელის მოტივირებამ გაიტაცა. ოცდაორი წლის მღვდელი უკვე ამქღავნებდა სიკერპეს და სულის წარმოუდგენელ ძალას. სავონაროლას მსგავსად იგი ამხილებდა სოფლის თავკაცების მექრთამეობასა და სამღვდელოების დაუდევრობას, თავს ესხმოდა საერო სახალხო გართობებს; მუშაითებს ერეკებოდა, არბევდა, აწიოკებდა, მრევლის პირად ცხოვრებაში ერეოდა. რატომ იყო, რომ ყველასაგან მოძულებული, ხალხის, მღვდლებისა და თავკაცებისაგან ნაგვემი, კვლავინდებურად შეუწყნარებელი და შეუვალი რჩებოდა? რატომ იყო, რომ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში აბაკუმის პირადი გრძნობები არ ეთანხმებოდა ხალხის გრძნობებს, რომ მისი მგზნებარე ქადაგებანი რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა? რატომ იყო, რომ იმავე მოუდრეკლობამ და მოწამეობამ უამრავი მომხრეები შესძინა?

აგზნებული წარმოდგენა ფრანგს უკარნახებდა, რაც განიცადა აბაკუმმა, როცა მასთან ლოპატიშჩში მოსანანიებლად მივიდა „დიდად ცოდვილი ქალიშვილი". მაცდურ ქალიშვილს, ალბათ, უკვე დიდი ხანია მოსწონდა მაღალი, მხარბეჭიანი, მოხდენილი ახალგაზრდა მღვდელი, ცეცხლოვანი მზერა რომ ჰქონდა. მან ისეთი დრო შეარჩია, როცა აბაკუმი ეკლესიაში მარტო იყო და ტაძარში, როგორც ფრანგს წარმოედგინა, თეძოების რხევით შევიდა, თან მოსურმულ წარბებს ქვემოდან

გამომწვევად იცქირებოდა. „მამაო, მამაო“, — ღუღუნებდა იგი და ცდილობდა აბაკუმს მაღალი, მკერივი მკერდით მიჰკვროდა. აბაკუმს სისხლი თავში აუვარდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმა წაერთვა. „ცოდვის ცეცხლით“ ანთებულმა სახარებიდან პირიც კი იბრუნა, ის იყო აკანკალებული ხელი ასწია, რათა ქალის მხრებს შეხებოდა, რომ უცებ საწიგნისკენ შეტრიალდა, სამი სანთელი აანთო და მარჯვენა ხელის გული ალზე დაადო...

აბაკუმი თანამედროვე იყო ლუი XIV-ისა, რომლის ბრწყინვალე ეპოქაში გალანტური და დაინანთებული მღვდელმსახური ანაფორის ქვეშ დეზებს ატარებდნენ და ყურადღებას არ აკლებდნენ არც მაღალი საზოგადოების მანდილოსნებს, არც მდაბიო ქალებს. ღმერთმანი, ეს შემთხვევა, ტრადიციულად რომ განმეორდა ტოლსტოისეულ „მამა სერგიში“, ფრანგი მარქსისტისათვის უცნაური მოვლენა გახლდათ და განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას მოითხოვდა.

პასკალი შერისხული აბაკუმის ციმბირულ ფათერაკებზე ფიქრობდა და თავის თავს ეკითხებოდა, ნეტავ რა იყო ეს მოსკოვის სამეფო, რომელმაც ასი წლის მანძილზე იმხელა სივრცეების ათვისება შეძლო, ათჯერ რომ აღემატება საფრანგეთსო? ან რა ხალხი იყო ასე, თავაწყვეტილ ზვირთებად რომ დაიძრა წყნარი ოკეანისაკენ? იქნება პასუხი რუსი კაცის — აბაკუმის მძვინვარე, შმაგ ხასიათში უნდა ეძებოს, ასე უდრტვინველად რომ იტანდა ყველა უბედურებასა და ტანჯვას; უნდა ეძებოს მის რწმენაში, რომელიც ვერც გაჭირვებამ შეურყია და ვერც წამებამ.

რაც მთავარია — საეკლესიო განხეთქილება. რა იყო ეს? ნუთუ მართლა იმიტომ მოხდა ეს განხეთქილება, რომ ვერ შეთანხმდნენ, როგორ გადაეწერათ პირჯვარი, ან რამდენჯერ მოეყარათ მუხლი. არა და არა. როგორც ჩანს, საეკლესიო განხეთქილების მიღმა იმალებოდა რაღაც უფრო სერიოზული, რისთვისაც ადამიანები ეწამებოდნენ და თავს სწირავდნენ. ეტყობა, აქ საქმე ეხებოდა თვით სახელმწიფოს საფუძვლებს, ხალხის ცხოვრების ბალავარი ირყეოდა...

ოციანი წლების მიწურულს მოსკოვი ძველი წიგნების მოტრფიალეთათვის ნამდვილი სამოთხე იყო. ბუარება კერძო პატარა დუქნებში ძველი თავადაზნაურული ბიბლიოთეკების იშვი-

ათი ფოლიანტები იყიდებოდა. ვაჭრები უკვე ცნობდნენ ფრანგს, რომელიც წიგნების გროვაში გამწარებული იქექებოდა და ყველაფერს ყიდულობდა, რაც XVII საუკუნის რუსეთს შეეხებოდა — ისტორიულ თხზულებებს, საეკლესიო აღწერებს, ძველ ოქმებს. თუმნად ერთბაშად შეიძლებოდა გეყიდა „კირილეს წიგნი", „ეფრემ ასურის სწავლანი", „ფიცარი სჯულისა", კურთხევანი, მელეთი სმოტრიცკის გრამატიკა... პასკალი ბაზრებში ძველ ხელნაწერებსაც კი იძენდა.

რა თქმა უნდა, მოხელის მცირე ხელფასი ასეთი ფუფუნებისათვის არ კმაროდა. ალექსი რემიზოვისეულ თავისუფალ თარგმანში პიერ პასკალის მოგონებები მაშინდელ დროზე ასე ყვერს:

„ქამარი მაგრად შემოვიჭირე — ფეტვის ფაფა სულ დავიწყე და იშვიათობათა მაძიებელი გავხდი. აი, როდის ვინატრე ოქროს მთები!"

პასკალმა მოახერხა მოსკოვის სიძველეთსაცავში მუშაობის ნებართვა მიეღო. ეს არც ისე იოლი საქმე გამოდგა. „რეკომენდაციის წერილები მდოგვის საფენებივით ჰქონდა შემოწებებული." ანკეტაში, სადაც სამუშაო თემა უნდა დაესახელებინა, მან ჩაწერა: „მე-17-ე საუკუნის ზემო ვოლგისპირეთის გლეხთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა".

არქივარიუსმა პასკალს მაგიდა მიუჩინა, რომელზეც ათეული წლობით მუშაობდა ისტორიკოსი სერგეი სოლოვიოვი, „აღწერის დავთრებს" რომ სწავლობდა. პასკალმა ეს წიგნები მოითხოვა. გრაგნილის დათვალიერება ზეზეულად მოუხდა. გაურკვეველ, გაკრულ ხელს უცებ ვერ შეეჩვია. წასვლისას პასკალს არქივარიუსმა გესლიანად ჰკითხა:

— აღარ დაგვირდებათ?

ბაგრამ ფრანგი ყოველდღე მოდიოდა.

აღწერის დავთრებს ციმბირის პრიკაზების „ეტრატები" მოჰყვა: რიგრიგობით გამოჩნდა ვოევოდების ანგარიშები, პრიკაზების სიგელები, დაკითხვის ოქმები, შეწყალებები, ბრძანებები...

ერთი საბუთი ჩვეულებრივ იწყებოდა: „მთელი დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის ხელმწიფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს"... მაგრამ შემდეგ პასკალმა წაიკითხა: „ოფონკა პაშკოვი მოწიწებით სთხოვს".

ათანასე პაშკოვი, დაურიის ვოევოდა... სწორედ მას ჰქონდა ნაბრძანები თავისი პოლკით ამიერბაიკალში ჩაეყვანა გადასახლებული აბაკუმი. როგორც „ცხოვრებაში“ წერია, სწორედ პაშკოვის ბრძანებით სცემეს აბაკუმს უმოწყალოდ მათრახით მდინარე ანგარაზე და მერე დიდხანს ჰყავდათ პატიმრობაში. რას იწერებოდა სასტიკი ვოევოდა პაშკოვი?

„თანახმად თქვენი ხელმწიფური ბრძანებისა ტობოლსკ-ქალაქიდან დაურიის მიწაზე გავგზავნე ნახუცარი — იგივე დეკანოზი აბაკუმი“...

აბაკუმი!

„და იმ გადასახლებულმა ნახუცარმა აბაკუმმა გადაწყვიტა, არ ვიცი ვისი ავი ზრახვითა და სურვილით, თავისი ხელით დაეწერა საშინელი უსახელო წერილი, თითქოსდა არსად მაღალი თანამდებობის მოხელეებში სამართალი არ არსებობდეს და კიდევ ბევრი სხვა უწმინდური და სალანძღავი სიტყვები; უნდოდა ამით დაურიის პრიკაზში მდგარ ჩემს რაზმში აჯანყების სული დაენერგა“.

პაშკოვის წერილობითი პასუხი გრძელი იყო და აქამდე არავის არ გამოუქვეყნებია. ვოევოდა სწერდა, როგორ სცემეს აბაკუმს მათრახით, ასახელებდა კაზაკებს, რომლებსაც დეკანოზი თავს ავედრებდა. პაშკოვი იტყობინებოდა, რომ მზად იყო აბაკუმი სიკვდილით დაესაჯა, მაგრამ ხელმწიფის ბრძანების გარეშე ეს ამბავი ვერ გაბედა.

პასკალმა სხვა ძვირფას საბუთებსაც მიაგნო.

დადგა მოგზაურობის დრო. ძებნა გრძელდებოდა მოსკოვის ეკლესიებსა და მონასტრებში, სერგის რაბათში, ნიჟეგოროდის სოფელ გრიგოროვოში, სადაც აბაკუმი დაიბადა, როსტოვში, იაროსლავლში, კოსტრომაში...

პიერ პასკალი იგონებდა:

„მოგზაურობა დავიწყე ისტორიულად სახელგანთქმულ ზემო ვოლგაზე, რომლის ნაპირებზეც ხან უბრალო სოფლები ჩანდა, ხან გაკაშკაშებული ქალაქები, ხან მაღალი სამრეკლოები, ასე რომ უყვართ რუსებს; ხან ჭრელი გუმბათები... მე ვნახე გამთენიის ხანს იდუმალებით მოცული ვოლგა, ნავებში განაბული მეთევზეები, ცქვრინას საჭერად რომ იყვნენ გამოსულები; მერე ისევ ვნახე ჩამავალი მზის სხივებით განათებული მდინარე. გაღმა, მეორე ნაპირზე აღმართულიყო მაკარის დი-

დებული მონასტერი, რომლის იქითაც კერძენცის გაყოლებით უკიდეგანო ტყეები და ჭაობები გადაჭიმულიყო... სიამოვნებით გავემგზავრებოდი ანგარაზეც, სადაც შეიძლებოდა გულქვა პაშკოვის ნაკვალევისთვის მისეგნო, ასევე ხალისით ვიმოგზაურებდი მეზენსა და პეჩორაზე, სადაც შესაძლოა პუსტოზერსკელი მამების საიდუმლო მაცნესთვის მიმეკვლია".

პეჩორაზე პასკალი ვერ მოხვდა. 1933 წელს საფრანგეთში დაბრუნდა და თან წაიღო დიდი მომჭირნეობის ფასად შეგროვებული უმდიდრესი ბიბლიოთეკა.

შემდგომ პასკალი სორბონის საპატიო პროფესორი გახდა; ძველი რუსული ლიტერატურის დარგში მრავალი შრომის ავტორი; მის კალამს ეკუთვნის აბაკუმის „ცხოვრების" ფრანგული თარგმანი.

და კიდევ სქელტანიანი წიგნი: „დეკანოზი აბაკუმი და საეკლესიო განხეთქილების დასაწყისი" — ფუნდამენტური გამოკვლევა, პიერ პასკალის სადოქტორო დისერტაცია.

11

პეჩორაზე პასკალი ვერ მოხვდა.

პეჩორაზე მალიშევი გაემგზავრა, საფრანგეთში პასკალის დაბრუნებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე და უნივერსიტეტში შესვლიდან ორი წლის შემდეგ.

იქნებ მმართებდა დაწვრილებით აღმეწერა ვლადიმერ ივანოვიჩის ყოფა-ცხოვრება (უნივერსიტეტში სწავლის ამ ორი წლის მანძილზე იგი სიდუხჭირეში ცხოვრობდა, უმეტესად ჩაისა და პურზე გადადიოდა, თუ ხანდახან ნახშირის გადმოტვირთვით ერთ-ორ მანეთს არ მოინაგრებდა), ან თხრობაში რაღაც რომანტიკული სამიჯნურო ამბავი შემეტანა (არავითარი რომანტიკა არ ყოფილა — როცა კაცს დღენიადაგ დაბებკილი შარვალ-ხალათი, გაპოხილი, გაცვეთილი ჩექმები და გაზინთული, დაგლეჯილი, მოდიდან კარგა ხნის წინ გამოსული მოკლე ტყაპუჭი გაცვია, რომანტიკისთვის აღარა გცხელა).

მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩი ყოველთვის არიდებს უცხო თვალს, როგორც იტყვიან ხოლმე, თავის შინაგან სამყაროს და საკვრეტლად თავისი ცხოვრების მხოლოდ გარეგნულ მხარეს უტოვებს. ეს ამარტივებს და აღარიბებს კიდეც სათქმელს. მაგ-

რამ განა რა ისეთი მნიშვნელოვანია ყოფითი წვრილმანები, როცა დღეისმარე ვლადიმერ ივანოვიჩის თვალწინ იშლებოდა, იზრდებოდა, უსასრულოდ ფართოვდებოდა წარსულში დანთქმულ ოცნებათა მომხიბლავი სამყარო. ეს წიგნების სამყარო გახლდათ, რომელსაც მან დიდის ტანჯვით მიაღწია, რომელსაც იგი ხარბად, მთელი გზნებით დაეწაფა, რომელმაც შიმშილიც დაავიწყა, თავისი შეუხედაობაც, პატივმოყვრული სიზმრები მოჰგვარა და საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე გაზვიადებული წარმოდგენა შეუქმნა.

მაგრამ აზრთა აზავთებას ყოველთვის როდი ახლავს ქცევის ძოურიდებელი სითამამე. უფრო პირიქით ხდება. მეოცნებენი მორიდებულები არიან და, როგორც ჩანს, ვლადიმერ ივანოვიჩი ამიტომ არ აბეზრებდა თავს შეკითხვებით აკადემიკოს ალექსანდრე ორლოვს, რომელიც, ცოტა არ იყოს, უხეში და დამცინავი კაცი გახლდათ. საკითხავი კი, იცოცხლეთ, ბლომად ჰქონდა.

აკადემიკოსი ორლოვი ძველი რუსული ლიტერატურის კურსს კითხულობდა და თავისი შეხედულებებით ბუსლაევის ძველ, ძლიერ ფილოლოგიურ სკოლას ეკუთვნოდა. იგი მაღალი, ძონძროხა ტანის კაცი იყო. ცოტა ყურს აკლდა. თუმცა, როგორც გოგოლის მიერ დახატულ თავს „მაისის ღამეში" ხანდახან ყველაფერი მშვენივრად ესმოდა. ასეა თუ ისე, სტუდენტების აზრიან შეკითხვებს იგი ისე აღიქვამდა, რომ თავისი ძლიერი ხელით ყურის ბიბილოს წინ წამოწევა არ სჭირდებოდა ხოლმე. ხორკლიანი და დაღარული ცხვირი უშველებელ ბებერ კარტოფილს მიუგავდა. მის ბაგეს ხანდახან არააკადემიური სიტყვაც დასცდებოდა, ზოგჯერ — უწმაწურიც. მაგრამ აკადემიკოსის ძარღვიან სიტყვებში იმდენი იუმორი იყო, ისეთი ხალხური, თავანკარა რუსულით ლაპარაკობდა, რომ მისი თანამოსაუბრენი მხოლოდ თავს აქნევდნენ, უხერხულად ხითხითებდნენ, ან მაშინვე გაეცლებოდნენ ხოლმე, მაგრამ აკადემიკოსის სასახელოდ არ ავიწყდებოდათ სათითაოდ ყველასათვის ჩაეკაკლათ გაგებულ-მოსმენილი. აკადემიკოსს არ უყვარდა ბრიყვები, მეტადრე განსწავლულნი და მათ რატომღაც ინგლისურ ყაიდაზე „რობინსონებს" უწოდებდა. ისეთი გესლიანი გამათრახება იცოდა, მისი დახასიათებები დღესაც ახსოვთ პუშკინის სახლში, სადაც აკადემიკოსი ორლოვი ძველი რუსული ლიტერატურის განყოფილებას განაგებდა.

ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომებზე აკადემიკოსს აშკარად ეძინა ხოლმე, მაგრამ როგორც კი კამათზე გადავიდოდნენ, მაშინვე ცხადი ხდებოდა, რომ მთავარი მის ყურთასმენას არ გამოჰპარვია და მზად იყო თავისი გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა.

აკადემიკოსს მოწყენილობას ჰგვრიდა ახალგაზრდა მეცნიერთა რიხიანი მსჯელობა, დემაგოგიას რომ არ თაკილობდნენ და ლიტერატურათმცოდნეობაში კარიერას ფსევდომარქსისტული „კონცეფციებით" იკეთებდნენ. მათთვის ყოველი რუსი მწერალი იყო პროდუქტი „კაპიტალიზმის განვითარების გზაზე დამდგარ თავადაზნაურთა ერთი ნაწილის ბრძოლისა რუსული რეაქციის კონსერვატულ-ფეოდალური ელემენტების წინააღმდეგ". ასე ხსნიდნენ ოცდაათიანი წლების დასაწყისში მეცხრამეტე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეთვრამეტე საუკუნის ყველა გენიოსის გამოჩენას. ლომონოსოვის შემოქმედება ასახავდა დასავლურად განწყობილ თითქოსდა შუვალოვების პროგრესულ კაპიტალისტურ გზაზე მდგარი თავადაზნაურობის ბრძოლას აგრარულ-პატრიარქალურ ფეოდალთა წინააღმდეგ, რომელთა განსახიერებასაც რაზუმოვსკები წარმოადგენდნენ.

ამ უბრალო ფორმულას თუ აითვისებდი, შეგეძლო უდარდელ ძილს მისცემოდი და აკადემიკოსი ორლოვიც მშვიდად ქშინავდა, სანამ უკანასკნელი მომხსენებელი სათქმელს არ ამოწურავდა. სიჩუმე აკადემიკოსს აღვიძებდა, ერთი შეკრთებოდა, თვალებს გაახელდა, დაღარულ ცხვირს მოიხოცავდა, წვერს მუქში მოიმწყვდევდა და დაბალი, ბუბუნა ხმით დაიწყებდა:

— მე, ცხადია, ძველი კაცი ვარ, სემინარიაში მისწავლია, სინოდის სტამბის გამგებელი გახლდით და მეცნიერებაში ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შემოვდგი ფეხი... ამიტომ შეიძლება არც ისე გაწაფული ვიყო მარქსისტულ მეთოდოლოგიაში, ამ ერთადერთ მეცნიერულ და სასიცოცხლო იდეოლოგიაში, მაგრამ თქვენს ღრმა და მეცნიერულად დახვეწილ აზრს, პაველ ნაუმოვიჩ, ვგონებ, რომ ჩავწვდი...

მომხსენებლის სახელსა და მამის სახელს იგი სწრაფად, სხაპასხუპით წარმოთქვამდა და ამიტომ პაველ ნაუმოვიჩის ნაცვლად ყველას „პოლოუმიჩი"[1] ესმოდა.

---

[1] ჰაუანაკლები.

— მსურს ეს აზრი უფრო ნათლად განვმარტო... ავიღოთ თქვენი აგრარულ-პატრიარქალური რაზუმოვსკი. წარმოვიდგინოთ, რომ ზამთარია, თოვს... სახლიდან გამოდის შავმურა მელიებით გაწყობილი სიასამურის ქურქით მოსილი გრაფი. თავზე თახვის ქუდი ჰხურავს. იგი მარხილში ჯდება და კოფოზე მჯდარ უსაპირო ტყაპუჭში გახვეულ მოდღლეზილ ჯეელ მემარხილეს ვეებერთელა უკანალში მუჯლუგუნს უთავაზებს — „გასწი!" სანაპიროზე თოვლის კორიანტელი დგება. უცებ გრაფს სტომაქის დაცლა მოუნდა. იმწამს დიდ შენობას მოჰკრა თვალი და მემარხილეს ჰკითხა — „თუ იცი, ეს რა სახლია?" ჯეელმა მემარხილემ ველური სიფათი გრაფისკენ მიაბრუნა და ილრიალა: „აკადემია, თქვენო ბრწყინვალებავ!" მეცნიერებათა აკადემიაში კი ერთი ალიაქოთი ატყდა, ბატონი აკადემიკოსები ფანჯრებს მოაწყდნენ, კიბეებზე თავქუდმოგლეჯილნი დაეშვნენ, დიდი თანამდებობის კაცს შეეგებნენ, მის წინ იატაკი ქუდებით მოწმინდეს. გრაფმა მოწყალედ გაიღიმა და იკითხა — „ფეხსადგილი სადა გაქვთ, ყმაწვილებო?"

აკადემიკოსი დაელოდა, ვიდრე სიცილი მიწყდებოდა და განაგრძო:

— ახლა მეორე შემთხვევა ავიღოთ... დასავლურ-კაპიტალისტური... გაზაფხულია, მზე აცხუნებს. სასახლიდან გამოდის გრაფი შუვალოვი. ოქრომკედით ნაკერ კამზოლზე აქა-იქ ფაქიზი მაქმანები დასდევს. ატკეცილ ლოყაზე ხალი მიუწებებია, ცისფერი აბრეშუმის შარვალი აცვია, შარვლის ბარტყულაზე ოქროს კლიტე ადევს, რომლის გასაღებიც პირადად დედოფალთან ინახება. სარკისმინებიან, მოოქრულ ეტლში ჯდება და მეეტლეს, ლივრეიან ხმელ-ხმელ გერმანელს უყვირის — „გასწი!" წარმოვიდგინოთ, რომ გზაში მასაც გაუჭირდა. დიდი შენობა დაინახა. „ეს რა მეზონია?" — იკითხა მან და ეტლის ფანჯრიდან თავი გამოყო. „მეცნიერებათა აკადემიაა, ექსელენს", — უპასუხა მეეტლემ. აკადემიაში ერთი ალიაქოთი ატყდა, ბატონი აკადემიკოსები ფანჯრებს მიაწყდნენ, კიბეებზე თავქუდმოგლეჯილნი დაეშვნენ, პარიკებს ისწორებდნენ, ხელმწიფის ტოლი კაცის წინ იატაკი ქუდებით მოწმინდეს. გრაფმა მოწყალედ გაიღიმა და იკითხა: „ძმებო, სადა გაქვთ სორტირი?"

ეშმაკი და უხეში კაცი იყო ალექსანდრე სერგის ძე ორლოვი, მაგრამ თავისი საქმე სხვებზე უკეთ იცოდა; უნივერსიტეტ-

ში ბრწყინვალედ კითხულობდა ლექციებს ძველ ლიტერატურაში. აუდიტორიაში, სადაც ის გამოდიოდა („გამოდიოდა"-მეთქი, ვამბობ, იმიტომ, რომ მისი გამოსვლა ხელოვნება გახლდათ), აუარება ხალხი იყრიდა თავს, მათგან ბევრს ფილოლოგიასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა — მხოლოდ მისი ლექციის მოსმენა სურდათ.

— იცით თუ არა თქვენ, რა არის მხატვრულობა? — ეკითხებოდა აკადემიკოსი ორლოვი თავის მსმენელებს პირველსავე ლექციაზე. — რას ნიშნავს: მხატვრული ძეგლები, მხატვრული ლიტერატურის ძეგლები?

ეს მთავარი კითხვა გახლდათ და პასუხი ამ კითხვაზე ვლადიმერ ივანოვიჩისათვის მთელ ცხოვრებაში წყალგამყოფად უნდა ქცეულიყო, ლიტერატურის მომხმარებლიდან მის მცოდნედ ექცია იგი. მას შესთავაზეს მხატვრულობისადმი დღეს წაყენებული პრეტენზიებისათვის თავი მიენებებინა და ისტორიის სიღრმეში ჩაძირულიყო, გამსჭვალულიყო იმ ეპოქის ნკითხველთა შეგრძნებითა და აღქმით, როცა ძველი ლიტერატურის ნაწარმოებები იქმნებოდა.

— ჩვენ რომ ჩვენს თანამედროვე თვალსაზრისზე ვმდგარიყავით და მხატვრულობის ხარისხისადმი დიდი მოთხოვნილება გვქონოდა, იძულებული გავხდებოდით ძეგლების რაოდენობა ისე შეგვემცირებინა, რომ ალბათ მარტო „იგორის ლაშქრობის ამბავიღა" დაგვრჩებოდა, — ამბობდა აკადემიკოსი ორლოვი.

მაშინ მიხვდა ვლადიმერ ივანოვიჩი, რომ ნებისმიერ ცნობას წინაპართა ცხოვრების შესახებ მარტო ისტორიკოსებისათვის კი არ ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, იგი ფასდაუდებელი განძი იყო ლიტერატურათმცოდნეობისთვისაც. მან კი გადაწყვიტა ლიტერატურათმცოდნე გამოსულიყო, როცა აბაკუმის „ცხოვრება" წაიკითხა.

ორლოვი მოითხოვდა, უფრო მეტად ჩაუკვირდით ძველი ანდერძების ძუნწ სტრიქონებსო. ამ ანდერძებში მარტო ქონებაზე როდი იყო ლაპარაკი. ისინი გვასწავლიდნენ, რომ „სანთელი არ უნდა ჩაქრეს", გვარი და გვარის ხსოვნა არ უნდა წაიშალოს. ორლოვი თავის მსმენელებს მოუწოდებდა დაენახათ ხატოვანი სილამაზე რუსული „პატრიარქალური ყოფისა", რომელიც ბატონს ურჩევდა მსახური აბუჩად არ აეგდო, ხასტიკად არ მოპყრობოდა, რამეთუ „მონობით შეჭირვებულს" ისლა

დარჩება, რომ იქურდოს, იმრუშოს, დანაშაული ჩაიდინოსო.

— გულდასმით წაიკითხეთ თეოდორე ბუსლაევის შრომები და დაინახავთ ჩვენი რუსული ენის მთელ ბრწყინვალებასა და სიდიადეს. დაინახავთ, რომ ჩვენს მეცნიერებას — ლიტერატურათმცოდნეობას — შეუძლია სიტყვაკაზმული იყოს, ხოლო მეცნიერს — იყოს ჭეშმარიტი მხატვარი. — ამბობდა იგი. — თეოდორე ბუსლაევი რომანული და გერმანული ფილოლოგიის შესანიშნავი მცოდნეც იყო, მან ლიტერატურული კვლევა ფერწერულ და სკულპტურულ კვლევასთან გააერთიანა; პირველმა შექმნა ჩვენში რუსული ენის ისტორიული გრამატიკა. როცა აკადემიკოსმა სობოლევსკიმ დაბეჭდა თავისი ლექციები რუსული ენის ისტორიაში, ჩვენ გაოცებული დავრჩით, საიდან მოჰყავდა სობოლევსკის ესოდენ ბრწყინვალე მაგალითები. ეს იმიტომ, რომ იმხანად ჯერ კიდევ არ ვიცნობდით ბუსლაევის შრომებს. მხოლოდ შემდეგ მივხვდით, რომ ყველაზე მოხდენილი მაგალითები სწორედ ბუსლაევის ისტორიული გრამატიკიდან იყო აღებული.

ორლოვი ლექციის კითხვისას ყურადღებით და დამცინავად აკვირდებოდა თავის აუდიტორიას. დამცინავად, რადგან, თუ მისივე სიტყვებით ვიტყვით, არ სჯეროდა, რომ „ისტორიულ-ლიტერატურული ცოდნის წყურვილის მოკვლა“ ერთ მათგანს მაინც აიძულებდა ფანატიზმამდე მისული სერიოზულობით მოჰკიდებოდა ძველი რუსული სიტყვიერების შესწავლას. მაგრამ მაინც ცდილობდა მსმენელებში პატივმოყვარეობა გაღვიძებინა ბრწყინვალე სილოგიზმებით, ესოდენ მავნებელი რომ არის მხატვრული ლიტერატურისათვის.

ვლადიმერ ივანოვიჩის მკაფიო ხელით ნაწერ კონსპექტებში უკვე გამოჩნდა ცნობები აპოკრიფების კრებულებზე, ჯერ კიდევ საეკლესიო სლავური დამწერლობის გარიჟრაჟზე ფართოდ რომ იყო გავრცელებული მთელ რუსეთში, ძველებურ სახარებებზე, უძველეს რუსულ მატიანეებზე, რომელსაც ეწოდებოდა — „გარდასულ ჟამთა ამბავი“; იგი მართლაც მოთხრობა იყო, რომელშიც ასე ოსტატურად ერწყმოდა ერთმანეთს მართალი და გამონაგონი. და იმის ნაცვლად, რომ ძველ ისტორიკოსთა სითამამის გამო აღშფოთებულიყო, აკადემიკოსი ორლოვი ზეიმობდა:

— დაუფიქრ ,ით, — ამბობდა იგი კათედრიდან, — დაუფიქ-

რდით ჟამთააღმწერლის მონათხრობს იმაზე, თუ ცხრაას ოთხმოცდათორმეტ წელს პაჭანიგები როგორ შეხვდნენ ვლადიმირის ლაშქარს. მათ თავიანთი გოლიათი გამოიყვანეს და რუსებს ორთაბრძოლა შესთავაზეს: ვინც ამ ორთაბრძოლაში სძლევდა მეტოქეს, გამარჯვებაც მის ლაშქარს დარჩებოდა. რუსებმა თავისიანებში შესაფერ ვაჟკაცს დაუწყეს ძებნა და ისეთი გამოარჩიეს, რომელსაც ერთხელ, განრისხებულს, ხარის ტყავი შუაზე გაუფხრეწია. რუსებმა ეს გოლიათი გამოიყვანეს პაჭანიგების დევგმირის წინააღმდეგ და რუსმა გოლიათმა მოკლა პაჭანიგი. რუსმა ჟამთააღმწერმა, რომელსაც მკაცრად ჰქონდა ნაბრძანები ეწერა იმაზეც, რის შესახებაც თქმულება არ შემორჩენილა, შეთხზა აქ აღწერილი ეპიზოდი...

აკადემიკოსს ახარებდა ის, რომ ძველ რუს მწიგნობრებში შემოქმედებითი საწყისები ცოცხლობდა, ახარებდა მათი ფანტაზია და კიდევ ის ირონია, უხვად რომ გამოსჭვიოდა ძველი იგავების ახლებურად გააზრებაში. ორლოვი წმიდანთა ცხოვრებაში პოულობდა უამრავ საინტერესო წვრილმანს, რომლებიც უცნობ რუს მთარგმნელთა ფანტაზიის ნაყოფი იყო. მათ ნაშრომებში — „პროლოგებში", „თთუენში"[1] — იგი ხედავდა რომანების კრებულს, ვრცელ მოთხრობებს, ჰეშმარიტ ლიტერატურას. ეყრდნობოდა რა დიდი რუსი ფილოლოგების აღმოჩენებს, იგი ფაუსტზე შექმნილი ლეგენდის მარცვალს პოულობდა კიპრიანესა და იუსტინეს ცხოვრებაში, ეგვიპტელთა ღვთაების ჰორის მითს — ძლევამოსილი გიორგის ცხოვრებაში, მეფის საცოლის არჩევის ხალხურ ზღაპრულ სიუჟეტს — მოწყალე ფილარეტის ცხოვრებაში, ბუდას ბიოგრაფიას — ვარლაამისა და იოსაფატის ცხოვრებაში. იგი ყვებოდა ქრონოგრაფებზე, კრებულებზე, ქრონიკებსა და თვითდაწვის ამბებზე, რუსეთში დაწერილ უამრავ სხვა წიგნზე, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. იგი ლევ ტოლსტოის, დოსტოევსკის, ლესკოვის ნაწარმოებებში ადვილად პოულობდა არამარტო ძველ ლიტერატურასთან მათი ნაცნობობის კვალს, არამედ უკვდავი სიუჟეტების ქვეცნობიერ გააზრებასაც. მთელი მსოფლიოს, ყველა ხალხის, ყველა საუკუნის შემოქმედებითი აზრი

[1] წმიდანთა ცხოვრების კრებული, რომელშიც საკითხავი დალაგებულია თვეების მიხედვით.

მისთვის იყო ერთი ძლიერი ნაკადი, რომელსაც შეიძლება დაეწაფოს ყველა, ვისაც მხრებზე თავი აბია.

ალბათ არ მოიძებნებოდა სხვა ისეთი შადლიერი მსმენელი, როგორიც ვლადიმერ ივანოვიჩი იყო, იგი აკადემიკოსს თრთოლვით უსმენდა და მიზნისკენ ლეგენდარული კიტოვრასივით მიიწევდა, თავისი გზისთვის ერთხელაც რომ არ გადაუხვევია. ვლადიმერ ივანოვიჩს ერთი გზა ჰქონდა — უნივერსიტეტის აუდიტორია, ბიბლიოთეკა, სადაც ის სულმოუთქმელად ნთქავდა თითქმის ყველაფერს, რასაც აკადემიკოსი თავის ლექციებში ახსენებდა, და სასადილო, სადაც წიგნის ფურცლებიდან თვალმოუშორებლად ყლაპავდა თავის ყოველდღიურ ულუფას, მხოლოდ იმას, რისი აღების საშუალებასაც იშვიათი და ღარიბული გასამრჯელო აძლევდა. ცოტა ეძინა, გაილია, ჩამოხმა, მაგრამ წაკითხულს ბეჯითად იმახსოვრებდა.

მალე ვლადიმერ ივანოვიჩს შესაძლებლობა მიეცა ახლოს გასცნობოდა აკადემიკოს ორლოვს. მათი გაცნობის ამბავი ერთი შეხედვით ანეკდოტური მოგეჩვენებათ, მაგრამ მე მას — იმ დროისათვის ვლადიმერ ივანოვიჩის მიერ უკვე ათვისებული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ — აპოკრიფულს ვუწოდებდ ?.

მათ ერთმანეთი იმ დღეს გაიცნეს, როცა აკადემიკოსი აპოკრიფს ყვებოდა კიტოვრასზე — ასე უწოდებდნენ ბერძნები თავიანთ ენაზე ინდურ სულს — „განდარვასს". ეს ლეგენდა ბერძნულიდან რუსულად XII საუკუნეში ითარგმნა.

...ერთხელ მეფემ თავის ბოიარსა და მის ყმებს უბრძანა: ყოველისმცოდნე კიტოვრასი შეიბყარით და აქ მომგვარეთო. ბოიარმა ეშმაკობა იხმარა — კიტოვრასი ღვინით დაათრო, ბორკილები დაადო და სატახტო ქალაქში ჩამოიყვანა. მაგრამ კიტოვრასს ერთი უცნაური ზნე სჭირდა — მხოლოდ სწორ გზაზე დადიოდა. მეფის მსახურნი იძულებულნი გახდნენ დაენგრიათ სახლები, რომლებიც კიტოვრასს წინ ხვდებოდა... ბაზრის ახლოს კიტოვრასმა ყური მოჰკრა, ერთი კაცი მეწაღეს ეკითხებოდა, ისეთი ჩექმა თუ გაქვს, შვიდ წელიწადს რომ გაძლოსო. ამაზე კიტოვრასს გაეცინა. მერე მან ექიმბაში დაინახა, რომელიც მკითხაობდა და ამაზეც გაეცინა, მხიარული ქორწილის დანახვაზე კი ტირილი დაიწყო...

ზუსტად ამ ადგილზე ვლადიმერ ივანოვიჩს თავი მკერდზე ჩამოუვარდა და ჩაეძინა.

იმ დღეს საბარგო სადგურში უთენია წავიდა, რათა მტვირთავებს მიხმარებოდა და ორიოდე კაპიკი ეშოვა. ნესტიანი ამინდი იყო და მათთან ერთად გასათბობად თლაშო არაყიც გადაკრა. მშიერ კუჭზე არაყმა გაახურა. ამჩატებული ნაბიჯით უნივერსიტეტისკენ გაეშურა, მაგრამ მისვლამდე არაყი გვარიანად მოეკიდა და ლექციაზე ველარ გაიგო, როგორ იცინოდა მთვრალი კიტოვრასი იმ კაცის დანახვაზე, შვიდ წელიწადს სამყოფ ჩექმებს რომ ეძებდა, რაკი იცოდა, რომ იმ კაცს შვიდი დღის სიცოცხლეღა ეწერა. კიტოვრასი იცინოდა ექიმბაშზე, რომელსაც საიდუმლოს გამოცნობა შეეძლო, მაგრამ არ უწყოდა, რომ თვითონ ოქროთი სავსე აკლდამაზე იდგა. კიტოვრასმა მექორწილეთა დანახვაზე ტირილი იმიტომ მორთო, რომ ახალგაზრდა ნეფეს ოცდაათი დღის სიცოცხლეღა დარჩენოდა. ვლადიმერ ივანოვიჩს არც აკადემიკოს ორლოვის მძიმე ნაბიჯების ხმა გაუგია, ყრუდ რომ გაისმა განაბულ აუდიტორიაში. აკადემიკოსი კათედრიდან ჩამოვიდა და მისკენ წავიდა. მაშინღა გაიღვიძა, როცა აკადემიკოსმა ძლიერი ხელი მხარში ჩააკრა და შეაჯანჯღარა.

ვლადიმერ ივანოვიჩი ფეხზე წამოხტა, აკადემიკოსმა თავისი დიდი ცხვირით ჰაერი შეისუნთქა და წამსვე ყველაფერს მიხვდა. დიალოგი მოკლე იყო:

— რა დალიეთ? — ჰკითხა აკადემიკოსმა.

— არაყი, — უმალ უპასუხა ვლადიმერ ივანოვიჩმა, ვინაიდან მიხვდა, რომ უარის თქმას აზრი არ ჰქონდა.

— რა დააყოლეთ?

— არაფერი.

— დაყოლება აუცილებელია, ყმაწვილო. ლექციის შემდეგ კათედრაზე შემოიარეთ, ამ თემაზე საუბარი იქ გავაგრძელოთ...

სავსებით გამოფხიზლებული, ავი წინათგრძნობით შეშფოთებული ვლადიმერ ივანოვიჩი მრისხანე ალექსანდრე ორლოვის წინაშე წარსდგა. მაგრამ კიტოვრასის მსგავსად განჭვრეტის უნარი რომ ჰქონოდა, უთუოდ მიხვდებოდა, დღეს ბედნიერი ბილეთი მერგოო...

აკადემიკოსი მშვენივრად ერკვეოდა ადამიანებში და ყოფით სიტუაციებში. განსაკუთრებით კი, როგორც ამბობდნენ, ისეთ სიტუაციებში, ჩვენი ბედნავსი ვლადიმერ ივანოვიჩი რომ აღმოჩნდა. აკადემიკოსმა სტუდენტის აღსარება კეთილი ირო-

ნიით მიიღო და გადაწყვიტა თავის გასართობად მისთვის ფორ-
მალური გამოცდა მოეწყო. წინასწარ ტკბებოდა, ლენჩი სტუ-
დენტი საცოდავად მოჰყვება ლუღლუღსო... არადა, სერიოზუ-
ლი საუბარი გამოუვიდათ, იკამათეს კიდეც, ვინაიდან ვლადი-
მერ ივანოვიჩმა გაშმაგებით შეუტია აკადემიკოსის მოსაზრე-
ბას, რომელიც მან ჯერ კიდევ შესავალ ლექციაზე გამოთქვა:
ძველი რუსული ლიტერატურა მეთექვსმეტე საუკუნეში მთავ-
რდებაო. მეჩვიდმეტე საუკუნე — კრიზისის საუკუნეა. ეს არის
ყველანაირი უცხოურის გავლენის ნარევი, ეკლექტიკა, რაც
ოდნავ ყურადღებასაც კი არ იმსახურებსო...

— კი მაგრამ, აბაკუმის „ცხოვრებაზე" რაღას იტყვით? —
შეეპასუხა ვლადიმერ ივანოვიჩი.

— რა აბაკუმის „ცხოვრება"! სტაროვერები სულ ტყუი-
ლად იცავდნენ მესამე რომსა და მის შემქმნელთ. მოსკოვის
1667 წლის კრებაზე ძველი წეს-ჩვეულების ყველა ძეგლი გა-
ნუსჯელი უვიცობის ნაყოფად აღიარეს. ეს იყო მეთექვსმეტე
საუკუნის დრომოჭმული იდეები, რაც არავის არაფერში არ
სჭირდებოდა...

— „ცხოვრება" უფრო გვიან დაიწერა, ალექსანდრ სერგე-
ევიჩ, — შეეპასუხა ვლადიმერ ივანოვიჩი, რომელმაც გულუბ-
რყვილოდ იფიქრა, აკადემიკოსი უზუსტობაში დაიჭირეო და
სასტიკად განაწყენებული დარჩა, რაკი ხელყვეს მისი ლიტე-
რატურული კერპი.

— შენ ჯერ ღლაპი ხარ, — უთხრა ორლოვმა: ეს „შენ" უკ-
ვე იმას ნიშნავდა, რომ მან ვლადიმერ ივანოვიჩი სერიოზულ
კაცად, თითქმის „თავისიანად" ჩათვალა, — ღლაპი ხარ კიდეკ
იმიტომ, რომ ტენდენცია კერძოსაგან ვერ გაგირჩევია. შენი
ჯიუტი აბაკუმი მეც მომწონს... ჰო, მართლა, რა გქვია?

— ვლადიმერი.

ორლოვმა ყურადღებით შეხედა სტუდენტს. მის მხედვე-
ლობას არ გამოჰპარვია არც ვლადიმერ ივანოვიჩის ასკეტური
სიგამხდრე, არც ბრაზიანად მომუწული ტუჩები, არც თაფლის-
ფერი თვალების განდგომილი მზერა, არც მისი საცოდავი ჩაც-
მულობა...

— შენი მშობლები ვინ არიან?

— მშობლები არა მყავს, — მოკლედ უპასუხა ვლადიმერ
ივანოვიჩმა.

— აჰა... მაშასადამე, ობოლი-პროლეტარი ხარ... და ცოდნის მიღება გწყურია. ყოჩაღ! ჭამა გინდა? — მოულოდნელად ჰკითხა ორლოვმა.

— მინდა, — უბრალოდ უპასუხა ვლადიმერ ივანოვიჩმა.

— მაშინ, ვლადიმერ, მოდი ჩემთან წავიდეთ. ჩემი კრუხი რითიმე გაგვიმასპინძლდება, კულინარიაში ხუცეს სილიბისტროსავით გათვითცნობიერებული ვერ გახლავს, მაგრამ... „დომოსტროი“ თუ წაგიკითხავს?

— კი, წაკითხული მაქვს.

— სასმელიც მომეძებნება. თავად დავაყენე, ძველი რეცეპტებით. თუმცა, დღეს რაც დალიე, ისიც გეყოფა...

ალექსანდრე ორლოვი იქვე, ვასილის კუნძულზე, „აკადემიკოსების სახლში“ ცხოვრობდა პირველ სართულზე. ეს სახლი დღესაც დგას სამხატვრო აკადემიის მახლობლად და ზედ ათობით თუჯის დაფაა გაკრული საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერთა სახელებით.

იმ დღიდან ვლადიმერ ივანოვიჩი ხშირად დადიოდა აკადემიკოსთან. ერთად ისხდნენ ხოლმე მის კაბინეტში, სადაც წიგნები თაროებზე ჯარისკაცებივით გამწკრივებულიყვნენ, დასტადასტად ეყარნენ საწერ მაგიდასა და იატაკზე. მაგიდის მარცხნივ პატარა სახარატო ჩარხი იდგა და ალექსანდრ სერგეევიჩი ათასნაირ რამეს ჩარხავდა ხოლმე. განსაკუთრებით უყვარდა ხელჯოხების გამოჩარხვა, რომლებიც არავის სჭირდებოდა და წიგნებს შორის კონა-კონად ეწყო. აკადემიკოსის ეს გატაცება ვლადიმერ ივანოვიჩს აგონებდა პეტრე დიდსა და მოხუც ბალკონსკის „ომი და მშვიდობიდან“. ამაზე ორლოვსაც გადაუკრა სიტყვა და მოხუცს გაახსენა ლევ ტოლსტოი, როშელთან ერთადაც ჭაბუკობაში შეშა დაუხერხავს ხამოვნიკში, რადგან იქვე მეზობლად ცხოვრობდა.

— და მასთან გისაუბრიათ? — ჰკითხა ვლადიმერ ივანოვიჩმა, იმ იმედით, კლასიკოსზე რაიმე საოცრებას გაიგებო, მაგრამ მაშინვე შერცხვა თავისი აშკარად სულელური შეკითხვისა.

— მისაუბრია, მაშ, — უთხრა ორლოვმა და თვალები დამცინავად და ავხორცულად გაუბრწყინდა. — დედაკაცებზე გვისაუბრია. მოხუცს ამ საქმისა გაეგებოდა. სოფლის გოგუცანებზე, ხორციელ ნეტარებაზე მიყვებოდა ხოლმე... ხომ არ გგონია, სულ ასეთი ვიყავი!

აკადემიკოსმა უშნო ცხვირზე ხელი მოიკიდა და გამომცდელად ეესედა აჭარხლებულ ვლადიმერ ივანოვიჩს, რომელსაც სხვებისგან გაგონილი ჰქონდა, რომ ყმაწვილკაცობაში მთელ მოსკოვში ორლოვს ბიჭი ვერ სჯობდა სილამაზით. გამარჯვებათა სათვალავი ერეოდა, მაგრამ საშოქალაქო ომის დროს შავ-ყვავილი თუ რაღაც საშინელი სენი შეჰყრია და სახე დაუმახინჯდა...

— შენკენ როგორ არის ეს საქმე, ვალოდია? — ჰკითხა ვლადიმერ ივანოვიჩს მისი დარცხვენით გამხიარულებულმა ორლოვმა. — აბა, აბა... იცოდე, ცოლი ადრე არ შეერთო. განსაკუთრებით სწავლულ ქალბატონებს ერიდე...

...რაც დაბადებით გიწერია, იმას ვერ ასცდები. ვერავითარი სწავლა, ვერავითარი მაგალითი ადამიანის ხასიათს ვერ შეცვლის. არც ვლადიმერ ივანოვიჩი შეუცვლია ორლოვთან ურთიერთობას. მას აკადემიკოსისა არც ეშმაკობა შეუძენია, არც კეთილი ცინიზმი და არც დიდაქცური შეუვალობა. თუმც მისი სიტყვები შეითვისა და წაოხუნჯებასაც ცდილობდა ხოლმე. ნაძალადევი ხუმრობით უხერხულად იცავდა თავს, როდესაც ვინმე უცხო მის იდუმალ გრძნობებს შეეხებოდა. იმ დროს, როდესაც მე გავიცანი, ვლადიმერ ივანოვიჩის გამუდმებულ დაცინვაში „სწავლული ქალბატონების“ მიმართ არც დამჯერებლობა იგრძნობოდა, არც ბოღმა და არც გაავება...

აკადემიკოსს მოსწონდა ვლადიმერ ივანოვიჩი. მას უნდოდა თავისი საქმით კიდევ უფრო მოეხიბლა პირველკურსელი და როგორც ნამდვილ პედაგოგს შეჰფერის, ანბანურ ჭეშმარიტებას უშურველად უზიარებდა:

— პალეოგრაფია უნდა იცოდეს ყველა ისტორიკოსმა და ფილოლოგმა, ვისაც კი ძველ ხელნაწერებთან აქვს საქმე. მხოლოდ მას შეუძლია პასუხი გაგცეს კითხვაზე: სად და როდის წარმოიქმნა წერილობითი ძეგლი. აიღე ის წიგნი... რა შეგიძლია მასზე თქვა? არაფერი. ძველნაბეჭდ წიგნს ხელნაწერისაგან ვერ განასხვავებ... ჯერჯერობით... მოვა დრო და წიგნებს გამოშტერებული აღარ დაუწყებ ყურებას. ამას კი მანამ ვერ შეძლებ, სანამ შენს ხელში ათასობით ხელნაწერი წიგნი არ გაივლის. შეიმუშავებ წიგნების დათარიღების საკუთარ მეთოდს, გექნება შენი განსაკუთრებული ნიშნები...

...შეძლებ გაარჩიო, როგორი მელნით გამოჰყავდა თავისი

ასოები გადამწერს, იცნობ მათ ხელწერით, დაწოლის ძალით, ასოების სისქით იმასაც კი მიხვდები, სად შეცვალა გადამწერმა ძველი კალამი ახლით. დაიმახსოვრე: რუსული დამწერლობის გაჩენიდან პირველ ოთხ საუკუნეს პერგამენტზე ხელით წერდნენ, იმ ხელწერას ასომთავრული ჰქვია.

...სლავური ასომთავრული — ეს არის დარბაისლური, საზეიმო დამწერლობა, მასში დიდი სილამაზეა, სისწორე და ეკლესიური კეთილსახიერება. ეს არის ლიტურგია, არქიტექტურული სრულყოფილება. ამ ხელითაა დაწერილი ოსტრომიროვის სახარება და სვიატოსლავის კრებული.

...ეს კი ნახევრადმთავრულია. ასოები ოდნავ წაფერდებულია და ისეთი ლამაზი აღარ არის. ეს საქმიანი გადამწერების ნაწერია, შეკვეთით რომ მუშაობდნენ ან თავიანთი ნამუშაკევი გასაყიდად უნდოდათ. წიგნებზე მოთხოვნილება იზრდება, გადამწერი ჩქარობს, მას მკაცრი კალიგრაფიული წესების დაცვისთვის აღარ სცალია. ასოებს ამარტივებს და სიტყვების შემოკლებას იწყებს...

...მეთხუთმეტე საუკუნიდან უმეტესად ქაღალდზე წერენ უკვე გაკრული ხელით. სახელმწიფო — ეს უპირველესად ქაღალდებია. აუარება ქაღალდი. ქაღალდების მთა. ასოების ლამაზად გამოყვანისთვის აღარ სცალიათ. „გაკრული ხელი" უფრო თამამ და თავისუფალ ნაწერს ჰქვია. ასე წერდნენ სიგელ-გუჯრებს, არზებს, ეპისტოლეებს, საკუთარ ცხოვრებას. შენ აბაკუმიც გაკრული ხელით წერდა. საჭირო როდია გრაფოლოგობა, რომ მისი მძაფრი, ჩქარი ხელით ამოიცნო მისივე მოუსვენარი ხასიათი, მისი სწრაფვა, არაპროფესიულობა გადაწერის საქმეში, აშკარა ინდივიდუალობა...

...დაიმახსოვრე: მეთოთხმეტე საუკუნის მოსკოვური ხელნაწერები ძალიან იშვიათად გვხვდება. 1382 წელს კრემლის ტაძრები თაღებამდე სავსე იყო წიგნებით, თათრების თავდასხმისაგან გამოქცეულ ხალხს რომ მოჰქონდა. ხელნაწერები ერთიანად გაანადგურა ხანძარმა. ეს რუსეთში პირველი და უკანასკნელი ხანძარი არ ყოფილა. იწვებოდა წიგნები, იწვებოდა მტრის შემოსევისას, სტიქიური უბედურებისას, დაუდევრობის, უგნურების, ბოროტი განზრახვის გამო... ხატებს უკეთესი ხვედრი ხვდათ წილად. სახელოვან და სასწაულმოქმედ ხატებს, „სამებას" და მისთანებს, უკეთ იცავდნენ. ხანძრის დროს პირველ ყოვლისა ისინი გამოჰქონდათ, წიგნები კი... ეჰ!

...ყურადღებით დაათვალიერე, რომელი ხისგანაა გაკეთებული წიგნის ყდა. თუ ფიქვია, მაშასადამე, ჩრდილო რუსეთში დაუმზადებიათ, თუ მუხაა, ან ცაცხვი, ან არყის ხე — მაშინ შუა ზოლში. დაუკვირდი ჩუქურთმას ტყავის ყდაზე... მეჩვიდმეტე საუკუნეში ყდის ფიცრები შემონაჭერზე გამოწეული იყო, რათა იგი ხახუნისაგან დაეცვა.

...შენ შეგიძლია გაიგო წიგნის გადაწერის დრო ხვეულით, ორნამენტით, მოჩუქურთმებული მთავრულებით. დააკვირდი, რა კოხტები არიან! ზოგიერთი მხატვარი ერთ ნახატ ასოში მთელი ზღაპრის შინაარსს გადმოსცემს. მახსოვს ნოვგოროდის მეთოთხმეტე საუკუნის ფსალმუნში მთავრული M ვნახე, ორი ხიფთანიანი ჭაბუკის სახით, რომელთაც ხელში თოკის ბოლოებით თევზებით სავსე ბადე უჭირავთ. ყოველი ფიგურის ქვეშ სინგურის წარწერაა გაკეთებული. პირველს აწერია: „გასწიე, შე ბოზის ნაშობო“, მეორეს — „შენ თვითონ ხარ ბოზის ნაშობი“. ამგვარად მორთულ წიგნებს რუსეთში „მორთულ-მოკაზმულს“ უწოდებდნენ. ფერად მინიატურებიან წიგნს კი „დასურათხატებულს“.

...ჩვენს, მეოცე საუკუნეში ქვირნიშნებით ისწავლეს გამოცნობა, თუ როდისაა დამზადებული ქაღალდი. გახედე ამ ფურცელს სინათლეზე, ქაღალდი აქ უფრო გამქვირვალეა და ფიგურაც — მასხარას თავი კუწუბიანი წამოსასხამით — მკაფიოდ მოჩანს. ეს მეჩვიდმეტე საუკუნეა. საერთოდ ქაღალდის ფაბრიკების ნიშნებს თვლა არა აქვს, თვითონ ნახავ ალბომებში...

...კრიპტოგრაფიაზე ბევრჯერ მოგიწევს თავის მტვრევა. ამ საიდუმლო დამწერლობაში ხომ ეშმაკიც ვერ გაერკვევა. იგი მეთორმეტე საუკუნის რუსულ ხელნაწერებშიც გვხვდება. ერთი ასო მეორეთია შეცვლილი. მთელი მათემატიკაა. მეფე ალექსი მიხეილის ძეც, უწყინარად წოდებული, თვითონ ადგენდა თავისი წერილების საიდუმლო, „თავსატეხ“ სისტემებს ელჩებთან, მდევრებთან, სანდო პირებთან მიმოწერისას, ამ წერილებს მაშინ ნახავ, როცა საიდუმლო საქმეთა პრიკაზის არქივში მოგიწევს მუშაობა...

...ხელნაწერზე მუშაობა თუ გსურს, შენი ქვეყნის ისტორია ხუთი თითივით უნდა იცოდე. აბა მითხარი, რა გვარი იყო პატრიარქი იოაკიმი, შენი ცოდვილი აბაკუმი რომ მოაშთობინა?

არ იცი... საველოვის გვარისა იყო. რას ეძახდნენ ბერობაში მეფე ბორის გოდუნოვს? აი, სიკვდილის წინ ბერად რომ შედგა? ღვთივმშვენიერს! ყველაფერი, ყველაფერი გამოგადგება, როცა კითხვას, ამოკითხვას და გარჩევას ისწავლი.

...ნაბეჭდ წიგნს ტირაჟი აქვს, ხოლო ყოველი ხელნაწერი წიგნი უნიკუმია. დიდი ბედნიერებაა ახალი, ადრე უცნობი ნაწარმოების პოვნა. მაგრამ ხელნაწერი მაინც უნიკუმია, თუნდაც ის უკვე ცნობილი ნაწარმოების ჩვეულებრივი, მორიგი ასლი იყოს. ის თითქმის ყოველთვის უკვე ცნობილის ვარიანტია. მინდორზე მინაწერმაც კი შეიძლება ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის შესახებ რაიმე ცნობა მოგაწოდოს. ბოლოს და ბოლოს შეიძლება ხელთ უცნობი რედაქციაც ჩაგივარდეს...

ასე, ან დაახლოებით ასე მიამბობდა ვლადიმერ ივანოვიჩი აკადემიკოს ორლოვის სახლში მოსმენილ ლექციებს. სწორედ მაშინ ითქვა ის ფრაზაც, რომლის შემდეგაც საკუთარ მომავალზე ოცნებებში ვლადიმერ ივანოვიჩმა დალანდა ის, რაც მართლა ელოდა, აჩრდილი იმ აზრისა, ფიქრისა, რომელმაც შემდგომ ხორცი შეისხა და მისი ცხოვრების რწმენაში, მისწრაფებაში გადაიზარდა.

— ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი დიდი სიხარული გველის, — უთქვამს ორლოვს. — სადღაც ცხრაკლიტულში ძევს ჩვენთვის უცნობი ხელნაწერები და მოლოდინით გული ელევათ, სანამ ვ-ლაცის მზრუნველი ხელი მათ მზის სინათლეზე გამოიტანს...

მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩი მაშინ ჯერ ისევ მწერლის კარიერაზე ოცნებობდა, თანაც ისტორიული მწერლის კარიერაზე და გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ამის უფლებას ისტორიის ცოდნა აძლევდა. მას არ გამოეველო ის ტანჯვა, რაც ამ პროფესიას მოაქვს, არ უწვნევია ყოველდღიური მარცხის სიმწარე საუკეთესო სიტყვათა საუკეთესოდ გამართვა-დალაგების ცდისას და გრაფომანული სიმსუბუქით სახელდახელოდ წერდა პოემების თუ მოთხრობების შესავლებს; მაგრამ ეს გრაფომანობა არ იყო, ეს კადნიერება გახლდათ, მხოლოდ ახალგაზრდას რომ სჩვევია, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი იქვი. ხან ერთ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ხან მეორეს და იმ პატარ-პატარა გამარჯვებებსაც ვერ მიაღწია, სიხარულს რომ ანიჭებს მწერალს, ყველას ერთად კი შემოქმედებითი წარმატება მოაქვს. მაინც იჩქარა და სტუდენტურ გაზეთში — „პროლეტა-

რული კადრებისათვის“ დაბეჭდა ერთ-ერთი ასეთი შესავალი მრავლისმთქმელი შენიშვნით: „ამხ. მალიშევი მუშაობს ისტორიულ მოთხრობაზე — „ხატმწერი“, რომელიც ბერ-მონაზვნების ცხოვრებას ეხება. მოქმედების ადგილია ნოვგოროდი (ჩრდილოეთი), XVII საუკუნის პირველი ნახევარი“

ამხ. მალიშევის დაინტერესება ბერების ცხოვრებით, მით უფრო, რომ მას მხარი დაუჭირა გაზეთმა „პროლეტარული კადრებისათვის“, შეიძლება ერთი შეხედვით უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ, როცა ამგვარი შეუსაბამობის მიღმა შუასაუკუნეების მონასტრების მკვიდრთა ხორციელ ტკბობაზე ანტირელიგიური მოთხრობის შექმნის სურვილს დაინახავთ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

დიდი შორსმჭვრეტელობა არ არის საჭირო, რომ მიხვდე: ვლადიმერ ივანოვიჩი უპირველესად თავისი ნაწარმოების „გატანაზე“ ფიქრობდა. ამ გზას რომ გაპყოლოდა, სავსებით შესაძლებელია მატერიალური და ადმინისტრაციული წარმატებებისთვისაც მიეღწია. პატარა ნიჭიც რომ ჰქონოდა და დიდი მონდომება, რუდუნებით რომ ემუშავა ახალ-ახალ აქტუალურ თემებზე, კეთილდღეობას მიაღწევდა, ზოგიერთ თანამოკალმეზე მაღლა დადგებოდა, და აგდებულად შეხედავდა მათ საცოდავ მცდელობას, რომ როგორმე მარადისობაზე ოცნება სინამდვილის კალეიდოსკოპში მოეთავსებინათ.

მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩს აკლდა საქმიანი კაცის ის თვისებები, რაც მას ესოდენ ბრწყინვალე მომავალს მოუტანდა, მთავარი კი ის გახლდათ, რომ მას ეყო სინდისი, უარი ეთქვა ჩანაფიქრზე, დაწყებულ საქმეზე და ლიტერატურის ისტორიასა და პალეოგრაფიაში განაგრძო მეცადინეობა. ისეთი მონდომებით მეცადინეობდა, მეორე კურსის ბოლოს საშინლად დასუსტდა, ხშირად ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ერთხელ, გულწასული გონს რომ მოვიდა, მიხვდა, მისი კიდევ ერთი წამოწყება დასაღუპად იყო განწირული.

სასოწარკვეთის მიზეზი ჰქონდა — მართალია, დროებით, მაგრამ სწავლისთვის თავი უნდა დაენებებინა. დეკანატში უთხრეს, რომ ახლა მკურნალობა, დასვენება სჭირდებოდა. უკან კი ყოველთვის სიამოვნებით მიიღებდნენ, მით უფრო, რომ აკადემიკოსი ორლოვი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩს არც ჯანმრთელობა ჰქონდა,

არც ფული და არც მშობლიური კერა. ექიმმა უთხრა, ლენინგრადის ჰავა თქვენთვის მავნებელია, სადმე სამხრეთში უნდა წახვიდეთ, მყუდრო ადგილზე მოეწყოთ და იმკურნალოთო.

როგორც იქნა, ცოტა ფული იშოვნა და პეჩორაზე გაემგზავრა, სადაც კიდევ უფრო საძაგელი ჰავა იყო.

სანამ ნარიან-მარის გავლით არხანგელსკიდან ტაიმირში მიმავალი პატარა ხომალდის გემბანის მგზავრი თანამგზავრებს ეცნობა და რწევისაგან იტანჯება, მოდით ეცადოთ და გავერკვეთ მის ერთი შეხედვით არალოგიკურ საქციელში.

12

საეკლესიო განხეთქილებამ რუსული მიწა შეაზანზარა, მაგრამ ისევე, როგორც არც ერთ სხვა შფოთს, სიკეთე არც მას მოჰყოლია. თუკი მან საბოლოოდ რაიმე სარგებლობა მაინც მოიტანა, მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურისათვის...

აბაკუმის დაწვიდან ორი კვირის შემდეგ მეფე თეოდორე ალექსის ძე გარდაიცვალა.

და სტრელეცთა აჯანყებაც დაიწყო.

სტრელეცები გაშლილი დროშებით, ზარბაზნებითა და დაფდაფების ცემით კრემლში შევიდნენ. მათ არტემონ მატვეევი და სხვა ბოიარები „ასო-ასო აკუწეს". გვამები წითელ მოედანზე გამოათრიეს და გაჰყვიროდნენ:

— აჰა, ბოიარი არტემონ სერგეევიჩი! აჰა, ბოიარი თავადი რომოდანოვსკი, აჰა, დოლგორუკი, აჰა, სათათბიროს დიაკვანმდივანი მოდის, გზა მიეცით!

მეფის ასულმა სოფია ალექსეევნამ, რომელიც მცირეწლოვანი უფლისწულების — ივანესა და პეტრეს მეფედ კურთხევისას მმართველი გახდა, სტრელეცებიდან თავი ფულით გამოისყიდა.

აჯანყებულებს, რაღა თქმა უნდა, წინამძღოლებიც გაუჩნდათ — თავადი ხოვანსკი და სტრელეცი-სტაროვერი ალექსი იუდინი. აჯანყების მესამე დღეს პოლკებში ლაპარაკი დაიწყეს პატრიარქისათვის გასაგზავნ არზაზე, რომლითაც მთავრობისაგან ნიკონელთა მიერ დევნილი „ძველი სჯულის" დაბრუნებას მოითხოვდნენ.

აბაკუმის ძველი მეგობარი „სიმენუშკა", სენკა კრაშენინი-

კოვი, იგივე ბერი სერგი, მაშინვე ადგილზე გაჩნდა. მას თან ახლდა გაკრეჭილი მღვდელი, პუსტოსვიატად ცნობილი ნიკიტა დობრინინი. მათ აჯანყებულებს აბაკუმის უსტარი წაუკითხეს და სტრელეცებს ცრემლი აღვრევინეს.

თავად ხოვანსკისაც კი გული აუჩუყდა:

— მეც ცოდვილი ვარ, — თქვა მან, — დიდებულებს სურთ, რომ წმინდა ეკლესიებში ძველებურად ერთხმოვანობა და სიმშვიდე იყოს. მართალია, ცოდვილი ვარ, მაგრამ ძველ ღვთისმოსაობას მტკიცედ ვიცავ, ძველ წიგნებს პატივს ვცემ და პირჯვარს ორი თითით ვიწერ. სიამოვნებით დაგეხმარებით, ძმებო, დამშვიდებულნი იყავით, ძველებურად ვერ გაწამებენ, ვერ ჩამოგახრჩობენ, ძელმიწურებში ვერ გამოგწვავენ.

სერგი და პუსტოსვიატი მოითხოვდნენ გაემართათ კამათი რწმენის შესახებ, რომელსაც მეფე და პატრიარქიც დაესწრებოდნენ. უცნობი ბერები ხმამაღლა ქადაგებდნენ ქუჩებსა და მოედნებზე. ხალხი გაძვალტყავებულ და დაკონკილ მქადაგებლებს კეთილგანწყობით უყურებდა.

— ახალი აღთქმის ახლანდელ მქადაგებლებივით კი არა აქვთ ფაშვი გაბერილი!

სტაროვერები მოითხოვდნენ, რომ ეკლესიის მსახურებთან კამათი ან წითელ მოედანზე, თხემის ადგილზე გამართულიყო, ან კრემლში, ტაძრებს შორის, წითელ წინკარზე. პატრიარქ იოაკიმს მოედანზე გასვლის შეეშინდა — ლუკმა-ლუკმა დამგლეჯნო.

სოფიამ და პატრიარქმა გადაწყვიტეს სტაროვერები წახნაგებიან პალატაში მიეღოთ. ექვსმა ბერმა თან წაიღო ჯვრები, წიგნები, საწიგნეები და სანთლები, თანაც უბეები ქვებით გაივსეს (ყოველი შემთხვევისათვის). ჩხუბი წითელ წინკარზევე დაიწყო. გზაში ისინი ზორბა მხარბეჭიანმა მღვდლებმა დაიჭირეს, ნიკიტა პუსტოსვიატს ქოჩორში ჩააფრინდნენ. სტრელეცებმა ძლივს გამოიხსნეს გაძვალტყავებული, მანამდე სამ დღეს მომარხულე სტაროვერები.

— აი, თქვე თაღლითებო! — იგინებოდა ხოვანსკი და მღვდლებს ერეკებოდა, — მე არაფერს მეკითხებიან და სამიკიტნოს ლოთებივით შეუყრიათ თავი.

სხვა მეფის ასულებით გარშემორტყმული სოფია პალატაში გაქვავებული იჯდა.

— რისთვის გარჯილხართ და რას მოითხოვთ ჩვენგან? — იკითხა პატრიარქმა იოაკიმმა.

— ჩვენ ხელმწიფე ბატონებთან თხოვნით მოვედით, მართლმადიდებლური სარწმუნოება უნდა გასწორდეს, — გამ-ყინავი ხმით იყვირა პუსტოსვიატმა და სოფიას გადახედა. არა-ვითარი ხელმწიფე-ბატონები პალატაში არ იყვნენ. „მხოლოდ დიაცები არიან", — გაიფიქრა მან.

— თქვენ არავინ გეკითხებათ ეკლესიის საქმეთა გასწორე-ბას, გრამატიკაში განსწავლულნი არა ხართ და არ იცით, რა ძალაა მასში.

— ჩვენ შენთან გრამატიკაზე სასაუბროდ არ მოესულვართ.

კამათი ცხარე გამოდგა. ერთმანეთს გულისპირში აფრინ-დებოდნენ, მუშტებს იქნევდნენ.

სოფიამ ბრძანა არზა წაეკითხათ.

მაგრამ როცა პუსტოსვიატი იმ ადგილამდე მივიდა, სადაც ნათქვამი იყო, ბერი არსენი ერეტიკოსია და ყოფილ პატრიარქ ნიკონის შეწევნით მეფე ალექსი მიხეილის ძეს გონება აუმ-ღვრიაო, მეფის ასულმა ეეღარ მოითმინა, ადგილიდან წამოხტა და შესძახა:

— თუ არსენი და პატრიარქი ნიკონი ერეტიკოსები არიან, მაშინ მამაჩვენი და ძმაც ერეტიკოსნი ყოფილან; მაშასადამე ახლანდელი მეფენი მეფენი არ არიან, პატრიარქები — პატრი-არქები, არქიელები კი არქიელები; არ გვსურს ვისმინოთ, რომ მამაჩვენი და ძმა ერეტიკოსნი არიან. ჩვენ ყველანი დავტოვებთ სამეფოს.

სტრელეცები აღელდნენ.

ერთნი ამბობდნენ:

— ისე კი დიდი ხანია დროა, მეფის ასულო, მონასტერს მიაკითხო. გეყოფა რაც სამეფო ააფორიაქე. ხელმწიფე-ბატო-ნები გვეყოლონ კარგად და ჯანმრთელად და უთქვენოდაც ი-ოლად გავალთ.

— რატომ უნდა დატოვონ ხელმწიფე-ბატონებმა სამეფო? ჩვენ მზად ვართ მათთვის თავი გავწიროთ! — ყვიროდნენ მე-ორენი. ისინი უფრო მეტნი იყვნენ.

სოფია ყურადღებით უსმენდა ბრბოს. ფულმა თავისი საქ-მე გააკეთა. მაშინ სოფიამ ცეცხლზე ნავთი დაასხა.

— ეს ტეტია-ბრიყვი რასკოლნიკები თქვენს ზურგს ამოფა-

რებულან, თქვენი მოიმედე აქ შფოთის ასატეხად მოსულან. ნუთუ თქვენ, ჩვენი პაპის, მამისა და ძმის ერთგულო მსახურნო, მათი თანამზრახველები ხართ? თუ ასეთ მონობაში ყოფნა გვიწერია, მეფეებისა და ჩვენი ცხოვრება აქ აღარ შეიძლება: წავალთ სხვა ქალაქებში და ქვეყანას მოვდებთ თქვენი ურჩობისა და რბევის ამბავს.

ეს საშინელი მუქარა იყო და სოფიამ შეასრულა იგი. სანამ ბერები „თხემის ადგილზე" და იმ ეკლესიებში, სადაც არქიელები შეაჩვენეს, ხალხის წინაშე თავს იქებდნენ, სტრელეცების არჩეული კაცები სოფიას არწმუნებდნენ, ძველ რჯულთან საქმე აღარა გვაქვსო.

თუმცა სტრელეცებმა ექვსივე სტაროვერი შეიპყრეს, ხოლო ნიკიტა პუსტოსვიატს თავი წააცალეს, სოფია მეფის კარითურთ მაინც კოლომენსკში გაემგზავრა, იქიდან კი სერგის სამებაში გადავიდა, სადაც თავადაზნაურთა ლაშქარი იყრიდა თავს. ყველა ბოიარი მოსკოვში შეიკრიბა. სტრელეცები განწირულნი იყვნენ.

მონასტერში სათათბიროდ საბჭო შეიკრიბა. მდივანმა საბჭოს მოახსენა, თავადი ივან ხოვანსკი თავის ძე ანდრეისთან ერთად სტრელეცებს აგულიანებს, მეფის ჯილაგი ამოწყვიტოთო, ორივე ხელმწიფე — დედოფალი ნატალია, მეფის ქალი სოფია ალექსის ასული, პატრიარქი და ბოიარები, რომელთაც ძველი რჯული არ უყვართ, დავხოცოთო. როგორც კი მათ მოაშთობენ, განზრახული აქვთ სტრელეცები მთელ მოსკოვის სამეფოს შეუსინონ, რათა ქალაქებში რაბათის ხალხს ვოევოდები დაახოცინონ, გლეხებს თავიანთი ბოიარები გააწყვეტინონ; ქვეყანა რომ აირევა, მოსკოვის სახელმწიფოში მეფედ ის, თავადი ივანე დასვან, პატრიარქად და ხელისუფლად ისინი დაყენონ, ვისაც ძველი წიგნების მოყვარული ხალხი აირჩევს.

სოფიამ მცირეწლოვან პეტრესა და ივანეს სახელით ბრძანა, ბოიარებმა კი დაამტკიცეს:

„ჭეშმარიტი გამოძიებისა და აშკარა მხილების საფუძველზე სიკვდილით დაისაჯონ".

თავადი ხოვანსკი, მეტსახელად მაჭატელას რომ ეძახდნენ, გამჭრიახი კაცი არ იყო, ამიტომ გაბედულად მოქმედებისა შეეშინდა და დანაშაულიც მოგვიანებით აღიარა. მის თავის მართლებას ყური არავინ დაუგდო. სახელდახელოდ გაასამართლეს

და რადგან ჯალათი არ ჰყავდათ, თავადს და მის ძეს მოსკოვის დიდ გზასთან ყელი მეფის მცველმა გამოჭრა.

უმეთაუროდ დარჩენილმა სტრელეცებმა კრემლი დაიპყრეს და ახლა ბოიარებზე გალაშქრებას აპირებდნენ, პატრიარქს პირდაპირ ჯვრის პალატში მოკვლით ემუქრებოდნენ, მაგრამ გაბედულად ვერ მოქმედებდნენ. მალე მათაც აღიარეს დანაშაული. მათ მეთაურად თევდორე შაკლოვიტი დანიშნეს. მისი ბრძანებით შემჩნეული მყვირალები შეიპყრეს, ზოგს ხელი წააჭრეს, ზოგს ფეხი, ზოგს ცხვირი ან ყური, ზოგიც შორეულ გარნიზონებში დააგზავნეს.

სტრელეცების აჯანყება ამით არ დამთავრებულა. ალი კი ჩააქრეს, მაგრამ ნაკვერჩხალი დიდხანს ღვიოდა და ცეცხლი ყველაფერს წაეკიდა, რასაც კი მისწვდა. სტრელეცებს თან მიჰქონდათ გულში დამალული შურისძიება. ისინი მუდმივად იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან და იმათთანაც, ვინც მოსკოვში დარჩენა მოახერხა. მზადდებოდა ახალი აჯანყება „ძველი სჯულის“ დროშით, მაგრამ ეს იყო უფრო უკმაყოფილების გამოხატულება სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც უკვე შეძლო ურჩთა ალაგმვა. ხალხში საშინელი ხმები დადიოდა ჭაბუკ პეტრეს აღვირახსნილ ხუმრობებსა და ღრეობებზე, მოსკოვში უცხოელთა მომრავლებაზე, უქნარებსა და დარდიმანდებზე, რომლებმაც მეფე მოხიბლეს, მოაჯადოეს. იმასაც კი ამბობდნენ, მეფე ჩვილობაში შეცვალეს და მას „მხეცის ბეჭედი“ აზისო.

— აი, ღვარძლიანი ნიკონის დათესილი თესლის ნაყოფი,— ჩურჩულებდნენ სტაროვერები, — სოფია რომ სოფიაა, პეტრეს ისიც კი სჯობდა.

სტრელეცები კიდევ არაერთხელ აჯანყდნენ. რამდენი აწამეს, რამდენი ჩამოახრჩეს, ისინი მაინც ჯანყდებოდნენ, მოსკოვისკენ მოიწევდნენ.

— გერმანული დაბა დავარბიოთ და გერმანელები დავქლიტოთ!

ევროპიდან დაბრუნებულმა პეტრემ ათასობით სტრელეცი აწამა, მათი გვამები კი ქალაქთა გალავნებზე გამოკიდა.

„ყველა ქონგურზე სტრელეცი ეკიდა“.

ავსტრიელი მსტოვარი (მზირი) იოან მეორე კორბი თავის უფროსებს მოსკოვიდან ზიზღითა და შიშით სწერდა რუსების

წარმოუდგენელ სიკერპეზე, წამებასაც რომ არად მიიჩნევდნენ.

„1696 წლის აჯანყების ერთმა მონაწილემ მეფის გამგზავრების წინ ჯიუტად ოთხგზის გადაიტანა წამება, მაგრამ თავის ავაზაკობაში არა და არ გამოტყდა. როცა მეფემ ნახა, რომ წამებით ვერაფერს გახდებოდა, ისევ ტკბილად მიდგომა არჩია, ნაწამებ სტრელეცს აკოცა და უთხრა: „კარგად მოგეხსენება, რომ შენ ჩემს წინააღმდეგ ბოროტი განზრახვის მონაწილე ხარ. ამისთვის საკმაოდ ეწამე. ახლა იმ სიყვარულის გულისათვის, რაც შენი ხელმწიფის მიმართ უთუოდ უნდა გქონდეს, თავადვე აღიარე დანაშაული. ეფიცავ ღმერთს, რომლის ნებით მე შენი მეფე და მბრძანებელი ვარ, რომ არამარტო გაგანთავისუფლებ და ყველა დანაშაულს გაპატიებ, არამედ ნიშნად ჩემი განსაკუთრებული მოწყალებისა, პოლკოვნიკობასაც გიბოძებ". ამ უჩვეულო ტკბილმა სიტყვებმა ეს აშკარად კერპი ადამიანი მაშინვე მოდრიკა; მან გამბედაობა მოიკრიბა, მეფეს თავისი კოცნა დაუბრუნა და ყველას გასაგონად უპასუხა: „ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ტანჯვაა, შენ სხვა ვერაფრით გატეხდი ჩემს სიკერპეს". შემდეგ მან დაწვრილებით მოახსენა შეთქმულების ამბავი. მეფე აღფრთოვანებაში მოვიდა, რომ მდუმარე კაცს ასეთი საშინელი და მხეცური წამების წილ ერთი ტკბილი სიტყვით ტანჯვა შეუმსუბუქა და წამებულს ჰკითხა — ამდენი მათრახის დაკვრა როგორ მოითმინე ან ზურგის დაწვას როგორ გაუძელიო. მაშინ მან მეფეს სხვა უფრო საოცარი ამბავი უამბო: მას და შეთქმულების სხვა მონაწილეებს რაღაც საზოგადოება ჩამოუყალიბებიათ, რომელშიც ისე არავის იღებდნენ, თუ წინასწარ არ აწამებდნენ; ვინც მეტ ტკივილს გაუძლებდა, იმას უყოყმანოდ იღებდნენ და პატივისცემაც დიდი ჰქონდა. ვინც ერთხელ ეწამებოდა, ის ყველას ამხანაგი და საერთო ქონების მონაწილე ხდებოდა; ვისაც საპატიო თანამდებობა სურდა, ასეთი თანამდებობა კი ბევრი ჰქონდათ, საწადელს მანამ ვერ ეწეოდა, სანამ სხვა ახალ წამებას არ გაივლიდა, ამით მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ყველაფრის ატანა შეეძლო, რაც შესაბამისად სხვა პატივისცემასაც იმსახურებდა. პირადად იგი ექვსჯერ აწამეს და ამიტომ საერთო გადაწყვეტილებით იგი წინამძღოლად აირჩიეს. მისთვის მათრახები არაფერია, არც მათრახის შემდეგ ცეცხლით წამება, თვითონ ბევრად უფრო სასტიკი წამება გადაუტანია ამხანაგებისაგან. „მაგალითად, —

თქვა მან, — ძალზე მტკივნეულია ყურებში გავარვარებული ნაკვერჩხლის ჩაჩურთვა; არანაკლებ ტკივილს განიცდი, როცა გადაპარსულ თავზე ორი წყრთის სიმაღლიდან ყინულივით ცივი წყლის წვეთები ნელ-ნელა გეცემა". მან ეს ყველაფერი გადაიტანა და ამიტომ თავის ამხანაგებზე ძლიერი აღმოჩნდა; ვისაც ამ საზოგადოებაში მოხვედრა სურდა, მაგრამ პირველსავე წამებას ვერ უძლებდა, იმის შიშით, არ გაგეცესო, წამლავდნენ ან სხვა რაიმე ხერხით კლავდნენ. რამდენადაც ახსოვდა, მან და მისმა ამხანაგებმა ასე მოკლეს ოთხასამდე კაცი, რომლებიც საზოგადოებაში არ გამოადგებოდათ. ამრიგად, ამ კაცმა ათჯერ გაუძლო წარმოუდგენელ წამებას: ექვსჯერ ამხანაგებისაგან, ოთხჯერ მეფის მოსამართლეებთან დაკითხვაზე; იგი დღემდე ცოცხალია და (როგორც ზემოთ მოგახსენეთ) პოლკოვნიკის ჩინით, რომელიც მეფემ უწყალობა, ციმბირში იმყოფება".

შეიძლება ეს ლეგენდა იყო და კორბმა იგი სინამდვილედ მიიღო. მაგრამ ქარაგმული ნათქვამი ყველა ზღაპარშია... აქვე უნდა დავძინოთ, რომ სტრელეცებს მეფის ხელყოფა არ უცდიათ. მათ თვალის დასანახად ეზიზღებოდათ მის მახლობელთა წრე, ბნელი პიროვნებები, ავანტიურისტები, ევროპის საიდუმლო საზოგადოებათა ემისრები, სძულდათ ბოროტება, რომელიც მშობლიურ ადათ-წესებსა და თქმულებებს ფეხქვეშ თელავდა.

მეფე პეტრეს შეუპოვარი ხალხი უპირისპირდებოდა. მაგრამ მან თავის გარშემო კიდევ უფრო შეუპოვარი ხალხი შემოიკრიბა, მუშაობაში ჩააბა, პატივით აავსო.

ბევრი სასჯელს გაექცა, ბევრიც გადაასახლეს. ლტოლვილმა მოსკოველმა სტრელეცმა ფილიპემ სტაროვერებში ახალი დასი — „ფილიპელების კავშირი" — ჩამოაყალიბა. სტაროვერები ათობით მიმდინარეობად, დასად, „კავშირად", სექტად დაიყვნენ, მათ შორის არნახული ურჯულკებიც ერივნენ. ისინი ტყეებში გარბოდნენ და, თუ მეფის დრაგუნები დაეწეოდნენ, თავს იწვავდნენ.

საიდუმლო სექტებმა ათასობით უკმაყოფილო ადამიანი შეიფარა. საიდუმლოებაში ეძებდნენ ხსნას მტანჯველი ყოველდღიურობისაგან.

ჩაგვრამ და თავისუფლებისადმი სწრაფვამ, ბევრი რუსი გლეხი „ძველი რჯულისათვის" თავდადებას რომ მიაწერდა,

წარმოშვა ცენტრიდანული ძალები, რომლებმაც ისინი განაპირა მხარეებში — ჩრდილოეთში, ურალს იქით, კავკასიაში, პოლონეთში, ლიტვაში — გახიზნა. ისინი ავსებდნენ კაზაკობას, რომლებიც საზღვარზე სახლდებოდნენ, ახალ მიწაზე მკვიდრდებოდნენ, ქვეყანას აფართოებდნენ. ჯანყის მოთავენიც, პუგაჩოვის აჯანყებისა არ იყოს, აქაც კაზაკები იყვნენ.

ტყეებსა და შორეულ მხარეებში გლეხები საბატონო ბეგარაზე არ დადიოდნენ, ღალას არ იხდიდნენ. ხელისუფლებას ესმოდა, რომ ამ სიშორეზე მათ მარტო ორი თითით პირჯვრის გადაწერის, ნიკონამდელი ზნე-ჩვეულებისადმი ერთგულება როდი მიერეკებოდა! იყო კიდევ საკუთარი ღირსების გრძნობა, შეუპოვრობა, შეუდრეკლობა. უკვე ეკატერინე II დროს მიტროპოლიტი პლატონი სტაროვერებს სწერდა:

„თქვენ რჯულისთვის არ გდევნიან და რაზმებს იმიტომ გზავნიან თქვენთან, რომ ტყეში გაქცეულები მეფეს აღარ ემსახურებით, ხარკს აღარ იხდით, ნათესავებისა და მებატონის სახლებს ტოვებთ, აი, ამიტომ გზავნიან თქვენთან მეფენი თავის რაზმებს“...

სტაროვერებმა მთელ რუსეთში საიდუმლო კავშირით ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყარეს, ეხმარებოდნენ ერთმანეთს, ფართო ვაჭრობა გააჩაღეს, შემდეგ კი მრეწველობასაც მოჰკიდეს ხელი, მთავრობის ზედა ფენებში თავიანთი აგენტები — „ქველმოქმედები“ ჰყავდათ. სტაროვერთა ერთ-ერთ ხელმძღვანელზე, ანდრეი დენისოვზე, ჯერ კიდევ პეტრეს დროს რომ ცხოვრობდა, ასე ამბობდნენ — „სახელმწიფოში ყველაფერს თვალს ადევნებდა და, შეიძლება ითქვას, ძალუძდა გამოეცნო ხელისუფლების სათავეში მდგომთა ყველა ბნელი ზრახვანი და გულის წადილი“.

ძმებმა ანდრეი და სიმონ დენისოვებმა ოლონეცის მხარეში მდინარე ვიგის სანაპიროზე ულრან ტყეებში სავანე დააარსეს, სადაც ლტოლვილ გლეხებსა და ჯარისკაცებს იღებდნენ. სავანე ყვაოდა — მეურნეობა შექმნეს, ხატწერის საამქროები გახსნეს; ძველი ნიკონამდელი წიგნების გადასაწერად სწავლული „ბერები“ მოიწვიეს. შეიქმნა ლამაზი, მკაფიო „ზღვისპირეთული დამწერლობა“. სავაჭრო საქმეებზე მოგზაურობისას სტაროვერები ცეცხლის ფასად ყიდულობდნენ ან მონასტრებიდან იპარავდნენ ხატებსა და ძველ ხელნაწერებს. ისინი გლე-

ხებს აოცებდნენ თავიანთი განსწავლულობით, საამქვეყნო საქმეთა ძველი წიგნებიდან ამოკრეფილი სიბრძნით, განსჯის უნარით.

— ხალხს წიგნის კითხვას სთავაზობენ და ამით თავიანთ მოძღვრებას ავრცელებენ, — ამბობდა სტაროვერებზე მათი მტერი დიმიტრი როსტოვსკი.

აუარება ძველ ხელნაწერს მოუყარეს თავი სტაროვერებმა რუსეთის მივარდნილ კუთხეებში მიმოფანტულ თავიანთ სავანეებში; თუ მთავრობის ჩინოვნიკები სავანეს დაკეტავდნენ, წიგნები რასკოლნიკების ოჯახებში ინახებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ასე შემორჩა ჩვენს დრომდე დასაღუპად განწირული ისტორიის ფურცლები.

ვაჭარი-სტაროვერები მდიდრდებოდნენ. მათ უკვე „ძველი ღვთისმოსაობა" კი არ იტაცებდათ, არამედ გამდიდრება. მეფის მთავრობას ძალაუნებურად ანგარიში უნდა გაეწია მილიონერებისთვის, მოიჯარეებისა და ფაბრიკანტებისათვის, რომლებმაც უკვე ჩვენი დროისათვის ახლო ხანებში კავშირი შეკრეს ებრაელ მილიონერებთან. მათაც და სხვებსაც რელიგიური წესჩვეულებებითა და საიდუმლო მიზნებით გაერთიანებულ უსიტყვოდ მორჩილ თანამორწმუნეთა მთელი არმია ჰყავდათ. ერთობა ხელს უწყობდა კრედიტის მიღებას და კაპიტალის შეგროვებას.

მდიდარი სტაროვერები ძველი ხატებისა და წიგნების შესაძენად ფულს არ იშურებდნენ. ვიგისა და ლეკსის სანაპირო ტყეებში ჩაკარგულ სავანეებში მათი ხარჯით არსებობდა ძველი ხელნაწერების გადასაწერი დიდი სახელოსნოები.

1905 წლამდე მუშაობდა ამ ფარულ სახელოსნოებში ათობით გოგონა, რომლებიც თავიანთ ხელობას შვიდი წლის ასაკიდან სწავლობდნენ. პატარასარკმლიან ქოხებში, დღისით სინათლე რომ ძლივს აღწევდა, ღამით კი ჭრაქით და სანთლებით ანათებდნენ, ისინი ბატისა და გედის ფრთით იწერდნენ ძველ ხელნაწერებს. სათაურები ჩუქურთმიანი ასოებით გამოჰყავდათ, ტექსტი კი — ნახევარმთავრულით. მელანს რკინის დანაყილ ჟანგს, მუვარტლსა და გუმფისს უმატებდნენ, რის გამოც მას ყავისფერი ელფერი დაჰკრავდა, როგორც ძველ წიგნებში.

გოგონებს მკაცრი ზედამხედველი ქალები ადგნენ თავზე და ყოველი შეცდომისათვის სასტიკად სჯიდნენ — ლოყებზე

სახაზავს ურტყამდნენ. ბარდის მარცელებზე მუხლებით აყენებდნენ.

გოგონების გადაწერილი წიგნები ბაზრობახე საღდებოდა, დახლს ქვემოდან იყიდებოდა, სოფლებში ვრცელდებოდა. წიგნებს შორის იყო არამარტო სტაროვერული თხზულებანი, არამედ აგრეთვე ძველი მოთხრობები, ლექსები, თქმულებები...

18

სადღაც სავანეებში ან გლეხურ ქოხებში ინახებოდა ეკლესიის მიერ შეჩვენებული აბაკუმის თხზულებებიც, აქ იწერდნენ და აქედანვე ავრცელებდნენ. მის ხელს, „სიტყვიერების სტილს" იცნობდნენ და დიდად აფასებდნენ, მაგრამ ეს ხელნაწერი წიგნები მეცნიერი ფილოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის საუკუნე-ნახევარი მიუწვდომელი იყო.

ღვთისმეტყველები დეკანოზს „ბრძნადმეტყველ ტეტიას" ეძახდნენ. მათთვის ის ერეტიკოსი იყო და ერეტიკოსადვე დარჩა.

აბაკუმის სახელმა გაიელვა ჟურნალ „პარნასკი შჩეპეტილნიკში", რომელსაც ლიტერატორი მიხეილ ჩულკოვი უშვებდა. 1770 წელს მაისის ნომერში დაიბეჭდა სტატია — „იყიდება ლირიკული მოლექსე", რომელშიც აღწერილი იყო ერთი უნიჭო პოეტის პაპა. ამ პაპას ზეპირად ახსოვდა აბაკუმის „ცხოვრება" და ატარებდა ბეჭედს, რომელშიც თვალის მაგიერ აბაკუმის სალოკი თითის ფრჩხილი ყოფილა ჩასმული.

„როგორც კი დროს იხელთებდა, ტირილით დაიწყებდა იმ „ცხოვრების" მოყოლას. განსაკუთრებით იმას, თუ როგორ იტანჯებოდა ეს წმიდანი ჯოხით ცემისა და სხვა იარაღით წამების დროს, როცა სისულელეების გულისათვის სჯიდნენ ხოლმე".

„ცხოვრება", ისევე, როგორც ჩვენი წინაპრების მიერ დაწერილი ბევრი სხვა წიგნი, უთუოდ დაიკარგებოდა, შეიძლება სულაც დაღუპულიყო, მოსკოვის სასულიერო აკადემიის ბიბლიოთეკაში რომ არ ეპოვათ და 1861 წელს აკადემიკოს ნ. ს. ტიხონრავოვს არ გამოექვეყნებინა. მაგრამ ტიხონრავოვს ავტოგრაფი არ ჰქონდა. „ცხოვრება" ხელნაწერი პირიდან, თანაც ხარვეზებიანი ასლიდან იბეჭდებოდა.

მიუხედავად ამისა, იგი ხალხმა შეამჩნია, მერე როგორმა რჩეულმა ხალხმა!

ფიოდორ დოსტოევსკიმ „ცხოვრება“ სულმოუთქმელად წაიკითხა და განცვიფრებული დარჩა აბაკუმის უნარით — ამოდენა აზრები ასე მოკლე სტრიქონებში როგორ ჩაატიაო. აბაკუმის ხასიათში მწერალმა ის რუსული თვისება დაინახა, რომელსაც დაჟინებით აკვირდებოდა საკუთარ რომანებში. რუსი კაცი უძლეველია, როცა საკუთარ სინდისთან მართალია. დანაშაული, სულიერი უთანხმოება, განხეთქილება, სინდისის ქენჯნა ანადგურებს მას და იძულებულს ხდის სასჯელი, ზოგჯერ სიკვდილიც კი თვითონ ეძიოს. „ცხოვრების“ ენას ფიოდორ დოსტოევსკი მუდამ აღფრთოვანებაში მოჰყავდა. „მწერლის დღიურებში“ მან ეპვი გამოთქვა, პუშკინი და აბაკუმი სხვა ენებზე შეიძლება კარგად ვერ ითარგმნოსო, თან დასძინა: „არ შეიძლება არ აღიარო... რომ ჩვენს ენას უდაოდ მრავალფეროვანი, მდიდარი, ყოველმხრივი და ყოვლისმომცველი სული აქვს...“

სერგეი სოლოვიოვმა თავის „უძველესი ხანის რუსეთის ისტორიაში“ სიამოვნებით ჩართო მრავალი გვერდი „ცხოვრებიდან“.

ივან ტურგენევი აბაკუმის წიგნს არ იშორებდა საზღვარგარეთაც, სადაც სიკვდილამდე ეწერა დარჩენა. ერთხელ პარიზში რუს მწერალ ქალ ლუკონინასთან ლიტერატურულ სტილზე საუბრისას ივან სერგეევიჩმა თქვა:

— მახსენდება დეკანოზ აბაკუმის „ცხოვრება“. აი მესმის წიგნი. — ტურგენევმა კარადა გადაქექა და ტიხონრავოვის რედაქტორობით დასტამბული „ცხოვრების“ პირველი გამოცემა გამოიღო. — აი, ეს გახლავთ ცოცხალი მოსკოვური ენა...

მან რამდენიმე გვერდი ხმამაღლა წაიკითხა.

— შეადარეთ ეს ენა იმ დროის წიგნურ ენას. ნახეთ თუნდაც როგორ წერდა ბოიარი არტამონ მატვეევი — განსწავლული კაცი... მშრალად, მოსაწყენად... აბაკუმთან ასეთ რამეს ვერ შეხვდებით, იგი ცოცხალი ენით მეტყველებდა.

ლევ ტოლსტოი ხშირად უკითხავდა თავის ოჯახს „ცხოვრებას“. ამბობდა, აბაკუმის ნაწარმოებები სახელმძღვანელოებში აუცილებლად უნდა შეიტანონო. იასნაია პოლიანას სიმყუდრო-

ვეშ«, გაქათქათებულ სასადილო ოთახში იგი მოწამის გვირგვინს ნატრობდა.

მამინ-სიბირიაკს „ცხოვრებამ“ გაახსენა „თქმულება იგორის ლაშქრობაზე“. იგი წერდა, რომ „ენის თვალსაზრისით ამ ორ გენიალურ ნაწარმოებს ბადალი არ მოეძებნება... პირველმა უკვე მოიპოვა დამსახურებული პატივისცემა, ახლა მეორეს ჯერი დგება“.

გადასახლებაში ჩერნიშევსკი ამხანაგებს ამხნევებდა:

— გაიხსენეთ დეკანოზი აბაკუმი... კაცი იყო, მთლე კი არა!

აბაკუმზე ბევრს ლაპარაკობდნენ, განსაკუთრებით გორკი: „დეკანოზ აბაკუმის ენა, აგრეთვე წერილების სტილი და მისეული „ცხოვრება“ რჩება მებრძოლის მგზნებარე სიტყვის უბადლო მაგალითად, საერთოდ კი ჩვენს უძველეს ლიტერატურაში ბევრი რამ არის ჭკუისასწავლებელი“.

„ცხოვრებისადმი“ ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ამ ნაწარმოების ავტოგრაფს ძებნა დაუწყეს. მაგრამ მხოლოდ მის პირებს პოულობდნენ, ამ პირებით ირკვეოდა, რომ აბაკუმს ერთხელ კი არ დაუწერია თავისი ცხოვრება, არამედ სამჯერ. სამივე ვარიანტი გამოქვეყნდა. აღმოაჩინეს მეამბოხე დეკანოზის რამდენიმე წერილის ავტოგრაფი, მაგრამ „ცხოვრების“ ხელნაწერს ვერ მიაგნეს.

ბედმა არქეოლოგ ვასილი დრუჟინინს გაუღიმა.

იგი დიდი ხანია აგროვებდა ზღვისპირეთის ხელნაწერი წიგნების თავის სახელგანთქმულ კოლექციას. ამ საქმეში ეხმარებოდა უბრალო ვოლოგდელი გლეხი თეოდორე კალინინი, რომელიც სიძველეთა ტრფიალი გახლდათ. იგი ხატებს რესტავრაციას უკეთებდა, წიგნების გადაწერაც ეხერხებოდა. პეტერბურგში ჩამოსული მეცნიერ-არქეოლოგს დაუმეგობრდა და ისე გაიწაფა, რომ შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დროს, თუმც არავითარი განათლება არ ჰქონია, ერმიტაჟისა და რუსული მუზეუმის მეცნიერი კონსულტანტი გახდა.

1912 წელს დრუჟინინის დავალებით, რომელიც შეძლებული კაცი გახლდათ, თეოდორე კალინინი წიგნებისათვის არხანგელსკის გუბერნიაში გაემგზავრა. შემოდგომაზე იქ მან როგორღაც მოახერხა გაეცნო სტაროობრიადელი ნიკოლოზ ვიზგუნოვი, რომელიც „ფედოსეევის კავშირის“ სტაროობრიადულ-უმ-

ღვდელო ქორწინების კანტორაში მდიენად მუშაობდა. ეს კანტორა მდიდარ ვაჭარს პილინს ეკუთვნოდა.

ძველი ქალალდების გადარჩევისას ვიზგუნოვი XVII საუკუნის პატარა ხელნაწერ კრებულს წააწყდა და ამის შესახებ კალინინს აცნობა. ისინი ერთად მივიდნენ მოხუც პილინთან. ძუნწმა მოხუცმა ბევრი იხვნეშა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა:

— ჯანდაბას, გავყიდი. ოღონდ ას მანეთს კაპიკი არ დააკლდება.

წიგნი დრუჟინინს მიუტანეს. მან წიგნი ხელში შეატრიალ-შემოატრიალა. აბაკუმის „ცხოვრების" ხელნაწერის პირია. საყურადღებოა... მაგრამ ასეთი პირი ბევრია. მართალია, სხვებზე ძველია, მაგრამ ორმოცდაათ მანეთზე მეტი არ ღირსო. დაიწყეს ვაჭრობა. კალინინსა და ვიზგუნოვს წიგნი ხან პილინთან მიჰქონდათ, ხან დრუჟინინთან. ამ ოთხიდან არც ერთს არ მოსწონია აზრად, რა განძი ეკავათ ხელში.

ბოლოს სამოც მანეთზე შეთანხმდნენ.

ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა ი. ბარსკოვის წიგნი „პირველი წლების რუსული სტაროობრიადული ძეგლები", რომელშიც მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი აბაკუმის მიერ გაგზავნილი არზის დედნის ფოტორეპროდუქცია იყო დაბეჭდილი.

შემდეგ რაც მოხდა, თავად კალინინმა უამბო ვლადიმერ ივანოვიჩს:

— წიგნი ვიყიდე და მეორე დღეს ვასილი დრუჟინინთან მივედი. მაშინ ქალაქგარე გამზირზე ცხოვრობდა, სამოცდაათ ნომერში. თავის პატარა კაბინეტში შემხვდა, იატაკიდან ჭერამდე წიგნებითა და ხელნაწერებით რომ იყო გაჭედილი. კარგ გუნებაზე გახლდათ და მაშინვე ვიფიქრე, ალბათ რაიმე ძვირფასი ხელნაწერი ჩაუვარდა ხელში-მეთქი. ჩაი რომ დავლიეთ, ვასილი გრიგორიევიჩმა მითხრა: „მოდი, შევამოწმოთ, ვინ იცის, იქნებ მე და შენ აბაკუმის ავტოგრაფი შევიძინეთ? თუ დეკანოზის ხელი აღმოჩნდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს". მან ბარსკოვის წიგნი აიღო და წინ დამიდო. გუმანით ვიგრძენი, რომ დრუჟინინს ხელი უკვე შედარებული ჰქონდა და უნდოდა მისი ვარაუდი მეც დამედასტურებინა. მაგიდას მოვუსხედით და ანბანის მიხედვით ასო-ასო შედარება დავიწყეთ. ოცი ასოს შედარების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. სა-

ოცარი მსგავსება იყო, თითქმის ყველა ასოს მოხაზულობა ერთმანეთს ემთხვეოდა. ხელნაწერს ძთელი ღამე კუჯექით და ანბანის ყველა ასო შევამოწმეთ.

მეორე დღეს დრუჟინინმა მიიწვია დედაქალაქის ყველა ცნობილი მეცნიერი, რომელთაც მისი ვარაუდი დაადასტურეს. „ცხოვრება“ აბაკუმის ხელით იყო დაწერილი. ის და ბერ ეპიფანეს ხელნაწერი ერთ კრებულში იყო მოთავსებული. დრუჟინინი ცას ეწია სიხარულით.

კრებულის გამოქვეყნების შემდეგ მეცნიერს მოსკოველ სტაროობრიადელთა მთელი დეპუტაცია ეწვია. მდიდარმა ვაჭრებმა ოცდაათი ათასი მანეთი მარტო იმისთვის შეაძლიეს, რომ ხელნაწერი შესანახად მათთვის გადაეცათ. 1922 წელს, შიმშილობის წელს, როცა დრუჟინინს ძალიან უჭირდა, მას კვლავ სთხოვეს ხელნაწერი, მაგრამ მთხოვნელები ამჯერადაც უარით გაისტუმრა.

დრუჟინინმა ხელნაწერი არქეოგრაფიულ კომისიას გადასცა და დღეს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში ინახება. სწორედ აქ გაეცნო მას ვლადიმერ ივანოვიჩი.

მაგრამ სად შეიძლებოდა ყოფილიყო „ცხოვრების“ სხვა ავტოგრაფები? ცნობილი იყო, რომ აბაკუმის ავტობიოგრაფიის კიდევ ორი ვარიანტი მაინც არსებობდა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა გადაწყვიტა, პუსტოზერსკში ერთერთს მაინც მივაგნებო. პუსტოზერსკი ხომ სწორედ ის ადგილი იყო, სადაც აბაკუმი სიკვდილით დასაჯეს, სადაც ის თავის „ცხოვრებას“ წერდა, სადაც დიდ მწერალს თავის დროზე მრავალი მომხრე ჰყავდა.

„ჩემი ვარაუდი, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, საუკეთესო იყო, — წერდა შემდეგ ვლადიმერ ივანოვიჩი. — ოდნავაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ, რაკი აბაკუმმა თავისი ცხოვრების თხუთმეტი წელი პუსტოზერსკში გაატარა, მის ავტოგრაფებს სწორედ იქ მივაგნებდი. იმდენად ვიყავი დარწმუნებული, რომ გავკადნიერდი კიდეც და ჩემი მასწავლებლის ალექსანდრე ორლოვის რჩევა ყურად არ ვიღე“...

ეს გულუბრყვილო ვარაუდი გამოდგა.

ასეც უთხრა აკადემიკოსმა ორლოვმა, როცა ვლადიმერ ივანოვიჩი პეჩორაზე გამგზავრების წინ მასთან გამოსამშვიდობებლად მივიდა.

— საით გაგიწევია, ვლადიმერ? ფოლკლორისტი ონჩუკოვი მეუბნებოდა, არაფერი ღირებული იქ არ არისო, მას კი მთელი პეჩორა მოვლილი აქვს. ხელნაწერს ვერ იპოვი და წასვლაც ტყუილად შეგრჩება. გულწრფელად მითხარი: იმ ადგილის ნახვა გწყურია არა, სადაც დიდი კერპი სიკვდილით დასაჯესს აქვთ სოლმე ადამიანებს ასეთი გატაცება — სურთ ისტორიული ადგილები მოინახულონ. იცოდე, ძნელი გზა გელის.

ვლადიმერ ივანოვიჩი აკადემიკოსს გულში ეთანხმებოდა, სხვანაირად არც შეეძლო; ალექსანდრე სერგეევიჩი მიუხვდა, რატომაც მიუწევდა გული პუსტოზერსკისაკენ. აქამდე ეს სურვილი შეუცნობელი იყო — გული უწევდა და მორჩა...

— მაინც ვცდი, ალექსანდრ სერგეევიჩ, — თავისას არ იშლიდა ვლადიმერ ივანოვიჩი.

— შენი ნებაა. გაემგზავრე. მე კი აკადემიიდან ქაღალდს გაგატან, რომ დახმარება აღმოგიჩინონ...

14

მიუხედავად იმ ბარათისა, ვლადიმერ ივანოვიჩს ნარიან-მარში ზარ-ზეიმით არ შეხვედრიან. გემიდან შტორმული რწევისაგან გაწამებული გადავიდა. ზედ პეჩორის შესართავთან გეშს ისეთი დღე დაადგა, ახლა ვლადიმერ ივანოვიჩს ხმელეთიც კი ფეხქვეშ ეცლებოდა, სადღაც მიცურავდა, ირწეოდა. თვალი შეავლო რამდენიმე ბარაკს, ეს მაშინ მთელი ქალაქი გახლდათ. მერე იქვე, ნავმისადგომზე წამოწვა, ჩემოდანი თავქვეშ ამოიდო და დაიძინა.

სიცივემ გამოაღვიძა. ზღვიდან ყინულივით ცივი ქარი უბერავდა. ვლადიმერ ივანოვიჩი ადგილზე ხტუნვას მოჰყვა, იქნებ ცოტა გავთბეო, მერე სირბილი დაიწყო, მახლობელ ბარაკამდე მირბოდა და უკან ბრუნდებოდა. ნავმისადგომთან ტანმორჩილ, ეიწროთვალება, ფეხებმოგრეხილ კაცს დაეჯახა და კინაღამ წააქცია. კაცს ირმის გადმობრუნებული ტყავის შარვალი და გრძელი ხიფთანი ეცვა. მისი ჩაცმულობა ვლადიმერ ივანოვიჩმა მერე შეამჩნია. კაცმა თავი აარიდა და უცნობს შემკრთალმა შეხედა.

— რას დაწრიალებ, მაჯლაჯუნავ, რას დარბიხარ? მე აქ ყველას ვიცნობ, შენ ვინა ხარ? რაო, გემით ჩამოხვედი? მე ნი-

კოლაი მქვია. გვარად ტაიბარეი. მწყემსი ვარ, მეორმე — როგორც ჩვენები ამბობენ, ირმები ჩაძოვოეკე გასაყ დად. შენ კი ვინა ხარ?

— ვლადიმერ მალიშევი. ლენინგრადიდან. პუსტოზერსკ.ი შიედივარ. აქედან შორსაა?

— ვერაფრით განუგეშებ, ყმაწვილო. ქალაქამდე თითქმის ოცდაათი ვერსია. ხავით თუ წახვალ, მაგრამ ვიხაა წამყვანი. ირმებით თუ გინდა, წაგიყვან. აქ გაიყინები. რატომ ამოვის ძიადექი ღამის გასათევად? უსტიეშდე ჩავაღწევთ, იქიდან კი ქალაქში გადაგიყვანენ.

— პუსტოზერსკში ყოფილხარ? წიგნები თუ აქვთ? არ გინახავს?

— როგორ თუ ქალაქში არ ვყოფილვარ. წიგნიც მინახავს. ეკლესიაში დიდი წიგნია, სახარება ჰქვია...

— მე სხვა წიგნებს ვეძებ, ხელით რომაა დაწერილი...

— ეგ ქალაქში ევდოკია ივანოვნა შაიტანოვას უნდა ჰკითხო. წერა-კითხვა იცის, ფოსტალიონადაა ნამუშევარი. შეგიძლია მასთან გაჩერდე. კეთილი დედაკაცია. ახლა კი კარავში წავიდეთ, მაჯლაჯუნავ.

ტუნდრაში ეს „წავიდეთ“ ნამდვილი წამება გამოდგა. ნენეცთა ხელით გასროლილ დანასავით სწრაფი ტაიბარეი ბურცოდან ბურცოზე ადვილად ხტებოდა, ვლადიმერ ივანოვიჩი კი ტუნდრის ლაფში მუხლებამდე ეფლობოდა. ხანდახან ჩექმები ტალახში რჩებოდა და ფეხიდან სძვრებოდა. ბოლოს მობეზრდა და ჩექმები გაიხადა. მზე უმოწყალოდ იკბინებოდა. ყოველ ჩასუნთქვაზე გაავებული კოღოები პირში უფრინდებოდნენ. ხანდახან ყინულოვანი ოკეანიდან მონაბერი ქარი კოღოებს გაფანტავდა ხოლმე, ტანსაცმლის ქვეშ გაოფლიანებულ ტანზე მოუღიტინებდა და აი, მაშინ ვლადიმერ ივანოვიჩი ნეტარებას ეძლეოდა, თვალს ვერ სწყვეტდა ზედ ფეხებთან აფრთხიალებულ ყაკბებსა და ვეებერთელა პოლარულ ბუებს, რომლებიც მათკენ თავს ზანტად ატრიალებდნენ და თვალით აცილებდნენ.

— მალე მივალთ? — კითხულობდა ვლადიმერ ივანოვიჩი.

— ის მთა უნდა გადავიაროთ, — უთხრა ნიკოლაიმ.

წინ არავითარი მთა არ ჩანდა. მთაო, რომ თქვა, ნიკოლაი ტორფის ორიოდე მეტრი სიმაღლის ბორცვს გულისხმობდა, რომლის იქითაც ვლადიმერ ივანოვიჩმა სამკუთხა კარავი და

ირმის რქების ტყე დაინახა. რამდენიმე ათეული ლატანი კონუსებად ერთმანეთ ი ‘შეეყარათ და ორთქლ’ი დამბალი, დაგრეხილი არყის ხის ქერქით შეეკრათ, ვლადიმერ ივანოვიჩს იგი გრილ სასახლედ მოეჩვენა. კარავში ‘შუაცეცხლზე რაღაც განსაკუთრებული ბალახი ხრჩოლავდა. კვაძლი, რომლისაც კოლოებს სიკვდილივით ეშინოდათ, გადაჯვარედინებულ ლატნებთან ხვრელ’ი იკარგებოდა.

ირმებიც კოლოებს გაურბოდნენ და კარვის ახლოს ერთმანეთს ეკვროდნენ. ზაფხულობით რქები ხავერდოვანი ბუსუსებით ეფარებოდათ და ურბილდებოდათ. ვლადიმერ ივანოვიჩმა ერთ ირემს რქაში ხელი ჩაავლო და მფეთქავი სისხლის სითბო იგრძნო. ნიკოლაიმ რქას გამონაზარდი მარდად წააჭრა და თავის სიტყვაძუნწ თანამეცხედრეს გაუწოდა შესაწვავად.

— ჭამე! — უთხრა მან ვლადიმერ ივანოვიჩს, თან ირმის მოხარ’ბული ხორცი და შემწვარი რქა მიაწოდა. — რქა ძალას შეგმატებს...

— რამდენი ირემი გყავს? — ჰკითხა მალიშევმა.

— ბევრი. იქა მყვანან გაშვებულები, — მან ხელი სადღაც ჩრდილოეთისკენ გაიშვირა, — ბავშვები მწყემსავენ. ახლა მე და შენ ერთად წავალთ, მაჯლაჯუნავ.

გაისრიალა ქამანდმა. გრძელკავიან მარხილში ხუთი მოხდენილი ირემი შეაბეს. აი, ვლადიმერ ივანოვიჩი უკვე ნიკოლაის უკან ზის, გაშმაგებული ებღაუჭება მარხილს და უკვირს, რა სწრაფად მიაქროლებენ ირმები ზაფხულის უთოვლო ტუნდრაში, როგორ ელავენ ირმების ფლოქვები და არც ერთი ჭაობში არ ეფლობა.

სოფელ უსტიეში ნენეცმა ლენინგრადელს ნავიანი თანამგზავრი უშოვა. პეჩორის ტოტის მღვრიე წყალი უკან დარჩა და ვლადიმერ ივანოვიჩი კუნძულზე, სოფელში აღმოჩნდა, რომელიც ოდესღაც ძველი, ხალხმრავალი ქალაქი პუსტოზერსკი იყო. ახლა სოფელი სულ ოცი ქოხისა და ერთი ეკლესიისგან შედგებოდა.

15

ზის ვლადიმერ ივანოვიჩი ევდოკია ივანოვნას მყუდრო, სუფთა ოთახში და სახელდახელოდ იწერს ზღაპარს შავით მოსილ მონაზვნებზე, რომლებმაც სახლიდან დიდი ხნის წასული

თავადი მოატყუეს, შენმა ცოლმა შენს აქ არყოფნაში შვილი გააჩინაო.

— ...თავადი თავის სახლს მიუახლოვდა, ახალგაზრდა ცოლი, მზისსადარი კატერინუშკა, ქმარს გამოეგება. ქალს ხალვათად ეცვა, უწაღებოდ იყო, ფეხზე მხოლოდ თხელი წინდები წამოეცვა. თავადმა ორლესული იძრო და ცოლს თავი წააცალა. შინ შესულმა აკვანი ვერ დაინახა; არც ჩვილი ჩანდა სადმე, ოთახში წესრიგი იყო. იქვე ქარგა იდო ოქრომკედით ნაქარგი, ცრემლებით დამბალი; თვალი ამოუღამებია ლოდინით...

ვლადიმერ ივანოვიჩი მარტოხელა კაცი იყო. არც ცოლი ჰყავდა, არც არავიზე დარდობდა, არც არავიზე ეშვიანობდა. ამიტომ ვერც აღიქვა ამ ზღაპრის სასტიკი აზრი. იქნებ ჯობდა ფოლკლორისტი გამხდარიყო? არა, მას სხვა ოცნება ჰქონდა...

ვლადიმერ ივანოვიჩი კმაყოფილი დარჩა. პუსტოზერსკი კიდით-კიდემდე მოიარა. მისი მასპინძელი ევდოკია ივანოვნა შაიტანოვა რაღაც დანაშაულისათვის მეფის სასამართლოს აქ გადმოესახლებინა ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინ, როცა იგი ლამაზი, პირმრგვალი, მხიარული, კისკისა ქალი იყო. პუსტოზერსკში ევდოკია გათხოვდა, ათი შვილი ეყოლა. მასპინძელს მორიდებული ლენინგრადელი სტუმარი მოეწონა და ხალისით უყვებოდა ყველაფერს, რაც პუსტოზერსკის წარსულიდან იცოდა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ჰკითხა, აქაურებს აბაკუმის შესახებ რაიმე გადმოცემა თუ შემორჩათო.

— როგორ არა, — უპასუხა ევდოკია ივანოვნამ. — აქ მოგიყვებიან როგორ დაწვეს დეკანოზი. ჯვარიც დგას, სტაროვერებმა ჯერ კიდევ ჩემს მახსოვრობაში, ცხრაას ათ წელს რომ დადგეს სემკოვების ქოხის მახლობლად. ერთი მოხუცი ცხოვრობდა აქ — კროკევინი, აკიმ გრიგორევიჩი. იმან მამამისისგან იცოდა ის ადგილი და სხვებსაც აჩვენა. გინდა, შენც გაჩვენებ?

ჭაობის ახლოს, საიდანაც ნიკოლსკის ღელედ წოდებული ნაკადული მოჩქეფდა, ხის ჯვარი აღემართათ. მაგრამ ევდოკია ივანოვნამ მდელოს გასწვრივ ჯვრიდან ასი ნაბიჯი გაიარა და ვლადიმერ ივანოვიჩს მაღალ ბალახებში ჩამალული ოთხი შეშომწვარი ბოძი უჩვენა, პატარა კვადრატს რომ ქმნიდნენ.

— აქ დაწვეს აბაკუმი, ძელურში. ესენი კი კუთხის ბოძებიდან დარჩა. აქაურები „აბაკუმის ჯირკვებს“ ანუ ჯირკებს

ეძახიან. ღვთისმლოცველი მოხუცები აქ ყოველთვის ჩერდებიან და ამ ადგილს თაყვანს სცემენ, თან ასე ამბობენ — „შეგვინდეთ, ჩვენ ცოდვილებს, მამანო აბაკუმებო". რატომ ამბობენ ასე, არ ვიცი. განა აბაკუმები ბევრნი იყვნენ?

ვლადიმერ ივანოვიჩმა ევდოკია ივანოვნას მოკლედ უამბო პუსტოზერსკელ პატიმრებზე, „ცხოვრებაზე", რომელიც აქ, ძელმიწურის ციხეში დაწერა აბაკუმმა და მერე ჰკითხა, ვინმეს ძველი ხელნაწერი წიგნები ხომ არ შემორჩენიაო.

— წიგნები კი აქვთ. ოღონდ ხელნაწერია თუ არა, არ ვიცი. გავიკითხავ.

იმავე დღეს შაიტანოვას ქოხში მეზობელი ქალი მოვიდა და ხის ყდაში ჩასმული ტყავგადაკრული ძველებური წიგნი მოიტანა, ვლადიმერ ივანოვიჩი საკმაოდ გაწაფული იყო, რომ ნახევრადმთავრული გაერჩია. ეს იყო XVI საუკუნის „პროლოგი" — ცხოვრებათა კრებული, საქმეში ჩახედული კაცისთვის მართლაც შესანიშნავი ისტორიული წყარო. მან მომტანს სთხოვა, წიგნი მომყიდეო.

— არა, — უთხრა ქალმა, — პაპის სახსოვარია. ეს წიგნი ჯერ კიდევ მანამდეა შეძენილი, სანამ პეჩორაზე ჩვენი ხალხი გადმოსახლდებოდა. ჩვენს წინაპრებს რუსეთიდან წამოუღიათ, როცა ამ ადგილებში გადმოდიოდნენ. ვერ გავყიდით. სასმელსაჭმელს არ თხოულობს, იდოს და იყოს. არადა, რად გინდათ? დახევთ და გადააგდებთ...

— არ გადააგდებს! — მტკიცედ უთხრა ევდოკია ივანოვნამ, რომელმაც უკვე იცოდა, რისთვის უნდოდა მის სტუმარს წიგნები, — მიჰყიდე, მატრენა.

ქალი ცოტა ხანს ყოყმანობდა, მერე წიგნი ვლადიმერ ივანოვიჩს გაუწოდა.

— თუ ასეა, აიღეთ, ოღონდ ფული არ მინდა. ცოდვაა ასეთ წიგნში ფულის აღება...

16

ლენინგრადში ვლადიმერ ივანოვიჩი ბარე ოცდაათი წიგნით დაბრუნდა, რომლებიც პუსტოზერსკსა და მის მახლობელ სოფლებში შეაგროვა. ჩაწერილი ზღაპრების ნაწილი მაშინვე გამოაქვეყნა და თავისი პუბლიკაციები აკადემიკოს ორლოვს

უძღვნა. სხვათა შორის, მას და კიდევ ისტორიკოსს, აკადემიკოს გრეკოვს ვლადიმერ ივანოვიჩმა ჩამოტანილი წიგნებიც ბისცა, რომელთა შორის მეცნიერებისათვის უცნობი ნაწარმოებები აღმოჩნდა. მთელი ცხოვრება ერთ რამეზე წყდებოდა გული. პუსტოზერსკში უთხრეს, სადღაც სოფელ კამენოეში არყის ხის ქერქზე დაწერილი „აბაკუმის სიგელი" არისო. მაგრამ ნათქვამი საეჭვოდ მოეჩვენა და კამენოეში არ წასულა, თანაც ის ორიოდე კაპიკიც უთავდებოდა, სტიპენდიიდან და შემთხვევითი გასამრჯელოებიდან რომ ჰქონდა გადადებული. ლენინგრადამდე გაჭირვებით ჩამოაღწია. გემზე კამბუზში ჭურჭელს რეცხავდა და უფასოდ აჭმევდნენ, თან საგზლად ბუტერბროდებიც გაატანეს.

ასე დაიწყო ვლადიმერ ივანოვიჩის აკადემიური შეებულება და მთელ ორ წელიწადს გაგრძელდა. როცა თვალს ვადევნებდი, როგორ აღიდგენდა ჯანმრთელობას, ერთი კანონზომიერება შევამჩნიე: იგი ცხოვრობდა და მუშაობდა მხოლოდ იქ, სადაც შეიძლებოდა ძველი რუსული ხელნაწერები ეპოვა, ან სადაც აბაკუმი იყო ნამყოფი. ასე შემოიარა უგლიჩი, როსტოვი, იაროსლავლი, ბოროვსკში მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მსახურობდა. ტყუილად კი არ ამბობდა თავის ცხოვრებაზე — „ერთი ცოტათი გაჭიანურებული ექსპედიციაა". იგი ეძებდა იშვიათ წიგნებს და ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებებში გზავნიდა, რითაც ძველი სიტყვიერების მცოდნეთა ჩუმ აღტაცებას იწვევდა, მათ ვიწრო წრეში სტუდენტი თანდათან ცნობილი გახდა.

ყველაფერ ამას თავისი ხარჯით აკეთებდა, თანაც იმ დროს, როცა ამ საქმით ჯერ კიდევ არავინ იყო გატაცებული, როცა ძველ წიგნებს და ძველებურ მშვენიერ შენობებს ბევრი ისე უყურებდა, როგორც კულტის და არა კულტურის ატრიბუტს.

ბოროვსკში მას აბაკუმმა უხმო, უხმო თავისი „ცხოვრების" ცეცხლოვანი სტრიქონებით, ბოიარინა მოროზოვასა და მისი დობილებისადმი მიწერილი წერილებით. ვლადიმერ ივანოვიჩს იმედი ჰქონდა, წამებულთა პატიმრობის ადგილზე მათი ცხოვრებისა და სიკვდილის შესახებ წერილობით მასალებს ვიპოვიო. იგი ხშირად დადიოდა პაფნუტის მონასტერში. ზედ მონასტრის გალავნიდან ფიქვნარი იწყებოდა. ვეებერთელა ხეები ტყეში მეჩხრად იდგნენ და ფისით დასველებულ ტანს მზეზე

ითბობდნენ. ჰაერში ფიქვის სურნელი ტრიალებდა, ირგვლივ სიწყნარე იყო, ხეებს შორის ლემნით დაფარული ტბორი მოჩანდა, მის ზემოთ — ციხის კოშკი და გალავნის ნაწილი, უფრო ზემოთ კი — გუმბათი.

ბოროვსკში სტაროობრიადელები ბლომად ცხოვრობდნენ. ვლადიმერ ივანოვიჩს იშვიათად, მაგრამ მაინც უწევდა შეხვედრა ღვთისმოსავ თაღლითებთან და პირქუშ ურჯუკებთან. მათდამი ყოველთვის ზიზღს გრძნობდა, ისინი კი ცდილობდნენ მას ხელნაწერი განძისთვის არ მიეკვლია. ვლადიმერ ივანოვიჩს პატიოსანი ხალხის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და ეხმარებოდნენ კიდეც. აქ, ბოროვსკში, მათგან იწერდა ლეგენდებს, ეკითხებოდა, სად შეიძლება ყოფილიყო „ბნელი კარავი“ ან „ცივი ციხე“, აბაკუმი რომ ჰყავდათ ჩამწყვდეული. ზოგმა მონასტრის სამზარეულოს ნიშა უჩვენა, ზოგმაც — მრგვალი საგუშაგო, საჭურველის კოშკი.

ბოროვსკის პაფნუტის მონასტერი ქალაქის მთავარი მოედნიდან, ბოიარ ქალ მოროზოვას სახელთან რომ იყო დაკავშირებული, სულ ნახევარი საათის სავალზე იდგა.

მოედანზე, სადაც XVII საუკუნეში ციხე იდგა, ვლადიმერ ივანოვიჩი ქარვასლას ან ძველ ეკლესიას კი არ უყურებდა, არამედ ქვის ვეებერთელა ფილას, რომლის თავზე ძველი არყის ხის ფოთლებს შრიალი გაჰქონდათ. მათ შრიალში მას შიმშილისაგან სიკვდილის პირას მისული ფეოდოსია მოროზოვას მისუსტებული ხმა ესმოდა.

— შემიბრალე, მომეცი პური...

— ვერ მოგცემ, ქალბატონო, — უპასუხებდა მას სტრელეცის ხმა, — მეშინია.

— ერთი ლუკმა ხმელი პური...

— ვერ გამიბედავს.

მხატვარმა ვასილ სურიკოვმა „ბოიარინა მოროზოვას“ პირველი ესკიზი 1881 წელს გააკეთა, სურათის ხატვა კი მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაიწყო. ძალიან ძნელი იყო ბოიარინას სახის მიგნება.

„ამ სახეს ძალიან დიდხანს ვეძებდი, — წერდა მხატვარი. — „თითები შენი თხელია და ფაქიზი. თვალები ელვარე, მტერს თავზე ლომივით აცხრები“... ასე წერდა დეკანოზი აბაკუმი მოროზოვაზე“.

სურიკოვმა „ცხოვრება“ წაიკითხა, ბაზრები მოიარა, ტიპებს ეძებდა, ესკიზებს აკეთებდა. „სალოსი ძველმანების ბაზარზე ვნახე. ზამთრის პირი იდგა. თოვლი დნებოდა. პირდაპირ თოვლზე მჯდარს ვხატავდი“...

ვლადიმერ ივანოვიჩი ყველაფერს აგროვებდა, რაც აბაკუმთან იყო დაკავშირებული. საღამო ხანს პროტვის შემაღლებულ ნაპირზე გოგო-ბიჭები იკრიბებოდნენ, მზესუმზირას აკნატუნებდნენ და შაირებს მღეროდნენ. ერთხელ ასეთი შაირი მოისმინა:

ახლო ჩუმად განისვენებს,
მიწას მიბარებული,
დეკანოზი აბაკუმის
ოცდამეერთე ცოლი.

ვლადიმერ ივანოვიჩს გაეცინა. ძველმა ჭორმა საუკუნეებს გაუძლო. ნუთუ მართლა მოროზოვას საფლავია ძველი ქალაქის მოედანზე? კუბოების ამოთხრა მაინცდამაინც საპატიო საქმე არ არის, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დაძლია. მაშინ საგაზეთო წერილში თვითონვე აღწერა, რომ ქვის ფილის ქვეშ იპოვა საფლავი, რომელსაც ხალხში „ბოიარინა მოროზოვას საფლავს“ ეძახდნენ.

„...საეკლესიო განხეთქილების ცნობილი მოთავე ქალი ბოროვსკში გარდაიცვალა. არავინ იცოდა მისი საფლავი. 70 წლის წინ სახანძრო დეპოს რომ ანგრევდნენ, მუშებმა ხარახურაში საფლავის ძველი ქვა იპოვეს. იგი მოროზოვას ძმებს გაეკეთებინათ.

საფლავის ქვა, როგორც საინტერესო ისტორიული მონაპოვარი, ქალაქის ბაღში თვალსაჩინო ადგილზე მოათავსეს, სტაროობრიადელმა მღვდლებმაც არ დააყოვნეს და ეს ადგილი „წმინდად“ გამოაცხადეს. მას შემდეგ საფლავზე პარაკლისს იხდიდნენ, მასზე „ჩაუქრობლად“ ენთო კანდელი. ხუცების მიერ მოტყუებული გლეხები ქვას ღრღნიდნენ, კბილები მოგვირჩებაო...

1936 წელს ბოროვსკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა საფლავი შეისწავლა. არავითარი მოროზოვა, რა თქმა უნდა, იქ არ დახვდათ. ქვის ქვეშ იპოვეს ცხენის ძვლების გროვა, არყის ბოთლის ნამსხვრევები, სპილენძის ფულები. თავდადებულ სტაროვერ-მედავითნე გოლოტეევსაც ცნობისწადილი აღეძრა

და ჩვენთან ერთად თხრიდა საფლავს. ხელშეუხებ გრუნტამდე რომ მივედით, მას ჰკითხეს:

— სად არის მოროზოვა, ვასილი ნიკანოროვიჩ?

— მოგვატყუეს მამებმა, ასე გვითხრეს, აქ განისვენებს უხრწნელადო.

მოხუცმა გულმოსულად შეიგინა და იქაურობას გასცილდა. მღვდლებმა კი დედაბრებისა და სხვა ენაჭარტალების შემწეობით სულელური ხმები გაავრცელეს, ბოიარინა მოროზოვა ღვთისმგმობელთა ხელს რომ გადარჩენოდა, მიწაში უფრო ღრმად ჩავიდაო.

მაგრამ მათი უკვე აღარავის სჯეროდა".

წერილი ვლადიმერ ივანოვიჩმა უნივერსიტეტის გაზეთში დაბეჭდა. იგი ლენინგრადში დაბრუნდა, მაგრამ მეორე ზაფხულზე წიგნებისათვის კვლავ პეჩორაზე გაემგზავრა, მერე უსტ-ცილმას მიაკითხა და ასე, ამ მხარეში თორმეტი ექსპედიცია მოაწყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვლადიმერ ივანოვიჩმა მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. იგი უკვე გაეცნო ბიბლიოთეკის ფონდს და წიგნების მოსაპოვებლად კვლავ ექსპედიციას ამზადებდა, რომ მოულოდნელად თავს დაატყდა... შტატების შემცირება.

არა, ვლადიმერ ივანოვიჩი სამსახურიდან არ დაუთხოვიათ. „შეამცირეს" მარტოხელა ქალი. იგი დერეფანში ფანჯარასთან იდგა და ჩუმად ტიროდა. ვლადიმერ ივანოვიჩი ქალის ცრემლს ვერ იტანდა და მტირალს თავი აარიდა. მერე თანამშრომლებისგან გაიგო, რომ ამ ქალს ბავშვი ჰყავდა, იმავე დღეს დირექციაში მივიდა და დაჟინებით მოითხოვა — მე „შემამცირეთ", ქალი კი ბიბლიოთეკაში დატოვეთო.

ექსპედიციაში კი მაინც გაემგზავრა.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ბრწყინვალე ისტორიკოსმა, აკადემიკოსმა დერჟავინმა ურჩია, ძველი ხელნაწერები კარელიასა და ზღვისპირეთში ეძებეო.

ეს იყო მეოთხე კურსზე. იმავე 1938 წელს ლენინგრადში დიდი ზეიმით გადაიხადეს „ამბავი იგორის ლაშქრობის" შექმნის 750 წლისთავი. მეცნიერებათა აკადემიის დიდი დარბაზი თვალისმომჭრელად გაენათებინა იუპიტერებს, ირგვლივ და-

ფუსფუსებდნენ კინოს მუშაკები. აკადემიკოსმა ალექსანდრე ორლოვმა — ახმახმა, ძოხძროხა კაცია ბრაზით შეუტია:

— იცით რას გეტყვით! მაგ თქვენი უცნაური ძხით თამაშს მოეშვით!

როცა ორლოვი პრეზიდიუმში ასარჩევად დაასახელეს, მან ადგილიდან უპასუხა.

— ჩემზე ჯეელი ვერავინ მონახეთ, მამილო?

მაშინ წამოდგა ღრმად მოხუცი ცნობილი არქეოგრაფი ბიჩკოვი და ორლოვს ხმის კანკალით უთხრა:

— შენ რა, დიდი ხანია ჩემს ლექციებზე მოკლე შარვალში აღარ დარბიხარ?

დიდი ზეიმი საერთაშორისო ინციდენტმა დაარღვია. ცნობილ უცხოელ მეცნიერთა შორის ზეიმზე ჩამოსული იყო პარიზის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ანდრე მაზონი, რომელიც ჯიუტად ამტკიცებდა, „იგორის ლაშქრობის ამბავი“ მეთვრამეტე საუკუნის მარჯვე ნაყალბევიაო. გაუგებარი იყო, თვითონ რატომღა ჩამოვიდა ზეიმზე?

როცა ფრანგი აკადემიკოს ორლოვთან მივიდა, მან წაიფრუტუნა, თავისი ვეება ხელი ზურგს უკან წაიღო და სტუმარს უთხრა:

— არა, მამილო, მე თქვენ ხელს არ ჩამოგართმევთ!

სამსახურიდან დათხოვილმა ვლადიმერ ივანოვიჩმა კარელიას მიაშურა და პეტროზავოდსკის აკადემიის ფილიალში მოეწყო, რომელიც სწორედ იმხანად ძველი ხელნაწერების მოსაპოვებლად ექსპედიციას აგზავნიდა. ამ ექსპედიციაში მან იმდენი წიგნი შეაგროვა, რომ მარტო ჩამოთვლას მთელი ტომი დასჭირდებოდა. მათ შორის იყო ძველი რუსული ლიტერატურის ცნობილ ნაწარმოებთა პირები, გარდა ამისა, სრულიად უცნობი მოთხრობებიცა და ლექსებიც.

— დაიცათ, — ამბობდა ალექსანდრე ორლოვი, — ეს დაუზარელი მუშაკი „იგორის ლაშქრობის ამბავსაც“ მიაკვლევს...

ვლადიმერ ივანოვიჩი მართლაც ეძებდა „იგორის ამბავს“. ამას იუწყებოდა კიდეც თავის პირველ სტატიაში არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ 1946 წელს, სადაც ომამდელი „ნადირობის“ ამბებს არ ახსენებდა:

„კარელიაში კოლმეურნეთა შორის ცოცხლობს თქმულება, რომ იქ მოიძევება „იგორის ლაშქრობის“ ხელნაწერი. როგორც

ცნობილია 1812 წელს მოსკოვის ხანძრის დროს „იგორის ლაშქრობის“ პირი განადგურდა, მაგრამ ზოგი ბერიკაცი ამბობს, რვენ გვინახავს ამ უძველესი ლიტერატურული ნაწარმოების ხელნაწერიო, აღწერენ კიდეც მის გარეგნობას და იმედს გამოთქვამენ, რომ მას ოდესმე მიაკვლევენ“.

ომის დროს კი ვლადიმერ ივანოვიჩმა იპოვა ის, რასაც არ ეძებდა და ესეც „იგორის ამბავი“ გახლდათ...

17

ვლადიმერ ივანოვიჩი სკვერში ეკატერინე II ქანდაკებასთან იჯდა და საჯარო ბიბლიოთეკის კარს მისჩერებოდა. დიდი ხანია წასასვლელი იყო, მაგრამ მაინც იჯდა და იჯდა, მუხლებზე საველე ჩანთა ედო. ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დემობილიზებული დაბრუნდა და ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. იმიტომ მიიღეს, რომ ჯერ კიდევ ახსოვდათ; ძველი ხელნაწერების განყოფილების მცველად უპირებდნენ დანიშვნას, ომამდე ეს ადგილი ყველა თაობის მეცნიერ-მწიგნობართათვის ლეგენდად ქცეულ ივანე ბიჩკოვს, თეთრწვერა და მელოტ კაცს ეკავა. იგი ზრუნვა-პატრონობას არ აკლებდა ვლადიმერ ივანოვიჩს, სტუდენტობის დროიდან უფლება მისცა გამოცდილების მისაღებად მასთან ევლო დიდ სვეტებიან დარბაზში, რომელსაც ნესტორ-ჟამთააღმწერლის ქანდაკება ამშვენებდა.

კარგი და წყნარი ადგილი იყო, მაგრამ ამაზე როდი ოცნებობდა ვლადიმერ ივანოვიჩი, როცა „სამოქალაქო სამსახურში გადიოდა“. ის უკვე ოცდათექვსმეტი წლისა გახდა. ასაკი სოლიდური ჰქონდა, უფროსი ბიბლიოთეკარის ჯამაგირი კი მცირე გახლდათ. მაგრამ ჯამაგირს როდი ჩიოდა, საქმე ის იყო, რომ მთელ დროს სამსახურის ყოველდღიური წვრილმანი წამუშაო ნთქავდა. გაივლის წლები, ის კი ნამდვილი მეცნიერი ვერ გახდება. ეს მტანჯველი ფიქრი დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევდა, სიცოცხლეს უწამლავდა. ამიტომ იყო, რომ დღეს სამსახურიდან ადრიანად დაეთხოვა.

ცდა ბედის მონახევრეაო, გაიფიქრა მან და მუხლებზე დადებული საველე ჩანთა ფრთხილად გაასწორა. ბიბლიოთეკის კარი თითქმის არ იხურებოდა. გუნდ-გუნდად შედიოდნენ სტუ-

დენტი გოგონები, აუჩქარებლად მიაბიჯებდნენ გახუნებულ გიმნასტურებში გამოწყობილი, საყელოგაღეღილი ჭაბუკები. ვლადიმერ ივანოვიჩმა უნებლიეთ საყელოსკენ წაიღო ხელი და თითბრის ღილები მოისინჯა, რომლებსაც უკვე მწვანე ფერი დასდებოდა.

მზე მწარედ იკბინებოდა. ოფიცრის კაბარდინის გიმნასტურაში ცხელოდა.

„ძველმანების ბაზარზე უნდა გავსულიყავი და რამე თხელი პერანგი მეყიდა", — გაუელვა თავში. ვლადიმერ ივანოვიჩმა ამოიოხრა, დემობილიზებისას აღებული ფული უთავდებოდა. ნახევარი ლენინგრადი მისი ფრონტელი მეგობარი იყო... მუდამ ერთსა და იმავეზე ლაპარაკობდნენ — „გახსოვს?.." მაგრამ სისხლზე ლაპარაკს გაურბოდნენ. მათი საუბრებისთვის ყური რომ მიგეგდო, გეგონებოდა, მთელმა ომმა მარჯვე ფათერაკში გაიარაო: ერთი ტრაბახობდა, ბატარეის სანიტპუნქტის მედიცინის დებს მოვწონდიო, მეორე ყვებოდა, მთელი ერთი თვე როგორ გაუწყალა გული მომმარაგებლებს და სასურსათო-საფურაჟე საწყობიდან ზედმეტი ოცი ლიტრი არაყი წამოიღო. ამ საუბრების მიხედვით მეთაურები და უფროსები ან ობროდებად მოგეჩვენებოდათ, ან უჯიათებად. ყოველივე ეს არასერიოზულობა იყო, მაგრამ სუფრაზე, ღვინის სმისას სერიოზულზე ლაპარაკი არც ერთს არ სურდა. უფრო ხშირად ბედნიერ შემთხვევებს იგონებდნენ:

— ივანე, სმირნოვი გახსოვს? დივიზიის შტაბში მსახურობდა, — თქვა ვლადიმერ ივანოვიჩმა, სათვალე მოიხსნა და თვალები მოჰუტა. — მაშინ, ორმოცდაერთში, თავდაცვაზე ახალი გადასული ვიყავით. ფართო თხრილები გავთხარეთ, სანგრები გავამზადეთ. ბრძანება მივიღეთ, ოცეულზე ერთი მიწური გააკეთეთო. ხე-ტყის საქმე, შენც იცი, როგორ იყო... ტილიანი მიწურები ყუმბარის ნამსხვრევებისაგან თუ გვიცავდა... მიწურიდან ასე, ხუთ მეტრზე დიდი გრანიტის ლოდი ეგდო. ტონამდე იქნებოდა, შეიძლება ცოტა მეტიც. ერთხელ, საღამო ხანს, მიწურში ვზივარ; უცებ ზევიდან ვილაცის გინება მესმის. ისეთი მბრძანებლური ხმა იყო, დამდუღრულივით გამოვვარდი მიწურიდან... ხელში სმირნოვი შემრჩა. თურმე უგონოდ მთვრალი იყო. ცხენით მომავალი ლოდს გადასწყდომია და ცხენიდან გადმოვარდნილა. სახე მთლად გადატყავებული

ჰქონდა. ეს ლოდი ახლავე აქედან მოაშორეთო, ყვიროდა, ერთ ამბავში იყო. მერე სად წავიღოთ-მეთქი. სადაც გინდათ, მიწურთან მიათრიეთ, იცოდეთ დილას შევამოწმებ, ახლა კი ბრძანება შეასრულეთო, მიპასუხა. შენ ჩემი ხასიათი იცი, არც შეეკამათებივარ. არადა მიწურში მშვენივრად ვიყავით მოკალათებულები. მეგონა, ცოტა ხანს დავისვენებდით. რაღას ვიზამდით, მთელმა ოცეულმა დავიკაპიწეთ მკლავები. მიწურთან იმ წყეული ლოდის მითრევას ორ საათს მოვუნდით. დილით კი ფრიცებმა მძიმე არტილერია დაგვიშინეს, ერთი ჭურვი პირდაპირ ლოდს მოხვდა. ის რომ არა, ჩვენი საქმე წასული იყო. დაიჯერებ? ლოდი ნამსხვრევებად იქცა, მიწურში კი მარტო კედლებიდან ჩამოცვივდა მიწა და ყურები დაგვიგუბა... მერე სმირნოვს შევხვდი და მოვახსენე, ასე და ასე მოხდა-მეთქი. მაღარიჩი შენზეაო, მითხრა მან.

ვლადიმერ ივანოვიჩი მერე თვითონვე დაირცხვენდა ხოლმე თავისი ნაამბობის გამო, რადგან ზოგიერთ რამეს თავად თხზავდა, სმირნოვისა და მაღარიჩის არ იყოს. მაგრამ შემდეგ ისე გაიწაფა, ეს შეთხზული ამბები ენას თავისით სწყდებოდა და თითქოს აღარ იყო აუცილებელი გაეხსენებინა ზოგიერთი ასეთი რამ, რისი მოგონებაც გულს დანასავით უსერავდა. მაგრამ მაინც, როგორც კი მიწურს ახსენებდა, მყისვე თვალწინ დაუდგებოდა ვერას თეთრი, მრგვალი სახე, ტუჩს ზემოთ ხალი რომ აჩნდა. ვერა იტყოდა: „შეეარდენი გისმენთ, ახლავე", — და ტელეფონის ყურმილს ვლადიმერ ივანოვიჩს გაუწოდებდა. ისიც ყურმილს ისე ჩამოართმევდა, რომ როგორმე ქალის ხელს შეჰხებოდა.

როცა მიწურში ახალი ტელეფონისტი ქალი გამოჩნდა, მალიშევმა მაშინვე იგრძნო, რომ მის ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა. პირველ დღეებში ცდილობდა ქალისთვის არ შეეხედა, არ გამოლაპარაკებოდა, თუმცა უკვე უფროსი ადიუტანტი იყო, შეეჩვია ბრძანებების გაცემასა და დამაჯერებელ ლაპარაკს... საქმეზე. მაგრამ ვერა და ვლადიმერ ივანოვიჩის უამრავი საქმე ერთმანეთთან როგორღაც ვერ თავსდებოდა. ეგ კი არა, ქალი ავიწყებდა კიდეც საქმეს. ვლადიმერ ივანოვიჩი დაბნეულად, ხარბად აყოლებდა თვალს ვერას, როცა იგი მიწურიდან სირბილით გადიოდა. აქამდე დაწვებოდა თუ არა, მაშინვე მკვდარივით დაეძინებოდა ხოლმე, ახსოვდა, რომ ყოველ წუთს შე-

ეძლოთ გაეღვიძებინათ და მეორედ ღმერთმა იცის, ძილი კიდევ როდის მოუწევდა. ახლა კი თვალს ვერ მოხუჭავდა, თუ ცოტა ხანს ვერაზე არ იოცნებებდა და ყოველთვის, როცა კი ოელმოკიდებული ნელ-ნელა ძილის წიაღში ეცვებოდა, თვალწინ ედგა ვერას სავსე, ჩექმებშემოტკეცილი ფეხები, ხედავდა ბის თეთრ, ქათქათა კანს, ნახევრადბნელ მიწურში მჭრქალად რომ ელავდა.

ვლადიმერ ივანოვიჩი ქალებთან მუდამ მოკრძალებული იყო და თუ რომელიმე მათგანი არჩევახს მასზე შეაჩერებდა, იგი ნამდვილ რაინდსავით იქცეოდა, უჩვეულოდ ყურადღებიანი ხდებოდა; ყოველ წამს მასზე ფიქრობდა, ეკვიანობდა, იტანჯებოდა და, ბოლოს და ბოლოს, ისევ მარტო რჩებოდა, რაკი იმ ყაიდის ქალებს, მას რომ ხედებოდნენ, ძალიან მალე აბეზრებდა თავს. მაგრამ ეს ომამდე იყო. ბოლო წლებში კი საქმე ისე წავიდა, რომ მისი ამომრჩევი აღარავინ დარჩა, ქალებზე ნადირობა კი მის ხასიათს ვერ ეგუებოდა. ვლადიმერ ივანოვიჩს ისღა დარჩენოდა, რომ ეოცნება და ისიც ოცნებობდა... ოცნებობდა მშვენიერ, სასწაულებრივ ნაცნობობაზე იმ დღეებში, როცა დაჭრილი ლენინგრადის ჰოსპიტლებში იწვა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა თავს უკეთ გრძნობდა და ხანდახან ცოტა ხნით უშვებდნენ ჰოსპიტლიდან. ორმოცდაორშიც იგი მშიერი ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა, ხედავდა რაღაც უცნაურ, უდროოდ დაბერებულ არსებებს, ქალის სახე რომ დაჰკარგოდათ. მაგრამ ის მაინც ოცნებობდა, რომ შეხვდებოდა ქალს, გვერდში ამოუდგებოდა და ოდესმე ცხოვრების თანამგზაერად გაიხდიდა. ეს ხორცის ძახილი როდი იყო. ის ხომ დღეში სულ სამას გრამ პურს იღებდა, თუ არმიულ კერძს არ ჩავთვლით... უბრალოდ ვლადიმერ ივანოვიჩს მარტოობა აწვალებდა. ერთხელ, ორმოცდაორის გაზაფხულზე, აი, აქ, გადამწვარ ქარვასლასთან დაინახა, როგორ დაეცა ახალგაზრდა ქალი და უმალ მისაშველებლად გაეშურა. მან ჩაიმუხლა, მეორე მუხლზე ქალის მსუბუქი სხეული გადაიწვინა და როცა სახეზე დახედა, იფიქრა, შიმშილისაგან გული წასვლიაო. ჯიბეში შაქარი ედო, მათარაში ცოტა არაყი ესხა. ქალს მოკუმულ ტუჩებთან მათარა მიუტანა და როცა დაინახა, როგორ მოწანწკარებდა ლოყაზე არყის ნაკადი, თავზარი დაეცა... ქალი მკვდარი იყო. ბევრჯერ ენახა მოკლული და ამას ჯარისკაცური სიმშვი-

დით ხვდებოდა. ახლა კი შიშმა შეიპყრო. ერთი პირობა გაქცევა მოუხდა, სულ ერთია, საით, ოღონდ გაქცეულიყო. მერე თავი დაძლია და მკვდარს სახეზე დააცქერდა. მიხვდა, რომ ქალი ლამაზი უნდა ყოფილიყო, სანამ შიმშილისაგან ცარიელი ძვალი და ტყავი დარჩებოდა. თავსაფრიდან ჩამოშლილ რუხ, მოთელილ თმაში აქა-იქ ოქროსფერი კულულები გაარჩია. ქალს ბაგის მარჯვენა კუთხეში ხალი ჰქონდა. ვლადიმერ ივანოვიჩი ამ ხალს დააცქერდა და თანდათან გონს მოეგო, მერე ისე დამშვიდდა, რომ ქალის სხეული კედელთან გააჩოჩა და, თითქოს ამას რამე აზრი ჰქონდა, წამოაჯინა.

ეს შემთხვევა რატომღაც სამუდამოდ ჩაებეჭდა მეხსიერებაში, თუმცა მსგავსი რამ შემდეგაც ბევრჯერ შეხვედრია. პირველად ვერა რომ დაინახა, ვლადიმერ ივანოვიჩი შეკრთა. ზედა ტუჩზე, თითქმის ზუსტად იმ ადგილზე, სადაც იმ ქალს... ხალი ჰქონდა. ვლადიმერ ივანოვიჩი შესცქეროდა ქათქათა, ახალგაზრდა, სავსე სახეს, მაგრამ თითქმის ვერ ხედავდა, ისევე როგორც თითქმის არ ესმოდა ვერას ხმა.

— გამოვცხადდი თქვენს განკარგულებაში!

ვერამ მარჯვედ გადაფხიკა მავთულის ბოლოები — ტელეფონის აპარატი კლემებთან შეაერთა, ინდუქტორის სახელური დაატრიალა და უკვე ვიღაცას ეძახდა, მისაღებად მზად ვარო...

მათ ერთად დაიწყეს მუშაობა. ქაღალდებში ჩაფლულ ვლადიმერ ივანოვიჩს ხშირად ტელეფონის ზუმერის ხმა აწყვეტინებდა მუშაობას. თავს რომ ასწევდა, ვერას მოღიმარ სახეს აწყდებოდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ვერა სულ აქ იყო, რომ იგი მას უხსოვარი დროიდან იცნობდა. შემდეგ თანდათან შეამჩნია, რომ ვერა სხვებსაც მოსწონდათ. ბატალიონის მწერალი, ზემდეგი აზარინი — ტანადი, კოხტა ჭაბუკი, შტაბის მიწურში რომ მუშაობდა, ვერას უმალ გაუშინაურდა და შენობით დაუწყო ლაპარაკი. აზარინს მაღალი, წვრილი ფეხები ჰქონდა. სანამ გალიფეს აიჭიმავდა, კანჭებზე სამარაგო სუფთა ტოლაღებს დაიხვევდა ხოლმე, რომ ჩექმის ყელი კარგად შემოსტკეცოდა. სახაზინო გიმნასტურას საყელო დაუვიწროვა და ქვესაყელოს წამდაუწუმ უცვლიდა, რასაც მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა. ვიმნასტურა მოკლე ჰქონდა, დროდადრო ქამარს თითებს შემოავლებდა და მუცელზე ნაკეცებს ისწორებდა. მოჯაჯული ვლადიმერ ივანოვიჩის გვერდით, რომელსაც გრძელი

გიმნასტურა ბალთასთან ნაოქებად ჰქონდა ასხმული, იგი განსაკუთრებით კოხტა და ტანადი ჩანდა. უფროს ადიუტანტს ეს მეტისმეტად აღიზიანებდა, თუმცა ამას გულმოდგინედ მალავდა. ამ გაღიზიანებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა სამწყობრო წესდებასთან, რომელიც ვლადიმერ ივანოვიჩს მხოლოდ ზურგში ყოფნისას აბეზრებდა თავს. აზარინს მამაკაცების წრეში თავისი სამიჯნურო ამბების მოყოლა უყვარდა და ეს განსაკუთრებით უხამსად გამოსდიოდა: სქელ ტუჩებს აწკლაპუნებდა და საუბარში უამრავ ფიზიოლოგიურ წვრილმანს ჩაურთავდა ხოლმე. მას, ჩვეულებრივ, ავხორცული ხითხითით უსმენდნენ, მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩი მხოლოდ ტუჩებს მოკუმავდა, საკუთარ ცხვირის კეხს ალმაცერად დააშტერდებოდა და ჯიუტად დუმდა.

შტაბის მიწურში ვერას გამოჩენის შემდეგ აზარინი კიდევ უფრო გათავხედდა. შტაბის მწერლების თავხედობა ყველასათვის ცნობილია, გარდა უფროსებისა, რომლებიც ამას ჩვეულებრივ სიყოჩაღედ თვლიან, კარგ ჯარისკაცს ხელს რომ არაფერში უშლის. ვლადიმერ ივანოვიჩს აზარინის თავაშვებულობა აცოფებდა, მაგრამ შენიშვნის მიცემას ვერ ბედავდა — გულისწყრომა სხვანაირად არ გამიგონო. უფრო სწორედ, გულისწყრომას არ მიმიხვდნენო, თორემ ყველა გაიგებს, რომ ვერა მომწონსო... იგი სულ დაიბნა და აზარინს მაშინაც კი არ აწყვეტინებდა ლაპარაკს, როცა ის მეტისმეტად ენაწყლიანი ხდებოდა, დოინჯს მოხდენილად შემოიყრიდა და ვერას უტიფრად მისჩერებოდა.

ყველა ამ სატანჯველს ბოლო მოეღო ერთ მშვენიერ დღეს, როცა მიწურში ჩასულმა ვლადიმერ ივანოვიჩმა ვერასთან მარტო დარჩენილი აზარინის აჩქარებულ ლაპარაკს მოჰკრა ყური.

— ვეროჩკა, ჰა, ვეროჩკა, მოდი დღეს ჩვენთან მიწურში. მიშკა ხვალამდე არ იქნება.

აზარინი მიწურში შტაბის მეკუჭნავესთან ერთად ცხოვრობდა. ვლადიმერ ივანოვიჩს გაახსენდა, რომ მეკუჭნავე მართლაც დივიზიის შტაბში იყო წასული.

შტაბის მიწურის სიჩუმეში მხოლოდ აზარინის ხშირი ქშენა ისმოდა. „ნამდვილად პოლიპები აქვს“, — უცებ მშვიდად გაიფიქრა ვლადიმერ ივანოვიჩმა და აზარინის სახე წარმოიდგინა, მისი მუდამ ნახევრად ღია პირი და სქელი სველი ტუჩები.

— ხელები დაიმოკლე! — გაისმა ვერას ხმა.

— კარგი ახლა, ვეროჩკა, გეყოფა. — ცხვირის სრუტუნით, სხაპასხუპით ბურტყუნებდა აზარინი.

— ხელები დაიმოკლე-მეთქი!

უცებ ჯაჯგუნის ხმა მოისმა. დაიწკარუნა ტელეფონმა — აპარატი ყუთიდან გადმოვარდა, რომელსაც ჩვეულებრივ ტელეფონისტი ქალი უჯდა ხოლმე. ვლადიმერ ივანოვიჩი ცახცახმა აიტანა. დააპირა, მიწურში შევვარდებიო, მაგრამ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა ამისი უფლება. მას შეეძლო უბრალოდ შესულიყო და ამით დავიდარაბა შეეწყვიტა, მაგრამ ისევ თავისი თავისა შეეშინდა — აწითლებულმა ლოყებმა და ყურებმა არ გამცესო, შეეშინდა გულისამრევი გრძნობისა, ყელში ბურთივით რომ მოსწოლოდა, ხელისა — უნებლიეთ რევოლვერის ბუდისკენ რომ გაექცა.

მიწურში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— რაო, არ მოგწონვარ? რა ფასს იდებ! — გაისმა აზარინის შესაბრალისი ხმა.

— დორბლები მოიწმინდე, — მკაცრად უთხრა ვერამ.

ვლადიმერ ივანოვიჩი შებრუნდა და ფეხაკრეფით მოშორდა კარს. არ იცოდა, რა ეღონა, მაგრამ მიწურის კართან დარჩენაც უკვე აღარ შეიძლებოდა. ცახცახმა გაუარა, მაგრამ მთლად ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო. „ომი ყველაფერს წაშლის“, — გაუელვა გაცვეთილმა ფრაზამ, მაგრამ ერთი რამ მტკიცედ სწამდა, ომი არაფერს არ წაშლიდა, არც ერთ მის საქციელს ხაზს არ გადაუსვამდა, იმიტომ, რომ ასეთად გააჩინა ღმერთმა, იმიტომ, რომ მას არ შეეძლო იოლად ეცხოვრა, ეჭვებით არ ყოფილიყო გათანგული, არ შეეძლო თავისი მორცხვობა დაეძლია...

მიწურიდან ასიოდე ნაბიჯზე შეჩერდა, ერთხანს იდგა, შემდეგ გაუბედავად წაჩანჩალდა უკან... ის იქ ბრუნდებოდა, სადაც თავი მოეჭრა (ასე ეგონა) და თან თითქოს თვითდამცირების დამთრგუნველი გრძნობა სიამოვნებდა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ჯერ კიდევ მოჩვენებითი ტანჯვის დროს.

მიწურიდან აზარინი გამოვიდა. უცებ ვლადიმერ ივანოვიჩმა გაბედა და აზარინს დაუძახა:

— ამხანაგო ზემდეგო, მომიახლოვდი! — იგი ანგარიშმიუ-

ცემლად ცდილობდა აზარინი მოეშორებინა მიწურისთვის, სადაც ვერა ეგულებოდა.

აზარინი მისკენ გაემართა. ასე, ხუთ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, მტკიცედ წამოვიდა და განსაკუთრებით მოხდენილად მისცა მხედრული სალამი: ქუდთან მუშტი მიიტანა და თითები უმალ მარდად გაშალა — ეს იყო პასუხი „ამხანაგო ზემდეგოზე". აზარინი იდგა და ვლადიმერ ივანოვიჩს დამცინავი ღიმილით უყურებდა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა მისალმებაზე, როგორც ყოველთვის, მოუხერხებლად უპასუხა — ხელი ცხვირის სიმაღლემდე ძლივს ასწია.

— მომისმინე, აზარინ, —უთხრა ისე, რომ თავი არ დაემცირებინა, სახელით არ მიემართა და არც ოფიციალური ტონით დალაპარაკებოდა. — რას გადაეკიდე ამ ტელეფონისტ ქალებს?

მრავლობითი რიცხვი ნამდვილად მოუქნელი თვალთმაქცობა იყო და ეს მაშინვე იგრძნო ვლადიმერ ივანოვიჩმა.

— მაგას რაზე ბრძანებთ, — ავტომატურად უპასუხა აზარინმა, იმ ჯარისკაცური ჩვევის თანახმად, რომლითაც ისინი ნებისმიერ ბრალდებას უარყოფდნენ ხოლმე და სველ ტუჩებზე ისევ დამცინავი ღიმილი გადაეფინა, — ვეროჩკაზე მეუბნებით განა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო? გვისმენდით? — დასძინა მან და თავი მიწურისკენ გააქნია.

„ვეროჩკას" ხსენებაზე ვლადიმერ ივანოვიჩს ჯერ კისერი გაუწითლდა, შემდეგ ლოყები და ყურები. აზარინი უტიფრად, ქედმაღლურად შესცქეროდა სახეში.

— თუ შენ კიდევ!.. თუ თქვენ კიდევ!..

ვლადიმერ ივანოვიჩს სუნთქვა შეეკრა. აზარინს ღიმილი პირზე შეაშრა. ხიფათი იგრძნო და მაშინვე უდანაშაულოდ შეურაცხყოფილის ნიღაბი აიფარა; ის კი არადა, მის გრძელ, აწოწილ ფიგურას ერთი წამით თითქოს ტალღამაც კი გადაურბინა, იგი მეყსეულად გარდაქმნა და რაღაც შესაბრალისი შესახედაობაც მისცა. „ვის რაში სჭირდება ეს?" — ნაღვლიანად გაიფიქრა ვლადიმერ ივანოვიჩმა.

— ა-მხ-ნაგო უფროსო ლეიტენანტო, — საყვედურით გააგრძელა აზარინმა, რომელმაც სარკესავით აირეკლა ვლადიმერ ივანოვიჩის მერყეობა და გაუბედაობა, — თუ გგონიათ, რომ... თქვენ მოგწონთ ვერა?

ამ შეკითხვაზე, რა თქმა უნდა, ვლადიმერ ივანოვიჩს პასუხი არ გაუცია და აზარინიც სხაპასხუპით ალაპარაკდა, თან პირიდან დორბლი სცვიოდა:

— გოგოს თითქოს არა უშავს, არა? მაშ, თქვენთვის გინდათ, არა? ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, მე შემიძლია საქმე გაგიჩარხოთ... არა, არა, ის არ არის, რაც ახლა იფიქრეთ... მას სერიოზული ურთიერთობა უნდა. უბრალოდ ვეტყვი, რომ თვალში მოგვიდათ.

— კმარა, აზარინ!

ვლადიმერ ივანოვიჩმა აზარინი გაუშვა და ინანა, რატომ წამოვიწყე ეს ყველაფერიო. დანაშაულს გრძნობდა როგორც ვერას, ისე საკუთარი თავის წინაშე. აზარინი კი, რომელმაც გასაკვირი მოქნილობით მოახერხა მის სულში ჩაეხედა და მისი მღელვარება პრიმიტიულად უბრალოდ შეაფასა, ვლადიმერ ივანოვიჩს შიშს ჰგვრიდა.

მოყირჭებული გულთამპყრობლის დარდიმანდობითა და თანდაყოლილი მოხერხებულობით აზარინმა შეძლო ვერასთვის ყურში რაღაც ჩაეწვეთებინა, და ისიც ხელებზე ნიკაპდაყრდნობილი სულ უფრო ხშირად, დაჟინებით ათვალიერებდა ვლადიმერ ივანოვიჩს. თუ მათი მზერა ერთმანეთს შეხვდებოდა, ვერა თვალს მოარიდებდა, რასაც, ალბათ, უწინ არ იზამდა...

ვლადიმერ ივანოვიჩმა, როგორც იქნა დასძლია ზიზღის გრძნობა, რომლითაც იგი აზარინთან საუბრის მომდევნო დღეებში იყო შებყრობილი. აზარინი გაუჩინარდა, როგორც ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ უახლოეს მომავალში მის მიერ დაბანდებული კაპიტალიდან პროცენტებს მიიღებდა. ვლადიმერ ივანოვიჩს ახლა უკვე აღარ რცხვენოდა ვერასთან საუბრისა. ვერა მასში დადებით, პატიოსან ადამიანს ხედავდა. უბრალოდ, ნდობით უყვებოდა თავის ცხოვრებაზე, რომლის ყველაზე შეგნებული ნაწილი ომში გაატარა. იგი მუშის ოჯახიდან იყო, ათწლედი ლენინგრადში დაამთავრა და ცოლად გაჰყვა თანაკლასელს, რომელთანაც რამდენიმე წელს მეგობრობდა. ვლადიმერ ივანოვიჩს ეს უცნაურად მოეჩვენა, მაგრამ არ უკითხავს, ასე ადრე რატომ გათხოვდი, ასეთ ახალგაზრდა კაცს რატომ გაჰყევი, თანაც ასეთ არეულ დროსო. თითქოს მის იდუმალ კითხვას უპასუხაო, მაგრამ ისე, რომ სათქმელი ბოლომდე მაინც არა თქვა, ვერამ თავისი ქმრის სიტყვები მოიშველია. მას თურმე

სწორედ ომიტომ ეჩქარებოდა ვერას ცოლად შერთვა, რომ ომი დაიწყო და ჯარში მიდიოდა. ერთად სულ ერთი თვე იცხოვრეს, მანამდე კი მხოლოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს... ვიტალი ჯარში წავიდა და ორი წერილი გამოგზავნა, შემდეგ წერილები შეწყდა. სამხედრო კომისარიატში დაჰპირდნენ, ყველაფერს გავიგებთო, მაგრამ, ჩანს, ვერაფერი შეიტყვეს. ვერა ყოველდღე დადიოდა სამხედრო კომისარიატში, გარშემო ქუჩები სამხედროების ოჯახებით იყო სავსე, ბალტიისპირეთიდან და სხვა ადგილებიდან მტრის შემოსევას ლენინგრადში რომ გამოექცნენ. სამხედრო კომისარიატის მოსამსახურეთ, თავიანთი პირდაპირი მოვალეობის გარდა, ეს უბედური ქალები და ბავშვებიც უნდა დაემშვიდებინათ, მათთვის თავშესაფარი გამოენახათ, საჭმელი ეშოვათ. ლტოლვილებიც ტირილით თხოულობდნენ, გვითხარით, ჩვენი ქმრები და მამები სად არიანო; აი, მაშინ იშვა ფორმულირება — „დაიკარგა უგზო-უკვლოდ", რომელმაც სამხედრო კომისარიატის მოსამსახურეთ ცოტა შეღავათი მისცა და რომელიც ისე სასტიკად არ ეღერდა, როგორც დაღუპვის ბარათების გულისგამგმირავი სტრიქონები. სამხედრო კომისარიატში სიარულმა ვერას ერთი სიკეთე მოუტანა — იქ იგი შეამჩნიეს და ფრონტის შტაბის მეკავშირე ქალთა კურსებზე მიიწვიეს. ბლოკადის დღეებში, ბადაევსკის საწყობების ხანძრის შემდეგ, სწორედ ამ კურსებმა გადაარჩინა ისიც და მისი მშობლებიც. ვერა კომუტატორზე მუშაობდა და ჯარისკაცის ულუფას იღებდა. მეკავშირეები ყაზარმული წესებით ცხოვრობდნენ, მაგრამ ბევრს ქალაქში მშობლები ჰყავდა და გოგონები თვითნებურად იპარებოდნენ, რათა თავისიანებისთვის გადამალული წებოვანი პურის ნატეხი მიეტანათ. ვერა სახლში ბნელი ქუჩებით მიდიოდა, საკომენდანტო პატრულებს სადარბაზოებში ემალებოდა. სახლში ჭრაქი ენთო, რომლის წინათლე ოთახის კედლებსა და ჭერსაც კი არ სწვდებოდა. ამ ოთახში ისე დადიოდნენ, როგორც ტყეში შეშისათვის — ავეჯის ნარჩენები გამოჰქონდათ, რომელსაც ბურჟუიკის ძუნწად მოკიაფე ალი საოცარი სისწრაფით ნთქავდა. მამა შინ არასოდეს ხვდებოდა ხოლმე, ისიც ქარხანაში ყაზარმულ წესებზე იყო გადასული. დედა და ძმა კი ღუმელს ეკვროდნენ და უნებლიეთ ხელი რომ დაეწვებოდათ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ომამდე დედა მსუქანი და მხიარული ქალი იყო, ახ-

ლა კი ხუმრობით ამბობდა, ჩემგან ლანდიღა დარჩაო, მაგრამ ეს ხუმრობა კი არ იყო, არამედ ფაქტის უბრალო კონსტატაცია. ჭუჭყისა და მურისაგან სახეგაზანგული დედა და ძმა გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს როგორ ხსნიდა ვერა ქაღალდში გახვეულ პურს. ძმა მოზარდი იყო და ტანს იყრიდა, მაგრამ ხელს არაფერი უწყობდა; იგი სულმოუთქმელად გადაყლაპავდა ხოლმე თავის წილ პურის ნაჭერს, რომელიც შიმშილს კი არ უკლავდა, უფრო აღიზიანებდა. ამ შეგრძნებით დაძაბული, ვერას თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა და ასე ახალგაზრდული თვალები რომ არა, შიმშილისაგან გალეულ სახეზე უჩვეულოდ დიდები რომ ჩანდნენ, ბიჭი საცოდავი, უძლური მოხუცი გეგონებოდათ. იგი ერთხელ ქუჩაში გავიდა წყლის მოსატანად და უკან აღარ დაბრუნებულა. დედას ტირილის თავი არ ჰქონდა, გაუნძრეველად იწვა. მამა სახლში მოვიდა, მაგრამ ვერას ისინი აღარ უნახავს, ქვეგანყოფილებაში სიმკაცრე დაიწყო და გარეთ ვეღარ გამოდიოდა. ტელეფონისტ ქალებს შიმშილისგან გული მისდიოდათ და ტახტებზე შუშდებოდნენ. ყაზარმაში მომუშავე აღარავინ იყო. უფროსობამ ბრძანება გასცა და ქვედა სართულზე ყველა კარი და ფანჯარა აჭედეს. ყოველ ახალ საყარაულო ცვლას ტრიბუნალით ემუქრებოდნენ. ყველა გუშაგს, ვინც მივლინების მიწერილობის გარეშე რომელიმე ქალს ქალაქში გაუშვებდა, სასტიკად სჯიდნენ (დათხოვნის საბუთს საერთოდ არ იძლეოდნენ). კომკავშირის კრებაც მოიწვიეს და საკითხი პირდაპირ დასვეს: მართალია, მახლობლები შიმშილით ეხოცებიან, მაგრამ სამშობლომ ტელეფონისტ ქალებს ულუფა იმიტომ დაუწესა, რომ კავშირი არ გაწყვიტონ. ხოლო საჭმელს თუ მშობლებს უყოფენ და ავად ხდებიან, ამით ისინი სამხედრო დანაშაულს სჩადიან. ტელეფონისტებს წინადადება მისცეს ეს საკითხი განეხილათ და დასკვნები გამოეტანათ — გამართლებული იყო თუ არა მათი მოქმედება მორალურად. და რა უფრო მთავარი გახლდათ – მშობლებზე ზრუნვა თუ საფრონტო ქალაქის, გმირული ლენინგრადის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება. დედა და მამა ყინულის გზით ევაკუაციით გაიყვანეს. ვერამ ეს ამბავი მათი წერილებიდან შეიტყო, ბუგურუსლანიდან რომ გამოეგზავნათ.

შემდეგ მის მონათხრობში ბევრი რამ ისევ ბუნდოვანი იყო. ეპვიანი ვლადიმერ ივანოვიჩი მიხვდა, რომ ამ ამბებს ლენინ-

ბრადის დაცვასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, და გული ეტკინა; თუმცა გრძნობდა, რომ ამის გამო ნერვების აშლა სისულელე იყო. საერთოდ არც ჰქონდა უფლება ვერას წარსულზე ან აწმყოზე ეეჭვიანა, იმიტომ, რომ მათი ურთიერთობა ერთმანეთთან ლაპარაკს არ გასცილებია. ვლადიმერ ივანოვიჩი ხედავდა, რომ ვერას სამხედრო ფორმა ძალიან უხდებოდა და იგი „სამოქალაქო" თხელ კაბაში ვერც წარმოედგინა. როცა ვლადიმერ ივანოვიჩის მზერას გრძნობდა, ვერა უნებლიეთ კეკლუცად დახრიდა თავს... ვლადიმერ ივანოვიჩი სწრაფად მოიხსნიდა სათვალეს და მინების წმენდას იწყებდა, ფარად თავის ახლომხედველობას იფარებდა. როცა მიწურში მარტონი იყვნენ და ვერა ტელეფონის აპარატთან იჯდა, ვლადიმერ ივანოვიჩი ისე ახლოს მიდიოდა ქალთან, რომ მისი ჯანმრთელი სხეულის სითბოსა და სუნს გრძნობდა. უნდოდა მოხვეოდა, მაგრამ სურვილს გულშივე იკლავდა. უნდოდა მოხვეოდა იმიტომ, რომ ვერა ხელს არა ჰკრავდა.

ვერას ტიტინიდან ვლადიმერ ივანოვიჩმა იმდენი გაიგო, რამდენიც უნდა სცოდნოდა. როგორ მოხვდა კავგოლოვში, კავშირის პოლკის ოცეულში, რატომ გაამწესეს ბატალიონში, როცა მისი ადგილი სადღაც უფრო ზემოთ, შტაბში იყო კომუტატორთან? ორი, ხანდახან სამი მძიმე მაუთულიანი კოჭის, ტელეფონის აპარატისა და შაშხანის თრევა, ხაზის გაბმა და ამ ხაზზე ღამ-ღამობით გაწყვეტილი ადგილების ძებნა ქალის საქმე როდი იყო. თუმცა მას არც არავინ სთხოვდა მეკავშირის სამსახურის მთელი სიმძიმე თავის მხრებზე აეღო. დიდი ხანია მყუდროება სუფევდა. ვერა მხოლოდ ტელეფონთან მორიგეობდა, კავშირი თუ დაირღვეოდა, რაც იშვიათად ხდებოდა, ხაზზე მისი მეწყვილე, აუღელვებელი, დრუნჩა ბიჭი გადიოდა, რომელიც წარამარა იმეორებდა, ძილისაგან ჯერ არავინ მომკვდარაო. ტელეფონთან იგი ცოტას მორიგეობდა და როცა ადგილს ვერას უთმობდა, ყოველთვის უკბილოდ ხუმრობდა:

— წავალ, წავიხემსებ და... წავთვლემ ერთ ექვსასიოდე წუთს.

ვლადიმერ ივანოვიჩი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბატალიონში ვერა შემთხვევით მოხვდა. იგი რაღაცას მალავდა, იტყუებოდა კიდეც, როგორც ყველა ქალი, რომელიც გამიჯნურებულ მამაკაცს ატყუებს, რათა დაინდოს. მაგრამ ვლადიმერ

ივანოვიჩი, თუმცა ბუნებით ეჭვიანი იყო, ამას ვერ ამჩნევდა, რადგან ვერამ გაზვიადებული შთაბეჭდილება შეუქმნა თავის თავზე, როგორც საუკეთესო სპეციალისტ-მეკავშირეზე და შიშობდა კიდეც, ყოველ წუთს შეიძლება ბატალიონიდან წაიყვანონო.

იმაზე, თუ თავად რას აკეთებდა ვლადიმერ ივანოვიჩი, თითქმის არაფერი უამბნია, რადგან ბიბლიოთეკარის თუ არქივარიუსის საქმიანობა ქალებისათვის არც ისე საინტერესოდ ჩათვალა. ვერა არასოდეს შეხვედრია უნივერსიტეტდამთავრებულ სამხედროებს. ეს მისთვის სავსებით უცნობი სამყარო იყო. თუმცა ვლადიმერ ივანოვიჩის მონაყოლით ეს სამყარო საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა. ვერას იგი მხოლოდ ანეკდოტებს უყვებოდა სტუდენტურ ცხოვრებაზე, აღწერდა მეცნიერებათა ახირებულობას, ყველაზე ხშირად აკადემიკოს ორლოვს ახსენებდა ხოლმე.

18

...მთელი დღე ვლადიმერ ივანოვიჩის ხელში იყო. იმ დღეს პუშკინის სახლში აპირებდა წასვლას. უნდოდა ეთხოვა, სამუშაოდ მიმიღეთო. თუმცა უნივერსიტეტელი ამხანაგებიც აქეზებდნენ, ეუბნებოდნენ, უარს არ გეტყვიანო, მაინც ნერვიულობდა, დირექტორთან საუბარი რამდენჯერმე გადადო, უფროსებთან ლაპარაკი — სამხედროები იქნებოდნენ თუ სამოქალაქონი — ეჩოთირებოდა, რაღაცნაირად აბნევდა ხოლმე. გრძნობდა, რომ ამის გამო ნერვიულობა არ ღირდა, წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ლაპარაკი ძალდაუტანებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უფროსობის შემწყნარებელი ზრდილობა ყოველთვის აბნევდა, ენა უვარდებოდა, მეტისმეტი მორიდებისაგან მედიდურობას იწყებდა; ბოლოს და ბოლოს თანამოსაუბრეს უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა და ისიც ცდილობდა საუბარი რაც შეიძლება ადრე დაემთავრებინა.

ვერასთან საუბრებს რომ იხსენებდა, ორლოვის გვარმაც გაუელვა და ამან სხვა გზა უკარნახა — ინსტიტუტის დირექტორთან აუდიენცია გადაედო. აკადემიკოსი მას ყოველთვის მამასავით ეექცეოდა და, მგონი, უყვარდა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ვლადიმერ ივანოვიჩი მასთან თავისუფლად გრძნობ-

და თავს, თანაც ორლოვთან მისვლა აუცილებელი იყო, როგორც ახლა მოისაზრა, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ სწორედ ის განაგებდა პუშკინის სახლში ძველი რუსული ლიტერატურის განყოფილებას, ისევე როგორც კათედრას უნივერსიტეტში, თუმცა ხმა დაირხა, ამ ბოლო ხანებში თავს შეუძლოდ გრძნობსო.

მზე უკვე შუბის წვერზე იყო. ვლადიმერ ივანოვიჩი ადგა და ძეგლს გარს შემოუარა. იმპერატრიცის დიდებულებს თავი ქედმაღლურად აეწიათ და სადღაც შორეთში იცქირებოდნენ. პოტიომკინი ისევე დრუნჩა იყო, როგორც ვერას მეწყვილე ტელეფონისტი ჭაბუკი. ბიბლიოთეკის მთავარი ფასადის ატიკზე მდგარი მინერვა შუადღის სხივებში დნებოდა.

ვლადიმერ ივანოვიჩი ნევის პროსპექტს გაუყვა, საადმირალოსკენ გაეშურა.

სადოვაია რომ გადაკვეთა, გაახსენდა, როგორ ნახა ოდესმე აქ ტროტუარზე დაყრილი ნაწერი ფურცლები. ბიჭებს ჰკითხა, ეს ფურცლები საიდან გაჩნდაო და მათ უპასუხეს — სხვენზე ასეთი ფურცლები რამდენიც გინდა, იმდენი ყრიაო. ასე იპოვა რევოლუციამდელი ბიბლიოფილის პეტუხოვის მიერ შეგროვებული ძველი წიგნები.

ოცდაჩვიდმეტში ვლადიმერ ივანოვიჩმა უსტ-ცილმიდან ცხრამეტი ხელნაწერი ჩამოიტანა, მათგან ერთი XV საუკუნისაც კი იყო. მანვე მიაგნო აბაკუმის „ზნეობის სწავლებისა და განმარტებათა წიგნს“ და „სჯა-ბაასის წიგნს“. მან ჩამოიტანა ორმოცდათერთმეტი ხელნაწერი სემიონოვიდან და სოფელ ვოსკრესენიედან, სვეტლოიარის ტბის პირას რომ მდებარეობს; მანვე მიაგნო აბაკუმის წერილების ავტოგრაფებს და „დანიელ ტყვექმნილის სიტყვასაც“.

ეს იყო მისი ქუდბედიანობა, მისი იღბლიანობა, რისიც ასე შურდათ, რაზეც ამდენს ლაპარაკობდნენ. ეჰ, ნეტა ვერასთვის ეამბნა როგორ მოგზაურობდა, რას ეძებდა, რა ნახა. მაგრამ მაშინ ეშინოდა, ჩემი გაჭიანურებული ახსნა-განმარტებებით ქალს თავი არ მოეაბეზროო, ვის რაში სჭირდება ეს ყველაფერიო. ვერა კი უთუოდ გაუგებდა, მასთან ერთად გაიხარებდა იმ ხელნაწერით, აგ დილით ასე მოწიწებით რომ ჩადო საველე ჩანთაში.

...მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

ვლადიმერ ივანოვიჩი დიდ პლანშეტზე ამაგრებდა მსხვილ-მასშტაბიან რუკას, რათა ზედ აღენიშნა მტრის მანამდე უცნობი საცეცხლე წერტები, რომლებიც გაცხარებული სროლით აუცილებლად შეახსენებდნენ თავს.

ვლადიმერ ივანოვიჩმა იცოდა, რომ 23-ე არმიის დიდი შეტევა მთელ ფრონტზე დღე-დღეზე უნდა დაწყებულიყო. 9 ივნისის ღამეს თვალი არავის მოუხუჭავს. სათადარიგო ასეული პოლკის სამხედრო განაწესით წინა ხაზზე გავიდა: ტბებს, ჭაობებს, რიყის ქვებით მოფენილ დაბლობებს თეთრი ღამეების მკვდრისფერი სინათლე მოსდებოდა. ეს სინათლე აღწევდა სანგრებშიც. მიწურებს შორის სავალ თხრილებშიც, რომლებშიც თავჩაქინდრული, მდუმარედ მიაბიჯებდნენ ახალჩამოსულები. წინ შემოხვედრილი ჯარისკაცებიც ასევე უხმოდ ეკვროდნენ კედლებს და გიმნასტურა თიხით ესვრებოდათ. წინ საბრძოლო დაზვერვა ელოდათ... ასეული შეტევაზე საარტილერიო მომზადების შემდეგ გადავიდოდა და მას დაატყდებოდა თავს მთელი ცეცხლი და ლითონი, მოწინააღმდეგეს ამ დროისათვის რომ ჰქონდა შემონახული და გადამალული.

მიწურში მარტო ის და ვერა იყვნენ. საქმეში გართულმა ვლადიმერ ივანოვიჩმა ვერც იგრძნო როგორ ადგა და მიუახლოვდა ვერა. ქალი დაიხარა, მკერდით ზურგზე მიეხუტა და უკნიდან უხერხულად შემოხვია ხელი. ვლადიმერ ივანოვიჩს ფანქარი ხელიდან გაუვარდა. რბილი მკერდი თხელი გიმნასტურიდან ცეცხლივით წვავდა. რამდენიმე წამს გაუნძრევლად იჯდა, თითქოს ეშინოდა ეს შეგრძნება არ დაეფრთხო. შემდეგ წამოდგა და ვერასკენ მიტრიალდა. ვერამ სათვალე მოხსნა, თმაზე ხელი გადაუსვა და ტუჩებზე დაეკონა...

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. მაგრამ ისე მალე და ნაჩქარევად, ისეთ შიშში, არ შემოგვისწრონო, რომ არც ვლადიმერ ივანოვიჩსა და, მით უმეტეს, არც ვერას სიამოვნება ბოლომდე არ განუცდიათ. ოდნავ გულგატეხილები მოსცილდნენ ერთმანეთს, თავ-თავიანთ კუთხეში დასხდნენ ნახევრად ბნელ მიწურში, ისე, რომ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, თუმც ერთმანეთის სხეულს უმისოდაც გრძნობდნენ და აუჩქარებელ, მშვიდ ალერსზე ოცნებობდნენ...

ინათა თუ არა, ფაციფუცი ატყდა. ვლადიმერ ივანოვიჩი ტელეფონით ლაპარაკობდა, ბრძანებებს ისმენდა და მითითებებს იძლეოდა. ყელთამდე სინაზით იყო სავსე. თითქოს ამ თეთრ ღამეებში უცებ ჩამოწოლილ ტკბილ ბურუსში გაეხვიაო. იგი წინასწარ არჩეულ სამეთვალყურეო პუნქტში წავიდა, სადაც ვერას მეწყვილე ჭაბუკმა ხაზი გაჭიმა. ვერას უბრძანა მთელი დღე მიწურიდან არ გამოსულიყო — ახლა ყველა ბრმა ტყვიისა თუ ჭურვის ნამსხვრევების ეშინოდა. აზარინს, რომელიც წესით მიწურში უნდა დარჩენილიყო, უბრძანა, სამეთვალყურეო პუნქტში წამოდიო. აზარინმა უფროსს საყვედურის მზერა ესროლა და ხვნეშა-ხვნეშით ფეხდაფეხ მიჰყვა.

იმ დღეს საბრძოლო დაზვერვაში წასულებიდან ცოცხალი ცოტა თუ დაბრუნდა. ვლადიმერ ივანოვიჩის ბატალიონმაც განიცადა დანაკლისი. აზარინი მძიმედ დაიჭრა. ამის გამო ვლადიმერ ივანოვიჩი ჭირივით შეიძულა და ყოველთვის შეუკურთხებდა ხოლმე, როცა მის სახელს გაზეთებში წააწყდებოდა. დაზვერვის დროს ბევრ უბანზე მოენეები და ძვირფასი ცნობებიც მოიპოვეს.

შეტევამდე მთელი დღე ვლადიმერ ივანოვიჩმა წინა ხაზზე გაატარა და თავს დატეხილი უბედურება გვიან გაიგო. შემდეგ ამის შესახებ თითქმის არავის უყვებოდა, მაგრამ მუდამ კი ახსოვდა, რადგან ყველაფერს თავის წინდაუხედაობას აბრალებდა. მეორე დღეს კარელიის ყელზე ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ.

20

ვლადიმერ ივანოვიჩი ომის დამთავრებისას უკვე 78-ე საათადარიგო მსროლელი პოლკის ბატალიონის მეთაური იყო. დღეები სამწყობრო პლაცზე, ყაზარმებში, სასროლო მოედნებზე გადიოდა, სადაც ზურგის სერჟანტები ტუჩზე სხენშეუმშრალ ახალწვეულებს სამოქალაქო ჩვევათა დასავიწყებლად მიწაზე ხოხვას, ბრძანებების სირბილით შესრულებას და რაც შეიძლება ცქვიტად მისალმებას ასწავლიდნენ. რამდენიმე ღამის გადარბენა, ჩასათვლელი სროლები, ფიცის მიღება და, სამარშო ასეულის ჩამოყალიბებასაც შეიძლებოდა შესდგომოდნენ.

ომი რომ დამთავრდა და ჯარისკაცების შინ ვაშვების დრო

დადგა, კაპიტანმა მალიშევმა ვააოცა პოლკის მეთაური — სთხოვა, ციმბირში დემობილიზებულთა ეშელონის გასაცილებლად გამგზავნეთო. პოლკის მეთაური ვლადიმერ ივანოვიჩს ისეთ ოფიცრად იცნობდა, სამსახურზე რომ უარს არ ამბობს, მაგრამ არც თავის გამოდება სჩვევია. ეს მივლინება კი, რომელიც კაპიტანმა იდო კისრად, იოლი საქმე არ იყო. პოდპოლკოვნიკი კიდევ უფრო გააოცა იმ ამბავმა, რომ კაპიტანს სამსახურის საქმეების მოგვარების შემდეგ ბარნაულის, ტიუმენისა და ტობოლსკის წიგნთსაცავები შეუმოწმებია და ერთი ყოფა დაუწევია არქივის მუშაკებისათვის, რომლებიც ძველ რუსულ ხელნაწერებს უდიერად ეჭცეოდნენ; თან ჩამოუტანია სქელი რვეული — ლეგენდები აბაკუმზე და ხელნაწერი წიგნების აღწერილობა რუბრიკების მიხედვით: ორიგინალური რუსული მოთხრობები, ისტორიული ნაწარმოებები, აპოკრიფები, ლექსები, რუსული ყოფითი ლიტერატურა, გადმოცემები ხატებზე და სტაროობრიადული ლიტერატურა. ტობოლსკში ეს ჯოჯოხეთური სამუშაო ვლადიმერ ივანოვიჩმა ორ დღეში შეასრულა.

ეს ყველაფერი პოლკის მეთაურს ვლადიმერ ივანოვიჩმა უამბო და აჩვენა კიდეც. პოდპოლკოვნიკი გაოცებული დარჩა თავისი ხელქვეითის პროფესიული გატაცებით და ახალ მივლინებაზე უარი ვერ უთხრა. ამჯერად ვლადიმერ ივანოვიჩი გაემგზავრა ჩერნოვიცში, სოფელ ბელაია კრინიცაში, სადაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში სტაროობრიადული ეპარქია შეიქმნა, და ვილნიუსში. ერთ-ერთ თავის ნაშრომში იგი წერდა: „თვით ჩემი მოგზაურობა ჩრდილოეთ ბუკოვინასა და ბალტიისპირეთში სხვა მიზანს ისახავდა, არქეოგრაფიული მუშაობისათვის პირობებიც არახელსაყრელი იყო, დროც ცოტა მქონდა“.

მოდით, ნუ გვექნება პრეტენზია, რომ სამხედრო საიდუმლოებებს ჩავწვდეთ და ვლადიმერ ივანოვიჩის მივლინების მიზანი გავიგოთ, რომლის შესრულებასაც იგი ხელნაწერი კოლექციის აღწერასაც უთავსებდა. ჯობს მასთან ერთად მივაშუროთ რიგას, სადაც იყო გრებენშჩიკოვის ძველი, მდიდარი სტაროობრიადული მრევლი და, უდავოა, წიგნებიც იქნებოდა...

იგი დიდ შენობაში შევიდა, სადაც სტაროობრიადელებს ვეებერთელა, ზოგიერთ ეკლესიაზე დიდი კაცებისა და ქალების ნაწილებად დაყოფილი, ძველებური ხატებით შემკული სამლოცველო ჰქონდათ. კაპიტნის სამხრეულებიანი კაცის გამოჩე-

ნამ, ცოტა არ იყოს, შეაშინა მასპინძლები. მალე მას კეთილსახიერი მოხუცი მიუახლოვდა, მკაცრი, ბევრისმნახველი თვალები რომ ჰქონდა.

— რისთვის გარჯილხართ, ბატონო ოფიცერო? — ჰკითხა მოხუცმა დათაფლული ღიმილით.

— მე არქეოგრაფი ვარ, ძველი ხელნაწერები მაინტერესებს. თქვენს კოლექციაზე ბევრი მსმენია. არ შეგიძლიათ მაჩვენოთ?

— ჩვენ მხოლოდ ღვთისმსახურების წიგნები გვაქვს. ვფიქრობ თქვენთვის საინტერესო არაფერია.

— იქნებ მაინც მაჩვენოთ, — მტკიცედ უთხრა ვლადიმერ ივანოვიჩმა. — გთხოვთ! მე წიგნები ბელაია კრინიცაშიც მაჩვენეს, ვიგშიც ვარ ნამყოფი...

— ჩვენ ყოველთვის მოხარული ვართ რუსეთიდან ჩამოსული სტუმრის ხილვისა. მობრძანდით!

ვლადიმერ ივანოვიჩი ბიბლიოთეკაში შეიყვანეს. მოხუცმა ერთი შუახნის სახეშეშუპებული კაცი გააჩერა, რომელიც მათ ფეხდაფეხ შეჰყვა.

— აგერ ტიმოფეი სტეპანოვიჩი მოგეხმარებათ.

მოხუცი წავიდა. ტიმოფეი სტეპანოვიჩმა კაპიტანს აშკარად უხალისოდ გაუღო წიგნის კარადების კარები და თვითონ იქვე, სკამზე ჩამოჯდა. ვლადიმერ ივანოვიჩი წიგნების დათვალიერებას შეუდგა. იგი გაწაფული თვალით ათვალიერებდა თაროებს, ხელნაწერ წიგნებს არჩევდა და მაგიდაზე აწყობდა. სულ ოთხმოცი ცალი გადაარჩია. ბევრია. მერედა რა წიგნებია — მატიანის მოამბეთა კრებულები... მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისი უნდა იყოს. ეს რაღაა? მაქსიმე ბერძენის სიტყვები და საუბრები. მეთექვსმეტე საუკუნის შუა პერიოდი, ივანე მრისხანეს თანატოლი.

ვლადიმერ ივანოვიჩმა საველე ჩანთიდან სქელი საერთო რვეული ამოიღო და აღწერას შეუდგა.

ტიმოფეი სპეტანოვიჩი თვლემდა, მაგრამ, როცა კაპიტანი დგებოდა, რომ აღწერილი წიგნი ადგილზე დაედო, მაშინვე თვალებს გაახელდა ხოლმე.

საათნახევარს რომ იმუშავა, ჯერი ხის ყდაში ჩასმულ ტყავგადაკრულ დიდ წიგნზე მიდგა. ვლადიმერ ივანოვიჩმა ისე, სხვათაშორის გადაავლო თვალი ყდას, რომელზეც XVIII სა-

უკუნის ხელწერა იცნო. „წმინდა მამების კრებული“. გადაშალა და გაოცებული დარჩა. ფურცლები ხახევარმთავრულით იყო ნაწერი. ფურცელს სინათლეზე გახედა. ჭვირნიშანი — პაპის ტიარა. არაუადრეს მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. კრებულს წინ დასათაურება უძღოდა: წიგნი წმინდა ანტიოქისა, კასიანესი... თითქმის სულ ქვემოთ მისი მზერა ერთ სტრიქონზე შეჩერდა:

„ცხოვრება ნეტარისა დიდი მთავრისა ალექსანდრე ნეველისა“.

„ცხოვრება“ წიგნის ბოლო ოც გვერდზე იყო დაწერილი, მაგრამ ზუსტად იმ ადგილზე ქაღალდი დამპალიყო და სტრიქონების გარჩევა ჭირდა. ოთხას სამოცდამეთერთმეტე გვერდზე მან იპოვა დასაწყისი, რომელიც სინგურით ნაწერი ასო „ო“-თი იყო გამოყოფილი. ელადიმერ ივანოვიჩი გაოცებისაგან გაქვავდა.

„ო, შუქურ-ვარსკვლავო და მშვენიერებით შემკულო მიწავ რუსულო“...

თვალებს არ დაუჯერა და გადაბმულად ნაწერი ტექსტი ხელახლა წაიკითხა:

ო, შუქურ-ვარსკვლავო, მშვენიერო მიწავ რუსულო!
ბევრი მშვენიერებით აოცებ ადამიანს:
აუარება ტბებით, მდინარეებით და წყაროებით —
ასე რომ არს დაფასებული აქაურთაგან;
მთა-გრეხილებითა და მაღალი ბორცვებით,
ხშირი მუხნარითა და საუცხოო ველ-მინდვრებით,
ნაირგვარი ნადირითა და უთვალავი ფრინველით,
დიდი ქალაქებითა და ზღაპრული სოფლებით,
აყვავებული მონასტრებითა და ვეებერთელა ეკლესიებით,
ზვიადი მთავრებით, პატიოსანი ბოიარებით, მრავალი დიდგვაროვანით, —
ყველაფრით აღსავსე ხარ, მიწავ რუსულო![1]

ვლადიმერ ივანოვიჩმა მაგიდაზე თითების რიტმული კაკუნი შეწყვიტა... ნამდვილად ის არის...: „თქმულება რუსული მიწის აღსასრულზე“. ასე ეწოდებოდა მას ლოპარევის მიერ ფსკოვ-პეჩორის მონასტერში ნაპოვნ ერთადერთ პირში, რომელიც 1892 წელს გამოქვეყნდა.

ერთადერთი პირი!

მასზე კამათი დღესაც გრძელდება. ზოგი მას თათართა შე-

[1] უკეთ აღსაქმელად ტექსტი ოდნავ გათანამედროვებულია (დ. ე.).

მოსევისადმი მიძღვნილი დიდი ისტორიული მოთხრობის ნაწილად თვლიდა, ზოგს — დამოუკიდებელი ნაწარმოები ეგონა და ავტორად „დანიელ ტყვექმნილის ლოცვათა“ დამწერს მიიჩნევდა, ზოგი ამტკიცებდა, ალექსანდრე ნეველის ცხოვრების შესავალიაო... ახლა შეიძლება შემოწმდეს. ფსკოვის ხელნაწერი, ყველა ქრესტომათიაში რომ არის შეტანილი, ერთადერთი არ ყოფილა.

ვლადიმერ ივანოვიჩს სახე წამოენთო, ბედნიერებისაგან სკამზე ცმუტავდა, მაგრამ დიდებაზე როდი ფიქრობდა. ეს მებადურის მღელვარებას უფრო ჰგავდა, რომელმაც იგრძნო, რომ ანკეს დიდი თევზი წამოეგო, ან. ბანქოს მოთამაშის დაძაბულობას, რომელმაც უცებ გადაწყვიტა ბანკი მოხსნას. მაგრამ ეს შედარებები მკრეხელური ჩანს და ბოლომდე ვერ გადმოსცემს ვლადიმერ ივანოვიჩის სიხარულს, მის მღელვარებას.

მან თავიდან ბოლომდე წაიკითხა ორმოცდახუთი სტრიქონი ტექსტისა, რომელიც მოგვითხრობდა რუსული მიწის წარსულ დიდებასა და ძლიერებაზე, იმაზე, თუ როგორ აშენებდნენ ყივჩაღები ბავშვებს ვლადიმერ მონომახის სახელის ხსენებით, როგორ უხაროდათ გერმანელებს, რომ შორს, ლურჯი ზღვის იქით იყვნენ გამაგრებულნი, იმაზეც, თუ როგორ დადგა ავბედობის ჟამი...

„თქმულება აღსასრულზე“. „თქმულება იგორის ლაშქრობაზე“. რა ახლოს არიან ისინი თავიანთი სტილისტიკით.

„რუსული მიწის აღსასრულის თქმულების“ შემდეგ იმავე სტრიქონიდან იწყებოდა ალექსანდრე ნეველის ცხოვრება, რომლის მრავალი პირი არსებობს. მაგრამ ახლა ვლადიმერ ივანოვიჩს სურვილი კლავდა წაეკითხა ეს ნაწარმოები, დაწერილი ვლადიმირის შობის მონასტრის კედლებში, დაახლოებით ექვსასი წლის წინ, ერთი ბერის, მთავრის ყოფილი მეომრის მიერ, იმ მთავრისა, რომელზეც მას „თავის მამათაგან სმენია და თავადაც მისი ოჯახის წევრი და ცხოვრების მოწმე ყოფილა“. ვლადიმერ ივანოვიჩმა წარმოიდგინა შავ ანაფორასა და შავ ბარტყულაში გამოწყობილი, ხელჩართულ ბრძოლებში სახედაჩეხილი ბერი, ჭაბუკი ალექსანდრეთი აღფრთოვანებული თავის გრძნობებს გულუბრყვილოდ რომ გამოთქვამდა ლიეონის ჯვაროსან რაინდთა ორდენის მაგისტრის ანდრეას ფონ ფელვენის სიტყვებით: „ბევრი ქვეყანა მომივლია და ბევრი ხალხი

მინახავს, მაგრამ არც მეფეთა შორის ასეთი მეფე, არც მთავართა შორის ასეთი მთავარი არ შემხვედრია".

ამ მაგისტრმა თავის რაინდებს უბრძანა, მთავარი ალექსანდრე შეიპყარით და ცოცხალი მომგვარეთო. მაგრამ ბედმა სხვაგვარად ინება.

ჩუდის ტბაზე მაგისტრი თვითონ ჩაუვარდა რუსებს ხელში.

ვლადიმერ ივანოვიჩს თავისი თვალით ჰქონდა ნანახი აღმოსავლეთ პრუსიაში ერთმანეთისგან არცთუ დიდი მანძილით დაშორებული, სულისკვეთებით ესოდენ მსგავსი რკინა-ბეტონის „მგლის ბუნაგის" — ჰიტლერის შტაბისა და ტევტონ-ჯვაროსანთა აგურით ნაშენი სატახტო ქალაქის მალბორგის ვეებერთელა, პირქუში ნანგრევები, იმ ტევტონ-ჯვაროსანთა სატახტო ქალაქისა, რომელთაც ისევე როგორც ტამპლიერებს[1], ისევე როგორც მასონებს, ყველანაირ სიავესა და მკრეხელობაში ცდიდნენ, რათა შემდეგ სლავებზე მიესიათ. ბერის სიტყვით, გერმანელებმა დაიკვეხეს — სლავებს ენა ისე უნდა დავუმოკლოთ, ჩვენზე გრძელი არ ჰქონდეთო.

ვლადიმერ ივანოვიჩს მკერდში ტკივილმა გაჰკრა — იქ ჯერ კიდევ ჰქონდა ჩარჩენილი გერმანელების ჟურვის ნამსხვრევი, ოპერაციის დროს რომ ვერ ამოეღეს. ცოტა დამშვიდდა და ისევ განაგრძო კითხვა თუ როგორ შეაგროვა „ჩრდილოეთის ქვეყნის" მეფემ დიდი ლაშქარი, გემებზე დასხა, ნევაში შეცურა და ოცი წლის, ახალჯვარდაწერილი მთავარი ბრძოლაში გამოიწვია: თუ შეგიძლია, დამიდექ — მე უკვე აქ ვარ და შენს მიწას ვიპყრობო.

რეკენ წმინდა სოფიას ტაძრის ზარები. საბრძოლველად ანთებული მთავარი ალექსანდრე ეკლესიიდან გამოდის და თავის რაზმელებს ამ სიტყვებით ამხნევებს:

— სიმართლეშია ღმერთი და არა ძალაში.

მთავარმა ნოვგოროდის დიდი ლაშქრის შეგროვებას არ დაუცადა და თავისი რაზმით ნევას მიაშურა. იორის მიწის უხუცესმა და ზღვის მზვერავმა პელგუიმ მოახსენა, შვედებმა თავიანთი ლაშქრის ნაწილი ხმელეთზე გადმოსხესო... შვედებმა უკვე დასცეს ბანაკი, თავიანთი წინამძღოლის, მეფის სიძის

---

[1] ტამპლიერი — წევრი კათოლიკურ-სასულიერო რაინდთა ორდერისა, რომელიც შეიქმნა იერუსალიმში 1118—1119 წლებში.

თავად ბირგერისათვის ოქროსგუმბათიანი კარავი გაშალეს.

ეპისკოპოსებმა დალოცეს ახლა უკვე ნაპირთან მოტივტივე ასი გემით ჩამოსული ხუთი ათასიანი ლაშქარი. ის კი არ იციან, რომ მთავარი ალექსანდრე უკვე იჟორს უახლოვდება, მათ უთვალთვალებს და ფიქრობს, როგორ სძლიოს რიცხვმრავალი მტერი თავისი პატარა რაზმით.

„და იყო დიდი ბრძოლა"...

რაზმი ორი მხრიდან ეკვეთა მტერს. მაღალი ნაპირიდან ქვეითი მეომრები დაეშვნენ ნოვგოროდელი მიშას მეთაურობით, ნაპირს შეესივნენ და შვედების გემის ბოგირები აჩეხეს, რათა მტრისათვის უკან დასახევი გზა მოეჭრათ. ტყიდან კი იჟორის ნაპირით შუბშემართული მხედრები გამოენთნენ. ზედ ორი მდინარის შესართავთან მათ კუთხეში მიიმწყვდიეს რაინდთა რჩეული არმია.

აგერ, მთავარმა ალექსანდრემ თავად ბირგერს „თავისი ბასრი შუბით დაღი დაასვა". შვედებმა წინამძღოლს ხელი დააკვლეს და თავიანთი გემებისკენ დაიხიეს. გავრილო ალექსიჩი, მტერს კუდით ქვა რომ ასროლინა, იმ ხომალდისაკენ იკაფავდა გზას, რომელზეც მეფის სიძე აათრიეს, ბოგირით ავიდა კიდეც ზედ, მაგრამ შვედებმა ცხენიანად ნევაში გადააგდეს. იგი უვნებლად გამოვიდა ნაპირზე, ისევ ბრძოლაში გადაეშვა და წარჩინებული რაინდი აკუწა.

შვედები გაიქცნენ. ბაზიერმა, მთავრის ახალგაზრდა ცოლის მსახურმა პოლონელმა იაკობმა ალექსანდრემდე გააღწია, მტრის სილრმეში შესული მომხვდურთ რომ ჩეხავდა. უკვე დაეცა თავად რატმირის ერთგული მსახური და მთავარს ზურგს აღარავინ უფარავდა. თითქოს მტერმა ეს იგრძნო და ალექსანდრეს ზურგიდან წამოეპარნენ, მაგრამ აქ იმარჯვეს იაკობმა და გოლიათმა სბისლავ იაკუნოვიჩმა, ცარიელა ნაჯახით რომ იბრძოდა და არ იცოდა, შიში რა იყო. მთავარმა მეომრები შეაქო.

უმცროსი რაზმელი საბა ბირგერის ოქროსგუმბათიან კარავში შეიჭრა და ბოძი გადაჭრა. კარავი წაიქცა, ფრთაშესხმული ალექსანდრეს მეომრები ახალი ძალით ეკვეთნენ შვედებს. სამ შვედურ გემზე რუსული ალმები აღმართეს, დანარჩენებიდან შვედებმა ბოგირები გადმოაგდეს და თავიანთ ჩრდილოეთისკენ მოუსვეს. მათ უკან მიჰყვა ის სამი გემიც, რუსებმა ხელთ რომ ჩაიგდეს. ნოვგოროდელებმა ისინი წარჩინებულ

რაინდთა გვამებით გაავსეს და ნევის დინებას გაატანეს. რუსების რაზმმა კი მხოლოდ ოცი კაცი დაკარგა.

„ეს ყველაფერი გავიგე ჩემი ბატონის ოლექსანდრესგან და ყველა იმათგან, ვინც იმ დროს იყო ამ ბრძოლაში", — მიაწერა ბერმა და ყოფილმა მეომარმა.

ეს იყო 1240 წლის 15 ივლისს.

ვლადიმერ ივანოვიჩმა თვალი მოაშორა გაყვითლებულ ფურცლებს, ზედ ძლივს რომ აჩნდა ფერგადასული ასოები. ოცეულ იგი უცნაურმა დამთხვევამ გააოცა. ჰო, ის ბრძოლაც სწორედ ნევაზე მოხდა, იჟორის შესართავის მახლობლად. 1943 წლის 12 იანვარს. თვალები დახუჭა და უკუნი, სუსხიანი ღამე იაიხსენა. თითქოს ცხადად დაინახა. როგორ იშრებოდა ცაში მაშხალები და დაცემისას ნევის ყინულს ანათებდა.

შეტევის წინა ღამე, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის წინა ღამე.

და დილა.

ხორგების აშვერილი ფარფლები. რძესავით თეთრი სივრცე, რომელშიც ძლივს მოჩანს მეორე ნაპირი, თუმცა იქამდე სულ რაღაც რვაასი მეტრი თუ იქნება...

ყომრალი ცა მძიმედ დასწოლოდა თოვლით დათარეულ მიწას. რომლის არსებობას მხოლოდ ჰიტლერელთა მიწურებიდან ამოსული კვამლით თუ იგრძნობდი. სუსხიან ქარში თვალები ეცრემლებოდა და მაშინ მოეჩვენა, რომ ხედავდა როგორ ელავდა მეორე ნაპირზე ციცაბო ფერდობი, მდინარეზი ათი მეტრით მაღლა რომ აღმართულიყო. ჰიტლერელებმა ამ ნაპირზე წყალი მოასხეს. სწორედ ამ ვერტიკალური საციგურაოს გადასალახავად მისცეს ვლადიმერ ივანოვიჩს წყვილი სპეციალური ყელიანი ფეხსაცმელი. ლანჩებზე წვეტიანი კბილანები რომ ერტყა.

მას შეეძლო მხოლოდ გამოეცნო ყოველ კილომეტრზე რამდენ დივიზიას და იარაღს მოუყარეს თავი ჩვენებმა, რათა მოემტვრიათ გერმანელთა თხუთმეტკილომეტრიანი „ბოთლის ყელი", ლადოგის ტბას რომ მიბჯენოდა და ლენინგრადი „დიდი მიწიდან" მოეწყვიტა.

მიწა ზანზარებდა. გაღმა ნაპირი კვამლში გაეხვია. იქ ჟურვები სკდებოდა და მავთულხლართებს გლეჯდა, ხანგრძლივ საცეცხლე წერტილებს ანადგურებდა, სანგრები გვამებით ივსებოდა. ვლადიმერ ივანოვიჩსა და მის ტანსაწინააღმდეგო თო-

ფებით შეიარაღებულ ასეულს ჯერჯერობით საქმე არაფერი ჰქონდათ. ბოლოს რომ გამოეწერა ჰოსპიტლიდან, რატომღაც საზღვაო ბრიგადაში გაგზავნეს და ეს ასეული ჩაბარეს, რომელშიც მეზღვაურებიდან უკვე აღარავინ დარჩენილიყო, მაგრამ საზღვაო ჟარგონი მაინც ცოცხლობდა. ჯერ კიდევ ფინეთის ფრონტზე გამობრძმედილი ვლადიმერ ივანოვიჩი თავის „სალაგებს“, ახალბედა ჯარისკაცებს ეხუმრებოდა:

— ცოტანი ვართ, მაგრამ „ტელნიაშკები“ გვაცვია!

„კატუშების“ ზალპების შემდეგ საარტილერიო მომზადება დამთავრდა. ჰაერში მაშხალები აიჭრა. ქვეითი ჯარი ყინულზე გამოეფინა. ვლადიმერ ივანოვიჩმა ხელი დაიქნია და მეომრები უკან მიჰყვნენ, თან წყვილ-წყვილად ტანკსაწინააღმდეგო თოფები მოჰქონდათ. პირველმა ტალღამ, რომელიც საცეცხლე სანგარს თითქმის ზედ მიკრული მირბოდა, ყინული მარჯვედ გაიარა. ახლა მეორე ნაპირზე გადარჩენილი საცეცხლე წერტები „გამოცოცხლდნენ“. „ჩრდილოეთის პატნეზმა“ ცეცხლი და ლითონი ამოანთხია, ხალხი მოცელა, ყინული დაამსხვრია.

ვლადიმერ ივანოვიჩმა უკან მიიხედა. მისი ასეულის ნახევარი ვეებერთელა ყინულლრუში ფართხალებდა, ვიღაც ყვიროდა — „პოლუნდრა!“ მაგრამ მას მხოლოდ ერთი რამ ახსოვდა— წინ, მეორე ნაპირისაკენ! სწორედ ეს ამოცანა დაუსახეს, სწორედ აქ იყო საჭირო მისი „არტილერია“. ახლა დაცვის სილრმიდან მტრის კონტრშეტევა დაიწყება... ის მირბოდა, ყინულის ხორგებს ლაწალუწით ამტვრევდა, ფეხები სულ გადაეღლიტა, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობდა.

ჭურვებისაგან ამოთხრილი ორმოებით დაიარავებულ ციცაბო ფერდობზე ადვილად ავიდნენ და სანგრებში შეიჭრნენ, რომლებიც უკვე ჩვენს ქვეით ჯარს დაეკავებინა. მარჯვნიდან, დიდი რუხი შენობიდან, სანგრებს ტყვიამფრქვევისა და ქვემეხების ცეცხლი დაუშინეს.

— მალიშევ! — მოესმა ვლადიმერ ივანოვიჩს ბატალიონის მეთაურის ხმა.

მეთაურმა შენობაზე ანიშნა. ვლადიმერ ივანოვიჩმა მაშინვე თვალი მოჰკრა ორ დაბალ ჯავშნიან ავტომობილს, ჰიტლერელთა მეავტომატეების კონტრშეტევას რომ ფარავდნენ. მეთაურის ხმა იქვე ახლოს აფეთქებული ჭურვების გრუხუნმა შთანთქა, მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩი უკვე მიხვდა ბრძანებას,

ორი გამომთვლელი იხმო და მათთან ერთად სანგრის მარჯვენა მხარეს გაიქცა, იქიდან კი კავშირის თხრილით წავიდა წინ, იმ ადგილისაკენ, სადაც მისი ვარაუდით ჯავშნოსან ავტომობილებს ახლო უნდა გაეცლოთ. კავშირის თხრილი ღრმა იყო და იძულებული გახდნენ თოვლზე ამოსულიყვნენ. ერთი გამომთვლელი, რომელიც სასროლად მოემზადა, ნაღმმა მოკლა. ვლადიმერ ივანოვიჩი თოფთან მიხოხდა, კონდახზე დამხობილი მოკლული გვერდზე გადაატრიალა, თოფს თვითონ მიუწვა და ჯავშნოსნის მწვანე-ფონაცრისფრო ფერდი მიზანში ამოიღო. სასხლეტს თითი რომ გამოჰკრა, ვლადიმერ ივანოვიჩმა ცეცხლი დაინახა, მწვავე ტკივილი იგრძნო და ამის გაფიქრებაღა მოასწრო, რა ძლიერი უკუდაკვრა სცოდნია ამ ტანკსაწინააღმდეგო თოფსო...

გონს რომ მოვიდა, ნაცრისფერ შენობასთან უკვე ჩვენი ტანკები იბრძოდნენ. მთელი მარცხენა მხარი ჭურვის წვრილწვრილ ნამსხვრევებს დაეფლითა და სისხლში ჰქონდა მოსვრილი. მოკლე ტყაპუჭის ბეწვი ჭრილობას მისწებებოდა და უფრო სტკენდა. ბრძოლის ადგილიდან ნელა-ნელა გაფოფხდა, ყინულამდე ჩასვლა მოახერხა და კიდევ რამდენიმე ასეული მეტრი ხოხვა-ხოხვით გაიარა. წამდაუწუმ მოკლულთა გვამებზე გადაბობღება უხდებოდა და ტანსაცმელი სხვისი თუ თავისი სისხლით ერთიანად გაეჟღინთა...

გონს ჰოსპიტალში მოვიდა. ექიმმა უთხრა, რომ ერთი-ორი ნამსხვრევი ზედ საძილე არტერიასთან გქონიათ ჩამჯდარიო. ექვსი თვის შემდეგ დადგა ფეხზე. ჰოსპიტლიდან გამოწერისას 1943 წლის 25 მარტის ბრძანება ნახა — იგი „მოწინააღმდეგის ჯავშნოსანი ავტომობილის განადგურებისათვის“ დაეჯილდოებინათ.

იმის შემდეგ, რაც მან თავისი თვალით ნახა, ოცი დაღუპული ნოვგოროდელი შეიძლებოდა სასაცილოდაც მოსჩვენებოდა. მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩს, ძველ ჯარისკაცს, არც გაღიმებია. ალექსანდრე ნეველი დიდი ადამიანი და მხედართმთავარი იყო. მას თავისი რაზმის ნახევარიც არ დაუკარგავს. მომხვდურთა განდევნა დიდ სისხლად არ დასჯდომია. მტერთან ბრძოლაში უძლეველმა, თათრებთან დიდი პოლიტიკური ნიჭი გამოიჩინა. აქაც ზრუნავდა, რომ ცოცხალი ძალა გადაერჩინა, რუსი ხალხი გაეერთიანებინა და ამას თავისი შვილიშვილების ხელით მიაღწია. მიტროპოლიტმა კირილემ მის კუბოსთან თქვა:

„შვილო ჩემო, ჩაესვენა სუზდალის მზე!“ და ხალხი მიტროპოლიტს აპყვა: „ვიღუპებით!“ მაგრამ არ დავღუპულვართ და არც დავიღუპებით!

„თქმულება აღსასრულზე“ როგორც ჩანს, მთავრის ცხოვრების შესავალი უნდა იყოს და, ისევე როგორც ლოპარევის ვარიანტი, იმავე ფსკოვ-პეჩორის მონასტერშია გადაწერილი. ტექსტს ფსკოვური ცოურობის[1] გავლენა ეტყობა.

«Псковицане чисто англичане, только нарецие другое»,[2] — გაიხსენა ვლადიმერ ივანოვიჩმა როგორ აჯავრებდნენ ფსკოველებს.

„თქმულების“ პირველ ნუსხაში რევოლუციამდე გამოცემული ძველი რუსული ლიტერატურის სახელმძღვანელოს დახმარებით გაერკვა, რომელსაც ერთ-ერთ თაროზე მიაგნო. ყდის მეორე მხარეზე მიკრული ჰქონდა ექსლიბრისი — ღრუბლებიდან გამოშვერილი ხელი წიგნს აწვდის გამხდარ კაცს, ხატზე გამოსახულ და ძველრუსულ გრძელ სამოსში გამოწყობილ აბაკუმს რომ ჰგავს. „იოან ნიკიფოროვ ზავოლოკოს წიგნებიდან“ — წაიკითხა ვლადიმერ ივანოვიჩმა და უნებლიეთ გაიფიქრა, კიდევ რამდენი მუშაობა მოელოდა თქმულების „ტექსტის“ აღწერაზე. ძველი და ახალი ნუსხის შედარება სახელდახელოდ არ შეიძლებოდა, მაგრამ ვარიანტული სხვაობანი უკვე ჩანდა.

არა უშავს, ერთმანეთს შეავსებენ. გადამწერთა შეცდომების აღმოსაჩენად სხვა ნაწარმოებებიც უნდა მოიშველიოს. ვლადიმერ ივანოვიჩმა კლასიკური მაგალითი გაიხსენა. „ზადონშჩინას“ ავტორი სოფონი „იგორის ლაშქრობის“ იმ ადგილს ჰბაძავდა, სადაც ნათქვამი იყო: „ჰოი, შენ, რუსთა მიწავ, მთების გადაღმა ხარ დარჩენილი“, — უფრო ზუსტად საზღვრებს იქითო. „ზადონშინას“ გადამწერმა კი XV საუკუნეში მსგავსი ფრაზა გადაასწორა და გამოუვიდა, რომ რუსული მიწა ბორცეს იქით კი არ იყო, არამედ ცხრა მთას იქით...

სქელი კრებულის ეს ბოლო ოცი გვერდი წიგნს უკვე მოცილებული იყო და ცალკე რვეული გეგონებოდა; ძაფები დი-

---

[1] ციურობა — ჩ-ს მაგივრად ც-ს წარმოთქმა.

[2] ფსკოველები ცუფთა ინგლიცელები ჩრიან, სხვა ენაზე მოუბარნი.

დი ხნის დამპალი ჩანდა. სწორედ ამან მიიყვანა ვლადიმერ ივანოვიჩი ახალ, უფრო პრაქტიკულ გადაწყვეტილებამდე.

რა მოუხერხოს „თქმულებას?“ ხელნაწერი უნდა გამოქვეყნდეს, ამიტომ მასზე მუშაობა აუცილებელია. მაგრამ მისცემენ კრებულს? საეჭვოა. იქნებ დატოვოს და მერე ოფიციალური გზით გაიტანოს? მაგრამ უცებ რამე რომ მოხდეს? ერთიც ვნახოთ და გადასელა-გადმოსვლის ან კონფისკაციის დროს კრებული გაქრეს, ან უდიერი მოპყრობისა თუ უცოდინარობის გამო დალპეს! ომის შემდეგ ცხოვრება ჯერ არ ჩამდგარიყო კალაპოტში. ვლადიმერ ივანოვიჩმა კარგად იცოდა, როგორ იკარგებოდა ხელნაწერები.

მაგრამ ეს ხომ ქურდობას ჰგავს!

თუმცა რა ქურდობაა, თუკი თავისთვის კი არა, მეცნიერებისთვის, რუსეთისთვის უნდა?! აგერ უკვე ათასამდე ხელნაწერი წიგნი იპოვა, მაგრამ არც ერთი თავისთვის არ დაუტოვებია, ყველა წიგნთსაცავს გადასცა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ირგვლივ მიმოიხედა. მისი მცველი ისევ სკამზე თვლემდა. მის შეშუპებულ სახეს დააცქერდა და წამსვე შეაფასა ვითარება.

— ტიმოფეი სტეპანოვიჩ, — უთხრა მან მცველს, — იქნებ ლუდი მოგეტანათ, თავი საშინლად მტკივა. გუშინ ფრონტელ მეგობარს შევხვდი და ცოტა ბევრი მოგვივიდა...

ამ სიტყვებზე ვლადიმერ ივანოვიჩმა თითით ყელზე ანიშნა.

ზუსტად მიზანში მოარტყა. ტიმოფეი სტეპანოვიჩი მყისვე გამოცოცხლდა.

— მეც ისა... ცოტათი ნაბახუსები გახლავართ...: ვზივარ და ვიტანჯები. ახლავე მოვარბენინებ... თქვენ კი ისა... დამიცადეთ.

— ფული აიღე.

— ფული მაქვს. — დაუყვირა პასუხად სირბილით მიმავალმა ტიმოფეი სტეპანოვიჩმა და კარებში გაუჩინარდა.

იგი მაშინვე დაბრუნდა. ვლადიმერ ივანოვიჩმა ძლივს მოასწრო „თქმულება“ საველე ჩანთაში ჩაედო. ლუდს სვამდნენ და ძველი ნაცნობებივით მასლაათობდნენ.

— ზავოლოკო ვინ არის? — ჰკითხა კაპიტანმა.

— ივან ნიკიფოროვიჩი? ჩვენი სტაროობრიადელია, სწავ-

ლული კაცია, ომამდე სულ ბიბლიოთეკაში იჯდა. ახლა სადღაც ციმბირში ცხოვრობს.

მან ცერად გახედა კაპიტნის სამხრეულებს.

21

ერთ-ერთ წინა თავში ჩვენს გმირს მაშინ დავცილდით, როცა ის ნევის პროსპექტით საადმირალოსკენ მიდიოდა. დავცილდით დროებით, რათა წარსულში გადაგვეცა და გაგვეგო რა ჰქონდა ასე სათუთად თავის საველე ჩანთაში, ისაკის ტაძართან მარცხნივ რატომ გადაუხვია, ლეიტენანტ შმიდტის ხიდზე გავიდა და გეზი „აკადემიკოსების სახლისაკენ“ აიღო.

ომის მანძილზე ალექსანდრე ორლოვი ძალიან მოტყდა. აკადემიკოსი უკვე სამოცდათხუთმეტი წლისა იყო. გახდა, მხრებში მოიხარა, წვერი კი არ გაუთეთრდა, გაუყვითლდა, ოდესღაც წითელი, დაჩვრეტილი ცხვირი, კარტოფილს რომ მიუგავდა, ახლა სულ გაულურჯდა.

ვლადიმერ ივანოვიჩს მასთან არ უშვებდნენ, მაგრამ, როგორც კი სტუმრის ხმა გაიგო, ორლოვი აღელდა, წამოდგომა დააპირა...

— შემოუშვით... შემოდი, ვალოდია.

იგი ვლადიმერ ივანოვიჩს გადაეხვია და რუსული წესისაებრ სამჯერ გადაკოცნა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა წიგნის თაროები შეათვალიერა. პატარა სახარატო დაზგა მარცხენა კუთხეში იდგა. ეტყობოდა დიდი ხანი იყო ხელი არ ეხლოთ. საწერ მაგიდაზე, ნევაზე გამავალ ორ ფანჯარას შუა რომ იდგა, რაღაც საეჭვო წესრიგი შეამჩნია — წიგნები, ქაღალდები დასტა-დასტად, აკურატულად ეწყო. აქ ვინმეს უმუშავიაო, ვერ იტყოდით. აკადემიკოსს ფეხებზე პლედი შემოეხვია. ოდესღაც ზორბა ტანზე შეკერილი ხალათი ახლა თითქოს ეკიდა გალეულ სხეულზე.

— ხედავ, ვალოდია, რას დავემსგავსე? სენი მომერია. სახლიდან ვერ გავდივარ, განყოფილების კრებას აქ ვატარებთ. უსიხარულოდ გადიან დღენი. სიკვდილის მოახლოებას ვგრძნობ. რაღაც მოურჩენელი მჭირს. მიმალავენ... სირჩა რა არის, სირჩა არაყიც კი ამიკრძალეს. მართლა, ერთი, მომიძებნე, სი იქ...

აკადემიკოსმა ხმას დაუწია და თითით წიგნის თაროზე აჩვენა, თან კარისკენ გაიხედა, რომლის იქითაც მისი ფხიზელი თანამეცხედრე დარჩა.

ვლადიმერ ივანოვიჩი თაროსთან მივიდა, აიღო წიგნი, რომელზეც აკადემიკოსმა მიუთითა და მის უკან ნაკლული ბოთლი აღმოაჩინა.

— აი, ეს გახლავთ ჩემი სამალავი. — საზეიმო ჩურჩულით თქვა ორლოვმა. — ჭიქები მაგიდაზეა. შიგ რაღაც საზიზღრობა ასხია, ვითომ სასწაულმოქმედიაო... დღეში ათჯერ მაყლაპებენ, ძალით... სარკმლიდან გადაღვარე. მოდი მე და შენ ძველებურად დაეღლიოთ. საწყენია, რომ დასაყოლებელი არაფერი გვაქვს, გახსოვს, ლექციაზე რომ გამოგიჭირე... მაშინაც არ გვქონდა...: აბა დაასხი... ჩვენი შეხვედრისა იყოს... იფ!

ყლუპი რომ მოსვა, ორლოვმა წამოახველა.

— რაღაც არ გადადის... მაგრამ დიდი შეღავათია, დიდი... ბოთლი ისევ ადგილზე დადე. ახლა მომიყევი, როგორ იომე.

ვლადიმერ ივანოვიჩმა მოკლედ უთხრა:

— სამჯერ დამჭრეს, ქვეყანა მოვიარე, ხელნაწერებს ვეძებდი...

— ომში? რა იპოვე?

— „თქმულება აღსასრულზე". მეთექვსმეტე საუკუნის პირი.

— ცრუობ.

— თავად ნახეთ, ალექსანდრ სერგეევიჩ.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ჩანთიდან საქაღალდე ამოაძრო და აკადემიკოსს გაუწოდა. ორლოვმა აკანკალებული, გრძელი თითებით, ბებრული მოწითალო ლაქები რომ აჩნდა, ზონარს მოუთმენლად დაუწყო ქაჩვა. ვლადიმერ ივანოვიჩი მიეშველა. ორლოვმა მაგიდიდან ლუპა აიღო და ხელნაწერისკენ დაიხარა.

— ის არის... „თქმულება!" მომილოცავს! სად მიაგენი?

— რიგაში. სტაროობრიადელ-გრებენშჩიკოველებთან, ალექსანდრ სერგეევიჩ.

ორლოვმა ხელები მოიფშვნიტა.

— არა, ეს შეუძლებელია! „თქმულება აღსასრულზე". ვალოდია, იცი კი, რას მიაგენი?!

აკადემიკოსი ფრთხილად ადებდა ხელისგულს ფურცლებს, თითქოს სურდა მათ არსებობაში საბოლოოდ დარწმუნებულიყო.

— ახლა ახალგაზრდა რომ ვიყო, ან ჯანი მომდევდეს, მე და შენ ისეთ ლხინს გავმართავდით... „იგორის ლაშქრობის" მუსინ-პუშკინისეული ტექსტიც ფსკოვის მხარეშია გადაწერილი, „ჩ"-ს მაგივრად იქაც „ც"-ს ხმარობენ. ნაყალბევიაო!—გამოაჯავრა ვიღაცას ორლოვმა, თითქოს დიდი ხნის წინანდელ კამათს აგრძელებსო, — მე თქვენ გაჩვენებთ ნაყალბევს. პატივცემულო ვლადიმერ ივანოვიჩ, თქვენ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეთ რუსულ ლიტერატურას. მომიახლოვდი, ერთი გაკოცო. კარგად გიომია, რაც მართალია, მართალია.

იგი ვლადიმერ ივანოვიჩს გადაეხვია.

— მაშასადამე, „აღსასრულის" ერთი პირი ფსკოვშია, მეორე ჩვენთან, პუშკინის სახლში. წამოდი ჩემთან განყოფილებაში სამუშაოდ. თუ უკვე მოეწყვე სადმე?..

— არა... არ ვიცი...

— ჩვენთან გიჯობს, ჩვენთან. აი, დაჯექი აქ და ლებედევის სახელზე განცხადება დაწერე. ახლავე დავურეკავ.

სანამ ორლოვი ტელეფონით რეკავდა და „თქმულებით" ხარობდა, ვლადიმერ ივანოვიჩმა განცხადება დაწერა:

„გთხოვთ მიმიღოთ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი რუსული ლიტერატურის განყოფილებაში თანამშრომლად... სამამულო ომის წლებში, ოფიცრის ჩინით ლენინგრადის ფრონტზე რომ გავატარე, ძველ რუსულ ლიტერატურაზე მუშაობა არ შემიწყვეტია და ორი სამხედრო მოვლენების დროს გზადაგზა გამოვიკვლიე ციმბირის საცავები (1945). ომის დამთავრების შემდეგ ესტონეთსა და ლატვიაში მივლინებით ყოფნისას კერძო პირთა მიერ შეგროვებული ძველი რუსული ხელნაწერები დავათვალიერე. მათ შორის აღმოვაჩინე მეორე პირი ხელნაწერისა „თქმულება რუსული მიწის აღსასრულზე".

ორლოვმა მას განცხადება გამოართვა, ჩაიკითხა და ბოლოში მიაწერა:

„სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორთან ი. ლებედევ-პოლიანსკისთან შეთანხმების

საფუძველზე გთხოვთ მიიღოთ როგორც შეუცვლელი მუშაკი. 1946.VI.26. დირექტორის მოადგილე აკადემიკოსი ორლოვი".

— „თქმულება" კი უნდა დავბეჭდოთ, და რაც შეიძლება მალე!"

22

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ალექსანდრე ორლოვთან განშორება მეც მიჭირს. მე იგი არასოდეს მინახავს. მაგრამ მივეჩვიე, შემიყვარდა მისი ბოხი ხმა, საუბრის თავისუფალი და ოდნავ დამცინავი მანერა, შემიყვარდა იმიტომ, რომ ნამდვილი მეცნიერი იყო. მეცნიერების მიღწევებს საკუთარ წარმატებებზე მაღლა აყენებდა. ნიჭს გულუხვად აქებდა, მუდამ მზად იყო, რომ ბრიყვისა და შურიანისთვის რისხვა დაეტეხა თავს.

მეცოდება ვლადიმერ ივანოვიჩიც, რომელიც თავისი მასწავლებლის დაკრძალვის შემდეგ უზომო სევდამ შეიპყრო. მარტო იმიტომ კი არ ნაღვლობდა, რომ დაობლდა, როგორც მეცნიერი. არა, მან დაკარგა ახლობელი ადამიანი. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, მაგრამ თავის მწუხარებას — წარუხოცელსა და იდუმალს — იგი არავის უზიარებდა. ჩვენც ტაქტი გამოვიჩინოთ და დავეღლოდოთ, სანამ თვითონ არ იტყვის, რა მოხდა ორმოცდაოთხის ივნისში...

რამდენჯერმე დავიწყე თხრობა იმის შესახებ, თუ მწუხარე მოგონებებისაგან ხსნას როგორ ეძებდა ვლადიმერ ივანოვიჩი ღვინოში, მეგობრებთან ერთად როგორ დადიოდა სტადიონზე, თავგამოდებით ქომაგობდა „ზენიტს", გათამაშების ცხრილის ზედა საფეხურებამდე ვერაფრით რომ ვერ ააღწია. გულშემატკივრობასაც სმა მოჰყვებოდა ხოლმე და ეს საშუალებას აძლევდა თავდავიწყებას მისცემოდა. ცარიელი ბოთლის დანახვაზე თვითონ კისრულობდა მოთავეობას და უთუოდ უნდა წარმოეთქვა ფრაზა, რომელიც მთელ ინსტიტუტში ცნობილი გახდა:

— რა უმსგავსობაა, მოთავეები გაწყდნენ?!

რედაქტორების არსებობა არ მავიწყდებოდა და ამ აბზაცებს ვშლიდი, სანამ არ შევნიშნე, რომ წმიდანთა ცხოვრების ავტორები ხალისით აღწერდნენ ხოლმე მომავალ მემარხულეთა ჭაბუკურ ცოდვებს. თუ არ შესცოდე — ვერ მოინანიებ. მონანიებას კი მით უფრო მეტი ფასი აქვს, რაც მეტი ცოდვა გა-

წევს, უფრო შეგიძლია შენი ღვაწლი წარმოაჩინო. მაგალითად, ზოგიერთ ახლანდელ პოეტს მხოლოდ მაშინ აფასებენ და წყალობენ, თუ მას ფრონდიორობასა და დისიდენტობაში შეუცოდავს. სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ვლადიმერ ივანოვიჩის ცოდვები თავის დროზე სულაც არაფრად ითვლებოდა.

მაგალითად, პეტრე პირველს არ უყვარდა ის ხალხი, ვინც სასმელს ვერ ეწყობოდა. მისი აზრით ლოთობა ადამიანს ზედმეტ ცნობისმოყვარეობას უხშობდა, მოუსვენარ აზრებს უფანტავდა.

იმ ხანებში ვლადიმერ ივანოვიჩი ათას საქმეს ეპოტინებოდა. სულიერი შფოთვა ხელს უშლიდა ერთი საქმისთვის დაედო გული. მაგრამ თუ მაინც მოახერხებდა და თავს დასძლევდა, მაშინ, თითქოსდა სასწაულის ძალით, უთუოდ გამოჩნდებოდა ხოლმე რაღაც მნიშვნელოვანი, მართალია, პატარა და დროებითი, მაგრამ სანუგეშო. შეცდომის უფლება ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ თუ შეცდომა ძალიან ბევრია, გიჩნდება შეგრძნება, რომ ცხოვრება სწორად არ გამოგივლია, კიდევ რწმენა იმისა, რომ ბედი არ გწყალობს. ეს კი თითქოს ხელებს გიბორკავს, საქმეც ველარ მიდის კარგად, ყველაფრისა გეშინია, დაწყებულ საქმესაც ვერ ამთავრებ იმიტომ, რომ შენი შესაძლებლობისა ალარა გჯერა. ამან შეიძლება განადგურებამდე მიგიყვანოს, ხოლო სუსტი ადამიანი — გაალოთოს, თეთრი ცხელება დამართოს. შეიძლება ასე მოხდეს, თუ ერთხელ და სამუდამოდ თავი ხელში არ აიყვანე, თუ შენს თავს არ ჩააგონე, რომ კიდევ ბევრი რამ შეგიძლია და დაინახავ. ძალების მოკრებაში როგორ დაგეხმარება ჯერ ერთი პატარა წარმატება, მერე მეორე...

„აღსასრულის“ შემდეგ ვლადიმერ ივანოვიჩმა დანიელ ტუვექმნილის „ვედრების“ ახალი პირი გამოაქვეყნა.

ეს არის რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და იდუმალებით მოცული ნაწარმოები. მის ირგვლივ კამათი საუკუნეზე მეტია გრძელდება.

ცნობილი არ არის, ვინ დაწერა, ვის მისწერა და როდის...

1378 წლის მატიანეში ნახსენებია ვინმე დანიელი, რომელიც ლაჩეს ტბაზე იყო გადასახლებული, ხოლო „ვედრებაში“ ნათქვამია: „სხვისთვის ლაჩეს ტბა შეიძლება კარგი იყოს, მე კი აქ ვცხოვრობ და მწარედ მოვთქვამ“. ერთ-ერთი ვარიანტი

„ვედრება“ მიმართულია XI საუკუნეში მცხოვრები მთავრის იაროსლავ ვლადიმირის ძისადმი. მეორე ვარიანტით, ავტორი მიმართავს იაროსლავ ესეეოლოდის ძეს, რომელიც XIII საუკუნეში მოღვაწეობდა.

ვინ იყო „ვედრების“ ავტორი? თვითონ იგი თავის თავზე ამბობს, მთავრის მხევლის ვაჟი და მისი ყურმოჭრილი მონა ვარო. ნაკითხს და განსწავლულს, ერთნი კარისკაცად თვლიდნენ, მეორენი რიგით რაზმელად...

ვლადიმერ ივანოვიჩმა სოლოვეცის მონასტერში გადაწერილ ვარიანტს მიაგნო. ეს მხოლოდ იმით იყო საინტერესო, რომ ბერებმა ტექსტი თავისებურად გაიაზრეს და დანიელის გამოთქმები, რომლებიც ძალიან მკვახედ ეჩვენათ, შეარბილეს.

დანიელი წუხს, რომ მთავრისაგან მოშორებით ცხოვრობს, რომ მას, როგორც ჩრდილში გაზრდილ ბალახს, რომელსაც არც მზის სხივი ეცემა და არც წვიმის წვეთი, მისი თვალთა სხივი ვერ სწვდება. იგი ღარიბი კაცია. მდიდარს ყველა იცნობს, მისი ხმა ღრუბლებს უწევს; ღატაკი ხმას გაიღებს და ყველა მას უყვირის. ვისი შესამოსელიც მდიდრულია, მისი სიტყვაც მოსწონთ. დაე, მთავარი მის ღარიბულ ჩაცმულობას ყურადღებას ნუ მიაქცევს, იგი ხომ ბრძენია, თუმცა ჯერ ჭაბუკია, აზრით ისე ლაღად ნავარდობს, როგორც არწივი ცაში.

დანიელი მთავარს ემუდარება, უბედურებისა და დარდისაგან მიხსენიო; ტანსაცმელს ჩრჩილი ჭამს, კაცს — დარდიო...

ვლადიმერ ივანოვიჩი ძველ და ბრძნულ სიტყვებს ერთგვარი შიშით კითხულობდა. განწყობილება ჰქონდა ასეთი...

„ოქრო ცეცხლში დნება, ადამიანი — მწუხარებაში; კარგად დაფქვილი ხორბლით გემრიელი პური ცხვება, ხოლო კაცი მწუხარებაში გონებრივად მწიფდება...

ადამიანს დარდს თუ გაუქარვებ, ეს იგივეა, რომ თაკარა სიცხეში ცივ-ცივი წყალი მიაწოდო“.

სად წავიდეს დანიელი — ბერად შედგეს თუ ბოიარის სახლს შეეკედლოს. მაგრამ ბოიარის სახლში თაფლუჭით თრობას ისევ მთავრის სასახლეში წყლის სმა ურჩევნია.

მთავარმა რომ ურჩიოს, მდიდარი ქალი შეირთეო? მდიდარი ხომ ბოროტი იქნება, გაიძვერა ვაჭრუკანა, ეშმაკისეული მკრეხელი, გონებით ბნელი, ყოველგვარი სიავის სათავე. ჯობს გაბვრეტილი ნავით იცურო, ვიდრე ავ ცოლს საიდუმლო გაუმ-

ხილო; გახვრეტილი ნავი ტანსაცმელს დაგისველებს, ავი ცოლი კი თავის ქმარს დააქცევს და დაღუპავს.

ვლადიმერ ივანოვიჩი კიდევ დიდხანს იყო ამ წიგნის გავლენის ქვეშ. წამდაუწუმ იმეორებდა ნართაულებს „ვედრებიდან", ახლობლები რომ ჩააცივდებოდნენ, ცოლი შეირთეო.

— ნეტა რას ჩამჩიჩინებ ამ ნასწავლ ქალბატონზე, ან მისი ბინა რად გინდა, პირზე რომ დათაფლული ღიმილი აფენია, თვალები კი ავად უელავს! იცი რა თქვა დანიელ ტყვექმნილმა: მირჩევნია სახლში ხარი შევიყვანო, ვიდრე ავი ცოლიო; ხარი უტყვია და არც ბოროტება მოუვა აზრად, ავი ცოლი კი, როცა სცემ, შმაგდება, ხოლო თუ დაუყვავე — ცხვირს აბზეკსო... თუმცა არა, უფრო მოსწრებულად და ძარღვიანად აქვს ნათქვამი — ავ ცოლს გინდ სცემე, გინდ დაუყვავეო. ახლა სხარტ გამოთქმებს იშვიათად ხმარობენ. არადა, საწყენია — ფრაზა უფრო მოქნილი გამოდის, ლაზათიანი...

ციტატებით მხოლოდ ძმაკაცებთან გადიოდა სამშვიდობოს. როცა ქალები შეუტევდნენ, ეს უკვე აღარ შველოდა. მაშინ ინსტიტუტში ბლომად იყვნენ სამხედროების ქვრივები და შინაბერა ქალიშვილები, რომლებსაც ერთი სული ჰქონდათ, რომ თავის თავზე აეღოთ ღვთის ანაბრად მიგდებულ მარტოხელაზე მზრუნველობა. ვლადიმერ ივანოვიჩზე ინსტიტუტის დერეფნებში ლაპარაკობდნენ. მისი სიკერპე გაოცებას იწვევდა.

ვლადიმერ ივანოვიჩი გულღია კაცი იყო. იგი ხალისით ყვებოდა თავის თავზეც. ყვებოდა, ლენინგრადის ახლოს როგორ უბრძანა ჯარისკაცებს ცნობილი მხატვრის აგარაკი ძელებად დაეშალათ, რადგან მიწურებისა და სანგრების ასაგებად სხვა არაფერი ჰქონდათ. ომის შემდეგ იმ მხატვარს შეხვდა და მან გულისტკივილით გაუზიარა, ვილაც „ვიგინდარამ" აგარაკი გამინადგურაო. იმასაც ყვებოდა, დემობილიზებულებთან ერთად ეშელონით ციმბირში მიმავალს გულმა რომ ვერ მოუთმინა და ტობოლსკში შეიარა, სადაც ერთ დროს მის საყვარელ დეკანოზ აბაკუმს უცხოვრია, მერე ტობოლსკში როგორ მოუსწრო ყინვებმა, ტიუმენამდე ნავიგაცია შეწყდა, მივლინებიდან თავის დროზე რაღაც სასწაულით დაბრუნდა და მკაცრ სასჯელს ძლივს გადაურჩა.

მაგრამ მას არასოდეს უამბნია, რა დამოკიდებულება ჰქონდა ვერასთან და რა მოხდა შემდეგ...

მისი თანამეინახენი ბევრჯერ გამხდარან იმისი მოწმენი, როგორ შემოაწვებოდა ხოლმე უცებ სევდა ვლადიმერ ივანოვიჩს, ნიკაპით ხელის გულს დაეყრდნობოდა და თვალები დაეხამებოდა. ყველანი გაყუჩდებოდნენ, იცოდნენ, რომ იგი ახლა ერთს ამოიოხრებდა და წკრიალა ხმით წამოიწყებდა გურილევის რომანსს:

მონოტონურად რეკს ზანზალაკი
 და ეფინება შარაგზას მტვერი,
ახლავს ნაღველი ჯერ არსმენილი
 მოტივს, რომელსაც მეეტლე მღერის.
მღერის, ველ-მინდვრებს ბანგავს ძახილი
ტანჯული ბედის, ნაგვემი გულის,
მშობლიურ ჰანგით მენთება სული,
გაციებული და გალიგული...[1]

23

მარფა ივანოვნა ლამაზი და მარტოხელა ქალი იყო. იგი პუშკინის სახლში არქივარიუსად მუშაობდა. ვლადიმერ ივანოვიჩს ხშირად შეუჩერებია მასზე თვალი, დღესასწაულებზე კანფეტებს მიართმევდა ხოლმე და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად მარფა-მოურავს ეძახდა.

ერთ ზაფხულს მოსკოვის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა პუშკინის სახლს გადასცა ლიტერატურული არქივის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელშიც ძველი რუსული ხელნაწერებიც იყო. არქივის მისაღებად მოსკოვში მარფა ივანოვნა და ვლადიმერ ივანოვიჩი გაემგზავრნენ.

მარფა ივანოვნამ ომში საყვარელი ქმარი დაკარგა. ვლადიმერ ივანოვიჩი კი, როგორც უკვე ვიცით, ქალებთან მორცხვი გახლდათ. მით უმეტეს — ლამაზ ქალებთან. ვაგონში ისინი ჩინს სვამდნენ და ინსტიტუტის საქმეებზე მასლაათობდნენ.

მივიდნენ თუ არა მოსკოვში, ვოროვსკის ქუჩაზე მდებარე სახლში, სადაც ხელნაწერები ელოდათ, მაშინვე საქმეს შეუდგნენ. ვლადიმერ ივანოვიჩი ძალიან გახარებული იყო, აღელვებულიც კი ჩანდა იმ სიმდიდრით, რაც ხელში ჩაუვარდა, ანუ, რაც მის ინსტიტუტს აჩუქეს — ეს ერთი და იგივე გახლდათ.

[1] თარგმანი ტ. მებურიშვილისა.

წარმოდგენაც კი ძნელია: XII საუკუნიდან მოყოლებული რვაას ოცდაშვიდი ხელნაწერი წიგნი და დოკუმენტი! აკადემიკოს ვლადიმერ პერეტცის ცნობილი კოლექციაც კი ჩაიბარეს...

მუყაოს ძებნაში ახლომახლო მაღაზიები შემოიარა, კანაფის დიდი გორგალი იშოვა და მარფა ივანოვნასთან ერთად ხელნაწერების შეკვრას შეუდგა. პაპანაქება სიცხე იყო. ვლადიმერ ივანოვიჩი თითქმის სულ გაშიშვლდა, ტრუსისამარა დარჩა და მარფა ივანოვნა ტკბებოდა მისი მკვირცხლი მიხრა-მოხრით, იმ სიხარულით, რომლითაც იგი მძიმე ყუთებს დაათრევდა აქეთ-იქით და ამ სამუშაოთი ვლადიმერ ივანოვიჩის გატაცება მასაც გადაედო.

მოვიდა მოსკოვის ინსტიტუტის დირექტორი, ცოტა ხანს დაჰყო, მიიხედ-მოიხედა და თქვა:

— პირდაპირ მშურს! ისე გემრიელად მუშაობთ! ეჰ, ნეტა წლები ჩამომაბერტყვინა და...

მალე ვლადიმერ ივანოვიჩს და მარფა ივანოვნას წვრილი ხაოიანი კანაფისაგან ხელისგულები და თითები სულ დაესერათ, მაგრამ უსიტყვო თანხმობით მუშაობას მაინც განაგრძობდნენ, სანამ ყველაფერი, უკანასკნელ ქაღალდამდე, არ შეფუთეს და გასაგზავნად არ გაამზადეს. დაიღალნენ. დასერილი ხელები ეწვოდათ, მაგრამ მაინც კარგ გუნებაზე იყვნენ. საქმეს რომ მორჩნენ, დათქვეს, ხვალ ერთმანეთს შეეხვდეთ და ზაგორსკში წავიდეთო.

...იქ მისულთ ნახეს ლურჯი, ოქროსვარსკვლავებიანი გუმბათები, ბევრი გუმბათი, გაფერადებულიცა და ოქროსფერიც. დაინახეს ციხესიმაგრის თეთრი კედლები, მწვანე სამრეკლო, სერგის წმინდა სამების საკანის მოწითალო-მოთეთრო სატრაპეზო. მარფა ივანოვნა აქ პირველად იყო. ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა ტურისტთა და ღვთისმლოცველთა ჭრელ ჯგროს, ტაძრიდან ტაძარში რომ გადადიოდნენ, შავოსან ბერებს, კანტიკუნტად რომ გადაჭრიდნენ ხოლმე ვეებერთელა ეზოს. მათ შორის იყვნენ მოხუცებიცა და მთლად ჭაბუკებიც, ლოყებსა და ულვაშებზე ახლადაშლილი ხუჭუჭა ღინღლი რომ მოსდებოდათ. ვლადიმერ ივანოვიჩი მარფა ივანოვნას ეკლესიებს უსახელებდა, მონასტრის ისტორიაზე და სერგი რადონეჟსკის ცხოვრებაზე უამბობდა.

მარფა ივანოვნა უსმენდა მას და ბერი სერგი მეუდაბნოეო

კი არ ესახებოდა, არამედ სახელმწიფო მოღვაწედ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად, რომელმაც მთელ ქვეყანასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ბრძოლას თათარ-მონგოლთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის. ხანის სიგელი, რომელიც ეკლესიამ ჯერ კიდევ სერგიმდე მოიპოვა, თათრებს არათუ ეკლესიების დარბევას, მის ტერიტორიაზე გამოჩენასაც კი უკრძალავდა. სერგიმ ყოველ კუთხეში მოწაფეები დააგზავნია მონასტრის ასაშენებლად, რათა იქ იარაღი შეენახათ და მეომრებს წვრთნა გაევლოთ. მონასტერები მარფა ივანოვნას თვალში სასწავლებლად გადაიქცა, რუსეთის არმიის ოფიცერთა კორპუსს რომ ამზადებდნენ. ხატებზე გამოსახული უმწეო მოხუცი კი, ვიწრო მხრები უღონოდ რომ ჩამოეყარა, ოდნავადაც არ ჰგავდა ძლიერ პიროვნებას, როგორადაც ვლადიმერ ივანოვიჩი სერგის უხატავდა. სერგის ყურს უგდებდნენ და ჭკუას ეკითხებოდნენ დიდი მთავრები. იგი რუსეთის ერთიანობას ქადაგებდა, ურჩებს კი თავადვე სჯიდა. როცა ნიჟეგოროდის მთავარმა უარი თქვა თავისი რაზმით მოსკოვის ლაშქარს შეერთებოდა, სერგიმ მთავრის ქალაქში ყველა ეკლესია დახურა, ხალხის მხარდაჭერა გამოიყენა და მთავარი აიძულა ჭკუაზე მოსულიყო. სწორედ მან გადამწყვეტი ბრძოლისათვის დალოცა მოსკოვის ჭაბუკი მთავარი დიმიტრი და კულიკოვოს ველზე გაუგზავნა გოლიათი ბერები პერესვეტი და ოსლიაბი.

ვლადიმერ ივანოვიჩმა მარფას უთხრა, სერგის წმინდა სამების მონასტერს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ ახსოვს, რომ მტერი მის გალავანში შესულიყოსო.

უამბო როგორ შემოეწყვნენ მონასტერს თავიანთი ოცდაათი ათასიანი ლაშქრით საპეგა და ლისოვსკი და ალყა თექვსმეტ თვეს არ მოხსნეს.

— მონასტერს კი სულ ათასი კაცი იცავდა, — ყვებოდა ვლადიმერ ივანოვიჩი. — საპეგამ მათ წერილი გაუგზავნა: თუ არ დაგვნებდებით, თქვენს ციხეს ერთი ხელის დაკვრით ავიღებთ და ყველას ხმლებით აგკუწავთო. ალყაშემორტყმულებმა უპასუხეს: მივიღეთ შენი წერილი... და ფურთხით გავსვარეთო! ბევრჯერ მიიტანა მტერმა იერიში, მაგრამ ვერაფერს გახდა. განსაკუთრებით აი, ის მრგვალი კოშკი უჭირვებდათ საქმეს. მის ძირამდე თხრილი გაიყვანეს, დენთი მოზიდეს, მაგრამ თვით კოშკამდე ვერ მიაღწიეს. ჩვენები მოულოდნელად აი, იმ საჯი-

ნიბოს კარიბჭიდან გამოვარდნენ და პანები გარეკეს. ორი გლეხი — შილოვი და სლოტა თხრილში ჩავიდნენ და დენთი ააფეთქეს. თვითონაც დაიღუპნენ და ისინიც მოსპეს, ვისაც თხრილი გაპყავდა. ამ თხრილში ათასამდე მტრის მეომარი გაანადგურეს. ბერი აბრამ პალიცინი წერდა, რომ მონასტერს იცავდნენ „არა ძლიერნი, არამედ სუსტები, არა ბრძენნი, არამედ უმეცრები, არა მრავალნი, არამედ მცირენი". ზამთარში მონასტრის დამცველები შიმშილით, ავადმყოფობით იხოცებოდნენ. დახოცილების დამარხვას ვერ ასწრებდნენ, როგორც ლენინგრადში ხდებოდა. ბოლო დროს დღეში ბარე ასი კაცი კვდებოდა. მაგრამ ხალხი არ შედრკა და ბოლომდე იბრძოდა... ალყის დროს ერთი საინტერესო შემთხვევა მოხდა, — განაგრძო ვლადიმერ ივანოვიჩმა. — მონასტერში მაგარი მათრობელა თაფლუჭის დიდი მარაგი ჰქონდათ. მოალყეთაგან სმის მოყვარულებს მონასტრის კედლებთან ჩუმად პური მიჰქონდათ და თაფლუჭაზე ცვლიდნენ. ერთხელ საპეგას მესაყვირე მარტიაში მოვიდა. თაფლით დაათვრეს და ტყვედ წაიყვანეს. მაგრამ როცა გამოფხიზლდა, ტყვემ შეძლო ვოევოდას, თავად გრიგორი დოლგორუკის გული მოეგო. თავის სარწმუნოებას აგინებდა, საპეგას ზრახვაზე დაიწყო ლაპარაკი. იგი რამდენჯერმე წაიყვანეს მოულოდნელ თავდასხმაში და კარგი მორკინალი გამოდგა. ვოევოდას მისი ისე სჯეროდა, რომ ოთახში დაიყენა. ცოტა მოგვიანებით სავანეში ალყაშემორტყმულთა მხარეზე ერთი პანიც გადმოვიდა, დაბადებით ყრუ-მუნჯი. ისიც კარგად იბრძოდა, არც სროლა ესმოდა, არც ყვირილი, მარტო ჩეხვა იცოდა. სწორედ მან გასცა მარტიაში. ვოევოდამ დამბეზღებელს პირველად არ დაუჯერა, მაგრამ მერე ბრძანა, მესაყვირე ეწამებინათ და ისიც გამოტყდა, რომ განზრახული ჰქონდა ზარბაზნები გაეფუჭებინა, დენთი აეფეთქებინა, თავისიანებს უკავშირდებოდა. ამ დღეებში ისინი მონასტერში უნდა შემოეშვა...

ვლადიმერ ივანოვიჩი ლაპარაკში ისე გაერთო, ვერც შეამჩნია, რომ მის თანამგზავრს ჯერ ერთი ცნობისმოყვარე შეუერთდა, მერე მეორე და მალე მათ გარშემო მთელი ჯგუფი შეგროვდა. მათ ღვთისმლოცველნი შეუერთდნენ. მერე მილიციელი მოვიდა, მაგრამ ისიც საუბარმა გაიტაცა და წესრიგის დამრღვევთ ვეღარაფერი უთხრა.

ვლადიმერ ივანოვიჩი, ამდენი ხალხი რომ დაინახა, შეცბა,

მარფა ივანოვნას ხელი მოჰკიდა და ხატებითა და მოხატულობით განთქმული სამების ტაძრისაკენ წაიყვანა. აქ შემორჩენილი იყო რუბლიოვის დროინდელი დეისუსი[1], კანკელის სადღესასწაულო და წინასწარმეტყველური წარმომადგენლები. კანდელისა და სანთლების მკრთალი სინათლე სიბნელეს ფანტავდა და თვალწინ იშლებოდა „სამების“ ნაზი მშვენიერება, „მოციქულ პავლეს“ დახვეწილი სახე და შინდისფერი გამატია, მაღლა ამართული ფრთები ანგელოსისა, მენელსაცხებლე დიაცთა პირდაპირ რომ ჩამომჯდარიყო... ყველა დიდი რუსი ხატმწერი - - ანდრია რუბლიოვიდან და დანიელ ჩორნიდან დაწყებული სიმონ უშაკოვით დამთავრებული — მონასტერში მოღვაწეობდა. აქ წიგნები ულამაზესი „სერგული“ ხელით იწერებოდა და ისეთი ნატიფი მინიატურებით იყო მორთული, რომ ყოველი მათგანი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა.

ვლადიმერ ივანოვიჩს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ადამიანის გენიით შექმნილ ამ საოცრებათა ცქერა. ახსენდებოდა სიტყვები პავლე ალეპელისა, რომელიც აბაკუმის დროს იყო რუსეთში. პავლე ალეპელი ამბობდა, რომ რუს ფერმწერებს „დედამიწის ზურგზე ტოლი არა ჰყავთ ხელოვნებაში, დახვეწილობასა და ოსტატობაში“. იგი ლაპარაკობდა რუბლიოვის ჩანაფიქრზე, მხატვრის სურვილზე, რომ ადამიანებს, როცა ისინი იხილავდნენ მისი „სამების“ ანგელოზებს, სახით ერთნაირნი, ღია, ნათელი ფერის სამოსით მოსილნი ერთი ჯამიდან რომ შეექცეოდნენ, დაეთრგუნათ შიში ამა ქვეყნისა საძულველი დაქუცმაცების წინაშე. იგი ლაპარაკობდა საეკლესიო კრების გადაწყვეტილებაზე, რომელიც მხატვრებს მოუწოდებდა ხატები ისე ეწერათ, „როგორც ანდრეი რუბლიოვი და სხვა საქვეყნოდ ცნობილი მხატვრები წერდნენ“.

მან მარფა ივანოვნას ძველი მხატვრობის ფერთა სიმბოლიკის საიდუმლოება აუხსნა: ოქროს ფერი აღნიშნავდა დიდებასა და მეფურობას, მუქი მეწამული — მარტვილთა მიერ დაღვრილ სისხლს; თეთრი ფერი — სიწმინდესა და მარადიულ ცხოვრებას; ცისფერი — უბიწოებას; მწვანე — იმედს, გმირობასა და სიცოცხლეს.

ხატი მხატვრის ლოცვა იყო, დიდი ხნის მარხვისა და ფიქ-

[1] დეისუსი — მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის ხატები, რომლებიც, როგორც წესი, ერთად იკიდება.

რის შემდგომ წარმოთქმული. მის სილამაზეს თავშეკავებულობა და დიდებულება მოსავდა.

მისი გამომჟღავნება მხოლოდ XX საუკუნეში მოხერხდა, როცა სანთლისა და კანდელის მჭვარტლის მრავალსაუკუნოვანი ფენის გადაცლა, საღებავების გვიანდელი შრისა და წარწერების ჩამოწმენდა ისწავლეს. და ყველამ იხილა ხელოვნების ჯადოქრობა, თამამი სწრაფვა გენიოსებისა, რომლებიც სიკვდილის შემდგომ სახელსა და დიდებაზე არ ფიქრობდნენ და თავიანთი სახელები არც არსად აღუბეჭდავთ.

— ჩვენ კი მათი სახელები გვჭირდება, — თქვა ვლადიმერ ივანოვიჩმა, — და იმათიც, ვინც ჩვენს ძველ ლიტერატურას ქმნიდა. დასავლეთში ძველი რუსული კულტურა მუნჯი, უტყვი ჰგონიათ. იგი მაშინ „შეამჩნიეს“, პირველი ხატები რომ გადაწმინდეს. ჩემი სურვილია, რომ ჩვენი ძველი ლიტერატურა მთელი ხმით ღაღადებდეს, რათა ჩვენ თვითონ დავინახოთ, დავაფასოთ იგი...

მარფა ივანოვნა გაოცებული უსმენდა ვლადიმერ ივანოვიჩს. იცოდა რომ ის კარგი ადამიანი იყო, მაგრამ თურმე საინტერესო პიროვნებაც ყოფილა, ეს მისთვის აღმოჩენა გახლდათ. გაბრუებული იყო შთაბეჭდილებებით, თაკარა მზით, ვლადიმერ ივანოვიჩის მონათხრობით. მარფა ივანოვნა სინაზით განიმსჭვალა ვლადიმერ ივანოვიჩისადმი, ამ უთავბოლო, უსიტყვო კაცისადმი. ფიქრობდა მასზე და თავის მოუწყობელ ცხოვრებაზე, მიხვდა, რომ ვლადიმერ ივანოვიჩმა ახლა მისი გულისთვის გააბა საუბარი. მარფა ივანოვნა გრძნობდა, რომ ვლადიმერ ივანოვიჩს მოსწონდა და, როცა სასადილოდ პატარა რესტორანში შევიდნენ, მარფა ივანოვნა პირველი ჭიქა ღვინის შემდეგ რაღაც მოლხენის გუნებაზე დადგა.

იგი ვლადიმერ ივანოვიჩისკენ გადაიხარა, თვალები უელავდა. მოკლედ შეკრეჭილი თმა ალერსით აუწეწა და ჰკითხა:

— რატომ ცოლს არ შეირთავ, ვალოდია?

ვლადიმერ ივანოვიჩი მოიღუშა, დიდხანს დუმდა, შემდეგ გაბედა და მთელი ამ წლების მანძილზე პირველად დაიწყო ლაპარაკი ვერაზე, თავის ტელეფონისტ ქალზე. თავის ხანმოკლე სიყვარულზე. უამბო ისიც, რა მოხდა იმ დღეს, როცა ვერა მიწურში დატოვა...

— საღამოს დავბრუნდი იქ, — ამბობდა ვლადიმერ ივანო-

ვიჩი, — მაგრამ მიწური აღარ იყო — შემთხვევით ჭურვი მოხვედრია. ერთი ძაბრილა გადარჩა. ვერაფერი ვიპოვე, წარმოგიდგენია, ვერაფერი, მარფანაცვალო. მერე კი...

მას აღარ უთქვამს რა მოხდა შემდეგ. მარფა ივანოვნას და ვლადიმერ ივანოვიჩის მხიარულება უცებ ჩაქრა. ისინი შეუსეულად დათრგუნა ზიარმა უბედურებამ, გონებაში ერთბაშად რომ გაცოცხლდა და ორივეს თავი სევდით, მწუხარებით გაახსენა.

აქეთობისას ელექტრომატარებლის ვაგონში მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ.

24

ოჯახურ ბედნიერებაზე რომ უარი თქვა და ღვინოში დარდის მოკვლის სურვილიც დასძლია, ვლადიმერ ივანოვიჩი მუშუნვარე ფიქრებისაგან თავის დახსნის გზას თავაუღებელ მუშაობაში ეძებდა. ახლა ის მთლიანად ჩაფლული იყო ძველი რუსული სალაშქრო მოთხრობების ტექსტებში, სამყაროში, სადაც ბრძოლის ხმა, ზარბაზნების ქუხილი, ხმლების ჩახაჩუხი, ერთთა საზეიმო შეძახილები და მეორეთა სასოწარკვეთილი გოდება ყველაფერს, საკუთარი თავისადმი სიბრალულსაც კი ახშობდა.

სერგის სამებაში მარფა ივანოვნასთან ერთად შემთხვევით არ წასულა. ყველაფერი, რაც, ასე თუ ისე, რუსულ ციხესიმაგრეთა დაცვასთან იყო დაკავშირებული, ძალზე აინტერესებდა. ივი გამოსაქვეყნებლად ამზადებდა ხელნაწერს: „მოთხრობები მეფე სტეფანე ბატორის მოსვლისა დიდი და მძლე ლაშქრით დიდ და სახელოვან, მირონცხებულ ქალაქ ფსკოვის დასალაშქრავად". ამ ნაწარმოებზე ჯერ კიდევ კარამზინი წერდა. ვიაზნიკში მან ამ თქმულების ყველაზე სანდო და ძველი ხელნაწერი იპოვა. ამ ნაწარმოებმა ივი კიდევ უფრო იმიტომ დააინტერესა, რომ მასზე ოდესღაც ალექსანდრე ორლოვი მუშაობდა.

ვლადიმერ ივანოვიჩს საქმის ნამუსიანად კეთება უყვარდა და ყველაფერს კითხულობდა, რასაც თქმულებაში აღწერილ მოვლენებთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა. მან არა მარტო გულდასმით შეისწავლა უცხოელთა დღიურები, რომლებმაც ივანე მრისხანის დროს ფსკოვს ალყა

შემოარტყეს, ამ თემაზე შექმნილი მეცნიერული ნაშრომები და რუსული გადმოცემები, არამედ წაიკითხა ისტორიული რომანები და დრამები, ნახა ძველი ხატები. კარლ ბრიულოვის ცნობილი სურათის „ფსკოვის ალყის“ ესკიზებიც კი შეისწავლა.

იგი თქმულების შესახებ ერცელ კომენტარებს წერდა, მაგრამ გაურბოდა მხატვრულ წვრილმანებს, რომლებიც, სამწუხაროდ, მის მოგვიანებით გამოსულ ნაშრომებში სულ გაქრა, ისევ და ისევ მეცნიერული თავდაჭერილობის, აკადემიური მოდის საამებლად, რამაც დღეს მეცნიერული ნაშრომები ასე გაუფერულა, თითქოს დიდი რუსი ისტორიკოსებისა და ფილოლოგების მხატვრული ნაწარმოებები არც არსებულიყოს.

მან გამოარკვია კიდეც, ვინ იყო ფსკოვის ალყის თქმულების ავტორი.

აკადემიკოსი ორლოვი ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავისი მოწაფის გულმოდგინებით გაიხარებდა. სახელი მოიპოვა ძველი რუსული ლიტერატურული ნაწარმოების კიდევ ერთმა უცნობმა ავტორმა. მაგრამ მე არ ვიტყვი მის გვარს. იმიტომ კი არა, რომ ამით მინდა მკითხველს ინტერესი გავუღვივო, უბრალოდ, ვიცავ წესს, რომელსაც ვლადიმერ ივანოვიჩი კვლევაძიების დროს იცავდა ხოლმე.

რა იყო ფსკოვის ალყამდე? ლივონის ომი. ლიტვის შეერთება პოლონეთთან. არმიის მთავარსარდლის თავად კურბსკის ღალატი. პოლონეთის ტახტზე შვიდი ქალაქის მთავრის სტეფანე ბატორის გამეფება, რომელმაც პოლონელ თავადაზნაურობას აღუთქვა, მოსკოვის მიერ ბრძოლით მოპოვებულ ყველა მიწას დაგიბრუნებთო.

1581 წლის 24 აგვისტოს მეფე სტეფანე ბატორი „მთელი თავისი უთვალავი ლაშქრით“ ფსკოვს მიადგა.

ვლადიმერ ივანოვიჩი მოთხრობის ავტორთან ერთად ფსკოვის კრემლის კედლებიდან ხედავდა მტრის ლაშქარს, გორაკზე მდგარ მეფეს, თავზე ფრთაგარჭობილი ქუდი რომ ეხურა და მაღალსამხრეულებიანი აბჯარი ეცვა. პირქუშ, თხელტუჩება მეფეს გარს დაქირავებული ბანდების მეთაურები ეხვევნენ. გორაკთან იდგნენ გერმანელების, უნგრელების, ფრანგების, შოტლანდიელების, ბელგიელების, დანიელების, შვედების, რუმინელების, იტალიელების რაზმები... ფსკოვის დასარბევად მთელი ევროპიდან სამოცი ათასი იოლი გამდიდრების მაძიებელი

შეიკრიბა. ნადავლის დასატვირთად მომზადებული ალალი ათობით ვერსზე გაჭიმულიყო. აქ იყო კიდევ შლიახტების ორმოცი ათასიანი არმია, რომელიც ჭკვიანმა და სასტიკმა მეფემ დაიმორჩილა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ფსკოვი გარეშე კაცის თვალითაც დაინახა, დაინახა ცხრა კილომეტრზე გაჭიმული ქვის კედლების სამმაგი რიგი, ოქროსფერი გუმბათები, კედლების სათოფურებსა და ვეებერთელა კოშკებში თავმოყრილი აუარება ქვემეხი. დიდი და მდიდარი იყო ქალაქი ფსკოვი. ამ ქალაქში ათასზე მეტი მარტო სავაჭრო დუქანი იდგა. ლონდონი რომ ლონდონი იყო, ისიც კი ჩამოუვარდებოდა სიდიდით მაშინ ფსკოვს.

„ვტკბებით ფსკოვის მზერით, — წაიკითხა ვლადიმერ ივანოვიჩმა ბატორის სალაშქრო კანცელარიის მდივნის ქსენძ პიოტროვსკის დღიურში, — ღმერთო ჩემო, რამოდენა ქალაქია! ნამდვილი პარიზია! ღმერთო, ხელი მოგვიმართე მის დამორჩილებაში!“

რაბათში, მდინარე ველიკაიას გალმა, სახლები იწვოდა; თვითონ ფსკოველებმა გადაწვეს, რათა, როგორც მოთხრობაშია ნათქვამი, „მტერს თავშესაფარი არ ჰქონოდა“.

ბატორიმ ხელი დაიქნია და ლაშქრის დათვალიერება დაიწყო. დაფდაფების გრიალში გორაკს ჯერ ქვეითმა ჯარმა ჩაუარა გვერდით, მერე — ცხენოსანმა, გაატარეს საალყო ქვემეხები...

მაგრამ ქალაქში რუსებსაც დიდი ძალები ჰყავთ. შვიდი ათასი ცხენოსანი, რამდენიმე ათასიანი ქვეითი არმია, რომელშიც ყველა შევიდა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო. დენთიც სამყოფი ჰქონდათ, ყუმბარებიცა და ზარბაზნებიც. საბრძოლოდ მზად იყო ორი გიგანტური ქვემეხი — „მჭექარა“ და „ჯიქი“.

ფსკოვის ალყის მოთხრობის ავტორი ნაკითხი კაცი ჩანდა, ვინაიდან აზრს წიგნიერად, მაღალფარდოვნად გადმოსცემდა. აი, რა დახვეწილი სტილით ლანძღავდა იგი მეფე სტეფანე ბატორის: „დაუცხრომელი ასპიტი“, „შხამიანი გველი“. თუმცა, რიტორიკით დაღლილი იქვე დამცინავადაც კითხულობს: „რა გინდა, მეფეე პოლონეთისა?! ულმობელი ხარ, თუმც შუბლით კედელს ვერ გაანგრევ“.

მოთხრობის ავტორი ყველაფრის მოწმეა, ყველაფერს ხედავს. პოლიტიკაშიაც ღრმად ერკვევა — იცის, რომ მოღალატე ანდრეი კურბსკიმ და მისმა თანამზრახველებმა კურლიანდიელ გერმანელ ბარონებთან შეთანხმებით ბატორი მოსკოვთან საომრად წააქეზეს. „ესენი ხომ ქრისტეს გარეგანნი არიან... გლეხთა მეფის წინააღმდეგ ამხედრება განიზრახეს და იუდეველთა ჩაგონებით თავიანთ მთავარს ძირი გამოუთხარეს“.

ძველ მწერალს არ გამოუტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა, არც ერთი იერიში, არც ერთი მოულოდნელი თავდასხმა, ეტყობა, ახლოს იყო თვით ვოევოდასთან, მთავარ ივან შუისკისთან, თორემ საიდან უნდა სცოდნოდა ზუსტად ვოევოდასა და მეფე ივანე მრისხანის საუბრის ყოველი წვრილმანი? შუისკის ფსკოვში რომ აგზავნიდა, მეფემ ფიცი ჩამოართვა, რომ თავს დადებდა და მტერს ქალაქში არ შეუშვებდა. ვოევოდამ კი ფსკოველებს ფიცი დაადებინა — ქალაქ ფსკოვს ლიტველთაგან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავიცავთო.

დათვალიერების შემდეგ „ლიტვა“ შეტევაზე გადავიდა. იგი ცდილობდა გაერღვია კედლების მისადგომებთან ჩარჭობილი მუხის წვეტიანი პალოები, მაგრამ ამ დროს იქუხა ფსკოველთა ქვემეხებმა და მოალყეებს მუსრი გააკლო. დარტყმა თვით მეფის ბანაკსაც კი მისწვდა და მდინარე ფსკოვთან ტყის იქით გაშლილი მაუდის კარვები დალეწა.

დაიწყო ნამდვილი ალყა. გალავნის ფარდულის ქვეშ მტერს „ვეება ხნულები“ გაჰყავდა — სანგრებს თხრიდა. კედლებიდან ფარდულებს ანთებულ კვარს და გავარვარებულ ყუმბარებს უშენდნენ.

— ეი, თქვენ! — ისმოდა ყვირილი კედლებიდან. — სწორედ მაგ ორმოებში ჩაგმარხავთ, ჩვენთვის რომ თხრით, ქოფაკებო.

ბატორისთან სამხედრო საბჭო შეიკრიბა. გადაწყდა შეტევა დაეწყოთ, იერიში მოეტანათ პოკროვსკის და სვინუსის კოშკებს შორის აღმართულ კედელზე.

შვიდ სექტემბერს ოცმა მძიმე საალყო ქვემეხმა ცეცხლი დაუშინა კედელს. ცეცხლი მთელი დღე-ღამე არ შეწყვეტილა. „ღმერთო ჩემო, რა საშინელი გრგვინვაა დღეს! კედლებს ბოლქვა-ბოლქვად ასდის ბოლი“. — ჩაწერა პიოტროვსკიმ. კედელი შეანგრიეს.

რუსული მოთხრობის ავტორის თქმით „გახარებულნი და გამალებულნი“ გამოიქცნენ განგრეული კედლისაკენ ბატორის საუკეთესო მეომრები — თეთრჯუბიანი უნგრელები და გერმანელები. მათ სხვებიც მიჰყვნენ, იჩქაროდნენ, ქალაქის გაძარცვას არ დავაკლდეთო. პოკროვსკისა და სვინუსის კოშკები უკვე მტრის ხელში იყო, მათზე პოლონეთის დროშები ფრიალებდა. მხოლოდ პანები არ ჩქარობენ, მეფესთან მაცნეთ აგზავნიან, რათა გამარჯვება აუწყონ. შენგრეული გალავნის უკან სხვა, ახალი კედელი აღიმართა, ქალაქის დამცველებმა ერთ ღამეში რომ ააგეს, კედლიდან მტერს მდუღარე კუპრს ასხამდნენ თავზე, გაცრილ კირს აყრიდნენ, ლურსმანდარჭობილ მორებს აგორებდნენ, ქუხდა ზარბაზანი და სიათა.

„ხოლო ლიტველთა აურაცხელი ძალები ქალაქის კედელს მიასკდა, ვითარცა ადიდებული მდინარე... ორივე სპათა სიმრავლით, ზარბაზნების სროლით, ხელიცხვების ჭახაჭუხით, მოლაშქრეთა ყიჟინით არემარე აუტანელმა ხმაურმა, გამგმირავმა ყვირილმა და გამაყრუებელმა გრიალმა აავსო“.

ბრძოლის ხმა პუშკინის სახლის კამარებქვეშაც ქუხდა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა უზარმაზარ „ჯიქში“ ყუმბარა ფსკოველებთან ერთად ჩადო. ბარბაზანმა ალი ამოანთხია და სვინუსის კოშკის სახურავი ჩამოანგრია, სადაც გერმანელები და უნგრელები იყვნენ ჩასაფრებულნი. საღამოს მტერი შენგრეული კედლიდან გამოდევნეს და გააქციეს. მთელ იერიშში მოალყეებმა ათი ათასზე მეტი კაცი დაკარგეს. ბატორიმ თავის ბანაკში დანაკარგზე ლაპარაკი აკრძალა.

ბრძოლაში ბედმა უმუხთლა სახელოვან სარდალს. არც თხრილის გათხრამ უშველა და არც ყუმბარებმა. დადგა ზამთარი. ბატორიმ ჰაიდუკების დიდი რაზმი და კალატოზები გაგზავნა, რომ გაყინულ მდინარე ველიკაიაზე გადასულიყვნენ, კედლისთვის ძირი გამოეთხარათ და დაექციათ. მტერმა მოასწრო ნიშის ქვეშ შესვლა და ზევიდან გადმოსხმული მდუღარე კუპრი მათ ველარ სწვდებოდა. მაშინ ფსკოველებმა ჭოკზე გრძელი თოკი გამოაბეს, ზედ ბასრი კაუჭი დაამაგრეს და ანკესივით ძირს ისროდნენ, ჰაიდუკებს გამოსდებდნენ, ზევით აიტაცებდნენ და სიათებით ჰაერში ცხრილავდნენ.

გამაგრებულებს ავადმყოფობამ დარია ხელი, საჭმელი არაფერი ჰქონდათ. ხალხი შიმშილისაგან წყდებოდა. მაგრამ საკ-

მარისი იყო „ვასილის გორაზე“ საგანგაშო ზარი შემოეკრათ, რომ ყველა გალავანზე არბოდა, მაბაკაცებს ქალებიც არ ჩამორჩებოდნენ. ვისაც კიდევ შერჩენოდა ღონე, იარაღით ხელში იდგა, სხვებს კი მეომრებისათვის ქვები მიჰქონდათ, წყალს ასმევდნენ და აპკურებდნენ.

ბატორის ბანაკში პაპ გრიგორის დესპანი იეზუიტი ანტონ პოსევინი ჩამოვიდა, რათა რუსებთან დაზავებაზე მოლაპარაკება გაემართა. სტეფანე ბატორი ჯაგარივით ულვაშებს ნერვულად იწიწკნიდა და დესპანს შესჩიოდა:

— ქალაქებს რომ იცავენ, რუსებს სიცოცხლე არად უღირთ, ერთს რომ მოკლავ, მის ადგილს იქვე მეორე დაიკავებს, დღე და ღამე იბრძვიან; ხმელა პურზე არიან, შიმშილით კვდებიან, მაგრამ არ ნებდებიან.

ამ სიტყვებს რომ კითხულობდა, ვლადიმერ ივანოვიჩს ალყაშემორტყმული ლენინგრადი ედგა თვალწინ, რუსი ხალხის გაუტეხელ ბუნებაზე ფიქრობდა...

ბატორის ახლა ისღა ადარდებდა, ფსკოვიდან როგორმე გაეღწია, ფიქრობდა, „რანაირად და სად დაემალა შერცხვენილი თავი“. იგი წავიდა და მთავარსარდლად კანცლერი იან ზამოისკი დატოვა. მაგრამ სანამ პოსევინი ზავზე ჯახირობდა, ფსკოველებმა იერიში მოაწყვეს, ოთხმოცი დიდებული პანი და რამდენიმე ათასი ჰაიდუკი სიცოცხლეს გამოასალმეს.

„გულბოროტმა და მზვაობარმა პოლონელმა კანცლერმა, — ნათქვამია მოთხრობაში, — რა დაინახა თავისი დიდებული პანები დახოცილები, ძალიან შეწუხდა, გადაწყვიტა გაექუცა მეფის ბოიარები და ვოევოდები, უპირველესად კი თავად ივანე შუისკი მოეკლა“.

იმავე თვის მეცხრე დღეს, 9 იანვარს ლიტველთა მხედრობიდან რუსი ტყვე მოვიდა და თან ერთი დიდი სკივრი მოიტანა. იგი ბოიარებსა და ვოევოდებს მიჰგვარეს. ტყვემ სკივრი და უსტარი მათ გადასცა და უთხრა, მეფის აზნაურმა განსუმელერმა გამოგიგზავნათო. უსტარში ეწერა:

„ხელმწიფის ბოიარსა და ვოევოდას, თავად ივანე შუისკის მოწიწებით თაყვანს სცემს განსუმელერი. თქვენს ხელმწიფესთან ნამყოფი ვარ გერმანელ იური ფრიანბრეკთან ერთად. გავიხსენე თქვენი ხელმწიფის პატივისცემა და აღარ მსურს მის წინააღმდეგ ვიბრძოლო. მინდა მის მხარეზე გადმოვიდე. მანამ-

დე ჩემს ხაზინას გიგზავნი სკივრით, რომელსაც თქვენი ტყვე ბოგიტანთ. შენ, მეუფეო, თავადო ივანე პეტრეს ძევ, სკივრი გახსენი და ჩემი ხაზინა მარტომ ნ ხ, სხვებს არ აჩვენო. მეც ფსკოვში სულ მალე გეახლები".

თავადმა ივანე შუისკიმ როგორც კი უსტარი წაიკითხა, იგრძნო, რომ ოინს უწყობდნენ. მყისვე თავის ხალხს მოეთათბირა და ბრძანა სკივრის გახსნის ოსტატი მოეყვანათ. სკივრი ვოევოდას ქოხიდან შორს წაეღოთ და ძალიან ფრთხილად გაეხსნათ.

ოსტატმა სკივრის თავი ასწია და დაინახა, რომ იგი სასიკვდილო ტვირთით იყო სავსე. ოცდაოთხი ფილთა-თოფი ისე დაეწყოთ, რომ ლულები ოთხივ მხარეს ჰქონდა მიშვერილი, ზევიდან კი ერთი ფუთი დენთი დაეყარათ. ჩახმახები ღეღეებით კლიტის საპირეზე იყო გამობმული: როგორც კი ვინმე სახურავს ახდიდა, ჩახმახები დასხლტებოდა და დენთი აფეთქდებოდა..."

მოთხრობაში ეს ეპიზოდი წინ უძღოდა რუსების საბოლოო გამარჯვებას და ფსკოვის მისადგომებთან მტრის სამარცხვინო უკუქცევას.

ძველი მოთხრობის დასაბეჭდად მომზადებისა და კომენტირების დროს ვლადიმერ ივანოვიჩმა დაახლოებით ისეთივე მუშაობა გასწია, როგორიც დეტექტიური ლიტერატურის ფუძემდებლის ედგარ პოს მოთხრობის „ოქროს ხოჭოს" ერთ-ერთმა გმირმა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა „შემოსევის" ბოლოს კრიპტოგრამა გაშიფრა და ავტორის ვინაობა გოგო.

თავის დროზე აკადემიკოსმა ორლოვმაც სცადა ავტორის ვინაობა ამოეკითხა, მაგრამ იმ ხელნაწერის ბოლოს, რომელიც მას ჰქონდა ხელთ, რამდენიმე სიტყვა გამოტოვებული იყო. და ამიტომ ალექსანდრე სერგეევიჩმა გარკვევით ვერაფერი თქვა:

„იქნებ ციფრობრივი კრიპტოგრამის მიხედვით მოთხრობის გადამწერი ვინმე ფსკოველი მხატვარი გრი(გო)რი უნდა იყოს?"

ვლადიმერ ივანოვიჩის ხელნაწერ პირში, რომელიც სხვა ვარიანტებთან იყო შეჯერებული, იკითხებოდა:

„მოთხრობა ესე დაწერილ არს იმავე ღვთივკურთხეულ ქალაქ ფსკოვს, ამავე ქალაქის მკვიდრის მხატვარ-ზგრაფის მი-

ერ, რომლის სახელიც არს: ერთიანი ორჯერ, ერთიანი, ორმოცდაათი ორჯერ და კიდევ ორჯერ, ოთხი ორჯერ, ათი სამჯერ, ოთხი ორჯერ, ყველაფერს ამთავრებს ათიანი. სულ შვიდი ასოა".

მაშასადამე, მოთხრობა დაწერა მხატვარმა, ფერმწერმა, „ზგრაფმა" — იზოგრაფმა. სრული ხელწერის წყალობით ვლადიმერ ივანოვიჩი სულ ადვილად გაერკვა კრიპტოგრამაში.

XVII საუკუნემდე რუსი მწერლები არაბულ და ლათინურ ციფრებს არ ხმარობდნენ, რიცხვებს შესაბამისი ასოებით აღნიშნავდნენ: ერთი — А, ორი — В, სამი — Г, ოთხი — Д, ათი — Т, ოცი — К, და ა. შ.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ქაღალდზე დაწერა:

„ერთიანი ორჯერ" $1 \times 2 = 2 =$ В

„ერთი" $1 =$ А

„ორმოცდაათი გამრავლებული ორჯერ და კიდევ ორჯერ" $50 \times 2 \times 2 = 200 =$ С

„ოთხი ორჯერ" $4 \times 2 = 8 =$ И

„ათი სამჯერ" $10 \times 3 = 30 =$ Л

„ოთხი ორჯერ" $4 \times 2 = 8 =$ И

„ყველაფერს ამთავრებს ათიანი" $10 =$ I

„სულ შვიდი ასოა".

ვლადიმერ ივანოვიჩმა მიღებული შვიდი ასო ამოწერა და მოთხრობის ავტორის სახელი მიიღო — ВАСИЛИЙ — ვ ა ს ი ლ ი.

25

თუ რუსული ლიტერატურა ზუსტად ათასი წლისაა, მაშინაც კი ჩვენს ძველ მწერლობაზე შვიდას წელზე მეტი მოდის.

ამერიკული ლიტერატურა მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ჩინელები რამდენიმე ათასი წლის წინ დაწერილ თავიანთ რომანებს ისე კითხულობენ, როგორც თანამედროვეს, მოქმედების სახელმძღვანელოდაც კი იხდიან.

ძველ რუსულ ლიტერატურას თავისუფლად მხოლოდ სპეციალისტები კითხულობენ, იმიტომ, რომ ჩვენი სამწერლო ენა ძალიან შეიცვალა. XIX საუკუნის რუსმა გიგანტებმა ისეთი ძალით მიიპყრეს საყოველთაო ყურადღება, რომ ძველისათვის ცოტა ვინმესღა თუ ეცალა.

ძველ რუსულ ლიტერატურაში ცოტა სახელებია, სამაგიეროდ ნაწარმოებია ბევრი. მას იკვლევენ და აღიქვამენ როგორც ერთ მთლიანს, მსგავსად შუა საუკუნეების ტაძრისა, საუკუნეთა მანძილზე სხვადასხვა ადამიანები რომ აშენებდნენ, ოღონდ ერთი გეგმით.

1 იგი ძალზე ოპტიმისტურია იმიტომ, რომ ადამიანისათვის დედამიწა მხოლოდ დარდისა და ვარამის, მხოლოდ ტანჯვისა და განსაცდელის საფანე იყო. ხოლო მას ასაზრდოებდა ადამიანთა ოცნება ბედნიერებაზე, იმედი, ადამიანის ფიქრი მარადისობაზე, უზენაესი ზრახვები.

1 მასში ჩვენთვის ბევრი რამ არის საიდუმლოებით მოსილი, იმიტომ, რომ ჩვენ დავკარგეთ გასაღები ძველი სიმბოლიკისა, რომელიც ჩვენი წინაპრებისთვის ყოველივეს აღქმის ერთ-ერთი პირობა იყო.

ძველი რუსული ლიტერატურა თითქმის მთლიანად ისტორიული იყო. მან არ იცოდა პირობითი გმირები, მსგავსად თანამედროვე ლიტერატურისა, მაგრამ რეალურ ადამიანებზე თხრობისას ფანტაზიას დიდ გასაქანს აძლევდა და მას ფაქტის დამაჯერებლობას ანიჭებდა. ძველად დადებითი გმირები უყვარდათ, სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში ნათელ საწყისს რომ ასახიერებდნენ.

რუსული ლიტერატურა ყამთააღმწერლობით იწყება. მაგრამ მემატიანეთა თქმულებებში ნათლად ჩანს კიდევ ძველი მოთხრობების ნიშნები, იმ მოთხრობებისა, კირილემდე არსებულ დამწერლობასთან ერთად რომ დაიკარგა. ჩვენს დრომდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ძეგლებიც კი იმდროინდელი მსოფლიო ლიტერატურის არც ერთ ნაწარმოებს არა ჰგვანან. ეროვნული თვითშეგნება და მშვენიერების ეროვნული გაგება რუსეთში ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ძველია. ამიტომაც არის, რომ რუსული ხატები და ტაძრები ასე განსხვავდებოდნენ ბიზანტიურისაგან.

ბიზანტიისაგან საეკლესიო ავტოკეფალიაზე რუსებს შორის პირველი მიტროპოლიტი ილარიონი ლაპარაკობს თავის წიგნში „სიტყვა კანონისა და მადლის შესახებ". პირველ რუსულ მატიანეში — „გარდასულ წელთა ამბავი" — ილარიონზე ნათქვამია:

„6559 წელს (ესე იგი, 1051 წელს) კიევის მთავარმა იაროს-

ლაეშა დანიშნა რუსი ილარიონი წმინდა სოფიის ტაძარში მიტროპოლიტად და ეპისკოპოსნი შეკრიბა". ილარიონი მღვდლად იყო მთავრის სოფელ ბერესტოვში, კიევის მახლობლად, „ბერესტოვიდან დნეპრზე, გორაკზე დადიოდა, სადაც ახლა პეჩორის მონასტერი დგას და იქ ლოცულობდა. იმ ადგილას ტყე იყო. მან პატარა ორსაყენიანი მღვიმე გათხარა... იგი მიტროპოლიტი გახდა, ის მღვიმე კი დარჩა".

„სიტყვაში" ილარიონი ამაყობს თავისი სამშობლოთი, ხოტბას ასხამს არა მარტო ვლადიმერს — რუსეთის განმანათლებელს, არამედ — კერპთაყვანისმცემელ მთავრებსაც — იგორსა და სვიატოსლავს, რომლებმაც თავიანთი მამაცობითა და ვაჟკაცობით მრავალ ქვეყანაში გაითქვეს სახელი. მათი მოუდრეკელობა და სიმტკიცე დღემდე იხსენიება. ისინი მეფობდნენ არა ცუდ ქვეყანაში, არა სადმე უცნობ მიწაზე, არამედ რუსეთში, რომელიც განთქმულია კიდით კიდემდე.

დიდი მთავარი იაროსლავი 1054 წელს გარდაიცვალა. მან შთამომავლობას უანდერძა მშვიდობით ეცხოვრათ.

„თუ ერთმანეთის სიძულვილში, შუღლსა და დავაში იცხოვრებთ, თავსაც დაიღუპავთ და თქვენი მამა-პაპის მიწასაც დააქცევთ, დიდი ჯაფითა და შრომით რომ ჰქონდათ მოპოვებული. იცხოვრეთ მშვიდობით, ძმამ ძმის სამსახურში".

ილარიონზე, როგორც მიტროპოლიტზე, 1054 წლის მატიანეში უკვე აღარაფერია ნათქვამი. სავარაუდოა, რომ ის ბერად შედგა მონასტერში, რომელიც მისი მღვიმის ადგილზე აღიმართა. 1073 წლის სამატიანო კრებული პირველი ცნობილი ქამთაალმწერლის ბერი ნიკონის მიერ არის შედგენილი. იქნებ ეს ნიკონი იგივე ილარიონია და ბერად შედგომის შემდეგ სახელი გამოიცვალა? მეცნიერ პრისელკოვის შრომებში სწორედ ასეთი ვარაუდი იყო გამოთქმული. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ქამთაალმწერელმა ნესტორმა შეადგინა „გარდასულ წელთა ამბავი", რომელშიც ნიკონის ნაშრომიც შევიდა.

აი, პირველი სახელები, და... პირველი გამოცანები.

თავის მემკვიდრეთ მოძღვრავს ვლადიმერ მონომახი — ეზრუნველი განმგებელი და მამაცი მეომარი, მწიგნობარი და პოეტი.

„პატივი ეცი მოხუცს, როგორც მამას, ახალგაზრდას კი — როგორც ძმას. სახლში ნუ იზარმაცებთ, ყველაფერზე თვალი

გეშიროთ... ომში თვითონ უნდა ივარგოთ... მარტო ვოევოდას იმედი ნუ გექნებათ; გუშაგები თვითონ განაწესეთ და ღამით, როცა მათ ყველა მხარეს დააყენებთ, მეომრების გვერდით დაწექით. დილას ადრე ადექით; იარაღს სიჩქარით ნუ აიყრით, მანამ ნუ დაიზარებთ და ირგვლივ მიმოიხედეთ, ადამიანი წუთითაა. ერიდეთ ტყუილის თქმას, ლოთობას, მრუშობას... ცოლი გიყვარდეთ, მაგრამ თავზე ნუ დაისვამთ... რაც კარგად იცით, ეცადეთ არ დაივიწყოთ, რაც არ იცით — ისწავლეთ, როგორც მამაჩემმა — სახლს მიჯაჭვულმა ხუთი ენა რომ ისწავლა და მთელი ქვეყნის პატივისცემა მოიმკო. სიზარმაცე ყველა ბოროტების დედაა: ვინც რა იცის, იმასაც დაავიწყებს, ვინც არაფერი იცის, თავის დღეში ვერც ისწავლის"...

მაგრამ უცნობია „იგორის ლაშქრობისა" და „რუსეთის ქვეყნის დალუპვის" ავტორებთა სახელები. დაიკარგა დიდი ბოიანის სიმღერები.

სოფონზე, „ზადონშჩინის" ავტორზე მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ იგი იერარქი იყო, წარმოშობით რიაზანელი.

ვინ დაწერა „თქმულება პეტრე და თებრონე მურომელებზე", „მოთხრობა დარდსა და ბოროტსვიანობაზე", „თქმულება საბა გრუდცინზე", „თქმულება ფროლ სკობეევზე", სამხედრო მოთხრობები?

ამ სახელების მიგნება დიახაც აღმოჩენა გახლავთ.

მიაგნო უცნობ მოთხრობას — ეს ნიშნავს, რომ ლიტერატურის ათასწლოვან საგანძურს კიდევ ერთი მარგალიტი შემატო.

ვლადიმერ ივანოვიჩმა „რუსული მიწის აღსასრულის" ხელნაწერის მეორე პირი იპოვა და მაშინვე შეწყდა მითქმა-მოთქმა, თითქოს ეს ნაწარმოები — ურომლისოდაც წარმოუდგენელია ჩვენი ძველი ლიტერატურა, ნაყალბევი ყოფილიყოს.

ჭორების მოყვარული ობივატელი, რომელმაც მეცნიერთა დავა-კამათი ყურმოკვრით თუ იცის, დროდადრო დღესაც გაიხსენებს, „იგორის ლაშქრობის ამბის" წარმომავლობა საეჭვოა, აკი მისი ერთადერთი ცნობილი ხელნაწერი პირი მოსკოვის 1812 წლის ხანძრის დროს დაიღუპაო. სიდიადე ხალხისა მის შორეულ თუ ახლო წარსულზეა დამყარებული. წაართვი მას ეს წარსული, კულტურა და ხელში შეგრჩება უზარმაზარი ჭრელი ბრბო, რომელიც უძლურია ააშენოს თავისი მომავალი,

რა მადლიერი დარჩებოდა ერი და ქვეყანა იმ ადამიანისა, რომელიც „იგორის ლაშქრობის ამბის“ კიდევ ერთ ხელნაწერ პირს იპოვიდა. აი, აქ წარმოგვიდგება მთელი სიდიადით ვ. ი. მალიშევის გატაცების აზრი, მალიშევისა, რომლის მიერ მოპოვებული თითოეული წიგნი ჩვენი ძველი კულტურის საფუძველს ადუღაბებდა.

ძველს ახალი მოსდევსო, უთქვამს ხალხს. ეს მშვენივრად ესმით იმათაც, ვინც ამზადებს და ახორციელებს კიდეც იდეოლოგიურ დივერსიებს; თესავს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას მორალის, ტრადიციების, კულტურის ძეგლების მიმართ, ცდილობს დანერგოს ვაჭრული, კაპიტალისტური ჩვევები, ვიწრო პრაქტიციზმი, ზიზღი სულიერი ფასეულობებისადმი. ხსოვნის ნიჭს მოკლებული ერი ავბედობის ჟამს ნაკლებ სიმტკიცეს იჩენს.

პატრიოტიზმის ცხოველი გრძნობა ბუნებრივად უნდა გამოვლინდეს; იგი დაფუძნებული უნდა იყოს იმ ღრმა ფესვების მარადიულობისა და სიმტკიცის ამაყ შეგნებაზე, რომელზეც ჩვენი თანამედროვე კულტურა აღმოცენდა.

აი, რატომ არის მნიშვნელოვანი დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ყოველივეს, რაც წინაპრებმა მემკვიდრეობით დაგვიტოვეს. ამიტომ იყო, რომ ვლადიმერ მალიშევი ყველა მოგზაურსა და უცხოობაში მყოფს მოწოდებით მიმართავდა: ყველა, ვინც სადმე ძველ რუსულ წიგნს იპოვის, მოვალეა ამის შესახებ აცნობოს მეცნიერებს, გადასცეს მათ თავისი მონაპოვარი, რომელიც შეიძლება ძვირფასი შენაძენი აღმოჩნდესო.

XI—XIV საუკუნეების არყის ხის ქერქის სიგელები გვამცნობენ, რომ ნოვგოროდის მკვიდრთაგან თითქმის ყველამ წერა-კითხვა იცოდა. ჩვენამდე მოაღწია ამავე პერიოდის ძველი რუსული დიადი ნაწარმოებების ხელნაწერმა პირებმა, მაგრამ ისინი თითებზეა ჩამოსათვლელი, ვინაიდან ჩვენს მიწაზე ძმათაშორისი ომების დამანგრეველი ცეცხლი ენთო, მრავალრიცხოვანი მტერი ჩვენს ქალაქებს მიწასთან ასწორებდა.

დღემდე მოღწეული რუსული ლიტერატურის ძველი ძეგლებიდან XI საუკუნეს მიეკუთვნება დაახლოებით ოცდაათი წიგნი, XII საუკუნეს — ორჯერ მეტი. მათგან უდიდესი ნაწილი დაკარგულია, მათ შორის X საუკუნის ნაწარმოებებიც.

ღრმა იდეურობა და პატრიოტული მოვალეობის გრძნობა

რუსული ლიტერატურისათვის ოდითგანვე იყო დამახასიათებელი. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს რუსულ მატიანეში, რომლის დასაწყისადაც ა. ა. შახმატოვი 1037—1039 წლებს მიიჩნევს. სწორედ მაშინ შედგა პირველი მატიანე — ძველი კიევის კრებული. მაგრამ უკვე თვითონ სიტყვა „კრებული" გულისხმობს უფრო ძველი ნაწარმოებების, დოკუმენტების, ლეგენდების ერთად შეკრებას. მაგალითად, ყამთააღმწერლებმა თავიანთ კრებულში შეიტანეს 907, 917, 945 და 971 წლებით დათარიღებული რუსებისა და ბერძნების მოლაპარაკების ტექსტები, თარგმნილი ნაწარმოებებიდან ამოკრებილი ადგილები.

წიგნის დიდ კულტურაზე მეტყველებს თუნდაც პირველი კრებულის შემდგენლის სიტყვები. იგი ამბობს, რომ წიგნი არის მდინარე, რომელიც სამყაროს წყურვილს უკლავს. იგი მარტო ლეგენდების სამყაროში კი არ ცხოვრობდა, არამედ წიგნების სამყაროშიც, რომელთა შორის, უდავოა, რუსულიც ბევრი იყო.

რუსული ლიტერატურა ჯერ კიდევ X საუკუნეში წარმოიშვაო, — წერს სახელმოხვეჭილი საბჭოთა მეცნიერი, აკადემიკოსი დ. ს. ლიხაჩოვი.

მეცნიერებს არაერთხელ გამოუთქვამთ მოსაზრება, რომ ყამთააღმწერლები, როცა რუსული სახელმწიფოს დაარსებაზე, ოლეგზე, იგორზე, ოლგასა და სვიატოსლავზე ლაპარაკობდნენ, წერილობით წყაროებად ჩვენს ძველ მოთხრობებს იყენებდნენ. კ. ნ. ბესტუჟევ-რიუმინი ტყუილად როდი წერდა, „გარდასულ წელთა ამბავი", ესაა არქივი, რომელშიც ინახება ჩვენი პირვანდელი ლიტერატურის დღესდღეობით დაკარგულ ნაწარმოებთა კვალიო.

საუკუნეებმა შთანთქა თვით ხსოვნაც სლავური დამწერლობის წარმოშობისა. ხანდახან საუკუნეთა წყებაში თუ გამოკრთება ხოლმე წინაპართა შორეული აზრის სხივი. X—XI საუკუნეების მიჯნაზე ბულგარელი ბერის ხრაბრის თქმით, კერპთაყვანისმცემელ რუსეთში „ხაზებითა და ჩუქურთმებით" წერდნენ. არაბი მწერალი იბნ-ნედიმი (X ს.) გვატყობინებს, რომ უნახავს რუსეთიდან გამოგზავნილი პატარა ფიცარი, რომელზეც ასოები ყოფილა ამოკვეთილი. ჰო, მართლა, „წმ. კირილეს პანონურ ცხოვრებაში" შეიძლება ამოვიკითხოთ, რომ კირილე დაახლოებით 850 წელს კორსუნში შეხვედრია კაცს,

რომელსაც „რუსული ანბანით დაწერილი სახარება და ფსალმუნი ჰქონია". სლავური ანბანის ერთ-ერთმა მომავალმა შემქმნელმა ამ წიგნების კითხვა მალე ისწავლა. ეგებ კირილესა და მეთოდეს მიერ შექმნილ ანბანს საფუძვლად, ბერძნულთან ერთად, ძველი რუსული დამწერლობაც დაედო?

ქვემო დონზე პოულობენ ქვებსა და ფიალებზე გაკეთებულ VIII—X საუკუნეების წარწერებს, ისინი შესრულებულია კირილიცასა და გლაგოლიცას ასოების მსგავსი ნიშნებით. იმოწმებენ ირანელ ისტორიკოსს ფახრ ად-დინ მუბარაქ-შაჰ მარვარუდისაც, რომელიც აღნიშნავდა, ხაზარების დამწერლობა „რუსული წარმოშობისაა".

აი ერთი განსაცვიფრებელი ცნობაც: „ჯერ კიდევ რომაულ, ბერძნულ და ჰიპოტეტურ-კელტურ დამწერლობამდე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ყოფილა ნაკლებგამოკვლეული დამწერლობა, რომლიდანაც ლენინგრადელ პროფესორს გ. ფ. ტურჩანინოვს, ცნობილი ავსტრიელი სემიტოლოგის ა. ირკუს კვალდაკვალ ფინიკიური ანბანი გამოუყვანია. ფინიკიელებიდან კი, ამ ინდოევროპული „ზღვის ხალხის" შთამომავალთაგან, დასაბამს იღებს დამწერლობის ძველი ებრაული, ძველი ბერძნული და სხვა სისტემები.

ეს ცნობა დაკავშირებულია არყის ხის ოცდათხუთმეტ პატარა დაფაზე „ხაზებითა და ჩუქურთმებით" დაწერილი „ვლესოვის წიგნის" ხელახლა შესწავლასთან. წიგნის შინაარსი იმდენად უჩვეულოა, რომ ის არ თავსდება სლავური დამწერლობის სიძველის შესახებ არსებულ წარმოდგენაში და ამიტომ გახდა არა მარტო მეცნიერული დავა-კამათის საგანი, ზოგჯერ მისტიფიკაციის ბრალდების საბაბიც. იქიდან, რაც ჯერჯერობით „ვლესოვის წიგნშია" გარკვეული, ჩვენ ვგებულობთ, რომ რუსები — „დოქდბოგის შვილიშვილები" არიან, ვგებულობთ მამამთავრებზე — ორსა და ბოგუშირზე, სლავი ტომების გადაადგილებებსა და ბრძოლებზე.

ბევრ რამეს იქიდან, რაც არიელებზე ვიცით, ევროპის აღმოსავლეთში თავიანთი პირველი სამშობლო რომ მიატოვეს და ჩვენს ერამდე II ათასწლეულის დასაწყისში ინდოეთისაკენ დაიძრნენ, ნათლად მოგვაგონებს არა მარტო მათი და სლავების მატერიალური კულტურის, წარმართთა მითოლოგიის,

ღმერთების სახელებისა და ძირითადი საგნების დასახელებათა მსგავსება, არამედ ხის პატარა დაფების შინაარსიც.

სხვათა შორის, ურიგო არ იქნებოდა იმის გახსენებაც, რომ „იგორის ლაშქრობის ამბავში" ლაპარაკია, „როგორ გაიტაცა ხეზე ოცნებამ" ბოიანი. ჩვეულებრივ შენიშვნებში ეს ადგილი ასეა განმარტებული — ხე მეტაფორულია და გადატანითი აზრით იხმარებაო. მაგრამ სრულიადაც არ არის გამორიცხული ნათქვამის პირდაპირ გაგება — აზრის გადმოცემა ხის პატარა ფიცრებზე.

იმაზე, რაც ვლადიმერ ივანოვიჩმა და დამწერლობის ძეგლების სხვა მაძიებლებმა მოიპოვეს, ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო. კიდევ მოგველის აღმოჩენები, რომლებიც გააფართოებენ ჩვენს წარმოდგენას რუსული კულტურის სიძველესა და სიდიადეზე.

ვლადიმერ ივანოვიჩის მონაპოვართა შორის იყო მოთხრობა კიეველ გოლიათ სუხანზე, და, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება მისი შინაარსის გადმოცემა.

26

დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახის დროს ქალაქ კიევში ცხოვრობდა მოხუცი გოლიათი სუხანი. იგი ოთხმოცდაათს იყო გადაცილებული, უყვარდა ქეიფი და შევარდნებით ნადირობა. ეს საქმე სიბერემდე არ მოუშლია. ამიტომაც არ ჰყავდა პატივში მთავარს. ხელმწიფის სამსახურში ამიტომ არ მდგარა.

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღესასწაულზე სუხანი წითელი სონღულით წავიდა. ჯერ სლავუტიჩის ჩქარ დნეპრამდეც არ მიეღწია, რომ პატარა ყურეში გედების დიდ გუნდს წააწყდა.

გოლიათს გაუკვირდა.

„ამ პატარა ყურეში არც გედები შემხვედრია და არც იხვები, ახლა კი რამდენი გედია; ტყუილად არ მოიყრიდნენ აქ თავს, ერთი წავალ, ვნახავ რა ხდება სლავუტიჩის დნეპრზეო".

დნეპრი ყვითელ ქვიშას აემღვრია.

სუხანი გაჩერდა და ჩაფიქრდა.

მდინარის გაღმა კი კაცი მოდის, შუბზე გამობმულ დროშას მოათრევს და ხმამაღლა გაიძახის:

— ეი შენ, სუხან დამანტიევიჩო! კიევში სახელიანი კაცი ხარ, გოლიათო, და აქამდე არ იცი, რომ მეცხრე დღეა ჩქარ დნეპრზე მეფე აზბუკ ტოვრუევიჩი გადადის, მას თან სამოცდაათი უფლისწული ახლავს, თითო უფლისწულს ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ პოლკებში სამოცდათორმეტ-სამოცდათორმეტი ათასი კაცი ჰყავს, სადარაჯო პოლკში კი რამდენი ძალმარია, დათვლა ვეღარ მოვასწარი. დიდძალი ხალხი ახლავს აზბუკს, უთვალავი...

ეს თქვა იმ კაცმა და იქაურობას გაეცალა.

სუხანი გაჩერდა. დანაღვლიანდა, მკლავიდან სონღული ააფრინა, თათმანი მიწაზე დააგდო. სონღულით თავის გასართობად აღარ ეცალა სუხანს, ხელშწიფეს საშსახური სჭირდებოდა.

„ახია ჩემზე, ასე უბრალოდ რომ გამოვედი, არც მშვილდისარი მაქვს თან, არც ხმალი, არც არავითარი იარაღი. კიევში უნდა წავიდე იარაღისათვის, კიეველ დევ-გმირებს მოვეხმარო, თორემ სიბერეში სახელი გამიტყდება“.

სუხანი მწვანე მუხნარში შევიდა. მაგარი ნორჩი მუხა ამოგლიჯა და ასე ფესვებიან-ტოტებიანად თან წაათრია.

როცა მწვანე მუხნარიდან გამოვიდა, ხედავს, მთებზე თეთრი ქვები კი არ ელავენ, არამედ პოლკების აბჯარ-აბგარს გაეკვს ლაპლაპი. იმოდენა ხალხია, სუხანი ვერც კი დათვლის...

იღრიალა დევგმირმა და მტერს დაერია. გოლიათის ხელში ნორჩ მუხას ზუზუნი გაჰქონდა. დაილეწა შუბის ტარები, ნაფოტივით ცვიოდა თათრების ფარები, მიწაზე გორავდა მუზარადებიანი თავები.

მაშინ თათართა ურდომ ციხესიმაგრის ნაცვლად საზიდრებით კედელი აღმართა.

და თქვა სუხან დამანტიევიჩმა:

— თათართაგან ვინც რუსეთში არ ყოფილა, სუხანს არ იცნობს. მაგრამ ურდოში თავიანთი ამხანაგებისაგან ყმაწვილობიდანვე ალბათ გაგონილი ექნებათ ჩემი სახელი. დღესაც კი, თუ ციხესიმაგრე არ აღმიმართეს წინ, ჩემთან ბრძოლა არ შეუძლიათ.

ჰკრა რკინის დეზები სუხანმა თავის ბედაურს, ცხენი ურდოს საზიდრებს თავს გადაეკვლო და თათრების ციხესიმაგრის შუაგულში ჩახტა.

სუხანი მუხით დაერია თათრებს და აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტა.

საითაც არ მოტრიალდა სუხანი, ყველგან თათრები ეყარა, როგორც ცეცხლში — შეშა.

ამოწყვიტა თათრები, სლავუტიჩის ჩქარი დნეპრის ნაპირზე გავიდა და დაიყვირა:

— მეფე აბზუკ ტოვრუევიჩ! ცოტა ხანს მანდ დამელოდე. კიევიდან მეფისა და ბრწყინვალე მთავრის ვლადიმირისაგან დიდი ძღვენი უნდა მოგართვა — შენ და შენს მთავრებსა და თათრებს, მურზებსა და ულანებს, არც ერთს გულს არ დაგწყვეტთ. ახია ჩემზე, ასე უიარაღოდ რომ გამოვედი. მუხას ფესვები შემოელეწა. ხელში მარტო ნამტვრევიღა შემრჩა.

თქვა ესა და ჩქარ დნეპრში შეცურა.

მეფე აზბუკმა, რა ნახა, სიკვდილი არ აცდებოდა, ბრძანა, ძელ-ქვით სასწრაფოდ გაეტენათ სამი სატყორცნი იარაღი.

სუხანმა ჩქარი დნეპრი გადაცურა და თავისი მუხის კომბლით ნაპირზე ასვლა ვერ მოასწრო, რომ თათრებმა ერთი ძელ-ქვა სტყორცნეს, მაგრამ ვერ მოარტყეს, ესროლეს მეორე, ვერც ის მოარტყეს, ესროლეს მესამე და შიგ გულში მოახვედრეს — დევგმირს დევგმირული გულის ძარღვი გადაუჭრეს.

მაგრამ გოლიათს სასიკვდილო ჭრილობა არც გახსენებია — მტერს დაერია და სულ გაწყვიტა თათრები, შემდეგ კი ქალაქს მიაშურა...

ხელმწიფემ სასიკვდილოდ დაჭრილი სუხანი რომ ნახა, თავისი ხალხი ექიმებთან აფრინა. ბრძანა სოფიის ტაძარში სუხანის გამოსაჯანმრთელებლად პარაკლისი გადაეხადათ.

მეფე სუხანს უთვალავ წყალობას დაჰპირდა.

— სუხანუშკო, შენი დიდი სამსახურის წილ რამდენი ქალაქიცა და მამულიც გინდა, იმდენი მიბოძებია.

სუხანმა მეფეს თაყვანი სცა:

— არც ქალაქებს გთხოვ, მეფეო, და არც მამულებს. შენს ყურმოჭრილ ყმას, მეფევ ბატონო, წყალობა კი არ უნდა, არამედ შენდობა.

თქვა თავისი უკანასკნელი სიტყვა და სამუდამოდ დადუმდა.

ოქროს საყვირსა სცეს თუ სუხანის დედა ატირდა:

— სუხანუშკო, თუმცა ქეიფს გადაყოლილს გეძახდნენ, სმის მოყვარული იყავი, მაგრამ აი, რა საქმე ჩაიდინე! იმიტომ

კი არ დაგტირი, რომ სულამოსულს გხედავ, ვტირი იმიტომ, რომ მიხარის, ჭეშმარიტი გმირი ყოფილხარ, კაცად გამიზრდიხარ, სული ხელმწიფის სამსახურში დალიე.

და მან შვილი ქვის მღვიმეში გადაიტანა:

— განისვენე აქ, სუხანუშკო, საუკუნო ძილით.

27

არსებობს სუხანზე შექმნილი თქმულების მრავალი ვარიანტი. ეს კი მოთხრობა გახლდათ. მის კვალს ვლადიმერ ივანოვიჩმა ლენინგრადში მიაგნო და იგი პუშკინის სახლისთვის შეიძინა.

პატარა რვეული იყო, ასე თაბახის მერვედი თუ იქნებოდა, უამრავ ხელში გამოვლილ-გაზინთული, ფურცლებს შემოძენძილი გვერდები ფოჩებივით ეკიდა. წიგნი ერთი ხელით იყო ნაწერი, ჯერ წვრილად იწყებოდა, შემდეგ გაკრულში გადადიოდა. მქისე სქელ ფურცლებს ყვითელი ფერი დაჰკრავდა. წიგნზე ჰვირნიშნად მასხარას თავი იყო გამოსახული, რომელსაც დაბილულ საყელოზე ხუთი ეკვანი ეკიდა. ნაწერიდანაც ჩანდა, რომ რვეული XVII საუკუნეში იყო შევსებული.

როგორც ჩანს, მოთხრობას სამხედრო კაცი წერდა, მეფე ალექსანდრე მიხეილის ძის დროს. მაშინ რა შუაშია აქ ან ვლადიმერ მონომახი, ან კიეველი გოლიათი, ან თათრები. თუმცა თათრები ხომ რუსეთს მარტო XIII საუკუნეში არ არბევდნენ და წვავდნენ. ივანე მრისხანის დროს ყირიმელები ლამის მოსკოვამდე მოდიოდნენ. XVII საუკუნეშიც ორას ათასზე მეტი კაცი წაასხეს ტყვედ და ათობით ქალაქი მიწასთან გაასწორეს. მარტო „ალაპებში“ ტყვეების გამოხსნაში რუსეთის ხაზინამ მილიონ მანეთამდე გადაიხადა. ალბათ ამიტომ დაწერა ჯარისკაცმა ძველი ხალხური ბილინების მოტივებზე თავისი მოთხრობა. პატრიოტული სულისკვეთებით ანთებულმა ძველი ამბავი ახლებურად გაიაზრა და გამოვიდა ზღაპრული ლაშქრული მოთხრობა.

კარგი იყო ამ რვეულზე წიგნი დაეწერა, მაგრამ... ვლადიმერ ივანოვიჩს, რაც წლები ემატებოდა, მით უფრო უჭირდა წერა, ისე იტანჯებოდა, გეგონებოდათ, ქვას კოდავსო. „თითქოს წერა ადვილი საქმეაო, ორი თითი წერს, მაგრამ მთელი სხეული კი გტკივა“. ანდა რა მისი საქმეა წერა? დაე „მეპრობ-

ლემეებმა“ წერონ. დაე, ფიქრებით მოჰყვნენ აღმაფრენას, განაზოგადონ, იფანტაზიორონ კიდეც, არად ჩააგდონ სერიოზული მუშაობა არქეოგრაფიასა და პალეოგრაფიაში. მისი საქმე კი ხელნაწერი წიგნების შეგროვება და აღნუსხვაა. შინაგანმა გაღიზიანებამ და მეპრობლემეებზე ქილიკმა მძიმე ხასიათის კაცის სახელი დაუგდო. მასაც ესმოდა, რომ სწორი არ იყო. ყველას თავისი ნიჭი, თავისი საქმე აქვს. მაგრამ ხდება ხოლმე...

უფროსობასთან ვლადიმერ ივანოვიჩს რთული დამოკიდებულება ჰქონდა. ზოგს წლობით გაურბოდა, დერეფანში პირველსავე კარში შევარდებოდა ხოლმე, ოღონდაც მათ არ შეხვედროდა. რაშეს რომ შეეკითხებოდნენ, მოიღუშებოდა და რაღაცას გაუგებრად ბურტყუნებდა. თავის მონაპოვარზე ლაპარაკს ერიდებოდა.

ერთხელ დიმიტრი სერგეევიჩ ლიხაჩოვმა შეიტყო, რომ ვლადიმერ ივანოვიჩმა რაღაცას მიაკვლია, მაგრამ ამ სიახლეს არავის უმხელდა, ამბობდა, ჯერ თავად არ გავრკვეულვარო.

— გვიჩვენეთ, ბოლოს და ბოლოს, რა იპოვეთ ასეთი! — თავი ვეღარ შეიკავა ლიხაჩოვმა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა მოიტანა მოთხრობა სუხანზე.

მეორე დღეს დიმიტრი სერგეევიჩმა უთხრა:

— ვლადიმერ ივანოვიჩ, თქვენი ნაპოვნი მოთხრობა გუშინ წავიკითხე და მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. რა მაღალი პოეზიაა! თამამად შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ „თხზულებას კიევის გოლიათებზე“. რითი არ არის ახლა ეს სადისერტაციო თემა?

დისერტაცია ამ თემაზე ვლადიმერ ივანოვიჩმა შემდეგში დაწერა. წიგნიც გამოსცეს.

ჯერჯერობით კი თავისი სამსახურით უკმაყოფილო იყო. უკვე ექვსი წელი ილეოდა ინსტიტუტში მუშაობდა და ხელნაწერებისათვის მხოლოდ ორჯერ იყო მივლინებაში — ორმოცდაცხრაში პეჩორაზე, უსტ-ცილმაში, ხოლო ორმოცდაათში — მეზენში. ამასაც მივლინება ერქვა. ხელნაწერების შესაძენად ფული არ მისცეს, მაგრამ პირველი მივლინებიდან მაინც ჩამოიტანა ოცდათორმეტი წიგნი. მათ შორის XVI საუკუნის ხელნაწერებიც იყო. ზოგი თავისი ფულით იყიდა, ზოგიც ისე გამოსთხოვა ხალხს. კიდევ კარგი ქვეყანაზე კეთილი ადამიანები არსებობენ.

ვარვარა ანდრიანოვა-პერეტცმა, რომელმაც აკადემიკოსი ორლოვი შეცვალა, ვლადიმერ ივანოვიჩი ძველი რუსული ლიტერატურის სექტორის სწავლულ მდივნად გადაიყვანა და ყოველნაირად მფარველობდა. მაგრამ ამას რა აზრი ჰქონდა, როცა ფული არ იყო და თვით ვარვარა პავლოვნაც კი ვერ შოულობდა. დრო გადიოდა, წიგნები იკარგებოდა. ოცდაჩვიდმეტში, უსტ-ცილმაში პირველად ჩასულს ურჩიეს, წიგნების თაობაზე იქაური გლეხისთვის პეტრე გრიგორევიჩ ჩუპროვისთვის მიემართა. ჩუპროვმა — მაღალ-მაღალმა, განცდარმა, ჭაღარაწვერიანმა გლეხმა — ვლადიმერ ივანოვიჩი არც ისე თბილად მიიღო, დიდხანს აკვირდებოდა, უნდოდა კარგად გაეცნო. შემდეგ მასპინძელმა სკივრიდან ხელნაწერების დასტა ამოიღო. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ შორის იყო ათანასე ნიკიტინის „მოგზაურობა სამი ზღვის იქით". ხელნაწერს ფერადი მინიატურები ამკობდა. ერთ-ერთზე გამოსახული იყო რომელიღაც ინდური ქალაქი და ნწირი არგნით ხელში. ოღონდ მხატვარს ინდოეთის ქალაქები თავის დღეში არ ენახა და ამიტომ სტილიზებული ძველი რუსული ქალაქი გამოსვლოდა, რაც. კაცმა რომ თქვას, სწორიც იყო. ასეთი ნათესაობა არსებობს, იგი უძველესი დროიდან იღებს სათავეს, როცა არიელები ჩვენი მხრიდან ინდოეთისაკენ დაიძრნენ!

ბევრი ეხვეწა ვლადიმერ ივანოვიჩი მასპინძელს „მოგზაურობა სამი ზღვის იქით" დამითმეო, ფულსაც დაჰპირდა, ბუდეში ჩასმული დანა აძლია, მაგრამ ჩუპრინი უარზე იდგა... წიგნები სკივრში შეინახა და სტუმარს უთხრა:

— თვალი გეჭიროს ჩემზე... სიკვდილს რომ დავაპირებ, გიანდერძებ, ახლა კი ნუ დამძრახავ, მიჭირს მათთან განშორება.

ორმოცდაცხრაში ვლადიმერ ივანოვიჩმა პირველ ყოვლისა პეტრე გრიგორევიჩს მიაკითხა.

— სად არის „მოგზაურობა სამი ზღვის იქით?"

მასპინძელმა ხელები გაშალა.

— არ ვიცი. თვალი ვერ მიეადევნე. ვიღაცას ვათხოვე წასაკითხად, ოღონდ არ მახსოვს, ვის...

მოხუცმა ვერ გაიხსენა. ან რა გასაკვირია — ოთხმოცდაათს გადაცილებული გახლდათ. სამაგიეროდ სტუმარს მისცა მოთხრობები ახლო აღმოსავლეთში ტრიფონ კორობეინიკოვის მოგ-

ზაურობაზე და კიდევ კრებული, რომელშიც იყო მოთხრობა თემურ ლენგის სიკვდილზე.

ვლადიმერ ივანოვიჩი ქოხიდან ქოხში გადადიოდა და წიგნებს კითხულობდა. გვაქვსო, ეუბნებოდნენ და სუფთა, ნაბეჭდ წიგნებს უჩვენებდნენ, მაგრამ ის თხოულობდა, საკუჭნაოში შემიშვითო, სხვენზე ფარნით ადიოდა (შემდეგ მოწაფეებს ურჩევდა — უფარნოდ არსად წახვიდეთო) და ხელნაწერ წიგნებს პოულობდა...

ქოხის პატრონები გაოცებულნი შლიდნენ ხელებს.

— რა ჯანდაბად გინდათ ეს ჭუჭყიანი და დაფლეთილი წიგნები?..

ვლადიმერ ივანოვიჩი ფეხით დადიოდა ზამეჟნოეში, ორმოცდაათ კილომეტრს იქით, და სხვა სოფლებში. საერთოდ, ამ მოგზაურობას კვლევითი მიზანი ჰქონდა და აღმოჩნდა, რომ უსტ-ცილმის რაიონი ყველაზე მდიდარი იყო ძველი ხელნაწერებით. ზუსტად ასი წლის წინ პეჩორაზე, პიჟმასა და ცილმაში ეთნოგრაფმა სერგეი ვასილიევიჩ მაქსიმოვმა იმოგზაურა და გაოცებული დარჩა ამ მხარეში დამწერლობის ძველი ძეგლების დაუჯერებელი სიმდიდრით. ნახევარი საუკუნის შემდეგ კი ფოლკლორისტმა ონჩუკოვმა „ხელნაწერების თვალსაზრისით" ვერაფერი ღირსშესანიშნავი ვერ იპოვა და ამ დარგის მცოდნეთ აფრთხილებდა, მეცნიერულმა ილუზიებმა არ მოგატყუონო. მაგრამ მაქსიმოვი უფრო სწორი გამოდგა. ვლადიმერ ივანოვიჩმა ზამეჟნოეში წერა-კითხვის მცოდნე მეთევზე და მონადირე ტიმოთე მიანდინი გაიცნო, იგი იმდენად მოხუცი იყო, რომ თავის დროზე თურმე ონჩუკოვსაც ხვდებოდა და ბილინებს უმღეროდა.

ვლადიმერ ივანოვიჩს რამდენიმე წიგნი მიანდინმაც აჩუქა.

— ონჩუკოვს რატომ არაფერი უთხარით წიგნების თაობაზე, როცა გეწვიათ? — ჰკითხა მოხუცს ვლადიმერ ივანოვიჩმა.

— იცი რატომ, — უპასუხა მიანდინმა. — აი, შენ, უბრალოდ, თავმდაბლურად მოხვედი. წყნარი, პატივსაცემი კაცი ჩანხარ. ონჩუკოვი როგორღა მოვიდა? ბატონკაცურ ტანსაცმელში გამოწყობილი, ცხენებს თემის მამასახლისი უკაზმავდა. ბინად მღვდელთან გაჩერდა. მოხუცებიც, რა თქმა უნდა, განერიდნენ — განა კარგი კაცი მღვდელსა და მამასახლისს დაუწყებს ამფსონობას. წიგნები კი უფრო ძველი რწმენის ხალხს

აქეს. ჰოდა, ადგნენ და არ აჩვენეს. ბილინები რომ უმღერეს? მერე რა, რატომაც არ უნდა ემღერათ, ამით განა რა დააკლდებოდათ...

ვლადიმერ ივანოვიჩი ლენინგრადში ბრუნდებოდა და თან თავის უბის წიგნაკს ათვალიერებდა, რომელიც სავსე ჰქონდა ჩანაწერებით, მისამართებით, ვარაუდებით — კიდევ სად შეიძლებოდა წიგნები ყოფილიყო. უსტ-ცილმა ხელნაწერების ნამდვილი სამოთხე იყო, მაგრამ ამ სამოთხის კარის შეღება მხოლოდ კარგად მომზადებულ ექსპედიციებს თუ შეეძლოთ.

ვლადიმერ ივანოვიჩი ყველაზე მაღალ სფეროებში სერიოზული ლაპარაკისათვის ემზადებოდა. ისტორიის ფურცლებს უკირკიტებდა.

პეჩორა ჯერ კიდევ „გარდასულ წელთა ამბავში“ იყო ნახსენები. ნოვგოროდელი მეკობრეები „პეჩორის ხარკს“ აგროვებდნენ. დაახლოებით 1545 წელს ფხიანმა ნოვგოროდელმა ბაზიერმა ივაშკა დიმიტროვმა, რომელსაც მეტსახელად ლასტკას ეძახდნენ, თავის სეხნიას ივანე მრისხანეს პეჩორის მიწაზე დაბის დაარსების სიგელი გამოსთხოვა. ივაშკას უფლება ეძლეოდა „ამიერიდან ამ ტყეში ეცხოვრა, სახლი აეშენებინა, ხალხი შეეგროვებინა და დაესახლებინა“. მასვე მიენიჭა უფლება თავისი ხალხის „განსჯის და მართვისა“, ამისათვის მისგან „მეფისა და დიდი მთავრისათვის“ საზღაურად ღალას მოითხოვდნენ — წელიწადში ერთ სონღულს ან ფულად ერთ მანეთს.

ღალა არსებითად სიმბოლური იყო და ლასტკას ახალ მიწაზე სხვა ნოვგოროდელებიც გაჰყვნენ. მალე მათ ცილმისა და პეჩორის შესართავის ახლოს ნიკოლოზ სასწაულმოქმედის ეკლესია ააგეს, ქოხები აიშენეს, ეზოს უკან პური დათესეს. მაგრამ რასაც თესავდნენ, ყინვა ანადგურებდა. მხოლოდ საქონლისათვის ჰქონდათ თავსაყრელი ბალახი, რომელსაც მთელი დღეები ჩრდილოეთის მზე დაჰყურებდა და ამიტომაც იზრდებოდა მაღალი და ხშირი. დიდი შეღავათი იყო მდინარე პეჩორაზე თევზჭერა და მებადურეობა. „იმ ბადეებით წითელ ორაგულს იჭერენ, მდინარეებში კი — თეთრს, თახვებს ხოცავენ“. რუსი კაცი არსად დაიკარგება, ოღონდაც თავისუფლება მიეცი...

ნოვგოროდელებმა პეჩორის სანაპიროზე თაეიანთი ზნე-ჩვეულებები და სიმღერები ჩამოიტანეს. უსტ-ცილმელები დღე-

საც ქუჩებში ფერად-ფერად სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილნი იკრიბებიან და ზეიმებს აწყობენ — გუნდები გამოჰყავთ, ძველ სიმღერებს მღერიან, საუკუნეობით დაკანონებულ „წარმოდგენებს“ მართავენ... იმ სიმღერებში ერთმანეთს „ბოიარებს“ უწოდებენ. წამდაუწუმ ისმის ნოვგოროდის ქება-დიდება, იხსენებენ ნოვგოროდის ქუჩებს და ძველთაძველ ამბებსაც კი, დღეს თვით ნოვგოროდშიც რომ აღარავის ახსოვს. უსტ-ცილმის გარშემო ნელ-ნელა სოფლები გაჩნდა, პეტრეს დროიდან მოკიდებული აქეთ გამორბოდნენ სტაროობრიადელები. მივარდნილი ადგილი იყო და სავანისათვის მოსახერხებელი. მდიდარმა სტაროობრიადელებმა სოფლებშიც ფეხქვეშ მოიგდეს გლეხები, თავიანთ წესებს ახვევდნენ თავს, მღვდლებისა და მამასახლისების მოსყიდვას ახერხებდნენ.

ძველი წიგნები თან ალბათ ჯერ კიდევ ივაშკა დმიტროვმა ჩამოიტანა. აქ წიგნებს ტოვებდნენ მსახურეულნი და გადმოსახლებულნი. პუსტოზერსკში დიდი ბიბლიოთეკა იყო, მაგრამ სადღაა წიგნები, სოფლებში გაიფანტა. სტაროობრიადელებს ჩამოჰქონდათ ნიკონამდელი, როგორც აქ ამბობდნენ „ოდინდელი“ ბევრი ხელნაწერი. პინეგაში ნიკოლსკის ბაზრობაზე თევზს რომ წაიღებდნენ, იქ ყიდულობდნენ ჩუმ-ჩუმად ძველ ხელნაწერებს, თვითონ წერდნენ პოლემიკურ თხზულებებს „ნიკონელთა“ და თამბაქოს წევის წინააღმდეგ, უმღვდლობისა და უქორწინობის დასაცავად... უთუოდ ბევრი წიგნი უნდა იყოს სოფელ ომელინში, ცილმის სავანის ადგილზე რომ აშენდა; ეს სავანე გასული საუკუნის შუა წლებში დაკეტეს. სავანეში ბევრი ძველი წიგნი გადაიწერა, მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩს ომელინამდე ჯერ არ მიულწევია.

წერა-კითხვის მცოდნენი პეჩორაზე ძველ დროშიც მრავლად იყვნენ. ბევრი თვითონ ახერხებდა წიგნების გადაწერას და ბიბლიოთეკებს ადგენდა. მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვდათ ივანე მიანდინი, გასული საუკუნის მიწურულს რომ მიიცვალა.

— მთლად ჭაღარა იყო, თვალთაც აკლდა, მაგრამ ჯანმრთელი გახლდათ. ლამაზად წერდა. მამამისი თავის დროზე სუვოროვის ჯარისკაცი ყოფილა. ოთხი ჯვარი მიუციათ ჯილდოდ. ივანე ენას უკიდებდა, მაგრამ სიმღერას რომ წამოიწყებდა, უკეთესს ვერაფერს მოისმენდა კაცი. მარტო ძველი წერა-კითხვა კი არ იცოდა, საერო წიგნებსაც კითხულობდა, ჟურნალებს

იწერდა. მთელ პეჩორაზე ნასწავლი კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი...

ვლადიმერ ივანოვიჩმა ვიგელი უწლოვანი გოგონები გაიხსენა, მონურად რომ ამუშავებდნენ და იკითხა, პეჩორაზე ქალები რატომ არ იყვნენ გატაცებულნი წიგნების გადაწერითო...

— ეს დედაკაცის საქმე არ არის! — მიუგეს მას.

გადამწერები დიდ პატივში იყვნენ. მათ თანდათან თავიანთი ხელიც კი შექმნეს — „პეჩორული ნახევრადმთავრული". მუშაობდნენ ჩვეულებრივად, ქაღალდი მაგიდაზე კი არ ედოთ, არამედ მუხლებზე — ასე უფრო „ეხერხებოდათ". წერდნენ სოღოს და როპოს ფრთით. ჭვარტლისაგან დამზადებულ მელანში „სიმაგრისათვის" ლარიქსის გოგირდს ურევდნენ. ვლადიმერ ივანოვიჩმა გადამწერების სია შეადგინა, ერთმანეთისაგან მათ უკვე ხელით არჩევდა. აოცებდა ის, თუ როგორ ინახავდნენ ბლეხები უძველეს წინაპართა ხსოვნას, მათი სახელებიც კი იცოდნენ.

— პეჩორელი მეთევზეები ტახტის აზნაურებივით დიდგვაროვანნი არიან, — იტყვის ის შემდგომ.

ორმოცდაცხრა წელში მიელინებიდან ოცდათორმეტი წიგნი ჩამოიტანა და გამოაცხადა — ამ წიგნებით ეყრება საფუძველი პუშკინის სახლის წიგნთსაცავსო. პეჩორაზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ სამი წელი გავიდა და იქ წასასვლელ ფულს ვერ ეღირსა. რაღაც მანქანებით ახერხებდა თვითონ ლენინგრადში ჩაეტარებინა დიდი არქეოგრაფიული მუშაობა, ძველ ხელნაწერებს პოულობდა, დიდი ხვეწნა-მუდარით გამოითხოვდა და ამ ხელნაწერებით ინსტიტუტის საცავს ავსებდა.

ვლადიმერ ივანოვიჩს მომადლებული ჰქონდა იშვიათი ნიჭი — დაეყოლიებინა ადამიანები შელეოდნენ სათუთად შენახულ ხელნაწერსა თუ წერილს. ამით ხშირად სარგებლობდნენ განყოფილებათა მეცნიერ-მუშაკები, რომლებიც არც ისე დიდი ჩნის წინანდელ ლიტერატურაზე მუშაობდნენ. ვთქვათ, ვინმე მოხუც ქალს ზარდახშაში უწყვია დედის სახსოვარი წერილები — მიმოწერა XIX საუკუნის შუა ხანების რომელიმე რუს გენიოსთან. ლიტერატურათმცოდნენი წლობით სთხოვენ ამ წერილებს, მაგრამ მოხუცი კატივით მაგარია. ისინი მაშინ მალიშევს მიმართავენ, დაგვეხმარეო. ვლადიმერ ივანოვიჩი მოხუცს ესტუმრება, მასთან ერთად მიირთმევს ჩაის, დარბაისლურ საუ-

ბარს გაუბამს მთისა და ბარის ამბებზე და ერთი-ორი საათის შემდეგ წერილს თავის საველე ჩანთაში ინახავს, ჯერ კიდევ თვალცრემლიანი მოხუცი კი მის ლოცვა-კურთხევაშია.

ახალი საცავის შექმნის ამბავს რომ გაიგებდნენ, ვლადიმერ ივანოვიჩს ბევრი აძლევდა ძველ წიგნებს საჩუქრად. ვინმე სიქტივკარელმა ზიკინმა ორმოცი წიგნი გამოუგზავნა. თავისი ღარიბული ჯამაგირიდანაც ყიდულობდა, რამდენის ყიდვაც შეეძლო...

ჯანყი მწიფდებოდა. ვლადიმერ ივანოვიჩს შეეძლო საზოგადოებრივი აზრი შეექმნა და გაეღვივებინა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მის სისხლხორცეულ მეცნიერულ ინტერესებს ეხებოდა. მან ხელმძღვანელობა ნამუსზე შეაგდო, უამრავი წერილი დაგზავნა, მწერლებისა და მეცნიერების მხარდაჭერას ეძებდა. რა თქმა უნდა, ერჩია კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაეჭრა, ესე იგი, ხელმძღვანელობისათვის აზრი თანდათან, შეუმჩნევლად ჩაეგონებინა, რათა მათ ეს აზრი თავისად ჩაეთვალათ და მისდა შესატყვისად ემოქმედათ. მაგრამ საქმე ვერ აეწყო და ამან ვლადიმერ ივანოვიჩი გააცეცხლა.

იგი უწინაც ბევრჯერ გამხდარა იძულებული ხელში კალამი აეღო და მრისხანე სტატიები დაეწერა. ინსტიტუტში მოსვლის პირველსავე წელს ვიგის მხარეს გაემგზავრა, სოფელ დანილოვოში, რომელიც ანდრია დენისოვმა დააარსა. იქ, ერთ ძველ, ლამაზ სახლში საღორე მოეწყოთ და როცა ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ მის გულისწყრომაზე ყურიც არ შეიბერტყა, ვლადიმერ ივანოვიჩმა ლენინგრადის გაზეთში გამანადგურებელი წერილი გამოაქვეყნა, წერილი ასე მთავრდებოდა: „ეს ერთადერთი შემთხვევა არ გახლავთ, როცა ასე უდიერად ეპყრობიან ძველი ძეგლების დაცვას“.

მწერალ ალექსი იუგოვთან ერთად ვლადიმერ ივანოვიჩმა „იზვესტიაში“ გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც ცნობილ ფსკოვის „პაგანკინების პალატებს“ იცავდა.

მაგრამ ერთია აღშფოთდე ნაკლებად ცნობილ, ერთგვარ აბსტრაქტულ ადამიანთა დაუდევრობის გამო და მეორეა აშკარად გაილაშქრო შენი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ეს იგივეა, რომ, როგორც არმიაში ამბობენ, ფურთხებას მოჰყვე პირქარის დროსო.

არა, მე არ აღვწერ იმ ფიქრებს, გონებას რომ უფორიაქებ-

და ვლადიმერ ივანოვიჩს, არც მის მოსაზრებებს მოვიყვან, მთელი მისი ცხოვრებითა და მწარე გამოცდილებით რომ იყო ნაკარნახევი. გადმოგცემთ მხოლოდ დედააზრს მისი სტატიისა, რომელიც „ლიტერატურნაია გაზეტაში" დაიბეჭდა 1952 წლის 17 ივლისს:

„მოსახლეობაში ხელნაწერი მასალების შეგროვების საქმეს დაუდევრად ეჭცევა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის (პუშკინის სახლის) დირექციაც. მიუხედავად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების ბიუროს მითითებისა ხელნაწერთა ძიების ორგანიზების შესახებ, პუშკინის სახლის დირექციას წლების მანძილზე ხარჯთაღრიცხვაში არ შეაქვს არქეოგრაფიული ექსპედიციები"...

28

— ბოროტებას ათასი სახე აქვს და მილიონი გამოვლინება გააჩნია. ერთ-ერთი თავისი იპოსტასით მას სძულს ხალხების წარსული. იგი ცდილობს დაამახინჯოს ან გააჩუმოს ისტორია— ცხოვრების მოძღვარი. თუ ფესვები დამალა, ბოროტება შემთხვევითი სარეველა გეგონებათ. თავისი საქმე რომ უფრო მოხერხებულად გააკეთოს, იგი თავს ისე გაჩვენებთ, თითქოს სარგებლობის მოტანა შეუძლია. ფესვებს მოწყვეტილი სიკეთე კი უძლურია. მაშ რატომ ვერ ზეიმობს ბოროტება საბოლოო გამარჯვებას მთელ დედამიწის ზურგზე? რატომ არ იკვრება ბოროტების წრე, რომელსაც ზოგჯერ სიმბოლურად გამოხატავენ გველის სახით, თავისი კუდი პირით რომ უჭირავს? იმიტომ, რომ ნებისმიერი კეთილი თაოსნობა შლის ბოროტების წრეს, გლეჯს დუხჭირი გონების მიერ დაგებულ მზაკვრულ ხლართებს. ჯი, რატომ ისწრაფვის ბოროტება დასაჯოს ნებისმიერი კეთილი თაოსნობა. მას საოცრად ეშინია ისტორიული ცოდნის ფართოდ გავრცელებისა. ბოროტებას ჩვენი სიზარმაცეც უწყობს ხელს. ჩვენ ზარმაცები და არაცნობისმოყვარენი ვართო, ამბობდა პუშკინი. იცით, კიდევ რა წავიკითხე ამ ცოტა ხნის წინ ერთ ძველ გლეხურ თხზულებაში? „და კიდევ, ვინც ბევრის ცოდნას ისურვებს, ბევრი ძილი არ მართებს, რათა ჭკუაგონება მუდამ მხნედ ჰქონდეს".

ხანდახან ვლადიმერ ივანოვიჩი მჭევრმეტყველი ხდებოდა და მაღალფარდოვან ლაპარაკსაც არ თაკილობდა. ეს მსჯელობა ცოტა მოგვიანებით მოვისმინე, მაგრამ ის საკუთარი ასახავდა იმ ორმოცდათორმეტი წლის აზრსაც, როცა მისი აღშფოთების მხარდასაჭერად წერილების ზვავი წამოვიდა. ამ წერილებმა სამუდამოდ დაასამარა ცდა იმისა, რომ ვლადიმერ ივანოვიჩი წვრილმან გამომძალველად წარმოედგინათ. გავიდა კიდევ ორი წელი, სანამ ის ყოველწლიური ექსპედიციის მოსაწყობად ფულს მიიღებდა. საქმე მუშტი-კრივამდე მიდიოდა... არა, მე ეს სულაც არ მიმაჩნია სამეცნიერო-ფინანსური საქმეების მოგვარების საუკეთესო ხერხად. მაგრამ რა საოცარი შეუპოვრობაა, არა?

ახლა უკვე წელი არ გავიდოდა, რომ ექსპედიცია არ ჩატარებულიყო. „მის მონაპოვართა ნუსხა დიდი და ბრწყინვალეა", — წერდა ვლადიმერ ივანოვიჩის ერთ-ერთი მოწაფე, დღეს მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე პანჩენკო. გეოგრაფიულ დასახელებათა ნუსხა მოგზაურობის მოყვარულებს შურით აღავსებს. მაგრამ ყველაზე უფრო ვლადიმერ ივანოვიჩს პეჩორაზე მოგზაურობა იტაცებდა, იმ ადგილებში, სადაც მას ყვითელი ცილმა და ანკარა პიქმა ერთვის. იქ სახლის გარშემო მიწაყრილზე მჯდარ რომელიმე მოხუცს აუცილებლად აიყოლიებდა საუბარში.

— დიდედა, თქვენმა წინაპრებმა ცილმაზე ოდესღაც როგორ მოაღწიეს? ცულებითა და წიგნებით? ახლა ამ წიგნებს ვინ შეინახავს? ახალგაზრდობა ხომ სხვა წიგნებს კითხულობს. ისინი თვითმფრინავებს მართავენ, ტექნიკით არიან გატაცებულნი. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს და რომ მოკვდები, ბიქები წიგნებს დაგლეჯენ ან ღუმელში შეყრიან. უსტ-ცილმაში უკვე მაკულატურად აბარებენ. ასე ვიპოვე ერთი კარგი ძველი ხელნაწერი. სლავურ წიგნებში ბევრი სასარგებლო რამ წერია, ესეც არ იყოს, არიან ადამიანები, რომლებსაც სჭირდება ეს წიგნები. ჩვენთან მინის ვიტრინებში ინახავენ, კითხვისას თითებით კი არ ფურცლავენ, არამედ საგანგებო ჩხირით. ჩვენ ამ წიგნებს ვკითხულობთ, რაღაც-რაღაცებს ვიწერთ, ზოგიერთს ვბეჭდავთ ხოლმე.

მოხუცი, სანამ წიგნს მისცემდეს, ჯერ ხელებს დააბანინებს. მერე კი გულაჩვილებული ყველას ეუბნება:

— ვლადიმერ ივანოვიჩმა ყველა სლავური წიგნი ჩვენს მოძღვარსე უკეთესად იცის...

რა იცოდა მოხუცმა, რომ მარტო ვლადიმერ ივანოვიჩი კი არა, მისი მოწაფეებიც ყველაფერს უმალ უღებდნენ ალღოს. თავის მოწაფეებს იგი დაუხოგველად წერთნიდა — რომელიც პირველად მოხვდებოდა ხელში, იმ ხელნაწერს გადაშლიდა, ალალბედზე რომელიმე გვერდს უჩვენებდა ახალგაზრდას, შემდეგ დახურავდა და მოსთხოვდა — „დამითარიღე". პასუხსაც უმალ იღებდა: „მეთექვსმეტე საუკუნის შუა ხანები"... ახლა შეიძლებოდა შემოწმება ჰვირნიშნებით, ქაღალდის ნიმუშით და ხელით. ხელნაწერზე თვალის ერთი გადავლების შემდეგ ნათქვამი პასუხი ყოველთვის სწორი გამოდიოდა. ეს ფოკუსსა და სასწაულს ჰგავდა. ფოკუსს იმიტომ, რომ ეფექტური იყო და სასწაულს იმიტომ, რომ მოპასუხეთაგანს არც ერთს არ შეეძლო უცებ ეთქვა, რატომ მიაკუთვნა ხელნაწერი მეთექვსმეტე საუკუნის შუა პერიოდს და, ვთქვათ, არა მეჩვიდმეტე საუკუნისას. ინტუიცია! თუმცაღა მას უკან იმალებოდა ისტორიის ზედმიწევნით ცოდნა, ათასობით წაკითხული ხელნაწერი, ჩვევა...

ვლადიმერ ივანოვიჩი მოწაფეებს სიკეთესა და სიმამაცეს ასწავლიდა. მოწაფეები თავიდანვე შემგროვებლის საიდუმლოებებს ეკითხებოდნენ, მაგრამ არავითარი საიდუმლოება არ არსებობდა. უთავბოლო ფაციფუცი არა სჩვეოდა. ადამიანებისადმი მუდამ კეთილად იყო განწყობილი. პირფერობის გარეშე უმეგობრდებოდა ყველას. გლეხები მას ლენინგრადში გულუბრყვილო, საფუძვლიან, მგრძნობიარე წერილებს სწერდნენ. ისიც ყოველთვის პასუხობდა, სახელები თავის დღეში არ აერეოდა და თავისი ნაცნობების საქმეები სერიოზულად აინტერესებდა. პეჩორაზე ამბობდნენ ხოლმე, ვლადიმერ ივანოვიჩიც აქაურიაო, მით უმეტეს რომ მალიშევები მდინარისპირა სოფლებში ბევრნი იყვნენ. ხელცარიელი არასოდეს ჩავიდოდა — ვის მუშამბას ჩაუტანდა, ვის — წამალს, ვის — კალოშებს, ბავშვებისთვის ჯიბეები მუდამ სავსე ჰქონდა კანფეტებით.

ერთ ყოფილ სავანესთან მისასვლელი გზა არ იყო და ვლადიმერ ივანოვიჩი სერიოზულად სთხოვდა უსტ-ცილმელ მფრინავებს, მე და პანჩენკო პარაშუტით გადაგვსხითო, რათა მერე,

საქმეს რომ მორჩებოდნენ, მდინარემდე მისულიყვნენ და დინებას გაჰყოლოდნენ.

— საშა, პარაშუტით გადამხტარხარ როდესმე? — ჰკითხა ვლადიმერ ივანოვიჩმა პანჩენკოს.

— არა.

— არც მე გადავმხტარვარ, მაგრამ ეგ არაფერია... ვცადოთ.

ვლადიმერ ივანოვიჩმა მფრინავები დაითანხმა — გულითადი ხალხია და მხარი დაუჭირეს. მაგრამ მათმა ჭარმაგმა და ფრთხილმა უფროსმა მაინც იპოვა გამოსავალი. იგი რაციით გეოლოგიურ პარტიას დაუკავშირდა, რომელიც იმ რაიონში დახეტიალობდა. მალე გეოლოგებმა მთელი ყუთი წიგნები ტიკვით დააცურეს. ერთ-ერთი ძველი კრებული ლაზარეს ავტოგრაფი გამოდგა, იმ ლაზარესი, პუსტოზერსკში აბაკუმთან ერთად რომ დაწვეს. აქვე აღმოჩნდა მეფისა და პატრიარქისადმი გაგზავნილი არზები.

ზოგჯერ საწყენიც შეხვდებოდათ. კანახინელი ივანე ნოსოვი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა აბაკუმის ხელით დაწერილი წერილის ნაწყვეტს. ვლადიმერ ივანოვიჩს წლების მანძილზე ეჭირა თვალი ამ ავტოგრაფზე და ბოლოს ნოსოვი დაითანხმა ხელნაწერი დაეთმო. მალიშევი და პანჩენკო უკან ტაიგით, ცხენებით ბრუნდებოდნენ. გარშემო ჭაობი იყო, ცხენები შუხლებამდე ეფლობოდნენ ლიამპალში. პანჩენკო, რომელიც ასეთ მგზავრობას ჩვეული არ იყო, მალიშევს შეევედრა, ცოტა შეეისვენოთო. დაღლილ მგზავრებს მაშინვე ჩაეძინათ, ქინქლისა და ბუზანკალისგან გაბეზრებული ცხენები კი წიგნებით სავსე ტომრებიანად ტაიგაში გაიქცნენ. ცხენები რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს, მაგრამ წიგნები ვეღარ ნახეს. ეტყობა ცხენები ტაიგაში ხეტიალისას ზურგით ხეებს ეხახუნებოდნენ და ტომრები გადმოყარეს. წადი ახლა და ეძებე ტაიგაში! აბაკუმის ხელნაწერიანი ის საველე ჩანთაც სამუდამოდ დაიკარგა.

სოფლებში მოსახლეობა თანაუგრძნობდა მოგზაურებს, მერე კი ეს ბოროტი ხუმრობა ზატეი მიხეევს დააბრალეს, ჭლექიანსა და მემთვრალეს, იქაურ ხალხში ჯადოქრის სახელი რომ ჰქონდა გავარდნილი. ერთმა მოხუცმა საყვედურიც კი უთხრა პირში:

— უნდა იცოდე ვისთან იხუმრო!

ვლადიმერ ივანოვიჩმა კი პანჩენკოს ვერა და ვერ აპატია,

ეს შესვენება რამ მოაგონაო. მთელი ცხოვრება იხსენებდა, თითქმის ორი ათეული წელი, თუმცა უფრო ძვირფასი რამ ჩაუვარდა ხელში აბაკუმის მემკვიდრეობიდან...

20

ცხოვრებაში ზოგჯერ ყველაფერი ისე ჩაიხლართება, ძალიანაც რომ გინდოდეს, განგებ ვერ მოიგონებ კაცი.

ვლადიმერ ივანოვიჩის ჯანყს, მის გამარჯვებას, პუშკინის სახლის საცავის ასე სწრაფად შევსებას ხელნაწერებით — ყველაფერ ამას არ შეიძლებოდა არ გაეღიზიანებინა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „არაკეთილმოსურნენი". რას არ ლაპარაკობდნენ, და მაშინ ისევ ამოტივტივდა, რა ვითარებაში იქნა ნაპოვნი და გამოქვეყნებული „თქმულება რუსული მიწის აღსასრულზე".

არა, ხელნაწერის „ექსპროპრიაციისათვის" არავის გაუკიცხავს, მეტიც, როცა სახელი შორს გაუვარდა, როგორც ძველი ხელნაწერების შემგროვებელსა და მცველს, რიგის გრებენშჩიკოვის თემის მესვეურთ ეყოთ იუმორის გრძნობა, რომ პუშკინის სახლისთვის საჩუქრად გაეგზავნათ სწორედ ის კრებული, რომლიდანაც ვლადიმერ ივანოვიჩმა ამოგლიჯა „თქმულება აღსასრულზე" და „ალექსანდრე ნეველის ცხოვრება". ამით მათ მალიშევს აგრძნობინეს, ინციდენტი ამოწურულიაო.

ვლადიმერ ივანოვიჩმა უცხო ენები არ იცოდა და ამიტომ მაინცდამაინც გულმოდგინედ არ ადევნებდა თვალს საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალების პუბლიკაციებს, მაგრამ მას თავაზიანად აცნობეს, რომ სწორედ იმ წელს, როცა მან გამოაქვეყნა „თქმულება აღსასრულზე", საფრანგეთშიც გამოჩნდა მსგავსი პუბლიკაცია, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე მიშელ გორლინი. ამასთან დასძინეს, რომ გორლინმა — გენიალური „იგორის ლაშქრობის" „დამამხობლის" მაზონის მოწაფემ — სტატია 1940 წელს დაწერა, ხოლო 1942 წელს გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპაო.

ყველაფერი ეს მეტად უცნაური და გაუგებარი იყო. „საიდან გაჩნდა გორლინთან „აღსასრულის თქმულების" ტექსტი, როცა ის აგერ... ერთი ხელის გაწვდენაზე ედო? იქნებ ჯობდა ამის გამოძიებაზე ხელი ჩაექნია და თავისი საქმე განეგრძო...

მით უფრო, რომ მთელ მსოფლიოში სლავისტების ყველა კონგრესზე ხელნაწერის პირველ აღმომჩენად სწორედ ის, მალიშევი, იყო აღიარებული. ეს თავის რეცენზიაში აღნიშნა რუსული სიტყვიერების ამერიკელმა სპეციალისტმა რომან იაკობსონმაც. მას კი ხელეწიფებოდა ყველა საზღვარგარეთული პუბლიკაციისათვის მონდომებით ედევნებინა თვალი.

მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩს არ შეეძლო აეტანა, რომ მის მეცნიერულ რეპუტაციას რაიმე ჩრდილი მისდგომოდა. თვითონ იკისრა ამ საქმის გამოძიება. მალიშევმა რიგაში წერილი გაგზავნა, მაგრამ უპასუხეს, ჩვენ არაფერი ვიცითო. ბოლოს რიგელთაგან ვიღაცამ ურჩია მიემართა ივანე ნიკიფოროვიჩ ზავოლოკოსთვის, რომელიც იმხანად ციმბირის სოფელ სევერნიში სამედიცინო ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. მწიგნობრის გაწვრთნილმა მეხსიერებამ წამსვე აღიდგინა ექსლიბრისი, რომელიც ვლადიმერ ივანოვიჩმა რევოლუციამდელი რუსული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოზე ნახა და რომელიც მას დიდად დაეხმარა „აღსასრულზე თქმულების" პირველი შეფასებისას.

ვლადიმერ ივანოვიჩსა და ზავოლოკოს შორის მიმოწერა გაიმართა, ხოლო ორმოცდაცხრამეტში კიდევაც შეხვდნენ ერთმანეთს. ზავოლოკო რიგაში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ იქ, ქალაქის გარეუბანში მდებარე პატარა სახლში ეწვია მას ვლადიმერ ივანოვიჩი. აი, მაშინ კი იჯერეს გული ლაპარაკით.

ზავოლოკოს ხშირი ჭაღარა წვერი ფართო მკერდზე ეფინა, ღაჟღაჟა სახეზე კი არც ერთი ნაოჭი არ აჩნდა. იგი ყავარჯნებს ხმარობდა — ცალი ფეხი მუხლსზემოთ ჰქონდა მოჭრილი.

„აღსასრულის თქმულების" აღმოჩენა დაკავშირებული იყო ივან ნიკიფოროვიჩის ძალზე თავისებურ ცხოვრებასთან, რომელიც ღირს იმად, რომ მკითხველი გაეცნოს. ყმაწვილი სტაროობრიადულ ოჯახში დაიბადა, სამოცზე მეტი წლის წინ, სანამ ვლადიმერ ივანოვიჩი შეხვდებოდა. ლატვიაში ასი ათასზე მეტი სტაროობრიადელი იყო. ოციან წლებში ივან ნიკიფოროვიჩი პრაღაში სწავლობდა ცნობილ კარლოვის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე და დაამთავრა კიდეც ეს სასწავლებელი სამართლის კანდიდატის ხარისხით. მაგრამ იურისპრუდენციაზე მეტად ძველმა რუსულმა კულტურამ, იკონოგრაფი-

ამ, პალეოგრაფიამ გაიტაცა. ესწრებოდა რუს პროფესორთა ლექციებს, რომლებიც „სემინარიუმ კონდაკოვიუმის“ წრიდან იყვნენ. ხელოვნების ცნობილი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნიკოდიმ პაველოვიჩ კონდაკოვი ხელჯოხის კაკუნით ჯერ კიდევ დადიოდა სტაროე მესტოს ვიწრო ქუჩებში, როცა ჰაბუკმა ზავოლოკომ პირველად მოისინჯა სტუდენტური ქუდი.

რიგაში დაბრუნების შემდეგ ივან ზავოლოკომ თავის გარშემო რუსი ახალგაზრდობის შემოკრება იწყო. მან ამ ახალგაზრდობას არა მარტო მისცა ლოზუნგი — „ბედნიერება სამშობლოსა და ძველი რუსული კულტურის საკეთილდღეოდ დაუღალავ შრომაშია“-ო, არამედ შექმნა „სიძველის ქომაგთა წრეც“, ჩამოაყალიბა ძველი რუსული სიმღერების გუნდი, დააარსა და რედაქტორობდა ჟურნალ „როდნაია სტარინას“. მისი პატრიოტული მისწრაფება სულიერად დამშეული ადამიანის სიხარბით აიტაცა ბურჟუაზიულ ლატვიაში მცხოვრებმა თითქმის ყველა რუსმა.

ვლადიმერ ივანოვიჩი გაკვირვებით ათვალიერებდა მოსაწვევ ბარათებს ანდრეი რუბლიოვის, პუშკინისა და ესენინის ხსოვნის საღამოებზე, ძველი კოსტიუმების, ხატების, ძველი ყოფითი ნივთების, ძველნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების გამოფენებზე, რუსეთის უძველესი „საეკლესიო“სიმღერების კონცერტებზე... ის ხარბად ჩააფრინდა ჟურნალ „როდნაია სტარინას“ მეორე ნომერს, რომელიც მთლიანად (!) დეკანოზ აბაკუმს ეძღვნებოდა. ივან ნიკიფოროვიჩმა უამბო როგორ აგროვებდა მისი წრე ფოლკლორსა და წიგნებს ჩუდის ტბის რაიონის სოფელ ლატგალიაში; წიგნების გამოფენას რომ ამზადებდა, როგორ აღმოაჩინა რიგაში, გრებენშჩიკოვის სათემო ბიბლიოთეკაში კრებული, რომელშიც შეტანილი იყო „თქმულება აღსასრულზე“. თავისი მონაპოვრის შესახებ იგი იუწყებოდა წიგნში „რუსები ლატვიაში“ და განზრახული ჰქონდა „თქმულება“ პარიზში გამოეცა მხატვარ სტელეცკის ილუსტრაციებით, მაგრამ ფული არ ეყო. მერე კი დრო აირია. ჩანს, გორლინი ამ ცნობას წააწყდა და წერილით ითხოვა, პირის ფოტოასლები გამომიგზავნეთო. ივან ნიკიფოროვიჩმაც გაუგზავნა...

ვლადიმერ ივანოვიჩი უსმენდა და თან ძველი ხელნაწერების უცნაურ ბედზე ფიქრობდა. „აღსასრულზე თქმულების“ პირველი ხელნაწერი ლოპარევზე ოცი წლით ადრე აღმოაჩინა

ფსკოველმა არქეოლოგმა ლავრენტიევმა, მაგრამ პირველად-მომჩენის სახელი ლოპარევს ხვდა. ამავე კრებულში, რომელ-შიც იყო შესული ვლადიმერ ივანოვიჩის მიერ გამოქვეყნებუ-ლი ხელნაწერი პირი, 1932 წელს პროფესორმა შახმატოვმა აღ-მოაჩინა ეპიკტეტის ერთ-ერთი თხზულების ძველრუსული თარგმანი, მაგრამ „თქმულება" ვერ შეამჩნია...

ზავოლოკოს, მხოლოდ ზავოლოკოს უნდა ეკუთვნოდეს „რუსული მიწის აღსასრულზე თქმულების" აღმოჩენა. აკი ივან ნიკიფოროვიჩიც ამბობს, მაშინ ყველაზე მეტად ის მინდოდა, რომ ამ აღმოჩენის შესახებ საბჭოთა მეცნიერებისთვის მეცნო-ბებინა, მაგრამ ულმანისოვის რეჟიმის პირობებში ასეთი მიმო-წერა ძნელი და საკმაოდ სახიფათო იქნებოდაო.

ასეც დაწერა ვლადიმერ ივანოვიჩმა თავის სტატიაში, რო-მელიც პარიზის ჟურნალ „სლავიას" გაუგზავნა. იგი უარს ამ-ბობს ხელნაწერი პირის აღმოჩენის პატივზე და სამართლიანო-ბის აღდგენას მოითხოვს! საბოლოო ანგარიშით, მეცნიერები-სათვის მთავარია შედეგი და არა წვრილმანი ანგარიშსწორება-ნი. ვლადიმერ ივანოვიჩი სულგრძელი ადამიანი გახლდათ.

მალიშევს ალღო, არაჩვეულებრივი ალღო აიძულებდა ზა-ვოლოკოს დამეგობრებოდა. საუცხოო ადამიანი იყო ივან ნი-კიფოროვიჩი. იგი ომამდე იცნობდა მწერლებს შმელიოვს და რემიზოვს.

ვლადიმერ ივანოვიჩს თვითონ უკვე დიდი ხნის მიმოწერა ჰქონდა ალექსანდრე რემიზოვთან და სხვა რუს მწერლებთან, რომლებიც სიცოცხლის ბოლო წლებს პარიზში ატარებდნენ. რემიზოვმა საბჭოთა პასპორტი მიიღო და უცხო მხარეში იტან-ჯებოდა, სიბერის გამო სამშობლოში გამომგზავრება ვერ შეძ-ლო. ის კი არა, სიცოცხლის ბოლო დღეებში წერასაც ვერ ახერხებდა. მის მაგივრად მალიშევს ნატალია ვიქტოროვნა რეზნიკოვა სწერდა:

„ძვირფასო ვლადიმერ ივანოვიჩ, არ ვიცი, გაქვთ თუ არა წარმოდგენა, რა სიკეთე უყავით ალექსანდრ მიხაილოვიჩს, როგორც მწერალს და როგორც ადამიანს, როცა აღადგინეთ მი-სი ცოცხალი კავშირი მშობლიურ კულტურასთან, სამშობლოს-თან.

აგელა თქვენს ბარათს, ისევე როგორც სხვა რუსი მწერლე-ბისა და მკვლევრების წერილებს, ერთ დიდ რვეულში ვაწე-ებებთ, რომელსაც „რუსეთი" დავაწერეთ.

ალექსანდრ მიხაილოვიჩი ისევ წყნარად თელემს გუგულიანი საათის ქვეშ, რომელიც დროდადრო გუ-გუს გაიძახის და ითვლის თავის საკუთარ, ყამთასელაში გაჩერებულ დროს".

ივანე ზავოლოკო კი, მიუხედავად ხნოვანებისა, მშვენივრად გამოიყურება. ამბობს, ხორცს არ ვჭამ და ამიტომ არ ვბერდებიო. ხორცი მისი ახირებაა. ეს უთუოდ რერიხთან ურთიერთობის შედეგია. ივან ნიკიფოროვიჩი იცნობდა მას, მთელი ცხოვრება მიმოწერა ჰქონდა რერიხთან და ომამდე მასთან ინდოეთში ჩასვლასაც კი აპირებდა.

ვლადიმერ ივანოვიჩსა და ივან ნიკიფოროვიჩს კიდევ ერთი საერთო გატაცება აქვთ. ეს უკანასკნელიც ფეხბურთის დიდი მოყვარულია, ყველა მატჩს ადევნებს თვალს. ამბობს, ბედმა ციმბირში რომ გადამისროლა, ორმოცს გადაცილებული ვიყავი, მაგრამ ბურთს მაინც ვთამაშობდიო. თამაშის დროს ფეხი გამოსდეს. კვირისტავის ტრავმას თავიდან ყურადღებაც არ მიაქცია. შემდეგ სეფსისი დაემართა და ფეხი მოჰკვეთეს... ორმოცდარვა წლისამ ნოვოსიბირსკში სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა; ახლა რიგაში კიბოსწინა მდგომარეობის პრობლემაზე მუშაობას აპირებს.

— რაში გჭირდება ეს, ივან ნიკიფოროვიჩ? — ეუბნებოდა ვლადიმერ ივანოვიჩი, — თქვენ ხომ ჩვენს საქმეში დაუფასებელი კაცი ხართ, მთელ ბალტიისპირეთს ხუთი თითივით იცნობთ. ჩვენ კი ფული არ გვაკლია. ექსპედიციებში გაგიშვებთ. მილიონების ფულსაც ვიშოვით. კარგ პენსიასაც მოგიხერხებთ... თქვენ ხომ არქეოგრაფად ხართ დაბადებული! თქვენ ქვეყანას შემგროვებლად უფრო სჭირდებით, ვიდრე ექიმად. თქვენ, ალბათ, ისიც გეცოდინებათ, როგორც მოხვდა გრებენშჩიკოვებთან კრებული, რომელშიაც „თქმულება აღსასრულზეც" იყო.

— ვფიქრობთ, კრებული იქ საზოგადოების არსებობის პირველი დღეებიდანვე, მეთვრამეტე საუკუნიდან ჰქონიათ. მისი დამაარსებელი ფიოდორ ნიკიფოროვიჩ სამანსკი ძველი ხელნაწერების დიდი ტრფიალი და შემგროვებელი გახლდათ.— უპასუხა ივან ნიკიფოროვიჩმა.

— აი, ხომ ხედავთ. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ აქ შეიძლება წავაწყდეთ აბაკუმის „ცხოვრების" ავტოგრაფსაც კი. მაქვს ცნობები, რომ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს რიგელ ეაპარს საბა დიაკონოვს ჰქონდა ხომალდი

სახელწოდებით — „დეკანოზი აბაკუმი“, ხომ არ მოიძებნება ამის შესახებ რაიმე საბუთები არქივში? იქნებ ძიებამ მე და თქვენ აბაკუმის ავტოგრაფთან მიგვიყვანოს. რიგელ ეპისკოპოსს ფილარეტ გუმილევსკის დეკანოზი ნახსენები ჰყავს თავის წიგნში, რომელიც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გამოვიდა, როცა არქეოგრაფებმა მის შესახებ არაფერი იცოდნენ...

ერთი წლის შემდეგ ზავოლოკო პუშკინის სახლმა ექსპედიციაში გაგზავნა ესტონეთის ჩუდისპირეთში და მისი შემწეობით ვლადიმერ ივანოვიჩის საცავი მრავალი ხელნაწერით შეივსო, მათ შორის იყო „თქმულება თემირ აქსაკზე“, „ცხოვრება სერგი რადონეჟელისა და მოსკოვის მიტროპოლიტ პეტრესი“, XVI საუკუნის „კორმჩაია კნიგა“. ყველაზე მთავარი კი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იპოვეს...

80

„ღრმად პატივცემულო ვლადიმერ ივანოვიჩ!

ერთი სული მქონდა, როდის ვაცნობებ-მეთქი ამ სასიამოვნო ამბავს. ბოლო ორი წელი ძალიან გამიმართლა — ნოვოსიბირსკსა და ჩუდისპირეთში მოგზაურობის შემდეგ 40 ხელნაწერი დამიგროვდა... მაგრამ ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ვიპოვე აბაკუმის „ცხოვრების“ ავტოგრაფი. ეს მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობი რედაქციაა — „B“ (!). ხელნაწერის პირი კი არა, ავტოგრაფი გახლავთ (ნახეთ ჩემ მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებსაც წერილს თან ვურთავ). ახალაღმოჩენილი „პუსტოზერსკის კრებული“ მარტო აბაკუმის და ეპიფანეს ავტოგრაფებს შეიცავს...

ჭვირნიშნებითა და პალეოგრაფიული მონაცემებით ახალაღმოჩენილი „პუსტოზერსკის კრებული“ XVII საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

მზად ვარ თქვენთან გავაკეთო შესაბამისი მოხსენება (კრებულის მოპოვების ისტორია და ჩემი მოკლე დასკვნა ნაპოვნი ხელნაწერის თავისებურებებზე), ან სტატია დავწერო... მაგრამ საქმეს ჯერჯერობით (!) აფერხებს ერთი დიდი „მაგრამ“. ხელნაწერის პატრონი ფართო გახმაურების წინააღმდეგია. მანამ კი შემიძლია გაცნობოთ, რომ ეს ხელნაწერიც, ისევე როგორც

ლრუჟინინის კრებული, მრავალი წელი ფედოსეევების ოჯახში ინახებოდა...

ჯერჯერობით ხელნაწერის შესახებ მხოლოდ ჩემმა ახლო ნაცნობებმა იციან. მიუხედავად იმისა, რომ წინადადება მომცეს ხელნაწერი გრებენშჩიკოვის საზოგადოებისათვის შემეძინა, მე მტკიცედ გადავწყვიტე — იგი მეცნიერების კუთვნილება გახდეს.

დიდად მოხარული ვარ, რომ ბედმა გამიღიმა (ამას პატივმოყვარეობა არ მალაპარაკებს — ბედნიერი ვარ, რომ მეცნიერებაში ჩემი წვლილი შემაქვს). სწორედ ამ წელიწადს (ჩემთვის „საიუბილეო" წელიწადს, ვინაიდან 70 წელი მისრულდება).

მაგრამ ამ წელს მძიმე წუთებიც გადავიტანე, როცა მოსკოვის ჰელმჰოლცის სახელობის თვალის ინსტიტუტში გლაუკომა დამიდგინეს. მხედველობა ხომ ჩემთვის ყველაფერია! ჩემი ბედნიერება და ცხოვრების აზრი ხელნაწერების კითხვა და მათზე მუშაობაა.

ბედნიერი ვიქნები თუ ჩემი „გედის სიმღერა" ნათელ კვალს დატოვებს.

ი. ნ. ზავოლოკო"

8 ნოემბერი, 1967 წ.

31

ვლადიმერ ივანოვიჩი ზედმეტი სიტყვების გარეშე იწყებს ღვთისმსახურებას — მან კიდობანი გააღო და ირმის ნატის პრიალა ყდაში ჩასმული პატარა წიგნი ამოიღო.

— აი, — თქვა აღელვებისაგან ხმაჩახლეჩილმა, — „ცხოვრება"... აბაკუმისა; ავტოგრაფი!..

იმ პერიოდში მეც, ისევე როგორც ვლადიმერ ივანოვიჩი, აბაკუმით ვცხოვრობდი. ამიტომ იყო, რომ მაშინვე ჩამოვედი, როგორც კი მან გასაცარი, დაუჯერებელი აღმოჩენის ამბავი მაცნობა! თუმცა, რა აღმოჩენა იყო, ამას არ იწერებოდა. ეს მაშინ გავიგე, როცა ზავოლოკომ „პუსტოზერსკის კრებული" ლენინგრადში ჩამოიტანა.

ვლადიმერ ივანოვიჩი აღელვებული ჩანდა და მოყოლა ბოლოდან დაიწყო:

— მაშინვე სეიფში შევინახე. ძილი აღარ მეკარებოდა. ეს წიგნი ხომ ფასდაუდებელია. გესმით? ერთია. ერთადერთი! ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და ძალზე მოკრძალებულად შეგაფასეთ — ოთხი ათას მანეთად. მეტი არ გვქონდა. მართალია, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში შემპირდნენ, კიდევ ოთხი ათასს დაგიმატებთო. ივან ნიკიფოროვიჩს ვეკითხები: „ნუ დამტანჯე, მითხარი რამდენი გინდა-მეთქი". მან კი აიღო და მაჩუქა. უბრალოდ აიღო და მაჩუქა. პენსია რაღაც ორი კაპიკი აქვს. ვერაფრით მეტი ვერ მოვუხერხე... რვა ათასზე კი უარი თქვა. მაჩუქა... ახლა ეს წიგნი სამუდამოდ ჩემთან არის.

ჩემთან არისო — მაშასადამე, საცავის სეიფშია. ვლადიმერ ივანოვიჩს ხელნაწერები სახლში თითქმის არასოდეს მიჰქონდა.

იგი აშკარად დაბნეული, გაოგნებული იყო ასეთი ძვირფასი საჩუქრით.

32

ბოლო თვეებში მეორედ ვნახე ასე დაბნეული. ამ რამდენიმე ხნის წინ ვლადიმერ ივანოვიჩს დოქტორის ხარისხი მიანიჭეს — „საერთო" დამსახურებისათვის. დისერტაციის დაწერა მაინც ვერ მოახერხა — დრო არ ჰქონდა. დაცვაზე ორივე დედაქალაქიდან ჩამოვიდნენ ფილოლოგიის ქვეყნის გრანდები და პერები, ზოგი ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე, ზოგიც მოხუცი, დაჩაჩანაკებული, მაგრამ ერთნაირად მედიდურ-შემწყნარებელნი მეცნიერების შავი მუშის მიმართ. იგი მათ ფილოლოგიის ფაკულტეტის გაცვეთილ ვესტიბიულში ხვდებოდა. ჰალსტუხი ეკეთა, ტუჩები მოკუმული ჰქონდა და დაბნეულობას მოღუშული სახით მალავდა. მეგარდერობეებს ქურქს ხელზე რომ დაუგდებდნენ, კორიფეები ზევით, აუდიტორიაში ადიოდნენ, ზოგი მარცხენა, ზოგი მარჯვენა კიბით — ვის როგორ ეხერხებოდა...

აუდიტორიას თავს დასტრიალებდა აბაკუმის ვეებერთელა აჩრდილი, ახსენეს ვლადიმერ ივანოვიჩის მიერ ნაპოვნი ორმოცი კრებული, რომლებშიც მისი „ცხოვრების" ხელნაწერი შედის. მათ შორის იყო პრიანიშნიკოვის პირი, რომელშიც აღმოაჩინეს დაკარგული რედაქციის კვალი — აბაკუმის ცხოვრების უცნობი დეტალებით, მისი სჯა-ბაასითა და დავა-კამათით პატრიარქ ნიკონთან და დეკანოზ კოკოშილოვთან, სეიმონ პოლოც-

ᲙᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲞᲘᲤᲐᲜᲔ ᲡᲚᲐᲕᲘᲜᲔᲪᲙᲘᲡᲗᲐᲜ. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲛᲐ ᲐᲠᲥᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲥᲔᲥᲕᲘᲡᲐᲡ ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ, ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲐᲑᲐᲙᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲢᲘᲐᲚᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲛᲐᲜᲔᲑᲘ, ᲘᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲯᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ „ᲡᲘᲒᲔᲚ-ᲒᲣᲯᲠᲔᲑᲘ“ ᲓᲐ „ᲖᲚᲐᲠᲔᲑᲘ“, ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲝᲔᲕᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲖᲔᲑᲘ ᲐᲑᲐᲙᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲓᲠᲔᲙᲔᲚ ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲛᲑᲔᲚᲓᲐ.

ᲐᲠᲢᲐᲛᲝᲜ ᲛᲐᲢᲕᲔᲔᲕᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ, ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘ ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲛᲐᲢᲕᲔᲔᲕᲘ „ᲡᲢᲠᲔᲚᲔᲪᲗᲐ ᲐᲛᲑᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ“ ᲬᲔᲠᲡ, ᲐᲑᲐᲙᲣᲛᲘ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲕᲔᲡᲝ. ᲔᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲐᲜᲐᲠᲔᲙᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲦᲬᲔᲕᲘᲐ.

ᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲡᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲜᲐᲞᲝᲕᲜᲘ „ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡᲐ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲝᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ.

„ᲘᲒᲘᲕᲔ ᲙᲐᲪᲘ (ᲐᲑᲐᲙᲣᲛᲘ), ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲠᲝᲜᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ — ᲘᲛ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲗ, ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲗ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲔᲠᲘᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲑᲘᲚᲬᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲛᲝᲣᲠᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲙᲘᲪᲮᲐᲕᲓᲐ“...

ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ, „ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ“ ᲠᲝᲛ ᲐᲘᲧᲝᲚᲘᲐ, ᲮᲐᲢᲐᲕᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲗᲣ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲐᲠᲧᲘᲡ ᲮᲘᲡ ᲥᲔᲠᲥᲖᲔ ᲮᲐᲢᲐᲕᲓᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲖᲔ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲥᲛᲜᲘᲓᲐ ᲓᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲫᲐᲚᲖᲔ ᲣᲬᲛᲐᲬᲣᲠ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲡᲐᲪ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ.

„...ᲗᲕᲘᲗᲝᲜ (ᲐᲑᲐᲙᲣᲛᲘ) ᲦᲕᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘᲐ. ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲜᲘᲔᲑᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲔᲓᲐ-ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ, ᲘᲡ ᲖᲔᲛᲝᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲡᲐᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲨᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲔᲚᲛᲘᲬᲣᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ᲘᲯᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲧᲘᲡ ᲮᲘᲡ ᲥᲔᲠᲥᲘᲡ ᲥᲐᲠᲢᲘᲐᲖᲔ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲔᲤᲔᲡ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲬᲛᲐᲬᲣᲠ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲨᲕᲔᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲒᲘᲜᲔᲑᲓᲐ“...

ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲥ ᲛᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲐ!

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲩᲛᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲝᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲐᲠᲥᲘᲕᲨᲘ ᲘᲞᲝᲕᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲐᲑᲔᲖᲦᲔᲡ 1683 ᲬᲔᲚᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲐᲕᲠᲐ

გრიგორიევნა, სტრელეც მარტინ ვასილევის ცოლი, ღვთის სახლში არ დადისო. საკრებულო ქოხში დაკითხვაზე მავრა გრიგორიევნა უკმეხად პასუხობდა, სამჯერ საწამებელ ძელზე გააკრეს და „დიდი წამებით დაჰკითხეს“ — ოცდახუთი მათრახი დაჰკრეს. წამების დროს მავრამ ჩვენება მისცა, ეკლესიაში სიარული ამიკრძალა ჩემმა „სულიერმა მამამ... აბაკუმმაო“. ჯერ კიდევ სულ მთლად ბავშვი აბაკუმის სულიერი ასული გამხდარა სოფელ ლოპატიშჩის ეკლესიაში, მისთვის აღსარება უთქვამს მოსკოვშიც, ბოიარინია მოროზოვას სახლში, სადაც დეკანოზს უბრძანებია, არ დანებდე, თუმცა წამებით სიკვდილის პირას მიგიყვანენო. მავრა გრიგორიევნა „ღვთის საგმობი სიტყვებისათვის სიკვდილით დასაჯეს — ძელურ ქოხში გამოწვეს“.

აბაკუმს მავრა ნახსენები ჰყავს პუსტოზერსკის ციხიდან მოსკოვში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში. წარმოშობით მავრა ბოიარინია მოროზოვას მამულიდან, ბოლშოე მურაშკინოდან იყო, ეს სოფელი მდებარეობდა გრიგოროვოსა და ლოპატიშჩის ახლოს, სადაც აბაკუმი დაიბადა და ღვთისმსახურებას ეწეოდა...

ხომ არ იყო ეს მავრა „გმირი“ „ცხოვრების“ ცნობილი ეპიზოდისა — აბაკუმმა ანთებული სანთლებით ხელი რომ დაიწვა ცდუნების დასაძლევად? ხომ შეიძლებოდა, რომ რაბოტკიდან მურაშკინოში მიმავალ მავრას — ლამაზსა და თამამ ყმაწვილ ქალს, გზად ლოპატიშჩის ეკლესიაში შეეელო და ჭაბუკი ახოვანი მღვდლის დანახვაზე ბოროტი ხუმრობაც გაებედა?

აბაკუმის სიმტკიცემ, ალბათ, მავრაზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მისი სულიერი ასული და ერთგული თანაშემწე გახდა, ხოლო ორმოცი წლის შემდეგ მისი მოწოდებითა და მაგალითით სიცოცხლეც გასწირა.

— შეუძლებელია, — ესღა მითხრა ვლადიმერ ივანოვიჩმა, როცა ჩემი ნათქვამი მოისმინა, — ყველაფერი ეს მხოლოდ ფანტაზიაა და არა მეცნიერული ფაქტი.

ბაგრამ მე ვხედავდი, რომ იგი კმაყოფილი იყო. აკი თავადაც აქეთ მიჰყავდა საუბარი.

ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი მას „მეცნიერული ფაქტებისათვის“ მიანიჭეს. ეს იყო სრული ზეიმი — ხმა წინააღმდეგ არც ერთს არ მიუცია. წაიკითხეს ცნობილ უცხოელ მეც-

ნიერთა გამოხმაურებები. პიერ პასკალმა პარიზიდან ალფრთოვანების წერილი გამოგზავნა.

მეორე დღეს, ბანკეტის შემდეგ ვლადიმერ ივანოვიჩი კვლავ თავის წიგნსაცავში იჯდა.

— ეს პატარა კრებული სასწაულით გადარჩა, — მითხრა მან და სქელ რვეულს ალერსით ხელი გადაუსვა, — სილიბისტრო მედვედევმა დაწერა — მღვდელმა, პოეტმა და ღვთისმეტყველმა. მედვედევი მეფის ასულ სოფია ალექსეევნას თანამზრახველის თეოდორე შაკლოვიტის შეთქმულებაში იყო გარეული. მეფე პეტრემ სიკვდილით დასჯა შაკლოვიტი სტრელეცთა ამბოხებისათვის. სილიბისტრო გაიქცა, მაგრამ დოროგობუჟში შეიპყრეს. პატრიარქმა იოაკიმმა, აბაკუმის სიკვდილით დასჯას რომ მოითხოვდა, ბრძანა სილიბისტროს თხზულება დაეწვათ. მაგრამ კრებული გადარჩა. ამ წიგნში შევიდა სილიბისტროს ლექსები, „ლოთობის შესახებ — ანბანზედთქმული“ და ბევრი სხვა.

ვლადიმერ ივანოვიჩი ისტორიულ პიროვნებებზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ისინი მისი ძველი ნაცნობები ყოფილიყვნენ, თითქოს სილიბისტრო მედვედევის კრებული ცეცხლიდან თვითონ გამოეღოს ან ეყიდოს ჩაფრისგან, რომელმაც წიგნი გადამალა...

მან XVII საუკუნის, ნატიფი მინიატურებით დამშვენებული ძვირფასი სახარება გადაშალა და ამაყად თქვა:

— მეფის საუკეთესო მხატვრების დახატულია. სახარება კი თავად დედოფალმა სოფია ალექსეევნამ გადაწერა, აი, უცქირეთ...

მან მკაფიოდ გამოყვანილი ასოები მაჩვენა.

„სოფია გამრჯე მეფის ასული“.

ეს ხელნაწერი მეფის ასულმა თავის საყვარელ მეგობარს, სილამაზით განთქმულ და ხელმოცარულ თავად ვასილი გოლიცინს აჩუქა. თავადს ეს სახარება მთელი სიცოცხლე არ მოუშორებია. როცა მეფე პეტრემ პუსტოზერსკში სამუდამოდ გადაასახლა, იქაც წაიღო ხელნაწერი.

ამ სიტყვებზე ვლადიმერ ივანოვიჩს თვალები დაებინდა.

— პუსტოზერსკში აბაკუმის ძეგლი უნდა დაიდგას... გოლიცინი ოჯახით იქამდე არ ჩასულა, მეზენში დარჩენის ნება დართეს, სადაც ანასტასია მარკოვნა თავისი შვილებით ციხეში

იჯდა. რა ქალი იყო! გახსოვთ ეპიზოდი აბაკუმის ცხოვრებიდან, როცა დეკანოზმა ცოლს უთხრა, თქვენ მე ხელ-ფეხი შეშიკარითო, ცოლმა კი უპასუხა: ჩემი ბავშვებიანა გლოცავ: მეტი შემართებით იქადაგე უწინდებურად, ჩვენი დარდი ნუ გექნებაო... აბაკუმი დაწვეს, ანასტასია მარკოვნა კი კიდევ დიდხანს იჯდა ციხეში. გოლიცინმა იქ ნახა დეკანოზის ცოლი. შეეცოდა. მართალია, შერისხული გახლდათ, მაგრამ ძლიერი ნათესაობა ჰყავდა. გოლიცინი მაინც გოლიცინია... მარკოვნას გამრეკომაგნენ და ციხიდან გაანთავისუფლეს. ანასტასია 1710 წელს გარდაიცვალა, ოთხმოცდაექვსი წლისა. აბაკუმზე ოცდარვა წლით მეტი იცოცხლა.

— შვილები? — ვკითხე მე, — შვილებს რა ბედი ეწიათ?

— შვილები? დედ-მამას ყველა როდი დაემსგავსა. მეზენში მიამბეს ლეგენდა, აბაკუმს გოლიათის აღნაგობა და ბუკივით ხმა ჰქონდა, ბავშვები კი სუსტები ჰყოლია, გალეულები. აბაკუმის ერთი ქალიშვილი უმცროსებთან ერთად მოწყალებას თხოულობდა და სოფელ ლამპოჟნამდე ჩადიოდა. ნასტასია მარკოვნა ამ დროს მეზენში ეკლესიის ახლოს მიწურის ციხეში იჯდა თავის ვაჟებთან — ივანესა და პროკოფისთან ერთად. ქალიშვილები და კიდევ ერთი ვაჟი — ათანასე — იქვე ცხოვრობდნენ, როგორც გადასახლებულნი. მერე ათანასე მეზენში გაიქცა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ, 1692 წელს, ლოთობისთვის დაიჭირეს. მან დააბეზღა ივანე და პროკოფი — მამა არიგებდა, მეფე ალექსი მიხეილის ძის აკლდამა კუპრით გათხუპნეთო. ივანეს შესახებ მივაგენი ცნობას, რომ იგი 1726 წლის 7 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგის ციხესიმაგრეში „ყარაულად დგომისას გარდაიცვალა“.

ვლადიმერ ივანოვიჩმა პეტრე-პავლეს ციხესიმაგრისკენ გაიშვირა ხელი. ციხესიმაგრე იქვე ახლოს იყო, პუშკინის სახლისაგან ნევის ერთი ტოტი ყოფდა.

ციხესიმაგრე აბაკუმის სიკვდილის შემდეგ ააგეს.

ვლადიმერ ივანოვიჩმა თავის საყვარელ თემას მიაგნო.

აბაკუმის „ცხოვრება“ უკვე ათობით ენაზეა თარგმნილი. ვერც ერთ ჩვენს გამოცემას ბუკინისტებშიც კი ვერ იშოვით. აბაკუმი მეჩვიდმეტე საუკუნის პუშკინია...

მეც ქება-დიდებას ვუძღვნიდი აბაკუმს და როჭოებივით ვმღეროდით ჩვენ-ჩვენ სიმღერას, რომლის სიტყვებიც ორივესთვის დიდი ხანია ცნობილი იყო.

რატომ აღეძრათ ჩვენს თანამედროვეთ უცებ ასეთი ინტერესი აბაკუმის პიროვნებისადმი, მისი „ცხოვრებისადმი“?

განა მთავარი მხოლოდ მისი თხზულებების ლიტერატურული ღირსებაა?

იქნებ საკუთარი რწმენისადმი ამ არაჩვეულებრივი ერთგულებისა და სიმტკიცის მაგალითში ვეძებთ საყრდენს ჩვენი აზრებისა და ფიქრებისათვის?

ჩვენს ხალხს ერთი შესანიშნავი თვისება აქვს — მოთმინება, მაგრამ განა მარტო ის გამოხატავს ეროვნულ ხასიათს? აბაკუმის ცხოვრების გაცნობისას ამ ადამიანის მრავალფეროვნებასაც ხედავ, ხედავ მის სულიერ სიმტკიცეს, გესმის ამ პიროვნების სიმბოლურობა, სიამაყის გრძნობით ივსები, რომ შენც რუს ხალხს ეკუთვნი.

იმხანად მე აბაკუმზე წიგნის დაწერას ვაპირებდი. XVII საუკუნეს ჩავუღრმავდი, მინდოდა ენა შემესწავლა მეფე ალექსი მიხეილის ძისა და ნიკონის მიმოწერით, ციმბირის პრიკაზის საბუთებით, სტაროვერული თხზულებებით. მაოცებდა ჩვენი წინაპრების უნარი საკუთარი აზრის გადმოცემისა, მაღალი კულტურა ხალხისა, რომელზეც კარგა ხანს ჯიუტად ამტკიცებდნენ, უმეცრები იყვნენო, ველურ მდგომარეობას დასავლეთის სასიკეთო გავლენის წყალობით დააღწიეს თავიო.

ყველაფერი თავ-თავის ადგილზე მქონდა დალაგებული, მაგრამ წიგნი მაინც არ გამომდიოდა. რაღაც აკლდა, იქნებ სივრცე? გული იქითკენ მიმიწევდა, სადაც აბაკუმი დაიბადა, სადაც იგი ცხოვრობდა და მოგზაურობდა. „მაგრამ ეს ხომ თითქმის მთელი ქვეყანაა, — ვფიქრობდი მე. — რა შთაბეჭდილება შეიძლება გამოიტანო იმ მხარეებში მოგზაურობიდან, რომლებიც ძირფესვიანად შეიცვალა ამ სამასი წლის მანძილზე?“ — მაგრამ წასვლის აუცილებლობის ფატალისტური შეგრძნება მაძულებდა თავქუდმოგლეჯილი მერბინა ვაგზლებსა და აეროპორტებში.

ვლადიმერ ივანოვიჩი ჩემს აღტყინებას არაფრით ანელებდა. რაც მე შემეძლო მენახა, მას უკვე ნანახი ჰქონდა. ჩემს გატაცებას გულისხმიერად ეკიდებოდა და მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ თუკი სადმე სოფლებში ხელნაწერი წიგნები შემხვდებოდა, ხელიდან არ გამეშვა.

— დაიმახსოვრეთ, — მარიგებდა ვლადიმერ ივანოვიჩი, —

ხანდაზმული გლეხები, რომლებსაც წიგნები აქვთ, მათთან მოულოდნელად მისულ შემგროვებლებს უფრთხიან. არ შეიძლება წიგნების იატაკზე დადება, სწრაფად გადაფურცელა. თვითონ სოფლელი წერა-კითხვის მცოდნენი წიგნს ფრთხილად ფურცლავენ, ზედა მარჯვენა კუთხიდან. არ შეიძლება ფეხის ფეხზე გადადება, ზედ წიგნის დადება და ისე თვალიერება, ჯობს მაგიდაზე დადოთ და ისე ნახოთ. არამც და არამც არ ჩაერიოთ რელიგიურ კამათში... ვინ იცის, იქნებ თქვენც ჩაგივარდეთ ხელში აბაკუმის ავტოგრაფი, — დასძინა ბოლოს მან.

88

1966 წელს ივანე ნიკიფოროვიჩ ზავოლოკო მოგზაურობიდან ნოვოსიბირსკში ბრუნდებოდა. ვლადიმერ ივანოვიჩი არ შემცდარა, როცა ზავოლოკო თანაშემწედ აიყვანა. ზავოლოკოს უკვე ასობით წიგნი ჰქონდა ნაპოვნი, ათასობით მეტრ მაგნიტოფონის ფირზე ჩაეწერა ძველი გლეხური სიმღერები. თუ ვლადიმერ ივანოვიჩი სტაროობრიადელებისთვის პატივსაცემი, მაგრამ მაინც კომუნისტი, ურწმუნო კაცი იყო, ივან ნიკიფოროვიჩი სტაროობრიადულ ოჯახში დაიბადა. მარტო ესეც კმაროდა, რომ მის წინ მრავალი ისეთი სახლის კარი გაღებულიყო, რომელიც ვლადიმერ ივანოვიჩისთვის შეიძლება დაკეტილი აღმოჩენილიყო. მას თავისუფლად შეეძლო „ფედოსეევის კავშირის" სტაროობრიადელთა კრებას დასწრებოდა და მათთვის ძველი ხელნაწერების შეგროვებაში დახმარება ეთხოვა.

ასეც მოიქცა. რიგაში მიმავალი გზად მოსკოვში შეჩერდა და ფერიცვალების სასაფლაოზე სტაროობრიადელთა კანტორაში შეიარა. ღრმად მოხუცებულმა მიხეილ სერგეევიჩ სერგეევმა ზავოლოკოს პატარა წიგნი მიუტანა. წიგნი ჩასმული იყო ნაძვის ხის ფირფიტების ყდაში, რომელსაც ირმის ტყავი ჰქონდა გადაკრული.

— წაიღეთ, - - თქვა მან, — ეს ანა ვასილევნა მარაევას წიგნებიდან გახლავთ — „დოროთეს შეგონებანი". ანა ვასილევნა სიძველის დიდი მოყვარული ქალი გახლდათ.

როგორ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ივან ნიკიფოროვიჩს ანა ვასილევნა — ტანადი მზეთუნახავი, რომელიც სერპუხოვში მანუფაქტურის მფლობელს, მილიონერ სტაროობრია-

დელ მეთოდი მარაევს გაჰყვა ცოლად და მაშინვე გადაწყვიტა სიმდიდრით ტრეტიაკოვებს დასწეოდა. მარტო იური ვასილევიჩ მერლინისაგან საუკუნეთა მიჯნაზე რუსი და უცხოელი მხატვრების ნაწარმოებთა ორასი ათასი მანეთის კოლექცია შეისყიდა. ზავოლოკოს წაკითხული ჰქონდა და იცოდა, რომ ანა ვასილევნა ძველ ხატებსა და ხელნაწერებსაც აგროვებდა. მარაევასთან ქვეყნის რომელი კუთხიდან არ მოჰქონდათ ძველი ნივთები. თავისი განძისთვის მან ცალკე ააშენა დიდი სახლი, რომელზეც საკავშირო ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი მდივნის ა. ენუქიძის განკარგულებით, 1919 წელს „შეუვალობის სიგელი" მისცეს. ანა ვასლიევნა 1928 წელს გარდაიცვალა და ახლა მის სახლში ისტორიულ-მხატვრული მუზეუმია.

„დოროთეს შეგონება" არც ისე იშვიათი წიგნია. ივან ნიკიფოროვიჩმა მოხუცს საჩუქარზე მადლობა გადაუხადა. რიგაში დაბრუნდა და... წიგნი თაროზე დადო.

ერთი წლის შემდეგ მან წიგნს ხელახლა გადააკლო თვალი და შენიშნა, რომ „შეგონებანი" მხოლოდ პირველ გვერდებზე ეწერა, შემდეგ კი სულ სხვა ხელი და ტექსტი მოდიოდა. ეს აბაკუმის „ცხოვრების" ტექსტი გახლდათ.

„ალბათ ახალი პირია", — გაიფიქრა ზავოლოკომ. მაგრამ იქვე აღმოაჩინა, რომ ქაღალდქვეშ, რომელიც წიგნის ყდას შიგნიდან ჰქონდა დაწებებული, რაღაც ასოები მოჩანდა. ქაღალდი ააძრო და წრე დაინახა, წრეში ეწერა: „დეკანოზმა აბაკუმმა დაავალა ბერ ეპიფანეს დაეწერა თავისი ცხოვრება, ეს ბერი ეპიფანე კი მისი სულიერი მამა არს"...

სამმაგი წრე და წარწერა ეცნო. ისეთივე იყო, როგორიც დრუჟინინის კრებულზე. იქნებ ესეც აბაკუმის ავტოგრაფია? კიდევ ერთი ავტოგრაფი?

პირველივე პალეოგრაფიულმა ანალიზმა ვარაუდი დაადასტურა. ივან ნიკიფოროვიჩი ვლადიმერ ივანოვიჩთან წერილის წერას შეუდგა.

1968 წლის მარტში ზავოლოკომ წიგნი პუშკინის სახლს აჩუქა, ახლა იგი იქ არის დაცული შიფრით: ОП, оп. 24, № 43.

მე საზეიმო სიჩუმეში ვფურცლავდი წიგნს და საკმაო დრო გავიდა, სანამ დამიბრუნდებოდა უნარი შემეგრძნო ფურცლების შრიალი და ვლადიმერ ივანოვიჩის სუნთქვა. ზუსტად სამა-

ხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აბაკუმი პუსტოზერსკში თავის ხაროში იჯდა, გათოშილ თითებს სუნთქვით ითბობდა და ამ ფურცლებს ავსებდა. სხვა ფურცლებს კი...

...ეპიფანე. სწორედ მათი „ცხოვრებიდან" შედგა „პუსტოზერსკის კრებული".

აბაკუმის ხელნაწერის გვერდების ერთ ნაწილს ფაქიზად ჰქონდა გადაწებებული ქაღალდი, რომელიც ეპიფანეს ხელნაწერით იყო სავსე. რა არის ეს? ნუთუ ეპიფანე აბაკუმს ნაწერს უსწორებდა? შემდეგ, როცა ქაღალდის აძრობა შეძლეს, გამოირკვა, რომ მართლაც ასე ყოფილა.

აბაკუმმა ეპიფანეს სიკვდილით დასჯა აღწერა. ბერს ჯალათმა ენა ამოკვეთა. აბაკუმი ამას ასე გადმოგვცემს:

„შემკრთალმა, აკანკალებულმა და აცახცახებულმა ჯალათმა დანით ძლივს ამოფხიკა ყელიდან ენა"...

უწყინარ ბერს აბაკუმის პირდაპირობა და ძარღვიანი ენა არ მოეწონა. მან ჩათვალა, რომ უფლება ჰქონდა ეს ადგილი შეეცვალა და დაეწერა, რომ წამების დროს ტყვეს ზეცით „ღვთის მადლი" გადმოევლინა.

წიგნში იყო აგრეთვე აბაკუმის სიმბოლური ნახატი: წრე და ამ წრეში ჩახატული წამებულები, აბაკუმის თანამზრახველები, წრის გარეთ კი ეხატა ნიკონი, აღმოსავლეთის პატრიარქები, მტრები...

— გულდასმით წაიკითხეთ... ეს ცოცხალი ენაა...! მასში დაცულია რუსული ზეპირი მეტყველების სურნელება, — უცნაური აგზნებით, ხმაჩახლეჩილი ლაპარაკობდა ელადიმერ ივანოვიჩი, — ეს ერთადერთი შემთხვევაა ძველი რუსული ლიტერატურის არსებობის შვიდი საუკუნის მანძილზე, როცა საშუალება გვეძლევა გავიგოთ, როგორ მუშაობდა ძველი მწერალი, როგორ ქმნიდა თავისი ნაწარმოების ახალ რედაქციას... პეჩორაზე წასვლა ხომ არ გადაგიფიქრიათ?

— არა, — ეუპასუხე მე.

— მაშ, გავწიოთ. ეს იქნება ჩემი მეთორმეტე მოგზაურობა და შეიძლება უკანასკნელიც.

თქვა ესა და ხმა აუკანკალდა.

— ისე კი რაღა პეჩორაზე ხელნაწერების ძებნა და რაღა სოკოს საკრეფად სიარული. დღეს სულ რომ მოკრიფო, ხვალ მაინც თავზე საყრელი იქნება.

პეჩორული კილოკავი ჯერ კიდევ სიქტივკარის აეროპორტში გავიგონე. ხალხი ცოურობდა — „ჩ“-ს მაგიერ „ც“-ს გამოთქვამდა.

პატარა თვითმფრინავის სალონში ჩემი ადგილი დაკავებული დამხვდა, სკამზე ფაშფაშა მოხუცი ქალი იჯდა და ქშინავდა. გაწითლებულ სახეზე ოფლი ასკდებოდა. თვალები გაახილა და ეშმაკური ღიმილით შემომხედა.

— შენი ადგილია, მამილო? მე ულიანა მქვია. თვითმფრინავის მეშინია. კიბის სამ საფეხურზე ორმა მილიციელმა ციმციმ ამომიყვანა. აქ დამსვეს, აქედან ველარსად გადავჯდები, შენ ცემზე ჯეელი ხარ, წადი, სხვა ადგილი მოძებნე.

ბებია ულიანას ხმაში, მის ქცევაში ისეთი თავდაჯერება ჩანდა, რომ მის წინაშე ყველა უფლებამ, სალაროში ბილეთთან ერთად რომ მომყიდეს და ადგილიც მომიჩინეს, ძალა დაკარგა.

— კეთილი, ბებია ულიანა, — ვუთხარი დაბნეულმა, — დაბძანდით, ვლადიმერ ივანოვიჩ.

— ა, ვლადიმერ ივანოვიც! — გააგრძელა ბებია ულიანამ. — დიდიხანია არ ცანხართ. ამჟამად რაზე გარჯილხართ?

— წიგნებზე... წიგნებზე... გამარჯობათ, ულიანა დანილოვნა, — უპასუხა ვლადიმერ ივანოვიჩმა.

— კიდევ დაგრცათ რამე?

— დამრჩა, დამრჩა. როგორ არის ლაგეევი?

— რომელი ლაგეევი, ზღვაოსანი?

— ჰო.

— იმას რა უჭირს. სვამს და ცეკვავს. როგორც კი გემი ნავმისადგომში შემოდის, მაშინვე ლუდზე გარბის. ამასწინათ ნავთიან ვედროს სტაცა ხელი. უყვირეს, ჭუჭყიანიაო, არა უშავსო...

— ვერ დავიჯერებ, რომ ვასილ ეგნატიევიჩი ლუდზე დარბოდეს, — დაეჭვდა ვლადიმერ ივანოვიჩი.

მე წინ დავჯექი, მაგრამ თავს რომ მოვაბრუნებდი, მათი ლაპარაკი მესმოდა.

— სვამენ ეშმაკის კერძები. ისე კი არა უშავს, ცვენში უწინ უფრო ბევრს სვამდნენ. მახსოვს ცვენთან, ივანოვსკის ძველ აბანოსთან ნენცები, ცოლ-ქმარი ხარიტონი და ირინია

ცხოვრობდნენ. ერთხელ დამთვრალიყვნენ. ხარიტონი ხორცს კეპავდა, ირინიას კი ხელით ეჭირა და ქმარმა სალოკი თითი წააჭრა. დილით ირინია იატაკს გვიდა და თითი იპოვა. ქმარს უთხრა, ვილაცის თითი ვიპოვეო. ხარიტონმა ხელებზე დაიხედა — ყველა თითი ჰქონდა, ირინიამაც დაიხედა. აკი მას აკლდა თითი.

ეს ფანტასტიკური ამბავი რომ მოისმინა, ვლადიმერ ივანოვიჩმა უნდობლად ჩაიცინა, მაგრამ მოხუცმა მისი ქირქილი უყურადღებოდ დატოვა.

— ეჰ, წლები, წლები! სამოცდაათს მივაწიე. ძვლები მტკივა. სიქტიეკარში გავესინჯე. იშვიათი ავადმყოფობა აღმომიცინეს. მერე ქალიშვილობაში რა გოგო ვიყავი, წკრიალა, ჯანიანი, მახეში რომ გამოვემწყვდიე, მაინც დავიძვრენდი თავს. ვერაფერი მერეოდა, ვერც წყალი, ვერც ცეცხლი. არასოდეს მიჭორავია. კაბინეტებში ჯდომით იდაყვები არ გამიცრეცია. მამაკაცებთან ცრდილოეთის ორაგულებზე თევზაობისას, მამიკო, ბადეს მათზე ნაკლებად არ ვეწეოდი, თიბვაშიც პირველი ვიყავი... მარტოკა სამოცდაათ თივის ზვინს ვდგამდი. მაინც ღარიბულად ვცხოვრობდით. ისეთ კაცს მიმათხოვეს, არ მიყვარდა. მერე რა, გაჭირვება წვინტლიანსაც შეგაყვარებს. წვინტლს მოხოც და აკოცებ. გავუძელით, თავს არ ვაცაგვრინებდი, როგორც სიმღერაში ამბობენ...

ბებია ულიანამ სასიამოვნო და, ეტყობა, ოდესღაც ძლიერი ხმით წამოიწყო:

ჩემი ქმარი ქოფაკი დიდ მუხაზე მივაბი,
დიდ მუხაზე მივაბი, ვსეირნობდი დილამდი...

— ისე არა უშავს, გამრჯე კაცი იყო. მასთან ერთად პეცორაზე სად არა ვარ ნამყოფი. თუ ქარი იყო, იალქნებით მივცურავდით, თუ არა და კარჭაპს ბაგირით ვეწეოდით... ადრე მომიკვდა ჩემი ბებრუხანა, — ხმას აუწია ბებიამ, რათა თვითმფრინავის გუგუნში მისი ლაპარაკი გაგვეგონა. — გაზაფხული იყო. დეკრეტიდან ახალი გამოსული ვიყავი. ბავშვები თვითონ დავაყენე ფეხზე. ფოსტალიონად ვმუშაობდი. ას ოც კილოგრამიან ტომრებს ისე ვისროდი, რომ ბეჭდები მთელი რცებოდა. ცხენი მყავდა — ყორანა, ირმებისა ეშინოდა, ყურები სულ დაცქვეტილი ჰქონდა. მივდიეარ, თქეშია, ცა ღრუბლებს დაუფარავს. ო, ღმერთო, შენ შემეწიე! კარგ მასპინძელს ფოსტას

მივუტანდი, ის კი მეტყოდა: „ულიანუშკა, შემოდი, მალიცა[1] გაიხადე, შეი მაქვს, გემრიელი“. ყველის ქარხანაში ზედიზედ ექვს წელიწადს ვიმუშავე. ცვენი გამგე ყელთამდე ერბოში ცურავდა, ცვენ კი არაფერს გვაძლევდა. მაშინ ომი იყო, ნამცეცი პური არ იშოვებოდა. იცოცხლე, მოვდექი, ვეუბნები: შენც რუსი ხარ და მეც. ცვენი ლაპარაკი მოკლე იქნება–მეთქი. მაგრად ვცემეთ ქალებმა. მერე იყო და გამოძიებაზე დამიძახეს. ცემგან რა უნდა აეღოთ?.. ახლა კი რა უშავს, ფული თუ გაქვს, ტანზეც იშოვი და ფეხზეც. ახალგაზრდობა ქალაქში გარბის. ვინღა იმუშაოს? ივან სტეპანოვიცს ხომ იცნობ? — მიუბრუნდა უცებ ულიანა ვლადიმერ ივანოვიჩს. მან თავი დაუქნია. — მისი ვაჟი კოლმეურნეობამ სასწავლებლად გაუშვა, კოლმეურნეები მისი სწავლის ფულს იხდიდნენ, მან კი დაკრა ფეხი და ქარხანაში წავიდა...

ულიანა დანილოვნას ლაპარაკი უცნაურიც მეჩვენებოდა და მსიამოვნებდა კიდეც. სადა ვარ? თვითმფრინავში? უკეთესი ცხოვრება რომ ჰქონოდა, განა ასე იბეუტურებდა მარკოვნა?

კისერი მომექცა, სანამ ვლადიმერ ივანოვიჩმა ძველებურ ხახვისთავისებრ საათზე არ შეამოწმა ნოტიო მიწაზე, უსტ-ცილმის აეროპორტის დაბალი, მომცრო სახლების გვერდით ჩვენი თვითმფრინავის დაჯდომის დრო.

86

ვინ იცის, რამდენჯერ არის გადაზომილი უსტ-ცილმის ხის ტროტუარები — მდინარის გასწვრივ ეს გზა შვიდ კილომეტრზე გრძელდება. ვლადიმერ ივანოვიჩი საღამოს თავის უბის წიგნაკს ამოიღებს და მარჩიელობას იწყებს. ხუთი წლის წინანდელ ჩანაწერებსაც კი ნამდვილი დეტექტივივით ამოწმებს, გაგონილსა და ფაქტებს ერთმანეთს უდარებს; ინათებს თუ არა, მაშინვე ხელნაწერების საძებნელად მიეშურება. თუმცა ახლა, ივნისის ბოლოს, დღე და ღამე აქ პირობითი ცნებებია. მზე არ ჩადის. პოლარული წრე აქვეა, ორ ნაბიჯზე.

დღეს ტრიფონ ივანოვიჩ ერმოლინთან მივდივართ, რომელიც უსტ-ცილმის სასტუმროდან ოთხ კილომეტრზე ცხოვ-

[1] ირმის ტყავის სამოსი.

რობს. გაზაფხულის მზეზე ბავშვები გამოფენილან, ივნისი აქ გაზაფხულის თვეა. ისმის უცნობი გათვლა:

მიცუნცულებს ძაღლი ხიდზე,
გრძელი კუდი უკან მისდევს...

სახლებს შორის მჭრქალად კრთის ტყვიისფერი პეჩორა. სახლები აქ ფიცრულია, ორსართულიანები. ჩრდილოეთის უამინდობას სამუდამოდ გრაფიტის ფერი მიუცია მათთვის. ფასადის მხარეს თითო სართულს ექვსი, ზოგს კი შვიდი ფანჯარაც აქვს დატანებული თავისივე სარკმელებით. მუქ ფონზე ღია ფერის თამასები სახლებს სიკოხტავეს მატებს.

ხალვათად ცხოვრობენ უსტ-ცილმელები.

ათას ცხრაას სამოცდარვა წელია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ტანსაცმლის მსოფლიო სტანდარტიზაციას რომ მიაღწიეს, მინისა და მაქსის მომხრეთა შორის სერიოზული უთანხმოებანი აღმოაჩინეს. მოდის ჭირვეულობა საუკუნეთა მანძილზე არ შეხებია უსტ-ცილმელთა გემოვნებას, მაგრამ მათი მორთულობა აშკარად მაქსის მომხრეთა წისქვილზე ასხამს წყალს. მათი მძიმე ქვედაკაბები, კოჭებამდე როს სწვდებათ, შავი მაქმანებითაა მორთული. უფრო ახალგაზრდებს კი ოქროსფერი ზონრებითა და ფოჩებითაც გაუწყვიათ. ქვედაკაბის კალთებიდან წითელი შალის წინდები მოუჩანთ, ყვითელი, მწვანე, თეთრი, შავი ნახჭებით ყველას თავისი გემოვნებით რომ მოუქსოვია. ფარჩის სამხრეულებიანი ხასხასა ზედატანები ძველი ჭედური ღილებით შეუკრავთ. ზოგიერთს ზევიდან მაჯასთან დავიწროებული ფუშფუშა სახელოებიანი ხავერდის ან ველვეტის წელში გამოყვანილი კოფთაც აცვია, რაღაც შუშუნის[1] მსგავსი.

მამაკაცის თვალს უჭირს გაერკვეს ქალების ჩაცმულობის წვრილმანებში, მაგრამ, ვფიქრობ, აქ რაღაც იერარქია უნდა არსებობდეს, ასაკობრივი და, თქვენ წარმოიდგინეთ, გეოგრაფიული სხვაობაც კი. პირველ დღესვე სასტუმროს „დიასახლისმა“ ფანჯარაში გაიხედა და თქვა:

— აგერ, ზამეენიელი ქალბატონი მობრძანდება.

ყოველ სოფელში ქალები თავის ყაიდაზე იცვამენ. და ეს ხდება ჩვენს დროში!

---

[1] ქალის ძველებური სამოსი.

სამოცდაათი წლის მედავითნის ერმოლინის დიდ ხალვათ სახლში მასპინძლის ცოლი, ხასხასა უსტ-ცილმურ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდული შესახედაობის ტანადი ქალი პარასია სემიონოვნა შემოგვეგება და ოთახში შეგვიპატიჟა, სადაც რადიომიმღებისა და კედლებზე გაკრული 8 მარტის მოსალოცი ღია ბარათების გვერდით მშვიდად განისვენებდნენ ხატებიც.

მასპინძელი უზურგო მერხზე იჯდა და გეგონებოდათ ფანჯარაში იცქირებაო.

— დღე მშვიდობისა, — შესვლისთანავე მიესალმა მას მალიშევი. — როგორ ბრძანდებით, ტრიფონ ივანოვიჩ?

— ცუდად, — უპასუხა მასპინძელმა, დინჯად წამოდგა და თავი ჩვენკენ მოაბრუნა. ტრიფონ ივანოვიჩი კალმით ნახატი კაცი გახლდათ. მაღალი იყო, ხშირი თეთრი თმა ჰქონდა, მოგრძო სახეზე ვარდისფერი კანი გადატკეცოდა. როცა მისი დიდრონი, რუხი თვალების უცნაური, სადღაც ჩვენს მიღმა მიმართული მზერა შევნიშნეთ, მაშინ მივხვდი — მოხუცი ვერ გვხედავდა.

— აბა, მომახსენე, ვლადიმერ ივანოვიჩ, რა გითხრა ჩემს თვალებზე შენმა ლენინგრადელმა პროფესორმა? — ჰკითხა მოხუცმა, როცა სტუმარს მიესალმა. — ვერა ვარ კარგად. ასე კუნძივით გდება ბოლოს მომიღებს.

— წამალი ჩამოგიტანე, ტრიფონ. ჩაიწვეთე. თქვეს, უშველისო. — ყრუდ ჩაილაპარაკა მალიშევმა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო და მე გამომიწოდა. ეს გახლდათ დასკვნა ლენინგრადელი ოკულისტებისა, მალიშევმა ტრიფონის ანალიზებით რომ მოაბეზრა თავი. ფურცელზე ეწერა, რომ ახლა მოხუცს ქირურგიული ჩარევაც ვეღარაფერს უშველიდა. მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩს არ შეეძლო მისთვის უკანასკნელი იმედიც ჩაეკლა. სანუგეშო სიცრუემ მოხუცი გაამხნევა. ტრიფონი ვლადიმერ ივანოვიჩს გაეხუმრა.

— თუმცა არსებობს მეთერთმეტე მცნება: „დოყლაპია ნუ იქნებიო“. ჰოდა იცოდე, ანდრონიხა არ გეგონო, ვერ გამაცურებ. კარგად ვიცი, თვალი საით გიჭირავს. პროლოგი გინდა. ვერ მიიღებ წიგნს.

— შენ რაში გჭირდება, ტრიფონ?

— ვითომ რატომაო? ვინმემ რაიმე ცნობისთვის რომ მომაკითხოს? ერთიც ვნახოთ, დისპუტი გამიმართოს? ჩემს ბებრუხანას ვეტყვი — აბა ერთი გამომიღე წიგნი, ამა და ამ გვერდზე გადაშალე-მეთქი. და ჩემი კითხვებით ხმას ჩავაწყვეტინებ, პირში ჩალაგამოვლებულს გავისტუმრებ...

დაიწყო საუბარი, რომელიც ორივე მხარეს აშკარა სიამოვნებას ანიჭებდა. მედავითნე მეცნიერების დოქტორის წინაშე თავისი ნაკითხობით თავს იწონებდა. ძველი ამბები გაიხსენეს, როგორ „ატარებდნენ დროს" ერთად ანდრონიხასთან, „აღდგომის წინ რომ განუტევა სული".

— შარდის შეკავება ჰქონდა, ერთ ღამეში მოკვდა. — ამიხსნა ტრიფონმა.

ვლადიმერ ივანოვიჩმა ტრიფონს უკვე თხუთმეტი წიგნი დასტყუა. ახლა მას პროლოგი უნდოდა, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში გადაწერილი. პროლოგს ჰქონდა მინაწერი, რომ ამ წიგნით სოლოვეცის მონასტრის ტუსაღები სარგებლობდნენ.

უკვე ორი საათია ტრიფონთან ვზივართ, მაგრამ პროლოგის საქმე ვერა და ვერ მოგვარდა.

— იცოდე, დაიღუპება ყველაფერი. რაც მე დაფლეთილი წიგნები მიპოვია, — არწმუნებდა ვლადიმერ ივანოვიჩი. — ჩვენთან კი წიგნი საიმედო ხელში იქნება, იგი მეცნიერებას სჭირდება.

— კი, დაიღუპება, — ეთანხმებოდა ტრიფონი. —მოხუცები იხოცებიან, ახალგაზრდები კი წიგნებს არ უფრთხილდებიან, ყრიან. მეც ვერ ვგრძნობ თავს კარგად. რომ დავდივარ, ასე მგონია, კარუსელზე ვზივარ-მეთქი...

— ჩვენს ინსტიტუტში რვაასი თქვენი პეჩორული ხელნაწერი ინახება. ჩვენთვის ყველა ძვირფასია, თითოეული გლეხთა ნიჭიერებაზე მეტყველებს. ჩვენ თქვენი მამებისა და პაპებისათვის ვირჯებით... როცა უარით გვისტუმრებენ, საწყენია.

ტრიფონი არ ნებდება და თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს გული მოსდის.

— ფრთხილად იყავით, რამე წიგნი არ მიითვისოთ, თორემ ხომ იცი, ჩემთან ხუმრობა არ ვარგა...

სახუმარო მუქარაში ქარაგმაა ჩაქსოვილი — ტრიფონზე ხმები დადის, შეუძლია გაგთვალოს, მამაკაცობა დაგაკარგვინოსო.

მოვიდა ტრიფონის ვაჟი. უსტ-ცილმის საშუალო, მით უფრო ახალგაზრდა თაობა რელიგიის საკითხებს უკვე გულგრილად უყურებს. ვაჟიც ცდილობს მამის დაყოლიებას.

— რას ჯიუტობ, მამაჩემო?

— ხმა გაიკმინდე! მამას რას უბედავ?

— მე ვიცი, სადა აქვს წიგნები, — ამბობს ვაჟი და წიგნის გამოტანას აპირებს.

— მე თვითონ მოვიტან, — მოტყდა ტრიფონი. — აქ მე ვარ უფროსი.

როგორც იქნა, ვიხილეთ ხელნაწერი პროლოგი — ლამის ყოველ გვერდზე სანიშნე დატანებული, ვინ მოთვლის, რამდენჯერ წაკითხულ-გადაკითხული.

მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩმა წიგნი მაინც ვერ მიიღო.

— მე ვთქვი ჩემი უკანასკნელი სიტყვა, — თითქმის საზეიმოდ აცხადებს ტრიფონი.

ვლადიმერ ივანოვიჩი უკანასკნელად გაიბრძოლებს.

— როგორ არ გრცხვენია, ტრიფონ. მე ხომ მეცნიერი მუშაკი ვარ, ცნობილი პიროვნება. ჩემს სახელს სტაროობრიადელებს შორის აუგად არავინ იხსენიებს.

მასპინძელმა კიდევ ერთხელ ჯიუტად გაიმეორა — ჯერ დაციცდიო, და ჩვენ წამოვედით...

ხის ტროტუარებზე კილომეტრებს ვზომავთ, მაგრამ ბედს ვურიგდებით. მე მგონია, რომ თვალისჩინდაკარგულ მოხუცს, რომლის ცხოვრებაშიც ახლა ცოტა რამ თუ ხდება საინტერესო, უნდა კიდევ შეხვდეს ვლადიმერ ივანოვიჩს, ემასლაათოს აქაურზე, იქაურზე, არადა ორი დღის შემდეგ მალიშევი წავა და სდიე მერე, ვინ იცის, შეხვდები ოდესმე?

ვლადიმერ ივანოვიჩმა თავი სინანულით გადააქნია. მართალი ხარო, მითხრა.

— მართლაც ცუდად აქვს თვალების საქმე. არადა, რა ლამაზი იყო ახალგაზრდობაში. ჯერ კიდევ ოცი წლის წინ გოგოები ჭკუას კარგავდნენ მისთვის. ენაწყლიანი კაცია, ჭკვიანი... წიგნს უთუოდ მოგვცემს. უწინაც ბარე ხუთჯერ მივუყვანივარ, სანამ წიგნს მომცემდა. სამაგიეროდ ყოველთვის მიმასწავლიდა ხოლმე, ვის ჰქონდა კიდევ ძველი ხელნაწერები, აქაურები „დღევანდლამდე არსებულს“ რომ ეძახიან.

გაზაფხულის წვიმით გაყივებული გზით სოფელ გარეეოში

ჩაეედით მეტივტივე ივან ფიოდოროვიჩ დურკინთან, წვერიან მოხუცთან, კათოლიკურ ტონზურასავით მოტიტვლებული საქოჩრე და სადღაც სილრმეში ჩამალული პირქუში გამოხედვა რომ ჰქონდა. მან თავისი სახლის მეორე სართულზე მიგვიღო. მისი ვრცელი ოთახები ისე ჭუჭყიანი და აშმორებული იყო (თანასოფლელთა გაკრიალებული სახლებისგან განსხვავებით), რომ ძლივს შევიკავე მოძალებული სურვილი გარეთ გავსულიყავი და პეჩორის შესართავთან ბორცვზე შეფენილ სოფელში მეხეტიალა; მენახა ვეებერთელა ხის ჯვრებით მოფენილი სასაფლაო, რომლებშიაც სპილენძის პატარა ხატები ჩაესვათ.

მაგრამ ვლადიმერ ივანოვიჩი არც სიბინძურეს შეუწუხებია და არც სუნს, რომელმაც ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა, როცა სპირტზე დასაყოლებლად „პეჩორულად" ჩადებული თევზი შემოგვიტანეს. აქაურებს ძალიან უყვართ ეს კერძი, თუ ცოტა „სუნი დაჰკრავს".

ვლადიმერ ივანოვიჩი მაშინვე მასპინძლის დაყოლიებაზე გადავიდა, დაიწყო შეგონება, მეცნიერება აურაცხელ ზიანს ნახავს, თუ სიჯიუტეს არ მოიშლითო. ამჟამად ლაპარაკი იყო კრებულზე, რომელშიც შედიოდა აბაკუმის მეხუთე არზა მეფისადმი. კრებული გადაწერილი იყო XIX საუკუნეში ივანე მიანდინის მიერ. ცნობილმა ჩრდილოელმა მწიგნობარმა „პეჩორული ნახევრადმთავრულით" უამრავი წიგნი გადაწერა და მალიშევისთვის ძვირფასი იყო მისი კალიგრაფიული ხელოვნების ყოველი პატარა ნიმუშიც კი, დამშვენებული მშვენიერი ორნამენტებითა და ფერადი მინიატურებით. რაღაც მანქანებით ჩვენს მეცნიერებათა დოქტორს გაუგია, რომ კრებული დურკინს ჰქონია.

სტაროობრიადელი ხატებისკენ შეტრიალდა, ორი თითით პირჯვარი გადაისახა, სპირტი გადაჰკრა და წიგნი ჩამოიღო.

— აჰა, ნახე. სულ კი ვერ მოგცემ. ვიცი, რომ ახლა შენ მეცნიერი ხარ, არადა, გახსოვს ომამდე მოხუცი ქალისგან წიგნები რომ იყიდე და იატაკზე დააწყვე? კარგი, კარგი, წასული ამბავია, გაკრიტიკებაც შეიძლება.

ვლადიმერ ივანოვიჩი მხოლოდ წამით დაიბნა, მაგრამ მერე ისევ მოჰყვა თავის მტკიცებებს. გამეორებებს არ ერიდებოდა. ცნობილია, თუ ადამიანს ერთი და იგივე ათასჯერ გაუმეორე, ნათქვამს თანდათან საკუთარ აზრად მიიჩნევს. ასეთია მეთოდი

ყველა წინასწარმეტყველისა და თავისი საქმით გატაცებული კაცისა — მაჰმადიდან მოკიდებული მალიშევამდე.

მისი საბუთები მე უკვე ზეპირად ვიცოდი და ამიტომ ჩვენი მზერა ოთახის კუთხეში კედელზე დაკიდებულმა ჩაშავებულმა ხატებმა მიიქცია, რომლებიც შესრულების მანერითა და ბუდეებით დანახვისთანავე შეიძლებოდა XVII და XVI საუკუნეებისთვის მიგეკუთვნებინა. მათი ცქერით მოჯადოებულმა ანაზდად გადავწყვიტე ხატებს ხელს შევავლებ და უკანა მხარეს „პერანგს“ ვნახავ-მეთქი, მაგრამ დროზე მოვეგე გონს და ნებართვა ვითხოვე.

— შეიძლება?

— ნახვა შეიძლება, ოღონდ ხელს ნუ ახლებთ... ერთს უნდოდა აეღო, მაგრამ ხატი არ აჰყვა. თუ რწმენა არა გაქვს, ამ ხატებს ისე ვერ აიღებ ხელში.

სტაროობრიადელის პირქუშმა გამოხედვამ ხატების დათვალიერების სურვილი დამიკარგა, მაგრამ მალე, რამდენიმე თლაშო სპირტის შემდეგ მელოტ მარტოხელას გული აუჩვილდა და ენაც ამოიდგა. რიგრიგობით დალია წმინდა სამების სადღეგრძელო — ჯერ მამისა, შემდეგ ძისა, ხოლო სული წმიდისა ორჯერ შესვა, ვინაიდან დაავიწყდა, ერთხელ უკვე დალეული რომ ჰქონდა. ამ შეცდომამ მასპინძელი საბოლოოდ გაამხიარულა და ჩვენ აუარება იგავი მოვისმინეთ, რომლებიც საღმრთო წერილს არსებითად ავსებდნენ და აგრძელებდნენ.

განსაკუთრებით ამაღელვებლად ქღერდა იგავი ნოეზე. ამ იგავის მიხედვით, ძველი აღთქმის პატრიარქი თურმე პეჩორის ნაპირებზე დაბადებულა. იგი სათხეველასაც (ბადეს) ქსოვდა. თევზიც მოჰყვებოდა მის ბადეს, თავისი კიდობანიც იმ იარაღით აუგია, პეჩორელი მეთევზეები რომ ხმარობდნენ, რა თქმა უნდა, ნუნუაც ყვარებია („ღვინოს დაელევ მარგულსა, არც წელს მატკენს, არც გულსა“).

სტაროობრიადელი ქადაგად დავარდა და, მისივე გამოთქმას თუ ვიხმართ, სიტყვების სესხება არ დასჭირვებია.

სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა კაცზე, რომელსაც მალიშევი ხუმრობით უსტ-ცილმისა და სრულიად რუსეთის „არქიეპისკოპოსს“ უწოდებდა. ეს გახლდათ ვასილი იგნატიევიჩ ლაგევი, მეტსახელად ზღვაოსანს რომ ეძახდნენ. ჭაბუკობაში პეჩორაზე დაცურავდა. სამოქალაქო ომის დროს წითელგვარ-

დიელი იყო, ერეკებოდა ინგლისელებს, ჩვენს ჩრდილოეთში დესანტი რომ გადმოსხეს; შემდეგ კი, მედავითნე ევდოკია ნილოვნას რომ გადაეყარა, სტაროობრიადელების მოძღვარი გახდა. დღესაც საეკლესიო წესებს ასრულებს — წესს უგებს, ნათლავს, აღსარებას იღებს, სადღესასწაულო პარაკლისს უხდის... როცა არ ქეიფობს. ქეიფი კი კარგი იცის, თუმცა სამოცდაათს გადააბიჯა, ცეკვავს, მღერის, დედა ნილოვნაც ნიკაპს ხელზე დაიბჯენს და ხმას ტკბილად ააყოლებს ხოლმე. სახლი თანამედროვე აქვს — ყველანაირი ელექტროტექნიკით მოწყობილი. მისი ვაჟები უსტ-ცილმის აეროპორტში სამოქალაქო ავიაციაში მსახურობენ.

მარაოსავით გაშლილი წვერით ზღვაოსანი ლევ ტოლსტოის ჰგავს, ან. თუ გნებავთ, თვით საბაოთსაც, როგორადაც იტალიელ ფერმწერებს ჰყავდათ წარმოდგენილი. ვასილი იგნატიევიჩი მებილინეთა საუცხოო ხელოვნებასაც ფლობს, დღეს ასე იშვიათად რომ გვხვდება. რუსულ ბილინებს მღერის და წინ გადაშლილი წიგნი უდევს. ზურგიდან რომ მიეპაროთ და წიგნში ჩაიხედოთ, დაინახავთ, რომ ტექსტს ბრმად როდი მიჰყვება. სულ სხვა ვარიანტებს მღერის, მის ფხიზელ მეხსიერებას ჯერ კიდევ იმ დროიდან რომ შემორჩენია, როცა ამ ბილინებს მისი პაპები მღეროდნენ.

მალიშევს ზოვაოსანი შალიან ეხმარებოდა, წიგნებს უძღვნიდა ხოლმე, მიასწავლიდა, სად შეიძლებოდა ხელნაწერები ეშოვა. სტაროვერი მოხუცი ქალები თავიანთ მოძღვარზე არც ისე მაღალი აზრისა იყვნენ მისი დარდიმანდობის გამო. თანაც ბერიკაცი ძველ შეხედულებებს მაინცდამაინც არ მისდევდა. ღმერთი კი სწამდა, მაგრამ ყოველივე ახალსაც მშვენივრად ეწყობოდა. დურკინს ეკითხე, რატომ მაინცდამაინც ზღვაოსანი გახდა მთელი ოლქის მოძღვარი-მეთქი?

მეტივტივემ მოკლედ მომიჭრა:

— ვასილი ნასწავლი კაცია.

— ვასილ იგნატიევიჩზე ნასწავლი სხვა აღარავინაა?

— არა!

— სად გაქრნენ?

— მე რა ვიცი, სად? რაც ერია, ის ბერია...

უკან, უსტ-ცილმაში დურკინმა თავისი მოტორიანი ნავით

წამოგვიყვანა, რომელიც პეჩორის ტალღებზე უმოწყალოდ გრუხუნებდა და მწვავე ბოლს უშვებდა.

რაიონული ცენტრი რეპროდუქტორების ხმაურით, მაღაზიების ფირნიშებით, კინოსა და ანტირელიგიური ლექციების აფიშებით შეგვხვდა.

მოხუცი სტაროვერები ლექციებზე ხალისით დადიან და ასეთი კითხვის მოცემა უყვართ:

— შენ ამბობ, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო. მაშინ ეს მაიმუნები დღეს რატომ არ ბადებენ ადამიანებს?

ეს, რა თქმა უნდა, კადნიერებით მოსდით. ერთნი ლექტორს სთხოვენ, რუკაზე გვიჩვენე არარატის მთა სად არისო, მეორენი კი სიამოვნებით ადევნებენ თვალს როგორ ცოდვილობს ლექტორი, რა ამაოდ ცდილობს მონახოს ნაპირი, სადაც ფეხი დადგა მოხუცმა ნოემ.

მოხუცების გასართობადღა მომეჩვენა სტაროობრიადობა, აქ, უსტ-ცელმაში ოდესღაც ძველი სარწმუნოების ბურჯად რომ ითვლებოდა, ახალგაზრდა თაობა სხვა დინებას მიჰყვებოდა. სალექციო დარბაზის გვერდით კლუბის ერთ-ერთ ოთახში ახალგაზრდული გუნდი ბორის კოგანის ხელმძღვანელობით იან ფრენკელის სიმღერას სწავლობდა, რუსულ ველზე რომ არის დაწერილი.

30

იგი სვენებ-სვენებით ადიოდა პუშკინის სახლის კიბეზე. გული გამალებით უცემდა. დროდადრო შუა მკერდში ტკივილი ეწყებოდა. ეს ერთ წერტილში აღმოცენებული მოუშორებელი ტკივილი აშინებდა. ვალიდოლი და ნიტროგლიცერინი ყოველთვის ვერ იცავდა იმ ურჩხულისაგან, რომელსაც საშინელი სახელი — „სტენოკარდია" ჰქვია. ექიმები საიმედოს ვერაფერს ეუბნებოდნენ, ურჩევდნენ დაესვენა, მას კი თავისი საცავის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო და პენსიაზე გასული მაინც აქ დადიოდა. ებრძოდა სენს, თავს ძალას ატანდა და ლოგინიდან დგებოდა, პირს იბანდა, წვერს იპარსავდა, ოთახს ალაგებდა, მაღაზიაში გადიოდა, საუზმობდა და ტრამვაით პუშკინის სახლისაკენ მიეშურებოდა.

ვლადიმერ ივანოვიჩს ჯერ არასდროს არ უგრძნია თავი ასე

ეულად. მან თავის ძმებზე, დებზე, დედაზე — ალექსანდრა ალექსანდროვნაზე დიდხანს იცოცხლა. აღარაფერი დარჩა, გარდა თავისი ხელნაწერებისა, გარდა „აბაკუმის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანის“ კართოტეკისა. თვითონ „მატიანე“ კი არ არის და აღარც იქნება. მთელი ცხოვრება ფიქრობდა ამ წიგნის დაწერაზე. აუარება საბუთები გადაქექა, მაგრამ ძალა აღარა აქვს, ძალა აღარა აქვს... ისევ უნდა შემოიაროს არქივები, ფაქტები დააზუსტოს... რამდენი რამ არის დასაზუსტებელი! მაგრამ ეს კი არა, ბარათების გადათვალიერების ძალაც არ შესწევს... დაღლილობა აზრს სწრაფად უფანტავს კაცს.

ხანი არც ისე დიდი აქვს. სამოცზე ცოტა მეტისა იქნება. განა ბევრია? ახლახან ფიოდორ კალიკინის დაკრძალვაზე იყო — ას წელს აღარაფერი უკლდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ითხოვა, ექსპედიციის შემადგენლობაში შეშიყვანეთო... ზავოლოკოც უფროსია — საცაა სამოცდაათისა გახდება. ყველა მოგზაურობს, ის კი, ვლადიმერ ივანოვიჩ მალიშევი, კუტიკით სულ შინ ზის და სიკვდილს ელოდება. ურთიერთდახმარების სალაროში ანდერძი მიიტანა, იმ თანხით, წლების მანძილზე რომ დამიგროვდა, აღაპი რუსული წესით გადამიხადეთო. ყველას ეცინებოდა — რა დროს სიკვდილზე ფიქრიაო, მაგას ისა სჯობს, ახალი პალტო შეიკეროს, თორემ მეცნიერებათა დოქტორს ძონძებში სიარული არ შეშვენისო. პალტო რად სჭირდება? საფლავში ხომ არ ჩაიტანს... მას ძველი ტანსაცმლის ჩაცმა უყვარს, ჩვეულებრივისა, სხვის ყურადღებას რომ არ იქცევს. შემნახველ სალაროში ათასი მანეთიღა დარჩა. ესეც საცავს უნდა დაუტოვოს ხელნაწერების შესაძენად. ჯერ კიდევ რამდენია გაბნეული ხალხში, აქაც, ლენინგრადშიც, მოსკოვშიც. რატომ ინახავენ? პატივმოყვარეობას იკმაყოფილებენ, ნაცნობებს უჩვენებენ; მათაც არაფერი გაეგებათ წიგნებისა, მაგრამ თავი ისე მოაქვთ, თითქოს დიდად აინტერესებდეთ. ახლა ყველანი ასე გაჩვენებენ თავს, თითქოს საცავში დადიან, რაღაცას გამოიკითხავენ, სტატიებს აცხობენ, „მეპრობლემეები“ წიგნებს თხზავენ. ვლადიმერ ივანოვიჩმა კი ვერა და ვერ შეძლო აბაკუმზე წიგნი დაეწერა. გაუჭიანურდა... ვერ მოიცალა, სულ ეგონა მოვასწრებო, მაგრამ უკვე ძალა აღარ შესწევს.

ერთი საფეხურიღა დარჩა... იგი გაჩერდა და შეისვენა. ქვე-

ვით, ვესტიბიულში, ჩვენ თავები ჩავღუნეთ, რათა არ შეემჩნია, მზერით როგორ მივაცილებდით.

მასზე ვლაპარაკობდით, მის ახირებულობაზე, გულფიცხობაზე, ამპარტავნობაზეც კი, ბოლო ხანებში რომ დასჩემდა. თავისი სისუსტისა და სიკეთის გამო სირცხვილის ოფლში იწურებოდა. მას უკვე მხოლოდ წარსულ დროში ახსენებდნენ. იგონებდნენ, ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარედ რომ ავირჩიეთ — დრო არ ენანებოდა, ხალხს ეხმარებოდა, მათი სატკივარი გულთან ახლოს მიჰქონდაო... შრომა კი დაუმთავრებელი დარჩა...

ვიღაცამ ვლადიმერ ივანოვიჩის თანაკლასელის ამბავი გაიხსენა. ახალგაზრდობაში იმ კაცის ცოლს ცილი დასწამეს — ბავშვი სხვისგან ჰყავსო. მანაც დაიჯერა. გადაწყვიტა, გოგო ჩემი არ არისო და ყირიმში გადასახლდა, იქ ოც წელიწადს ისე იცხოვრა, მისი არც ავი იცოდნენ და არც კარგი. შემდეგ შემთხვევით გაიგო, რომ თურმე ღვიძლი ქალიშვილი მიუტოვებია. გოგონა გაიზარდა და გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ჰამას. კაცი ლენინგრადში დაბრუნდა და თვითონ დარწმუნდა ამაში, მაგრამ ცოლმა აღარ მიიღო. არავის არ სჭირდებოდა არც ის და არც მისი განცდები. მარტო ვლადიმერ ივანოვიჩმა თანაუგრძნო, თავისთან წაიყვანა, ჰატარა ბავშვივით უვლიდა, მაგრამ წყალწაღებულს მაინც ვერაფერი უშველა.

უმწეოთა მიმართ მისი ასეთი გულისხმიერება შემთხვევითი არ იყო. ვლადიმერ ივანოვიჩმა ომი გამოიარა, ათასობით მოკლული ნახა. უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანებიც დაეღუპა. ყველაზე მძიმედ დედის — ალექსანდრა ალექსანდროვნას დაკარგვა განიცადა. ის ხომ მოხუცს თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, ცდილობდა მისი ყოველი სურვილი გამოეცნო, ცივ ნიავს არ აკარებდა...

კიდევ ერთი საფეხური... ვლადიმერ ივანოვიჩი დირექციაში ავიდა ძველი ხელნაწერების მორიგი ვამოფენის მოწყობის თაობაზე მოსალაპარაკებლად. ამაში მეც მიმიძღვის წვლილი. უსტ-ცილმაში ჩვენი მოგზაურობის შემდეგ ერთ პოპულარულ ჟურნალში გამოვაქვეყნე სტატია, რომელშიც ყველას მოვუწოდებდი გაფრთხილებოდნენ ხელნაწერებს და წიგნები პუშკინის სახლში გამოეგზავნათ. მართლაც, ამანათები ბევრმა გამოგზავნა: აბაკუმის თანამოაზრის, ბერ აბრაამის უცნობი ლექ-

სები, მოთხრობებისა და თქმულებების კრებულები, ივაშკა პერესვეტოვის თხზულება...

მეც ვუგზავნიდი ვლადიმერ ივანოვიჩს, თუ აბაკუმის ნაკვალევზე მოგზაურობის დროს რაიმე ხელნაწერს ვიპოვიდი.

მანძილს, რომლის დაძლევას ჩვენი წინაპრები დიდი ტანჯვა-წამებით ორ-სამ წელიწადს უნდებოდნენ, სამგზავრო თვითმფრინავები ახლა რამდენიმე საათში ფარავენ. მაგრამ იმდენს რას დაინახავ თვითმფრინავიდან — განათებულ ღრუბლებს და კიდევ ჩამუქებული ტყის მასივთა ზოლებს...

უფრო მეტი დავინახე ვაგონების, ავტობუსების, კატერების, ავტომობილების ფანჯრებიდან, როცა აბაკუმის ნაკვალევს ნერჩინსკამდე მივყვებოდი. გზაზე მხვდებოდა ქარხნის კორპუსები, ნავთობის კოშკურები, მადნის კარიერები, ელექტროსადგურების კაშხალები, ხელოვნური ზღვები...

დიდი და უკიდეგანოა ჩვენი მიწა... ასე იწყებდნენ ჯერ კიდევ ეამთააღმწერლები, მაგრამ ყოველთვის, როცა ქვეყანაში მოგზაურობ, ამ სიტყვებს იმეორებ და გული სიხარულით გევსება. ეს გრძნობა მით უფრო გიორკეცდება, როცა ხვდები, რომ გზის სიგრძე მარტო კილომეტრებით კი არ იზომება, არამედ საუკუნეებითაც. გზა დროსთან ერთად მეოთხე განზომილებაში შედის. ის დროთა კავშირის ცოცხალი განსახიერებაა და გგონია მასზე მიქრის გოგოლის სწრაფი სამცხენა.

რა უნდა უამბო ვლადიმერ ივანოვიჩს ისეთი, რომ გააოცო? მას ქვეყანა მოვლილი აქვს, ყველაფერი ნახა და ჩემზე უკეთ იცის, ამ გზაზე რასაც ჩაუვლია. ჩემთვის კი ყველაფერი ახალი იყო...

37

სადგურ პრიისკოვაიაზე მატარებელი „როსია" ღამის ოთხ საათზე ჩავიდა. დაფლეთილი ღრუბლებიდან ნაღვლიანად ანათებდა ბადრი მთვარე. სადგურთან გაშლილ დასახლებას ჯერ ვიდევ ეძინა.

მზის პირველი სხივები ყველაზე მაღლა მიმოფანტულ ფუმფულა ღრუბლებს დაეცა და შავი ცა ოდნავ გაანათა. თანდათან გამოიკვეთა ბორცვები შილკის ველის ირგვლივ, რომელიც თავიდან შიშველი მომეჩვენა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემ თვალწინ ხშირი ტევრი გადაიშალა. აღმოსავლეთს ალისფერი

დაედო. თავიდან ეს იყო პატარა სამკუთხედი ადგილი, ბორცვებს შუა შეკრილი იმ მიმართულებით, საითაც მატარებელი გაუჩინარდა. შემდეგ ცა თანდათან განათდა, ხოლო აღმოსავლეთის ალისფერ ფონზე ბორცვები ისევ გამუქდა.

დაბას გავცდი თუ არა, მდინარე ნერჩის რკინიგზის ხიდი დავინახე. სადღაც აქ ნერჩი შილკას უერთდება. გამოჩნდა განიერი, ჩქარი მდინარე, რომლის ზედაპირს ვარდისფერი ათინათი დაჰკრავდა. აღმოსავლეთს ცეცხლი მოეკიდა. მართლაც, ღირდა ათასობით კილომეტრის გავლა, რომ შილკის განთიადი გენახა.

ცას თანდათან ზაფრანის ფერი დაედო. მეორე ნაპირზე ღარტაფები და ხრამები გამოიკვეთა. სადღაც აქ იყო პირველი რუსული ციხე-ქალაქი, ეოევოდა პაშკოვმა ნერჩის შესართავთან ხელახლა რომ ააგო. იქნებ სულაც აქ იყო, ამ ბრტყელ კუნძულზე?

მე ნავში ჩავჯექი, ნახევრად ნაპირზე რომ იდგა. მესმოდა როგორ დგაფუნობდნენ თევზები წყალში, ვხედავდი, გამთენიისას როგორ ასდიოდა ორთქლი მდინარეს. აღმოსაელეთი თანდათან გამქრქალდა, მაგრამ ახლა ქერეჭივით პატარ-პატარა, გამჭვირვალე, უძრავად გაწოლილ ღრუბლებს მოედო სიწითლე, მათ უკან კი ლაჟვარდისფერი ცა მოჩანდა.

ნისლიც გადაიყარა. ცამ ჯერ მომწვანო ფერი გადაიკრა ზღვასავით, შემდეგ — ისევ ჩვეულებრივი ლურჯი. მაგრამ ღრუბლები მაინც ენთო, ენთო არა წითლად, არამედ უფრო კაშკაშა ალით — ზაფრანისფრად, ახლა წითელი ფერი დასავლეთის ღრუბლებს დაედო — მსუბუქებს, გამჭირვალეებს, აჟურულებს...

მზე კი ჯერ არ ჩანდა. არა უშავს, დავიცდი...

ას სამოცდაათი ტივი მოადგა ნერჩის შესართავს, თითოეულზე ორი-სამი კაზაკი იყო. ტივები დაშალეს და ქოხებისა და ციხესიმაგრის კედლების აშენება იწყეს. ეოევოდა პაშკოვი ჩქარობდა და ხალხს არ ინდობდა.

გაჭირვებით ითვისებდნენ კაზაკები ახალ ადგილებს. ციხე-ქალაქთან მიწა მწირი იყო, პური ალარ ხარობდა. ბევრი იღუპებოდა. აბაკუმს ორი პატარა ბიჭი მოუკვდა. აი, ამ რუხ მთებზე დაეხეტებოდა ნასტასია მარკოვნასთან ერთად აბაკუმი და საჭმელად გამოსადეგ ძირხვენებს და მგლებისგან დახრულ ნადირის ძვლებს აგროვებდა.

„საჭმელი აღარაფერი გვქონდა, — ისევ და ისევ აბაკუმის სიტყვები მაგონდებოდა, — ხალხი შიმშილისა და წყალში მუშაობისაგან წყდებოდა. მდინარე მეჩხერი იყო, ტივები — მძიმე, ჩაფრებს ხელთ დიდი ჯოხები, ნუჟრიანი კეტები და მწვავე მათრახები ეპყრათ, წამებაც სასტიკი იცოდნენ — ცეცხლი და მუშტი. ხალხი მშიერი იყო — კაცს წამებას დაუწყებდნენ თუ არა, მაშინვე კვდებოდა!.. ცემა რაღად უნდოდათ, ისედაც ძლივს ედგათ სული — გაზაფხულის დამდეგს მთელი ზაფხულის მარაგად ათ კაცზე ერთ ტომარა ალაოს იძლეოდნენ. არადა, მაინც უნდა ემუშავათ... ძეწნა რომ ძეწნაა, ისიც ვერ მოეჭრათ შეჭამანდისათვის, ჯოხით სცემდნენ ხოლმე: ფეხი არსად დაადგა, ადგილზე მოკვდიო. წარმოიდგინეთ, რა დრო იყო!"

ცოლმა აბაკუმს ჰკითხა: „კიდევ დიდხანს უნდა ვიტანჯოთ, დეკანოზო?" მან უპასუხა: „სიკვდილამდე, მარკოვნა!" ნასტასია მარკოვნამ ამოიხვნეშა: „კარგი, პეტროვიჩ, იყოს ნება შენი".

მაგრამ ადამიანებმა ყველაფერი დასძლიეს, ბუნება დაიპყრეს, ადგილობრივ ტომებს დაუახლოვდნენ, რომლებსაც მანჯურია-ჩინეთის ლაშქრის შემოსევებისაგან სული ჰქონდათ გამწარებული.

ნახევარი საათია ნერჩინსკი და შილკის შესართავთან ვზივარ და განთიადს ვუმზერ. უცებ ღრუბლები ჩაქრნენ: გაუფერულდნენ, უჩინონი გახდნენ. აღმოსავლეთით მზე ამოიწვერა.

88

სუხონის ნაპირზე ფეხი იმ დროს დავდგი, როცა ტოტმაში მიცვალებულებს აღაპს უხდიდნენ...

მარჯვენა ნაპირზე ბორანთან აუარება ხალხი ირეოდა. საუქმოდ იყვნენ გამოწყობილნი, ხელში ბოხჩები და ჩანთები ეჭირათ. სასაფლაო მარცხენა ნაპირზე იყო. მომცრო ბორანი, რომელიც ჩვეულებრივ დღეს პატარა სუხონის გადაცურვას რამდენიმე წუთს უნდებოდა, ახლა ხალხით გაჭედილი მთელი ნახევარი საათი შუა მდინარეში იდგა და მანამ არ დაძრულ, სანამ გადაყვანის ფული ყველამ არ გადაიხადა. ბოლოს ბორანი ნაპირს მიადგა, სადაც საბიჯელასთან დიდი შავი თხა იდგა და ჩანთებს, ჩამოსულებს ხელში რომ ეჭირათ, რქებს ურტყამდა.

— ო, ეშმაკის კერძო! — ყვიროდნენ დედაკაცები და საბაფლაოსკენ მიდიოდნენ.

იგონებდნენ არა მარტო იმათ, ვინც საფლავების სადა, უბრალო ბორცვებქვეშ განისვენებდა, არამედ იმათაც, ვინც თავი ბრძოლის ველზე დადო.

ქალები ერთად დასხდნენ საფლავებზე, შვილები და შვილიშვილები გულზე მიიხუტეს და ჩუმად მოთქვამდნენ... ჩურჩულით, ალერსით წარმოთქვამდნენ იმათ სახელებს, ვინც ველარასოდეს დაბრუნდებოდა. სადა ხართ, მამებო, ძმებო და ქმრებო? გაქვთ კია, ანდა სად არის თქვენი საფლავები? თქვენს დიდ გმირობაზე როდი ფიქრობენ ახლა ახლობლები, ისინი ცოცხლებს გიგონებენ, იგონებენ თქვენს სიტყვებს, ჩვევებს, თქვენს ალერსს.

ბოხჩები გახსნეს და საფლავებზე გაიშალა ღარიბული საჭმელი: ფეტვის ფაფა, თევზის ღვეზელი და ღვინო. მეც მიმიპატიჟეს ამ უბრალო აღაპზე და მთხოვეს მეხსენებინა ივანეს, პროკოფის, ვასილის, ანდრეის, ვლადიმირის სული...

39

ვლადიმერ ივანოვიჩ, ნეტა ცოცხალი თუ ხართ?

ჩემამდე ექოსავით აღწევს ჩვენი კამათისა და საუბრების გამოძახილი. თქვენი ხმისთვის არ არსებობს დაბრკოლება — მანძილი, წლები, თვით სიკვდილის მიჯნა. თქვენი ტკივილი გავითავისე და თქვენი თვალებით ვხედავ იმას, რასაც უწინ ვერ დავინახავდი.

ჩემგან სიმაღლეს მოითხოვენ, მე კი იმასაც ვამჩნევ, რაც ზოგს დაბალი ჰგონია — ყველაზე ღრმა ჭის ძირში ლურჯი ცის ნაჭერი ირეკლება, წყალი ხომ ცივი და გამჭვირვალეა. სად არის სიმართლე ამ ცოფიან სამყაროში — ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, ოჯახურ სიმყუდროვეში, დღედაღამ ფუტკარივით შრომაში?

სიტყვა უძლურია, სიცოცხლე ხანმოკლე, მე კი შეკითხვა მეტი მაქვს, ვიდრე პასუხი, მთელი ქვეყნის სუფთა ქაღალდი არ ეყოფოდა ერთი, ერთადერთი ადამიანის შთაბეჭდილებების, ტანჯვისა და სიხარულის აღწერას, რადგან

ყოველი ჩვენგანი სამყაროს ემსგავსება — რაც უფრო მეტად შეიცნობ შენს თავს, მით უფრო შეუცნობელი ხდები.

მაგრამ მე მაქვს ნების თავისუფლება და ვირჩევ, ვწერ, ვშლი და ისევ ვწერ, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდე საკუთარ უუნარობაში, ყოფიერების გამოცანების წინაშე ჩიხში მოვექცე და პაწია იმედებით გავიხარო. და, რა თქმა უნდა, ვლადიმერ ივანოვიჩ, თქვენი სიხარული და მწუხარებაც გამოვიცნო ხოლმე.

მე ვხედავდი, როგორ გენთებოდათ თვალები არაამქვეყნიური, კაშკაშა სინათლით, როცა ძველი აზრის ნამსხვრევს გადაარჩენდით. თუ თქვენი მონაპოვრების მიხედვით ვიმსჯელებთ, თქვენთვის ცხოვრებას მხოლოდ სიხარული უნდა მოეტანა. მაგრამ განა შეიძლებოდა ასე ყოფილიყო ამდენი უმძიმესი გამოცდის, ამდენი ტანჯვის, გაჭირვებისა და ადამიანთა გულგრილობის შემდეგ?

მახსოვს, ვლადიმერ ივანოვიჩ, ვოლხოვის ფრონტზე ძველი ნოვგოროდის მიდამოებში მძიმე ბრძოლების ამბავს მიყვებოდით. გიორგის მონასტრის მტკიცედ ნაგები კედლებიდან ჩვენს ჯარისკაცებს სიკვდილის მომტანი გრიგალი დაატყდათ. მაგრამ ჩვენი არტილერია დუმდა. გადაწყვეტილი იყო მტრისთვის რუსული კულტურის ეს ბრწყინვალე ძეგლი ისე წაერთმიათ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიეყენებინათ ტაძრის კედლებისათვის, რვაას წელზე მეტხანს რომ იდგა მიწაზე.

ალბათ ჩვენი დანაკარი ნაკლები იქნებოდა, ჩვენს არტილერიას ტაძრის კედლებისა და თაღებისათვის ცეცხლი რომ დაეშინა და ჰიტლერელები მის ნანგრევებში ჩაემარხა. შეიძლება იმ ჯარისკაცებს, ტაძარში რომ შეცვივდნენ და მის გუმბათქვეშ სხვებთან ერთად ესპანელი მეტყვიამფრქვევე შეიპყრეს „ცისფერი დივიზიიდან", არასოდეს სმენიათ ძველი მატიანის სიტყვები: „ოსტატად პეტრე მუშაობდა"; მაგრამ ისინი მოხიბლა დიდებულმა შენობამ, რომელიც ააგო ნოვგოროდელმა პეტრემ რუსი ხალხის არაერთი თაობის სასიხარულოდ და საამებლად.

ჯარისკაცის ის დიდი გმირობა თქვენს ცხოვრებას ხომ არა ჰგავს, ვლადიმერ ივანოვიჩ? ხომ არ არის-მეთქი აღსავსე იმ აზრით, რაც პუშკინის ცნობილ სიტყვებში ეღერს:

„წინაპართა სახელით თავმოწონება არამცთუ შეგვიძლია, გვმართებს კიდეც, მისი უპატიოცემლობა სამარცხვინო სულ-ძოკლეობაა“.

ამ სიამაყის უფლება სისხლითაა მოპოვებული; იმისთ-ვის, რომ შეგვეძლოს ვიამაყოთ, აუნაზღაურებელი ნერვუ-ლი ენერგიაა დახარჯული, ამიტომ მე იმდენს არ ვლაპარა-კობ თქვენს სამ ჭრილობაზე ან ყუმბარის აუარება პატარა ნამსხვრევზე, ექიმებმა რომ ვერ ამოიღეს და სხეულში ღრმად ჩამჯდარი, ზოგჯერ აუტანელ ტკივილს გაყენებთ, რამდენსაც სხვა ჭრილობებზე, სხვა ტკივილებზე...

როცა ჩვენს შეხვედრებს ვიგონებ, მახსენდება, რა მოუთმენლად გელოდით სიქტივკარში, სადაც სასტუმროს სევდამ დამრია ხელი და, როგორ გამიხარდა, როცა ლე-ნინგრადიდან ჩამოფრენილი თვითმფინავის ტრაპზე გამოჩნ-დით. ვახშამზე დაწყებული უთავბოლო საუბარი დაახლოე-ბით ღამის ორ საათზე დავამთავრეთ. ვიჩეგდის ნაპირზე თეთრი ღამე მარგალიტისფრად აელვარებდა მაშვრალ მდინა-რეს, რომლის მოსაქცევზე პატარა მებუქსირე გემები ვეე-ბერთელა ტივებს მიათრევდნენ... თქვენ დაღუპულ ხელნა-წერებზე დარდობდით, აქებდით გეოლოგებსა და ტოპოგრა-ფებს, რომლებიც თავიანთ ნაპოვნს გიგზავნიდნენ, წყეელი-დით მძარცველებს, უცხოელებს გაგზავნიდინეს წიგნებიო.

— ყველაფერი ძვირფასია, — მითხარით თქვენ, — დი-დი სამამულო ომის მონაწილეთა ჩანაწერებიცა და მოგო-ნებებიც. ეს უკვე ისტორიაა.

და ჩვენ კვლავ შევიჭერით საუკუნეთა სიღრმეში, აბა-კუმთან, რომელიც, როგორც „თავისი დროის პუშკინი“, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას იმსახურებდა. მაშინვე გკითხეთ, აქამდე რატომ არ დაიბეჭდა ეს კრებული-მეთქი. პასუხის ნაცვლად შემომხედეთ და თქვენს თვალებში მე დაეინახე წყენა, რომელიც ჩემი ყალბი მიამიტობით იყო გამოწვეუ-ლი. ის მართლაც ყალბი გახლდათ, იმიტომ, რომ ჩვენ უკვე არაერთხელ გვილაპარაკია, რა ძნელია კულტურული მემკ-ვიდრეობისადმი უმეცარი დამოკიდებულების დაძლევა.

თქვენს თვალებში მწუხარება და დაღლა ამოვიკითხე და მივხვდი, როგორ გიჭირდათ ეს წლები, რაკი თავდადებულ

მოღვაწეს არავინ გედგათ მხარში, მიუხედავად გარეგნული თანაგრძნობისა და ქებისა, რომელსაც ირგვლივ მყოფნი თქვენთვის არ იშურებდნენ. თქვენ მათთვის ახირებული კაცი იყავით და ახირებულადვე დარჩით. თუმცა თქვენი გატაცების მნიშვნელობა რომ შეიგნეს, ოდნავადაც არ შეშურდათ თქვენი, იმიტომ, რომ აკადემიური კარიერის შექმნის პროცესი მათი უმრავლესობისათვის უფრო მნიშვნელოვანი და მიმზიდველი იყო მეცნიერებაზე, რომელსაც თითქოს მთელ ცხოვრებას სწირავდნენ. ეგეც არ იყოს, თქვენი საქმე ზოგიერთს მეცნიერებად არც მიაჩნდა, სნობურად ხითხითებდნენ თავიანთი სქოლასტიკურ-სტრუქტურალისტური აზრთწყობის სიმაღლიდან. რა ნერვებისა და ჯანმრთელობის ფასად დაგიჯდათ ამ ხითხითის მოთმენა! რამდენი ძალა შეალიეთ იმას, რომ მეცნიერთა ოლიმპის აღიარება მოგეპოვებინათ, რომლის განკარგულებაშიც ფულადი სახსრები იყო. ახლა უკვე შეგეძლოთ ძველი რუსული წიგნების თვალუწვდენელი ზღვის ნარჩენები გადაგერჩინათ, იმ დიდიდან მოგეპოვებინათ ის მცირედი, რაც ჯერ კიდევ იყო ხალხში მიმოფანტული. ნიადაგ განგაშით შეპყრობილს ეგ გრძნობა გტანჯავდათ, სულს გხდიდათ. თუნდაც ერთი ხელნაწერი წიგნის გადარჩენა დიდი საქმეა. რამდენჯერ მიგიღიათ განგაშის სიგნალი — აქა და აქ ბიბლიოთეკა უნდა დაწვანო; მაშინვე იქით გასწევდით, მაგრამ ხშირად ვერ ასწრებდით შველას. ბევრი შეაგროვეთ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც დაიღუპა ან შეიძლებოდა დაღუპულიყო... გადაარჩინე, გადაარჩინე!

რად სჭირდება გადარჩენა, ან ვისგან უნდა გადაარჩინო?

40

ბოლო ხანებში სულ უფრო მეტს ვფიქრობ ღვაწლმოსილ ადამიანებზე.

არქიტექტორი პეტრე ბარანოვსკი უკვე ოთხმოცდაექვსი წლისაა. ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ მხნედ იყო, დაფუსფუსებდა, დაწესებულებებში დადიოდა, კომისიების სხდომებს ესწრებოდა. საშუალო ტანის კაცი იყო, გრუზათმიანი, ულვაშა, თითქმის ახალგაზრდული, ლამაზი სახე

ჰქონდა, ოთხმოცდაათ წელს მიღწეული ბერიკაცის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. ერთ მშვენიერ დღეს კი აღარ გამოჩნდა. ვიცოდი, რომ ვლადიმერ ივანოვიჩი ხვდებოდა ხოლმე ბარანოვსკის, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ჩვენს ქვეყანაში არქიტექტურულ სიძველეთა საუკეთესო მცოდნეს, როცა დეკანოზ აბაკუმის კვალს ეძებდა მოსკოვში, ბოროვსკსა და სხვა ქალაქებში.

ბარანოვსკის ცხოვრებაზე ლეგენდებს თხზაედნენ. ყვებოდნენ ხოლმე, რომ მისი წყალობით ჩვენს ძველ ქალაქებში ასობით ძეგლი გადარჩა. თუ გაჭირდებოდა, ბულდოზერს წინ გადაუდგებოდა, ან იმ შენობაში ჩაიკეტებოდა ხოლმე, რომელიც ვიღაცის დაუდევრობის წყალობით დასანგრევად იყო განწირული. ამასობაში მისი თანამოსაგრეები განგაშს ატეხდნენ, მიაღწევდნენ პასუხისმგებლობით აღჭურვილ ადამიანებამდე და ამით არქიტექტურული შედევრების გადარჩენას ახერხებდნენ. ყველაზე გასაოცარი იყო ლეგენდა, რომ ბარანოვსკიმ თვით სტალინამდეც კი მიაღწია, როცა ნეტარი ვასილის ტაძრის აღება გადაწყვიტეს. ეს დაახლოებით ასე მომხდარა: წითელი მოედნის რეკონსტრუქციის განხილვისას მთავარ არქიტექტორს, რომელიც ამტკიცებდა, ნეტარი ვასილის ტაძარი აუცილებლად უნდა ავიღოთო, რათა საზეიმო დემონტრაციების მსვლელობას ხელი არ შეუშალოსო, მაკეტიდან ტაძრის მოდელი აუღია, მაგრამ სტალინს ეს მოდელი უკან დაუდევს — ამას თავი დაანებეთო...

თავიდანვე ვიტყვი — ყველაფერი ეს მოგონილი აღმოჩნდა, მაგრამ სინამდვილეში ამბები მართლაც დრამატულად განვითარებულა, თუმცაღა ბარანოვსკის მოქმედების დედაარსი ლეგენდაში სწორადაა გადმოცემული. მაგრამ თუ მოყოლაა, მოდით ყველაფერს თანმიმდევრობით მოვყვეთ...

ვლადიმერ ივანოვიჩისა და ბარანოვსკის შეხვედრა ამ წიგნისათვის უაღრესად საინტერესოდ და აუცილებლად მეჩვენებოდა. თავისი საქმის ორი უდიდესი მცოდნის, თანამზრახველისა და მამულიშვილის საუბარი შეიძლებოდა წიგნის მთავარ სამკაულად ქცეულიყო. მაგრამ მათგან ერთი უკვე აღარ გახლდათ ცოცხალი, მეორე კი...

ბარანოვსკის ტელეფონით დავუკავშირდი. მას ბებრული ხმა არ ჰქონდა, მაგრამ ნაღელიანად, ნელა ლაპარაკობდა,

თითქოს მხოლოდ თავის უბედურებას უსმენდა და არვითარ ცდას არ დაჰყვებოდა, რომ მისთვის ეს უბედურება მცირე ხნით მაინც დაევიწყებინათ.

— არ შემიძლია, არ შემიძლია, არ შემიძლია. არაფერზე ლაპარაკი არ ძალმიძს, არაფერი არ მახსოვს. ცოლი გარდამეცვალა. მარია იურევნა ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო. უიმისოდ ჩემი ცხოვრებაც დამთავრდა. ჩინებული მეცნიერი გახლდათ, დეკაბრისტებს სწავლობდა.

სხვა რამეზე ლაპარაკი არ შეეძლო და ფრაზებს ინერციით წარმოთქვამდა, თითქოს ისევ სასაფლაოების სამმართველოს რომელიღაც პასუხისმგებელ პირს უმტკიცებდა, რომ მარია იურევნას უფლება ჰქონდა ნოვოდევიჩის მონასტრის ტერიტორიაზე განესვენა, სადაც მას და პეტრე დიმიტრევიჩს მრავალი წელი უცხოვრიათ.

როცა შეხვედრასა და საუბარზე გადაჭრით არ მითხრა უარი, გადავწყვიტე შინ ვწვეოდი. მარია იურევნა წელიწადზე მეტია, რაც გარდაიცვალა და პეტრე ბარანოვსკი არსად არ დადიოდა, თავის ახალგაზრდა მეგობრებს — არქიტექტორებს, რომელთაგანაც ზოგადად ვიცოდი ბარანოვსკის ცხოვრების ნამდვილი ამბები, იშვიათად, მაგრამ შინ იღებდა ხოლმე.

მე სრეტენკაზე ვცხოვრობ, ერთ-ერთზე იმ შვიდი ბორცვიდან, რომლებზეც, გადმოცემით, ოდესღაც ძველი მოსკოვი მდებარეობდა. ჩემი სახლის ფანჯრებიდან მოჩანს ბოროვიცკის ბორცვზე მდგარი ივანე დიდის ტაძარი. მის იქით, სახლის სახურავებს ზემოთ ვორობიოვის გორაზე, უნივერსიტეტის შპილი ამართულა. ეს უკვე სამი ბორცვია. დანარჩენი ბორცვებია — ტვერსკისა, ტრიოხგორიასი — პრესნიაზე, ტაგანკა და ლეფორტოვო. ნუ შეშინდებით, მე არ ვაპირებ მოვყვე „საიდან წამოვიდა მოსკოვი", როგორ გაიზარდა მესამე რომი, როგორ დაჩრდილა მსოფლიოს სატახტო ქალაქები ბრწყინვალებით, თავისებური ეროვნული არქიტექტურით. მე ჩემი ბორცვიდან პირდაპირ გავუყვები გზას ვოროობიოვის გორისაკენ, მიწის ქვეშ მეტროთი გავივლი ქალაქის მთელ ისტორიულ ნაწილს, სადაც თითქმის ყოველი ქვა პეტრე ბარანოვსკის ხელშენავლები და აზომილია.

დოროგობუჟიდან თხუთმეტი წლისა ჩამოვიდა მოსკოვში

სამშენებლო საქმის შესასწავლად. მის მშობლიურ სმოლენსკში, ჩინაშიც და მოსკოვშიც სახლებს დიდი თევდორე კონი აგებდა, მაგრამ პეტრე ბარანოვსკიმ ეს ჯერ კიდევ არ იცოდა, მაგ უცებ ვერ დაინახა სილამაზე ძველი დედაქალაქისა, სადაც უკვე დიდი ხანია ფხიანი ხალხი ისტორიულ შენობებს მთლიანად ანგრევდა და მათ ადგილზე შემოსავლიან სახლებს აშენებდა. შოგვიანებით, 1915 წელს, როცა არქეოლოგიურ ინსტიტუტში თავისუფალ მსმენელად მოეწყო, პროფესორ გრაბარის ლექციებიდან შეიტყო, რომ ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის დროს ბაჟენოვთან, პროექტით, რომელიც ბოლოს მაინც განუხორციელებელი დარჩა, აიღეს უწყებების შენობები და კრემლის ორი კოშკი, მათ ადგილზე კი უზარმაზარი ქვაბული ამოთხარეს; ბევრი შემდგომი „გაწმენდის“ ამბავიც შეიტყო, XIX საუკუნის მოსკოვში გადაკეთების შმაგი ჟინით შეპყრობილ ქალაქის მმართველთა გულმოდგინების წყალობით რომ ხორციელდებოდა.

პეტრე ბარანოვსკის აღმოაჩნდა ნიკ ბათქაშისა და კლასიკური მორთულობის ქვეშ გამოეცნო ძველი დიდი აგურები, პეტრეს გარდაქმნებამდე ასი წლით ადრე რომ ხმარობდნენ. ინსტიტუტი ოქროს მედალზე დაამთავრა და დატოვეს კიდევ იქ ლექციების საკითხად და პროფესორის წოდებისათვის მოსამზადებლად, მაგრამ სხვა მოწოდება ჰქონდა და ამიტომაც დაიწყო მუშაობა რესპუბლიკის მხატვრულ-ისტორიული ქონების სახალხო კომისარიატის ხელოვნებისა და სიძველეთა ძეგლების დაცვის განყოფილებაში. ამასთან ერთად იყო უფროსი მეცნიერ-მუშაკი ცენტრალური სახელმწიფო არქიტექტურულ-სარესტავრაციო სახელოსნოებისა, რომლებსაც იგორ ემანუილოვიჩ გრაბარი ხელმძღვანელობდა.

თვრამეტი წელი იყო, რევოლუციის პირველი წელი. ჟამი იმედისა და დიადი გარდაქმნებისა, კულტურული მემკვიდრეობისადმი ახალი მიდგომის ჟამი.

პეტრე ბარანოვსკი გახარებული, მღელვარებით კითხულობდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ მოწოდებებს, ქალაქებში კედლებზე რომ იყო გაკრული.

„...მოქალაქენო, გაუფრთხილდით ამ მემკვიდრეობას, გაუფრთხილდით ხურათებს, ქანდაკებებს, შენობებს — ეს თქვენი და თქვენი წინაპრების ძალის განსახიერებაა.

„...მოქალაქენო, ნუ ხელყოფთ ნურც ერთ ქვას, დაიცავით ძეგლები, შენობები, ძველი ნივთები, საბუთები — ეს ყველაფერი თქვენი ისტორიაა, თქვენი სიამაყეა".

გამახსენდა, ერთხელ ჩვენი ნაცნობობის ჯერ კიდევ პირველ წლებში როგორ წამიკითხა ვლადიმერ ივანოვიჩმა ერთი ფრიად საინტერესო გამონათქვამი. გასული საუკუნის რუსული ხალხური შემოქმედების ცნობილი შემგროვებელი პ. ვ. კირეევსკი ნ. მ. იაზიკოვს სწერდა:

„ყოველ საათს ცხადლივ ვგრძნობ, რომ ბარბაროსების არსებითი განმასხვავებელი თვისება მეხსიერების უქონლობაა, რომ არ არსებობს არც რაიმე დიადი საქმე, არც დალაგებული, მწყობრი სიტყვა საკუთარი ღირსების ცოცხალი გრძნობის გარეშე, რომ საკუთარი ღირსების გრძნობაც არ არსებობს ეროვნული სიამაყის გარეშე, ხოლო ეროვნული სიამაყე — ეროვნული ხსოვნის გარეშე".

ვლადიმერ ივანოვიჩს უყვარდა იმ გამონათქვამების ამოწერა, რომლებიც მის იდუმალ აზრებს ეთანხმებოდა. ეს აზრები თითქოს მართლაც მისი გახლდათ, იმიტომ, რომ სამოციანი წლების შუა ხანებში სრულიად სხვადასხვა ხალხს გაუჩნდა მოთხოვნილება ხელი გამოეღო, რათა არ დაკარგულიყო წარსულის ხსოვნა — ყოველი კულტურული ერის ეს აუცილებელი თვისება. მაშინ ხომ ბარანოვსკიც ცდილობდა ძეგლთა დაცვის საზოგადოების ჩამოყალიბებას (და ჩამოყალიბა კიდეც).

ეროვნული ხსოვნა გამოიხატება არა მარტო ისტორიული ამბებისა და გმირების გახსენებაში (შეტადრე ომის წლებში), არამედ კულტურის ძეგლების — შენობების, ხელოვნების ქმნილებების, ხელნაწერების დაცვაშიც...

მახსოვს, საუბარში თანამედროვე მეცნიერულ ტერმინოლოგიას მივმართავდით, ვარკვევდით ხალხის კულტურის მემკვიდრეობითობას, მის სულიერ აგებულებას, მემკვიდრეობით ინფორმაციას, რომელსაც ადამიანის ორგანიზმის ყოველი უჯრედი შეიცავს. მთლიანად ადამიანი — ეს არის ხსოვნა გარდასული თაობებისა, გენებით რომა აქვს გადმოცემული. ჩვენ ყველანი ჩვენი მშობლების, პაპების, პაპის პაპების ხატად და მსგავსადა ვართ შექმნილები. ცნობილია, რომ მემკვიდრეობითი ინფორმაციის შეცვლა, ამ ინფორმაციიდან

რომელიმე რგოლის ამოვარდნა, იწვევს მუტაციებს, რასაც თითქმის მუდამ ფიზიკურ სიმახინჯემდე ან გონებაჩლუნგობამდე მივყავართ.

ასეა კულტურაშიც — წარსულის ცოდნისა და მისდამი პატივისცემის გარეშე, წინაპრების დიდი მემკვიდრეობის დაცვის გარეშე შეუძლებელია გმირებისა და გენიალურ წინასწარმეტყველთა წარმოშობა, უკეთესი საზოგადოების აშენება.

პეტრე ბარანოვსკი რევოლუციის შემდეგ წლებში ყურადღებით ეცნობოდა ლენინის გამონათქვამს, აუცილებელი და საჭიროა ყველა ძალა ვიხმაროთ, რათა არ წაიქცეს ჩვენი კულტურის დედაბოძები, თორემ ამას პროლეტარიატი არ გვაპატიებსო.

მძიმე წლები გახლდათ. სამოქალაქო ომი. ომის შემდგომი ნგრევა და გაპარტახება. ყოველი კაპიკი ძვირფასი იყო. მაგრამ მთელ ქვეყანაში იცავდნენ ძველ მუზეუმებს, გაიხსნა ახალი მუზეუმებიც ყოფილ მონასტრებში, სადაც თავი მოიყარა საბუთებმა, ხელნაწერებმა, ძველმა წიგნებმა; ჩამოყალიბდა ინტიტუტები, მოქმედებდა მრავალი სამეცნიერო საზოგადოება თუ სამხარეთმცოდნეო წრე, გამოდიოდა სიძველისადმი მიძღვნილი ჟურნალები და კრებულები...

არქიტექტორი ჟოლტოვსკი, რომელიც ლენინს შეხვდა, პეტრე ბარანოვსკის ეუბნებოდა, რომ ბელადს არაერთხელ ხაზგასმით აღუნიშნავს, აუცილებელია დედაქალაქის რეკონსტრუქციის დროს დაცული იქნეს ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლები, ყველაფერი ძვირფასი, რაც რუსი ხალხის მხატვრული გენიითაა შექმნილი.

ეს ლიტონი სიტყვები როდი გახლდათ. რევოლუციის შემდგომი პირველი ოთხი წლის მანძილზე პეტრე ბარანოვსკიმ რეკონსტრუქცია გაუკეთა კრემლის ძეგლებს, შემდეგ კი — წითელ მოედანზე მდგარ ყაზანის ტაძარს (სწორედ იმ ტაძარს, სადაც ქადაგებით გამოდიოდა აბაკუმი და რომლის კედლებზეც ნერონოვმა დაწერა „ჭკუის სასწავლებელი სიტყვები", რათა ყოველ გამვლელს წაეკითხა ისინი), პარასკევა პიატნიცას ეკლესიას და თავად ვასილი გოლიცინის პალატებს ოხოტნი რიადზე; აღადგინა ჩინეთ-ქალაქი, სიმონის მონასტერი, სუხარევის კოშკი... ოცდაოთხ წელს იგი ისტორიუ-

ლი მუზეუმის კოლომენსკის ფილიალის დირექტორად დანიშნეს, და, არსებითად, პეტრე ბარანოვსკიმ შექმნა ის, რასაც დღეს იქ ვხედავთ.

სამწუხაროდ, დღეს ბევრი ძეგლი გვაკლია სათვალავში. მაგრამ ჩვენს დროს ვერ შეადარებ იმ ხანას, როცა ვლადიმერ ივანოვიჩმა, ჯერ კიდევ სტუდენტმა, თავისი კეთილშობილური და, თქვენ წარმოიდგინეთ, სახიფათო, ზოგიერთის თვალსაზრისით კი საეჭვო საქმეც წამოიწყო. მან მიამბო, როგორ აკავებდნენ, როცა ცდილობდა დასაწვავად გამზადებული წიგნებიდან მცირე ნაწილი მაინც გადაერჩინა. ახლა გულადები ვართ, მაგრამ უნდა წარმოვიდგინოთ, რა გამბედაობა სჭირდებოდათ ვლადიმერ ივანოვიჩს და პეტრე დიმიტრიევიჩს, როცა გაზეთებში წერილებს გზავნიდნენ გასანადგურებლად განწირული ძეგლების დასაცავად, აგროვებდნენ ხელმოწერებს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღწევდნენ საწადელს.

და რა სიმამაცე სჭირდებოდათ ჩვენს მეომრებს, ნოვგოროდის განთავისუფლების წინ ჩვენი სარდლობისთვის გაგზავნილ წერილს რომ მოაწერეს ხელი. მეომრები ამ წერილით სარდლობას სთხოვდნენ, ეროვნულ წმიდათაწმიდა ძეგლებს მძიმე არტილერიას ნუ დაუშენთო. პირობას დებდნენ — ჰიტლერელებს მარტო ცეცხლმსროლელი იარაღითაც განვდევნით ქალაქიდანო.

წყეული ომი! რამდენი ძეგლი გაანადგურა ამ ომმა! ვინ ვინ და ყველაზე კარგად ეს პეტრე ბარანოვსკიმ იცოდა, ის ხომ იმ პერიოდში წევრი იყო საგანგებო სახელმწიფო კომისიისა, რომელიც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ბოროტმოქმედების შედეგებს ირკვევდა. რამდენი სამუზეუმო ძვირფასი ნივთის გადამალვა მოასწრო მან უკრაინასა და ბელორუსიაში გერმანელების შემოსვლის წინ. რა მძიმე შრომა მოუხდა ომის შემდეგ, როცა დანგრეული ძეგლების აღდგენას მიჰყო ხელი. მას თითქმის ყველაფერი ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდა აღწერილი და მისმა უზარმაზარმა არქივმა დიდი სამსახური გაუწია ქვეყანას...

არა, ახლა სულ სხვა დროა. ქვეყნისა და მისი ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა იზრდება. სახელმწიფო დიდ სახსრებს ახმარს რელიკვიების რესტავრაციასა და დაც-

ვას. მაგრამ განა მარტო სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ამაზე? ჩემი აზრით, საერთო სახალხო ხელმოწერების ჩატარება ძეგლების აგებასა და რესტავრაციაზე საჭიროც არის და ფსიქოლოგიურად გამართლებულიც. ადამიანი, რომელიც ძეგლისთვის მანეთს გაიღებს, თავს ერთგვარად მის შემქმნელად თვლის. იგი სხვა რელიკვიასაც გაუფრთხილდება და დაიცავს. როგორ ვოცნებობდით მე და ვლადიმერ ივანოვიჩი, რომ ძეგლებზე შეფობას კომკავშირი აიღებდა, ყურადღებას მიაქცევდა დიდი ბრძოლების ადგილების მოკლა-პატრონობას, ისტორიულ შენობებს დაიცავდა, ძველ ხელნაწერებსა და ბოლო ომის მონაწილეთა მოგონებებს შეაგროვებდა... გდრ-ის ქალაქ შტრალზუნდში ვნახე, როგორ აფერადებდნენ მოსწავლეები სახლების კარებს ძველებური სურათების მიხედვით. ჩვენში, ბოროვსკისთან ახლოს, იქაურმა მოღვაწემ, ტექნიკუმის მასწავლებელმა ალექსეი ალექსეევიჩ ანტიპოვმა პენსიაზე გასვლის შემდეგ მოსწავლეთა დახმარებით პაფნუტის მონასტერში მუზეუმი გახსნა და „ბნელი კარავიც" კი „მოაწყო", სადაც აბაკუმი იჯდა. ყოველდღიურად მუზეუმში უამრავი ტურისტი ჩამოდის მოსკოვიდან და ალექსეი ალექსეევიჩი „საზოგადოებრივ საწყისებზე" დაპყვება სტუმრებს, უჩვენებს საუნჯეს, ასე სათუთად რომ მოაგროვა ბავშვების შემწეობით. ბავშვები ამ დროს იქვე, მის გვერდით დგანან და მორცხვად იღიმებიან. სოფელში ასეთი პატივსაცემი კაცი სხვა არ მეგულება, მოხუცები მოწიწებით ეპყრობიან, მე მგონი, უფრო იმიტომ, რომ ესმით — ანტიპოვის წყალობით მათი ბავშვები ნამდვილი ადამიანები დადგებიან...

ქუჩა, რომლითაც ბარანოვსკისთან მივდიოდი, ისეთი უსახური იყო, რომ გაგაოცებდა თავისი უფერულობითა და პირქუში ეერით. აქ ათი წლის მანძილზე შენდებოდა სახლები, რომლებიც უბრალო კოლეფებს უფრო ჰგავდა და ერთმანეთისაგან მხოლოდ ამორტიზაციის ხარისხით განსხვავდებოდა. ამ ქუჩის მერე განსაკუთრებით ლამაზი მომეჩვენა ნოვოდევიჩის მონასტრის წინ მდებარე მოედანი, რომლის იქითაც ჩამავალი მზე ანათებდა. ნათელი ცის ფონზე გარკვევით იხატებოდა მრგვალი კოშკების პატარა ქონგურები. ელავდა ფერიცვალების ეკლესიის გუმბათები, სმოლენსკის ტაძრის მძიმე ცენტრალური გუმბათი. მსოფლიოში ყველაზე ლამაზი საკ-

რეკლოს სილუეტი მწყობრად იყო ნაგები და ახლოს მისულმა ნათლად შეეიგრძენი აეურულ თეთრ ქვაში ჩასმული წითელი აგურის მთელი სილამაზე.

პეტრე ბარანოვსკი საავადმყოფოს კორპუსში ცხოვრობს, სამრეკლოს უკან. თითქმის მისი სახლის ზღურბლის პირდაპირაა ჰუსარ დენის დავიდოვის, გენერალ ბრუსილოვისა და ფილოლოგ ფიოდორ ივანოვიჩ ბუსლაევის საფლავები. ისტორია იქვრიტებოდა პატარა აივანზე, სადაც ექვსი უმწეო ცინდალი დატორტმანებდა. როცა შეეჩერდი, ცინდლებს ფეხი არ დავაბიჯო-მეთქი, კატამ ერთი შემომხედა და ზურგი მონდობილად გამიხახუნა ფეხზე.

ქაღალდების დასტებით სავსე დერეფანი გავიარე და ოთახში შეეედი. ღრმად მოხუცებული პეტრე ბარანოვსკი სავარძელში ჩაფლულიყო და პლედი შემოეხვია. ოთახში იდგა სავარძელი, საწერი მაგიდა, ვიწრო დივანი, რომელზეც ლოგინი იყო გაშლილი და იურევ-პოლსკის ტაძრის სვეტის თაბაშირის პირი. კედლებს ჭერამდე სწვდებოდა დიდი საქაღალდეებით გამოტანილი თაროები. საქაღალდეებს მელნით, მსხვილი ასოებით ეწერა ქალაქების სახელები, არსებული და უკვე არარსებული შენობები. აქ ეწყო საბუთებით, ნახაზებით, ამონაჭრებით, ფოტოსურათებით სავსე ათასობით საქაღალდე... თუ ვინმეს სურდა ნებისმიერი ძველი შენობის აღდგენა ან რესტავრაცია, აქ უნდა მოსულიყო, მეტი არაფერი სჭირდებოდა, აიღებდა საქაღალდეს და... მერე შეეძლო პირდაპირ შედგომოდა საქმეს. რა ტიტანური შრომაა ჩადებული ყველაფერ ამაში, შრომაა გაწეული იმავე მიზნით, რასაც ასე ესწრაფებოდა ვლადიმერ ივანოვიჩიც.

მასპინძელს ჯერ სწორედ ვლადიმერ ივანოვიჩის ამბავი გამოეკითხე. ხმამაღლა ელაპარაკობდი, ვინაიდან მოხუცს უკვე ყურთ აკლდა. თვალებიც კატარაქტით ჰქონდა გაფუჭებული. ლაპარაკი უჭირდა, ზოგი რამ ავიწყდებოდა კიდეც. არადა სულ ახლახან გასაოცარი მახსოვრობა ჰქონდა — ახსოვდა მილიონობით წვრილმანი, რასაც ვერც ერთ არქიტექტურულ ენციკლოპედიაში ვერ ნახავდით, საკუთარი გამოცდილებით მიღებული ცოდნა სამუდამოდ დაკარგულიყო ამ ფენომენალური მახსოვრობის დასუსტებით.

— ვლადიმერ ივანოვიჩ მალიშევი... კი, კი იყო ჩემთან.

მაპატიეთ, მაგრამ, აღარ მახსოვს, მაშინ რაზე გვქონდა საუბარი. ჰო, გამახსენდა — აბაკუმზე. მე მას დავუხაზე იმ შენობის გეგმა, სადაც ეს მარტვილი იჯდა. ანდრიას მონასტერში, კრუტიცში, ბოროვსკში... ყაზანის ტაძარზეც ვუამბე. დავპირდი, ფოტოსურათებს გამოგიგზავნი-მეთქი, აღარც მახსოვს, გავუგზავნე თუ არა... ეს თქვენ დაწერეთ წიგნი აბაკუმზე? მე მქონდა ეს წიგნი, მაგრამ ვიღაცამ წაიღო და აღარ დამიბრუნა. ვინ წაიღო, არ მახსოვს...

მერე შემომჩივლა — ასეა, მოდიან, მიაქვთ საბუთები და წიგნები და აღარ მიბრუნებენო. წუწუნებდა, ბებრულად ბუზღუნებდა. შემეცოდა. გულს სევდა შემომაწვა. წამით გამიელვა ფიქრმა, რომ აი, ასევე ივიწყებენ ადამიანები ისტორიულ ეტაპებს, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუვაგდე და მასპინძელს ჩავეძიე, ადრე როგორ მუშაობდით-მეთქი. მან მკითხა:

— ეს რაღად გჭირდებათ?

— როგორ თუ რად? მინდა დავწერო...

მე ვისმენდი მის ბუზღუნს, რომელშიც ბევრი სიმართლე იყო და ამავე დროს „დღევანდელების" მიმართ უნდობლობაც ჩანდა. მაგრამ ვიცოდი, რომ მარტო მოსკოვში ძეგლთა რესტავრაციაზე უკვე ათასობით კაცი მუშაობდა. ვიცნობდი ახალგაზრდა არქიტექტორებს, რომლებსაც პეტრე ბარანოვსკის გატაცება, საქმისადმი მისი სიყვარული გადაედოთ და მასავით თავგამოდებით იღვწოდნენ.

ბარანოვსკისაგან წამოსულმა უნივერსიტეტის წინ მდებარე გადასახედ მოედანს მივაშურე, იქვე ახლოს იყო. ქვევით გაწოლილ ვეებერთელა ქალაქს ნელ-ნელა ბინდი ეფინებოდა. რა ხდება ახლა იქ? რაზე ფიქრობს მისი მილიონობით მკვიდრი, ეს-ესაა სამუშაოდან რომ დაბრუნდა? რაზე ლაპარაკობენ? რა თქმა უნდა, თავიანთ ქალაქზედაც. ბევრმა უკვე შეიგრძნო მშობლიური კულტურის გამაკეთილშობილებელი სულიერი გავლენა. ისინი ჯიუტად, საქმის ცოდნით ებრძვიან უმეცრებას, რომელიც უკან იხევს, მაგრამ, როგორც კი საშუალება მიეცემა, გამწარებული ხავსს ეკიდება.

ესაა საწინდარი, რომ მოსკოვი ისევ მშვენიერი რჩება, რომ მისი ცენტრი (სწორედ ეს ორი პროცენტი) ნაკრძალ ზონად იქცევა, არქიტექტურა ისევ შეიძენს ეროვნულ თვი-

სებებს და ისეთ კონტრასტს აღარ შექმნის ტრადიციულ ხუროთმოძღვრებასთან. გაიმარჯვებს მშვენიერება...

ამბობენ, დედამიწა მართალთ უჭირავსო, და მე მჯერა, რომ ბოროტება უკან დაიხევს. წრე ბოროტებისა არ შეიკვრება.

41

„ნარიან-მარი, ჩემი ნარიან-მარი — არც დიდი და არც პატარა ქალაქი... დგას მდინარე პეჩორის ნაპირას,სადაც მეირმეები ცხოვრობენ და მეთევზეები თევზს იჭერენ“...

ნარიან-მარი ამ უბრალო, ალალი სიმღერით შეგვხვდა; პორტში კი იდგა თბომავალი — „პუსტოზერსკი“, რომელსაც ეს სახელი ვლადიმერ ივანოვიჩის მეცადინეობით დაარქვეს. ეს გახლდათ მადლობა მისი პირველი წარმატებისთვის.

პუსტოზერსკამდე მდინარით აქედან კიდევ ოცდაათი კილომეტრია, მე კი, ისევე როგორც მაშინ, პირველად, ვლადიმერ ივანოვიჩს, ნავი არა მაქვს, მაგრამ მალიშევის სახელი ჩრდილოეთ რუსეთში ისევე მაგიურია, როგორც სიტყვები — „სეზამ, განიღე!“

უკვე მერამდენედ ვხედავ, როგორ მეყსეულად უნათდებათ სახეები და ხმა საზეიმოდ ჟღერას იწყებს. კიდევ ერთი შემგროვებლის ბაცილით დასნებოვნებული და სიძველის მოყვარული ეწვიათ. ეს ადამიანები სალოსებივით იშვიათი სანახავნი და მათსავით პატივცემულნი არიან.

ალექსანდრე ტუნგუსოვს რაღაც სენი მორევია. გაყვითლებულა, გამხდარა, აუტანელი თავის ტკივილები ტანჯვს. იგი ახლა წიგნებსა და ქაღალდებში იქექება და ბოლოს გაზეთის ამონაჭერს იღებს. — „ეს არის მსოფლიოში ერთადერთი შუასაუკუნეობრივი ქალაქი პოლარული წრის იქით“, — კითხულობს იგი და მისი ხმა სავსეა სარკაზმით.

— ხოტბას ასხამენ მანგაზეას. სინამდვილეში კი მანგაზეა პუსტოზერსკზე ნახევარი საუკუნით გვიან აშენდა. მანგაზეაში ექსპედიციებს აწყობენ, გათხრებს აწარმოებენ, პუსტოზერსკი კი აქაურ მოყვარულ მხარეთმცოდნეების გარდა არავის აინტერესებს... იცით თქვენ, რომ 1736 წელს მდინარე ობით სწორედ აქედან გაემგზავრა ჩრდილოეთის დიდი ექსპედიცია მალიგინის მეთაურობით?

ნავი ისევ ვლადიმერ ივანოვიჩის თაყვანისმცემელმა, ნარიან-მარის საზღვაო პორტის რადისტმა ალექსანდრე სპირიხინმა შემომთავაზა.

გზას გავუდექით; შევყურებდით ღამეს, რომელიც პოლარული წრის იქით აღარ იყო. გამოაცა სამმა დიდმა ტყაპუჭმა, ნავის ცხვირზე რომ ეგდო. იელისი იდგა და მზე გვარიანად აცხუნებდა. მაგრამ საკმარისი იყო გაშლილ მდინარეში გავსულიყავით, რომ ისევ აციოდა, ტყაპუჭიც ველარ გვიფარავდა.

პეჩორის შესართავი ის ადგილია, სადაც თავს იყრის მდინარის აუარება ტოტი თუ შენაკადი და სადაც, ამავე დროს, უამრავი ტბაა. თვალს ვერაფერზე შეაჩერებ — წყალი მუქი ტყვიისფერია, ასეთივეა ცაც. დაბალი ნაპირი ტირიფის დაბალი ბუჩქებითაა დაფარული. მის ბარდებს აქ „ქათიბს“ ეძახიან და მართლაც ძალიან ჰგავს გაწეწილ მატყლს.

დედაბრის ტბაზე მარჯვნიდან ტალღამ დაგვარტყა და ყინულივით ცივი წყალი შემოგვაშხეფა. კიდევ ერთი ტოტი გავიარეთ და შორს პეჩორის „მთავარი“ ნაპირი გამოჩნდა.

სამი საათის ცურვის შემდეგ სოფელ უსტიეში მივედით, სადაც, როგორც აღმოჩნდა, პუსტოზერსკის უკანასკნელი მკვიდრნი გადმოსახლებულან. აქ შევისვენეთ, ქოხში ცოტა გავთბით.

დილის შვიდ საათზე ჩვენმა ნავმა პუსტის ტბაში შესცურა და შორს პატარა ქალაქი გამოჩნდა. უფრო სწორად გამოჩნდა ის, რაც მისგან დარჩა — სასაფლაოს დაბრეცილი ხის ჯვრები და ერთადერთი გაპარტახებული ქოხი.

ნავი ცხვირით ჩაეფლო პატარა ყურის ქვიშაში. აქედან ასე; ერთ კილომეტრზე უშველებელი მორებით ამოყვანილი უცნაური ნაპირი გრძელდებოდა. ნაპირიდან თავი ამოეყოთ სახლის წვერებსა და მთლიანად ძელურებს, რომელიც თითქოს კულტურული ფენის ასე, ოთხმეტრიანი ჭრილი იყო. ჩვეულებრივ კულტურულ ფენას მიწის წიაღში ითვლიან, მაგრამ აქ ის წყალს ზევით იყო ამოწეული. წყალი ნაპირს ეხეთქებოდა, უფრო და უფრო წინ მიიწევდა და შუა საუკუნის ქალაქის ნაკვალევს თავისი მიწაში ჩაფლული მესერიანად, კოშკებისა და სხვა ნაგებობების საძირკვლებიანად გადარეცხვით ემუქრებოდა.

სპირიხინმა მითხრა, წყალმა აქ დიდი ხანია დაიწყო შემოტევა და ბაეშვობაში მის მიერ გადარეცხილ ადგილზე ძველ მონეტებსა და ათასნაირ სამკაულს ვპოულობდითო. მე ბარი ავიღე და მორებს ჩიჩქნა დავუწყე — ხე დამპალი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მიწაში საუკუნეობით იდო. წარმოიდგინეთ, რას ნახავდა აქ ნამდვილი ექსპედიცია, გეგმაზომიერი გათხრები რომ ეწარმოებინა!

ხავსმოკიდებულ ჯვრებს გვერდი ავუარეთ და ობელისკისკენ გავეშურეთ. ქვის ფილაზე ამოკვეთილი იყო წარწერა:

„ამ ადგილზე მდებარეობდა ქალაქი პუსტოზერსკი, პეჩორის მხარის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, დაარსებული 1499 წელს. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უკიდურესი ჩრდილოეთის ათვისებასა და არქტიკული ზღვაოსნობის განვითარებაში. აქედან გადიოდნენ მრეწველები ახალი მიწის, შპიცბერგენისა და ციმბირის მიწების ასათვისებლად.

პუსტოზერსკი იყო ბატონყმობისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა, კონდრატე ბულავინის, სტეფანე რაზინის, ემილიან პუგაჩოვისა და აჯანყების სხვა მონაწილეთა გადასახლების ადგილი. აქ XVII ს. პატიმრობაში იმყოფებოდნენ მწერალი დეკანოზი აბაკუმ პეტროვი (იგი დაწვეს 1682 წ. „მეფის ოჯახის შეურაცხყოფისათვის") და დიპლომატი არტამონ მატვეევი. ვისელიჩის კონცხზე სიკვდილით დასაჯეს პუსტოზერსკის ეოევოდების წინააღმდეგ აჯანყებული ნენცები.

1918 წ. გაზაფხულზე პუსტოზერსკში შედგა საბჭოების პირველი სათემო ყრილობა, რომელმაც პეჩორის ქვემო წელში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა".

პუსტოზერსკს ჩასულნი ღირსეულად შეაფასებენ ვლადიმერ ივანოვიჩის ამ ნაწარმოებს, რომლითაც მან ყველას თავისი მიუზღა, სიკვდილიც აღნიშნა და ახალი ცხოვრების დაბადებაც.

„ისტორიის ფურცლების" გარშემო ყველაფერი ბარდებს დაეფარა. მე ვიტსენის გეგმას ხელში ვატრიალებდი, ეცდილობდი ადგილმდებარეობისთვის მიმესადაგებინა. გეგმა ალბათ არაზუსტი იყო, მაგრამ, როგორც ვიცით, ვიტსენმა იგი

შეადგინა არტამონ მატვეევის ვაჟის ნაამბობის მიხედვით, რომელსაც ამსტერდამში შეხვდა.

იმ დღეს ბარდებში რომ დავძვრებოდი, ბესოვის ტბა და მზით გამთბარი კუპალნიცა რომ შემოვიარე და პუსტოზერსკის ადგილზე გაზრდილ სიურრეალისტურ არყის ხის დაბალ „ტყეში“ დავეხეტებოდი, განუწყვეტლივ ეუხმობდი დავიწყებულ წინაპართა აჩრდილებს, ვცდილობდი ჩავწვდომოდი იმ დიდ საიდუმლოებას, რომელიც ჩემი ხალხის ძლიერებას ასულდგმულებს...

თითქოს დროთა საზღვარი წაიშალა — ერთმანეთს შეერწყა წარსული, აწმყო და მომავალი.

...საკმევლის ბოლთან ერთად ადის ცაში გზის დასალოცი პარაკლისის ხმებიც. პუსტოზერსკის მოედანზე ქუდმოხდილნი დგანან სტრელეცები, კაზაკები და ზღვისპირელი მესაქეები, რომლებსაც უკვე ელიან მდინარეზე მოტივტივე მსუბუქი პატარა გემები. პეჩორას აჰყვებიან, შემდეგ უსზე გავლენ, იქიდან შენაკადით ობზე გადავლენ და გამოჩნდება კიდეც ციმბირის დედა-მდინარე, პატარა გემებს თავის ფართო მკერდს რომ გადაუშლის. ზურგქარი გემებს წინ მიაქროლებს. უკან რჩება ათასობით ვერსი და საფლავები მაღალ ნაპირზე...

...კოსმოდრომზე წინასასტარტო ფაციფუცი შეწყდა. დამთავრდა უკანთვლა. ვეებერთელა რაკეტა შეტოკდა და ცეცხლის სვეტით მიწას დაებჯინა. აგერ უკვე თვალისმომჭრელი წერტილი ცაზე ქრება, მას მოჰყვა მეორე, მესამე... პირველი ახალმოსახლენი შორეულ პლანეტებზე ძეგლს უგებდნენ ციოლკოვსკის, კოროლიოვს, გაგარინს. მათ ბიბლიოთეკებში აბაკუმის წიგნებიც იყო.

„მიყვარს ჩემი მშობლიური რუსული ენა“.

ასე წერდა ის აქედან, სადაც ახლა დავხეტიალობ; გზადაგზა თავიდან ვიცილებ პოლარული არყის ხის დახლართულ ტოტებს და ვეძებ არარსებულ „აბაკუმისეულ ჯირკვებს“. ის აქ იყო, ხაროში იჯდა და წერდა ჯიუტი რუსი კაცი. მისი მრგვინავი ხმა საუკუნეებს სწვდება.

მან ყველას დაუმტკიცა, რომ ნებისმიერ პირობებში ადამიანს ძალუძს ადამიანადვე დარჩეს, თუ მას გააჩნია მიზანი,

თუ იბრძვის და ცოცხლობს არა იმისათვის, რომ ჭამოს და ჭაშს იმისათვის, რომ იცოცხლოს.

მე მივხვდი, რატომ დადიოდა ასე ხშირად „აბაკუმისეულ ჯირკვებთან" ვლადიმერ ივანოვიჩი... აქ ლაღად ფიქრობ კაცი. რაც მთავარია — აქაურ ჰაერში ჩაღერილია რაღაცნაირი მძლავრი ნერვული ენერგია. ის შენშიც გადმოდის, გეგმებს გისახავს, სამოქმედოდ აღგაგზნებს...

1968-1978 წწ.

გოლიათური გული

1

მე, რომ იტყვიან, გამიმართლა. ამ მოთხრობის დაწერა რომ გადავწყვიტე, ჩემი გმირის მშობლიურ სოფელში ჩავედი. იქ შევხვდი ალექსანდრ ანდრეევიჩ სენატოროვს — ყოფილ მოჰიდავესა და ჩემპიონს, რომელმაც მითხრა, რომ ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, სახელდობრ 1971 წლის 7 ოქტომბერს, საკურორტო ქალაქ ეისკში საზეიმოდ აღინიშნებოდა პოდუბნის დაბადების ასი წლისთავი. მისგანვე შევიტყვე, რომ ზეიმზე მიწვეული იყვნენ სახელგანთქმული ფალავნის ნათესავები და ვეტერანი მოჰიდავეები.

— მაინც ვინ არის მოწვეული? — ჩავეკითხე მასპინძელს.

— ვინც კი რაღაცით იყო დაკავშირებული პოდუბნისთან, მოსაწვეევები თითქმის ყველას დაეგზავნა. ოღონდ ვინ ჩამოვა, არ ვიცი. არ დაგავიწყდეთ, ივან მაქსიმოვიჩი ახლა ასი წლისა იქნებოდა...

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე დონის როსტოვში ვიყავი.

ჭირვეულმა შემოდგომამ, მოსკოვის შემოგარენის მეწამულ ტყეებს მზის სუსტ, მაგრამ ჯიუტ სხივებში რომ ხვევდა, სამხრეთის მხარეებს სუსხიანი ფრთებით გადაუქროლა. მე როსტოვის აეროდრომზე მივაბიჯებდი და კოშებამდე თოვლში ვეფლობოდი. ადგილობრივი რეისები გადადეს. რადიო დინჯად აცხადებდა — ეისკის საფრენი მინდორი თოვლმა დაფარა

და ისეთი მძაფრი ქარი დათარეშობს, შესაძლებელია გადააბრუნოს მსუბუქი ბიპლანები, ამ ხაზზე რომ დაფრინავენო.

ეს ამბავი მარტო მე არ მეწყინა. მორიგეს უამრავი ხალხი შემოხვეოდა. მათ შორის ერთი ხანში შესული ჩასკენილი კაცი შევამჩნიე, რომელსაც კეფა თითქოს პირდაპირ ნაკეცებიან ფართო კისერზე ჰქონდა დადგმული. სწორედ ამით მიცხვდი, რომ ყოფილი მოჭიდავე იყო. იგი ყურს უგდებდა მგზავრების ნერვიულ შეკითხვებს და მორიგის ორჭოფულ პასუხებს.

— თვითმფრინავი შეიძლება არც ხვალ იყოს; ნახეთ რა ამინდია, თოვს...

მოჭიდავეს ფართო, ვარდისფერ გადატკეცილ სახეზე ძარღვიც არ შესტოკებია, მაგრამ მაშინვე თვალები დაებინდა და შიგ ისეთი უსაზღვრო სევდა ჩაუდგა, რომ მე უნებლიეთ წინ გავედი და მის გვერდით აღმოვჩნდი.

— თქვენც ზეიმზე მიდიხართ ეისკში? — მკითხა მან, რაკი მიხვდა, რომ მეც მასავით მიმტყუნა ბედმა.

— დიახ. თქვენ პოდუბნის იცნობდით?

— ვის, ივან მაქსიმოვიჩს? რაღა თქმა უნდა, მე ხომ მისი ნათლული ვარ. გთხოვთ მიცნობდეთ: მიხაილ ივანოვიჩ გრეკოვი. ყოფილი მოჭიდავე. როსტოვიდან გახლავართ. ჩვენები გუშინ მატარებლით წავიდნენ, მე კი თვითმფრინავი ვარჩიე... რაღას ვუდგავართ? დავსხდეთ, დაველოდოთ. იქნებ გამოიდაროს.

ლითონის სავარძელში ღრმად რომ ჩაჯდა, გრეკოვმა მკლავი მოღუნა და მისი ფართო პიჯაკის ქსოვილზე კუნთი კაცის თავის ოდენად გამოიბერა.

— ღონე და ჯანმრთელობა! — ფულუბრყვილო ხიამაყით წარმოთქვა გრეკოვმა. — ივან მაქსიმოვიჩ პოდუბნის სკოლა გახლავთ... ყოველდღე გირებითა და ბურთით ვვარჯიშობ, როგორც მან მასწავლა. რას იტყვით?

— შესაშურია, — გამოვტყდი მე.

— ვერ ვიტყვი, გადაბმული ძმაკაცები ვიყავით-მეთქი. მასთან სად მივიდოდით — როგორც ღმერთს, ისე ვუყურებდით! ჩემს ცხოვრებაზე კი დიდი გავლენა მოახდინა. პატარა ბიჭი ვიყავი, პოდუბნი რომ ვნახე. ვარჯიშიც იმიტომ დავიწყე. ღმერთო, რა ხდებოდა როსტოვში, პოდუბნი რომ ჩამოვიდო-

და ხოლმე. ბილეთს ვერ იშოვიდი, ათმაგიც რომ მიგეცა. ცირკს გარშემო ცხენოსნები ერტყა... დიდსა და პატარას იმისი სახელი ეკერა პირზე. დიდსა და პატარას... გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, მაშინ ისე გამიმართლა, რომ გადმოცემაც არ შემიძლია. ცირკის ახლოს დავწანწალებდი, იქნებ როგორმე შევძვრე-მეთქი და უცებ... თვალებს არ დავუჯერე: პოდუბნი მოდის... ულვაშები დაუმშვენებია... ხელში პატარა ჩემოდანი უჭირავს, მაისვე მასთან გავჩნდი: ნება მიბოძეთ თქვენი ჩემოდანი წამოვიღო-მეთქი. ზემოდან დამხედა და ჩაიცინა: თუ ძალიან გინდა, წამოიღეო. მივედი მასთან ერთად ცირკში. ყველაფერი აქედან დაიწყო... ლამაზად ჭიდაობდა ივან მაქსიმოვიჩი, აღტაცებისაგან პირდაპირ გრძნობას ვკარგავდი. მეორე დღეს სასტუმროში მივაკითხე. შემათვალიერა და მითხრა: „მე შენ ახლა წერილს დაგიწერ, სპორტულ საზოგადოებაში მიიტან, ჭიდაობაზე ივლი". ბევრს გაუკაფა გზა ასე სპორტში. მე ახლაც გამოვდივარ.

გრეკოვმა ჩემოდნიდან ამოიღო აფიშა, რომელზეც დიდი ლამაზი ასოებით ეწერა:

„დონის უხუცესი სპორტსმენის, მიხაილ გრეკოვის გამოსვლა. გზა ჯანმრთელობის, ძალისა და დღეგრძელობისაკენ..."

წარწერის ქვემოთ ბუნდოვან ლურჯ ფოტოგრაფიაზე გრეკოვს თავს ზემოთ ორი ვეებერთელა გირი ეჭირა. მეორე სურათზე გრეკოვი ხიდურს აკეთებდა. მკერდზე ფართო ფიცარი დაედო, რომელზეც ოციოდე ყმაწვილი მოკალათებულიყო. ზოგი იჯდა, ზოგი იდგა.

დღეს ასეთი აფიშა მხოლოდ სადმე რაიონულ ქალაქში შეიძლება ნახო და არა მოსკოვში ან, ვთქვათ, ლენინგრადში, სადაც კლუბის ხელმძღვანელობას ვერ აუტანია მსგავსი პროვინციალიზმი, და იქნებ სულ ტყუილადაც...

მეხსიერებაში ამოტივტივდა ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი სურათი. ჩემი ასეულის ჯარისკაცები გარნიზონის კლუბში მივიყვანე. სცენაზე მოხუცი, მაგრამ ბრგე ძიაკაცი ასულიყო და ორფეთიან გირებს ათამაშებდა; მსუბუქად სწევდა ჯარისკაცების მთელ ჯგუფს, კისერსა და მხრებზე მტევნებივით რომ ჩამოჰკიდებოდნენ... მთელი ასეული „მოწამლა", დიახ, „მოწამლა" აი, ამ გრეკოვისთანა ძიაკაცმა. ყაზარმაში მეორე დღესვე გაჩნდა გირები, ატყდა კუნთების ახარტული ბერვა და ბრძოლა პირველობისთვის!

გავიდა ერთი თვე. ერთხელ ბატალიონის მეთაურმა „ასეულის ფალავნის“ გარშემო თავშეყრილ ჯარისკაცებს მოჰკრა თვალი. შეუმჩნეველად მიუახლოვდა და დაინახა, რომ წრეში ჩამდგარმა „ფალავანმა“ უკვე მეოცედ ბუმბულივით აიტაცა ჰაერში ორფუთიანი გირი. მეთაურმა ცოტა ხანს უყურა და შემდეგ გაოცებულმა ჰკითხა:

— ფეტისოვ, ეგ გირები ბუმბულის ხომ არ არის?

და აი, ახლა აქ, აეროდრომზე, ის იყო ვიფიქრე — ნეტავ მაშინ კლუბში გრეკოვი ხომ არ გამოდიოდა-მეთქი, რომ ძველმა ათლეტმა პიჯაკის ჯიბიდან ცელოფანში სათუთად გახვეული რაღაც წერილი ამოიღო.

— მე და ივან მაქსიმოვიჩ პოდუბნი ერთად გამოვდიოდით ხოლმე გამაჯანსაღებელი სპორტული პროგრამით. მაშინ ის უკვე სამოცდათხუთმეტს იყო გადაცილებული. შემდეგ უბედურება დაატყდა თავს... როსტოვში წერილი გამომიგზავნა...

გრეკოვს თავისი ძლიერი თითებით სათუთად ეჭირა წერილი, როგორც უძვირფასესი რამ განძი — ის მისთვის მართლაც ძვირფასი რელიკვია იყო, წარსულის შესანიშნავ მოჭიდავესთან მის ურთიერთობას რომ აცოცხლებდა. მან წერილს უხალისოდ გაუშვა ხელი, მე კი მაშინვე თვალებით დავაცხრი და რაღაც კვადრატული, დაჩეხილი ნაწერი გავარჩიე; ფრაზებს შორის წერტილის მეტი სასვენი ნიშანი არ იყო, სიტყვები აღიარებულ ორთოგრაფიას აშკარად არ ემორჩილებოდა.

თავს ძალა დავატანე, წერილს თვალი მოვწყვიტე და გრეკოვს შევხედე. თვალებში სევდა ჩასდგომოდა. მისთვის პოდუბნის ასი წლისთავი უბრალო კალენდარული თარიღი არ იყო.

ყველაფერი პოდუბნით სუნთქავდა პატარა ქოხში, სადაც იგი მარტოდმარტო ცხოვრობდა მას შემდეგ, რაც ცოლი გარდაეცვალა, შვილები კი დაიზარდნენ და ყველა თავის გზას დაადგა. კედლებზე ვაკრული აფიშები იუწყებოდნენ პოდუბნისა და გრეკოვის ერთად ჩასვლას ღვთისგან მივიწყებულ რომელიღაც დონისპირა ქალაქში. მაგიდაზე იდო ფოტოსურათების ალბომი, შიგ ფერადი ფანქრით შემოხაზული ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი ფურცლებიც ჩაეწყოთ. „პოდუბნის მოწაფე“—ეს წოდება მეტად ძვირფასი იყო მისთვის, კაცისთვის, რომლის სახელი მშობლიურ მხარეს არ გას-

ცილებია. სხვისი დიდება და სახელი მასაც ათბობდა, აგრძნობინებდა, რომ ისიც რაღაცას წარმოადგენდა. ახლა კი სიცოცხლით სავსე და ცოტა არ იყოს მკვეხარა ღონიერმა და უაღრესად კეთილმა გრეკოვმა ვერ უნდა ნახოს ის, რაც, თუ მეტი არა, ერთ წელიწადს მაინც ეყოფა თავისიანებში, თავის სამყაროში სალაპარაკოდ. თუმცა ყოველივე ეს თავდაპირველად მხოლოდ ვიგრძენი, გაგებით კი მერე გავიგე...

მაგრამ ფორტუნა ისე ხშირად სწყალობს სასოწარკვეთილს, რომ აღარც კი გჯერა კანონისა, რომელსაც დღეს თვით უაღრესად განსწავლული მათემატიკოსებიც კი ადასტურებენ და რომელსაც მდაბიურ ენაზე „ბუტერბროდის კანონს“ ეძახიან.

მე და გრეკოვი ყველა ადგილობრივი ავიახაზის უფროსების კაბინეტებში ვიყავით, ჩვენი მანდატები ვაჩვენეთ, მათი ზრდილობიანი უარი მოვისმინეთ და განვუცხადეთ, რომ უფრო ზევით, მთელი აეროპორტის უფროსთან ვიჩივლებდით.

— არ გირჩევთ, — გვითხრა ადგილობრივმა უფროსმა, — თვით სამოქალაქო ავიაციის მინისტრის მოადგილეა ჩამოსული, თქვენ არ მიგიღებენ...

მე და გრეკოვმა ერთმანეთს გადავხედეთ, ჩვენ ერთდროულად მოგვივიდა თავში მზაკვრული გეგმა, რომელიც ზუსტ ფსიქოლოგიურ ვარაუდზე იყო გაანგარიშებული...

მდივანს, წინ რომ გადაგვიდგა, გვერდი ავუარეთ და უზარმაზარ კაბინეტში ძალით შევიჭერით. კაბინეტში ასე თხუთმეტამდე სამოქალაქო ავიაციის მოხელეს მოეყარა თავი — მუნდირის ყველა ღილი შეკრული ჰქონდათ, ქუდები ეხურათ და მოსკოველ უფროსს ყურადღებით მისჩერებოდნენ. ჩვენს ხმაურიან გამოჩენას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ქუდების პრიალა წინაფრები ჩვენკენ შემოტრიალდნენ. სმენად ქცეულთა ჯგუფს ახოვანი ფიგურა გამოეყო, ალბათ, აეროპორტის უფროსი იყო, და თითის ქნევით მოუხმო ჩინით უმცროსს.

— დააკმაყოფილეთ ამხანაგები!

ჩვენი უკმაყოფილების გამოთქმა ვერც კი მოვასწარით, კაბინეტიდან გამოგვრეკეს, სამაგიეროდ ნახევარი საათის შემდეგ ჰაერში ვიყავით.

ათადგილიანი ბიპლანი რწევა-რწევით დათოვლილ მინ-

ლორზე გაიჭრა. მიწას მოწყვეტილი როსტოვის გარეუბნის თავზე თითქოს დაეკიდაო. სიჩქარე დიდი არ ჰქონდა და ამიტომ ქვევით კიდევ დიდხანს მოჩანდა დონის ფართო, მუქი ზოლი...

თვითმფრინავში გრეკოვს სითამამე დაუბრუნდა, გახალისდა, იცინოდა. იგრძნობოდა, რომ თავდაჯერებისთვის პატარა შექება სჭირდებოდა, და მიხაილ ივანოვიჩმა თვითონვე გამომიწვია.

— როგორ ფიქრობთ, რამდენი წლისა ვიქნები?

— ორმოცდაათის, დიდი-დიდი ორმოცდათხუთმეტის — ვუპასუხე მე.

— ჰა, ჰა, ჰა! სამოცდაცამეტის ვარ! — გახარებულმა თითქმის წამოიყვირა.

2

ვუსმენდი გრეკოვს და ჩემი ბავშვობა მახსენდებოდა...

ომამდელ ბიჭუნებს შორის ისე არაფერი არ ფასობდა, როგორც ფიზიკური ძალა. ძალოსნებისა ეხარბებოდათ, მათ პატივს სცემდნენ, მათი ეშინოდათ.

ოცნებაში ბიჭებს კუნთები ებერებოდათ, სუსტების დამცველებად და ქუჩის ვიგინდარების რისხვად იქცეოდნენ ხოლმე. ასე გეგონა, თუ ღონიერი იქნებოდი, ყველა დაგემორჩილებოდა, ცხოვრებაში ვერავინ გაწყენინებდა, მხდალი თაყვანისმცემლები კი ზურგს უკან შენზე მოკრძალებით იჩურჩულებდნენ.

ბიჭები იზრდებოდნენ, მაგრამ მითი ღონიერთა ქუდბედიანობაზე დიდხანს თან სდევდათ ხოლმე.

იმხანად მოზარდები რაღას არ ჰყვებოდნენ „რკინისფეხიან“ ფეხბურთელზე. მას თითქოს აკრძალული ჰქონდა კარში ბურთის მარჯვენა ფეხით დარტყმა, თითქოს ისე მძლავრად ურტყამდა, რომ უკვე რამდენიმე მეკარე ჰყავდა მოკლული.

ყვებოდნენ ივან პოდუბნიზეც, დაუმარცხებელ მოჭიდავეზე, რომელსაც შეეძლო ხელით რელსი მოეღუნა, ხარისთვის კისერი მოეგრიხა და ტრამვაიც გაეჩერებინა. საუბარში

ხშირად ახსენებდნენ იდუმალებით მოსილ, მაგრამ მაინც დამაჯერებელ „ორმაგ ნელსონს“, მტერიან ეზოებში „ფრანგული ჭიდაობა“ იფურჩქნებოდა, საღამოობით კი მშობლების სამსჯავრო გველოდა, რასაც მყისვე მოსდევდა სასჯელი დახეული შარვლისათვის.

პოდუბნი ლეგენდა არ გახლდათ.

მართალია, ის რელსს არ ღუნავდა და ხარებს კისერს არ უგრეხდა, მაგრამ ბეჭებზე აკრავდა იმათ, ვინც ამ ფანდებით ლუკმა-პურს შოულობდა. პოდუბნი მაშინ სამოცდაათს იყო მიღწეული. ის ჯერ კიდევ გამოდიოდა სარბიელზე, ორდენით დააჯილდოვეს, გაზეთები პატივისცემით იხსენიებდნენ.

ჩვენ მაშინ გაზეთებს ჯერ ვერ ვკითხულობდით, მაგრამ ყურს ვუგდებდით უფროსების ლაპარაკს, რომლებიც პოდუბნის სახელის ხსენებისთანავე საამურ მოგონებებს მიეცემოდნენ ხოლმე. იგონებდნენ იმ დროს, როცა ის-ის იყო ფეხი აიდგა რუსულმა ფეხბურთმა, როცა პეტერბურგიდან მოსკოვში გადაფრენა სასწაული ეგონათ, ხოლო ყველაზე მიმზიდველი და ამაღელვებელი სანახაობა მოჭიდავეთა ჩემპიონატები იყო.

ოცდაათიან წლებშიაც მარტო მისი სახელის ხსენებაზე ცირკის კარს ზღვა ხალხი აწყდებოდა. იმ დღეს, როცა პოდუბნი ჭიდაობდა, არენაზე საზეიმო სვლით ჩაივლიდა ყველა ფალავანი, არბიტრი მაყურებელს მოჭიდავეებს აცნობდა და მხოლოდ ამის შემდეგ აცხადებდა:

— ჩემპიონატში მონაწილეობს ჩამპიონთა ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონი ივან პოდუბნი!

ორკესტრი ტუშს დასცხებდა და ტაშის გრიალში არენაზე კი არ გამოდიოდა, არამედ ცნობილი საცირკო ალურით გამორბოდა თვით პოდუბნი...

თეატრალური რეჟისორები და მსახიობები მაშინ ცირკში მარტო იმისთვის კი არ დადიოდნენ, რომ ფალავანთა ათლეტური აღნაგობით, ძალითა და სიჩაუქით დამტკბარიყვნენ, არამედ ჩემპიონატის დამუშავებული რიტუალის ნახვაც ეწადათ. სახალხო არტისტი პეტროვი აღფრთოვანებით იგონებდა პოდუბნის: „რა კოხტად ეჭირა თავი... ერთ რამედ ღირდა მისი გამოსვლა“...

დღეგრძელი აღმოჩნდა ეს ჩემპიონატები, პროვინციულ

საზოგადოებას ცირკ „შაპიტოს“ რუხი ბრეზენტის ქვეშ ასე ძალუმად რომ იზიდავდა. მახსოვს, ომი ახალი დამთავრებული იყო, ერთ პატარა ქალაქში სინათლით გაჩახჩახებულ არენაზე გამოვიდა ერთი ჩაგოდრებული, ლაქის ფეხსაცმელებში, უზარმაზარ კეპიან ქუდსა და ფარფაშა ხიფთანში გამოწყობილი ძია და ბრძანება გასცა:

— პარად, ალე!

არენაზე ბუმბერაზი ფალავნები გამოვიდნენ, მუცლები შეეწიათ და მსხვილი მკლავები გაეშალათ, ნაკეცებიანი კისრები და გაბრტყელებული ყურები შინდისფრად უელავდათ, სახეზე ამ საზეიმო წუთის შესაფერისი მედიდურობა აღბეჭდოდათ.

— ჩამობრძანდნენ და ჩაეწერნენ...

ხიფთანიანი ძია აცხადებდა ჩემპიონის ტიტულებსა და სახელებს, იმ ცნობილ გვარებს, ვინც უკვე დიდი ხანია ცოცხალი აღარ იყო.

— ლურიხი!

სად იყო ლურიხი! მაგრამ ფალავანი არენაზე ერთი ნაბიჯით წინ გამოდიოდა და ხალხს თავს უკრავდა. ის მესამე თუ მეოთხე ლურიხი იყო, რომელიც მოჭიდავეთა ჩემპიონატებში მონაწილეობდა. ცნობილი სახელების მინიჭება ტრადიციად იქცა.

მაყურებელთაგან ვიღაცამ იკითხა:

— სად არის ახლა დენისოვი?

ხიფთანიანმა ძიამ თავმომწონედ უპასუხა:

— მოჭიდავე დენისოვი გმირის სიკვდილით დაეცა დიდ სამამულო ომში!

ცირკში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ძიამ ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადაიწერა.

შემდეგ ჭიდაობა დაიწყო. ფალავნები კუნთებს ათამაშებდნენ და ერთმანეთს ხალიჩაზე აწვენდნენ. გამოჩნდა შავნიღბიანი ფალავანი, რომელმაც ყველა ფალავანი ერთმანეთის მიყოლებით ხალიჩაზე ბეჭებით გააკრა... მაგრამ უფროსი თაობის მაყურებელი მაინც დამწუხრებული ოხრავდა. მოხუცმა პენსნიანმა კაცმა საყვედურით წამოიძახა:

— პოდუბნის კი ვერც ერთი ვერ ჯობიხართ!

„პოდუბნი,“ „პოდუბნი“ — ყველას ეს სახელი ეკერა პი-

რზე. და მეც, არენაზე მდგარ გოლიათებს რომ შევცქეროდი, ვფიქრობდი — ნეტავ რა კაცია ეს პოდუბნი, რით შეაყვარა ხალხს თავი, რატომ ყვებოდნენ მასზე სასწაულებს ჯერ კიდევ ჩვენი პაპები-მეთქი.

რევოლუციამდელ რუსეთში მას ყველა იცნობდა — „მეეზოვედან დაწყებული მეფემდე". ივან პოდუბნის გმირობაზე ლეგენდებს დღემდე თხზავენ და ახლა ძნელია გაარჩიო, რომელია ლეგენდა და რომელი სინამდვილე. მაგრამ იქნებ სწორედ ეს არის ჭეშმარიტი დიდება!

მწერალთა მეორე ყრილობაზე მიხაილ შოლოხოვმა თქვა:

— რამდენიმე დღის წინ სამოქალაქო ტანსაცმლიანი კაცი ვნახე. მთელი მკერდი ოქროთი და მედლებით ჰქონდა დაფარული. „ღმერთო ჩემო, ნუთუ ივან პოდუბნი აღმდგარა-მეთქი"...

შოლოხოვს ალბათ უნახავს პოდუბნი.

მაგრამ როცა დღეს, სამოცდაათიან წლებში სკოლაში დასვენების დროს ყმაწვილი მეორე ყმაწვილს ეუბნება — ისე იქადნები, თითქოს შენც პოდუბნი მყავდეო, ხვდები, რომ ეს სახელი ფიზიკური ძალის სიმბოლოდ იქცა.

თვითონ სახელი „პოდუბნი" აზრითა და ეღერადობით ჩვენს წარმოსახვაში ბადებს რაღაც შთამაგონებელს.

ძნელია შეაფასო პოდუბნის პიროვნება. თავისი სახელდიდებითა და მაგალითით მან სპორტული სარბიელისკენ უბიძგა ათიათასობით ჭაბუკს. ბევრმა სპორტსმენმა ჭიდაობით დაიწყო და შემდეგ სპორტის სხვა სახეობაშიც იმარჯვა. რაც შეეხება სახალხო ჯანმრთელობას, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ თავისი გამოსვლებით პოდუბნიმ იმდენი სიყვარული დანერგა ფიზიკური კულტურისადმი, რომ ექიმთა მთელი ლეგიონის საქმე გააკეთა...

„მე მინახავს პოდუბნი!" — ეს სიტყვები შეიძლება ბევრისგან მოისმინო, მაგრამ ვერც ერთისაგან ვერ გაიგებთ, დაჩაჩანაკებული ბებერი ვნახეო. იგონებენ, რომ ულვაშები უკვე წითური კი არა, ჭაღარა ჰქონდა, მაგრამ ყველას ახოვანი და ტანადი ახსოვს.

...აგერ, ზამთარში შეშას აპობს წელს ზემოთ შიშველი, თეთრ კანქვეშ კუნთები ჩქერივით გადადის. ნაჯახის ერთი

მოქნევა და კორძებიანი მორი ნაკოდ შეშად იქცევა. რამდენიმე წუთში დაპობილი შეშის წყება კაცის სიმაღლემდე აღწევს.

ღობის იქიდან მისჩერებიან ყმაწვილები ამ სასწაულს და ესმით ჩახლეჩილი ბოხი ხმა:

— რაო ბიჭებო, ბერიკაცის გასაპამპულავებლად მოხვედით? შემოდით, ილეთებს გასწავლით.

ნახევრად შიშველი ულვაშებჭაღარა გოლიათის შეძახილებით გამხნევებული ბიჭები თოვლში იწყებენ ჭიდილს, და ეს დღე სამუდამოდ ამახსოვრდება მომავალ ჩემპიონს...

მაგრამ გარბიან წლები და რაც მეტი ხანი გადის, მით უფრო თავისუფლად და ინდივიდუალურად აისახება ადამიანის ქცევა და მისი გარეგნობა.

სკულპტორი ვ. ვუჩეტიჩი თავის წიგნში „მხატვარი და ცხოვრება" აგვიწერს, როგორ ქმნიდა ოცდაათიანი წლების შუა პერიოდში „ჩემპიონთა ჩემპიონის" პორტრეტს.

„ეს იყო ბუმბერაზი კაცი, კოლოსალური ფიზიკური ძალის მქონე, ნამდვილი გოლიათი. გამაოცა თავისი სიდიდით.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ივან მაქსიმოვიჩს შუბლი მართლაც დაბალი ჰქონდა, ბუშტა ცხვირი და ბევრი სხვა ნაკლიც სჭირდა, მე ყურადღებას სულ სხვა რამეს ვაქცევდი. და აი, ახლა თითქმის 80 წლის შემდეგ, როცა ამ პორტრეტს, დაუმუშავებელ, არასრულქმნილ ეტიუდს ვუყურებ, მე ვხედავ ფალავანს, თანაც უბრალო ფალავანს კი არა, არამედ ჩემპიონს, რომელიც ღირსეულად ატარებს ამ წოდებას".

ძაძ ასე — „ბუშტა" ცხვირი...

პოეტმა ილია სელვინსკიმ ავტობიოგრაფიულ რომანში „ო, ჩემო სიშაბუკევ" მოიგონა დიდი ეპიზოდი, რომელშიც „ებრაულცხვირიანი" გოლიათი თითქოს დათანხმდა ყირიმის სიონისტთა მებრძოლი რაზმისათვის ჭიდაობის ილეთები ეჩვენებინა.

მაგრამ ჯერჯერობით ლაპარაკია არა ნამდვილ ბრწყინვალებაზე, არამედ დიადის ანარეკლზე, „ცოცხალ ლეგენდაზე", ათწლეულების სათავეთა წიაღში რომა აქვს ფესვები გადგმული. იმ ხანაზე, როცა სპორტულ კაბადონზე პოდუბნის ვარსკვლავი ბრწყინავდა, ათობით რომანი და მოთხრობაა დაწერილი. ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „მოჭიდავე და ტაკიმასხარა", დღესაც იდგმება ოპერეტა „შავ ნილბიანი კაცი"... პო-

დუბნის ცხოვრებაზე არსებული ძუნწი ცნობები (არა მისი შერკინებანი ხალიჩაზე — ამაზე სპორტული პრესა ბარე ორმოცდაათ წელიწადს წერდა) შემოქმედთ აიძულებს წარმოდგენა დაძაბონ და ახალი ლეგენდები შეთხზან...

როგორც რევოლუციამდელი სინამდვილის უბრწყინვალესი წარმომადგენელი, პოდუბნი აუცილებელი პერსონაჟია ზემუარული ლიტერატურისა, ძველი ფალავნებისა და ცირკის მსახიობების მრავალი მოგონებებისა, სადაც მასთან შეხვედრები (ნამდვილიცა და შეთხზულიც) იმდენად კოლორიტულია, რომ მთელი თხრობის მთავარ ძარღვად იქცევა.

მაგრამ ლეგენდებისა და ანეკდოტების სიმრავლე მაინც ვერ ჩრდილავს ნამდვილ ივან პოდუბნის. ადამიანის მეხსიერება მართლაც რომ უცნაურადაა მოწყობილი — იგი ლეგენდებს უფრო კარგად ინახავს, ვიდრე სინამდვილეს.

მე ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა პოდუბნის მშობლიური ადგილები მოვინახულე...

8

ივან მაქსიმოვიჩ პოდუბნი დაიბადა 1871 წლის 26 სექტემბერს (ძველი სტილით) სოფელ კრასიონოვკაში, რომელიც ორჟიცისა და ზოლოტონოშის შუა მდებარე შავმიწა სტეპებშია დაკარგული.

ოდესღაც აქედან იწყებოდა უვარგისი ველი — მაღალი ბალახის თვალუწვდენელი ზღვა, რომელიც აქა-იქ ნახევრად ველური ცხენების რემის ნაკვალევით თუ იყო გაქელილი და სადგომების კოცონების ალით გარუჯული. სტეპის მომთაბარენი ურდოებად იყოფოდნენ და ჩრდილოეთისაკენ, რუსეთის დამუშავებული მდიდარი მიწებისაკენ მიიწევდნენ...

აქ ტყე-სტეპის პირას მათ დევგმირების საგუშაგოები ხვდებოდა და ხელჩართული ბრძოლები იწყებოდა. ისტორია ძუნწად გადმოგვცემს იმ ხანას, მაგრამ ხალხის მეხსიერებას დღემდე შემორჩა ილია მურომეცის, დობრინია ნიკიტიჩისა და ალიოშა პოპოვიჩის უკვდავი სახელები...

სწორედ აქ, ცოტა მოგვიანებით, პერეიასლავლზე სალაშქროდ წამოვიდა კონჩაკ ხანი. ჭიხვინებდნენ ცხენები, ჭრიალებდნენ ურმები, ურდოთ თავს მტაცებელი ფრინველები

დასტრიალებდნენ მსხვერპლის მოლოდინში... „ველზე კარიბ-ჭე აღმართეთ“, — ზარივით ჰქქდა მომღერლის განგაშით სავსე ხმა, რომელიც ხალხს შინაომის შეწყვეტისაკენ მოუწოდებდა.

გადიოდა ასწლეულები. ველმა უკან დაიხია. ხალხი სტეპზე დასახლდა, დაბალი ალიზის ქოხები დადგა, მზეზე შავმიწა ნიადაგი ისე პრიალებდა, გეგონებოდა ზეთი გადაუსვამთო. მაგრამ ერთბაშად არ მოსულა მშვიდობა დნეპრის სანაპიროზე. რუსი „უკრაინელები“ ისტორიული ბედის განგებით კიდევ დიდხანს იცლებოდნენ სისხლისაგან და უცხო ხმებს ისმენდნენ.

და გაჩნდა აქ კაზაკთა ტომი, დაიზარდა ხალხი — დაუზარელი, სულითა და სხეულით ძლიერი, რომელმაც არც შიში იცოდა, არც ბრძოლაში დანდობა, მუშაობაშიც მარჯვე იყო: ბარაქიანი მიწა მათ პურს და სხვა სიუხვეს არ აკლებდა და შრომასა და ბრძოლაში დამაშვრალ სხეულს ორმაგი ძალით უვსებდა.

ბევრი მებრძოლი და მხვნელ-მთესველი ჰყოლია პოდუბნების გვარს. როცა ივან მაქსიმოვიჩს, უკვე „ჩემპიონის“ ტიტულის მფლობელს ეკითხებოდნენ, შენზე ღონიერი ადამიანები თუ შეგხვედრიაო, გოლიათი პასუხობდა:

— ჭიდაობაში არა, ისე კი შემხვედრია ჩემზე ძლიერი ხალხი. მამაჩემი, მაქსიმ ივანოვიჩი, ჩემზე ღონიერი იყო...

პოდუბნის ძლიერების საიდუმლო იმ მიწაში იმალებოდა, თავის ნაყოფიერების საზღაურად მადლიან შრომას რომ მოითხოვდა. მითოლოგიური გმირებისა არ იყოს, ისინი ძალას მიწიდან იღებდნენ.

ფალავნის ბიოგრაფები მის ჩამომავლობას ფედკა პოდუბნის უკავშირებენ. „ხმელ-ხმელ ვაჟკაცს, ცალი თვალით რომ ელამი იყო და სახე ნაჭრილობევით ჰქონდა დაფარული“, და ავიწყდებათ, რომ ეს არის შესანიშნავი ისტორიული რომანის „მთავარ სერებრიანის“ პერსონაჟი, ალექსეი ტოლსტოის წარმოსახვით შექმნილი გმირი.

არსებობს ლეგენდა ვინმე კაზაკ პოდუბნიზე, რომელიც პეტრე პირველს შეუნიშნავს და პირად დაცვაში აუყვანია, შემდეგ კი ინგლისში რუსულ საელჩოში წარგზავნილს რომანტიკული თავგადასავალი გადახდენია...

დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ფალავნის მამა მაქსიმ ივანიჩ პოდუბნი შთამომავლობით მხვნელ-მთესველი და გოლიათი ტყის მკაფავი იყო. ის კრასიონოვკაში ცხოვრობდა. ოცი წლისამ ცოლად შეირთო ჰანა, მეზობელ სოფელ ბოგოდუხოვკაში მცხოვრები დანილა ნაუმენკოს ასული, ჯანღონით სავსე ქალიშვილი. არც ჰანას მამას აკლდა ჯან-ღონე: მან 125 წლამდე იცოცხლა.

ახალგაზრდები კრასიონოვკაში დასახლდნენ, სოფლის იმ მხარეს, დღესაც ბოლიუკოვკას რომ ეძახიან. დაიდგეს ალიზის ქოხი, რომელსაც პატარა ფანჯრები და ჩალის სახურავი ჰქონდა. როცა თიხის იატაკი გაშრა და გაყვითლდა, ზედ ჯვალო დააგეს. დიდი ხის საწოლი, ღუმელი, განჯინა, მაგიდა და მერხი, ქონდრით და ღიღილოთი მორთული სახატე — ასეთი ახსოვდა ყოველთვის ივანეს მშობლიური ქოხი.

ამ ქოხში იხილა მან მზის სინათლე, იქ შესწავლა პირველად მშობიარობით განაწამებ დედას და გახარებულ მამას, დაკოჟრილი ხელებით ფრთხილად რომ ეფერებოდა.

პირმშო ძალიან დიდი იყო.

4

დღეს კრასიონოვკაში ალიზის ქოხს იშვიათად თუ ნახავ. პოდუბნები კი მრავლად არიან. მათაც კრამიტით გადახურული დიდი სახლი უდგათ, ტელევიზორის ანტენით... სოფელში კოლმეურნეობაც არის და საბჭოთა მეურნეობაც, რომლის დირექტორი მიხაილ ვლადისლავოვიჩ კონცოვსკი ოქროს ვარსკვლავის კავალერია.

— ჰექტარზე ოცდაჩვიდმეტ ცენტნერზე ნაკლებ ხორბალს არ ვიღებთ და ამიტომაც ვცხოვრობთ ასე კარგად, — გვითხრა დირექტორმა.

ამ სიტყვებზე მან ფართო ჟესტით შემოხაზა ჰორიზონტი — მაგიდასავით სწორი, ნაპატივები მიწა, მკვიდრად ნაგები სახლები და სკოლის კოხტა შენობა, რომლის წინაც პოდუბნის მარმარილოს ბიუსტი დგას. ივან პოდუბნი წარმოსადეგ ჭაბუკადაა გამოკვეთილი. მარმარილოს მზეზე ზიმზიმი გაუდის.

როგორც კონცოვსკი ამბობს, ბიუსტი გაუხსნიათ სახელოვანი თანამემამულის დაბადების მეასე წლისთავზე, რომელიც „უკრაინული ენციკლოპედიით“ 1970 წელს დაემთხვა. მე ვარწმუნებ, 3031 ნომერი მეტრიკის მიხედვით ეს საიუბილო თარიღი ერთი წლით გვიან უნდა აღვნიშნათ-მეთქი.

— ჩვენ კი ვადაზე ადრე აღვნიშნეთ. როგორც მოსავალს ვიღებთ ხოლმე. მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, — დარბაისლურად ხუმრობს კონცოვსკი. — აბა, ერთი ჩვენს მოხუცებს ჰკითხეთ პოდუბნიზე. იმდენს გეტყვიან...

მართლაც ბევრი მითხრეს...

მიყვებოდნენ პოდუბნიზე ბროშურად გამოცემულ ამბავს, უხვად რომ შეეფერადებინათ გლეხური ფანტაზიით.

— ივან პოდუბნი ფეოდოსიაში მუშაობდა. ერთხელ დაინახა, რომ ვიღაც მაწანწალას ორი ჟანდარმი მისდევდა. პოდუბნიმ ზურგზე წამოკიდებული ტომრები მოიხსნა და ჟანდარმებს ფეხებში მიუყარა, ვითომ შემთხვევით დაშივარდაო. ჟანდარმები ტომრებს წამოედნენ და ძირს მოიღეს ზღათანი, მაწანწალამ კი თავს უშველა. საღამოს ივანე მას შეხვდა, სამიკიტნოში წაიყვანა, ასვა, აჭამა... მაწანწალა მაქსიმ გორკი გამოდგა. იმ დღიდან დაიწყო მათი მეგობრობა, მთელი სიცოცხლე რომ გასტანა...

— ასეთი რამ არ ყოფილა, ნესტორ მიტროფანოვიჩ, — ვეუბნები მე.

— როგორ თუ არ ყოფილა. ხალხი ასე ლაპარაკობს, წიგნებშიც ასე წერენ...

— არ ყოფილა და მორჩა. გორკი ფეოდოსიაში 1891 წელს იყო, პოდუბნი კი იქ 1895 წელს ჩავიდა... წიგნებში მათი შეხვედრის ამბავს ხშირად წერდნენ, მაგრამ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო.

მიტროფან ნესტოროვიჩი უნდობლად შემომჩერებია:

— ჩვენ ბნელი ხალხი ვართ, — ორეოფულად მეუბნება ის და ვგრძნობ, რომ გლეხური რწმენა დაბეჭდილი სიტყვისადმი ოდნავადაც ვერ შევარყიე. უფრო მეტიც, რაკი ლეგენდის გაჭარწყლება ვისურვე, საეჭვო პიროვნება, ვიღაც ყალბი საბუთების მქონე თვითმარქვია ვხდები,

რომლის მიზანიც ის გახლავთ, ყოველგვარი საფუძველი შეარყიოს.

მიამბეს ფილმ „მოჭიდავეესა და ტაკიმასხარაზე", რომელიც არაერთხელ უნახავთ პოდუბნის თანამემამულეთ. მიამბეს სიყვარულზე, ვერაგობაზე.

მათ ნაამბობში ნამდვილი იყო მხოლოდ კუნძები ბებერი აკაციებისა, ოდესღაც პოდუბნის მშობლიურ ალიზის ქოხს რომ ფარავდა. ეს კუნძები გრიგოლ კონონოვიჩ პოდუბნის სახლიდან ოცდაათი მეტრის დაშორებით ბოსტანში ამოჩრილიყვნენ. კოლმეურნეობის მძღოლი გრიგოლ კონონოვიჩი ისეთი ჯან-ღონით სავსე კაცი იყო, რომ ცქერით ვერ გაძღებოდი.

კუნძებთან რომ ვისხედით, მისი მოხუცი დედა იგონებდა, რა გაჭირვებულად ცხოვრობდნენ სოფელში, და წამდაუწუმ თავის მდიდრულ სახლს შესცქეროდა, თითქოს ეშინოდა, უცებ არ გაქრესო.

— ამბობენ, ივანე რომ დაიბადა, ციდან ფრთოსანი გველი ჩამოფრინდაო. ყველა პირჯვარს იწერდა თურმე.

— რას ამბობთ, დედა? — შეეპასუხა გრიგოლ კონონოვიჩი, — გველი კი არა, ის არ გინდათ. ჩვენებურად, მეცნიერულად, კომეტას რომ ეძახიან, ის იყო...

— კეთილი, კომეტა იყოს. კიდევ ამბობენ, ვანიუშა პოდუბნი ისეთი ცოცხალი და ჯანიანი ბავშვი ყოფილა, როცა მღვდელი ნათლავდა, ხელიდან გასხლტომია და ემბაზში ჩავარდნილა, მღვდელს ნათლობის შემდეგ ყველასთვის უთქვამს: მომილოცნია, ერისკაცნო, დევკაცის დაბადებაო, მაშინ მღვდლის ნათქვამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, მერე კი, გიყვარდეს, იხსენებდნენ...

მაგარამ ლეგენდების მირაჟებს მიღმა თანდათან მკაფიოდ იკვეთება ძველი სოფლის ყოფა და გლეხიკაცის ბედი.

კიდევ უფრო გარკვევით გამოჩნდა ეს ზოლოტონოშში, პოდუბნის უმცროსი დის ევდოკია მაქსიმოვნას სახლში. გზისპირა სახლში, რომელიც გამვლელი ავტობუსების წყალობით მტვრის კორიანტელში იყო გახვეული. მომეჩვენა, რომ უცებ დრო გაჩერდა. ასე ჩერდებიან ხოლმე ხმამაღლა მოწიკწიკე მარტივმექანიზმიანი საათები, დგება სიჩუმე და საკუთარი გულისცემა გესმის.

ჩვენ ვჩქარობთ. ჩვენ კოსმოსური რაკეტების სიჩქარეები გვიტაცებს. ჩვენი ტვინი მარცხდება სწრაფმოქმედ ელექტრონმანქანებთან ჭიდილში. დრო არა გვაქვს, რომ შევჩერდეთ, წესრიგში მოვიყვანოთ ჩვენი აზრები და წარსულს გადავხედოთ, გავერკვეთ, ვისი გვარისა ვართ და განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი ხალხის ცხოვრებაში. ალბათ ამიტომ გაქრნენ ჩვენი ოთახის კედლებიდან მამა-პაპათა სურათები.

აქ კი სურათები ეკიდა.

გედებით, კოშკებით, ანგელოზებით, საუცხოო ორაგულისფერი მძინარე მზეთუნახავებით ამოქარგულ ხალიჩა-მუშამბებს, მაქმანებსა და ჩითის ფარდებს შორის რამდენიმე ათეული ფოტოგრაფია ეკიდა, რომლებიც გულმოდგინედ იყო გაფერადებული, რადგან გლეხის სულისთვის მიუღებელია ლაბორატორიის სველ სიბნელეში წარმოშობილი რუხი სამყაროს პირობითობა.

ყველაფერ ამას პოდუბნის ცნობილი პორტრეტი აგვირგვინებდა, რომელზეც იგი უკან ხელებდაწყობილი დგას და მზერა სადღაც კამერის ზემოთ აქვს მიპყრობილი. ჩრდილი ფართო ნიკაპის ღრმულზე ეცემა და მხოლოდ ის გამოხატავს პროპორციული აგებულების სხეულში ჩაბუდებულ არაჩვეულებრივ ნებისყოფას და ძალას, სხეულისა, რომელსაც ჰიპერტროფიის ნიშანწყალიც არ ამჩნევია და ელვისებური მოძრაობებისა და არნახული დატივრთვისათვის არის შობილი. პოდუბნის მთელი ფიგურა ისეთ გულდაჯერებულობას გამოხატავდა, რომელსაც ჭეშმარიტი სიდიადის იერი დაჰკრავდა.

ამაყად ზეაწეულ თავსა და აწკეპილ ულვაშებში ის „ჩემპიონთა ჩემპიონი" გამოიცნობა, რომელიც გულუბრყვილო ამპარტავნობით სამყაროს ძალიან ძლიერ და „სხვა დანარჩენ" ადამიანებად ჰყოფდა... პირველთ მისალმებისას ხელს ხუთივე თითით ძლიერად უჭერდა, მეორეთ კი ჩამოსართმევად მხოლოდ ორ თითს უწვდიდა.

მხრიდან მკერდზე ფართო ლენტი გადმოუფენია, ხოლო ამ ლენტზე გამოსახულია დაფნით შემკობილი ოქროს ვარსკვლავებიანი ლუტეციას პატარა გემი — სიმბოლო მშვენიერი საფრანგეთის დედაქალაქისა, რომელმაც წყნარ ნავსაყუდელს უკრაინულ ქოხში მიაგნო...

მაგრამ სწორი არ იქნებოდა, ეს პორტრეტი გამოგვეყო სხვებისაგან, პირველი მსოფლიო ომის „გიორგის ჯვრებით" მკერდდამშვენებული ულვაშებიანი მეომრებისაგან, მეორე მსოფლიო ომის სერჟანტებისა და ლეიტენანტებისაგან, ძლიერი და დაძაბული სახეებისაგან, ათობით ადამიანისაგან, შთამომავლობით მტკიცე ნებისყოფა რომ ჰქონდათ ბოძებული.

ჯვრისწერის სურათზე ახლადდაქორწინებულნი განაბულან — მოქარგული ხალათები, ფარღულები, გეირგეინები აძკობთ...

აგერ ახალი თაობა — ინჟინრები, მეცნიერები. მათ შვილებს უკვე სხვაგვარი აქვთ სახის გამომეტყველება და თვალები. გაქრა ძველი ფოტოგრაფიული გაშეშება, სამაგიეროდ გულწრფელობის კვალიც აღარა ჩანს.

კედელზე ხუთი თაობა დაკიდულე. დღევანდელი გაგებით ეს დაახლოებით ას ორმოცდაათი წელი გახლავთ.

პოდუბნის და, ევდოკია მაქსიმოვნა, ძვალმსხვილი და ღაჟღაჟა ქალი, ოჯახში ყველაზე უფროსია — ოთხმოც წელს იქნება გადაცილებული.

— ქალიშვილობაში მარჯვე ვიყავი. — ამბობს იგი, — ჩვენთან სოფელში ხშირად იმართებოდა ჭიდაობა. კარგი სარმა ვიცოდი. ყველა მამაკაცს წამოვაქცევდი. ცეცხლივით ეშინოდათ ჩემი. ვანიუშას კი, უკვე თორმეტისა რომ იყო, ყველა უფრთხოდა. ხელს რომ ჰკრავდნენ, მოიკუნტებოდა, მერე გაიშლებოდა და კაცი უკვე მკლავებში ჰყავდა მომწყვდეული. მხოლოდ მამაჩვენი, მაქსიმ ივანოვიჩი სჯაბნიდა ღონით...

იგი პოდუბნების საოჯახო პორტრეტზე მიგვითითებს. მაქსიმ ივანოვიჩი ცოლის, ანა დანილოვნას გვერდით ზის და ძლიერი ხელები მუხლებზე დაუწყვია. უკან ჩოხაში გამოწყობილი დგას ორი მეტრის სიმაღლის ბეჭებგანიერი ჭაბუკი — უმცროსი შვილი მიტროფანე. იქვე გოგონები ჩამწკრივებულან...

მაგრამ აქ ყველა არ არის...

5

მაქსიმს ჰყავდა ოთხი ვაჟი — ივანე, ნიკიტა, ემელიანე, მიტროფანე — და სამი ქალიშვილი — მატრონა, მარინა, ევდოკია...

...და აი მისმა პირმშომ ვანიუშამ უკვე გადაალაჯა თეთრად შეფეთქილი ქოხის ზღურბლს და ხშირი ბალახით დაფარულ სოფლის ორღობეებში დანავარდობს. სოფელი კი მშვენიერია! ჩალისსახურავიანი თეთრი ქოხები ალუბლის ბაღებში ჩაფლულა. თეთრ აკაციებს დაუფარავს ორღობეები და წყნარი მდინარის, ირკლის დამრეცი ნაპირი. მდინარის სათავე ახლოა, ირკლი მარყუჟივით შემოუვლის ლელიან დაბლობს, სანამ ბუმბერაზ დნეპრში შთაინთქმებოდეს.

მდინარის თავზე ვეებერთელა ტირიფები დახრილა და გრძელი ტოტები დაგუბებულ წყალში ჩაუყვია. თეთრ ეკლესიასთან სასაფლაოს ღობის ნაცვლად გარს ანწლი შემორტყმია.

სოფლის იქით კი თვალსაწიერამდე მინდორია გადაჭიმული. გარშემო ტყის ნასახი არა ჩანს, მხოლოდ ცხელი ჰაერი თრთის პურის ყანის თავზე, რომელშიც უჩინარი ტოროლები დანავარდობენ და თავდავიწყებით გალობენ. ქარი დაუბერავს და პურის ყანა ზღვასავით აღელდება...

მაქსიმ პოდუბნის მიწის მცირე ნაკვეთი ჰქონდა — ქოხის ირგვლივ ასი საჟენი და მინდორშიც ორი დესეტინა. აქაური ადგილების კვალობაზე ეს მიწა მწირი იყო, უფრო თიხნარი გახლდათ, ვიდრე შავმიწა. ოჯახი თუმცა გაჭირვებით, მაგრამ თავს მაინც ირჩენდა. მაქსიმე ხარივით მუშაობდა და დაღლა რა იყო, არ იცოდა. ტანმაღალი და ძარღვიანი ორ ხუთფუთიან ტომარას ისე მოიგდებდა ზურგზე, ვითომც არაფერიო. ფიწლით მთელ ზვინ ჩალას იღებდა.

ნებისმიერ საზიდარს თვალში ხელს ჩააცლებდა და აჩერებდა; ზორბა ბუღას რქებით მიწაზე ანარცხებდა; როცა კაცები საჭიდაოდ წრეს შეკრავდნენ, მისი მომრევი მთელ მხარეში არავინ იყო.

ამბობდნენ, მისი შვილებიც უჩვეულო ღონით გამოირჩეოდნენო.

ქალიშვილობაში მარინა ვინმე ვაჟს თუ გაუბრაზდებოდა, კრაველის ქუდს მოხდიდა, ქუჩაში დადებულ მორებს მხრით სწევდა და ქუდს ქვეშ შეჩურთავდა. ვაჟი მთელ უბანს ეოირბენდა, რომ ხალხი შეეგროვებინა და თავისი ქუდი გამოეღო.

ოჯახში ყველაზე უმცროსი მიტროფანე ორმეტრიანი ჭაბუკი გაიზარდა. მეზობლები ამბობენ, ორმოდან თვრამეტფუთია-

ნი ხარი ამოათრიაო. უფრო გვიან კი ტულაში, სადაც იგი ძმასთან ყოფილა ჩასული, მაყურებლების გასამხიარულებლად მხრებზე ფიცარნაგი დაუდევს, რომელზეც ორკესტრი მჯდარა და „მრავალ გაზაფხულს“ უკრავდა. ეს ეპიზოდი მოთხრობილია წიგნში, რომელიც მიტროფანეს თხოვნით ერთ უკრაინელ ჟურნალისტს დაუწერია ივან პოდუბნიზე.

ივანეს გმირობაზე კიდევ მოგითხრობთ, ახლა კი მისი ლაღი ცხოვრება დამთავრდა — შვიდი წლისა ჯერ ბატებს მწყემსავდა, მერე — ძროხებს. მალე ზოლოტონოშში ხარებით ხორბლის ტარება დაიწყო — დაიჭირა ხელში სახრე და ჰაიდა. მამას ეხმარებოდა. ფუთის წაღებაში კაპიკს იძლეოდნენ, ერთ ურემ ხორბალში — ოცდახუთ კაპიკს.

თორმეტი წლიდან ივანე მოჯამაგირედ იდგა — ცხვარს მწყემსავდა პან კუბლიცკის მეურნეობაში, რომლის მდიდარი მიწები ყოველი მხრიდან ავიწროებდა კრასიონოვკელი გლეხების მცირე მინდვრებს.

სისხლს უშრობდა ერთი ვეებერთელა, ჯიშიანი თავნება ყოჩი — პანის მეურნეობის სიამაყე. გაჯიქდებოდა ეს ყოჩი, რომლის სიჩლუნგეც ანდაზად იქცა, და ფეხს აღარ იცვლიდა. ივანე დაგრეხილ რქებში ხელს ჩაავლებდა, ჯგვლემდა, ექაჩებოდა. ყოჩი ერთი თავს გაიქნევდა და ბიჭუნას მტვერში გადაისროდა.

საუკეთესო ტანვარჯიში იყო ყოჩთან ჭიდილი. პოდუბნის დღევანდელ თაობას გულუბრყვილოდ სჯერა, რომ სწორედ ამ ჭიდილმა ჩაუყარა საფუძველი ივან მაქსიმოვიჩის სპორტულ მიღწევებს.

კუნთები უმაგრდებოდა, მხრებში სულ უფრო ლაღად იშლებოდა. ივანეს უკვე შეეძლო მიწას მოეწყვიტა ყოჩი და ყველა თანატოლი დაეჯაბნა. თხუთმეტი წლისამ მამასთან შეჭიდებაც გაბედა. ქამრებში ერთმანეთს ხელს მაგრად ჩაავლებდნენ, ქშინავდნენ, ოფლად იღვრებოდნენ. თითოეული ცდილობდა მოწინააღმდეგე ბეჭებზე დაედო, მაგრამ ახლა ასაკსრულ მაქსიმეს უკვე უჭირდა ჰაბუკის ბალახებში გაგორება.

— აი, ეს პოდუბნი ყოჩაღი კაზაკია, — ამბობდა მაქსიმე და კასრივით ფართო მკერდზე ურტყამდა ხელს შვილს.

მუხლჩაუხრელად მუშაობდა მაქსიმ ივანოვიჩი, მაგრამ

ოჯახი მაინც დუხჭირად ცხოვრობდა. ივანე დღიურ მუშად დადიოდა მებატონის მამულში, რომლისგანაც მარტო სახელი და ავი მოგონებაღა დარჩა. მდიდარ ნათესავებს ერთ კერძ სადილად და „გროშებად“ ყანას უმკიდა.

ამავე დროს მეურნეობაშიც ეხმარებოდა მამას, რომელსაც დიდი ოჯახი ეწვა კისერზე — ყველაზე უმცროსი ქალიშვილი ევდოკია მაშინ დაიბადა, როცა უფროსი უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო.

პირველად მაშინ წაეკიდა სიყვარულის ალი. ოლენკა ვიტიაკი თექვსმეტი წლისაც არ იყო, რომ უკვე საპატარძლოდ შეიღერა. სავსე, ლამაზი, მხრებში გაშლილი — სწორედ რომ ივანეს შესაფერი გახლდათ.

დაიწყო მალული პაემნები სოფლის გარეთ, ვეება ზვინებიან, მხურვალე ხვევნა-კოცნა და ფიცილი...

სოფლის ენაჭარტალა დედაკაცებმა ეს ამბავი მაშინვე ოლენკას მამას აცნობეს. ბებერ მუსუსს ვიტიაკს ბოგანო პოდუბნებთან დამოყვრება არ სურდა. მაქსიმ ივანოვიჩთან მივიდა, ქოხში შესულმა ქუდი მოიხადა და ხატის წინ პირჯვარი გადაიწერა.

— დაბრძანდით, — უთხრა ჰანა დანილოვნამ და მერხი ფაციფუცით გადაწმინდა.

ვიტიაკმა ამოიოხრა, ჩამოჯდა და ივანეს ალმაცერად გადახედა.

— არ მინდა ივანემ ჩვენი ლაპარაკი მოისმინოს, — თქვა მან.

— ვანია, გადი ქოხიდან, — უბრძანა მამამ შვილს.

თუ რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, ივანეს შეეძლო მხოლოდ გუმანით მიმხვდარიყო. მამამ ის პაპა დანიელთან სოფელ ბოგოდუხოვკაში გაგზავნა საცხოვრებლად.

შვიდი ვერსი სერიოზული დაბრკოლება გამოდგა ჭაბუკი მიჯნურისათვის. თანაც ალიონიდან ალიონამდე ბოგოდუხოვკელი მემამულის აბელის მამულში მუხლჩაუხრელად მუშაობდა და დრო აღარ რჩებოდა მშობლიურ კრასიონოვკაში ჩასასვლელად.

ბოგოდუხოვკა დიდი სათემო სოფელი იყო და ასე ოთხი ათას მაცხოვრებელს ითვლიდა. უკრაინელების გარდა აქ ცხოვ-

რობდნენ ებრაელებიც, რომლებსაც სასტუმრო-ბაკები და დუქნები ჰქონდათ.

ბოგოდუხოვკაში ბაზრობა წელიწადში ოთხჯერ იმართებოდა და მაშინ სოფელი ჩამოსული ხალხით ივსებოდა. უკრაინელები, ებრაელები, ბოშები გაცხოველებული ვაჭრობდნენ. ბრბოში ამხედრებული დადიოდნენ ცხენის დამამზადებელი ოფიცრები, რომლებიც შეძლებული გლეხებისაგან და „რაკიტების" მამულის ადგილობრივ ქარხანაში ცხენებს ყიდულობდნენ. ზოგიერთი მუშტარი და ნოქარი გარიგებას სამიკიტნოში ჭიქა არყით აღნიშნავდა და ხანდახან პერანგსაც იქ ტოვებდა.

სოფელში მამა-პაპათა ტრადიციებით ცხოვრობდნენ და თან ამბობდნენ: „შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველ ბედნიერებასო". აქ ისევ დღესასწაულობდნენ ორშაბათობას, ისევ არსებობდა „პარუბოცტვა" — ჭაბუკთა ამხანაგობა, რომელიც თავის წინამძღოლს ირჩევდა და თავისი დროშა ჰქონდათ. ცხალისებოდა ივანეს მეგობრებთან ერთად შობას ალილოზე ჩამოელა და ქორწილებში ბოიარის როლის თამაში, „მუსიკაზე" და „საღამოებზე" სიარული. საგულისხმოა, რომ ეს ამხანაგობა ქალწულის ნამუსის დამცველიც იყო და სასტიკად სჯიდა ყველას, ვინც შესცოდავდა.

6

მაგრამ მემამულესთან მუშაობა უმძიმდა ივანე პოდუბნის. განა მუშაობას გაურბოდა — გლეხური შრომა უყვარდა და მიწის შეძენაზეც კი ოცნებობდა... მაგრამ იმდენი რა უნდა ეშოვა მოჯამაგირეს? საკუთარ მიწას თავის დღეში ვერ ეღირსებოდა. ამასთან ივანე ჭაბუკობიდან გამოირჩეოდა დამოუკიდებელი ხასიათით, არაერთხელ შეტაკებია აბელის მამულების მოურავს — საძაგელ და შარიან კაცს.

სოფელი „ზედმეტი მუშახელისაგან" იცლებოდა. ყოველ წელს, საქონლის მინდვრად გარეკვამდე აცილებდნენ ჭაბუკ გლეხებს, რომლებიც ფულის საშოვნელად ქალაქში მიდიოდნენ. დედები და ცოლები მოთქმით უტენიდნენ თოფრებში პურსა და ქონს წამსვლელებს.

ვინ იცის, რა არ ხდებოდა შორეულ ქალაქებში.

ერთნი სოფელში სტუმრად წელგამართულნი ჩამოდიოდნენ, ლაქის ჩექმებში გამოწყობილნი, ჯიბის საათებით, ჟილეტებზე ვერცხლის ძეწკვები ეკეთათ და თავმომწონედ დაბიჯებდნენ. მეორენი — ასეთები უფრო ბერნი იყვნენ — სულიერად დაცემულნი ბრუნდებოდნენ, თან ამბავი ჩამოჰქონდათ, ვინ ქოლერით და ტიფით მოკვდა, ვინ უცნაურმა „მანქანამ" გაიტანაო.

მაგრამ ივანე პოდუბნის, ისევე როგორც ბევრს, იმედი ჰქონდა, რომ გაუმართლებდა.

თავისი ცხოვრების იმ პერიოდზე იგი შემდეგ მოკლედ იტყვის:

„ჯარში გაწვევის მერე, როცა სამხედრო სამსახურიდან გამათავისუფლეს, როგორც ოჯახის უფროსი ვაჟი, სოფელში ცხოვრება აღარ მინდოდა და საშოვარზე სევასტოპოლში წავედი".

„აღარ მინდოდა" — და მორჩა. ყირიმში წასვლა გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა. მამა უარზე იდგა, მაგრამ ივანემ მოუჭრა:

— იქნებ ტავრიაში ჯობდეს? ვცდი ბედს. ჩემ გარდა ხომ სხვებიც დადიან...

ანა დანილოვნა ჩუმად ტიროდა და შვილს გასამგზავრებლად ამზადებდა. ბოლოს მაქსიმ ივანოვიჩიც მოტყდა.

— რა ჭია შეგიჩნდა. რით ვერ მოგისვენია, — უთხრა მან შვილს, — აბა კარგად იყავი, შვილო, შენ იცი, მამაშვილურ დარიგებას მოგცემ — ოჯახის სახელს გაუფრთხილდი... გეყოფა დედაბერო ტირილი.

მაშინ ივანე ოცდაორი წლისა ხდებოდა. გაჭირვებას ადვილად იტანდა. ტავრიაში არ გაუმართლა, ოდესაში წავიდა. იქიდან სევასტოპოლში ამოყო თავი, სადაც თანასოფელი, სიყრმის მეგობარი პეტრე კოტი შეხვდა. სამუშაოს საშოვნელად პორტს ერთად მიაშურეს.

ივან მაქსიმოვიჩი იგონებდა:

— ერთ შავგვრემან, გამხდარ ბერძენთან მივედი, სტაფილოსავით გრძელი ცხვირი ჰქონდა. მკლავებზე ხელი მომითა-

თუნა და ჩაიბურტყუნა: „ფირმა „ლივასი“ სამუშაოზე გიღებსო“. ეს მითხრა და მარდად გამშორდა...

გოლიათური ღონისა და ხალასი იუმორისათვის ივანე შეიყვარეს მტვირთავებმა, მუდმივად რომ ემსახურებოდნენ ბერძნულ დამტვირთველ-გადმომტვირთველ ფირმას, რომელსაც უცნაური სახელი ჰქონდა — „ლივასი“. ბუმბულივით აჰქონდა გემის ტრიუმზე საუკეთესო ხორბლით სავსე ტომრები, რომლითაც ბარაქიანი რუსეთი თითქმის მთელ ევროპას კვებავდა.

პოლტაველმა თანამემამულეებმა პოდუბნის „დიდი ივანე“ შეარქვეს. გამოცდილი მტვირთავებიც კი პირდაღებული შესცქეროდნენ, როცა ივანე მხარზე ვეებერთელა ყუთს შეიდგამდა, სამი კაციც რომ ძვრას ვერ უზამდა, მთელი ტანით გაიმართებოდა და დინჯად აუყვებოდა მერწევ საბიჯელას. ივანე ამ დროს ხორცშესხმულ ატლანტს ჰგავდა. ეს მეტსახელი ზედგამოჭრილი იყო მასზე. ასე ეძახდნენ მას ველიკორუსებიც, ბერძნებიც, თურქებიც და, როგორც ა. გორკი ამბობდა, „კოსმოპოლიტი-მაწანწალებიც“, თავი დამოუკიდებლად რომ ეჭირათ. თუმცა ამ ლუმპენებს მტვირთავები პატივს არ სცემდნენ — მუშა ხალხს არ მოსწონდა მათი მგლური ჩვეულებები და მტაცებლური ხასიათი.

დღე-ღამეში თოთხმეტ საათს მტვირთავი ამფსონები ვეებერთელა ფუთებს, ყუთებსა და ტომრებს შორის ფაციფუცობდნენ, საღამოობით კი მეთევზეების არტელებთან შეიკრიბებოდნენ, ორ შაურად ღორჯოს ყიდულობდნენ, წვნიანს ხარშავდნენ და უკრაინულ სიმღერებს მღეროდნენ: „ბებერი გუგული გუგუს გაიძახის“, „დუნაის გადაღმა ჭაბუკი ნავარდობს“. ივან მაქსიმოვიჩს უყვარდა ეს სიმღერები და სიბერემდე მღეროდა, თუმცა ისეთი ხმა არ ჰქონდა, როგორიც მის უმცროს ძმას მიტროფანეს. უმცროსი ძმა ეკლესიაში გალობდა და ისეთ მძლავრ ბასს ააბუბუნებდა ხოლმე, რომ კედლებს ზანზარი გაჰქონდათ.

სევასტოპოლის პორტში პოდუბნი 1893 წლის ნავიგაციის დაწყებიდან მუშაობდა. თავიდან ძალიან დარდობდა მშობლიურ მხარეზე, მამაზე, დედაზე. წამდაუწუმ თავისი ქოხი აგონდებოდა: აგერ, ჭრაქი ანათებს, სართავი ჯარა ბზრიალებს, დედა განჯინიდან შაქარყინულს იღებს და ბალღებს ურიგებს.

შობაზე ანა დანილოვნამ ქოხი ურცით, ქონდრით და უკვდავათი მორთო, წანდილი მოხარშა და წამდაუწუმ გზისკენ იცქირებოდა... ივანე დაჰპირდა, ჩამოვალო და ჩამოვიდა კიდეც. მხრებზე ბლითების მთელი აცმა გადაეკიდნა. დედას უცხოური საკაბე ჩამოუტანა, მამას მოლდავური საქუდე კრაველი. რა მარტივად და კარგად ცხოვრობდა, ალილოზეც დადიოდა გოგო- ბიჭებთან ერთად.

ყოველ წელიწადს ჩადიოდა ძინ. მაგრამ ერთხელ აღარ ჩასულა. ამაოდ ელოდნენ წანდილზე. ნათლისღების ყინვებმაც გაიარა, მაგრამ ივანე თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. მაქსიმ ივანოვიჩმა ფული ისესხა და რკინიგზით ყირიმს გაემგზავრა. უკან გულდამძიმებული დაბრუნდა. დანა პირს არ უხსნიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ცოლს საყვედური უთხრა:

— ქვეყნის სასაცილო გიშობია. ნეტა იცოდე, ვინ არის შენი ვაჟიშვილი: ცირკის მსახიობი, ივანუშკა-სულელი... გირებს ეწევა... თავისნაირ ქარაფშუტებს ღონეში ეჯიბრება. ამბობს, ასეთი ყოფილა ჩემი ბედიო. ერთი ხელნა მქონოდა, თავბედს ვაწყევლინებდი მაგ შობელძაღლს...

7

გულმოდგინე და მუყაითმა ივანემ, ამასთან თავი ღირსეულად რომ ეჭირა, პატივისცემა მოიხვეჭა თავის ბერძენ უფროსებს შორის და როცა ფირმა „ლივასი“ ფეოდოსიაში გადმოვიდა, იგი კანტორის უფროს მუშად დანიშნეს.

ეს იყო 1895 წელს. ფეოდოსიის ჯებირის მშენებლობა, ასე მხატვრულად რომ აღწერა მაქსიმ გორკიმ, უკვე დამთავრებული იყო. ფეოდოსია საპორტო ქალაქი გახდა, მისმა მოსახლეობამ ოცდახუთი ათასს გადააჭარბა.

ჩამოსვლის თითქმის მეორე დღესვე პორტის კურთხევას დაესწრო ივანე. სამხრეთულ მზეზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ ჩინოვნიკების ორდენები და მღვდლების სადღესასწაულო ანაფორები.

საკმეველის მოტკბო სუნი ჰაერში დნებოდა. დაცვარული ქვები წამსვე აორთქლებდნენ სინესტეს. მწვანე ზღვა უხმოდ ლოკავდა ხიმინჯებს.

უფროს მუშას რიგით მუშაზე მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა. ივანე თავდაპირველად კანტორაში ცხოვრობდა. როცა პორტის აურზაურისათვის თავის არიდება უნდოდა, ქალაქში მიდიოდა ხოლმე.

ფეოდოსიას გარს ტეპე-ობის შიშველი მთები ერტყა. მოსახლეობის თეთრი და ცისფერი ალიზის ქოხები გენუის ციტადელის ნახევრად დანგრეული კოშკების ძირას მიყუჟულიყვნენ. ირგვლივ არც ერთი ხე არ იდგა, კარანტინის ბორცვის გავარვარებულ ქვებს შორის მხოლოდ შამბნარი ჩამუქებულიყო.

ივანეს ბოგოდუხოვკის ბაზრობებზე ჰქონდა მოსმენილი უსინათლოთა სიმღერა ჰეტმან საგაიდაჩნისა და ყოშის წინამძღვრის სირკოს ლაშქრობაზე, იმაზე, თუ როგორ აიღეს თურქების ციხესიმაგრე კეფე, როგორ დაიხსნეს ზაპოროჟიელებმა თათრების მონობიდან ათასობით უკრაინელი. კაზაკებსა და ტყვეებს შორის პოდუბნის წინაპრებიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ის ვერაფრით ვერ უკავშირებდა ამ სიმღერას ფეოდოსიის ყოველდღიურ ცხოვრებას.

თავის წარსულზე არც გარდასული დიდებით შემოსილი ქალაქი ფიქრობდა, რომელიც მომავლისაკენ ახლადგაშენებული მტვრიანი ქუჩებით ჰიემართებოდა. ივანე ამ ქუჩებში დაეხეტებოდა, მშვიდად ათვალიერებდა ჭრელ მოუსვენარ ხალხს, რუსეთის ჩრდილო მხარეებიდან ბედს გუნდ-გუნდად რომ გადმოეტყორცნა ულამაზესი ზღვის ცხელ ქვიშიან სანაპიროზე.

კონსტანტინეს კოშკთან პატარა, გასაცოდავებულ ბულვარზე საღამოობით ორკესტრი უკრავდა. მის მოსასმენად სხვებთან ერთად საზღვაო სკოლის მოსწავლეებიც დადიოდნენ.

სწორედ აქ გაიცნო ივან პოდუბნიმ ორი მათგანი — მაღალი, მხარბეჭიანი ანტონინ პრეობრაჟენსკი და ვასილი ვასილიევი. მთელი ცხოვრება ახსოვდა ივან პოდუბნის ეს შეხვედრა. სწორედ აქ ეზიარა იმას, რასაც შემდეგ „ფიზიკური კულტურა“ უწოდეს — ღვთითბოძებული ძალ-ღონის სხვადასხვა ვარჯიშით გაკეთილშობილების ხელოვნებას.

კინეშმელი პრეობრაჟენსკი და ყაზანელი ვასილიევი მოგზაურობაზე ოცნებამ მიიყვანა ფეოდოსიაში. ეს ჰაბუკური

ოცნებები მათ აღუძრა სათავგადასავლო წიგნების კითხვამ, რომელთა გმირები, მარილიან წყლით არაერთგზის განბანილნი, უშიშრად ებრძოდნენ ამბობ-ქრებულ ზღვის ტალღებს.

„ცოტა ხანში ისე დავმეგობრდით, ბინა ერთად დავქირავეთ, — იგონებდა პოდუბნი. — პრეობრაჟენსკიც და ვასილიევიც სპორტსმენები იყვნენ და მეც მაიძულებდნენ მევარჯიშა. მე ამას ეშვის თვალით ვუყურებდი და ხშირად ირონიულადაც ვეკითხებოდი: ვარჯიშობიდან რა გამოვა ან მომავალში რას მომცემს-მეთქი, მაგრამ პრეობრაჟენსკი არ მეშვებოდა. ჩემს დასარწმუნებლად ცნობილი გერმანელი მოჭიდავისა და ათლეტის კარლ აბსის ავტობიოგრაფიაც კი იყიდა“.

ამას წაიკითხავთ ყდაშემოცვეთილ რვეულში, რომელშიც ივან მაქსიმოვიჩის კარნახით ვიღაცას მოკლედ ჩაუწერია მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები. ამ ჩანაწერებს შეიძლება სავსებით ვენდოთ თუნდაც იმიტომ, რომ ვიღაცის გარკვეული ხელი შიგადაშიგ პოდუბნის ბატიფეხურით იცვლება ხოლმე, პოდუბნისა, რომელიც სიბერემდე უგულებელყოფდა საყოველთაოდ მიღებულ ორთოგრაფიას, ხოლო სასვენ ნიშნებს საერთოდ არა სვამდა. რაღაც უცნაურია ამის შემდეგ სხვა მოგონებების წაკითხვა, სადაც ივან პოდუბნი წიგნის ტრფიალად და სიტყვაკაზმულობის მშვენიერ მცოდნედ არის გამოყვანილი.

ის საზღვაო სასწავლებლის მოსწავლეებთან ერთად კარაიმის გარეუბნისკენ მიმავალი გზის პირას მდებარე პატარა სახლში დაბინავდა. საღამოობით, როცა აგრილდებოდა, მეზღვაურები ორფუთიან გირებს ეცემოდნენ, რომლებიც პორტიდან მოათრიეს.

ივანე მათ ვარჯიშს უცქერდა და იცინოდა.

— მოდი შენც სინჯე, — ეუბნებოდა ანტონინი.

— რად მინდა? ისედაც ღონიერი ვარ. ეგ ყველაფერი თამაშია...

ივანე მსუბუქად შეისროდა ზევით გირს და ჰაერში იჭერდა.

— ვიჭიდაოთ? — გამოიწვია ანტონინმა.

ივანემ გულკეთილად გაიღიმა და პერანგი გაიხადა.

თავიდან ვერაფრით მოიგდო ხელში ცქვიტი ანტონინი.

„დამაცა, ახლავე დაგიჭერ“, — ფიქრობდა იგი.

მართლაც შალე ანტონინი მკლავებში მოიმწყვდია. ივანემ მეტოქეს ხელები მაგრად მოუჭირა და მიწას მოსწყვიტა. ის იყო ზღვაოსანი მიწაზე უნდა დაენარცხებინა, რომ ანტონინმა ერთი შეისუნთქა და პოდუბნის მკლავებიდან ანკარასავით ძირს ჩამოსრიალდა და თავი გაინთავისუფლა. მეორე წამს ის მოწინააღმდეგისაკენ ზურგშექცევით იდგა. ივანე წინ გადაიხარა და ისევ მოხვია მკლავები მკერდზე. ანტონინმა თავისუფალი მკლავები გოლიათს კისერზე შემოაჭდო. უცებ ძირს დაიხარა, ტანის ელვისებური მოძრაობით ივანე მოგვერდით თავს ზემოთ წამოიღო და მიწაზე დაანარცხა.

მიწაზე გართხმული პოდუბნი გაოგნებული უცქეროდა ამხანაგს.

— აჰა! — თქვა ანტონინმა და მძიმედ ამოისუნთქა.

— კიდევ ვიჭიდაოთ.

— ო, არა! შე წყეულო დათვო, კინაღამ დამახრჩე...

ეს შემთხვევა და ბროშურა კარლ აბსზე ძლიერ დამაჯერებელი აღმოჩნდა.

ჰამბურგელი დურგალი აბსი ცირკის ათლეტი გახდა, ევროპის დედაქალაქებში გამოდიოდა და მაყურებელს იმით აოცებდა, რომ ნალებს ზამტვრევდა და წარმოუდგენლად მძიმე საგნებს სწევდა. ერთხელ ვითომ პატარა სპილო აუწევია, რომელიც 75 ფუთს (1,2 ტონას) იწონიდა. აბსი სამას ფრანკს ჰპირდებოდა ყველას, ვინც თანასწორ ჭიდაობაში მას ბეჭებზე დადებდა...

ეს უკვე მარტო გართობა არ იყო. ამასთან წიგნში ეწერა, რომ ყოველდღიური ვარჯიშით თანდაყოლილი ღონე სამჯერ შეიძლება გაზარდოო.

ნაკითხ მეგობრებს შეეძლოთ ივანესთვის ეამბნათ ვარშაველ მექანიკოსზე ვლადისლავ პიტლიასინსკზე, რომელიც დიდი ღონით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სპორტით გატაცებულმა ვარჯიშით სხეული გაიკაჟა, ზედმიწევნით შეისწავლა მაშინდელი ჭიდაობის ილეთები და 1888 წელს აბსის გამოწვევა მიიღო.

პიტლიასინსკი მაშინ ოცდახუთი წლისა ხდებოდა და მეთერთმეტე ათლეტი იყო, რომელიც უძლეველი აბსის წინააღმდეგ გამოდიოდა.

შეხვედრა პარიზში შედგა. მაყურებელი გამხიარულდა, როცა მთლად კუნთებად ქცეული აბსის გვერდით მოქნილი, ჩამოსხმული პოლონელი დაინახა.

მაგრამ მალე იგივე მაყურებელი გაოგნებული შესცქეროდა დამარცხებულ გოლიათს. სიმარდემ და მოხერხებულობამ აჯობა უხეშ ძალას.

ზღვაოსანმა პრეობრაჟენსკიმ პოდუბნის ვარჯიში დააწყებინა. ისინი ერთად დარბოდნენ, გირებს სწევდნენ და საზღვაო სკოლის ეზოში სხვადასხვა იარაღზე ვარჯიშობდნენ. ნახევარი წლის შემდეგ ანტონინი სიამოვნებით შესცქეროდა თავისი მოწაფის მკვრივად ნაგებ სხეულს, რომელიც თანდათან დაიხვეწა, დათვურ ღონეს მოხერხებულობა შეემატა...

„ექვსი თვის განმავლობაში, — იგონებდა პოდუბნი, — სპორტში დიდ წარმატებებს მივაღწიე, და, რაც მთავარია, ვიგრძენი, რომ პრეობრაჟენსკის გადავაჭარბე. ამან კიდევ უფრო გამიტაცა და მთლიანად სპორტს მივეცი თავი".

საკუთარი ძალის შეგრძნებამ და ცნობებმა მოჭიდავეთა შეჯიბრებების შესახებ, რასაც მუდამ გულდასმით უკითხავდნენ მისი მეგობრები, გლეხის ბიჭს ღირსეულ მოწინააღმდეგეებთან ძალის მოსინჯვის დიდი წადილი აღუძრა.

„მე ველოდი შემთხვევას, რომ წადილი ამესრულებინა. მალე ეს შემთხვევაც მომეცა".

8

1896 წლის გაზაფხულზე ქალაქში აფიშები გააკრეს: ზედ გამოსახული იყო ცილინდრიანი კაცი, რომელსაც შოლტი ეჭირა. მის წინ ყალყზე შემდგარი ცხენი იდგა, იქვე გამოსახული იყო ტაკიმასხარა ფოჩიანი ჩაჩით და მკერდწამოწეული ბრგე ულვაშებიანი კაცი.

„ბესკოროვაინის ცირკი" — დიდი ასოებით ეწერა აფიშაზე. პროგრამაში ჩამოთვლილ საცირკო ნომრებში შეტანილი იყო „რუსულ-შვეიცარიული ჭიდაობა ქამრებით".

ბაზრის ვეებერთელა მოედანზე უკვე გამწკრივებულიყვნენ ჩარდახიანი ურმები. გაზაფხულზე დიდი ვაჭრობა არ იყო. გადამყიდველებს დახლებზე დაელაგებინათ შარშანდელი ხახვი, გამოხარშვისაგან ხუფივით გაბრტყელებული სვია და

ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ მშენებელთა ფაციფუცს.

მუშებმა მიწაში მალალი ანძა ჩაარჭვეს და გარშემო შავი მიწა და ნახერხი ბლომად მიაყარეს. სხვებმა ამ დროს დაფებისაგან კედლები აღმართეს და მაყურებლების ადგილები მოაწყვეს. შემდეგ ეს ნაგებობა მთლიანად ბრეზენტით გადახურეს. მანეეს გარშემო ბარიერი შემოარტყეს და ცირკიც მზად იყო.

წარმოდგენის დაწყებამდე ქალაქის ქუჩებში უცნაურმა პროცესიამ ჩაიარა.

პროცესიას წინ ფრაკში გამოწყობილი ცირკის მფლობელი — თვით ბესკროვაინი მიუძღოდა. თავზე ქვაბქუდა ეხურა და ხელში ცირკის შოლტი (შამბერიერი) ეჭირა, უკან სასულე ორკესტრი მოდიოდა, გაპრიალებული საყვირები ჰზეზე აუტანლად ბრჭყვიალებდა. მათ ცეკვა-ცეკვით სამ მწკრივად მოსდევდნენ ცირკის ცხენები, აკრობატები მალაყზე გადადიოდნენ, ჟონგლიორები ბურთებს ათამაშებდნენ, გამყინავად იცინოდა წითელცხვირა ტაკიმასხარა, ბაჯბაჯით მიდიოდნენ ტრიკოშემოტკეცილი გოლიათი კაცები, რომელთა ბურთისებრ კუნთებსა და წვრილ-წვრილ ნაკეცებად ქცეულ კისრებს გულუბრყვილო ფეოდოსიელები გაოცებულნი შესცქეროდნენ.

სწორედ ამ გოლიათებს აკვირდებოდნენ განსაკუთრებული გულისყურით ივანე და ანტონინი, ცნობისმოყვარეთა ბრბო გაარღვიეს და უკან აედევნენ კიდეც. მათ უკვე იცოდნენ ფალავნების გვარები.

ყველასაგან გამოირჩეოდა ბუმბერაზი პოლონელი პეტრე იანკოვსკი, რომელსაც გაზეთები „ურსუსს“ --- დათვს უწოდებდნენ, მოჭიდავეები კი „მამილოს“ ეძახდნენ. იანკოვსკი თითო ხელით ხუთ ფუთს სწევდა, ორი ხელით კი შეეძლო რვა-ნახევარი ფუთის აკვრა. ერთი ასეთი ნომერი ჰქონდა: იატაკზე დაჯდებოდა, ხელს წინ გაიშვერდა და ხელისგულზე სამფუთიან გირს აჩერებდა.

არც სხვები იყვნენ ნაკლები — ლურიხი, კოზულიაკი, ბოროდანოვი, რაზუმოვი, გლინკინი, მატიუშენკო.

ივანე და მისი მეგობრები ყველა წარმოდგენას ესწრებოდნენ. თავიდან არავითარი ჭიდაობა არ ყოფილა. ათლე-

ტები ნალებს ამტვრევდნენ. თითებით რკინის ორგოჯიან ლურსმანს ღუნავდნენ, ორფუთიან გირებს ისროდნენ და ჰაერშივე იჭერდნენ, შტანგებს სწევდნენ, ბოლოებში სიმძიმისათვის საფანტით გავსებული ვეება ბურთელები რომ ჰქონდა.

აფიშებში გამოცხადებული იყო, ძალოსანთა შეჯიბრებაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოსო. გამარჯვებულს პრიზი ერგებოდა.

მესამე დღეს ივან პოდუბნიმ როგორც იქნა, გაბედა, მსაჯთან მივიდა და ჩაეწერა.

„მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ შეჯიბრებაში კარგა ლაზათიანად მიმბეგვეს და ჩავფლავდი“.

ოცი წლის გეორგ ლურიხმა სულ ცოტა ხნის წინ პეტერბურგში სიმძიმეთა აწევაში რამდენიმე რეკორდი დაამყარა, ორივე ხელით აჰკრა 112 კილოგრამიანი შტანგა, შემდეგ ის მარჯვენა ხელში გადაიტანა, მარცხენა ხელით ფიცარნაგიდან 37 კილოგრამიანი გირი აიღო და აკიმა. 70 კილოგრამს მარჯვენა ხელით ოცჯერ ზედიზედ სწევდა. მას უყვარდა მაყურებლის გაოცება და ზურგით სწევდა ხოლმე ცხენს მსედრიანად.

ლურიხი ისე სრულყოფილად იყო ჩამოსხმული, რომ შემდეგში პოზაში ედგა როდენს, გერმანელ მოქანდაკე ბეგასს, პრაღელ ჰიუპს, ესტონელ ადამსონს...

ივან პოდუბნი უკვე მიხვდა, რომ აქ მარტო ძალა არა კმაროდა. ესტონელი ლურიხიც გოლიათების ოჯახში დაიბადა, მაგრამ ბავშვობაში მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და სუსტი ბიჭი იზრდებოდა. ერთხელ პროფესიონალი ათლეტები ნახა და გადაწყვიტა, მათსავით ძლიერი უნდა გავხდეო. მან ფანტასტიკურად დაიწყო ვარჯიში და უკვე თხუთმეტი წლისა საჩაძლეოზე ორკილოგრამიან ჰანტელებს ოთხი ათასჯერ სწევდა.

ვარჯიშმა კუნთები განუვითარა და გაწაფა. სწორედ ეს აკლდა ახალბედა პოდუბნის.

— ძალიან მაგრად კი მიმქეეეს ყურუმსაღებმა, — აღიარა ივან მაქსიმოვიჩმა.

სირცხვილნაჭამი და ქანდარის მიერ სტვენით გაძევებული ივან მაქსიმოვიჩი მარცხს მწარედ განიცდიდა. აკი ქანდარა „თავის რჩეულზე“ მუდამ დიდ იმედებს ამყარებდა.

მაგრამ რამდენიმე დღეში ცირკში დაიწყო „რუსულ-შვეიცარული ჭიდაობა“ ქამრებით და პოდუბნიმ დაინახა, ის არაფრით არ განსხვავდებოდა იმ ჭიდაობისაგან, მის სოფელში რომ მართავდნენ ხოლმე. ეს იყო, სარტყლის ნაცვლად მოჭიდავეებს ტყავის ფართო, გვერდებზე ტყავისავე სახელურებიანი ქამრები ერტყათ. იგი კი ზოგჯერ მაშაშისაც ერეოდა. სიმაღლე შესაფერი აქვს, ღონე... ღონეც არ აკლია და, რაც მთავარია, ჭიდაობისას, ეშხში რომ შედის, ეს ღონე უორკეცდება... მოგვიანებით ყველა დიდი მოჭიდავის ამ ფასდაუდებელ თვისებას „სპორტულ გულს“ დაარქმევენ.

— ჯანი გავარდეს, — თქვა პოდუბნიმ და ჩასაწერად გაეშურა.

მისი წინა გამოსვლით გულგატეხილი მაყურებელი ივანეს ამრეზით შეხვდა.

მსგავს შეჯიბრებათა წესების თანახმად, მოწინააღმდეგედ ძლიერი მოჭიდავე არ გამოუყვანიათ. ახლა ძნელია დადგენა ვინ გამოვიდა მის წინააღმდეგ. მოჭიდავეს ტრიკო ეცვა, რომელიც კუნთებს განსაკუთრებით მკაფიოდ უჩენდა.

ჩექმებში, შარვალსა და გვერდზე შესაკრავ პერანგში გამოწყობილი ივანე ათლეტის გვერდით მოუხეშავი და გაუთლელი ჩანდა. მაგრამ მისი მოქუფრული სახე, მაღალი და მკვრივი სხეული ისეთ შეუპოვრობას ამქღავნებდა, რომ ცირკი დადუმდა და გაირინდა.

როცა წესისამებრ მისასალმებლად ივანეს ხელი გაუწოდა, პროფესიონალი მოჭიდავე იღიმებოდა, იღიმებოდა მაშინაც, როცა ფალავნებმა ერთმანეთის ქამრის სახელურებს ხელები მაგრად ჩასჭიდეს და მხრებითა და თავებით ურთიერთს მიეკრნენ.

მოჭიდავემ ივანე გვერდით მოიქნია და... ღიმილი პირზე შეასმა — ჭაბუკი ადგილიდან ვერ დაძრა. ცოტა ხნის შემდეგ ივანემ თავად შეუტია მოჭიდავეს. ცირკის მსახიობი, ანუ, რო-

გორც მაშინ ამბობდნენ, „მოცირკე“ მთელი ტანით წინ გადმოიხარა.

ეს შეცდომა იყო და შემდგომ პოდუბნი ხშირად იყენებდა მას თავის სასარგებლოდ. იგი დაიძაგრა, ჯიქურ გასწორდა, მოჭიდავე ხალიჩას მოწყვიტა და მოიქნია. წამის შემდეგ ყრუ ხმა გაისმა. მოჭიდავემ ჰაერში ფეხებით წრე შემოხაზა და ზურგზე დაეცა...

ასეთი უეცარი გამარჯვებით გაოგნებულმა მაყურებელმა ხმა ვერ ამოიღო. შემდეგ უცებ იქუხა ტაშმა.

ამ წუთიდან გაუგო ივან პოდუბნიმ გემო წარმატებას და დიდებას, ასე რომ იპყრობს ცვალებად ბრბოს...

ახლა ივანე ისევ ის ძველი ივანე იყო, მაყურებლის „ჯილა“, უბრალო მტვირთავი, რომელმაც, წარმოგიდგენიათ, პროფესიონალი მოჭიდავე დაამარცხა.

ივანე დინჯად მიტრიალდა მსაჯისაკენ.

— გამოიყვანეთ შემდეგი! — უთხრა მან.

შემდეგი იტალიელი მოჭიდავე იყო, რომელიც ყველაზე გვიან ჩამოვიდა.

მალე ისიც ხალიჩაზე ეგდო.

რამდენიმე დღეში ივანემ ყველა ათლეტი დაამარცხა. ხალიჩას შეეხო გეორგ ლურიხის კეთილშობილური ზურგიც. მხოლოდ პეტრე იანკოვსკისთან ჭიდაობა დამთავრდა ფრედ; იანკოვსკი პოდუბნიზე ნახევარი თავით იყო მაღალი და ცხრა ფუთს (144 კილოგრამს) იწონიდა.

ფირმა „ლივასმა“ თავისი უფროსი მუშა დაკარგა. შემოდგომამდე, სეზონის ბოლომდე, ფეოდოსიელები ცირკში „მხოლოდ პოდუბნის“ სანახავად დადიოდნენ. ფეოდოსიაში სანახაობას იმდენი ხალხი აწყდებოდა, რომ შემდეგში იქ ბესკოროვაინიმ თავისი ცირკისათვის ქვის შენობა ააგო.

შემოდგომაზე ივანე იძულებული გახდა ისევ ფირმა „ლივასის“ კანტორას დაბრუნებოდა. ძალზე დანაღვლიანდა — გამარჯვებისა და აპლოდისმენტების, გაჩახჩახებული არენისა და სასულე ორკესტრის ტუშის შემდეგ ეს აუტანელი იყო. ვერც მკვირცხლი და ჭკვიანი გეორგ ლურიხის რჩევა-დარიგებები დაივიწყა, იმ ლურიხისა, რომელმაც პროფესიონალი მოჭიდავის კარიერა უწინასწარმეტყველა.

1897 წლის 1 იანვარს პოდუბნიმ კანტორაში ანგარიში გაასწორა და სევასტოპოლში, ტრუცის ცირკში გაემგზავრა, სადაც მისი წარმატებების ამბავი უკვე იცოდნენ. სწორედ ამიტომ ვერ ჩავიდა იმ წელიწადს საშობაოდ თავის მშობლიურ სოფელში.

10

სევასტოპოლში ივანეს ისევ შეხვდა მოჭიდავე ლურიხი, რომელმაც იგი ბატონ დირექტორს, მაქსიმილიან ტრუცის მიჰგვარა. ტრუცი მსუქანი, მელოტი მოხუცი იყო, წვერი ესპანურად ჰქონდა შეკრეჭილი.

— რატომ უნდა მაგათ ჩემთან? — დამახინჯებული რუსულით ჰკითხა მისულთ ტრუციმ.

მას აუხსნეს. მოხუცი წამოდგა, ფეხის წვერებზე აიწია და პოდუბნის მხარზე ხელი დაარტდა.

— კოჩახი კაზაკია!

ივან პოდუბნიმ კვლავ შეისუნთქა ცხენის ოფლისა და იაფფასიანი პარფიუმერიის სუნით გაჟღენთილი ცირკის ჰაერი.

ცირკში პოდუბნის პატივს სცემდნენ. ტაკიმაჯხარა პეტრე ტარახნო ტრუცის ცირკში პოდუბნისთან შეხვედრის შთაბეჭდილებას ასე აღწერს:

„მისი სხეულის ათლეტური, გრანდიოზული პროპორციების დანახვაზე აღფრთოვანების შეძახილი აღმომხდა. მასში ყველაფერი თანაზომიერი იყო, ყველაფერი აღსავსე გახლდათ დამამორჩილებელი ძალითა და მრისხანე, ვაჟკაცური მშვენიერებით, ყველაფერი უჩვეულო ძალაზე მეტყველებდა“.

მოხუცი ტრუცი ივანეს მოეწონა, მოეწონა მისი ოჯახიც, დილიდანვე ცირკში რომ იყრიდა თავს — ცოლი, რომელიც ფინანსურ საქმეს განაგებდა და სამი ცოლშვილიანი ვაჟი. იტალიელები დინჯად შეექცეოდნენ ჩაის, მერე კი მთელ დღეს რეპეტიციას გადიოდნენ. რუდოლფო ტრუცი ცხენებს წვრთნიდა, ენრიკო ცხენებზე ჟონგლიორობდა, ჟიუეტო მხედარი იყო. ცირკში აკრძალული იყო არყის სმა და ბანქოს თამაში.

საღამოობით ივანე მშვენიერ ენრიკოს ცქერით ტკბებოდა. ატლასის ასალიან მაღალ, გაჭენებულ ცხენზე შემდგარი ენრიკო თასებით, სანთლებითა და შანდლებით ჟონგლიორობდა. ნომრის დასასრულს იგი ცხენს დააოთხებდა, სამ ანთებულ

ჩირაღდანს ხელს სტაცებდა, ზევით აისვრიდა და მარდად იჭერდა. ჟიეტო, რომელსაც მოქნილი ტანის კუნთებს ვერ უფარავდა აბრეშუმის ტრიკო, ცხენზე სალტო-მორტალეს აკეთებდა.

ტრუცის ცირკს პროგრამაში ჰქონდა ერთი მოძველებული პანტომიმა „ტარას ბულბა". ჯერ არენაზე ხარებშებმული ოთხთვალა გამოდიოდა, ოთხთვალიდან ანდრეი და ოსტაპი გადმოდიოდნენ, რომელთა როლებს ენრიკო და ჟიეტო ასრულებდნენ. მათ ეგებებოდნენ მ ო ხ უ ც ი დედა და ტარასი — მაქსიმილიანო ტრუცი. სანამ ერთმანეთს გადაეხვეოდნენ, მამა და შვილები მუშტი-კრივს მართავდნენ...

მაგრამ პანტომიმა და სხვა ნომრები სევასტოპოლელებს უკვე მობეზრებული ჰქონდათ და ხალხი ნაკლებად ესწრებოდა ამ სანახაობას. ამიტომ მოხუცმა ტრუცომ, რომელიც მაყურებელს იტალიურ ენაზე ლანძღავდა, ათასწლიან საცირკო ხელოვნებას პატივს არა სცემენო, შოშიდავეები მოიწვია.

„დიდი ივანე" ჯერ კიდევ ახსოვდათ სევასტოპოლში და ამიტომ გადაწყვიტეს, თავიდან ისე გამოეყენებინათ, როგორც მოყვარული.

ეს ძველი ხერხი იყო. პროფესიონალი მოშიდავე, რომელსაც „მოყვარულის" როლი უნდა ეთამაშა, ქალაქს დასის ჩამოსვლამდე ერთი კვირით, ზოგჯერ მთელი თვით ადრე ეწვეოდა, სადმე მტვირთავად ეწყობოდა და ახერხებდა ღონიერი კაცის სახელი მოეხვეჭა. როცა ცირკში ჭიდაობა დაიწყებოდა, ის პროფესიონალებს ორთაბრძოლაში იწვევდა და სუყველას ამარცხებდა. ეს ხელს უწყობდა ადგილობრივი პატრიოტიზმის გაღვივებას. „თავისი მტვირთავით" გაამაყებული მაყურებელი ცირკს აწყდებოდა.

პოდუბნიც მტვირთავად მოეწყო, ვეებერთელა ფუთებსა და ყუთებს ეზიდებოდა და პორტში ორი კვირის მუშაობის მანძილზე ისე გაითქვა სახელი, რომ მის სანახავად საზღვაო ოფიცრები დადიოდნენ.

ამასობაში ცირკში ჭიდაობა დაიწყო.

მესამე წარმოდგენაზე არბიტრმა გამოაცხადა:

— თუ მაყურებელთაგან ვინმეს ჭიდაობა სურს, ვთხოვ მანეეზე გამობრძანდეს! პრიზი — ორმოცდაათი მანეთი.

მსურველები გამოჩნდნენ, მაგრამ მოჭიდავეები მათ ადვილად გაუმკლავდნენ.

მაგრამ აი ქანდარიდან გაისმა პოდუბნის ხმა:

— მე გამოვალ!

იგი არენაზე იმავე კოსტიუმში გამოვიდა, რომელიც ფეოდოსიაში დებიუტის დროს ეცვა.

მის წინააღმდეგ რაზუმოვი გამოიყვანეს.

მაგრამ ის იყო, ივანემ ქამრის სახელურებს ხელი ჩასჭიდა და მოჭიდავის აწევა დააპირა, რომ სახელურები ქამარს მოსძვრა და მას შერჩა ხელში.

აღფრთოვანებული მაყურებელი ღრიალებდა. ყველას ეგონა, რომ ეს პოდუბნის დეეგმირული ღონის შედეგად მოხდა. სინამდვილეში ეშმაკმა ტრუციმ კიდევ ერთი ძველი ხერხი იხმარა. სახელურები წინასწარ გადაჭრა.

არბიტრმა გამოაცხადა, ჭიდაობა გადადებულია და მხოლოდ მაშინ განახლდება, როცა განსაკუთრებულ, მაგარ ქამრებს დაამზადებენო.

ქალაქი გამოცოცხლდა. ყოველ საღამოს ცირკი გაჭედილი იყო და ივანე კეთილსინდისიერად ზედიზედ აწყობდა ფალავნებს არენაზე.

მალე გამოაცხადეს, პოდუბნი პროფესიონალი მოჭიდავე გახდაო. ახლა ის ტრიკოში გამოწყობილი გამოდ ოდა, რაც კიდევ უფრო ნათლად აჩენდა მის მძლავრ, გოლიათურ სხეულს.. მაგრამ ამან მორკინალი ფალავნებით გატაცებული მაყურებელი ვერ დააცხრო.

ტრუციმ ჭიდავეთა დასს გეორგ ლეტრიხი ხელმძღვანელობდა. იგი წინასწარ ადგენდა, რამდენი წუთის შემდეგ უნდა დამთავრებულიყო თითოეული ბრძოლა და, რაც მთავარია, ვინ გამარჯვებით.

— ივან მაქსიმოვიჩ, დღეს თქვენ მატიუშენკოს დანებდებით... მეთხუთმეტე წუთზე. მე ნიშანს ვოგცემთ, — უთხრა მან ერთხელ პოდუბნის.

— ვითომ რატომ უნდა დავნებდე? თუ შეუძლია, წამაქციოს. — ჯიუტად მიუგო ივანემ და ღონიერ, მაგრამ ტლანქ და მოუქნელ მატიუშენკოს წარბშეკვრით გადახედა.

— თქვენ ჭკვიანი კაცი ბრძანდებით, ივან მაქსიმოვიჩ, —

ვითომ აქ არაფერიო, განაგრძო თავაზიანმა ლურიხმა, — და უნდა ხედებოდეთ, რომ ჩვენ მაყურებლისთვის ვირჯებით, მაყურებელი კი თქვენ უკვე გიცნობთ. მატიუშენკო ახალი ჩამოსულია. მას არ იცნობენ. დღეს ის თქვენ წაგაქცევთ და ხვალ ხალხი მოვა, რათა ნახოს, როგორ გადაუხდით სამაგიეროს. მაგრამ თქვენ და მატიუშენკო ცირკის დაკეტვამდე, ესე იგი, პოლიციის მიერ აკრძალულ საათამდე იჭიდავებთ. თქვენ ლამაზ ილეთებს უჩვენებთ, მაგრამ არც ერთი არ გაიმარჯვებთ. ცირკის სალარო აივსება, იმიტომ, რომ თქვენი და მატიუშენკოს შერკინების სანახავად საზოგადოება მესამედაც მოვა. მაშინ კი მას ბეჭებზე დადებთ. გამიგეთ, ივან მაქსიმოვიჩ?

— გავიგე, მაგრამ... თუ შეუძლია, წამაქციოს. — გაჯიუტდა ივანე.

მან ჯერ კიდევ ფეოდოსიაში გაიგო პროფესიული ჭიდაობის კანონები. მართლაც ცირკის ტურნირები უმეტესად სპექტაკლები, ჭიდაობის იმიტაცია გახლდათ, აკრობატული სიზუსტით დამუშავებული ხერხებისა და ილეთების სიუხვით რომ გამოირჩევა. რაც უნდა ღონიერი იყოს კაცი, ყოველ საღამოს სერიოზულად ჭიდაობას ვერ შეძლებს. მუდმივი ძლიერი დაძაბულობა ჯანმრთელობას მალე შეურყევს და შეიძლება იმქვეყნადაც გაისტუმროს. არც მაყურებლისთვის იქნებოდა საინტერესო სანახავი, როგორ ძიძგილაობს არენაზე ორი კაცი და ერთმანეთს ეფექტური ილეთის გაკეთების საშუალებას არ აძლევს.

მაგრამ პოდუბნი იმასაც მიხვდა, რომ ღონისა და ოსტატობის თანასწორობა არ შეიძლება. ვიღაცა სხვაზე ან ღონიერია, ან უფრო ხერხიანი. მაშასადამე, ის პირველი უნდა იყოს, რანაირი პირობითობაც უნდა არსებობდეს. ისეთი სახელი უნდა დაიგდოს, რომ ვერავინ გაუბედოს, დღეს ამას და ამას დანებდიო. იგი პოდუბნია. თუ მაყურებელს მისი გამარჯვება არ უხარია, ნურც უყურებს! მაგრამ პროფესიონალთა შორის განსაკუთრებულ უფლებებს ჯერ კიდევ მოპოვება უნდოდა.

11

რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენთვის ნაცნობი უკრაინული სოფლის მაცხოვრებლებმა ერთი უცნობი ვაუბატონი იხილეს. მას ქვაბქუდა ეხურა, დიდკაცური კოხტა კოსტიუმი ეცვა, ჟი-

ლეტის ჯიბეზე ოქროს ძეწკვი უბზინავდა. შავად შეღებილი ულვაშების ეღალი ბოლოები აპრეხოდა.

ეს კაცი ივან პოდუბნი გახლდათ. მისი შეხვედრა მამასთან — მაქსიმ ივანოვიჩთან, მიტროფან პოდუბნის გადმოცემით, ნამდვილად მოგვაგონებს სცენას „ტარას ბულბადან“.

— აბა დამენახე! რა სასაცილოდ გაკრეჭილხარ! მღვდელი ხარ თუ სატანა...

— მასხრად მიგდებ, მამილო!

— არა, მაგრამ ეგრე რომ იყოს, რაო!

— არაფერი...

— ღონე ხომ არ გერჩის? — მაქსიმ ივანოვიჩმა ეკლავები აიკაპიწა, — ვსინჯოთ.

— მე... მაპატიეთ, მამილო.

ამ დროს დედამ — ანა დანილოვნამ მოირბინა.

— სულ გამოჩერჩეტდი, ბებერო? ვის გაუგია მამა და შვილი ჭიდაობდეს... აბა ახლავე ქოხში შედით!...

მაქსიმ ივანოვიჩი თავიდანვე მხოლოდ იმიტომ ბუზღუნებდა, რომ უნდოდა შვილისათვის ჭკუა ესწავლებინა. შვილის კარგმა ჯამაგირმა და ძვირფასმა საჩუქრებმა მოხუცს გული მოულბო და იგი შეეგუა მის ახალ პროფესიას. პოდუბნებმა რამდენიმე ქცევა მიწა მიიმატეს და ახლა ქოხში სიუხვე იგრძნობოდა.

ამ სტუმრობისას ივან პოდუბნის ოცდაათი წელი შეუსრულდა. იგი უკვე გამოცდილ პროფესიონალად ითვლებოდა „ქამრებით ჭიდაობაში“, მას ალბათ გაუმართლა, რომ ტრუცისთან, რუსეთის ერთ-ერთ საუკეთესო პროვინციულ ცირკში მიიღო ნათლობა.

სევასტოპოლიდან პოდუბნი ოდესაში მოხვდა. ამ ნახევარმილიონიანი ქალაქის გაკვირვება ძნელი იყო, მით უფრო მოტყუება — ოდესა მსოფლიო ვაჭრობის საფუარზე იზრდებოდა, მდიდრდებოდა საქონლით, რომელიც გიგანტური პორტიდან დიდ ნაკადად მიედინებოდა რუსეთში და მოედინებოდა რუსეთიდან. ქალაქი ჟარგონით ლაპარაკობდა.

ფანკონის კაფეში ხშირად გაიგონებდით ასეთ საუბარს:

— რა იცით ახალ მოჭიდავეზე?

— ეს ხომ ჩვენი მოლდაველი „ბოსიაკია“...

— როგორ მოგწონთ ეს ამბავი? ერთმა ნაცნობმა მოჭიდა-

ვემ მითხრა, სევასტოპოლიდან ჩამოვიდაო. მე კი გეტყვით, რომ აქ იოტის ოდენა წარმატებასაც ვერ მოიპოვებს, უსიამოვნებას კი იცოცხლე, უხვად მიიღებს.

— აჰ, რატომ ლაპარაკობთ ეგრე ადამიანზე? მაგით რას მოიგებთ? მე გახლდით ცირკში, თქვენ კი არ ყოფილხართ. ერთი განახათ, რა მკერდი აქვს! სამოცდარვა ზომა პიჯაკს ატარებს. დამიჯერეთ, მამაჩემის — ოდესის საუკეთესო თერძის შვილს...

გაზეთი „ოდესის ახალი ამბები" აქვეყნებდა პოდუბნის გამარჯვებათა ანგარიშს და ქალაქის ფელეტონისტის ოპუსებს.

„ფანკონისთან „სიჩუმეა"...

ყოველ მაგიდასთან გატაცებით აწყობენ მახვილგონივრულ, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, ფუჭ გეგმებს: როგორ გადააქციონ სპილენძის ნახევარკაპიკიანი ოქროს თუმნიანად.

ყოველ მაგიდასთან ზის ჯგუფი ოდესელებისა, რომლებმაც არ იციან, როგორ გაიყვანონ დრო მეორე დილამდე.

საქმე არაფერია...

მიახლოებითი გამოანგარიშებით, ოდესაში ორმოცი ათასამდე კაცი შუამავლობით ცხოვრობს.

ეს კომერციული პროლეტარიატია"...

ოდესა თავის ადგილს ითხოვდა მზის ქვეშ. ილბლიანი თუ უიღბლო კომერსანტები ახდენდნენ გარიგებებს, ჰყვებოდნენ ანეგდოტებს, ფანკონისთან სელტერის წყალს სვამდნენ, დერიბასოვზე დახეტიალობდნენ და ცირკს ეტანებოდნენ.

როგორც ჩანს, ათლეტურ თამაშში ისეთ რამეს ჭვრეტდნენ, რაც კომერციულ გმირობას შთააგონებდათ. ბევრს საკუთარი ფიზიკური არასრულფასოვნების შეგრძნება აიძულებდა ძლიერებთან, ღირსებით აღსავსე მოჭიდავეებთან სიახლოვე ეძებნა.

პოდუბნის „ოდესა ხელისგულზე ატარებდა", რაც, ალბათ, ძალიან ძნელი იყო, თუ მის წონას გავითვალისწინებთ. თავისი ამალის შემყურემ გარეგნული პეწი შეიძინა, მთელი ცხოვრება კოხტად ჩაცმასა და სამხრეთელივით გაპრიალებული ფეხსაცმელებით სიარულს შეეჩვია.

ოდესა დიდების მწყალობელია. როცა პოდუბნი კიევში მიიწვიეს, იგი უკვე სახელმოხვეჭილი გახლდათ.

აკიმ ალექსანდროვიჩ ნიკიტინი და მისი ცოლი იულია მიხაილოვნა ძალიან კეთილი ადამიანები იყვნენ.

„ძმები ნიკიტინების რუსულ ცირკში“ პოდუბნის ისე გულთბილად შეხვდნენ, რომ ივანე კიდევ დიდხანს დახეტიალობდა კიევის ქუჩებში და სიამოვნებისაგან იღიმებოდა.

აკიმ ნიკიტინი ცირკის მსახიობს ნაკლებად ჰგავდა. ბონვივანულ ცილინდრსა და საუცხოოდ შეკერილ ფრაკს ჭეშმარიტად არისტოკრატული მოხდენილობით ატარებდა, თუმცა ყმა გლეხის შვილი იყო და მამამისი ღალისა და ლუკმაპურის ფულს არღნის დაკვრით შოულობდა.

ბაზრის ბალაგანები, ოდესღაც იგი თავის ძმებთან პეტრესა და დიმიტრისთან ერთად რომ გამოდიოდა, არც ისე შორეულ, მაგრამ ბურუსით მოცულ წარსულს ჩაბარდა...

რუსეთში უწინ ცირკის მეპატრონეები ჩინიზელები, სალამონსკები, ტრუცები, სურები იყვნენ. ნიკიტინებმა, გამჭრიახმა საქმოსნებმა შეავიწროვეს ისინი, რაკი ცირკის წარმოდგენები რუსული ანტურაჟით გაამდიდრეს; მათი ცხენები „კამარინსკაიას“ ცეკვავდნენ. ჟონგლიორებს რუსული ხიფთანები ეცვათ, მხედარი ქალები სარაფანებსა და კოკოშნიკებში გამოწყობილნი გამოდიოდნენ. დგამდნენ პანტომიმებს რუსული ზღაპრების მოტივებზე, ბაქოსა და ასტრახანში, სარატოვსა და ყაზანში, ხარკოვსა და კიევში უფრო და უფრო მრავლდებოდა ნიკიტინების ხისა და ქვისაგან ნაგები ცირკის შენობები.

პოდუბნი რომ დაითანხმა, აკიმ ნიკიტინმა ხელები სიამოვნებით მოიფშვნიტა.

— იულია, შეხედე ამ ვაჟკაცს! — უთხრა მან ცოლს და უკან დაიწია, რომ გოლიათის ფართო ტორსი უფრო კარგად შეეთვალიერებინა. — ივან მაქსიმოვიჩ, თქვენ აუცილებლად ჩოხა უნდა გეცვათ. ჩვენ სურათს ჩოხაში გადაგიღებთ და აფიშას ასეთ წარწერას გავუკეთებთ: „ქამრებით ჭიდაობის ცნობილი ოსტატი კაზაკი ივან პოდუბნი“. რას იტყვით?

პოდუბნის გაეღიმა და დარცხვენით გადახედა იულია მიხაილოვნას, რომელიც ქმარს სიყვარულით შესცქეროდა და ჩაცვენილი ლოყები წითლად ანთებოდა.

„რა გამხდარია, — შეეცოდა ივანეს, — უქეიფოდაა, ეტყო-

ბა“ — გაიფიქრა და რაღაცნაირად შერცხვა კიდეც, თვითონ ასე ჯან-ღონით სავსე რომ იყო.

— მე გწერდით, ივან მაქსიმოვიჩ, რომ გამოსვლას დაიწყებთ პირველ დეკემბერს, თბილისში, დიდ მარხვაში ბაქოში გაბოხვალთ, შემდეგ ჩემი გემით საგასტროლოდ გავემგზავრებით ასტრახანიდან მთელ ვოლგაზე და მოგზაურობას დავამთავრებთ ნიჟნიში ბაზრობის ბოლო დღეს... მთელი თვე თავისუფალი იქნებით, მაგრამ ნუ წუხხართ, ჯამაგირს მაინც გადაგიხდიან. ისე მოეწყვეთ, როგორც გენებოთ.

პოდუბნი ნასიამოვნები დარჩა ნიკიტინის გულუხვობით. მას მთელი თვე თავისუფალი ჰქონდა და შეეძლო ფრანგულ ჭიდაობაში ევარჯიშა, რომელიც მალე უთუოდ „ქამრებით“ ჭდაობას დაჩრდილავდა.

ის წელი, როცა პოდუბნი პირველად გამოვიდა საჭიდაო სარბიელზე, მთელ მსოფლიოში სპორტის განვითარების თავისებურ დასაბამად იქცა. ათენში განახლდა ოლიმპიური თამაშები, რასაც მოჰყვა უამრავი სპორტული ლიტერატურისა და მრავალრიცხოვანი სპორტული წრეების წარმოშობა.

მაშინ იხილა დღის სინათლე ვლადისლავ პიტლიასინსკის წიგნმაც, რომელშიც ავტორმა მოკლედ, მაგრამ საუცხოოდ გადმოგვცა სპორტის ისტორია. „სოლონის მიერ შექმნილ კანონებში ნათლადაა ნათქვამი, რომ ყოველი მოქალაქე მოვალეა თავის შვილს ასწავლოს ტანვარჯიში და, სვავთა შორის, ჭიდაობაც,“ — წერდა პიტლიასინსკი, „სულიერი და ფიზიკური ძალების“ თანასწორობის აუცილებლობას რომ ამტკიცებდა.

მაგრამ პიტლიასინსკის წიგნის მთავარი ღირსება მაინც ის გახლდათ, რომ „ცინკოგრაფიის“ ხუთ მეათედზე, რომელშიაც ათლეტი რუს მოჭიდავესა და მხატვარ ნიკოლოზ ივანოვიჩ კრავჩენკოსთან ერთად გამოეხატათ, ნაჩვენები იყო ფრანგული ჭიდაობის ხერხები.

რუსულ მატიანეებში შეიძლება შეხვდეთ ცნობებს გოლიათების უიარაღო შერკინებაზე. „ქამრებით“ ჭიდაობა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში იყო ცნობილი. მოგვიანებით დღესასწაულებზე შეკრებილთა საყვარელ სანახაობად იქცა „მამაკაცების თავშესაქცევი“, სადაც იყენებდნენ მოგვერდსა და გარე სარმას. ყველა ქალაქს თავისი წესი ჰქონდა. მოსკოვში, როცა

მოწინააღმდეგეს აიძულებდნენ მარჯვნივ გადახრილიყო, ცდი-ლობდნენ მისთვის სარმა მარცხენა ფეხში მარჯვენა ფეხით გამოეკრათ, აქედან წარმოიშვა ცნობილი გამოთქმა: მშობელ-მა დედა-მოსკოვმა კარგი სარმა იცისო.

„თავისუფალსაც" ჭიდაობდნენ. მაგრამ XIX საუკუნის ბოლოს ფრანგულმა მოდამ, რუსეთს თავადაზნაურული პე-ტერბურგი რომ უკარნაჩებდა, ჭიდაობაც დაჯაბნა.

სანკტ-პეტერბურგის ათლეტური საზოგადოება, რომელიც ფრანგულ ჭიდაობას ნერგავდა, თავის არსებობას 1896 წლი-დან ითვლიდა. ის კონკურენციას უწევდა „ათლეტიკის მოყვა-რულთა წრეს", ექიმ ვლადისლავ ფრანცევიჩ კრაევსკის მცდე-ლობით რომ შეიქმნა. კრაევსკი კაცთმოყვარე იყო და არც ჯანი და ღონე ჰკლებია, ოცნებობდა იმაზე, რომ ყოველგვარი ავადმყოფობა თითოეული ადამიანის ფიზიკური სრულყოფის მეშვეობით აღმოეფხვრა. კიევში ექიმმა ვ. ფ. გარნიჩ-გარნიც-კიმ და მწერალმა ა. ი. კუპრინმა „ათლეტთა კლუბი" ჩამოაყა-ლიბეს.

„ერთხანს ცირკმა გაიტაცა, — წერდა ფ. ბატიუშკოვი თა-ვის წიგნში „ეტიუდები კუპრინზე". — კიევში ათლეტთა სა-ზოგადოება ჩამოაყალიბა, რომელშიც პირველი გაკვეთილები მიიღო შემდგომ ცნობილმა ათლეტმა, „მსოფლიოს ჩემპიონ-მა" პოდუბნიმ; კუპრინი ცირკის არენის მოღვაწეთ დაუახ-ლოვდა და მათი წყალობით უზომო მასალა დააგროვა ნარ-კვევებისათვის."

პოდუბნის უნდა მოსწონებოდა კუპრინი, ჯმუხი და უბრა-ლო კაცი, რომლის ვიწრო თათრული თვალები მუდამ ასე დამცინავად და გამჭრიახედ იმზირებოდნენ. ისინი ერთმა-ნეთს ვერ დაუახლოვდებოდნენ, ვინაიდან ალექსანდრ ივანო-ვიჩს ჭიქა ღვინოს გარეშე ლაპარაკი არ უყვარდა, ხოლო ივან მაქსიმოვიჩი თავს ჭიდაობისთვის ინახავდა, სპორტულ რეჟიმს მკაცრად იცავდა და საერთოდ არა სვამდა. თუმცა ივან პო-დუბნი დიდი მოუბარი არც გახლდათ და ყოველთვის არც კი ესმოდა, რაზე საუბრობდნენ ერთმანეთში მისი ინტელიგენტი თაყვანისმცემლები. მაგრამ იმ საკითხებში, რაც ათლეტიკას ეხებოდა, პოდუბნის გაცილებით მეტი ესმოდა, ვიდრე მწე-რალს, რომელსაც ლამის მის ნათლიმამად და მრჩევლად თვლიდნენ ჭიდაობის ახალ საპეობაში, ჯერ კიდევ 1900 წელს

რომ გადმოიტანეს რუსული ცირკის არენაზე პიტლიასინსკიმ და სხვებმა.

მაინც სად ისწავლა პოდუბნიმ — მომავალმა „მეფემ“ და „ჩემპიონთა ჩემპიონმა“ ფრანგული ჭიდაობა?

თავის დროზე ბევრი ბერძნული ქალაქი იჩემებდა პომეროსის მშობლიური ქალაქის სახელს. ბევრად უფრო გვიან სხვადასხვა რუსული ქალაქის მრავალი სპორტული წრე ამტკიცებდა, პოდუბნი ფრანგული ჭიდაობის რაინდად ჩვენ ვაქციეთო.

მაგრამ თუ გაზეთში ჯერ კიდევ 1898 წელს გამოქვეყნებული ერთი საინტერესო განცხადების მიხედვით განვსჯით, ყველაფერი გაცილებით უბრალოდ მომხდარა.

მოხერხებულმა გეორგ ლურიხმა, პოდუბნისთან ერთად ტრუცის ცირკში რომ მუშაობდა, სევასტოპოლში „ათლეტიკის სკოლა“ გახსნა. სკოლის პროგრამაში იგი მომავალ მოსწავლეებს ჰპირდებოდა, ფრანგული ჭიდაობის ორმოცდაცხრა ილეთს შეგასწავლით, რაც დღემდე მხოლოდ პროფესიონალი მოჭიდავეებისთვის არის ცნობილიო.

როგორც პროფესიონალმა მოჭიდავემ, პოდუბნიმ, უეჭველია, იცოდა ეს ილეთები.

ივან პოდუბნიში ბევრი მხოლოდ უხეშ ფიზიკურ ძალას ჩედავდა, რაც საბედისწერო შეცდომა გამოდგა ყველა მისი მოწინააღმდეგისათვის მაშინდელ საცირკო ჭიდაობაში. პოდუბნი სწავლობდა, ახალ ილეთებს ითვისებდა და ქანცგამწყვეტი ვარჯიშით ხვეწდა. იგი ამ ვარჯიშებს ისეთივე გლეხური კეთილსინდისიერებით ასრულებდა, როგორითაც, ვთქვათ, მშობლიურ ყანას მოხნავდა. „რუსულ-შვეიცარიულ“ ჭიდაობაში პოდუბნის ბადალი არა ჰყავდა, მაგრამ იგი ნელ-ნელა ემზადებოდა ახალი სახის ათლეტური შრომა-ჯაფისთვის, პიტლიასინსკის წიგნში სურათებს ათვალიერებდა, თავისთვის ჩურჩულებდა ძნელად გამოსათქმელ ფრანგულ ტერმინებს და ილეთებს ამხანაგებთან ერთად ამუშავებდა.

— ტურ დე ბრა — ხელების დაჭერა და ზურგიდან წამოღება...

— ტურ დე ანშ — ბარძაყებზე აწევა და თავის დაჭერა...

ამ მეორე ხერხს იგი „ტურ დე განშს“ ეძახდა — „გ“-ს რბილად, ქშენით წარმოთქვამდა.

ივან პოდუბნი არასოდეს უშვებდა ხელიდან შემთხვევას, რომ საჭიდაო ხალიჩის სიახლეებს დაუფლებოდა. წარმოიდგინეთ, სამოცდაათ წელს მიღწეული მსუბუქი წონის „კლასიკოსთა" მარჯვე ილეთებს თვალყურს ადევნებდა და საწვრთნელ დარბაზში თავის რომელიმე ახალგაზრდა მეგობართან ერთად ცდილობდა გაეკეთებინა ილეთები, რაც სრულიად არ შეეფარდებოდა მის ახოვან აგებულებასა და წონას.

პოდუბნი უკვე დიდების მწვერვალზე იყო, როცა ერთი კიეველი მოყვარული, რომელიც იჩემებდა, ფრანგულ ჭიდაობას პოდუბნი ჩვენმა კლუბმა აზიარაო, წერდა:

„გუშინდელივით მასსოვს, როგორ გამოჩნდა ერთ-ერთ საწვრთნელ დღეს ჩვენს კლუბში, კიევში, გიგანტური ფიგურა, რომელმაც ჩვენზეც კი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არადა, ჩვენ შორის ცოტა როდი იყო უკრაინული ბუნების მადლიან წიაღში გამოზრდილი ვაჟკაცი. ეს გახლდათ პოდუბნი. იგი კიევში „ქამრებით" ჭიდაობის უბადლო ოსტატის სახელით ჩამოვიდა. ჩვენთან კი ბეჯითად დაიწყო ფრანგული ჭიდაობის რთული ილეთების შესწავლა. ჭიდაობის ამ სახეობაში ჯერ კიდევ ახალბედა გახლდათ, მაგრამ ილეთები საოცრად ადვილად და მალე აითვისა.

დიდი ძალის, სიმაღლისა და წონის გარდა პოდუბნის მოჭიდავის სხვა აუცილებელი თვისებაც ჰქონდა: სწრაფი ორიენტირებით გამოირჩეოდა. მოძრაობაც გამოზომილი ჰქონდა, ხერხებისა და ილეთების რთულ კომბინაციებს ადვილად ითვისებდა. ამ ხერხების შემწეობით გამოცდილი მოჭიდავე ემსგავსება მოჭადრაკეს, მორიგი სვლები წინასწარ რომ აქვს მოფიქრებული და განგებ დაშვებული შეცდომით აბნევს მოწინააღმდეგეს, რათა რომელიღაც წუთზე „შამათიც" გამოუცხადოს.

ყოველივე ამასთან პოდუბნის კიდევ ერთი, სპორტსმენისთვის ფასდაუდებელი თვისებაც გააჩნდა, რომელსაც სპორტში ჩახედულმა ხალხმა მოსწრებულად „სპორტული გული" უწოდა. ისინი ამ სიტყვებში გულის ფიზიოლოგიურ მნიშვნელობას კი არ დებდნენ, — გული ყველა სპორტსმენს ფიზიკურად ჯანმრთელი უნდა ჰქონდეს, — არამედ ფსიქოლოგიური აზრით ხმარობდნენ. პოდუბნის, როცა უნდოდა, შეეძლო უდიდესი ენერგია გამოეჩინა და ჭიდაობის ყველაზე მძიმე, სახიფათო მომენტებში შემართება არ დაეკარგა...

თუმცა ფრანგული ჭიდაობის შესწავლა მხოლოდ ჩვენთან, ჩვენს კლუბში დაიწყო, სწორედ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ თვისებათა ერთობლიობამ მისცა საშუალება რამდენიმე თვის შემდეგ მტკიცე საძირკველი ჩაეყარა თავისი „საჭიდაო განათლებისათვის“ სპორტის ამ მისთვის ახალ დარგში...“

პროფესიულ და მოყვარულთა სპორტში ახალი ეპოქა იწყებოდა. ფრანგული ჭიდაობა იქცა საყოველთაო გატაცებად, რომლის მწვერვალზეც ივან პოდუბნი უნდა დამდგარიყო. ყოველივე სხვასთან ერთად ამ გატაცებას ჰქონდა ერთი მიზეზი, რომლის შესახებაც 1903 წლის ივლისის საღამოს „ოლიმპიის“ ბაღში ფალავნების შერკინების ხილვის შემდეგ ანტონ ჩეხოვმა ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოს უთხრა:

— ჩვენს ხეიბარ საუკუნეში ამ ჯან-ღონით სავსე ბიჭების ნახვა მართლაც არ აწყენს კაცს...

13

1903 წელს პოდუბნი ვორონეჟში ჩავიდა. ზამთრის მიწურულის ერთი ჩვეულებრივი დღე იყო. სასტუმროს ნომრის ფანჯრიდან ოდნავ გამოკრთოდა მქრქალი სინათლე. თახდათან გამოიკვეთა ჩაზნექილბადიანი სპილენძის ვებერთელა საწოლი, კარადა, ხავერდგადაკრული სკამები, სიძველისაგან აპრიალებული შპალერი, გაურეცხავი თეთრეულისა და ნავთის სუნი ორთქლში ირეოდა, რომელიც პირველი სართულის ყოველი კუთხიდან გამოდიოდა. იქ კი, პირველ სართულზე, ტრაქტირის სამზარეულოში კასრებში შარშანდელი კომბოსტო ყარდა.

აქაური სურათი და სუნი უცხო არ იყო ივან მაქსიმოვიჩისათვის, რომელმაც ბოლო წლებში ბარე ასი ნომერი გამოიცვალა, მაგრამ დღეს განსაკუთრებით ცხადად იგრძნო თავისი არსებობის უბადრუკობა. საშინელი იყო საღამოობით ასე მარტოდმარტო დარჩენა სასტუმროს ნომერში. ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ყველასგან გარიყული, ყველასთვის ზედმეტი იყო. ქალაქში მას არავინ ელოდა, მეზობელ ნომერში გასელა კი, საიდანაც დასის ამხანაგების ღრეობის ხმები გამოდიოდა უკვე აღარ უნდოდა.

პოდუბნი ტუჩების ცმაცუნით ხელახლა კითხულობდა წე-

რილის ბოლო სტრიქონებს, რომლის დაწერასაც მთელი საათი მოანდომა.

„...მე გადაეწყვიტე ცირკს თავი დავანებო და შინ წავიდე. მომბეზრდა წანწალი. მიდიხარ, მიდიხარ და გზას ბოლო არ უჩანს. კმარა!..“

ამას იგი თავის უმცროს ძმას მიტროფანეს სწერდა, რომელიც სამხედრო სამსახურს პეტერბურგში გადიოდა და სიშაღლისა და ახოვანების გამო გრენადერთა ლეიბ-გვარდიის პოლკში ჩარიცხეს.

გაახსენდა მშობლიური კრასიონოვკა, ოლიონკა... წინა ჩასელაზე ნახა, მასა და მის ქმარს მთელი ქოხი ბავშვები გაუჩენიათ. ის კი ბოგანოსავით ეულად დადის. სადლში თუ არა, ფეოდოსიაში მაინც ხომ არ დაბრუნდეს?.. ერთი კარგი ადგილი მისთვის ყოველთვის მოიძებნება...

მერე კიევი გაახსენდა, ცირკთან ერთად გასტროლებზე გამგზავრება.

მაშინ ნიკიტინების დასი ძალიან მოეწონა. ერთი დიდი, შეხმატკბილებული ოჯახივით იყვნენ. იულია მიხაილოვნა მსახიობებზე ზრუნავდა, ბავშვები უყვარდა... სხვა ქალაქში რომ გადადიოდნენ, პოდუბნის სთხოვდა ხოლმე, გამომყევითო და მთელ მატარებელს დაიელიდა. თუ რომელიმე ქალს გზაში მშობიარობა მოუწეედა, იულია მიხაილოვნა მაშინვე იქ გაჩნდებოდა, ხელებს დაიკაპიწებდა, ეხმარებოდა და პოდუბნის ხელში ფულსა სჩრიდა:

— ივან მაქსიმოვიჩ, შემდეგ სადგურზე მატარებელი დიდხანს დგას, ჩადით და ახალშობილს მზითევი უყიდეთ.

— კი მაგრამ, მე... რომ არ ვიცი, რა ვიყიდო...

პოდუბნი რუსულად უკვე კარგა ხანია სუფთად ლაპარაკობდა, მაგრამ გაჭირვებაში ჩავარდნილს უყვარდა თავი სოფლელ ტეტიად მოეჩვენებინა.

— იცით, მშვენივრად იცით, აგერ მაშა გამოგყვებათ.

ახალგაზრდა ლამაზი გიმნასტი ქალი მაშა დოზმაროვა ივან მაქსიმოვიჩს კეკლუცად სთხოვდა:

— ჩამომსვით.

სუნთქვაშეკრული პოდუბნი თავის ძლიერ თითებს მაშას სიფრიფანა წელზე შემოაჭდობდა და ვაგონის ბაქნიდან მიწაზე ფრთხილად დასვამდა. მაშა პატარა და რეზინის ბურთი-

ვით მოქნილი იყო. პოდუბნი მას მარუსიას ეძახდა, ამაზე გიგონა წკრიალა ხმით კისკისებდა.

— რომ იცოდეთ, ივან მაქსიმოვიჩ, — ეუბნებოდა მას მაშა, — რა საყვარელი ქალია ჩვენი იულია მიხაილოვნა, ჩვენს დასში ყველა ბავშვს ხომ ის ასწავლის და მათთვის ქალაქებში მასწავლებლებს ქირაობს. ოღონდ ესაა, რომ ცოდოა... ავადაა, ჭლექი სჭირს...

პოდუბნი გულის ფანცქალით შესცქეროდა, როცა მაშა ტრაპეციაზე გამოდიოდა. ნომერს იგი საშიში ტრიუკით ამთავრებდა: ის თავდაყირა დაეკიდებოდა და შტამბერის — რკინის ჯოხის ირგვლივ ტრიალებდა, რომელზეც ტრაპეცია იყო ჩამოკიდებული. ფეხსაცმლის ლანჩებზე წკრეები ეკეთა, რომლებიც შტამბერის ნახვრეტში მაგრდებოდა.

პოდუბნი მეორე განყოფილებაში გამოდიოდა. როცა ის გირს ან შტანგას ათამაშებდა, დარბაზში ტაში ქუხდა. „ქამრებით“ ჭიდაობაში შეიდ წუთზე მეტ ხანს ვერავინ უმკლავდებოდა.

ზაფხულის მიწურულს დასმა ასტრახანიდან ნიჟნი ნოვგოროდამდე იმოგზაურა. მთელი გზა ცურვით გაიარეს.

ნიკიტინების ცირკი სამოკატის მოედანზე იდგა. ზაფხულში ადიდებული ვოლგა მთელ მოედანს ფარავდა. წყალი ქანდარამდე აღწევდა. სიცხეშიც კი შენობაში ნესტი იდგა, მაგრამ რუსული სტილით მოხატული მისი გუმბათის ქვეშ აუცილებლად უნდა გაეევლო ყველას, ვინც კი ბაზრობაზე მოხვედებოდა.

ცირკიდან იწყებოდა ბალაგნის რიგი — საქანელები, პანორამები, კარუსელები... და დუქნები, დუქნები, ათასობით დუქანი.

ბაზრობის ალამი რომ აღიმართებოდა, მისი უზარმაზარი მექანიზმიც ამოძრავდებოდა. დილის ექვსიდან ღამის პირველ საათამდე გაცხოველებული ვაჭრობა იყო, რომელსაც აუარება შემოსავალი მოჰქონდა, ამ შემოსავლის მეტი წილი ღრეობაში იფლანგებოდა...

ხმების გუგუნი, ორკესტრების გრიალი ტალღებიეით ეხეთქებოდა სასტუმროს კედლებს, სადაც ცირკის მსახიობები ცხოვრობდნენ.

— ბურახი! ბურახი!..

— ცხელი ხაჭცხვარი ვის უხდა!

— დაიჭი, არ გაუშვა! ქურდია...

— მიშველეთ, მკლავენ!..

-- კაცო, ერთი პაპიროსი მომაწევინე...

აზიურ შუკაში ქალის სხეულით ვაჭრობა და „მეცამეტე რჯულზე" მოქცევა იყო გაჩაღებული — ასე ეძახდნენ აზარტულ ბანქოს თამაშს. ბაზრობაზე რუსეთის ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ ქურდები და ბანდიტები.

ღამით, წარმოდგენის შემდეგ, მსახიობ ქალებს სასტუმროში მოჰიდავეთა ესკორტი მიაცილებდა. მაშა დოზმაროვა თამამად მიაბიჯებდა. იგი ხელკავით მიჰყავდა ივან მაქსიმოვიჩს, რომლის მარტო გარეგნობა თაკაშვებულ მოქეიფეთაც კი შიშის ზარს სცემდა...

სეზონი დამთავრდა და ისინი ერთმანეთს რამდენიმე თვით დაშორდნენ. პოდუბნი ციმბირის ცირკებში ჭიდაობდა.

შემდეგ წელიწადს ნიკიტინების ცირკმა პირველი წარმოდგენების გამართვა ისევ თბილისში დაიწყო. ჭიდაობა მარტში იყო დანიშნული, მაგრამ პოდუბნი უფრო ადრე ჩამოვიდა.

გოლოვინის პროსპექტზე მდებარე ნიკიტინების[1] ცირკის ქანდარა ყვალა ნომერს სამხრეთული ტემპერამენტით ხვდებოდა. აქ ორი ქანდარა იყო — დიდი და პატარა. დროდადრო ისმოდა წამოძახილები:

— დიდ ქანდარას დაეძინა! გამოიყვანეთ მასხარა!

შემდეგ:

— პატარა ქანდარას დაეძინა! დასცხეთ მუსიკა!

გულუხვი სამხრეთელები არტისტებს დუქნებში ეპატიჟებოდნენ, ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს წარმოთქვამდნენ და მწკლარტე ღვინოს ასმევდნენ.

მაყურებელმა განსაკუთრებით შეიყვარა მომთვინიერებელი ტურნერი, რომელიც უზარმაზარ და უწყინარ ლომთან, ცეზართან ერთად გამოდიოდა. ტურნერი ხშირად თერებოდა. ცოლი ფეხსაცმლით სცემდა და ისიც თავს იმით შველოდა, რომ ლომის გალიაში შევარდებოდა ხოლმე.

---

[1] ავტორი შეცდომით ნიკიტინების ცირკს კამენისას უწოდებს (მთარგმნელი).

— აქ ხომ ვეღარ მომწვდები! — ეუბნებოდა ცოლს და გისოსიდან ნიშნს უგებდა.

ვინმეს ხუმრობითაც რომ დაერტყა ტურნერისათვის, ცეზარი მაშინვე ღრენით მოაწყდებოდა გისოსს. სხვა დროს კი უწყინარი გახლდათ.

ივან მაქსიმოვიჩი ტურნერს დაუმეგობრდა. ერთხელ ტურნერმა მოჰიდავე ლომთან შეიტყუა გალიაში.

— ნუ გეშინია. ცეზარი კარგი ლომია, კეთილი. მოეფერე, მოეფერე, ნუ გეშინია...

პოდუბნიმ მწოლარე ლომს ფაფარზე ფრთხილად შეავლო ხელი, ლომმა გულგრილად ჩარგო თავი თათებში და თვალები მინაბა.

ამ უწყინარი ლომით დაიწყო თბილისში ბედის უკუღმა ტრიალი.

მომთვინიერებელი ნომერს ასე ამთავრებდა: ლომს წინა თათებს ტუმბოზე დაადებინებდა, ხახას გაუღებდა და თავს შიგ ჩაუყოფდა. ამ დროს ორკესტრი რაიმე ავის მომასწავებელ მუსიკას უკრავდა.

ერთხელ, როცა ტურნერს თავი ლომის ხახაში ედო, ცეზარმა პირი დამუწა. ცირკმა შიშით ამოიგმინა. ლომმა პირიდან თავი გამოაგდო, ტურნერმა ნახერხზე ზღართანი მოადინა. ცეზარი ტუმბოდან ჩამოვიდა და თავისი პატრონის გასისხლიანებულ სახეს ლოკვა დაუწყო. მომთვინიერებელი მკვდარი იყო.

თავზარდაცემული მსახიობები და მაყურებლები აკივლდნენ. ლომი ძლივს შედენეს გალიაში.

მეორე დღეს შენიშნეს, რომ ცეზარს ტუჩი გასიებოდა. ჩანს, ცირკში შემთხვევით შემოფრენილ კრაზანას უკბენია და ტკივილისაგან გამწარებულმა ლომმა კბილები ერთმანეთს დააჭირა.

უბედურება კენტად არ დადის.

რამდენიმე დღის შემდეგ მაშა დოზმაროვამ ფეხსაცმელების წკირები შტამბერზე დაამაგრა და წინ გადაქანდა. მაგრამ მისი სხულის სიმძიმემ ფეხსაცმელს ლანჩა მოჰგლიჯა. მსახიობი ბადეს ასცდა.

არენაზე წამსვე გაჩნდა პოდუბნი და მაშა ხელში აიტაცა, მაგრამ გოგონა უკვე მკვდარი იყო.

მას შემდეგ ივან მაქსიმოვიჩი მუდამ თან ატარებდა აფიშას, რომელიც მისი ბენეფისის დღეს დაიბეჭდა. აფიშაზე მაშას გვარი ეწერა და სურათიც იყო დაბეჭდილი... სულ არ ჰგავდა ცოცხალ მაშას. ივან მაქსიმოვიჩი აფიშას მოწიწებით უსვამდა ხელისგულებს და ჩურჩულებდა: „მარუსია“...

1902 წლის 11 მარტს თბილისშივე გარდაიცვალა იულია მიხაილოვნა ნიკიტინა...

მაშინ ივან მაქსიმოვიჩი თბილისიდან გამოიქცა და პატარა ცირკებში დაიწყო გამოსვლა, ამაოდ ცდილობდა თავდავიწყებას მისცემოდა...

ნომერში სულ ჩამობნელდა, პოდუბნი კი ისევ მაგიდასთან იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო და დაჟინებით ფიქრობდა იმაზე, რომ არენა უნდა დაეტოვებინა, შინ უნდა დაბრუნებულიყო, ანდა ფეოდოსიაში წასულიყო.

გონს რომ მოეგო, თავი ასწია, სიბნელეს მიაშტერდა და შემდეგ ხმამაღლა დაიყვირა:

— მიშკა!

მოისმა ფეხების ბაკუნი და კარებში თმააბურძგნილი სასტუმროს მსახური გამოჩნდა.

— ლამპა მომიტანე... და ჩაი!

მსახური კარებში გაუჩინარდა, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა მისი აბურძგნილი თავი, ხელში ანთებული ლამპა ეჭირა.

— ბატონო პოდუბნი, ამას წინათ ცირკში გახლდით... დავრწმუნდი, რომ თქვენი მომრეკი არავინაა. თვით ბატონი ფოსიც კი... ისინიც ამ ნომერში ცხოვრობდნენ. ორმოცდაათი ბოთლი მარტო შამპანური დალიეს. ისე წავიდნენ, ფულიც არ გადაუხდიათ...

— კარგი... ჩაი მომიტანე?

— ამ წუთას მოგართმევთ, ბატონო პოდუბნი. თქვენს სახელზე წერილია. იხებეთ.

ივან მაქსიმოვიჩმა მსახურს გამოშვერილ ხელში ათშაურიანი ჩაუდო და წერილი გამოართვა, სულაც არ უფიქრია, რომ რამდენიმე წუთში მისი ბედი უცბად შეტრიალდებოდა — მასში ისეთი მაღალი რანგის ხალხი ჩაერია, რომლის შესახებ ხეირიახად არც კი სმეხოდა.

„...არ გადადოთ გამომგზავრება, ვინაიდან თქვენი მომავალი კარიერა ამაზეა დამოკიდებული...“

ივან მაქსიმოვიჩი ნიკოლაევის ვაგზლიდან ზნამენსკის მოედანზე გამოვიდა და თვალით თავისუფალ ეტლს დაუწყო ძებნა, თან თავისთვის იმეორებდა ვორონეჟიდან მიღებული წერილის უკვე ზეპირად ნასწავლ სტრიქონებს.

— ოფიცრის ქუჩაზე, ათლეტთა საზოგადოებაში, — უთხრა მან მეეტლეს, როცა ფეხი ეტლის საფახურზე შედგა და თხელბორბლებიანი პეტერბურგული ეკიპაჟი გვერდზე ისე გადახარა, ლამის გადააყირავა.

მოთმინება არ ჰყოფნიდა, სანამ გაიგებდა, რატომ იძახებდნენ სანქტ-პეტერბურგის ათლეტთა საზოგადოებაში, რომელსაც „დიდი მთავარი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ვლადიმერ ალექსანდროვიჩი მფარველობდა“. წერილს ხელს აწერდა საზოგადოების პრეზიდენტი გრაფი რიბოპიერი.

პოდუბნი ვიცე-პრეზიდენტმა ნიკოლოზ პეტროვიჩ ბაბინმა მიიღო, და მანვე წარუდგინა გრაფ-გიორგი ივანოვიჩ რიბოპიერს.

ამ ფრანგმა გრაფმა, რომელიც ცარსკოე სელოში დაიბადა, დიდი ამაგი დასდო რუსულ სპორტს. თხუთმეტი წლისა ლოზანაში უკვე პროფესიონალებს ეჭიდავებოდა, თექვსმეტი წლისა პირველი მოციგურავე იყო პეტერბურგში. თურქეთთან ომის დროს ჰუსართა ოფიცერი მზვერავ-მონადირეთა ცხენოსან რაზმს მეთაურობდა და შეუპოვრობით სახელიც გაითქვა. რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო მხედარი მუდამ იმარჯვებდა ჩორთით მოარული ცნობილი ცხენებით — ვიტიაზით, გროზნით, პავლინჩიკით, მის საკუთარ ცხენსაშენში რომ იყვნენ გამოზრდილი. მისი მცდელობით ჩამოყალიბდა ჯიშიანი ძაღლების მოყვარულთა საზოგადოებაც.

„რუსული ათლეტიკის მამამთავრის“, დოქტორ კრაევსკის სიკვდილის შემდეგ ეს გარუსებული ფრანგი მილიონერი რუსული სპორტის მესვეური გახდა. თავისი პირადი სახსრებიდან წელიწადში ასი ათას მანეთს ახარჯავდა სპორტსმენთა მომზადებასა და „შეჯიბრებებს“, რის გამოც „რუსული ათლეტიკის მარჩეხალი“ შეარქვეს.

თურმე ათლეტთა საზოგადოება უკანასკნელი ორი წლის მანძილზე დაკვირვებით ადევნებდა თვალს რამდენიმე პროფესიონალი მოჭიდავის წარმატებებს, რომელთა შორის პოდუბნიც ერია, და როცა პარიზის სპორტულმა საზოგადოებამ საფრანგეთის „სპორტულ ჟურნალთან" ერთად პეტერბურგელებს შესთავაზა ჭიდაობაში 1903 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის თავიანთი წარმომადგენელი გაეგზავნათ, არჩევანი ივან მაქსიმოვიჩზე შეაჩერეს.

პარიზის ასპარეზობებზე მსოფლიოს საუკეთესო ფალავნები იკრიბებოდნენ.

1898 წელი. პირველი ჩემპიონი გახდა პოლ პონსი, ორმეტრიანი გოლიათი, ყოფილი ზეინკალი. მან ბეჭებზე გააკრა ამერიკის ჩემპიონი, ინგლისელი ტომ კენონი, რომელმაც ახალი ილეთი გამოიგონა და დიდი ადმირალის პატივსაცემად მას „ნელსონი" უწოდა. მეორე ადგილი დაიკავა პიტლიასინსკიმ, რომელიც პონსს ქულებით ჩამორჩა.

1899 წელი. შეჯიბრებაზე თურქები გამოჩნდნენ. ძალ-ღონით განთქმულმა ყარა-ახმეტმა პონსი დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მაგრამ მალე მან პიტლიასინსკის თამამი გამოწვევა მიიღო. ტექნიკურმა პოლონელმა თურქი, ისევე როგორც აბსი, მოგვერდით წამოიღო („ტურ დე ანშ ან ტეტ"); მაგრამ ყარა-ახმეტი ხალიჩაზე მუცლით დაეცა. ეს ამ ბრძოლაში ვეება თურქის პირველი დაცემა არ ყოფილა — მერვე წუთზე იგი ხალიჩას ბეჭებით შეეხო.

1900 წელი. ჩემპიონია ფრანგი ლორან ბოკერუა.

1901 წელი. რუსეთის წარმომადგენლის, ესტონელ გეორგ გაკენშმიდტის ტრიუმფის წელი. იმ გაკენშმიდტისა, ფენომენალურად განვითარებული მუსკულატურისა და ცეცხლოვანი ჭიდაობისათვის „რუსული ლომი" რომ შეარქვეს.

1902 წელი. ისევ პოლ პონსი.

ახლა კი გაკენშმიდტი ავად იყო და პარიზში წასვლა არ შეეძლო.

ივან პოდუბნის ჯერჯერობით ვერავინ ამარცხებდა მხოლოდ „ქამრებით" ჭიდაობაში. მაგრამ სწავლისა და ვარჯიშისათვის დრო ჯერ კიდევ ჰქონდა.

— თანახმა ხართ, ივან მაქსიმოვიჩ? — ჰკითხა რიბოპიერმა.

— თანახმა ვარ, — ისე უპასუხა პოდუბნიმ, რომ არც უც-

დია „ზურგიდან მოეკლო", როგორც ამას გაჭირვებისას მისი თანამემამულეები სჩადიან ხოლმე.

ათლეტთა საზოგადოების ხელმძღვანელობა შესანიშნავად იცნობდა ივანეს, იცოდნენ, რომ არც სვამდა და არც ეწეოდა, თავმდაბალი იყო და შრომისმოყვარე...

თვითონ გრაფი გრიგორი ივანოვიჩი ჯანმრთელი და მეტად აღნაგი კაცი გახლდათ. ბევრჯერ უნახავს ჯან-ღონით სავსე ადამიანი, მაგრამ ისიც კი აღფრთოვანებული შეჰყურებდა პოდუბნის.

— ახლა ჩემი და ნიკოლაი პეტროვიჩის თხოვნით უნდა გაიხადოთ...

რიბოპიერი და ბაბინი პოდუბნის გარს უვლიდნენ და კმაყოფილი ღიმილით ერთმანეთს შესცქეროდნენ...

პოდუბნის მაინცდამაინც რელიეფური მუსკულატურა არ ჰქონდა — კუნთები მთელ სხეულზე ეეებერთელა ფენებად ედო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ზურგი და კანჭები. ასეთი ფალავნის პარტერში გადაყვანა ძალიან ძნელია...

პოდუბნი მაშინვე წარუდგინეს საზოგადოების მწვრთნელს ეჟენ დე პარის, რომელმაც პიტლიასინსკი შეცვალა. ყოფილ პროფესიონალ მოჭიდავეს დე პარის პარიზში არაერთი ცნობილი ათლეტი ჰყევდა აღზრდილი. წინსართი „დე" არაფერ არისტოკრატიულს არ გულისხმობდა, უბრალოდ მწვრთნელი „პარიზელი" იყო.

დაუწყეს გაუთავებლად გაზომვა და აწონვა. საზოგადოების მდივანმა ლეონოვმა ჩაიწერა:

სიმაღლე — 185 სანტიმეტრი.

წონა — 114 კილოგრამი.

გულ-მკერდის შემოწერილობა — 134 სანტიმეტრი (წარმოუდგენელია! თანაც ამოსუნთქვისას, დაუჭიმავი მკერდით).

ორთავა კუნთი — 45 სანტიმეტრი, წინამხარი — 36, მაჯა — 21, კისერი — 50, წელი — 104, თეძო — 70, კანჭი — 47, წვივი — 44...

ეექენ დე პარიმ რუსული ენა ცუდად იცოდა. ივან პოდუბნიმ კი საერთოდ არ იცოდა ფრანგული, მაგრამ მაინც შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორ დაიწყებდა ეექენი მეცადინეობას, ეს დაბრკოლებები რომ არ არსებულიყო:

— ეან, ნება მომეცით ძველმა და გამოცდილმა მწვრთნელმა მოგითხროთ, რა არის ჭიდაობა. ო, მე მისწავლებია ილეთები პოლ პონსისთვის, დიდი პონსისთვის! მან გამარჯვებულის გვირგვინი მოიპოვა და მის ფერხთით განერთხო მთელი პარიზი, მთელი საფრანგეთი, მთელი მსოფლიო! ჭიდაობა ეს რაინდული სპორტია. რამდენი საზრიანობა, ნებისყოფა, მოხერხება, ძალა და ამტანობა გჭირდება, რომ ჩვენი ხელოვნების ყველა წესით მოწინააღმდეგე ბეჭებზე დადო. ჩვენი ხელოვნება ილეთების ცოდნისაგან შედგება, მაგრამ თუ გეტყვით, რომ ეს ილეთები რამდენიმე ათეულია-მეთქი, არ დამიჯეროთ... დიახ ის იმდენად ურიცხვია, რამდენადაც ურიცხვია ადამიანის ტანის მოძრაობა, როგორც არა აქვს საზღვარი ნიჭიერი მოჭიდავის გამომგონებლობას...

ეან, მე გითხარით, ჭიდაობა რაინდული სპორტია-მეთქი, იმიტომ, რომ ის აწრთობს სხეულს, მოქნილსა და ძლიერს ხდის, კეთილშობილებას უნერგავს კაცს. ისეთი ილეთი, რომელმაც შეიძლება დაამახინჯოს ან დააშაოს ადამიანი, აკრძალულია.

ეან, ჭიდაობას, რომელიც მე თქვენ უნდა შეგასწავლოთ, ფრანგული ჭიდაობა ჰქვია, თუმცა ის სხვა არაფერია, თუ არ ძველი ბერძნებისა და რომაელების კლასიკური ჭიდაობა. ჯერ კიდევ ჰომეროსის დროს მას სპორტის დედოფლად თვლიდნენ და დიდძალ მაყურებელსაც იზიდავდა. მაგრამ ძველი სახელმწიფოები ემხობოდნენ და მათთან ერთად მათი სპორტიც დავიწყებას ეძლეოდა. და აი, რამდენიმე ათეული წლის წინ ფრანგებმა — დიდმა ერმა — ააღორძინეს ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ისევ აქციეს იგი სპორტის დედოფლად, და ამიტომაც მას სხვა ხალხებმა ფრანგული ჭიდაობა უწოდეს...

ეან, თქვენ ძალიან ღონიერი კაცი ხართ, მაგრამ მარტო ღონეს ნუ ენდობით. ჭიდაობას თავისი ტაქტიკა და სტრატეგია აქვს. ჭიდაობამდე ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი გაიგოთ მოწინააღმდეგეზე, იშოვეთ მისი ფოტოსურათი, შეისწავლეთ მისი

კუნთები, შეადგინეთ ჭიდაობის გეგმა... შერკინების დაწყებისას მოსინჯეთ მეტოქე: ხელი მაჯაში ჩაავლეთ და მოსწიეთ. თუ, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა ამას მოახერხებთ, მაშასადამე, მეტოქეს ორთავე კუნთი თქვენზე სუსტი ჰქონია. თუ მოწინააღმდეგეს ხელებს უკან გაუწვეთ, თქვენ მის სამთავა კუნთს გამოცდით. სხვა ილეთებით გაიგებთ მხრების კუნთებისა და ზურგის ფართო კუნთების ძალას... მოჭიდავის ტვინი მუდამ დაძაბულია, წამებია საჭირო, რათა მეტოქის სუსტი ადგილები გამოიცნო და ეშმაკური კომბინაცია მოიფიქრო. ამას მოსდევს ნახტომი, რომლის დროსაც თქვენი კუნთები მათემატიკური სიზუსტით იმოქმედებს და ორთქლის ეროსავით უკმობელი იქნება... ო, ჟან, ჭიდაობა — ეს მთელი მეცნიერებაა!

შეიძლება ეჟენ დე პარი ივან მაქსიმოვიჩთან მხოლოდ ფრანგული ტერმინებით ლაპარაკობდა, რაც უკვე ნაცნობი იყო პოდუბინისთვის. ერთი რამ კი ცხადია—ჭიდაობის ილეთებისა და ტაქტიკის დაუფლებისათვის მარტო ერავდაუზოგავი შრომა არა კმაროდა.

დროდადრო იმართებოდა საწვრთნელი შერკინებები ამა თუ იმ რუს მოჭიდავესთან: ასე უფრო ადვილი იყო ილეთებისა და ჭიდაობის მთელი რიტუალის ათვისება, რასაც ეჟენი დიდ ყურადღებას აქცევდა.

მოჭიდავეები ხალიჩაზე თხელ სათბურებში, ტრიკოსა და მაღალყელიან ზონრიან ფეხსაცმელებში გამოწყობილნი გამოდიოდნენ.

დარბაზის კედლებთან ათლეტთა საზოგადოების წევრები და მათი სტუმრები ირეოდნენ. დანიშნული მსაჯებიდან ერთ-ერთი ხმამაღლა აცხადებდა:

— ბატონებო, ჭიდაობის მიზანია ხალიჩაზე მოწინააღმდეგის ბეჭებით გაკვრა და ამ მდგომარეობაში რამდენიმე წამს გაჩერება. ხალიჩაზე დაცემა არ ითვლება. შერკინებისას ფალავნებს შეუძლიათ ერთმანეთს შეეხონ ხელებზე და წელს ზემოთ. ჭიდაობის დროს აკრძალულია ლაპარაკი და მაყურებლებთან საუბარი. ხელის აწევით ფალავანს შეუძლია ჭიდაობა შეწყვიტოს და თუ რამე უნდა, მსაჯებს მიმართოს... სასტიკად აკრძალულია ხელებისა და თითების გადაგრეხვა სახსრების ნადრეკის საწინააღმდეგოდ, თითების ჩაჭერა სახესა და ყელში და მეტოქის მოგუდვა, სარმის გამოდება, ჭიდაობის დაწყებამ-

დე ტანზე ქონის წასმა... ჭიდაობის ხანგრძლიობა: პირველი — 30 წუთი, შემდეგი — ათ-ათი წუთი, შერკინებათა შორის შესვენება — 1 წუთი... მსაჯთა გადაწყვეტილების გაპროტესტება არ შეიძლება.

შემდეგ მსაჯი გონგს დაჰკრავდა.

ფალავნები ხელის ჩამორთმევით ერთმანეთს მიესალმებოდნენ და თავ-თავიანთ კუთხეებში დადგებოდნენ.

— ან გარდ! — დაიყვირებდა ეეენი. — დაიკავეთ პოზიციები!

ფალავნები მარჯვენა ფეხს და ხელებს წინ წასწევდნენ... კარგია მეტოქის „ფეხიდან დათრევა". ერთი ფალავანი მეორეს „პირდაპირ წელში" ჩაავლებს ხელს, მაგრამ ის „პარადით" — კონტრილეთით უპასუხებს. მოწინააღმდეგე მოჭიდავის კისერს დაეყრდნობა და მისი ხელებიდან თავს ითავისუფლებს. ფალავნები ცდილობენ ერთმანეთს კისერში ხელი ჩაავლონ და ამის ცდაში ზოგჯერ მწარე სილაქი ხვდებათ ყურებში. ილეთები, ილეთები... წელში შეევარდნა, მხრებიდან ხელების დაჭერა, უკანა წელი, „ნელსონი" — იღლიებს ქვეშ ხელების გაყრა და კისრის დაჭერა. თავი მკერდისკენ იხრება, თვალთ უბნელდებათ... ილეთის ჩატარება, მოწინააღმდეგის გვერდულით წამოღება არც ისე ადვილია. რამდენი ილეთიცაა, კონტრილეთიც იმდენია. აი, ფალავანმა მოხერხებულად მოხვია ხელები მოწინააღმდეგეს, მერე თავზე დადგა და თავს ზემოთ გადააგდო... ეს ხიდურაა. ხიდურიდან მაშინვე ჩამოდიან და იწყება მოწინააღმდეგის ხალიჩაზე გაკვრა. ეს უკვე ჩოქბჯენში ჭიდაობაა. მეტოქე მუხლებსა და ხელებზე დგას. მოჭიდავე მას ზემოდან დააცხრება და ცდილობს ზურგზე გადმოაბრუნოს, ასეთ დროს „ბერკეტს" ან „გასაღებს" იყენებს...

ისმის მსაჯის სასტვენის ხმა. მეტოქეები დგებიან და ხალიჩიდან გადმოდიან.

სამ თვეს გრძელდებოდა მეცადინეობა. ეს ივან მაქსიმოვიჩისათვის ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ და სიმოვნებას ჰგვრიდა. უფრო გაუჭირდა „კარგი ტონის" ჩვევათა შესწავლა. ხელში კოვზის სწორად დაჭერა მისთვის უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ის, რომ ხალიჩაზე ბეჭებით გაეკრა გვარდიის ათი ოფიცერი — ათლეტთა საზოგადოების მუდმივი წევრები.

ეექენმა პოდუბნი მეორე რუს მოჭიდავე ალექსანდრ აბერგთან ერთად პარიზში შეჯიბრებამდე ორი თვით ადრე ჩაიყვანა, ისინი რიუ ბლანშზე მდებარე სასტუმროში მოათავსეს. არც ერთსა და არც მეორეს პარიზის სილამაზისათვის არ ეცალა, ვინაიდან ისევ დაიწყო ვარჯიში, ამჯერად ისეთი დაძაბული, რომ მარტო ივან მაქსიმოვიჩის მოგონებების წაკითხვაც კი ერეოლას მოჰგვრის კაცს:

„მთელი ერთი თვე ყოველდღე ვვარჯიშობდი სამ მოჭიდავესთან: პირველთან 20 წუთს, მეორესთან 30 და მესამესთან 40-50 წუთს, სანამ ისე არ გასავათდებოდნენ, რომ ხელების დამორჩილებაც აღარ შეეძლოთ. ამის შემდეგ 10-15 წუთს დავრბოდით გირვანქიანი ჰანტელებით ხელში, მათი თრევა ბოლოს უკვე მიჭირდა კიდეც. შემდეგ „ექიმის ყუთში", უბრალოდ რომ ვთქვათ, ორთქლის აბაზანაში ჩამსვამდნენ, სადაც ტემპერატურა 50 გრადუსს აღწევდა. აბაზანის შემდეგ შხაპს ვიღებდი: ერთ დღეს ცივს, მეორე დღეს — ოცდაათგრადუსიანს. ამის შემდეგ ზეწარში გამახვევდნენ და თბილ ხალათს შემომაცმევდნენ, რათა ორგანიზმიდან სინოტივე აორთქლებულიყო და სისხლის ნორმალური ცირკულაციისათვის მიგვეღწია, თანაც ათ კილომეტრზე ჩქარი გიმნასტიკური ნაბიჯებით გასეირნების წინ სხეულისათვის დასვენების საშუალება მიგვეცა. ამ მოციონის მერე სასტუმროში ისეთი სიქაგაცლილი ვბრუნდებოდი, რომ მეოთხე სართულზე ძლივს ავდიოდი...[1]"

თვე-ნახევრის ულმობელმა ვარჯიშმა მოჭიდავეთა ნერვული სისტემა ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მცირე ჩქამზე კრთოდნენ და ღამით ძილი დაუფრთხათ. პოდუბნი თავს ძლივსლა იმორჩილებდა და ეექენი და თარჯიმანი კადო რაღაც წვრილმანის გულისათვის კინაღამ სცემა. ეექენი მიხვდა, რომ ვარჯიში ზედმეტი მოუვიდა და პოდუბნისა და აბერგს ორკვირიანი დასვენება მისცა.

ახლა კი ივან პოდუბნის შეეძლო პარიზში ეხეტიალა და ენახა...: მაგრამ რა ნახა პოდუბნიმ მშვენიერ პარიზში, გაურკვევე-

---

[1] პოდუბნის ჩანაწერები სიტყვასიტყვით არ მოგვყავს, დაცულია მანერა. მაგრამ ამოღებულია გამეორებები, გასწორებულია ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები (აეტ.).

ლი დარჩა. მუზეუმის იშვიათობათა და არქიტექტურული სილამაზის აღქმისათვის იგი მზად არ იყო, მისი გონება სხვა რამით იყო დაკავებული — მომავალი ასპარეზობით, თავისი მეტოქეებით. აი, ამ შთაბეჭდილებებს კი არასოდეს არ ივიწყებდა — თითოეულის სახელი, ღირსება და ნაკლოვანება, ჭიდაობის მანერა გონებაში მტკიცედ ეჭედებოდა. ერუდიცია ცალმხრივია, მაგრამ ის მიზანდასახულობაზე ლაპარაკობს, ურომლისოდაც პოდუბნი არ იქნებოდა...

პარიზი უთუოდ გააოცებდა თავისი დიდებულებით, პროსპექტებით, ტრიუმფალური თაღით რომ გვირგვინდება, ქუჩაში მოსიარულე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ნაირ-ნაირი ხალხით, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ საფრანგეთის დედაქალაქი მრავალ ქვეყანასა და კონტინენტს იზიდავდა...

რიუ ბლანშზე — ვიწრო დაქანებულ ქუჩაზე მდებარე სასტუმრო ორ ნაბიჯზე იყო თავშესაქცევარი ადგილებიდან. ერთ-ერთი ასეთი ადგილი გახლდათ „კაზინო დე პარიც“, სადაც პოდუბნის და აბერგს რუსული სპორტის ღირსება უნდა დაეცვათ.

სასტუმროს ზღურბლიდანვე მოჩანდა ვარდისფერი წისქვილი „მულენ რუჟი“, შორს კი, ბულვარ კლიშის მიღმა, მონმარტრის გორაკისკენ მიმავალი ციცაბო აღმართი იწყებოდა, რომლის თავზეც თეთრი ტაძარი წამომართულიყო. მარჯვნივ კი ბულვარი პიგალის მოედანზე გადიოდა, რომელსაც სახელი გაეთქვა გარყვნილთა ბუნაგებით, კედლებთან ჩამწკრივებული მეძავი ქალებით, მოსახვევებში მდგარი წითელი ფარნებით და სადაც სახლები დაყრუებული იყო მუდამ მჭიდროდ დახურული ჟალუზებით.

ივან მაქსიმოვიჩი ალექსი აბერგს აკვირდებოდა, რომელიც შეიძლებოდა მისი მეტოქე გამხდარიყო. იგი სულ ოცდაორი წლის ჭაბუკი იყო, მაგრამ ხალიჩაზე ჭიდაობაში უკვე საუკეთესო ოსტატის სახელი ჰქონდა მოპოვებული.

ესტონეთმა მსოფლიო სპორტს ბევრი გოლიათი მისცა. მათ შორის ყველაზე მეტად ბრწყინავდნენ გეორგ გაკენშმიდტი, გეორგ ლურიხი და ალექსანდრე აბერგი, რომელსაც შემდეგ „ხალიჩის ქარაგმა“ უწოდეს.

ყველანი რეველის „მოყვარულ-ათლეტთა კლუბიდან“ იყვნენ გამოსულები, რომელსაც თავისი მცირე შემოსავლით

საოლქო სასამართლოს მოხელე ადოლფ ანდრუშკევიჩი ინახავდა. ამ ჩია ენთუზიასტმა თავისი აღზრდილები ციე ფარდულში გამოზარდა, სადაც გირები და სპორტული იარაღები ეწყო, კედელზე კი ეკიდა პორტრეტი დოქტორ კრაევსკისა, რომელმაც ოდესღაც „კლუბს“ მისალოცი დეპეშა გამოუგზავნა ასეთი მისამართით: „მსოფლიოში ყველაზე ღონიერი ადამიანების აკვანს“.

აბერგი ესტლანდიის ჩემპიონი გახდა და დიდ შეჯიბრებებში მონაწილეობდა, სადაც მხოლოდ ლურიხს, ბულგარეთის ჩემპიონს პეტროვს და გერმანელ ჩემპიონს ებერლეს თუ ჩამოუვარდებოდა. მისი წვრთნა ლურიხმა ითავა.

ცირკის ძველი მსახიობი დიმიტრი ალპეროვი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში — „ძველი ცირკის არენაზე“ — იგონებდა:

„ჭიდაობა ტარდებოდა. ფალავნები აბერგი და ლურიხი ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ. ხშირად მინახავს, უთენია როგორ ასწავლიდა ლურიხი ჭიდაობას აბერგს ბაღში, გზაზე დაფენილ ხალიჩაზე. თუ აბერგი ვერ აკეთებდა იმას, რასაც მასწავლებელი უბრძანებდა, ლურიხი ჯოხით სცემდა ხოლმე. რეპეტიციის შემდეგ ისინი ჩაის სვამდნენ, ერთი და ორი სამოვარი არ ჰყოფნიდათ, და ერთ დაჯდომაზე ოთხ გირვანქა მურაბას ათავებდნენ. ისეთი მადა ჰქონდათ, რომ დიასახლისი მათთვის ყოველდღე ათ გირვანქა მურაბას და ერთ სათლ კომპოტს ხარშავდა“.

როცა იცი ლურიხის მაღალი ინტელექტისა და მისი საზრიანობის ამბავი, ისიც, რომ იგი ათამდე უცხო ენას ფლობდა და ლიტერატურული ნიჭიც გააჩნდა, რაც ათლეტებს შორის იშვიათობა გახლდათ, გაოცებს ესტონელ მოჭიდაეეთა ეს მდაბიო ჩვევები და მათი რაბლესებური მადა. თუმცა, ერთი მეორეს ხელს არ უშლის.

აბერგი პარიზში იმავე გრაფმა რიბოპიერმა გაგზავნა.

თეთრგვრემანი, პირწმინდად თავგაპარსული ესტონელი ივან მაქსიმოვიჩზე სიტყვაძვირი იყო. თავიანთ აზრებს ორთავე ძუნწად გამოთქვამდა, მაგრამ ერთიც და მეორეც ღელავდა, ვიანიდან ახლაღა მიხვდნენ, რა პასუხისმგებლობა იდეს კისრად.

საერთაშორისო ჩემპიონატზე „ჩამოვიდა და ჩაეწერა“ ას ოცდაათი ფალავანი.

სარბიელზე გამოდიოდნენ ისეთი ნაცადი მოჭიდავეები, როგორებიც იყვნენ გოლიათი სერბი ანტონიჩი, ბელგიელი ომერ დე ბულონი, დანიელი იეს პედერსენი, გერმანელი ვებერი, ფრანგი რაულ დე ბუშე, ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენელი, პოლონელი სტანისლავ ზბიშკო-ციგანევიჩი.

ოღონდ შეჯიბრებაზე არ ჩამოსულა გასული წლის არც ერთი ჩემპიონი და პრიზიორი. ყარა-ახმეტი კოსტანტინოპოლში გარდაიცვალა — ჭიდაობის დროს გული გაუსკდა. თურქი იუსუფი, ოდესღაც ავაზაკების მეთაური რომ იყო, შემდეგ კი ევროპელ ფალავნებს შიშის ზარს სცემდა, ამერიკიდან დაბრუნებისას გემების კატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა. გაკენშმიდტი ავად იყო...

ჩემპიონატის გახსნის დღეს ივან მაქსიმოვიჩი ეექენთან, აბერგთან და კადოსთან ერთად „კაზინო დე პარიში“ დილის თერთმეტ საათზე მივიდა. იგი გააოცა დამსწრეთა სიმრავლემ და მღელვარებამ. ეექენი მარჯვნივ და მარცხნივ ხალხს ესალმებოდა და თანმხლებთ უხსნიდა, ესენი მოჭიდავეები, სპორტსმენები, ჭიდაობის მოყვარულები, რეპორტიორები, მხატვრები თუ მოქანდაკეები არიანო...

შეჯიბრების მონაწილე ას ოცდაათივე ფალავანი აწონეს და ორ ჯგუფად დაჰყვეს. ორმოცდაათმა მძიმეწონოსანმა (87 კილოგრამს ზევით) უფლება მიიღო მსოფლიოს ჩემპიონობა მოეპოვებინა. დანარჩენ ოთხმოც მოჭიდავეს შესაძლებლობა მისცეს პარიზის ჩემპიონობისათვის ებრძოლათ.

თითოეულ წონაში ოთხი პრიზი თამაშდებოდა. წესები მკაცრი იყო, სულ სხვანაირი, ვიდრე სანკტ-პეტერბურგის ათლეტთა საზოგადოებას ჰქონდა. მოჭიდავე, რომელიც თუნდაც წამით ხალიჩას ბეჭებით („ტუშე“) შეეხებოდა, დამარცხებულად ითვლებოდა და შეჯიბრებას ეთიშებოდა. ბუნებრივია განსაკუთრებულ ყურადღებას მძიმეწონოსნები იქცევდნენ. მათ ზომავდნენ, სურათებს უღებდნენ და მაშინვე მოკლე ავტობიოგრაფიებსაც აქვეყნებდნენ ჟურნალ-გაზეთებში.

„კაზინო დე პარის“ სცენაზე ორთაბრძოლები დაიწყო.

ალექსანდრე აბერგი ფრანგ დე-ვრიენდტს შეხვდა და ერთ წამში ხალიჩას გააკრა. ესტონელი სულ 90 კილოგრამს იწონი-

და. თავის ას ოცდაათკილოგრამიანი მეტოქეების გვერდით მოხდენილი და სუსტი აღნაგობისა ჩანდა.

ივან მაქსიმოვიჩმა პირველი გამარჯვება გერმანიის ჩემპიონთან საპრიზო ადგილის პრეტენდენტ ერნესტ ზიგფრიდთან მოიპოვა. მესამოცე წუთზე მან ბეჭებზე გააკრა გერმანელი.

მეორე, ვინც მან წააქცია, ფრანგი ფავუე იყო, ნადირს რომ ჰგავდა გარეგნობით, გაზეთებმა მას „შემხარავი მეეტლე" შეარქვეს. ფრანგი წარმოუდგენელი ღონის პატრონი იყო, მაგრამ ძოუქხელი გახლდათ.

პეტერბურგული ჟურნალი „სპორტი" წერდა: „აბერგზე ფრანგული გაზეთები გარკვეულად არაფერს ამბობენ. იგი ღირსეულ ფალავნად მიაჩნიათ, ძაგრამ რაიმეს თქმას თავს არიდებენ, ვინაიდან მისი შერკინება დე-ვრიენდტთან ძალზე ხანმოკლე იყო: წამიც არ გასულა, რომ აბერგმა მეტოქე უკანა წელში დაიჭირა. დე-ვრიენდტმა ხიდზე გადასვლა სცადა, მაგრამ აბერგმა მოგვერდით წამოიღო და ყველაფერი ამით დამთავრდა. ეს შერკინება იმდენად ხანმოკლე იყო, რომ დროც არ აღუნიშნავთ. პოდუბნიზე ფრანგებს დიდი წარმოდგენა აქვთ; მას თურქებს ადარებენ და მიაჩნიათ, თურქებს ღონით ადვილად დაჯაბნისო".

აბერგის მეორე მეტოქე „ყასბად" („ლე ბუშედ") წოდებული რაულ მიუსონი იყო. თექვსმეტი წლის მიუსონმა საყასბო მიატოვა, პოლ პონსის სპორტულ დარბაზში გაცხოველებული წვრთნა დაიწყო და პროფესიონალი მოჭიდავე გახდა. თვრამეტი წლისამ მსოფლიო ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა. გაზეთები მას „პარიზელთა თვალის ჩინს" უწოდებდნენ. 1903 წელს რაულ ლე ბუშეს ოცი წელი შეუსრულდა. პარიზელთა აზრით, იგი ლამაზი და წარმოსადეგი იყო — 188 სანტიმეტრი სიმაღლის ჯაბუკი 121 კილოგრამს იწონიდა.

იმ საღამოს, როცა რაულ ლე ბუშე ალექსანდრე აბერგთან ჭიდაობდა, ივან მაქსიმოვიჩი თავისუფალი იყო და „კაზინო დე პარიში" ისიც წავიდა, რათა კიდევ ერთხელ ენახა, როგორ ჭიდაობდა ხალიჩაზე მისი მომავალი მეტოქე...

— ივან მაქსიმოვიჩ, ნახეთ ერთი, რა მაქვს ზურგზე? — უთხრა აბერგმა, როცა სასტუმროდან გასვლის წინ ტანზე იცვამდა.

პოდუბნის კვნესა აღმოხდა. ესტონელის წელზე მან რამდე-

ნიმე წითელი ჯირჯვი დაინახა. ეს ძირმაგარები გახლდათ — ყველა მოჭიდავის ჭირი, უსუფთაო ხალიჩაზე გორაობისაგან რომ ჩნდებოდა და ადვილად გადამდებიც იყო (ზოგჯერ ამას განგებაც აკეთებდნენ — ძლიერ მეტოქეს ვინმე დაავადებულ მოჭიდავეს შეაჩეჩებდნენ, რათა მწყობრიდან დიდი ხნით გამოეყვანათ).

აბერგი ერეოლამ აიტანა, მაგრამ ჭიდაობაზე უარის თქმა წაგებად ითვლებოდა და ამიტომ დრო რომ არ დაეკარგათ, ტანთ ჩაიცვეს და სასტუმროდან გამოვიდნენ.

ივან პოდუბნის რკინის ნერვები ჰქონდა, მაგრამ ხანდახან ისიც კი თავს მიაბრუნებდა ხოლმე, რათა აბერგის ტანჯვა არ დაენახა...

რაულ ლე ბუშე ისე ჭყლეტდა და ამტვრევდა აბერგს, რომ ესტონელს ტანზე მოლურჯო-მოწითალო ხაზები აჩნდებოდა. მაგრამ აბერგი ცქვიტი იყო და ფრანგის რკინის მარწუხები ვერაფერს აკლებდა. ეგ კი არა, რაული ორჯერ დასცეს ხალიჩაზე.

ერთ-ერთი შეტაკების დროს აბერგს წელზე ძირმაგარა გაუსკდა. ივან მაქსიმოვიჩმა წარმოიდგინა, რა ტკივილს განიცდიდა მოჭიდავე... მაგრამ აბერგი ფრანგს არ ნებდებოდა.

მსაჯებმა ბრძოლა შეწყვიტეს. ჭიდაობა მეორე დღისათვის გადაიდო.

ივან მაქსიმოვიჩმა და ეჟენ დე პარიმ აბერგი შენობიდან გამოიყვანეს. სასტუმრომდე არც ისე შორს იყო, მაგრამ მათ ეტლი დაიქირავეს და ესტონელი რიუ ბლანშზე წაიყვანეს. აბერგს ჭუჩაშივე დაეწყო ძლიერი გულისრევა. ახლა მარტო გამსკდარი ძირმაგარა კი არა, მთელი ზურგი სტკიოდა.

ესტონელმა მთელი ღამე იწვალა. გამოძახებულმა ექიმმა კომპრესებითა და სველი საფენებით დილის ათ საათზე ოდნავ გაუყუჩა აუტანელი ტკივილი და ფალავანს ჩაეძინა. აბერგს სისხლის მოწამვლა აღმოაჩნდა. იგი ორი კვირით საავადმყოფოში დააწვინეს. რაკი შეჯიბრზე ვერ გამოცხადდა, ესტონელი წაგებულად ჩათვალეს.

აბერგისა და რაულის შერკინებამ ივან მაქსიმოვიჩზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. თავისი ძალის რწმენაც კი დაუკარგა. იქ, რუსეთში, მისგან გამარჯვებას ელიან, მან კი შეიძლება იმედი ვერ გაამართლოს.

„იქამდე მივსულვარ, — იგონებდა პოდუბნი, — მიფიქრია, უარს ვიტყვი და წავალ-მეთქი, მაგრამ იმისი სურვილი მაჩერებდა, რომ რუსული პროფესიული სპორტის ღირსება დამეცვა და საზოგადოების ნდობა გამემართლებინა“.

ივან მაქსიმოვიჩმა ზედიზედ თერთმეტი გამარჯვება მოიპოვა. მისი მეთორმეტე მოწინააღმდეგე რაულ ლე ბუშე იყო — აბრეგის ყოფილი ძეტოქე...

მწვრთნელი ეჟენიც ნერვიულობდა. ერთი მისი აღზრდილი უკვე გამოვიდა წრიდან. როცა მოჭიდავეები მარცხდებიან, ეს ბათი მწვრთნელების მარცხიცაა.

— ჟან, — უთხრა მან ივან მაქსიმოვიჩს რაულთან შეხვედრის წინ, — ძალ-ღონეს ნუ დაიშურებ. შეეცადე ლე ბუშე პირველ თხუთმეტ წუთში წააქციო.

რაულ ლე ბუშეს მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა. უღიმოდნენ მსაჯებიც, რომლებიც აშკარად კეთილად იყვნენ განწყობილნი თანამემამულის მიმართ.

ეჟენის დარიგება ამაო გამოდგა. რაულმა თვითონ გაამწვავა ბრძოლა. ცდილობდა მოხერხებული დრო ეხელთა და გამეტებით ურტყამდა მეტოქეს კისერში და ყურებზე, მაგრამ პოდუბნი მშვიდად იცდენდა ლე ბუშეს შეტევებს.

„ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ტალღები ეხეთქებაო“, — წერდა ჭიდაობის ერთ-ერთი დამსწრე.

ორივე ფალავანი ერთად სულ ცოტა ტონის მეოთხედს იწონიდა. მოჭიდავეები ისეთი თავგამოდებით ცდილობდნენ ერთმანეთი მკლავებში მოემწყვდიათ, რომ ქშენა აუვარდათ. მესამე წუთზე რაული ოფლისგან ერთიანად ლაპლაპებდა. პოდუბნის მის ტანზე ხელები უსხლტებოდა. ივან მაქსიმოვიჩი მიხვდა, რომ აქ რაღაც თვალთმაქცობა იმალებოდა.

მან ხელი ასწია და მსაჯებს გააუცხადა, ჩემს მოწინააღმდეგეს ტანზე ზეთი აქვს წასმულიო. მსაჯებმა შეამოწმეს და ნახეს, ოფლის წვეთები, რომლითაც ფრანგს მთელი ტანი ჰქონდა დაფარული, მართლაც ზეთიანი იყო.

ჭიდაობა მაინც არ შეუწყვეტიათ. რაული პირსახოცით ააშშრალეს, მაგრამ ზეთიანი ოფლი მაინც გამოსდიოდა. ახლა ფრანგს ყოველ ხუთ წუთში პირსახოცით ამშრალებდნენ.

კიდევ ნახევარ საათს ცდილობდნენ ფალავნები ერთმანეთის წაქცევას, მაგრამ ამაოდ: ბოლოს მეტოქენი შეასვენეს.

ეს შესვენება ერთის ნაცვლად ხუთ წუთს გაგრძელდა.

ტურნირის მესვეურთ სურდათ თავიანთ რჩეულს დახმარებოდნენ, მაგრამ არც ის უნდოდათ, მიკერძოება გამოემჟღავნებინათ. გადაწყდა ჭიდაობა კიდევ ნახევარი საათით განეახლებინათ და გამარჯვება ქულებით მინიჭებოდათ. ბუნებრივია, პოდუბნიმ, რომელიც თავის მეტოქეს ლიპ ტანზე ხელს ვერ აელებდა, შეხვედრა ქულით წააგო და შეჯიბრებას გამოეთიშა, თუმცა ხალიჩაზე ის უფრო აქტიურობდა.

მაგრამ საკუთარი სიმართლის შეგნებას შელავათი არ მოუტანია.

„თურმე, — იგონებდა შემდეგ პოდუბნი, — შეჯიბრებამდე სამი თვის განმავლობაში რაული ანტონიჩთან ვარჯიშობდა, რომელიც თურქული წესით ყოველ ვარჯიშზე ზეითუნის ზეთს უსვამდა, რამაც თავისი შედეგი გამოიღო ჩემი და რაულის ჭიდაობის დროს. ორგანიზმის მიერ შეწოვილი ზეთი გარეთ ოფლთან ერთად გამოდიოდა და რაული მოუხელთებელი გახდა“.

ამბობენ, კანი მაშინაც კი ცხიმოვანი ხდება, თუ ბევრ ზეითუნის ზეთს დალევო.

ივან მაქსიმოვიჩი განადგურებული იყო. სამი დღე პირში ლუკმა არ ჩაუშვია. ოთახიდან გარეთ არ გამოსულა... ასეთი დამარცხების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება რცხვენოდა. იქნება ჯობდა ჭიდაობა არ გაეგრძელებინა, შეეწყვიტა და პროტესტი განეცხადებინა...

ეჟენმა პეტერბურგში დეპეშა გაგზავნა და ყველა ვითარება აუწყა. ათლეტთა საზოგადოებამ მაშინვე უპასუხა. ის რაულ ლე ბუშეს სთავაზობდა პოდუბნისთან ჩემპიონატის გარეშე ეჭიდავა და თუ გაიმარჯვებდა, გასამრჯელოდ 10 ათას ფრანკს ჰპირდებოდა მას. რაულმა უარი განაცხადა.

იგივე „სპორტი“ 1903 წლის მაისის ნომერში წერდა:

„რუსი მოჭიდავეები აბერგი და პოდუბნი შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდნენ და შეჯიბრებას გამოეთიშნენ წაუქცევლად. საგულისხმოა, რომ ორთავეს ხელი მოეცარა ერთსა და იმავე ფალავანთან — რაულ ლე ბუშესთან. აბერგი მასთან 45 წუთს ჭიდაობდა, მეორე დღეს კი ავადმყოფობის გამო ჭიდაობაზე

უარი თქვა: მას ჩირქოვანი მუწუკი ჰქონდა და ჭიდაობაში ხელს უშლიდა. პოდუბნი მოულოდნელად დამარცხებულად სცნეს ქულებით. ქულების დათვლა თვითნებურად ხდებოდა. ისეთი ვარაუდით, რომ იმ მოჭიდავეს გაემარჯვა, რომელიც განსაკუთრებით მოსწონდათ ჩემპიონატის მომწყობთ"...

სუსტებს წარუმატებლობა ანადგურებს. პოდუბნი კი მარტო ფიზიკურად როდი იყო ადამიანი. მან თავს სძლია და „კაზინო დე პარიში" ყველა დანარჩენ ჭიდაობას დაესწრო. მორკინალი აკვირდებოდა, ხერხებსა და ფანდებს იმახსოვრებდა. ესეც არ იყოს, პარიზის ათლეტთა კლუბების ხშირი სტუმარი გახლდათ და სწავლობდა, სწავლობდა, სწავლობდა...

მეორმოცე დღეს ჩემპიონატი დამთავრდა. ათი ათასი ფრანკი და მსოფლიოს ჩემპიონობა იეს პედერსენმა მოიპოვა. მეორე იყო რაულ ლე ბუშე, მესამე ზბიშკო-ციგანევიჩი. სამივეს ჯერ კიდევ ელოდა ძალების გამოცდა ივან პოდუბნისთან.

17

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას ფიქრობდა პოდუბნი, სამშობლოში რომ ბრუნდებოდა. მან გრაფ რიბოპიერის იმედი ვერ გაამართლა, და განა მარტო გრაფისა? მთელ სპორტულ რუსეთს გული გაუტყდა ძასზე...

როგორ მოიქცეს? რა ქნას? ივან მაქსიმოვიჩი პეტერბურგში არ დაბრუნებულა, გადაწყვიტა, შშობლებს მოვინახულებო. კიევში რუსული გაზეთები იყიდა და ერთიმეორის მიყოლებით გულისფანცქალით გაშალა. მაგრამ გაზეთები მხოლოდ პარიზელ მსაჯთა არაობიექტურობაზე წერდნენ.

გრაფმა რიბოპიერმა პოდუბნი დიდ ჩემპიონატზე მიიწვია, რომელიც მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო.

მოსკოვი პოდუბნის ძალიან გულთბილად შეხვდა.

იგი რიბოპიერს საკუთარ სახლში ეწვია, იპოდრომთან. გრაფმა თავისი საჯინიბო დაათვალიერებინა, სადაც სახელგანთქმული ჩორთით მავალი რეკორდსმენი ბედაურები ება.

— იცით, ივან მაქსიმოვიჩ, მე თქვენი მჯერა, — უთხრა მას გრაფმა. — მე შევთავაზე ლე ბუშეს ათი ათასი ფრანკის გარანტია... მაგრამ ვგონებ ის ამ ფულს ვერ მიიღებდა, თქვენ როგორღა ფიქრობთ?

— ძე, თქვეხო აღ...

— უბრალოდ გიორგი ივანოვიჩი დამიძახეთ.

— გიორგი ივანოვიჩ, ჩემთვის პარიზში ბევრი რამ ახალი იყო. ჩვენ აქ უბრალოდ ვჭიდაობთ, უფრო მეტად ღონეს დანდობილნი, მათ კი ახალი ილეთები აქვთ...

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩვენს ფალავნებს საერთაშორისო ჩემპიონატებში მონაწილეობისათვის გამოცდილება აკლიათ, არაᲥ

— მე ნამდვილად მაკლდა. აი, ლურიხმა ჰამბურგში გაიმარჯვა და მსოფლიოს ჩემპიონად ითვლება. მაგრამ რომელი ჩემპიონია მთავარი — ჰამბურგისა თუ პარიზის?

— პარიზისა. ამ შეჯიბრზე უფრო ცნობილი ფალავნები იყრიან თავს. სხვათა შორის, ლურიხმა გაზეთში ღია წერილი გამოაქვეყნა ჩემი მისამართით. იგი ამტკიცებს, მოსკოვის ჩემპიონატზე იმიტომ არ მიმიწვიეს, რომ რიბოპიერს ეშინია პოდუბნი არ წავაქციოო...

გრაფმა მხრები აიჩეჩა.

— ამას სახელ-დიდებისთვის წერს, გიორგი ივანოვიჩ, მეტი ხმაური რომ ატეხოს. ჩემს წაქცევას კი ტყუილად იქადის, როგორც ჩვენში, უკრაინაში იტყვიან, საქმეს ბოლო აგვირგვინებსო.

— სწორედ ეს მინდოდა მომესმინა თქვენგან. მე არ მქონია და არც ახლა მაქვს რაიმე განზრახვა ლურიხის წინააღმდეგ, მაგრამ რაკი ასე სწადია ჩემპიონატში გამოსვლა, დაე გამოვიდეს...

გრაფი გაღიზიანებას ვერ ფარავდა.

იმ ხანებში ივან მაქსიმოვიჩი საუკეთესო ფორმაში იყო. ეჟენთან ვარჯიშის შემდეგ დაღლილობამ და ნერვულმა აშლილობამ გაუარა. ჯან-ღონე კვლავ დაუბრუნდა, მაგრამ თავს მსუბუქად გრძნობდა.

და დაიწყო მის ცხოვრებაში ჟამი წარმატებებისა, რომელმაც სახალხო დიდების მწვერვალზე აიყვანა.

მოსკოვის ჩემპიონატის პირველსავე დღეებში იგი თავისუფლად ერევა მიხაილოვს, აბასოვს, გლინკინს... ჭიდაობა ლურიხთან, რომელიც ძალზე გამომწვევად იქცეოდა, ივან მაქსიმოვიჩისათვის მთავარი გახლდათ. მან იცოდა, რომ ესტონელი „პარტერში“ ძალიან ღონიერი იყო, ამიტომ გადაწყვიტა

ყირით გადაეგდო და თავისი ძლიერი ტანით ზევიდან დასწოლოდა. იანკოვსკისთან ჭიდაობაში პოდუბნიმ ლურიხის საუკეთესო ფანდი გამოიყენა — „ხიდურზე" დადგა, უცებ ამოტრიალდა და „მამიკო" ქვეშ მოიქცია.

პოდუბნის ოსტატობა ჯერ კიდევ ბევრს ეეჭვებოდა. ამბობდნენ, ოსტატობით კი არ იმარჯვებს, არამედ ღვთით ბოძებული ღონითო. ივან მაქსიმოვიჩს არავის დარწმუნება არ უცდია. ის საჭიდაოდ პროვინციაში გაემგზავრა. ყოველდღე დაძაბული ვარჯიშობდა, გაუთავებლად ამუშავებდა და ხვეწდა ნანახ ფანდებს, იგონებდა ახალ ილეთებს.

შემდეგში პოდუბნი ამაყად განაცხადებს: რუსეთში ფრანგული ჭიდაობა პიტლიასინსკიმ შექმნა, განავითარა და გააუმჯობესა ლურიხმა, მე კი საბოლოოდ სრულვყავიო. მას ჩამოთვლილიც ჰქონდა ეს ხერხები — „გადაგდება", „კერა", „შემოთხრა", თათრული ჭიდაობიდან ნასესხები „გადასროლა".

ძნელია წარმოიდგინო რაიმე „საბოლოოდ სრულქმნილი", მაგრამ ისეთი გამოცდილი მოჭიდავეც კი, როგორიც ოლიმპიური და მსოფლიოს პრიზიორი ალექსანდრე ივანიცკია, აღიარებს, რომ პოდუბნის ზოგიერთი ფანდი მისთვის ნამდვილი ზეშთაგონება იყო.

18

ჩინიზელის ცირკის სინათლეები ფონტანკის ყინულზე კაშკაშა ბილიკებივით გაწოლილიყო, პეტერბურგის ქარს სარკესავით რომ მოეპრიალებინა.

ფრაკსა და ცილინდრში გამოპრანჭული ბატონი დირექტორი ჩიპიონე ჩინიზელი უნიფორმისტთა მწკრივს კოჭლობით გამოივლიდა და მანეჟზე გამოდიოდა. ჩინიზელი მაყურებელს თავს დაუკრავდა და შამბერიერის ტკაცუნში არენაზე თავად სანგუშკოს ცხენთსაშენში გამოზრდილი რვა ჩალისფერი ულაყი გამორბოდა.

ულაყ სუჟიონიზე ამხედრებული „ქალბატონი დირექტორი" ლიცია ჩინიზელი მოხდენილად უჩვენებდა „მხედრობის უმაღლეს სკოლას", ხოლო ორთავა არწივით მორთული მეფის ლოჟიდან მას ნაზად უმზერდა მეფის ბიძა, დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდროვიჩი. ბატონი დირექტორი ამაყობ-

და თავისი ცოლის კავშირით მეტის ოჯახის წევრთან და ამ ამბავს ყველას უყვებოდა.

გამოსვლის შემდეგ ბატონი და ქალბატონი დირექტორი ტანსაცმელს გამოიცვლიდნენ და პირველ რიგში თავიანთ ტრადიციულ ადგილებს იკავებდნენ. „ქალბატონი დირექტორი", უკანასკნელი მოდელის ამაზონურა დიორის მდიდრული კაბით რომ შეეცვალა, ლორნეტით ათვალიერებდა ცნობილ ფრანგ მოცეკვავეს და კურტიზანს, პეტერბურგში საგასტროლოდ ჩამობრძანებულ კლეო დე მეროდს.

პარიზი, პარიზი... ბატონ დირექტორ ჩიპიონე ჩინიზელის შურდა ჭიდაობაში პარიზის ჩემპიონატის მიღწევები. მაგრამ მან უკვე გაჩარხა საქმე მოჭიდავესა და ანტრეპრენიორ შარლ დიუმონთან, რომელიც 1904 წლის დასაწყისში ჩინიზელის ცირკში საერთაშორისო შეჯიბრების მოწყობას კისრულობდა. მოწვეული იყო შვიდი რუსი და ოცდასამი უცხოელი მოჭიდავე, რომელთა შორის ყველაზე ძლიერებად ითვლებოდნენ ბულგარელი ჩემპიონი ნიკოლა პეტროვი და სამი ფრანგი ფალავანი — მსოფლიო ჩემპიონი პოლ პონსი, ემაბლ დე ლა კალმეტი და... რაულ ლე ბუშე.

ივან შემიაკინი, რომელიც ჩემპიონატზე პირდაპირ ჯარისკაცური ყაზარმიდან მოიწვიეს და რომელიც შემდგომ რუსეთის ერთ-ერთი ძლიერი მოჭიდავე გახდა, იგონებდა:

„აქამდე არასოდეს მენახა ასეთი ღონიერი ადამიანები, განსაკუთრებით, პონსისა და რაულ ლე ბუშეს მსგავსნი. ბევრს არ სჯეროდა, რომ პონსი მართლაც ასეთი ღონიერი იყო, მაგრამ მე მსოფლიოს თითქმის ყველა ფალავანთან მიჭიდავია და გარწმუნებთ, რომ ის ერთ-ერთი უძლიერესთაგანი გახლდათ მათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს. შემდეგში მას ჯობნიდა რაულ ლე ბუშე, მაგრამ რაულს ფენომენალური ღონე ჰქონდა. იგი კაცი კი არა, სტიქია იყო. უდიდესი შთაბეჭდილება ჩემზე მოახდინა პონსმა, და ყველაზე შეურაცხმყოფელი ის იყო, რომ მე, ამ სიმაღლე კაცი, მთლად ყმაწვილი ვჩანდი".

ივან მაქსიმოვიჩ პოდუბნი პეტერბურგში ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა.

პარიზის წარუმატებლობის გახსენება გულში ეკალივით ესობოდა. ნუთუ რუსეთში არ მოიძებნება მოჭიდავე, რომელიც ყოყოჩა ფრანგებს წააქცევს? ალბათ სხვებს კიდევ შემი-

აკინი სჯობდა. მაგრამ მას გამოცდილება აკლდა. ივან მაქსიმოვიჩს ჰქონდა ფრანგებთან ჭიდაობის გამოცდილება და, რაც მთავარია — ჟინი, რევანშის აღების სურვილი, უნდოდა დაემტკიცებინა, რომ რუსებსაც ცოტა რამ გაეგებათ და რომ მათ თავიანთი სკოლა აქვთ...

იგი ათლეტთა საზოგადოებაში ვარჯიშობდა, ყოველ მოსალოდნელ ბრძოლაზე დიდხანს ფიქრობდა და თავისი განზრახვა ძმისთვის, მიტროფანესთვისაც კი არ გაუმხელია, რომელიც ბოლშაია ნევკასთან გრენადერთა პოლკის ყაზარმაში ინახულა.

პოდუბნიმ გადაწყვიტა მთლიანად ეჩვენებინა თავისი შესაძლებლობები, ჭიდაობის დროს უფრო თავი დაეცვა, შეტევაზე ნაკლებად გადასულიყო, ძალები დაეზოგა გადამწყვეტი შერკინებისათვის. რაც მთავარია, დაე მოწინააღმდეგემ შეუტიოს, გაბრუვდეს თავისი წარმატებებით, სიფრთხილე დაკარგოს...

სამი ათასი მაყურებელი, დღენიადაგ ჩინიზელის ცირკში რომ იკრიბებოდა — ხავერდგადაკრული სავარძლებიცა და „დაუნომრავი“ ქანდარაც — პოდუბნის დუნე ჭიდაობით უკმაყოფილო იყო, თუმცა ივან მაქსიმოვიჩი მუდამ იმარჯვებდა. „მე ხელოვნურ სუნთქვას მივმართავდი (განგებ მძიმედ სუნთქავდა — დ. ე.), ხალხს თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს ჭიდაობა არ ვიცოდი, მოუქნელი და ზანტი ვიყავი, და თუ მოწინააღმდეგეს წავაქცევდი, ყველა ფიქრობდა, შემთხვევით წააქციაო“.

მაყურებლები ლაპარაკობდნენ:

— პოდუბნი სპორტსმენი კი არა, დათვია. გადაეყრება ვარგ მოჭიდავეს და მოგვამა ჭირი...

— მოუქნელია, ფრანგებთან ეგ რას გახდება...

ერთხელ მასთან მიტროფანე მივიდა:

— რისი გეშინია! რას ფრთხილობ, მთელი პეტერბურგი დაგცინის.

— ბოლოს ენახოთ, ვინ იქნება დასაცინი, — უპასუხა ივან მაქსიმოვიჩმა, — აქ, ძამიკო, ცირკი არ არის, ჩემპიონატია. თავი უნდა გებას მხრებზე. დაე იფიქრონ, რომ ჭიდაობა დამავიწყდა.

ჩემპიონატის ფინალში დაუმარცხებლად ოთხი მოჭიდავე გავიდა — პეტროვი, პონსი, რაულ ლე ბუშე და პოდუბნი.

პოდუბნისა და პეტროვის ჭიდილი ორმოც წუთს გრძელ-

დებოდა. გაიმარჯვა პოდუბნიმ. აი, როგორ იგონებს ამ ჭიდაობას ივან მაქსიმოვიჩი.

„აქ რაღაც-რაღაც ფანდები ვაჩვენე, რასაც ყურადღება მიაქციეს იქვე მსხდომმა ფალავნებმა და ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

— თავიდან როგორი ლოხი იყო და ასე მალე რა კარგად ისწავლა ფრანგული ჭიდაობა. დახე, რა ნიჭიერი ყოფილა!

მე კი მანეჟზე ვიდექი დი მეღიმებოდა“.

რა მოკლე და ზუსტია პოდუბნის ბოლო ფრაზა. თითქოს საგანგებოდ ლიტერატურული გურმანებისთვისაა შექმნილიო. ამ სტრიქონებში ნათლად ჩანს პოდუბნი მთელი თავისი არსებით — თავისი გლეხური ეშმაკობით, თავისი თავის მიამიტი სიყვარულით.

ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი დღე რჩებოდა... და ორი ჭიდაობა — რაულ ლე ბუშესთან და პოლ პონსთან.

ჩინიზელის ცირკში მიმდინარე ჩემპიონატი კომერციული გახლდათ. ანტრეპრენიორმა დიუმონმა ის რაულ ლე ბუშესთან და პოლ პონსთან ერთად საპაიოთი მოაწყო. ხელშეკრულებით მას ჩინიზელისაგან სახარჯოდ 24 ათასი მანეთი უნდა მიეღო. იმავე კონტრაქტით ხუთი ათასი პრიზებზე უნდა დახარჯულიყო. პირველი ადგილისთვის გამოყოფილი იყო 3 ათასი მანეთი, მეორესთვის — ათასი, მესამესთვის — 600, მეოთხისთვის — 400.

ფრანგებს იმედი ჰქონდათ, რომ პირველ პრიზებს აიღებდნენ. მაგრამ პოდუბნის გამარჯვებებმა დაეთრები აურიათ. ის უკვე მესამე ადგილზე გადიოდა. დიუმონი შეღონდა: ფულები ხელიდან უსხლტებოდა.

დირექტორი ჩინიზელი გულარხეინად იყო. ფალავნების საერთაშორისო შეჯიბრების იდეამ გაამართლა: სალარო სავსე იყო, პარჯები და საზრუნავი არც ისე დიდი გახლდათ. დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდროვიჩმა პირადად გადაუხადა მადლობა ასეთი დიდი სიამოვნებისათვის.

როცა დიუმონი დირექტორის კაბინეტში შევიდა, ჩინიზელიმ თბილად დაუქნია ხელი: „დაჯექითო“, თვითონ კი არ ამდგარა — დასახიჩრებული ფეხის გამო ასეთი საქციელი ეპატიებოდა.

— მოხარული ვარ, რომ მობრძანდით, მუსიე შარლ, — უთხრა ჩინიზელიმ, — დღეს პოლიცმეისტერს ველაპარაკე. გუშინ ჭიდაობა ძალიან გვიან დამთავრდა. მინდა შეგახსენოთ, რომ სანახაობანი პეტერბურგში ნებადართულია მხოლოდ საპოლიციო საათამდე, ესე იგი, ღამის თორმეტ საათამდე...

— ბოდიში, ბატონო დირექტორო, ეს აღარ განმეორდება. ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება და უკვე მოფიქრებული მაქვს როგორ შეიძლება მეტად დავაინტერესოთ მაყურებელი ბოლო შეხვედრებით. თუ წვრილმან პრიზებს გავაუქმებთ, ოთხ პრიზს ერთ პრიზად ვაქცევთ და ტურნირში გამარჯვებულს ხუთი ათასს დავპირდებით, მაყურებელს ეს მოეწონება და ბრძოლაც უფრო გამძაფრდება.

— კი მაგრამ, ხელშეკრულება, მუსიე შარლ? ხელშეკრულებაში ხომ ნათქვამია...

— მაპატიეთ, ბატონო დირექტორო, მაგრამ ეს ხელშეკრულება ხომ ჩემი და თქვენი შედგენილია. პირობების შეცვლა შეიძლება, რაღა თქმა უნდა, ურთიერთშეთანხმებით.

— მე თანახმა ვარ.

დიუმონი კარისაკენ გაემართა, მაგრამ ჩინიზელიმ კითხვა დაადევნა:

— კი მაგრამ, ჩემო მეგობარო, დარწმუნებული ხართ პონსის ან ბუშეს გამარჯვებაში?

დიუმონი ადგილზე გაქვავდა და შემოტრიალდა. მოზვერიცით კისერი გაუწითლდა, მაგრამ არც ჩინიზელის კილოსა და არც მის თვალებში ანტრეპრენიორს ირონია არ შეუმჩნევია. ირონია არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩინიზელის გრაფ რიბოპიერთან სანაძლეო ჰქონდა დადებული, ფრანგი გაიმარჯვებსო. გრაფი კი ერთზე ხუთს ჩამოდიოდა, პოდუბნი აჯობებსო.

— დარწმუნებული ვარ, ბატონო დირექტორო.

მალე დიუმონი სასტუმროს ნომერში იყო, სადაც მას ფრანგი მოჭიდავეები ელოდნენ.

— ყურადღებით მომისმინეთ. მე მოვახერხე წვრილი პრიზების გაუქმება. ხუთი ათასი დიდი ფულია და თუ ეს ფული წავაგეთ, თქვენ მხოლოდ გამოსვლის გასამრჯელოს მიიღებთ. იმ საცოდავ გროშებს, რაც ჩემპიონატის ორგანიზაციის ხარჯების შემდეგ დარჩა, ვერ გაგინაწილებთ...

— რა არის საგანგაშო, შარლ?—უთხრა რაულ ბუშემ, გაიზმორა და დიდი გადმოკარკლული თვალები მოჭუტა. პოდუბნისთან პარიზში მიჭიდავია და გახსოვს, როგორ დამთავრდა ის შეხვედრა...

— შენ კარგი მოჭიდავე ხარ რაულ, მაგრამ ჩემპიონობას ვერასოდეს ეღირსები. თავიც უნდა გებას კაცს! ვგრძნობ, რომ პოდუბნის ყველაფერი არ უჩვენებია, რაც ძალუძს. ის ჩინებულ ფორმაშია. ძალ-ღონეს ნუ დაიშურებ. თუ ვერ წააქცევ, რაც შეგიძლია სიჭა გააცალე. მაშინ პოლს უზრუნველყოფილი ექნება გამარჯვება. ხომ მოერევი, პოლ?

გიგანტმა პოლ პონსმა თავი დაუქნია.

— პოდუბნის მე წავაქცევ! — იყვირა რაულმა. — თვალები ბოროტად დააკვესა, სკამიდან წამოხტა და მუშტები შეჰკრა. — და არა მარტო პოდუბნის...

— შენ პოლს დანებდები. ეს გადაწყვეტილია. შენ მე მიცნობ... — დიუმონის ხმაში მუქარა გაისმა. რაული ჯუჯღუნით დაეშვა სკამზე და გაბრაზებული ზურგზე გადაწვა. სკამმა ასეთ სიმძიმეს ვერ გაუძლო და დაიმსხვრა. რაული იატაკიდან წამოხტა და სკამის ნამსხვრევებს ფეხი წაჰკრა. ცოტა რომ დაწყნარდა, გაუუჩდა.

დიუმონი ანტრეპრენიორია, ბატონ-პატრონი და მასთან წაჩხუბება მართლაც სახიფათოა. რაულის მთელი გასამრჯელო, რაც არც ისე ცოტა გახლდათ ახალგაზრდა კაცისათვის, დიუმონზე და კიდევ ორ-სამ ანტრეპრენიორზე იყო დამოკიდებული, რომლებსაც, მიუხედავად ურთიერთმტრობისა, საოცარი შეხმატკბილება შეეძლოთ, როცა საქმე ჭირვეული მოჭიდავის მორჯულებას ეხებოდა.

გრაფი რიბოპიერი პოდუბნისთან შევიდა. ივან მაქსიმოვიჩი თავის ყოველდღიურ გაკვეთილს იმეორებდა. თუჯის „პირამიდას“ ჰაერში ისროდა და იჭერდა.

— ივან მაქსიმოვიჩ, პრიზების ამბავი გაიგეთ?

— გავიგე. გამოდის, რომ მათ უკვე დაადგინეს, ვინ იქნება გამარჯვებული. დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო. უჰ, ეს შეჩვენებული ფრანგები... ოჰ, მაპატიეთ, გიორგი ივანოვიჩ!

— არა უშავს. მე რა ფრანგი ვარ. მე მხოლოდ გვარი

მაქვს ფრანგული. ჩემი წინაპარი ჯერ კიდევ სუვოროვს ემსახურებოდა და იზმაილის შტურმის დროს დაიღუპა. თქვენ კი იმიტომ გეახელით, რომ შეგახსენოთ: რუსული სპორტის ღირსება თქვენს ხელშია. საქმე ფული როდია, თუმცა მე მესმის, რომ პრიზი — ეს თქვენი შემოსავალია.

— მე უკვე ვიფიქრე მაგაზე. რუსეთის სახელი უფრო ძვირად მიღირს.

პოდუბნის აცოფებდა პარტერის პირველი რიგის მაყურებელთა განწყობილება, რომლებიც, როგორც ის ამბობდა, „ჩვენ, რუს ფალავნებს, კარგ მოჭიდავეებად არ გვთვლიდნენ".

გვარდიის ოფიცრები, „ოქროს ახალგაზრდობა" და ახალგაზრდა ვაჭრები, ეტყობოდა, ფრანგი მოჭიდავეებით მოხიბლულნი, არტისტების საპირფარეშოებთან იკრიბებოდნენ, სტუმრებს ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდნენ და ხელიდან არ უშვებდნენ შესაძლებლობას, რომ ერთი-ორი წამახალისებელი სიტყვა ეთქვათ ფრანგულად. ასე ხედებოდნენ პეტერბურგში ყოველივე „პარიზულს" — საშუალო მუსიკოსს, თუ მესამე თანრიგის შანსონიეს.

პოდუბნიმ გადაწყვიტა, მათ ეს განწყობილება უნდა შეეცვლევინოო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს უცებ არ მოხდებოდა. მან კარგ მოჭადრაკესავით წინასწარ ყველა სვლა მოიფიქრა...

თავად იცოდა რაულის ღონე და სიმარჯვე, საკუთარი ძალა და უნარი კი მთლიანად არ აჩვენა. ჭიდაობის მთელი ოცდაათი წუთი ივან პოდუბნი მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ მეტოქისათვის არც ერთი ილეთის ჩატარების საშუალება არ მიეცა. განმეორებითი შეხვედრა მეორე დღეს დაინიშნა. ეს გადამწყვეტი შეხვედრა იყო. გამარჯვებამდე უნდა ეჭიდავათ.

არტისტთა საპირფარეშოში, სადაც ყველა მოჭიდაეე შეკრებილიყო, რაული ისეთ მხიარულ გუნებაზე გახლდათ, რომ სიმღერაც კი წამოიწყო. ის დარწმუნებული იყო თავის ძალაში.

— ბატონო პოდუბნი, პარიზში უფრო ძლიერი მეჩვენეთ... ახლა კი რატომღაც სულ არა ხართ ძლიერი... — უთხრა მან ივან მაქსიმოვიჩს.

— ვუი[1], — უპასუხა პოდუბნიმ და მშმუნვარედ გააქნია თავი, თან ღიმძინა: — ხვალ ვნახავთ...

დადგა მეორე დღე.

წინადღით გათამამებული რაული პოდუბნის ერთბაშად ეძგერა. ეტყობოდა, პირველ წუთებშივე უნდოდა მეტოქე გაეტეხა. მაგრამ ახლა არც ივან მაქსიმოვიჩი იკავებდა თავს. იგი ფანდს ფანდზე ხმარობდა. რაული დაიბნა. მისი სიმამაცე უკვალოდ გაქრა. მეთხუთმეტე წუთზე იგი „პარტერში“ აღმოჩნდა. კიდევ ოცდაშვიდ წუთს ამტვრევდა და ატრიალებდა მას პოდუბნი და წამდაუწუმ პარიზსა და ზეითუნის ზეთს იხსენებდა. ორმოცდამეორე წუთზე ივან მაქსიმოვიჩის ქვეშ მოყოლებულმა რაულმა იყვირა: მსაჯებს რაღაც მინდა ცუთხრაო, მაგრამ პოდუბნი ხელს არ უშვებდა.

— მანეჟიდან გაიქცევა, — თქვა ივან მაქსიმოვიჩმა.

მაგრამ მსაჯები მოითხოვდნენ, რომ პოდუბნის მეტოქისათვის ხელი გაეშვა.

რაული ადგა, ბარბაცით მიუახლოვდა მსაჯთა მაგიდას და განაცხადა, ჭიდაობის გაგრძელება აღარ შემიძლიაო.

რაული დირექტორის კაბინეტში იჯდა და ტიროდა. მასთან შესული მაყურებელი ოფიცრები ცდილობდნენ ჭიდაობის გაგრძელებაზე დაეყოლიებინათ.

ივან მაქსიმოვიჩი კი მანეჟზე, მსაჯების მაგიდასთან იდგა და ამტკიცებდა, გაქცეული მეტოქე დამარცხებულად ითვლებაო. ამ დასკვნას ლარი და ხაზი არ უნდოდა; ივან პოდუბნი გამარჯვებულად აღიარეს.

და აი, ბოლო მეტოქეც — ორმეტრიანი გიგანტი პოლ პონსი. გამოაცხადეს პირობა — ორთაბრძოლა იქნება თხუთმეტწუთიანი, ორწუთიანი შესვენებით. შემდეგ კი ჭიდაობა გაგრძელდება უშესვენებოდ პოლიციის საათამდე, ესე იგი, თითქმის ორ საათს გასტანს.

პარტერი ჯერ კიდევ ვერ ფარავდა თავის მიკერძოებასა და დაძაბულობას, სამაგიეროდ ქანდარა პოდუბნის ყიჟინითა და გულითადად შეხვდა. მისი წინა გამარჯვების ამბავმა მთელი პეტერბურგი ფეხზე დააყენა — ფრანგს მოერიაო.

---

[1] ჰო (დამტერეულმ ფრანგ.).

პეტერბურგელებს გაახსენდათ, რომ რუსები იყვნენ; აფორიაქდნენ, ცირკს მიაწყდნენ, ახალ ცნობებს მოუთმენლად ელოდნენ.

პირველ თხუთმეტ წუთს პოდუბნი ისევ ეშმაკობდა, მოწინააღმდეგის სუსტ ადგილებს სინჯავდა. შესვენების შემდეგ მაყურებელმა ნამდვილი პოდუბნი იხილა. ოდესღაც ძლიერ პონსს მალე ვეღარავინ სცნობდა. ერთ-ერთი დამსწრე იგონებს, რომ პოდუბნი „მას არენაზე აქეთ-იქით ისროდა, წამდაუწუმ აიძულებდა „პარტერში" გადასულიყო, რაც პონსს საერთოდ არ უყვარდა".

ცირკმა ხმა გაკმიდა. მაყურებელი ნერვულად მუშტავდა ხელებს. ყველა დიდი ამბების მოლოდინში განაბულიყო.

პონსი ხალიჩიდან აღარ დგებოდა. „ჭიდაობის ბოლოს საცოდაობა იყო მისი ყურება, — ამბობს იგივე დამსწრე, — ტრიკო ჩამოეჩაჩა, თითქოს უცებ გახდა და წელში ოცი სანტიმეტრი მოიკლოო; ისე დაიჭმუჭნა, რომ ჩვარის დაემსგავსა, გაწურვა მოგინდებოდა".

და აი, პოდუბნი საბოლოოდ „აგდებს მას პარტერში".

„ყველა ტექნიკურ ილეთს ვიყენებდი, უკეთესსაც კი (ალბათ, ძალისმიერი ფანდები იგულისხმება — დ. ე.), — იგონებს ივან მაქსიმოვიჩი. — მთელი გამოცდილება, ძალა და ენერგია ბოლომდე დავხარჯე. მკერდზე მარცხენა მხარეს ყურს ვადებდი და გულისცემას ვუსმენდი"...

შემდეგ ივან მაქსიმოვიჩი არა მარტო თავის თავს, მაყურებელსაც ნადავლის მომლოდინე მტაცებელ ნადირს ადარებდა...

ჭიდაობის ეს მეთხუთმეტე წუთზე პოდუბნიმ პონსს იღლიის ქვეშ მკლავი ამოუტარა და მუშტი კისერში მიაჭირა, მეორე ხელით კი მეტოქე გულალმა ამოატრიალა.

„ასე ბეჭებზე გაკრული მეჭირა, სანამ ფეხებში არ მომწიეს. არბიტრის სასტვენს არ ვემორჩილებოდი: ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ მერე მაყურებელს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონოდა... კარგად მესმოდა, რომ ჩემი მხრიდან ეს უხეშობა და უკულტურობა იყო"...

დიახ, მას ესმოდა, მაგრამ ამას პარტერის პირველი რიგებისათვის აკეთებდა — აჰა, დარწმუნდითო!

ივან მაქსიმოვიჩს მანამდე არასდროს მოუსმენია ასეთი

აპლოდისმენტები, აღფრთოვანების ასეთი ყიჟინა, როგორც იმ ღამით. სამი ათასი მაყურებელი ფეხზე წამოხტა და ხელების ქნევას მოჰყვა. მანეჟზე ფრიალ-ფრიალით ცვიოდა კარტუსები, ქვაბქუდები...

პოდუბნიმ პონსს ხელი უშვა, მერე წამოდგა და ხელები ასწია. ჩინიზელის ცირკში სიჩუმე ჩამოვარდა.

— აფიშებში წერია, რომ ჩემპიონატში გამარჯვებულს პირველი პრიზი — ხუთი ათასი მანეთი ერგებაო, მე მთელი თვეა ვეჯიდაობ და პრიზი დავიმსახურე. გთხოვთ ფული აქ, მანეჟზე მომიტანოთ და მაყურებლის თვალწინ გადმომცეთ.

ეს იმიტომ თქვა, რომ შეამჩნია, რა გაცხარებით აფუსფუსდნენ ჩემპიონატის ორგანიზატორები. დიუმონი ცდილობდა მსაჯებისათვის დაემტკიცებინა, პონსი ხალიჩის გარეთ დასცესო. ფულის გადახდას, ეტყობა, არ აპირებდა.

მანეჟზე რაულ ლე ბუშე გამოვარდა, ტანსაცმელი შემოიგლიჯა და მოითხოვა, რომ პოდუბნის ახლავე, აქვე ეჭიდავა მასთან. იგი ყვიროდა, რუსს გუშინ არ წაეუქცევივარო.

მაყურებელი იცინოდა. უსამართლობა აშკარა იყო — ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ განა ჭიდაობა შეიძლებოდა?..

მაყურებელი ხმაშეწყობილად სცემდა ტაშს და პრიზის გადაცემას მოითხოვდა.

არენაზე თავად ბატონი დირექტორი ჩიპიონე ჩინიზელი გამოვიდა და ივან მაქსიმოვიჩს სთხოვა, ფულის მისაღებად კანტორაში წამობრძანდითო, მაგრამ პოდუბნიმ უარი უთხრა.

მაყურებელი არ ცხრებოდა, პოლიციის გამოძახებას მოითხოვდა. მანეჟზე გამოვიდა პეტერბურგის პოლიცმეისტერი ჰალე და ცირკის სალაროს დაკავება ბრძანა. ბოლოს ფული მოიტანეს.

პოდუბნიმ ისევ ასწია ზევით ხელი.

— თუ შეიძლება, პალტოც აქ მომიტანონ, კულისებში არ გავალ, მომკლავენ!

ჯერ კიდევ პარიზში გაიგო პროფესიონალ მოჭიდავეთა ზნე-ჩვეულებები და იცოდა, რომ ისინი იარაღს მუდამ თან ატარებდნენ.

მაშინვე მოიძებნა თანაშემწეები და მცველები. მოიტანეს

პალტო, ბუფეტში ფულის გასახვევად ქაღალდის ხელსახოცი იყიდეს და ივან მაქსიმოვიჩი ეტლამდე მიაცილეს, რომელიც მას გრაფმა რიბოპიერმა დაუთმო.

ღამის ოცი საათი იყო დაწყებული. სიმეონოვის ქუჩაზე და ლიტეინის პროსპექტზე კედლების გასწვრივ მოზეიმე პეტერბურგელები იდგნენ. პოდუბნიმ უცებ აღიქვა, რომ მოხდა რაღაც დიდი, საგანგებო მოვლენა, და არა მარტო პირადად მისთვის. ეს იყო რუსეთის გამარჯვება, მისი სამშობლოს გამარჯვება. ამ ღამიდან იგი ისეთ პატივისცემაში ჰყავდათ, როგორსაც მხოლოდ ეროვნული გმირები იმსახურებენ.

10

პოდუბნი თავისი ძალ-ღონის გაფურჩქვნის ხანაში იყო. რეკორდი დაამყარა სიმძიმეების აწევაში. ხალხს ეგონა, რომ ადამიანის ორგანიზმი ამაზე მეტ განვითარებას ვერ მიაღწევდა, თვითონ პოდუბნი კი თავის მიღწევებს უფრო მოკრძალებულად უცქეროდა. ეს ყველაფერი მისთვის პარიზის მორიგი ჩემპიონატისათვის მზადება იყო. ამბობდა, თუ უძლიერესთ ბეჭებზე ვერ დაეცემ, ყოველ შემთხვევაში, არც თავს წავაქცევინებო...

ისევ შეიკრიბა პარიზში ას ორმოცი ცნობილი ფალავანი. ფავორიტებად ისევ ითვლებოდნენ დანიელი იეს პედერსენი, ფრანგი ლორან ბოკერუა და რაულ ლე ბუშე, ბელგიელი ომერ დე ბულიონი... რუსი გოლიათი ივან პოდუბნი.

ისინი ყველანი 1905 წლის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტები იყვნენ.

„ფოლი ბერჟერის" დარბაზმა, სადაც სხვა დღეებში რაულის ცოლი, ცნობილი მომღერალი გამოდიოდა, ერთ-ერთი პარიზის საყვარელი ფალავნის ახალი მარცხი იხილა. ამ მარცხმა ჩემპიონის კვარცხლბეკისაკენ მიმავალი გზა გადაუღობა რაულ ლე ბუშეს.

რუსმა გოლიათმა ტექნიკურად და სწრაფად, ერთიმეორის მიყოლებით დასცა ხალიჩაზე თავისი მრისხანე მეტოქეები. ეს უკვე ალარ გახლდათ ის მოუქნელი ფალავანი, როგორადაც პეტერბურგში მოაჩვენა თავი მაყურებელს 1904

წელს. მარდი, სწრაფი, ძლიერი პოდუბნი პარიზის მქუსაარე ოვაციებს იმსახურებდა, მაგრამ ჩემპიონის იეს პედერსენის პოპულარობას ჯერ ვერ გაუტოლდებოდა, რომელსაც არც ერთი ორთაბრძოლა არ ჰქონდა წაგებული და პოდუბნისთან ერთად ფინალში გავიდა.

იეს პედერსენი ლამაზი კაცი იყო, მაღალი, წარმოსადეგი; თეთრ, ქათქათა ტანზე კუნთები რელიეფურად აჩნდა.

პოდუბნიზე კი შეიძლებოდა გეთქვა, გარეგნულად დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ ისე მაგარიაო.

როცა ორივენი ხალიჩაზე გავიდნენ, რომელიღაც მაყურებელმა დაიყვირა:

— იეს, ჩაავლე ერთი ხელი მაგ კარტოფილის ტომარას და მოათავე საქმე!

პედერსენი საოცარი ღონისა და გამძლეობის პატრონი გახლდათ, პოდუბნიმ იცოდა ეს. მაგრამ იგი პარიზელების დაცინვამ გაამძვინვარა. მაშინვე შეტევაზე გადავიდა, წამდაუწუმ იყენებდა თავის ცნობილ „მაკარონს“ — კისრის დაჭყლეტას, რომლის წყალობითაც არაერთი მოჭიდავე წამოუჩოქებია. მაგრამ პედერსენს ძლიერი კისერი ჰქონდა. ივანე შეეცადა მეტოქე მკლავებში მოემწყვდია, მაგრამ ვერც ეს შეძლო. დანიელი ხელისგულით ნიკაპზე აწვებოდა, ამასთან ყელშიც აჭერდა და ივან მაქსიმოვიჩის რკინის მკლავებიდან თავს ითავისუფლებდა.

ფალავნები ურთიერთს კუნთებს უზელდნენ. საათი და ოცი წუთი უტრიალეს ერთმანეთს ხალიჩაზე ილეთის გაკეთების ცდაში.

ივან მაქსიმოვიჩმა ეშმაკობა იხმარა.

მან მოძრაობა შეანელა: სუნთქვას განგებ მოუხშირა, ქშინავდა, ვითომ დაიღალა... პედერსენი გათამამდა და მკლავები შემოხვია. პოდუბნიმ იგრძნო, რომ დანიელ ფალავანს მკლავებში ჯერ კიდევ ჰქონდა ძალა. ორჯერ შემოხვია პედერსენმა მკლავები ივან მაქსიმოვიჩს, ხოლო მესამე შემოხვევაზე რუსმა ფალავანმა მოულოდნელად დაუჭირა ხელი დანიელს და „ნახევარსუპლესით ისე ძლიერ ისროლა, რომ თვითონაც თავზე გადააფრინდა...“

ამ ჭიდაობის ერთ-ერთი აღწერის დროს ივან მაქსიმოვიჩი დასძენს, რომ მან თათრული ჭიდაობის მის მიერ კომბი-

ნირებული ფანდი გამოიყენა და პედერსენი სუფთად დასცა ბეჭებზე...

ეს მოხდა ჭიდაობის დაწყებიდან ზუსტად ერთი საათისა და ოცდაექვსი წუთის შემდეგ.

გამარჯვებულისთვის დაწესებული იყო პრიზი — 10 ათასი ფრანკი და მსოფლიო ჩემპიონის ლენტი.

პარიზმა ახლა კი ჯეროვნად დააფასა იგი.

ჩემპიონატმა არნახული ინტერესი გამოიწვია. პარიზელებს მარტო ეს ერთი სიტყვა ეკერათ პირზე — „ჭიდაობა". მოჭიდავეებით გატაცებული იყო ყველა — მუშიდან დაწყებული რესპუბლიკის პრეზიდენტით დამთავრებული. ყველა ვიტრინაში პოდუბნის სურათი იყო გამოკრული — შეენოდა ულვაშები, ფაფახი, ჩოხა...

პარიზელებმა „რკინის იესს" ზურგი შეაქციეს და ახლა პოდუბნის აღნაგობით ტკბებოდნენ. სურათის ქვეშ, რომელზეც ტრიკოში გამოწყობილ პოდუბნის მკლავი ნახევრადმოღუნული ჰქონდა და კუნთი დაეჭიმა, ლამაზი ასოებით ეწერა — „მას ფენომენალური ზურგი აქვს".

საზოგადოების ყველა ფენის ფრანგს პოდუბნი ნახევრადღმერთად მიაჩნდა; მოსვენებას არ აძლევდნენ. მის გაცნობას ცდილობდნენ. ივან მაქსიმოვიჩს დიდხანს შემორჩა საეზიტო ბარათები ტიტულიანი პარიზელებისა, რომელთა ნაცნობობასაც, რეპორტიორის თქმით, ნებისმიერი დიპლომატი ინატრებდა. ეს რუსეთის ტრიუმფი იყო.

უნდა ითქვას, რომ ამ დიდებამ ივან მაქსიმოვიჩს თავბრუ როდი დაასხა. გამარჯვებიდან ლამის მეორე დღესვე რუსმა გოლიათმა მოითხოვა, ყველა წლების მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯთა ჟურნალები მაჩვენეთო. მან ყურადღებით შეისწავლა ყველა ილეთი, რომლითაც ამ ჩემპიონატებში იმარჯვებდნენ.

თურქი მოჭიდავეები პირდაპირ ამტვრევდნენ თავიანთ მეტოქეებს. „რუსეთის ლომი" გაკენწმიდტი ყველაზე კარგად ხმარობდა წელს... პოდუბნიმ კი გადაწყვიტა ყველა ფანდი იუველირის სიზუსტით დაემუშავებინა და გამოეყენებინა. იგი ვარჯიშზე იწვევდა ყველა მოჭიდავეს, ვინც მაშინ პარიზში იყო და მათი ჭიდაობის მანერას სწავლობდა. და-

დიოდა მოყვარულთა კლუბებში, რომლებიც მის სტუმრობას დიდ პატივად იღებდნენ.

სასტუმროს ნომერში ძილის წინ ივან მაქსიმოვიჩი ილეთების ახალ კომბინაციებს იგონებდა, დილით კი უჩვენებდა მოჭიდავეებს, რომლებიც აღფრთოვანებულნი „ჯადოქარს" ეძახდნენ და ისიც კი სჯეროდათ, რომ იგი რაღაც ზებუნებრივი თვისებებით იყო დაჯილდოებული...

ეს რწმენა კიდევ უფრო გააღვივა ერთმა უჩვეულო ჭიდაობამ, რომელიც ვიღაც „იაპონური ჭიდაობის პროფესორის" თაოსნობით გაიმართა (იმ დროს თითქმის ყველა მასწავლებელი თავის თავს „პროფესორს" ეძახდა. იყვნენ „ათლეტიკის პროფესორები" და თქვენ წარმოიდგინეთ, „კრივის პროფესორებიც"). ამ იაპონელის ხელოვნებაზე, რომელმაც პარიზში ჯიუჯისტის სკოლა გახსნა, სასწაულებს ყვებოდნენ. „პროფესორი" გაზეთებში მუქარით გამოვიდა, პოდუბნის დავამარცხებო, და ივან მაქსიმოვიჩიც იძულებული გახდა გამოწვევა მიეღო.

ჭიდაობა იაპონელისათვის სამარცხვინოდ დამთავრდა. ეშმაკურმა ფანდებმა ვერ გასჭრა. საოცარმა ძალამ ისე დასრისა და იატაკს გააკრა, რომ იაპონელი ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა და ღრიალებდა. ივან მაქსიმოვიჩს მეტისმეტი მოუვიდა: იაპონელს თურმე ფეხი მოტეხა.

20

პარიზში პოდუბნიმ მიიღო მიწვევა ორკვირიან ჩემპიონატზე, რომელიც ნიცაში ტარდებოდა. შემდეგ იტალიაში ელოდა გასტროლები.

ნიცაში, „ამ სრულ ადამიანურ გაუგებრობაში", როგორც კუპრინი იტყოდა ხოლმე, პოდუბნი თავის ხელოვნებას უჩვენებდა რესპექტაბელურ მაყურებლებს, რომლებიც გოთურ ალმანახებში ირიცხებოდნენ ან არ ირიცხებოდნენ, ზღვაში ბანაობდნენ და უამრავი ოქრო ჰქონდათ წაგებული მახლობელ მონტე-კარლოში. ამ მოდურ კურორტზე, ციებიან ჰაობზე „ინგლისური სნობიზმით, რუსული წამბაძველობით, ამერიკელთა ქარის მოტანილი ფულითა და ფრანგების მარადიული ლაქიური თავაზიანობით რომ ალმოცენ-

და," შვიდფუთიანი ლამაზი მამაკაცის რაულ ლე ბუშეს ვილაც იყო.

იტალიის ტურნეში გამგზავრების წინ პოდუბნის მეტად უცნაური ამბავი შეემთხვა...

აი, რას გვიამბობს თავის ნაწერებში ივან მაქსიმოვიჩი.

კიეველი მემამულე დოლინსკი ან თავის ქონებას ანიავებდა ნიცაში, ან ლიბერალური ციებ-ცხელებით შეპყროობილი „დაწყევლილ რუსულ სინამდვილეს" გაქცეოდა და დამჭკნარი საკურორტო პალმების ჩრდილქვეშ აფარებდა თავს. ასე იყო თუ ისე, პოდუბნის გამოჩენამ მემამულეს საშინელი ნოსტალგია აღუძრა, იგი მოჭიდავესთან ნაცნობობას ეძებდა და მასთან ახლო ურთიერთობაც გააბა.

ერთხელ დღის ხუთ საათზე ის და ივან მაქსიმოვიჩი ერთმანეთს იმ თეატრთან შეხვდნენ, სადაც პოდუბნი გამოდიოდა. მახლობელ კაფეში შევიდნენ. ის იყო მაგიდას მიუსხდნენ, რომ კარებში ხუთი ბრგე ვაჟკაცი გამოჩნდა. ისინი ივან მაქსიმოვიჩს მიაშტერდნენ და ამიტომ შემოსულები მას მაშინვე საეჭვოდ მოეჩვენა. ერთ-ერთი მათგანი ფეხათრევით მივიდა მათთან და ივან მაქსიმოვიჩს გაეცნო — მე თქვენი მასწავლებლის ეჟენ დე პარის ძმა ვარო.

„ამან დიდი საფიქრალი გამიჩინა", — იგონებდა შემდეგ პოდუბნი, რომელიც, როგორც ყოველთვის, ზედმიწევნით გამოთქვამდა თავის აზრს. მოკლედ რომ ვთქვათ, მან იგრძნო, საქმეს სხვანაირი სუნი უდიოდა, ვინაიდან ეჟენს ძმა არასოდეს ჰყოლია.

ივან მაქსიმოვიჩმა დოლინსკის სთხოვა, წავიდეთო. მაგრამ ახალმოსულნი, რომლებშიც ფრანგულ ზნე-ჩვეულებებში უკვე საკმაოდ გარკვეულმა პოდუბნიმ აპაშები — ადგილობრივი ბანდიტები შეიცნო, მოჭიდავეს და მის ამხანაგს აეტორღიალნენ. ივან მაქსიმოვიჩი და „ეჟენის ძმა" წინ მიდიოდნენ. სასტუმროს შესასვლელთან უცნობი შედგა, მოჭიდავეს 200 ფრანკი მოსთხოვა, თან დაპატიჟა — წამოდი, „ერთ ადგილზე წაგიყვან, სადაც ღვინოცა აქვთ და გოგონებიც არიანო".

პოდუბნიმ ცოტა ფრანგული იცოდა და უთხრა, ნომერში ავიდეთ და იქ გაგიმასპინძლდები, როგორც გეკადრებაო, მერე დოლიხსკის მიუბრუნდა და რუსულად უთხრა:

— გაიქეცი ჩქარა, გოროდოვოის დაუძახე. რაღაც ბინძური საქმე ჩანს...

მან უთხრა „გოროდოვოი" და არა „პოლისმენი" ან „პოლიციელი", რათა ფრანგებს ნათქვამი ვერ გაეგოთ.

პოდუბნი და „ეექენის ძმა" მეორე სართულზე ავიდნენ და რესტორნის წინ დერეფანში გაიარეს, სადაც სხვა მოჭიდავეები ისხდნენ. ისინი პოდუბნის მიესალმნენ. ნომრის კართან ივან მაქსიმოვიჩმა თანამგზავრს უთხრა:

— მოითმინეთ, ახლავე სინათლეს ავანთებ.

ნომერში მას იარაღი ჰქონდა.

— ანტრე! — თქვა პოდუბნიმ და ნომერში შესულმა ავარამ შუბლთან მიტანილი რევოლვერის შავი ლულა დაინახა.

ბანდიტი მთელი გზა კოჭლობდა, ახლა კი მკვირცხლად გავარდა. მისმა ამფსონებმა, რომლებიც უკვე მეორე სართულზე ამოვიდნენ, პირი იბრუნეს და ამხანაგს უკან გაედევნენ. რესტორნის კართან „ეექენის ძმამ" უაზრო სროლა ატეხა და ორი თურქი მოჭიდავე — პენგალი და მამუტი — მაგიდის ქვეშ შეაძვრინა. კიბეზე აპაშები პოლიციელებს შეეფეთნენ, რომლებიც დოლინსკიმ მოიყვანა, მაგრამ ამ არეულობაში პოლიციელებმა ბანდიტები ვერ დაიჭირეს...

იმავე საღამოს უბედურება შეემთხვა ემაბლ დე ლა კალმეტს. სხვათა შორის ეს ის მოჭიდავეა, რომელიც 1903 წელს „ოლიმპიაში" გამოდიოდა. სწორედ მან აღაფრთოვანა ანტონ პაელეს ძე ჩეხოვი, რომელმაც მაშინ წარმოთქვა თავისი ცნობილი ფრაზა „ჯანმრთელ ადამიანებზე"... და კიდევ ერთი: რაკი სიტყვამ მოიტანა, იმავე ემაბლმა ჩინიზელის ცირკში გამართული ჩემპიონატის დროს, 1904 წელს პირველმა გააფრთხილა პოდუბნი, ფრანგმა მოჭიდავეებმა და ცირკის დირექტორმა პირი შეკრესო. ამ კაცში პატიოსნებამ აჯობა საქმოსნურ სოლიდარობას. მას შემდეგ მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. რაულ ლე ბუშემ ჯერ კიდევ პეტერბურგში აიღო ეჭვი ემაბლის საქციელზე და მოჭიდავეს მტრულად დაუწყო ცქერა.

ემაბლ დე ლა კალმეტი ცოლთან ერთად რესტორანში ვახშმობდა. მის გვერდით მაგიდასთან მსხდომნი ხმამაღლა ბჭობდნენ პოდუბნის თავგადასავალზე და დაუფარავად ამბობდნენ, რუსი მოჭიდავე უნდა მოვკლათო. ემაბლი აღშფოთდა და ლაპარაკში ჩაერია. კამათი ის იყო ჩხუბში უნდა გადასულიყო,

რომ მოჰიდავემ მისკენ მიმართული რევოლვერის ლულა დაინახა. ცივმა ოფლმა დაასხა. ცეცხლმსროლელი იარაღის წინაშე ფიზიკური ძალა ვერას გახდება. უცებ ემაბლის ცოლმა, ტანმორჩილმა, მაგრამ მარდმა ქალმა, ავარას ხელიდან გააგდებინა იარაღი. მაგრამ იმ წუთს მეორე ბანდიტმა თავისი რევოლვერის ტარი ემაბლს თავში ჩასცხო...

საქმეში რუსი და თურქი კონსულები ჩაერივნენ და საფრანგეთის მთავრობას მოსთხოვეს, უცხოეთის ქვეშევრდომების პოდუბნის, პენგალისა და მამუტის უშიშროებაზე იზრუნეთო.

ახლა კი იცოცხლე, თავი გამოიდო პოლიციამ. პოლიციელმა, რომელიც კიეველმა მემამულემ მოიყვანა, ბანდიტები სახით დაიმახსოვრა. მათ მიაკვლიეს და დააპატიმრეს. ორი ლტოლვილი კატორღელი აღმოჩნდა. მათი მეთაური იყო „ეექენის კოპლი ძმა". დაკითხვაზე განაცხადეს, პოდუბნის გაქურდვა გვინდოდაო...

ივან მაქსიმოვიჩმა ბანდიტების აღიარება უსიტყვოდ დაიჯერა და გულდამშვიდებული იტალიის ტურნეში გაემგზავრა. მან გაიმარჯვა ფლორენციაში, ვენეციაში, ტურინში, ვერონაში, მილანში და უკვე სიცილიამდე იყო მისული, რომ პალერმოში წერილი დააწიეს.

უცნობი კეთილმოსურნე ნიციდან წერდა, თქვენი და ემაბლ დე ლა კალმეტის სიცოცხლე საფრთხეშიაო; დაპატიმრებული ბანდიტების ამფსონები თქვენზე ნადირობენო... უნდა ითქვას, რომ ემაბლს ჭრილობა მოუშუშდა და იგი პოდუბნის იტალიის ერთ-ერთ ქალაქში შეუერთდა.

ივან მაქსიმოვიჩი თითქოს მიხვდა ნიცაში მომხდარი ამბის ნამდვილ მიზეზს... ღმერთმა დასწყეველოს ეს ევროპა! მოიქუფრა სიცილიის მოწმენდილი ზეცა, საეჭვო გახდა მისი ხმაურიანი, შავგვრემანი ხალხი, არ იცოდა, რომელი კუთხიდან გაიგონებდი რევოლვერის გასროლას...

ივან პოდუბნი ისე დაბრუნდებოდა სამშობლოში, ნიცაში მომხდარი ამბის ნამდვილ მიზეზს ვერ გაიგებდა, პალერმოში რომ არ შეხვედროდა ძველ ნაცნობს, მოჰიდავესა და ანტრეპრენიორს შარლ დიუმონს.

ეს სწორედ ის დიუმონი გახლდათ, რომელიც ინტრიგებს უწყობდა პოდუბნის პეტერბურგში, ჩინიზელის ცირკში და რუსი მოჰიდავის ძალისა და შეუპოვრობის გამო მშრალზე და-

რჩა. დიუმონი შურისმაძიებელი არ იყო. როცა დაინახა, რომ შეეძლო გამდიდრებულიყო, პოდუბნის შესთავაზა, მოჭიდავეთა ჯგუფთან ერთად აფრიკაში გაჰყოლოდა. თან არწმუნებდა, საფრანგეთის კოლონიურ სამფლობელოში ბანდიტების შიში ნუ გექნებაო.

დიუმონის ქარაგმული ნათქვამიდან მოჩანდა, რომ მან იცოდა ნიცაში მომხდარი ამბის ზოგიერთი წვრილმანი.

ტუნისში დიუმონს პოლ პონსის დეპეშა გადასცეს; ატყობინებდნენ, რომ ნიცაში ტვინის ანთებით გარდაიცვალა ოცდათხი წლის რაულ ლე ბუშე.

ათი დღის შემდეგ კი მიიღეს წერილი, საიდანაც დიუმონმა, რომელსაც დიდი ურთიერთობა ჰქონდა ბოროტმოქმედთა სამყაროსთან, რაულის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი გაიგო.

თავის დროზე ამ ამბის შესახებ ბევრს წერდნენ რუსული გაზეთები. ერთ-ერთი წერილი ასე იწყებოდა:

„არსად, არც ერთ პროფესიაში დიდებას თან არ სდევს ხიფათის ისეთი მზაკვრული ხლართები, ვერაგულად რომ უსაფრთდება ამა თუ იმ სახელგანთქმულ პიროვნებას, როგორიც ათლეტთა სამყაროში.

მუსკულების უხეში ძალის წარმომადგენლებს ერთმანეთისა შურთ და სამაგიეროს გადახდაც თავისებურად იციან. ისინი ცდილობენ საშიში მეტოქე ან საერთოდ „გამოთიშონ თამაშიდან", ან დაასახიჩრონ. მოჭიდავეები ერთ ხერხსაც მიმართავენ და მეორესაც.

კულისებს მიღმა ბრძოლაში განსაკუთრებული არაადამიანურობით გამოირჩეოდა თავმოყვარე ფრანგი რაულ ლე ბუშე. ბევრ სპორტსმენს კარგად ახსოვს ის შემთხვევა, როცა პარიზელმა გამომძალველმა-ხულიგნებმა გვირაბში მატარებლიდან გადააგდეს ზანგი მოჭიდავე, რომელმაც რაულ ლე ბუშე ორთაბრძოლაში დაამარცხა..."

ბურჟუაზიული სპორტის ჩვეულებები დღესაც არ შეცვლილა.

მაინც ძნელია დაიჯერო, რომ ასეთი გზით წარმატებებს პროფესიულ სპორტშიც კი აღწევენ. ბოროტმოქმედება აუხსნელი მიზეზით თითქმის ყოველთვის ბოროტგანმზრახველთა წინააღმდეგ შეტრიალდება ხოლმე.

„ეძებეთ ქალი", — ამბობენ ფრანგები, როცა დანაშაულის

ამბავს გაიგებენ. თუმცა ამ თავგადასავალში სამიჯნურო ინ-ტრიგა არ ყოფილა, მაგრამ ქალი მაინც იყო გარეული. პატივ-მოყვარე და მბრძანებლური ხასიათის ქალბატონი რაულ ლე ბუშე ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, თავისი ქმარი ჩემპიონად ეხილა. შურისძიების წყურვილით აღვსილმა ქმა-რი აიძულა ისევ ბანდიტებს მორიგეობდა და ფულით მოესყი-და ისინი, რომ პოდუბნი მოეკლათ.

ბანდიტებმა პირობა ვერ შეასრულეს, თუმცა მაინც დაზა-რალდნენ და ამიტომ რაულს ფული მოსთხოვეს. მან უარი უთხრა. მაშინ ბანდიტები რაულს იმავე ნიცაში ჩაუსაფრთდ-ნენ. თავში რეზინის ჯოხის რამდენჯერმე ჩარტყმით რაულს ტვინი შეურყიეს, მედიცინამ კი ეს შემთხვევა გაციებით გა-მოწვეულ მენინგიტად მიიჩნია.

დიუმონმა ამბის მოყოლა იმ სენტენციით დაამთავრა, რომ მოყვასისათვის სამარის გათხრას შურისძიება მოსდევს, მერე კი თავისი უცნობი კორესპონდენტის სახელით აღუთქვა, მუ-სიო პოდუბნის ამიერიდან საფრანგეთში საშიშროება არ ელი-სო. ეს შარლ დიუმონი საქმეში ჩახედული კაცი გახლ-დათ.

დიუმონის ჩემპიონატი ტუნისში ოც დღეს, ხოლო ალჟირ-ში ერთ თვეს გაგრძელდა. ორთაბრძოლების უმეტესობა ანტ-რეპრენიორის მიერ გულმოდგინედ დამუშავებული აშკარა თა-ღლითობა იყო. მხოლოდ პოდუბნი ჭიდაობდა ძალ-ღონის დაუ-ზოგავად და მთავარი პრიზებიც მოიპოვა, რასაც ამჯერად კე-თილსინდისიერად უხდიდა დიუმონი. „რუსი კაზაკის პოდუბ-ნის“ გამოსვლა დიდ შემოსავალს იძლეოდა.

1906 წლის თებერვალში ივან მაქსიმოვიჩი ისევ პარიზშია. ლეჟესა და ბერლინში მოპოვებული ახალი გამარჯვებების შემ-დეგ აპრილში იგი პეტერბურგში დაბრუნდა, სადაც აღტაცე-ბული თაყვანისმცემლები და მოწაფეები ელოდნენ.

21

ცირკის ისტორიკოსების აზრით, რუსეთში პროფესიული ჭიდაობით გატაცება ლამის იმ 1904 წლის ჩემპიონატით დაი-წყო, რომელიც ივან პოდუბნის სენსაციური გამარჯვებით დამ-თავრდა.

„...სულ რაღაც ორი-სამი წლის შემდეგ ამ ჩემპიონატების წარმატებამ არნახული ძალით იმატა, — წერდა რუსული და საბჭოთა ცირკის ცნობილი ისტორიკოსი ვ. მ. კუზნეცოვი, — მოჭიდავეებისადმი ცხოველმა ინტერესმა დაიპყრო ათასობით ადამიანი. საღამოს ათი საათისათვის, როცა მოკლე პროგრამის დამთავრების შემდეგ ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო, ცირკს უამრავი ხალხი აწყდებოდა. ჩემპიონატები გრძელდებოდა სამ კვირას, ზოგჯერ თვე-ნახევარს, ერთხელ სამ თვესაც კი გასტანა, ეს ჩემპიონატები ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა, განსაკუთრებული შარავანდედით მოსავდა მაყურებლის კერპებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იყვნენ დიდი ჰონორარით და ბულვარული პრესის ჯეროვანი ყურადღებით. ცირკი გაზაფხულის ჩემპიონატის გარეშე ერთნაირად წარმოუდგენელი იყო ქალაქშიაც და პროვინციაშიც, სადაც ჭიდაობა საბოლოოდ კარგავდა სპორტულ ხასიათს და უხეშ, შანტაჟურ ფორმას იღებდა“.

თუმცა სპორტის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ პეტერბურგელები ჭიდაობით ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს ყოფილან გატაცებულნი. სამწუხაროდ, ჭიდაობას არ გაუმართლა არც ცირკის ისტორიკოსთა შრომებში, „წმინდა“ საცირკო ხელოვნებისათვის რომ იღვწოდნენ, და არც სპორტის ისტორიკოსების შრომებში, რომლებიც პროფესიონალიზმს არაფრად აგდებდნენ, თუმცა დღეს „მოყვარული სპორტსმენისაგან“ მთელი ძალის შეწირვას მოითხოვენ და მათი უმეტესობა, მცირე გამონაკლისის გარდა, სხვა საქმიანობით მხოლოდ ფორმალურადაა დატვირთული.

და მაინც ძნელია გვერდი აუარო პროფესიული ჭიდაობის წარმატებებს, რომელიც თავის დროზე არა მარტო საინტერესო, მღელვარებით სავსე სანახაობა იყო, არამედ ათი ათასობით ადამიანს მაგალითს აძლევდა და ფიზიკური კულტურისადმი ინტერესს ულვიძებდა.

შემდგომ წარმოიშვა სულიერისა და ფიზიკურის არაკანონზომიერი დაპირისპირება, ხოლო ჭიდაობით კოლოსალურ გატაცებას ლამის პირველი რევოლუციის დამარცხებით ხსნიდნენ.

ამ შეცდომას ვერც იგივე ვ. მ. კუზნეცოვი გაექცა, რომელმაც ჭიდაობის აყვავება რეაქციის ეპოქას დაუკავშირა და ის

რატომღაც ტოლსტოველობის, ბეილისის პროცესისა და სტოლიპინის რეფორმების გვერდით დააყენა.

„ამ ცხელ დამძიმებულ ჰაერში, როცა ყოველივე ცოცხალი ძირშივე ლპებოდა, ძლიერი, დაკუნთული სხეულები, არენაზე ერთმანეთს დათვებივით რომ ჩასჭიდებოდნენ, ჭიდაობის ტკბილ ქვეცნობიერ ილუზიას ქმნიდნენ, ჭიდაობისა, რომელიც არ შეიძლება ჭიდაობად წოდებულიყო. ლურიხის „ხიდურა" ლეგენდარულ სიმბოლოდ იქცა, გაკენშმიდტის, პოდუბნისა და ზბიშკო-ციგანევიჩის ფოტოსურათები ათას ცალობით იყიდებოდა და ლურჯი სტუდენტური ქუდები იერიშით იღებდნენ რუსეთის იმპერიის ცირკს".

მაგრამ თუ ეპოქის სხვა დამახასიათებელ ნიშნებს ავიღებთ, თუ გავიხსენებთ შალიაპინსა და რახმანინოვს, ნესტეროვსა და ვასნეცოვს, ბლოკსა და გორკის, მოვიგონებთ კულტურის აყვავებას რევოლუციის წინა პერიოდში, როცა განგაშით მოცული ქვეყანა ძალას იკრებდა და ახალი მდგომარეობის მოსაპოვებლად ნახტომისათვის ემზადებოდა, მაშინ ძალისმიერი ხელოვნებით გატაცებაც სხვაგვარად წარმოგვიდგება და იგი ეროვნული კულტურის მიღწევათა შორის დაიჭერს ადგილს.

ალექსანდრე ბლოკი ტყუილად როდი წერდა პოემა „შურისძიების" წინასიტყვაობაში: „სამყარო, რომელიც არნახული მოვლენისათვის ემზადებოდა, გამალებით ავითარებდა თავის ფიზიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო კუნთებს".

მაქსიმ გორკიმ, რომელსაც ხალხის წიაღიდან გამოსული სამი დიდი რუსი ადამიანის დასახელებისას შალიაპინისა და პოდუბნის გვერდით იხსენიებდნენ ხოლმე, ასეთი პასუხი გასცა ჟურნალ „ჰერკულესის" ანკეტაზე:

„თქვენი ჟურნალის დევიზი ფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია. დიახ, „ყველა ადამიანს შეუძლია და მოვალეცაა იყოს ძლიერი", და ძალიან კარგი იქნება თუ ჩვენ, რუსები, ამ დევიზს შევითვისებთ".

მეორე მხრივ ჩემპიონატი წმინდა რუსული მოვლენა არ იყო. მას მსოფლიო მოდის გავლენა დაჰკრავდა. რუსეთში ის მხოლოდ თავისებურ ელფერს იძენდა, რაზედაც მე კიდევ მოგახსენებთ.

ჩემპიონატების მთავარი ღირსება გახლდათ მათი ზემოქმედება მაყურებელზე. ძალ-ღონის დემონსტრირება ახალგაზრდობას სპორტისადმი ინტერესს უღვიძებდა.

პროვინციაში პროფესიონალ მოჭიდავეთა შეჯიბრებების დროს ვაუკაცურ გართობაში მაყურებელიც ერეოდა.

ერთხელ პოდუბნი დონის როსტოვში ჭიდაობდა. ამ შეჯიბრებაში მისი მომრევი არავინ იყო. მის აშკარა უპირატესობას, ანუ, თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, მის „დაპროკრამებულ“ გამარჯვებებს შეიძლება მაყურებლის ინტერესი შეესუსტებინა. მაშინ ცირკის მეპატრონეებმა ივან მაქსიმოვიჩთან შეთანხმებით შემოსავლის გაზრდის ძველ, მაგრამ უკვე ნაცად ‘ერხს მიმართეს.

დამსწრეთა ნაამბობით, ერთხელ არენაზე ფალავნების გამოსვლისას არბიტრს გამოუცხადებია:

— პატივცემულო მოქალაქენო! ჩვენი ჩემპიონი ივან მაქსიმოვიჩ პოდუბნი მოყვარულთაგან შესარკინებლად იწვევს ათ მოჭიდავეს. ის, ვინც მასთან ხუთ წუთს დაუმარცხებლად იჭიდავებს, ჯილდოდ ოცდახუთ მანეთს მიიღებს.

იმ დროს ეს კარგი ფული იყო. კაზაკებში ბევრი ზორბა ვაუკაცი მოიძებნებოდა; მძიმე შრომისაგან ცხენის ფლოქვივით გამაგრებული არაერთი ვეება ტორი აღიმართა და სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ძლიერ, ღონიერ, დაძარღვულ კისერზე დადგმული კეფა ეპვით მოიქექა.

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მაყურებლებიდან ცირკის არენაზე სამი ტანმაღალი ვაუკაცი ავიდა. შესახედაობით მუშებს, დონელ მტვირთავებს მოჰგავდნენ.

არბიტრმა პირობები გამოაცხადა: ივან მაქსიმოვიჩ პოდუბნი სამ მოყვარულს რიგრიგობით ეჭიდავებოდა. ჯერ იგი შუა არენაზე დადგებოდა და ხელებს მაღლა ასწევდა; ამ სამიდან თითოეულს შეეძლო მასთან ახლო მისულიყო, წელზე ხელი შემოეხვია და ნებისმიერი ხერხით ჭიდაობა გაეგრძელებინა...

არბიტრის სასტვენზე ორთაბრძოლა დაიწყო.

პირველი მოყვარული ივან მაქსიმოვიჩმა „ობობით“ აიყვანა, ელვის სისწრაფით ხალიჩაზე ზურგით დასცა და თავისი ძლიერი ტანით ზედ დააწვა. მეორეს მარჯვენა ხელში ჩააფრინდა, ზურგით შეუტრიალდა, მხარულით წამოიღო და ხალიჩაზე დააკრა. მესამეს წინიდან წელი მისცა, შემდეგ ზემოდან ხელები გადაუღუნა, ძლიერად მოუჭირა, ხალიჩიდან ასე ნახევარ მეტრ სიმაღლეზე ასწია და თავს ზემოთ „წისქვილით“ დაატრიალა. შემდეგ მოწინააღმდეგე სწრაფად უკუღმა აიქნია და მოგვერდულად დააგდო ხალიჩაზე.

ყველაფერ ამას სულ ხუთი წუთი მოანდომა.

— ჯერ ისწავლე და მერე იქიდავე, — აძბობდა ივან მაქსიმოვიჩი და თავისი დებიუტი ავიწყდებოდა. თუმცა, შეიძლება იგი დარწმუნებული იყო თავის განსაკუთრებულობაში, რისთვისაც ძალზე დამაჯერებელი საფუძველი ჰქონდა.

პოდუბნის ასეთი გამოსვლები ახალგაზრდებს პირდაპირ აღანთებდა. გარდა იმისა, რომ სახელგანთქმული გოლიათის ნახვით მიღებული შთაბეჭდილება სამუდამოდ რჩებოდათ მეხსიერებაში, ბევრი სერიოზულად იწყებდა ფიზკულტურაში ვარჯიშს.

სპორტის ამ აქტიურ პროპაგანდაში პოდუბნის სახელი ივან ვლადიმიროვიჩ ლებედევის გვერდით დგას, რომელიც ერთ დროს მთელს რუსეთში „ძია ვანიას“ სახელით იყო ცნობილი.

სწავლაშეუსრულებელმა სამართლის მცოდნემ, სანკტ-პეტერბურგის წამყვანმა ძალოსანმა, ექიმ კრაევსკის თანაშემწემ, მარჯვე და გაბედულმა ჟურნალისტმა ი. ვ. ლებედევმა საკუთარი სპორტული სკოლა გახსნა და მას შემდეგ „ათლეტიკის პროფესორის“ დიდებული ტიტული მოიპოვა; ძია ვანია მოხერხებული სპორტული საქმოსანი გახლდათ. იგი აწყობდა ჩემპიონატებს, უწევდა სპორტულ ჟურნალებს, რომლებიც თავიანთი პოპულარობის წყალობით ხელს უწყობდნენ სპორტის განვითარებას რუსეთში.

ძლიერი ათლეტები საღამოს წვეულებებზე მღეროდნენ სიმღერას, რომელშიც ასეთი სიტყვებიც იყო:

კრაევსკიმ შემოიღო
ათლეტიკა ჩვენში.
გირებიც ძოიგოხა...
ჩვენგან დიდი „მერსი“.

ძია ვანიას თავი კრაევსკის საქმის უშუალო გამგრძელებლად მიაჩნდა და მისი ხშირი სტუმარიც გახლდათ მისაილის მოედანზე. იქ, კრაევსკის ბინაზე, კვირაში ორჯერ ძალოსნები იკრიბებოდნენ და ვარჯიშობდნენ ვეებერთელა ოთახში, რომელშიც იატაკზე სქელი ნოხი ეგო. ოთახის კუთხეში მარმარილოს აბაზანა იყო, კედლებზე ათლეტების ფოტოსურათები ეკიდა, ოთახში ფართო მერხებს ქვეშ გირები, „ბულდოგები“ და შტანგები ეწყო; „რუსული ათლეტიკის მამის“ კსავერის

მზარეული, რომელიც ყოველთვის გადაკრულში იყო, გოლიათებისთვის დიდებულ ცვრიან როსტბივს ამზადებდა.

1901 წელს კრაევსკი გარდაიცვალა, ანიჩკის ხიდზე დაუსხლტა ფეხი და მოიტეხა. უმოძრაობამ გული დაუავადმყოფა, რაც სპორტსმენებს ხშირად ემართებათ ხოლმე. ექიმებმა ვერ შეძლეს გამოებრუნებინათ კოლეგა, რომელიც სხვებს ასე წარმატებით კურნავდა, თანაც როგორც გადმოცემენ, თავისი პაციენტების სამ მეოთხედს უფასოდ მკურნალობდა...

კრაევსკიმ თავის მოწაფეებს სპორტისადმი უზომო სიყვარული ჩაუნერგა. „იმ დროს, — წერდა მოგვიანებით ივან ვლადიმეროვიჩ ლებედევი, — ნებისმიერი ჩვენგანისათვის რომ შეეთავაზებინათ, მინისტრის პოსტი თუ მსოფლიო რეკორდიო, იგი არც დაფიქრდებოდა, მინისტრის პორტფელზე უარს იტყოდა“.

ძია ვანიას ვარსკვლავი მაშინ ამობრწყინდა, როცა ოცდახუთი წელი შეუსრულდა. პეტერბურგის საზაფხულო ბაღში, რომელსაც „ფარსი“ ერქვა, იგი მოჭიდავეთა ჩემპიონატის ანტრეპრენიორისა და არბიტრის როლში მოგვევლინა. პეტერბურგელი სტუდენტის ზორბა ტანს რუსული ხიფთანი ამშვენებდა. ფეხზე ჩექმები ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა. ამან მოხიბლა ფრაკიან ანტრეპრენიორებს მიჩვეული მაყურებლები.

როცა ძია ვანიამ კარტუზი მოიხადა და საზოგადოებას რუსულად ოთხსავე მხარეს მოხდენილად მიესალმა, ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი აღარ ჰქოხდა.

იმ დღეს — 1905 წლის 8 ივნისს — „ათლეტიკისა და სპორტის ილუსტრირებული ჟურნალის“ თაოსნობით გაიხსნა საერთაშორისი ჩემპიონატი, რომელმაც სათავე დაუდო მოჭიდავეთა რეგულარულ საერთაშორისო შეჯიბრებას ჩვენს ქვეყანაში.

პეტერბურგში სხვებთან ერთად ჩამოვიდნენ გეორგ ლურიხი, ალექს აბერგი, ივან პოდუბნი... წარმატებით იჭიდავა 208-სანტიმეტრიანმა გერმანელმა ხრისტოვ ტურბანმა, რომელიც 164 კილოგრამს იწონიდა... მას ოდნავ ჩამორჩებოდა პოლონელი ფალავანი ფრანც ბენკოვსკი, რომელიც „ციკლოპის“ მეტსახელით გამოდიოდა.

მეოცე შეხვედრის შემდეგ ლურიხმა ტურბანთან წაიბორძიკა და თამაშს გამოეთიშა...

მძლე აბერგმა, რომელიც ფეხებით ექვსფუთიან ტვირთს ას ექვსჯერ ჭიმავდა, დაამარცხა რისბახერი, როზენბლიუმი, ფრედ დაამთავრა ლურიხთან შეხვედრა და ფინალში გაეიდა.

მხოლოდ აბერგი და პოდუბნი ვერავინ დაამარცხა.

25 ივლისს, ჩემპიონატის 48-ე დღეს, ივან მაქსიმოვიჩი კენჭისყრით „ციკლოპს" შეხვდა და მეექვსე წუთზე პოლონელი გიგანტი ხალიჩაზე ბეჭებით გააკრა.

აბერგმა ტურბანი დაამარცხა და ფინალში პოდუბნისთან შეხვედრა ელოდა.

მაყურებელი ხმაურობს, ღელავს, კამათობს: ერთნი ამ ორთაბრძოლას ზედმეტად მიიჩნევენ, მეორენი კი, პირიქით, აბერგისა და პოდუბნის შეხვედრას მოითხოვენ. მაყურებელთა მღელვარება მოჭიდაველებსაც გადაედოთ. პოდუბნიმ გააფთრებით შეუტია აბერგს, ხელის კვრით თოკს იქით, მსაჯების ფეხებთან გადააგდო და მთელი ტანით ზედ დააწვა. გაისმა ზარის ხმა, ყვირილი, მაგრამ პოდუბნის არც უფიქრია აბერგის გაშვება.

ისინი ჭიდაობას თავიდან იწყებენ, მაგრამ აბერგი უკვე უარს ამბობს შეხვედრის გაგრძელებაზე. ეს უარი ჟიურიმ დამარცხებად ჩაუთვალა.

აბერგი შეხვედრის მეექვსე წუთზე მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო და მან ივან პოდუბნის დიდი ოქროს მედალი და ათას ხუთასი მანეთი მოუტანა. აბერგი მეორე იყო.

ჩემპიონატის ირგვლივ ცუდსაც ბევრს ლაპარაკობდნენ და კარგსაც.

წელი არ გავიდოდა, რომ რომელიმე გაზეთს, ან ჟურნალს მოჭიდაველთა ჩემპიონატების კულისებსმიღმა ცხოვრების „მხილება" არ დაებეჭდა. წერდნენ გარიგებებზე, იმაზე, რომ ჭიდაობა კარგად დადგმული წმინდა წყლის თაღლითობაა და ყოველი ორთაბრძოლის შედეგი წინასწარ არის დაგეგმილიო.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ასეთი მხილება მხოლოდ აღვივებდა მაყურებლის ინტერესს. ხალხი ტალღასავით აწყდებოდა ცირკს, მტრულად განწყობილი, მზად იყო აეტეხა სკანდალი, როგორც კი ოდნავ თაღლითობას შეამჩნევდა... ბოლოს

კი სანახაობით კმაყოფილი, ორთაბრძოლების პირიანობაში დარწმუნებული და, როგორც დღეს იტყვიან, ჭიდაობით „დაავადებული“ ტოვებდა ცირკს.

მაყურებელს მარტო ჭიდაობა როდი იზიდავდა, არამედ ის საზეიმო ამაღლებული განწყობილება, რომელიც ამ შეხვედრებს ახლდა ხოლმე. გულმოდგინედ იყო დამუშავებული ფალავნების წარმოდგენის, მსაჯობის, შერკინებების რიტუალი...

ძია ვანია მოჭიდავეთა შეჯიბრებების რიტუალების დიდი ოსტატი გახლდათ.

იგი აცხადებდა:

— პარად, ალე!

და „გლადიატორთა მარშის“ ჰანგებზე გამოდიოდნენ გოლიათი ფალავნები, რომელთა სიმძიმისაგან ფიცარნაგი იღუნებოდა.

ძია ვანიას ომახიანი ბარიტონი ყურის აპკს ეხეთქებოდა. ის სათითაოდ აცნობდა მაყურებელს „ვოლგელ გოლიათებს“, „რუს თვითნაბად ძალოსნებს“, „ბუმბერაზ ციმბირელებს“, „მსოფლიოსა და მისი შემოგარენის ჩემპიონებს“.

— პარად, რეტურ!

გოლიათები არენიდან გადიოდნენ და იწყებოდა ჭიდაობა, რომელსაც შემდეგ ცოცხალ და გონებამახვილურ კომენტარს უკეთებდა ლებედევი. თავისსავე ჟურნალ „ჰერკულესში“ ძია ვანია ასე წერდა:

„პეტროგრადის მე-3-ე გიმნაზია ათლეტიკური რეკორდებისთვის მიღებული რამდენიმე მედლით დავამთავრე; პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ასეთსავე წარმატებებს მივაღწიე მეცნიერებაში: ორივე ხელით 325 გირვანქა ავჭიმე. 1905 წლიდან სცენისა თუ არენის „გარშემო“ დავდივარ. ენის წაუბორძიკებლად ვპასუხობ შესაძლო და შეუძლებელ კითხვებზე. 10 წლის მანძილზე 50-ჯერ ვიჭიდავე, თანაც იმ ოც დამარცხებაზე მაყურებელი ნიშნის მოგებით იძახდა — „ესეც შენი პროფესორიო!“ სამაგიეროდ იმ 30 გამარჯვების დროს მესმოდა: „ფალავანიც ამას ჰქვია!“ მტკიცედ მწამს, რომ მე „მაყურებლის კერპი“ ვარ, ვინაიდან კარგი შემოსავლის დროს ძალიან ბევრი მეგობარი და ძმაკაცი მიჩნდება. სამწუხაროდ, არ შემიძლია გამოვიგონო ტელეფონი და ტელეგრაფი, სამაგიეროდ გამოვიგონე პირველი „შა-

ვი ნიღაბი" რუსეთში; სვიატოგორი, ძია ფუთი, სარაკიკი, ივან კაინი, აბელი და მრავალი სხვა „ცოცხალი ატრაქციონი". როგორც ჩანს, დიდი ქონება დავაგროვე, ვინაიდან წამდაუწუმ მეკითხებიან, რას უშვრებით ამდენ ფულსო. ბევრის აზრით, მე საერთოდ მხოლოდ ორი ფრაზის წარმოთქმა შემიძლია — „პარად, ალე!" და „ერთი წუთი შესვენება". ნამდვილად ბედნიერი კაცი ვარ, თუმცა პერანგი გამაჩნია; ამიტომ ვიღიმები ხოლმე, თუნდაც გუნებაზე არ ვიყო"...

ამ მხიარული ლაყბობით შეიძლება წარმოვიდგინოთ ძია ვანიას საუბრის სტილი ჩემპიონატების დროს.

ძია ვანიას ჰბაძავდნენ საცირკო ჭიდაობის არბიტრები რუსეთის ყველა ქალაქში, სადაც კი ჭიდაობა ტარდებოდა. სესხულობდნენ მის რეჟისორულ ხელწერებსაც.

ყველა მოჭიდავეს თავისი ამპლუა ჰქონდა.

აუცილებლად ითვლებოდა ჩემპიონატებში აფრიკისა და სხვა ეგზოტიკური ქვეყნების ფალავანთა მონაწილეობა. ცნობილი იყვნენ მურზუკი, ანგლიო, ალი-აბდალა... თუ ასეთი ფალავნები არა ჰყავდათ, რუს მოჭიდავეთაგან რომელიმეს შელებავდნენ.

მრავალი ჩემპიონატის მომწყობმა ლურიხმა ერთხელ მოჭიდავე ოსიპოვი დაითანხმა ყავისფრად შეღებილიყო და „ინდიელთა გადაშენებული ტომის ბელადად" გაასაღა იგი. ჭიდაობის წინ ოსიპოვი ინდიელთა საბრძოლო ყიჟინას სცემდა ხოლმე. გოლიათით მოხიბლულ მაყურებელს ალბათ გული გაუტყდებოდა, რომ გაეგო, ჭიდაობის შემდეგ როგორ შესჩიოდა საპირფარეშოში ოსიპოვი თავის ამხანაგებს:

— სიქა გამძვრა, ძმებო, არ გეცოდებით?!

მერე კინაღამ სკანდალი ატყდა, ვინაიდან „ინდიელით" მეცნიერები დაინტერესდნენ.

ძია ვანიამ „გამოიგონა" სარაკიკი. ეს პატარა, კაფანდარა ჩინელი, თავს რომ იაპონელად აცხადებდა, ძალიან მოდაში იყო იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ. ლებედევი მას რეკლამას უკეთებდა და რუს გიგანტებზე გალეული „იაპონელის" გამარჯვების ინსცენირებას ახდენდა. მაყურებელი კი ტაშს უკრავდა...

ვის არ შეხვდებოდით ამ ჩემპიონატებზე!

იყვნენ „მხეცები", უზნეო ხასიათის ბანჯგვლიანი მოჭიდა-

ვეები, წამდაუწუმ წესებს რომ არღვევდნენ და თავიანთი ველური საქციელით მაყურებლების გულისწყრომას იწვევდნენ.

იყვნენ „კეთილშობილი მზეჭაბუკები“, თავიანთი ჯენტლმენური ქცევითა და სამართლიანობით მაყურებელთა სიყვარულს რომ იმსახურებდნენ. ჩემპიონატის ბოლოს ისინი უეცველად ბეჭებზე დასცემდნენ ხოლმე „მხეცებს“, ყველანაირი უსინდისო ხერხებით ფინალისკენ რომ მიიწევდნენ.

„მოციქულებიც“ იყვნენ — ტანადი და ბრგე ფალავნები, თუმცა კი თავიანთი აღნაგობის შესაფერი ღონით არ გამოირჩეოდნენ.

იყვნენ კომიკოსი-მოჭიდავეები. ისინი პაროდიულ ჭიდაობას მართავდნენ და მაყურებელს სიცილით აოსებდნენ.

იყვნენ ისეთი მოჭიდავეებიც, მაყურებლის დასაინტერესებლად შავი და წითელი ნიღბებით რომ გამოდიოდნენ...

მოგონებები გადმოგვცემენ პოდუბნის სიტყვებს: „მოჭიდავეთა იერარქიის ყველაზე მაღალ საფეხურებზე იდგნენ ტექნიკოსები“, ანუ, როგორც მათ სხვაგვარად უწოდებდნენ, „პირუეტელები“ — მოჭიდავეები, რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ ჭიდაობის ტექნიკას. მათ ქვემოთ იდგნენ „ძელმზიდავები“ ანუ „იაშკები“,[1] ყველაზე დაბალი საფეხური კი ეკავათ მოჭიდავეებს, რომლებსაც დაცინვით „ქვესადებს“ ეძახდნენ, ესე იგი, იმათ, ვინც ჩემპიონატის დირექტორის ბრძანებით ჭიდაობას სუფთად აგებდა ხოლმე.

არსებობდა საცირკო ჭიდაობის მთელი სამყარო თავისი ჟარგონით, ზნე-ჩვეულებებით, წესებით. იდგმებოდა ბრწყინვალე წარმოდგენები, სადაც შესანიშნავად იყო გათამაშებული სიძუნწეც და შურიც, კეთილშობილებაცა და მწუხარებაც — კაცობრიობის ყველა გრძნობა, რომელსაც ძალუძდა იმდროინდელი მაყურებლისათვის გული აეჩვილებინა.

ლურიხი ოსტატურად ადგენდა თავისი ჩემპიონატების პროგრამებს.

მაყურებლის რჩეული გახლდათ შედარებით სუსტი მოჭიდაეე პეტრე კრილოვი, სამაგიეროდ იგი ფრიად მოხერხებული ანტრეპრენიორი იყო. ცირკის მოჭიდავეებიც კი, თუმცა იცოდნენ, რით დამთავრდებოდა ჭიდაობა მის ჩემპიონატზე,

[1] ასე ეძახდნენ მათ, ვისაც ყველაზე უბრალო საქმეს ავალებდნენ.

სიამოვნებით უყურებდნენ შეჯიბრებას, როგორც კარგ არტისტულ თამაშს.

კრილოვი უწინ შორეული ნაოსნობის შტურმანი იყო, რომელიღაც იაპონურ პორტში მას მთელი სხეული მოუსვირინგეს, ადამიანებს იგი „ჯენტლმენებად" და „პარაზიტებად" ყოფდა; ვისაც ორი ფუთის აწევა არ შეეძლო, ყველა „პარაზიტად" მიაჩნდა.

იგი ამაყობდა იმით, რომ სქელ კისერზე ქეჩო ფენა-ფენად ჰქონდა დაკეცილი. საკმარისი იყო მასთან ვინმე მოჭიდავე შეგექოთ, რომ მაშინვე შეგეპასუხებოდათ:

— ეგ რა მოჭიდავე უნდა იყოს, საყელო ორმოცდაორი სანტიმეტრი აქვს.

ერთხელ, როცა გაიგო, რომ მისი ლამაზი ცოლი ვალერია ღალატობდა, ამხანაგებს ტირილით მიმართა:

— რას ჰგავს ეს, ჯენტლმენებო? იმ შეჩვენებულმა ვალერიამ მიღალატა. ნეტავი კაცში მაინც გავეცვალე, თორემ იმ გლახაკს ორი ფუთის აწევაც არ შეუძლია.

კრილოვს ეფექტური ტრიუკები უყვარდა. ერთხელ იგი ფინალურ შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა. მაყურებელი მღელვარებამ შეიპყრო. საცირკო წარმოდგენის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, როცა კრილოვი დარბაზში შემოვარდა, ხელში თავისი ოქროს საათი ეჭირა და ყვიროდა, საათი გამიჩერდა და ამიტომ დამაგვიანდაო. არბიტრმა ჭიდაობის უფლება არ მისცა. მაშინ კრილოვმა საათი არბიტრის მაგიდაზე დაანარცხა. საათი ნამსხვრევებად იქცა. მაყურებელი ისე დაიშალა, რომ კრილოვის ალალმართლობაში მეორე დღემდე დარწმუნებული იყო, ის კი საპირფარეშოში კოლეგებს ეკითხებოდა:

— როგორ მოგეწონათ, ჯენტლმენებო? კარგად გამოვიდა, არა? შემოსავალი ხომ განაღდებულია. საათი კი სულ ოცდახუთი მანეთი ღირს. ოქროს კიდევ ჯართში ჩავაბარებ. თუ არ მოატყუე — ვერ გაყიდი, ჯენტლმენებო!

იყო კიდევ ერთი „ძია ფუთი" — ვ. ნ. ავდეევი, 210 კილოგრამს რომ იწონიდა. ეს თაღლითი ანტრეპრენიორი და არბიტრი ნამდვილი მონაპოვარი იყო კარიკატურისტებისთვის...

იყო აგრეთვე დაუდგრომელი, უსაზღვრო ფანტაზიის მქონე გიგანტი ნიკოლოზ დე ფოსი...

კოლორიტული ფიგურები ბლომად იყვნენ — ყველას ვერ ჩამოთვლი...

და იყვნენ ჩემპიონები პოდუბნი, ზაიკინი, ვახტუროვი, შემიაკინი.

ჩემპიონები ხალისით მონაწილეობდნენ ინსცენირებულ „ბრძოლებში", მაგრამ ნებაყოფლობით ბეჭებზე დაწოლაზე იშვიათად თუ დათანხმდებოდნენ. ცნობილია გახმაურებული სკანდალი, პოდუბნიმ ლურიხს რომ მოუწყო. ლურიხმა, როგორც ჩამპიონატის მეპატრონემ, ივან მაქსიმოვიჩს შესთავაზა, მოწინააღმდეგეს უნდა დანებდეო... პოდუბნიმ საჭიდაოდ გამოიწვია ლურიხი და აბერგი, ხოლო როცა მათ უარი უთხრეს, ჩემპიონატი მიატოვა.

ცნობილი მოჭიდავე ზაიკინი გვიამბობდა: „ჩემპიონატის ორგანიზატორთა წინადადებაზე, ამა და ამ წუთს მოწინააღმდეგეს უნდა დანებდეო, საკუთარი სპორტული ღირსების დასაცავად უარის თქმა მხოლოდ ისეთ გამოჩენილ ათლეტებს შეეძლოთ, როგორიც იყვნენ ივან პოდუბნი, ივან შემიაკინი, ნიკოლოზ ვახტუროვი"...

ოციანი წლების ერთ-ერთი წიგნი ასე იწყებოდა:

„ჰამბურგის ანგარიში — ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნებაა.

ყველა ფალავანი, როცა ჭიდაობს, თვალთმაქცობს და ანტრეპრენიორის ბრძანებაზე მოწინააღმდეგეს ნებდება.

წელიწადში ერთხელ ჰამბურგის ტრაქტირში მოჭიდავეები იკრიბებიან.

ისინი კარდახურულ და ფანჯრებზე ფარდაჩამოფარებულ ოთახში ჭიდაობენ.

ჭიდაობენ დიდხანს, ულაზათოდ და მძიმედ.

აქ ადგენენ მოჭიდავეთა ნამდვილ კლასს, რათა წახალტურება ვერავინ გაბედოს".

შესაძლოა ჰამბურგის ტრაქტირი მხოლოდ ლიტერატურული ხერხი იყოს, მაგრამ რაღაც ამის მსგავსი მართლა არსებობდა...

იყო პარიზის შეჯიბრების მსგავსი საერთაშორისო ჩემპიონატები, სადაც გადამწყვეტი ბრძოლა უკომპრომისოდ მიმდინარეობდა. მაგრამ ერთიანი სისტემა, ისეთი, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი რომ გამოევლინა, არ არსებობდა. ევროპის რომელიმე სატახტო ქალაქში იმავე წელს ტარდებოდა

მეორე ჩემპიონატი და თუ სარბიელზე ეროვნული ჩემპიონების გვარიანი რაოდენობა გამოვიდოდა, მაშინ ისიც ანიჭებდა „მსოფლიო ჩემპიონის“ წოდებას.

ასეთი წესი არასრულყოფილი იყო, მაგრამ უძლიერესებს მაინც ავლენდა. სწორედ ეს „ჩემპიონები“ სარგებლობდნენ განსაკუთრებული მდგომარეობით სხვადასხვა ჩემპიონატებზე. ისინი ძალიან დიდ ჰონორარებს იღებდნენ — ას მანეთს და ზოგჯერ მეტსაც ერთ ღამეში, „იაშკებისაგან“ განსხვავებით, რომლებიც ხუთ მანეთად ჭიდაობდნენ.

მაყურებელთა ინტერესის გასაღვივებლად ჩემპიონატებზე ათასნაირ ხრიკებს მიმართავდნენ. მოჭიდავეები ხალხის თვალწინ განგებ ჩხუბს ტეხდნენ, ერთმანეთს ემუქრებოდნენ. ხანდახან პირში მალულად წითელი საღებავით სავსე თეზის ბუშტს იდებდნენ, რომელიც შემდეგ ვითომდა გაშმაგებულ მოჭიდავეებს წითლად უღებავდა სახეს...

საერთაშორისო ჟარგონზე პროფესიულ მოჭიდავეებს ორნაირ სახელს — „შიკესა“ და „ბურს“ ეძახდნენ.

„შიკე“ გახლდათ ჭიდაობა მაყურებლისათვის — ცოცხალი, საინტერესო ჭიდილი. მასში ილეთები და კონტრილეთები ერთმანეთს ენაცვლებოდა, აქ იყენებდნენ ყველანაირ გაბედულ და ეფექტურ ტრიუკს, რასაც სერიოზულ ჭიდაობაში ვერ ნახავდით.

„ბური“ გახლდათ სასტიკი და ზოგჯერ საზიზღარი სანახაობაც. ჩემპიონები გაცეცხლებულ ჭიდილში არკვევდნენ, ვინ ვისზე ძლიერი იყო. ეს იყო ბრძოლა თავმოყვარეობისათვის, პრესტიჟისთვის, დიდი ფულისთვის... აქ ეფექტისათვის არავის ეცალა, მოჭიდავეები მოწინააღმდეგის ყველანაირ წინდაუხედაობას იყენებდნენ, მთელ ძალას ხარჯავდნენ, ამიტომ ორთაბრძოლები ზოგჯერ მონაწილეთა დასახიჩრებით მთავრდებოდა.

„ჭიდაობა ჭიდაობაა, — ამბობდა ივან ზაიკინი. — ის შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. არ შეიძლება ფალავანი ვაიძულოთ ყოველდღე „ბურს“ გაუძღოს. იგი ვერ აიტანს ამხელა დატვირთვას და ვერც მაყურებელს მიანიჭებს სიამოვნებას“.

ჩემპიონები თავიანთ ბეჭებს უფრთხილდებოდნენ. ყოველი წაგება მათ უკან სწევდა. ამიტომ ძლიერი მოჭიდავეები ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ და მათი ყოველი შერკინე-

ბა დიდი მოვლენა გახლდათ. იყო შემთხვევები, როცა პრესტიჟის საკითხი ცარიელ ცირკში, მხოლოდ არბიტრებისა და მოჟიდავეების თანდასწრებით წყდებოდა.

ივან პოდუბნი ბრწყინვალე იყო „შიკეში", „ბურში" კი მისი მომრევი საერთოდ არ ეგულებოდათ.

ძალ-ღონის დაუზოგავად გაშმაგებით ჭიდაობდა. თუ შეატყობდა, რომ მოწინააღმდეგე არაკეთილსინდისიერ ხერხებს მიმართავდა, ცხარდებოდა და მეტოქეს აღარ ინდობდა.

სიბერეში ივან მაქსიმოვიჩს ეკითხებოდნენ:

— ამბობენ, ჭიდაობის დროს ულმობელი იყავით.

— დიახ, — უპასუხებდა პოდუბნი. — როცა ჩემს დაჭერას აკრძალული ილეთებით ცდილობდნენ. საერთოდ ჩემი აღნაგობისა და მონაცემების მქონე ფალავნების შერკინება უპირველესად ძალისმიერი უნდა იყოს.

22

პოდუბნი ხალხის ფიზიკური ძლიერების, მისი სიმამაცისა და საზრიანობის ნათელი განსახიერება გახლდათ.

გლეხური რუსეთი, რომელიც კუნთებს თავდაუზოგავ შრომაში იწრთობდა, ძალასა და სიმარჯვეს ავლენდა მუშტი-კრივში, „კედელზე მიჭყლეტაში", რომელიც სოფელში „სპორტიც" იყო და გასართობიც. ამ ჩხუბში თავიანთ გამარჯვებას უბოროტოდ ამტკიცებდნენ — წაქცეულს არ სცემდნენ...

როცა პოდუბნი ჯერ კიდევ ახალბედა იყო, ცირკში გამოჩნდნენ გლეხები, მსგავსად ვორონეჟელი გოლიათის პრონიასი, რომელმაც არენაზე პირველი გამოსვლისთანავე სულ ადვილად, ყოველგვარი ტექნიკური ხრიკების გარეშე ასწია იარაღები, მსოფლიო რეკორდსმენმა ის-ის იყო, ძირს რომ დაყარა. სპორტის ისტორიაში უსახელოდ დარჩენილმა პრონიამ არც ჭიდაობაზე თქვა უარი, მაგრამ პროფესიონალი არ გამხდარა. ალოობაზე პრონია მშობლიურ სოფელში ბრუნდებოდა ხოლმე...

ვოლგელ მიხაილ ზაიკინს მუშტი-კრივში ბადალი არ ჰყავდა. ჭუჩურ ჩხუბში ბურლაკი მოწინააღმდეგეს პირველი დარტყმისთანავე ძირს სცემდა. იგი თითქმის პროფესიონალიც

კი გახდა, ბაზრობებზე დადიოდა და ხალხს თავის ძალ-ღონეს აჩვენებდა.

მიხაილის ვაჟი ივანე ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როცა თავისი ძლიერი აგებულებით აოცებდა ღონიერ ვოლგელ მტვირთავებს. ჩვიდმეტი წლის ივან ზაიკინმა ძალა სცადა სამარის ცირკში — ცირკის ფალავანს სნეჟკინს ეჭიდავა ოცდახუთ მანეთ პრემიაზე. გამოცდილი სნეჟკინი ალბათ წააქცევდა ჭაბუკ მტვირთავს, ქანდარიდან უფროსი ზაიკინი რომ არ გამოხმიანებოდა:

— წააქციე, შვილო, თორემ ჩამოვედი! წააქციე!

ივანემ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და მოჭიდავე ხალიჩაზე გააკრა.

ზაიკინი ოცს გადაცილებული იყო, როცა მას ყურადღება მიაქცია კონსტანტინ ივანოვიჩ მერკურიევმა — ძალოსანმა და ცარიცინში ათლეტური არენის ორგანიზატორმა, ნავთობის მსხვილი ფირმის „ძმები მერკურიევები და კომპანიის“ მფლობელმა. მდიდარმა მენავთობემ ზაიკინი კანტორაში შიკრიკად აიყვანა, საშუალება მისცა არენაზე ევარჯიშა, ხოლო 1904 წლის თებერვალში პეტერბურგში გაგზავნა სპორტსმენ-მოყვარულთა სრულიად რუსეთის ჩემპიონატზე, რომელიც რიბოპიერის თაოსნობით ტარდებოდა.

იქ ივან ზაიკინმა მარჯვენა ხელით 190 გირვანქა ასწია, მარცხენათი — 170 და რუსეთის ჩემპიონი გახდა.

პიტლიასინსკიმ სიმძიმეთა აწევაში ახალი ჩემპიონი, ვოლგელი ივანე ზაიკინი გამარჯვებისთანავე გააცნო პოდუბნის.

ივან მაქსიმოვიჩმა სიამოვნებით აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი. მას ვარჯიშისათვის პარტნიორი სჭირდებოდა,ზაიკინმა კი ხალისით დაიწყო ჭიდაობის შესწავლა. მოკლე ხანში ივან მაქსიმოვიჩმა ზაიკინისაგან ბრწყინვალე ჭიდავე გამოიყვანა.

„ლაზათიანად დამიზილა გვერდები, — იგონებდა ზაიკინი, — მაგრამ ამ გაკვეთილებს ფუჭად არ ჩაუვლია“...

როცა ერთმანეთს სცილდებოდნენ, პოდუბნიმ სეხნიას უთხრა:

— აბა, ივანე, შენ იცი, მერკურიევთან აღარაფერი გესაქმება. წადი ცირკში და ვარჯიშზე გული არ აიცრუო. არაყი არ დალიო, ეშმაკის ბალახი, თუთუნი არ მოსწიო...

ზაიკინმა ნიკიტინთან კონტრაქტი დადო, გამოდიოდა ვოლგისპირა ქალაქებში, არეხაზე გეძის ღუზას დაატარებდა, ბეჭებზე ფიცარნაგს გაიდებდა ხოლმე, რომელზეც ათობით კაცი იდგა, რელსებსა და ორღარიან კოჭებს ღუნავდა. განსაკუთრებით მოსწონდათ მისი ერთი ნომერი, რომელიც მაქსიმ გორკიმ უკარნახა. აფიშაზე ეს ნომერი ასე იყო დაწერილი:

„დღეს ცირკში უჩვენებენ ავაზაკ ჩურკინის გაქცევას რკინის გალიიდან, რასაც შეასრულებს ვოლგელი გოლიათი ზაიკინი. იგი ამ გალიას მილეწ-მოლეწავს და გაიქცევა. თუკი სხვაც შეძლებს გისოსის დალეწვას, პრემიით დაჯილდოვდება“.

ნომერს მაშინდელ რევოლუციურ სიტუაციაში პოპულარული ქვეტექსტი ჰქონდა. გალიების და ბორკილების მსხვრევით ზაიკინმა ლიბერალური მაყურებლისა და პრესის სიყვარული დაიმსახურა.

1905 წელს მოსკოვის „აკვარიუმის“ ბაღში ზაიკინი ხალიჩაზე პირველად შეხვდა უცხოელ მოჭიდავეებს და ბევრი დაამარცხა. ამ ჩემპიონატში მან ორთაბრძოლა წააგო მხოლოდ პოდუბნისთან, რომელმაც იგი მეთექვსმეტე წუთზე ბეჭებზე დადო.

შემდეგ ზაიკინი ერთ-ერთი პირველი რუსი ავიატორი გახდა. მისი სახელი რუსეთში პოდუბნის სახელს არ ჩამოუვარდებოდა.

ძია ვანია მასზე ასე ოხუნჯობდა:

— ეს არის კაცი, რომელსაც თავი მარტო ხიდებისა და პირუეტებისათვის როდი აბია. მოჭიდავეებს შორის ატარებს საპატიო მეტსახელს „კაცაპს“, რაც ნიშნავს: „თითს პირში ნუ ჩასჩრი“. უდიდესი ღონის პატრონია, ძალიან მარდი და მეტისმეტად ეშმაკი. გადაღებულია ეაკომინოსთან, კარლოს დიდთან, ნაპოლეონთან, ილიოდორთან, კუპრინთან, რასპუტინთან და ნაბუქოდონოსორთან ერთად. აეროპლანით უფრენია და ყველას აოცებდა არაჩვეულებრივი მამაცობით...

ყველას ჯაბნიდა ივან ზაიკინი, მაგრამ ივან მაქსიმოვიჩს ვერ ერეოდა. ერთ-ერთი შერკინება ვოლგელისათვის მეტად სავალალოდ დამთავრდა. პოდუბნიმ იგი ისე ძლიერ დაახეთქა ხალიჩაზე, რომ გიგანტს მხარზე სისხლმა გადმოხეთქა — კუნთები დაუწყდა, სახსარი დაემტვრა, იოგები დაუზიანდა. ივან მაქსიმოვიჩი ამ ამბავმა ძალიან შეაწუხა და ავადმყოფ ზაიკინს ხშირად ნახულობდა.

ივან მაქსიმოვიჩს უკვე პატივისცემით ეძახიან „მამილოს“. იგი ხდება თავკაცი გოლიათებისა, რომლებითაც მუდამ მდიდარი იყო ჩვენი ძიწა.

ყველაზე ტანადი, ახოვანი ვაჟკაცები რუსულ გვარდიაში მსახურობდნენ, მათგან ბევრი პროფესიონალი მოჭიდავე ხდებოდა. იანკოვსკი ოდესღაც ულანის პოლკის ლეიბგვარდიის ვახმისტრი იყო, ივან შემიაკინი პრეობრაჟენსკის პოლკში მსახურობდა.

ივან მაქსიმოვიჩი ყაზარმაში ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე გრენადერებს, რომელთა შორისაც მიტროფან პოდუბნი, თექვსმეტ ფუთს რომ სწევდა ერთ აწევაზე, ყველაზე ღონიერი როდი იყო.

უფროსმა ძმამ სცადა მიტროფანეც ჭიდაობისათვის ეზიარებინა, მაგრამ მას, გარდა ღონისა, მოჭიდავის სხვა თვისებები არ აღმოაჩნდა. მიტროფანეს მეთაური, უნტერ-ოფიცერი ნიკანდრ ვახტუროვი ჭიდაობისთვის პირდაპირ მისწრება იყო.

— ასეთი ლამაზი ჭაბუკი არ მინახავს, მაგრამ ავია, როგორც ასი ეშმაკი.

— აბა მაჩვენე შენი უნტერი!

ვახტუროვი მართლაც იშვიათი ღონისა აღმოჩნდა. კასრივით მკერდი ჰქონდა, სიგანით სამოცი სანტიმეტრი, მხრებში ჩამალული კისერი, დაბალი შუბლი და ბრტყელი სახე თითქოს ნაჯახით გამოეჩორკნათ.

— კეთილი, კეთილი, — თქვა ივან მაქსიმოვიჩმა და როცა გრენადერი არმიიდან დაითხოვეს, თავისთან წაიყვანა მოწაფედ, მასთან ვარჯიშობდა, ჩემპიონატებზე თან დაჰყავდა. ასე იქცა ნიკანდრი მსოფლიოს ცნობილ მოჭიდავედ — ნიკოლოზ ვახტუროვად.

ნიკოლოზი იმიტომ დაარქვეს, რომ ჩემპიონატის მომწყობთ სახელი ნიკანდრი ძალიან მდაბიური და არაკეთილხმოვანი მოეჩვენათ.

— კაცის ღონე კი არა, იქტიოზავრის ძალა აქვს, თანაც ორმაგ პირუეტს ატრიალებს, — ამბობდა მასზე ძია ვანია. — გულიც ისევე ფართო და გადაშლილი აქვს, როგორც ბეჭები...

რიგითი ივანე შემიაკინი პრეობრაჟენსკის პოლკში საუკეთესო გიმნასტი გახლდათ. სიმაღლით ას ოთხმოცდაათ სანტიმეტრზე მეტი იყო, მხრებში ფართოდ გაშლილი. არმიაში გაწვევამდე ტყუილად როდი სარგებლობდა ექიმ კრაევსკის კეთილგანწყობითა და ათლეტურ შეჯიბრებებში პრიზებსაც იღებდა. ყაზარმიდან იშვიათად ათავისუფლებდნენ და იმ დროსაც შემიაკინი თავისებურად იყენებდა.

ერთხელ მიხაილოვსკის მანეჟში მოჭიდავეთა შეხვედრები ტარდებოდა. სარბიელზე გამოდიოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი გაკენშმიდტი, ბულგარელი ნიკოლ პეტროვი და სხვა რუსი თუ უცხოელი ცნობილი ფალავნები.

არბიტრი ძია ვანია იყო.

მან შემიაკინს ყაზარმაში მიაკითხა და სთხოვა:

— სეხნია, შეეჭიდე დღეს ჟორჟ გაკენშმიდტს ტრუსოვის მაგივრად. ის ავად გახდა... აგერ, ათი მანეთი. ვიცი, უფულოდ ხარ, დედაც სნეული გყავს.

ჯარისკაცისა და ახალგაზრდა მოჭიდავისთვის მსოფლიო ჩემპიონთან ჭიდაობა დიდი პატივი გახლდათ.

მაგრამ დაბალი ჩინის სამხედრო პირებს არათუ სარბიელზე გამოსვლის, არამედ საჯარო სანახაობაზე დასწრების უფლებაც არა ჰქონდათ. შემიაკინმა მაინც გაბედა. ის ღამის თორმეტ საათამდე ყაზარმიდან დაეთხოვა, მოჭიდავე ტრუსოვთან წავიდა და საჭიდაო კოსტიუმი გამოართვა.

ეს ამბავი ძია ვანიას ძალიან გაეხარდა და შემიაკინს გრიმის გაკეთებაში თვითონ დაეხმარა — დამწვარი კორპით რუსი შემიაკინი შავგრემანად აქცია, სახეზე ულვაშები და ქილვაშები დაახატა...

ხალიჩაზე გამოსვლისთანავე შემიაკინმა თავისი ასეულის მეთაური დრენტალი დაინახა, რომელიც ლოჟიდან დაჟინებით მისჩერებოდა. ჯარისკაცი დაბნეული ჭიდაობდა და გაკენშმიდტის მარდი მოგვერდის შემდეგ ბეჭებზე გაშხლართულმა, ლებედევის ხმა გაიგონა:

— ოცდამეშვიდე წუთზე, ტურ-დეს ილეთით...

ღამე კარცერში გაათია. ნესტიან სადგომში ოცდაათი დღე-

ლამის პატიმრობამ ფილტვების ანთება დამართა. ჰოსპიტალში კიდეც გაძლა და კიდეც გამოიძინა...

პრეობრაჟენელ ოფიცრებს არ დავიწყებიათ, რომ მათი ჯარისკაცი „თვით გაკენშმიდტს“ თითქმის ნახევარ საათს გაუმკლავდა და, როცა ის ჰოსპიტლიდან გამოეწერა, აიძულეს ასეულის ძალოსნებს სათითაოდ შესჭიდებოდა.

შემიაკინი მათ რიგრიგობით დებდა ბეჭებზე, ყველაზე ჭირვეულებს დაცინვით ეკითხებოდა:

— თქვენ რომელ კუთხეში ინებებთ დაგდოთ?

და დებდა კიდეც.

პრეობრაჟენელები თუმცა მოუქნელები იყვნენ, ძალა საკმაოდ ჰქონდათ. ისინი დღითიდღე ოსტატდებოდნენ. შემიაკინი უკვე ისე ადვილად ვეღარ იმარჯვებდა, ჯერ თვითონვე აკლდა პროფესიული გამოცდილება.

სამხედრო სამსახურის შემდეგ შემიაკინი ჩინიზელის ცირკში მუშაობდა ათლეტად და ეჟენ დე პარისთან სწავლობდა. მოჭიდავის კარიერა სწორედ იმ ჩემპიონატიდან დაიწყო, რომელზეც პოდუბნიმ რაულ ლე ბუშე და პოლ პონსი დაამარცხა. მაშინ შემიაკინმა ცნობილ ბულგარელ ფალავანთან ნიკოლოზ პეტროვთან და ანასტას ანგლიოსთან ჭიდილი ფრედ დაამთავრა. ანტრეპრენიორმა დიუმონმა იგი თან წაიყვანა ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობისას. იქიდან დაბრუნების შემდეგ შემიაკინი მრავალ ჩემპიონატში მონაწილეობდა და ბევრ ცნობილი მოჭიდავის დამარცხებით გაითქვა სახელი.

ძია ვანია მას ასე აღწერდა:

— მკერდი და მხრები ბიბლიურ სამსონს მიუგავდა, ხელები მარწუხებივით ჰქონდა... მოჭიდავეთა შორის ყველაზე აზარტული სპორტსმენი იყო — გამოწვევას გამოწვევაზე იღებდა...

ივან ზაიკინი, ნიკოლოზ ვახტუროვი, ივან შემიაკინი რუსეთში პოდუბნის შემდეგ უთუოდ ყველაზე ძლიერი მოჭიდავეები იყვნენ. მათი დიდება, ისევე როგორც ესტონელების — გაკენშმიდტისა, ლურიხისა და აბერგის დიდება, დღესაც დავიწყებას არ მისცემია.

თუმცა პოდუბნი „მსოფლიო გვირგვინს“ ფლობდა, მაგრამ ამ გვირგვინის შენარჩუნება მუდამ ბრძოლით უხდებოდა. და არა მარტო ჩემპიონატებზე.

1906 წელს, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, ივან მაქსიმოვიჩმა კვლავ ყველა დაამარცხა ჩინიზელის ცირკში გამართულ ჩემპიონატში. მეორე ჩემპიონატში, რომელიც სწორედ ამ დროს „ნემეტის“ ბაღში ტარდებოდა, მაყურებლის კერპი იყო ავსტრია-უნგრეთის ჩემპიონი, პოლონელი სტანისლავ ზბიშკო-ციგანევიჩი.

ზბიშკო-ციგანევიჩი წარმოშობით კრაკოვიდან იყო, რომელიც იმ დროს ავსტრია-უნგრეთს ეკუთვნოდა. პოლონელი პატრიოტები სამშობლოს დაქუცმაცებას ძალზე მტკივნეულად განიცდიდნენ და ხშირად ირქმევდნენ ჰენრიხ სენკევიჩის იმ დროისათვის ცნობილი რომანების გმირთა სახელებს, სწორედ „ჯვაროსნებიდან“[1] წარმოიშვა „ზბიშკო“. ასეთივე გზით შეიქმნა პეტრე იანკოვსკის მეტსახელიც — „ურსუსი“ („კამო გრიადეშიდან[2]„).

პეტერბურგელი ჭიდაობის მოყვარულები აწყდებოდნენ ამ ჩემპიონატებს, გაცხარებით კამათობდნენ პოდუბნისა და ზბიშკოს ღირსებებზე.

— ჩვენი პოდუბნი... შეხედე, რა მკერდი აქვს!

— სამაგიეროდ ზბიშკო თორმეტი წლით უმცროსია. ორთავა კუნთი ორმოცდაათი სანტიმეტრი აქვს! მერე რა ღონის პატრონია!

პოდუბნი წააქეზეს.

ჩემპიონატი რომ დამთავრდა, მან ზბიშკო საჭიდაოდ გამოიწვია. ზბიშკომ გამოწვევა მიიღო. ესეც არ იყოს, დაიქადნა, 500 მანეთს ჩამოვალ თუ პოდუბნი დამამარცხებს და 200 მანეთს, თუ ერთ საათს მაინც გამიძლებსო.

ჭიდაობა „ნემეტის“ ბაღში გაიმართა.

მეტოქენი ხალიჩაზე ფრთხილობდნენ. ერთმანეთს გარს უვლიდნენ და ხელის კვრითა და სილაქებით ახურებდნენ. 27-ე

---

[1] სენკევიჩის რომანი.

[2] როდის მოხვალ (ძვ. სლოვ.).

წუთზე პოდუბნიმ ზბიშკო ხალიჩას მოსწყვიტა. მაყურებელმა დაიღრიალა და ფეხზე წამოიჭრა. მაგრამ ზბიშკო დაუსხლტა პოდუბნის. იგი ძალიან ღონიერი იყო და ყოველთვის ახერხებდა მეტოქეს ხელიდან დასხლტომოდა. 47-ე წუთზე მეტოქე გვერდიდან დაიჭირა, მაგრამ აქვე თვითონ მოგვერდით წამოიღეს...

მოჭიდაველები ისევ დგომში არიან. გავიდა ერთი საათი. პოდუბნიმ 200 მანეთი მოიგო.

მეორე საღამო გადამწყვეტი იყო. 37-ე წუთზე ივან მაქსიმოვიჩი ჩოქებჯენში აღმოჩნდა. შემდეგ მან მოგვერდით ძირს დასცა ზბიშკო. ჭიდაობის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე პოდუბნიმ მეტოქე ხელში მოიგდო და „წელში სწვდა". ზბიშკომ უკან დაიხია, ცდილობდა მოწინააღმდეგეს დასხლტომოდა. მაშინ ივან მაქსიმოვიჩმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, მეტოქე ხალიჩას მოსწყვიტა და... მსაჯების მაგიდაზე დააგდო, მაგიდა ნაწილებად დაიშალა. ზბიშკო ბეჭებზე დაეცა, მაგრამ ხალიჩის იქით. ფრე.

ორი წლის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად ლონდონში. პოდუბნიმ ბანკში ხუთი ათასი ფრანკი შეიტანა. ეს ფული იმ ფალავანს ერგებოდა, რომელიც მას წააქცევდა. გამოწვევა ზბიშკომ მიიღო. ჟიურის თავმჯდომარე იყო ესტონელი გეორგ გაკენშმიდტი, რომელიც სამუდამოდ დასახლდა ინგლისში.

გაკენშმიდტი ინგლისში პირველად საუკუნის დამდეგს გამოჩნდა, როცა ცნობილი მოჭიდაველ ჯეკ კერკიკი კლასიკურ ჭიდაობას სახელს უხვეჭდა ლონდონის უდიდესი დარბაზების ფიცარნაგებზე.

ერთხელ „ალგამბრში" ინგლისელმა დარბაზიდან გამოიწვია ჭიდაობის მსურველები. ერთ-ერთ ლოჟაში მოხდენილ ფრაკიანი და თეთრ ჰალსტუხიანი ახალგაზრდა კაცი წამოდგა, მან გაოცებული მაყურებლის თვალწინ ტანთ გაიხადა და მოჭიდავის ტრუსებით სცენაზე გადახტა.

კერკიკმა ოცდასამი წლის ტანახოვან უცნობში მაშინვე შეიცნო პარიზის „ფოლი ბერჟერში" ცოტა ხნის წინ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული ჭაბუკი.

— თქვენ ინგლისელი ხართ? — ჰკითხა კერკიკმა.

გაკენშმიდტმა, რომელიც გაზეთებს უკვე „რუსულ ლომად"

ჰყავდათ მონათლული, უარის ნიშნად თავი გააქნია.

კერკიკმა გადაწყვიტა შერკინებისათვის თავი აერიდებინა.

— ეს ახალგაზრდა კაცი ცნობილი პროფესიონალია, — ძიმართა მან მაყურებელს. — მე სიამოვნებით ვეჭიდავები მას სპეციალურ მატჩში. ამ საღამოს კი იგი იაფფასიან პოპულარობას დაეძებს. მე მხოლოდ ინგლისელი მოჭიდავეები გამოვიწვიე...

მოკლედ რომ ვთქვათ, გაკენშმიდტი შავ დღეში ჩავარდა. მან გაჭირვებით შეაგროვა უკან წამოსასვლელი ბილეთის ფული, ვინაიდან ინგლისში საშოვარზე ჩასულს ხელი მოეცარა.

ასევე წავიდოდა ინგლისიდან პირში ჩალაგამოვლებული, რომ იქ შემთხვევით არ შეხვედროდა ხელმოცარულ მსახიობს კოკრანს, რომელმაც გადაწყვიტა ბედი სანახაობით ასპარეზზე ეცადა. ახალგაზრდები ერთმანეთს ადვილად შეეწყვნენ. კოკრანმა ნაცნობი ჟურნალისტი ქალი დაითანხმა, რომ „დეილი მეილში“ დაებეჭდა სტატია გაკენშმიდტზე მყვირალა სათაურით — „ძალის გენია“. ამას მოჰყვა ხელშეკრულებები ლონდონის დარბაზების მფლობელებთან. და აი, გაკენშმიდტი უკვე ამთავრებს ინგლისში ტურნეს, რომელმაც მას და მის ანტრეპრენიორს (ინგლისურად — მენეჯერს) დიდი სიმდიდრე მოუტანა.

გაკენშმიდტს განსაკუთრებით გაუთქვა სახელი ლივერპულში პოპულარულ, მაგრამ უკვე ასაკში შესულ ფალავანთან, თომ ქსენონთან გამარჯვებამ. 1904 წლის იანვარში პიკადილის ერთ-ერთ დარბაზში მან ორ წუთში დაამარცხა „შემზარავი თურქი“ ახმედ მადრალი — მეტოქე ხელით ასწია და მაღლა აისროლა...

„გაკი“ ინგლისელების სათაყვანო კერპად იქცა. მისი თაყვანისმცემლები არ შორდებოდნენ კინემატოგრაფს, სადაც ფირზე გადაღებულ ამ შეხვედრას უჩვენებდნენ.

გამდიდრებულმა კოკრანმა მარტო გაკენშმიდტის შეხვედრების მოწყობა როდი დაიწყო. იგი მეურვეობას უწევდა სტანისლავ ზბიშკო-ციგანევიჩსაც.

პოდუბნი ინგლისში ვახტუროვთან ერთად ჩავიდა. რუსი მოჭიდავეები მიიწვია ცნობილმა მენეჯერმა პიერიმ, რომელმაც გადაწყვიტა მათი ოსტატობა გლაზგოს, მანჩესტერის, ლივერპულისა და ლონდონის მაყურებლისათვის ეჩვენებინა.

მოჭიდავეები თავისი კურორტით განთქმული აახენიდან ჩამოვიდნენ. იქ პოდუბნიმ ხახა მემორიალური დაფები, რომლებზეც ოქროს ასოებით ამოტვიფრული იყო, რომ აახენში მკურნალობდნენ რუსეთის მეფე პეტრე პირველი და შვეიცის ხელმწიფე კარლ მეთორმეტე, რომლებიც ისტორიამ გადამწყვეტ ბრძოლაში მოჭიდავის სამშობლოში, პოლტავის ველებზე დააყენა ერთმანეთის პირისპირ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ივან მაქსიმოვიჩს უბრალო, მაგრამ რკინისებური ლოგიკა ჰქონდა: რაკი მკურნალობდნენ, მაშასადამე, ავადმყოფობდნენ, რაკი ავადმყოფობდნენ...

„მარმარილოს დაფებმა დამაღონეს და იმ აზრზე დამაყენეს, რომ მომავალში, როგორც სპორტსმენს, მკაცრად უნდა დამეცვა რეჟიმი“.

ასევე უნდა დაეღონებინა იგი იმ სისუსტეს, რასაც მისი მოწაფე და მეგობარი ნიკოლოზ ვახტუროვი განიცდიდა მაგარი სასმელების მიმართ.

— გუშინ ისევ დალიე არაყი, არა? — მრისხანედ ეკითხებოდა პოდუბნი, როცა ვახტუროვი ვარჯიშზე უხალისოდ, დამნაშავის სახით გამოცხადდებოდა ხოლმე.

— ეჰ, ივან მაქსიმოვიჩ, ნეტა არაყი ყოფილიყო, ვისკი იყო, გაუწყრეს გამჩენი. ნეტა როგორ სვამენ ამას ინგლისელები!

ვახტუროვი იღუშებოდა და შუბლიდან ოფლს იწმენდდა.

— შე ყურუმსაღო, რამდენჯერ მითქვამს, რაკი ჭიდაობა აირჩიე, კეთილი ინებე და თავი შეიკავე, რეჟიმი დაიცავი-მეთქი! თუმცა, ახლავე მოგარჩენ, აბა გავიქცეთ...

ისინი ნომრიდან ჩამოდიოდნენ, ქუჩას გადაჭრიდნენ და ჰაიდ-პარკის ფართო ველებზე აღმოჩნდებოდნენ, გოლიათი მუხებით გარშემოვლებულ მარადმწვანე ზოლს გადათელავდნენ და მხედრებს ასწრებდნენ, რომლებიც თავიანთ მოუხერხებელ ინგლისურ უნაგირებზე კეკლუცად შეხტებოდნენ ხოლმე. ყურადღებას არავინ აქცევდა. „თუ ჯენტლმენებს სირბილი სწადიათ, დაე ირბინონ“. მხედრები უშფოთველები იყვნენ, ისევე როგორც იშვიათი გამვლელები, რომლებიც პარკს დილაუთენია გადაჭრიდნენ ხოლმე.

მოჭიდავეები უკვე მეხუთედ უვლიდნენ გარს ტბორებს.

პოდუბნი ზომიერად სუნთქავდა, ვახტუროვი კი სულს ძლივს ითქვამდა.

— დაიცა რა, მაქსიმოვიჩ, მეათე ვერსს გავრბიეართ!

— მეათეს კი არა, ის არ გინდა, ჯერ მესამეა. აბა გასწი დარბაზში, გამოგინელებ სიმთვრალეს, თუ ბიჭი ვყოფილვარ!

ვარჯიშებზე ისე „წურავდნენ" ერთმანეთს, ხანდახან პოდუბნიც კი იმანჭებოდა ხოლმე ტკივილისაგან. ვახტუროვი საოცარი ღონის პატრონი იყო...

მენეჯერი პიერი კმაყოფილებით ისრესდა ხელებს. პიერი ელამი იყო. მელოტი თავი კი ბილიარდის ბურთივით უპრიალებდა. სწორედ მან ჩამოიყვანა თავის დროზე ევროპაში თურქეთის ცნობილი ფალავნები. მის ახალ იდეას — ინგლისის ხალიჩაზე რუსი ფალავნები მოეწვიათ — ნამდვილად წარმატება ელოდა.

— მისტერ პოდუბნი, — უთხრა ერთხელ პიერიმ, — მისტერ ზბიშკო თქვენთან ერთი კვირის შემდეგ იჭიდავებს. მატჩის მსაჯობა თქვენმა თანამემამულემ მისტერ გაკენშმიდტმა ითავა. ის გახლავთ ჟიურის თავმჯდომარე.

ივან მაქსიმოვიჩმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

ინგლისში ჩასვლისთანავე ივან მაქსიმოვიჩმა გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, რომ რედაქციაში ტოვებდა ხუთი ათასი ფრანკის ქვითარს. და ამ ფულის მიღება შეეძლო ნებისმიერ მოჭიდავეს, თუკი მოინდომებდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას და პოდუბნის დაამარცხებდა.

ამავე დროს პოდუბნიმ გაკენშმიდტს გამოწვევა გაუგზავნა. ესტონელი ბოლო წლებში ძველებურად ვეღარ ჭიდაობდა. მან აბერგის გამოწვევაც უარყო, ახლა რაღაც მოიმიზეზა და პოდუბნის უარი უთხრა ჭიდაობაზე. გამოწვევა მიიღო ზბიშკოციგანევიჩმა.

პოდუბნი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ჟიურის თავმჯდომარედ გაკენშმიდტი დანიშნეს: მას არ შეეძლო მიუკერძოებელი ყოფილიყო, რაკი თვითონ უარი თქვა ხალიჩაზე გამოსვლაზე.

მაგრამ ანტონიო პიერის, რომელსაც „მენეჯერის დუაიენს" ეძახდნენ, აღარაფერი შეეძლო. მისმა მეტოქე მენეჯერმა კოკრანმა ზბიშკოს დიდი რეკლამა გაუკეთა და ხმებიც კი გაავრცელა, პოლონელი თავისუფლად ფლობს ოც ენას და ოსტა-

ტურად თამაშობს ჭადრაკსო. რა კავშირი ჰქონდა ამას ჭიდაობასთან, გაუგებარია, მაგრამ სალაპარაკო მასალად, იცოცხლე, გამოდგა.

დღეს, სამოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგ, ნათელი ხდება, რომ მოჭიდავეებზე მეტად ეს იყო მენეჯერთა შერკინება, რომელშიც უფრო ახალგაზრდა მტაცებელს უნდა დაეჯაბნა მასზე ხნიერი.

მაგრამ პოდუბნისა და პოლონელის მატჩი მაინც მტკიცედ დამკვიდრდა ინგლისის სპორტის ანალებში და სწორედ აქედან მოვახერხე მასზე ყველაფერი დაწვრილებით გამეგო.

მაყურებელი უდიდესი ინტერესით ელოდა ზბიშკოსა და პოდუბნის—„იმდროინდელ მსოფლიოში აშკარად ყველაზე ღონიერი ადამიანის“ შეხვედრას. „ლონდონის პავილიონში“ მატჩზე მოხვედრის ათასობით მსურველმა ვერ იშოვა ბილეთი, რომელიც ერთი გინეა ღირდა.

პოდუბნიმ თავიდანვე მიიტანა იერიში ზბიშკოზე თავისი ცნობილი „წაკვრებით“. მაგრამ ზბიშკოს არც ერთი ნაბიჯით უკან არ დაუხევია და მოწინააღმდეგეს არც ერთი ილეთის საშუალება არ მისცა. მხოლოდ 25-ე წუთზე შეძლო ივან მაქსიმოვიჩმა სტანისლავ ზბიშკო-ციგანეიჩის ჩოქბჯენში გადაყვანა.

გაკენშმიდტმა ფალავნებს წამოდგომა უბრძანა და მაშინვე გააფრთხილა ივან მაქსიმოვიჩი, აკრძალული სარმა იხმარეო.

იმის გამო, რომ ჟიურის არ დაემორჩილა, პოდუბნის დისკვალიფიკაცია მისცეს.

მაყურებლებმა იგრძნეს აშკარა უსამართლობა და თავიანთი აღშფოთება გამოხატეს კიდეც. რუსს მხარს უჭერდნენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორებიც იყვნენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, მძიმე წონის მოკრივე ჩარლი მიტჩელი, ცნობილი პროფესიონალი მოჭიდავე აპოლონი...

„მათ საშინელი ყვირილი ატეხეს, ჟიურის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ, — წერს სპორტის ინგლისელი ისტორიკოსი, — დარბაზში ჩხუბი ატყდა.

მხოლოდ ერთი კაცი არ აქცევდა ყურადღებას აბობოქრებულ დარბაზს. ეს ს. ქ. კოკრანი გახლდათ: მას უფრო მნიშვნელოვანი რამ ადარდებდა.

ზბიშკო ბედის ანაბარად რომ მიატოვა, მენეჯერმა იმ გაზეთის რედაქციას მიაკითხა, სადაც გამარჯვებულისათვის განკუთვნილი ბანკის ქვითარი ინახებოდა. კოკრანმა ქვითარი სწორედ იმ დროს აიღო, როცა პიერი რედაქციაში შევიდა. პიერიმ დარბაზშივე შამჩნია, რომ კოკრანი სადღაც გაიძურწა და კებით სდია ფლიტ-სტრიტაძდე[1].

მაგრამ პიერიმ დაიგვიანა.

კოკრანს მისი მრისხანებისა და პროტესტისათვის ყურადღება არ მიუქცევია — უკანვე გავარდა. იგი შევარდა დარბაზში, რომელიც ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყო, ზბიშკოს დაუძახა და ქვითარი დაანახვა. მოჭიდავე მენეჯერთან მიიჭრა და მათ ერთად დატოვეს დარბაზი".

ისტორიკოსის მიერ ასეთი აღტაცებით გადმოცემული ეს სცენა მშვენივრად ახასიათებს ჭიდაობის „ოქროს საუკუნის" სპორტულ საქმოსანთა ზნე-ჩვეულებებს. თუმცა ამ ამბავს სტანისლავ ზბიშკო-ციგანეეიჩისადმი პოდუბნის პატივისცემაზე არ უმოქმედია.

— მას მრგვალი ზურგი აქვს, მისი ბეჭებზე დადება ძნელია, — ამბობდა პოდუბნი.

ძია ვანია კვერს უკრავდა:

— ზბიშკო ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში. პირდაპირ ჭიდაობისთვისაა დაბადებული: გრძელი წელი, მოკლე ფეხები, გრძელი ხელები... თან გველივით მოქნილია...

პოდუბნი და ზბიშკო მოჭიდავეთა მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველნი იყვნენ. მათი დავაც გადაუწყვეტელი დარჩა. მაგრამ პოდუბნი გახლდათ მსოფლიოში ერთადერთი მოჭიდავე, რომლის ბეჭები ჩვენს მიერ აღწერილ დრომდე ხალიჩას არ შეჰხებია.

1905 წელს პარიზში გამარჯვებით პოდუბნიმ ფართო გზა გაუხსნა რუს მოჭიდაველებს ევროპის ჩემპიონატებისაკენ, საიდანაც მათ პრიზები და ტიტულები ჩამოჰქონდათ და სულ უფრო მეტად განაჭკიცებდნენ რუსული პროფესიული სპორტის სახელს.

---

[1] ჟეჩა, სადაც მოთავსებულია ლონდონის გაზეთების ყველა რედაქცია.

...თვით ივან მაქსიმოვიჩიც სახელოვან საქმეთა შემდეგ განცხრომას არ მისცემია.

1906 წელს იგი ბუქარესტში გაემგზავრა და ჩემპიონატში ყველა მეტოქე დაამარცხა. ნოემბერში იგი უკვე პარიზშია და ისევ იბრძვის მსოფლიოს პირველობის მოსაპოვებლად. ფინალში პოდუბნი ხვდება გერმანელ ჰენრიხ ებერლეს, რომელსაც „თავისი ერის საუკეთესო ფიზიკური ღირსებების ნათელ განსახიერებას“ უწოდებდნენ. ებერლემ დაამარცხა პონსი, ყარა-ახმედი, პეტროვი, პიტლიასინსკი...

პოდუბნი ებერლეს თვალს ადევნებდა. არასოდეს უფიქრია, გერმანელს მე ვჯობიეარო აგებულებით, რეაქციით, თუ გამარჯვებისადმი სწრაფვით. ებერლე რუს მოჭიდავეს ტოლს არ უდებდა. მათი ჭიდაობა საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. გაიმარჯვა გამოცდილებამ, ივან მაქსიმოვიჩის ტაქტიკურმა უნარმა. პოდუბნიმ გერმანელს არაქათი გამოაცალა და მერე ბეჭებით გააკრა ხალიჩას.

მილანში პოდუბნიმ პედერსონი დაამარცხა. შემდეგ იგი ჭიდაობს ლონდონში, ბრიუსელში, ამსტერდამში, აახენში.

1907 წლის დამდეგს ჩინიზელის ცირკში გაიმართა ტრადიციული ჩემპიონატი ფრანგულ ჭიდაობაში.

„ჩემპიონატს თავიდან შემოსავალი არ ჰქონდა. მიზეზი ის იყო, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა პოდუბნი, რომელიც ამ დროს გამოსვლებს ამთავრებდა ბერლინში — იგონებდა ტაკიმასხარა ალპეროვი. — მაგრამ პოდუბნის ჩამოსვლის შემდეგ ჩემპიონატისადმი ინტერესი გაიზარდა და ცირკი, როგორც ყოველთვის, ხალხით გაიჭედა.

ის წლები ჭიდაობის აყვავების წლები იყო. განსაკუთრებით გატაცებული იყო ჭიდაობით გრაფი რიბოპიერი. იგი მთელ დღეებს ცირკში ატარებდა და იმასაც მიაღწია, რომ შეჯიბრებების გამართვის ნება დართეს მარხვის მეოთხე კვირასაც, როცა ყველა სხვა გასართობი შეწყდა. მან დაამტკიცა, რომ ჭიდაობა სანახაობა კი არ იყო, არამედ სპორტი“.

ჩვენთვის აქ ორი ფაქტია მნიშვნელოვანი. პირველი — პოპულარობა ივან მაქსიმოვიჩისა, რომელსაც ძალუძდა მარტო თავისი გამოჩენითაც კი აღეგზნო პეტერბურგის ბევრისმნახველი მაყურებელი. მეორე — ჭიდაობის, როგორც სპორტის სახეობის ოფიციალური აღიარება.

პეტერბურგის შემდეგ პოდუბნი მოსკოვში, „შჩუკინის ბალში“ (ახლანდელი „ერმიტაჟი“) ჭიდაობდა.

შემდეგ მან ვახტუროვი წაიყვანა და ვენაში წავიდა, სადაც ფინალში ზიგფრიდი დაამარცხა.

ვახტუროვი ივან მაქსიმოვიჩივით მშვიდი ბუნებისა არ იყო და ამიტომ საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა. მაგრამ მასწავლებლის ლოცვა-კურთხევით მან მონაწილეობა მიიღო გერმანიის ქალაქ ჰერლიცში გამართულ შეჯიბრებაში და პირველ ადგილზეც გავიდა.

1907 წლის ბოლოს პარიზში ივან პოდუბნი კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ვახტუროვი თავგამოდებით ცდილობს ჩემპიონობას მიაღწიოს, მაგრამ ამაოდ. ერთ-ერთი მისი ჭიდაობა პარიზში ტრაგიკულად დასრულდა. ვახტუროვმა თურქი ჰამიდი დაამარცხა, მაგრამ ამ უკანასკნელმა პროტესტი განაცხადა და უმალ რევანშის აღება მოითხოვა. პოდუბნის რჩევით ვახტუროვი დასთანხმდა. მაგრამ თურქს თურმე ბოროტი ზრახვა ედო გულში. გაბოროტებულმა ვახტუროვი შეუმჩნევლად სცენის კიდეში გაიტყუა და ხელი უბიძგა, რათა საორკესტრო ორმოში ჩაეგდო. მაგრამ რუსმა მოჭიდავემ ორმოს კიდეზე რაღაც სასწაულით თავი შეიკავა და მის მაგივრად შიგ თურქი ჩავარდა. ჰამიდს გულის ფიცარი შეენგრა და ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა...

1908 წლის თებერვალში პოდუბნიმ მონაწილეობა მიიღო ჩემპიონატში, რომელიც ბერლინში მოაწყო გერმანიის ჩემპიონის შემცვლელმა ფალავანმა იაკობ კოხმა. სარბიელზე გამოდიოდნენ ძლიერი ათლეტები: პედერსენი, ზიგფრიდი, პენგალი... კოხი პირველი ადგილის პრეტენდენტი იყო, მაგრამ პოდუბნისა ეშინოდა და 2 ათასი მარკა შესთავაზა, ოღონდ ფინალში წაეგო. ივან მაქსიმოვიჩი დათანხმდა, მაგრამ „ვინტერგარტენის“ სცენაზე კოხი მარჯვედ გააკრა ორივე ბეჭზე. პოდუბნის ოინი ხალხმა შეიტყო და გერმანელი ყველას სალაპარაკო გახდა.

გამარჯვებები, გამარჯვებები, გამარჯვებები... ქალაქების, ქვეყნების, დამარცხებულთა გვარების კალეიდოსკოპში მკაფიოდ ჩანდა რაღაც განსაკუთრებულად გრანდიოზული. პოდუბნის სახელი არ შორდებოდა ევროპის გაზეთების ფურცლებს. ჟურნალისტებმა საგანგებოდ მისთვის მოიგონეს აქამდე გაუგონარი ტიტული — „ჩემპიონთა ჩემპიონი“.

მოჭიდავეებზე, რომლებმაც პარიზის ჩემპიონატებში თუნდაც ერთხელაც მიაღწიეს წარმატებას, შემდგომ მათმა თანამემამულეებმა ათობით მონოგრაფია შეთხზეს. პოდუბნის ამ მხრივ არც ისე გაუმართლა, თუმცა პარიზში ზედიზედ ბარე ხუთჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. იყო რაღაც ისტორიული უსამართლობა იმაშიც, რომ რუსული პრესა პოდუბნიზე სულ უფრო ნაკლებს ლაპარაკობდა, რაც უფრო მეტად ისრდებოდა მისი სახელი ხალხში.

პარიზის 1908 წლის ჩემპიონატი რომ დაიწყო, რუსეთში გაოცებული კითხულობდნენ ჟურნალ „სპორტის“ დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ ცნობას:

„სპორტულ წრეებში ნამდვილი ალიაქოთი გამოიწვია პარიზიდან მოსულმა ცნობამ იმის თაობაზე, რომ უძლეველი პოდუბნი დამარცხდა. იტყობინებიან, რომ ის ორ საათს ერკინებოდა რუს მოჭიდავე კაშჩეევს და ბოლოს ჭიდაობაზე უარი თქვა. ეს დამარცხებულად ჩაეთვალეს“.

თუმცა ამ ცნობას მალე გაბათილებაც მოჰყვა — ექესსაათიან ჭიდილში „ჩემპიონთა ჩემპიონმა“ კაშჩეევი დაამარცხაო.

ეს ჩემპიონატი რუსი მოჭიდავეების ტრიუმფად იქცა. პარიზში გაემგზავრნენ ივან პოდუბნი, ივან ზაიკინი, გრიგორი კაშჩეევი.

პარიზელები მოდიოდნენ კაშჩეევის სანახავად და ისე შესცქეროდნენ, თითქოს რაღაც სასწაული იყო. 218 სანტიმეტრი სიმაღლის მოჭიდავე წარმოუდგენელი ღონის პატრონი გახლდათ.

რუსეთში მასზე ლეგენდები დადიოდა.

იგი წარმოშობით ვიატკის გუბერნიიდან იყო, საიდანაც არაერთი ძალოსანი გამოსულა, მათ შორის ცნობილი ვასილ

ბაბუშკინი — გმირი-მეზღვაური, რომელიც პროვინციულ ჩემპიონატებზე ივან მაქსიმოვიჩ პოდუბნის სახელით გამოდიოდა.

გრიგორი კოსინსკი (კაშჩეევის ნამდვილი გვარი) თანასოფლელებს აოცებდა — ხან თორმეტ ორფუთიან გირს აიკიდებდა და ბელლის ირგვლივ დაატარებდა, ხან კი საზიდარს, დროგის ცხენი ძვრასაც რომ ვერ უზამდა, ხელნაში ჩაეჭიდებოდა და მიათრევდა. სოფლიდან იგი გასტროლიორმა ფიოდორ ბესოვმა გამოიყვანა, რომელიც მიყრუებული ქალაქების მცხოვრებლებს იმით ართობდა, რომ ჯაჭვს წყვეტდა, ნალებს ამტვრევდა, სპილენძის ხუთკაპიკიანს ღუნავდა, ხელისგულით ფიცარში ლურსმანს არჭობდა, „მხრით ორთქლმავალსაც კი ძრავდა ადგილიდან". კაშჩეევი გახდა მეწყვილე ბესოვისა, რომელიც შემდეგ ძია ვანიას უყვებოდა:

— გრიშას მაშინ გრძელი თმა-წვერი ჰქონდა მოშვებული. ჩავიდოდნენ ხოლმე რომელიმე მიყრუებულ ქალაქში... იქ ჩემი და გრიშასნაირი ხალხი არ ენახათ. კაშჩეევი ნადირივით ვაბურძგნილია, ჩემი გვარი კი ბესოვია... ადამიანის სახე არა გვაქვს, გადაწყვიტეს, მაქციები არიანო. შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, ისე დაგვაქამანდეს, ქალაქგარეთ გაგვიყვანეს და გვითხრეს, თუ ჩვენი ქალაქიდან ნებით არ წახვალთ, თქვენს თავს დააბრალეთო მაშინ კი ვიკადრეთ მე და გრიშამ და თავქუდმოგლეჯილებმა მოვკურცხლეთ.

ჩემპიონატზე როგორღაც მოხვედრილმა კაშჩეევმა მოუქნელად, მაგრამ დამაჯერებლად დაამარცხა ცნობილი მოჭიდავეები. მას ხელი მოეცარა ზაიკინთან, რომელმაც ნამდვილი ჭიდაობა ასწავლა. მხოლოდ თავის მასწავლებელს და პოდუბნის ვერ სჯაბნიდა ვიატკელი გოლიათი. აქ აღწერილი ამბიდან სამი წლის შემდეგ გრიშამ ჭიდაობას თავი დაანება, მშობლიურ სოფელ სალტიკში დაბრუნდა და ხვნა-თესვას მიჰყო ხელი...

კაშჩეევი ეჭვის თვალით უცქერდა უცხოელ ჩემპიონებს: მათ შორის იყვნენ უნგრელი ჩაე იანოში, თურქი პენგალი, ზანგი ანასტას ანგლიო, ფრანგი ემაბლ დე ლა კალმეტი, იტალიელები ჯიოვანო და ემილიო რაიჩევიჩები, იაპონელი ონო ოკიტარო, გერმანელი ოსკარ შნეიდერი...

ივან მაქსიმოვიჩმა კაშჩეევს მხარზე ხელი დაჰკრა.

— არ წახდე, გრიშა, რუსები პრუსიელებს მუდამ ერეოდნენ.

თუ პოდუბნის გამარჯვებებს უკვე შეჩვეულნი იყვნენ, ზაიკინის წარბაჯენებამ, რომელმაც მხოლოდ პოდუბნისთან წააგო, გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

„ჯიქის მსუბუქი ნაბიჯებით, თითქოს მსხვერპლს ეპარებაო, გამოდის ქერათმიანი და ულვაშებაპრეპილი ივან ზაიკინი. მას ჰერკულეს ფარნეზელის დაკუნთული სხეული აქვს“.

იტალიელ ჩემპიონს ჯიოვანო რაიჩევიჩს ეშინოდა ზაიკინთან შეხვედრისა და კულისების მიღმა ათასნაირი ხრიკი მოიწყო. ზაიკინმა გადაწყვიტა, ჭკუა უნდა ვასწავლოო. მან იტალიელი დააიმედა, შეხვედრას ფრედ დავამთავრებ, თუ ერთ საათზე მეტ ხანს გამიძლებო.

რაიჩევიჩმა პარიზელ რეპორტიორებთან დაიკვეხა, ზაიკინი რა ჩემი მეტოქეა, მას მეათე წუთზე ბეჭებზე გავაკრავო.

— ერთი უჩვენე მაგას სეირი, ვანია, — უთხრა ზაიკინს პოდუბნიმ. — დააჩოქე ეგ კუდაბზიკა. ეჰ, ერთი მე ვეჭიდავებოდე, რა დღეს დავაყრიდი...

— ფიქრი ნუ გაქვს, ივან მაქსიმოვიჩ, როგორმე თავს გავართმევ, — დაჰპირდა ზაიკინი. — შენი გაკვეთილები კარგად მახსოვს, ახლაც მტკივა ნეკნები.

შეხვედრით მოჭიდავეებიც კი დაინტერესდნენ და უკლებლივ ყველანი, პოდუბნის მეთაურობით, კულისებში შეიკრიბნენ.

გაისმა სასტვენის ხმა და მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეკვეთნენ. ზაიკინმა რაიჩევიჩი მაშინვე ჩოქბჯენში გადაიყვანა და მთელი ტანით ზედ დააწვა. რაიჩევიჩი ხალიჩაზე გახოხდა, მაგრამ ზაიკინმა მეტოქე გადმოაბრუნა და ზედ დააწვა.... მხოლოდ პოდუბნის ხმამაღალმა შეძახილმა აიძულა ზაიკინი ხელი გაეშვა იტალიელი ჩემპიონისათვის. ჭიდაობა სულ რაღაც ხუთ წუთს გაგრძელდა.

გაცეცხლებული იტალიელები, რომლებიც იმ დღეს ბლომად იყვნენ „კაზინო დე პარიში“ სცენაზე აიჭრნენ, რათა გამარჯვებულისთვის ანგარიში გაესწორებინათ. გრიგორი კაშჩეევმა კულისებში მდგარ დეკორაციას უზარმაზარი ძელი მოჰგლიჯა და სცენაზე ამოსულ იტალიელებს დაერია.

დიდი იყო ვნებათა ღელვა.

ჯიოვანის ძმამ ემილიო რაიჩევიჩმა, რომელიც ზაიკინს წაქცეული ჰყავდა, რუს ფალავანს ესროლა, მაგრამ ტყვიამ მხოლოდ მარცხენა მხარი გაუკაწრა...

ოცდაათდღიანი ჩემპიონატი ივან პოდუბნის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილი ზაიკინმა დაიკავა, მესამე — კალმეტმა, მეოთხე — კაშჩეევმა.

„რუსეთის თოვლიან სივრცეებში, — წერდა პარიზის პრესა,— დიდი სპორტსმენები იბადებიან. ისინი ბრწყინვალე ტექნიკასა და ტემპერამენტს ფლობენ. ევროპელმა ათლეტებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ ისეთებისაგან, როგორიც პოდუბნი და ზაიკინი არიან“.

1909 წელს პოდუბნიმ განიმტკიცა თავისი ტიტული, როცა ფრანკფურტის ჩემპიონატის ფინალში გერმანელი ვებერი დაამარცხა.

აუცილებელია გავიგოთ მთავარი, რაც განსაზღვრავდა პოდუბნის ქცევას ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან ჭიდილში და რამაც იგი „ჩემპიონთა ჩემპიონად“ აქცია.

იყო პირველი, დაამტკიცო ეს სერიოზულ ორთაბრძოლაში და უკან არ დაიხიო...

პოდუბნიში მუდამ იყო რაღაც დიადი. თვით მისი სახის გამომეტყველებაც კი შინაგან სიმტკიცესა და ძალთა მობილიზების უნარზე მეტყველებდა. იგი ყოველი შეხვედრისათვის მზად იყო, რაგინდ მყვირალა რეპუტაციის მქონე უნდა ყოფილიყო მისი მოწინააღმდეგე.

ერთხელ ასეთი რამ შეემთხვა.

რუსეთში ჩამოვიდა ცნობილი ფალავანი — თუ არ ვცდები, კონსტან ლე მარენი.

რუსი მაყურებელი სტუმარს აღფრთოვანებული შეხვდა. ისიც, რაც შეეძლო იბღინძებოდა და ცდილობდა ფართო გულმკერდი გამოეჩინა. ხელის თითები სულ ბრილიანტის ბეჭდებით ჰქონდა დახუნძლული, ლამაზ სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა.

ხალიჩაზე ვაჟკაცურად იბრძოდა.

ხალხი მოუთმენლად ელოდა მის შეხვედრას პოდუბნისთან. როცა პოდუბნის ჭიდაობას ლოჟიდან უყურა, ქედმაღა-

ლი უცხოელი ცოტა არ იყოს მოტყდა და გარიგება გადაწყვეტა — პირველ ბრძოლაში პოდუბნი ჩემთან დამარცხდეს, მეორეში მე დაენებდებიო.

ივან მაქსიმოვიჩმა თვალით დინჯად აწონ-დაწონა სტუმარი და მერე სწორედ ის ფრაზა უთხრა, რომლითაც დაიწყო პროფესიონალი მოჭიდავის გზა სევასტოპოლში:

— წამაქციოს, თუ ბიჭია!

უცხოელმა ხალიჩაზე შეხვედრაზე უარი თქვა.

ჭეშმარიტი სიდიადე ყოველთვის შეიცავს საკუთარი თავის რწმენას და ეს რწმენა, კოლოსალური თავდაჭერილობა, შერწყმული ვეებერთელა ფიზიკურ ძალასთან, ჭიდაობის დიდ ოსტატობასთან და პასუხისმგებლობის გრძნობასთან, რომელიც სპორტული რეჟიმის განუხრელ დაცვაში ვლინდება, განსაზღვრავდნენ მის შეხვედრებს დედამიწის ყველაზე ღონიერ ადამიანებთან.

დიახ, ფიზიკურად პოდუბნიზე ძლიერი ადამიანები არსებობდნენ, მაგრამ სულიერი სიძლიერითა და სიამაყით მას ვერავინ შეედრებოდა. ამას ყველა გრძნობდა — მაყურებელიცა და მოჭიდავეებიც, ერთსულოვნად რომ აღიარებდნენ მის უპირატესობას.

რუსი ინტელიგენციისაგან პოდუბნი იმავე პატივისცემასა და მოწიწებას გრძნობდა, რომლითაც ბალხში სარგებლობდა, ბევრი ცნობილი მწერალი, მხატვარი, მსახიობი მიისწრაფოდა მასთან კულისებში ჩემპიონატის დროს. მარტო სუსტ დეკადენტებს როდი იზიდავდათ გოლიათის ცქერა და ლოყებღაჟღაჟა ვაჟკაცის გაბერილი კუნთების ხელით შეხება, რითაც დროებით ივიწყებდნენ მოდის მძიმე ტვირთს, ფერმკთალ უძლურებას ამაღლებული სულის განსახიერებად რომ მიიჩნევდა.

პოდუბნის უურადღებას არ აკლებდნენ ადამიანთა მოდგმის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ გორკი, შალიაპინი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, კუპრინი... მაგრამ არაკანონიერი იქნებოდა ამ ურთიერთობაში დაგვენახა უფრო სერიოზული რამ ვიდრე ჩვეულებრივი გაოცებაა, ან ღრმააზროვანი დასკვნები გაგვეკეთებინა და „ურთიერთგავლენათა“ კვალი გვეძებნა.

მძიმე ცხოვრება ჰქონდათ პროფესიონალ მოჭიდავეებს.

იმ დროისათვის ცნობილი ათლეტი ივან რომანოვი წერდა: „თმა სანახევროდ გამითეთრდა. არადა, არც ისე ხნიერი ვარ — ოცდათორმეტისა შევსრულდი. მაგრამ ბედმა მსოფლიო მომატარა, ყველგან და ყველაფერში დამიბრიყვა და აი, შედეგიც — ჭაღარა გამომერია. ჩემი აზრით, პროფესიონალი მოჭიდავის ცხოვრება წლებით კი არ უნდა ითვალო, არამედ თვეებით, სევასტოპოლის დამცველთა მსგავსად“.

ამას ამბობს ოცდათორმეტი წლის კაცი. პოდუბნი კი ორმოცს იყო მიღწეული. მაგრამ წესიერი ცხოვრება ეხმარებოდა სპორტული ფორმა შეენარჩუნებინა, საჭიდაოდ მუდამ მზად ყოფილიყო, თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა, თავისი „ჩემპიონთა ჩემპიონის“ ტიტული დაეცვა.

მაგრამ ივან მაქსიმოვიჩს ესმოდა, რომ მისი დიდების ეზეც ნელ-ნელა ჩაესვენებოდა. მართალია, ჯერ კიდევ ძალ-ღონე ერჩის, მაგრამ უმჯობესია საპელიანი, დაუმარცხებლად წავიდეს. რატომ ელოდოს პროფესიული ჭიდაობის ახალ ფესოპენს, რომელიც ჭაბუკური ძალ-ღონით აღსავსე, პატივმოყვარული სიფიცხით ატანილი მას მეორე პლანზე გადასწევს?

ეგეც არ იყოს, პოდუბნის ზიზღს ჰგვრიდა სპორტულ პრინციპებზე კომერციული სულისკვეთების გამარჯვება, რაც სულ უფრო ძლიერდებოდა. ფული ჰქონდა თანაც ბევრი: ბოლო წლებში რუსეთში დიდ ჰონორარებს აძლევდნენ. ივან მაქსიმოვიჩს ჩუმ-ჩუმად თვალი ეჭირა მიწებზე და თავის მშობლიურ სოფლებში — კრასიონოვკასა და ბოგოდუხოვკაში ბლომად ნაკვეთებიც შეიძინა. უბრალო მიწები კი არა, არაჩვეულებრივ მამული აბელისა, რომელთანაც სიჭაბუკეში თვითონ ბუშაობდა. მან მიწების მაშინდელი მფლობელის საკინისაგან 120 დესეტინა იყიდა. „აბელი, აბელი! რითი ვართ აბელზე ნაკლები? ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი თავის მემამულენი!“

1910 წელს ივან მაქსიმოვიჩი ოდესაში დაემშვიდობა უტოჩკინს, ზაიკინსა და კუპრინს, რომლებიც საჰაერო ბურთითა და აეროპლანით ფრენდნენ და მთელს რუსეთში სახელი გაითქვეს; ჩიტირეკია მზეთუნახავს ანტონინა ნიკოლაევნა

კვიტკო-ფომენკოს ხელი სთხოვა და მასთან ერთად მშობლიურ პოლტავშჩინაში გაემგზავრა.

ნინა ნიკოლაევნა (ყველა ასე ეძახდა) მაღალი, ქერათმიანი ქალი იყო. იგი სცენის მოყვარულთა სპექტაკლებში თამაშობდა. აი ყველაფერი, რაც მასზეა ცნობილი. ივან მაქსიმოვიჩს იგი მხიარული ხასიათის, ტანადობისა და სისადავისათვის შეუყვარდა.

— ჩვენ ორთავე ექვს ფუთს ვიწონიდით. ერთად ვიწონებოდით ხოლმე, — მიამბობდა პოდუბნის და ევდოკია მაქსიმოვნა.

ბოგოდუხოვკაში კარ-მიდამო გაიჩინეს — ორი სახლი და ცაძეტი დესეტინა ბიწა.

— ოფლით მოვიპოვე, ოფლით, — იტყვის შემდეგ პოდუბნი ზაიკინის მსგავსად; ისიც მომავალზე ფიქრობდა და სიმბირსკის გუბერნიაში მამული შეისყიდა.

წავიდა ხალიჩიდან ივან პოდუბნი, მიწყნარდა.

ცირკის მაყურებელი მასზე ზღაპრებს თხზავდა — თურმე მთელ სოფელს მუშტი-კრივს მარტოკა უმართავსო, ქოხს მხრით აბრუნებსო... ყბედები! დარბაისლურად ცხოვრობდა ივან მაქსიმოვიჩი, ბრწყინვალე ეტლით დადიოდა, კარგი მეოჯახე იყო. ტყუილად კი არ იყო მომჭირნე, ფულს აგროვებდა.

ავსტრალიიდან მექანიკოსი გამოიწერა და ბოგოდუხოვკაში ვალცებიანი წისქვილი ააგო. ორჟიცშიც გამართა წისქვილი და მეთვალყურედ თავისი ძმა მიტროფანე დანიშნა. გამდიდრება უნდოდა.

ევროპას, თავის გარშემო ატეპილ აურზაურს იშვიათად იგონებდა, გამოიტანდა ოქროს მედლებითა და სამკერდე ნიშნებით სავსე ყუთს — ორ ფუთ ოქროს, მხარზე „ჩემპიონთა ჩემპიონის“ მკედით ნაქარგ ლენტს გადაიკიდებდა, პარიზში რომ მიიღო ბოლო გამარჯვებისათვის და ერთს ღრმად ამოიოხრებდა ხოლმე...

მშობლებს, ძმას მიტროფანეს, ყველა ნათესავს ივან მაქსიმოვიჩმა მიწები აჩუქა. მამა მალე გარდაიცვალა აპენდიციტით. ამაზე ქალაქში ხელად შეთხზეს ამბავი: თურმე მაქსიმ ივანოვიჩი ბაზრობიდან შინ მთვრალი ბრუნდებოდა. ცხენებს უკიცლა, ბედაურებმა გაქუსლეს, გოლიათი გადმოაგდეს და მკერდით წყალში ჩაძირულ კორძიან ხეს შეაჯახეს, მაგრამ იგი წა-

მომხტარა და ისევ ცხენებს გამოჰკიდებია. ამიტომაც გარდაცელილაო.

კრასიონოვკელ მოხუცებს დღესაც ახსოვთ მაქსიმ ივანოვიჩის დაკრძალვა. ახსოვთ, როგორ მიეშურებოდა ხალხი ლამაზი ივანესა და მისი ცოლის სანახავად. ნინა ნიკოლაევნა ცუდად გამხდარა, ივან მაქსიმოვიჩს ხელში აუტაცნია, გარეთ გამოუყვანია და ვეებერთელა მუხის მორზე დაუსვამს, რომელიც უხსოვარი დროიდან ეგდო ეზოში.

1912 წელს პოდუბნიმ მამა ეკლესიასთან დაასაფლავა და მარმარილოს საფლავი გაუკეთა. სწორედ იმ ადგილზე, სადაც ახლა კრასიონოვკის საშუალო სკოლა და „ჩემპიონთა ჩემპიონის“ მარმარილოს ბიუსტი დგას.

მამის დასაფლავების შემდეგ ივან მაქსიმოვიჩმა თავის საოხაჯო საქმეებს გადახედა.

მისი იმედები არ გამართლდა. მიტროფანე ორეიცში სულ გალოთდა. ჭიდაობით დაგროვილი ფული დიდმა მეურნეობამ შთანთქა. ძალზე გააზვიადა თავისი შესაძლებლობები ივან მაქსიმოვიჩმა, ყველაფერს ვერ მიადევნა თვალი. მისმა კონკურენტებმა ზარხიმ და რაბინოვიჩმაც ააგეს წისქვილი და ყველანაირად გამართეს. ან კი რა უჭირდათ? ოლქში ყოველი მეორე კაცი მათი მევალე იყო და აბა სხვის წისქვილში ხომ არ ივლიდნენ?

ივან მაქსიმოვიჩმა გადაწყვიტა, წესრიგი უნდა დავამყაროო და ორეიცში წავიდა. მიტროფანე ნასვამი რომ ნახა, იფიქრა, ჭკუას ვასწავლიო და ერთი ლაზათიანად მიბეგვა. მისი ძმა კი ადგა და გაბრაზებულმა წისქვილი გადაწვა.

სამწუხაროდ, დაუდევრობა იყო თუ რა, ბოლო სადაზღვეო შესატანი გადახდილი არ ჰქონდათ, ფულმა თქვენი ჭირი წაიღო, ყველაფერი განადგურდა...

ვერა და ვერ დადგა პოდუბნისაგან სოფლის კაპიტალისტი. მან ბოგოდუხოვკის წისქვილი და მამულები ისევ იმ ზარხისა და რაბინოვიჩს მიჰყიდა, ვალები გადაიხადა და 1913 წელს ხალიჩას დაუბრუნდა — როგორც თვითონ წერდა, „გულმა ისევ ჭიდაობისაკენ გაუწია“.

ივან მაქსიმოვიჩს ორმოცდასამი წელი უსრულდებოდა. რას არ წერდნენ გაზეთები; წერდნენ უფრო იმას, რომ დიდი რისკი იყო პოდუბნის ხალიჩაზე დაბრუნება, წერდნენ მის „ხანდაზმულ“ ასაკზე, რომ ის ნავარჯიშევი არ იყო...

და აი, ისევ ჩინიზელის ცირკში გამართული ჩემპიონატი, ისევ თვალისმომჭრელი სინათლეები და „გლადიატორთა მარში“, ისევ პარად-ალე.

„მაყურებლის აღფრთოვანებული ოვაციები მოწმობს, რომ პოდუბნი ჩვენთვის ათი წლის შემდეგაც პოდუბნი იქნება“.

ხალიჩაზე დაემხო გოლიათი ზანგი ანგლიო. მანეეიდან გავიდნენ და ბეჭები დამალეს ფრანგმა ჩემპიონმა რაულ დე რუანმა, ფინელმა იარვინენმა, რუსეთის ჩემპიონმა ჭიდაობასა და გირების აწევაში ლუკა კოპიევმა...

კოპიევსა და ივან მაქსიმოვიჩს ერთი სკოლა ჰქონდათ გავლილი, კოპიევმა ჭიდაობა პარიზში, ჩვენთვის უკვე ნაცნობ ეჟენ დე პარისთან შეისწავლა. მაგრამ პოდუბნიმ ყველაფერი გაანადგურა — სიჭაბუკეცა და ტექნიკაც.

ჩემპიონატში წაუგებლად, დამაჯერებლად და ურყევად გამოდის ალექს აბერგი. მის შეხვედრას პოდუბნისთან მოუთმენლად ელიან. პოდუბნი აბერგზე ძლიერია, მაგრამ აბერგი უფრო მარჯვეა, ნავარჯიშები და თან თორმეტი წლით უმცროსია მეტოქეზე...

ისინი ერთმანეთს 2 მაისს შეხვდნენ.

ამ დღისათვის ყველა ბილეთი გაყიდული იყო და გადამყიდველები უფრო სარფიანად ვაჭრობდნენ, „ვიდრე თვით შალიაპინის ბილეთებით“.

ორთაბრძოლის არაკომერციული, პრინციპული ხასიათისთვის ხაზი რომ გაესვათ, ჟიურიში სამოყვარულო ათლეტური საზოგადოება „სანიტასის“ წევრები მოიწვიეს. გაზეთები წერდნენ, ორივე ფალავანი „გარეგნულად თავს მშვიდად გრძნობსო“.

ისინი ათი წელია ერთმანეთს იცნობენ. „საერთო უბედურება“ აკავშირებთ — ორივენი რაულ ლე ბუშესთან დამარცხდნენ იმ დაუვიწყარ 1903 წელს. აბერგი და პოდუბნი ხალი-

ჩაზე ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ აბერგი მეექვსე წუთზე დანებდა...

მაგრამ ტყუილად როდი უწოდებდნენ აბერგს „ბალიჩის გამოცანას". მან ზაიკინთანაც კი რამდენიმე ბრძოლა ფრედ დაამთავრა. არაერთხელ გამოუწვევია პოდუბნის აბერგი და აბერგს — პოდუბნი, მაგრამ, ეტყობოდა, არც ერთი არ ჩქარობდა შეხვედრას...

შედეგი არც ამ შეხვედრას მოუტანია.

ერთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა აბერგისა და პოდუბნის ჭიდაობა. პირველ ხანებში პოდუბნი თავგამოდებით ცდილობდა მოწინააღმდეგე ძალისმიერი ხერხებით გაეტეხა, მაგრამ აბერგი სულ ხალიჩაზე იჯდა, ეტყობა, ელოდა როდის დაიქანცებოდა პოდუბნი. და მართლაც ივან მაქსიმოვიჩი შესამჩნევად დაიღალა. აბერგმა მაშინვე შეცვალა ტაქტიკა და მძაფრ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ორთაბრძოლის დრო ამოიწურა...

„მე ვნახე აბერგისა და პოდუბნის ჭიდაობა ჩინიზელის ცირკში, — იგონებს ძველი მოჭიდავე მ. ა. იაკოვლევი. — მართალია, პოდუბნიმ იგი პარტერში გადაიყვანა, მაგრამ მაინც ვერაფერი გაახერხა. ჭიდაობის შემდეგ მე და აბერგმა ერთად ვივახშმეთ. ვკითხე, პოდუბნიზე რა აზრისა ხარ-მეთქი. მან მიპასუხა: „ივან მაქსიმოვიჩი ძალიან ძლიერია". მეორე დღეს ნევის პროსპექტზე შევხვდი პოდუბნის და ახლა მას ვკითხე, აბერგზე რა აზრის იყო. მან მოკლედ მომიჭრა. „ჩუხონელი ძლიერია!" ამის თქმა სიტყვაძუნწი ჩემპიონისაგან, რომელიც ძვირად თუ ვინმეს შეაქებდა ხოლმე, აბერგისათვის დიდი ხოტბა გახლდათ".

4 მაისს ისინი კვლავ შეეჭიდნენ ერთმანეთს. შეხვედრა ორ საათს გაგრძელდა, მაგრამ ისევ უშედეგოდ დამთავრდა.

სამწლიანი შესვენების შემდეგ ივან მაქსიმოვიჩისათვის კვლავ დაიწყო მომთაბარე ცხოვრება — ჩემპიონატიდან ჩემპიონატზე, ჩემპიონატიდან ჩემპიონატზე...

ასაკთან ერთად პოდუბნის წონაც ემატებოდა. ახლა იგი ასოცდაათ კილოგრამს იწონიდა და უწინდებურად მოძრაეიც აღარ იყო, მალე იღლებოდა, სუნთქვა უჭირდა. ამიტომ ცდილობდა ხოლმე მხოლოდ მისთვის ნაცნობი რაიმე ხერხით ორთაბრძოლა როგორმე მალე დაემთავრებინა. მეტოქეს მკლავებს ისე გადაუგრეხდა და ისეთი ძალით მოუჭერდა, რომ ამ უკა-

ნასკნელს იმის შიშით, ხელი არ მომტყდეს ან არ ამომივარდესო, ისლა დარჩენოდა, წინააღმდეგობა არ გაეწია. „ჩოქბჯენში“ არასოდეს დგებოდა, ხოლო, როცა ზევიდან აწვა თავის მეტოქეს, ის საცოდავი თავს ვეღარ იხსნიდა მისი მომაკვდინებელი „ბერკეტებისა“ და „ნელსონისაგან“.

ჟურნალისტებისაგან ახლა თავი შორს ეჭირა და ისინიც წამდაუწუმ ჩიოდნენ „ამ განსაკუთრებულ, მუდამ გულჩათხრობილ პიროვნებაზე“, მაგრამ მათ „რაღაც უცნაურად და შემზარავად“ ეჩვენებოდათ ის სუსტი წინააღმდეგობა, რასაც პოდუბნის ძლიერი მოჭიდავეები უწევდნენ.

სახელი მას არ აკლდა, თუმცა ზოგიერთი ხვდებოდა, რომ ის აღარ იყო „ჩემპიონთა ჩემპიონი“. მაგრამ ამ მაღალი ტიტულის ახალი პრეტენდენტი ჭიდაობის ისტორიას მაინც არ უხილავს.

პოდუბნის სახელი საზოგადო სახელად იქცა. ეს კარგად გამოიხატებოდა არც ისე ბრძნულ, მაგრამ პოპულარულ ლექსებში:

ღრუბელი როდი ირხევა
ტყეში მოწმენდილ ცაზე —
ძია ეანია გამოდის
და ახშიანებს სასტვენს.
გრიგალის მსგავსად მოიწევს
და არემარეს ფარავს
ომახიანი ძახილი:
„სიჩუმე, ეიწყებთ პარადს!“
საყვირის ხმაზე მოდიან
ფეხშეწყობილნი, ეშხით,
პოდუბნის მსგავსი ბიჭები
იჯგიმებიან წელში...

პირველი კლასის მოჭიდავეები გრძნობდნენ ივან მაქსიმოვიჩის სისუსტეს და სულ უფრო ხშირად იწვევდნენ საჭიდაოდ იმის იმედით, რომ იქნებ მათს აფიშებზეც წაეწერათ: „დაამარცხა ივან პოდუბნი“.

1913 წლის მოსკოვის ჩემპიონატმა იგი კვლავ შეახვედრა აბერგს, რომელმაც, უდაოდ, მეტ სრულყოფილებას მიაღწია. ეს შეხვედრა ისევ ფრედ დამთავრდა.

ალბათ მაშინ დაიწერა გეორგ ლურიხის სტატია „ჭიდაობა — ჯანმრთელობის წყარო“, რომელიც შემდეგ ჟურნალ „მე-

იე მატსში“ დაიბეჭდა და ნათლად აღწერდა ჭიდაობის ნამდვილ აზრს.

„ათლეტიკის აზრი ის კი არ გახლავთ, რომ მავანმა და მავანმა შეიძლება რაღაც მოიხვეჭოს — ვთქვათ სახელი ან ფული—ან ვინმემ ვინმე ბეჭებზე დადოს — აბერგმა პოდუბნი ან პოდუბნიმ აბერგი. ნაბისმიერ შემთხვევაში საეჭვოა, რომ ამით კაცობრიობამ რამე მოიგოს, ისევე როგორც ვერაფერს მოიგებს ცალკეული ქვეყანა, თუნდაც მისი უძლიერესი შვილი დაჯაბნონ — ის ამას როგორმე გადაიტანს. სპორტული ჭიდაობის უმთავრესი ამოცანა ის გახლავთ... რომ ჩვენ, ათლეტებმა, თავი ავანგარდებად ვიგრძენით და სერიოზულად გავაფრთხილეთ ადამიანთა მოდგმა, რომელიც ფიზიკურად დასუსტდა. ჩვენი მოწოდება ასეთია: „ადამიანო, გადმოდი შენი უაზრო გზიდან და მეგვიეიდე ჩვენ: განა ჩვენც შენსავით იგივე ხორცისა და სისხლისაგან არ შევდგებით? შენ შეგიძლია, ყოველ შემთხვევაში, შეგეძლო, ჩვენსავით ძლიერი გამხდარიყავი, მაგრამ არ ინებე. შეს უგულებელყავი ჯანმრთელობის ძალიან სერიოზული და ძვირფასი მცნებანი და ამიტომ უნდა გაიღო შენი სიცოცხლის ნაწილი, სისხლი და ფული“.

ათასობით, ასი ათასობით წიგნმა და სიტყვამ, ადამიანს აზროვნებისკენ რომ მოუწოდებდნენ, ნაყოფი ვერ გამოიღო და დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. თუ მათ შეძლეს და რაიმე სარგებლობა მოიტანეს, ისიც დროებით, წუთიერად, — ის კვამლივით განიფანტა, ხოლო ძველი, მაგრამ მუდამ ახალი სიმღერა ყოველთვის თავიდან იწყება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხის ფართო მასებზე ისე ძლიერ არაფერი არ ახდენს გავლენას, როგორც მაგალითი. ყველგან, სადაც გამოჩნდებიან საუკეთესო ათლეტები, მათი გამოსვლები მუდამ ზრდის სპორტისადმი დაინტერესებას“.

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, რომ ლურიხის სტატიიდან მოზრდილი ნაწყვეტი მოვიყვანე, მაგრამ ესტონელმა თქვა ის ძირითადი და მთავარი, რისთვისაც მთელი თაობები პროფესიული ჭიდაობის მადლიერები უნდა იყვნენ.

მან საფუძველი დაუდო სპორტულ მოყვარულთა ჭიდაობას. მან, სპორტის ისტორიკოსთა მტკიცებით, „გამოიწვია ხალხის ფართო მასების დაინტერესება და ხელი შეუწყო ქვეყანაში სპორტის სხვა სპეობათა ჩასახვა-განვითარებას“.

ვერაფერს იტყვი, ისტორიკოსებმა უფრო კარგად იციან.

მოჭიდავე ნიკოლოზ ტურბასი იხსენებს მოსკოვის ერთ-ერთ ჩემპიონატს, სადაც გამარჯვებას ნიკოლოზ ვახტუროვს უწინასწარმეტყველებდნენ — დათვივით ღონიერ და ჯანიან ფალავანს.

მაგრამ ტურნირზე მოულოდნელად მისი მასწავლებელი ივან პოდუბნი ჩამოვიდა. იგი შევიდა ვახტუროვის ნომერში, სადაც იყვნენ ტურბასი და კიდევ სამი გოლიათური აღნაგობით გამორჩეული ფალავანი, შემიაკინი, მთა-ყაზბეგი და ციკლოპი.

პოდუბნი ცოლთან ერთად მოვიდა და ყველამ შენიშნა, რომ ნინა ნიკოლაევნა მზეთუნახავი იყო, ოღონდ ცოტა ფერი გაკრთობოდა. შემიაკინს პოდუბნის მოსვლა არ ესიამოვნა — კარგა ხანია „ჩემპიონთა ჩემპიონის" შურდა და გულზე დიდად არ ეხატებოდა.

ივან მაქსიმოვიჩი და მისი მოწაფე ერთმანეთს მეგობრულად გადაეხვივნენ.

— კენჭივითა ხარ, კენჭივით, — უთხრა პოდუბნიმ.

— შენთან რას მოვალ. — უპასუხა ვახტუროვმა და ამოიოხრა.

— მოხვალ...

ივან მაქსიმოვიჩმა ფართო ხელისგული ვახტუროვს კასრივით ამობურცულ მკერდზე დაჰკრა.

ვახტუროვმა მასწავლებელს თვალი შეავლო და სთხოვა:

— აბა ერთი ტანთ გაიპადე, ვანია.

მერე ტურბასს მიუბრუნდა და დასძინა.

— ჩვენებურო, გაგვზომე, ჩვენ შორის რომელი უფრო ფართოა.

გოლიათები ზურგშექცევით დადგნენ. მოჭიდავეები უფრო ახლო მივიდნენ. შემიაკინს კი ფეხი არ მოუცვლია.

— ვანია უფრო ფართოა, — განაჩენი გამოუტანა ნინა ნიკოლაევნამ.

— სამაგიეროდ კოლიას უფრო ფართო გულმკერდი აქვს, — შეედავა ტურბასი, ეკვიანი ვახტუროვი რომ დაემშვიდებინა. მაგრამ ის ივან მაქსიმოვიჩს თვალმოუშორებლად შესცქეროდა.

ამ დროს ვილაცამ თქვა:

— ხუთი დღის შემდეგ შეეჭიდებიან ვახტუროვი და პოდუბნი, და ყველაფერი მაშინ გაირკვევა...

ივან მაქსიმოვიჩმა გაიღიმა. ვახტუროვი აღელდა, ფერიც კი წაუვიდა, იგი მაგიდასთან მივიდა და მთელი ჭიქა არაყი დაისხა, მერე ერთბაშად გადაჰკრა და შაშხის კარგა მოზრდილი ნაჭერი დააყოლა.

პოდუბნიმ ტურბასი გვერდზე გაისმო.

— ყური დამიგდე რას გეტყვი. ამ კაცში მთელი სული და გული მაქვს ჩადებული. მისი წარმატებები მახარებდა და არ მეშინოდა, რომ იგი ჩემზე ძლიერი იქნებოდა!.. ყველა ხერხი და ფანდი ვასწავლე. ეგ დაღლარა კი არაყს ჭიქებით სვამს!

ვახტუროვს ცოტა არ იყოს ეშინოდა ამ შეხვედრისა, თუმცა თავის მასწავლებელზე ახალგაზრდა იყო და არც ძალ-ღონით ჩამოუვარდებოდა.

ისევ გაიჭედა მაყურებლით ცირკი, ხალხი გასასვლელშიაც კი იდგა. შარშან ვახტუროვმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. პოდუბნის ეს ტიტული ექვსჯერ ჰქონდა მოპოვებული...

ისინი ორ საათსა და ორმოც წუთს ჭიდაობდნენ. პოდუბნიმ შეხვედრა მოიგო, ოღონდ მარტო ქულებით.

29

1915 წლის 27 იანვარს მოსკოვში, სალამონოვის ცირკში, ყვავილების ბულვარზე ჩემპიონატი დაიწყო.

პოდუბნის მთავარი მოწინააღმდეგე იყო ივან შემიაკინი — ჩამოსხმული, საოცრად პატივმოყვარე ფალავანი.

ორივე დაუმარცხებლად ჭიდაობდა.

პოდუბნის მდგომარეობა სვიატოგორთან შეხვედრის შემდეგ ცოტა შეირყა. გოლიათი სვიატოგორი მას „წელში ზურგიდან შეუვარდა". პოდუბნი დაუსხლტა, ინერციით ხალიჩიდან გადავიდა, მკერდით ბარიერს დაეჯახა და პირიდან სისხლი წასკდა.

ბრძოლა შეწყვიტეს, ჭიდაობით გახურებულმა მაყურებელმა აურზაური ატეხა. გაისმა ყვირილი: „ლაჩარო!"

ეს სისასტიკე და სიბილწე იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ პოდუბნიმ სახელი აღიდგინა, რო-

ცა 46-ე წუთზე „მოგვერდით წამოიღო და ხალიჩაზე გააკრა" სვიატოგორი. ამის შემდეგ მან ჩუფისტოვი დაამარცხა.

რუსეთის ერთ-ერთი საუკეთესო მოჭიდავე ივან შემიაკინი გამარჯვებისაკენ ყველანაირი ხერხით იკაფავდა გზას.

მან ბრალი დასდო ჩემპიონატის ორგანიზატორს პეტროვს — პოდუბნისთან „ფულზე წაგება" შემომთავაზაო. პეტროვმა შემიაკინის სიცრუე ამხილა და განაცხადა, პოდუბნის დამარცხება „ძალიანაც ხელს მაძლევდა" — ასეთი სენსაცია მხოლოდ გაზრდიდა ინტერესს ჩემპიონატისადმი. პეტროვმა კი განაცხადა — შემიაკინის ცოლი (წარმოშობით უნგრელი) ავსტრიის ჯაშუშიაო...

ამ მიეთმოეთმა კიდევ უფრო შეუნთო ცეცხლი ვნებათა ღელვას.

და აი, ბოლოს და ბოლოს, გოლიათები ერთმანეთს შეეჭიდნენ. ეს იყო ნამდვილი „ბური" — მკაცრი და უშეღავათო. ეს მოხდა 1915 წლის აპრილში.

მე მომყავს ამ ბრძოლისადმი მიძღვნილი საგაზეთო სტატია, რათა თქვენი ყურადღება გავამახვილო არამარტო პოდუბნის, როგორც მოჭიდავის დამახასიათებელ თავისებურებებზე, არამედ მის თავდაჭერილობაზე, რათა გაგახსენოთ, რომ მას დიდხანს არ სურდა პასუხი გაეცა მოწინააღმდეგის აშკარად არაკეთილსინდისიერ „ბინძურ ფანდებზე".

„აუცილებლად უნდა აღინიშნოს, — ასე იწყება რეპორტაჟი, — რომ ჩემპიონების შერკინება ძალზე სერიოზული იყო და წინასწარ რაიმე მოლაპარაკებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია.

I ბრძოლა. ჭიდაობა მძაფრად დაიწყო. შემიაკინს სურს მოწინააღმდეგე კისრით დაიჭიროს და კისრის ნაცვლად წამდაუწუმ უტყლაშუნებს. შემიაკინი დიდ ძალას ამჟღავნებს, მაგრამ პოდუბნი ურყევად დგას. შემიაკინი წინამხრით რამდენჯერმე ურტყამს პოდუბნის კისერში, ამას მოჰყვება ხელების დაძაბული მასაჟი. პოდუბნი დროს იხელთებს და თავს ესხმის მოწინააღმდეგეს, შემიაკინი ხალიჩიდან გარბის და მუხლის კვრით ცდილობს თავი დააღწიოს მოწინააღმდეგეს. მას შენიშვნას აძლევენ. მოჭიდავეები შერკინებას ამთავრებენ. სულ დგომში არიან.

II ბრძოლა. პოდუბნი შემიაკინზე დაბალია, ამიტომ იძუ-

ლებულია თავისი ჩვეულებრივი დგომა შეიცვალოს და ხშირად იცვლის პოზიციას. მაგრამ ხალიჩის შუაგულს არ სცილდება. შემიაკინი მის ირგვლივ ტრიალებს და წამდაუწუმ ბარიერისაკენ იხევს, თან შიგადაშიგ უეცარ დარტყმებსაც არ ივიწყებს. იმდენი ქნა, რომ ჭიდაობის ბოლოს პოდუბნის ცხვირიდან სისხლი წასკდა. საერთოდ შემიაკინი უფრო გაბედულად და გამომწვევად მოქმედებს. ეს შერკინებაც, პირველისა არ იყოს, დგომში ჩატარდა.

III ბრძოლა. მაყურებელი მიესალმება პოდუბნის. მეორე წუთზე მოჭიდავეები ერთმანეთს ჯვარედინად გადაეჭდნენ, შემიაკინი ძლივს იძვრენს თავს პოდუბნის მარწუხებიდან. არადა გეგონებოდათ, ამ უკანასკნელს რომ მოებდომებინა, მის დაჭერას კიდევაც შეძლებდა. შემიაკინი წელში წინიდან შეევარდნას ახერხებს, მაგრამ პოდუბნი ადვილად იგერიებს. მაშინ იგი ისევ უხეშობას მიმართავს, მარცხენა ხელით მოწინააღმდეგის მარჯვენა ხელი უჭირავს და პოდუბნის თავს სახეში ურტყამს. ჭიდაობა დგომში გრძელდება.

IV ბრძოლა. მოჭიდავეები ერთმანეთს თავმიბჯენილნი დგანან. 2—3 წუთის შემდეგ პოდუბნის მთელი სახე სისხლით მოესვარა, სისხლი გატეხილი ცხვირიდან წვეთავს. მეხუთე წუთზე ის ჟიურის მაგიდასთან მიდის და სისხლიან სახეს იბანს. შემიაკინი ამ პაუზაზე პროტესტს აცხადებს, მაგრამ თვითონაც მიდის მაგიდასთან და წყალს სვამს. ორთაბრძოლის გაახლების შემდეგ ის ისევ ურტყამს მეტოქეს თავს, რისთვისაც არბიტრი მიშინი სასტიკ გაფრთხილებას აძლევს. ამაზე მაყურებელიც პროტესტს აცხადებს, ჭიდაობის ბოლოს შემიაკინი უფრო მეტს უტევს და ძალიან ენერგიულად მუშაობს...

V ბრძოლა. მესამე წუთზე პოდუბნი შემიაკინს მაგრად შემოაჭდობს ხელებს და ძტერევას უწყებს. ის გაქცევას ლამობს, მაგრამ პოდუბნი არ ეშვება, მოწინააღმდეგეს მიწას სწყვეტს (უკვე ხალიჩის იქით) და პარტერში აგდებს. გაისმა მაყურებლის მქუხარე ტაში. ხალიჩას იქით პარტერში გადაგდება არ უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ ჟიური შემიაკინს მაინც აიძულებს ჩოქბჯენში დადგეს. ისიც, რა თქმა უნდა, დიდი ხნის პროტესტის შემდეგ, ჩოქბჯენში დგება. პოდუბნი ზევიდან მუშაობს და სულ მოწინააღმდეგის ზურგზეა.

VI ბრძოლა. შემიაკინი კვლავ მუხლებსა და იდაყვებს დაყრდნობია და მოწინააღმდეგეს მათი გაშლის საშუალებას არ აძლევს. პოდუბნი მთელი ძალით არ მუშაობს. აშკარად ფრთხილობს პარადზე არ წამოეგოს და მხოლოდ მოკლე „ნელსონებს“ მიმართავს, რომელთაც შემიაკინი, რა თქმა უნდა, ადვილად იგერიებს. მაყურებლებიდან ზოგს ასეთი ჭიდაობა არ მოსწონს — „მოსაწყენიაო“... ჭიდაობა სულ ჩოქბჯენში მიმდინარეობს.

VII ბრძოლა. პოდუბნი კვლავ ზემოდანაა. თუმცა ამჯერად პოზიცია შეიცვალა და შემიაკინს მარჯვნიდან უტევს. ეს ჭიდაობა წინა ჭიდაობაზე უფრო ცოცხლად წარიმართა. მაყურებლები, რომლის უმრავლესობას ნათელი წარმოდგენა არა აქვს ჭიდაობის წესებზე, არბიტრს და მეტოქეებს წამდაუწუმ მიუთითებენ — შეხედეთ, ფეხები არასწორ მდგომარეობაში აქვთო. სინამდვილეში ყველაფერი წესიერად მიდიოდა. პოდუბნიმ ახლა ქვევით დაიწყო მუშაობა და უცებ გაოგლიჯა შემიაკინს კბილებიდან ხელი.

VIII ბრძოლა. მაყურებელი პოდუბნის მხარეზეა. შემიაკინს მიზეზად მოჰყავს, დამთავრებამდე სულ 10 წუთი დარჩაო და მოითხოვს ორთაბრძოლა ქულებზე გადაიტანონ და აფიშაზე შესაბამის წესსაც უთითებს. მაგრამ ყიურიმ დაადგინა ჭიდაობა ჩოქბჯენში განეგრძო. შემიაკინი უკმაყოფილოდ აგრძელებს ბრძოლას; წამიც და ცდილობს დაუსხლტეს პოდუბნის „ნელსონს“, მაგრამ ნურას უკაცრავად. შემიაკინმა პოდუბნის თავი სახეში ამოსცხო, პოდუბნიმ კი ისე, რომ მაყურებელს არ შეემჩნია, ხელი ნიკაპში მიარტყა. შემიაკინი კვლავ ცდილობს წამოდგომას, მაგრამ ვერ ახერხებს და თავს ძლიერად ურტყამს ქვემოდან. თავგამოდებული მაყურებელი პროტესტს აცხადებს, პოდუბნი კი შეუმჩნეველად ფეხებით ილეთს აკეთებს და შემიაკინი ტკივილისაგან შეჰყვირებს. ასე გადის 10 წუთი და არბიტრები ფრეს აცხადებენ.

ამრიგად, მთელი ჭიდაობა 1 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა, აქედან 43 წუთს — დგომში, 37 წუთს — ჩოქბჯენში.

შედარებისათვის: პოდუბნი წონით 8 ფუთია, შემიაკინი — 7 ფუთი და 10 გირვანქა; პოდუბნის სიმაღლეა 185 სანტიმეტრი, შემიაკინისა — 193“.

„ხალიჩის მეფეთა“ შერკინება სასტიკი და სერიოზული

იყო. ძნელი მოსაპოვებელი გახლდათ „ათასები", რომელზეც ასე უყვარდათ ლაპარაკი ობივატელებს. თუმცა ასე მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა მოსულ სეტყვას ქვა ხვდებოდა ჩოლმე.

30

რუსეთის პრესას ჭიდაობა, ცხენოსნობა, ახლადაღმოცენებული საჰაერო ნაოსნობა და ავტომობილიზმი ასაზრდოებდა. გამოდიოდა ათობით სპორტული ჟურნალი. ზოგი რამდენიმე ნომრის გამოსვლის შემდეგ იხურებოდა, ზოგი კი ნიჭიერი რეპორტიორების წყალობით იფურჩქნებოდა. ჟურნალები ბევრ წამოწყებას უჭერდნენ მხარს და რუსეთში შემოსულ სპორტის სახეობათა რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

რეპორტიორი სპორტში მთავარ ფიგურად იქცა. იგი მოჭიდავეთა ყველა ჩემპიონატის მუდმივი სტუმარი იყო, ყველა კულისებსმიღმა საქმეში ცხვირს ყოფდა. შიშის ზარს სცემდა შეჯიბრების ორგანიზატორებს და მოჭიდავეებს. მასზე იყო დამოკიდებული პოპულარობა, მის ხელში იყო რეკლამა. ჩემპიონატის მესვეურნი რეპორტიორებს საპატიო ადგილებს უყოფდნენ, „პრესის მეფეებისთვის" საგანგებო „ოქროს საკარძლებს" იგონებდნენ, ჟურნალისტებს საკმაოდ დიდ ქრთამს ეხდიდნენ. რეპორტიორები ქრთამის აღებას არც მოჭიდავეებისაგან თაკილობდნენ — ვიღაცას წარმოაჩენდნენ, ვიღაცას შიჩქმალავდნენ...

ივან პოდუბნი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჟურნალისტებს არ ემდუროდა. იგი მათ ხარკს არ უხდიდა, მაგრამ ისინი მაინც იძულებულნი იყვნენ მასზე ეწერათ მხოლოდ იმიტომ, რომ გამარჯვებულებსა და პოპულარულ პიროვნებებზე დუმილი შეუძლებელი იყო. ძია ვანიამ მოახერხა პოდუბნიზე ისე ეწერა, რომ ვერ გაიგებდი — აქებდა თუ აძაგებდა. „ჩემპიონთა ჩემპიონი ხარ თუ ვიღაცა, შენი..." — ფიქრობდა ობივატელი და თავს იმტვრევდა. მაგრამ ძია ვანიას პოდუბნისთან თავისი ანგარიშები ჰქონდა.

დედაქალაქის ერთ-ერთ ცნობილ რეპორტიორს ივან მაქსიმოვიჩი უანგაროდ უყვარდა. თანაც ეს სიყვარული ცოტა არ იყოს უცნაურიც გაჰლდათ.

რეპორტიორი პოდუბნის ჩემპიონატიდან ჩემპიონატზე

დასდევდა, აღტაცებისაგან სუნთქვაშეკრული მის გამარჯვებებს აზვიადებდა, მაგრამ საკმარისი იყო პოდუბნის რაღაცაში თავი ისე არ გამოეჩინა, როგორც რეპორტიორის მიერ წარმოდგენით დახატულ ღმერთკაცს შეშვენოდა, რომ რეპორტიორს სიხარული დაეუფლებოდა. „ასეა, ასე, — ამბობდა თავისთვის იგი, — კიდევ გვსაყვედურობენ, უპრინციპოები არიანო. ნახეთ, ბატონო, რანაირი მუსები შეტორტმანდნენ, ჩვენ კი ვინა ვართ".

თბილისში, ეფიმოვის ცირკში, ორთაბრძოლები მთავრდებოდა. ვირტუოზ კლემენტი ბულისა და პოდუბნის მჯობი კი არავინ ჩანდა, ფალავნები ერთმანეთთან შესახვედრად ემზადებოდნენ, მაგრამ ჩემპიონატის ორგანიზატორები გრძნობდნენ, რომ ბული დამარცხდებოდა. ეს იცოდა მაყურებელმაც, ამიტომ იყო, რომ ჩემპიონატმა, რომლის შედეგიც წინასწარეე ნათელი იყო, ინტერესი დაკარგა...

გადამწყვეტი შეხვედრის დღეს რეპორტიორი პოდუბნის რესტორანში აეტორღიალა, ლაუბობდა, ოხუნჯობდა. მაგრამ ივან მაქსიმოვიჩი უწინდელზე სიტყვაძვირი და მოწყენილი იყო.

— რა უგუნებოდ ხარ, მაქსიმოვიჩ? — ჰკითხა რეპორტიორმა.

— ცუდი ამინდია! — სცადა რეპორტიორის თავიდან მოცილება პოდუბნიმ.

გარეთ მზე ანათებდა.

— დღეს მე წავიქცევი, — კბილებში გამოსცრა უცებ ივან მაქსიმოვიჩმა და რეპორტიორი მიხვდა, რომ ჩემპიონატის თავკაცებმა გოლიათი დაიყოლიეს ბულს დანებებოდა, შემდეგ კი რევანშის აღება მოეთხოვა. ასე ჩემპიონატი გაგრძელდებოდა და სენსაციის წყალობით შემოსავალი გაიზრდებოდა.

ამ ჩემპიონატის არბიტრი წარსულში ცნობილი სპორტსმენი კვიატკოვსკი გაზლდათ.

— მაინც დაიყოლიეთ მოხუცი, არა? — ჰკითხა მას შეხვედრისას რეპორტიორმა, რომელიც სიხარულს ძლივს მალავდა.

— საშიში კაცია! — თქვა პოდუბნიზე კვიატკოვსკიმ. — არ გახსოვთ, რამდენჯერ მიუცია ასეთი პირობა. მაგრამ ხალიჩა-

ზე მეტოქე ცხარე ცრემლებით უტირებია. თუ უალაგო ალაგას დაუსტვინე, ცოცხლად შეგჭამს...

კლემენტი ბული პოდუბნისთან შეხვედრის წინ ხალხს გაურბოდა.

ივან მაქსიმოვიჩს არც უცდია წინააღმდეგობა გაეწია. ჭიდაობის პირველსავე წამებზე ბულმა „ნახევარსუპლესი" ჩაატარა. პოდუბნი ხალიჩაზე ბეჭებით დაეცა, მაგრამ იმწამსვე დაუსხლტა ბულს და ფეხზე წამოხტა. კვიატკოვსკიმ უკვე ჩაბერა სასტვენს — წაგება ჩაითვალაო...

მაყურებელმა ყვირილი მორთო — ეს თვალთმაქცობაო.

ასეთ შემთხვევაში „დამარცხებულს" მართებდა ჟიურის მაგიდასთან მიერბინა, პროტესტი განეცხადებინა და რევანში მოეთხოვა. მაგრამ პოდუბნი უხმოდ გაშორდა იქაურობას.

— მამიკო! — უთხრა ვახშამზე კვიატკოვსკიმ, — თუ იცი, რა ჩაიდინე? განა ასე ეცემიან?

ივან მაქსიმოვიჩმა არბიტრს მხარზე ხელი დაჰკრა.

— წაქცევასაც ცოდნა უნდა, მე კი არ მისწავლია...

რეპორტიორს ნამალავმა სიხარულმა სრული კმაყოფილება ვერ მოუტანა.

ცუდი დრო იყო — პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა.

საზღვარგარეთ პოდუბნი აღარ დადიოდა, სამაგიეროდ მოასწრო თავისი რუსეთის ხელახლა შემოვლა. ხანში შესული გოლიათი სულ უფრო ხშირად ამთავრებდა ჭიდაობას ფრედ მასზე ახალგაზრდა და გამოცდილ ფალავნებთან.

დიახ. პოდუბნი ის პოდუბნი აღარ იყო. მას ჩემპიონატის მესეეურები ანგარიშს უკვე ნაკლებად უწევდნენ. ხანდახან „საქმისთვის" სხვა ჩემპიონები წააქცევდნენ და შემდეგ სახელის აღდგენის საშუალებას აძლევდნენ.

კრასნოდარში დღესაც იხსენებენ ერთ შემთხვევას. ივან მაქსიმოვიჩს მატარებლის ბილეთი ჰქონდა აღებული, ოღონდ ჯერ სტერსთან უნდა ეჭიდავა. თაყვანისმცემლები ღელავდნენ, ვერ მოასწრებსო.

— რაკი ვანეჩკამ თქვა, მოასწრებს, — ამშვიდებდა მათ

ნინა ნიკოლაევნა, რომელიც პოდუბნისთან ერთად მოგზაურობდა. „ვანეჩკამ“ სტერსი ექვს წუთში წააქცია.

— ნახეთ ბიჭებო? აი, ასე ვჭიდაობდი ერთ დროს.

ივან მაქსიმოვიჩს ასეთი სიტყვაძუნწი აღიარებაც კი უმძიმდა.

31

რევოლუცია და შემდეგ სამოქალაქო ომი პოდუბნისათვის განსაკუთრებულად რთული მოვლენა გახლდათ.

სამოქალაქო ომის დროს ივან მაქსიმოვიჩი ჭიდაობას განაგრძობდა სხვადასხვა ქალაქებში, რომლებსაც ხან წითლები ანთავისუფლებდნენ, ხან თეთრები იპყრობდნენ, ხანაც მწვანეები ესხმოდნენ თავს...

სანახაობანი ხალხს ამ შფოთიან და შიმშილობის ხანაშიც იზიდავდა, რაც მოჭიდავეებს თავის რჩენის საშუალებას აძლევდა. თუმცა ივან მაქსიმოვიჩი სპირტიან სასმელებს არ ეტანებოდა, ხორცსაც ცოტას ჭამდა — „ჭარბალი და სტაფილო ერჩია“ — მაგრამ ამოდენა ორგანიზმის გამოკვება ადვილი როდი გახლდათ.

ახლა პოდუბნი ხშირად გამოდიოდა მარტოკა, წითელარმიელებსა და მშრომელ ხალხს გირებით ვარჯიშებს უჩვენებდა, მხრებით ათ-ათ კაცს ერთად სწევდა ხოლმე. ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება მას გაძლიერებულ ულუფას აძლევდა. პოდუბნი სხვებზე იოლად გადიოდა. მისი სახელი ყველამ იცოდა, მის დანახვაზე რუს კაცს სახე ღიმილით უნათდებოდა, ხანდახან ხათაბალაშიც გარეულა, მაგრამ ისევ გაგრიულ გამჭრიახობას და პოპულარობას უშველია.

ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას გადმოგვცემს თავის მოგონებებში მოჭიდავე ნიკოლოზ რაზინი (ფომიჩევი):

„მახსენდება, სამოქალაქო ომის არეულ წლებში ბედმა ოდესაში გადამისროლა. ქალაქი ჯარით იყო სავსე. აქ იყვნენ ფრანგები, ინგლისელები, იტალიელები, თურქები. თვალში გვეჩხირებოდა შავი ლოზუნგები „ანარქია — წესრიგის დედა!“ ბობოქრობდნენ ანარქისტები. ერთხელ დერიბასოვზე მივდივარ და ვხედავ: ჩემკენ პოდუბნი არ მოდის! წვერგაბანჯგვლული, გამბდარი, გაზანგული...

— ივან მაქსიმოვიჩ!

მან გამომხედა, ნაღელიანად გაიღიმა.

— ო, ნიკოლაშა, როგორ გამახარე.

შინ მივიპატიჟე. მან ნაწყვეტ-ნაწყვეტ და, როგორც მომეჩვენა, უხალისოდ მიამბო, რომ ოდესაში შემთხვევით მოხვდა, უფულოდ და უბარგოდ.

როცა ვნახე, რომ მართლაც ფეხზე ძლივს იდგა, აღარ ჩავეკითხე, მით უფრო, რომ შევატყვე, არ სურდა გული გადაეშალა.

მივედით სახლში. სანამ სახელდახელოდ ვაპშამს მოვამზადებდი, ვხედავ, პოდუბნის ჩასძინებია. არ გავაღვიძე. ორი დღე-ღამე ეძინა ივან მაქსიმოვიჩს და მხოლოდ იმისთვის თუ გაიღვიძებდა, რომ ბუტერბროდი შეეჭამა და ფინჯანი ბულიონი დაელია. როცა გამოიძინა, მაშინ კი მიამბო, რაც ჟიტომირში გადახდენოდა თავს.

თურმე ანარქისტებს კინაღამ დაუხვრეტიათ. ამისი მიზეზი მსოფლიოს ჩემპიონის ლენტი ყოფილა. ფრანგულ დროშას ისეთივე ფერები აქვს, როგორც რუსულს: თეთრი, ლურჯი, წითელი ზოლები. მაგრამ ფრანგულ დროშას ზოლები გარდიგარდმო აქვს. ანარქისტები ასეთ რამეში ვერ ერკვევიან. პარადის დროს, როცა ერთ-ერთმა ანარქისტმა პოდუბნის მკერდზე ტრადიციული ლენტი დაინახა, ყვირილი მორთო, პოდუბნი მეფის მომხრეა, რაკი მეფის დროშის ფერებს ატარებსო. ცირკთან ივან მაქსიმოვიჩს ნაბახუსევი ანარქისტების მთელი ბანდა დაუდარაჯდა. პოდუბნი იძულებული გახდა უკანა კარიდან გაპარულიყო და უფულოდ, უბარგოდ მოსულიყო სადგურზე. ასე ჩამოაღწია ოდესამდე. აქ კი ერთმანეთს შევხვდით.

სამშობლოს დატოვება ივან მაქსიმოვიჩს არასოდეს უფიქრია, თუმცა ასეთი რამ ბევრჯერ შეუთავაზებიათ.

— იქ ჩვენ რა გვესაქმება? ისა სჯობია, საპლის გზა ვეძიოთ.

სახლისკენ გზა ძნელი „მოსაძებნი" იყო და ჩვენ ქერჩში გავემგზავრეთ.

ეს პატარა ზღვისპირა ქალაქიც ჯარით იყო სავსე. ყოველ ნაბიჯზე უცხოელები ირეოდნენ. გალეშილი რუსი ოფიცრები ჯგროდ დაეხეტებოდნენ სანაპიროზე. ქალაქში ღვინო წყალივით იღვრებოდა, საჭმლის შოვნა კი ჭირდა. ამიტომ მე და პო-

დუბნის რამდენიმე საკმაოდ უსიამოვნო წუთის გადატანა მოგვიხდა.

ერთ საღამოს სანაპიროზე სეირნობისას ოფიცრებს შეეხვდით. ორი მხარბეჭიანი, ჯანიანი კაცის დანახვამ მშიერ ოფიცრებზე ისე იმოქმედა, როგორც წითელი ნაჭერი მოქმედებს ხოლმე ხარზე.

ერთ-ერთი მათგანი მოგვიახლოვდა. წერილ ფეხებზე ძლივს იმაგრებდა თავს. ივან მაქსიმოვიჩმა თვალები მოუტა, ხელები ზურგსუკან დაიწყო და გაჩერდა. აპრეხილი ულვაში ძირს ჩამოუვარდა. ჩანს ბრაზი მოერია.

ოფიცერმა ზიზღით გაიცინა და იყვირა:

— რას დაგსიებიათ სახე, ტეტიებო! დასახვრეტები ხართ!

ივან მაქსიმოვიჩმა თავს ძალა დაატანა და მშვიდად ჰკითხა:

— რა ნებავს ბატონ ოფიცერს?

— რა? აი შე გაგრიავ, შენა! — გადაიხარხარა ოფიცერმა. — ნახვრეტი მინდა გაგიკეთო!

მან რევოლვერი ამოიღო და ლულა პოდუბნის მკერდსე მიაბჯინა. დახანება არ შეიძლებოდა. მთვრალს არაფრად ულირდა სასხლეტზე თითი გამოეკრა. ბევრი აღარ მიფიქრია, ოფიცერს რევოლვერზე მარცხენა ხელი აეუკარი და მარჯვენა ყბაში ამოვცხე.

კიდევ კარგი, დროზე მოვასწარი, მაშინვე გაისმა სროლის ხმა და ტყვიამ პოდუბნის მხარი გაუკაწრა.

ოფიცრები ცხვრის ფარასავით შემოგვესივნენ. ჩვენც მუშტი-კრივი გავუმართეთ. მოჭრილ ძნასავით ძირს ცვიოდნენ და ველარ დგებოდნენ, ივან მაქსიმოვიჩმა იცოდა, ასეთ ქალაქში ოფიცრების გალახვა რასაც ნიშნავდა და მთელ სანაპიროზე ყვირილი მორთო:

— ხალხო, გვიშველეთ, გვკლავენ!

თან ისეთი ძალით ურტყამდა ოფიცრებს, რომ მათ ძვლებს ჭახაჭუხი გაქონდა. მეც ავყევი და თან ისე ვაჩვენებდი თავს, თითქოს მოჩხუბრების გაშველება მინდოდა.

— რას სჩადიხართ, ბატონო ოფიცრებო? ასე ხომ შეიძლება მოკლათ კაცი!

და თან ურცხვ სიფათში მუშტებს ვუშენდი. ვიღაცამ ჰაერში გაისროლა. არ ვიცი, ყველაფერი ეს რით დამთავრდე-

ბოდა, პატრულს რომ არ მოესწრო. ჩვენ, ოფიცრები და მოხუცი ბერძენი, რომელიც იქვე ახლოს წაბლს ყიდდა, კომენდატურაში წაგვიყვანეს.

კომენდანტმა, ახალგაზრდა ლამაზმა პოლკოვნიკმა, მაშინვე იცნო პოდუბნი; ღიმილი მოერია და მოწმეს, მოხუც ბერძენს დაკითხვა დაუწყო:

— მოყევი, როგორ მოხდა ყველაფერი.

— ბატონო, ოფიცრები ამ ორ კაცს დაესივნენ. ერთი ყვიროდა, გვიშველეთო, მეორე გაშველებას ცდილობდა.

კომენდანტმა დაჰკითხა ნაცემი ოფიცრები, რომლებიც, უკვე გამოფხიზლებულები, დასიებულ თვალებსა და ამოვარდნილ ყბებს ხელით ისინჯავდნენ, და გამოგვიშვა. გამომშვიდობებისას მან ჩუმად გვითხრა:

— გირჩევთ ამაღამვე წახვიდეთ ქალაქიდან, თორემ ამ ნაძირალებმა შეიძლება დაგხვრიტონ. ახლავე ვუბრძანებ ნავი მოგიმზადონ და კარგი მენავეც გაგაყოლონ. მანამდე კი არ მინდა თვალი მოგაშოროთ. მეცით პატივი და ერთად ვივახშმოთ ჩემს მეგობართან...

ეს მეგობარი აღმოჩნდა ბერძენი მიკსაკსუდი, რომლის თამბაქოს ფირმა მთელ ევროპაში იყო განთქმული. მიკსაკსუდი თურმე ჭიდაობის ტრფიალი ყოფილა და ამიტომ, როცა მის საუცხოოდ გაწყობილ ორსართულიან სახლში შევედით, ყველა გულთბილად მოგვეგება.

საუცხოო სუფრა გაიშალა. გაოცებული ვიყავი, ამ შიმშილობის დროს სად მოახერხა მასპინძელმა ასეთი ნაირ-ნაირი საშმლის შოვნა-მეთქი. ღვინოსა და კონიაკზე აღარაფერს ვამბობ. ივან მაქსიმოვიჩმა ისევ გამაცა თავისი საქციელით.

დამშეულები ვიყავით, მაგრამ პოდუბნიმ ჯერ საუცხოო კონიაკზე თქვა უარი, მერე კი, სუფრას რომ გადახედა, ჩაილაპარაკა:

— მე ვინეგრეტსა და სტაფილოს გეახლებოდით.

...მეთევზის ნავით ბერდიანსკამდე მივაღწიეთ. ჩვენდა ბედად, იქ ჩემპიონატი ტარდებოდა ჭიდაობაში. ჩვენ ხალისით მიგვიღეს და რამდენიმე დღეს მშვიდად ვცხოვრობდით. ჩემპიონატი მაშინ დამთავრდა, როცა ქალაქში მახნოს ბანდა შემოიჭრა...

ბანდა მართლაც დაესხა თავს ბერდიანსკს 1919 წელს. მახნომ ადგილობრივი კომუნისტები დააპატიმრა და ქალაქს 25 მილიონი მანეთის „კონტრიბუცია“ დაადო.

მახნოს კომენდატურის პირდაპირ მდებარე მოედანზე პოდუბნის შეეძლო ბანდიტების მართლმსაჯულების აღსრულების სცენა ენახა. მახნოთა ასეული უსმენდა ახალგაზრდა მეზღვაურს, რომელიც ქალაქის კომენდანტად დაენიშნათ.

— ძმებო! — გაჰყვიროდა იგი სკამზე შემდგარი, — ჩემმა თანაშემწემ კუშნირმა წუხელ თვითნებური ჩხრეკა ჩაატარა და აი, ეს აწაპნა, — მან ხალხს ოქროს პორტსიგარი დაანახვა. — რა ეკუთვნის მას ამისათვის?

ვიღაცამ დაიყვირა:

— დახვრეტა!

ბრბო აყაყანდა და ამ წინადადებას მხარი დაუჭირა.

კომენდანტი სკამიდან ჩამოხტა და იქვე რევოლვერი დაახალა კუშნირს.

მაჯნოელები ახლა უკვე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ:

— დახე, სალახანები, ნადავლი ვერ გაიყვეს!

კომენდანტმა პორტსიგარი მშვიდად ჩააცურა შარვლის ჯიბეში და ბარბაცით გაეცალა იქაურობას.

ცნობები ბერდიანსკში პოდუბნის ჩამოსვლის შესახებ ბუნებრივია, არ მოიძებნება. სამაგიეროდ არსებობს რამდენიმე ლეგენდა, ცირკის მსახიობებისა და მოჭიდავეების მოგონებებში რომ არის აღბეჭდილი. მთლიანად მათზე დაყრდნობა არ შეიძლება, ვინაიდან ამბის მონაწილეთა სახელები მოგონილია, ხოლო წვრილმანები გაზვიადებულადაა გადმოცემული. მაგრამ მათში ივან მაქსიმოვიჩის მოუდრეკელი ხასიათი და მანერები თითქოს ზუსტადაა დახატული. ნიკოლოზ რაზინისა და ცირკის მსახიობის პეტრე ტარახნოს მონაყოლიც მოგონება-ლეგენდებს მიეკუთვნება. ეს ის ტარახნო გახლავთ, რომელსაც პოდუბნი ჯერ კიდევ სევასტოპოლში, ტრუცის ცირკში პირველი გამოსვლიდან იცნობდა.

ტარახნო ცნობილი მეთაურის პავლე დიბენკოს დავალებით ქერჩში აპირებდა ჩასვლას, რათა წითელი არმიის შეტევის წინ იქაური მდგომარეობა შეესწავლა. ბერდიანსკთან მისი მატარებელი მახნოელებმა გააჩერეს. როცა გაიგეს, რომ ტარახნო ცირკის მსახიობი იყო, ქალაქის კინოთეატრში წაიყვა-

ნეს, სადაც ბანდიტების შემოსევამდე ჭიდაობა იმართებოდა და სადაც მახნომ განიზრახა თავისი „მხედრიონისთვის“ „კონ-ცერტი“ მოეწყო.

ტარახნო ამტკიცებს, რომ იქ ნახა ლურიხი, ზაგორუიკო, ძია ვანია ლებედეი და სხვა ცნობილი ხალხი. ისინი დალვრე-მილები შემოსხდომოდნენ მაგიდას, ხმელა პურს ჭამდნენ და ადუღებულ წყალს აყოლებდნენ. კედელთან, გრძელ მერხზე, თბილ ხალათში გახვეულ პოდუბნის ეძინა. მათ ნაბრძანები ჰქონდათ საღამოს თავიანთი ხელოვნება მახნოელთათვის ეს-ვენებინათ, რაც კარგს არაფერს უქადდათ — ბანდიტების ზნე-ჩვეულება ყველასათვის ცნობილი იყო.

საღამოს კინოთეატრის დარბაზი მახნოელებით გაიჭედა. ზოგი სავარძლებში მოკალათდა, ზოგი ფანჯრის რაფებზე, ზო-გიც პირდაპირ იატაკზე იჯდა. „მამილოს“ მოლოდინში თამბა-ქოს აბოლებდნენ და იგინებოდნენ.

აი, ისიც შემოვიდა თავისი ჩვეული ბარბაცა სიარულით, შუბლზე ჩამოყრილი გრძელი თმები გადაიწია და თვალები მოჭუტა — დარბაზი ისე იყო გაბოლილი, თავი ჯოჯოხეთში გეგონებოდათ. მას ფეხდაფეხ შემოჰყვა სახედაბიეკინებული ლევკა ზადოვი. „კონტრდაზვერვის უფროსს“ გადმოკარკლულ თვალებში სიმკაცრე ჩასდგომოდა. აქვე დაფუსფუსებდნენ გულიაიპოლსკის „საბჭოს“ თავმჯდომარე კოგანი და ანარქის-ტების „თეორეტიკოსი“ ეიხენბაუმი.

ნესტორ მახნო მოწყენილი ჩაეშვა სავარძელში, რომელიც შემოსვლისთანავე დაუდგეს. სცენაზე მისი ადიუტანტი გა-მოჩნდა და გამოაცხადა:

— სმენა იყოს და გაგონება, აქ გვესწრება თვით ჩვენი ატამანი, მამილო მახნო, რომელიც დიდი მცოდნე და დამფა-სებელია ყველანაირი კონცერტისა; მან დღესაც ინება გვიჩ-ვენოს მსახიობთა წარმოდგენა.

მახნოელებმა ტაში დასცხეს.

ტარახნომ იმ დროისათვის მეტად პოპულარული „ხაჯ-ბუ-ლატი“ იმღერა, და ჭიდაობაც დაიწყო.

სცენაზე თექვსმეტი ფალავანი გამოვიდა. ძია ვანიამ მათი გვარები გამოაცხადა. როცა პოდუბნი დაასახელეს, მახნო ფეხზე წამოიჭრა და ტაში დაუკრა. ბრბო აღტაცებისაგან ღრი-ალებდა.

სცენაზე დუნედ ჭიდაობდნენ. მაპნოს მალე მოსწყინდა გასართობი და ადიუტანტს უხმო.

სცენაზე ისევ გამოჩნდა ადიუტანტი და სტეცურასა და ლაპინს ჭიდაობა შეაწყვეტინა.

— მამილომ ინება, რომ აი, ამ არტისტთან, — მან სტეცურაზე მიუთითა, ჩვენმა გრიცკომ იჭიდაოს. გამოდი, გრიცკო!

დარბაზის სტვენაში სცენაზე თავით ფეხებამდე ტყვიამფრქვევის ლენტებით მორთული ბრგე ახალგაზრდა ვაჟი გამოვიდა და ტანზე გახდა დაიწყო.

— გრიცკო, ერთი შენებურად გაატარე ჯანდარაში, — ყვიროდნენ დარბაზიდან.

— ბეჭებზე დადე, ბეჭებზე!

ადიუტანტმა ხელი ზევით აწია.

— გრიცკო, ატამანმა მამილო მახნომ დამავალა გადმოგცე, თუ ეს არტისტი ბეჭებზე არ დაგიგდია, ჩემი ხელით ძაღლივით მოგკლავო.

მახნო ერთობოდა, მაგრამ მისი ხუმრობა, როგორც ცნობილი გახლდათ, სისხლით მთავრდებოდა ხოლმე...

ძია ვანიამ გადაწყვიტა ვითარება არ გაემწვაებინა. აქ ის თავის სტიქიაში იყო.

— ლამაზად იჭიდავე, — დაარიგა მან სტეცურა, — მეათე წუთზე კი წაიქეცი. თორემ ისეთ სროლას ატეხენ...

პოდუბნიმ ეს ლაპარაკი გაიგონა და კოპები შეიკრა.

სტეცურამ მახნოელთან ცოტა ხანს იჭიდავა და მერე ზურგზე დაწვა, ახმახი გრიცკო დარბაზის ღრიალში ფალავანს მკერდზე გადააჯდა.

მაგრამ მახნოსთვის გასართობი ახლა იწყებოდა. იგი სცენაზე ავიდა და გრიცკოს ხელი ჩამოართვა.

— ყოჩაღ! — კბილებში გამოსცრა მან. — ახლა კი ვხედავ, რომ ამ მოჭიდაველთაგან ვერც ერთი ვერ გაგიმკლავდება. ასე არ არის?

— ჰაი, ჰაი, რომ ასეა, მამილო. მათ შორის ისეთი არავინ შევულება, იესო ქრისტესავით ჯვარზე არ ვაცვა.

ტარახნოს გადმოცემით, პოდუბნის ეს ვერ მოუთმენია, გამოსულა და უთქვამს:

— მოიძებნება ეგეთი! ეგ მე ვარ!

უფრო მოსალოდნელია, რომ იეან მაქსიმოვიჩმა უკმაყოფილოდ ჩაიცინა და მახნოსაც სწორედ ეს უნდოდა.

— სისულელე არ ჩაიდინო, მაქსიმიჩ, — ეეედრებოდა ლებედევი.

ჭიდაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. პოდუბნიმ ისე დაახეთქა გრიცკო ხალიჩაზე, რომ სცენა შეზანზარდა...

ბანდიტები ყვიროდნენ და ჰაერში ისროდნენ. მახნო კმაყოფილებით უკრავდა ტაშს და ადიუტანტს ყურში რაღაცას უჩურჩულებდა. ადიუტანტმა ისევ ასწია ხელი ზევით.

— მამილო მახნო დიდსულოვნად მიუტევებს გრიცკოს წაგებას, რათა ყველამ ისწავლოს, რომ ხერხი სჯობია ლონესა. მამილო მახნომ ბრძანა — ხვალ გრიცკომ ფეხსადგილები წმინდოს, პოლო არტისტებს მილევიჩის საწყობიდან ოცი ბოთლი ღვინო, ხუთი კილო ძეხვი და სამი გირვანქა კერენსკული[1] მისცენ. ამით კონცერტს ვამთავრებთ. და-იშა-ლენით!

მახნოელები დარბაზიდან გაიკრიფნენ. სცენაზე აიტანეს ღვინო, ძეხვი და სასწორი. ადიუტანტმა სამი გირვანქა კერენსკული აწონა. მახნო პოდუბნის მიუახლოვდა.

— მე შენ თბილისში გნახე, — უთხრა მან. — მაშინ კოქემიაკთან ჭიდაობდი. ყოჩაღი ბიჭი ხარ!

მან ჯიბიდან ასიგნაციის დასტა ამოიღო და მაგიდაზე დაადგდო.

— ეს ჩემი პირადი პრიზია. ასე ვთქვათ, ხელოვნების თაყვანისმცემლისა და მოყვარული კაცისა. — თქვა მახნომ და დარბაზიდან გავიდა.

პოდუბნიმ საჩუქარს დახედა.

— პეტრუშა, — მოიხმო მან ტარახნო. — ასეთი რამ გინახავს? სასწაულია პირდაპირ!

მახნოს დატოვებული თითო ასიგნაცია ხელისგულისოდენა იყო. მკრქალად დაბეჭდილი „25"-ის ქვეშ მოჩანდა წარწერა: „თქვენი რითა სჯობს ჩვენსას?" ზოგიერთი უხამსი ნახატებითაც დაემშვენებინათ, იქვე წაეწერათ: „ნუკი ჯავრობ, ნათლიდედა, მახნოც გაგვიფულიანდა".

მალე მახნოელები ბერდიანსკიდან გაიქცნენ.

ნიკოლოზ რაზინის მონაყოლში ეს სირცხვილნაჭამი მახნო-

---

[1] კერენსკული — კერენსკის მოკრილი ფული.

ელი მოჭიდავე გრიცკო კი არ გაბლდათ, არამედ ფილკა — „უზარმაზარი ელალთმიანი ჭაბუკი, რომელსაც ფუქსინის ფერი უზარმაზარი ტრუსები ეცვა“.

ოციანი წლების დასაწყისში ოდესის საგანგებო კომიტეტს, რომლის სათავეში იუზეფოვიჩ-სევერნი იდგა, ცნობა მიაწოდეს — მოჭიდავე პოდუბოვი რბევაში მონაწილეობდაო. გვარი პოდუბოვი პოდუბნის ჰგავს და შეცდომით ივან მაქსიმოვიჩი დააკავეს, მაგრამ მალე ყველაფერი გაარკვიეს და იგი გაუშვეს (პოდუბოვი თათრებთან ერთად საზღვარგარეთ გაიქცა). შემონახულია ოდესის საგუბერნიო საგანგებო საგამომძიებლო კომისიის ცნობა პოდუბნის რეაბილიტაციის შესახებ, დათარიღებული 1920 წლის 20 თებერვლით.

ივან მაქსიმოვიჩი აღარ ჭიდაობდა. ოდესაში ცუდი ამბავი შეატყობინეს — ნინა ნიკოლაევნა, რომელიც ზოლოტონოშში დატოვა, სხვასთან წავიდაო. არადა, როგორ უყვარდა, როგორ ევლებოდა თავს: „მშვენიერმა ნინამ მთელი ქვეყანა დაჩრდილა“. წავიდა და თან წაიღო პოდუბნის ოქროს მედლების დიდი ნაწილი. ბედმა დაჩაგრა ნინა ნიკოლაევნა; მისი ახალი გატაცება დღემოკლე გამოდგა, საბოლოოდ ფული შემოეხარჯა, გაჭირვებულად ცხოვრობდა...

შემდეგ იგი ივან მაქსიმოვიჩს სწერდა: „ჩოქვა-ჩოქვით გამოვლეე შენამდე გზას, ვანეჩკა“. პოდუბნის მისთვის არ უპასუხნია, თავის დას კი ზოლოტონოშში ატყობინებდა — „პასუხს მაშინ მივწერ, როცა ძალიან გავბრაზდები, შენ კი იცი, რომ მე იშვიათად ვბრაზდები-ხოლმე“.

მაშინ კი, ოდესაში, როცა ცოლის ღალატის ამბავი გაიგო, იყან მაქსიმოვიჩი ავად გახდა და კინაღამ დარდს გადაჰყვა — არ ჭამდა, არ სვამდა, არ ლაპარაკობდა, ვერავის ვერ სცნობდა...

32

მოსკოვის დიდი ხნის გაუთბობ, გაყინულ ცირკში რეპეტიციები ტარდებოდა. ხან ერთი, ხან მეორე მსახიობი გარბოდა ხოლმე დირექტორის კაბინეტში, სადაც რკინის ღუმელი — „ბურჟუელა“ — იდგა. მისი გაცხელება ადვილი იყო: შიგ გაზეთს შეტენიდი და ცეცხლს მოუკიდებდი.

მალე ყველამ ამ ღუმელთან მოიყარა თავი, გათოშილ ხელებს მისკენ იშვერდნენ და დუმდნენ.

მსახიობებს ძალიან უცნაურად ეცვათ: შილას პერანგიანს ფრაკიანი და ქვაბქუდიანი უმშვენებდა გვერდს, მოპირდაპირე მხარეს გენერლის გაცვეთილი მუნდირი მოკალათებულიყო. „კლასობრივი მტრები“ სიცივეს გაეერთიანებინა...

მუნდირიანმა მსახიობმა ქაღალდის მაკულატურის გროვიდან ფურცელი აიღო და ის იყო ღუმელში შეგდებას უპირებდა, რომ მისი ყურადღება რომელიღაც სტატიის მსხვილი ასოებით აწყობილმა სათაურმა მიიპყრო.

— „მომავლის ცირკი“, — წაიკითხა მან. — მოისმინეთ. „რევოლუციურმა ეპოქებმა ნიუანსები არ იცის... ჩვენი ეპოქა უშიშარია უშიშართაგან... თეატრი მაღალი ვნებებისა და თეატრი უზრუნველი სიხარულისა... ყველაფერი, რაც მათ შორისაა, უნდა განადგურდეს“.

— ჰო-ო, — თქვა შილას პერანგამ. — უზრუნველი სიხარული... ვინ შეთხზა ეს?

— ვიღაც დონ ფორემ პროლეტკულტიდან.

— ცეცხლს მიეც, ცეცხლს!

— იქნებ ჩვენც წავსულიყავით საჩხუბრად? — თქვა გენერალმა.

— ვის უნდა ეჩხუბო. პოდუბნი რომ გვყავდეს, ან ვახტუროვი, ან ლურიხი... თუგინდ ციკლოპი იყოს. ნამდვილი ძია ვანია... ნეტავი სად არიან ახლა? ცოცხლები თუ არიან?

საღამოს ცირკში უფრო თბილოდა. ორგანიზებულად მოდიოდნენ ქარხნის მუშები და ჯარისკაცები. ისინი პალტოებსა და მაზარებში გამოწყობილნი ისხდნენ. ჰაერს სუნთქვით ათბობდნენ.

ცირკთან გაკრულ აფიშებზე სხვა ნომრებთან ერთად გამოცხადებული იყო: „მსოფლიო კლასობრივი ბრძოლის ჩემპიონატი. ტექსტის ავტორი ვ. მაიაკოვსკი“.

წამყვანი, ქამარშემოჭერილი ტყავის კურტაკი რომ ეცვა, ცირკის დიდკაცური ბარიტონით გაჰყვიროდა:

ჰა, ლაზარენკო, უყურეთ,
გვჯერა, დარჩებით სახტად.
ბეჭებზე დადებს სუყველას,
თუკი გაუძლო ტახტმა.

ტაკიმასხარა ვიტალი ლაზარენკო, რომელსაც ჩექმები და არბიტრ ძია ვანია-ლებედევის ხიფთანი ეცვა, მოჭიდაველებს ასახელებდა: ანტანტის ჩემპიონი ლოიდ-ჯორჯი, აშშ-ის ჩემპიონი ვილსონი, ყირიმის ჩემპიონი ვრანგელი... კაპიტალისტები „კაპიტალისტური სასაკლაოს შემოსავლისათვის“ ჭიდაობდნენ. მაგრამ აი, არბიტრმა გამოაცხადა:

რევოლუცია —
მსოფლიოს ჩემპიონი.
ბოლო გამოსვლა.

„რევოლუცია“ „ანტანტას“ ეჭიდავებოდა, რამდენჯერმე გადაისროლა თავს ზემოთ „ტურ დე ტეტის“ ილეთით, მაგრამ „ანტანტა“ ორივე ბეჭებით ხალიჩაზე რომ გაეკრა, ამისთვის ძალა არ ეყო.

ვერ მოიგებს ვერც ერთი და
ვერც მეორე მხარე.
ალბათ დაზავდებიანო.
დაიკარგონ ბარემ!
ათი წუთი შესვენება.
ვისაც სურს, რომ წითლებს
წილადა ხვდეთ გამარჯვება,
შინ გასწიონ იქნებ,
ხვალ კი მოხალისეებად
წასვლა ყველას არგებს,
რომ კისერი მოეგრიბონ
შემოსეულ ვრანგელს...

„მოჭიდავეები“ გადიოდნენ, შემდეგ ყოველდღიურ ტანსაცმელში გამოწყობილნი მხრებზე შაშხანაგადებულები შემოდიოდნენ და არენას გარშემო უვლიდნენ.

მაყურებელი მარშის ტაქტს ტაშით ჰყვებოდა.

83

დამთავრდა სამოქალაქო ომი. ცირკის ცხოვრება მშვიდობიან კალაპოტში ჩადგა. ჭიდაობაში უკვე ნამდვილი ჩემპიონატები ტარდებოდა.

1922 წელს ივან პოდუბნი ჯერ მოსკოვის და შემდეგ პეტროგრადის სახელმწიფო ცირკში მიიწვიეს.

„ნეპის მაძღარი მაყურებლის“ საამებლად ჩემპიონატებზე

ყველა უწინდელი ტრიუკი აღადგინეს. გაჩნდა ნიღბები, ოღონდ ახლა მათ დროის შესაფერი სახელები ერქვა — „მელითონე“, „ინჟინერი“... მოჭიდავე ჩუფისტოვი ხარს ეჭიდავებოდა, ძია ვანია (ლებედევი) ხელით იჭერდა მგზავრებიან ავტომობილს. გაზეთები წერდნენ: „...ვის რაში სჭირდება ველური, შუა საუკუნეების ჩხუბის, გლადიატორების ბრძოლისა და კრივის ჩვენს დროში გადმოტანა?...“

ჩემპიონატებზე ფიზკულტურული ორგანიზაციების კონტროლი დაწესდა. ივან მაქსიმოვიჩს მოეწონა ეს სიახლე. მის აზრს ყურს უგდებდნენ, გაზეთებსა, ჟურნალებსა და წიგნებში მის სახელს პატივისცემით იხსენიებდნენ. თაყვანისმცემლები სთხოვდნენ პოდუბნის მოგონებებით გამოსულიყო.

პოდუბნის არქივში შემონახულ ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „რუსული საზოგადოება, კერძოდ კი მისი სპორტული წრე, თქვენგან მართებულად მოელის განსაკუთრებულ გამოსვლას რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების არენაზე, და ეს გამოსვლა ღირსეული დაგვირგვინება იქნებოდა თქვენი მრავალწლიანი წარმატებული სვლისა ცირკის არენაზე, სხვადასხვა სპორტული საზოგადოებისა და ორგანიზაციის არენაზე რუსი ხალხის (უფრო მეტიც — სლავი ხალხის) და მისი ისტორიული ძლიერების სადიდებლად“.

რაკი სიტყვა ჩამოვარდა მემუარებზე, ცხოვრების გზის „ღირსეულ დაგვირგვინებაზე“, მაშასადამე მისი მზე მიწურულა...

ბევრ მეგობარ-მეტოქეზე აღარაფერი ისმის.

ზაიკინი სადღაც საზღვარგარეთაა...

ნიკოლოზ ვახტუროვი თბილისში დაიღუპა. ის და რაზუმოვი ავტომობილით მიდიოდნენ. მძღოლმა მოსახვევში დაშუხრუჭება ვერ მოასწრო და მანქანა დიდი სისწრაფით ტელეგრაფის ბოძს შეასკდა. რაზუმოვი მანქანიდან ქვაფენილზე გადმოვარდა, ვახტუროვმა კი იქვე დალია სული. თბილისმა თავისი სათაყვანო კერპი ღირსეულად გააცილა უკანასკნელ გზაზე — იმ დღეს მაღაზიები დაკეტილი იყო და სასწავლებლებიდან მოსწავლეები დაითხოვეს...

განუყრელი ლურიხი და აბერგი ამერიკაში გამართული დიდი და წარმატებული ტურნეს შემდეგ, 1917 წელს რუსეთში დაბრუნდნენ და რევოლუციურ პეტროგრადში გამოდიოდ-

ნენ. 1920 წელს ისინი მოჭიდავეთა ჯგუფთან ერთად არმავირში მოხვდნენ. აქ ორივეს პარტახტიანი ტიფი შეეყარა. 22 იანვარს გეორგ ლურიხი ტიფიახების ბარაკში გარდაიცვალა. ერთ თვეში მას ალექსანდრ აბერგიც უკან მიჰყვა. მართლაც უაზრო იყო ორი უძლიერესი ათლეტის სიკვდილი, რომლებიც ტილის კბენამ დაღუპა...

ივან მაქსიმოვიჩი გონს ვერ მოსულიყო იმ სულიერი ტრავმის შემდეგ, რამაც იგი კინაღამ საგიჟეთის კარამდე მიიყვანა. და თუმცა ცხოვრება ირგვლივ ახალი, ნათელი ფერებით ჰყვაოდა, თუმცა ძველი დიდება საიმედოდ იცავდა ახლადჩამოყალიბებული ცხოვრების უსიამოვნებებისაგან, იგი მაინც ელდანაკრავივით იყო და სამყაროს თითქოს გადატანილი ტანჯვის სქელი პირბადიდან ხედავდა. მისი გონება სხვაგან ქროდა, სახე რაღაცნაირად დაეხვეწა და სულ არ შეეფერებოდა მის ტლანქ ნაკვთებსა და გიგანტური სხეულის სიძლიერეს.

ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ჭიდაობაც არაფრის მაქნისი იყო, უწინდებურად აღარ აღენთებოდა ხოლმე, რაც ასე უორკეცებდა ძალას ჭიდაობის კრიტიკულ მომენტში.

1924 წელს მოსკოვში, მეორე სახელმწიფო ცირკში პოდუბნი ივან ჩუფისტოვს ეჭიდავა და დამარცხდა.

ივან პოდუბნიმ მაშინ თავის სეხნიას უთხრა:

— ხედავ, ვბერდები. შენ ჩემი სიბერე წააქციე, ჩემო ივანე, ვფიცავარ სინდისს, ვერ მაჯობებდი.

მაგრამ მალე მისი ცხოვრება ისე შემოტრიალდა, რომ ერჩია თავის სიბერეზე არ ელაპარაკა...

34

ერთხელ ივან მაქსიმოვიჩი დონის როსტოვში გამოდიოდა და ღამე ახალგაზრდა მოჭიდავესთან ივან რომანოვიჩ მაშოშინთან გაათია. აქ გაიცნო მან მასპინძლის დედა, მარია სემიონოვნა მაშონინა, რომელიც ქვრივი იყო და საცხობში მეფუნთუშედ მუშაობდა. მარია სემიონოვნა უთენია ადგა და სახლში ფუსფუსი დაიწყო; საშუალო ტანის დიასპალისს მსუბუქად დაჰქონდა თავისი ფაშფაშა სხეული.

ივან მაქსიმოვიჩსაც ადრე გაეღვიძა და მარია სემიონოვნას შემყურემ მწვავედ იგრძნო მარტოობა: არც სახლი ჰქონდა,

არც ოჯახი. საუზმის დროს მარია სემიონოვნას ნახელავს რომ შეექცეოდა, ივან მაქსიმოვიჩმა რამდენჯერმე მუქში უხერხულად ჩაახველა და ეღალი ულვაშები გაისწორა.

იმ დღიდან ძოყოლებული, ივან მაქსიმოვიჩი მაშონინების მუდმივი სტუმარი გახდა.

— აგერ, სასიძო მოდის, — ეუბნებოდნენ მის დანახვაზე მარიას მეზობლის ქალები.

მარია სემიონოვნა გაწითლდებოდა და უპასუხებდა:

— ეგეც სასიძოა რაღა, საფრთხობელაა, სასიძო კი არა...

მაგრამ ივან მაქსიმოვიჩს გულთბილად ხვდებოდა. როცა მან, როგორც იქნა, ქალს ხელი სთხოვა, მარია სემიონოვნამ უპასუხა, რაღა დროს ჩემი გათხოვებაა, ორმოცდასამისა შევსრულდი და ამოდენა ვაჟიშვილი მყავსო. ამაზე ივან მაქსიმოვიჩმა უპასუხა, ვაჟიშვილს მამობას მე გავუწევ, ხოლო შენ ხნოვანებას რაც შეეხება, ღმერთს ნუ სცოდავ — ზუსტად სადედოფლოდ ხარ გამზადებულიო.

დიდხანს არწმუნებდა მარია სემიონოვნას, მხოლოდ მაშინ დაიყოლია, როცა ქალმა სიტყვაზე დაიჭირა: გამოგყვები, თუ ჯვარს დავიწერთო. ივან მაქისმოვიჩი იძულებული იყო დათანხმებულიყო, თუმცა რელიგიის მიმართ გულგრილი კი გახლდათ.

ეკლესიაში ავტომობილით მისრიალდა, თან ორი წარმოსადეგი ფალავანი ახლდა.

ასე შექმნა ოჯახი. კარგი ცოლი და მოჭიდავე ვაჟიშვილი— „ლამაზი, მაგრამ საქმიანი", ივან რომანიჩის სახელით რომ გამოდიოდა.

მეურნეობის მოსაწყობად ახლადდაქორწინებულებს ფული სჭირდებოდათ, ამიტომ დათანხმდა ივან მაქსიმოვიჩი გერმანიაში საგასტროლოდ წასვლაზე.

— ჩავედი. შიშით შემხვდნენ. პირობები შემომთავაზეს. ესა და ეს უნდა წააქციო, ამას და ამას უნდა დანებდეო. მე ვეუბნები — „თქვენ რა, პოდუბნი დაგავიწყდათ? ვინც წამაქცევს, იმას ისედაც დავნებდები-მეთქი". ისინი მეუბნებიან: „თქვენი ნებაა, თუ არ გინდათ, არ იჭიდავებთ და მორჩა". ავდექი და სხვა ცირკში გადავედი. მერე სხვა ქალაქში, იქიდან კიდევ სხვაში. ყველგან ერთი და იგივეა. ნამდვილი ტრესტი

აქვთ. მოჭიდავეები ჭიდაობენ, მეპატრონეები კი ანაწილებენ — ამან და ამან ესა და ეს უნდა წააქციოსო, — იგონებდა ივან მაქსიმოვიჩი.

ასე ჯახირობდა მთელი წელი, სანამ ხელი არ მოაწერა ჩიგაკოელ ანტრეპრენიორ ჯეკ პრეფერის კონტრაქტზე და 1925 წლის 20 ნოემბერს ჰამბურგიდან გემ „დოიჩლანდით“ ამერიკაში არ გაემგზავრა.

ნიუ-იორკი მოულოდნელად ნისლიდან ამოიმართა. მისი ცათამბჯენები საფლავის ძეგლებს ჰგვანდნენ და მთელი ქალაქიც კაცობრიობის სანუკვარი იმედების სასაფლაო გეგონებოდათ.

შემოდგომის ნაღვლიან ქუჩებში ქარი დათარეშობდა და ქვაფენილზე დაქმუქნილ გაზეთებსა და ათასნაირ სიბინძურეს მოაგორებდა. საწვიმარ ლაბადებში გახვეულ ქვეითად მოსიარულეებს ქუჩაში შარიშური გაუდიოდათ. მიწისზედა რკინიგზაზე მატარებლები მესამე სართულის სიმაღლეზე დაგრუხუნებდნენ. დაქროდნენ რუხი „ფორდები“, აფიშებიდან გამვლელებს მიბნედილი თვალებით შესცქეროდა კინოვარსკვლავი გლორია სვენსონი.

პოდუბნი ამ ტურნირზე დიდ იმედებს არ ამყარებდა, თუმცა მას არ ჰყოლია კუპრინისთანა მრჩეველი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ თავის მეგობარს ივან ზაიკინს სწერდა:

„ტყუილად როდი გაშინებს ამერიკა. ეს მართლაც თაღლითების ქვეყანაა. ანტრეპრენიორი კაცს მთელ წვენს გამოსწურავს და მერე გადააგდებს. სამაგიეროდ, თუ იქ ხალხს თავი მოაწონე, ხვეტე და ხვეტე დოლარები ბზესავით. შენ ვის არ მოეწონები; თანაც რეკლამის გამოგონებაც არ გიჭირს. ჭკვიანი ხალხი ამერიკელებთან ზედმიწევნით ზუსტ და მკაცრ კონტრაქტებზე აწერს ხელს“.

ასეთი კონტრაქტი პოდუბნის ჯიბეში ედო. მან მაშინვე გააცა გაზეთის რეპორტიორები თავისი ახოვანებითა და თუჯის „ხელჯოხით“.

ამბობენ, ივან მაქსიმოვიჩს ერთ-ერთი რეპორტიორისათვის „ხელჯოხი“ დასაჭერად მიუცია, ის კი ასეთ სიმძიმეს არ ელოდა და ჯოხი ხელიდან გავარდნია. შეიძლება ესეც ერთ-ერთი ლეგენდაა, მაგრამ ასეა თუ ისე, კარგი მოგონილია.

ანტრეპრენიორი პოდუბნის ასაკმა საგონებელში ჩააგდო. ამერიკული კანონით ოცდათვრამეტ წელზე მეტი ხნის ათლეტებს სარბიელზე გამოსვლა მხოლოდ საექიმო კომისიის ნებართვით შეეძლოთ.

პოდუბნი ორმოცდათოთხმეტისა იყო.

ეს საქმეც მოგვარდა. კომისიამ შეამოწმა ივან მაქსიმოვიჩი და დაადგინა — არც ჯანმრთელობის, არც სხვა მხრივ მას ორმოც წელზე მეტს არ მისცემთო. აი, რეკლამაც ეს იყო! სენსაციის მოყვარული ამერიკელები მოუთმენლად ელოდნენ პოდუბნის გამოსვლას, რომელიც გაზეთებმა უკვე „ივანე მრისხანედ" მონათლეს.

ივან მაქისმოვიჩი ყვება:

— ჩემს პირველ გამოსვლას საშინელი ხმაურით შეხვდნენ, ამან, ცოტა არ იყოს, დამაბნია კიდეც. თურმე არაფერი თავსამტვრევი არ ყოფილა — ჯერ ერთმა მოქალაქემ, რომელმაც რუსული იცოდა და შემდეგ ჩვენმა მენეჯერმა ყველაფერი ამიხსნა. საქმე ის გახლდათ, რომ მაყურებელს ჩემი თავი წარუდგინეს, როგორც საბჭოთა ქვეშევრდომი და მსოფლიოში უძლიერესი მოჭიდავე. ამერიკელებმა, პირწავარდნილმა შოვინისტებმა, ვერ აიტანეს ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა, აქეთ კიდევ ანტისაბჭოური ხროვაც ცეცხლზე ნავთს ასხამდა. ეს გახლდათ ყვირილისა და ხმაურის მიზეზი. მოითხოვდნენ სასწრაფოდ დამეტოვებინა არა მარტო სცენა, არამედ ნიუ-ორკიდანაც ავბარგებულიყავ. საგონებელში ჩავვარდი, არ ვიცოდი როგორ მებრძოლა ნიუ-იორკელთა ასეთი დამოკიდებულების წინააღმდეგ. მეორე დღეს, გამარჯვების შემდეგ, ყვირილითა და ხმაურით შემხვდნენ. მე მაინც ღიმილით ვუკრავდი თავს და ისეთ სახეს ვიღებდი, თითქოს ეს ყველაფერი მე არ მეხებოდა. კვირანახევარს გაგრძელდა ასე. სამაგიეროდ პრესაში ჩემზე წერდნენ, ჯენტლმენი და კულტურული მოჭიდავეაო.

შეერთებულ შტატებში კლასიკურ ჭიდაობას პატივს არ სცემდნენ. მეტი რა ძალა იყო — თავისუფალი ჭიდაობა უნდა ესწავლა, რომელსაც თითქმის არავითარი წეს-კანონი არ გააჩნია. რაც უფრო გააფთრებული და მძვინვარეა შეტაკება, მით უფრო წარმატებით სარგებლობს ამერიკელ მაყურებელთა შორის.

ჭიდაობის „ოქროს ხანა“ დამთავრდა, ახლა ის გადაგვარების გზაზე იდგა. ამერიკელი მაყურებელი ხალიჩაზე ხედავდა საზიზღარ ჯუჯებს და ქალებს, რომლებიც ტლაპოში ფართხალებდნენ, მხეცის მაგვარ ბანჯგვლიან არსებებს, ეითომ ერთმანეთს ნეკნებს რომ უმტვრევდნენ, ხელებს უტრიალებდნენ, კბილებს ულეწავდნენ... ყველაფერი ეს დაბალი გემოვნების მაყურებლისთვის გამიზნული სიყალბე გახლდათ.

ახლა ყველაფერი ანტრეპრენიორთა ხელში იყო, რომლებიც მოჭიდავეთა ავტორიტეტს არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ.

პოდუბნი მაყურებელს ისე წარუდგინეს, როგორც არქაიზმი და თავიდან ნებაზე მიუშვეს.

ივან მაქსიმოვიჩი ალალად ჭიდაობდა. ხალიჩას ბეჭებით აკრავდა ისეთ ცნობილ მოჭიდავეებს, როგორიც იყვნენ: კოლოფი, გეშტო, ტორმაში, ფოგელი, მარტინსონი, თაფსალპოსი, თომსონი.

მალე ივან მაშოშინმა როსტოვში ამერიკიდან წერილი მიიღო:

„ძვირფასო ვანია! მოკითხვას გითვლით შენ და დედაშენს. მინდა გახაროთ. ამერიკის მთავარმა მენაჯერმა კურლეიმ მე და ვლადენკა ზბიშკოს ახალი კონტრაქტი შემოგვთავაზა, რომელსაც ხელი მოვაწერეთ და დავთანხმდით ერთმანეთთან ვიჭიდაოთ 1926 წლის 18 იანვარს. ხელშეკრულების ხელის მოწერისა და ვალდებულების აღების დროს სარეკლამო საფოსტო ბარათისათვის მენაჯერთან ერთად სურათი გადაგვიღეს, რომელსაც სახსოვრად გიგზავნით“...

ეს ფოტოსურათი შემონახულია. ინგლისური წარწერა ამერიკელებს მოუწოდებდა არ გამოეტოვებინათ „ყველა დროის უდიდესი შეხვედრა“. ივან მაქსიმოვიჩის ქება-დიდების შემდეგ მოცემული იყო მისი მეტოქის სარეკლამო შეფასება.

„ზბიშკო მას (პოდუბნის) ისეთ წინააღმდეგობას გაუწევს, თავის სიცოცხლეში რომ არ გაუწევია. სწორედ ზბიშკო გადაეღობა წინ ცნობილ ზაიკინს ტიტულისაკენ მიმავალ გზაზე. მან სძლია გერმანელ ზიგფრიდს, როცა ტევტონელი დამპყრობი მოჭიდავის მსოფლიო გვირგვინის წაღებით იმუქრებოდა“...

ვლადეკ ზბიშკო უმცროსი ძმა გახლდათ იმ სტანისლავ ზბიშკო-ციგანეკიჩისა, რომელთანაც ოდესღაც ძალას ცდიდა

რუსი გოლიათი. უმცროსი ზბიშკო ამერიკულ ჩვევებს მალე შეეგუა, მკაცრი და შეუპოვარი იყო. როცა ზაიკინთან ჭიდაობისას თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რუს ფალავანს ყურში სწვდა და წააგლიჯა... სისხლში მოსვრილმა ზაიკინმა ჭიდაობის გაგრძელებაზე უარი თქვა და განაცხადა— ზბიშკოს შუაზე გავგლეჯდი, ასეთი მხეცური ჩვევები გულს რომ არ მირევდესო... ამერიკელმა მსაჯებმა ზაიკინს წაგება ჩაუთვალეს.

ივან მაქსიმოვიჩსაც გამოუცდია „ბინძური ჭიდაობის" სიმწარე. კანადელი ჯო გეშტო, როცა პოდუბნიმ სწრაფად დასცა ხალიჩაზე და მკერდით დააწვა, მას ულვაშებში ჩაიფრინდა... მაგრამ ამან ვერ უშველა. პოდუბნი მეტოქეს თავისებურად გაუსწორდა.

პოდუბნისა და მარტინსონის შეხვედრაზე კლივლენდში ადგილობრივი რეპორტიორი წერდა:

„პოდუბნი თავის დაკვრითა და გულთბილი ღიმილით მიესალმა მაყურებელს. ასევე თავაზიანად მიესალმა იგი თავის მეტოქეს, რომელიც რუსს მგელივით უცქერდა. პოდუბნი შეტევაზეა. მარტინსონი თავს იცავს. ის აკრძალულ ილეთებს იყენებს"...

შეიძლება ილეთი ვუწოდოთ სახეში მუშტის ჩარტყმას? ესეც არ აკმარა — მარტინსონმა პოდუბნის სახე ფრჩხილებით დააკაწრა. მართალია, ამისათვის ივან მაქსიმოვიჩმა კინაღამ კისერი მოტეხა — მოთმინებიდან გამოსულმა, კანონიერი ხერხით, ამერიკელი ბექებზე დაახეთქა.

ვლადეკ ზბიშკომ დაიკვეხა — პოდუბნის ათ წუთში წავაქცევო, მაგრამ ივან მაქსიმოვიჩის ცოლ-შვილმა მალე ახალი წერილი მიიღო: „ზბიშკოსთან მატჩი ჩემს სასარგებლოდ დამთავრდა. სულ ორმოცდაოთხი წამი დამეხარჯა გამარჯვებისათვის"...

ზბიშკო ცდილობდა გამოეყენებინა ხერხი, რომელიც თავის დროზე აღწერა კუპრინმა მოთხრობაში „ცირკი": „იქ (ამერიკაში — დ. ე.) მოჭიდავეები ერთმანეთს გუდავენ, მოწინააღმდეგეს პირსა და ცხვირში ხელს წაუჭერენ, თავს კი საშინელი ხერხით, რკინის სალტეს რომ უწოდებენ, ხელებში მოიმწყვდევენ და საძილე არტერიაზე დაჭერით მეტოქეს გონებას აკარგვინებენ"...

პოდუბნიმ კისრის ერთი მოტრიალებით თავი გაინთავისუფლა და ზბიშკოს ეცა, რათა ხალიჩაზე დაეხაოცებინა და მისთვის ახალი „საიდუბლო იარაღის“ გამოყენების საშუალება არ მიეცა...

შეერთებულ შტატებში „მყვირალა ოციანი წლები“ იდგა. კაპიტალისტური ბუმი ჯიბეს უსქელებდა ამერიკელებს, ბიზნის ბისაღწევად არაფერს რომ არ დაგიდევდხენ. ისისი კულიჯის პრეზიდენტობას ლოცავდნენ და ეკვადაც არ მოსდიოდათ, რომ განკითხვის ჟამი — 1929 წლის უდიდესი კრიზისი და გაკოტრება კარს იყო მომდგარი.

მანამდე კი სანახაობას მოწყურებული ამერიკელები არალეგალურ კაბარეებსა და სპორტულ დარბაზებს ეტანებოდნენ. გულშემატკივართა კერპი აგერ უკვე ათი წელია ნებრასკის შტატის ყოფილი ფერმერი, მოჭიდავე ჯო სტეჩერი იყო. მისი „აღმოჩენა“ ეკუთვნის სპორტულ მეწარმეს ჯეკ კერლის, იგივე „კურლეის — ამერიკის ყველაზე მთავარ ძეხეჯერს“, რომლის შესახებაც სწერდა ივან მაქსიმოვიჩი თავისიანებს.

ამერიკაში კერლის „ჭიდაობის მეფეს“ უწოდებდნენ. ოკიანის გაღმა ათლეტიზმის განვითარებაში მან იგივე როლი შეასრულა, რაც ძია ვანიამ რუსეთში. მისი წყალობით მსოფლიომ გაიცნო გოჩა, რომელმაც სტანისლავ ზბიშკო და გაკენშმიდტი დაამარცხა; მან მოაწყო მატჩში ედა ლუისის მოხაგილეობით, რომელსაც „მახრჩობელა“ შეარქვეს: მოწინააღმდეგეს ისე ოსტატურად მოიგდებდა მკლავებში, რომ ეს უკანასკნელი ან უნდა დამორჩილებოდა, ანდა მართლა გაგუდულიყო.

ომის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის გარდამავალი უპირატესობით ძირითადად ლუისი და სტეჩერი იბრძოდნენ. აწყობილი ამერიკული მექანიზმის მუშაობა შეაბრკოლა ამ ქვეყანაში ჭარმაგი სტანისლავ ზბიშკო-ციგნეევიჩის გამოჩენამ, რომელმაც ცოტა წავარჯიშების შემდეგ საჭიდაოდ გამოიწვია „მახრჩობელა“ ლუისი. პირველი შეჭიდება „მახრჩობელამ“ ქულებით მოიგო. მეორე შეჭიდებაში ლუისი პოლონელს ვეფხვივით ეძგერა, მაგრამ ჭარმაგი ზბიშკო მშვიდად გადგა განზე და გაწბილებული „მახრჩობელა“ ხალიჩაზე გაიკრა.

„ძველმა გვარდიამ“ ყველას უჩვენა, რომ მას კიდევ შეს-

წევდა ჭიდილის ძალა. მაგრამ ეს ძალა უკვე ილეოდა — ზბიშკომ ზედიზედ წააგო მომდევნო შეხვედრები მეორე კლასის მოჭიდავეებთან.

ზბიშკო „წმინდა ამერიკულად“ გამდიდრდა. ნიუ-იორკის ერთ-ერთ ილუსტრირებულ ჟურნალში დაიბეჭდა სტატია დარვინის თეორიაზე და ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობის ცხადლივ დასამტკიცებლად ჟურნალისტებმა გორილას ფოტოგრაფიის გვერდზე მოათავსეს... ზბიშკო-ციგანევიჩის ფოტოსურათი. მოჭიდავე აღშფოთდა და ჟურნალის გამომცემლობას უჩივლა. სასამართლომ ასეთი დაპირისპირება ცნობილი მოჭიდავის დაცინვად მიიჩნია და მორალური ზარალი ზბიშკოს ვექილების დაჟინებული მოთხოვნით შეფასდა ათას დოლარად, რაც პოლონელს ჟურნალის გამომცემლებმა მაშინვე გადაუხადეს.

შეერთებულ შტატებში პოდუბნის ჩასვლის დროს ამ ქვეყნის ჩემპიონად ითვლებოდა ჯო სტეჩერი, გამხდარი, აყლაყუდა კაცი, პატარა თავი და ღრმად ჩამსხდარი უფერული თვალები რომ ჰქონდა. ჯო სტეჩერმა სახელი საოცრად სქელი და მარჯვე ფეხების გამო მოიპოვა. იგი კევის მელანქოლიური ღეჭვით მოწინააღმდეგეს მარწუხივით მოუჭერდა ამ სქელ ფეხებს და მორჩა, მერე მათგან გამოხსნა თითქმის შეუძლებელი იყო.

„მარწუხა მაკრატელმა“ მისტერ კერლის ცოტა მოგება როდი მოუტანა. მან იგი წარმატებით გამოსცადა ზაიკინთან შეხვედრაში, ამ ბოლოს კი გადაწყვიტა სტეჩერისა და პოდუბნის შეხვედრა მოეწყო.

მყვირალა რეკლამის წყალობით „მარწუხა მაკრატლისა“ და „რუსი დათვის“ შეხვედრას ზღვა ხალხი მოაწყდა.

ივან მაქსიმოვიჩმა „მაკრატელი“ გახსნა. მაგრამ, როცა მან ამერიკელს წელზე ხელები მოხვია, აიტაცა, თვითონ ხიდურაზე დადგა და თავს ზემოთ გადაგდება დაუპირა, სტეჩერის ფეხები მის ფეხებს შემოეხლართა და ილეთი ჩაეფუშა: ვერც ერთი ილეთი ვერ გააკეთა წმინდად. სტეჩერი კი საერთოდ ერთფეროვნად მოქმედებდა — მარტო ფეხებით, თუმცა ამით იგი მაყურებლის გაშმაგებამდე მისულ აღფრთოვანებას იწვევდა.

გაზეთებმა გამარჯვებული სტეჩერი „მსოფლიოს ჩემპიო-

ნად“ გამოაცხადეს, პოდუბნის კი სანუგეშოდ „ამერიკის ჩემპიონის“ ტიტული მიაკუთვნეს.

„რუსი გოლიათი პოდუბნი — ფერმკრთალი კანი და გადაგრეხილი კაზაკური ულვაშები რომ აქვს, ხალიჩაზე საჭიდაოდ 2000-ჯერ არის გამოსული და ბზიშკოსთან შესვედრიდან (ლონდონში — დ. ე.) ოცი წლის შემდეგ კიდევ შეძლო მსოფლიო ჩემპიონ სტეჩერთან ოცდაცხრა წუთს ეჭიდავა ნიუიორკში“, — ნათქვამია „ჭიდაობის ილუსტრირებულ ისტორიაში“, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ლონდონში გამოიცა.

ივან მაქსიმოვიჩმა იჭიდავა ჩიკაგოში, ფილადელფიაში, ლოს-ანჯელესში, სან-ფრანცისკოში და სხვა ქალაქებში. მას მშვენივრად ესმოდა, რომ მარიონეტის როლს ასრულებდა თაღლითურ სპექტაკლებში, რომლებსაც ამერიკელი მენეჯერები ფულის მოსახვეჭად აწყობდნენ...

1927 წლის თებერვალში პოდუბნი სამშობლოში გამოემგზავრა. ცდილობდნენ დაეყოლიებინათ და შეერთებულ შტატებში სამუდამოდ დაეტოვებინათ, უწყობდნენ შანტაჟს, ფულის გადახდას უგვიანებდნენ... მაგრამ პოდუბნი მზად იყო უარი ეთქვა მთელ შემოსავალზე, ამერიკის ტურნედან რომ ეკუთვნოდა. მას ოჯახი ენატრებოდა, წერილებში წერდა, რომ ძალიან მოენატრა შავი ბოლოკის გემო, რომელსაც აქ ვერსად იშოვი.

„და არც აქაური იასამანია სურნელოვანი“.

მეტადრე არ მოსწონდა ამერიკული წეს-ჩვეულებანი. შემდეგ ხშირად იგონებდა გულქვა ამერიკელებს, ვაჭრულ სულს, რომლითაც გაჟღენთილია მთელი მათი არსება. იგონებდა მატჩის დროს ატეხილ ჩხუბსა და „საზარელ ღრიალს“, იხსენებდა როგორ ისროდნენ რინგზე ჯოხებსა და ბოთლებს, როგორ იგდებდნენ აბუჩად დამარცხებულებს.

რუსი მაყურებელიო, ამბობდა იგი, კულტურულად ხვდება მოწინააღმდეგეებს და წყალობის თვალით უყურებს სპორტსო. მძაფრ მომენტებში იგი არ ხმაურობს; უცდის შედეგს და გამარჯვებულს ტაშით მხოლოდ მაშინ აჯილდოებს, თუ მან ეს გამარჯვება ღირსეულად მოიპოვაო.

„ამერიკელი მაყურებელი კი პირიქით იქცევა: როცა ერთ-ერთი მოწინააღმდეგე სახიფათო მდგომარეობაშია და მეორეს

კი არ ჰყოფნის ძალა უმალ წააქციოს, უფრო სწორად, ქვეშ ჰყავს მოქცეული, მაგრამ ბეჭებზე ვერ დებს, ეს ჯენტლმენები, საუცხოოდ რომ აცვიათ, კარგი შლაპები და ცილინდრები ახურავთ, თვალებზე პენსნე რომ უკეთიათ, ბინოკლებით ხელში, ფეხზე წამოცვივდებიან ხოლმე და ველური ხმით ისე ღრიალებენ, რომ ზოგიერთს პირიდან დორბლი გადმოსდის: „ჰალე! მალე! მალე! ბოლომდე დაწნეხე! ხელები დააძტვრიე!..“

35

სამშობლო თავის სახელმოხვეჭილ პატრიოტს ზარ-ზეიმით შეხვდა.

მარია სემიონოვნა ქმრის დასახვედრად ლენინგრადში ჩამოვიდა. როცა შტეტინიდან გემი ნავმისადგომს მიუახლოვდა, ორკესტრმა დასჭექა. მარია სემიონოვნამ თავის გოლიათ ქმარს, ნავმისადგომზე მოსულ ზღვა ხალხს შეხედა და, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ელდა ეცა. ხედავთ, ვის გაჰყოლია ცოლად? არადა, თავპატიჟსაც რომ იდებდა? მეზობლებს ეუბნებოდა, ამ ულვაშებიან საფრთხობელას როგორ გავყვებიო...

ივან მაქსიმოვიჩი ზღვა ხალხში მის გვერდით იდგა და ბედნიერებისაგან იღიმებოდა...

პოდუბნის პატივსაცემად ლენინის სახელობის სტადიონზე სპორტული ზეიმი გაიმართა.

სტადიონისაკენ მიმავალ პროსპექტზე მდგარი ხეები დახუნძლული იყო ბიჭუნებით, რომლებსაც გაგიჟებით უნდოდათ ენახათ „ჩემპიონთა ჩემპიონი“. ლენინგრადის ყველა სპორტსმენმა აქ მოიყარა თავი — გამოდიოდნენ მძლეოსნები, მოეწყო ველოსიპედისტთა რბოლა, ბოლოს ხალიჩაზე ფალავნები გამოჩნდნენ.

ივან მაქსიმოვიჩი პეტრე ლუტოვს — „ხალასი ნიჭის რუს მოჭიდავეს“ უნდა შერკინებოდა.

როცა პოდუბნი გამოჩნდა, მაყურებლიდან ვიღაცამ დაიყვირა:

— ყოჩაღი ბერიკაცია, არ გვიმტყუნებს!

ჭიდაობა „თავისუფალ-ამერიკული“ სისტემით ტარდებოდა. მეცხრე წუთზე პოდუბნიმ ლუტოვი წააქცია. ხუთწუთია-

ნი შესვენების შემდეგ, მეშკიდე წუთზე, პოდუბნიმ კიდევ ერთხელ წააქცია ლუტოვი ისე, რომ დაღლა არ ეტყობოდა.

„მაყურებელმა, რომელსაც სურდა ახლოს ეხახა პოდუბნი, მილიციელთა ჯაჭვი გაარღვია და რინგთან შეგროვდა. ხალხის გამაყრუებელ ყვირილში ივან მაქსიმოვიჩს ლენინგრადელ სპორტსმენთა მისალოცი ადრესი გადასცეს“.

17 ივნისს პოდუბნი ტავრიჩევის ბაღის ღია სცენაზე ცნობილ მოსკოველ ფალავანს ალექსანდრე კალიშევიჩს ეჭიდავა და დაამარცხა.

ლენინგრადშივე პოდუბნიმ ასეთი განცხადება გააკეთა:

„მე, მოპიდავე ივან პოდუბნი, ამერიკიდან საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ, ჩემს მოვალეობად ვთვლი ყველა სპორტსმენს ვაუწყო, რომ ხანდაზმულობის გამო ვადავწყვიტე ჩემს პროფესიას — ჭიდაობას თავი დავანებო. ოღონდ ცოტა ხანს კიდევ შევრჩები ბალიჩას იმიტომ, რომ რუს ფალავნებს შორის ნამდვილი შემცვლელი ვიპოვო და მას გადავცე მსოფლიოს ნამდვილი ჩემპიონის წოდება, რომლის შენარჩუნებაც აქამდე შევძელი. ამიტომ მოვუწოდებ ახალგაზრდობას ძალა მოიკრიბონ, ივარჯიშონ, რათა გამოვიდნენ ჩემთან შესარკინებლად“...

1928 წელს შეერთებული შტატებიდან პაკეტით კონტრაქტის ქვითარი მოვიდა. ვიღაც რუდოლფ მილერი, ნიუ-იორკელი სპორტული ანტრეპრენიორი, პოდუბნის სთავაზობდა, თუ კვლავ ჩამოხვალთ ამერიკაში, საერთო შემოსავლის 65 პროცენტს მოგცემთო.

პოდუბნი ამერიკაში აღარ წასულა, სამაგიეროდ ხალისით იღებდა მოწვევებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან. ყიზილ-ორდშიაც კი ჩავიდა, საიდანაც შემდეგ ადგილობრივი სტამბის მუშებმა სამადლობელი წერილი გამოუგზავნეს „საუცხოო სპორტული ოსტატობის ჩვენებისათვის“.

1928 წლის სექტემბრის ბოლოს პოდუბნი ფრანგული ჭიდაობის მატჩზე მიიწვიეს, რომელიც კურსკში „ძმები ტანტების“ ცირკში გაიმართა.

ცხრა ოქტომბერს ცირკი ხალხით ისე გაიჭედა, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. კურსკელები მსოფლიოს სახელმოხვეჭილი ფალავნების საყურებლად მოვიდნენ. პოდუბნის ოვაციებით შეხვდნენ. ძია ვანიამ, როგორც ძველად, ივან მაქ-

სიმოვიჩის ყველა ტიტული ჩამოთვალა, შემდეგ ჟიურის, ადგილობრივი სპორტსმენებისა და ჭიდაობის მოყვარულთა მისალმება წაიკითხა. ივან ვლადიმიროვიჩი ემიგრაციაში იყო და იქ დიდი ჭირ-ვარამი გამოიარა. ახლა გულით ახარებდა „მაქსიმოვიჩთან" შეხვედრა, თუმცა რევოლუციამდე ის და პოდუბნი ერთმანეთში არც ისე კარგად იყვნენ.

დასაწყისში პოდუბნი სახელოვან ფალავანს ელისე ჟილინს შეხვდა, რომელიც მაშინ „დინამოს" სახელით გამოდიოდა და ცნობილი იყო თავისი გამარჯვებებით. მეცხრამეტე წუთზე ივან მაქსიმოვიჩმა „ბერკეტით" ბეჭებზე გადაატრიალა ჟილინი.

„დიდ მოჭიდავესთან ამ პირველი შერკინებით, — აღფრთოვანებით წერდა ადგილობრივი სპორტული მემატიანე, — პოდუბნიმ დაგვანახა, რომ „მამილო", მიუხედავად ხნოვანობისა, არ აპირებს ფარ-ხმალი დაყაროს და კარგ ფორმაშია. როცა დათვი კაცს შეაჯდება და ხედავ როგორ ცდილობს მის გადმოტრიალებას საოცრად ძლიერი ტორებით, რა დღეს დააწვესო, შიშით გული გელევა..."

მაგრამ ჯერ კიდევ შორს იყო შეხვედრა კლემენტ ბულთან, რომელიც ძალზე სწრაფი და შეუდრეკელი მოჭიდავე იყო და, რაც მთავარია, ფიქრობდნენ, ივან მაქსიმოვიჩს მოერევაო.

პირველ შებმაზე ფალავნებმა ერთმანეთი მოსინჯეს. მეორედ შერკინებისას ბული ცდილობდა „მამილო" ფანდზე დაეჭირა, მაგრამ ივან მაქსიმოვიჩი მარდად უსხლტებოდა ხელიდან. იგი მოწინააღმდეგეზე 28 კილოთი მეტი იყო — ბული „სულ" 96 კილოგრამს იწონიდა. ბულმა სცადა „ტურ დე ტეტით" ვეებერთელა მეტოქე თავს ზემოთ გადაეგდო, მაგრამ ძალა არ ეყო და თვითონვე აღმოჩნდა „ჩოქბჯენში". პოდუბნი ზემოდან დააწვა, მუხლები ფეხებზე შემოუჭირა და ბეჭებზე გადმოატრიალა. ეს წესებს ეწინააღმდეგებოდა. მოჭიდავეები წამოდგნენ. შემდეგ ივან მაქსიმოვიჩი კიდევ 60 წუთს ამაოდ ცდილობდა მარდი ბული ხალიჩაზე დაეგდო.

შეხვედრას ფრედ დამთავრებულად თვლიდნენ, მაგრამ ძია ვაწიამ წესის თანახმად, გამარჯვებულად ბული გამოაცხადა, რაკი ის უფრო მსუბუქი იყო. სხვა მოჭიდავეების წაქცევა ივან მაქსიმოვიჩს არ გასჭირვებია.

კარგი ვქენით, რომ მე და გრეკოვმა მეტეოროლოგთა წინასწარმეტყველებას ყური არ ვათ'ოვეთ. ეისკში თოვლი უკვე დამდნარიყო, ქარიც სუსტი ქროდა და თვითმფრინავი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე.

თუმცა აზოვის ლიმანები ამ მკვდარ სეზონში დამსვენებლებს უკვე აღარ იზიდავდა, ქალაქის მრავალსართულიანი სასტუმრო მაინც გაჭედილი იყო. მისი დერეფნებიც კი ვიწრო გეჩვენებოდა, იმიტომ, რომ იქ საოცრად ბეჭებგანიერი ფალავნები, ნამდვილი გოლიათები დადიოდნენ.

გეგონებოდა, ბოლო ნახევარი საუკუნის კლასიკური ჭიდაობის მთელი ისტორია ეისკში გაცოცხლდაო. გამოცოცხლდნენ გაზეთები, სპორტული მოედნები, გახალისდა საცირკო ჭიდაობის დროინდელი მყვირალა აფიშებიც. მძიმედ, მაგრამ მოხდენილად მოაბიჯებდა იოჰანეს კოტკასი — სასწაული-მოჭიდავე, რომელიც არამარტო ჩემპიონი იყო მძიმე წონაში, უროსაც ყველაზე შორს სტყორცნიდა, და თან ყველას ანცვიფრებდა თავისი შედეგებით მოკლე დისტანციაზე სირბილში; ბალტიისპირეთიდან ჩამოვიდა აგრეთვე ცირკის ძველი მოჭიდავე ბრიგმანისი. მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ალექსეი კატულინი, ალექსანდრ სენატოროვი და ალექსანდრ მაზური. როსტოვიდან — ვიქტორ სოკოლოვი და მიხაილ გრეკოვი. აქ იყვნენ, აგრეთვე, მიხეილ სტრიჟაკი და ვლადიმერ პლიასულია... უფროსებს მოწიწებით უთმობდნენ გზას ახალგაზრდა მძიმეწონოსნები, რომლებსაც მათთან შებმა ელოდათ ივან პოდუბნის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში.

ხანდაზმულობის მიუხედავად ჩამოვიდნენ პოდუბნის რევოლუციამდელი თაყვანისმცემლები; შეიკრიბნენ დიდი მოჭიდავის ნათესავებიც, რომელთა შორის თავისი ახოვნებით გამოირჩეოდა პოდუბნის დისწული, პირმრგვალი მარია სტეპანოვნა. იგი ხალხში იდგა და, შორი გზითა და საყოველთაო ყურადღებით აღელვებული, ხელში აწვალებდა დაქარგულ უკრაინულ პირსახოცს, ბიძამისის მუზეუმს რომ ჩამოუტანა საჩუქრად.

— დეპეშა მომივიდა, ჩამოდიო, და მეც ჩამოვედი. დედა-ჩემი, ევდოკია მაქსიმოვნა, მოხუცია. ტირილი დაიწყო. რა გა-

ტირებთ-მეთქი, ვკითხე მე. ის მატირებს, რომ იქ, უცხო ხალხში, მარტოკა როგორ იქნებიო? თქვენ მეუბნებით, ბიძას ჰგავხარო? ჩვენთან ზოლოტონოშიც ასე მეუბნებიან...

ზეიმი, მართლაც, საუცხოო ელოდათ — იქნებოდა ტურნირიც, სტადიონზე შეჯიბრებებიც, მემორიალურ დაფასაც გააკრავდნენ იმ სახლზე, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა პოდუბნი, საზეიმო სადღესასწაულოც ჩატარდებოდა და ჯილდოებსაც გადასცემდნენ გამარჯვებულებს, და ბოლოს მისი სახელობის პარკში მთელ მემორიალურ კომპლექსს გახსნიდნენ.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ივან მაქსიმოვიჩი ცოლთან ერთად პატარა საკურორტო ქალაქ ეისკში ჩავიდა და იქ კარგა მოზრდილი სახლი და ბაღი იყიდა.

სახლი, რომელიც ქერჩისა და სენის ქუჩების კუთხეში იდგა (ახლა ამ ქუჩებს პუშკინისა და საბჭოების ქუჩები ჰქვია) მაშინვე შეუყვარდათ. ფანჯრების წინ ნორჩი აკაციები ხარობდა, აქედანვე იწყებოდა თავდალმართი წყნარ ყურემდე, სადაც მეთევზეების აუარება ნავი გარინდებულიყო.

პოდუბნი თავის ბაღში ყოველდღე თამაშობდა ჩოგბურთს, შტანგითა და გირებით ვარჯიშობდა.

დედამისი უკვე ოთხმოცს იყო გადაცილებული, იგი უწინდებურად კრასიონოვკაში ცხოვრობდა, იმ ძველ ქოხში, სადაც სამოცი წლის წინ პირველად შეეძინა. ივან მაქსიმოვიჩი ხშირად სწერდა წერილებს, სთხოვდა, საცოლოდ ჩემთან ჩამოდიო, მაგრამ მოხუცი უარზე იდგა. შვილი უამბობდა თავის ახალ სახლზე, სწერდა, რა საამურია აზოვის ზღვის პირას ცხოვრება და ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმა.

ანა დანილოვნა თავის ქალიშვილთან — ევდოკიასთან ერთად ჩამოვიდა. შვილმა დედა ცალკე ოთახში დააბინავა, რძალი ყოველდღე ყიდულობდა მისთვის ბაზარში სამხრეთულ ხილს, რომელსაც ივან მაქსიმოვიჩი დაჟინებით და სიყვარულით სთავაზობდა:

— მიირთვით დედა, ასეთს კრასიონოვკაში ვერ შეჭამთ...

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ დედამ მოიწყინა და წუწუნი დაიწყო:

— როგორ არის იქ ნეტავ ჩემი ქოხი, ჩემი მსხალი და ქლიავი? ვინ იცის, ვინ დაპარპაშებს ახლა ჩემს ეზოში!

ადგა და დაბრუნდა კრასიონოვკაში. ანა დანილოვნა ოთხ-მოცდაექვსი წლისა გარდაიცვალა.

მშობლიურ სოფელში ივან მაქსიმოვიჩი აღარ ჩასულა. ერთხელ კრასიონოვკასთან ახლოს, კრემენჩუგში ჰიდაობდა. იქ უმცროსმა დამ ევდოკიამ ჩააკითხა. ამ შეხვედრის ამბავს ევდოკია ასე იგონებს:

— ერთმანეთს შევხვდით. იგი მეუბნება: „დუსია, საღამოს ჩემთან მოდი ცირკში, მეეტლეს ჰკითხავ და ის მიპოვის. ოღონდ ქისის წამოღება არ დაგავიწყდეს". კი ვიფიქრე, ქისა რად უნდა-მეთქი. მივედი. მაშინვე ქანდარაზე ავედი. ცოტა ფიცხი ვარ და ქვევით დაჯდომას მოვერიდე — მეშინოდა ძმის მისაშველებლად არენაზე არ ავვარდნილიყავი. ჰიდაობას მორჩნენ... ძმა მეუბნება, აბა, ქისა მომეცი, და სადღაც გაქრა. მერე დაბრუნდა და ფულით გატენილი ქისა მოიტანა. ცირკიდან გამოვედით. გარეთ უამრავი უპატრონო ბავშვი იცდიდა, დათხუპნულები, ტანსაცმელჩამოგლეჯილნი... ვანეჩკამ მათ ფულები გადაუყარა; საცოდავები მაშინვე დაესიენენ, ერთმანეთს ხელს კრავდნენ, ვანეჩკა კი იცინოდა. აკრიფეს, ეტლი მოვიდა. ჩავსხედით და შინისაკენ გავსწიეთ, ისინი სირბილით უკან აგვედევნენ. რომ მივედით, საცოდავები უხმოდ კარებთან ჩამწკრივდნენ და მზერით მიგვაცილებდნენ. ივანემ მითხრა: „დუსია, უპატრონო ბავშვებთან მუდამ ვმეგობრობ, ობლები არიან. ამას გაგება უნდა... და რომ იცოდე, ჩემთვის საათი არავის აუწაპნია, თან სხვებსაც უთვალთვალებენ, რომ არ გამქურდონ".

ეისკში პოდუბნის მოუთმენლად ელოდა მარია სემიონოვნა. სახლში სანიმუშო წესრიგი სუფევდა. მოხუცებმა უბრალო, მაგრამ გამძლე ავეჯი შეიძინეს. საღამოობით ნაცნობ-მეგობრებთან ერთად ისხდნენ და ტულის ბატაშევსკის ქარხნის შედლებიანი სამოვრიდან ჩაის სვამდნენ...

მაგრამ ივან მაქსიმოვიჩი ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. საბჭოების ქუჩაზე, 153-ე სახლში, ყოველდღე მოდიოდა დეპეშები, წერილები, პოდუბნის გასტროლებზე იწვევდნენ. ყოველ წელიწადს აცილებდა მარია სემიონოვნა ქმარს შორეულ მოგზაურობაში. ბაკო, ვორონეჟი, სტალინგრადი, ოდესა, ასტრახანი, ირკუტსკი, ყაზანი, ჩელიაბინსკი, არხანგელსკი — აი, არასრული სია იმ ქალაქებისა, სადაც ივან მაქსიმოვიჩი გამ-

დიოდა. მას ყველა ჩემპიონატზე აღფრთოვანებით ხვდებოდნენ.

ოცდაათიან წლებში ცირკებში ერთდროულად თორმეტამდე ასეთი ჩემპიონატი ტარდებოდა. შემოსავალი კარგი იყო. პოდუბნიზე რომ არაფერი ვთქვათ, ფალავნებს ვასილი იარკოვს, ვასილი ბოროვსკის, ოსმან აბდურახმანს, ფრანკ ჰუდს, ფიოდორ კოქემიაკს, პეტრე ჩურკინს, იან ციგანს, ორლენოკს, ვლადიმერ პლიასულიას ფეხბურთელებზე ნაკლები სახელი როდი ჰქონდათ. კარგ საქმესაც აკეთებდნენ — სამაგალითონი იყვნენ იმათთვის, ვისაც სურდა ძლიერი გამხდარიყო.

1937 წელს ორმოცი წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც ფეოდოსიელი მტვირთავი ბესკოროვაინის ცირკში გამოვიდა და გაიმარჯვა. სამოცდაექვს წელს მიღწეული ფალავანი კი მაინც არ ტოვებდა ხალიჩას. საოცარია ეს სპორტული დღეგრძელობა. მართალია, ახალგაზრდა ფალავნები ცდილობდნენ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეგდოთ, „მის დოლბივით მძიმე" სახელს უფრთხილდებოდნენ, ასე ამბობდა მსოფლიოს ჩემპიონი ალექსანდრ მაზური, რომელიც მაშინ პროფესიონალი იყო და საცირკო ჩემპიონატებში ბოგატირიოვის სახელით გამოდიოდა.

— ამ ბიჭისაგან რაღაც გამოვა, მაგრამ ესაა დასანანი, რომ ჯიგარი აკლია... — უთქვამს ერთხელ ივან მაქსიმოვიჩს.

იმ პერიოდში ბევრი მოჭიდავე ტრადიციის მიხედვით ფსეევდონიმით გამოდიოდა. ზოგიერთი ცნობილი რევოლუციამდელი ფალავნების სახელებს ირქმევდა — გეორგ ლურიხს, ან ალექსანდრ ბოგატირიოვს, ზოგიც უცხოელი მოჭიდაველებისას. თითო-ოროლა იმ დროისათვის მოდურ სახელებს ამჯობინებდა. მაგალითად, მოჭიდავე ლეონიდ ტიხომიროვი ლევ ბროდსკის სახელით გამოდიოდა.

ძალზე პოპულარული იყო იან ციგანი, იგივე ივან კარპოვიჩ კუკსენკო. იგი სოხუმის პლაჟზე „იპოვეს", სადაც თბომავალ „საქართველოს" მემოტორეს მზემოკიდებული საზოგადოება თავისი გოლიათური აღნაგობით განცვიფრებაში მოჰყავდა. მეტრი და ოთხმოცდაორი სანტიმეტრი სიმაღლის პატრონს მკერდი 124 სანტიმეტრი ჰქონდა. იგი ივან მაქსიმოვიჩთან ერთად ორდენით დააჯილდოვეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის

19 ნოემბრის ბრძანებულებას საბჭოთა სპორტის განვითარებაში უდიდესი დამსახურებისათვის პოდუბნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებისა და მისთვის რსფსრ-ის დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭების შესახებ მოსალოცი წერილების ზღვა მოჰყვა. იმ წლებში ორდეხოსნები თითებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ და განსაკუთრებული პატივისცემითაც სარგებლობდნენ.

ორდენი პირადად „საკავშირო მამასახლისმა", მიხაილ ივახეს ძე კალინინმა გადასცა.

ამ დაჯილდოებას წინ უძღოდა ერთი ამბავი, რომელმაც პოდუბნის თანამედროვენი გამოაფხიზლა და აიძულა მასხე კრემლშიც კი ელაპარაკათ. არა, მას ახალი გმირობა არ ჩაუდენია ცირკის არენაზე, უბრალოდ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ხალხის აღიარებამ ოფიციალური აღიარება გაიმიწვია. თვითმხილველთა მოგონებანი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან და ამიტომ მეც მათი მონათხრობიდან უფრო ხატოვანი გადმოცემები ამოვარჩიე.

პოდუბნიზე მასალების შეგროვებისას სახელმწიფო ფოტოარქივში ერთ ფოტოსურათს წავაწყდი: რაღაც კვარცხლბეკზე ორი გიგანტი დგას. ისინი ყვავილების ვაზას დაყრდნობიან. ერთი ახალგაზრდა, ლამაზი ჭაბუკია, მეორე, ულვაშიანი — მოხუცი. ჭაბუკის ზურგს უკან დაფაა ასეთი წარწერით: „სსრ კავშირის 1939 წლის ჩემპიონი ჭიდაობაში ალექსანდრ სენატოროვი", მოხუცის უკან კი დაფაზე წერია: „მსოფლიოს 1898—1939 წწ. ჩემპიონი ჭიდაობაში ივან პოდუბნი".

ალექსანდრ ალექსანდროვიჩ სენატოროვი ახლაც სპორტს ემსახურება — ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში მუშაობს. უკვე სამოცდაათსაა მიღწეული, მაგრამ უწინდებურად მხნე და ახალგაზრდულია. არც ძველი სილამაზე დაუკარგავს.

— აი, ესაა სიჭაბუკე, — თქვა მან, სამუშაო საკარიჭლის გვერდით, იატაკზე მდგარ ორფუთიან გირს ხელი დაავლო და რამდენჯერმე მსუბუქად ასწია. — ამ „გირუკას" თავიდან არ ვიცილებ.

— დახე, რანაირი ვყოფილვარ ოცდაცხრამეტში, — განაგრძო მან და ფოტოსურათი თანამშრომელებს გაუწოდა, — ისიც მახსოვს, სად გადავიღე: წითელ მოედანთან. სასტუმრო

„მოსკოვიც“ ჩანს. ივან პოდუბნი ფიზკულტურის პარადზე ჩამოვიდა ეისკიდან და ამ სასტუმროში ცხოვრობდა. ჩვენი კოლონის თავშეყრის ადგილი ნიკიტას კარიბჭესთან იყო. მე ივან მაქსიმოვიჩს შევუარე. მასთან უკვე იჯდა ჩესნოკოვი — ძველი ჟურნალისტი... გავიხადეთ და „მოსკოვიდან“ ტრიკოებში გამოწყობილნი გამოვედით. უნივერსიტეტამდე მივედით, მაგრამ იქ გერცენის ქუჩა მილიციელების ჯაჭვს გადაეკეტა, საშვები კი თან არა გვქონდა, საიდან გვექნებოდა, ტრიკოებში ვიყავით! უცებ ვიღაცამ დაიყვირა: „ეს ჰომ პოდუბნია! შეხეთ პოდუბნი!“ მილიციელმა სალამი მოგვცა და გაგვატარა, ჩესნოკოვი კი არ გამოუშვეს. მივდივართ, გარშემო ხალხი ტაშს გვიკრავს და ყვირის: პოდუბნი, პოდუბნი!

— რაზე დგახართ ფოტოსურათზე? — ვკითხე სენატოროს.

— ეტლზე. ის სპორტსმენებს წითელ მოედანზე ხელით უნდა გაეგორებინათ. სტაროსტინმა მოიფიქრა. ეტლზე მე და პოდუბნი ვდგავართ — თაობა თაობას ესტაფეტას გადასცემს. წითელ მოედანზე გავედით თუ არა, ხალხმა მაშინვე იცნო პოდუბნი, ყვირილითა და ტაშით იქაურობა გააყრუა. პოდუბნი მავზოლეუმის ტრიბუნიდან პირველად კალინინმა შეამჩნია და ტაში დაუკრა. მიხაილ ივანეს ძეს უყვარდა ჯანმრთელი, ძლიერი ხალხი. განა მან არა თქვა: ბედნიერება წარმოუდგენელია ჯანმრთელობის გარეშეო. ოღონდ პარადი კინაღამ მარცხით დამთავრდა ჩვენთვის.

— როგორ! ერთხმად შესძახეს სენატოროვის გარშემო შეკრებილებმა.

— როგორ და, წითელი მოედანი გავიარეთ, ნეტარი ვასილის ტაძარს გვერდი ავუარეთ და იქ მდგომმა ხალხმა ისევ იცნო პოდუბნი. ერთი ამბავი ატეხეს, მილიციელთა ჯაჭვი გაწყვიტეს და ჩვენკენ გამოექანნენ... ეხედავ, საქმე ცუდად არის: გადაგვთელავენ, ან გაგვჟულეტავენ-მეთქი! უტყუარი ალღო მქონდა, ადრე მილიციაში ვმსახურობდი. თავს ვუშველოთ ივან მაქსიმოვიჩ-მეთქი, ვუთხარი პოდუბნის. მან შემომხედა და მითხრა, აბა, მოვუსვათ, საშაო. არ მახსოვს როგორ გამოვაღწიეთ ამ ხათაბალიდან... აი, როგორი სახელი ჰქონდა ივან პოდუბნის...

ეისკის მწვანე ქუჩით უკვე მიწყნარებულ ბაზარს ჩაუარე და ივან მაქსიმოვიჩის სახლისკენ გავემართე. მხემ ღრუბლებიდან გამოაჭყიტა და ვეებერთელა ხეების ფოთლებში გამოღწეულმა სხივებმა შემოდგომის ქვაფენილზე დამდგარი ტალახიც კი საზეიმოდ ააელვარა. მკვიდრად ნაგებ სახლებსა და გაბარდული ვაზით დაჩრდილულ ეზოებს ქუჩისგან დაბალი ღობეები მიჯნავდა.

ასეთი იყო ივან მაქსიმოვიჩის სახლიც, გზაჯვარედინზე რომ იდგა, აქ უკვე ჩამწკრივებულიყვნენ ახლომახლო სკოლის პიონერები, ირეოდნენ ქალაქელები. ჭიშკართან სახლის ახალი პატრონები იდგნენ, რომლებიც ოთახებში შემიძღვნენ. აქ პოდუბნებისა უკვე აღარაფერი დარჩენილიყო: ყველაფერი მემკვიდრეებს გადაეცათ, ხოლო გადარჩენილი უბრალო ავეჯი მუზეუმმა წაიღო.

თუმცა ყოველთვის საინტერესოა, როცა რაღაცას მ'ოლოდ საბუთებით იცნობდა და უცებ იმ ადგილზე მოხვედრილი ყველაფერს საკუთარი თვალით იხილავ, თითქოს შორეული ხმებიც შემოგესმება, რომლებიც ახლა შეიძლება ატომების განუწყვეტელ ტრიალშია აღბეჭდილი, იმ ატომებისა, რომლისგანაც შედგება ყველაფერი, სახლის კედლებიც კი. თუმცა ბათქაშის იქით ბევრს ვერ დაინახავ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ სახლი მორებისგანაა ნაგები, გარედან კი აგურითაა ამოყვანილი. მე ვიცი, როგორ აუმჯობესებდა თავის სახლს ივან მაქსიმოვიჩი. ამ უძრავი ქონების გაზრდილმა ფასმა სადაზღვევო თანხის მომატებაზეც იმოქმედა.

მე კიდევ ბევრი რამ ვიცი იმაზე, რა სწყინდა და რა უხაროდა შინ თუ გარეთ პოდუბნის, ოღონდ ამის გამომზეურებაც ჯერჯერობით უდროო და უადგილოა. მე ვისმენ ლეგენდებს, რომლებსაც ეისკშიც ჰყვებიან. ვიღაცამ ისიც მიამბო, გერმანელების ოკუპაციის დროს პოდუბნი მაინც თავისი წითელი დროშის ორდენით დადიოდა, იმიტომ, რომ ეამაყებოდა და ერთ გენერალს, რომელიც ორდენში მიაფრინდა, ხელიც კი შემოჰკრაო... თავი რომ დაერჩინა და ოჯახიც შეენახა, მთელ მსოფლიოში ცნობილი „ჩემპიონთა ჩემპიონი" იძულებული გახდა ქალაქის საბილიარდოში მარკიორად ემუშავა. როგორც კი ეისკი გაანთავისუფლეს, ქალაქის აღმასკომმა იზრუნა და ივან მაქსიმოვიჩს სასადილოს ბარათი მისცეს, თან

ლიტერ „ბ"-ს მშრალი ულუფაც დაუმატეს, რომელსაც მაშინ ჩინებულ სპეციალისტებს აძლევდნენ.

1945 წელს სამოცდათოთხმეტი წლის პოდუბნის სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

ივან მაქსიმოვიჩი ავბედობის ჟამს ქვეყანას სჭირდებოდა და მან ეს იცოდა. მოხუცი სამხედრო ნაწილებში დადიოდა და მის სიტყვებს, პოდუბნის სიტყვებს, ჯარისკაცები გულისყურით ისმენდნენ. ადგილობრივმა გაზეთმა დაბეჭდა მისი სიტყვა, რომლითაც იგი ეისკის საავიაციო სასწავლებლის კურსანტების წინაშე გამოვიდა.

— ძალა, სიმამაცე და გამარჯვების უნარი, — თქვა ივან მაქსიმოვიჩმა, — ეს არის თვისებები რუსი ხალხისა, რომელმაც მე გამომზარდა. ჩვენი წითელი გოლიათები ამ თვისებებს ბრძოლებში ამჟღავნებდნენ... კარგი მფრინავი მაშინ გახდები, თუ ფიზიკურად კარგად ხარ მომზადებული. მომავალ მფრინავებს ერთს გირჩევთ: სერიოზულად და ყოველდღიურად ივარჯიშეთ.

პოპულარობა, ჩვენ რომ გვგონია, არც ისე გვაქვს შესწავლილი. რეკლამით მისი თავზე მოხვევა ყოველთვის როდი შეიძლება და ამ დარგის სპეციალისტებს, ხალხურ ფსიქოლოგიასთან შეჯახების დროს, ხშირად მარცხი მოსდიოდათ ხოლმე. გაზეთის სტატია შეიძლება ვერც შეამჩნიო, მაგრამ ჯარისკაცების თამბაქოს მოსაწევ ოთახში გაგონილი ამბავი მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაგეჭედება:

ამბობენ, ერთხელ ივან მაქსიმოვიჩს ბნელ ქუჩაში დახვედრიან ვიღაც ბანდიტები, რომლებიც მას არ იცნობდნენ. აბა ერთი ეგ პალტო გაიხადე და აქ მოგვეციო, უთქვამთ. სამნი ყოფილან.

— რას მერჩით, ყმაწვილებო, მე ხომ მოხუცი ვარ, — უთქვამს ივან მაქსიმოვიჩს და ხელები გაუშლია.

ორი ბანდიტისათვის ქეჩოში ხელის ჩავლება და ერთმანეთზე თაეის მირტყმევინება მისთვის წამის საქმე იყო. როცა ისინი ღობის იქით გადაისროლა, პოდუბნი მესამეს მიუბრუნდა, რომელმაც გაქცევა დააპირა. ფეხით ისე ამოსცხო, რომ ბანდიტი ჰაერში ავარდა და ძირს უგონოდ დაეცა...

შეიძლება ეს ეისკელების ან კურსანტების მოგონილი ანეკდოტია, შეიძლება სიმართლეც იყოს... სერიოზულ წიგნებშიც

ხომ მოჰყავთ მსგავსი მაგალითები ლომონოსოვზე, პოდუბნის კი ასეთ სიტუაციებში თავის გამოჩენას თვით ღმერთი შთაგონებდა.

იგი სამოცდათხუთმეტი წლის ასაკშიც ჯანით სავსე იყო, გამოდიოდა მოგონებებით, წერილებს სწერდა ნაცნობ-მეგობრებს. იძლეოდა რჩევას, როგორი კვების რეჟიმი უნდა ჰქონოდა სპორტსმენს, როგორ გაეკაჟებინა სხეული.

საინტერესოა მისი „სიტყვა შავზღვაოსნებს", რომელშიც ამბობს: „ჩემი სისტემა ასეთია: უპირველესად მე ყოველთვის ზომიერ ცხოვრებას ვეწეოდი. განსაკუთრებულ უპირატესობას ვანიჭებდი წყლით მკურნალობას. გავიხდი ხალათს და სხეულს გაგრილების საშუალებას ვაძლევ. შემდეგ თავს ვიბან, სხეულს სველი პირსახოცით ვიზელ და მხოლოდ ამის შემდეგ, როცა ორგანიზმს შევამზადებ, მთელ ტანზე წყალს ვისხამ, ამ ერთწუთიან ცივ აბაზანას ვიღებ"... იქვე დასძენდა: „საპასუხისმგებლო გამოსვლის წინ ვარჯიშს 48 საათით ადრე ვწყვეტ"...

ბევრს დღემდე აქვს შემონახული გაზეთებიდან ამოჭრილი მისი რჩევა-დარიგებები.

ვინც პირველად ხედავდა, მოხუცს ისე უყურებდა, როგორც სასწაულს — პოდუბნი უკვე ისტორიის კუთვნილება გახლდათ.

მას ახარებდა ბელოვის, კობერიძის, კოტკასის გამარჯვებები ევროპის პირველობაზე 1947 წელს. საბჭოთა ფალავნებს პოდუბნი ასე მიმართავდა:

„ჩემო ძვირფასო შვილებო! ბედნიერი ვარ, ჩემი სახელი თქვენს გვერდით რომ მოიხსენიება. თქვენ ჩვენს მშობლიურ სპორტს ისეთი ტრიუმფი მოუტანეთ, რომელიც ჩვენ, მოხუცებს, არც კი დაგვესიზმრებოდა, და მე მჯერა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია...

მთელი ჩემი ცხოვრება სამშობლოს სპორტული ღირსების დაცვას შევალიე, სამშობლოსი, რომელიც მიყვარდა და მიყვარს ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე. ახლა უკვე მოხუცი ვარ და მანეჟზე გამოსვლა აღარ შემიძლია, მაგრამ ვხედავ, რომ ჩემს ადგილზე ნიჭიერი ცვლა მოვიდა. თანაც ამდენი სიამაყითა და სიხარულით ვადევნებ თვალს თქვენს გამარჯვებებს და ვამბობ: „შეგიძლია მშვიდად იყო, ივან მაქსიმოვიჩ, საქმე,

რომელსაც მთელი ცხოვრება შეალიე, საიმედო ხელშია“.

ხელს ასე აწერდა: „რუსი გოლიათი ივან პოდუბნი“, ვინაიდან ფიქრობდა, რომ ეს ტიტული უფრო მოკრძალებული იყო. ერთ-ერთ წერილში იგი ამბობდა, რომ „გოლიათი — ეს ღონიერი კაცის რუსული სახელწოდებაა, მაგრამ ძალოსანი ძალიან ბევრია, ჩემპიონები კი ცოტანი არიან მთელს მსოფლიოში. ჩემპიონობა დაკავშირებულია ხელოვნებასთან, ტექსიკასთან და ა. შ.“ ისევ და ისევ გულუბრყვილო ეშმაკობაა — ძალიანაც ეამაყებოდა ივან მაქსიმოვიჩს თავისი უნიკალური ტიტული — „ჩემპიონთა ჩემპიონი“.

...დაფას საბურველი უკვე ჩამოსნეს. პიონერები საპატიო ყარაულში დგანან...

ამ სახლში 1927 წლიდან ცხოვრობდა
რუსი გოლიათი ივან მაქსიმეს ძე
პ ო დ უ ბ ნ ი,

რსფსრ დამსახურებული არტისტი. სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი. მსოფლიოს ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში.

წამოსვლისას კიდევ ერთხელ შევათვალიერე სახლი. გაკრიალებულ ფანჯრებში ხეები და ცისფერი ზეცა ირეკლებოდა. სამხედრო სასწავლებლის კურსანტებისა და ძველი მოჭიდავეების შეხვედრაზე მივიჩქარი...

ალექსანდრ სენატოროვი ორფუთიან გირს ნეკით სწევდა, თითებით თითისავე სიმსხო ლურსმნებს ღუნავდა. შემდეგ კურსანტებს მხიარული ძალოსნური თამაშები უჩვენა მიხაილ გრეკოვმა...

ჭაბუკების აღგზნებულ სახეებს რომ ვუცქერდი, მათ უნებლიეთ დაჭიმულ კუნთებში მოარული ათლეტიკური სენის ნაცნობი სიმპტომები შევამჩნიე...

მასპინძლებს თავი არ დაეზოგათ.

პოდუბნის მემორიალი — ვეებერთელა ფანჯრებიანი შენობა, ლამაზსახურავიანი ფართო კიბეები რომ ამშვენებს, ძველი პარკის ცენტრში აღმართულა. შენობის ქვედა სართულში მოჭიდავეთა საწვრთნელი დარბაზებია, ზემოთ — დიდი ფა-

ლავნის მუზეუმი. ამ მემორიალის შექმნა ძეგლთა დაცვის ადგილობრივმა საზოგადოებამ ითავა. პირველი შესატანი რომ შეიტანეს, შემდეგ „ქუდით ჩამოიარეს“. ადგილობრივ საწარმოთა დირექტორებმა და ყუბანის მდიდარმა კოლმეურნეობებმაც მხარი დაუჭირეს წამოწყებას.

შენობის საზეიმო გახსნაზე ათასობით კაცი შეიკრიბა. სიტყვებითაც გამოვიდნენ.

იმ დღეს მუზეუმი მთელმა ეისკმა დაათვალიერა. კიბეებზე გრძელ რიგებს ბოლო არ უჩანდა. ხალხი ჩემპიონების ფოტოებითა და აფიშებით მორთულ დარბაზში შედიოდა. ნახეს პოდუბნის სახლის რეკონსტრუირებული ოთახები, მისი პირადი ნივთები. ივან მაქსიმოვიჩის უშველებელ საჭიდაო ფეხსაცმელებს რომ ვუყურებდი, უნებლიეთ მამაჩემის მონაყოლი გამახსენდა, პოდუბნის კისლოვოდსკში რომ შეხვდა და ფეხსაცმლის მწმენდავი ბიჭუნები ფალავანს ვეებერთელა ფეხსაცმელის გაპრიალებაში ორმაგს რომ ახდევინებდნენ.

მუზეუმიდან ხალხი პოდუბნის საფლავზე მიდიოდა, რომელიც იქვე იყო პარკში...

ივან მაქსიმოვიჩი ალბათ ას წლამდე იცოცხლებდა, ერთი სავალალო ამბავი რომ არ შემთხვეოდა. ერთხელ მოუხერხებლად დაეცა და სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში თეძო მოიტეხა. ძვალი დიდხანს არ უხორცდებოდა. წოლითი რეჟიმი საბედისწერო აღმოჩნდა ადამიანისათვის, რომელმაც მთელი ცხოვრება მძიმე ფიზიკურ დატვირთვაში გაატარა და ღრმა მოხუცებულობამდე ყოველდღე ორფუთიანი გირებით ვარჯიშობდა.

მაგრამ ივან მაქსიმოვიჩი არ ნებდებოდა, ბალახებით მკურნალობდა, როგორც კი ყავარჯნებზე დადგა, სენს იქით შეუტია. არ შეიძლება მოწიწებით არ წაიკითხო ასეთი სტრიქონები მისი წერილიდან, რომელიც მიხაილ გრეკოვს მისწერა:

„ვარჯიშს ერთ ყავარჯენზე ვასრულებ და ხანდახან პატარა ჯოხითაც მოვსინჯავ ხოლმე. უკეთესობას ვგრძნობ, ვინაიდან დიდმა დატვირთვამ ანთება ჩააქრო. ტერფი დამიცხრა და აღარ მისივდება. როცა ბევრს დავდივარ, პატარა ანთება მეწყება, მაგრამ მაშინვე ჯდომელა ცივ, ოცდაორგრადუსიან აბაზანას ვიღებ და ანთებას ამით ვერევი“...

მაგრამ თავს დამტყდარ უბედურებას აღარაფერი ეწამლე-

ბოდა, გულმაც შეაწუხა. პოდუბნი დასუსტდა და დანაღვლიანდა.

ივან მაქსიმოვიჩს და მარია სემიონოვნას ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ. ისინი ერთად გლოვობდნენ მარია სემიონოვნას შვილს, ივან მაშოშინს, რომელიც როსტოვის დიდი ქარხნის მთავარი ინჟინერი გახდა და ომის დროს დაიღუპა.

1949 წლის 7 აგვისტოს, საღამოს, ივან მაქსიმოვიჩი მხიარულ გუნებაზე იყო, თავშესაქცევ ამბებს ჰყვებოდა, მეორე დღეს, დილით, უცებ ძალიან ცუდად გახდა. ექვს საათზე კი გარდაიცვალა.

იმ დღეებში ეისკში ჩამოფრინდნენ კლემენტი ბული, ალექსანდრ მაზური, არსენ მეკოკიშვილი...

მათ ძლივს მიაღწიეს კულტურის სასლამდე, სადაც პოდუბნის ცხედარი ესვენა. ირგვლივ ქუჩები ხალხით იყო გაჭედილი. ეისკელების გარდა აქ თავი მოეყარათ მეზობელი სოფლებიდან და დაბებიდან ჩამოსულ გლეხებს, მდუმარედ იდგნენ რიგში ყუბანის მზეზე დამწვარი ბრგე მხვნელ-მთესველები და ელოდნენ, როდის შევიდოდნენ დარბაზში, რათა გამოსთხოვებოდნენ ადამიანს, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. აქვე ითხზებოდა ახალი ლეგენდები, ზეპირად რომ ვრცელდება და უფრო გებეჭდება გონებაში, ვიდრე წიგნში წაკითხული. ეს სახალხო დიდება გახლდათ — ცოცხალი და, როგორც ახლა იტყვიან ხოლმე — მარად უჭეხობი.

პოდუბნი ქალაქის პარკში დაკრძალეს, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. 1955 წელს საფლავზე ქანდაკება დადგეს. შავ ქვაზე ამოკვეთილია სიტყვები:

აქ განისვენებს რუსი გოლიათი

აქვე მიწერილია ადგილობრივი პოეტის ლექსი, რომელიც ასე მთავრდება:

წარელიან წლები... სახელი მისი
გულში გვეჭნება მუდამ უკედავად.
მეტოქეებში არ ჰყავდა ღირსი,
მხოლოდღა სიკვდილს ვერ გაუმკლავდა.

არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ორმოცდაათიან წლებამდე ქუხდა სახელი გოლიათისა, რომელიც თითქოსდა რაღაც დაუშრეტელი ძალით იყო დაჯილდოებული. თავისი სპორტული სიმწიფის, ფიზიკური ძალის გაფურჩქვნის ხანაში პოდუბნი უძლეველი იყო. 1904-დან 1909 წლამდე მან მსოფლიო აიძულა დაეჯერებინა, რომ დედამიწაზე ყველაზე ძლიერი ადამიანები რუსეთში ცხოვრობენ. ეს იმ დროს, როცა ჭიდაობა „სპორტის დედოფლის“ ტიტულს ატარებდა, როცა ჭიდაობით გატაცებულნი იყვნენ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, ყველა ეროვნების ძლიერი ადამიანები. სწორედ ამით აიხსნება პოდუბნის სახელის მარადიულობა და კიდევ იმით, რომ ის ვერ გატეხა ვერც წლებმა და ვერც გარემოებამ.

ივან მაქსიმოვიჩ პოდუბნი რუსი ადამიანების რამდენიმე თაობის სიკვდილს მოესწრო, რომელთაც წილად ხვდათ ომებისა და რევოლუციათა წარმოუდგენლად მკაცრი გამოცდა გაეელოთ... სისხლით გაჟღენთილ და ხანძრის კვამლით დაბურულ მიწაზე ურყევად იდგა მძლე ფიგურა — დიდი ხალხის ნებისყოფისა და ქედუხრელობის სიმბოლო.

და მარადიული სახელითა და დიდებით მოსილ ამ სიმტკიცეში არის რაღაც ისეთი, რაც უდიდეს რწმენას აძლევს ადამიანებს, ბორტზე სიკეთის გამარჯვებისათვის რომ ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე.

1973—1976 წ. წ.

სიკვდილის მთესველნი

ისაკ კირკელი

ბედის ქარები

აჩრდილთა წყება...

...წამიც, და ადამიანები განიძარცვნენ ალმოდებული სამოსისაგან, ხელები, სახე, მკერდი ერთიანად დასიებიათ, სისხლისფერი, მეწამული ბებერები ზედიზედ სკდება და დაფლეთილი კანი მიწაზე ცვივა... ისინი მოჩვენებები არიან... ხელებგაწვდილნი ჯგროდ მოიწევენ წინ და ტკივილისაგან ცას შეპყვირიან. აგერ, მიწაზე ჩვეული გდია. დედა მკვდარია, მაგრამ არავის შესწევს ძალა ბავშვს მოეხმაროს, ხელში აიყვანოს. რეტდასხმული, გონდაკარგული ადამიანები ერთ ალრიალებულ ბრბოდ ქცეულან და დამწვარი ხელების ბრმად ცეცებით გასასველელს დაეძებენ... უცებ სახიჩართა ბრბოს შავმა წვიმამ წამოუშინა. შემდეგ ქარმა საიდანღაც სულის შემხუთველი სიმყრალე მოიტანა და მას თან მოყვა შხამიანი ბუზების ურდო. ისინი არემარეს ბზუილით აყრუებენ და ხიროსიმის გზებზე აფუთფუთებულ ბრბოს ზურგსა და მხრებზე სქლად ეწებებიან.

კომენტარი ირისა და ტოსიკო მარუკის პანოსათვის — „აჩრდილები“.

I

ბილ ლორენსს ძალიან ეშინოდა სიკვდილისა. „იცოდე, ბერიკაცო, ეს შენი ბოლო სტატია იქნება“, — უთხრა მან თავის თავს. იჯდა და გაშმაგებული უპერდა ხელს ქანგბადის ნიღაბს. თვითმფრინავში წნევა შეიძლებოდა უეცრად დაცემულიყო...

სერჟანტი რალფ კარი დაძაბული უსმენდა მეტეოროლოგთა პატაკებს. ლორენსმა რადისტს შეხედა, რომელიც ოც წელზე მეტის არ იქნებოდა.

— ძალიან შორს კი წამოსულხარ შენი ილინოისიდან[1], — ისე, სპვათა შორის უთხრა ლორენსმა, — იმ წუთში რაღაც უნდა ეთქვა, რათა შიში დაეძლია, ნება არ მიეცა, რომ მთლიანად დაეპყრო მისი არსება.

— კი, შორს წამოვედი, — ამოიოხრა კარიმ, — როგორ ფიქრობთ, კიდევ ერთი ატომური ბომბი რომ ჩამოვაგდოთ, ომი დამთავრდება?

— შეიძლება. თუ არადა, კიდევ ერთი წყვილის ჩამოგდება მოგვიწევს.

ლორენსმა სხვისი სიტყვები გაიმეორა. მან ეს სიტყვები რამდენიმე საათის წინ მოისმინა.

კარი მუშაობითაა გართული, ყურადღებადაძაბულს შუბლი შესჭმუხვნია, ბილ ლორენსი კი ფიქრებს მისცემია. ლუის ალვარეცთან ერთად შტაბში პირადობის მოწმობა მიიღო, რომელიც „მხოლოდ ტყვედ ჩავარდნისას" გამოადგებოდა — მოწინააღმდეგე ამ მოწმობით შეიტყობდა, რომ ის პოლკოვნიკის უფლებებით სარგებლობდა.

— ახლა ყოველ წუთს შეიძლება პოლკოვნიკი გავხდე. — წამოსცდა მას და შეკრთა.

ლორენსი სამხედრო არასოდეს ყოფილა. იგი კარგ ჟურნალისტად ითვლებოდა. ყოველისშემძლე „ნიუ-იორკ ტაიმსმა" იზრუნა თავის კორესპონდენტზე. გაზეთის მრავალრიცხოვანი დასიდან სამხედრო სამინისტრომ მარტო მას მისცა უფლება ატომური ქარხნები მოენახულებინა, ნიუ-მექსიკოში ატომური ბომბის ზესაიდუმლო გამოცდას დასწრებოდა და იაპონიის ქალაქებში ჩამოგდებული მეორე ბომბის აფეთქების მოწმე ყოფილიყო. ესეც არ იყოს, იგი პენტაგონს გამარჯვების მაუწყებელი რელაციების შესადგენადაც სჭირდებოდა.

იაპონია სადღაც ლეგა ღრუბლებს იქით გაწოლილიყო. მისი კიდევ ერთი ქალაქი უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა. მაგრამ რომელი? ეს ჯერ არავინ უწყოდა. ქარები გიგანტურ რულეტს თამაშობდნენ. თუ ისინი ქალაქს ღრუბლებით შესუდრავდნენ, ის გადარჩებოდა. მისი მკვიდრნი ვერასოდეს გაიგებდნენ, როგორ გადაიქროლა შავმა სიკვდილმა მათ თავზე. მაგრამ იგივე ქარები სხვა ქალაქს გასწირავდნენ სასიკვდილოდ.

[1] შტატია აშშ-ში.

ამომავალმა მზემ ჰორიზონტზე ღრუბლების ქულები გადააწითლა.

— კიდევ კარგი, თენდება, — თქვა კარიმ, — თორემ ღამით ამ წყეულ კოლოფში თავს საშინლად ვგრძნობდი.

ძრავების თანაბარი გუგუნი და მინის მიღმა უზარმაზარი სივრცე მარტოობისა და რაღაც უმწეობის გრძნობას ამძაფრებდა.

ჰაერში სამი ბ-29 თვითმფრინავია და მათგან ერთ-ერთს ატომური ბომბი მიაქვს — მეორე ბომბი ბოლო სამი დღის მანძილზე. მისი აფეთქების ძალა ორმოცი ათასი ტოლის აფეთქებას უდრის. ბომბი ერთ-ერთ ობიექტს დაეცემა, საითკენაც იაპონიის თავზე მქროლავი ქარი წაიღებს. ყოველი ობიექტი № 77 თვითმფრინავის მეთაურის, მაიორ ჩარლზ სუინის რუკებზეა აღნიშნული. სუინმა თავისი თვითმფრინავი „უდიდეს არტისტად" მონათლა.

ლორენსი „სამოცდაჩვიდმეტით" არ მიფრინავს. მას უფლება მისცეს, ჩამჯდარიყო მეორე თვითმფრინავში, რომელიც „უდიდეს არტისტს" მიაცილებს. ამ თვითმფრინავს კაპიტანი ბოკი მართავს. სადღაც უკან, ღრუბლების გზას მიიკვლევს მესამე ბომბდამშენი, შიგ ინგლისის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები სხედან.

9 აგვისტოს, ზუსტად დილის 3 საათსა და 50 წუთზე, კუნძულ ტინიანის პირველი კლასის აეროდრომიდან აფრინდა ბოკის თვითმფრინავი. ცა ღრუბლებს დაეფარა. ამინდის პროგნოზით ჯერ თვითმფრინავები ქარიშხალში მოხვდებოდნენ, შემდეგ კი, გზის ბოლოს, ცა დამშვიდდებოდა. აფრენისთანავე ბომბდამშენმა ცხვირით რწევა დაიწყო, თითქოს აღელვებულ ზღვაში გემი მიცურავსო და მიუჩვეველმა ლორენმა რწევისაგან გულზიდვა იგრძნო, სწორედ ისეთი, ზღვის ავადმყოფობამ რომ იცის.

დაელექტროებულ ჰაერში ხრახნები ცისფერი ალის დისკოებად იქცა. ალი გიგანტურ ფრთებს გარს ევლებოდა და პლეკსიგლასზე იფრქვეოდა.

— ელმას სინათლეები, — თქვა კაპიტანმა ბოკმა.

თვითმფრინავებმა უცებ დაკარგეს ერთმანეთი, მაგრამ დილის ათ საათზე კვლავ ელოდათ შეხვედრა კუნძულ კიუსიუდან სამხრეთით.

ბილ ლორენსს, კორესპონდენტს, უნდოდა გულგრილად აეწერა ათი ათასობით ადამიანის დაღუპვა, ბილ ლორენსმა, ადამიანმა, ვერ შეძლო სიკვდილის შიში დაეძლია. ტანმორჩილს გალეულ სახეზე ლოყები ჩასცვენოდა და საცოდავად მოკუნტულიყო.

თვითმფრინავიდან ჰორიზონტის ხაზი არ ჩანდა. ოკეანე და ცა ერთმანეთს შერწყმოდა და ერთიან გიგანტურ სფეროდ ქცეულიყო. ლორენსმა უცებ დროისა და სივრცის შეგრძნება დაკარგა. პატარა მყარი სხეული, ღრუბლების თავზე რომ მიქროდა, უწონადოდ ეჩვენებოდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც გაუგებარი კატასტროფის შედეგად დედამიწაზე სიცოცხლე საერთოდ გამქრალიყო, ხოლო მისი გული, სასწაულად გადარჩენილი თბილი გუნდა, საპლანეტათაშორისო სივრცეში სამუდამო ბეტიალისათვის იყო განწირული.

თვითმფრინავი ჯიქურ მიიწევდა ზევით. დილის ცხრა საათისათვის მან სიმაღლე აიღო, საიდანაც „უდიდეს არტისტს“ ობიექტი უნდა დაებომბა. აგერ გამოჩნდა „სამოცდაჩვიდმეტიც“. ეკიპაჟმა პარაშუტების მიბმა დაიწყო.

მალე, სულ მალე, იაპონიის ერთ-ერთ ქალაქში ჯოჯოხეთი დატრიალდებოდა. ლორენსმა ჯერ კიდევ არ იცოდა, ეს რომელი ქალაქი იქნებოდა, მაგრამ ის ჯოჯოხეთი კი კარგად ჰქონდა წარმოდგენილი.

ერთი წუთით გონების თვალით ქალებსა და ბავშვებს გადასწვდა, აფეთქების დროს რომ დაიღუპებოდნენ, მაგრამ მაშინვე განდევნა ეს ფიქრი. ახია იაპონელებზე! სინდისის დასამშვიდებლად ლორენსმა პირლ-ჰარბორზე თავდასხმის წვრილმანები გაიხსენა... მაგრამ იაპონიის თვითმფრინავები მხოლოდ სამხედრო ობიექტებს უტევდა. თავზე ამერიკის საზენიტო ჭურვების ნამსხვრევები უფრო აცვიოდა, ვიდრე იაპონური ბომბები.

ლორენსს არ შორდებოდა იმის შეგრძნება, რომ რაღაც შემზარავი და საშინელი ხდებოდა. ეს იყო შიში არა მარტო იაპონური გამანადგურებლების წინაშე, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლებოდა გამოჩენილიყვნენ და ბომბდამშენებიცა და მისი, ლორენსის, სუსტი, უმწეო სხეულიც დაეცხრილათ, არამედ შიში იმ ბრმა ძალისა, ამიერიდან ერთნაირად დაუნდობელი რომ იქნებოდა უდანაშაულოთა თუ დამნაშავეთა მიმართ.

პირველად ეს შიში 1945 წლის 16 ივლისს იგრძნო, ზუსტად დილის 5 საათსა და 30 წუთზე. შემდეგ მან იმ დილას ატომური საუკუნის დასაწყისი უწოდა.

ეს მოხდა ნიუ-მექსიკოს შტატში, ალამოგორდოდან სამოცი მილის დაშორებით, გაუდაბნოებულ პლატოზე, რომელსაც „ნული" შეარქვეს.

გამთენიის ხანს იქ მოეწყო ატომური ბომბის პირველი გამოცდა, რომლის კოდური სახელწოდება „სამება" იყო. მკრეხელობა სავსებით შეესაბამებოდა იმას, რასაც შემდეგ „ეშმაკის მსახურება" უწოდეს.

პლატოზე წინასწარ ჩავიდა ავტომანქანების ქარავანი და თან ჩაიყვანა ას ორმოცი მეცნიერი, რომელთა შორის იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატებიც:

ჯეიმს ჩედვიკი, სავსებით უწყინარი ნაწილაკის — ნეიტრონის აღმომჩენი.

ენრიკო ფერმი, რომელმაც პირველმა დაუშინა ნელი ნეიტრონები ატომგულებს.

ერნესტ ლოურენსი — პირველმა რომ აიძულა დამუხტულ ნაწილაკებს კოლოსალური სიჩქარით ებრუნათ მის მიერ გამოგონებულ ციკლოტრონში — მაგნიტიან ცილინდროვან ყუთში.

და მათ შორის გახლდათ პრესის ერთადერთი წარმომადგენელი — უილიამ ლორენსი.

ჩამოსულნი ერთად შეკრიბეს და გააფრთხილეს, სირენის ხმა რომ შემოგესმებათ, უმალ მიწაზე პირქვე დაემხეთ და თავი „ნულის" საწინააღმდეგო მხარეს შეაბრუნეთ. აფეთქებას ნუ შეხედავთ და სანამ დარტყმის ტალღები არ გაივლის, მანამ ნუ ადგებითო.

ლორენსს შემორჩა ინსტრუქცია იმისა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ადამიანები აფეთქების დროს:

„აფეთქების ტალღებით დაზიანების საშიშროება შემცირდება, თუ მიწაზე ისე დაწვებით, რომ ზემოდან ჩამოცვენილ ქვებს, მინებსა და სხვა საგნებს მოერიდებით. ავტომანქანების ყველა მინა ჩამოსწიეთ...

სინათლით თვალის დაზიანების საშიშროება შემცირდება,

თუ თვალებზე ხელებს აიფარებთ და მიწაზე თაკვეე დაემხობით. თვალებდახუჭულიც შეიძლება დოოეაით ცაბოძავდეთ და სანახაობის დახარჩეხი ნაწილი ვერ დაიხახოთ...

ულტრაიისფერი სხივებით კახის დაბიახების თავიდან ასაცილებლად უმჯობესია ჩაიცვათ გრძელი შაოვალი და გრძელსახელოიახი პერახგი...“

დოქტორ ედუარდ თელერის რჩევით მეცნიერები მორჩილად ისმენენ მზისგან დამცველ კრემს.

ბომბი ოცდაათმეტრიანი ფოლადის კოშკის თავზე იდო. გამოცდას ხელმძღვახელობდნენ გენერალი ლესლი გროუვზი და პროფესორი რობერტ ოპენჰეიმეი, ოოძელთაც ეეცხიეოთა წრეში მეტსახელად ჯი-ჯისა და ოპის ეძახდნენ.

ერთ-ერთი მეცხიერი, რომლის სახელი ლოოეაამა დღემდე ვერ გაიგო, გენერალ გროუვზს მიუახლოვდა, ხელზე ხელი წაავლო და უთხრა:

— გენერალო, ღვთის გულისათვის, ნუ ააფეთქებთ ბომბს!

— რატომ? — იკითხა გენერალმა.

— იმიტომ, რომ არ ვიცით, რა მოხდება! არა გვაქვს ნათელი წარმოდგენა იმაზე, რაც მოსალოდნელია. შეიძლება დედამიწა შუა გაიპოს. ნუ ააფეთქებთ, ღვთის გულისათვის!

გენერალმა ოპენჰეიმერს გადახედა. ოპენჰეიმერმა მხრები აიჩეჩა.

— თქვენ გადაღლილი ხართ, — წარმოთქვა ოპიმ და ექიმს მოუხმო.

იქ მყოფთ გუნება წაუხდათ. ყველას ახსოვდა თეორიული განყოფილების უფროსის ჰანს ბეტეს წინადღით ნათქვამი: „ჩვენი ანგარიშით ექსპერიმენტი წარმატებით უნდა დამთავრდეს. მაგრამ იმოქმედებს კი ბუნება ჩვენი ანგარიშის შესაბამისად?“

ენრიკო ფერმიმ „ხუმრობით“ სანაძლეო შესთავაზა იქ მყოფთ — გადაწვავს თუ არა ბომბი ატმოსფეროს, და თუ გადაწვავს, რას გააჩანაგებს — ნიუ-მექსიკოს შტატს თუ მთელ სამყაროს?

— ასეა თუ ისე, ეს საინტერესო მეცნიერული ექსპერიმენტი იქნება, — დასძინა მან.

პლატოს თავზე ლეგა ღრუბლები დაკიდულიყო. ელავდა.

ლორენსი დილის სუსხისაგან კანკალებდა. ან იქნებ ეს ნერვული ჟრჟოლა იყო?

დროდადრო ელვა სიბნელეს ფრაქწდა და ფოლადის კოშკის შორეულ კონტურებს აჩენდა. რამდენიმე დღის წინ კოშკს მეხი დაეცა. იქ მისაზომებლად ატანილი ბომბი იდო, ოღონდ ატომური არა, ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებით დატენილი. ბომბი აფეთქდა, ამიტომ ატომური ბომბი კოშკზე მხოლოდ შაბათს, 14 ივლისს აიტანეს.

თავდაპირველად გამოცდა დილის ოთხ საათზე იყო დანიშნული. ამ დროს ადამიანებს უფრო ღრმად სძინავთ. აფეთქების კაშკაშა ათინათს ახლო მდებარე ქალაქის მცხოვრებლები არ უნდა გაელვიძებინა. მაგრამ აფეთქება გადაიდო. უამინდობის გამო თვითმფრინავები, რომლებშიც მეთვალყურენი უნდა მსხდარიყვნენ, ჰაერში ვერ აფრინდნენ.

გამოცდის წინ კოშკზე სამი კაცი აბობღდა (საბოლოოდ უნდა შეემოწმებინათ, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა): ბეინბრიჯი, კისტიაკოვსკი და ბუში. ვინ იცის, რა ცეცხლი ტრიალებდა მათ გულში ყოველ გაელვებაზე.

არავინ კითხულობდა, რას განიცდიდა ამ დროს კოშკის ძირას მდგარი ხუთი გუშაგი. მათ საგუშაგო „ნულის" მომენტამდე ნახევარი საათით ადრე უნდა მიეტოვებინათ. რეპეტიციის დროს ჯიპი არ დაიქოქა და გუშაგები ფეხით, თავქუდმოგლეჯილი გაცვივდნენ თავშესაფარში. ახლა მათ, ყოველი შემთხვევისათვის, რამდენიმე მანქანა ელოდა.

როგორც კი დაცვა საგუშაგოს გასცილდა, კოშკი პროექტორმა გაანათა. გენერალ გროუვზს, როგორც თვითონ ამბობდა, „მამაცი დივერსანტებისა" ეშინოდა.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის დოქტორი ალისონი რადიოთი აცხადებდა:

— დარჩა ოცი წუთი... დარჩა თხუთმეტი წუთი...

დოქტორს ყოველი ფრაზის შემდეგ ხმა უწყდებოდა.

5 საათსა და 30 წუთამდე ორმოცდახუთი წამილა დარჩა. ახალგაზრდა ფიზიკოსმა ჯოზეფ მაკიბენმა ავტომატური ასაფეთქებელი ხელსაწყო ჩართო.

თვალით უხილავი რეპროდუქტორებიდან, თითქოს ზეციდან ეშვებაო, დოქტორ ალისონის ხმა ისმოდა:

— ნოლი მინუს ათი წამი!

ჰაერში მწვანე მაშხალა აიჭრა და სიბნელეში ნელა დაიწვა.

— ნოლი მინუს სამი წამი!

ვინ წარმოიდგენდა, რომ წამები შეიძლებოდა ასე გრძელი ყოფილიყო.

ჰაერში კიდევ ერთი მაშხალა ავარდა, აყვირდა სირენა, შემდეგ კი სიჩუმე ჩამოწვა. აღმოსავლეთი ცისკარმა გაანათა.

მაშინ კი გამოჩნდა ცეცხლის სფერო. ზოგიერთმა ველარ მოითმინა და სფეროს შეხედა. ისინი ამტკიცებდნენ, სფერო თეთრი იყო. მეტი არაფერი დაუნახავთ. რამდენიმე კაცმა სამუდამოდ გაიფუჭა მხედველობა.

ორ წამში სფერომ მწვანე ფერი მიიღო და ზეცამდე აიზიდა. აი, მისმა დიამეტრმა მთელ მილს მიაღწია და ირგვლივ აუტანელი, კაშკაშა შუქი მოაფრქვია.

სფერო თანდათან იზრდებოდა.

საშინელება იყო. ნუთუ ასე გაგრძელდება და იგი ზეცასა და მიწას შთანთქავს? სფერო უკვე სისხლივით გაწითლდა, შემდეგ ნარინჯისფერი დაედო.

ყველა მისტიკურმა შიშმა შეიპყრო. ზოგს მოეჩვენა, რომ ღმერთის ხმა ესმოდა: „იყავ ნათელი!“ ზოგმა იფიქრა, განკითხვის დღე დადგაო. თვით ყველაზე თავგამოდებული მატერიალისტებიც კი უცებ დაეჭვდნენ თავიანთ გამოანგარიშებაში...

შემდეგ კი სფეროდან ვეებერთელა სოკო ამოიზარდა და ეკვატორზე ოთხი კილომეტრით მაღლა აიმართა.

შემდეგ კი მიწა შეზანზარდა და გრგვინვა გაისმა.

ეს ახლადშობილის პირველი ყვირილი იყო. ქვეყანას ატომური საუკუნე მოევლინა.

როცა დარტყმის ტალღამ გაიარა, ყველა წამოხტა და ცეკვა დაიწყო. გამოჩენილმა მეცნიერებმა და გენერლებმა დარბაისლობა დაკარგეს, ხტოდნენ და ტაშს უკრავდნენ. ამ ისტორიულ პირველყოფილ როკვაში სიცოცხლის სიხარული ზეიმობდა — ცეკვით გამოხატავდნენ შვებას იმის გამო, რომ თავიდან აიცილეს საზარელი საშიშროება. შემდეგ კვლავ ცივილიზებულ ადამიანებად იქცნენ, თავდაჭერილად ართმევდნენ ერთმანეთს ხელს და წარმატებას ულოცავდნენ.

დროდადრო აღმოსავლეთისკენ გაიპედავდნენ ხოლმე, საითაც ენრიკო ფერმი გაემგზავრა ტანკ „შერმანით“. ტანკი

შიგნიდან ტყვიით იყო ამოფენილი. იქ, მწვანე მინისებური ნივთიერებით დაფარულ გადატრუსულ მიწაზე ფერმი რადიოაქტიურობას ზომავდა.

ფერმიმ უკვე გაზომა აფეთქების ძალა უმარტივესი მეთოდით. როცა დარტყმის ტალღა მოახლოვდა, მან ხელიდან გაუშვა ქაღალდის ნახევები, ტალღამ ეს ნახევები ზევით აისროლა და განზე გატყორცნა. ფერმიმ წინასწარ იცოდა აფეთქების ძალა და იმ მანძილის თანაფარდობა, რომელზეც ქაღალდის ტალღა ნაგლეჯებს გატყორცნიდა.

ერთ-ერთ ბარაკში ჯარისკაცი იპოვეს, რომელიც განთავისუფლებული იყო დროებით და რომ დაბრუნებულა, თავის ლოგინში დაწოლილა. სამხედრო პოლიციამ, ყველას თავშესაფარში რომ ერეკებოდა, ეს ჯარისკაცი ვერ შეამჩნია. აფეთქებისაგან იგი დროებით დაბრმავდა და აღთქმა დადო, აღარასოდეს დავლევო.

ნანახით გაოგნებული ლორენსი ავტობუსისაკენ გაემართა. ვიღაც სიცილით ყვებოდა. როგორ წამოიძახა მზარდი ცეცხლოვანი სფეროს შემყურე ერთმა სამხედრომ: „ღმერთო, გრძელთმიანები მგონი ანგარიშში მოტყუვდნენ!“ „გრძელთმიანებს“ სამხედროები სამოქალაქო ფიზიკოსებს ეძახდნენ.

— არა, არა, მზე მის ფრჩხილადაც არა ღირს, — თქვა ლორენსმა, ცეცხლოვან სფეროზე რომ ფიქრობდა. შემდეგ მან ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი კორესპონდენცია, თუმცა სხვას მიაწერა ნათქვამი.

კორესპონდენცია და ყველაფერი ის, რასაც იმ დღეებში წერდა, გენერალ გროვზს გადასცეს, მან ზედ წააწერა: „სრულიად საიდუმლოდ“, და სეიფში შეინახა მომავლისათვის.

გროვზის მოადგილემ, გენერალმა ფარელმა ლორენსს მხარზე ხელი დაჰკრა:

— არაფერია, თქვენი რეპორტაჟი მალე იხილავს დღის სინათლეს, ომი დამთავრებულია.

— ომი მაშინ დამთავრდება, როცა იაპონიაში კიდევ ორ ბომბს ჩამოვაგდებთ, — შეუსწორა მას გენერალმა გროვზმა.

და გენერლებმა თავიანთ კაბინეტებს მიაშურეს, რათა დაეწერათ ანგარიშები ატომური ბომბის პირველ აფეთქებაზე.

ახლომახლო ქალაქებში ხალხი შეშფოთებული იყო. სილვერ-სიტიშიც კი, პოლიგონიდან ას ოთხმოცი კილომეტრით რომ იყო დაშორებული, ორი სარკის მინა ჩაილეწა.

ალამოგორდოს ავიაბაზის უფროსს დაევალა ასოშიეტედ პრესის წარმომადგენლისთვის განეცხადებინა:

„მე მომცეს შეკითხვები ძლიერი აფეთქების თაობაზე, რომელიც ბაზის ტერიტორიაზე მოხდა ამ დილით. აფეთქდა სხვა ობიექტებისგან დაშორებული საწყობი, სადაც დიდი რაოდენობით ძლიერფეთქებადი ნივთიერება და პიროტექნიკური საშუალებები ინახებოდა. აფეთქების დროს არავინ მომკვდარა და არც დაჭრილა...“

ეს ცნობა ბევრმა არ დაიჯერა.

ლორენსს ჟრუანტელმა დაუარა, როცა გაიხსენა, რა შეემთხვა გამოცდიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლოს-ალამოსში. იგი შენობაში შევიდა, სადაც ჰარვარდის უნივერსიტეტიდან ჩამოტანილი ციკლოტრონი იყო დადგმული. შენობაში მან უამრავ პატარა კუბიკს მოჰკრა თვალი, ერთ-ერთი კუბიკი აიღო და ხელში ტრიალი დაუწყო.

— რა არის ეს? — ჰკითხა პროფესორ რობერტ ვილსონს, რომელიც მუშაობას ხელმძღვანელობდა.

— ურანი-235, — უპასუხა პროფესორმა.

ლორენსს შიშისაგან კუბიკი კინაღამ ხელიდან გაუვარდა, აქ, შენობაში, იმდენი ურანი იყო, რომ ერთ დიდ ქალაქს მიწასთან გაასწორებდა. მაგრამ ისინი ცალ-ცალკე დაეწყოთ, რათა კრიტიკული მასა არ წარმოქმნილიყო. ვილსონმა გაოგნებულ ლორენსს ხელი შეახო და ჩაი შესთავაზა, რომელიც იქვე ქიმიურ რეტორტაში დუღდა.

ექვსი წლის წინ ლორენსი ამერიკის პატარა ქალაქ პრინსტონში ჩავიდა, ალბერტ აინშტაინთან. ფიზიკის პატრიარქი ჩრდილიანი ხეებით გამშვენებულ მერსერის ქუჩაზე ცხოვრობდა, პატარა, ორსართულიან, ნაცრისფერი ქვით ნაგებ სახლში, რომელსაც საგდულებიანი მწვანე დარაბები ჰქონდა. შედგა ინტერვიუ, რომელსაც ისტორიის ანალებში შესვლა არ ეწერა, ვინაიდან მაშინ მოხუცი ფიზიკოსი ცუდი წინასწარმეტყველი გამოდგა, თუმცა შემდეგ კი აღიარა: დიახ, ღილაკს ხელი მე დავაჭირეთ!

1939 წლის იანვრის დასაწყისში მსოფლიომ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა იმ შესაძლებლობაზე, რაც ატომური ენერგიის გამოთავისუფლებაში იმარხებოდა. მეტიც, აინშტაინი ლორენსს არწმუნებდა, თვით ატომური ენერგიის გამოთავისუფლებისაც არა მჯერაო.

— ჩვენ, — უთქვამს მას, — ცუდი მსროლელები ვართ, სიბნელეში ვესვრით ჩიტებს, თანაც ისეთ ადგილზე, სადაც ჩიტი ძალიან ცოტაა.

აინშტაინი უკვე დიდი ხანია მისნად აქციეს. მას აიძულებდნენ აზრი გამოეთქვა ლიტერატურის და ხელოვნების, ომისა და პოლიტიკის საკითხებზე.

შეერთებულ შტატებში მისი პირველი მოგზაურობა პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავდა. ეს იყო 1921 წელს, როცა იგი ვეიცმანმა მიიწვია: ახლა აინშტაინი ფიზიკაზე ლაპარაკობდა და მისთვის სიტყვაშეუბრუნებლად უნდა დაეჯერებინათ.

მაგრამ გავიდა ძალიან ცოტა დრო და მეცნიერთა წარმოდგენაში ბევრი რამ შეიცვალა. ისეთი ამბების მომსწრე შევიქენით, რომლებმაც მარტო მეცნიერებაზე როდი იქონიეს გავლენა.

უკვე 1929 წლის 25 იანვარს ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსები ვაშინგტონში კონფერენციაზე შეიკრიბნენ. მ'ცოვანმა მეცნიერმა ნილს ბორმა, რომელიც კონფერენციას ესწრებოდა, სიტყვა ბიღო და წყნარი, დინჯი ხმით ალაპარაკდა. მისმა ნათქვამმა შეკრებილებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ბომბი გასკდაო. ზოგი ტელეფონს ეცა, ისე, რომ ბორისთვის ბოლომდე ყური არც კი დაუგდია, ზოგმა თავის ლაბორატორიას მიაშურა, რათა დანიიდან ჩამოსული მეცნიერის ნათქვამი შეემოწმებინა.

დოქტორმა ლუის ალვარეცმა, რომელიც იმხანად დამწყები ფიზიკოსი იყო, შემდეგ ლორენსს უამბო მაშინდელი ამბავი. 27 იანვარს, დილით, იგი თურმე კალიფორნიის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის საპარიკმახეროში თმის გასაკრეჭად იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა; უცებ თვალი მოჰკრა ვაშინგტონის კონფერენციის შესახებ დაბეჭდილ ცნობას, რომელშიც ლაპარაკი იყო ურანის ბირთვის დაშლაზე. ალვარეცმა წინსაფარი ჩამოიგლიჯა და გაზეთის ფრიალით რადიაციის

ლაბორატორიაში გავარდა. ნახევრად გაკრეჭილი ალვარეცის ლაბორატორიაში გამოჩენამ მისი კოლეგები განაცვიფრა, მაგრამ, როცა ფიზიკოსმა მათ გაზეთში დაბეჭდილი ცნობა აჩვენა, ერთბაშად ყველაფერი დაავიწყდათ.

ბერლინის კაიზერ ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტის გერმანელმა ქიმიკოსებმა ოტო ჰანმა და ფრიც შტრასმანმა ისის იყო დაადგინეს, რომ ნელი ნეიტრონებით ურანის დაშენის შედეგად მიღებული ზოგიერთი ნამსხვრევი ბარიუმის ბირთვს წარმოადგენს. იგი ორჯერ უფრო მსუბუქია ურანის ბირთვზე. უნებლიეთ იბადებოდა დასკვნა, რომ ურანის ატომები რამდენიმე ნაწილად დაიშალა. მაგრამ გააზრებულად ასეთი შედეგები ჯერ არავის არ ჰქონდა მიღებული.

ჰანმა და შტრასმანმა აღმოჩენის შესახებ წერილით აცნობეს თავიანთ ყოფილ თანამშრომელს ლიზა მეიტნერს, ავსტრიელ ებრაელ ქალს, რომელიც ნაცისტებს სტოკჰოლმში გაექცა.

მეიტნერი მაშინვე კოპენჰაგენს გაემგზავრა და თავის ძმისწულთან ოტო ფრიშთან ერთად ნილს ბორს ეახლა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებას აპირებდა, რათა პრინსტონში ჩასულიყო.

— როგორ ვერ შეენიშნეთ ეს ამდენ ხანს! — შესძახა ბორმა და შუბლში ხელი იტკიცა.

პროცესს „გახლეჩა“ უწოდეს და გამოითვალეს, რომ ორი ბირთვი კოლოსალური სიჩქარით, 200 მილიონი ელექტრონოვოლტის ენერგიით განიბნევა. გამოყოფილ ახალ ნეიტრონებს შეეძლოთ „გაეხლიჩათ“ მეზობელი ატომები. ჯაჭვური რეაქცია მანამდე არ დასრულდებოდა, სანამ ურანის მთელი ნაჭერი სხვა ნივთიერებად არ გადაიქცეოდა. მილიარდობით დაყოფას შეეძლო ისეთი კოლოსალური ენერგია მოეცა...

ეს უკვე ატომური ბომბის აჩრდილი გახლდათ. ჰანმა მეიტნერთან თავისი ნაჩქარევი წერილის შედეგები განეკვრიტა და რამდენიმე ღამე თვალი არ მოუხუჭავს. თავის მოკვლაც კი დააპირა...

თექვსმეტ იანვარს ამერიკაში ჩასულმა ბორმა მეიტნერისგან დეპეშა მიიღო, რომელიც ჰანის ცდების შედეგებს ადასტურებდა.

ფიზიკოსები გაცხარებით მუშაობდნენ. მარტში ცნობილი

გახდა ატომური ბომბის მასალა — ურანი-235. სწრაფი რეაქცია შესაძლებელია მხოლოდ ურანის ურან-235-ით გამდიდრებით, თუ ნარევის მასა განსაზღვრული — „კრიტიკული" იქნება.

ლორენსი ესწრებოდა ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების სესიას, როცა ფერმი დაფაზე „უცნაურ სიმბოლოებსა და იეროგლიფებს" წერდა. ბორი კი იქვე ხსნიდა მათ.

ჟურნალისტმა გვერდით მჯდარ პროფესორ დანინგს ჰკითხა, ერთი კილოგრამი ურანის დაშლისას რა ენერგია გამოიყოფაო.

— ეს ენერგია ოც მილიონჯერ აღემატება ტროტილის მიერ გამოთავისუფლებულ ენერგიას, — უპასუხა დანინგმა, — კილოგრამი ურანის დახლეჩა იგივეა, ოცი ათასი ტონა ტროტილი რომ ააფეთქო...

ლორენსმა მას სთხოვა, ბორი და ფერმი გამაცანიო.

— შეიძლება ურანი ბომბის გასაკეთებლად გამოვიყენოთ? — ჰკითხა ჟურნალისტმა ბორსა და ფერმის.

მეცნიერებმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდეს, ბომბის შექმნასო, განაცხადეს მათ, ოცდახუთი და, ასე განსაჯეთ, ორმოცდაათი წელიც კი დასჭირდებაო...

საუბარი ხუმრობაში გადაიტანეს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნდა სტატია ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების გაზაფხულის სესიის შესახებ. ლორენსი წერდა: „კოპენჰაგელმა დოქტორმა ნილს ბორმა განაცხადა, რომ მცირე რაოდენობის სუფთა იზოტოპის — ურან-235-ის ნეიტრონებით დასხივება ჯაჭვურ რეაქციას ან ატომურ აფეთქებას გამოიწვევს. თუ ზომები არ მივიღეთ, ჰაერში ავარდება ლაბორატორია და ყველაფერი, რაც მრავალი მილის რადიუსით იმყოფება...

შემდეგ „სატერდი ივნინგ პოსტში" ლორენსის კიდევ უფრო ვრცელი სტატია დაიბეჭდა. მაგრამ მერე, როცა ლორენსი ფიზიკოსთა ვიწრო წრეში დაუშვეს, მან გაიგო, რომ სტატია გასაიდუმლოებულია და გაზეთი სეიფში უნდა იყოს ჩაკეტილიო.

ეს იყო 1945 წლის გაზაფხულზე. ლორენსი გენერალმა ლესლი გროუვზმა გამოიძახა და მას საიდუმლო სამსახური შესთავაზა.

— თუ თქვენ გსურთ, რაიმე დავწერო, — უთხრა ლორენსმა, — მაშინ პირველწყაროებთან მიმიშვით. იმედი მაქვს, ნებას დამრთავთ მოვინახულო თენესი, ვაშინგტონი და ნიუ-მექსიკო...

გროუვზმა შუბლი შეიკმუხნა...

— კიდევ უფრო შორს წახვალ, — გადაკვრით უთხრა ლორენსს ერთმა მეგობარმა, რომელიც ატომის საქმეებში ჩახედული იყო.

და აი, ლორენსი იაპონიაში მიფრინავს თვითმფრინავით, რომლის კურსსაც მალე ბედის ქარები განსაზღვრავენ...

4

1939 წლის ივლისის ბოლოს „ლემან ბრაზერსის" ბანკის დირექტორმა ალექსანდრ ზაქსმა უოლ-სტრიტზე თავის კაბინეტში მიიღო მეცნიერი-ფიზიკოსი, უნგრელი ემიგრანტი, ლეო სცილარდი. მასპინძელი რუსეთში იყო დაბადებული, მაგრამ განათლება ამერიკაში — კოლუმბიის უნივერსიტეტში მიიღო და თავისი სავაჭრო და ფინანსური ნიჭის წყალობით ზღაპრულ კარიერასაც მიაღწია. გამართლდა ზოგიერთი მისი წინასწარმეტყველება გერმანიაში ნაცისტური დიქტატურის შემდგომ ნაბიჯებზე, ომისწინა წლების პოლიტიკური მოვლენების ეკონომიკურ შედეგებზე, რისთვისაც მას „ეკონომიკური იერემია" შეარქვეს. გაქნილმა ფინანსისტმა შეძლო პრეზიდენტ რუზველტის ნდობა მოეპოვებინა და ზოგიერთ ისეთ საქმეში, რაც ფინანსურ გამჭრიახობას საჭიროებდა, პრეზიდენტისთვის ძალზე საჭირო კაციც გახდა. ზაქსს ფინანსური წრეები შინაურ კაცად თვლიდნენ.

ფიზიკოსი ლეო სცილარდი შიშობდა, გერმანელები ატომურ ბომბს გააკეთებენო და ემიგრანტებისაგან შეადგინა პატარა ჯგუფი, რომელიც გერმანელი მეცნიერის ჰანის აღმოჩენით ნაკარნახევი ატომური იარაღის იდეის დამუშავებას შეუდგა. ჯგუფში სცილარდის გარდა შედიოდნენ ვაგნერი, თელერი...

სცილარდის ჯგუფის წევრებს ამერიკაში მაინცდამაინც გულთბილად არ შეხვედრიან. არც საპატიო და მომგებიანი სამუშაო მიუციათ. ახლა ისინიც ცდილობდნენ ამერიკის მთავ-

რობის ყურადღება ატომური ფიზიკის სამხედრო საქმეში გამოყენების იდეით მიეპყროთ და თავიანთ სამსახურს სთავაზობდნენ. მაგრამ სცილარდმა ვერ მოახერხა აშშ-ის მთავრობის რომელიმე გავლენიან მოღვაწესთან მოხვედრილიყო.

ერთი გზაღა რჩებოდა — დაკეტილი ჭიშკარი შუბლით კი არ უნდა შეემტვრიათ, უნდა ეპოვათ ღობეში გასაძრომი. ეს გზა სცილარდს ისევ გერმანელმა ემიგრანტმა, გამომცემელმა სტოლპერმა უკარნახა. მან სცილარდი ბანკირ ზაქსს შეახვედრა და მათ მაშინვე გამონახეს საერთო ენა. სცილარდმა ბანკირს სახელმწიფო მდივნის სახელზე შედგენილი წერილის პროექტი მოუტანა.

— არა, — უთხრა ზაქსმა, — მე ამ წერილის გაგზავნას არ გირჩევთ, — და როცა სცილარდის სახეზე გულგატეხილობა შენიშნა, დასძინა: — თუ წერთ, აზრი უფრო გარკვეულად უნდა გამოთქვათ, მე კი პირობას გაძლევთ, რომ წერილს პირადად პრეზიდენტს ჩავაბარებ, ოღონდ ეს წერილი თქვენი არ იქნება. ამერიკაში თქვენ არავინ გიცნობთ. აი, რომ გქონოდათ... ვთქვათ, აინშტაინის ხელმოწერილი წერილი... ამ საქმეში მოხუცის გარევა არ ღირდა, მაგრამ ჩვენში მას მეტისმეტად კარგი რეკლამა აქვს, ეს კი პრეზიდენტზე საჭირო შთაბეჭდილებას მოახდენს და თქვენთვისაც ურიგო რეკომენდაცია არ იქნება.

ზაქსი ცინიკოსი იყო.

— მე უკვე გახლდით აინშტაინთან პროფესორ ვიგნერთან ერთად, — უთხრა სცილარდმა, — ჩვენ იგი ნათანმა გაგვაცნო. აინშტაინი ახლა ლონგ-აილენდის სანაპიროზე, პეკონიკში ისვენებს.

— მერე რა გითხრათ მოხუცმა?

— მას აზრადაც არ მოსვლია, რომ შესაძლებელია ურანში ჯაჭვური რეაქცია.

— მაგას არ გეკითხებით... მე მისი განწყობა მაინტერესებს.

— აინშტაინი მყისვე ყველაფერს მიხვდა. ატომური ბომბით შეიარაღებული ჰიტლერის წარმოდგენამ თავზარი დასცა. დაგვპირდა, მოგეხმარებითო.

— ძალიან კარგი. ახლა მე და თქვენ წერილის პროექტს შევადგენთ და ამ წერილით აინშტაინთან გაემგზავრებით.

ორ აგვისტოს აინშტაინმა ხელი მოაწერა წერილს, რომელიც მას სცილარდმა, ვიგნერმა და თელერმა მოუტანეს. ბაგრამ ზაქსი პრეზიდენტმა რუზველტმა მხოლოდ 11 ოქტომბერს მიიღო, როცა ევროპას მეორე მსოფლიო ომის ალი მოედო.

ზაქსმა გადაწყვიტა, ეს საქმე უნდა გავიტანოო და წერილი პრეზიდენტს კი არ ჩააბარა, არამედ წაუკითხა.

წერილში ლაპარაკი იყო ურანის დიდ მასაში ბირთვული ოეაქციისა და, აქედან გამომდინარე, ახალი ტიპის ძლიერი ბომბის შექმნის შესაძლებლობაზე. თანაც ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, რომ გერმანელებმა შეწყვიტეს ჩეხოსლოვაკიის მაღაროებიდან ურანის გაყიდვა, ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვაეი ფიზიკოსი ფონ ვეიცზეკერი მივლინებული იქნა კაიზერ ვილჰელმის ინსტიტუტში, სადაც ურანზე მუშაობა მიმდინარეობდა.

ზაქსი საათზე მეტს შეუსვენებლივ ლაპარაკობდა, პრეზიდენტს არწმუნებდა, უმტკიცებდა, აკვირდებოდა პრეზიდენტის სახეს, რომელზეც დაღლილობის მეტი ვერაფერი ამოიკითხა. რუზველტს დიდი ჭაღარა თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა და ზაქსს უსმენდა.

— ყველაფერი ეს ძალზე საინტერესოდ და ძალზე უცაბედად ჟღერს, — თქვა ბოლოს პრეზიდენტმა, — მაგრამ, ჩემი აზრით, ამ სტადიაში ადმინისტრაციის ჩარევა ნაადრევი იქნებოდა. გადაეცით თქვენს ფიზიკოსებს, რომ წარმატებებს ვუსურვებ მუშაობაში.

და რუზველტმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

ზაქსს საქციელი წაუხდა. გონება რომ მოიკრიბა, ისევე იმაზე დაიწყო ფიქრი, პრეზიდენტი როგორ დავარწმუნოო და გაქნილმა ჭკუამ ისეთი არგუმენტი უკარნახა, რომელსაც წყალი არ გაუვიდოდა. მან თეთრ სახლში დარეკა და ერთი აუდიენცია კიდევ ითხოვა. რუზველტმა ზაქსი საუზმეზე მიიწვია.

პრეზიდენტი მაგიდასთან ეტლით მიაგორეს. რუზველტმა ყრმობაში პოლიომიელიტი გადაიტანა და ფეხები წართმეული ჰქონდა.

— აბა კიდევ რა ბრწყინვალე იდეა მომიტანეთ? — დამცინავად ჰკითხა ზაქსს პრეზიდენტმა, — და რამდენი დრო დაგჭირდებათ, რომ მომახსენოთ?

— დღეს ყველაფერს მოკლედ მოგახსენებთ, ბატონო პრე-

ზიდენტო, — უთხრა ბანკირმა, — მსურს ერთი ისტორიული ფაქტი მოგაგონოთ, რომელიც ლორდ აკტონს აქვს აღწერილი. ახალგაზრდა ამერიკელი გამომგონებელი ნაპოლეონთან მივიდა და შესთავაზა ორთქლის გემების ფლოტილია აეგოთ, რომლითაც ნებისმიერ ამინდში შეძლებდნენ ლა-მანშის გადაცურვას და დესანტის გადასხმას. ნაპოლეონს ეს დაუჯერებლად მოეჩვენა და გამომგონებელი სასაცილოდ აიგდო. ამბობენ, ინგლისი იმპერატორის წინდაუხედაობამ გადაარჩინაო. ისტორია იშვიათად აპატიებს ვინმეს ასეთ შეცდომას.

რუზველტი დაფიქრდა. შემდეგ მსახურს უბრძანა ნაპოლეონისდროინდელი ერთი ბოთლი ფრანგული კონიაკი მოეტანა. პრეზიდენტი სიმბოლიკის ტრფიალი გახლდათ. მან სირჩა ხელში აიღო და თქვა:

— მაშასადამე, თქვენ არა გსურთ, რომ ნაცისტებმა აკვაფეთქონ?

— სრული ჭეშმარიტებაა, — უპასუხა ზაქსმა.

პრეზიდენტმა თავისი მდივანი გენერალი უოტსონი იხმო, რომელსაც რუზველტის ახლო წრეებში უცნაური მეტსახელი „პა" შეარქვეს, და ზაქსის მიერ მოტანილ ქაღალდებზე მიუთითა:

— პა, უნდა ვიმოქმედოთ!

უოტსონმა რამდენიმე კომისია შექმნა. ამ კომისიებმა საკითხი შეისწავლეს და ატომური ბომბის დამზადების რეკომენდაცია გასცეს. მაგრამ სამხედროები არ ჩქარობდნენ.

— ღმერთმა უწყის, რა არის. — ამბობდნენ ისინი. — ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

— მაგრამ ფდრ[1] მოითმოვს, ბიჭებო! — არწმუნებდა მათ უოტსონი.

1940 წლის 7 მარტს აინშტაინმა პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტს მეორე წერილი გაუგზავნა[2].

---

[1] ფდრ — ასე ეძახდნენ აშშ პრეზიდენტს: ფრანკლინ დელანო რუზველტი.

[2] „...მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, გერმანიაში ურანისადმი ინტერესი გაიზარდა. ახლახან გავიგე, რომ გამოკვლევები იქ საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობს და მუშაობა დაწყებულია კაიზერ ვილჰელმის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტშიც. მთავრობის მეთვალყურეობით ამ ინსტიტუტში მიაკვლინეს ფიზიკოსთა ჯგუფი ვეიცზეკერის ხელმძღვანელობით,

მაგრამ ატომური ბომბის დასამზადებლად ფული დაბანდებული იქნა მხოლოდ 1941 წლის 6 დეკემბერს, პირლ-ჰარბორზე იაპონელების თავდასხმის წინა დღეს. და მხოლოდ 1942 წლის 16 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება ეგრეთწოდებული მანჰეტენის საინჟინრო ოლქის შექმნისა და მის უფროსად ნიჭიერი სამხედრო ინჟინერის — პენტაგონის ამშენებლის, გენერალ ლესლი რიჩარდ გროუვზის დანიშვნის შესახებ. უკვე 1944 წლისთვის ორი მილიონი დოლარი დაიხარჯა და აშენდა ატომური ქარხნები თავისი ლაბორატორიებით ოკრიჯში, ჰენფორდში, ლოს-ალამოსში... სცილარდმა, თელერმა და სხვებმა ჯერ ამერიკის მოქალაქეობა მიიღეს, მოგვიანებით კი — კარგი რეკლამა და კარგა დიდი თანხაც.

1942 წლის 2 დეკემბერს ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჩიკაგოს მეტალურგიული ლაბორატორიის დირექტორმა არტურ კომპტონმა საქალაქთაშორისო ტელეფონით ჰარვარდში აშშ-ის პრეზიდენტის კომისიათა თავალსაჩინო წევრს მისტერ კონანტს დაურეკა.

— იტალიელი ზღვაოსანი ამერიკაში ჩამოვიდა და ეს კონტინენტი გაცილებით პატარა მოეჩვენა, ვიდრე მას წარმოედგინა, — უთხრა კომპტონმა.

— იმედია ადგილობრივი მცხოვრებნი მას მეგობრულად შეხვდნენ, — შენიშნა მისტერ კონანტმა.

ეს პირობითი ნიშანი იყო. ატომის არენაზე ამერიკის „დიდი ბიზნესი" გამოვიდა.

იმ დღეს ჩიკაგოში კომპანია დიუპონ დე ნემურის წარმომადგენლები სამხედრო სამინისტროს რწმუნებულებთან თათბირობდნენ. გენერალი გროუვზი დაჟინებით მოითხოვდა კონტრაქტის დადებას, რომლითაც კომპანიას ჰენფორდში პლუტონიუმის მისაღებად ატომური ქვაბები უნდა აეშენებინა. კომპანიის გამგეობის წევრი მისტერ კროუფორდ გრინუოლტი ყოყმანობდა, მას არ შეეძლო კონტრაქტი დაედო 400 მი-

---

რომელიც ურანზე მუშაობს ქიმიის ინსტიტუტთან ერთად... ჩვენ პროფესორ ვიგნერთან და დოქტორ სცილარდთან ერთად ეითარება შეეისწავლეთ მიღებული ინფორმაციის შუქზე..."

ლიონ დოლარზე და აეშენებინა ქვაბები, რომლებიც ჯერ მეცნიერთა ლაბორატორიებშიც კი არ მუშაობდა. გრინუოლტი ჰყავდათ კალიფორნიაში, ბერკლში, აჩვენეს პლუტონიუმი, მაგრამ საკუთარი თვალით ჯერ არც ერთი ქვაბი არ უნახავს.

ოთახში, სადაც თათბირი მიმდინარეობდა, ტელეფონმა დარეკა. ტელეფონთან გრინუოლტს სთხოვდნენ. რეკავდა კომპტონი.

— მისტერ გრინუოლტ, — უთხრა მან, — არ შეგიძლიათ ახლავე მოხვიდეთ „სტეგ ფილდის" სტადიონის დასავლეთის ტრიბუნების ჩოგბურთის კორტებზე?

— რა ძოხდა? — ჰკითხა გრიხუოლტძა.

— ნურაფერს მკითხავთ და არავის უთხრათ, სად მიდიხართ.

საქმე ის იყო, რომ მეტალურგიულ ლაბორატორიას, ანდა, როგორც მას შემოკლებით ეძახდნენ, მეტლაბს, არავითარი კავშირი არ ჰქონდა მეტალურგიასთან.

— აქ, სტადიონის დახურულ კორტებზე, მეცნიერთა დიდმა ჯგუფმა ფერმისა და სცილარდის ხელმძღვანელობით შექმნა ნაგებობა, რომელსაც ჯაჭვური რეაქცია უნდა უზრუნველეყო. ეს გახლავთ პირველი ატომური რეაქტორი — ანუ ქვაბი. ფენების ვეებერთელა წყობაში სუფთა გრაფიტის შრეს სხვა გრაფიტის შრე ცვლიდა, რომელსაც ურანის ღეროები ჰქონდა ჩადგმული. გრაფიტი ნეიტრონების მოძრაობას ანელებდა, რათა მათი დანაკარგი შეემცირებინა. ჯაჭვური რეაქცია მაშინ დაიწყებოდა, როცა წყობაში ურანის რაოდენობა კრიტიკულ მასას მიაღწევდა.

სცილარდი გაქნილი კაცი იყო და უამრავი საჭირო ნაცნობი ჰყავდა. ცდებს ის აფინანსებდა და მასალებითაც უზრუნველყოფდა. იტალიიდან ემიგრირებული ფერმი დიდი ნიჭის პატრონი გახლდათ. სწორედ ის ხელმძღვანელობდა ქვაბის შექმნას.

ქვაბი თვე-ნახევარში ააწყვეს და ახლა „დიდი ბიზნესის" წარმომადგენლის, მისტერ გრინუოლტის თანდასწრებით ბიძგი უნდა მიეცათ მსოფლიოში პირველი ატომური ჯაჭვური რეაქციისათვის.

შენობის იატაკი მჭვარტლივით შავ, ლიპ გრაფიტის მტვერს დაეფარა. ქვაბს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. შიგ

შეტანილი იყო კადმიუმის ღეროები, რომლებიც ნეიტრონებს შთანთქავდა, მაგრამ საკმარისი იყო ეს ღეროები ამოგეღოთ, რომ გეიგერის მრიცხველები ტკაცატკუცს ატეხდნენ და ხელსაწყოთა კალმები ამოძრავდებოდნენ.

ცდას მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის — ჩიკაგოს ცენტრში ატარებდნენ. თეორიული გამოანგარიშებით, ქვაბში რეაქცია თანაზომიერად წარმოიქმნებოდა და ატომური აფეთქება გამორიცხული იყო. მაგრამ სტადიონის ტრიბუნის ქვეშ შეგროვილ ადამიანებს ეჭვი მაინც გულს უღრღნიდა. მეცნიერებს ხელში ეჭირათ კადმიუმის ღეროები და მზად იყვნენ, თუ რაიმე საშიშროება შეიქმნებოდა, ისინი ქვაბში შეეტანათ. ქვაბის თავზე, ზედ ჰერთან, „თვითმკვლელთა ბრიგადა" — ახალგაზრდა ფიზიკოსები: ელვინ გრეივზი და ჰაროლდ ლიტჩენბერგერი ჩაცუცქულიყვნენ. იმ შემთხვევაში, თუ ქვაბი აღარ დაემორჩილებოდათ, მათ შიგ თხევადი კადმიუმი უნდა ჩაესხათ.

— ჯორჯ, დაიწყეთ! — გასცა ბრძანება ფერმიმ.

— ფიზიკოსმა ჯორჯ ვეილმა ქვაბიდან ნელ-ნელა დაიწყო კადმიუმის ღეროების გამოძრობა. კომპტონი, ფერმი, სცილარდი, ალისონი და სხვები ხელსაწყოებს შესცქეროდნენ. ხელსაწყოებმა მონაცემების ჩვენება დაიწყეს. ყველაფერი გამოანგარიშების თანახმად მიმდინარეობდა. ყოველ ათ წუთში ფერმის ბრძანებაზე ვეილი კადმიუმის ღეროს მორიგ ნიშნულამდე წევდა. მრიცხველებმა ტკაცატკუცს უმატეს. საუზმის დრო მოახლოვდა და პუნქტუალურმა ენრიკო ფერმიმ ისეთი ტონით, რომ ვერავინ შეედავებოდა, თქვა:

— წავიდეთ, ვისაუზმოთ!

საუზმის შემდეგ ისევ კადმიუმის ღეროს ეწეოდნენ. ზუსტად სამ საათსა და ოცდაათ წუთზე 1942 წლის 2 დეკემბერს ქვაბში ჯაჭვური რეაქცია დაიწყო. მოქმედებდნენ ნელი ნეიტრონები და რეაქცია მართვადი იყო. მაგრამ სიკვდილის მთესველთ ეწადათ, ნეიტრონები სწრაფი ყოფილიყო, ხოლო რეაქცია — არამართვადი.

სცილარდმა ფერმის გადასცა საჩუქარი, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე ხელში ეკავა და ზურგს უკან მალავდა. ეს იყო კიანტი შემოწნული ბოთლით; სასმელი იქვე ქაღალდის ჭიქებით დალიეს და შემოწნულზე ყველამ თავისი ავტოგრაფი დატოვა.

ამ დროს კი სტადიონიდან სამი კვარტალის მოშორებით, ჩიკაგოს უნივერსიტეტის № 209 აუდიტორიაში დიუპონ დე ნემურის წარმომადგენლები ბატონი უილიამსი, ლიუისი და კერი ისევ სამხედრო სამინისტროს მოხელეთა მოგერიებაში იყვნენ.

აუდიტორიაში მისტერ გრინუოლტი შემოვარდა.

— ჯენტლმენებო, — თქვა მან, — ამ საკითხის განხილვა აუცილებელი არ არის. ფირმა დიუპონი არაფერს კარგავს.

0

9 საათსა და 12 წუთზე თვითმფრინავმა ბ-29-მ, რომელშიც ლორენსი იჯდა, კუნძულ იოკუსიმამდე მიაღწია და მესამე თვითმფრინავის მოლოდინში, აფეთქების ფოტოსურათები რომ უნდა გადაეღო, „დიდი არტისტის“ კვალდაკვალ ჰაერში ტრიალი იწყო.

ბომბდამშენებმა პატარა კუნძულის თავზე ორმოცდახუთ წუთს იტრიალეს და ბოლოს წამყვანი ხომალდის მეთაურმა გადაწყვეტილება მიიღო, მეტი აღარ დაეცადა.

თვითმფრინავებმა მიიღეს ცნობები, რომ როგორც პირველ, ისე მეორე ობიექტზე მშვენიერი ხილვადობა იყო. მაგრამ ორმოცდახუთი წუთით დაგვიანებამ კარტი არია. როცა „დიდი არტისტი“ მთავარი ობიექტის თავზე მოექცა, ქალაქი უკვე შავი ღრუბლებით დაიფარა. შეიძლებოდა მიზნის ადგილმდებარეობა ლოკატორებით განესაზღვრათ და ბომბი ისე ჩამოეგდოთ, მაგრამ, ბრძანების თანახმად, ბომბი ზუსტად იმ ადგილზე უნდა ჩამოეგდოთ, რომელიც თვალითაც კარგი სახილველი იყო.

„დიდმა არტისტმა“ ისევ კამარა შეკრა და ღრუბლებში ხვრელს დაუწყო ძებნა. მას კვალდაკვალ მიჰყვა მეორე ბ-29.

უცებ თვითმფრინავის ქვემოთ ერთიმეორის მიყოლებით შავი კვამლის თხუთმეტი ბოლქვი ამოვარდა. იაპონელმა მეზენიტეებმა ცეცხლი გახსნეს: „მფრინავმა ციხესიმაგრეებმა“ კურსი შეცვალეს. ახლა ბოლქვები მათი ფრენის დონემდე აღწევდა, ოღონდ მარცხნივ, საკმაოდ მოშორებით.

შემდეგ ღრუბლებიდან იაპონელთა ოცდაერთი გამანადგურებელი გამოჩნდა. ისინი სიმაღლეს იღებდნენ და ამერი-

ელთა ბომბდამშენებისაკენ მიემართებოდნენ. ლორენსი ხედავდა რა სწრაფად უპლოვდებოდნენ ეს პატარა მანქანები და მთელი სხეულით გრძნობდა საშიშროებას.

იაპონიის კუნძულებზე ორსაათიანმა უსარგებლო ფრენამ, საწვავის დიდი რაოდენობით დახარჯვამ და გამანადგურებლების გაპოჩენამ, როგორც ჩანს, „დიდი არტისტის“ მეთაურს მთავარი მიზნის დაბომბვაზე ხელი ააღებინა, მით უფრო, რომ ქალაქი ისევ ღრუბლებში იყო დაფარული. ბომბდამშენებს შემდეგ ოკინავას სათადარიგო აეროდრომამდე მაინც უნდა მიეღწიათ.

თვითმფრინავმა ცნობა მიიღო, ერთ-ერთ მეორეხარისხოვან ობიექტზე ცა მოიწმინდაო და ბომბდამშენები ქალაქს გაეცალნენ, ქალაქს, რომლის მცხოვრებთაგან არც ერთს არ ჰქონდა წარმოდგენილი მთელი საათი რა საზარელი მკელელებიც დასტრიალებდხეხ თავს.

გამანადგურებლები ჩამორჩნენ, მათი ჭერი არც ისე მაღალი იყო. თანაც, ეტყობა, იაპონელმა მფრინავებმა თავისი მისია შესრულებულად ჩათვალეს, რაკი ამერიკელები მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტიდან განდევნეს. ალბათ იფიქრეს კიდეც, ეს ორი ბომბდამშენი ჩვენს დაბომბვას არც აპირებდა და ცას ასე დიდხანს მხოლოდ დაზვერვის მიზნით სერავდნენო. ჩანს ჯერ არაფერი იცოდნენ ხიროსიმის შესახებ, სადაც ორიოდე დღის წინ მოწმენდილ ცაში „ენოლა-ჰეი“ გამოჩნდა.

„ბედის ქარები, როგორც ჩანს, წყალობდნენ იაპონიის ზოგიერთ ქალაქს, რომელთა სახელებიც უცნობი უნდა დარჩეს“.

პროფესიული ჩვევის თანახმად ბილ ლორენსი მომავალი სტატიისათვის ფრაზებს წინდაწინ ადგენდა. მან იცოდა, რომელ ქალაქს დასტრიალებდა თავს „დიდი არტისტი“, იცოდა დაბომბვის მთავარი ობიექტიც, მაგრამ ფიქრობდა, რომ ეს სამუდამოდ საიდუმლოებად დარჩებოდა.

ლორენსი ამაყობდა იმით, რომ საქმეში ჩახედული იყო. თავი გენერალ გროუვზის მეგობრად მიაჩნდა, რომელიც მიუხედავად თავისი სიმაღლისა და სიმსუქნისა, ცოცხალი და მკვირცხლი კაცი იყო. „რუსეთი ჩვენი მტერია... ამაში იოტისოდენა ეჭვიც არ მეპარება. ეს არის ჩვენი პროექტის საფუძველი“, — უყვარდა თქმა გენერალს.

პროექტი კი უზარმაზარი იყო. ატომური ქარხნები ოკრიჯ-ში და ჰენფორდში, რომლებიც ურან—235-სა და პლუტონი-უმ — 298-ს აწარმოებდნენ, ლაბორატორია ლოს-ალამოს-ში...

ასი ათასობით კაცი მუშაობს ქარხნებში და გუშინდლამდე მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა, რას აწარმოებდა. ზო-გიერთს ეგონა, რომ „სიკვდილის სხივებზე" მუშაობდნენ. რუზველტის მოწინააღმდეგეებმა ხმები გაავრცელეს, ქარხნე-ბი მისის ელეონორა რუზველტის პროექტის მიხედვით ქიმი-კატებს ამზადებენ, რომელთა დახმარებითაც ზანგები თეთრკა-ნიანებად უნდა გადააქციონო.

ლორენსმა ოკრიჯის ვეებერთელა საამქროები მოინახულა. იქ მან ერთ მუშას ჰკითხა, თუ იცი, რას ამზადებო.

საათში დოლარს და ოცდათხუთმეტ ცენტს ვაკეთებო, — უპასუხა მუშამ. სხვები თვლიდნენ, რომ ყველაფერი ეს გი-განტური პანამა იყო.

ოთახში, სადაც ლორენსი მუშაობდა, ყოველ საღამოს თა-ვით ფეხამდე შეიარაღებული ორი ოკრიჯელი ჯარისკაცი შე-დიოდა, ისინი სანაგვე კალათიდან ქაღალდის ნაფლეთებს იღებდნენ და ღუმელში წვავდნენ. ამ სამუშაოზე ისინი იმი-ტომ მიამაგრეს, რომ წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ.

უკვე ორ მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა. ამ ფულის ბედით კონგრესიც კი დაინტერესდა და პასუხი მოითხოვა. ყო-ფილმა მოსამართლემ, ამჟამად სამხედრო მინისტრის მოად-გილემ რობერტ პატერსონმა საქმის მსვლელობის შესწავლა ინჟინერ მედიგანს დაავალა.

— ბატონო მოსამართლევ, ყველგან გახლდით და ყველა-ფერი ვნახე, — მოახსენა ინჟინერმა, — უნდა გითხრათ, რომ შეგიძლიათ არაპეინად იყოთ, თუ მანქანა ამუშავდა, პასუხს არავინ მოგვთხოვს, თუ არადა, სულ ერთია, ფულმა თქვენი ჭირი წაიღო, მაგრამ რაღაც მნიშვნელოვანი კი კეთდება.

საინტერესოა, რამდენი ჩაიჯიბა კომპანია დიუპონ დე ნე-მურმა?

ოპი კი... ლოს-ალამოსის ლაბორატორიის დირექტორი, პროფესორი რობერტ ოპენჰეიმერი, პატივმოყვარე და მომხიბ-ვლელი კაცი იყო. მეცნიერები თვალებში შეჰყურებდნენ. ეს მან ჩამოიყვანა გენერალი გროუვზი კაკტუსებითა და კორძი-

ანი ფიჭვებით დაფარულ სანტა-ფეს უდაბნოში და იქ ლაბორატორიის შექმნა შესთავაზა.

— ქვეყნად ყველაზე მეტად ფიზიკა და ნიუ-მექსიკო მიყვარდა, — ჩაფიქრებული ამბობდა იგი, — ვოცნებობდი ეს ორი ცნება შემეკავშირებინა და ოცნება კიდეც ამისრულდა.

ოპენჰეიმერი ორმოცი წლისა იყო და მისი ხელმძღვანელობით სამი ატომური ბომბის მექანიზმი შეიქმნა. ლორენსი ღიმილით იგონებდა, როგორ შესთავაზეს ოპის ბრიგადის გენერლობა, ხოლო დანარჩენ მეცნიერებს შესაბამისი ჩინის ოფიცრებად გადაქცევა დაუპირეს. ოპი აღფრთოვანებული იყო, სხვებს კი თავზარი დაეცათ და სამხედრო პირებად ქცევა არ ისურვეს.

ატომური ლაბორატორიის დირექტორის პოსტამდე ოპენჰეიმერი მეტად რთულმა მოსაზრებებმა მიიყვანა.

არავინ იცის, ვისი კარნახით წამოაყენა მრავალრიცხოვან ლაბორატორიათა ერთ ადგილზე თავმოყრის იდეა, მაგრამ ამ იდეამ მას სახელი გაუთქვა, როგორც კარგ ორგანიზატორს და მაღალ პოსტზე აიყვანა. ის თავად ირჩევდა და იზიდავდა მეცნიერებს, რომელთაც იმით აშინებდა, ატომური ბომბის დამზადება გერმანელებმა არ დაგვასწრონო.

ოპენჰეიმერი ჯერ კიდევ ომამდე გახდა მილიონების მემკვიდრე და იგი დიდ თანხებს ურიცხავდა მემარცხენე ორგანიზაციებს — უნდოდა მოგების მეტი შანსი ჰქონოდა. მისი ურთიერთობები კონტრდაზვერვის უფროსმა ბორის პაშმაც კარგად იცოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს აუკრძალეს მისი დოსიეს შევსება, თუმცა თვითონ ოპენჰეიმერმაც დაუნანებლად გაწირა ძველი ნაცნობები, როცა ანგარიშსწორების ჟამმა დაჰკრა.

ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

დამბრმავებელ მომწვანო ფერის გაელვებას აფეთქება მოსდევს; აზროვნება დათრგუნვილია, ცხელი ქარის ტალღებს ცეცხლი მოკყვა, რომელმაც ირგელივ ყოველივე შთანთქა. გაუგონარი ძალის გრგვინვის შემდეგ ჩამოწოლილ სიჩუმეს ერთბაშად გაჩაღებული ცეცხლის ტკაცატკუცი არღვევს. სახლის ნანგრევებს ქვეშ სმენაწართმეული ადამიანები წვანან; ალში ინთქმებიან ქალები, გონს მოსული ბავშვები ამაოდ ცდილობენ ცეცხლის რკალს თავი დააღწიონ. პატარა ბავშვი აშორებს მამაკაცის ხელებს, მის ცეცხლიდან გამოყვანას რომ ცდილობს და დედის ხელებზე იწვის, სხეულებისა და ნანგრევების ქვეშ რომ მოჰყოლია. დამწვარი ქალები და კაცები მიწაზე ცვივიან, ზოგს თავი აქვს გაჩეხილი, ზოგს მუცელში შუშის ნამსხვრევები ჩარჩენია; აგერ წაწყვეტილი ხელები, მარტო ფეხები განაგრძობენ მოძრაობას.

კომენტარი ირისა და ტოსიკო მარუკის პანოსთვის — „ცეცხლი“.

1

1945 წლის თორმეტი აპრილი თავისებური ამაზრზენი ტრიუმფის დღე გახლდათ ადამიანისათვის, რომელმაც ჯერ კიდევ ომის დაწყებისას თქვა: „თუ დავინახეთ, რომ ომს გერმანია იგებს, მაშინ ჩვენ რუსეთს უნდა დავეხმაროთ, ხოლო თუ ბედი რუსეთისაკენ შეტრიალდა, მაშინ გერმანიას უნდა გავუწოდოთ დახმარების ხელი. ასე და ამრიგად, დაე რაც შეიძლება ბლომად დახოცონ ერთმანეთი“...

ამ ადამიანს ბაყლის მიპრა-მოხრა და მტაცებლის კაკნატელა ცხვირი ჰქონდა. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი მას

ამერიკის სენატის სხდომებზე თავმჯდომარის მოვალეობას აკისრებდა.

თორმეტი აპრილის სხდომათაშორის შესვენებაზე იგი სენატორთა ჯგუფს ესაუბრებოდა, როცა წარმომადგენლობითი პალატის თავმჯდომარე რეიბერნი მივიდა და უთხრა:

— ჰარი, თეთრი სახლიდან სტივ ერლი გთხოვთ ტელეფონთან.

ტრუმენი რეიბერნის კაბინეტში შევიდა და ყურმილი აიღო:

— ჰარი ტრუმენი გისმენთ.

— შეგიძლიათ ახლავე თეთრ სახლში გაჩნდეთ? — მოესმა მას აღელვებული ხმა.

ამ ხმამ ტრუმენს გული შიშითა და სიხარულით აუვსო. ნუთუ მართლა? არა, არა, ნაადრევი სიხარული ცუდად ჰქონდა დაცდილი. აკი 20 თებერვალს იმედი გაუცრუვდა. ომები მოუვიდა, ფრანკლინ დელანო რუზველტი გარდაიცვალაო. მაშინ წინდაუხედავად მოიქცა და სენატის მდივანს ლეს ბიფლს თეთრ სახლში დაარეკინა. მდივანს უპასუხეს, რუზველტი კი არა, გენერალი ედვინ უოტსონი გარდაიცვალაო. უოტსონი, მეტსახელად „პა", პრეზიდენტის პირადი მდივანი იყო. იგი უეცრად, მეტად უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა, როცა პრეზიდენტთან ერთად იალტიდან ბრუნდებოდა.

საღამოს ხუთ საათზე ტრუმენი უკვე თეთრ სახლში იყო. ლიფტით მეორე სართულზე ავიდა და პრეზიდენტის კაბინეტს მიაშურა, სადაც უკვე ელოდნენ.

— ჰარი, — უთხრა მას ელეონორა რუზველტმა, — პრეზიდენტი გარდაიცვალა.

ტრუმენი თვალებდახრილი, უხმოდ იდგა. არავინ იცის, რა ხდებოდა მის სულში. მემუარებშიც კი, მრავალი წლის შემდეგ რომ დაწერა, ტრუმენმა თავი აარიდა თავისი მაშინდელი განცდების აღწერას.

მაშ ასე, იგი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია. მის ხმაში ფოლადგარეული მფარველური ნოტი გაისმა:

— რით შემიძლია დაგეხმაროთ პირადად თქვენ? — იკითხა მან და ბატონ-პატრონივით მოავლო თვალი მრგვალ კაბინეტს, რომლის კედლებზე მისისიპური გემების ძველი ლითოგრაფიები ეკიდა, ნიშებში კი ფრეგატების მოდელები იდგა.

საღამოს შვიდ საათზე ჰარი ტრუმენმა, მარცხენა ხელში ბიბლია რომ ეჭირა, ხოლო მარჯვენა ზეკით, ცხვირის სიმაღლეზე ჰქონდა აწეული, ფიცი დადო, რომ დაიფარავდა და დაიცავდა შეერთებული შტატების კონსტიტუციას ყველა გარეშე და შინაური მტრებისაგან.

იმავე საღამოს ტრუმენმა მთავრობის წევრთა პირველი თათბირი მოიწვია. დიახ, მას განზრახული აქვს აწ განსვენებული პრეზიდენტის საგარეო და საშინაო პოლიტიკა გააგრძელოს, მაგრამ ნურვინ იფიქრებს, რომ ამას ბრმად გააკეთებს. მას თავისი გეგმები აქვს, რასაც პატივცემულ ბატონ მინისტრებს მალე გააცნობს.

თათბირის შემდეგ სამხედრო მინისტრი სთიმსონი ტრუმენთან დაყოვნდა.

— ბატონო პრეზიდენტო, — უთხრა მან. — ჩვენ ახალი, ძალიან მძლავრი იარაღი შევქმენით. რამდენიმე თვეში მზად გვექნება.

მალე ვაშინგტონში სამეცნიერო ექსპერტი შეიკრიბა და ახალ პრეზიდენტს გააცნო საქმის არსი, რაზედაც მას ვიცეპრეზიდენტად ყოფნის დროს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა.

2

1944 წლის შემოდგომაზე ავიაციის გენერალმა ჰენრი არნოლდმა თავისთან გამოიძახა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი როსკო უილსონი. პოლკოვნიკი საადიუტახტოში შევიდა, გენერლის კაბინეტის კარს ალმაცერად შეეხედა და მაგიდასთან მჯდომ უტიფარ ლეიტენანტს მიუახლოვდა, რომელიც თავისი შეფის ხელქვეითებთან მოურიდებლად ლაპარაკს მიჩვეული იყო.

— ჰელოუ, ჯერი, — უთხრა პოლკოვნიკმა, — როგორ გრძნობს დღეს გენერალი თავს?

— ჰეპი მშვენიერ გუნებაზეა, პოლკოვნიკო, სწორედ თქვენ გელოდებათ.

„ჰეპი" გენერლის მეტსახელი იყო. არნოლდი უყვარდათ ამერიკის ავიაციაში, რომელიც მის თვალწინ გაიზარდა. არნოლდი ფრენას ჯერ კიდევ ძმებ რაიტებთან სწავლობდა, ახ-

სოდა მსუბუქი პლანერები, რომლებიც რაღაც სასწაულით არ იშლებოდა ჰაერში, ახლა კი თვითონ ხელმძღვანელობდა მფრინავ „ზესიმაგრეებს“ — ბოინგ-29-ს და ისრისებურ გაანადგურებლებს. გენერალი ხანდახან მკაცრი იყო, მაგრამ საერთოდ სამართლიანი კაცი გახლდათ. მას არაჩვეულებრივი მეხსიერება ჰქონდა.

— დაჯექით, როსკო, — უთხრა გენერალმა, — აბა, მაჩვენეთ, რა მომიტანეთ.

— თქვენ მიბრძანეთ გამომენახა კაცი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საქმისათვის. აი საუკეთესო მფრინავთა გვარები...

გენერალმა სია აიღო და თვალი გადაავლო, შემდეგ მაგიდაზე დადო და ერთ-ერთ გვარს თითი გააყოლა.

— პოლკოვნიკი პოლ თიბეთსი უმცროსი, — წაიკითხა მან ხმამაღლა, — ეს ის პოლკოვნიკი არ არის, გენერალ კლარკთან ერთად ჩრდილოეთ აფრიკაში რომ დაფრინავდა?

— დიახ, სერ, — უპასუხა ვილსონმა, — ნორმანდიაში გადასხდომისას გენერალ ეიზენჰაუერის თვითმფრინავის პილოტი გახლდათ.

— მახსოვს, — უთხრა არნოლდმა, — აიკმა ძალიან აქო, წყნარი ბიჭიაო. ერთ-ერთი საუკეთესო პილოტი ყოფილა ბომბდამშენ ავიაციაში. ახლა სად არის? შეუძლია ბ-29-ზე ფრენა?

— სწორედ ბ-29-ს ცდის ახლა ნიუ-მექსიკოს შტატის ალამაგორდოს ავიაბაზაში.

— ზუსტად ასეთი კაცი გვჭირდება. წყნარი, მტკიცე; ენის ტარტალიც რომ არ უყვარს. მანჰეტენის საინჟინრო ოლქის მთავარსარდალს გენერალ გროუვზს შეატყობინეთ, რომ მთავარი შემსრულებელი უკვე ვიპოვეთ. თუმცა ჯერ გაურკვეველია, საერთოდ დაგვჭირდება თუ არა იგი.

— სერ, ამ... მანქანის გამოცდა მომავალი წლის ზაფხულშია ნავარაუდევი.

— მაგრამ პილოტი ჩვენ წინასწარ გვჭირდება. ჩვენ ვერ დავიცდით სანამ მეცნიერები ამ... მანქანას გამოცდიან. ახლავე უნდა დავიწყოთ ეკიპაჟების მომზადება. თიბეთსს ხალხი შეურჩიეთ...

ამ დროს კი პოლკოვნიკი თიბეთსი თავისი ბ-29-ით ალამაგორდოს თავზე დაფრინავდა და არ იცოდა, რომ აგერ სულ ახლოს, ლოს-ალამოსში მისი მომავალი თვითმფრინავისათვის საზარელი ტვირთი მზადდებოდა და მას გაწაფულ პოლიტიკანთა ხელში ბრმა იარაღად გადაქცევა ელოდა. იგი სიკვდილის ერთ-ერთი მთესველთაგანი უნდა გამხდარიყო.

უზარმაზარი სამხედრო მანქანის ათასობით პაწაწინა ხრახნი ისე, რომ თავადაც არ უწყოდა, არნახული ძალის დაბომბვას ამზადებდა. ჯერ კიდევ არ იცოდნენ, საერთოდ გამოვიდოდა თუ არა ბომბი, მაგრამ საკონსტრუქტორო ბიუროებში უკვე ქმნიდნენ უახლესი ხელსაწყოებით აღჭურვილი ბ-29-ის მოდიფიკაციებს, ზრდიდნენ მის სიჩქარესა და ფრენის უსაფრთხოებას, ბომბის საძვრენისა და ნაკვეთურების გადაკეთებაც განზრახული ჰქონდათ.

ინჟინრებმა არ იცოდნენ, რატომ აკეთებდნენ ამას, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალთა სამოცდაჩვიდმეტმა საუკეთესო მფრინავმა არ იცოდა, რატომ მიავლინეს ისინი იუტის შტატში, უენდოვერის აეროდრომზე. მალე მფრინავებიდან და მომსაპურე და ტექნიკური პერსონალის ათას შვიდასი კაცისგან ბომბდამშენი ავიაციის მე-20-ე საჰაერო არმიის 313 ავიაბრიგადის 21-ე კორპუსის 509-ე ნაკრები პოლკი ჩამოაყალიბეს, პოლკის მეთაურად დანიშნეს პოლ თიბეთსი, რომელიც წარმოშობით ფლორიდის შტატის საკურორტო ქალაქ მაიამიდან იყო.

მხოლოდ მან იცოდა, რისთვის ჩამოაყალიბეს ნაკრები პოლკი. პოლკის მთელმა შემადგენლობამ ჯერ კიდევ ფრონტზე და ზურგის აეროდრომებზე გაიარა გულმოდგინე შემოწმება. მიუხედავად ამისა, არც ჯარისკაცებს და არც ოფიცრებს არ ეუბნებოდნენ, რატომ მოითხოვდნენ მათგან მუშაობაში ასეთ ზედმიწევნით შეთანხმებულობას.

მთელი ზამთარ-გაზაფხული მძიმე წვრთნას გადიოდნენ და სიმსახურისა და მკაცრი დისციპლინის წყევლაში იყვნენ. ფრონტული თავისუფლება რომ გამოსცადეს, ზურგის რუტინა ბევრს აუტანლად მოეჩვენა. სასწავლო დავალებებზე ყოველდღე დაფრინავდნენ, მოწითალო უდაბნოს თავს დასტრი-

ალებდნენ. საუკეთესო ბომბარდირები თვალზომას ივარჯიშებდნენ, ღილაკზე თითის დაჭერას სწავლობდნენ, რათა ბომბის საძვრენი ზუსტად მიზნის თავზე გაეღოთ. ბომბარდირებს უცნაურად ეჩვენებოდათ, რომ მათ უფლებას არ აძლევდნენ რადიოლოკაციური დანადგარები გამოეყენებინათ. იცოდნენ, რომ „ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა", მაგრამ რა ელოდათ — ეს არავინ უწყოდა.

პოლკოვნიკი თიბეთსი გულმოდგინედ ადევნებდა თვალს თითოეული თვითმფრინავის აფრენას, ობიექტამდე მისვლას და აეროდრომზე თავის დროზე დაბრუნებას. ხუთი წუთის დაგვიანებისათვის ეკიპაჟის მეთაურს პასუხს სთხოვდნენ.

ამასობაში მარიანის კუნძულებისკენ მიემართებოდა გემების ქარავანი, რომელსაც სამშენებლო მასალა მიჰქონდა და საინჟინრო ბატალიონები მიჰყავდა. პოლკოვნიკი ელმერ კირქპატრიკი კუნძულ ტინიანს პირველი კლასის აეროდრომივით აწყობდა. ტინიანი იაპონიასთან შედარებით ახლოს იყო, რათა საჰაერო ოპერაციების ჩატარებაში ბაზად გამოსდგომოდათ, და საკმაოდ შორს, რათა იქ მიმდინარე მუშაობა საიდუმლოდ შეენახათ.

აქ, სან-ფრანცისკოდან ექვსი ათასი მილის დაშორებით, ამერიკელებმა იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე დიდი აეროდრომი შეექმნეს. ექვსი ასაფრენ-დასაჯდომი ზოლიდან ყოველ თხუთმეტ წამში თვითმფრინავი ჰაერში ადიოდა. აქ თავმოყრილი იყო ათი ათასობით სპეციალისტი, რომლებიც ასობით თვითმფრინავს და უახლოეს ტექნიკურ მოწყობილობებს ემსახურებოდნენ. კუნძულის ნავსადგურში ყოველდღე შედიოდნენ ტანკერები, რომლებსაც სააეროპლანო ბენზინი მოჰქონდათ. დროდადრო ბომბებით დატვირთული, იაპონიის ქალაქების დასაბომბავად აფრენილი რომელიმე თვითმფრინავი ზღვაში ინთქმებოდა, ან სანაპიროს მარჯნებს დაასკდებოდა და ჩირაღდანივით ანთებული საშინელი გრუხუნით ფეთქდებოდა.

აქ შეიქმნა ატომური ბაზა და 509-ე ნაკრები პოლკის ეკიპაჟებიც აქ ჩამოვიდნენ.

ომის დასასრული ახლოვდებოდა. ბერლინში, იმპერიის კანცელარიის ნანგრევებქვეშ მოყოლილ ბუნკერში თავისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეს ითვლიდა კაცი, რომელმაც „დიდი წვლილი შეიტანა ამერიკული ატომური ბომბის შექმნაში“.

1945 წლის თორმეტ აპრილს ადოლფ ჰიტლერი ჰებელსთან ერთად 1756—1763 წლების შვიდწლიანი ომის ისტორიას კითხულობდა. ჰიტლერს ეს „სასარგებლო კითხვად“ მიაჩნდა. იგი ამაყობდა იმით, რომ სამხედრო საქმეზე დაახლოებით შვიდი ათასი წიგნი ჰქონდა წაკითხული. მაგრამ, როგორც ჩანს, თეორია ვერაფერს შველოდა...

განსაკუთრებით მოსწონდათ ის თავი, სადაც მოთხრობილი იყო ელისაბედ პეტრეს ასულის სიკვდილმა და ტახტზე პეტრე მესამის ასვლამ როგორ იხსნა პრუსია საბოლოო გასადგურებისაგან. ეჰ, ნეტავი მას, ჰიტლერს ჰყავდეს ისეთი ერთგული მეგობარი, როგორიც ფრიდრიხისათვის რუსეთის ტახტის მემკვიდრე, ჰერცოგი გოლშტინსკი იყო. იგი დიდ ხელმწიფეს უგზავნიდა ცნობებს რუსეთის არმიაზე, რომელიც პრუსიელებს ავიწროებდა, ხოლო მერე, მეფე რომ გახდა, ფრიდრიხს სულაც დაუბრუნა დაპყრობილი ტერიტორია. თავისი ჯარი პრუსიის ჯარს შეუერთა, რათა ერთად ემოქმედათ ავსტრიის წინააღმდეგ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ რუსეთის მოკავშირე იყო.

ჰიტლერისა და ჰებელსის სასიამოვნო განმარტოება კარზე კაკუნმა დაარღვია. ოთახში ესესელის შავ ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი შემოვიდა და მისასალმებლად ხელი ზევით აიქნია.

— ჩემო ფიურერო, ამერიკის რადიომ ეს-ესაა გადმოსცა, რომ გაშდაიცვალა შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუზველტი.

გონს პირველად ჰებელსი მოეგო და ფეხათრევით ოთახში ნერვიულად ბოლთის ცემა დაიწყო.

— აი, შემობრუნების პუნქტი! — ყვიროდა იგი. — ეს შვიდწლიანი ომის დროს რუსეთის დედოფლის სიკვდილსა ჰგავს!

— დიახ, — თქვა ჰიტლერმა, — ეს მართლაც სასიამოვნო

ცნობაა. თქვენ კიდევ ბევრჯერ გაიხსენებთ ჩემს სიტყვებს. პლუტოკრატიის მიერ დაყენებული ბინძური კაცის სიკვდილი მდგომარეობას ძირფესვიანად ცვლის. ახლა გაიღვიძებს ამერიკელი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, ებრაულ-ბოლშევიკური დამქაშების ხრიკებმა რომ აამღვრიეს. მოკავშირეთა შორის განხეთქილება გარდაუვალია. განა ყოველ დღე, ყოველ საათს მოსალოდნელი არ არის ომი ბოლშევიკებსა და ანგლო-საქსებს შორის? მე მჯერა ჩვენი რეიხის აღორძინებისა, მჯერა ნაციის გამარჯვების და მომავალ ბრძოლებში მისი განწმენდისა. ახლავე უნდა მოვხსნათ მეთორმეტე არმია, ამერიკელთა წინააღმდეგ რომ გვაყვს ფრონტზე და რუსების წინააღმდეგ გადავისროლოთ. ბრძოლა ახლა იწყება. ჩვენ ჯერ არ გამოგვიყენებია ჩვენი საიდუმლო იარაღი...

ლაპარაკით რომ გული იჯერა, ჰიტლერმა ბრძანა ასტროლოგები მოეყვანათ ჰოროსკოპის შესადგენად. რასაკვირველია, როცა მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ასტროლოგებს არ უთქვამთ, რომ საბჭოთა ჯარები ოთხი დღის შემდეგ შეტევას ოდერიდან დაიწყებდნენ და 25 აპრილს ბერლინს გარს შემოერტყმებოდნენ; რომ ჰიტლერი „განდგომილთ" — გერინგსა და ჰებელსს ანათემას გადასცემდა და ხახაში ტყვიას იკრავდა, ხოლო ჰებელსი მარტო თვითონ კი არ მოიკლავდა თავს, არამედ ცოლ-შვილსაც დახოცავდა. ჰოროსკოპში არ ჩანდა იმპერიის კანცელარიის ეზოში მოგიზგიზე გლოვის კოცონის ალი.

5

რა საიდუმლო იარაღზე ლაპარაკობდა ჰიტლერი თავისი არსებობის ბოლო დღეებში? ეს დღემდე უცნობია. შეიძლება ამით საბრძოლო სულისკვეთებას უნარჩუნებდა თავის მომხრეებს, რომელთა რიცხვი დღითი დღე მცირდებოდა.

გერმანელ მეცნიერებს კი, რომელთა შედეგებითაც სცილარდი და მისი მეგობრები რუზველტს აშინებდნენ, არ უნდოდათ ატომური ბომბი ჰიტლერისთვის ჩაეგდოთ ხელში. ამბობენ, ჰანს თითქოს უთქვამს: თუ ოდესმე მსგავს იარაღს მიიღებს ჰიტლერი, თავს მოვიკლავო. ჰაიზენბერგი და ფლუგე ცდილობდნენ ბორთან და სხვებთან კონტაქტი დაემყარებინათ

და მოლაპარაკებულიყვნენ, რომ ატომური ბომბი საერთოდ არ შეექმნათ. მაგრამ მათ ისე უსმენდნენ, როგორც პროვოკატორებს და ჩქარობდნენ, ო, როგორ ჩქარობდნენ... იმ გერმანელმა მეცნიერებმა, ვისაც მართლა შეეძლოთ ბომბის შექმნა, მის წარმოებას საბოტაჟი მოუწყვეს. არასწორი შეფასებებით ჰიტლერელებს თავგზას უბნევდნენ, და შეიძლება სწორიც იყო ჰაიზენბერგი, რომელმაც შემდეგ თქვა: „1939 წლის ზაფხულზე ოც კაცს ურთიერთშეთანხმებით კიდევ შეეძლო არ დაეშვა ატომური ბომბის შექმნა".

უკვე 1945 წლის დასაწყისში ამერიკის სპეციალურმა მისიამ „ალსოსმა", რომელიც თავის არმიას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და ზოგჯერ წინაც უსწრებდა, ბელში ჩაიგდო საბუთები, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ გერმანიაში ატომური გამოკვლევები ჩასახვის სტადიაში იყო.

მისიამ პოლკოვნიკ ბორის პაშისა და ფიზიკოს სამუელ ჰოუდსმითის ხელმძღვანელობით გამოარკვია, რომ გერმანელებმა არაფერი იცოდნენ ამერიკელთა ბომბის შესახებ. ეს თქვა ყველა გერმანელმა მეცნიერმა, ვინც კი ტყვედ ჩაუვარდათ. დიდი ფიზიკოსი ფონ ვაიცზეკერი ორჰოფულ პოლიტიკას ადგა. ნობელის პრემიის ლაურეატი ფონ ლაუე აშკარად აკრიტიკებდა ჰიტლერს.

თვითონ ჰიტლერი უპირატესობას დილეტანტებს ანიჭებდა. ინჟინერი ფონ არდენე ფოსტების მინისტრს ონეზორგეს შეხვდა და დაჰპირდა, ატომმურ „ფეთქებად ნივთიერებას" გაგიმხელო. მინისტრმა ეს ჰიტლერს მოახსენა.

— ყური მიგდეთ, ბატონებო, — თქვა ჰიტლერმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე. — იმ დროს, როცა თქვენი სპეციალისტები თავს იმტვრევენ, როგორ მოვიგოთ ეს ომი, ჩვენს ფოსტმაისტერს მზა გადაწყვეტილება მოაქვს.

თუმცა ფორმალურად ატომური გამოკვლევები გერინგისა და ჰიმლერის მეთვალყურეობით მიმდინარეობდა, სამხედრო ხელისუფლების დამოკიდებულება ფიზიკოსებთან მაინც არასერიოზული იყო.

სტრასბურგის აღების შემდეგ „ალსოსის" ხელმძღვანელმა ჰოუდსმითმა მისიის ერთ-ერთ სამხედრო წევრს უთხრა:

— განა რამე სჯობს იმას, რომ გერმანელებს ატომური ბომბი არა აქვთ? ახლა შეგვიძლია ჩვენიც დავზოგოთ.

— თქვენ ალბათ გესმით, სერ, — უპასუხა თანამოსაუბრემ, — რომ რაკი ასეთი იარაღი გვაქვს, კიდეც უნდა გამოვიყენოთ.

6

— ბატონებო, ჩვენ დაგვეკისრა ამოცანა რეკომენდაცია მივცეთ ნაბიჯს, რომელსაც ძალუძს ცივილიზაციის კურსი შეცვალოს. ჩვენ ხელთ გვექნება უმაგალითო დამანგრეველი ძალის იარაღი. ატომური ენერგიის პრობლემები უნდა განვიხილოთ არა მარტო სამხედრო ასპექტში, არამედ სამყაროსთან ადამიანის ახალი დამოკიდებულების ასპექტშიც.

ამ სიტყვებით გახსნა „დროებითი კომიტეტის" კრება ენაწყლიანმა მინისტრმა ჰენრი სთიმსონმა. 1945 წლის 31 მაისი იყო. ვაშინგტონური თაკარა ზაფხული დგებოდა. პენტაგონთან ათასობით მანქანას მზეზე ცეცხლი ეკიდებოდა. მინისტრის კაბინეტში „დროებითი კომიტეტის" წევრები შეიკრიბნენ, მათ უნდა გადაეწყვიტათ, როგორ გამოეყენებინათ ატომური ბომბი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული.

ხუთი სახელმწიფო მოღვაწე: სამხედრო მინისტრი ჰენრი სთიმსონი და მისი მოადგილე ჯორჯ ჰარისონი, პრეზიდენტის წარმომადგენელი ჯეიმს ბირნსი, სახელმწიფო დეპარტამენტისა და სამხედრო საზღვაო ძალების წარმომადგენლები უილიამ კლეითონი და რალფ ბარდი. ომის საკითხებზე მომუშავე სამეცნიერო ორგანიზაციების სამი ხელმძღვანელი: ვანნევარ ბუში, კარლ კომპტონი, ჯეიმს კონანთი — ეს „კომიტეტი" გახლდათ. ატომის საკითხზე კომიტეტის სამეცნიერო მრჩევლები იყვნენ დოქტორი რობერტ ოპენჰეიმერი, ენრიკო ფერმი, არტურ კომპტონი და ერნესთ ლოურენსი; სამხედრო მრჩევლები: აშშ-ის არმიის შტაბის უფროსი გენერალი ჯორჯ მარშალი და მანჰეტენის ოლქის მთავარსარდალი გენერალი ლესლი გროუვზი.

ნაცისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციიდან ოც დღეზე მეტი გავიდა. იქ სამხედრო დამნაშავეებს იჭერდნენ. ამერიკელი ჯარისკაცები შავ ბირჟაზე ვაჭრობდნენ და ჯიპებით აოხრებული ქალაქების ღორღითა და დამტვრეული აგურით მოკირწყლულ ქუჩებში დაქროდნენ. ჰაერში ისევ იდგა აგურის მოწითალო მტვრის ბუღი. ნანგრევებიდან კი გულისამრევი მოტკბო სუნი მოდიოდა. საველე ჯარისკაცური სამზარეულოს ქვაბებთან დამშლეებული გერმანელების გრძელი

რიგი დამდგარიყო — რუსი ჯარისკაცები გერმანელებს თავიანთ ულუფას უყოფდნენ. საბჭოთა კომენდანტები ცდილობდნენ ნორმალური მშვიდობიანი ცხოვრება აეწყოთ. გერმანელები ახლა უკვე დამთმობნი გამხდარიყვნენ, გაქრა სამხედრო ორგანიზაცია, გაქრა გერმანული მეომრული სულისკვეთება.

მინისტრის კაბინეტში შეკრებილებმა თითქოს დავიწყეს, რატომ ჩქარობდნენ ასე ატომური ბომბის შექმნას. უკვე აღარ ახსოვდათ, რომ შიში ამოძრავებდათ, შიში იმისა, რომ გერმანელი მეცნიერები მათზე ადრე შექმნიდნენ ატომურ ბომბს. უფრო მეტიც, მათ უკვე იცოდნენ შედეგები „ალსოსის" მისიისა და იმ სადაზვერვო ოპერაციისა, რომელიც გერმანული ფიზიკის წარმატებათა გასაცნობად წამოიწყეს.

წარმატებები კი არ ყოფილა, არც გერმანული ატომური ბომბის ხსენება ყოფილა სადმე.

რჩებოდა იაპონია.

— ბომბი უნდა აფეთქდეს ახალი ამფეთქებლის დახმარებით, — საქმიანად მოახსენა კომიტეტს დოქტორმა ოპენჰეიმერმა. — ასე უდიდეს სამხედრო ეფექტს მივიღებთ. ეს დაახლოებით ოცი ათას კაცს იმსხვერპლებს.

— ჩემს მოვალეობად ვთვლი, — მხარი აუბა დოქტორს გენერალმა გროუვზმა, — რეკომენდაცია მივცე ატომური ბომბის გამოყენებას. ბევრი ჩვენი მეომარი იღუპება ყოველდღე ბრძოლის ველზე...

კომიტეტის ბევრი წევრი თანხმობის ნიშნად თავს იქნევდა. დიახ, დიახ, იაპონელებს ჩინებული საავიაციო მრეწველობა აქვთ. ამას ყველა გაზეთი გაჰკივის. ორმოცდაოთხის შემოდგომიდან იაპონელებმა თვითმკვლელი მფრინავების „კამიკაძეების" გამოყენება დაიწყეს. „კამიკაძე" სიტყვასიტყვით „ღვთაებრივ ქარს" ნიშნავს. თქმულების თანახმად „ღვთიურმა ქარმა" გაფანტა მონგოლთა ფლოტი, რომელიც იაპონელების სანაპიროებს მიადგა.

1944 წლის 20 ნოემბერს ულიტის კუნძულთან პირველად გამოიყენეს ადამიანი-ტორპედო — „კაიტენსი", რაც „სამოთხის გზას" ნიშნავს.

იაპონელები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებენ. ისინი ფანატიკოსები არიან. იაპონიის კუნძულებზე იერიშის დროს შეიძლება ორი მილიონი იაპონელი მოკლა და მილიო-

ნი შენი ჯარისკაცი დაკარგო. ატომური ბომბი — ეს ნამდვილი ღვთის წყალობაა.

გენერალი მარშალი სხვა თვალსაზრისზე იდგა. არა, მას იაპონელები არ ებრალებოდა. ოღონდ იმის განჭვრეტა სურდა, რა იქნება მეორე მსოფლიო ომის შემდეგო. ახლა რუსები შეერთებული შტატების მოკავშირეები არიან. ახლო მომავალში რუსეთი უპირველესი მტერი გახდება. ატომური იარაღი საიდუმლოდ უნდა შევინახოთ, მომავალ საომარ მოქმედებაში შეერთებული შტატების არმია მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუ დავმალავთ, რა ძალაცაა ჩვენს ხელთო.

— ახლა ამას ვეღარ დამალავ, — ჩაიცინა დოქტორმა ოპენჰეიმერმა, — ატომურ საიდუმლოებაში ძალიან ბევრი ხალხია გარკვეული. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არავითარი საიდუმლოება არ არსებობს. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალზე, რომელიც საკუთარი ბომბის შექმნას გადაწყვეტს.

ახალი პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს, ბატონ ჯეიმს ბერნსს, რომელიც სახელმწიფო მდივნის პოსტზე დანიშვნას ელოდება და „დიდი პოლიტიკის" გატარებაზე ოცნებობს, სხვა მოსაზრებები აქვს.

— მე ვფიქრობ ატომური ბომბი მარტო იმისთვის კი არ უნდა გამოვიყენოთ, რომ იაპონია დავაჩოქოთ, არამედ იმისთვისაც, რომ ევროპაში რუსები უფრო დამყოლნი გავხადოთ.

როცა მარშალს მხარი არავინ დაუჭირა, იგი დასთანხმდა. მარშალზე კარგად არავინ იცოდა, რომ იაპონია სისხლისაგან იცლებოდა. ბრძოლის ძალა მას უკვე აღარ შესწევდა. იაპონელთა მესვეურებს ყველაზე მეტად იმისი ეშინოდათ, რომ ომში საბჭოთა კავშირი არ ჩარეულიყო. მოსკოვში იაპონიის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა ბოლშევიკ მოღვაწეებს კანცელარიის კარები აუტალახეს, წამდაუწუმ თავს მოწიწებით ხრიდნენ და ფარისევლურად იღიმებოდნენ.

წყნარი ოკეანის სამხედრო ასპარეზზე დაპყრობილი იქნა ოკინავა. 19 თებერვალს ამერიკელები კუნძულ ივოძიმაზე გადასხდნენ, რომელიც სიგრძეში რვა და სიგანეში ოთხი კილომეტრი იყო. ოცი ათასიანი იაპონური გარნიზონი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა. ერთთვიანი შეტევის შემდეგ ტყვედ სულ ასი იაპონელი ჩაიგდეს. ბრძოლებში მონაწილე-

ობდა 111 ათასი კაცი, 650 გემი, 1,5 ათასი თვითმფრინავი. ამერიკელებმა ოცი ათასი კაცი დაკარგეს და გადაწყვიტეს წანაგები იაპონური ქალაქებიდან ამოეგოთ.

10 მარტს ტოკიოს თავს დაესხა 150 ბომბდამშენი ბოინგ-29, მათ ერთ ღამეში 300 ათასი საპალი დაანგრიეს, და 100 ათასი ადამიანი იმსხვერპლეს. შემდეგ ჯერი ქალაქ ოსაკაზე მიდგა. ბომბდამშენები დღისით და ღამით დაუბრკოლებლად ბომბავდნენ ქალაქებს. მსუბუქი იაპონური სახლები სანთელივით იწვოდა. ზაფხულის პირას იაპონია ჯოჯოხეთად იქცა.

ყველაფერი გულმოდგინედ იყო დაგეგმილი. ვარაუდით, 1945 წელს იაპონიის მიწა-წყალზე 1000050 ტონა ბომბი უნდა ჩამოეგდოთ. დაიბომბებოდა 60 ქალაქი, მოკვდებოდა 250 ათასი, დაიჭრებოდა 313 ათასი ადამიანი, დაინგრეოდა 2,5 მილიონი სახლი. ასეთი ბრძოლა ადვილიც იყო და იაფიც.

ომი დოლარებით იზომებოდა. მას თავისი მოგება და ზარალი ჰქონდა. მრეწველებმა გენერლის მუნდირები ჩაიცვეს. ვაჭრულმა სულმა კადრის სამხედროებიც კი მოიცვა.

„დროებითი კომიტეტის" სხდომა დილის 10 საათიდან 16 საათამდე გაგრძელდა. სასადილო შესვენებაზე მეტალურგიული ლაბორატორიის დირექტორმა არტურ კომპტონმა საჰხედრო მინისტრს სთიმსონს ჰკითხა:

— სერ, განა არ შეიძლებოდა ისეთი არასამხედრო დემონსტრაცია ჩაგვეტარებინა, რომ იაპონელები დაგვეშინებინა? მაგალითად, რომელიმე უდაბურ კუნძულზე... და ისინი წინდაწინ გაგვეფრთხილებინა, რომ ამ სეირისათვის თვალი ედევნებინათ.

მინისტრმა მაშინვე ყველას გასაგონად გაიმეორა კომპტონის შეკითხვა. ძორძოხა გროუვზმა და კაფანდარა ნერვულმა ოპენჰეიმერმა თავები გააქნიეს.

— არა, არა, ამაზე ფიქრიც ზედმეტია. იაპონელების გაფრთხილება არ შეიძლება. მათ შეუძლიათ ცდის ჩატარებაში ხელი შეგვიშალონ, თუ დიდი ნგრევა არ მოჰყვა, მაშინ, საერთოდ, რაღა აზრი აქვს ბომბის ჩამოგდებას? ესეც არ იყოს, არა სჯობია იაპონიასთან ომი მანამ დავამთავროთ, სანამ რუსეთი იქამდე მიაღწევდეს?..

„დროებითმა კომიტეტმა" მხარი დაუჭირა ოპენჰეიმერსა და თავის მეცნიერ მრჩევლებს დაავალა მოეფიქრებინათ, რო-

გორ განეხორციელებინათ ატომური იარაღის დემონსტრირება.

რობერტ ოპენჰეიმერი, მიუხედავად ორმოცი წლის ასაკისა, დიდი გავლენით სარგებლობდა.

1964 წლის ოქტომბერში იგი თავს გაიმართლებს:

— გადაწყვეტილება პროექტით იყო გათვალისწინებული. არა მგონია, მისი განხორციელების თავიდან აცილება შესაძლებელი ყოფილიყო.

განცხადების დაწერა, პრეზიდენტს რომ ევალებოდა იაპონიაზე ატომური დარტყმის შემდეგ, ბილ ლორენსს ეანდეს.

7

— ატომური ენერგიის კაცობრიობისთვის გადაცემა ჯერ კიდევ აღრეა. ჯერჯერობით კაცობრიობა საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ძალიან დაბალ საფეხურზე დგას...

— გასულ საუკუნეებში მეცნიერებს შეეძლოთ ყოველი ახალი იარაღის წინააღმდეგ ეფექტური საშუალებები გამოენახათ. ახლა ასეთი რამ არ არსებობს. მეცნიერული აღმოჩენებით ვერაფერს გახდები. საჭიროა მსოფლიოს ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაცია...

— საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები საერთაშორისო კონტროლის დასაწესებლად ურთიერთნდობის საფუძველზე...

— რომელ ნდობაზე შეიძლება ლაპარაკი! ატომური ბომბი შიშსა და ზიზღს წარმოშობს! ნდობას ნუ ელით...

— წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, თუ ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი რომელიმე სულმდაბალი შეეცდება მსოფლიო ატომური ბომბის დახმარებით დაიპყროს?

— არ შეიძლება დავუშვათ, რომ ამ უბედურებამ დედამიწაზე იარსებოს. ჩვენ, ამერიკელები, არ უნდა გავხდეთ ის ხალხი, რომელსაც ზიზღითა და შიშით შეხედავს მთელი სამყარო...

— ახლა, როცა გერმანიის მხრივ საშიშროება აღარ გველის, ამ პროექტზე მუშაობა უნდა შევწყვიტოთ...

— სისულელეებს ნუ როშავთ, მეცნიერება წინ მიდის და მისი შეჩერება ამაო ცდაა. რა განსაცდელიც არ უნდა ჰქონ-

დეს შემონახული ბუნებას ადამიანისათვის, მან ყველაფერი უნდა მიიღოს, ვინაიდან არცოდნა მუდამ ცოდნაზე უარესია...

— თუნდაც გავანადგუროთ ყველაფერი, ჩვენ მიერ აღმოჩენილი, სულ ერთია, მეცნიერული ჭეშმარიტების ძიებაში სხვები მაინც იმ გზაზე გავლენ. მაშინ ვინ იცის, ვის ხელში აღმოჩნდება ბომბი?

— შეიქმნება ორგანიზაცია, რომელიც ატომურ გამოკვლევებზე საერთაშორისო კონტროლს დააწესებს. ატომური ბომბის წინაშე შიში ურთიერთნდობამდე მიგვიყვანს, ურთიერთნდობა კი — ერთიან მსოფლიო მთავრობამდე, და ომი არ იქნება...

— კაცობრიობა ამისათვის ჯერ მომწიფებული არ არის. ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ გამანადგურებელ საშუალებათა სრულყოფას ადამიანები დაეშინებინოს და ომის გაჩაღებაზე ხელი აეღოთ...

— ნახავთ, ქვეყნები ერთმანეთს გაეჯიბრებიან, ვინ მეტ ატომურ ბომბს აწარმოებს...

— მთავრობას წინადადება უნდა მივცეთ გაერთიანებული ერებისა და მსოფლიო საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით მოახდინოს ახალი იარაღის დემონსტრირება უდაბნოში ან რომელიმე დაუსახლებელ კუნძულზე...

— მაშინ ყველა ნახავს, რა იარაღიც გვაქვს ხელთ, მაგრამ არ გამოვიყენეთ...

ჩიკაგოს მეტალურგიული ლაბორატორია ბობოქრობდა. აქ გაიგეს, რომ იაპონიის წინააღმდეგ ატომური ბომბის გამოყენების საკითხი წყდებოდა. მეცნიერებმა იწყეს ლაპარაკი პოლიტიკურ მოღვაწეთა ენაზე, თავიანთი კომიტეტი შექმნეს და მის თავმჯდომარედ ნობელის პრემიის ლაურეატი პროფესორი ჯეიმს ფრანკი დანიშნეს. მათ ატომური ბომბის გამოყენებაზე პროტესტი განაცხადეს, მოხსენება შეადგინეს და სამხედრო მინისტრს სთიმსონს გადასცეს.

10 ივნისს ოპენჰეიმერმა ფერმი, ლოურენსი და კომპტონი ლოს-ალამოსში მიიწვია. ლოურენსმა სცადა „დროებითი კომიტეტის“ სხვა მრჩევლებს ოპოზიციაში ჩასდგომოდა. მას უხეში და არადამაჯერებელი არგუმენტები მოჰყავდა.

— გამიგეთ: იაპონიაში ‘ომ ჩემი ყოფილი მოწაფეები ცხოვრობენ.

— თქვენ კი გაიგეთ, — გააწყვეტინა მას ოპენჰეიმერმა, — რომ უდაბნოში ბომბის აფეთქება საჭირო შთაბეჭდილებას არ მოახდენს.

— არც ერთ ამ მყვირალას ფრონტზე ნათესავი არა ჰყავს. — დასძინა გენერალმა გროუვზმა. — მათ შეუძლიათ იაპონელთა მიმართ ლმობიერება გამოიჩინონ.

ლოურენსი დანებდა.

„ფრანკის მოხსენება სამხედრო მინისტრის კანცელარიაში ჩარჩა. სამაგიეროდ „დროებითი კომიტეტის" რეკომენდაცია მაშინვე პრეზიდენტის მაგიდაზე გაჩნდა:

1) ბომბი დაუყოვნებლივ უნდა გამოვიყენოთ იაპონიის წინააღმდეგ.

2) ის უნდა გამოვიყენოთ ორმაგი ობიექტის წინააღმდეგ, ესე იგი, სამხედრო ბაზის ან სამხედრო ქარხნისა და მის გარშემო მდებარე საცხოვრებელი სახლების წინააღმდეგ, რომლებიც შედარებით ადვილად დაინგრევა.

3) თანაც უნდა გამოვიყენოთ ისე, რომ წინასწარ არაფერი ვამცნოთ ატომური იარაღის თვისებისა და ბუნების შესახებ. სამხედრო გამოყენებისათვის ალტერნატივა არ არის".

კომიტეტის წევრმა რალფ ბარდმა სცადა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მას ყურს აღარავინ უგდებდა.

იარაღი შეიქმნა. წინააღმდეგობის გაწევა უკვე ძნელი იყო.

8

„დაე ნურვინ დაეჭვდება. მე ატომურ ბომბს სამხედრო იარაღად ვთვლიდი და არასოდეს ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ის უნდა ჩამოვარდნილიყო. პრეზიდენტის უმაღლესი სამხედრო და მეცნიერი მრჩევლები მისი გამოყენების რეკომენდაციას იძლეოდნენ"...

ასე წერდა შემდეგში თავის მემუარებში ჰარი ტრუმენი. ძნელია გავიგოთ, ამ სიტყვებში რა ჭარბობს — თავხედობა თუ სიმხდალე. ის თითქოს ამაყობს კიდეც, რომ სწორედ მას ხვდა წილად იელისის პირველ რიცხვებში საბოლოო გადაწყ-

ვეტილება მიეღო. ამავე დროს კი ცდილობს თავის მრჩევლებს ამოეფაროს...

კაცი, რომელსაც სინდისი სუფთა აქვს, ასეთ სტრიქონებს ვერ დაწერდა. პრეზიდენტის მრჩეველები შემდგომ ბევრს წერდნენ ამ საქმეზე, რათა შთამომავლობის წინაშე თავი ემართლებინათ, ისინიც სირცხვილის ჩამორეცხვას ლამობდნენ. ხოლო კაცი თავის მართლებას არ მოჰყვება, თუ ბრალი არ მიუძღვის.

1945 წლის 2 ივლისს სამხედრო მინისტრმა პრეზიდენტს მოახსენა: „...იაპონიას მოკავშირეები არა ჰყავს. მისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი თითქმის განადგურებულია და შეიძლება მოვუწყოთ წყალზედა და წყალქვეშა ბლოკადა, რომელიც მის მოსახლეობას აიძულებს იშიმშილოს. მისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქები, სამრეწველო ცენტრები და სოკვები პროდუქტების მარაგი ჩვენი ავიაციის დარტყმებისათვის ღიაა“...

იაპონიას ატომური ბომბის გარეშეც დააჩოქებდა საბჭოთა და ამერიკის ჯარების ერთობლივი დარტყმები. მაგრამ ტრუმენი ჩქარობდა, ის უკვე „ცივ ომზე“ ფიქრობდა. ეს პატარა ბაყალი ცდილობდა შორს ეცქირა, უნდოდა მსოფლიო დაეშინებინა, მას უნდოდა რუსეთი მოეთოკა და ისტორიაში შესულიყო, და მოიხვეჭა კიდეც ჰეროსტრატეს სახელი...

9

ივლისის დასაწყისში დოქტორი კომპტონი ჩიკაგოში დაბრუნდა და მალე დეპეშა მიიღო. რობერტ ოპენჰეიმერი მას სათევზაოდ იწვევდა. კომპტონმა დეპეშა თავისებურად წაიკითხა.

თექვსმეტ ივლისს ჩიკაგოს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ნიუ-მექსიკოს შტატში აფეთქდა საომარი იარაღების საწყობი. ამ აფეთქებას უცნაური ნათება ახლდა, რომელიც მთელი რიგი ქალაქების მცხოვრებლებმა დაინახეს. საღამოს კი კომპტონის ბინაზე ტელეფონმა დარეკა.

— ა, ეს თქვენა ხართ, ოპი, — უთხრა კომპტონმა და ჭაღარა ულვაშებს ჩვეულებისამებრ თითებით წიწკნა დაუწყო.— როგორ არის იქ საქმე?

— უთუოდ დაგაინტერესებთ, არტურ, იმის გაგება, რომ

ჩვენ ძალიან დიდი თევზი დავიჭირეთ, — მოისმა ოპენპეიმერის შორეული ხმა.

17 ივლისს ტრუმენი, რომელიც პოტსდამის კონფერენციაზე სთიმსონთან, მარშალთან, არნოლდთან და სხვა მაღალ თანამდებობის მრჩევლებთან ერთად ჩამოვიდა, ბერლინში გაემგზავრა. მან დაინახა გერმანელები, რომლებიც თავიანთ ბარგი-ბარხანას ურიკებით უხალისოდ მიათრევდნენ, ალმაცერად გადახედა რაიხსტაგის მინაჩალეწილ ფანჯრებს და წითელ დროშას, რომელსაც ქარი აფრიალებდა.

მგზავრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იქ, სადაც ოდესღაც უნტერ დენ ლინდენი იყო, პრეზიდენტის კორტეჟს ჯიპი დაეწია. ოფიცერმა ტრუმენს მხედრული სალამი მისცა და რადიოგრამა გაუწოდა.

„მშობიარობამ კარგად ჩაიარა!" — წაიკითხა პრეზიდენტმა და მაშინვე პოტსდამში წასვლა ბრძანა.

იმავე დღეს გენერლები მარშალი და არნოლდი სთიმსონის ვილაზე გამოიძახეს. მინისტრმა მათ რადიოგრამა აჩვენა, რომელიც ალამოგორდოში ატომური ბომბის წარმატებით გამოცდას აუწყებდა.

„ექიმი ეს-ესაა კმაყოფილი დაბრუნდა, დარწმუნებულია, რომ ჩვილი თავის უფროს ძმასავით ჯანმრთელია"...

„ჩვილი" და „უფროსი ძმა" პლუტონისა და ურანის ბომბები იყო.

— ჯენტლმენებო, — თქვა სამხედრო მინისტრმა,—საჭიროა საბოლოოდ დავაზუსტოთ დაბომბვის ობიექტები. გენერალო არნოლდ, გთხოვთ შემდეგი სხდომისათვის მოამზადოთ თქვენი მოსაზრებები. აჩქარება გვმართებს. გახსოვდეთ, როგორც კი რუსეთი იაპონიის წინააღმდეგ ომს დაიწყებს, თუკი საერთოდ დაიწყებს მას, იაპონელები ზავის შესაკრავად უთუოდ ნებისმიერ პირობებზე დასთანხმდებიან.

ასევე ჩაიწერა ამ თათბირის ოქმშიც.

10

„იაპონია დამარცხებულია. ჩვენ ამ ფაქტის წინაშე ვდგავართ და შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ".

გენერალმა არნოლდმა რამდენჯერმე გადაიკითხა ქაღალდი, ეს-ესაა ადიუტანტმა რომ მოუტანა. ეს იყო რადიოგრამა, რო-

მელიც იაპონიის პრემიერმა ტოგომ მოსკოვში გაუგზავნა თავის ელჩს სატოს. ამერიკელებმა დიდი ხანია გახსნეს დიპლომატიური მიმოწერისათვის განკუთვნილი იაპონელების საიდუმლო კოდი და მას შეუცდომლად კითხულობდნენ. არნოლდმა რადიოგრამა გვერდზე გადადო და საბუთების სქელი დასტა აიღო, რომელიც შეერთებული შტატებიდან თვითმფრინავით ჩამოიტანეს.

ამ დღეებში პრეზიდენტთან ერთად ჩამოსული ყველა სამხედრო კითხულობდა გენერლების გროუვზისა და ფარელის მოხსენებებს ნიუ-მექსიკოს შტატში ატომური ბომბის გამოცდის შესახებ. გროუვზი, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ფაქტებს აღწერდა და ემოციებით შეფერილ სიტყვებს გაურბოდა. სულ სხვა იყო გენერალ ფარელის მოხსენება. აფეთქების წინა წამების მისეულ აღწერას რომ კითხულობდნენ, სამხედროები მხოლოდ თავს აქნევდნენ — უგულონი უკმაყოფილოდ, სხვები აღფრთოვანებით. ზოგჯერ შურითაც კი. ფარელის მოხსენება შემდგომ არაერთხელ ქცეულა ჟურნალისტთა შთაგონების წყაროდ.

„...დარჩენილი იყო არა წუთები, არამედ წამები და დაძაბულობა წარმოუდგენლად სწრაფად მატულობდა. ვინც საკომანდო პუნქტში იმყოფებოდა, იცოდა საშინელი პოტენციალური შესაძლებლობები იმისა, რაც უნდა მომხდარიყო. მეცნიერები გრძნობდნენ, რომ გამოთვლები სწორი იყო და ბომბი აფეთქდებოდა, მაგრამ ყველას მაინც ეპვის ჭია ულრღნიდა გულს. ბევრის გულისთქმა შეიძლებოდა გადმოგვეცა სიტყვებით: „უფალო, მრწამს, მექმენ მოწყალედ ჩემს ურწმუნოებაში“.

ჩვენ შეუცნობლისკენ მივდიოდით და არ კი ვიცოდით, რა გამოვიდოდა ყოველივე ამისგან. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ დამსწრეთა უმრავლესობა მხურვალედ ლოცულობდა. ასე მხურვალედ არასდროს ულოციათ. თუ აფეთქება წარმატებით დამთავრდებოდა, გამართლდებოდა ათი ათასობით ადამიანის — სახელმწიფო მოღვაწეების, მეცნიერების, ინჟინრების, მრეწველების, ჯარისკაცებისა და სხვების ინტენსიური შრომა...

ამ დროს ნიუ-მექსიკოს შორეულ უდაბნოში რამდენიმე ათასი ადამიანის კოლოსალურ გონებრივ და ფიზიკურ ძალის-

ხმევას უცებ უნდა გამოეღო ნაყოფი. დოქტორი ოპენჰეიმერი, რომელსაც პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი აწვა, სულ უფრო და უფრო ნერვიულობდა. ფეხზე ძლივს იდგა, სულგანაბული ბოძს მიჰყრდნობოდა. ბოლო წამებში თავი არც მოუბრუნებია, ხოლო მას შემდეგ, რაც დიქტორმა იყვირა, დროაო, როცა აუტანელმა სინათლემ იფეთქა და მჭექარე აფეთქების გუგუნი გაისმა, მას სახე უცებ დაუწყნარდა — ჩანდა, რომ გულზე მოეშვა. რამდენიმე მეთვალყურე, რომლებმაც თავშესაფრიდან თავი გამოყვეს სინათლის ეფექტის დასანახად, დარტყმის ძალამ წააქცია.

საკომანდო პუნქტში დაძაბულობამ იკლო. ყველა ერთმანეთს ულოცავდა. „აი, ისიც!“ — ფიქრობდა თითოეული. რაც უნდა მომხდარიყო, ყველამ იცოდა — გაკეთდა შეუძლებელი. ატომგულის დაშლა უკვე აღარ იყო ფიზიკოს-თეორეტიკოსების ოცნება, ის თითქმის მოწიფული დაიბადა. თავშესაფარში მყოფთაგან ყველა გრძნობდა, რომ ახლა თავიანთი ცხოვრება უნდა შეალიონ იმას, რომ მათი აღმოჩენა მხოლოდ სიკეთეს ემსახურებოდეს და არა ბოროტებას,

დოქტორმა კონანთმა გენერალ გროუვზს ხელი ჩამოართვა. დოქტორმა ბუშმაც, რომელიც გენერალს მეორე მხრიდან უდგა, იგივე გაიმეორა. დოქტორ კისტიაკოვსკის სიხარულის ყიჟინა აღმოხდა და დოქტორ ოპენჰეიმერს გადაეხვია...

მთელი მიდამო მხურვალე სხივებმა გაანათა, რომლის სიკაშკაშე ბევრად აღემატებოდა შუადღის მზის ბრწყინვალებას. სინათლე ოქროსფერი, მეწამული, იისფერი, ლურჯი და ნაცრისფერი იყო. მახლობელი ქედების თითოეული მწვერვალი, ხეობა და თხემი ისე ნათლად იკვეთებოდა და ისეთი თვალწარმტაცი გახლდათ, რომ შეუძლებელია ამის აღწერა, ეს საკუთარი თვალით უნდა გეხილათ. თვით დიდ პოეტებსაც კი, ასეთ სილამაზეზე რომ ოცნებობდნენ, სიტყვები არ ეყოფოდათ მის ასაწერად. აფეთქებიდან ოცდაათი წამის შემდეგ ჰაერის ტალღა მძლავრად დაეჯახა საგნებსა და ადამიანებს. მაშინვე გაისმა მჭექარე, შემზარავი, გამყინავი გრუხუნი, რომელიც განკითხვის დღის ბუკის ხმას ჰგავდა და თავი ვიგრძენით უბადრუკ არსებებად, რომლებმაც გაბედეს შეხებოდნენ ძალას, უზენაესმა თავისთვის რომ შემოინახა. არანაირ სიტყვას არ ძალუძს იმის გადმოცემა, რაც ჩვენ განვიცადეთ. ყველაფერი ეს რომ გაიგოთ, საკუთარი თვალით უნდა იხილოთ“.

— გადაყრუებული სანტიმენტალური რეგვენი, — თქვა გენერალმა არნოლდმა, როცა გენერალ ფარელის მოხსენების ბოლო გვერდი ჩაიკითხა.

11

21 ივლისს სთიმსონთან კვლავ შეიკრიბნენ შტატების გენერლები. გენერალმა ჰენრი არნოლდმა მინისტრს მოახსენა:

— სერ, — ოპერაციის წარმატებით დასამთავრებლად აუცილებელია წყნარი ოკეანის ასპარეზზე სტრატეგიული ავიაციის მთავარსარდლის გენერალ სპაათსისა და მანჰეტენის პროექტის ხელმძღვანელის გენერალ გროუვზის მჭიდრო ურთიერთქმედება. რაც შეეხება დაბომბვის ობიექტებს, წინადადება შემომაქვს მოწონებული იქნეს ის ქალაქები, რომელიც დოქტორ ოპენჰეიმერის საძიებო ჯგუფმა ჯერ კიდევ მარტში შეარჩია, მით უფრო, რომ მას შემდეგ ისინი სულ არ დაუბომბავთ. დავასახელებ ობიექტებს მათი მნიშვნელობის მიხედვით.

ხიროსიმა — 218 ათასი მცხოვრები, მსხვილი სამრეწველო ცენტრი, მეხუთე არმიისა და 25 ათასი ჯარისკაცის დისლოკაციის ადგილი.

კოკურა — 173 ათასი მცხოვრები, ფოლადსასხმელი და ქიმიური ქარხნები, კუნძულების ხონსიუსა და კიუსიუს შემაერთებელი გვირაბის სამხრეთ გასასვლელის მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. ეს საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ, როგორ იმოქმედებს აფეთქება მსხვილ საინჟინრო ნაგებობებზე.

ნაგასაკი — 197 ათასი მცხოვრები, მსხვილი გემთსაშენები.

წინადადება შემომაქვს, — განაგრძო არნოლდმა, — ქალაქი ნიიგატუ სიიდან ამოვიღოთ, ვინაიდან ის ჩამოთვლილი სამი ობიექტიდან გაცილებით ჩრდლოეთით მდებარეობს. ქალაქი კიოტო, სერ, თქვენ თვითონ ამოშალეთ, თუმცა დასანანია, რადგან ქვაბურში მდებარეობს, ეს კი საშუალებას მოგვცემდა ატომური იარაღი უდიდესი ეფექტით გამოგვეყენებინა და მთლიანად გამოგვევლინებინა მისი დამანგრეველი ძალა.

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ძველი დედაქალაქია, იაპონელების წმინდა ქალაქი, — თქვა სთიმსონმა. — ხალხის

რელიგიურ გრძნობებს პატივი უნდა სცეს, თუნდაც მტერი იყოს შენი. ნიიგატუს კი ჯერჯერობით თავი დავანებოთ.

სთიმსონი ღვთისმოსავი იყო და, გარდა ამისა, მასზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მზვერავი-იაპონიისმცოდნის პროფესორ რეიშაუერის თავდადებულმა შუამდგომლობამ.

— წინადადება შემომაქვს, — დასძინა არნოლდმა, — ბომბები დავუშინოთ იაპონიის ქალაქებს ასეთი თანმიმდევრობით: — ხიროსიმა, კოკურა და ნაგასაკი. თუ პირველი მნიშვნელოვანი ობიექტი ღრუბლებით იქნება დაფარული, მაშინ დავბომბოთ მეორე და ასე შემდეგ...

— იქნებ ჯობდეს ბრინჯის მინდვრები ან სამეედრო ობიექტები დავბომბოთ, — თქვა ერთ-ერთმა გენერალმა, — მაგალითად, კუნძული ტრაქი. მისი გარნიზონი სულ ერთია განწირულია, შეტევა რამდენიმე დღეში დაიწყება. შეიძლება იაპონიის მთავრობაც გავაფრთხილოთ, დაე უყურონ ამ სეირს.

— მაშინ იაპონელები იქ სამხედრო ტყვეებს მოუყრიან თავს. — გესლიანად შენიშნა სთიმსონმა. — არა, ჯენტლმენებო, საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია. ჩვენ პრეზიდენტის პირდაპირი მითითება გვაქვს...

ამრიგად, სიაში პირველი ხიროსიმა ეწერა, მერე — კოკურა, შემდეგ — ნაგასაკი და ნიიგატა.

12

გენერლების გროუვზისა და ფარელის მოხსენებები სთიმსონმა პრეზიდენტს ვილაში მიუტანა და ხმამაღლა წაუკითხა.

ტრუმენი თითქოს შეცვალესო. ახლა ის რუსებთან მოლაპარაკებისას მეტ შეუპოვრობას იჩენდა და ქედმაღლურადაც კი იქცეოდა. ჩერჩილი გაოცებული შესცქეროდა ამერიკელ პრეზიდენტს, სანამ ცნობილი მოხსენებები არ აჩვენეს.

სთიმსონმა თავის დღიურში ჩაწერა:

„ჩერჩილმა გროუვზის მოხსენება მთლიანად წაიკითხა და დიდი სამეულის გუშინდელ შეხვედრაზე მიამბო. იმის მიხედვით, თუ რა ენერგიულად, გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა რუსებს ტრუმენი და მათ მოთხოვნას კატეგორიულად უარყოფდა, იგი მიხვდა, რომ პრეზიდენტი რაღაცით იყო შთაგონებუ-

ლი. „ახლა მესმის, ასე რად იქცეოდა, გუშინ კი მიზეზს ვერაფრით ვერ მივხვდი; კონფერენციაზე რომ მოვიდა, მოხსენება უკვე წაკითხული ჰქონდა და ამან სულ შეცვალა კაცი. მან მტკიცედ განუცხადა რუსებს, რაზე იყო თანახმა და რაზე — არა, და, საერთოდ, ამ სხდომაზე მბრძანებლობდა". ჩერჩილმა დასძინა, რომ მისთვის გასაგებია ტრუმენის გამოცვლების მიზეზები და თავადაც ახლა იმასვე განიცდის".

ისტორიამ მასხარად აიგდო კონსპირაციობახას ბავშვური თამაში, რომელსაც ამერიკელი ხელმძღვანელები ეწეოდნენ.

მიუხედავად ამისა, 25 ივლისს ტრუმენმა თავის დღიურში ჩაწერა: „მე გადაწყვეტილება მივიღე".

13

სრულიად საიდუმლოდ
24 ივლისი, 1945 წ.

აშშ-ის სტრატეგიული სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალს გენერალ კარლ სპაატსს

1. მე-20-ე საჰაერო არმიის 509-ე ნაკრებმა პოლკმა 1945 წლის 3 აგვისტოს შემდეგ პირველი სპეციალური ბომბი ჩამოაგდოს ობიექტებზე: სიროსიმაზე, კოკურაზე, ნაგასაკსა და ნიიგატაზე, როგორც კი ამინდი ბომბის მიზანში დაშენის საშუალებას მისცემს. აფეთქების შედეგებზე დაკვირვებისათვის თვითმფრინავს, რომელზეც ბომბი იქნება, უნდა ახლდეს სამხედრო სამინისტროს თვითმფრინავები სამხედრო და სამოქალაქო პერსონალით.

2. ზემოთ ჩამთვლილ ობიექტებზე ჩამოგდებული იქნეს სხვა ბომბები, როგორც კი მათ დაამზადებენ. ობიექტების შეცვლის შემთხვევაში მიიღებთ დამატებით მითითებას.

3. იაპონიის წინააღმდეგ იარაღის გამოყენების თაობაზე ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელების ნება აქვთ მხოლოდ სამხედრო მინისტრსა და შეერთებული შტატების პრეზიდენტს. მეთაურებს ეკრძალებათ რაიმე ინტერვიუს მიცემა უმაღლესი მთავარსარდლობის ნებართვის გარეშე. ყველა საგაზეთო კორესპონდენცია უნდა გამოიგზავნოს სამხედრო სამინისტროში სპეციალური ცენზურისათვის...

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

8.15 ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ

ჯარისკაცი... მას არაფერი აბადია შიშველ ფეხებზე ამოცმული წაღებისა და ხმლის გარდა.

კიდევ ერთი ჭაბუკი ჯარისკაცი. ხელები გადამტვრეული აქვს, ფეხები — დაშავებული. დაჭრილი ჯარისკაცები საბნებში გახვეულან, გზებზე დაეხეტებიან და შველას ითხოვენ.

ქანცგაწყვეტილთ ტირილიც არ შეუძლიათ.

ხახაგამშრალებს სუსტი კვნესა თუ აღმოხდებათ. მილასლასებენ და ერთმანეთის მიყოლებით ძირს ცვივიან.

...ირგვლივ უველაფერი გარინდულა, თითქოს დრომ შეწყვიტა სრბოლა. სიჩუმეს გიჟის ხმა არღვევს, რომელიც განუწყვეტლივ გაჰკივის: „თვითმფრინავები!.. ბ-29“... ის ველარასოდეს დადგება დაშავებულ, გასისხლიანებულ, ტალახით მოსვრილ ფეხებზე და ვერაფერს დაინახავს დათხრილი თვალებით. შიშველი, დაიარებული ჯარისკაცები კოჭლობით ძლივსღა მილასლასებენ, მიხოხავენ, თავის გადარჩენას ლამობენ და გზებზე დაჭრილებს ტოვებენ.

სიოსეის ხიდთან კი, აფეთქების რაიონის ეპიცენტრთან, იაპონელი ჯარისკაცების გვამებთან ერთად აგდია ორი მკედარი ამერიკელი ჯარისკაცი, რომლებსაც მაჯებზე ხელბორკილები ადევთ...

ლაქვარდოვან ცაში აჭრილი ღრუბელი შესქელდა, გაიზარდა და დეღამიწას მძიმე შავი წვიმა დაუშინა. შემდეგ ცისარტყელა გამოჩნდა.

შავი წვიმა სუდარად ჩამოჰფარებია ცას, რომელზეც ნამდვილი შვიდფერი ცისარტყელა ბრწყინავს.

კომენტარი ირისა და ტოსიკო მარუკის პანოსთვის — „ცისარტყელა“.

1

ბილ ლორენსს შეაგვიანდა. იგი ტინიანში 5 აგვისტოს ჩავიდა, როცა ბომბს უკვე ტვირთავდნენ ვეებერთელა ვერცხლისფერ ბომბდამშენ ბ-29-ში.

ჯერ კიდევ 4 აგვისტოს ლორენსმა არ იცოდა, სად მიჰყავდათ. ტინიანი სასტიკად იყო გასაიდუმლოებული. ს-54, რომ-

ლითაც ლორენსი კალიფორნიიდან ჰავაის კუნძულებზე გამოფრინდა, შუა გზიდან დაბრუნდა უკან, ვინაიდან ჰიკამის სამხედრო აეროდრომი თვითმფრინავებს არ იღებდა. 5 აგვისტოს, როგორც იქნა, გუამამდე ჩააღწია. იქ მას კონტრადაზვერვის უფროსი ლეიტენანტი დელ ჯენიო შეხვდა, რომელმაც ტიხიახაძდე ძიაცილა.

მაგრამ ლორენსმა დანამდვილებით იცოდა — რაკი ნიუ-მექსიკოში უკვე ნახა ატომური გამოცდა, მაშასადამე, ნება დართეს ნახოს პირველი ატომური აფეთქება იაპონიის ქალაქებში. მაშინვე ძებნა დაუწყო გენერალ ფარელს იმ იმედით, რომ ის ნებას მისცემდა ფრენაში მონაწილეობა მიეღო. გენერალ ლორენსს ის ლოს-ალამოსიდან იცნობდა.

— პრესას ვახლავარ! — მიესალმა გენერალი. — მშვიდობა თქვენს მობრძანებას.

— ბატონო გენერალო, ნება მომეცით ამაღამ გავფრინდე.

— არა, ჩემო ძვირფასო, უკვე გვიანაა. შემდეგ ჯერზე გაფრინდებით, 11 აგვისტოს.

— კი მაგრამ, შემდეგი ჯერი ხომ შეიძლება არც დადგეს.

— ღმერთმა გისმინოთ, — უპასუხა გენერალმა.

ღრიალებდნენ დასაჯდომად თუ ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავების ძრავები, ბეტონის გზაზე მიდი-მოდიოდნენ ეკიპაჟიანი ჯიპები. ლორენსმა იფიქრა, დროს მაინც უქმად ვკარგავთ და გადაწყვიტა თავისი კორესპონდენტული ბაგაჟი შეევსო.

მალე გაიგო, რომ 509-ე ნაკრები პოლკი — ეს იყო რაღაც კუნძული კუნძულზე: 150 მფრინავი და ორი ათასამდე მომსახურე პერსონალი სხვა პოლკებისგან განცალკევებით ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ.

აეროდრომიდან ცოტა მოშორებით სახლები იდგა და მათთან მისასვლელი გზა ეკლიანი მავთულით იყო გადაღობილი. გზას სამხედრო პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფი იცავდა. ჰაერის კონდიცირების მოწყობილობებით აღჭურვილ დიდ შენობაში მეცნიერთა პატარა ჯგუფი ატომურ ბომბს აწყობდა. თუმცა, სიტყვა „ატომურს" ხმამაღლა არ წარმოთქვამდნენ.

სხვა პოლკების მფრინავები საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად მიფრინავდნენ. ისინი იაპონელთა სიმაგრეებსა

და ქალაქებს ბომბავდნენ. ბევრი იღუპებოდა. თვითმფრინავები ხშირად ფრთადაცხრილულნი, დაჭრილი ეკიპაჟით ბრუნდებოდნენ. „ხუთასმეცხრეულებს“ სადაც წაასწრებდნენ, ამასხარავებდნენ. ენამწარობაზე ისინი ვერ პასუხობდნენ, რადგან თვითონაც არ იცოდნენ, რატომ ცხოვრობდნენ დაცვის ქვეშ და ასე საიდუმლო ვითარებაში. კანტიკუნტად მათ პატარ-პატარა ჯგუფებად (სამ-სამი თვითმფრინავით) მტრის რომელიმე ობიექტზე უშვებდნენ და ერთადერთი ბომბის ჩამოგდებას ავალებდნენ, რომელიც არმიულ ჟანგორზე „გოგრად“ მონათლეს (გადაკეთებული თვითმფრინავები ჩვეულებრივი ბომბების საზიდად აღარ ვარგოდა და მათთვის განსაკუთრებული ფორმის ბომბებს ამზადებდნენ).

მთელი ტინიანი გესლიან სიმღერას მღეროდა:

ვინ მიხვდება მართლაც ამდენს,
ან რას ჰამდნენ, ან რას სვამდნენ...

იაპონური რადიოც კი, რომელსაც ეტყობა თავისი დაზვერვისაგან რაღაც შეეტყო, „ხუთას მეცხრეს“ დასცინოდა.

ასე გაგრძელდა, სანამ პოტსდამიდან გენერალ სპაათსმა ბრძანება არ მიიღო.

რამდენიმე თვითმფრინავით ბომბი უკვე სან-ფრანცისკოში ჩაიტანეს და ამერიკული ფლოტის ყველაზე სწრაფმავალ კრეისერ „ინდიანაპოლისზე“ გადატვირთეს. ამის შესახებ მთელ გემზე მ'ოლოდ სამმა კაცმა იცოდა, მაგრამ მეზღვაურები ხვდებოდნენ, რომ ხის ყუთებში რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო და ზედ იაპონელთა მისამართით უწმაწურ სიტყვებს აწერდნენ. კრეისერმა ტინიანში მშვიდობით ჩააღწია, ვინაიდან მისი სავალი ოკეანეში წინდაწინ გაწმინდეს, რათა გემი წყალქვეშა ნავების მსხვერპლი არ გამხდარიყო.

ტინიანში გადმოტვირთვის შემდეგ გემმა კურსი ფილიპინებისაკენ აიღო და 30 ივლისს იაპონიის წყალქვეშა ნავის მიერ ნასროლი ტორპედოს მსხვერპლი გახდა. მაშველი გემი მასთან მხოლოდ მეოთხე დღეს მივიდა, როცა ეკიპაჟის 1195 კაციდან ცოცხალი მხოლოდ 316 დარჩა.

28 ივლისს 509-ე პოლკიდან სამმა B-29-მ ჩამოიტანა აქტიური მასალები, ელექტრომოწყობილობა და ჩამოიყვანა გენერალ გროუვზის მოადგილე გენერალი ფარელი. ერთ-ერთ

თვითმფრინავს საქე გაეჭედა და აფრენის დროს კინაღამ დაიღუპა, ტინიანზე ის მხოლოდ 2 აგვისტოს მოფრინდა.

ხუთ აგვისტოს კი ატომური ურჩხული უკვე „ენოლა ჰეის“ ბომბის ნაკვთურში იდო. ასე ერქვა პოლკოვნიკ პოლ თიბეთსუმცროსის დედას და ეს სახელი დაარქვა მან თავის მანქანას.

საამწყობო შენობიდან ბომბი 14 საათსა და 30 წუთზე გამოიტანეს. კორტეჟი, რომელიც თვითმფრინავს უახლოვდებოდა, ლორენსს სამგლოვიარო პროცესიად მოეჩვენა. წინ ჯიპით სამხედრო პოლიცია მიდიოდა, მას მიჰყვებოდა სატვირთო მანქანა ბრეზენტგადაფარებული ბომბით, რომელიც ბუმბერაზ გვამს მოჰგავდა. მათ უკან გენერალ ფარელის მეთაურობით ოფიცრები მოდიოდნენ ძახქახებით.

ტინიანში მიმავალი გენერალი ფარელი გუამაში შეჩერდა, სადაც მეოცე საჰაერო არმიის მთავარსარდლის გენერალ ქერთის ლემეის და ფლოტის მთავარსარდლის ადმირალ ჩესთერ ნიმიტცის შტაბი იყო. გადაწყდა, რომ წყალქვეშა ნავები ატომური ბომბდამშენების ფრენის მიმართულებით განელაგებინათ და თუ გაჭირდებოდა, „მფრინავი ნავები“ მზად ჰყოლოდათ მისაშველებლად.

თათბირის შემდეგ ადმირალმა ნიმიტცმა გენერალი ფარელი ფანჯარასთან მიიყვანა და თითით უჩვენა კუნძული, რომელიც გუამიდან მოჩანდა.

— ეს კუნძული როტაა, — უთხრა ადმირალმა, — კუნძულზე დაახლოებით სამი ათასი იაპონელია. ძალიან გვაწუხებენ. რადიოსადგური აქვთ. მათ ყველაფერი იციან, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და თავიანთ შტაბს ცნობებს უგზავნიან. იქნებ გაქვთ რაიმე პატარა ბომბი, რომ როტაზე ჩამოაგდოთ? არა მგონია, რომ ახლა იქ დესანტის გადასხმა ღირდეს. მაგრამ იაპონელები ხელს გვიშლიან.

— სამწუხაროდ, ადმირალო, — უპასუხა ფარელმა, — ყველა ჩვენი ბომბი ძალიან დიდია[1].

---

[1] „სულ მალე გუამაზე ფარელის ჩამოსელის შემდეგ, — წერდა მოგვიანებით გენერალი გროუვზი,—სპაათსისაგან დეპეშა მოვიდა. იგი იუწყებოდა, რომ... ნაგასაკიდან ერთი მილის დაშორებით მდებარეობდა ბანაკი, რომელშიაც მოკავშირეთა არმიების რამდენიმე ასეული ტყვე ჰყავდათ“. გენერალ გროუვზის დაკინებით ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: „გაეგზავნოს სპაათსს მითითება, რომ ეს ფაქტი მხედველობაში არ იქნეს მიღებული“.

5 აგვისტოს, ადრე დილით, ცნობილი გახდა, რომ მეორე დღეს საპასუხისმგებლო სამხედრო გაფრენისათვის ხელსაყრელი ამინდი იქნებოდა. გამალებით დაიწყეს ბომბის გამზადება დასატვირთავად. აქ პატარა შეფერხება მოხდა.

პირველი რანგის კაპიტანს უილიამ პარსონსს მეტსახელად „დიაკონს" ეძახდნენ არა მანერების გამო, არამედ გვარის ასოციაციით. „Parson" ინგლისურად „მღვდელმსახურს" ნიშნავს. თიბეთსს იგი პირველად კოლორადო სპრინგსში შეხვდა, სადაც პოლკოვნიკმა თავის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის ამბავი გაიგო. სანამ თიბეთსი იუტის შტატში ეკიპაჟს წვრთნიდა, პარსონსი ლოს-ალამოსში დაბრუნდა და ატომური ბომბის ვარდნის ტრაექტორიის გამოთვლას ანგარიშობდა. იგი ლოს-ალამოსის ლაბორატორიის სამხედრო განყოფილების უფროსი იყო.

ინჟინერ-არტილერისტი ასაფეთქებელ მოწყობილობებზეც მუშაობდა. ერთ-ერთ ამ მოწყობილობას ატომური ბომბი მიზნიდან 1800 ფუტ სიმაღლეზე უნდა აეფეთქებინა. ბუნებრივია, პარსონსი დაინიშნა ტექნიკოსთა ჯგუფის უფროსად, რომელსაც ბომბი უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად უნდა აღეჭურვა.

მარტო გუშინ აფრენის დროს დატვირთული ოთხი მძიმე ბომბდამშენი ბ-29 დაიწვა. მაშინ კი შეშფოთდნენ. ერთიც ვნახოთ და „ენოლა ჰეის" აფრენის დროსაც მოხდეს ავარია? დაიღუპება ათი ათასობით ადამიანი, ასობით ბომბდამშენი. პარსოხსი გენერალ ფარელს ეახლა.

— თქვენ იცით, რომ თუ ჩვენ ხვალ ზოლის ბოლოს წაიფორხილეთ და თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა, შეიძლება აფეთქდეს, — უთხრა მან გენერალს. — ჩვენი მშვენიერი ტინიანი ჰაერში ავარდება, თავად ჩვენ კი აქტიური გაზების ქულად ვიქცევით.

— რა გაეწყობა! — უპასუხა გენერალმა, — ვილოცოთ, რომ ეს არ მოხდეს.

— მაგრამ თუ ბომბს საბოლოოდ ჰაერში ავაწყობ, ეს არ მოხდება.

— მაშასადამე, თქვენ გინდათ ყველაფერი ისე მოაწყოთ, რომ მარცხის შემთხვევაში დაკარგოთ მხოლოდ თვითმფრინავი, ბომბი, ეკიპაჟი, დაგკარგოთ თქვენ, კუნძული კი გადარჩეს. ვგონებ სწორად გაგიგეთ? — ჰკითხა გენერალმა.

— დიახ.

— კარგი აზრია. აგიწყვიათ ოდესმე ასეთი ბომბი?

— არა, მაგრამ მთელი დღე წინა მაქვს და შემიძლია გაეერკვე, როგორ უნდა ამის გაკეთება...

— გაერკვიეთ, გაერკვიეთ, — უთხრა გენერალმა ფარელმა.

პარსონსმა მეცნიერებს მიაშურა, რომლებიც მთელი დღე უსნიდნენ და უჩვენებდნენ, რა როგორ კეთდებოდა. საღამოხანს პარსონსს იმედი მიეცა, რომ ის ამ საქმეს თავს გაართმევდა...

5 აგვისტოს, საღამოს ათ საათზე ექვსი გადარჩეული ეკიპაჟი ინსტრუქციების მისაღებად შეიკრიბა. ეს უკვე მეორე ინსტრუქტაჟი იყო. 4 აგვისტოს, დილით, პოლკოვნიკმა თიბეთსმა თავის კაბინეტში მიიწვია პილოტები — მაიორი მარკვარდთი და კაპიტანი სუინი, ლუისი, იზერლი... იქ მათ ელოდნენ პირველი რანგის კაპიტანი პარსონსი და სხვა მეცნიერები. თიბეთსმა მოკლედ ილაპარაკა ძლიერ ბომბზე, ისე, რომ სიტყვა „ატომური" არ დასცდენია. მფრინავებმა ნახეს რამდენიმე ფილმი ნიუ-მექსიკოში პირველ საცდელ აფეთქებაზე.

— სარდლობას მიაჩნია, რომ ეს ბომბი ომის დამთავრებას დააჩქარებს, — თქვა ბოლოს თიბეთსმა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა: — ჩვენი გაფრენა დანიშნულია ზეგ, ექვს აგვისტოს, 2 საათსა და 45 წუთზე.

8

ეს ყველაფერი ლორენსმა მაშინ გაიგო, აეროდრომზე რომ დაეხეტებოდა და არეულ-დარეულობაში 509-ე პოლკის პილოტებს ეძებდა. მან უკვე მოასწრო დამეგობრებოდა კაპიტან რობერტ ლიუსს, „ენოლა ჰეის" მეორე პილოტს, რომელიც ის-ის იყო ბოლო საცდელი ფრენიდან დაბრუნდა. საათის ათზე ბარში, სადაც კათხა ლუდის დასალევად შევიდნენ, მათთან შიკრიკი მივიდა და კაპიტანს პოლკოვნიკ თიბეთსის ბრძანება გადასცა — კლუბში გამოცხადებულიყო ინსტრუქტაჟისათვის.

— წავიდეთ, ბილ, — უთხრა ლუისმა, — ვნახოთ, რას გვეტყვის დღეს „ბებერი ხარი“.

— „ბებერი ხარი?“ ეს თიბეთსის მეტსახელია? — ჰკითხა ლორენსმა.

— ჰო.

— კი მაგრამ, რამდენი წლისაა თქვენი ბებერი ხარი?

— ოცდაათისა. ხოლო თუ მისი პედანტობითა და ხასიათის ძიხედვით განვსჯით, ორმოცდაათი შეუგროვდება. თქვენ დაგრთეს ნება ინსტრუქტაჟს დაესწროთ?

— დიახ. გულდასაწყვეტია მხოლოდ, რომ თქვენთან ერთად ფრენა არ მომიწევს. როგორ არ გამიმართლა, ბობ.

— არაფერია, ყველაფერს გიამბობთ.

ზუსტად 10 საათზე ექვსი თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები კლუბის შეუღებავ გრძელ სკამებზე ისხდნენ. შენობა ახალი იყო და ჰაერში ჯერ კიდევ იდგა ახლადგაშალაშინებული ფიცრებისა და კირწყლის სუნი. ჩვეულების საწინააღმდეგოდ, დარბაზში სიჩუმე იყო, არავინ არ ოხუნჯობდა, არ ლაპარაკობდა. მეთაურები თავიანთ ეკიპაჟებს ჯერ არაფერს ეუბნებოდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელნი გრძნობდნენ, რომ უჩვეულო რამ მოხდებოდა და ბოლოს და ბოლოს გაიგებდნენ, ასე დიდხანს რატომ აიძულეს ამხანაგების დაცინვა ეთმინათ.

პოლკოვნიკი თიბეთსი სცენაზე ავიდა.

— ამაღამ, — თქვა მან, — მოხდება ის, რასაც ყველანი ველოდით. გავიგებთ, წარმატებით დამთავრდება თუ არა რამდენიმე თვის ვარჯიში. ის, რასაც ჩვენ ამაღამ გავაკეთებთ, შესაძლოა ისტორიაში შევიდეს. ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, ჩამოვაგდოთ ბომბი, რომელიც ყველა იმ ბომბისაგან განსხვავდება, რომელზედაც უწინ გვსმენია. ამ ბომბის აფეთქება თავის დამანგრეველი ძალით ოცი ათასი ტონა ტოლის აფეთქების ტოლია.

თიბეთსმა არც ახლა ოსმარა აკრძალული სიტყვა „ატომი“, არც იყო საჭირო, აქ დამსწრეთაგან ეს სიტყვა არც ერთს არაფერს არ ეტყოდა.

თიბეთსი გაჩუმდა. ეტყობა, შეკითხვებს ელოდა. მაგრამ დარბაზი დუმდა. მას გაკვირვებითა და უნდობლად შესცქეროდნენ.

მაშინ თიბეთსმა ინსტრუქცია წაიკითხა.

„...მოწყობილობას რომ გადააგდებთ, მყისვე 150 გრადუსით მოუხვიეთ...

თვითმფრინავს რომ მოსწყდება, მოწყობილობა ვარდნას დაიწყებს იმავე ტრაექტორიით, რითაც ნებისმიერი სხვა ბომბი. ის არამარტო ძირს დაეშვება, არამედ წინაც წაიწევს იმ ინერციით, რომელსაც თქვენი თვითმფრინავისაგან მიიღებს. ასე ვარდება ყველა ბომბი და თვითმფრინავები აფეთქების თავზე მიფრინავენ. არამც და არამც არ იფრინოთ აფეთქების თავზე“...

თიბეთსმა თითოეულ ეკიპაჟს თავისი ამოცანა დაუსახა. 6 აგვისტოს ღამის 1 საათსა და 45 წუთზე გაფრინდება სამი თვითმფრინავი. ისინი იფრენენ სამი ობიექტის თავზე — იაპონიის ქალაქების ხიროსიმას, კოკურასა და ნაგასაკის თავზე და ამინდის ცნობას გადმოსცემენ. მთავარი ობიექტია ხიროსიმა (ნიიგატა მაინც ამოშალეს სიიდან).

შემდეგ 2 საათსა და 45 წუთზე გაფრინდება კიდევ სამი თვითმფრინავი. მათგან ერთ-ერთს პირადად პოლკოვნიკი თიბეთსი წაიყვანს. დარტყმა მას ევალება. თვითმფრინავები ერთმანეთს შეხვდებიან კუნძულ ივოძიმას თავზე, რათა-ობიექტს ზემოთ ერთად მოხვდნენ.

მცირე შესვენების შემდეგ ინსტრუქტაჟი გაგრძელდა. შეკრებილთ ისევ გაოგნებული სახეები ჰქონდათ. მათ უამბეს, რა მოხდა ნიუ-მექსიკოში და თითო წყვილი შავი სათვალე დაურიგეს. ეკიპაჟები მკაცრად გააფრთხილეს, აფეთქებას უსათვალოდ არ შეხედოთო, მაგრამ ყოველივე ეს მათი გონებისთვის მაინც მიუწვდომელი იყო.

ინსტრუქტაჟი კაპელანის[1] — კაპიტან უილიამ დაუნის ლოცვით დამთავრდა:

— ღმერთო მაღალო, შეისმინე ჩვენი ლოცვა, ნუ დაუტევებ მას, ვინც ბედავს შენს საუფლოში ამოვიდეს მტერთან შესაბმელად. დაიცავი და დაიფარე ისინი, გევედრებით... ჩვენ მუდამ გვექნება შენი რწმენა, რამეთუ ვუწყით, შენ გვმფარველობ ამიერიდან, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ლორენსი იქ მყოფთა მოღუშულ სახეებს შესცქეროდა.

---

[1] კაპელანი — კათოლიკეებში მღვდლის თანაშემწე.

რაზე ფიქრობენ? იქნებ „ინდიანაპოლისის“ ბედკრული ეკიპაჟი ახსენდებათ? ამ დილით, როცა ბომბს „ენოლა ჰეის“ მუცელში ჰკიდებდნენ, ისინი „ინდიანაპოლისის“ ბიჭებს იხსენებდნენ, ბომბს იაპონიის იმპერატორის შეურაცხმყოფელი სიტყვები რომ დააწერეს. ან იქნებ რაღაც საშინელის წინათგრძნობა აწუხებთ, თუმცა კარგად არც ერთს არ ესმის, რა ტვირთი მიაქვთ. მათთვის, მიუხედავად პოლკის საგანგებო მდგომარეობისა, ყველაფერი ეს საბრძოლო რუტინაა. ბომბი ბომბია და უნდა ჩამოაგდო. ისინი ახლა ვერაფერს გაიგებენ, თუნდაც უთხრან, რომ აფეთქების დროს გამოთავისუფლდება კოლოსალური ატომური ენერგია.

მოგვიანებით, როცა ატომური აფეთქება მსოფლიოს აუწყებს, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო, ისინი იამაყებენ თავიანთი ნამოქმედარით. უფრო გვიან კი, როცა ადამიანთა შეხედულებები პოლიტიკაზე ძირფესვიანად შეიცვლება და მათი არსებობის საფუძველი შეირყევა, ისინი ყველაფერს მიხვდებიან...

მფრინავები უხმოდ გავიდნენ სასადილოში, სადაც მხიარული სერჟანტი ისტრელი გაფრენის წინ მათ საუცხოო ვახშმით გაუმასპინძლდა.

— რა ყურები ჩამოგიყრიათ. შეხედეთ, ნამდვილი კვერცხია, დღეს ფხვნილით როდი გიმასპინძლდებით. მოგწონთ? ცვრიანი ბიფშტექსია. აბა, მოდით, ხარაკირი უყავით.

— ხმა ჩაიკმინდე, ელიოთ, — გააწყვეტინეს მას.

თიბეთსი ყავას ხვრეპდა და გაუთავებლად ეწეოდა...

— ყველაფერი რიგზეა, გარდა ერთისა, — თქვა მან, — 2700-ის ნაცვლად 1200 მეტრზე ფრენა მოგვიწევს.

— ჰო, — დაეთანხმა რობერტ ლუისი. — თუ შეჯგუფებულ ღრუბლებში მოვხვდით, თვითმფრინავი რყევას დაიწყებს და პარსონსს თავისი კონტაქტებითა და მავთულებით კარგი დღე არ დაადგება.

ნავახშმევს ყველამ აეროდრომისკენ გასწია და „ენოლა ჰეის“ გარშემო შეიკრიბა. იქ უკვე იუპიტერები დაეყენებინათ. ზუზუნებდნენ კინოკამერები, ისმოდა ფოტოაპარატების ჩხაკუნი. რეპორტიორებმა არ იცოდნენ რა დავალების შესასრულებლად მიფრინავდა ეკიპაჟი, მაგრამ შტაბში იყნოსეს, რომ ეს იქნებოდა „ახალი ერის დასაწყისი“. ჟურნალისტური

ალღო უკარნახებდათ, რომ ისტორიული მოვლენა ხდებოდა. რეპორტიორები ეკიპაჟის წევრებს დაიმარტოხელებდნენ, თავიანთ საათებსა და ბეჭდებს აჩეჩებდნენ, ეხვეწებოდნენ თან წაეღოთ, რომ ეს ნივთები შემდეგ სუვენირებად ქცეულიყო. ლორენსმა რობერტ ლუისი მოძებნა.

— ბობ, გთხოვთ... აი, რვეული. ეს თქვენი ფრენის დღიური იყოს, ჩანაწერები გააკეთეთ... ისე, როგორც მისწერდით დედას ან მამას ნიუ-ჯერსიში.

— კეთილი. — დაეთანხმა ლუისი.

რობერტ ლუისი თვითმფრინავში შევიდა. მან თიბეთსის მარჯვნივ მეორე პილოტის ადგილი დაიკავა. სამი ბ-29 სამ პარალერულ ასაფრენ ზოლზე დგას. კაპიტანი ჩარლზ სუინი „უდიდესი არტისტით" მიფრინავს. ის „ენოლა ჰეის" უკან უნდა გაჰყვეს ოთხი მილის ინტერვალით და გადააგდოს ჩამწერი ხელსაწყო, რომელიც აფეთქების ტალღების ძალას განსაზღვრავს. ხელსაწყოს ჩვენებებს სუინი რადიოთი მიიღებს და ტინიანზე მეცნიერებს გადასცემს. მაიორი ჯორჯ მარკვარდტი უსახელო თვითმფრინავ № 44-191-ით მათ უკან 40 მილის დაშორებით იფრენს და სურათებს გადაიღებს. ოღონდ მანამდე თვითმფრინავები ერთმანეთს კუნძულ ივოძიმას თავზე უნდა შეხვდნენ...

6 აგვისტოს, ორშაბათს, ზუსტად 2 საათსა და 45 წუთზე სამივე თვითმფრინავი ერთდროულად დაიძრა იაპონიისაკენ. შუა თვითმფრინავს თიბეთსი მართავდა. მან გამცილებლებს უხალისოდ დაუქნია ხელი.

ბილ ლორენსი გენერალ ფარელის ჯიპში ჩახტა და ისინი სადისპეტჩეროსკენ დაიძრნენ. სადისპეტჩეროს მინის მაღალი კოშკურიდან კი მოჩანდა „ენოლა ჰეი", რომელიც სიჩქარეს იღებდა. ის მიწას ასაფრენი ზოლის ბოლო მეტრზე მოსწყდა. „რას ნიშნავს ეს?" — ფიქრობდა ყველა. „ჩვენ თითქოს ლოცვით ვცდილობთ მის ჰაერში აყვანას", — თქვა გენერალმა ფარელმა. ყველა, ვინც ფარელისა და პარსონსის საუბარი იცოდა, ცოცხალ-მკვდარი იდგა.

მაგრამ „ენოლა ჰეი" ზოლის უკანასკნელ მეტრზე მოსწყდა მიწას და მრუმე ცაში გაუჩინარდა.

ოპერაცია კოდური დასახელებით — „გამოსაწევი ხერხემალი" დაიწყო.

ბომბდამშენი ბ-29 № 44-88 282, ცნობილი სახელწოდებით „ენოლა ჰეი“, ისე ცახცახებდა, თითქოს სასიკვდილო ზაფრით იყო შეპყრობილიო. მუშაობდა ოთხივე ძრავა.

— ტინიანის კოშკო, მე დიმპლზ 82 ვარ. მზად ვართ ასაფრენად, მომეცით აფრენის ნება. — თქვა თიბეთსმა.

— დიმპლზ 82, მე ტინიანის კოშკი ვარ. აფრენის ნებას გაძლევ, გისურვებთ წარმატებას! — მოისმა ყურსაცვამში დისპეტჩერის ხმა.

ბ-29 ჯერ ნელა დაიძრა ასაფრენი ზოლის სინათლეებს შორის, შემდეგ სწრაფად აიღო სიჩქარე, ელვისებურად მიუახლოვდა პროჟექტორებს, რომლებიც ასაფრენი ზოლის ბოლოს აღნიშნავდნენ.

თვითმფრინავი დიდხანს ფრენდა რამდენიმე ასეულ ფუტზე, სანამ სიმაღლეს აიღებდა. თვალს მიეფარნენ აეროდრომის სინათლეები.

მხოლოდ ტინიანიდან ორასი მილის დაშორებით მიაღწია „ენოლა ჰეიმ“ ოთხი ათას ფუტ სიმაღლეს.

აფრენიდან თუთმეტი წუთის შემდეგ მეორე პილოტმა რობერტ ლუისმა ლორენსის ნაჩუქარი რვეული გადაშალა. თვითმფრინავი თიბეთსს მიჰყავს. ფურცელზე მიჯრით ჩამწკრივდნენ ჩანაწერის სტრიქონები:

„2 საათი და 45 წუთი. ჩვენ მუხრუჭებს ვუშვებთ და გაზს ვუმატებთ. თიბეთსს თვითმფრინავი საფრენი ზოლის მთელი ორი მილის მანძილზე მიწაზე მიჰყავს, ისე დიდხანს ვერ ბედავს აფრენას, ველარ ვითმენ და წყნარად ვეუბნები:

— მიდი, პოლ!

თვითმფრინავი მძიმედ მოსწყდა ბეტონს — მისი წონა ნორმაზე თითქმის ექვს-ნახევარი ტონით მეტია. ავფრინდით და მე შასი შევწიე. თიბეთსმა თვითმფირნავი ოდნავ ძირს დაუშვა, რათა სიჩქარე აეღო, მე კი მეტი საწვავი მივაწოდე.

200 ფუტ სიმაღლეზე ჩვენ მარცხნივ შემოვბრუნდით და 338 გრადუსის კურსზე დავდექით. ივოძიმამდე 622 მილია.

2 საათი და 50 წუთი. ისმის ზუმერის ხმა.

— პოლკოვნიკო თიბეთს, ლაპარაკობს კაპიტანი პარსონსი...

— გისმენთ, კაპიტანო.

— თუ ყველაფერი წესრიგში გაქვთ, დავიწყებ.

— ო'ქეი.

მე შევბრუნდი და ბინდში პარსონსი დავინახე. იგი ფეხსაცმლის ქუსლზე დაბნეულად იბერტყავს ჩამქრალ ჩიბუხს. შემდეგ ყურადღებით დასცქერის საკონტროლო პულტის საინდიკატორო ნათურებს. აი, პარსონსი ადგა და მისი აწოწილი ფიგურა საბომბე ნაკვეთურში ჩაიძირა. მისი თანაშემწე ლეიტენანტი მორის ჯექსონი უკან მიჰყვა".

5

იმ ღამეს ტინიანზე არ ეძინათ. გენერალ ფარელს საგანგებო კოდი ჰქონდა კაპიტან პარსონსთან სალაპარაკოდ. ამ კოდში ყოველი სიტყვა მთელ ფრაზას ნიშნავდა, გათვალისწინებული იყო ნებისმიერი მოულოდნელობა, რაც შეიძლებოდა პარსონსს შეხვედროდა. პარსონსმა გენერალს აღუთქვა, რომ კოდს გაანადგურებდა, თუ თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ.

ცოტამ თუ იცოდა, რომ პარსონსმა თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ უმცროს ლეიტენანტს დელ ჯენიოს პისტოლეტი სთხოვა. „ენოლა ჰეიზე" პარსონსი იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ატომური ბომბის საიდუმლოება იცოდა. ძალიან ეშინოდა წამებისა. დარწმუნებული არ იყო, რომ საიდუმლოს არ გასცემდა და ამიტომ გადაწყვიტა იაპონელებს ცოცხალი არ ჩავარდნოდა ხელში.

აფრენიდან ორმოცდახუთი წუთის შემდეგ ფარელმა თიბეთსს ჰკითხა, პარსონსმა ბომბს თუ მოუხერხა რამეო, მაგრამ პასუხი ჯერ კიდევ ვერ მიიღო.

ლორენსი და სხვა რეპორტიორები მონახაზებს აკეთებდნენ მომავალი სტატიისათვის. დაუსრულებლად იმეორებდნენ პარსონსის, ჯექსონის, თიბეთსის, ლუისის, ბომბარდირის მაიორ თომას ფირიბის, შტურმანის, კაპიტან თეოდორ ვან-კირკის, მელოკატორის, სერჟანტ ჯო სთირბორიკის და რადისტის, კაპრალ რიჩარდ ნელსონის სახელებს...

დილით ცნობების შემკრები თვითმფრინავის მეთაურმა კაპიტან კლოდ იზერლიმ გადმოსცა, ხიროსიმას თავზე მოწმენდილი ცაა. 9 საათსა და 20 წუთზე, როგორც იქნა, მოვიდა მოკლე ცნობა: „დავალება შესრულებულია".

რობერტ ლუისი დღიურის წერას განაგრძობდა:

„3 საათი და 13 წუთი. კავშირში რაღაც შეფერხებაა. ვრთავ შიდა ტელეფონს, ისმის რადიოსიგნალები. ალბათ სადენები აირია. შეიძლება შეიკრა კიდეც. თიბეთსი ბრძანებას იძლევა, შიდა ლაპარაკი შეწყვიტეთო. გენერალ ფარელთან კავშირს არ წყვეტს. კოდით ლაპარაკობენ.

— როგორა აქვს საქმე პარსონსს, — კითხულობს ფარელი.

— ჯერ არ დაუმთავრებია. — პასუხობს თიბეთსი.

ღრიალებენ ძრავები. საათში 241 მილის სიჩქარით მიექრიეართ და როგორც შეგვიძლია, თავს ვარიდებთ შემბვედრ ღრუბელთა ქულებს — პარსონსზე ხომ უნდა ვიზრუნოთ, ის და ჯექსონი ბომბის უკან პატარა ბაქანზე ჩაკრუნჩხულან. ვიცით, რომ მათ ზუსტად უნდა შეაერთონ ორიოდე დუქინი სადენი — ასაფეთქებელი მოწყობილობა უმეტესად ელექტრონულია.

3 საათი და 20 წუთი. ნელა, ზლაზვნით ამოძვრა პარსონსი საბომბე ნაკვეთურიდან. იგი თავს უხმოდ გვიქნევს და ჩვენ ვხედებით, რომ ბომბი მზადაა. ამ დროს ტინიანთან კავშირი წყდება. თუ არ გაგვიმართლა, მშველელი არავინაა.

4 საათი და 20 წუთი. შტურმანი თეოდორ ვან-კირკი, რომელსაც ჩვენ ჰოლანდიელს ვეძახით, მატყობინებს, ივოძიმის თავზე 5 საათსა და 52 წუთზე ვიქნებითო.

მძიმე დღე იყო. ბებერ ხარს გატანჯული სახე აქვს. მან დაიმსახურა, რომ ცოტა წასთვლიმოს. ახლა „ჯორჯს“ (ავტოპილოტს) მე უნდა მივხედო.

4 საათი და 30 წუთი. აღმოსავლეთით მცხრალ მთვარეს ვხედავთ. გავიფიქრე, რა შვებით ამოვისუნთქავთ ყველანი, როცა ბომბს ჩამოვაგდებთ და პირს შინისაკენ ვიზამთ, უფრო სწორად, შინ რომ ვიქნებით-მეთქი.

4 საათი და 45 წუთი. ისევ 4500 ფუტ სიმაღლეზე მივფრინავთ, ისევ გავურბივართ ღრუბლებს. მთვარის ნათელი თითქოს გვამხნევებს.

თიბეთსმა ცოტა წასთვლიმა და კვლავ დაბრუნდა. ახლა მე მივლასლასებ ანანასის წვნის დასალევად და როსტბიფის ბუტერბროდით დასანაყრებლად. პარსონსთან ვჩერდები. ისევ

ინსტრუქციას ჩაჰკირკიტებს. საკონტროლო პულტზე თანაბრად ნათობენ მწვანე სინათლეები.

— რა ეშმაკს აღნიშნავს ეს სინათლეები? — ვეკითხები მე.

პარსონმა ინსტრუქცია ფრთხილად დახურა და მიპასუხა:

— კაპიტანო, თუ მწვანე შუქი ანათებს — ეს კარგია. თუ რომელიმე ჩაქრება და მის ნაცვლად წითელი აინთება — ეს ცუდია.

მივხვდი, რომ მეტს არაფერს იტყოდა, მაგრამ მაინც შევბედე:

— მზად არის?

— ვფიქრობ, კი, მაგრამ ჩაგდებამდე კიდევ ორი პატარა ოპერაციის ჩატარება დამჭირდება. ამას უცებ მოვრჩები.

4 საათი და 59 წუთი. კურსი-340 გრადუსი. ფრენის სიჩქარე — 217 მილი საათში. მარჯვნივ მზე ამოდის. ღრუბლებს ზირის ოცდაათწუთიანი მანევრირების შემდეგ განთიადი საამო საცქერია.

5 საათი და 52 წუთი. ივოძიმამდე რამდენიმე მილია რჩება. ჩვენი ბიჭებიდან ბევრი დაიღუპა აქ, რათა დაბომბვის შემდეგ დაბრუნებულ თვითმფრინავებს ავარიული აეროდრომი დახვედროდა. რამე რომ გაგვჭირვებოდა აქ, ორ სხვა ბ-29-თან შეხვედრის შემდეგ ბომბს „უდიდეს არტისტს" გადავცემდით.

5 საათი და 55 წუთი. „უდიდეს არტისტსა" და № 191-ს დანიშნულ დროზე სამი წუთით გვიან ვხვდებით. ისინი ნელა, ფრთხილად გვიახლოვდებიან. ჩვენ ჩრდილო-დასავლეთით შევბრუნდით და უკან ჩამოვიტოვეთ მშვიდად მძინარი ივო.

ფენა-ფენად დაბლა დაშვებული ღრუბლები თანდათან იზრდება და სქელდება.

7 საათი და 10 წუთი. ღრუბლები ქულა-ქულა დაიფლითა. ჩვენ უკვე ობიექტიდან ორი საათის საფრენზე ვართ. თვითმფრინავებიდან ცნობები ჯერ არა ჩანს და ჩვენ არ ვიცით, რომელ ობიექტზე ჩამოვაგდებთ ბომბს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ამინდი იქნება ობიექტებზე.

7 საათი და 30 წუთი. კაპიტანმა პარსონსმა საბოლოოდ გაამზადა ბომბი. ახლა ბომბი „გაცოცხლდა". უცნაური გრძნობა

გიპყრობს, როცა იცი, რომ ის შენს ზურგს უკანაა. ამ დროს, იტყვიან ხოლმე, ხეზე უნდა მიაკაკუნოო.

ვიღებთ სიმაღლეს, დაბომბვას რომ შევუდგეთ. სულ ცოტაღა დარჩა, ბიჭებო...“

7

„ენოლა ჰეი“ მიფრინავდა ობიექტისკენ, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ამორჩეული. ხიროსიმას, კოკურასა და ნაგასაკის უკვე უახლოვდებოდა სამი B-29 — ცნობების შემკრები თვითმფრინავები. მათ უნდა ეცნობებინათ, როგორი ამინდი იყო ამ ქალაქებში.

საბომბე ნაკვეთური სიგრძით 15 ფუტი იყო. „კაფანდარას“ (ასე დაარქვეს ბომბს) 14 ფუტი სიგრძე და 5 ფუტი სიგანე ჰქონდა. პარსონსი გამხდარი კაცი იყო, მაგრამ მაინც ძლივს მოახერხა ბომბთან ჩამძვრალიყო.

— გამინათეთ, — თქვა მან.

ჯექსონმა ზურგს უკნიდან მიანათა ფარანი. სიბნელეში სინათლის ჭავლზე მკაფიოდ გამოჩნდა სამი სანტიმეტრის დიამეტრის მწვანე რგოლი. პარსონსი რგოლს ხელით მისწვდა და ნელ-ნელა ამოხრახნა დაუწყო. მან მწვანე საცობი ერთ ჯიბეში ჩაიდო და მეორე ჯიბიდან ისეთივე, ოღონდ წითელი ფერის საცობი ამოიღო. მწვანე საცობი ელექტრონული ჯაჭვის კონტაქტებს თიშავდა. წითელი — აერთებდა.

— ო, ჭეი, — თქვა პარსონსმა. — ასაფეთქებელი მოწყობილობა მზად არის სიგნალის მისაღებად.

პარსონსი და მისი თანაშემწე ნაკვეთურიდან ამობობღდნენ. ბომბი მზად იყო ასაფეთქებლად. ურან-235-ის ორი პატარა ნაჭერი ცალ-ცალკე იდო. თუ სწრაფი და სუფთა შეერთებით „კრიტიკული მასა“ მიიღებოდა, მათ გიგანტური აფეთქება უნდა გამოეწვიათ.

მწვანე და წითელი საცობების სისტემა აფრენის წინ რამდენიმე საათით ადრე მოიფიქრეს.

8

— ხიროსიმას ღრუბლები მხოლოდ სამ მეოთხედზე ფარავს. გავწიოთ მთავარი ობიექტისკენ, — უთხრა თიბეთსმა მეორე პილოტს რობერტ ლუისს, როცა რადისტმა დიკ ნელ-

სონმა კაპიტან კლოდ იზერლის მიერ გამოგზავნილი გაშიფრული რადიოგრამა მოიტანა. კაპიტანი კლოდ იზერლი მეთაურობდა თვითმფრინავს, მეტსახელად პოკერის ტერმინი — „სთრეით ფლაში" რომ ერქვა და ახლა ხიროსიმის თავზე მიფრინავდა.

„ენოლა ჰეი" უკვე 31000 ფუტის სიმაღლეზე იყო და სწრაფად უახლოვდებოდა იაპონიის სანაპიროს. 9 საათისთვის იგი კუნძულ სიკოკუს მიუახლოვდა და აღმოსავლეთისაკენ შებრუნდა, რომ იაპონელ მეთვალყურეთათვის კვალი აერია.

აი, უკვე რადარი გამორთეს და თვითმფრინავი იმ კურსით მიდის, რომელსაც ბომბდამშენი მაიორი ფირიბი უკარნახებს და „ენოლა ჰეის" მიზნისაკენ მიმართავს. პარსონსმა ოფლიანი შუბლი მოიწმინდა, იატაკიდან ინსტრუქციის ფურცელი აიღო და წამოდგა, რათა შეფიქრიანებულს ბომბისთვის უკანასკნელად შეევლო თვალი.

9 საათსა და 12 წუთზე თვითმფრინავი ზუსტად დასავლეთისკენ მიფრინავდა. სამი წუთით, რაც დაბომბვას სჭირდებოდა, თვითმფრინავების მეთაურობა მაიორმა ფირიბიმ ჩაიბარა. რადისტმა ნელსონმა გადასცა გრძელი სიგნალი, სხვა თვითმფრინავების მეთაურებს — სუინისა და მარკვარდტს აცნობა, ორი წუთიღა დარჩაო. 20 წამი რომ დარჩება, ისინი ისევ გაიგონებენ სიგნალს, რომელიც მანამ გაგრძელდება, სანამ ბომბი თვითმფრინავს არ მოსწყდება.

თავის გამჭვირვალე ხუფში მაიორმა ფირიბიმ თვალი ლამის ზედ მიაჭყლიტა ბომბის დასამიზნებელ ოკულარს და გამომთვლელში სიმაღლისა, ფრენის სიჩქარისა და ქარის მიმართულების ინფორმაცია ჩართო. მას ზუსტად უნდა გაეგო დრო, როცა ბომბი წინ და ქვევით დაეშვებოდა.

სიმაღლე 31600 ფუტი. ეკიპაჟი ცაზე მოჩანს. არც ერთი იაპონური გამანადგურებელი არ აფრენილა შესახვედრად.

ფირიბიმ ობიექტი დაინახა — ქალაქი მდინარე ოტას ტოტებით იყო დასერილი. სამიზნის ჯვარი მდინარის მთავარ კალაპოტზე გადებულ რკინა-ბეტონის ხიდს დაემთხვა.

ვეებერთელა ბომბდამშენი შეირყა. ბომბი ძირს დაეშვა. ეკიპაჟის საათზე 9 საათი და 15 წუთი იყო.

8 საათი და 15 წუთი იაპონიის დროით.

ბოლო ჩანაწერი რობერტ ლუისის რვეულში:

„წერას ცოტა ხნით თავს ვანებებ, სანამ მიზნის დაბომბვას შოვრჩებით“.

მომდევნო ჩანაწერი.

„ღმერთო ჩემო!“

D

დილაადრიან ხიროსიმის მცხოვრებლებმა დაინახეს ცნობების შემგროვებელი თვითმფრინავი, რომელიც ცაზე მარტო გამოჩნდა და შემდეგ მიიმალა. ხიროსიმაზე, კოკურასა და ნაგასაკიზე ამერიკის ბომბდამშენები გამანადგურებელ თავდასხმებს არ ახდენდნენ — ატომურ პოლიგონებს უფრთხილდებოდნენ, რათა მომავალში ახალი ბომბის დამანგრეველი ძალა ზუსტად შეეფასებინათ.

ზოგიერთმა ხიროსიმელმა ამ ერთადერთი თვითმფრინავის დანახვაზე, რომელიც ქალაქის თავზე ცხრა საათისთვის გამოჩნდა, ძველი ქორი გაიხსენა: ამერიკელები ხიროსიმას იმიტომ ინდობენ და არ ბომბავენ, რომ ქალაქის ბევრ მცხოვრებს ამერიკაში ნათესავები ჰყავსო.

შემდეგ სამი B-29 გამოჩნდა. ქალაქს თავზე თითქმის ყოველდღე გადაუფრენდა ხოლმე სამი ამერიკული თვითმფრინავი და ამიტომ ამას განგაში არ გამოუწვევია. ამერიკელთა მიერ ჩატარებულმა ფსიქოლოგიურმა მზადებამ გაჭრა. სამი თვითმფრინავისაგან შემდგარი ჯგუფი აქ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხანდახან ისინი ბომბს გადმოაგდებდნენ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ბომბი იყო, რომელსაც მცირე ზიანი მოჰქონდა. ბომბს უჩვეულო ფორმა ჰქონდა, მაგრამ ეს არავინ იცოდა. იაპონიის რადიოსადგური „ტოკიოს ვარდი“ იცინოდა: თქვენ სამ-სამი თვითმფრინავისგან შემდგარი პატარ-პატარა ჯგუფებიღა დაგრჩათ და მათი ჩამოყრილი ბომბებიც დიდი არაფერიაო.

თვითმფრინავი ქალაქის ფარგლებს ჯერ არ გასცილებოდა, როცა ცაზე უცებ პატარა პარაშუტი გაიხსნა. ალბათ, ავარია მოხდა და პილოტი გადმოხტაო, იფიქრეს თავდაპირველად ქალაქის მცხოვრებლებმა.

მეუსეულად ყოველივე თეთრმა სინათლემ მოიცვა, რო-

მელმაც სამყარო ბნელით შემოსა. იმათთვის, ვისი თვალებიც იმ დილით ცისკენ იყო მიპყრობილი, სამყარო სამუდამოდ შავ-ბნელი დარჩა.

10

თიბეთსმა ისევ თავის თავზე აიღო თვითმფრინავების მართვა. იგი 158 გრადუსით მოტრიალდა, შემდეგ ბერკეტს დააწვა და სიმაღლე რომ აეღო, მანქანა ჯერ ზევით ააგდო, მერე კი ძირს დაუშვა.

რჩებოდა კიდევ ორმოცდასამი წამი — დრო, რაც ამ ჯოჯოხეთიდან გასაქცევად ჰქონდათ მიცემული.

„ოცდაცამეტი, ოცდათოთხმეტი..."

ყველამ სათვალე გაიკეთა, მაგრამ შეძრწუნებული უცებ მიხვდნენ, რომ ასე მუშაობა შეუძლებელი იყო. ზოგმა მოიგლიჯა კიდეც სათვალე.

კაბინა თვალისმომჭრელმა სინათლემ გაანათა. რამდენიმე წამში „ენოლა ჰეი", რომელიც აფეთქების ადგილიდან უკვე თორმეტი მილის მანძილზე იყო, დარტყმის ტალღამ შეაზანზარა და თვითმფრინავი ქვევით დაეშვა. კიდევ რამდენიმე წამიც და ტალღის ექომ თვითმფრინავი უკან აისროლა, ააგდო ზევით, რათა შემდეგ ისევ ძირს დაექანებინა.

გავიდა კიდევ სამი წუთი და ეკიპაჟმა დაინახა სოკოსებური ღრუბელი, რომლის სიმაღლემ 9 ათას მეტრს მიაღწია.

თიბეთსი ტინიანს დაუკავშირდა და დაშიფრული რადიოგრამა გაუგზავნა: „დავალება შესრულებულია".

ყველას გუნება მოეშხამა. ერთი საათი ისე გავიდა, ერთმანეთისათვის ხმა არ გაუცია. შემდეგ ეკიპაჟი უეცრად აგზნებულ ლაყბობას მოჰყვა. ვინ სადილი მოიგონა, დაბრუნების შემდეგ რომ ელოდათ, ვინ — ქალები, ზოგმა შვებულებაში გატარებული დრო გაიხსენა. ბომბზე კი კრინტი არავის დაუძრავს.

შუადღის სამ საათზე, ატომური ომის ეპოქაში 5 საათისა და 45 წუთის გატარების შემდეგ, „ენოლა ჰეის" ეკიპაჟი ტინიანზე დაეშვა.

11

მზვერავი თვითმფრინავები, დაბომბვიდან ხუთი საათის შემდეგ ხიროსიმის თავზე რომ დაფრინავდნენ, ცნობებს აგზავნიდნენ, ქალაქი ჯერ ისევ კვამლის უზარმაზარ ღრუბლებ-

სა და მტვერშია გახვეულიო. მხოლოდ ოცდარვა საათის შემდეგ გახდა შესაძლებელი პირველი ფოტოსურათი გადაეღოთ. დაბომბვამდე გადაღებულ ფოტოსურათებზე კარგად მოჩანდა შენობების მკაფიო კვადრატები, ახლა ეს კვადრატები წაშლილი იყო, თითქოს ვიღაცამ ჯერ კიდევ სველ აკვარელზე წყალი გადაასხაო.

მზვერავი თვითმფრინავების პილოტებს, რომლებიც ტოკიოსა და იაპონიის სხვა ქალაქების დაბომბვაში მონაწილეობდნენ, მსგავსი ცერაფერი გაეხსენებინათ.

509-ე პოლკის კავშირის ქსელი მთელი დატვირთვით მუშაობდა, გენერალი ფარელი გენერალ გროუვზს პრეზიდენტისათვის გადასაცემად დაშიფრულ მოხსენებებს უგზავნიდა. რადისტები დეპეშებს უგზავნიდნენ სპაათსს, მარშალს, არნოლდს... მოდიოდა მოლოცვები, ასობით მოლოცვა...

მალე ტინიანზე ჩამოფრენა იწყეს გენერლებმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, ჟურნალისტებმა. 6 აგვისტოს, სამ საათზე გენერალი სპაათსი თავისი ამალით უკვე აეროდრომზე იყო. იგი გადაეხვია გატანჯულ პოლკოვნიკ თიბეთსს, რომელიც პირველი გადმოვიდა თვითმფრინავიდან, და მკერდზე დააბნია მედალი — „საუკეთესო სამსახურისათვის". ეს იყო უმაღლესი ჯილდო, რომლის გადაცემაც პრეზიდენტს კონგრესის სანქციის გარეშე შეეძლო.

ოფიცერთა კლუბის შენობაში, რომელიც მთლიანად ლითონისაგან იყო აწყობილი, შედგა პირველი პრეს-კონფერენცია. „ენოლა ჰეის" ეკიპაჟი ატომური ბომბის აფეთქებით გამოწვეულ შთაბეჭდილებას უზიარებდა შეკრებილთ. ბილ ლორენსი ყველაფერს იწერდა.

„ჯერ დაინახეს მეწამული წერტილი, რომელიც იმავ წამს სინათლის გიგანტურ სფეროდ გადაიქცა. სფეროს დიამეტრი ნახევარი მილი იყო. უცებ იგი აფეთქდა. ცეცხლის ენები და მეწამული ღრუბლები ერთმანეთში აირია და გრიგალივით დატრიალდა. გარშემო თეთრი კვამლის ვეებერთელა წრე გაჩნდა.

შემდეგ ცეცხლის ამ მოცეკვავე ზღვიდან კვამლის თეთრი ვეებერთელა სვეტი ამოიზარდა. იგი მძიმედ მიიწევდა ზევით, სანამ ათი ათას ფუტს არ მიაღწია.

შემდეგ ეს სვეტი უცებ გიგანტურ სოკოდ გადაიქცა და 50000 ფუტამდე აღიმართა.

თიბეთსს აფეთქების დროს შავი სათვალე არ ეკეთა.

„თვალწინ ყველაფერი გადათეთრდა, — ამბობს იგი, — ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემ წინ, ასე ათ მეტრზე საზენიტო ჭურვი გასკდა".

კაპიტანი რობერტ ა. ლუისი: „მსგავსი რამ არასოდეს მინახავს... არასოდეს... უკან რომ მიებრუნდით დაბომბვის შედეგების სანახავად, ჩვენ თვალწინ გადაიშალა კვალი ყველაზე დიდი აფეთქებისა, რომელიც კი ადამიანს ოდესმე უნახავს. კვამლის სვეტის ძირი ქალაქის ტერიტორიის ცხრა მეათედს ფარავდა. ამ სანახაობამ გაგვაოგნა, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მართალია, რაღაც საშინელებას ველოდით, მაგრამ იმის გამო, რაც ვნახეთ, უნებურად ისეთი განცდა დაგვეუფლა, თითქოს მარსელები ან XXV საუკუნის მეომრები ვიყავით. ერთი საათის შემდეგაც, როცა თვითმფრინავი ობიექტიდან ორას სამოცდაათი მილით იყო დაშორებული, ჯერ კიდევ ვხედავდით ღრუბელს, რომელიც უფრო და უფრო იზრდებოდა"...

პირველი რანგის კაპიტანი პარსონსი: „საშინელი სანახაობა იყო. მტვრის ვეებერთელა ღრუბელმა ყველაფერი დაფარა. სოკოს ძირი, ნაცრისფერ-მეწამული მასა, რომლის დიამეტრი ასე სამი მილი იქნებოდა, ერთიანად თუხთუხებდა, ირგვლივ ყველაფერი დუღდა. სოკოს წვერს თეთრი გიგანტური ღრუბელი მოსწყდა და ზემოთ აიჭრა. შემდეგ მეორე თეთრი ღრუბელი მოსწყდა და პირველს დაედევნა. სოკოს წვერიც დუღდა, თუხთუხებდა... მიწის ზედაპირზე სისხლივით წითელი ცეცხლი ბობოქრობდა. ქალაქი, ალბათ, მტვრად იქცა".

12

ექვსმა აგვისტომ პრეზიდენტ ტრუმენს ღია ზღვაში, კრეისერ „ოგასტას" გემბანზე მიუსწრო. იგი პოტსდამიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრუნდებოდა და უკვე ოთხი დღე იყო, რაც გზაში გახლდათ. „ოგასტას" რადისტმა ტინიანიდან რადიოგრამა მიიღო, რომელიც მაშინვე გაშიფრეს და პრეზიდენტს გადასცეს.

„ბომბი ხიროსიმაზე ჩამოგდებულია. იაპონელთა გამანადგურებლები და მეზენიტეთა ცეცხლი არ ყოფილა. ბომბის დაშენიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ პარსონსმა გვაცნობა: „რე-

ზულტატი ყოველმხრივ ბრწყინვალეა. დაკვირვებით მიღებული შედეგები უფრო მეტია, ვიდრე გამოცდის დროს. თვითმფრინავში პირობები ნორმალურია".

ტრუმენი თავის კაიუტაში ვერ გაჩერდა. მას ისტორიული ჟესტი სჭირდებოდა. პრეზიდენტი მეზღვაურთა სასადილოსკენ გაემართა, სადაც ამ დროს ეკიპაჟის უმრავლესობა სადილობდა.

— ამერიკის მოქალაქენო, — მაღალფარდოვნად წარმოთქვა მან, — ეს-ესაა მივიღეთ ისტორიული ცნობა. ჩვენ ბომბი ჩამოვაგდეთ იაპონიაში... მას ატომური ბომბი ჰქვია...

თავი მეოთხე

კუკურას თავზე ცეცელი ღრუბლებია

> წყალი... წყალი... ადამიანები წყლის საძებნელად მილასლასებდნენ. უკანასკნელი წვეთი წყლისა. ეძებდნენ წყალს, რათა როგორმე ცეცხლს გაქცეოდნენ.
>
> დაჭრილი, აკოშინებული ადამიანები წყალში შედიოდნენ, ქვებზე ფეხი უსხლტებოდათ, ერთმანეთზე ეცემოდნენ, იძირებოდნენ. ასანოს გუბურაში გვამებს შორის კობრები დაცურავდნენ. ვიღაც კაცმა წყლიდან ერთი გვამი ამოსწია, დაეინებით დააცქერდა — ეტყობა, ცოლს ან დას ეძებდა. შემდეგ გვამს ხელი შეუშვა, ახლა მეორეს დასწვდა, იმასაც დაეინებით დააცქერდა.
>
> ამ დამწვარ, დაბერილ სახეებში სულ ერთია ვერ იცნობდა იმას, ვისაც ეძებდა. მაგრამ ის მაინც არჩევდა გვამებს და დაეინებით აცქერდებოდა. მის გვერდით ერთი ქალი, რომელმაც აქ თავშესაფარი იპოვა, ძუძუს სჩრიდა პირში თავის მკვდარ ჩვილს. აი, იგი — XX საუკუნის მადონა...
>
> კომენტარი ირისა და ტოსიკო მარუკის პასუხისათვის — „წყალი".

1

„თექვსმეტი საათის წინ ამერიკის თვითმფრინავმა ხიროსიმაზე (კუნძული კიუსიუ), იაპონიის მნიშვნელოვან ბაზაზე, ჩამოაგდო ბომბი, რომელსაც უფრო დიდი დამანგრეველი ძა-

ლა აქვს, ვიდრე 20 ათას ტონა ასაფეთქებელ ნივთიერებას ერთად. ეს ბომბი დამანგრეველი ძალით ორი ათასჯერ აღემატება ინგლისურ ბომბს „გრენდ სლემს", რომელიც ომების ისტორიაში გამოყენებული ყველაზე დიდი ბომბია..."

რადიომიმღები, რომელსაც ხმა ბოლომდე ჰქონდა აწეული, ძიგძიგებდა. ხელსაწყოებითა და ლითონის დეტალებით გაჭედილ ხმაურიან დარბაზში გაისმოდა აღელვებული ხმა დიქტორისა, რომელიც აშშ-ის სამხედრო სამინისტროს ოფიციალურ ცნობას კითხულობდა.

„ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტს ბილ ლორენსს უცნაური გრძნობა დაუფლებოდა. დღეს, ხუთშაბათს, 7 აგვისტოს, იგი ისმენს დიქტორის ხმას და სულ რამდენიმე ნაბიჯზე დგას მეატომე-მეცნიერების — ლუის ალვარეცის, რობერტ სერბერისა და ფილიპ მორისონის გვერდით, რომლებიც აქ, ტინიანზე, მეორე ატომურ ბომბს აწყობენ. აი, სულ ახლოს დევს, დინამიკი კი იუწყება: „ატომური ენერგია" „ურან-235", „ატომური ბომბი"... სულ რამდენიმე წუთის წინ ეს სიტყვები თვით ამ საქმის მესვეურთათვისაც კი ტაბუ იყო. ახლა „თევზაობა", „ახალშობილი," „კაფანდარა" და სხვა შემცვლელი სიტყვები უკვე დავიწყებას ეძლეოდა.

ოფიციალური ცნობა ლორენსისათვის პირადი სიამაყის საგანიც გახლდათ. მან, უილიამ ლორენსმა დაწერა იგი ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველად სამხედრო სამინისტროს პრეს-ბიუროსთვის. ახლა მთელი მსოფლიო სწორედ მის სიტყვებს, ლორენსის სიტყვებს უსმენს.

სამი ახალგაზრდა ფიზიკოსი, თავიანთ სამუშაოს რამდენიმე წუთით თავი რომ მიანებეს, ლორენსივით პატივმოყვარე არ ყოფილან. ცნობამ მათ ბევრად ნაკლები სიამოვნება მიანიჭა, თუმცა სამივემ არცთუ პატარა როლი ითამაშა ბომბის შექმნაში, რომელიც სულ რაღაც წამების მემილიონედში ქალაქებს ანადგურებდა.

მათი განწყობა ვერაზგზით ეგუებოდა ლორენსის აღფრთოვანებულ ლაყბობას, რომელმაც ჟურნალისტური ჩვევისამებრ, გამოცდის მიზნით, უკვე ხმამაღლა წარმოთქვა თავისი ერთ-ერთი მომავალი სტატია.

— მომილოცავს, მომილოცავს! — ეუბნებოდა ის სამ ახალგაზრდა ფიზიკოსს, — თქვენ ახალი საუკუნის პრომეთეები ხართ. პრომეთე პირველი მეცნიერი იყო. მან გამოიგონა, ცეცხლი — სინათლის სიმბოლო და ბალხს მისცა. ამით დაიწყო ცივილიზაციის ძლევამოსილი მარში. მე ვხედავ ახალ ცივილიზაციას და ბორკილახსნილ ახალ პრომეთეებს. ზევსი, ყოფიერების ბოროტი საწყისი, დამარცხებულია. პრომეთე ბერძნულად „წინდახედულს“ ნიშნავს, რომელსაც ყველაფერი წინდაწინ აქვს მოფიქრებული. ჯერ კიდევ ათი წლის წინ ერთი ანკეტის კითხვაზე ვუპასუხე, რომ ატომური ენერგიის დაუფლება კაცობრიობის უდიდესი მიღწევა იქნება და ჩვენს პლანეტას მშვიდობას მოუტანს...

— მაპატიეთ, — გააწყვეტინა მას სერბერმა, — მაგრამ, ვგონებ, პრომეთემ წინდაუხედაობა გამოიჩინა, როცა ადამიანებს ცეცხლი გადასცა, და, ალბათ, შემდეგ კლდეზე მიბმული მარტო ფიზიკურ ტანჯვას როდი განიცდიდა, როცა არწივი ღვიძლს უკორტნიდა... ალბათ მისი მორალური ტანჯვა ფიზიკურს არ ჩამოუვარდებოდა, როცა ხედავდა, რომ ქვევით, ველზე, ადამიანები, რომელთაც ღმერთების ნების წინააღმდეგ ცეცხლი ჩამოუტანა, ამ ცეცხლს ზევსის, მისი მწვალებლის ტაძრის წინ ანთებდნენ.

— რობერტ, — უთხრა ალვარეცმა, — ვშიშობ, რომ თქვენი მეგობრის ოპის პოეტური ალეგორიებისადმი მიდრეკილება გადმოგედოთ. რა საჭიროა ასე პირქუშად ვუყურეთ საგნებს? სჯობს წავიდეთ და ლუდი დავლიოთ.

ალვარეცი, მორისონი და სერბერი ოთახიდან გავიდნენ და ლორენსი მარტო დატოვეს — დაე თავისი გამჭრიახობით დატკბესო.

2

— რობერტ, — უთხრა მორისონმა სერბერს, — მახსოვს, თქვენ მოიგეთ სანაძლეო ნიუ-მექსიკოს აფეთქების სავარაუდო ძალის თაობაზე. ბევრი შეფასება მეტისმეტად დაბალი აღმოჩნდა. როგორ მოიგეთ სანაძლეო?

— მხოლოდ ზრდილობის წყალობით. ლოს-ალამოსში სტუმრად ვიყავი და არ შემეძლო დამესახელებია ციფრი, რომელიც მასპინძლებს არ მოეწონებოდათ.

თაკარა დღე იყო. ყინულივით ცივი ლუდისგან ჭიქები დაორთქლილიყო. მინაზე წყლის წვეთები მოგორავდა და ელვარე კვალს ტოვებდა. საამო იყო მათი ცქერა.

— ჩვენ კი ყველა ვშიშობდით, რომ ექსპერიმენტი არ გამოვიდოდა. იმისიც გვეშინოდა, რომ გამოვიდოდა, — წარმოთქვა ალვარეცმა და ჩაფიქრდა. — „სქელოს“ მიმართაც ასევე ვარ განწყობილი.

„სქელო“ — მესამე და უკანასკნელი ბომბი იყო, რომელსაც იაპონიის კიდევ ერთ ქალაქზე თავდასხმისათვის ამზადებდნენ. ის უფრო იაფი ღირდა, ვიდრე პირველი ორი, მაგრამ, როგორც ვარაუდობდნენ, მეტი დამანგრეველი ძალა ჰქონდა.

— მაგრამ, გულახდილად რომ გითხრათ, — დასძინა ალვარეცმა, — ძალიან მაინტერესებს გავიგო, ამუშავდება თუ არა „სქელოს“ მექანიზმი.

— ლუის, თქვენ მონაწილეობთ მეორე თავდასხმაში, — უთხრა სერბერმა. — გავიგე, თერთმეტიდან ცხრისთვის გადმოიტანესო. ნეტა ასე რად ჩქარობენ?

— ამბობენ, ცხრიდან ცუდი ამინდები დაიწყებაო.

— მე კი მგონია, რომ პოტსდამელ მეტეოროლოგთა პროგნოზი ცუდი შედგენილია.

— ასეა თუ ისე, მე ცხრაში მივფრინავ, თუ ჩემომაგდეს, იძულებული ვიქნები პარაშუტით დავეშვა და ჩემი პოლკოვნიკობის მოწმობა იაპონელებს ჰაერშივე ვაჩვენო.

— ჰო, მართლა, ლუის, გახსოვთ ის სანდომიანი იაპონელი, პროფესორი საგანე, რომელთან ერთადაც ომამდე ბერკლის გამოსხივებათა ლაბორატორიაში ვმუშაობდით?

— მახსოვს. მეტისმეტად სერიოზული კაცი იყო, პირდაპირ სასაცილო.

— ის სხვებზე უკეთ გაიგებს, რა არის ატომური ბომბი. იქ ხომ არაფერი იციან ამ ბომბის რადიოაქტივობაზე. მოდი წერილი მივწეროთ, იმ საზომ ხელსაწყოებს მიაბით, თვითმფრინავიდან რომ უნდა გადაყაროთ.

— მერედა რა მივწეროთ? ეგეც არ იყოს, ხომ შეიძლება მოწინააღმდეგესთან კავშირი დაგვდონ ბრალად?

— არა მგონია. ატომური ბომბი საიდუმლოება აღარ გახლავთ.

ალვარეცმა ფურცელი მოატანინა, ქერა თმა ხელით აიჩეჩა და საგანესთან წერილის წერას შეუდგა.

„ჩვენ გიგზავნით ამ ბარათს და დაჟინებით გთხოვთ გამოიყენოთ თქვენი გავლენა, რათა იაპონიის გენერალურ შტაბს შეაგნებინოთ ის საშინელი შედეგები, რაც თქვენს ქალაქს უნდა დაატყდეს თავს... თქვენთვის ცნობილია, რომ უზარმაზარი ხარჯების ფასად შეიძლება ატომური ბომბის შექმნა... სამი კვირის განმავლობაში ჩვენ ამერიკის ერთ-ერთ უდაბნოში ვაწყობდით ბომბების საცდელ აფეთქებას, მეორე ბომბი ავაფეთქეთ ხიროსიმაში, მესამე კი — დღეს დილით.

გემუდარებით დაუდასტუროთ ეს ფაქტები თქვენს ხელმძღვანელობას და ყველაფერი იღონოთ, რათა შემდგომ აღარ დაუშვან ნგრევა და ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა... როგორც მეცნიერები, დიდად ვწუხვართ, რომ ამ ბრწყინვალე აღმოჩენას ასე ვიყენებთ“...

— ხელი როგორ მოეაწეროთ? — იკითხა ალვარეცმა, როცა წერას მორჩა.

— მოაწერეთ: „თქვენი ყოფილი კოლეგები“.

წერილი გადააგდეს, იგი იპოვეს და მაშინვე იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების სადაზვერვო სამმართველოს გადასცეს. ბოლოს ბარათმა ადრესატამდე მიაღწია.

რამდენიმე წლის შემდეგ ალვარეცი და საგანე ერთმანეთს შეხვდნენ და აი, მაშინ კი მოაწერა ალვარეცმა წერილს თავისი გვარი.

3

8 აგვისტოს, საღამოს, გენერალ ფარელის შიკრიკმა ბილ ლორენსი მოძებნა.

— გენერალმა მიბრძანა გადმოგცეთ, რომ ამაღამ მიფრინავთ. უნდა გაფორმდეთ და სპეციალური აღჭურვილობა მიიღოთ.

ლორენსს თითქმის გადაწურული ჰქონდა იმედი, რომ ატომურ თავდასხმაში მონაწილეობას მიიღებდა და ამიტომ ისეთი ძახილი აღმოხდა, რომ მაიორი ფირიბი, „ენოლა ჰეის“ ბომბარდირი, რომელმაც ამ დროს გვერდით ჩაუარა, შიშისაგან შეხტა.

— რა მოხდა, ბილ? — ჰკითხა ფირიბიმ.

— მიეფრინავ, თომ, გესმით, მიეფრინავ!

— იფრინეთ, თუკი გაგიხარდებათ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაინც საით მიფრინავთ?

— საბრძოლო დავალებაზე. გამოწყობა დამჭირდება. მიეხეხარეთ...

თომას ფირიბი კარგი ბიჭი იყო. თუმცა „ენოლა ჰეის" ბიჭები არაფრით არ განსხვავდებოდნენ ათასი სხვა მფრინავისაგან, რომლებიც საქმიანად და მამაცურად იხდიდნენ თავიანთ ვალს. შეიძლება მათ ნაკლები ჯაფა ადგათ, ვიდრე სხვებს, ყოველდღიურად რომ მიფრინავდნენ საბრძოლო დავალების შესასრულებლად და ომს სწირავდნენ ჯანმრთელობასა და სიცოცხლესაც კი. მაგრამ ატომური თავდასხმის მონაწილენი გმირებად შერაცხეს, ვინაიდან ისინი ისტორიულ მოვლენასთან იყვნენ წილნაყარნი. ეს დიდება თავიდან ეუხერხულებოდათ, მაგრამ შემდეგ ახალ როლს შეეჩვივნენ და მას შესაშური თავდაჯერებით ასრულებდნენ.

კაცს გმირად უფრო ხშირად ისტორია აქცევს ხოლმე და არა პირადი ღირსება.

ძალიან დიდი ხნის შემდეგ მათ თავი უკვე აღარ მიაჩნდათ გმირებად და ზოგიერთმა აშკარად გაილაშქრა კიდეც, რათა მათი „გმირობა" სხვებს არ გაემეორებინათ. მაგრამ მაშინ მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ წარმოდგენილი პირველი ატომური დაბომბვის შედეგები. სიტყვა „ატომური" „ენოლა ჰეის" ეკიპაჟმა (თიბეთსისა და პარსონსის გარდა) მაშინ გაიგო, როცა ამ ქანცგამწყვეტი გაფრენის შემდეგ კარგად გამოიძინა, ისიც მთავრობის ოფიციალური ცნობიდან.

ფირიბიმ ლორენსი საწყობში წაიყვანა და აჩვენა, როგორ უნდა ეხმარა აღჭურვილობა. მან ლორენსს თავისი მაშველი ქამარიც კი აჩუქა და მერე ჯიპით აეროდრომზე წაიყვანა.

გზაში ლორენსმა გული გაუწყალა შეკითხვებით, მაგრამ ფირიბის უჭირდა პასუხის გაცემა, თუმცა მის ანგარიშზე მოდიოდა ევროპის საჰაერო მოქმედებათა ასპარეზზე წარმატებით ჩატარებული ორმოცდაათი საბრძოლო გაფრენა.

— მითხარით, თომ, რას გრძნობდით, ბომბს რომ აგდებდით?

— არაფერს. ნაბრძანები მქონდა ბომბი 9 საათსა და 15

წუთზე გადამეგდო. მე საათს დავხედე. 9.15 იყო და მეც გადავაგდე ბომბი სამიზნე „ობიექტიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ოცდაათ-ნახევარ ფუტზე. ეს იყო და ეს.

რვა აგვისტოს აეროდრომიდან ექვსი თვითმფრინავი აფრინდა და თითოეულს ბორტზე თითო ბომბი ჰქონდა; ამ ბომბს მეორე ატომურ ბომბთან მსგავსების გამო „გოგრა“ დაარქვეს. დაზვერვის დროს მხოლოდ ორმა თვითმფრინავმა გადაუფრინა „მთავარ ობიექტებს“. საშინელი ამინდი იდგა.

გადაწყვიტეს ახალი ბომბი ჰაერში გამზადებული აეტანათ. შეიძლებოდა აფრენისას კატასტროფა მომხდარიყო და ატომურ აფეთქებას მთლიანად მოესპო ტინიანი, მაგრამ ოპენჰეიმერმა ამერიკიდან თანხმობა მისცა, ხოლო პარსონსმა სელი მოაწერა საბუთს, რომელიც აფრენის უსაფრთხოებას ადასტურებდა. პასუხისმგებლობისა არ ეშინოდა, განა სულერთი არ იყო, სად მოკვდებოდა — თვითმფრინავში, სადაც საბოლოოდ უნდა აეწყო ბომბი, თუ ტინიანზე?

9 აგვისტოს, 3 საათსა და 30 წუთზე, ლორენსი ბ-29-ის ცხვირის ნაწილში, რკინის მაგარ ყუთზე იჯდა და თვალს ადევნებდა, როგორ ამზადებდა თვითმფრინავს ასაფრენად კაპიტანი ფრედერიკ ბოკი. ჩიკაგოს უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი-ფილოსოფოსი ურიგოდ არ მართაედა ამ რთულ მანქანას.

4

უვარსკვლავებო ცა თითქოს სულ ახლოს, სადღაც თავს ზემოთ იყო და დედამიწაზე ასრესდა საგნებს და ადამიანებს... დროდადრო ცას ოთხივ კუთხივ დატოტილი ელვა აპობდა და მაშინ იგი უკან იხევდა; ბოლქვა-ბოლქვად მოჩანდა ღრუბლების ზედაპირი და, როგორც ძალიან ძლიერ გამამჟღავნებელში ჩაშვებულ ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე, წამიერად გამოკრთებოდა ხოლმე თვითმფრინავები, ანგარები, მანქანები და ადამიანები, რომლებიც ბ-29-ზე ბომბის დატვირთვის რიტუალით იყვნენ დაკავებული. თვითმფრინავს ფიუზელაჟზე ვეებერთელა ნომერი — 77 ეწერა.

ბომბი ძალიან დიდი ჩანდა, მაგრამ ეს ასაფეთქებელი მექანიზმი გახლდათ, თვითონ აქტიური მასალა კი ხელისგულზე დაეტეოდა. ბომბის გულში ჩამალული, იგი უნდობლობასა და

შიშს იწვევდა. ბომბი ბაქანთან მოაგორეს და საძვრენთან გაჩერეს, რომელსაც საგდულები გამოღებული ჰქონდა. ჰიდრავლიკურმა ამწეებმა ბომბი ლიუკში მოათავსეს. დაიჩხარუნა ლითონის სატაცებმა...

შუაღამისას შედგა ინსტრუქტაჟი. ხიროსიმა განადგურებული იყო. ახლა მთავარი სამიზნე გახდა კოკურა, მეორეხარისხოვანი კი — ნაგასაკი. ყველაფერი ამინდზე და ღრუბლიანობაზე იყო დამოკიდებული.

სიკვდილის მთესველებმა ჯერ არ იცოდნენ, რომელ ქალაქს დაბომბავდნენ. ისინი ყურადღებით ათვალიერებდნენ ზუსტ რუკებსა და აეროფოტოსურათებს, კიდევ ერთხელ ამოწმებდნენ მიზანს, კურსს, ფრენის სიმაღლეს. ისინი ლოცულობდნენ და ძღომამდე ჭამდნენ.

მათ უკვე დაურიგეს მაშველი ქურთუკები — „მეიუესტები", გასაბერი ნავები, პარაშუტები და ჟანგბადის ნიღბები.

ამჯერად ბომბებით დატვირთული იყო „უდიდესი არტისტი". ეს სახელწოდება ხომალდს, უჩვეულოდ გრძელი ხრახნის ფრთები რომ ჰქონდა, ვერცხლისფერ ტანზე არ ეწერა. ზედ გამოყვანილი იყო მხოლოდ რიცხვი — 77.

— ამ ნომრით თამაშობდა ბოლო მატჩში რედ გრანჯიც, — შენიშნა რომელიღაც ფეხბურთის გულშემატკივარმა.

უამრავი თანამდებობის პირი, ამხანაგი თუ, უბრალოდ, ცნობისმოყვარე შემოეხვია გარს ხომალდის მეთაურს მაიორ ჩარლზ სუინის, მეორე პილოტს ჩარლზ ელბერის, შტურმანს, ჯეიმს პელტსა და ბომბარდირს კერმიტ ბიენს, რომელსაც დღეს თავისი ამქვეყნად გაჩენის ოცდამეშვიდე წელი უნდა ეზეიმა.

უფროსთაგან ვინმე პერნელმა მაიორ სუინის უთხრა:

— ჭაბუკო, თქვენ იცით, რა ღირს ეს ბომბი?

— ვიცი, დაჯ̆ლოებით ოცდახუთი მილიონი დოლარი.

— ჰოდა, ეცადეთ, ეს ფული ქარს არ გაატანოთ!

სიკვდილს ისევ დოლარებით ითვლიდნენ.

3 საათსა და 50 წუთზე სამი „მფრინავი ზესიმაგრე" ორ მილზე რბოლის შემდეგ ჰაერში აიჭრა და კურსი იაპონიისაკენ აიღო. მეორე თვითმფრინავში ჟურნალისტი უილიამ ლორენსი იჯდა, მესამეში — ჩერჩილის ბირადი წარმომადგენლები, რომლებიც პოლიტიკის უკუღმართობის გამო ახლა ეტლის წარმომადგენლები გამხდარიყვნენ.

ქარებმა, იაპონიის თავზე რომ დაქროდნენ, არჩევანი გააკეთეს. ქალაქი კოკურა მთლად ღრუბლებითაა დაფარული. „უდიდეს არტისტს“ სხვა ბომბდამშენებზე ნაკლები საწვავი აქვს, სამაგიეროდ მისი ტვირთი სხვებზე მეტს იწონის.

ბომბდამშენები უკვე ორი საათია თავს დასტრიალებენ იაპონიის იმპერიას. მაიორმა სუინმ გადაწყვიტა დაბომბონ მეორეხარისხოვანი ობიექტი, ქალაქი ნაგასაკი. იაპონიის გამანადგურებლები, რომლებიც კოკურას მახლობლად მდებარე აეროდრომიდან აფრინდნენ, მალე თვალს მოეფარნენ.

ბომბდამშენებმა სრუტეს გადაუფრინეს, კურსი ნაგასაკისაკენ აიღეს, და ღრუბლებში ნაპრალის ძებნაში, ისევ ქალაქის თავზე დაიწყეს ტრიალი.

არც ერთმა, ვინც ბომბდამშენით მიფრინავდა, არ იცოდა, რომ ნაგასაკის ყურის დასავლეთ სანაპიროზე იყო ბანაკი, სადაც იაპონელებს ტყვედ ჩავარდნილი მოკავშირეთა ჯარისკაცები ჰყავდათ. სამაგიეროდ ეს იცოდა ამერიკის სარდლობამ, მან ისიც იცოდა, რომ დაბომბვის დროს ტყვეები შეიძლებოდა სამუშაოდ ყოფილიყვნენ დოკებში, მომავალი ჯოჯოხეთის შუაგულში. გენერალ გრეივსის ბრძანებით „ეს ფაქტორი მხედველობაში არ უნდა მიეღოთ“.

ქვემოთ ნაგასაკი გაწოლილიყო, ღრუბელთა შორის მოკიანთე მზის სხივებით განათებული.

ლორენსმა „უდიდესი არტისტის“ რადიოსადგურის მიერ გადმოცემული პირობითი სიგნალი გაიგო და შავი სათვალე გაიკეთა. ძლივს ახერხებდა თვალყური ედევნებინა მეწინავე თვითმფრინავის მანევრებისათვის, რომელიც მათ წინ ერთი მილის მანძილზე მიფრინავდა.

საათი ზუსტად თორმეტს აჩვენებდა.

გადიოდა წამები. ერთი, ორი, სამი...

ლორენსს კაპელან დაუნის ღამეული ლოცვა გააჰსენდა:

— ყოვლისშემძლე უფალო, მოწყალე მამაო, გემუდარებით, ლმობიერ იყავ მათ მიმართ, ვინც ამაღამ მიფრინავს. შეეწიე და დაიფარე, ვინც გაბედავს და შენი ზეცის წყვდიადში შემოფრინდება, შენს ფრთებზე შეისვი, იხსენ მათი სული და სხეული და უკან დაგვიბრუნე. მოგვეც სიმამაცე და ძალა იმ

ყამისათვის, რომლის გადატანაც მოგვიწევს, მიუზღე მათ დამსახურებისამებრ. მამაო ჩვენო, მშვიდობა მოჰფინე შენს მიწას. დაე მუდამ გვწამდეს შენი და ვიცოდეთ, რომ შენ ხარ და იქნები აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

! უცებ ლორენსმა იგრძნო, რომ ეს ლოცვა მკრეხელურად ეღერდა.

— წავიდა! — დაიძახა მის გვერდით ვიღაცამ.

— „უდიდესი არტისტის" მუცელს შავი საგანი მოსწყდა. ოცი საათი და ერთი წუთი იყო.

კაპიტანმა ბოკმა მკვეთრად მოუხვია. ახლა ლორენსი ატომური აფეთქებისკენ ზურგშექცევით აღმოჩნდა, მაგრამ არც ამას და არც შავ სათვალეს აფეთქების სიმძლავრე არ შეუმცირებია.

როცა პირველი წამები გავიდა, ყველამ მოიხსნა სათვალე. მაგრამ გარშემო მთელ ცას მაინც მოცისფრო-მომწვანო შუქი ეფინა. დარტყმის ტალღამ თვითმფრინავი შეატორტმანა. ტალღას ტალღა მოჰყვა და მძიმე ბომბდამშენს აქეთ-იქით ისროდა. ლორენსი გაშმაგებით ჩააფრინდა სავარძელს. ეს შემზარავი იყო. არა, არა, ეს აღარასოდეს აღარ უნდა განმეორდეს!

მეწამულმა ცეცხლის სვეტმა უკვე ათი ათას მეტრს მიაღწია. არადა ჯერ მხოლოდ ორმოცდახუთი წამი გავიდა. ეკიპაჟი თავზარდაცემული აკვირდებოდა, როგორ მიაპობდა სვეტი თეთრ ღრუბლებს. ეს უკვე არც კვამლი იყო, არც მტვერი, არც ცეცხლი. ეს ცოცხალი არსება გახლდათ, რაღაც ახალი სახეობა, რომელიც გაოგნებული მზერის წინ იქმნებოდა.

თავისი განვითარების ერთ-ერთ სტადიაში ამ არსებამ ვეებერთელა ტოტემური სვეტის სახე მიიღო, ასე, სამი მილისოდენა საყრდენით, რომელიც ძირში ყავისფერი იყო, შუაში — ქარვისფერი, ზევით კი — თეთრი. მაგრამ ეს ცოცხალი ტოტემური სვეტი გახლდათ, ათასნაირი ნიღბით მოსილი რომ იგრიხებოდა და იმანჭებოდა.

და უცებ ზევით აიჭრა ვეებერთელა სოკო, რომელმაც უკვე თხუთმეტ ათას მეტრს მიაღწია. მისი ქუდი დუღდა, თუხთუხებდა, თითქოს მილიონობით გეიზერს ერთად მოეყარა თავი. ის ჰგავდა მხეცს, რომელიც გაშმაგებით ლამობს ბორკილებისაგან თავი დაიხსნას. რამდენიმე წამის შემდეგ ის მოსწყდა თავის გიგანტურ ფეხს და ელვისებური სისწრაფით სტრატოსფეროში შეიჭრა.

სვეტის თავზე მაშინვე ახალი ქუდი გაჩნდა, თუმცა უფრო პატარა, თითქოს თავწაკრილ დრაკონს მეორე თავი ამოუვიდაო.

ეს ქუდი მოჩანდა თვითმფრინავიდან, რომელმაც იგი უკვე ასობით მილით ჩამოიტოვა.

ბომბდამშენები თითქმის ცარიელი ავსებით სხდებოდნენ ოკინავაზე. „უდიდეს არტისტს“ დაჯდომის წინ ორმა ძრაკამ უმტყუნა. მაიორმა სუინიმ მოითხოვა სასწრაფოდ მიეღოთ თვითმფრინავი. მაშინვე მისცეს ნებართვა. აეროდრომზე ეკიპაჟს ექიმები, სანიტრები და მღვდლები შეეგებნენ.

აქ მათ გაიგეს, რომ რუსეთს იაპონიისთვის ომი გამოუცხადებია.

საღამო ხანს თვითმფრინავებმა ტინიანთან მიაღწიეს და ლორენსი გამალებით იწერდა ყველაფერს, რაც ფრენის დროს მოიფიქრა:

„ამიერიდან კაცობრიობამ მტკიცედ უნდა იცოდეს: ატომური ენერგია დამკვიდრდა და დარჩება. იბადება კითხვა: დავრჩებით თუ არა ჩვენ? თუ გადავრჩით, მაშინ მისი კონტროლის საშუალებები უნდა გამოვნახოთ. ამაზე იქნება დამოკიდებული, რად იქცევა ატომური ენერგია — უხვების რქად თუ პანდორეს ყუთად. ადამიანმა ჰამლეტივით უნდა ჰკითხოს თავის თავს: „ყოფნა არყოფნა“... ატომური ბომბისაგან მხოლოდ ერთი რამე გვიხსნის — მშვიდობა. სიტყვა „მშვიდობა“ სიცოცხლის სინონიმად იქცა, სიტყვა „ომი“ კი — თვითმკვლელობის სიხოხიძია“.

წრე გაზეთების ხმატკბილ სირინოზთა სიმღერამ ჩაკეტა. ატომურ შანტაჟს მშვიდობაზე ხმამაღალი ქადაგებით დაუწყეს შენიღბვა. მეგაზეთეებს უკვე ცივი ომის ხელკეტის ქნევით პოლიტიკანები მოჰყვებოდნენ...

1964 წ.

წრე, რომელიც იხსნება

თავი პირველი

ატოლი ბიკინი

1954 წლის პირველი მარტი. მე-7-ე სპეციალური ქვეგანაყოფის გემები დილაადრიანად დაიძრნენ ბიკინის ატოლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ოპერაცია ზუსტად 3 საათსა და 50 წუთზე უნდა დაეწყოთ.

გემებიდან კიდევ დიდხანს მოჩანდა ლითონის ასორმოცმეტრიანი კოშკი, რომლის წვერზეც „სოსისი" იდო. ერთხელ აქვე, გემბანზე, კოშკის წვრილ წვერს რომ აკვირდებოდა, ელვინ გრეივზმა ბლოკნოტში გამოითვალა, რომ ამ უწყინარი სახელის მქონე ურჩხულს სამი მილიონი ტონა ტოლის აფეთქების სიმძლავრე ჰქონდა. ასეთი რაოდენობის ტოლი ორი მეტრი სილრმისა და სიგანის 50 კილომეტრი სიგრძის თხრილს ამოავსებდა.

ოპერაციის ტექნიკურ მხარეზე პასუხს აგებდა ელვინ გრეივზი. ათასობით სხვა სპეციალისტთან ერთად ისიც ძლიერი შუქფილტრებით აღჭურვილ ოპტიკურ ხელსაწყოებთან იდგა. რაზე ფიქრობდა ამ წუთებში? იქნებ სლოთინის სიტყვები აგონდებოდა: „მე დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე — ჩემი მიზეზით გახდით ავად. ეშიშობ, გადარჩენის შანსი ასიდან ორმოცდაათიც არ გამაჩნია. იმედი მაქვს, თქვენ მაინც გაგიმართლებთ". გრეივზს გაუმართლა, სლოთინი კი მოკვდა.

ეს ჯერ კიდევ ლოს-ალამოსში მოხდა. სლოთინი თავისი მეთოდის დემონსტრირებას ახდენდა: ბირთვული ნივთიერების ორ ნახევარსფეროს კრიტიკულ მასად აერთებდა. უბრალო სახრახნისით მუშაობდა. ერთი აუცდა ხელი, სახრახნისიც აუსხლტა და დაიწყო არამართვადი ჯაჭვური რეაქცია. სლოთინი მივარდა და ნახევარსფეროები შიშველი ხელებით დააშორა: იგი მეცხრე დღეს გარდაიცვალა, ხოლო გრეივზი, მის გვერდით რომ იდგა, დიდხანს იტანჯებოდა სხივური დაავადებისაგან.

მაშინ მორიგი ატომური ბომბის შექმნაზე მუშაობდნენ, ახლა კი წყალბადის ბომბის აფეთქებას ხელმძღვანელობს.

არა, მას ახლა სლოთინის სიტყვები არ ახსოვს, ავი აზარტითაა შეპყრობილი, ენერგიას სტაცებს ვარსკვლავებს. მას გაუმართლა. ჩვენ კი, ვინც მის სახელს სამჯერ წავაწყდით მეცნიერების მიერ ნაკურთხ დანაშაულებათა ქრონიკაში, თამამად შეგვიძლია, დაუოკებელი პატიმოყვარეობის საშინელ ძალაზე ვიფიქროთ.

ჯერ კიდევ 1951 წლის ივნისში წყალბადის ბომბის შესახებ ბევრი არაფერი იცოდნენ. ატომური ენერგიის კომისიაში შეიკრიბნენ ლაბორატორიის უნიათო ხელმძღვანელები ფონ ნეიმანი, ბეთე, თელერი, ფერმი და სხვები შეუცველი ოპენჰეიმერის მეთაურობით.

თელერმა შეკრებილთ ახალი გადაწყვეტილება შესთავაზა და მყისვე ყველა გამოცოცხლდა. ოთხი დღის შემდეგ კომისიამ ბრძანება გასცა, კიდევ ერთი ქარხანა აეშენებინათ, ხოლო 1952 წლის 1 ნოემბერს ენივეტოკის ატოლზე აფეთქება მოხდა. მოხდა, მაგრამ... ააფეთქეს არა ბომბი, არამედ წყალბადის მოწყობილობა, რომელსაც თითქმის მთელი კუნძული ეპირა.

წრე თითქოს შეიკრა და ახლა შეიძლებოდა თავიანთი პირობები ეკარნახათ რუსეთისათვის, რომლის მარტო არსებობაც კი ოპენჰეიმერებს, ზაქსებსა და როტშილდებს საშუალებას არ აძლევდა განეხორციელებინათ ბოდვითი ოცნება იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობაზე. შეიძლებოდა მისი ქალაქები ერთიანად აღეგავათ პირისაგან მიწისა, ხელთ წყალბადის ზებომბი რომ ჰქონოდათ.

ბომბი არსებობდა. მაგრამ მათ როდი ეკუთვნოდა.

1953 წლის ზაფხულში სსრ კავშირში წყალბადის ბომბი გამოცადეს. თავზარი დაეცათ საერთაშორისო ფინანსისტებს, რომელთა გეგმებიც წამოაყრანტალა „მანჰეტენის პროექტის“ ხელმძღვანელმა გენერალმა ლესლი გროუვზმა: „მე ჯერ კიდევ მაშინ არ მქონდა არავითარი ილუზია, მწამდა, რომ რუსეთი იყო ჩვენი მტერი და პროექტიც ამის საფუძველზე დგებოდა“.

ჯერ კიდევ ფართოდ არ იყო ცნობილი იგორ ვასილის ძე კურჩატოვის — მიწისმზომლის შვილისა და სამრეველო მღვდლის შვილიშვილის — სახელი. მან თქვა: „ბედნიერი ვარ, რომ რუსეთში დავიბადე“... იგი ოცნებობდა ადამიანებისთვის ენერგიის დაუშრეტელი წყარო მიეცა. სწორედ მან გამოჭედა

თავის თანამშრომლების შემწეობით ატომური ფარი სამშობლოს დასაცავად. გამოქედა იმიტომ, რომ აუცილებელი იყო. მასავით არავინ უწყოდა, რა საშიშია ატომური იარაღი მანიაკების ხელში. ტყუილად როდი ამოწერა აპოკალიფსური სიტყვები მამინ-სიბირიაკის წიგნიდან:

„მიწა სისხლით ადუღდება, მდინარეებს სისხლი შეერთვის, ცა დაიბშობა და მიწა გაბერწდება. ველზე აღარ იღიღინებს მხვნელ-მთესველი, შვიდი სოფლიდან ერთი სოფლის ხალხიც ვეღარ შეიკრიბება. დაჭკნება ქალური სილამაზე, გაქრება მამაკაცური სურვილი და მაშინ ჩაიხოცებიან ბალღები დედების წიაღში. ყოველი სულდგმული შეძრწუნდება შიშით შეპყრობილი, ჯოჯოხეთს ძრწოლა აიტანს, ხოლო დედამიწას ცეცხლი ცხრა წყრთაზე ამოშანთავს".

მხოლოდ 1956 წელს გაუჩნდათ ამერიკელებს თავიანთი წყალბადის ბომბი და ჩვენი ნაცნობი ჟურნალისტი ლორენსი იიულეპული გახდა დაეწერა:

„ამ ავბედით წლებში — 1953 წლის აგვისტოსა და 1956 წლის მაისს შორის, სსრ კავშირი მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელსაც წყალბადის ბომბის მარაგი ჰქონდა. ჩვენ კი ეს სამი წელი მეგატონური სიმძლავრის არც ერთი ბომბი არ გაგვაჩნდა".

ვისაც გულში ბოროტება უძევს, მუდამ სხვებზე მიაქვს ბოლმე ეჭვი მზაკვრობაში. ამერიკაში წარმოუდგენელი რამ ხდებოდა. სადაზვერვო ფედერალური ბიუროს აგენტები მოქალაქეებს სახლებში ეჭრებოდნენ და ატომური ბომბების ძებნაში საკუჭნაოებს უჩხრეკდნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ გუვერის ინსტრუქციით, რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი საბჭოთა ბომბის შესაძლებელი მოწყობილობა და მოქმედების პრინციპი, რაკი მიაჩნდათ, რომ შეერთებულ შტატებში დივერსიული აქტების მოწყობის მიზნით მტრის აგენტებს შეეძლოთ ატომური ბომბები შემოეტანათ. მეცნიერებიც და უბრალო მოქალაქენიც ერთმანეთზე დასმენის წერილებს წერდნენ...

ერთ საშინელ მოჩვენებას მეორე ცვლიდა. 1957 წლის 4 ოქტომბერს „მტერმა" ორბიტაზე გაიყვანა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. ზოგიერთი ამერიკელი მწერალი დღემდე გაოცებულია, რატომ არ გამოიყენეს მაშინ რუსებმა

რაკეტულ ტექნიკაში თავიანთი უპირატესობაო. თვითონ უთუოდ ბომბსაც გამოიყენებდნენ და ამ უპირატესობასაც.

მაგრამ დავუბრუნდეთ 1954 წელს.

ატოლი რკალივით მოხრილი იწვა ოკეანეში, გეგონება, მარჯნის ყელსაბამი შეუხსნიათ და მომწვანო-მოლურჯო წყალში გადაუგდიათო. მის სანაპიროზე, რომელიც წყლიდან ძლივს მოჩანდა, ძე ხორციელი არ ჰაჰანებდა.

მაგრამ მთლად უკაცური მაინც არ ეთქმოდა. „მოწყობილობიდან" ოც მილზე, ატოლის სამხრეთ ნაწილში, სქელი ქვიშისა და ბეტონის ფენის ქვეშ მართვისა და სათვალთვალო სისტემის რთული ელექტრონული აპარატურის ნაირფერი ნათურები ციმციმებდა, რელეებს ტკაცანი გაჰქონდა, იქვე მდგარი რვა კაცი მდუმარედ, დაყინებით შესცქეროდა მეცხრეს — ჯეკ კლარკს, რომელმაც ეს-ესაა ღილაკს თითი დააჭირა. მართვის პულტზე კაშკაშა მწვანე ნათურა აინთო.

მოწყობილობა აფეთქდა.

ბეტონის სარდაფში მდორედ გადიოდა ლოდინის მტანჯველი წამები. და უცებ რადიომიმღებში გაისმა დოქტორ გრეივზის მოზეიმე ხმა: „საუცხოო აფეთქებაა. თ'უთმეტი მეგატონი. ეს უფრო მეტია, ვიდრე ველოდით".

შემდეგ სარდაფამდე დარტყმის ძალამ მოაღწია. თავშესაფრის ბეტონის კედლები ისე შეირყა, როგორც ძლიერი მიწისძვრის დროს იცის ხოლმე. მთელი ერთი წუთი ჭერიდან და კედლებიდან ბეტონის ნაფხვენები ცვიოდა, მთელი ერთი წუთი კარის ანჯამები საცოდავად ჭრიალებდა, და შიში, ცოცხალი, მოძრავი შიში ყელში ებჯინებოდათ, თითქოს ბეტონის სარდაფი თვითმფრინავის კაბინად იქცა, რომელიც ჰაერის უძირო ორმოში ვარდებოდა. სადღაც იქ, მათ თავს ზემოთ წყლის ვეებერთელა ტალღა მოგორავდა. ერთიც ვნახოთ და თავშესაფარი წალეკოს?!

მაგრამ ეს წყალი არ იყო. ადამიანები თავშესაფრიდან გამოვიდნენ, რათა დაენახათ ატომური ღრუბელი, რომელსაც ქარი მიაქანებდა, მაგრამ ამ დროს გეიგერის მრიცხველებმა გაიტკაცუნა და რადიაციის გამზომმა აუარება ხელსაწყომ მონაცემების ჩვენება დაიწყო.

სანამ ამფეთქებელი რაზმი ბეტა-სხივებისა და რადიოაქტიური მტვრისგან დასაცავად ლითონის ფურცლებშემოკრულ

თავშესაფარში იჯდა და თავის თავს ლანძღავდა იმ აღტყინებისათვის, რამაც ყველანი აიძულა გარეთ გავარდნილიყვნენ, ზემოთ დაქუცმაცებული მარჯნის წვიმა მოდიოდა და ყველა სულდგმულს სიკვდილს ასხივებდა.

ისევ გაისმა გრეიზის ხმა: „წასაყვანად საღამოს მოგაკითხავთ".

ამფეთქებელი რაზმი მთელ დღეს სინათლისა და კავშირის გარეშე თავშესაფარში იჯდა და იმაზე ლაპარაკობდა, ვინ რამდენს მიიღებდა ჯილდოდ. თან ერიდებოდათ გამომტყდარიყვნენ, რომ, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ, იმაზე მეტი რადიაცია ხომ არ მივიღეთ, რაც ნორმით არის გათვალისწინებულიო. მაგრამ არც ერთს ეპვი არ შეჰპარვია, რომ ცუდ საქმეს აკეთებდნენ. უბრალოდ, ეს იყო სამუშაო, რომლისთვისაც ბლომა ფულს იძლეოდნენ. ჩვენ თუ არა, სხვები იქნებიან აქ, სხვებიც მიადევნებენ თვალს ხელსაწყოებს, ღილაკებს თითს დააჭერენ და ფულზე ილაპარაკებენო.

აფეთქება საკუთარი თვალით არავის უნახავს. მაგრამ გემების მეთვალყურენი უვიცი ადამიანები როდი გახლდნენ. ელექტროგამომთელელი მანქანები მათ გასაოცარ ციფრებს აწვდიდა, ხოლო წარმოდგენა იმის ზუსტ სურათს ხატავდა, რაც არავის და არასოდეს არ ენახა.

...ტროტილის მუხტის მძლავრი აფეთქება და ბირთვული ნივთიერება მყისიერად დაწნეხილია ზეკრიტიკულ მასად, მხოლოდ წამის მემილიონედს „მიმდინარეობდა" ჯაჭვური რეაქცია, რომლის ბობოქარ ცეცხლზე მძიმე ელემენტების ბირთვები იყოფოდა, ხოლო მსუბუქი ელემენტების ბირთვები ერთმანეთს უერთდებოდა. გავარვარებულმა გაზებმა ვეებერთელა თეთრი სფერო წარმოქმნეს, რომლის დიამეტრი შვიდ კილომეტრს აღწევდა. მისმა სიმხურვალემ გემებამდეც მიაღწია და მაშინ ადამიანები უფრო მჭიდროდ მიეკრნენ შუქფილტრებს, რომლებიც რამდენიმე წამის წინ თვალებს ვეღარაფერს უშველიდა.

ახლა სფერო თეთრი კი არა, ნარინჯისფერია და გარშემო იისფერი ბაკმი შემოხვევია. მან გააქრო ლითონის კოშკი, ხოლო მისი ბეტონის საძირკველი წამსვე გაზად აქცია. სფერო ზეცაში აიჭრა, თან ათასობით ტონა მარჯნის მტვერი აიყოლა და ყველას თვალწინ გაიდღაბნა ატმისფერ ღრუბლებად, თი-

თოეული ჩვენგანისათვის კარგად ნაცნობ შხამა სოკოს „ქუდად“ იქცა.

ჰაერის დინებამ ღრუბელი მოიტაცა და ზღვის თავზე გაიტანა, ხოლო ქარისგან მოღუნული სოკოს „ფეხი“, რომელსაც ოკეანის ფსკერის ბინადართათვის სხივური სიკვდილი მიჰქონდა, ნელ-ნელა დაეშვა წყლის ზედაპირზე.

ქარმა დაუბერა და გემებს თავს რადიოაქტიური მტვერი დაატეხა. გაისმა შეშფოთებული ბრძანებები და გემები იქაურობას გაეცალნენ.

ისინი მხოლოდ საღამო ხანს დაბრუნდნენ. ამფეთქებელ რაზმთან ვერტმფრენები გაგზავნეს. კლარკი და მისი თანაშემწეები თავშესაფრიდან გამოცვივდნენ. თავპირისმტვრევით გარბოდნენ და ამიტომ დასხივების დოზაც, რაც მათ მიიღეს, უმნიშვნელო იყო.

გამოცდის მონაწილეთაგან სერიოზულად არავინ დაშავებულა, დაშავდნენ ადამიანები, რომლებსაც აფეთქებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ.

ოკეანის წყნარი ზედაპირის მილიონი კვადრატული კილომეტრი თითქმის წრისებრი ბრტყელი მარჯნის ატოლებითაა აჭრელებული. ეს მარშალის კუნძულებია. კუნძულები დასახლებულია. მათი შავგვრემანი ბინადარნი იაპონური გარნიზონებისთვის ქოქოსის პალმებს, პურის ხეს, ტაროს, იამსსა და ბატატებს ზრდიდნენ, ახლა კი ამას ამერიკელებისთვის აკეთებდნენ.

იაპონელებამდე აქ გერმანელები ბატონობდნენ. ერთ-ერთ პატარა კუნძულზე შვარცვალდიდან პოხიერი შავი მიწა მოზიდეს, სქელ ფენად დაყარეს და ქოქოსის პალმის მთელი ტყე გააშენეს. ახლა პალმებსა და სხვა მცენარეებზე გაკრულია წარწერები — „ნაყოფი არ შეჭამოთ, მოწამლულია“.

1947 წლიდან მარშალის კუნძულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურვეო ტერიტორიად თვლიან, რომელიც აშშ-ის მმართველობის ქვეშ იმყოფება.

მეურვეებმა განაცხადეს, მეურვეობის ძირითად ამოცანას ადგილობრივ მკვიდრთა კეთილდღეობა წარმოადგენსო. მეურვეობის დებულების 76-ე მუხლის თანახმად მათ ივალდებულეს „დაიცვან მცხოვრებლები მიწისა და ქონების დაკარგვისაგან“,

და მარშალელებს წაართვეს საუკეთესო კუნძულები, სადაც სამხედრო ბაზები და ატომური პოლიგონები გამართეს.

მეურვეებმა ივალდებულეს მარშალის კუნძულების მცხოვრებთათვის მიეცათ ცოდნა-განათლება, მაგრამ პედაგოგებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე ცოტა არ იყოს უცნაური თვალსაზრისი აღმოაჩნდათ. თვალსაჩინო სწავლება მყისვე ადამიანის ცოდნის ყველაზე რთული ნაწილით — ატომგულური ფიზიკით დაიწყეს.

1946 წლიდან, როცა ააფეთქეს „ეიბლი" და „ბეიკერი" — ანბანის პირველი ასოების სიმბოლოები — კუნძულებს გამუდმებით „აგრილებდა" ოკეანის წყლისა და მარჯნის ნამსხვრევების გიგანტური შადრევნები.

დაბოლოს, მეურვეებმა ივალდებულეს „მცხოვრებთა ჯანმრთელობაზე ეზრუნათ..."

არქიპელაგის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით დიდი ატოლების ჯაჭვია გაბმული — ენივეტოკი, ბიკინი, აილინგინაე, რონგელაპი, რონგერიკი და იუტაირიკი. მათგან მოშორებით, სამხრეთით მდებარეობს კუნძული ქვაჯელეინი — ამერიკელთა მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა მარშალის კუნძულებზე.

ენივეტოკზე და ბიკინიზე (უკვე სამი ათეული წელია, ეს სახელები არ შორდება გაზეთების ფურცლებს) არავინ არ ცხოვრობს. სხვა კუნძულები კი ხალხით იყო დასახლებული.

ატმისფერ ღრუბლებს მაშინ დავცილდით, როცა ის ჰაერის ნაკადს მინებდა და დედამიწის ირგვლივ სიკვდილის თესვას მოჰყვა. მეტეოროლოგთა ვარაუდით, მას ჩრდილოეთით უნდა გაეცურა, ღია ოკეანეში და მისი ზედაპირის პირველ ათ კილომეტრზე რადიოაქტიური ფერფლი მოეფინა. მაგრამ ღრუბელმა პროგნოზის საწინააღმდეგოდ, ჩრდილოეთით კი არა, აღმოსავლეთით გაცურა. ეს იყო დასაწყისი ტრაგედიისა, რომელმაც მილიონობით ადამიანი რისხვით აავსო.

კუნძულ რონგერიკზე ალუმინის პატარა სახლებში 28 ამერიკელი მეტეოროლოგი ცხოვრობდა. ისინი საქმეში ჩახედულნი იყვნენ და ამიტომ, როცა ღრუბელმა გადაიარა, იბანავეს, ტანთ გამოიცვალეს და თავიანთ ლითონის თავშესაფრებში გაინაბნენ. მათ დაახლოებით 78 რენტგენის დოზა მიიღეს.

ბიკინიდან აღმოსავლეთით 150 კილომეტრზე ატოლ რონგელაპზე პალმის ჭოხებში კუნძულის 64 მკვიდრი ცხოვრობდა. მათ მოახლოებულ საფრთხეზე არაფერი იცოდნენ და არც რაიმე ზომები მიუღიათ. იმ 18 მეთევზე-მარშალელთან ერთად, რომლებიც კუნძულ აილიგინაესთან თევზაობდნენ, მათ 100-დან 200-მდე რენტგენის დოზა მიიღეს.

დაბოლოს, ბიკინიდან 500 კილომეტრზე, კუნძულ იუტაირიკზე 157 მარშალელი ცხოვრობდა.

სიმპტომები ყველას ერთნაირი ჰქონდა. ჯერ გულისრევა დაეწყოთ, შემდეგ ციებ-ცხელება, კუჭის ტკივილი, კანის წვა და ქავილი. განსაკუთრებით შავი დღე დაადგა მარშალელთა ფეხებს, რომელთაც არასოდეს ცმიათ ფეხსაცმელი. სიმწრისაგან კრიჭაშეკრული ადამიანები ძლივს მიბობღავდნენ თვითმფრინავებისკენ.

თვითმფრინავებს დღე და ღამე გადაჰყავდათ დაშავებულნი კუნძულ ქვაჯელეინზე პირველი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. ალბათ მსოფლიო ვერაფერს შეიტყობდა ამერიკელი „მეურვეების ზრუნვაზე“, აფეთქების ადგილიდან 150 კილომეტრის დაშორებით, კუნძულ რონგელაპის ჩრდილოეთით იაპონური სათევზაო ნავი „ბედნიერი დრაკონი“ რომ არ აღმოჩენილიყო ანაზდად.

„ბედნიერი დრაკონის“ ეკიპაჟის ოცდასამ უბედურ წევრს ექვი არაფერზე მიუტანია. მათ თვალისმომჭრელი აფეთქება დაინახეს, სამი საათის შემდეგ კი ხომალდის გემბანი თეთრმა ფანტელებმა დაფარა. ამ ფანტელებს ეკიპაჟის წევრებმა „სინო-ხაი“ — „სიკვდილის ფერფლი“ დაარქვეს, თუმცა ჯერ არ უწყოდნენ, მომაკვდინებელი რომ იყო. ორი კვირა მიცურავდნენ ისინი თავიანთ მშობლიურ კუნძულ იაძუსკენ და ორი კვირა მათ სხეულებს სხივები გმირავდა. იაპონელმა. მეთევზეებმა 200 რენტგენის დოზა მიიღეს.

ეს შეიძლება არც მომხდარიყო, ამერიკელებს გემები რომ გაეფრთხილებინა, ამა და ამ დროს ბომბის გამოცდას ვაპირებთო. უფრო მეტიც — არავინ გაუფრთხილებიათ რადიოთი, რომ შხამიანი ღრუბელი, რომელმაც მიმართულება შეიცვალა, გამოცხადებული სახიფათო ზონიდან გამოვიდა და ადამიანთა სიცოცხლეს უშუალო საფრთხეს უქმნიდა.

„ბედნიერი დრაკონის“ ეკიპაჟის ნაწილი ტოკიოში ჩაიყვა-

ნეს. იაპონელი ექიმები მეთევზეთა სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ. ამაში მათ ეხმარებოდა სხივური ავადმყოფობის მკურნალობის გამოცდილება, რაც, სამწუხაროდ, საკმაოდ დაუგროვდათ. იმ დღეებში ხიროსიმის მცხოვრებნი განსაკუთრებით მტრული თვალით შესცქეროდნენ დიდ შენობებს, რომლებშიც იარმოცდაექვსი წლიდან ატომური ბომბით დაზარალებულთა გამომკვლევი ამერიკული კომისია დაბინავდა. ხიროიამის ბორცვიდან, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა გადარაჯებული ქალაქი, ვაშინგტონს გაუთავებლად ელაპარაკებოდნენ ტელეფონით.

ვაშინგტონი მოქმედებას მოითხოვდა. საჭირო იყო, რადაც უნდა დასჯდომოდათ, შეესუსტებინათ ახალი უბედურებისგან მიღებული შთაბეჭდილება. მაგრამ როგორ? კომისიის შეფმა რობერტ ჰოლმსმა სასწრაფოდ აფრინა თავისი წარმომადგენლები ტოკიოში, მაგრამ მათთან ლაპარაკი არავის სურდა და ისინი საავადმყოფოშიც არ შეუშვეს.

ერთ-ერთი ამერიკელი განსაკუთრებით ჯიუტობდა. ის ცდილობდა დაერწმუნებინა იაპონელი ექიმი, იაპონელ ხალხს დიდ პატივს ვცემ, ასე გმირულად რომ გადაიტანა ატომური ბომბისაგან თავს დატეხილი საშინელი ტრაგედიაო.

— საინტერესოა ვნახოთ თქვენი ხალხის ვაჟკაცობა, როცა მისი ჯერი დადგება, — შენიშნა ექიმმა.

— როცა ჩვენი ჯერი დადგება? — გაიმეორა გაოცებულმა ამერიკელმა, — თქვენ ფიქრობთ, რომ შეერთებულ შტატებს დაბომბავენ?

— დიახ, ხიროსიმის დაბომბვით ყველაფერი არ დასრულდება, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, — უპასუხა ექიმმა, ნახევრადმოწეული სიგარეტი გადააგდო და საავადმყოფოს კარებში გაუჩინარდა.

ამერიკელი კიდევ დიდხანს იდგა და იაპონელის შემზარავ სიტყვებზე ფიქრობდა. ეგონა, რომ დაუმსახურებლად აწყენინეს. იაპონიაში წლების მანძილზე მუშაობამ მას შეაყვარა ეს ქვეყანაც და მისი ხალხიც. იაპონელები მას პატივს სცემდნენ მეგობრული განწყობისა და იმ შეუდრეკელობისათვის, იაპონელი ბავშვების ორგანიზმზე რადიაციის მოქმედების შესახებ მოხსენების მომზადებისას რომ გამოიჩინა.

ადამიანის მოქმედებას, თუნდაც ყველაზე მოულოდნელს, თავისი ისტორია აქვს. იაპონელი ექიმის სიტყვები პირველი და უკანასკნელი მიზეზი არ ყოფილა იმ ფიქრებისა, რომლებსაც კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ამერიკელი, სახელად ჯონ ნორისი.

თავი მეორე

1958 წლის 9 ივლისი

ოთხ საათზე ადგილობრივი დროით ხიკამის სამხედრო აეროდრომზე თვითმფრინავი დაეშვა. თვითმფრინავს პატარა ჯგუფი გამოეყო და უხმოდ მიაშურა აეროდრომის სამსახურის შენობებს. თუჯის დაბალი ღობის იქით მათ აფუსფუსებულ არსებათა ჯგრო შეხვდა, რომელთაც ფოტოაპარატები მოემარჯვებინათ. რეპორტიორებს თითქმის მთელი ღამე მოუხდათ ლოდინი და დაქანცულები იყვნენ. მაგრამ მათი იმედი, სენსაციურ მასალას მოვიხელთებთო, არ გამართლდა.

სამხედროფორმიანები სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ კაცს რეპორტიორებს ახლოს არ აკარებდნენ. ნათურების კაშკაშა შუქმა მუნდირთა მჭიდრო კედელი ვერა და ვერ გაარღვია, და როცა ფოტოსურათები დილის გაზეთების რედაქტორთა მაგიდაზე მოხვდა, ერთ-ერთმა უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— რა არის ეს? ათეული მარშზეა? ნორისი სად არის?

ფოტოსურათებზე ნორისი არ ჩანდა. არც იმათ გაუმართლა, ვისაც ბლოკნოტები ჰქონდათ მომარჯვებული. ინტერვიუს მაგივრად ერთ-ერთი მცველის მრისხანე გაფრთხილება მოისმინეს:

— მისტერ ნორის, თქვენ ლაპარაკის უფლება არა გაქვთ!

ტყვე, რომელმაც ის იყო რეპორტიორისკენ ნაბიჯის გადადგმა დააპირა, ამ ბრძანებას უხმოდ დაემორჩილა და კარებში გაუჩინარდა, საიდანაც მაშინვე გამოვიდა ახოვანი, თეთრჩაჩქანიანი კაცი.

რეპორტიორებმა კუშტად გახედეს მინდორს, სადაც საწევარი თვითმფრინავს ანგარისკენ მიათრევდა და თავ-თავიანთი ავტომანქანებისკენ წალასლასდნენ.

ბევრს ეცადნენ, მაგრამ, ასე თუ ისე, ნორისის სახელი იმავე დღეს მაინც გამოჩნდა გაზეთებში. რედაქციებში ტელეფონებს არ შორდებოდნენ, გაფაციცებით იქექებოდნენ კარტოთეკებსა და გამოცემების დასტებში, ვინაიდან კარგად ახსოვდათ პრესის დაუწერელი კანონი — დღევანდელი ათი სტრიქონი ხვალინდელ დიდ სტატიას ჯობიაო.

8 საათსა და 30 წუთზე ნორისს დილის გაზეთები მოუტანეს, რომლებიც ასეთი სათაურებით იყო აჭრელებული: „დოქტორი ნორისი ჰონოლულუში ჩამოიყვანეს", „მემორის" მფლობელს მკაცრი განაჩენი ელის — ოცი წლის ციხე"...

გაზეთების ფურცვლისას ნორისმა შეიტყო, რომ თურმე გიჟიც ყოფილა, მოტყუებული იდეალისტიც, მოწამეობის მანიით შეპყრობილი ფანატიკოსიც, ავანტიურისტიც, რომელიც მზადაა თვითრეკლამის გულისთვის სული ეშმაკს მიჰყიდოს, და ბოლოს, კომუნისტიც. მხოლოდ ერთი სტატია გამოდგა შედარებით კეთილმოსურნე ტონით დაწერილი:

„დოქტორი ჯონ ფ. ნორისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის თვითმფრინავით გუშინ ჩამოიყვანეს მარშალის კუნძულებიდან. იგი დააკავეს საკუთარ იახტა „მემორიზე" ატომგულური გამოცდის რაიონში. ნორისის გარდა იახტაზე იმყოფებოდნენ მისი ცოლი მისის ნორისი, ვაჟიშვილი ფრედი და იაპონიის ქვეშევრდომი ნიში იამადა. აკრძალული ზონის საპატრულო გემებმა იახტა კუნძულ ქვაჯელეინზე წაიყვანეს და დღესაც იქ იმყოფება."

როგორც ვიუწყებოდით, 10 ივნისს, ატომგულური გამოცდის რაიონში გამგზავრების წინ, ნორისმა ჩვენს კორესპონდენტს გადასცა განცხადება, სადაც გადმოცემული ჰქონდა თავისი დემონსტრაციული ქცევის მოტივები:

„მემორი" ზღვაში შევა 11 ივნისს, დილით 5 საათზე. ჩვენ კურსს ავიღებთ სამხრეთ-აღმოსავლეთით და ატოლ ენივეტოკის განედზე გასვლის შემდეგ დასავლეთისკენ გავწევთ. ჩვენი შემდგომი მარშრუტი დამოკიდებული იქნება ქარზე, ამინდსა და სვლა ვითარებებზე. რეისის ბოლო პუნქტია ხიროსიმა, იაპონია.

განზრახული გვაქვს სახიფათო ზონაში შევიდეთ ბირთვული გამოცდის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მიგვაჩნია, რომ ატომური ენერგიის კომისიის განკარგულება იახტა „სი-

თიზენის“ დაკავების შესახებ ეწინააღმდეგება ამერიკელთა წარმოდგენას ზღვაოსნობის თავისუფლებაზე.

ვინაიდან ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელი იაპონიის მოქალაქეა, ჩვენი გეგმების შესახებ ვაცნობეთ იაპონიის მთავრობის წარმომადგენელს და მისი შემწეობით ვთხოვეთ ჩვენი ცურვის რაიონში მყოფ ყველა გემს თვალყური ადევნოს ჩვენს მოგზაურობას, რისთვისაც განზრახული გვაქვს ვაწარმოოთ გადმოცემა ყოველდღე, ზუსტად შუადღისას, 2182 კილოგერცის სიხშირეზე.

ამ რეისით გვსურს შეერთებული შტატების ხალხის ყურადღება მივაპყროთ ჩვენი მთავრობის საეჭვო პოლიტიკასა და მოქმედებაზე, რასაც დღეს მთელი მსოფლიო შეშფოთებული ადევნებს თვალყურს.

იახტა „მემორის“ ეკიპაჟი“

დოქტორი ნორისი, ცნობილი სწავლული ექიმი, წლების მანძილზე მუშაობდა მთავრობის დაწესებულებებში და მშვენიერი ნამსახურობის ნუსხაც ჰქონდა. 1951 წელს იგი მიავლინეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ატომური ენერგიის კომისიაში ქალაქ ხიროსიმაში, სადაც ატომური ბომბისაგან დაზარალებულთა გამომკვლევი კომისიის წევრი გახდა და ბავშვების ორგანიზმზე რადიოაქტიობის გამოსხივების მოქმედებას სწავლობდა. 1957 წელს ნორისმა ხანგრძლივი შვებულება აიღო და ოჯახთან ერთად საკუთარი იახტით შტატებში გაემგზავრა. მან დამხმარედ აიყვანა იაპონელი მეზღვაური, წარმოშობით ხიროსიმელი იამადა. იაპონიაში დაბრუნებისას ნორისმა დემონსტრაციულად დაარღვია კომისიის მითითება და საზიფათო ზონის გარშემოვლაზე უარი განაცხადა.

ნორისი თავისი დარგის იმ სპეციალისტთა ათეულში შედის, რომლებსაც ყველაზე დიდ ჯამაგირს უხდიან. მისმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება ჰპოვა. ნორისის ქცევამ შეიძლება დამღუპველი გავლენა მოახდინოს მის აკადემიურ კარიერაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ხანგრძლივი პატიმრობაც ემუქრება.

ფედერალურმა პროკურორმა ბენსონმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამჟამად მიმდინარეობს ნორისის საქმის ძიება. თუ დამტკიცდა, რომ ექიმი უცხოური სახელმწიფოს ინტერესებისათვის იღვწოდა, მას ხანგრძლივი პატიმრობა

ელის. პროკურორის განცხადება აშკარად არაკეთილსინდისიერი ცდა იყო, რომ სახიფათო ზონის საზღვრების დარღვევა იაპონიის საკონსულოში მისვლისთვის დაეკავშირებინა და სასტიკი განაჩენისთვის მიეღწია.

უმრავლესობას, ვინც იცნობდა დოქტორ ნორისს, დინჯ, რბილი ხასიათის კაცს, მისი ფანატიკოს-მეამბოხედ გადაქცევა ვერ წარმოედგინა.

საინტერესოა აზრი ოჰაიოელი ბიზნესმენის მისტერ ლუის დანტონისა, რომელიც თავის დროზე იცნობდა ნორისებს: „ეს არის ორიგინალური და ძალზე საყვარელი ოჯახი. მაგრამ ის, რაც მათ ჩაიდინეს... ჰმ, ექსტრავაგანტური ჟესტია. ჩემთვის მათი საქციელი მოულოდნელი გახლდათ“.

„ჩემთვისაც, მისტერ დანტონ“, — გაიფიქრა ნორისმა, როცა მისი ნათქვამი გაზეთში ამოიკითხა. სულ უფრო მეტად იპყრობდა მოუსვენრობა, აზრებს უწეწავდა, გულს ტკივილით უსერავდა. როგორ არიან ა'ლა იქ, ქვაჯელეინზე ჯეინი, ფრედი, ნიკი? რა ელით? ნორისი ადგილს ვერ პოულობდა პატარა, რკინის გისოსებიან ოთახში. მისი ყურადღება შესახედად საკმაოდ სუფთა ლოგინმაც ვერ მიიზიდა, თუმცა რვასაათიანი ღამეული ფრენის მანძილზე თვალი ერთხელაც არ მოუხუჭავს.

10 საათსა და 30 წუთზე ნორისი მანქანაში ჩასვეს და პირქუშ დიდ შენობაში წაიყვანეს. აქ პოლიციის ჩინოვნიკმა უხმოდ აუღო თითების ანაბეჭდები. ნორისისთვის ეს უცხო არ იყო, ვინაიდან ხშირად უხდებოდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოთა შესრულება. მაგრამ ახლა ეს პროცესი განსაკუთრებით შეურაცხმყოფელად მოეჩვენა.

შემდეგ სანაპირო დაცვის ლეიტენანტმა, რომელიც დოქტორს ქვაჯელეინიდან ჩამოჰყვა, იგი ვეებერთელა კაბინეტში შეიყვანა, კაბინეტის კედლები კონგრესის ანგარიშების სქელი ფოლიანტებით და მთავრობის გამოცემებით სავსე თაროებით იყო დაფარული. საწერ მაგიდასთან ჭაღარათმიანი, მედიდური ჯენტლმენი იჯდა, რომელსაც უჩარჩო სათვალე ეკეთა. ლეიტენანტმა ნორისს წასჩურჩულა:

— ეს თვით მთავრობის კომისარი ქეინია.

ქეინმა დანაოჭებული კისერი ცსვირსახოცით მოიწმინდა და შემოსულს ჰკითხა:

— ვექილი გყავთ?

ორჯერ მოუხდა ამ კითხვის გამეორება. ნორისის ფიქრები შორს, ქვაჯელეინზე იყო.

— არა.

— რაიმე შეკითხვა თუ გაქვთ?

— მიმაჩნია, რომ უკანონოდ დამაპატიმრეს. მე უკვე განვაცხადე ამის შესახებ. ჩემთვის დაპატიმრების ორდერიც კი არ წარმოუდგენიათ.

კომისარმა ქეინმა მის წინ დადებულ ქაღალდს ხელი ო

-წერა და ნორისს გადასცა. ასე განუმარტეს ნორისს პირველად მისი დაპატიმრების ოფიციალური მიზეზი. ქაღალდი იმ მაღალფარდოვანი და ძნელად გასაგები სტილით იყო დაწერილი, რომელსაც არა ერთი და ორი ასწლეულია ანგლოსაქსონურ სახელმწიფოთა სამართალწარმოებაში ხმარობენ.

„...ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ 1958 წლის პირველ ივლისს ენიეტოკის საგამოცდო პოლიგონის რაიონის ღია ზღვაში, რომელიც შეერთებული შტატების სპეციალურ საზღვაო და ტერიტორიულ იურისდიქციაში იმყოფება, ჯონ ფ. ნორისმა შეგნებულად დაარღვია, ცდილობდა დაერღვია და მალულად დააპირა დაერღვია წესრიგი და წესები, რომლებიც შეერთებული შტატების კოდექსის 42-ე თავის 2201(1)-ე მუხლიდან გამომდინარეობს, შევიდა რა, ცდილობდა შესულიყო და მალულად დააპირა შესვლა საკიფათო ზონაში, რომლის საზღვრები დადგენილია მთავრობის განკარგულებით ბირთვული გამოცდის „ზღვის ორცხობილას“ სერიის დროს“.

ნორისის ყურადღება მიიპყრო „შეერთებული შტატების ტერიტორიულმა იურისდიქციამ“. მაშ რა ვუყოთ მთავრობის განცხადებას — ამ რაიონში ტერიტორიულ იურისდიქციაზე პრეტენზიები არა გვაქვსო? უნდოდა ეს ქეინისთვის ეთქვა, ბაგრამ დროზე შეიკავა თავი. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

— თქვენმა მეგობრებმა გირაო შემოიტანეს. — უთხრა ქეინმა, — ხუთასი დოლარი. შეგატყობინებენ, სასამართლოში როდის უნდა გამოცხადდეთ. სად ცხოვრობთ?

— არ ვიცი. რა ბედი ელის ჩემს ოჯახს, იახტას?

— რომელ იახტას?

— „მემორის“. თქვენ იგი ქვაჯელეინზე წაიყვანეთ.

ქეინი დაიღრიჯა.

— თქვენი იახტა არავის დაუკავებია.

— აქამდე რატომ არ მითხარით?

— თქვენ რატომ არ გვკითხეთ?

— ეს უკვე ბოროტი დაცინვაა. ჩემი ოჯახი ბედის ანაბარაა მიტოვებული...

— თქვენ თავისუფალი ხართ.

— მე პროტესტს ვაცხადებ...

— თქვენ თავისუფალი ხართ!

ნორისი თავს ძლივს იჭერდა. ჰავაის კაშკაშა მზეზე მას უკვე ელოდნენ რეპორტიორები. სეტყვასავით დააყარეს შეკითხვები. „გვითხარით, რა გადაგხდათ, როცა ჰონოლულუდან გამოცურეთ?" ნერვებაშლილ ნორისს ვერაფრით ვერ მოეკრიბა ყურადღება. მისი მოკლე პასუხები მეგაზეთეებს ვერ აკმაყოფილებდა. განსაკუთრებით ჩააცივდა ერთი რეპორტიორი, აშკარად იმ განზრახვით, იქნებ ნორისს მის კომუნისტურ წარსულზე რაიმე დავაცდენინოო.

— არ შეგიძლიათ რამე მიამბოთ რუსეთზე? სვვათა შორის მეც გახლდით იქ 1919 წელს...

— სამწუხაროდ, ვერაფრით გასიამოვნებთ. მე იქ არა ვყოფილვარ.

დარბაისელი მეგაზეთე ისე იყო აღვსილი პატრიოტული სულისკვეთებით, თითქოს ეს-ესაა ბოისკაუტის[1] შეკრებიდან დაბრუნდაო. ნორისს რომ გაშორდა, ჩაიბურტყუნა:

— მსგავსი რამ არ შეგემთხვეოდათ, ბავშვობაში ბოისკაუტი რომ ყოფილიყავით.

— მართლაც, — დაადევნა სიტყვა ნორისმა. მას აქამდე ჰქონდა შემონახული ბოისკაუტის სამკერდე ნიშნები. მაგრამ მისგან სისასტიკე იქნებოდა აბეზარი ტუტუცისთვის გული გაეტეხა. ბებერი ყეყეჩი ამას ვერ გადაიტანდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მეგაზეთეებმა თავი დაანებეს. მხოლოდ ერთი მათგანი დარჩა და ნორისს იდაყვზე მოწიწებით შეავლო ხელი.

— სად აპირებთ ცხოვრებას, მისტერ ნორის?

ახალგაზრდა კაცის ცოცხალ სპუს რომ დააცქერდა, ნო-

---

[1] საბავშვო და საყმაწვილო სპორტული ორგანიზაცია (ბიჭებისთვის) ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

რისს რატომღაც მოეჩვენა, რომ ის კეთილმოსურნე სტატია მისი დაწერილი იქნებოდა და უამბო თავის წუხილზე, სახლზე, იახტაზე, რომელიც აქედან ორი ათასი მილის დაშორებით — მარშალის კუნძულებზე ეგულებოდა.

— ნება მიბოძეთ რჩევა მოგცეთ, მისტერ ნორის. ვექილი აიყვანეთ. თქვენ თვითონ გაგიჭირდებათ ამ საქმიდან თავის დაძვრენა. ისე დაგაპატიმრეს, ორდერიც არ წარმოუდგენიათ. შეიძლება კარგი ექიმი ხართ, მაგრამ ბევრი სისულელე კი ჩაიდინეთ.

რეპორტიორი წავიდა. ნორისმა საფულე ამოიღო. ამ საკურორტო ქალაქში საუცხოო აპარტამენტის დაქირავება შეეძლო ყველას... ვისაც ბევრი ფული ჰქონდა. დაქირავება ალბათ დიდი ხნით მოუწევდა. წინ სასამართლო ელოდა. ნორისი მზისგან გახურებული ქუჩებით სახლიდან საბ'ლში გადადიოდა. მხოლოდ საღამო ხანს იპოვა თავშესაფარი ჯურღმულებში. სახლი ძველი გახლდათ, მაგრამ ვაიკიკის პლაჟთან ახლოს იყო. მეზობლად მდებარე ღამის კლუბიდან საყვირების გამყინავი კივილი ისმოდა. სახლის პატრონი, მოღიმარი ჩინელი ნორისს არწმუნებდა, კლუბი მხოლოდ ღამის სამ საათამდე მუშაობს და მერე ხმაურსაც ვეღარ გაიგონებთო.

მისტერ ტაიმ ბე მიიღო და ნორისი თავის ოჯახს წარუდგინა, მასპინძელს რვა ქალიშვილი ჰყავდა: დო-დო, რე-რე, მი-მი, ფა-ფა, სოლ-სოლ, ლია-ლია და სი-სი.

„ზედმეტ“ ასულს ცოლ-ქმარმა ოქტავია დაარქვა. ორ ბუთხუზა ბიჭსაც — მბ'უცი ჩინელის მემკვიდრეებს — მჭექარე სახელები ერქვა: ურანი და სპუტნიკი.

ნორისი ერთობ უგუნებოდ იყო, მაგრამ მაინც ვერ შეიკავა ღიმილი. ოთახში, რომელიც სახლის პატრონმა გამოუყო, ტანთ გაიხადა, სინათლე ჩააქრო და საწოლზე წამოწვა. დიღხანს უცქერდა ჭერზე მოთამაშე სინათლის ლაქებს. მიუხედავად დაღლილობისა, თუმცა შეიძლება სწორედ დაღლილობის ბრალი იყო, ძილი არ ეკარებოდა. თავში ქაოსურად ირეოდა ყველაფერი, რაც გადახდა და განიცადა...

თავი მესამე

დოქტორ ნორისის დღიური

რით განისაზღვრება ხოლმე ადამიანის საქციელი? ოთხი წლის წინ ყველასგან პატივცემული ჯონ ფ. ნორისი არაფრით არ დაიჯერებდა, რომ შეეძლო მოუფიქრებლად გახვეულიყო სახიფათო საქმიანობაში, თავისი პატარა შეუმატკბილებული ოჯახი საშინელ განსაცდელში ჩაეგდო, გაეწირა კარიერა და სიცოცხლე. მაგრამ, რაოდენ მოულოდნელადაც უნდა მოგვეჩვენოს ზოგიერთი საქციელი, ყოველთვის შეიძლება მოვძებნოთ მათი ფარული მიზეზი: ყველაფერს, რასაც ადამიანი აკეთებს, იგი აკეთებს ადამიანების გულისთვის, ადამიანების სასიკეთოდ.

დავიხიოთ ორი თვით უკან, ჰონოლულუში დოქტორ ნორისის იძულებით დაბრუნებამდე. შევიხედოთ პატარა იახტა „მემორის" კაიუტაში, ეს-ესაა ორი ათასი მილი რომ გადასერა სან-ფრანცისკოდან ჰავაის კუნძულებამდე და დავინახავთ მის მფლობელს, თავი სქელ რვეულში რომ ჩაურგავს. მაგიდაზე, იატაკზე, თაროებზე — ყველგან გროვად ყრია წიგნები. მათ სათაურებში, სულ რომ არ ეთავსება ერთმანეთს, ხშირად მეორდება სიტყვები: „ატომი", „რადიოაქტივობა", „მოქმედება", „ადამიანის ორგანიზმი".

ნორისის სახეზე აღბეჭდილი აშკარა შეშფოთება ჩვენთვის ძნელი ასახსნელი იქნებოდა, თუ მასზე გაწკრიალებული იახტის გარეგნული იერით ვიმსჯელებდით, იახტისა, რომელსაც ოკეანის წყნარ ზედაპირზე მსუბუქი ზურგქარი მიაქანებდა.

შეიძლება რაღაც მოგონებებმა მოჰგვარა სევდა და ულამაზო, მაგრამ კეთილ სახეზე შეშფოთების ჩრდილმა გადაუარა. მოდით მარჩიელობას თავი დავანებოთ და მივმართოთ დოქტორ ნორისის დღიურს, რომელიც მართალია ჩვენ წინაშე მოვლენათა მთელ კავშირს ვერ გამოააშკარავებს, მაგრამ მომავალში მისი ავტორის განწყობაზე გარკვეულ წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის.

„1958 წლის 4 მაისი. ეს-ესაა მოვისმინე უკანასკნელი ცნობები, რამაც შემძრა: რადიოთი გადმოსცეს, რომ კუნძულ ჯონსტონზე დაგეგმილია რაკეტის გამოცდა ბირთვული საბ-

რძოლო მუხტით. ეს ნიშნავს, რომ აკრძალული ზონის 400 კვადრატულ მილს ატოლ ენივეტოკის ჩრდილოეთით, სადაც წყალბადის ბომბების გამოსაცდელი სერიები მიმდინარეობს, დაემატება უზარმაზარი რაიონი ჰავაის კუნძულებიდან სამხრეთით. იმ გამოცდებთან ერთად, შობის კუნძულზე ინგლისელები რომ ატარებენ, გამოცდა ჯონსტონზე ჩვენს „მემორის“ სულ გადაუღობავს გზას ხიროსიმისკენ.

ჰილოს ვუახლოვდებით. უკვე მოჩანს ზვირთსაქცევი, ტანაყრილი პალმები, ზღვისკენ რომ გადმოხრილან, ქალაქი, რომელიც ყურის ვიწრო ზოლს მიჰყვება. შორიდან კი მაუნა-ქეას ღრუბლებით დაფარული პიკი იმზირება.

სან-ფრანცისკოდან მგზავრობა დასრულდა.

იახტის ეკიპაჟი ჩინებულად იქცეოდა. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს კაპიტანი? ალბათ ვითარების შესაფერისი სიტყვის წარმოთქმა მმართებს და მამაცი ეკიპაჟის საჩუქრებით დაჯილდოება, საჩუქრებს ზედ ასეთი წარწერები ექნება:

„ნიკ იამადას, კეთილ ამხანაგს, ჩინებულ მეზღვაურს, მოკვდავთაგან ყველაზე მშვიდ კაცს“.

„ჯეინ ნორისს, შეუდარებელ ცოლსა და მრავალტანჯულ კოკს[1] (ან პირიქით)“.

„ფრედ ნორისს, ვაჟიშვილს, შტურმანს, წყნარი ოკეანის 1958 წლის ჩემპიონს ჭადრაკში (მე მაინც ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა)“.

ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა, რათა ეს მოვლენა უკვდავყო. ფრედი გემბანზე სუფრას შლის, ჯეინი კამბუზში ფუსფუსებს, ნიკი კანჯოს დასტრიალებს თავს.

— ფრედ... — ვიწყებ მე. — ამის წართმევას ვერ გაბედავენ.

— სწორი ბრძანებაა, კაპიტანო, — დამეთანხმა იგი. შემდეგ მისი გაოცებული მზერა დავიჭირე, — რატომ ვერ გაბედავენ, ვინ ვერ გაბედავს.

ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობ, სიტყვა პირზე მაშრება. ძალიან ბევრი მქონდა სათქმელი, მაგრამ ვერ შევძელი. მარშალელებისა და იაპონელი მეთევზეების ბედი გამახსენდა,

---

[1] გემის მზარეული.

წყალბადის ბომბის გამოცდის დროს რომ დაზარალდნენ. მე სხვაზე მეტად მესმის ის საშიშროება, რაც ჩვენ და მთელ მსოფლიოს ემუქრება. რა მომავალი გელის, ფრედ? ორმოცდახუთში ოთხი წლისა იყავი. სეტყვასავით მაყრიდი ხოლმე შეკითხვებს: „რომელი უფრო ძლიერია — ლომი თუ ვეფხვი?" „რა არის ბედნიერება?" „მამა, ატომური ბომბი ამ სახლზე დიდია?" ბოლო კითხვაზე უფრო მეადვილებოდა პასუხის გაცემა, ვიდრე წინა ორზე. არა, ფრედ, ატომური ბომბი ისე პატარა იყო, ერთმა გენერალმა მთავარი მექანიზმის პატარა ყუთი რომ დაინახა, თვალებს არ დაუჯერა და იფიქრა, მასუ-ლელებენო.

მაგრამ ეს საშინელი ბომბი იყო, ფრედ. იმ დღიდან ცამეტი წელი გავიდა, მას კი ყოველდღე მოაქვს სიკვდილი ადამიანებისათვის. მან იმსხვერპლა ნიკის მშობლები, ნიკს კი აიძულებს ყოველთვის ინერვიულოს, როცა სასპლის მორიგ ანალიზს უკეთებენ. შენ თან მახლდი ხოლმე, როცა ხიროსიმის საავადმყოფოებში დავდიოდი. იქ იწვნენ ბავშვები, რომლებიც ბომბის აფეთქების დროს წლისაც არ იყვნენ. მხოლოდ გუშინწინ, როცა გავიგეთ, რომ ხიროსიმაში ტეიკო სასაკის ძეგლი დაუდგეს, გაგვახსენდა თორმეტი წლის გოგონა, რომელიც საავადმყოფოში 1955 წელს — დაბომბვიდან ათი წლის შემდეგ მოხვდა. რა იმედი ცოცხლობდა მის მაყვალივით შავ თვალებში! შენ გაოცდი, როცა ნახე, რომ მისი პალატის კედლები ქაღალდის წეროებით იყო მოფენილი. მაშინ ჩვენ გვიამბეს, იაპონელებს სწამთ, რომ წეროები ათას წელს ცოცხლობენ და თუ ოთახში ათას ქაღალდის წეროს — „სემბა-ცურას" ჩამოკიდებთ, ავადმყოფი გამოჯანმრთელდებაო. ტეიკომ ქაღალდისგან 644 წერო გამოჭრა და მოკვდა. ახლა მაღალ კვარცხლბეკზე დგას მოქანდაკის მიერ გამოძერწილი გოგონა და ჰაერში ოქროს წეროს უშვებს. ვინც კითხვა იცის, ქვაზე ამოკვეთილ წარწერას ამოიკითხავს: „ჩვენ მოვითხოვთ და ვლოცულობთ: დაე ქვეყნად მშვიდობა სუფევდეს!"

დამერწმუნე, მე არ მრცხვენია ამ სტრიქონების პათოსისა. ისევ და ისევ ვიგონებ ხიროსიმაში გატარებულ წლებს და, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება ერთ-ერთი დიდი სამხედრო პირის სიტყვები, რომლის პატივსაცემადაც ატომური ბომბით დაზარალებულთა გამომკვლევი კომისიის შენობაში სადილი

გავმართეთ: „ჩვენ ვშიშობდით, რომ ჯაპსები (იაპონელები) მანამდე დაგვნებდებოდნენ, სანამ ნაგასაკიზე მეორე ბომბის გამოცდის საშუალება მოგვეცემოდა". მე ადრეც მსმენოდა, რომ დაბომბვისათვის გამოცხადებული დღე 11 აგვისტო მოულოდნელად 9 აგვისტოსთვის გადმოიტანეს. რა იმალებოდა ჩვენი სტუმრის სიტყვებს მიღმა — გულის გადაშლის მოსურნე სამხედრო ბაქიაობა თუ ოფიციალური დანაშაულებრივი პოლიტიკა? ამერიკამ დღემდე არ იცის მთელი სიმართლე ატომურ დაბომბვათა შესახებ.

ჩემთვის ეს სიტყვები იმის ურყევი საბუთია, რომ ხიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა სულაც არ იყო აუცილებელი. სინდისი ყოველთვის დამქენჯნის ყოველივე იმის გამო, რაც ამ ქალაქებში ვნახე და არასოდეს დავიჯერებ ჩვენი მთავრობის განცხადებას, თითქოს ამ ბომბების ჩამოგდებით მილიონობით ჩვენი ჯარისკაცის სიცოცხლე გადავარჩინეთ. ბომბი, რომელიც ბინძურ ხელში მოხვდება, შეიძლება მსოფლიოს უამრავ მილიონ სიცოცხლედ დაუჯდეს...

ცინიკოს ჟურნალისტებს უყვართ წერა, რომ „ხიროსიმამ თავისი სვე-ბედიდან ინდუსტრია შექმნა". ქალაქში ყოველ წელიწადს ორი მილიონი ტურისტი ჩადის. ჩაშავებული ნანგრევები ახალმა ლამაზმა შენობებმა შეცვალა. დრო ყველაფერს გვავიწყებს, მაგრამ ეს ყველას როდი ეხება.

არსებობს ძველი ეგვიპტური ლეგენდა ფენიქსზე, რომელიც თავის ბუდეში იწვის, მაგრამ ფერფლისგან ისევ აღდგება ხოლმე. ქალაქი აღდგა, მაგრამ ვერასოდეს ვეღარ აღდგებიან მკვდრეთით ისინი, რომელთა სახელებიც შეტანილია სიაში, მემორიალის მოედანზე ქვის თაღოვანი გადმონაშვერის ქვეშ ურნაში რომ ინახება. „განისვენეთ მშვიდად! დაე ნურასდროს განმეორდება ხიროსიმა!" — წერია ურნაზე.

„მემორი" („ხსოვნა") — ასე დავარქვით ჩვენს იახტას. ის ხიროსიმაშია აგებული. სანამ შენდებოდა, თითქმის ყოველდღე ნავსაშენში ჩავდიოდი და გემთმშენებელ ინჟინერს, მოძრავ, ჭკვიან კაცს — ცუტომა იამაგუტის ვესაუბრებოდი. მარცხენა ხელზე და სახის მარცხენა მხარეს მას საშინელი ნაიარევი აჩნდა. 1945 წელს იამაგუტი ნაგასაკიში მუშაობდა. 6 აგვისტოს იგი ხიროსიმაში, მიცუბისის ნავსაშენში გაემგზავრა მივლინებით. მან ნახა ადამიანები, ცოცხლად რომ იწვოდნენ,

ზეზეულად მომაკვდავი ადამიანებით სავსე ქუჩები; დაბომბვას გადარჩა, ცხრა აგვისტოს ნაგასაკიში დაბრუნდა და სამსახურში მივიდა. მარცხენა ხელი შეხვეული ჰქონდა და სახეზე სალბუნები მიეწებებინა, თანამშრომლები გარს შემოხვეოდნენ.

როცა იამაგუტიმ თქვა, ხიროსიმა ერთმა ბომბმა მიწასთან გაასწორაო, არ დაუჯერეს. მისი უფროსი აღშფოთდა კიდეც.

— ეს შეუძლებელია, — თქვა მან. — თქვენ ინჟინერი ხართ, აბა იანგარიშეთ, როგორ შეიძლება ერთმა ბომბმა მთელი ქალაქი დაანგრიოს, — მან იამაგუტის შეხვეულ ხელს დახედა და უკვე ლმობიერად დასძინა: — თქვენ დაჭრილი ხართ, იამაგუტი-სან, სახეზე რაღაც მოგსვლიათ...

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ ოთახი თვალისმომჭრელმა შუქმა გაანათა. იამაგუტი მაგიდის ქვეშ შეძვრა, მას მიჰყვა უფროსიც, იგი გონს რამდენიმე საათის შემდეგ მოეგო.

მხოლოდ ცხრა კაცმა გადაიტანა ორივე ატომური დაბომბვა. მათ შორის იყო ინჟინერი ცუტომა იამაგუტიც, ჩვენი „მემორის" მშენებელი.

— თქვენ შედეგებს სწავლობთ, მისტერ ნორის, — მითხრა მან. — რატომ სწავლობთ? მეცნიერების პროგრესისთვის? იმისთვის, რომ ხიროსიმისა და ნაგასაკის მწარე გამოცდილება ახალი დაბომბვების შემთხვევაში გამოიყენოთ? ჩვენი მთელი ცხოვრება იმას უნდა მოვანდომოთ, რომ ატომური ბომბი არც ერთ ქალაქს არ დაატყდეს თავს.

ჩვეულების მიუედვით, გემს კაპიტნის ან მფლობელის ცოლის სახელს არქმევენ. მაგრამ, როცა იახტა აშენდა, ჯეინმა თვითონ ინება, „მემორი" დავარქვათო. ასეც აწერია გემს, ქვემოთ კი წერილი ასოებით აქვს მიწერილი პორტის სახელი — „ოფ ხიროსიმა". დაე ამ მინაწერმა ადამიანებს გაახსენოს ფერფლიდან აღმდგარი ქალაქი, რომელსაც არ დავიწყებია, რაც გადახდა თავს".

თავი მეოთხე

ამონანერები

დოქტორი ნორისი დიდი ხანია დაინტერესდა რა ვითარებაში ხდებოდა ბარბაროსული დაბომბვა. იგი საგანგებო რვეულში იწერდა ყველაფერს, რასაც წაიკითხავდა ან გაიგებდა პირველი ბომბის თაობაზე. დროთა განმავლობაში რვეულები მომრავლდა. მოდით, ალალბედზე ავიღოთ ზოგიერთი ჩანაწერები და ერთხელ კიდევ წარმოვიდგინოთ მრავალჯერ აღწერილი ტრაგედია იაპონური ქალაქებისა.

„ჩემი მიზანია სიცოცხლე შევუნარჩუნო რაც შეიძლება მეტ ამერიკელს, მაგრამ ამავე დროს ძალზე მებრალებიან იაპონელი ქალები დ ბავშვები".

პრეზიდენტ ტრუმენის 1945 წლის 6 აგვისტოს პირადი წერილიდან

„ბომბის გამოყენება რომ გადავწყვიტე, მსურდა დავრწმუნებულიყავი, რომ ომის ტრადიციული კანონების მიხედვით ვიქცეოდი. ეს ნიშნავდა, რომ ჩემი სურვილი გაბლდათ ბომბი სამხედრო ობიექტზე ჩამოეგდოთ".

„პოტსდამიდან რომ ვბრუნდებოდი, მაშინ ეუბრძანე, ატომური ბომბი ორ ქალაქში ჩამოეგდოთ".

ტრუმენის მემუარებიდან

„ტრუმენმა თქვა: „თუ ჩვენს წინადადებებს ახლაც არ მიიღებენ, მაშინ დაელოდონ ზეციდან წამოსულ გამანადგურებელ წარღვნას, რომლის მსგავსიც ჩვენს პლანეტას ჯერ არ უნახავს". განგსტერი თავის მსხვერპლს ასე ეუბნება:

„თუ არ გააკეთებ იმას, რასაც მოვითხოვ, მთელ ოჯახს ამოგიხოცავ".

ინგლისელი გენერლის ფულერის წიგნიდან

„რა თქმა უნდა, ეს ჩემი აზრია, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ მანჰეტენის პროექტზე მომუშავე მეცნიერები და ზოგიერთი სხვა პირი ატომური ბომბის გამოყენებას მხოლოდ იმიტომ ესწრაფოდნენ, რომ მის შექმნაზე აუარება ფული დაიხარჯა. ეს კარგად იცოდა ტრუმენმა..."

ადმირალი ლეგი

„საეჭვოა, ვინმეს შეეთხზა ამერიკელი ხალხისათვის ამაზე უფრო შეურაცხმყოფელი თეორიები იმ მიზეზებზე, რამაც თითქოს ატომური ბომბის გამოყენების აუცილებლობა გამოიწვია“.

„ატომური დაბომბვები იყო არა იმდენად მეორე მსოფლიო ომის ბოლო სამხედრო აქცია, რამდენადაც ცივი დიპლომატიური ომის პირველი მსხვილი აქცია რუსეთის წინააღმდეგ“.

ინგლისელი ფიზიკოსი პატრიკ ბლექეთი

„აუცილებლად ვთვლი განვაცხადო, რომ უკვე ორი კვირის თავზე მას შემდეგ, რაც პროექტს სათავეში ჩავუდექი, ჩემში ოდნავ ეჭვს არ იწვევდა, რომ იგი რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული“.

ოპენჰეიმერის საქმე. მანჰეტენის პროექტის ხელმძღვანელის გენერალ გროუეზის ჩვენებიდან

ოფიციალური მონაცემებით, ხიროსიმაში 79 ათასი კაცი დაიღუპა. ისინი სასურსათო ბარათებისთვის არ მოსულან მას შემდეგ, რაც საშინელი ხანძარი თავისით ჩაქრა. ეს ციფრი ზუსტი არ გახლავთ. ის არაფერს გვეუბნება ადგილობრივი გარნიზონის ათი ათასობით ჯარისკაცზე, რომლებიც აფეთქების ეპიცენტრის ახლო აღმოჩნდნენ. „დავიწყებული“ არიან ქალაქის გარეუბნებისა და განაპირა მხარეების მცხოვრებლები, რომლებიც ქალაქში სამუშაოდ ჩამოვიდნენ და შინ აღარ დაბრუნებულან. 270 ათასი მკვდარი — აი, რა ბარკი გადაუხადა ხიროსიმამ პირველ ატომურ ბომბს.

ბევრი მათგანი მაშინვე გარდაიცვალა. ვის შეეძლო ეფიქრა, რომ ერთადერთი თვითმფრინავი, რომელიც ქალაქის თავზე 6 აგვისტოს ნათელ დღეს გამოჩნდა, ასეთი საშიში იქნებოდა. უკანასკნელი, რასაც თვალი მოჰკრეს, თეთრი სინათლე; გახლდათ, ისეთი კაშკაშა, რომ გეგონებოდა, საცაა თავი გასკდება და ტვინი ამოხეთქავსო. დიამეტრით ასმეტრიან საზარელ სფეროს მილიონი გრადუსი ტემპერატურა ჰქონდა. აფეთქების ეპიცენტრიდან 500 მეტრი რადიუსით ცოცხალი არავინ გადარჩენილა. იმათი ნახევარი, ვინც ორი კილომეტრის რადიუსზე იყო, დამწვრობისაგან დაიღუპა. ადამიანები

დანგრეული სახლების ქვეშ მოექცნენ, მინის ნამსხვრევები ისეთი მომაკვდინებელი ძალით ცვიოდა, თითქოს საბრძოლო შაშხანიდან ისვრიანო, დარტყმის ძალამ 6820 ნაგებობა მოსპო, ნაწილობრივ კი 350 დაანგრია.

სხივური დაავადებით შეპყრობილი 30 ათასი კაცის აგონია კვირაობით, თვეობით, წლობით გრძელდებოდა, ორგანიზმი ველარ გამოიმუშავებდა ინფექციასთან მებრძოლ ლეიკოციტებს. ხალხი გრიპის ყველაზე იოლი ფორმით იტოცებოდა. ძვლის ტვინი სისხლის წითელ ბურთულებს ველარ იმუშავებდა.

ხიროსიმის ატომური ბომბით დაზარალებულთა გამომკვლევი კომისია ამჟამად რვა ათას კაცს მეთვალყურეობს.

კათოლიკური გაზეთი „პაილოტი" ომის დამთავრებისთანავე წერდა: „კაცობრიობის ისტორიაში არც ერთი ბარბაროსი არ ხოცავდა ადამიანებს ასეთი არნახული სიმკაცრით. ეს დანაშაული სხვა ქვეყანას რომ ჩაედინა, ადამიანის ხელით დამზადებულ ყოველ რუკაზე მის საზღვრებს საუკუნის მანძილზე შავი ხაზი ექნებოდა შემოვლებული, რომ ყოველ წუთს ხსოვებოდათ ეს სამარცხვინო საქციელი. ჩვენ ველარასდროს შევძლებთ დავიბრუნოთ კარგი სახელი, თუნდაც აბისათვის ნოჭსის ფორტში შენახული მთელი ჩვენი ოქრო გადავიხადოთ".

„ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩატანის საერთო ღირებულება შეიძლება შეფასდეს 1 მილიონ 240 ათას დოლარად, ამაში შედის თვით ბომბის ღირებულებაც, დაზვერვითი გაფრენებიც და ბომბდამშენის ეკიპაჟის ჯამაგირიც. დაინგრა 4.1 კვადრატული მილი. იმ დროს იაპონიის ქალაქების ერთი კვადრატული მილის დაბომბვა სამი მილიონი დოლარი ჯდებოდა... მაშასადამე 4,1 მილის დანგრევა დაჯდებოდა 12 მილიონ 300 ათასი დოლარი, ნაცვლად 1 მილიონ 240 ათასისა".

გენერალი ჰენრი არნოლდი

„ისეთივე ძალის დაბომბვისათვის, როგორც ნაგასაკი დაბომბეს საჭირო იქნებოდა სულ ცოტა ორი ათასი ბ-29 თვითმფრინავი — მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ყველაზე დიდი ბომბდამშენები, რომელთაგან თითოეული დაახლოებით 1 მილიონი დოლარი ღირდა".

ჟურნალისტ ლორენსის სტატიიდან

ნაგასაკი იაპონიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. იგი ყურის სიღრმეშია განლაგებული და ირგვლივ გორაკები აკრავს. ქალაქი განთქმული იყო თავისი ბუდისტური ტაძრებით. იმ საბედისწერო აფეთქებამდე ამერიკელები ნაგასაკის იშვიათად ბომბავდნენ და იაპონელები ფიქრობდნენ, ჩვენი მტრები მშვენიერებას პატივს სცემენო. ბომბი „სქელო" (სიგრძე — 3,24 მეტრი, დიამეტრი — 1,35 მეტრი, წონა — 4,5 ტონა) მიწიდან 490 მეტრის სიმაღლეზე აფეთქდა.

აფეთქების ეპიცენტრიდან 500 მეტრის რადიუსით ცოცხალი არაფერი გადარჩენილა. თუმცა მოშორებითაც იპოვეს ტრამვაის ჩონჩხი — მგზავრების სხეულები საშინელი ტემპერატურისაგან ერთიანად გამხმარი და დაკრუნჩხული იყო. მდინარე ურაკამის ხეობა აფეთქების შემდეგ ცეცხლის ზღვად იქცა. გოგირდის კვამლის ყვითელი ბოლქვები ყოველივე ცოცხალს აშთობდა. ხანძარი ჟანგბადს შთანთქავდა და ნახშირორჟანგის გაზს გამოყოფდა. ისინიც კი, ვინც ჯოჯოხეთს თავი დააღწიეს, სულის შეხუთვისაგან იღუპებოდნენ. უმეტესობას ცხვირიდან და ყელიდან სისხლი სდიოდა. შეშლილები აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ბალახის ღეროც კი არსად დარჩა. გორაკები ფერფლის სქელი ფენით იყო დაფარული.

ხანძარი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ის კოკისპირულმა წვიმამაც ვერ ჩააქრო. წვიმის სქელი, შავი წვეთები რადიოაქტიური იყო; წვიმა თითქოს ფეხდაფეხ, გორაკებს იქითაც მისდევდა ლტოლვილთ. ერთი თვის შემდეგ უმრავლესობას სახისა და ხორხის ანთება დაეწყო, რომელსაც თან სდევდა სისხლის დენა. ტანი მუქი ლაქებით დაეფარათ, სიცხე უწევდათ და იხოცებოდნენ. ამ სენს „ატომური კეთრი" უწოდეს.

„ჩვენ მოგვწყინდა რენტგენის სხივები. ყველაზე კარგი, რაც შეიძლება ცივილიზებულმა ქვეყნებმა გააკეთონ, ის იქნება, რომ გაერთიანდნენ და უკლებლივ ყველა რენტგენის სხივი დაწვან, ყველა გამომგონებელი სიკვდილით დასაჯონ, ყველა მოწყობილობა ერთად შეაგროვონ და ოკეანეში ჩაძირონ".

„პელ-მელ გაზეთი", 1900 წ.

1952 წელს წყალბადის მოწყობილობის პირველმა აფეთქებამ გაანადგურა კუნძული ელუგელაბი. წარმოიქმნა დია-

მეტრით კილომეტრნახევრიანი კრატერი, რომელშიც პენტაგონის თოთხმეტი შენობა მოთავსდებოდა. ერთი წყალბადის ბომბი საკმარისია, რომ ნიუ-იორკი თავის გარეუბნებიანად მიწასთან გაასწოროს.

„რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოზიცია საესებით აშკარაა: ადამიანის აზროვნების უდიდესი აღმოჩენა ცივილიზაციის წინააღმდეგ კი არ მიმართოს, არამედ ყოველმხრივ პროგრესს მოახმაროს; ადამიანთა მასობრივი განადგურებისათვის კი არ გამოიყენოს, არამედ მშვიდობიანი დროის საჭიროებისათვის, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისთვის".

საბჭოთა მთავრობის განცხადებიდან,
1959 წლის დეკემბერი.

თავი მეხუთე

ნორისის დღიურის გაგრძელება

„1958 წლის 7 მაისი. დღეს, დილის 8 საათზე, ჩვენი „მემორი" ვიწრო არხში რიფებს შორის ლავირების შემდეგ პატარა ნავსადგურ ალა ვაიში შევიდა. ჰავაის კუნძულებს, ჰონოლულუს მივადექით.

ბოლო დღეებში რადიაციის შესახებ ლიტერატურის კითხვამ გამიტაცა. ცდუნებას ვებრძვი, რომ სულმოუთქმელად არ დავეწაფო უამრავ საინტერესო ნაშრომს, რომელთაც პირდაპირი კავშირი არა აქვთ რადიაციის გავლენასთან ადამიანის ორგანიზმზე ზრდის პერიოდში. მაოცებს პირდაპირ, რა სწრაფად მდიდრდება ლიტერატურა ისეთ ვიწრო სფეროშიც კი, როგორიც ჩემია. ხიროსიმაში, კომისიის ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს თითქოს ყველა მოვლენის კურსში ვიყავი. ახლა ვერ ვასწრებ წავიკითხო ყველაფერი, რაც გამოდის. ყველაფრიდან ჩანს, რომ ადამიანზე გამჭოლავი რადიაციის ზემოქმედების პრობლემა სამედიცინო, ეკონომიკური, სამხედრო, მორალური და სხვა თვალსაზრისით ერთ-ერთი ძირითადია ჩვენს დროში. გულში მაინც ვფიქრობ, უმჯობესია მეცნიერი ვყოფილიყავი და სპილოს ძვლისაგან აგებულ კოშკში

მემუშავა-მეთქი. ძალიან მაფიქრებს დასკვნები, ჩემი კოლეგების უმრავლესობა რომ აკეთებს. სხვათა შორის, მსიამოვნებს, რომ ჩემი ადრეული ნაშრომების დამოწმებას ხშირად ვხვდები, ოჰ, ეს პატივმოყვარეობა!

ორი ათასგვერდიანი ანგარიში კომიტეტის სხდომისა, რომელიც ვაშინგტონში გაიმართა, დეტექტიური რომანივით წავიკითხე. ატომური ენერგიის კომისიის წევრი მისტერ მერილ ეიზენბუდი ქედმაღლურად ამტკიცებს, რომ ადამიანებს არ ეშინიათ რადიაციისა, რომელიც „მილიონჯერ" მეტია იმაზე, რასაც დღეს რადიოაქტიური ნალექები გვადენენ თავს ატომური გამოცდების შედეგად. დოქტორ რალფ ლეპმა თავის გამოსვლაში მის ნათქვამს „უგუნურობა" უწოდა.

ეს სწორედ ის ეიზენბუდია, რომელიც თავდაპირველად დაინტერესდა ჩემი წინადადებით, რომ 1954 წელს ბიკინიზე ჩატარებული გამოცდის შემდეგ წყნარი ოკეანის საზღვაო გზებზე რეგულარულად აგვეღო წყლის სინჯი. მაგრამ ატომური ენერგიის კომისიას სინჯის აღება არც უცდია და ასეთი განცხადება გამოაქვეყნა: „ჩვენ არ გაგვაჩნია საბუთი იმისა, რომ წყნარი ოკეანის ჩრდილო ნაწილი მოწამლული იყოს რადიაციით".

მე სავსებით ვეთანხმები მამფორდს, რომელმაც ატომური ენერგიის კომისიის პოზიციებიდან ქვა ქვაზე არ დატოვა. იგი ამბობს: „ჩვენი ლიდერები ისევე შეგნებულად არ აქცევენ ყურადღებას ჩვენი ფიზიკოსებისა და ფსიქოლოგების, გენეტიკოსებისა და ეკოლოგების გაფრთხილებებს, როგორც უარყოფენ პოლინეზიელებისა და იაპონელ მეთევზეთა პროტესტებს, რომელთაც თავიანთი ბირთვული გამოცდებით ჯანის სიმრთელე წაართვეს და საკვები მოუწამლეს".

იახტ-კლუბში ჩვენი ჩამოსვლის პატივსაცემად სადილი გაიმართა. სადილზე ახალი ამბავი გავიგე — კუნძულზე ჩამოვიდა პატარა იახტა „სითიზენი", რომელსაც სულ ოთხკაციანი ეკიპაჟი ახლავსო. მათ განზრახული ჰქონიათ პროტესტის ნიშნად ბირთვული გამოცდის ზონაში შესულიყვნენ.

— აბა გაგვიზიარეთ თქვენი აზრი ამის თაობაზე... ოღონდ, სანამ მთლიანად გაეცნობოდეთ საქმის ვითარებას, — მთხოვა ერთ-ერთმა იახტსმენმა.

— იცით რა, — ვუპასუხე მე, — არ მომწონს მათი პრო-

ტესტის ხერხი. ეს ხალხი, ცოტა არ იყოს, შეშლილი მეჩვენება... მაგრამ, ჩემი აზრით, დიდი გამბედაობა უნდა გქონდეს კაცს, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგა. ყოველ შემთხვევაში, დროა ვინმე სერიოზულად გამოვიდეს გამოცდების წინააღმდეგ.

ჩემმა პასუხმა ცხარე კამათი გამოიწვია. ვიღაცამ მაშინვე წამოიყვირა:

— როგორ! რატომ უნდა გამოვიდეთ გამოცდების წინააღმდეგ? განა არ გვმართებს მოვემზადოთ რუსებისაგან თავის დასაცავად?

მე პოლიტიკოსი არა ვარ და ჩემთვის ძნელი იყო კამათი. რამდენადაც მახსოვს, ვამბობდი, რომ ჩვენ არ უნდა დაგვეწყო გამოცდების ბოლო სერია, მსოფლიოში ისედაც უზარმაზარი მარაგი დაგროვდა ბომბებისა. თუკი რუსეთი 999 ბომბს დაგვაყრის და ჩვენ ათასით ვუპასუხებთ, ამით ვინ მოიგებს? როცა რუსეთმა თავის მხრივ გამოცდები შეწყვიტა, ჩვენც უნდა მიგვებაძა მისი მაგალითისათვის. ამით მთელ მსოფლიოს დავანახებდით ჩვენს სიწრფელესა და მშვიდობისმოყვარეობას. ჩვენ ისედაც გაცილებით მეტი გამოცდა ჩავატარეთ, ვიდრე რუსეთმა-მეთქი.

— თუ წაიკითხეთ პრეზიდენტის ახალი განცხადება, იგი მოითხოვს გამოცდების შეწყვეტას, როგორც კი ჩვენი მეცნიერები შედეგებით კმაყოფილნი იქნებიან.

— გამიგონეთ, ეს ხომ, მეტი რომ არა ვთქვათ, გულუბრყვილობაა, მან, ვინც ოდნავ მაინც იცნობს კვლევით საქმიანობებს, იცის, რომ მეცნიერები არასოდეს დაკმაყოფილდებიან. ახალი აფეთქებები მეცნიერული თვალსაზრისით პასუხს გაგვცემს ზოგიერთ კითხვაზე, მაგრამ იმდენ პრობლემას წარმოქმნის, რომ მათ გადაჭრას საუკუნე დასჭირდება. კიდევ უფრო საშიშია სამხედროების აზრზე დანდობა. წარმოგიდგენიათ სამხედრო, რომელიც გეტყვით: „მე კმაყოფილი ვარ. აღარ მინდა იარაღების გამოცდა. ქენით სიკეთე, გეთაყვა, წამართვით ძალაუფლება და ბიუჯეტს ახლო ნუ გამაკარებთ".

ვიღაცამ ჩემზე თქვა, ფეთიანიაო და მირჩია წამეკითხა თელერისა და ლაითერის წიგნი „ჩვენი ბირთვული მომავალი", რომელიც აქარწყლებს მსგავს შეხედულებებს ატომგულურ გამოცდებზე. მთელი ჩვენი უბედურება ის არის, რომ ძალიან ცოტას ვწერთ მათთვის, ვინც საქმეში არ არის ჩახედული, ნე-

ბას ვაძლევთ ჭკვიან, მაგრამ მორალურ საფუძვლებს მოკლებულ ხალხს ისინი შეცდომაში შეიყვანონ. მე წავიკითხე თელერი. 142-ე გვერდზე იგი წერს, რომ თუ ატომური ომი ატყდა, ქალაქებს არ დაბომბავენ. ხიროსიმისა და ნაგასაკის შემდეგ ამის დაწერა მხოლოდ ბოროტმოქმედს ძალუძს. თელერი ამტკიცებს, ჩემს აზრს არ გადავალო. არადა, ჯობდა შეეცვალა ეს აზრი"...

აქ გავაწყვეტინოთ სიტყვა პატივცემულ დოქტორ ნორისს, რომელიც აღშფოთებულია თელერის მეცნიერული არაკეთილსინდისიერებით და მის მიმართ კიდევ არაერთ მრისხანე სიტყვას იტყვის.

დოქტორი თელერი გახლავთ სწორედ ის მეცნიერი-ფიზიკოსი, რომელსაც ამერიკაში „წყალბადის ბომბის მამას" უწოდებენ. ის ამ ბომბს ჯერ კიდევ მაშინ ამზადებდა, როცა ლოს-ალამოსში გაფაციცებით მუშაობდნენ ატომური ბომბის შექმნაზე, და თელერმა დაუძლურების საშუალება არ მისცა თავის ღვიძლ შვილს, რომელიც მისი მრავალრიცხოვანი გამოსვლებით გულუბრყვილო ამერიკელ მსმენელს მეტად მშვიდ და უწყინარ არსებად წარმოუდგება.

თავი მეექვსე

ბირთვული ზომავალი ედუარდ თელერის განმარტებით

თელერი არის თანამედროვე მოაზროვნე მანქანა, რომელსაც გულიც აქვს და მგრძნობიარობაც. მაგრამ ეს ორი ბოლო თვისება მასში ერთობ საშუალო დონეზეა და სრულიად ვერ უწევს მეტოქეობას მისსავე გონებრივ შესაძლებლობებს.

ნაწყვეტი თელერის დახასიათებიდან ეკუთვნის მის ერთ-ერთ უახლოეს თანამშრომელს.

...ბირთვული იარაღის გამოცდა ყოველთვის თვალწარმტაც ადგილებში ტარდება. ამისი თავი და თავი მიზეზი გახლავთ რადიოაქტიული ნაწილაკების გამოყოფა, რომლებიც ცოცხალი არსებისათვის მეტად საშიშია. მოსახლეობა ბუნებას არ ალამაზებს. ექსპერიმენტზე დაკვირვებისათვის ხელის-

შემშლელია ღრუბლიანობა და ნალექებიც. ამიტომ გამოცდის ადგილას, ჩვეულებრივად, მზის სხივები და სიმყუდროვე სუფევს.

ბუნების სილამაზე კარგია სულის მოსათქმელადაც რთული ექსპერიმენტების მომზადების დროს, რაც ყველა მონაწილისაგან დიდ ნერვულ დაძაბულობას მოითხოვს, აფეთქების შთაბეჭდილებას ირგვლივ მდებარე ბუნების ძალა ანელებს.

თვით ბირთვული რეაქცია წამების მემილიონედ ნაწილს გრძელდება. დროის ამ მცირე მონაკვეთში ხდება ბომბის მთელი ენერგიის გამოთავისუფლება. ბირთვული მასალა აქეთ-იქით გაიფანტება და რეაქცია ნულზე დადის. გამოთავისუფლებული ენერგიით გახურებული ჰაერი წარმოქმნის ცეცხლის სფეროს, რომელიც იზრდება, ფართოვდება და მისი დიამეტრი რამდენიმე მილს აღწევს.

ცხელი ჰაერი ზევით მიიწევს და გადაიქცევა ბობოქარ სოკოდ, რომელიც ღრუბლების გროვისაგან ლამაზ მრავალსართულიან საჰაერო ციხე-კოშკს ქმნის.

უცნაურია, მაგრამ ღრუბლებს აფეთქების სიმხურვალე კი არ ქმნის, არამედ ჰაერის გაცივებული მასა, რომელიც შეიწოვება იმისდა კვალად, თუ როგორ მიექანება ზევით ცეცხლოვანი სფეროს ნარჩენები გიგანტური სტრატოსტატის მსგავსად. წყლის ორთქლი, რომელსაც ჰაერი შეიცავს, ციცდება და წვეთებად კონდენსირდება. ზუსტად ასე წარმოიქმნება საავდრო ღრუბლები ზაფხულის ცხელ დღეს.

ღრუბლები მაღლა მიიწევენ, ათობით კილომეტრზე. იქ მათ ქარი ფლეთს და სხვადასხვა მხარეს ფანტავს. რადიოაქტიური ნამსხვრევები ღრუბლებთან ერთად სამოგზაუროდ მიეშურება და კაცთა მოდგმის ზოგიერთი სუსტი ნერვების მქონე წარმომადგენელს შიშის ზარსა სცემს.

ადამიანი, რომელმაც იცის, რომ მისი სიცოცხლე უსასრულო არ არის, ხშირად საშინელი კოშმარების მსხვერპლი ხდება — ეჩვენება, რომ ქვეყნის აღსასრული დგება. მაგრამ ეს ქიმერაა, რომელიც ადამიანთა უმრავლესობის უვიცობიდან, თანამედროვე მეცნიერების მიღწევების არასაკმარისი ცოდნიდან გამომდინარეობს.

რაც უფრო მეტს შევიტყობთ ბუნების საოცარ დაფარულ

ძალებზე, ეს შეშფოთება კიდევ უფრო იმატებს. მხოლოდ ცოდნა დაეხმარება ადამიანს უაზრო და ბრმა შიში დასძლიოს, მე მოვუწოდებ ადამიანებს ჩასწვდნენ ამას და მამაცობა შემოიკრიბონ.

ხშირად გვესმის საყვედურები მეცნიერთა მისამართით, რის საბაბსაც თვით მეცნიერები იძლევიან, როცა უპასუხისმგებლო და სულმოკლე განცხადებებს აკეთებენ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეცნიერები არაფერს წყვეტენ. ისინი მხოლოდ ხალხის ნებას ასრულებენ, რომელმაც თავისი სურვილით აირჩია ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოები და მიანიჭა უფლება გადაწყვიტოს მის საკეთილდღეოდ რა არის კარგი და რა — ცუდი.

ჩემი აზრით, მეცნიერებმა უბრალოდ და გასაგებად უნდა ახსნან რას რა მოჰყვება, რას რა განაგებს.

პირველ ყოვლისა საჭიროა გაიფანტოს მითი ადამიანზე ბირთვული გამოცდის მავნე გავლენის შესახებ. მომყავს ბოლო მეცნიერული მონაცემები, რომლებიც მოწმობენ ადამიანის სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობის შემცირებაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენას:

ნორმის ზევით 10 პროცენტი წონა სიცოცხლეს ამცირებს 1,5 წლით;

დღეში ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევა სიცოცხლეს ამცირებს 9 წლით;

ცხოვრება ქალაქში და არა სოფელში სიცოცხლეს ამცირებს 5 წლით;

მჯდომელა სამუშაო ფიზიკურ მუშაობასთან შედარებით სიცოცხლეს ამცირებს 5 წლით.

დაუქორწინებლობა 5 წლით.

მამაკაცი ქალთან შედარებით ნაკლებს ცოცხლობს 5 წლით.

საავტომობილო კატასტროფები სიცოცხლეს ამცირებს 1 წლით;

1 რენტგენი გამოსხივება სიცოცხლეს ამცირებს 5-10 დღით.

შორეული რადიაქტიური ნალექები სიცოცხლეს ამცირებს 1-2 წლით;

მაგრამ მაინც, როგორც ვხედავთ, რადიოაქტიურ ნალექებს ზიანი მოაქვს, თუმცა ამაზე თვალის მიდევნება ძნელია. ამბობენ, განვლილი გამოცდების შემდეგ მსოფლიოში დაახლოებით 50 ათასი კაცი ნაადრევად უნდა მოკვდესო. მაგრამ ვინ შეძლებს სხვადასხვა ავადმყოფობით გარდაცვლილი მილიონობით ადამიანის სტატისტიკაში ეს 50 ათასი გამოარჩიოს! და შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში რადიოაქტიობა კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, ახანგრძლივებს კიდეც სიცოცხლეს. რაც შეეხება მომავალი მუტაციის ფანტასტიკურ სურათებს, აქ ჯერჯერობით ყველაფერი გაურკვეველი და დაუმტკიცებელია.

ჩვენ ჩვენს თვისებებს მომავალ თაობებს ფრიად თავისებური და კონცენტრირებული ფორმით გადავცემთ. დედისა და მამისაგან ბავშვი მემკვიდრეობის ოცდაოთხ-ოცდაოთხ ქრომოსომას იღებს. ისინი წარმოადგენენ სტრუქტურას, რომლის გასწვრივ ასხმულია თვისებების ჰეშმარიტი მატარებლები — გენები.

გენები — ეს დიდი სპირალური მოლეკულებია. ისინი ჩვენი ორგანიზმის, ასე განსაჯეთ, ხასიათის მთავარ გეგმასაც კი გადასცემენ უცნაური ქიმიური კოდით. დასხივების ზემოქმედებით გენებმა შეიძლება მუტაცია განიცადონ, შეიძლება მიიღონ ახალი ქიმიური სტრუქტურა ახალი კოდით, ახალი თვისებებით. ეს თვისებები შეიძლება მომავალი თაობისთვის მავნე გამოდგეს.

და აი, აქ ჩვენ ვუბრუნდებით ბირთვული იარაღის გამოცდას. მათი გაგრძელება აუცილებელია სუფთა ბომბების კონსტრუქციის დამუშავებისათვის.

ხშირად ამტკიცებენ, უკვე არსებულ ატომურ ასაფეთქებელ ნივთიერებას ძალუძს უდიდესი ქვეყნებისა და ქალაქების მრეწველობა მოსპოსო. მაშ რაღა საჭიროა შემდგომი სრულყოფა და გამოცდების წარმოება?

პასუხი მარტივია: ომის მთავარი მიზანი მტრის ქალაქების დანგრევა კი არ გახლავთ, არამედ მისი შეიარაღებული ძალების განადგურება. ამ მიზნისთვის კი მოქნილი, ყველა სახისა და ზომის სრულყოფილი იარაღი გვჭირდება.

ამჟამად ჩვენ გქმნით სუფთა იარაღს, რომელიც ფეთქე-

ბადი ტალღებისა და სითბოს ხარჯზე მოქმედებს, მაგრამ აფეთქების დროს მისი რადიოაქტიობა ძალზე მცირეა.

ცხადია, ომი საშინელება იყო და იქნება. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ომები მუდამ ატყდება, მაგრამ არ შეიძლება უგულებელვყოთ ომის საშიშროება, სანამ მსოფლიოში კომუნისტური რეჟიმები იარსებებს. მეტიც, ამ რეჟიმების მოსპობა კაცობრიობას მოუტანს მშვიდობას, რომლის მოსაპოვებლად შეიძლება პრევენტულ ომსაც მივმართოთ.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ შეზღუდული ან შეუზღუდავი ატომური ომიც კი უფრო დიდ უბედურებას მოგვიტანს, ვიდრე წინა ომები. ასეთი ომი ალბათ უფრო ულმობელი, მაგრამ გაცილებით ხანმოკლეც იქნება.

ისტორია გვასწავლის, რომ ომი, რომელიც, შესაძლოა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ომი იყო, კონგრესისადმი პრეზიდენტის მიერ გაგზავნილი ასეთი წერილით დაიწყო: „შენ ომი ირჩიე. დაე იყოს ის, რაც გვიწერია, ხოლო რა გვიწერია, არ ვიცით. ეს მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის". როგორც ჩანს, თავისუფალი კაცობრიობის ერთადერთი შესაძლებელი გზა — ესაა კარგი სამზადისი ომისათვის, ხოლო რა მოხდება, ეს მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის...

თავი მეშვიდე

ნორისის დღიურის გაგრძელება

„1958 წლის 9 მაისი..." რადიოაქტიური ნალექები არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ ადამიანებისათვის". მაშ რატომ იბრძვის თელერი ეგრეთწოდებული „სუფთა ბომბის" შესაქმნელად, რომელიც საშუალებას მოგვცემს რადიოაქტიური ნალექები თავიდან ავიცილოთ?

თელერის ნათქვამის თვალთმაქცური გულახდილობის მიღმა იმალება სნობი, რომელსაც ჭირივით ეზიზღება ისინი, ვისაც იგი „ადამიანთა მოდგმას" უწოდებს. მე მახსენდება მისი ლოს-ალამოსელი კოლეგების ნაამბობი, იქ იგი ქედმაღლურად, გამომწვევად იქცეოდა და არა მარტო უარი თქვა ხელი

მოეწერა მეცნიერთა პროტესტზე ატომური ბომბის გამოყენების წინააღმდეგ, არამედ ატომურ ისტორიას გულმოდგინედ უყრიდა ფსევდომეცნიერულ საფუძველს.

მას თავი წარმოუდგენია გენიოს პიანისტად და ესთეტად, რომელსაც აღიარება არ ხვდა წილად... ატომურ აფეთქებათა პოეტიზებაში არის რაღაც პათოლოგიური. თელერს არ ვიცნობ, მაგრამ რამდენჯერმე შევხვედრივარ ბერკლში მგზავრობისას. ერთხელ პირისპირ შეეჩეხეთ ერთმანეთს უნივერსიტეტის დერეფანში. კარგად დამამახსოვრდა მისი ცხენივით გრძელი სახე და ხშირი, გაბურძგნილი წარბები, რომელთა ქვემოთ ამღვრეული თვალები უჩანდა. მისი გარეგნობა რაღაცით პავიანს მოგაგონებდათ.

ამბობენ, რომ თელერი შედიოდა საინიციატიეო ჯგუფში, რომელმაც შეძლო პრეზიდენტ რუზველტზე ზემოქმედება მოეხდინა და აიძულა მიეღო გადაწყვეტილება ატომური ენერგიის სამხედრო მიზნებით გამოყენების შესახებ.

თელერი, მდიდარი ბუდაპეშტელი იურისტის შვილი, მუდამ სნობი იყო და ყოველთვის გავლენიან, ძლიერ ადამიანთა საზოგადოებას ეძებდა. სხვებთან იგი ქედმაღლურად ლაპარაკობს, ინტელექტუალური თვალსაზრისით ისეთ ადამიანებად თვლის მათ, ვინც მასავით დახვეწილი კაცის ღირსი არ არის. თელერი ლაიფციგსა და გეტინგენში სწავლობდა, იქ გერმანელ ფიზიკოსს, არისტოკრატ კარლ ფონ ვეიცზეკერს დაუახლოვდა, რომელმაც შემდეგში ძალიან ბევრი რამ გააკეთა, რომ ჰიტლერს ატომური ბომბი არ ჰქონოდა. ამერიკაში ემიგრირების შემდეგ თელური ყოფილ მეგობარზე საზიზღარ ხმებს ავრცელებდა და ჰიტლერიზმის დამცველად გამოჰყავდა იგი.

იგი მალულად ლექსებს წერს, რომელთა ღირსებაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ანბანზე გაწყობილი მისივე ლექსით. მან ეს ლექსი ლოს-ალამოსში დაწერა და თავის ვაჟიშვილს უძღვნა:

• ატომია, მაგრამ იმგვარი,
რომ ჯერ არავის უნახავს თვალით,
ბ ბომბი გახლავთ ისე ვეება,
ეაგლახად, ძმაო, არვინ შეებათ!
ს — საიდუმლოს აღვნიშნავთ ამით,
მას მალვა უნდა დღისით და ღამით...

ლირიკულ მიდრეკილებათა მიუხედავად ცხოვრებისეული თვალსაზრისით ეშმაკობა არ აკლია. თელერის ბუნების ეს თვისება თავის დროზე კოპენჰაგენში გამომჟღავნდა, სადაც მან დამალა, რომ ცოლიანი იყო და როკფელერის სტიპენდიას იღებდა, რომელიც მარტოხელა ასპირანტებს ეძლეოდათ.

1935 წელს იმ იმედით, კარიერას გავიკეთებო, იგი სამუდამოდ გადასახლდა შტატებში და ეწია კიდეც საწადელს.

ლაიფციგში თელერი ცდილობდა ვეიცზეკერისთვის დაემტკიცებინა თეზისი: ყველაზე ჭეშმარიტი კმაყოფილება ბოროტი, გულღვარძლიანი კმაყოფილებაა, და ამას მთელი ცხოვრება დაუღალავად ამტკიცებს.

როცა ატომური ბომბის შექმნა დაიწყეს, თელერი, რაკი უფროსის თანამდებობა ვერ მიიღო, თავს ისე გრძნობდა, თითქოს მას გვერდი აუქციეს. ლოს-ალამოსში მას ოპენჰეიმერისა შურდა და მასთან თანამშრომლობაზე უარს ამბობდა. თელერი მეცნიერთა საერთო უკმაყოფილებას იწვევდა თავისი ქედმაღლობითა და სურვილით, რომ თავი ომიანობის დროის ყოველგვარი რეგლამენტის გარეშე დაეყენებინა. მაგრამ ოპენჰეიმერის პატივმოყვარეობამ გატეხა თელერის პატივმოყვარეობა და იგი ლოს-ალამოსიდან წავიდა.

ომის შემდეგ თელერმა რევანში აიღო. რაკი ოპენჰეიმერს თავისი ბომბი ჰქონდა, თელერმაც გადაწყვიტა, მე ჩემი უნდა მქონდესო, შემდეგში ის ამ ბომბს მოფერებით „ჩემს პირმშოს“ უწოდებს.

ოპენჰეიმერი იმხანად დიდი გავლენით სარგებლობდა და არ იწონებდა თელერის საქმიანობას. 1949 წელს საკონსულტაციო კომიტეტმა მისი ხელმძღვანელობით უარყო წყალბადის ბომბის შექმნის აუცილებლობა, რასაც დაეინებით მოითხოვდნენ ედუარდ თელერი და ბანკირი ლუის სტრაუსი, მაგრამ სამი თვის შემდეგ თელერმა მაინც გამოსტყუა ტრუმენს მუშაობის დაწყების ბრძანება, და ოპენჰეიმერი ნაძალადევი ენთუზიაზმით თელერს მიეტმასნა.

წყალბადის ბომბი შექმნეს, მაგრამ თელერმა ოპენჰეიმერს არ აპატია, ეცადა ხელისუფალთა თვალში დაემცირებინა იგი და ლამის კომუნისტად მონათლა. „ოპენჰეიმერის საქმის“ გაგოძიება ამერიკისათვის დამამცირებელ სპექტაკლად იქცა.

თვითონ ოპენჰეიმერი მსოფლიოს წინაშე წარდგა, როგორც სინდისის ქენჯნის ეკლიან სარეცელს მიჯაჭვული მარტვილი. „ჩვენ სატანის საქმე გავაკეთეთ", — ამბობდა ის 1956 წელს, როცა ყოველნაირად ცდილობდა ცოდვები მიეტევებინათ.

თელერმა ოპენჰეიმერის ადგილი დაიკავა, და „ატომური ბომბის მამის" ბევრი თანამდებობაც ხელთ იგდო. ქილაში ობობები ერთმანეთს დაერევნენ და ერთმა მეორე შეჭამა. ასეც ხდება ხოლმე. ჩანს, ოპენჰეიმერმა რაღაცით მილიარდერთა სინედრიონის გული ვერ მოიგო.

თელერი ხშირად გამოდიოდა მთავრობის დაწესებულებათა სახელით და ბოლო ხანებში დემაგოგიაშიც გაიწაფა. თურმე ის ხალხის ნებას ასრულებდა, ხალხისა, რომელსაც თითქოს ატომური ომი სწყურია. მას არ რცხვენია მოიყვანოს ფრიად საეჭვო მეცნიერული მონაცემები, ხალხის ყურადღება ბირთვული გამოცდებიდან სხვა საგანზე გადაიტანოს, ახალი ომის გაჩაღებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ღმერთს დააკისროს.

მე მახსოვს 1954 წელი. მარტო ერთი ბომბის გამოცდის შემდეგ 992 გემზე თევზი რადიოაქტიური აღმოჩნდა. ეს თევზი ოცი მილიონი დოლარი ღირდა და იგი ზღვაში გადაყარეს. ჩვენ დღემდე არ აგვინაზღაურებია ზარალი იაპონელი მეთევზეებისათვის. ვინ გაზომავს, რა ზიანი მიადგა იმ ადამიანთა ჯანმრთელობას, რომელთაც მოასწრეს ჩვენ მიერ მოწამლული თევზი ეჭამათ?

იაპონელმა მეთევზეებმა თევზში სტრონციუმ-90 იპოვეს. შემდეგ მას პოულობდნენ ყველგან — წყალში, ბალახში, რომელსაც საქონელი ჭამდა, ძროხის რძეში, ევროპის ცაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ანტარქტიდის ყინულებშიც კი. სტრონციუმ-90 ბუნებაში არ არსებობს. ის ადამიანმა შექმნა. ის დაშლილი ურანის პროდუქტებში აღმოაჩინეს. ეს არის ყველაზე ძლიერი შხამი დედამიწის ზურგზე, ერთ ჩაის კოვზ სტრონციუმ-90-ს შეუძლია მთელი მსოფლიოს მოსახლეობა მოწამლოს.

სტრონციუმ-90 თავისი თვისებებით კალციუმს ჰგავს და ამიტომ ძვლებში გროვდება. თავის დროზე მე ვწერდი, რომ ის განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისათვის, რომელთა ძვლებიც ზრდის პროცესშია და სტრონციუმ-90-ს მეტი რაოდე-

ნობით შთანთქავენ-მეთქი. ძვლები სხეულის წონის 10 პროცენტს შეადგენენ. ისინი გამოსხივებისადმი ძალიან მგრძნობიარენი არიან.

რა ზიანი მოაქვს სტრონციუმს? ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ის ძვლის კიბოს იწვევს. სტრონციუმის ნახევრად დაშლის პერიოდი 28 წელია, ეს კი ნიშნავს, რომ 28 წლის შემდეგ მისი მოქმედება ორჯერ უფრო სუსტდება. ყველა ბირთვული გამოცდის მანძილზე წარმოიქმნა დაახლოებით 100 კილოგრამი სტრონციუმ-90. ამ რაოდენობის მეოთხედი დედამიწაზეა მიმობნეული.

რადიოაქტიური სტრონციუმის რაოდენობა ყოველი გამოცდის შემდეგ იზრდება. ადამიანები განუწყვეტლივ იღებენ ამ შხამის მიკროსკოპიულ დოზას. ერთბაშად ათი პაპიროსი რომ მოსწოთ, ნიკოტინი მოგკლავთ. მაგრამ მთელი დღის მანძილზე მოწეული ათი პაპიროსით მიყენებული ზიანი შეუმჩნეველია. ნიკოტინი ნეიტრალიზდება ფილტვებით და იქიდან განქარდება. დასხივების ყოველდღიური დოზა კი არასდროს განქარდება, ის ორგანიზმში გროვდება.

რა თქმა უნდა, სტრონციუმ-90 ერთ-ერთი იმ იზოტოპთაგანია, რომელთაც უნდა ვუფრთხილდეთ. მაგალითად, ცეზიუმ-137 კაცობრიობისთვის გენეტიკურ საშიშროებას წარმოადგენს. მისი ნახევრად დაშლის პერიოდი 37 წელია. ის მთელ ორგანიზმში ვრცელდება და იმ უჯრედებს აზიანებს, რომლებიც მემკვიდრეობას წარმოშობენ. ჩვენ ძალიან ცუდად ვიცნობთ ცოცხალი ორგანიზმის ქიმიას, და რამდენიც უნდა ეცადონ თელერი და სხვები, მაინც ვერ შეძლებენ საშიშროების შემცირებას, მის მთლიან მოსპობას. იგი რამდენიმე თაობების შემდეგ იჩენს თავს.

აფეთქების დროს წარმოიქმნება ვეებერთელა ძაბრი და ხდება 100 მილიონი ტონა გრუნტის აორთქლება. ასეთი ქანების კონდენსაციის დროს წარმოქმნილი ნაწილაკები ძალზე აქტიურია. ატმოსფეროში გაბნეული ეს ნაწილაკები წვიმასა და თოვლთან ერთად იფანტებიან დედამიწის სხვადასხვა კუთხეში.

ლაპარაკობენ კობალტური ბომბის შექმნაზე, ესე იგი, ოგივე წყალბადის ბომბზე, რომელსაც ფოლადის კორპუსი კი არ ექნება, არამედ კობალტისა. მისი აფეთქებისაგან გა-

მოწვეული რადიოაქტიური ღრუბლები 320-ჯერ უფრო მომაკვდინებელი იქნება. აინშტაინმა მასზე თქვა: „თუ მისი შექმნა მოხერხდა, მაშინ ატმოსფეროს რადიოაქტიური მოწამვლა და, მაშასადამე, დედამიწაზე ნებისმიერი სიცოცხლის მოსპობა ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში მოექცევა“.

მაგრამ ასეთ ტექნიკას იმისთვისაც სიკვდილი მოაქვს, ვინც ბატონობაზე ოცნებობს. კობალტური ბომბი უარყვეს და ახლა „სუფთა“ ბომბზე დაიწყეს ლაპარაკი.

ხიროსიმაში ორსული ქალების 25 პროცენტს მუცელი მოსწყდა, დანარჩენ 25 პროცენტს ბავშვები სიცოცხლის პირველ წელსვე დაეღუპა. დაბადებული ბავშვების 25 პროცენტი ხუთ წლამდე გონებაჩლუნგობითა და ტვინის ჩამორჩენილობით იტანჯება.

დასხივებამ შეიძლება სასქესო უჯრედები შეცვალოს და აშკარა ან ფარული ანომალია შთამომავლობას გადაეცემა.

მსოფლიოში უკვე იმდენი „საგამოცდო“ აფეთქება მოახდინეს, რომ ეს აფეთქებები იაპონიაში ჩამოგდებული 2500 ბომბის ექვივალენტურია. მაგალითად, რადიოაქტიურმა მტვერმა შეგვატყობინა წყლის მაღალი აქტივობა, რომელიც ზღვის დინებამ ყველა მიმართულებით გაავრცელა. ბიკინიდან 200 კილომეტრზე აფეთქებიდან ორი თვის შემდეგ ზღვის წყლის აქტივობა ჯერ კიდევ 20-ჯერ სჭარბობდა დასაშვების ფარგლებს. ავადდება პლანქტონი, მასთან ერთად კი — თევზები.

თუ გამოცდები მომავალშიც ამ დონეზე გაგრძელდა, მუტაციის სიხშირე ყოველ წელიწადს ორჯერ გაიზრდება. პრაქტიკულად ყოველი მუტაცია გადავადებული უბედურებაა. ბუნება არავის აპატიებს უხეშ, დაუზოგველ ჩარევას.

„ჩემი საათი ხანდახან ტყუის,— ამბობს პროფესორი ჰოლდენი, — შეიძლება კარგადაც იმუშაოს, თუ მის მექანიზმში ფათურს დავიწყებ, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ სულ გაჩერდეს“.

ადამიანები თანდაყოლილი იმუნიტეტით იბადებიან. ყოველგვარი ჩარევა ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივ მუშაობაში ამცირებს მის წინააღმდეგობის გაწევის უნარს. რომ შეიძლებოდეს წინააღმდეგობის გაწევის უნარის შენარჩუნება იმ

დონეზე, რა დონითაც ეს უნარი ათი წლის ბავშვს აქვს, მაშინ ადამიანი 800 წელზე მეტ ხანს იცოცხლებდა.

ცხოველებსა და მცენარეებში ხელოვნურად გამოწვეული თითქმის ყველა მუტაცია მაენებელი გამოდგა. წარმატებები სელექციაში იმით აიხსნება, რომ არასასურველი მუტანტების უდიდეს რაოდენობას სპობენ და ტოვებენ იშვიათ გაუმჯობესებულ ხაზებს.

მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ექვს გამოჩენილ გენეტიკოსს ასეთი კითხვა მისცა: აშშ-ის მთელ მოსახლეობას დამატებით 10-10 რენტგენი რომ მიეღო, როგორი შედეგი იქნებოდა? ექვსივე მეცნიერმა დაახლოებით ერთნაირი პასუხი გასცა: დაახლოებით 5 მილიონი დამატებითი მუტანტი გვეყოლება ბავშვთა ერთ თაობაზე.

დედამიწის დაახლოებით სამ მილიარდ მოსახლეობასთან შედარებით უშუალოდ გამოცდის შედეგად დაღუპული რამდენიმე ათასი კაცი არც ისე ბევრია, მაგრამ განა ჩვენთვის ძვირფასი არ არის დედამიწის თითოეული მკვიდრი? თუნდაც ერთი კაცის სასიკვდილოდ გამეტება კაციჭამიას ეთიკაა. მთავარი ესაა: ყველამ, ვინც აფეთქებას ამზადებს, იცის, რომ ადამიანებს დახოცავს. მარტო ამიტომ არ შეიძლება აფეთქებები ქუჩაში მომხდარ კატასტროფებს შევადაროთ, როგორც ამას თელერი შვრება.

თელერი ეყრდნობა ვეგეციუსის კლასიკურ ფორმულას: „ვისაც მშვიდობა სურს, ომისთვის მზად უნდა იყოს". არადა, კარგი იყო ბენჟამენ ფრანკლინის სიტყვები გახსენებოდა: „ყოველგვარი ომი უგუნურებაა, ფრიად ძვირად ღირებული და დამღუპველი უგუნურება. ნეტა როდის შეიგნებს ამას კაცობრიობა და თავის უთანხმოებას, აზრთა სხვაობას მეგობრულად მოაგვარებს?"

სწორედ რაღაც ამდაგვარს ვეუბნებოდი ჩემს თანამოსაუბრეებს იახტ-კლუბში. მე ისიც შემეძლო მეამბნა, ბირთვული ენერგიის კომისია შეგნებულად როგორ ამახინჯებს და უმალავს ამერიკულ ხალხს მეცნიერული კვლევის შედეგებს; შემეძლო მეამბნა, როგორ მოსპეს ჩემი მოხსენება, რომელიც ხიროსიმის უბედურ ბავშვებზე მრავალწლიანი დაკვირვების ნაყოფი გახლდათ. „თქვენი მოხსენება საპირფარეშოში ჩაუშვეს, — მითხრა ატომური ბომბისაგან დაზარალებულთა

გამომკვლევი კომისიის მდივანმა, როცა ვაშინგტონში ჩავედი, — მომისმინეთ, ნორის, თქვენს საქმეს მიხედეთ და წითლების პროპაგანდისტული მასალების მომზადებას თავი დაანებეთ. თქვენ კარგი მუშაკი ხართ, ზოგიერთი თქვენი მონაცემი ძალიან გამოგვადგა. მოდით, ნუ იქნებით მიამიტი. გახსოვდეთ, რომ ჩვენს მუშაობას ატომური ენერგიის კომისია აფინანსებს. იქ კი არ უყვართ ზედმეტი ლაპარაკი.

თავიდან მომეჩვენა, მეხუმრება-მეთქი. ოფიციალურად ხომ საუკეთესო გამოხმაურებები მივიღე ჩემს შრომაზე. სახტად დავრჩი. რა უნდა მექნა? ვისთვის მიმემართა? როგორ უნდა ებრძოლოს ერთი კაცი უზარმაზარ გაუპიროვნებელ ბიუროკრატიულ მანქანას! ვის გინდა დასდო ბრალი? ეს სისტემა დამნაშავეთა სისტემაა, რომელშიც დანაშაულის გამო პასუხისმგებლობა ყველას თანაბრად აწევს კისერზე.

მგონი ვხვდები რას ნიშნავდა „კარგი გერმანელი" იმ წლებში, როცა ჰიტლერი გერმანიას მართავდა. რას მოითხოვდნენ „კარგი გერმანელისაგან"? არაფერს. თითქმის არაფერს, გარდა იმისა, რომ კარგი კანონის მორჩილი მოქალაქე ყოფილიყო, უფროსობა არ შეეწუხებინა.

ჩვენი მთავრობა შეცდომას შეცდომაზე უშვებს. ის არაფრად აგდებს მეცნიერების გაფრთხილებებს. ჩვენ სხვა ერების თვალში საფრთხობელად ვიქეცით. ჩემი აზრით, მეც ისეთივე კარგი მოქალაქე ვარ, როგორიც სხვები. მე სხვებზე ნაკლებად არ მიყვარს სამშობლო, მაგრამ ვერასოდეს გავიზიარებ იმ აზრს, თითქოს შენს ქვეყანას სამსახურს გაუწევ, თუ მის ნაკლოვანებებზე თვალებს დახუჭავ. პირიქით, დარწმუნებული ვარ, რომ თუ თითოეული მოქალაქე აქტიურად არ იბრძოლებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, დაგროვილი შეცდომები, რომლებმაც წარსულში არა ერთი ქვეყანა დაღუპა, ბოლოს და ბოლოს ჩემს სახელმწიფოსაც დაანგრევს.

რა თქმა უნდა, ჩემთვის ადვილია ქვეყნის წინაშე მარტო მოქალაქეობის მოვალეობაზე ლაპარაკი, თუ მის გადასარჩენად არაფერს ვიღონებ. მაგრამ მე იმას მაინც ვცდილობ, მოვლენათა არსს ჩავწვდე.

განა ასეთი ვიყავი 1951 წელს, როცა ოჰაიოდან ხიროსი-

მაში ჩავედი? ცხოვრებამ მაიძულა სპილოს ძვლის კოშკი მიმეტოვებინა..

წერილი გავუგზავნე დოქტორ უილიამ მერკინზს, რომელიც ჩემსავით აწარმოებდა დაკვირვებას ხიროსიმელ ბავშვებზე. დღეს ის ამერიკის სამედიცინო ასოციაციაში დიდი გავლენით სარგებლობს. მერკინზი კარგ დამოკიდებულებაში იყო ჩემთან და მაშინვე მიპასუხა:

„ძვირფასო ჯონ!

მესმის თქვენი მდგომარეობა, მაგრამ გამოსავალს ვერ ვხედავ. მე არ ძალმიძს ვაიძულო კომისია თქვენი მოხსენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ხელახლა გადასინჯოს.

გირჩევთ ნუ გაიფუჭებთ აკადემიურ კარიერას და იფიქრეთ, რომ შეიძლება თქვენმა ოჯახმა მატერიალური უზრუნველყოფა დაკარგოს. სხვა დანარჩენში შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთ.

გულწრფელად, თქვენი ბილი".

ნუთუ მატერიალური უზრუნველყოფისათვის მეცნიერმა პირში წყალი უნდა ჩაიგუბოს, როცა დარწმუნებულია თავისი მეცნიერული დასკვნების სისწორეში?"

თავი მერვე

„სითიზენი"

თითქმის ერთი თვე დაჰყო დოქტორმა ნორისმა კუნძულებზე, სადაც სხვადასხვა დაწესებულება მოიარა და ყველგან უამრავ, ნაირ-ნაირ ანკეტებს ავსებდა. ეს აუცილებელი იყო იმისთვის, რომ ხიროსიმისაკენ ცურვის ნებართვა მიეღო.

მაგრამ ნებართვას არ აძლევდნენ. ხელისუფლება დაშინებული იყო გამოწვევით, ერთმა მუჭა გაბედულმა ადამიანებმა ამერიკის მთავრობას პირდაპირ სახეში რომ ესროლეს; ამ ადამიანებმა გადაწყვიტეს პატარა იახტა „სითიზენით" ატომური გამოცდის რაიონში გამგზავრებულიყვნენ. ლაშქრობას მეთაურობდა ალბერ სილითოუ — ორმოცდაათი წლის მღალ-მაღალი მამაკაცი, წარსულში სამხედრო-საზღვაო ფლო-

ტის ოფიცერი. სილითოუს გარდა იახტის ეკიპაჟში შედიოდნენ ხანდაზმული მეცნიერ-მუშაკები უილიამ დერიკი და ჯორჯ ჰოლმსი.

ოცდახუთ მარტს იახტა კალიფორნიის პორტ სან-პედროდან გავიდა.

„სითიზენის" დემონსტრაციული რეისით შეშფოთებულმა ატომური ენერგიის კომისიის ხელმძღვანელობამ 16 აპრილს გამოსცა საგანგებო განკარგულება, რომელიც ამერიკელ მოქალაქეებს სახიფათო ზონაში შესვლას უკრძალავდა. ამ განკარგულებას თითქმის კანონის ძალა ჰქონდა, ვინაიდან ატომური ენერგიის კომისია ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო დაწესებულება გახლდათ.

ჰავაის კუნძულებზე იახტა დააკავეს. მაგრამ მამაცნი არ ნებდებოდნენ და განიზრახეს სასამართლოში გაესაჩივრებინათ კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც კალიფორნიიდან გამგზავრების შემდეგ გამოქვეყნდა. ეს უკვე მაისში იყო, სწორედ ამ დროს ჩავიდა დოქტორი ნორისი ჰავაიზე.

იახტ-კლუბში გამართულ სადილზე ცოტა დაუფიქრებელი ნათქვამი გამოუვიდა, როცა „ეს ხალხი" მამაცობისათვის შეაქო, მაგრამ გუნებაში კი იფიქრა, მთლად სრულ ჭკუაზე არ უნდა იყვნენო. არადა რომ სცოდნოდა, საქმე ასე შეტრიალდებოდა...

„სითიზენის" ეკიპაჟი ნორისმა საკმაოდ უცნაურ ვითარებაში გაიცნო. ერთხელ შუაღამისას, „მემორიზე" რომ ბრუნდებოდა, ვიღაცის იახტა შეამჩნია, რომელიც, როგორც ჩანს, ნავმისადგომს მოწყვეტილი, პირდაპირ რიფებზე დრეიფობდა. ნორისმა განგაში ატეხა. იახტა ბუქსირით გამოიყვანეს საშშვიდობოს.

ნორისმა გაოცებულმა წაიკითხა იახტის სახელწოდება — „სითიზენი". გემბანზე მხოლოდ ჰოლმსი იყო, რომელსაც მაგრად ეძინა, სანამ იახტა დრეიფობდა. „სითიზენი" ნავსაყუდელში რომ მიიყვანეს, მაშინღა გამოელვიძა.

ჰოლმსმა ნორისს უსიტყვოდ მიუთითა მისაბმელ ბაგირებზე. ბაგირები გადაჭრილი იყო.

— უკვე მესამედ ჭრიან, — უთხრა ჰოლმსმა. — ყველანაირად ცდილობენ ხელი შეგვიშალონ.

მან ღუზის ჯაჭვი აიღო და იახტა ნავმისადგომს მაგრად გამოაბა.

— ახლა ხერხი დასჭირდებათ, — თქვა პირქუშად.

იახტსმენისათვის ძნელი წარმოსადგენია ის აღშფოთება, რომელმაც ნორისი მოიცვა, როცა გაიგო, რომ გემი რიფებზე სადრეიფოდ განზრახ გაუშვეს. მისთვის ეს ლაჩრული, უსინდისო დანაშაული იყო, გადაწვის ან მოწამვლის მაგვარი. მის მიერ გამოძახებულ პოლიციელებს დიდი გულმოდგინება არ გამოუჩენიათ. მხოლოდ გაიცინეს. ადგილობრივი იახტსმენები ორპოფულად ამბობდნენ, აბა სხვას რას ელოდითო?

თავი მეცხრე

ნორისის დღიურის გაგრძელება

„1958 წლის 19 მაისი. დღეს გემბანზე სტუმრები გვეწვივნენ. ძალიან მინდოდა „სითიზენის“ ეკიპაჟი უკეთ გამეცნო. ხალხზე მხოლოდ მაშინ შემიძლია ვიმსჯელო, როცა პირისპირ შევხვდები. მე მჯერა ჩემი შთაბეჭდილებისა.

არ ველოდი, საღამომ ისე კარგად ჩაიარა. სტუმრები მხიარულობდნენ და თავს ლაღად გრძნობდნენ. მე მშურდა მათი სიმშვიდისა. როცა რაიმეს გადავწყვეტ, ყოველთვის მრჩება შეგრძნება, რომ რაღაც გამომრჩა და ორპოფობა მიპყრობს. მათ კი გადაწყვეტილება ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღეს. ვხუმრობდით, ვყვებოდით სასაცილო ამბებს, რაც ცხოვრებაში გადაგვხდენია და არავის არ უხსენებია პოლიტიკა, ატომური იარაღის გამოცდის ზონები ან სასამართლო პროცესები. და მაინც ვგრძნობდი, რომ ამ ადამიანთა მხარეს ვდგებოდი, მჯეროდა მათი გულწრფელობისა და სიმტკიცის.

1 ივნისი. გუშინ სააპელაციო სასამართლომ უარყო „სითიზენის“ ეკიპაჟის თხოვნა, ნება დაერთოთ იახტა ნავმისადგომიდან გასულიყო.

3 ივნისი. დღეს „სითიზენის“ ეკიპაჟმა განაცხადა, რომ 4 ივნისს იახტა ზღვაში შევა, მიუხედავად იმისა, დართავენ ნებას თუ არა.

5 ივნისი. დღეს პრეზიდენტსა და ატომური ენერგიის კომისიის უფროსს ადმირალ სტრაუსს ასეთი დეპეშა გავუგზავნე:

„იახტა“ მემორის“ ეკიპაჟს მიაჩნია, რომ იახტა „სითიზენის“ საპროტესტო რეისი ყველა თვალსაზრისით გამართლებულია. უმორჩილესად მოითხოვს, დაუყოვნებლივ შეწყდეს წყნარ ოკეანეში ბომბების გამოცდა. მოვითხოვთ აგრეთვე გადაისინჯოს ატომური ენერგიის კომისიის ახალი განკარგულება, რომელიც ღია ზღვის დიდ რაიონში ნაოსნობას კრძალავს“.

ყოველი დეპეშა თხუთმეტი დოლარი მიჯდებოდა. ნამდვილად ჯობდა ამ ფულით ერთი ყუთი კონსერვი მეყიდა საგზლად, აკი საცაა ხიროსიმისაკენ უნდა ავიღო გეზი.

წუხელ ადგილობრივი ტელევიზიის მიწვევით ერთ-ერთი პროგრამით გამოვედი. პრეზიდენტისა და სტრაუსისათვის გაგზავნილი დეპეშა წავიკითხე, შემდეგ კი იუპიტერების თვალისმომჭრელ სინათლეზე ადგილობრივ ჟურნალისტთან, საშუალო ასაკის, არც ისე პიკანტურ ქალთან ვისაუბრე.

— მაშასადამე თქვენ ამართლებთ ეკიპაჟ „სითიზენის“ საქციელს?

— რა თქმა უნდა.

— რა აქვთ განზრახული, სურთ დაიხოცნონ?

— არა, მათ სიკვდილი არ უნდათ, მაგრამ, ვფიქრობ, არავითარ აღსასრულს არ უფრთხიან, მაშაკი ხალხია. მათი სურვილია, ყველამ შეიგნოს, რომ ბითვული გამოცდა, რომელიც ატმოსფეროს წამლავს, დაუშვებელია!

— თქვენ ალბათ რადიოაქტიურობის სპეციალისტი ხართ.

— არა, „რადიოაქტიურობის სპეციალისტი“ არა ვარ. მე ექიმი გახლავართ. მაგრამ რამდენიმე წელიწადს ვსწავლობდი ადამიანის ორგანიზმზე რადიაციის ზემოქმედებას.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ რადიოაქტიურ ნალექებზე?

— ბევრი რამ. მაგრამ ვითვალისწინებ, რა ცოტა დრო დაგვითმეს და გეტყვით მხოლოდ იმას, რომ 1954 წლიდან 1958 წლამდე ხიადაგში სტრონციუმ-90-ის შემადგენლობა ნიუ-იორკის მახლობლად შვიდჯერ გაიზარდა.

— ამ ყავაში თუ არის რადიოაქტიურობა? (მან ყავის ფინჯნებზე მიმითითა, წინ რომ გვედგა.)

— არის.

— მაშინ რაღას სვამთ? — მკითხა მან ნიშნის მოგებით.

— ჰოო, ბოლო კითხვა ძალზე რთულია. მაგრამ მეტი რაღა დამრჩენია?

— აი, ახლა კი სიტყვაზე დაგიჭირეთ. კეთილი, პროფესორო, ახლა მითხარით, ბავშვი რომ მყოლოდა, მახინჯი იქნებოდა?..

— ეს დამოკიდებულია...

— გასაგებია, ეს იმაზეა დამოკიდებული, დამემსგავსებოდა თუ არა, — თქვა მან კეკლუცად. — როგორაა რადიაციისა და მემკვიდრეობის საქმე?

— მახინჯებზე დაე მეცნიერულ-ფანტასტიკურ საშინელებათა მთხზველებმა ილაპარაკონ. მაგრამ რადიაცია მემკვიდრეობაზე მოქმედებს. ამაზე მეტყველებს ბუზებზე ჩატარებული ცდები. ხიროსიმაში გენეტიკური კვლევები მიმდინარეობს. გენეტიკური ცვლილებების ცხადი შედეგები შეიძლება მესამე და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეოთხე თაობაშიც გამომჟღავნდეს... არც ერთ სერიოზულ მეცნიერს ამის უარყოფა არ შეუძლია.

ყველაზე გამანადგურებელი შეკითხვა მან ბოლოს დამისვა:

— თქვენ რომ გედოთ თითი ღილაკზე, რომელსაც ერთ წამში მთელი რუსეთის მოსპობა შეუძლია, ამასთან იცოდეთ, რომ რუსების რაკეტები უკვე ჰაერშია და საცაა ამერიკას გაანადგურებენ, დააჭერდით თუ არა იმ ღილაკს თითს?

— ჯერ ერთი, მე მაინცდამაინც არ მჯერა, რომ რუსები ამის ჩამდენები არიან. მეორეც, ნება მომეცით შემხვედრი კითხვა მოგაგოთ: თქვენ დააჭერდით?

— თქვენ უფლება არა გაქვთ მკითხოთ, მე რას ვიზამდი. დღეს თქვენ იძლევით პასუხს.

— მაგრამ რაკი ასეთი კითხვა მოამზადეთ, მაშასადამე, პასუხიც მზად უნდა გქონდეთ.

— პასუხი თქვენზეა, რას იზამდით?

— არ დავაჭერდი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩვენი ბოლო ძიძგილაობა ეთერში არ გასულა. მაყურებლისთვის სასწრაფოდ უნდა ეჩვენებინათ პროგრამის სხვა ნომრები.

6 ივნისი. რამდენი ნერვიულობა გადავიტანე ერთ დღეში.

გუშინ „სითიზენის“ ეკიპაჟთან ერთად ვივახშმეთ. არც სილითოუს და არც სხვებს ერთხელაც არ უცდიათ ჩვენთვის თავს მოეხვიათ თავიანთი თვალსაზრისი, მაგრამ, რა თქმა უნდა, გრძნობდნენ, რომ მთლიანად მათ მხარეზე ვიყავით. ვახშამზე ვთქვი, რომ ახალ ეკიპაჟს შევადგენთ და „სითიზენით“ გავემგზავრებით, თუ თქვენ დაგაპატიმრებენ-მეთქი. მაგრამ მოგვიანებით, ოჯახურ თათბირზე გადავწყვიტეთ, რაც უნდა მომხდარიყო, ყველანი ერთად „მემორიზე“ დავრჩენილიყავით. ჩვენი გადაწყვეტილება სილითოუს ვუთხარით, მაგრამ მან მხოლოდ გულკეთილად გაიღიმა და ვერ მიხვდებოდი, გულგატეხილი დარჩა თუ არა. რა კაციან!

შუადღისას „სითიზენი“ გასამგზავრებლად მზად იყო. ნავმისადგომთან აუარება ხალხი შეიკრიბა, უმრავლესობა მეგობრულად იყო განწყობილი. მაგრამ აქა-იქ გესლიანი შეძახილებიც გაისმოდა, ორ კაცს ხელში ასეთი პლაკატიც კი ეჭირა: „პაციფისტებო, შინ წაეთრიეთ!“

ზუსტად შუადღისას იახტა ნაპირს მოსცილდა, მაგრამ პოლიციამ მაშინვე დააკავა, სილითოუ დააპატიმრეს და ციხეში გაგზავნეს. ერთი საათის შემდეგ ის მოსამართლე უიგის წინაშე წარსდგა და ბრალი დაედო შეთქმულებაში. „რა შეთქმულებას მწამებთ და ვისთან?“ — იკითხა სილითოუმ, მაგრამ პასუხი არ მიუღია. უიგმა გამოუცხადა, გაგათავისუფლებთ, თუ პირობას მოგვცემ, რომ მსგავს რამეს აღარ გაიმეორებო. სილითოუმ პირობის მიცემაზე უარი თქვა და ციხეში უკრეს თავი.

დღის ოთხ საათზე „მემორის“ ქიმიდან დავინახე დერიკი, რომელიც მტკიცე ნაბიჯებით მიდიოდა „სითიზენისაკენ“. დავუყვირე, ჰელოუ, ბილ, ჩვენთან შემოიარე-მეთქი. მაგრამ მან მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

ერთი წუთის შემდეგ გავიგე, რაც ხდებოდა. ძრავა არახრახდა და იახტა ნავსადგურის გასასვლელისაკენ დაიძრა. შემდეგ არხისკენ გაუხვია. ეკიპაჟი სწრაფად შლიდა იალქნებს. აი, ის უკვე ღია ზღვაში გავიდა. ასეთმა სიმამაცემ აღფრთოვანების ერუანტელი მომგვარა. კაიუტაში შევვარდი და დურბინდს ვეცი.

იახტა ნაპირიდან უკვე სამ მილზე იყო. რეპორტიორები

სწრაფმავალი კატერით იახტას დაეწივნენ და სურათების გადაღება დაუწყეს. სანაპირო დაცვა მოულოდნელობისაგან დაიბნა და არ იცოდა, რა ექნა, ვინაიდან „სითიზენი“ უკვე სამმილიანი ზონის იქით იყო, მაგრამ, ჩანს, ვიღაცამ ბრძანება გასცა წესი დაერღვიათ და სამხედრო კატერმა იახტა ნაპირიდან შვიდი მილის დაშორებით დააკავა. უკვე კარგად იყო მოსაღამოვებული, როცა „სითიზენი“ უკან დააბრუნეს, ეკიპაჟი კი ციხეში გაგზავნეს, სადაც ფრედ სილითოუ იჯდა.

7 ივნისი. „სითიზენის“ ეკიპაჟი ციხეშია. იახტაზე უკვე გუშაგი მოჩანს.

გასვლას 11 ივნისს ვაპირებთ. ჩემი ცოლი გულადი ქალია. ჯეინის აზრით, „სითიზენის“ დაწყებული საქმე ჩვენ უნდა დავამთავროთ.

მან ეს გადაწყვეტილება უყოყმანოდ მიიღო, მე კი ვორჭოფობ. საქმე ის კი არ არის, რომ ფიზიკურ საშიშროებას ვერიდები, თუმცა ეს საფრთხე სავსებით რეალური გახლავთ. არა, ასეთი ნაბიჯის უჩვეულობა მაფიქრებს.

ჯერ ერთი, მე იმ ადამიანთა რიცხვს არ ვეკუთვნი, ვინც კანონს ადვილად არღვევს. ქუჩის მეორე მხარეს მხოლოდ მწვანე შუქზე გადავდივარ. ვინმე უნდა გამოვიდეს ბირთვული გამოცდის წინააღმდეგ, მაგრამ რატომ მაინცდამაინც მე?

ფიზიკურ საშიშროებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი ქცევა საბოლოოდ დაუსვამს წერტილს ჩემს აკადემიურ კარიერას. მე მიამიტი ვარ, მაგრამ არა იმდენად სულელი, რომ არ მესმოდეს — არც ატომური ენერგიის კომისია და არც სამხედრო ხელისუფლება ამას არ დაივიწყებენ და არ მაპატიებენ. ახლა ისინი შეერთებული შტატების თითქმის ყველა კოლეჯსა და უნივერსიტეტს აკონტროლებენ. სამწუხაროდ, ჩემი სამუშაოსთვის შესაფერი პირობები მხოლოდ ხელისუფლებისა და აკადემიის დაწესებულებებმა შეუძლიათ შემიქმნან.

მოკლედ რომ ვთქვათ, ნებისმიერ წამთხვევაში ჩემი მეცნიერული კარიერა ამით დამთავრდება. შეიძლება ეს მელოდრამატულად ეღერდეს, მაგრამ მე ვცდილობ სიმართლეს თვალებში შევხედო. ვცდილობ მსგავსი აზრები თავიდან ამოვიგდო, მაგრამ არ ძალმიძს. მე სიღარიბეში დავიბადე. ბევრს

ცმუშაობდი და გვარიანი კარიერაც შევიქმენი. არ მინდა უარი ვთქვა ამ კარიერაზე.

როცა ეს სტრიქონები ხელახლა გადავიკითხე, შევნიშნე, რომ ისინი საცოდავი და ეგოისტური იყო. რა გაეწყობა, მე არა ვარ ჰოლივუდის ფილმების კეთილშობილი გმირი.

ყველა ჩვენგანი ყოველდღიურობის დახშულ წრეში ცხოვრობს. ყველას რაღაცის გვეშინია და ვერ ვამჩნევთ წრეს, რომელიც საცაა კაცობრიობას შემოეჭდობა. ისტორიაში ამ წრის შეკვრა არაერთხელ უცდიათ ბნელეთის მოციქულთ, მაგრამ მას ყოველთვის არღვევდა სიკეთის მსახურთა გმირობა, კაცობრიობის მტრებს ტყუილად როდი ეშინიათ ნებისმიერი ადამიანის ინიციატივისა, იგი ადამიანებს თვალებს უხელს ბოროტებაზე და საერთო წინააღმდეგობაში გადაიზრდება ხოლმე.

ჯეინმა გარემოებათა უჩვეულო დამთხვევა აღმოაჩინა — „მემორი“ ხიროსიმაშია აგებული. გემბანზე გვყავს ხიროსიმელი, რომლის მშობლები ატომური დაბომბვის დროს დაიღუპნენ, მე ადამიანზე რადიაციის მოქმედებას ესწავლობ, და ბოლოს, ჩვენ იმ ადგილზე გავჩნდით, სადაც ვიღაც ჩვენს დახმარებას საჭიროებდა. ჯეინი ამაში ბედისწერის ნებას ჭვრეტს.

ჩვენ მთელი ღამე ვთათბირობდით და გადავწყვიტეთ გამგზავრება.

10 ივნისი. გუშინწინ მთელი ოჯახი ადგილობრივ ციხეს ვეწვიეთ. „სითიზენის“ ეკიპაჟის ექვსივე წევრს ნახევარი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ჩვენ ბნელ, ვიწრო პაემანთა ოთახში შეგვიყვანეს, რომელიც რკინის სქელი ბადით შუაზეა გაყოფილი. ჩვენი მეგობრები თბილად მოგვესალმნენ. მეც მათღამი სითბო ჩამეღვარა გულში. მეამაყებოდა, რომ ისინი ამერიკელები იყვნენ, რომ ამერიკაშიც არიან შეგნებული და პატიოსანი ადამიანები. ამავე დროს, თავს უხერხულად ვგრძნობდი. ბავშვობიდან თავში ჩამიჭედეს — ციხე ცუდი ადამიანებისთვისაა განკუთვნილი და კარგი (ან ფრთხილი) ადამიანები ციხეში არ ხვდებიანო. ციხის კედლებს შიგნით ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიყავი. მერე რა ვუყოთ, ეს ემოციური მომზადება იყო.

იახტ-კლუბში უმრავლესობა „სითიზენის“ იახტსმენებს

ამტყუნებს. სიმართლე არ იციან და მხოლოდ იმის მიხედვით მსჯელობენ, რასაც გაზეთში კითხულობენ ან რადიოთი ისმენენ. აქ ყველაზე, ვინც „სითიზენის" ეკიპაჟს თანაუგრძნობს, „მოტყუებულ სულელებს" ან „კომუნისტების მომხრეებს" ეძახიან. ჩემი აზრით ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, რომელ კატეგორიას მიგვაკუთვნონ.

გამგზავრებისთვის მზადა ვართ. სურსათი ვიყიდეთ, ავზები საწვავით გავავსეთ. გადავარჩიეთ ნივთები, „სითიზენის" ეკიპაჟმა რომ გვაჩუქა — მარშალის კუნძულების რუკები, რადიოგადამცემი, აირწინაღიანი ყუთები... ეს ყველაფერი მათ მოწამლულ ზონაში უნდა გამოეყენებიათ. რა უბადრუკი საშუალებებია რადიოაქტიურობისაგან თავის დასაცავად. მე ყუთი შევფუთე და გადავმალე.

უნდა გადაგვეჭრა კიდევ ერთი პრობლემა — თან წაგვეყვანა თუ არა ფრედი. გაცხარებულ კამათში მან უცებ გვითხრა: „დაიმახსოვრეთ, რომ ეს სამყარო ჩემიცაა და ისევე შემიძლია მისი დაცვისათვის ვიბრძოლო, როგორც თქვენ". მე და ჯეინს რაღა გვეთქმოდა. ჩვენი შვილი უკვე დიდი იყო. ჩვენ კი მას ყოველთვის ისე ვუყურებდით, როგორც ბავშვს. ფრედი ჩვენთან იქნება.

ახლა საჭირო იყო ნიკთან მოლაპარაკება. როცა ვკითხე, გსურს თუ არა ჩვენ შემოგვიერთდე-მეთქი, ნიკმა ჯიბიდან საათი ამოიღო და მაჩვენა. საათს შავი დამწვარი ციფერბლატი ჰქონდა, შერუჯული ისრები სამუდამოდ გაჩერებულ დროს უჩვენებდნენ: 8 საათსა და 16 წუთს. ეს მამამისის საათი იყო.

1945 წლის ექვს აგვისტოს ნიკის მამა უკანასკნელად გავიდა ხიროსიმის გარეუბანში მდებარე თავისი პატარა სახლიდან და სამსახურში წავიდა. ნიკის დედა სამ დღეს დაეხეტებოდა ცეცხლმოკიდებულ ნანგრევებში და ქმრის გვამს ეძებდა. ბოლოს იპოვა ქმრის დამახინჯებული ნეშტი, მაგრამ რადიაციის დოზა, ამ ძებნის დროს რომ მიიღო, სასიკვდილო აღმოჩნდა".

თავი მეათე

მეოცე დღეს

„1958 წლის 11 ივნისი. ღამეა. ჩვენ ღია ზღვაში ვართ. მსუბუქი ქარი მიგვაქროლებს. ზღვა წყნარია. გაშლილი გვაქვს ყველა იალქანი — ბიზანი, სტაქსელი, გროტი, ფოკი.

ჩრდილოეთით სიბნელეში ბორცვებზე გაბნეული ჰონოლულუს სინათლეები მოჩანს, მათ რომ ვუცქერი, ერთდროულად სიმპათიასაც ვგრძნობ და გულისტკივილსაც. დედამიწის ზურგზე არ მინახავს ამაზე უფრო ლამაზი მხარე და ასეთი სანდომიანი, უბრალო ადამიანები. მაგრამ ამ ბუნებრივ სილამაზეს აქარწყლებს თვითკმაყოფილ არსებათა ბრბო, რომელთაც იმაზე მეტი ფული აქვთ, ვიდრე დახარჯვა შეუძლიათ. სწორედ ისინი იქცნენ მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანის თვალში საძულველ ამერიკულ სტერეოტიპებად.

ჩვენ ღამის წყვდიადში მივცურავდით და თან უკან ვიყურებოდით, რომ სანაპირო დაცვის კატერი არ გამოჩენილიყო. მე პაემანი დავუთქვი ერთ ადგილობრივ რეპერტიორს და გამგზავრების წინ პრესისთვის ჩვენი განცხადება გადავეცი. ნავმისადგომთან ხალხი ირეოდა. ბევრი მათგანი ამ საქმეში გვითანაგრძნობდა. „გადაეცით მარშალის კუნძულების მკვიდრთ ჩვენი გულისტკივილი" — გვითხრა ერთმა. მეორემ ხელი ჩამომართვა, თვალებში ცრემლები უბრწყინავდა. „ვღელავ... გმადლობთ, გმადლობთ..." — მითხრა მან და გამცილებლებში გაერია. გრძნობები რომ არ გამომემეღავნებინა, სამოტორო განყოფილებაში ჩავედი.

19 ივნისი. მეათე დღეა ზღვაში ვართ. გზად ფათერაკი არ შეგვყრია. ვახტზე რიგრიგობით ვდგებით. ყოველ თავისუფალ წუთს ვკითხულობ ლიტერატურას, რომელსაც ჯეინი „რადიაციურს" ეძახის. რადიოთი მოვისმინეთ უკანასკნელი ცნობები. ჩვენ დაგვემუქრნენ, „სერიოზულ ზომებს" მივიღებთო.

25 ივნისი. ცურვის მეთხუთმეტე დღეა. დღე-ღამის დროის სადემარკაციო ხაზი გადავკვეთეთ. აღმოსავლეთის ნახევარსფეროში შევდივართ. 26 ივნისი საერთოდ არ გვექნება.

12 საათსა და 00 წუთზე გემმა „ორიონმა" რადიოთი კოორ-

დინატები გამოგვკითხა. გადავეცი — 14° ჩრდილოეთ განედზე და 179° დასავლეთის გრძედზე ვიმყოფებით-მეთქი. „საით მიემგზავრებით?“ „იაპონიისაკენ“. კავშირი გაწყდა, მაგრამ გავიგეთ, როგორ გადასცეს ჩვენი კოორდინატები ვინმე „ტომ ბიგბის“.

ფრედმა ვარაუდით თქვა, ეს ენივეტოკის ბირთვული პოლიგონის შტაბის პირობითი დასახელებაა. „ტომი“ ნიშნავს „ატომს“, ბიგბი „დიდ ბომბს“.

30 ივნისი (იაპონიის დროით). მე და ჯეინი შტურმანის ჯიხურში განვმარტოვდით. დროა საბოლოოდ გადავწყვიტოთ, შევალთ თუ არა სახიფათო ზონაში.

„მემორი“ უკვე მეცხრამეტე დღეა ღია ზღვაშია, მაგრამ კრინტიც არავის დაუძრავს გამოცდების შეწყვეტის შესახებ. პირიქით, ყველაფერი მოწმობს, რომ მათი ინტესივობა გაიზრდება.

— მაშასადამე, გადაწყდა, — მშვიდად თქვა ჯეინმა.

— კი, მაგრამ...

ჩვენი უხიფათო პაწია მცურავი სამყარო თვალშეუდგამ ნისლში გაეხვია. მხოლოდ კომპასის ზედაპირი ანათებდა. მე ფრედის პატარა ლექსი გამახსენდა, რომელიც მან იაპონური ხაიკუს ყაიდაზე შეთხზა.

ვერ დავიჯერებ,
ეს თბილი წვიმა,
რომელიც ასე საამურია,
ასე რადიოაქტიურია!

დიახ, ჩვენც და მსოფლიოს ყველა ადამიანსაც ჯერ არნახული, გაუგონარი სასიკვდილო წვიმა აწვიმდა. წვიმა ატომთა დაშლილი ნამსხვრევებისა, ადამიანის გრძნობათაგან ჯერ ხელუქმელი.

— მაგრამ... — გავიმეორე მე.

— არჩევანი გვაქვს კია?

— არა.

სიბნელეში ფეხის ხმა გაისმა და ჯიხურში ნიკი შემოვიდა. აღელვებულმა გვკითხა, რაზე საუბრობთო.

— შევიდეთ თუ არა გამოცდის ზონაში?

— ჯერ არ იცით? არ გადაგიწყვეტიათ?

მას გაავებული სახე ჰქონდა.

— გადაწყვეტით კი გადავწყვიტეთ, ნიკ, თუ ყველა თანახმაა, შევიდეთ.

— კეთილი, — თქვა მან.

1 ივლისი. ცურვის მეოცე დღე. გუშინ, საღამოს 11 საათზე ფრედმა გემბანზე მიხმო. სამხრეთით შორს სინათლე მოჩანდა. დავინახეთ, როგორ მოტრიალდა გემი და ჩვენკენ წამოვიდა. მე გადამცემს ვეცი და დავიწყე გემის გამოძახება 2182 კილოციკლის სიხშირით, რომლითაც საერთაშორისო წესებით ზღვაში შემხვედრი გემები ლაპარაკობენ. არავინ გამომპასუხებია.

გემი დიდი სიჩქარით მოგვიახლოვდა და კინაღამ კიჩოში შემოიჭრა. სიბნელეში დიდი გემი ჩანდა. მე დავიყვირე.

— რადიოთი ხმა რატომ არ გამეცით?

— უფლება არა გვაქვს. მალე აკრძალული ზონა დაიწყება. აპირებთ ამ ზოლში შესვლას?

ქარი სიტყვებს იტაცებდა და მათი გარჩევა ჭირდა.

— დიახ, ვაპირებთ.

— სად?

— ჩრდილო განედის მეთოთხმეტე გრადუსზე.

გემი ჩამორჩა. ძლივს მოვასწარით ქიმზე ამოგვეკითხა ნომერი: ბ-217.

ასე ახლო რატომ მოვიდნენ? ცოტაც და ჩვენი პატარა გემი ფსკერზე აღმოჩნდებოდა. შეშინება უნდოდათ.

მთელი ღამე გემი უკან მოგვდევდა ერთი მილის დაშორებით.

მე გადამცემს მივუჯექი და მიკროფონი მოვიმარჯვე:

— ლაპარაკობს იახტა „მემორი". ყველა გემს, ვისაც ჩვენი ესმის, ვთხოვთ გამოგვეპასუხოს.

პასუხი არ ისმოდა. მე შესავალი გავიმეორე და განვაგრძე:

— მე მსურს გავაკეთო შემდეგი განცხადება: ამერიკული იახტა „მემორი" დღეს ბირთვული გამოცდის ზონაში შედის ამ გამოცდის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გთხოვთ აცნობოთ ეს სამოქალაქო ხელისუფლებას. იაპონიის მთავრობასაც აცნობეთ, ვინაიდან ჩვენს იახტაზე იაპონიის მოქალაქეც იმყოფება.

რადიომიმღებიდან კრინტიც კი არ ისმოდა. ან კი ვის უნ-

და გაეცა პასუხი, საკაპრო და თევზსაჭერი გემები ახლა ამ რაიონს გვერდს უვლიდნენ.

ბ-217 ისევ დაგვეწია და წაგვიკითხა მთავრობის განკარგულება აკრძალული ზონის შესახებ. სვლას განვაგრძობთ, სამხედრო გემი კვალში მოგვყვება.

2 ივლისი. აკრძალული ზონა. მე დაპატიმრებული ვარ. იახტაზე შეიარაღებული მეზღვაურები არიან.

დღეს დილის 8 საათსა და 20 წუთზე ბ-217 მესამედ მოგვიახლოვდა და მისმა მეთაურმა დაგვიყვირა:

— გააჩერეთ იახტა და ხალხის მისაღებად მოემზადეთ.

— მე დაპატიმრებული ვარ?

— დიახ, თქვენ დაგაპატიმრებენ.

— დაპატიმრების ორდერი თუ გაქვთ?

— ყველაფერს გაჩვენებენ.

ჩვენს გემბანზე ბოცმანი კორვინი და მეზღვაური პირი გადმოხტნენ. ხელში იარაღი და ხელბორკილი ეჭირათ. მე კორვინს პროტესტი განვუცხადე, უკანონოდ მიჭერთ-მეთქი. მან შემომთავაზა, ქვაჯელეინამდე თქვენი სვლით წამოდით, წინააღმდეგ შემთხვევაში ბუქსირზე გამოგიბამთო.

9 საათსა და 15 წუთზე სამხრეთ-დასავლეთით დავიძარით. მეზღვაურებმა ზრდილობიანად უარი გვითხრეს ჩვენთან ერთად სუფრას მისხდომოდნენ. თან კონსერვები და წყალიც კი ჰქონდათ წამოღებული.

3 ივლისი. დილის ოთხ საათზე (უკვე მესამე ღამეა არ გვიძინია) ზღვა უცებ ისე განათდა, როგორც დღისით, ჰორიზონტიდან თითქოს გიგანტური გიზგიზა ლამპა ამოიზიდა. გამოცდები გრძელდებოდა. ბომბის აფეთქების ადგილიდან სულ ორასიოდე მილით ვიყავით დაშორებულები.

ჩემს კითხვაზე — რა გველოდა, კორვინი მოკლედ მიპასუხებდა: „ყველაფერს ქვაჯელეინზე გაიგებთ".

ჩვენი მცველები ისევ თავიანთ წყალს სვამენ, ოღონდ საჭმელს ჩვენთან ერთად მიირთმევენ. ჯეინმა ვერაგ ხერხს მიმართა და მათი შეუპოვრობა გატეხა. მან ერთი დიდი ქვაბი სპაგეტი მოხარშა, იახტას ხორცის საწებლის არომატული სუნი მოეფინა. მერე ჯეინმა ნაზი ხმით თქვა: „ბიჭებო, ამდენ საჭმელს მარტონი ვერ მოვერევით, ხომ არ დაგვეხმარებით?"

და მეზღვაურებს მადისაღმძვრელი კერძიანი თეფშები ახლო მიუწია. ამას ვერც ერთი მამაკაცი ვერ გაუძღებდა.

მეზღვაურები კარგი ადამიანები გამოდგნენ. ისინი ხომ უბრალო ამერიკელი ბიჭები იყვნენ და არა ციხის პროფესიონალი ზედამხედველები. მათი გემის ეკიპაჟი ბირთვულ გამოცდებს ემსახურებოდა, აფეთქებისაგან დაზიანებულ მცურავ სამიზნეებს ცვლიდნენ. მივხვდი, რომ დასხივების მსხვერპლიც ხშირად იყვნენ. როცა ეს ვახსენე, კორვინმა მკვახედ მითხრა:

— აქ ყველაფერი მოწმდება, ადამიანმა საათში შეიძლება ასი რენტგენი მიიღოს და ამან არ ავნოს.

— რამდენ საათს ზედიზედ?.

— ასე... ხუთ, ექვს საათს...

მე მას ლეპის წიგნი ვუჩვენე, სადაც ნათქვამია, რომ ეს სასიკვდილო დოზაა.

კორვინმა მიამბო, ზოგიერთი მეზღვაური, შვებულება რომ მისცენ, დოზიმეტრს პერანგის ჯიბეების მაგივრად ფეხსაცმელებში იდებსო. რადიოაქტიური გემბანის ახლო ისინი დიდ დოზას უჩვენებენ. კორვინს არ ესმის, რომ ფეხები სხეულის განუყოფელი ნაწილია და დოზიმეტრი სწორედ ფეხსაცმელში უნდა გედოს.

ახლა მეზღვაურებს თავი თავისუფლად ეჭირათ და ფეხსაცმელებიც კი გაიხადეს. როცა ბ-217 მოგვიახლოვდა, მათ სასწრაფოდ ფეხთ ჩაიცვეს. რას იზამ, ასეთია საფლოტო დისციპლინა!

4 ივლისი. ატოლი ქვაჯელეინი ალბათ ყველაზე დიდია მსოფლიოში. სიგრძით ის სამოცი მილია, სიგანით — ოცი. სამხრეთ-საზღვაო ბაზა კუნძულების სამხრეთ ჯგუფებშია მოთავსებული, რომლებიც დიდ ოვალურ ლაგუნას ქმნიან. მაშინაც კი, როცა ზღვაში ქარიშხალი მძვინვარებს, აქ სიწყნარეა. აქ განსხვავებული სიღრმეებია და წყალი ცისფრად ლივლივებს. საოცარი სილამაზეა. მაგრამ ჩვენ ამ სილამაზით დატკბობის გუნებაზე არა ვართ და არც საამისო დრო გვაქვს.

ყველა კითხვაზე ერთსა და იმავე პასუხს ვიძლევით: გამოცდის ზონაში ჩვენი მთავრობის ქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოვემგზავრეთ; ჩვენ ღია სასამართლო

პროცესს მოვითხოვთ; ჩვენ უკანონოდ დაგვაპატიმრეს; ასევე უკანონოდ გაგვიყვანეს უცხოეთის ტერიტორიაზე (სამეურვეო ტერიტორია აშშ-ს არ ეკუთვნის). მოვითხოვთ, რომ სამოქალაქო ხელისუფლებას გადაგვცენ.

8 ივლისი. მეხუთე დღეა ქვაჯელეინზე ვართ. მე სამხედრო თვითმფრინავით მგზავნიან. დანარჩენები აქ რჩებიან. ვკითხულობ, ამათ რა ბედი ეწევათ-მეთქი. ძალზე თავაზიანად მიპასუხებენ, ყველაფერს მოგვიანებით აგიხსნიანო.

გავიცანით აქ მომუშავე რამდენიმე მარშალელი. ღამით ისინი იძულებული არიან ქვაჯელეინიდან გაემგზავრნონ. როცა ამერიკამ იაპონელებს მარშალის კუნძულები წაართვა, მკვიდრი მოსახლეობა მეზობელ ატოლებზე გადაასახლეს. მათ დღემდე არ აძლევენ უკან დაბრუნების უფლებას. 4 ივლისს მათგან ბევრი ჩამოვიდა დამოუკიდებლობის დღისადმი გამართული საზეიმო ცერემონიის სანახავად. ‘საღამოს ერთმა მარშალელმა დალია — გამბედაობა მომემატებაო და ქვაჯელეინში ღამის გათევის ნებართვა ითხოვა. მასთან ერთად იყო მისი ახალგაზრდა ვაჟიც.

— ჩემს შვილს თავის მშობლიურ კუნძულზე ღამე არასოდეს გაუთენებია, — თქვა მან. — დღეს გვინდა აქ დავრჩეთ. პლაჟზე დავიძინებთ.

სამხედრო ხელისუფლებამ უარი უთხრა. მან აურზაური ატეხა. მისი ვაჟი სხვა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად კუნძულიდან გაისტუმრეს, მოხუცი კი ჰაუპტვახტში ჩასვეს.

ქვაჯელეინის ყოფილი მცხოვრებლები სამხედროებს მორიგებაზე უარს უცხადებენ და თავიანთი მიწის „იჯარაში“ ფულს არ იღებენ. მათ სასამართლო საქმე აღძრეს.

აქ ერთი კანონია — პენტაგონის ბრძანებები. ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა, როცა ერთ ოფიცერს ვკითხე, რატომ არ უნდა დაუბრუნდეს ადგილობრივ მოსახლეობას კუნძული-მეთქი. მან მიპასუხა:

— თქვენ რაო, დაგვცინით? ამ აყროლებულ მარჯნის ნაგლეჯში მილიონები გვაქვს დაბანდებული.

მეძახიან. უნდა გამოვემშვიდობო ჯეინს, ფრედსა და ნიკს. რა ბედი ეწევათ მათ და ჩვენს „მემორის?!“

თავი მეთერთმეტე

1962 წლის 9 ივლისი

მთელი მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოებმა გადმოსცეს:

„8 ივლისს, საღამოს 11 საათზე ჰავაის დროით, ამერიკელებმა ორი წარუმატებელი ცდისა და მესამე ცდის მეოთხე გადავადების შემდეგ 300 კილომეტრ სიმაღლეზე, კუნძულ ჯონსთონის რაიონში ააფეთქეს მეგატომური სიძლიერის ბირთვული ბომბი“.

ჰავაის კუნძულების მცხოვრებლები, რომლებიც გამოცდის რაიონიდან 750 მილზე იმყოფებიან, შიშით ადევნებდნენ თვალს ღამის დღედ გადაქცევას. ექვსი წუთის მანძილზე არემარე ისე იყო გაჩახჩახებული, რომ ჰონოლულუს სანაპიროზე განლაგებული დღის სინათლის კაშკაშა ნათურებიც კი გამქრქალდნენ. ღრუბლებს მეწამული მოსდებოდათ. ხალხი შეშინებული რეკავდა პილიციაში და გაზეთების რედაქციებში, ზოგიერთმა ნამძინარევი ბავშვები მანქანებში შეუყარა და ფიცხლად კუნძულების სიღრმისკენ გაიჭრა.

ამერიკის გაზეთების კორესპონდენტები გაფაციცებით იწერდნენ ნანახით მიღებულ შთაბეჭდილებებს და ინტერვიუს ართმევდნენ გამოცდის სამხედრო ხელმძღვანელებს. გენერლების სიტყვები საერთო აღმაფრენას გამოსატავდა:

— ბოლოს და ბოლოს ეეწიეთ საწადელს!

წყნარი ოკეანის თვალუწვდენელ სივრცეში გადაკარგული უამრავი გემის რადისტები ამაოდ გზავნიდნენ ეთერში მოსახმობ ნიშნებს და ამაოდ ჩხრეკდნენ ყველა დიაპაზონს. ყურსაცვამებში მხოლოდ გაურკვეველი ტკაცატკუცი ისმოდა. რადიოკავშირი გაწყდა.

ამ დროს მილიონობით ამერიკელს მშვიდად ეძინა, ვინაიდან შეერთებულ შტატებში შუაღამე უკვე კარგა ხნის გადასული იყო. სან-ფრანცისკოს ციხის საწოლებზე მოუსვენრად წრიალებდნენ მამაცი ადამიანები — ჩეფი, სთოუნი, რობინსი, რომლებმაც გემ „ევრიმენ-I“-ით გამოცდის რაიონამდე ვერ მიაღწიეს. ნაპირზე ჯერ ისევ ეძინათ ექიმ მონტ სთედმენსა და მის ამხანაგებს, რომლებიც რამდენიმე საათში ორანძიანი

გემით „ევრიმენ-II“-ით სახიფათო ზონისაკენ უნდა გამგზავრებულიყვნენ.

პენტაგონის, ატომური ენერგიის კომისიის შენობისა და თეთრი სახლის ფანჯრები განათებული იყო. კმაყოფილებით ისრესდნენ ხელებს ნაპატიესები, თვითრჯული ბატონები, რომელთა იდუმალი ზრახვები გამოუცნობი იყო უბრალო ამერიკელთათვის.

ევროპაში უკვე 9 ივლისის დილა იდგა, ხოლო მოსკოვში ის-ის იყო დაიწყო საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის სხდომა, რომელზეც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ათასობით დელეგატი ჩამოვიდა.

კოსმოსში აფეთქების ცნობამ შეძრა კონგრესის დელეგატები. ეს უბრალო დამთხვევა როდი იყო, ეს გამოწვევა გახლდათ.

საღამოს სხდომაზე დარბაზში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში ტრიბუნაზე გამოჩნდა ამერიკელი კარლთონ ჰუდლეთი.

— ბატონო თავმჯდომარევ! — მღელვარებისაგან ჩაწყვეტილი ხმით წარმოთქვა მან, — პატიეცემულო დელეგატებო! ამერიკის დელეგაცია მადლობელია, რომ შესაძლებლობა მიეცა სხდომა შეწყვიტოს და გააკეთოს შემდეგი განცხადება მაღლივ აფეთქებასთან დაკავშირებით...

ჰუდლეთი წყალს სვამდა. დაძაბული სიჩუმე იდგა. ყრილობათა სასახლის ვეებერთელა დარბაზის შორეულ კუთხეშიც კი გაიგონეს ჭიქის წკარუნი.

— მას შემდეგ, რაც მაღლივი აფეთქება ჩვენი მთავრობის მიზეზით და ყველა მეცნიერის აზრის საწინააღმდეგოდ სინამდვილედ იქცა, ჩვენს წმიდათაწმიდა მოვალეობად ვთვლით, ამ დღეს, მსოფლიო კონგრესის მუშაობის დაწყების დღეს, სასტიკად დავგმოთ ჩვენი მთავრობის ეს აქცია. როგორც შეერთებული შტატების დელეგაციის ხელმძღვანელმა, მივიღე მანდატი და რწმუნებულება, გავაკეთო ეს ოფიციალური განცხადება ამ კონგრესის პლენარულ სხდომაზე. გმადლობთ ყურადღებისთვის.

„როცა სიტყვა დაამთავრა, — წერდა მეორე დღეს გაზეთი „პრავდა“, — კარლთონ ჰუდლეთმა ზღვასავით მღელვარე დარბაზი გაიარა. დელეგატები მიესალმებოდნენ სიმართლისა და

მშვიდობისათვის პატიოსან მებრძოლს. მას ტაშს უკრავდნენ დარბაზში. მას ტაშს უკრავდნენ ყრილობათა სასახლის კედლებს გარეთაც; ათასობით მოსკოველს ქოლგები გაეშალა და შუშის კედლებიდან ინტერესით ადევნებდნენ თვალს, რა ხდებოდა კულუარებში".

კონგრესის ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციის, ამერიკის დელეგაციის წევრები მხურვალედ ართმევდნენ ხელს ჰუდლეთს.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ყრილობათა სასახლის ვეებერთელა დარბაზი. დავაკვირდეთ ამერიკელთა სახეებს და წარმოვიდგინოთ, რა გზებმა, რა აზრებმა მოიყვანა ისინი აქ, რა მოგონებები გაცოცხლდნენ მათ გონებაში. მათ შორის ალბათ მრავლად არიან ნორისის მაგვარნი, ეპეების წყვდიადში დიდხანს უგზო-უკვლოდ რომ დაეხეტებოდნენ და ახლა აშკარა ბრძოლის სწორ, ნათელ გზაზე გამოვიდნენ.

თვითონ ნორისი სადღაა? მან ალბათ გუნებაში გაიფიქრა, ზუსტად ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ დაუვიწყარ ღამეს თვითმფრინავით მარშალის კუნძულებიდან ხიკამის სამხედრო აეროდრომზე ჩამომიყვანესო.

მისი ხვედრიც ისეთივე იყო, როგორიც ბევრი ამერიკელისა, ბირთვული გამოცდების წინააღმდეგ პროტესტით რომ გამოვიდნენ. მან ციხეც გამოსცადა და გაჭირვებაც, მაგრამ თავისი თავი ბრძოლაში ჰპოვა და არასოდეს არ უნანია, რაც გადაიტანა.

შტატებში სასამართლო ღარიბებისთვის როდია განკუთვნილი. პროცესის დროს ოცდაათი ათასი დოლარი დაიხარჯა: ვექილის ჰონორარებიო, სასამართლო ხარჯებიო... მაგრამ იყო დღეები, როცა კეთილმოსურნეთაგან ასამდე წერილს იღებდა. ზოგიერთში იდო ხუთი-ათი დოლარის ქვითარი და ბოკლე განმარტება: „ნორისის დაცვის ფონდს". უგზავნიდა მძღოლი მასაჩუზეტსიდან, კლერკი — ოჰაიოდან...

მას მოწმეებად დაუდგნენ ნობელის პრემიის ლაურეატი, დოქტორი ლაინუს პოლინგი და ცნობილი იაპონელი მეცნიერი დოქტორი ნიშივაკი. მათი სტატიები ბირთვული გამოცდების დამღუპველ შედეგებზე მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი. ერთ-ერთ თავის შრომაში პოლინგი წინასწარმეტყველებდა, რომ უკვე ჩატარებულ აფეთქებათა შედეგად დე-

დამიწაზე მეოთხედი მილიონი დეფექტური ბავშვი დაიბადებაო.

მეცნიერებს სასამართლო პროცესზე გამოსვლა მაინც არ მოუხდათ.

ოქმებმა შემოგვინახეს სასამართლოს არგუმენტაცია.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო. თქვენ, უბრალოდ, გინდათ საქმე გაბერეთ. დავუშვათ, რომ თქვენს მოწმეებს მოვუსმინეთ, რას მოგვცემს ეს?

დ ა ც ვ ა. დადგენილია ბიოლოგიური ზიანი, რაც ადამიანებს მიაყენა ბირთვულმა გამოცდებმა. ეს მნიშვნელოვანი მოწმობა იქნებოდა ჩვენს სასარგებლოდ.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო. თქვენს დასაცავ პირს ბრალად ედება მთავრობის განკარგულების დარღვევა... სასამართლოს არ აინტერესებს მისი ფილოსოფია. ეს ბრალდებულის ხვედრს ვერ შეამსუბუქებს.

დ ა ც ვ ა. მაგრამ, თქვენო ღირსებავ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გამოცდები უკანონოა. ჯერ ერთი, ჰუჰყიანდება ატმოსფერო, შეერთებული შტატები არღვევს საზეიმოდ დადებულ ვალდებულებას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე მიიღო, როდესაც ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა დეკლარაციას...

მეორე — ჩვენი მთავრობა არ ასრულებს ვალდებულებას მარშალის კუნძულების მცხოვრებთა მიმართ.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო. გიმეორებთ, სასამართლოს არაფერი ესაქმება თქვენს ფილოსოფიასთან. ლაპარაკია მთავრობის განკარგულების დარღვევაზე. უნდა გაირჩეს სისხლის სამართლის დანაშაული და სასამართლო ნებას ვერ მოგცემთ ეს პროცესი ტრიბუნად გამოიყენოთ, რათა გამოთქვათ იდეოლოგიური შეხედულებანი, რომლებიც საქმეს არ ეხება...

მორალური ხასიათის მოსაზრებები მხედველობაში არ მიიღებოდა. არავის არ აინტერესებდა ის ამბავი, რომ ნორისს ქვაჯელეინის ლაგუნაზე, „მემორიზე" დარჩენილი თავისი ოჯახის ბედი აღელვებდა. ნორისს არ უშვებდნენ, ხოლო ნიიში იამადას, რომელსაც ყველა ნიკს ეძახდა, ამერიკის ტერიტორიაზე გადასვლა აუკრძალეს, როგორც სახელგატეხილ უცხოელს.

თვეები გავიდა, სანამ ნორისი ყურეში შემოსულ თავის „მემორის“ დაინახავდა და ძვირფას ადამიანებს გულში ჩაიკრავდა.

უმაღლეს სფეროებში კი ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა. მუშავდებოდა ახალი გამოცდების გეგმა. ადმირალი სტრაუსი ატომური ენერგიის ხელმძღვანელის პოსტზე ჯონ მაკოუნმა შეცვალა, რომელიც შემდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი გახდა. ეს ის მაკოუნი გახლდათ, რომელმაც ჯერ კიდევ 1956 წელს, კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ზედამხედველად ყოფნისას, შავი დღე დააწია ამ დაწესებულებაში მომუშავე ათ მეცნიერს იმისათვის, რომ მათ აშკარად აღიარეს რადიოაქტიური ნალექების ცვენის საშიშროება და „პოლიტიკურ კამპანიაში ჩაებნენ“.

მანვე დაუჭირა მხარი დოქტორ თელერს, რომელიც თავს მთავრობის რუპორად თვლიდა და ამტკიცებდა, რადიოაქტიური ნალექები საშიში არ არისო. როგორც ჩანს, ეს არ ეხებოდა პოლიტიკის სფეროს. 1959 წელს დოქტორი თელერი მთავრობის სამსახურიდან გადადგა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ მან გავლენა დაკარგა. უბრალოდ მისთვის ასე უფრო ადვილი იყო კერძო ფირმების მფლობელთაგან მდიდრული ძღვენის მიღება.

1958 წლის 6 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე გაზეთი ასეთი სათაურით გამოვიდა: „ხიროსიმას არავინ შეგვინდობს!“ ამერიკელები სასამართლოს შენობას აწყდებოდნენ, სადაც ამ დროს ნორისის პროცესი მიმდინარეობდა. და თუმცა გამვლელთაგან ბევრი, პლაკატების შემხედვარე, იცინოდა და დამცინავად ხითხითებდა, მაგრამ სულის სიღრმეში მაინც შეშფოთებულნი იყვნენ.

იმ დღეს ნორისი იახტ-კლუბში არ შეუშვეს. რესპექტაბელურმა ნაცნობებმა სალამიც შეუწყვიტეს. მათთვის ის უკვე პატივცემული მეცნიერი კი არა, სისხლის სამართლის დამნაშავე იყო.

მაგრამ სასამართლოზე ნორისისა და მისი ადვოკატების მიერ წარმოთქმული მგზნებარე სიტყვები უბრალო ამერიკელებამდე მაინც აღწევდა. ეს ამერიკისათვის დამახასიათებელი პარადოქსის შედეგად ხდებოდა. გაზეთები კაპიტალის-

ტური დაწესებულებებია. მათ არ შეეძლოთ კონკურენტებს ჩამორჩენოდნენ. ნორისის პროცესი სენსაცია იყო და გაზეთებს არ შეეძლოთ სასამართლო ანგარიშები არ გამოექვეყნებინათ, თორემ მკითხველები იმ გაზეთს იყიდდნენ, რომელშიც ანგარიში იქნებოდა დაბეჭდილი.

ასე დაიბეჭდა სასამართლოზე ნორისის ჩვენებები, რომელთა წაკითხვის შემდეგაც მილიონობით ამერიკელი თანაგრძნობით დევნებდა თვალს პროცესის მსვლელობას.

— თქვენო დირსებავ, მოხდა ისე, რომ მე პირველად წარგდექი სასამართლოს წინაშე. ჩემი ქცევის კანონიერებაზე ჩემი ვექილი ილაპარაკებს, მაგრამ არსებობს კიდევ მორალური მიზეზები „მემორით“ ჩვენი მოგზაურობისა გამოცდის რაიონში...

— მე ვფიქრობ, რომ ადამიანს, როგორც სახეობას, შეუძლია საკმაოდ ძლიერი დასხივება ითანოს. მაგრამ ეს უკვე ის სამყარო აღარ იქნება, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, და იქ ცხოვრება არ მსურს...

— როგორც ექიმს, შემიძლია წარმოვიდგინო, რომ ადამიანი ანატომიურად შეეგუება დასხივებას, მაგრამ საკითხავია, რა ადამიანი იქნება ის? მე ის კი არ მაინტერესებს, შეუძლია თუ არა ადამიანს შეეგუოს, არამედ ის, საჭიროა თუ არა ეს შეგუება? სურს ეს თუ არა?

— მე მრცხვენოდა, როცა ატომური ენერგიის კომისიის თანამშრომელთა მოხსენებას ვკითხულობდი. განცვიფრებული ვიყავი... წუთითაც არ შემპარვია ეჭვი, რომ კომისიას ამერიკელი ხალხის მოტყუება ეწადა. პირველად ამერიკული მეცნიერების ისტორიაში მეცნიერი, როცა მოხსენებას და მისი ავტორის გვარს კითხულობს, ცდილობს გაარკვიოს, ვისი შეთხზულია ეს სისულელე, ეს ეგრეთ წოდებული სამეცნიერო შრომა. როგორც მეცნიერს, მე მრცხვენია ჩემი კოლეგების გამო, რომლებიც თავიანთ გვარს აწერენ ცრუ თხზულებებს. მე მრცხვენია, რომ მეცნიერები კომისიის სასარგებლოდ ცდილობენ დამალონ ატომური რადიაციის საშიშროება...

ნორისი იშველიებდა მეცნიერულ მონაცემებს, მოჰყავდა სიტყვები ცნობილი მეცნიერებისა, რომლებმაც უარი განაცხადეს ატომური ენერგიის კომისიასთან თანამშრომლობაზე.

მოსამართლე და ბრალდებული წამდაუწუმ აწყვეტინებდნენ სიტყვას. „საქმის გარშემო ილაპარაკეთ!“ — ჩასჩიებოდა მოსამართლე. „ეს ფილოსოფიაა!“ — გაჰყვიროდა ბრალმდებელი.

— თქვენ ამაყობთ იმით, რომ სასამართლოს წინაშე წარსდექით და თქვენი დამღუპველი ფილოსოფიის გადმოსაცემად აუდიტორია შეიძინეთ. თქვენ მოგწონთ მარტვილის როლში გამოსვლა ჩვენი საზოგადოების მერყევი ელემენტების თვალში. — თქვა თავის საბოლოო სიტყვაში მოსამართლემ და განაჩენი წაიკითხა.

ნორისს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ექვსი თვე „ციხის დაწესებულებაში“ ჯდომა ელოდა, დანარჩენი ვადა „პირობითად“ ეთვლებოდა.

მაგრამ ვერც ციხემ და ვერც გაჭირვებამ ნორისი სულიერად ვერ გატეხა. ჯონ ნორისმა ამერიკაში იმოგზაურა. ლექციებით გამოდიოდა კლუბებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში. „მემორით“ მოგზაურობაზე ყვებოდა და ხალხს ბირთვული გამოცდის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

მან მოაწყო ლაშქრობა იმ მიდამოების პერიმეტრებზე, რომლის ცენტრშიც შეიძლებოდა მეგატონური ბომბი ჩამოეგდოთ. დემონსტრანტებმა ნორისის მეთაურობით სამოცი მილი გაიარეს და თითოეულ შემხვედრს ეუბნებოდნენ: „ამ წრის შიგნით ცოცხალი არ დარჩება არც ერთი სულდგმული, მთელი არ დარჩება არც ერთი შენობა“.

ასეთი ლაშქრობები მოეწყო ბევრ სხვა ქალაქში. და აი, ნორისი ნიუ-იორკშია, მშვიდობის მომხრეთა დემონსტრანტებს შორის, რომლებსაც რვა პლაკატი მოაქვთ. თითოეული პლაკატი მეორის გაგრძელებაა:

„ჩვენ წარმოგიდგენთ ნიუ-იორკის ევაკუაციას“,

„ფუალგადის ბომბს ჩამოაგდებენ 42-ე ძუჩაზე, დილის 8 საათზე“.

„ჩვენ თხუთმეტი წუთით ადრე გაგვაფრთხილეს“,

„ჩვენი სიჩქარეა საათში ოთხი მილი“,

„რაკეტის სიჩქარე კი — 10000 მილი“.

„სრული განადგურების რადიუსია 15 მილი“.

„როცა ბომბი დაეშვა, ჩვენ 52-ე ძუჩამდე მივაღწიეთ“,

ბოლოს მოდიოდა კაცი, რომელსაც ხელში ეჭირა ნიჩაბი და პლაკატი:

„როცა შესაფრთხო ადგილს მივაღწევ, ჩემთვის თავშესაფარს ამოვთხრი“.

ნორისი იყო ვაშინგტონის „მშვიდობის სახლში“ და ოჯახთან ერთად თეთრ სახლთან ფურცლებს ავრცელებდა. მკლავზე სამგლოვიარო შავი ლენტი ეკეთა, ხოლო ლენტზე თეთრი ასოებით ეწერა: „ბომბების გამოცდა ადამიანებს ხოცავს“.

ხიროსიმაში კი კვლავ ძველებურ სამუშაოს ეწევა ატომური ბომბით დაზარალებულთა კვლევის კომისია, რომელშიც ოდესღაც ნორისი მუშაობდა. იგი ისევ ბეჭდავს ყალბ მონაცემებს, იაპონელ მეცნიერებს უკრძალავს წერონ გამოსხივებასა და დაღუპულებზე, რათა „საზოგადოება არ დააფრთხონ“. კომისიამ თვით ხიროსიმის ატომური ბომბის მუზეუმშიც კი შეაღწია და იქ თავისი სტენდი მოაწყო, რომლის მიზანია იაპონელებს დაუმტკიცოს, ხიროსიმაში არავითარი საშინელება არ მომხდარაო.

იაპონელებს ეს მკრეხელობად მიაჩნიათ.

მუზეუმის ექსპოზიცია ლეიბნიცის, პლანკისა და სხვათა პორტრეტებით იწყება... აზროვნების უდიდესი აღმაფრენა და უდიდეს აღმოჩენათა ამაზრზენი გამოყენება... ქალები მკერდისა და მკლავების გარეშე, მინის უზარმაზარი ბელტები, რომელთა ქვეშაც ადამიანის სხეულის ნაწილები მოჩანს, ფოტოები, ფოტოები... „ხიროსიმის მხატვრების ირისა და ტოსიკო მარუკის სურათები, მოჩვენებების დარი ადამიანები, დახოცილთა სულები ცოცხლებს შეჰღაღადებენ: „გონს მოდიო!“

არ შეიძლება ამ მუზეუმის დათვალიერებისას გული არ დაგწყვიტოს ადამიანის სისასტიკემ და სისულელემ. ამერიკა, შენ უბრალო დაბომბვაც არ გამოგიცდია! მხოლოდ ერთმა იაპონელმა მფრინავმა ნაბუო ფუძიტამ 1942 წელს წყალქვეშა ნავზე დადგმული დიდი თვითმფრინავით აშშ-ის დასავლეთ სანაპირომდე მიაღწია და ორეგონის ტყეში ალალბედზე რამდენიმე ცეცხლგამჩენი ბომბი ჩამოაგდო. ის ძველი სამურაული ხმლით დააჯილდოეს. სამურაებს ატომური ბომბი რომ ჰქონოდათ, არც ისინი დაინდობდნენ მშვიდობიან ქალაქებს. სისასტიკე და სისულელე ეროვნული თვისებები არ

არის. დამნაშავეთა ხელები ისევ ეპოტინებიან სახიფათო ღილაკებს...

ადამიანი მოკვდავია. იგი მხოლოდ თავისთვის როდი ცხოვრობს, არამედ — მომავალი თაობებისთვისაც. თითოეული თაობა კი ცხოვრების მთელი ჯაჭვის რგოლია, მთავარია ეს ჯაჭვი არ გაწყდეს.

ხიროსიმა უფლებას არ გვაძლევს დავივიწყოთ, რომ კაცობრიობა ისევ სახიფათო ზონაში იმყოფება, წრის გარღვევა შესაძლებელია...

1963 წ.

ავტორის ბოლოსიტყვაობა

მე ხელახლა გადავიკითხე ეს მოთხრობა, რომელიც თხუთმეტიოდე წლის წინ დავწერე და გამოვაქვეყნე ჟურნალ „მოსკოვში". მიუხედავად მისი აშკარა პუბლიცისტურობისა, ახლა გადავწყვიტე კრებულში შემეტანა. გავიხსენე ჩემი მოგზაურობანი, როგორ ვმუშაობდი ამერიკელი მეცნიერების შრომებსა და ჩანაწერებზე, გენერლებისა და სახელმწიფო მოღვაწეების მემუარებზე, აშშ-ის კონგრესის სხდომების, სხვადასხვა კომისიების და კომიტეტების ოქმებზე, მშვიდობის მომხრეთა და მისი მტრების წიგნებსა და დღიურებზე, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ რეპორტაჟებზე... იმხნად წაკითხულიდან შემდეგ ბევრი რამ ითარგმნა და ჩვენშიაც გამოქვეყნდა.

მაგრამ მშვიდობისათვის ბრძოლის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პრობლემა ბოლო წლებში მაინც აქტუალური რჩება.

მარშალის კუნძულებზე უკვე ოღარ ტარდება გამოცდები, მაგრამ მის გარშემო ოკეანე მოწამლულია. იგი ღამით ანათებს. სისტემატურად მომატებული რადიოაქტიურობის დროს თევზები წყლიდან ნაპირზე გამოდიან, ფარფლებზე დაყრდნობილები ნაპირზე დაფართხალებენ და ბუჩქებზეც კი ადიან. ჩიტები, რომლებიც არასდროს ტოვებდნენ ბუდეებს, მიწაში ღრმად ჩასახლდნენ. მთელი სანაპირო კუს ჯავშნითაა მოფენილი, ისინი ახალ პირობებს ვერ შეეგუენ. ზოგიერთმა ცოცხალმა ორსებამ ბუნება იცვალა და რადიოაქტიურობასთან

ბრძოლა ისწავლა, მაგრამ ასეთი ძალიან ცოტა აღმოჩნდა, ატოლ ენიეტოკის მკვიდრნი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან სამშობლოში.

სსრ კავშირის ინიციატივით სახელმწიფოების უმრავლესობამ უარი თქვა ბირთვულ გამოცდებზე ატმოსფეროში, წყალქვეშ და კოსმოსურ სივრცეში. დღეს ყველა ჭკუათამყოფელ კაცს ესმის, რომ რადიოაქტიური გამონაყოფები წამლავს ჩვენს სისხლს, ძვლებში ატანს, ჩვენთვის, ჩვენი შვილებისა და ჩვენი შთამომავლობისთვის განუკურნებელი სენი მოაქვს. ვონიერი ხალხი იბრძვის დანაშაულებრივი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც კაცობრიობის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ხელყოფენ.

დიდი ხანია კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატები მაგიდას მუშტს აღარ ურტყამენ და პრივილეგიასა და მორჩილებას აღარ მოითხოვენ. მაგრამ ატომური წონასწორობა განუწყვეტელ მხარდაჭერაზე, მშვიდობის პოლიტიკის განმტკიცებაზეა დამოკიდებული. თქვენ იტყვით, სიტყვები ხშირი ხმარებისაგან ცვდება, როგორც მილიონ ხელში გამოვლილი სპილენძის შაურიანია.

სიტყვა „მშვიდობა“ გარკვეულ დრომდე თვლემს გაზეთის სტრიქონებში. მაგრამ ხდება მოვლენები, რომლებიც ამ სიტყვას მშრალი აბსტრაქციიდან უეცრად ყველასთვის გასაგებ, საასურველ, სიცოცხლისუნარიან ცნებად აქცევენ.

ეს მოვლენები ადამიანებს თვალს უხელენ და ისინიც განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქვამენ სამყაროს სილამაზეს, გაოცებულნი რჩებიან ქალაქების სიდიდით, თვალუწედენელი ხოდაბუნებით, დასცქერიან თავიანთ ხელებს, ასე პატარები რომ ჩანან იმასთან შედარებით, რაც მათ შეუქმნიათ. ადამიანებს სიამაყით ავსებთ იმის შეგრძნება, რომ შემოქმედთა დიდ გვარს განეკუთვნებიან და შეშფოთებაც იპყრობთ იმ სამყაროს სვე-ბედის გამო, რომელიც მათ ეკუთვნით, ახლობლების გამო, იმ უფლების გამო, რომ ისუნთქონ, უცქირონ, იშრომონ, ბედს უჩიოდნენ და ცხოვრებით გაიხარონ...

შეშფოთება სიცოცხლის გამო — ეს ადამიანის გრძნობებიდან ყველაზე ძლიერი გრძნობაა. ნებისმიერი ლიტერატუ-

რული ეპოქის ნებისმიერ ტრაგედიაში მიმდინარეობს ადამიანის ბრძოლა სიცოცხლისათვის. მაყურებელს, რომელიც სცენას უცქერის, რომელიც ხედავს, როგორ ეპარება გარდაუვალი სიკვდილი გმირს, მთელი სულითა და გულით სწადია ტრაგედიის მოქმედების დაუნდობელი ლოგიკის საწინააღმდეგოდ გმირმა იცოცხლოს, რადგან სისხლის წყურვილი ადამიანებისთვის უცხო და მიუღებელია. მოსისხარი მხეცია და არა ადამიანი.

ატომური ტრაგედია — ეს არის უდიდესი ტრაგედია, რომელიც კი ოდესმე კაცობრიობას გადაუტანია.

ამ ტრაგედიის უარყოფითი პერსონაჟები სცენიდან ჩამოვიდნენ და მათი მსხვერპლებივით თავიანთ მამა-პაპას მიაკითხეს. მაგრამ შეერთებულ შტატებში მათ ახლაც ჰყავთ მიმდევრები და საკმაოდ ბლომადაც.

უცნაურია, მაგრამ ისინი თავიანთი მისწრაფებებით უერთდებიან თავიანთ ანტიპოდებს, რომლებიც მზად არიან მილიარდობით ადამიანი გასწირონ, რათა შემდეგ „ათასჯერ უფრო მაღალი ცივილიზაცია დაამყარონ“.

ადვილი სათქმელია — მოსპო ცივილიზაცია. განა ეს ცივილიზაცია მარტო კაპიტალისტურია? არა და არა. ცივილიზაცია მშრომელ ადამიანთა ასობით თაობის მიერაა შექმნილი.

ერთი ბირთვული მეგატონური ბომბი ყველაფერს ანგრევს ხუთი ათასი კვადრატული კილომეტრის ფარგლებში, რადიოაქტიური ნალექები კი აფეთქების ადგილიდან ათას კილომეტრზეც არ ინდობს ადამიანებს.

მარტო ოკინავაზე თავმოყრილია 3000 ერთეული ატომური იარაღი 20 სახეობის ბირთვული მუხტით. დღეს წერენ, რომ შეიძლება დამზადდეს წყალბადის ბომბი, რომელიც ჯიბეში ჩაეტევა კაცს. თერმოატომური რეაქცია ლაზერის დახმარებით ხორციელდება. იქმნება ნეიტრონის ბომბი.

შეერთებულ შტატებში ბირთვული იარაღის ადრეული ნიმუშები საიდუმლოდ აღარ ინახება და მუზეუმშია გამოფენილი.

ცნობილია, რომ ქვეყნებს, რომლებსაც ამჟამად ბირთვული იარაღი არა აქვთ, შეუძლიათ იგი შექმნან ნებისმიერ

დროს და 1980 წლისთვის მათ ხელთ არსებული პლუტონიუმით შეიძლება 12000 ატომური ბომბი დამზადდეს.

თუ ომი ატყდა, პირველ ყოვლისა განადგურდება ყველა მსხვილი და სამრეწველო ცენტრი, დაიღუპება მილიარდობით ადამიანი. ცოცხლად დარჩენილებს, ფსიქიკადამახინჯებულთ, დასნეულებულთ მოუწევთ ხელახლა, თავიდან, ასეული წლების მანძილზე აშენონ სამყარო, რომელიც შეიძლება ასე ბრმად და სულელურად დაინგრეს.

არაავინ არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ მუტაციის შედეგად არ შეიცვლება თვით ადამიანის ბუნება, როგორც შეიცვალა ფრინველთა ბუნება, რომლებიც მიწის ჭიებს დაემსგავსნენ.

მაგრამ ეს არასოდეს მოხდება, სმისი თავდება მილიონობით ადამიანის კოლექტიური გონების ყოვლისშემძლეობა, ადამიანებისა, რომლებიც სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ უგუნურობისა და ერთეულების ფარული ძალაუფლების წინააღმდეგ.

წინასწარმეტყველებას „განწირულ ქალაქზე“ ახდენა არ უწერია.

1976 წ.

სარჩევი

ობაკუმი 3
ვლადიმერ ივანოვიჩი . . 208
გოლიათური გული . . 402
სიკვდილის მთესველნი . 570
წრე, რომელიც ახსნება 648

რედაქტორი მ. ორდანიშვილი
მხატვარი ო. ბუკიეკა
მხატვრული რედაქტორი ა. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიმრაძე
კორექტორები: ნ. ქირთაძე, ლ. არჩუაძე
გამომშვები მ. წიკვნიკაძე

ს. ბ. 4335

გადაეცა წარმოებას 09.12.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.08.89. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108 1/32. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 37,59. პირ. საღ. გატ. 37,59. საღრ.-საგამომც. თაბახი 34,26.
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 2454.

ფასი 8 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5,

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы 7.